ჟ. ჯვარბერაძე

ეროვნული ფერწერა

ბეჭდვითი ელექტრონული
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი 1967

ոգեշունչ գեղարվեստական ստեղծագործություններ։ Հայտնի գրող-հրապարակագիր Գուրգեն Մահարին գրել է. «Ամենաբարդը մարդն է։ Ամենաբարդը մարդն է... Նրա հոգեկան աշխարհը, նրա ներքին ոլորտները, նրա գաղտնիքները։ Ինչպես ասում է ռուսական մի հանելուկ՝ մարդը ոչ թե գլուխ է, ոչ թե ոտք, ոչ թե սիրտ, ոչ թե ուղեղ, ոչ թե աչք, ոչ թե ականջ, ոչ թե քիթ, ոչ թե բերան, ոչ թե ատամներ, ոչ թե մազեր, ոչ թե մատներ, ոչ թե մատնահետքեր, ոչ թե ոտնահետքեր, ոչ թե ստվեր, ոչ թե արյան խումբ, ոչ թե գենետիկական կոդ, ոչ թե ուղեղի կիսագնդերի գործունեություն, ոչ թե հոգեբանական տիպեր, ոչ թե հոգեբանական դիմանկարներ, ոչ թե հոգեբանական պորտրետներ, ոչ թե հոգեբանական ինքնանկարներ, ոչ թե հոգեբանական ինքնադիմանկարներ, ոչ թե հոգեբանական ինքնապորտրետներ։

ნანამ ცოცხალი სარ, არ გაბედო
სიკვდილი!
ძველი გალური ანდაზა

აქა ამბავი...

რამე ამბავს რომ ჰყვები, სულ იმაზე ფიქრობ, ახდენს ეს შთაბეჭდილებას თუ არა. ზოგჯერ იმისაც გეშინია, რომ არ დაგიჯერებენ; იტყვიან, ომში ნამყოფი კაცისა და მონადირის ნაამბობს ერთი ფასი აქვსო. არ ვიცი, რამდენად სწორია ეს იგავი, მაგრამ რაკი ის არსებობს, ალბათ, ანგარიშის გაწევაც უნდა. ხანდახან ვფიქრობ, შეიძლება ამას საფუძველიც ჰქონდეს-მეთქი. ხომ იცით, რა ძნელია საკუთარი შთაბეჭდილებების სხვისთვის გადაცემა, მით უმეტეს, მსმენელის დაინტერესება იმით, რაც შენ თვითონ განგიცდია. უშუალო განცდა მტკიცებას არ მოითხოვს, იგი პირდაპირ ჩნდება და უამისოდაც ახდენს შთაბეჭდილებას. სხვისი ნაამბობი კი თანდათან კარგავს ზემოქმედების უნარს. ჯერ ხომ უნდა მოისმინო, მერე გაიგო, თუ გაიგე — დაიჯერო, რასაც დაიჯერებ — განიცადო და თანაც ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, თითქოს ყოველივე ამას შენს თავზე გადაუვლია. თუ მართლაც ასე მოხდა, ხომ კარგი, არადა შენი ნაამბობი შენთანვე დარჩება და სხვაზე არავითარ გავლენას არ მოახდენს; ისე, ზრდილობისთვის თუ მოგისმენს ვინმე, თორემ სხვა არც ამას იზამს, ხელს ჩაიქნევს და წავა თავისთვის. მთხრობელი კი, მეომარი იქნება იგი, მონადირე, თუ სხვა ვინმე, ნემსის ყუნწში ძვრება, რომ მსმენელები როგორმე შეიყვანოს თავისი ემოციების სფეროში. ამისთვის ეჭიდება წარმოსახვას, აზვიადებს ამბებს, განცდილსა და გაგონილს ზოგჯერ მოგონილსაც უმატებს, ჯერ ცოტას, მერე კიდევ ცოტას და.... თუ ასე მიუშვა, ისეთ ქარის წისქვი-

ლებს დაატრიალებს, რომ მის ნაამბობში ტყუილსა და მართალს ვერავინ გაარჩევს.

მსმენელი კი ზის ამ დროს თავისი წარმოსახვის ტრაპეციაზე და ფიქრობს — დაიჯეროს, თუ არ დაიჯეროს. თუ დაიჯერა, შეიძლება აჰყვეს კიდეც მთხრობელის ემოციებს, თუ არა — ირონიულად ჩაიცინებს, ან გუნებაში მაინც გაგზავნის მას მიუნჰაუზენისა და ტარასკონელის კომპანიაში. ამიტომ მთხრობელი უნდა ცდილობდეს როგორმე აიცდინოს ეს საშიშროება — განცდილსა და გაგონილს არაფერი მიუმატოს, არაფერი გააზვიადოს, არ გადააჭარბოს, ყოველთვის ახსოვდეს, რომ ის ახასიათებს ამბავს და არა ამბავი მას.

სულ სხვაა, როცა საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება ყვება თავის თავგადასავალს. მკითხველებს აინტერესებთ მისი ცხოვრების ყოველი დეტალი და ისიც ვალდებულია ანგარიში გაუწიოს მათს ცნობისმოყვარეობას. უბრალო მთხრობელი კი ასე ვერ მოიქცევა. თუ ისიც რამე ამბავს ყვება, უნდა ახსოვდეს, რომ სწორედ ეს ამბავია მთავარი და არა ის. თვითონ მას შეიძლება აქ მცირე მნიშვნელობა ჰქონდეს, ან სულაც არავითარი. სამაგიეროდ, იგი ვალდებულია ისეთ ამბავს მოყვეს, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნება. ამის მსაჯული კი მხოლოდ დროა. დროს შეუძლია განსაზღვროს, რას ენიჭება ამგვარი მნიშვნელობა და რას არა. ზოგიერთი ამბავი უცებ იწყებს ხმაურს და ასევე უცებ ეძლევა დავიწყებას. ამიტომ ვინც რამეს ყვება, უნდა დროს მოერიოს. დრო კი რთული ფენომენია. იგი თანდათან ანელებს შთაბეჭდილებას და აცხრობს ვნებებს. მათი ხელოვნურად გაღვივება კი არ შეიძლება, რადგან ეს იქნება სიყალბე, რასაც მსმენელი ადვილად ხვდება. სამაგიეროდ, თუ მთხრობელი ისეთ ამბებს მოყვება, რაც არასოდეს დაკარგავს თავის ხელშესახებ მუდმივობას, შეიძლება დრო დაიმორჩილოს და მსმენელიც შეიყვანოს ამ ამბების ემოციურ სფეროში. მხოლოდ ასეთ პირობებში თუ დამყარდება კეთილგანწყობილი კონტაქტი მთხრობელსა და მსმენელს შორის, რაც ბადებს ნდობას და იწვევს ხალისს. უამისოდ კი ერთიც ამაოდ დაშვრება და მეორეც.

აბა, ვის აინტერესებს უაზროსა და ამაოს შორის თამაში, ან დაუხატავი კამათლების გორება!

არც მეომრისა და მონადირის იგავი იწვევს ამის სურვილს...

...ამიტომაა, ომის ამბების მოყოლას მეც რომ თავს ვარიდებ და თხრობას იმ პერიოდიდან ვიწყებ, როცა საბჭოთა არმიის ნაწილები სახელმწიფო საზღვარზე გავიდნენ. მას აქეთ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიმიღია და, ცხადია, არც მინადირია. მოსაყოლი კი მაინც ბევრი მაქვს. ხუთი წლის განმავლობაში იმდენი ვიხეტიალე ომის გზებზე, ასე მგონია, მიწის ზურგს კანი ავყარე-მეთქი. სად არ ვყოფილვარ! ჯერ ბაქოს საზენიტო არტილერიის სკოლაში, მერე ორმოცდამეექვსე არმიაში, აქედან ფრონტზე: ტამანის ნახევარკუნძულზე, ყირიმში, ყუბანში, ჩრდილოეთ კავკასიაში, შავი ზღვის სანაპიროებზე — ტუაფსესა და ნოვოროსიისკს შორის; შემდეგ კავკასიის მისადგომებზე, საიდანაც დაიწყო ჩვენი ჯარების წინსვლა დასავლეთისაკენ. გავიარეთ უკრაინა, მოლდავეთი, ბესარაბია, კარპატები და რუმინეთში შევედით. მე ერთხანს ბუქარესტში ვიყავი, მერე ტრანსილვანიაში, შემდეგ დუნაის სანაპიროებს ავყევი, მთელი უნგრეთი მოვიარე, რამდენჯერმე ბულგარეთსა და იუგოსლავიაშიც მოვხვდი და უკრაინის მე-2 ფრონტის ნაწილებთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში შევედი. ბოლოს ისევ დუნაი გადავლახეთ ვენასთან და უკვე დამხობილი ჰიტლერის სამშობლო ქალაქ ლინცში შევხვდით მოკავშირეთა ჯარებს.

საზღვარგარეთ გასვლის შემდეგ სამსახურიც ისეთი მქონდა, რომ სულ მოგზაურობაში ვიყავი. ჩვენს განყოფილებას, სადაც მაშინ ვმუშაობდი, სხვა საქმეებთან ერთად, ჰიტლერელებისაგან გათავისუფლებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი ხელისუფლების აღდგენაც ჰქონდა დავალებული. შევიდოდა თუ არა რომელიმე არმია ამა თუ იმ ქალაქში, მე და ჩვენი განყოფილების მუშაკები მაშინვე იქ უნდა გავჩენილიყავით, რომ, უმაღლესი სარდლობის განკარგულების მიხედვით, 24 საათის განმავლობაში აღგვედგინა ადმინისტრაციული ორგა-

ნოები. ამის გამო, როგორც ფრონტზე ამბობენ, სულ ბორბ-ლებზე ვისხედით. ისეთი დღეც გამოერეოდა, რომ 4-5 და ზოგ-ჯერ მეტ ქალაქშიც გვიხდებოდა ყოფნა. სამაგიეროდ რუმი-ნეთსა და უნგრეთში, ხოლო ნაწილობრივ ავსტრიასა და ჩეხო-სლოვაკიაში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქალაქი თუ სხვა რამ ღირსშესანიშნავი ადგილი, სადაც არ ვყოფილიყა-ვი. ამან საშუალება მომცა უფრო კარგად გამეცნო ის მხარე...

...ომი რომ დამთავრდა, უკან გამოვბრუნდით შავი ზღვის სანაპიროსაკენ და ქ. კონსტანცაში გავჩერდით. იმედი მქონდა, ამის შემდეგ შინ გამიშვებენ-მეთქი, მაგრამ მოსკოვში გამო-მიძახეს და, შვებულებაც არ მოუციათ, ისე გამგზავნეს გერ-მანიის სამხედრო ადმინისტრაციის აპარატში სამუშაოდ, ამ-ჯერად უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროს (მაშინ სახალხო კომისარიატის) გამგებლობაში. მეც რა გზა მქონდა, პოლონე-თი გავიარე და გერმანიაში ჩავედი. რამდენიმე თვე ბერ-ლინში გავატარე, მაგრამ სხვა ქალაქებშიც ხშირად მიხდებო-და ყოფნა. ერთი თვე ამერიკის ზონაში, ქ. კასელშიც ვიყავი მივლინებით; შემდეგ კი, ჩემდა მოულოდნელად, ნიურნბერგ-ში გამგზავნეს — მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესზე. ეს განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემთვის და როგორც შემეძლო ვასრულებდი კიდეც დაკისრებულ დავალებებს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი აქედანაც მომიხდა გამგზავრება. რაღაც მანქანებით ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს მიერ და-ნიშნული საერთაშორისო სამედიცინო კომისიის შემადგენლო-ბაში მოვხვდი როგორც სამხედრო წარმომადგენელი. ამ კო-მისიას ევალებოდა შეემოწმებინა ცნობილი მრეწველის, „ზარ-ბაზნების მეფედ“ წოდებულ გუსტავ კრუპის ჯანმრთელობა და დაედგინა, შეიძლებოდა თუ არა მისი სხვა მთავარ სამხედ-რო დამნაშავეებთან ერთად გასამართლება, ხოლო შემდეგ განესაზღვრა ჰიტლერის ყოფილი მოადგილის, 1941 წლიდან ინგლისში „გაქცეულ“ რუდოლფ ჰესის შერაცხადობის სა-კითხი, რადგან ის, როგორც მოგეხსენებათ, ფსიქიურად და-ავადებულის სიმულაციას ეწეოდა. კრუპი მაშინ ავსტრიის

ალპებში იწვა, საკუთარ სანადირო სასახლეში. ჩვენც იქ მოგვიხდა წასვლა. ეს მართლაც სასიამოვნო მოგზაურობა იყო. გავიარეთ მიუნჰენი, ზალცბურგი, ბერჰტესგადენი; მერე ბავარიის ალპებს ავყევით, რომელიღაც უღელტეხილისაკენ გავუხვიეთ და ავსტრიაში გადავედით, სადაც პატარა სოფ. ბლიუნბახში ვინახულეთ დამბლადაცემული კრუპი და მისი მეუღლე ბერტა, რომლის სახელი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის ღროს ჰქონდა შერქმეული გერმანულ მსხვილყალიბიან ზარბაზნებს.

იქიდან დაბრუნებულმა კვლავ ნიურნბერგში განვაგრძე მუშაობა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალში, სადაც შვიდი თვე დავრჩი. ამ ხნის განმავლობაში მონაწილეობას ვიღებდი მთავარი სამხედრო დამნაშავეების, უმთავრესად გერინგის, რიბენტროპის, ჰესის, როზენბერგის, ნოირატის, ფრანკისა და პაპენის წინასწარ დაკითხვებში, ვესწრებოდი პროცესს, ვამუშავებდი საბრალდებო მასალებს და ვასრულებდი საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დავალებას. ზოგჯერ, თუ რაიმე შემთხვევის გამო თავისუფალ დროს ვიშოვიდი, ახლომახლო ქალაქებშიც დავეხეტებოდი — მიუნჰენში, ბამბერგში, ბაირეითში, რეგენსბურგში, შტუტგარტში თუ სხვაგან. ერთხელ ლანდსბერგშიც მოვხვდი, სადაც დავათვალიერე ციხე, რომელშიც მიუნჰენის პუტჩის შემდეგ დაპატიმრებულმა ჰიტლერმა რუდოლფ ჰესთან ერთად დაწერა წიგნი „ჩემი ბრძოლა“. ომის დროს ჰიტლერელებმა ამ ციხის მიდამოებში საშინელი საკონცენტრაციო ბანაკები გამართეს, ხოლო ფაშიზმის დამარცხების შემდეგ ამერიკელებმა თვით გერმანელ ტყვე ოფიცრებს, უმთავრესად ფელდმარშლებს, გენერლებს, ყოფილ მინისტრებსა და პარტიულ ხელმძღვანელებს „მიუჩინეს იქ ბინა“. ადრე ბევრი მათგანის სახელი გამეგონა, ახლა კი ვუყურებდი, ერთნი რომ ციხის ეზოში დასეირნობდნენ, მეორენი ცოცხით დერეფნებს ასუფთავებდნენ, ხოლო მესამენი კარტოფილს ფცქვნიდნენ სამზარეულოში...

მერე ბევრ მათგანს ნიურნბერგშიც შევხვდი, სადაც მოწმეებად იყვნენ გამოძახებულნი.

ჩემი დანარჩენი მუშაობა თვით პროცესზე მიმდინარეობ-

და, ვიდრე საგამოძიებო ნაწილმა თავისი საქმეები არ დააშ-
თავრა. შემდეგ კი, ალბათ, გაითვალისწინეს ნიურნბერგში მი-
ღებული გამოცდილება და სხვებთან ერთად იაპონიაში დამი-
პირეს გაგზავნა. იქაც მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პრო-
ცესზე, მაგრამ შვებულება ავიღე, თბილისში დავბრუნდი და
ამის შემდეგ არსადაც არ წავსულვარ...

...შთაბეჭდილებები ისედაც ბევრი მაქვს დაგროვილი. არ
ვიცი, სხვებისთვისაც საინტერესო იქნება ეს თუ არა, მაგრამ
მაინც. ასე იმიტომ ვამბობ, რომ ზოგჯერ ისეთი უბრალო ამ-
ბავი იწვევს ჩემში ღრმა განცდებს, რომ, ვინ იცის, სხვებიც
ასე მიიღებენ მას, თუ მარტო მე მიყვარს რაღაც ახირებულად
დიდი რგოლების გაძვრენა პატარაში.

ყოველ შემთხვევაში, საქმემ მოიტანა და ბევრი საინტე-
რესო ამბის მოწმე ან მონაწილე გავხდი, დიდისა თუ მცირე-
სი, ეს სულერთია. ომმა ამის გარჩევა არ იცის, არც სურვილებს
კითხულობს შენსას. გრიგალივით გადაუვლის ქვეყანას, ააფო-
რიაქებს მილიონობით ადამიანებს და, ვინ იცის, საიდან საც
გაუყენებს გზას.

მეც ასე ამიყოლია ბედის ტრიალმა და დიდხანს მატარა
უცხო ქვეყნებსა და სახელმწიფოებში, სადაც ავიც ბევრი მი-
ნახავს და კარგიც. ვინ მოთვლის, რა ჯურისა და რანგის ხალხს
არ შევხვედრივარ ამ ხნის განმავლობაში: მათს უდიდებულე-
სობებს, თუ აღმატებულებებს, ბრწყინვალებებს, თუ უკვე გა-
ხუნებულებს, დაწყებულს რუმინეთის მეფიდან და გათა-
ვებულს „ტოტალური ფრიცებით“, ზოგს ოფიციალურად,
ზოგსაც ისე, შემთხვევით. იყო საინტერესო, ზოგჯერ სასა-
ცილო შეხვედრებიც ამა თუ იმ ქვეყნის ყოფილ ან ახალ მთავ-
რობათა მეთაურებთან, მინისტრებთან, მოკავშირეთა არმი-
ების სარდლებთან, გერმანელ გენერლებსა და ფელდმარშლებ-
თან, უცხოეთის საპარლამენტო და სამხედრო დელეგაციებ-
თან, ჟურნალისტებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების გა-
მოჩენილ მოღვაწეებთან და თვით ხალხთან — რუმინეთში,
უნგრეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიასა
და ავსტრიაში; შემდეგ კი გერმანიის თითქმის ყველა ზონაში-

მე თანდათან გიამბობთ ამ შეხვედრების შესახებ. მით უმეტეს, რომ თხრობის ფორმა სრულიადაც არ მაიძულებს მხოლოდ ოფიციალური ამბებით შემოვიფარგლო, პირიქით, გზადაგზა იქნებ არც ისე მნიშვნელოვან, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც საინტერესო „კერძო ხასიათის“ შეხვედრებზედაც გიამბობთ. მაგალითად...

...ლანდსბერგის ციხეში გამყოლი ამერიკელი ოფიცერი მეკითხება, ბიბლიოთეკას ხომ არ დაათვალიერებთო. გუნებაში ვიფიქრე, ბიბლიოთეკის დათვალიერება რად მინდა-მეთქი, მაგრამ თავაზიანობის გამო უარი ვერ ვუთხარი და გავყევი. წინ მოხუცი ბიბლიოთეკარი შემოგვეგება, ნაცრისფერი ხალათი ეცვა, თვალებზე კი უზარმაზარი რქისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა. მივესალმე, ხელი ჩამოვართვი, წიგნის თაროებს ავხედ-დავხედე და უკანვე გამოვბრუნდი.

— ხომ არაფერს ინებებთ? — მკითხა ბიბლიოთეკარმა თავაზიანად.

— არა, გმადლობთ, მე მხოლოდ ისე შემოვიარე, — ვუპასუხე, მერე დავემშვიდობე კიდეც და წამოვედი.

დერეფანში ამერიკელი ოფიცერი მეუბნება:

— იცით, ეგ ბიბლიოთეკარი ვინ არის?

— არა, არ ვიცი, — მივუგე მე. ან საიდან უნდა მცოდნოდა?!

— ფელდმარშალი ლისტია, ეგ ეშმაკის კერძი! ხომ ხედავთ, აქაც რა თბილ ადგილზეა მოწყობილი!..

ეს რომ გავიგე, მაშინვე უკან გავბრუნდი და რამდენიმე კითხვა მივეცი „ბიბლიოთეკის ფელდმარშალს“. ვიცოდი, რომ ის 1942 წელს სარდლობდა არმიათა ჯგუფს, რომელიც შავი ზღვის სანაპიროებს მოჰყვებოდა და ნოვოროსიისკ-ტუაფსე-სოხუმის გზით საქართველოში უნდა შემოსულიყო. ამ ოპერაციის ჩაშლის გამო მოხსნა იგი ჰიტლერმა, მაგრამ ამაზე შემდეგ. სხვა ამგვარი შეხვედრების შესახებაც მერე გიამბობთ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ჩვენს განყოფილებაში მომუშავე მეგობრებს გაგაცნობთ, რომლებთანაც დიდხანს მომიხდა სამსახური. მართალია, ბევრი მათგანის სახე დავიწყე-

ბას მიეცა, მაგრამ ბევრიც დღემდე შემორჩა მეხსიერებას. მაგონდება კიდეც ვის, სად და როდის შევხვედრივარ, რა გასაჭირი გამოგვივლია და რა სიხარული გვინახავს ერთად. ზოგი მათგანი დაღუპულია, ზოგიც უგზო-უკვლოდ დაკარგული. სხვები, ომი რომ დამთავრდა, თავ-თავიანთ გზას დაადგნენ და მე მხოლოდ მოგონება დამრჩა მათი. მაშინ კი ყველანი თავისებურად ვოცნებობდით ჩვენს ცხოვრებაზე, ვფიქრობდით, ვისწრაფოდით, თუ, ჩვენდა უნებურად, მივყვებოდით საქმეთა ვითარებას. ამასთანავე მიზანი შეიძლება ყველას ერთნაირი გვქონდა, მაგრამ ფიქრები და სურვილები მაინც სხვადასხვაგვარი, იმისდა მიხედვით, თუ გული ვის საით მიგვიწევდა...

ჩემი ცხოვრების მთავარი ჟინი ყოველთვის დაკვირვება იყო. მიყვარდა ყველაფერი, რაც მოულოდნელია და განსხვავებული; მჯეროდა, ძლიერ შთაბეჭდილებებზე უკეთესს რომ ვერაფერს მიიღებს ადამიანი ამ ქვეყანაზე. ომისდროინდელი დაძაბული ცხოვრება უხვად იძლეოდა ამის საშუალებას და არც მე ამივლია რაიმესთვის გვერდი. ან რატომ უნდა ამევლო, როცა ვიცი, რომ ადამიანი ისა ხარ, რასაც აკეთებ და განიცდი; სხვა ყველაფერი შენს გარეშეა. ასეა მშვიდობიანობის დროს, ომში კი — მით უმეტეს. აქ ცხოვრება შეიძლება ისე უცბად გაგისხლტეს ხელიდან, რომ უკან მოხედვაც ვერ მოასწრო, ან თუ მოასწრებ, ისევ შენივე ნამოღვაწარსა და ნაფიქრალს შეავლებ თვალს; იმას, რაც გაგიკეთებია და განვიცდია. სხვა ყველაფერი დრო-ჟამის უბრალო დინებაა, სიცარიელე.

ალბათ, ამის გამოა, რომ ასე ხშირად ვუბრუნდებით ხოლმე ჩვენსავე წარსულს. გვინდა გავიხსენოთ ყველაფერი, რაც სასიამოვნოა და სასარგებლო: ჩვენთვის, როგორც თავგადასავალი, სხვებისთვის კი — მაგალითი და გამოცდილება. ზოგი რამ აქედან შეიძლება ახალგაზრდობასაც გამოადგეს. გაშოცდილებით ვიცი, რომ ყოველი ახალი თაობა, მართალია, დიდის პატივისცემით, მაგრამ შედარებით მაინც გულგრილად უყურებს წინა თაობების თავგადასავალს. ალბათ იმიტომ, რომ გაგონილი ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე უშუალოდ განცდილი. ზოგი კი სულ ობლობანას თამაშობს. ისე

ექცევა, თითქოს წინაპრები სულაც არ ჰყოლია. ასეთებს ზოგი რამ უნდა მოვაგონოთ, მოვუყვეთ: მოისმენენ, დაფიქრდებიან და გაიგებენ. ჩვენ კი უნდა ვეცადოთ, რომ საკუთარი განცდები თავს არ მოვახვიოთ, არამედ დავაინტერესოთ, თუ შევძლებთ, რა თქმა უნდა, მით უმეტეს, როცა საქმე ისეთ ვნიშვნელოვან ამბებს ეხება, როგორიც მეორე მსოფლიო ომი და მისი ეპილოგი — ნიურნბერგის პროცესია.

რამდენადაც ვიცი, ქართულად ამ პროცესზე ჯერ არაფერი დაწერილა. საჭირო კია, რადგან მას აქეთ აგერ ოცმა წელმა განვლო. მოვიდა ახალი თაობა. ვინც მაშინ ბავშვი იყო, ახლა დაოჯახებულია, იმ დროს დაბადებული კი უკვე ოცი წლისაა და მეტისაც. საბედნიეროდ, სამამულო ომიცა და ნიურნბერგის პროცესიც მათთვის უკვე ისტორიაა, ჩემთვის კი ის თავგადასავალი იყო. მე იმ პროცესის ერთ-ერთი მონაწილე ვიყავი. ქართველი კი ჩემს მეტი მგონი იქ არავინ ყოფილა. შეიძლება ესეც მაძლევდეს უფლებას იმდროინდელი შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ...

ქვიშის საათი...

ძველთაგანვე უთქვამთ, ყოველგვარი ცოდნა მოგონებაო. შეიძლება ამიტომაც გვიყვარს გარდასული ამბების მოგონება და მოყოლა, ყველას, მათ შორის მეც. გამოცდილიც მაქვს: თუ ერთხელ მივუშვი წისქვილს წყალი, კაცი ვერ შემაჩერებს, ამბავი ამბავს მოჰყვება და მე ვივსები ჩემივე წარსულით, ჩემ ვიერ განცდილითა და გაგონილით, თანაც უფრო ძლიერითა და ახალგაზრდულით.

ეს მე ძველებური ქვიშის საათის მოძრაობას მაგონებს. ასეთი საათი, მოგეხსენებათ, შუშის ორი კოლბისაგან შედგება, რომელთაც ვიწრო ყელი აერთიანებს. ზემოთა კოლბაში ჩაყრილი ქვიშა ნელ-ნელა გაივლის ვიწრო ყელს და გადადის ქვემოთა კოლბაში. ამით აღინიშნება დრო-ჟამის დინება. შემდეგ, როცა ზემოთა კოლბა დაიცლება, საათს გადმოაბრუნებენ და ქვიშა ისევ იწყებს დენას.

ადამიანის ცხოვრებაც ასეა. დროთა განმავლობაში ჩვენი ყოფნისა და მოქმედების შესაძლებლობა ასევე ქვიშასავით გაივლის თავგადასავლების ვიწრო ყელს და უერთდება ჩვენივე არსებობის ქვემო კოლბას, ანუ ცხოვრების უკვე დადგენილ შინაარსს. რაც დრო გადის, ეს ვერტიკალური შეფარდება თანდათან იცვლება. ზემოთა კოლბაში ქვიშა იკლებს, ქვემოთაში კი იმატებს. ე. ი. რაც შესაძლებელი იყო, იქცევა იმად, რაც უკვე არის. დრო რომ გაივლის, უბრალო თვალითაც შევამჩნევთ, თუ როგორ ცარიელდება ჩვენი შესაძლებლობების სფერო (ზემო კოლბა) და როგორ ივსება უკვე არსებულის დადგენილი ფორმა (ქვემო კოლბა). ისეთი მომენტიც დგება, როცა გგონია, რომ საცაა ქვიშის დენა შეწყდება, დრო გაჩერდება და ჩვენი არსებობაც დამთავრდება, როგორც პროცესი. ასეთ დროს ბუნებრივად გვიჩნდება სურვილი, ვიდრე ქვიშის უკანასკნელი მარცვალი გაივლიდეს შესაძლებლობათა იმ ვიწრო ყელს, გადავაბრუნოთ ის საათი, რომ არსებობის სავსე კოლბა კვლავ ზევით მოექცეს, ჟამგადასული და თითქმის დაცარიელებული შესაძლებლობა კი — ქვევით. მაშინ განვლილი ცხოვრების შინაარსი ისევ წამოვა ზემოდან, გაივლის მოგონებათა ვიწრო ყელს და ისევ იმ ძველი შინაარსით შეავსებს დარჩენილ ცხოვრებას.

რაც არ უნდა მძიმე ამბები მოჰყვებოდეს ამ მოგონებას, ის მაინც სასიამოვნოა, რადგან ხელახლა ავსებს ჩვენს არსებობას...

ეს კი თხრობას თავისებურ სიხალისეს აძლევს, მაშინაც კი, როცა ჩვენი ცხოვრების ყველაზე მძიმე ეპიზოდებს ვყვებით. მოგონებას ყოველთვის სასიამოვნო ამბები როდი მოაქვს. ზოგჯერ ისეთი შემაძრწუნებელი რამ ამოტივტივდება მეხსიერებაში, რომ შემდეგ ძილშიც ჩაგვყვება კოშმარულ ზმანებად; განსაკუთრებით მაშინ, როცა იმ ომის საშინელ ამბებს ვიგონებთ. მერწმუნეთ,ვინც ის ჯოჯოხეთი ერთხელ გაიარა, ხელმეორედ ამას არ მოისურვებს. ყოველ შემთხვევაში, დიდი სულიერი ტანჯვის გარეშე. მე კი ამ მოგონებებით მისი ცხრავე გარსი ხელახლა უნდა გავიარო. რატომ? რისთვის? რა მაიძულებს ისევ თავიდან ვზიდო გოლგოთაზე ჩემივე ჯვარ-

ცმის ნიშანი?იქნებ ის, რომ ამბობენ, ტანჯვა აწრთობსო სულის სიმტკიცეს. რომენ როლანი „ტანჯვის სიხალისის" შესახებაც წერს და „გაურუჯავი სულის" იდეას ქმნის. თომას მანი კი ამას „კოსმოსურ სიხალისეს" უწოდებს, იმავე ტანჯვის მოდუსით და, ვინ იცის, იქნებ მართლაც მრავალტანჯული სულის სიხალისე იყოს ყველაზე ძვირფასი, რასაც გოლგოთაზე სიარულით მოღლილი კაცობრიობა გადასცემს თაობიდან თაობას...

თუ ეს ასეა, ჩვენც შეგვიძლია დანტეს ახალი ჯოჯოხეთიც ისე გავიაროთ, რომ სულიერი სიხალისე არ დავკარგოთ, პირიქით, მეტი ძალა მოვიკრიბოთ და პატივი ვცეთ ტანჯვაში გამოვლილი გაურუჯავი სულის სილამაზეს. შესაძლოა ეს ძნელი იყოს, მაგრამ საპატიო კია. ხალისიანი სული ტანჯვაშიც არ კარგავს იუმორის გრძნობას, ეს კი აადვილებს „ჯოჯოხეთში" მოგზაურობას. თომას მანი წერს: „იუმორი ერთი მუჭა მარილია, რაც საჭმელად ვარგისს ხდის კერძსო". ასეა. ყოველ ამბავს, რაც არ უნდა საშინელი იყოს, მაინც ახლავს თავისებური იუმორი, მწუხარების დროსაც რომ ღიმილს იწვევს თავისი პარადოქსულობით; შეიძლება სევდიანს, ტრაგიკულსაც, მაგრამ მაინც ღიმილს...

...რაინჰარტის თეატრში ვზივარ და იმ საცოდავი ფრიდოლინის ამბავს ვუყურებ. ადრე პიესაც მქონდა წაკითხული და მახსოვდა მისი შინაარსი:

— ფრიდოლინი ახალგაზრდა ყმაწვილია, თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლისა, თანაც რომეოსავით შეყვარებული თავის „ჯულიეტაზე". ეს სიყვარული წარმტაცია, მაგრამ უბედური. ფრიდოლინი იტანჯება მთელი პიესის მანძილზე; მაყურებელიც, რადგან უყვარს ის და წუხს მის ბედზე.

ბოლოს ეს სასოწარკვეთილი „რომეო" გადაწყვეტს თავი მოიკლას. იღებს კიდეც საწამლავს... უნდა დალიოს... ტუჩებთან მიიტანს...

მაყურებელი შეძრწუნებულია... ნერვები დაძაბული... უნდათ წამოიყვირონ... ხელი შეუშალონ... მაგრამ ფრიდოლი-

ნი თვითონ შეჩერდება, განჯინასთან მივა, უჯრას გამოაღებს და... შაქრის ნატეხს იღებს, რომ საწამლავს დააყოლოს...

რაც არ უნდა ტრაგიკული იყოს სიტუაცია, ასეთ დროს მაყურებელს მაინც გადაურბენს სახეზე ღიმილი...

ასეთ რამეს ცხოვრებაშიც შევხვედრივარ. ერთხელ მეგობარს რომ ვუამბე, თუ როგორ დახვრიტეს გერმანელებმა ასრვა წლის მოხუცი ქალი, შეძრწუნებულ სახეზე ჯერ ღიმილმა გადაურბინა, მერე კი სიცილი აუტყდა.

მეტიც, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში ფეხების ამპუტაციის საკვლევი ქირურგიული ლაბორატორია გახსნეს. ცდებისთვის ჯერ „უფასო კურდღლებს", ანუ პატიმრებს იყენებდნენ. მერე მობეზრდათ ამ „უინტერესო პაციენტებზე" მუშაობა და სპეციალურად შერჩეული „მაღალი ესთეტიკური გემოვნების" პირები დაგზავნეს დასავლეთ ევროპისა თუ საბჭოთა კავშირის ქალაქებში ლამაზფეხებიანი ქალიშვილების შესარჩევად და ბანაკში გამოსაგზავნად, რადგან ბატონ ესესელ ქირურგებს — დოქტორებსა და პროფესორებს ლამაზი ფეხების მოკვეთა უფრო სიამოვნებდათ...

ვაგნერს უთქვამს, „ბოროტებასაც თავისი ესთეტიკა აქვსო". ესესელმა ქირურგებმა ეს პარადოქსი სინამდვილედ აქციეს. ისინი საოპერაციოში შეათრევდნენ ხოლმე ლამაზფეხებიან „კურდღლებს", პირს პლასტირით აუკრავდნენ ან გაჯით ამოუვსებდნენ და ყოველგვარი ნარკოზის გარეშე, სავარჯიშოდ, ან ისე, გასართობად, მოაჭრიდნენ ან მოახერხავდნენ ფეხებს; მერე საკაცეზე დააგდებდნენ და პირდაპირ კრემატორიუმში გზავნიდნენ.

ეს ისეთი შემზარავი უხამსობაა, რომ ძალაუნებურად გადადის თავის პაროდიულ წინააღმდეგობაში და ირონიულ ღიმილს იწვევს...

ასეთი ღიმილი შეიძლება ანელებდეს ტრაგიკულის განცდას, მაგრამ უფრო ემოციურს კი ხდის მას...

...მახსოვს, ომამდე ჩვენს ქუჩაზე რომ ერთი ბრმა აშუღი იჯდა, ბუდასავით ფეხმორთხმული და თავჩაქინდრული

ტუჩებზე იმასაც სულ ღიმილი უთამაშებდა. მიკვირდა კიდეც, რატომაა ბრმებს რომ სახეზე ყოველთვის ასეთი სევდიანი ღიმილი აქვთ გადაფენილი! იმიტომ ხომ არა, ქვეყნის ჭირვარამს რომ ვერ ხედავენ და, ინდური ღმერთის ვიშნუსი არ ყოს, თავიანთ შინაგან ფიქრებსა და ოცნებებს ეთამაშებიან? ვინ იცის! შეიძლება ეს ასე იყოს, ან არც იყოს. ის კი ფაქტია, რომ იმ ბრმა აშუღს მე სულ სახეგაღიმებულს ვხედავდი. გათენებამდე მოდიოდა საიდანღაც, პირდაპირ მიწაზე ჯდებოდა, წინ ჭუჭყისაგან გაზინთულ კოკარდიან ქუდს დაიდებდა, ხელებს მუხლებზე დაიწყობდა და მოწყალების სათხოვნელად რაღაც გულის გადამლევი ხმით გაჰკიოდა ერთსა და იმავე სიმღერას:

— ჰეი, ჰეი, ვინ რა იცის, რა გამოვა რისაგან?!..

...ახლა, როცა მოგონებათა ამ უსაშველოდ გრძელ გზაზე ვდგები, ისევ იმ ბრმა აშუღის გაღიმებულ სახეს ვხედავ და მისივე სიტყვები მაგონდება. მართლაც, ვინ რა იცის, რა გამოვა რისაგან? ან ამ თხრობისაგან თუ გამოვა რამე? წინასწარ ამაზე ხომ ვერაფერს გეტყვით! ის კი არა, ახლა რომ მკითხოთ, რა ჟანრს მიეკუთვნება ეს თქვენი თხრობაო, მართალი გითხრათ, ვერც გიპასუხებთ; ან თუ გიპასუხებთ, უნდა ვთქვა, არავითარს-მეთქი. მე ისე, უბრალოდ მინდა გიამბოთ ყველაფერი, როგორც ერთი ვინმე უამბობს მეორეს თავის თავგადასავალს, ყოველგვარი ჟანრისა და სტილის გარეშე. თქვენ რომ ვინმე გიამბობთ რამეს, ხომ არ ეკითხებით, რა ჟანრით ჰყვებით ამასო. ნურც მე მკითხავთ, რადგან ამის აუცილებლობას არა ვგრძნობ. ეს მწერლების საქმეა. მე კი ზეპირი თხრობის გზას ვირჩევ. თქვენც ამიტომ მოგმართავთ, როგორც მსმენელებს და არა მკითხველებს. ეს მათავისუფლებს კიდეც რამე მხატვრულობის ზედმეტობისაგან და საშუალებას მაძლევს ყველაფერი ისე უბრალოდ გადმოგცეთ, რომ არც ჩემს შესაძლებლობებს დავატანო ძალა და არც თქვენს მოთმინებას...

ისიც უნდა გითხრათ, რომ აქ მოყოლილი ამბები უმთავრესად ეპიზოდური ხასიათისა იქნება, სახეებიც — ესკიზური, ისეთი, როგორიც სინამდვილეში მინახავს და განმიცდია. ეს ცხოვრებისა და დროის რიტმის საქმეა. ჩვენ ყოველთვის გვეჩქარება, განსაკუთრებით ომის დროს, ფრონტზე. აქ ზოგჯერ ძალიან მნიშვნელოვან ამბებსაც ისე ჩავუვლით ხოლმე გვერდს, რომ თვალს თუ მოვკრავთ მხოლოდ. შთაბეჭდილებაც ამგვარი გვრჩება, ნაჩქარევი, ზოგჯერ ფსიქოლოგიურ ნიუანსებსა და ხანგრძლივობას მოკლებული. რიტმიც ცვალებადია, შეხვედრები — შემთხვევითი და სწრაფწარმავალი. ნაცნობობა აქ უცებ იწყება და ასევე უცებ წყდება, რადგან დღეს რომ აქ ხარ, ხვალ შეიძლება სხვაგან იყო, ან სულაც არ იყო არსად. რაც გუშინ მოხდა, დღეს ნაკლებ საინტერესოა, რაც ხვალ იქნება — ზღაპარი. მოგონებებისა და წინასწარმეტყველებისათვის არცა გცალია. წინ საოცრად პლასტიკური დღევანდელი დღე გიდევს და არაფრის გადადება არ გინდა, არც საფეხურებით სიარული ან ზედმეტად ჩაფიქრება. ამბებსა და მოვლენებსაც უფრო უბრალოდ განიცდი ან გამოთქვამ. ფრონტზე რომ იტყვიან, „ცოცხალი ძალაო“, — ეს ადამიანებია, „რიგითები“ — ჯარისკაცები. იქ ქალაქებსა და სოფლებს „დასახლებულ პუნქტებს“ უწოდებენ. ბუნების სურათებსაც თავისებურად აღიქვამენ: რომელიმე ლამაზი ფერდობი მათთვის „თმააქოჩრილი“ ან „თმახუჭუჭა“ სანახაობა კი არ არის, არამედ „უსახელო მაღლობი“, რასაც იერიშით უნდა აღება. „ჰაერიო“, რომ იძახიან, ეს მათ ენაზე საჰაერო განგაშს ნიშნავს, „მშვენიერ დარს“ კი ისეთ ბურუსიან დღეს უწოდებენ, როცა მტრის თივთმფრინავები ყუმბარებს ვერ ჩამოყრიან... იქ განწყობილებაც და განცდაც თავისებურია, ზოგჯერ უცნაურიც...

...ერთხელ ჯორსუნ-შევჩენკოვოსთან ჩვენი ფრონტის ნაწილებმა ალყა შემოარტყეს გერმანელების ცხრა დივიზიას და სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში ჩააყენეს ისინი. მე და ჩემი მეგობარი იმ დროს რაღაც დავალებიდან ვბრუნდებო-

დით. ვხედავთ, ხელმარჯვნივ, ტყის პირას, ჩვენგან ზურგშექ-
ცევით ვიღაც გერმანელი ზის. წინ საწვიმარი მოსასხამი გა-
უშლია, ზედ რევოლვერი დაუდევს და ძეხვის გაყინულ ნა-
ჭერს იღეჭება. მუხლამდე თოვლში ვეფლობოდით, მაგრამ რა-
მდენიმე ნახტომით თავზე წავადექით და, ხელები ზევითო,
შევძახეთ.არც განძრეულა, ერთი ჩლუნგად ამოგვხედა და
განაგრძო ჭამა...

თურმე თავის მოკვლა გადაეწყვიტა, მაგრამ ძეხვის ნაჭ-
რის ამქვეყნად დატოვება დანანებოდა და, ვიდრე იმქვეყნად
გაემგზავრებოდა, ამ უკანასკნელ „სიამოვნებას“ არ იკლებდა...

...მწერალს შეუძლია აქ ფართოდ გაშალოს თავისი ფან-
ტაზია: აღწეროს, როგორ ბობოქრობდა იმ დროს ქარბუქი
თოვლიან ტრამალებზე ან ქარიშხალი საით მიერეკებოდა რუხ
ცაზე ურჩხულებივით გაწოლილ ღრუბლებს. იგი უნდა ჩასწ-
ვდეს იმ ჯარისკაცის ფიქრთა ხვეულებს, გაიგოს და ჩვენც
გაგვაგებინოს რაზე ფიქრობდა ამ დროს, მშობლების ნახვა
ენატრებოდა, თუ სადღაც მიტოვებულ გულისსწორს იგონებ-
და, როგორ წყდებოდა მის ცნობიერებაში ყოფნა-არყოფნის
საკითხი და სხვა ასეთი. მე კი, შემთხვევით ჩავლილ უბრალო
მთხრობელს, შემიძლია ვთქვა, რომ ის ამ დროს არაფერზე
არ ფიქრობდა გარდა ძეხვის ნაჭრისა და ჩახმახზე შეყენებუ-
ლი რევოლვერისა...

ამიტომაც მინდა ყველაფერი ისე გიამბოთ, როგორც მა-
შინ მესახებოდა და მჯეროდა. ფაქტიურ მასალებშიც მხოლოდ
უმნიშვნელო ცვლილებები შევიტანო: აქა-იქ გვარები შევ-
ცვალო, ეპიზოდები გადავაადგილო, ამბების თანმიმდევრობა
კომპოზიციისა და მონტაჟის გრძნობას დავუმორჩილო, ან
სადღაც უშუალოდ ნანახსა და განცდილს წიგნებში ამოკი-
თხული ცნობებიც მივახმარო, მაგრამ ისე, რომ სიმართლეს არ
ვუღალატო. ასეთი მასალების გამოყენება კი ჩემთვის აუცი-
ლებელია.მე ხომ 20-25 წლის წინანდელ ამბებს ვყვები. მას
შემდეგ კი ბევრი რამ იქნა მზის სინათლეზე გამოტანილი და
მე ისევ ბნელში რატომ უნდა ვაფათურო ხელი! მით უმე-
ტეს, რომ ჩემ მიერ მოყოლილი ამბები სრულ დოკუმენტურ

სიზუსტეს მოითხოვს. მე ვიცი, რომ აქ არავითარი თვითნებობა არ დაიშვება. არც მე მივცემ თავს უფლებას შევთხზა თუნდაც ერთი ფაქტი, ან რომელიმე სამხედრო დამნაშავეს ვათქმევინო ისეთი რამ, რაც მას არ უთქვამს. ასეთ რამეზე ერთხელაც რომ წამიცდეს ხელი, ვიცი საეჭვოს გახდის ყველაფერს, რაც სრულ დოკუმენტურ სიზუსტეს მოითხოვს ჩემგან. ამიტომ მთელი ამ თხრობის საფუძველი პირად შთაბეჭდილებებთან ერთად ის დოკუმენტებიცაა, რომელთაც ბერლინში, კასელსა და ნიურნბერგში ვეცნობოდი. ბევრი მათგანი უკვე გამოცემულია რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ზოგი რამ მეც ჩამოვიტანე ნიურნბერგიდან. ამ დოკუმენტების გამოუყენებლად, ვიცი, ჩემი ნაამბობი მოკლებული იქნება დამაჯერებლობას, მიი უმეტეს, როცა თვით მოსაყოლი ამბებია ისეთი, რომ მათი დაჯერება მართლაც ძნელია. ესაა ამ ამბების გადმოცემის მთავარი სიძნელე. ჰიტლერელების მიერ ჩადენილი დანაშაულობანი იმდენად შემაძრწუნებელია, რომ საღი გონება არც აღიქვამს მათ როგორც სინამდვილეს. ამას მტკიცების განსაკუთრებული ძალა უნდა. როცა აშკარა სინამდვილე მტკიცებას მოითხოვს, ეს უფრო ძნელია, ვიდრე ვარაუდის დადასტურება.

პროცესის მონაწილეთაგან ყველამ იცოდა, თუ რა მძიმე დანაშაული ჰქონდათ ბრალდებულებს ჩადენილი, მაგრამ ფრანგი ბრალმდებელი შარპანტიე და რიბი მაინც იძულებული შეიქნა განეცხადებინა:

— ჩვენ მოგვიხდა უამრავი დოკუმენტის შეგროვება, რათა დაგვემტკიცებინა, რომ ასეთი დანაშაული შესაძლებელია...

ამგვარ სიძნელეს თვითონ ჰიტლერელებიც ითვალისწინებდნენ, რის მაგალითადაც უამრავი დოკუმენტიდან მე, ჩვეულებრივ, ერთ პირად ბარათს ვიღებ, რომელსაც დამსჯელი რაზმის უფროსი უგზავნის თავის კოლეგას:

„ძვირფასო ვილი, შენ ბედი გაქვს და ყოველთვის ისეთ უბანზე ხვდები, რომ თავს ადვილად გამოიჩენ ხოლმე. გავიგე,

რამდენიმე თვეში 90 ათასი კაცი მოგისპია. მე — მხოლოდ 60 ათასი... ზოგჯერ ვფიქრობ: რა იქნება, რომ რუსებმა გაიგონ ყველაფერი ეს? როგორ გამოიყენებენ ისინი ამას ჩვენი საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის! თუმცა რა სისულელეს ვამბობ! რომ გაიგონ ყველაფერი, საპროპაგანდო მასალად მაინც არ გამოაღგებათ: აბა, რომელი სულელი დაიჯერებს, რომ შესაძლებელია ისეთი რამ ჩაიდინოს კაცმა, რასაც ჩვენ აქ ჩავდივართ“...

მეტიც: უკრაინაში ჩატარებული ეგზეკუციების საშინელი სურათების აღწერის შემდეგ თვით გენერალური კომისარიც ატყობინებდა საბჭოთა კავშირის დროებით დაპყრობილი ტერიტორიების საქმეთა მინისტრს ალფრედ როზენბერგს:

„წარმოიდგინეთ, რომ ეს ამბები გაიგოს და გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარემ, რა პროპაგანდისტულ ხმაურს ასტეხდნენ ამაზე! თუმცა უფრო საფიქრებელია, რომ ასეთი პროპაგანდა არ იქნება ეფექტური, რადგან ადამიანები, რომელნიც გაიგონებენ ან წაიკითხავენ ამის შესახებ, ვერ შეძლებენ დაჯერებას“.

სწორედ ასე წერია, „ვერ შეძლებენო“. როცა პროცესზე ინგლისელმა ბრალმდებელმა შოუკროსმა წაიკითხა ეს წერილი, წამოიძახა:

— რაოდენ სწორია, რაც აქაა ნათქვამი! განა ჩვენ ახლა შეგვიძლია ამის დაჯერება?!

სამხედრო დამნაშავეთა ერთ-ერთი პროცესის განაჩენშიც წერია:

— ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ უპრეცედენტო სიმკაცრესა და გაუგონარ ველურობასთან, რომ აჯანყებული გონება უარყოფს ადამიანის ამგვარი დეგრადაციის წარმოდგენის შესაძლებლობას... გონებას არ ძალუძს აღიქვას მილიონობით მკვლელობის საშინელება, რადგან სიცოცხლე — შეგნებისა და ყოფიერების ეს კვინტესენცია — არ ექვემდებარება რამე მატერიალურ ან თუნდაც სულიერ ფასდებას... არავის არ შეუძლია შეიცნოს მილიონჯერ განმეორებულ მკვლელობათა მთელი საშინელება... ამიტომ ჯერ უნდა დავუშვათ, რომ ტრიბუნალის განკარგულებაში არსებული დანაშაულებრივი ფაქ-

ტები შორდება ნორმალური ადამიანების ქმედობათა ფარგლებს, ხოლო ვინც ეს ჩაიდინა, იმდენად უჩვეულო მოვლენაა, რომ მხოლოდ ყოველმხრივ ძიებასა და ბოლომდე ამომწურავ სასამართლო პროცესს შეუძლია მათი შესაძლებლობის დადასტურება...

ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ „წინასწარგანზრახული მკვლელობანი ისეთ ფანტასტიკურ მასშტაბებს აღწევს და შორდება წარმოსადგენად შესაძლებელ საზღვრებს, რომ მათი სიმართლის მსგავსობა განმტკიცებულ უნდა იქნეს ასჯერ და ათასჯერ განმეორებული დარწმუნებით“.

ამისთვის ტრიბუნალი აქვეყნებდა თვით ამ მკვლელობათა უშუალო შემსრულებლების მიერ შედგენილ დოკუმენტებს იმ რწმენით, რომ „მხოლოდ მათი ნაამბობი აიძულებს შეძრწუნებულ მსოფლიოს დაიჯეროს, რომ ასეთი რამ მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო XX საუკუნეში“.

ზოგიერთი ფაქტი მართლაც ისე საშინელია, რომ სრულიად კარგავს დამაჯერებლობას, ხოლო როცა კაცს არ სჯერა რამე, ამბობს, ზღაპარიაო. სწორიცაა. ზღაპრებიც ასე იქმნებოდა თავის დროზე, ლეგენდებიც და, საერთოდ, ყველაფერი, რაც მითოლოგიურ აზროვნებას მიეკუთვნება. ასეთ შემთხვევებში წარმოსახვა აფართოებს გონებისათვის გაუგებარ ამბავს და ზღაპრულ იერს აძლევს მას...

...ასეთი რამ მე თვითონაც გამომიცდია. ნიურნბერგიდან თბილისში რომ დავბრუნდი, ნაცნობ-მეგობრებს ვუამბობდი, რაც იქ ვნახე და განვიცადე. საჯარო ლექციებიც ბევრჯერ წამიკითხავს, საუბრებიც ჩამიტარებია და ვიცი, რომ ჩემ მიერ მოყოლილი ამბებიდან მსმენელებს ბევრი რამ არა სჯეროდათ. როცა სიტყვა მოიტანდა და ჰიტლერელთა მართლაც გაუგონარ სისასტიკეზე მოვყვებოდი რამეს, იჭვით შემომხედავდნენ და მეტყოდნენ:

— აჰ, რომ მომკლა, მაინც ვერ დავიჯერებ ამას! რას ამბობ, კაცო, როგორ შეიძლება ასეთი რამ ადამიანის შვილმა გააკეთოს?!

— საქმეც ისაა, რომ არ შეიძლება, მაგრამ მაინც აკეთებ-

დნენ, — ვუმტკიცებდი მე და ვითომ მეტი დამაჯერებლობისა-
თვის კიდევ უფრო საშინელ ამბებს ვუყვებოდი. ერთხანს
შეძრწუნებულნი მისმენდნენ, მერე კი ვინმე მაინც აიქნევდა
ხელს და წამოიძახებდა:

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ, ზღაპრებს ჰყვები რაღაცას!..

მე ეს არ მიკვირდა, არც ახლა მიკვირს, რადგან ვიცი,
რომ ადამიანი სინამდვილეს ზოგჯერ ასე ზღაპრულადაც აღიქ-
ვამს...

...ვაჟა გვიამბობს:

— რუსეთ-იაპონიის ომის ამბებმა ფშავ-ხევსურეთშიც
რომ ჩამოაღწია, გაკვირვებულმა თოთიამ იკითხა:

— პოტ-ატურიც აიღესავ?

რომ უთხრეს, აიღეს და ჩადგნენ კიდეც შიგო, ის მოინ-
დომა გაეგო — რითი? ნასწაულობით, მახერხებით, თუ?..

— ღურბლით ომობს, თოთიავ, ღურბლით! — უპასუხა
ვაჟამ, რადგან ასეთი ხმა იყო მაშინ გავრცელებული ფშავ-ხევ-
სურეთში. თოთიამაც ეს დაადასტურა:

— ამბობენ, დიაღა: მავალის შავ ღურბელ, კუპრივით
შავ, გაიძაბების, გაიძაბების, გაიძაბების, ხალხ არ ჩანს; ჩამა-
იწყებს, ჩამაიწყებს ტყვია მადენას ხორხოშასავითავ, იღუპე-
ბის, ილევის რუსის ჯარი...

სინამდვილეში კი ეს „ღურბლით“ ბრძოლა ე. წ. კვამლის
ფარდა იქნებოდა, ხოლო ტყვია „ხორხოშასავით რომ ჩამაიწ-
ყებს მადენას“, ჩვეულებრივი ტყვიამფრქვევი...

...მე მგონი, ჰიტლერელების მიერ კაცობრიობის წინაშე
ჩადენილ დანაშაულობათა საერთო სურათიც ასე მითიურად
თუ შეიძლება აღიქვას კაცმა. ისე ამას ვერავინ წარმოიდგენს
და ვერც სხვას დააჯერებს. იტყვიან, ზღაპარიაო, და კიდევ
კარგი, თუ ისევ მეომრისა და მონადირის იგავი არ გაიხსენეს.
ამის საშიშროებას მაშინაც ვგრძნობ, როცა საკუთარ თვალით
ნანახ ამბებს ვყვები. ეს ამბები კი მართლაც ისე საშინელია,
რომ თვალსაჩინოებაც კარგავს მტკიცების ძალას. დანტეც
ხომ ამიტომ ამბობს:

ვინძლო, მკითხველო, შენ დაეჭვდე ჩემს ნაამბობში,
მე ეს ამბავი საკვირველად არ მეჩვენება,
რადგან მე თავად ძლივს ვიჯერებ ჩემს მიერ ნახულს...

ეს მეც მაძლევს უფლებას გთხოვოთ: როცა ჩემგან ძნელად დასაჯერებელ ამბებს გაიგონებთ, ნუ აჩქარდებით მათ უარყოფაში, ნუ იტყვით, ტყუილია ან მოგონილიო, ნურც ხალხში ნათქვამ სიბრძნეს მომაგონებთ: „როცა სიმართლე ტყუილსა ჰგავს, ნუ მოჰყვებიო". ასე რომ მოვიქცე, თვით სიმართლე დაზარალდება. მე კი სულაც არ მინდა მას ვუღალატო, მით უმეტეს, რომ თვით ის „სიმართლეა" ისეთ მითიურ ბურუსში გახვეული,რომ არც იცი კაცმა, როგორ უნდა განჭვრიტოს ის გონების თვალმა, ან წარმოსახვამ როგორ შექმნას მისი ხილული სახე, თუკი ამას „ფიქრნი ჩვენნი ვერ მიწვდებიან"; ვერც იმისას იტყვიან. რაც განუსაზღვრელის სფეროში ტრიალებს ცნებისა და ფორმის გარეშე.

ეს, ხალხში რომ ამბობენ, „ენით გამოუთქმელი ამბავიაო", ისაა, ან იქნებ „წარმოშობათა ცისფერი საიდუმლო". რაზედაც გალაკტიონი წერს. ამის წარმოდგენას კი ისევ მითოსი უნდა, წარმოსახვის ისეთი ინტეგრალები, ცნებების მიღმაც რომ შეძლებენ სახეთა ფორმების ხილვას...

...მახსოვს, ჭაბუკობისას ძილში რაღაც საშინელი მომეჩვენებოდა და მაშინებდა. ეს შიში ისე ძლიერი იყო, რომ ვბორგავდი, ვითომ სადღაც გავრბოდი, ვყვიროდი... მერე გამეღვიძებოდა, მაგრამ ცნობიერებას არაფერი რჩებოდა, გარდა შიშის იმ საშინელი გრძნობისა. რა იწვევდა ამ გრძნობას? რა მაშინებდა? დღესაც გაუგებარია ჩემთვის. ვიცი მხოლოდ, რომ იყო რაღაც უსაშველოდ დიდი, აუცილებელი და თანაც სრულიად შეუძლებელი. მაინც რაო, რომ მკითხოთ, ვერაფერს გეტყვით, ან როგორ უნდა გითხრათ, როცა ცნებაში არ გამოვლინდა!..

...ახლა, სამამულო ომისა და ნიურნბერგის პროცესის შესახებ რომ ვიწყებ თხრობას, ასეთივე შიში მიპყრობს იმ რაღაც

დიდისა და შეუძლებლის წინაშე. ვფიქრობ, იქნებ ესეც იგივე უსახეო არაფერია, რომელიც არაფრითვე მოითხოვს ჩემგან შეუძლებელს, ანუ ისევ არაფერს, როგორც ის კოშმარული ღამის ზმანება. სარტრის აზრით, შიშის წყარო ასეთ შემთხვევაში მოცემულია აბსოლუტურად შეუცნობლად. ის, რაც იწვევს ამ შიშს, არის არაფერი. მას არა აქვს ძალა კონკრეტული გახდეს და გამოვლინდეს. ამიტომ ჩვენ თითქოს სიცარიელეში ვქანაობთ. გარშემო ყველაფერი იშლება, ირღვევა ისე, რომ ვერ ვაჩერებთ მას. ყოფიერება იფიტება, ცარიელდება, ჩვენც ვცარიელდებით მასთან ერთად და ვქრებით. შემდეგ, როცა შიში გაივლის, ყოველივე ამის აღწერა რომ მოგვინდეს, ვერ შევძლებთ, რადგან ვერ ვიტყვით რა იყო ის. შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ იყო არაფერი...

ადრე მეც ასე მეგონა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ შიშის წყარო აქ სრულიადაც არ არის არაფერი, როგორც სიცარიელე. პირიქით, ის ისე დიდია და შეუძლებელი, რომ უჭირს კიდეც კონკრეტული გახდეს; მით უმეტეს, ასეთი უბრალო თხრობის ფორმაში გამოვლინდეს. ის კი არა, ერთი ინგლისელი მწერლისა არ იყოს, ხელში ფუნჯის მაგივრად კომეტის კუდი რომ გვეჭიროს, წინ კი ათასჯერ უფრო დიდი ტილო გვქონდეს გაშლილი, ვიდრე ცაა და დედამიწა, ამას მაინც ვერ შევძლებთ. ვერც იმ ამბებს აღვადგენთ სრულად, რაც მაშინ გვინახავს და განგვიცდია.ეს ისე დიდია და შეუძლებელი, რომ წარმოსახვის ძალა ვერ სწვდება მას და ვერც იმ გრანდიოზული ამბების პანორამას ქმნის, რომელშიც ჩახატულია მოზაიკური ფრესკა ჩვენი ცხოვრებისა. ეს გასაგებიცაა. დრო-ჟამი იცვლება და ხასიათიც ადამიანისა. განვლილმა ოცდახუთმა წელმა იმ ამბებს კი არა, საკუთარ თავსაც დამაშორა. ახლა არც მე ვარ ის, რაც მაშინ ვიყავი, და ყოველთვის როდი გამოვდგები ჩემივე თავგადასავლების მსაჯულად; ვერც იმ დროის განცდებს მოვიტან ფერუცვლელად დღევანდელ დღემდე, ან თუ მოვიტან, ის არ იქნება, რაც იყო. დრო აქაც თავისას გაიტანს, განმეორების სურვილი მსხვერპლს შეიწირავს და ის განცდებიც, ალბათ, წიგნებში ჩაწყობილ ვარდის ფურცლებს დაემსგავსება: მათ არც ფერი ექნებათ ძველებური, არც სურნე-

ლება, მაგრამ ხანგრძლიობის ჟინს მაინც მოიკლავენ და იქნებ ვინმეს ინტერესიც გამოიწვიონ...

იზიდას საიდუმლოება...

ზაფხულის ამ გრილ საღამოებსაც ამიტომ ვატარებ თბილისში. ვზივარ გმირთა მოედანზე და ფიქრებში წასულს ასე მგონია, ასბინიანი სახლის მეშვიდე სართულზე კი არა, მეშვიდე ცაზე ვიყო ასული. წინაც საუცხოო სანახაობაა გაშლილი: ღამის თბილისი და მისი იისფერი მიდამოები. ზოგჯერ ამ სიმაღლიდან ძირს რომ ვიყურები, ასე მგონია შვიდივე ცა გადმოპირქვავებულა ჩემ წინაშე, ან მე თვითონ ვიყო შვიდ ვარსკვლავეთს შორის მოქცეული. რას გაიგებ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იყურება თბილისის სარკეში, თუ თვითონ თბილისი ხედავს თავის ალმურმოდებულ სახეს ზეცის თაღებში!..

გარშემოც რომ ყველაფერს საგანგებოდ შერჩეული სახელები ჰქვია! ზევით—მთაწმინდა და ოქროყანა; მარცხნივ — ჯერ შავნაბადა, მერე კრწანისი და ნარიყალა; პირდაპირ — ფიქრის გორა, ვარაზისხევი და ვარდისუბანი; მარჯვნივ — უნივერსიტეტი და თრიალეთის მთების კალთები.

მოჯადოებული შევყურებ ამ საოცრებას და გული ვერ ძღება სანახაობით. მაინც რამხელაა ეს დალოცვილი ქვეყანა! ან რამდენნაირადაა მორთული მისი უსაზღვრო სივრცე! რა სიმაღლეა, რა სიშორე და სილამაზე!.. თან ისეთი სიწყნარე, ყურს თუ მიუგდებ, გაიგონებ, როგორ ბრუნავს დედამიწა, ან ვარსკვლავების ცივი მელოდია როგორ ერთვის ღამის სიცხადეს...

ზოგჯერ დიდუბიდან თბილისში შემოპარული მატარებლის უეცარი ხმაური შემოიჭრება, ერთი-ორჯერ ელმავალიც დაიგუგუნებს და ისევ მიწყნარდება ყველაფერი.

მერე მთაწმინდიდან შეშინებული მთვარე ამოიხედავს და ფეხშიშველი წამოვა ცის შუაგულისკენ... მზესავით უტიფარი

კი არაა, მოკრძალებულია და ეშინია, ვაითუ ძილს მიცემული ქვეყანა გავაღვიძოო...

გვიან ღამით კი, როცა ქალაქში ელნათურებს აქრობენ, უნივერსიტეტის თეთრ კედლებს თითქოს სინათლე ემატება და ოკეანის გემივით მიცურავს ღამის ბნელ ფონზე... ან იქნებ თვითონ ღამე მიცურავდეს სადღაც... დაუსაბამოსა და დაუსრულებლის იქითა მხარეს...

...მე კი ვზივარ ამ ცასა და დედამიწას შუა დაკიდულ აივანზე და მოგონებებში წასულს ისეთი გულუბრყვილო კითხვები მიტრიალებს, რომ მერიდება კიდეც მათი გამხელა:

— ნეტავ რატომ ვერ ეტევიან ადამიანები ამ თვალუწვდენსა და საოცრად ჰარმონიულ სამყაროში, სადაც ყველაფერს თავისი გარკვეული აზრი და ადგილი აქვს?!. ან რა კაენის ცოდვა აწევთ ისეთი, რომ ამდენი ათასი საუკუნის მანძილზე ვერ შეეწყვნენ და შეეგუვნენ ერთმანეთს?! საიდან მოდის ამდენი შუღლი და შფოთი, „ურვა და ლალვა მოყუასთა“, სისხლი და განადგურება ყველაფრისა, რასაც ასე გულუხვად გვთავაზობს ბუნების მადლიანი კალთა?!. ცხოველები რა არის! მხეცები! თვით უმძვინვარესნიც კი მათ შორის არ ერჩიან თავიანთ ჯიშსა და ჯილაგს!.. „ბუნების უმაღლესი ქმნილებანი“ — ადამიანები კი?..

მე წინასწარ ჟრუანტელი მივლის იმის ფიქრით, თუ რა საშინელი ამბები მაქვს მოსაყოლი; თუნდაც მარტო ის, რაც თვითონ მინახავს და განმიცდია, ან წარსულიდან მაქვს მიღებული როგორც ცოდნა და გამოცდილება.

ადამიანები ხომ მაშინ არ ვიწყებთ არსებობას, როცა ვიბადებით, და არც მაშინ ვამთავრებთ მას, როცა ვეთხოვებით ამ წუთისოფელს?! კაცობრიობის მთელი ისტორია შემოდის ჩვენში და გრძელდება მომავალში. ეს თვალუწვდენი სამყაროც ჩვენი საკუთრებაა და პასუხისმგებლობაც ჩვენ გვაკისრია. ამიტომაა, გული სინანულით რომ გვევსება, როცა წარსულისა თუ აწმყოს გაუთავებელი ომებისა და ხოცვა-ჟლეტის სურათებს ვხედავთ.

მართლაც! ჯერ ხომ ერთი წუთიც არ ყოფილა ისეთი,

სადმე სისხლი არ სდიოდეს ჩვენს განაწამებ პლანეტას?! იყო გამანადგურებელი ომები და ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა და აწიოკება. მილიონობით ადამიანები შრომობდნენ, ოფლს ღვრიდნენ, აშენებდნენ და... ანგრევდნენ კიდეც თავიანთ ნაშრომს და ნაამაგარს. ისეთი ამბავი იყო, თითქოს მართლა გაერთიანდა „ჟამი შობად და ჟამი სიკუდილად, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხურად დანერგულისა, ჟამი წყლულებად და ჟამი კურნებად... ჟამი ძიებისად და ჟამი წარწყმედისად...", როგორც ეს ეკლეზიასტეშია ნათქვამი...

მერე ღმერთებიც ჩაერივნენ ამ ურთიერთმოსპობაში. ზევს-იუპიტერი მეხს სტყორცნიდა დედამიწას, არესი მძვინვარებდა, ციკლოპები და გიგანტები ერთმანეთს ხოცავდნენ, ცა ქუხდა და მიწა ზანზარებდა. ხალხი კი დრტვინავდა. ამდენი ომებით შეძრწუნებული ადამიანები მსხვერპლს სწირავდნენ თავიანთ ღმერთებს და საკურთხეველთან დანთხეული სისხლით ცდილობდნენ მოეპოვებინათ მშვიდობა. ვინ იცის, იქნებ მთელი ეს დავიდარაბა სწორედ მაშინ დაიწყო, ერთის კეთილდღეობისათვის მეორის სისხლი რომ შესწირა ადამიანმა ღმერთებს. ამას მოჰყვა ანტიკური სამყაროს სისხლიანი ორგიები ბრძოლის ველზე თუ ცირკის არენაზე, სხვათა ქვეყნების დასაპყრობად ან კეისრებისა და მათი პალადინების გასართობად...

შემდეგ?

რა შეიძლება იყოს ამდენი ამბების შემდეგ! ქვეყანა ისე დამძიმდა დანაშაულით, რომ თვით ოიდიპოსმაც დაითხარა თვალები, საკუთარი ცოდვებით შეძრწუნებულმა.

მერე ვითომ ქრისტე მოვიდა „თუისთა თანა" და მოყვასისადმი სიყვარული უქადაგა ხალხს: „არა კაც ჰკლა" და სხვა ამგვარი, მაგრამ ამქვეყნიურ უბედურებას რომ ვერ მოერია, იმქვეყნიური ნეტარებით „სცა ნუგეში" მშიერთ, მწყურვალთა და „სიმართლისათვის დევნულთ":

— ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ!

— ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ!

— გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა!

ამის პასუხად ჯერ ხომ თვით ქრისტე აცვეს ჯვარს. მერე ატყდა რელიგიური ომები და ჯვაროსნული ლაშქრობები. ერთმანეთს დაერივნენ მაჰმადიანები და ქრისტიანები, კერპთაყვანისმცემლები და მართლმადიდებელნი: ეს კათოლიკებიო, პროტესტანტები, კალვინისტები, ჰუგენოტები და ათასგვარი სექტები. შეიქმნა იეზუიტების ორდენი და კოცონზე წვავდნენ მწვალებლებსა და ურწმუნოებს. კაცობრიობა დღესაც შეძრწუნებულია „წმ. ბართლომეს ღამის“ საშინელებით და ზღვა სისხლით, რაც დაიღვარა ძველთაძველი ღმერთებისა და ჯვარცმული ქრისტეს სახელით.

— ჯვარს აცუ ეგე!.. — აქეზებდა ეკლესია და შურისძიებით აღგზნებული ბრბო მიესეოდა ბრალიანებსა და უბრალოებს...

...ინდოეთში ყოფნისას რაღაც ფილმი ვნახე, მგონი ინგლისური. ერთი ებრაელი ბავშვის ამბავი იყო ნაჩვენები. სუსტი, სახეგაცრეცილი, ჩამოხეულ-ჩამოძენძილი და ფეხშიშველა დადიოდა, რაღაცით შეშინებული და ყოველთვის თვალცრემლიანი...

როცა მისი ტოლი ბიჭები ლოცვას დაამთავრებდნენ და „ღვთის სასუფეველიდან“ ვითომ „განწმედილნი და აღმაღლებულნი“ გამოცვივდებოდნენ, მაშინვე იმ საცოდავს მიესეოდნენ და ყვიროდნენ:

— ჯვარს აცუ ეგე!.. ჯვარს აცუ!.. მაგან მოკლა ქრისტე!..

— არა, მე არ მომიკლავს ქრისტე!.. გეფიცებით... არ მომიკლავს! — იძახდა იგი, იხვეწებოდა, ემუდარებოდა თავი დამანებეთო, მაგრამ ვის ესმოდა მისი მუდარა... მისდევდნენ, ქვებს ესროდნენ, თმებს აწიწკნიდნენ, სცემდნენ და ყვიროდნენ:

— ჯვარს აცუ!.. ჯვარს აცუ!.. მაგან მოკლა ქრისტე!..

ის გარბოდა, იმალებოდა და, როცა ბიჭები დაიშლებოდნენ, გამოვიდოდა ქუჩაში და ისევ თვალცრემლიანი შესჩიოდა ყველას:

— მე არ მომიკლავს ქრისტე... დედას გეფიცებით, არ მომიკლავს ქრისტე!..

...ვინ იცის, ქრისტე იქნებ .იმანვე მოკლა, ვინც ის მოიგონა და „მოყუასისადმი სიყუარულის“ დასამკვიდრებლად „ორპირად აღლესული მახუილი“ მისცა ხელთ. ათქმევინა კიდეც:

— ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშუიდობისა ქუაყანასა ზედა. არა მოვედ მიფენად მშუიდობისა, არამედ მახუილისა...

ამ მახვილით ხელში მიდიოდნენ ჯვაროსნები სხვათა ქვეყნების დასაპყრობად და „ურჯულოთა“ შესამუსრავად. ეკლესიებშიც გაისმოდა ღაღადისი:

— მოკალი მტერი, აძგერე შუბი, გაუჩეხე თავი, ხმლით გაუპე მკერდი, ტყვიით გაუგმირე გული! — ესაა ღმრთისადმი სამსახური...

ჯერ ისეთი ომი არ ყოფილა ამ ქვეყნად, რომ ხმალს ჯვარიც არ ხლებოდეს თან. რელიგიური თუ სამოქალაქო იდეები, სოციალური იერარქია, სახელმწიფო — ყველაფერი იქითკენ იყო მიმართული, რომ დაეთრგუნათ და დაეპყროთ, დაენაწილებინათ და შეემუსრათ...

...ქვეყანა მოიღალა ამდენი უბედურებით, ომებითა და ბრძოლებით. ყოველი ახალი თაობა კიცხავდა ამისთვის ძველს, მაგრამ თვითონაც იმას იმეორებდა. ერთმა ფრანგმა მეცნიერმა აღრიცხვა, რომ ჩვენს დრომდე რვა ათასზე მეტი სამშვიდობო და ომის აღმკვეთი ხელშეკრულება იქნა დადებული როგორც საერთოდ, ისე მეომარ მხარეთა შორის, მაგრამ მშვიდობის მტრედს ჯერაც ვერ უპოვია ზეთისხილის რტო დედამიწაზე. ვერც ვერავინ გაიგო, ოდესმე მაინც თუ მოხდება ეს. იმის შემდეგ რამდენი ათასი წელი გავიდა, მაგრამ დღემდე ხომ ვერავინ გახსნა იზიდას საიდუმლოება, ვერ ახადა მის ბიუსტს პირბადე და ის ძველი წარწერაც ისევ ისე დარჩა:

„მე ვარ ის, რაც იყო,რაც არის და რაც იქნება. ჯერ არავის აუხდია ჩემთვის პირბადე“.

ეს სასწაული არც შემდეგ მომხდარა. ადამიანის არსებობას დღესაც თან ახლავს მისი წარსულისა და მომავლის იდუმალება. ყველა ცდილობს განჭვრიტოს ის, მაგრამ ამაოდ: „ჭეშმარიტება ყოველთვის წინაა“. თვითეული გადადგმული ნაბიჯი კი გვაახლოებს და გვაშორებს კიდეც. ამიტომაა, იზიდას სახეს რომ ისევ ის პირბადე ფარავს და არავინ იცის, რა იმალება იმის იქით: სილამაზე თუ სიმახინჯე, სიკეთე თუ ბოროტება... იქნებ არაფერი, ანუ სიცარიელე არაფრისა.

დრო მოვა და, ალბათ, ამ საიდუმლოებასაც აეხდება ფარდა, მაგრამ ვაითუ მაშინ იზიდაც კლდეზე გადაიჩეხოს, როგორც ის სფინქსი, რომლის გამოცანა ამოხსნა თებეელთა მეფემ ოიდიპოსმა...

...ამიტომაც ვამბობთ: სასოწარკვეთისა კი არა, განგაშის დროა. გულგრილობა და განურჩევლობა დამღუპველია, უდარდელობა — მით უფრო! ამის უფლებას არც ის იძლევა, რაც იყო, და არც ის, რაც არის.

ილია წერდა:

— რამდენი ცრემლი იღვრება დედამიწის ზურგზე, მაგრამ სიავე ადამიანისა მაინც არ ჩაირეცხა!..

ის კი არა, სისხლისა და ცრემლის ნიაღვარი თანდათან იზრდება. ნგრევის მასშტაბებიც კატასტროფულ ხასიათს იღებს...

„ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებებს, როგორც ანათემა“, — დაასკვნის გალაკტიონი.

გარდასულ საუკუნეთა „ანათემას“ რომ თავი დავანებოთ, პირველმა მსოფლიო ომმა 10 მილიონი კაცის სიცოცხლე შეიწირა, მეორემ — 50 მილიონისა. ომის ღმერთი არესი კი სულ უფრო და უფრო მეტ მსხვერპლს ითხოვს. შეიარაღება ახლაც რამდენიმე ასეულ მილიარდ დოლარზე მეტი უჯდება კაცობრიობას წელიწადში. ოფიციალური ცნობით, ცვლადი გეომეტრიის ფრთიანი სამხედრო თვითმფრინავის ფასი 4,2 მილიარდ ფრანგულ ფრანკს უდრის. ყოველი ახალი მოდელის ერთი ბომბდამშენის შექმნის ღირებულება შეადგენს 250 ათასი მასწავლებლის წლიურ ხელფასს, ხოლო ზებგერი-

თი ავიაგამანადგურებლის შესაქმნელად დახარჯული ფულით შეიძლება აშენდეს ქალაქი სამ მილიონზე მეტი მცხოვრებისათვის, რაც ოთხ თბილისს უდრის.

შეიარაღების მასშტაბები კი თანდათან იზრდება, მაშინ როდესაც ატომური იარაღის მსოფლიო მარაგი უკვე 320 ათას მეგატონას უდრის, ტროტილის ეკვივალენტით. ამ მარაგის ერთი მეათედიც კმარა იმისათვის, რომ მოსპოს 720 მილიონი კაცი... ათჯერ 720 მილიონი კი 7 მილიარდ 200 მილიონია — ორჯერ და უფრო მეტი, ვიდრე ჩვენი პლანეტის მთელი მოსახლეობა...

ას ერგასის დღის გახსენება...

ოდესღაც ხალხის ფანტაზიამ შექმნა მსოფლიო წარღვნის ლეგენდა, მაგრამ მაშინ ნოეს კიდობანი მაინც გადარჩა. ახლა კი, დედამიწაზე რომ ცხოვრობს, ორჯერ იმაზე მეტ ადამიანს უქადიან მოსპობას...

ეს უკვე ლეგენდა კი არა, სიგიჟემდე მისული სინამდვილეა... და ვინ იცის, სანამდე მიიყვანს ის კაცობრიობას, თუკი მთელი ქვეყნის კეთილი ნების ადამიანები არ შეკავშირდებიან და ომის გამძვინვარებულ ღმერთს ხელიდან არ გამოგლეჯენ მახვილს...

...როგორც ამ ოცდახუთი წლის წინ. მაშინაც ხომ ასეთი „წარღვნის“ შიში იყო. რელიგიურ-მაგიური ინსტინქტებით შეპყრობილმა ჰიტლერმა მართლაც აიკვიატა აზრი, რომ გერმანელთა მსოფლიო იმპერიის შესაქმნელად საჭიროა რაღაც ახალი წარღვნის მსგავსი, რათა წაილეკოს „მატლებივით გამრავლებული“ დაბალი რასები, ხოლო ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის „ნოეს კიდობნით“ გადარჩნენ „წმიდა სისხლის არი-

ელები“, რომელნიც დასაბამს მისცემენ კაცობრიობის მომავალ ისტორიას.

— გეოლოგიურ ერაში დედამიწის მთელი სტრუქტურა გამოიცვალა, — ამბობდა იგი, — წამოვიდა გიგანტური ზვავები, ამოიმართა ახალი მთები, შეიქმნა უზარმაზარი ხევები, ველ-მინდვრები და ოკეანეები!.. ამიერიდან ასევე შეიცვლება ევროპის სოციალური წყობა, ძველი წესები დაიმსხვრევა ძლიერი ვულკანური ამოფრქვევებითა და ნგრევით. მსოფლიოს ამგვარი ძვრების დროს ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ ვიდგეთ როგორც სალი კლდე, თორემ წაგვლეკავენ ან გადაგვბუგავენ. გერმანული მოძრაობა, ასე თუ ისე, იქნება მსოფლიოს ნაციონალ-სოციალისტური ტრანსფორმაცია, კოსმოსური ორომტრიალი!.. ანუ პირველსაწყისი ქაოსი:

„...ოდეს ქუეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ... შორით ნათლისა და შორით ბნელისა...“

რის შემდეგაც:

„...იქმნა განთიად — დღე პირველი და დღე ნათელი...“

...მიუნჰენის „ყავისფერი სასახლის“ სხდომათა დარბაზში, სადაც ჩვეულებრივ იკრიბებოდნენ ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის მეთაურები, ეკიდა რომელიღაც გერმანელი მხატვრის მიერ უგემოვნოდ დახატული უზარმაზარი სურათი — „მსოფლიო წარღვნა“, ანუ როგორც ბიბლიაში წერია: „წყლით რღუნა ას ერგასის დღე“.

ეს სურათი პირადად ჰიტლერის მითითებით იყო შესრულებული. იგი თავისებური ინტერპრეტაციით გამოხატავდა ბიბლიურ წარღვნას და წარმოადგენდა ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის სიმბოლოს, რომლის აზრი ისევ იმ ბიბლიიდანაა აღებული, სადაც წერია:

„...ღმერთმან რა იხილა, ვითარმედ განმრავლდეს უსჯულოებანი კაცთანი და განიხრწნა ქუეყანა ღმრთისა წინაშე, თქუა: უნდა აღვხოცო კაცი, რომელი შევქმენ, პირისაგან ქუეყანისა, კაცთაგან მიპირუტყუადმდე და ქუეწარმავალთაგან მფრინველთადმე ცისათა...“.

მხოლოდ ნოემ პოვა „მადლი წინაშე ღმრთისა“ და, „ვი-

თარ ამცნო მას უფალმან“, ააგო „კიდობანი იგი სამასი წყრთა სიგრძე... ერგასის წყრთა სივრცე და ოც და ათი წყრთა სიმაღლე“, რომელშიც შეიყვანა „ნათესაობანი ებრ მისი“, რის შემდეგაც იქნა „რღუნა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე ქუეყანასა ზედა... ათ ხუთმეტ წყრთა ზედა კერძო ამაღლდა წყალი და დაფარნა ყოველნი მთანი, და მოკუდა ყოველი ხორცი მოძრავი: მფრინველნი, პირუტყუნი და მხეცნი, და ყოველი ქუეწარმავალი, და ყოველი კაცი, რაოდენსა აქუს სული სიცოცხლისაჲ, და ყოველი, რომელი იყო ხმელსა ზედა... და დაშთა ჰხოლო ნოე, და მის თანანი კიდობანსა შინა...“.

იმ სურათზეც ესაა გამოსახული: ქვეყანა წალეკვაზეა წყლის სტიქიის მძვინვარებით. იღუპება ყველა, ვისაც „აქუს სული სიცოცხლისაჲ“, გარდა ნოესი „და ებრ მისთა“, რომელთაც იმედით სავსე თვალები მიუპყრიათ ცისაკენ, საიდანაც მოქუფრულ ღრუბლებს შორის, ნაცვლად მზისა, ანათებს ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის ემბლემა — სვასტიკა.

ჰიტლერი ხშირად ჩერდებოდა გულხელდაკრეფილი ამ სურათის წინ, თვალებს ზეცისაკენ აღაპყრობდა და „ღვთის იდუმალებას ნაზიარები“ მოციქულივით წარმოთქვამდა:

— აი, რა მინდა მე!

იგი იმდენად იყო შეპყრობილი რელიგიურ-მაგიური ფანტასტიკით, რომ „ნაციონალ-სოციალიზმი“ უფრო „დამპალი ქრისტიანიზმის“ შემცვლელ რწმენად მიაჩნდა, ვიდრე პოლიტიკად. უთქვამს კიდეც: „ვინც ნაციონალ-სოციალიზმში მხოლოდ პოლიტიკურ მოძღვრებას ხედავს, ამ მოძრაობის არაფერი ესმისო“. სულ იმაზე ოცნებობდა როგორ წაელეკა „ძველი სამყარო“ და მასთან ერთად მილიონობით „გადაგვარებული ადამიანები“, რომელთაც ის ზიზღით „პლანეტის ბაცილებს“ (Planetenbazillen) უწოდებდა.

ჰიტლერს ეს არც მიაჩნდა დანაშაულად, პირიქით, სულ იმას ამბობდა: თუ „ღმერთს სიკეთისას“ არ ეთვლება ბოროტებად მსოფლიო წარღვნის გამოწვევა და უღირს ადამიანთა მოდგმის „აღხოცვა“ პირისაგან დედამიწისა“, მე რატომ უნდა ჩამეთვალოსო ეს ცოდვად! ამიტომაც ცდილობდა თავი სიკეთისა და ბოროტების მიღმა მდგომ ისეთ მესიად წარმოედგი-

ნა, რომლისთვისაც სისხლიანი წარღვნაც კი არ ითვლება დანაშაულად...

მე შემდეგაც გიამბობთ, თუ როგორ შეუხამეს ჰიტლერელებმა ამ ბიბლიურ ლეგენდას ხალხთა მასობრივი ჟლეტის პოლიტიკა „ღვთაებრივ იდუმალებას ნაზიარევთა“ პირველი შეთქმულებიდან „მესამე იმპერიის“ აგონიამდე, როცა იმავე „ას ერგასის დღის წყლით რღუნის“ ფანატიზმით შეპყრობილმა ჰიტლერმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, სხვა რომ უკვე არაფერი შეეძლო, „მცირე წარღვნის“ გამოსაწვევად მაინც, გასცა განკარგულება დაენგრიათ მდინარე შპრეეს დამბები და წყალი მიეშვათ ბერლინის მეტროში, სადაც სამასი ათასზე მეტი გერმანელი ლტოლვილი აფარებდა თავს...

...ახლა, როცა იმ ომის საშინელ ამბებს ვიხსენებ, ძალაუნებურად მეც ვერთვები „მსოფლიო წარღვნის“ ბიბლიურ ალეგორიაში. აქ ნაამბობსაც ამიტომ ვუწოდებ „ას ერგასის დღეს“. ეს ის ას ორმოცდაათი დღეა, „წყლით რღუნამ“ რომ წალეკა ქვეყნიერება... ჩვენი დროის „წარღვნა“ კი ათჯერ ას ერგასის დღეს და კიდევ უფრო მეტ ხანს გაგრძელდა. მოგონებებსაც იმ დროის ამბები მოაქვს... „ოდეს მოვიდა დღე იგი დიდი რისხვისა მისისაჲ... და იქმნეს ქუხილი და ჴმანი და ელვანი და ძრვაჲ... რამეთუ გარდამოხდეს სეტყუაჲ და ცეცხლი... შეერთებული სისხლითა... და მესამედი ზღუისაჲ იქმნა სისხლ... და მესამედი მზისაჲ... და მესამედი მთოვარისაჲ.. და მესამედი ვარსკულავთაჲ, რაჲთა მოისრას მესამედი კაცთაჲ...“.

ამის გახსენება ზოგჯერ კოშმარად ჩამყვება ხოლმე ძილში. ასე მგონია, მეც იმ სისხლის მორევში ვცურავ... ხელებს უმწეოდ ვიქნევ... ვიხრჩობი... შველას ვითხოვ... ვყვირი კიდეც განწირულის უხმო ყვირილით, მაგრამ ხსნა არსადაა, არცა მშველელი ვინმე და არც კიდობანი ნოესი...

გარშემო ისევ მეწამული წარღვნა ბობოქრობს. მის მღვრიე ტალღებს კი ადამიანთა უამრავი სახე მოაქვს. მათ შორის ნაცნობიც ბევრია და უცნობიც. ზოგი მხიარული ღიმილით მეგებება, ზოგიც სახედაღვრემილი მიყურებს.. მე ვაკვირდები მათ და შიში მიპყრობს... ცოცხალთა შორის მკვდარიც ბევ-

რია, შემაძრწუნებელია მათი გაყვითლებული და გაცრეცილი სახეები, ჩამქრალი თვალები და ბაგეზე შერჩენილი გაბზარული ღიმილი... ისე მეჩვენება, თითქოს ვიღაც იცინის კიდეც და ჩონჩხად იქცევა... ახლა კი ძვლებია მხოლოდ... თავის ქალა... თვალების ღრუ და დაღრჭენილი კბილები...

მერე ყველგან ასეთსავე საშინელ სურათებს ვხედავ და ისევ ის სიცილი მესმის — მიცვალებულის ყრუ და ჟრუანტელის მომგვრელი სიცილი... ასე მგონია, მთელი სულეთი აშლილა და სიზმარივით მოჰყვება მოგონებათა ტალღების დენას...

მერე, თითქოს ქარიშხალმა დაუქროლაო, მდინარე ატორტმანდება, კიდევ უფრო იმღვრევა და მის ტალღებს ჩაჩქანდამსხვრეულ და გასისხლიანებულ მეომართა სახეები მოჰყვება... სულ ისეთები, ვაჟას რომ აქვს ერთ თავის მოთხრობაში აღწერილი:

— ყველას ხმლები ერტყათ წელზე, რკინის პერანგები ეცვათ ტანზე, თავზე მუზარადები ეხურათ, ზოგს დამტვრეული მუზარადები ხელში ეპყრა და თავპირზე გამხმარი სისხლი ეტყობოდა, წყლულიდამ გადმონადენი... სახედაღვრემილი ტანჯვისა და წვალების ღრუბელი გადაჰკროდათ პირისახეზედ... არც ერთს იმათგანს არ გაუცინია; არც ერთს იმათგანს არ დაუძრავს ენა ეთქვა რამ...

ვაჰმეო!.. ესა სთქვეს მხოლოდ...

...და მერე მათი სახეებიც მიჰყვა მდინარის იმ მღვრიე ტალღების დენას, აქერონივით რომ მიემართება ქვეყნიერების დასასრულთან... მის ტალღებს კი ახლაც უამრავი გვამი და ჩონჩხი მოაქვს... ირგვლივ ამ ჩონჩხების ჩხრიალი და მკვდრების შემზარავი სიცილი ისმის... მერე ის ხმაური იზრდება, ძლიერდება და იმ მდინარის ტალღების გრგვინვას ფარავს. გარშემო ყველაფერი ირყევა და ზანზარებს... ისეთი ამბავია, თითქოს სატანამ ზეცას შვიდივე სვეტი გამოაცალაო: ცა და დედამიწა ერთმანეთში ირევა, მოდის ცეცხლის წვიმა... რკინის ნიაღვარი... და იწყება ახალი წარღვნა... მეხისტეხა და სისხლის ნამქერი... როგორც ქაოსი დასაბამისა, გალაკტიონი რომ „შეუქმნელობის ბნელს“ უწოდებდა.

ამგვარ ქაოსში ადამიანის ფიქრიც საკუთარ საწყისებს ეძებს და ისევ იმ დასაბამის სტიქიას ერთვის. დრო-ჟამის სფეროებიც ერთმანეთს უახლოვდება, როგორც ნამდვილისა და წარმოსახულის მთლიანობა — მითოსი ჩვენი არსებობისა, სადაც ყველაზე შემაძრწუნებელი ლეგენდებიც კი სინამდვილის სახეს იღებენ...

ჰეროდეს ძენი...

სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა, როცა ჩვენი დროის არესებს იარაღი მომარჯვებული აქვთ მილიარდობით ადამიანთათვის, რომლებიც ჯერ არც დაბადებულან, ან რითი უნდა განვასხვავოთ ეს პარადოქსული სინამდვილე ბიბლიური ლეგენდისაგან:

„...ოდეს ვეშაპი იგი დგა წინაშე დედაკაცისა მის, რომელსა ეგულებოდა შობაჲ, რაჲთა, ოდეს შვეს, შთანთქას შვილი მისი“...

ამ ბიბლიური ლეგენდიდან ისევ სინამდვილეს რომ დავუბრუნდეთ, ასეთ სურათს ვნახავთ...

...ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი. სუსხიანი ზამთარი. ოცი-ოცდაათი გრადუსი ყინვა. გესტაპოელი მოათრევს ნახევრად შიშველ მშობიარე ქალს და გაყინული თოვლით დაფარულ მოედანზე აგდებს, თვითონ კი შორიახლო დგება და ავტომატმომარჯვებული უცდის როდის დაიბადება ბავშვი, რომ მოკლას.

სიცივით გალურჯებული და ტკივილებით გამწარებული დედა თმებს იგლეჯს, კივის, გესტაპოელი კი რაღაც მხიარულ სიმღერას უსტვენს და მოსაკლავად ელოდება ადამიანს, რომელიც ჯერ არ დაბადებულა...

...უფრო მოუთმენელნი დაბადებასაც არ აცდიდნენ თავიანთ მსხვერპლთ...

რასტენბურგის საკონცენტრაციო ბანაკში, სადღაც ერ-

თად შეგროვილი, სამასამდე მშობიარე ქალი მოიყვანეს, ჯერ ტუსაღ მამაკაცებს უზარმაზარი ორმო ამოათხრევინეს, ორმოში შეშა ჩაყარეს, ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. მერე ქალებს ტანსაცმელი გაახდევინეს და იმ მოგიზგიზე საფლავის ნაპირზე დააყენეს რამდენიმე ჯგუფად. გაისმა მეთაურის მოკლე ბრძანება და მეავტომატეები მაშინვე შეუდგნენ თავიანთ საქმეს...

მე არ შემიძლია გიამბოთ, რაც ამის შემდეგ მოხდა. ადამიანს ასეთ დროს გონება ეფანტება.... შეშინებული სიტყვებიც სადღაც გარბიან... ყურში კი იმ შემზარავი ტრაგედიის ცოცხალი მოწმის ნათქვამი ხმაურობს:

— ქალები პირდაპირ ორმოში ვარდებოდნენ და ცეცხლის ალში ეხვეოდნენ... მართალია, ისინი უკვე მკვდრები იყვნენ, მაგრამ ბავშვები... ჯერაც დაუბადებელი ბავშვები... კიდევ რამდენიმე წამს ცოცხლობდნენ მშობელთა ადუღებულ სხეულში... მე ვხედავდი, ცეცხლის მხურვალებით როგორ იბერებოდა დედათა სხეული... ბოთლებივით სკდებოდა და... „ახლადშობილნი“ სისხლის, ცეცხლისა და კვამლის მორევში იკრუნჩხებოდნენ...

...მერე ათასობით და ათიათასობით დედის ძუძუს მოსხლეტილი ბავშვები გაგზავნეს გაზკამერებსა და კრემატორიუმებში, რითაც სრულიად გააფერმკრთალეს უძველესი ლეგენდა იუდეველთა მეფის ჰეროდეს მიერ ყრმათა ჟლეტისა...

„...ოდეს მოსწყჳდა ყოველი ყრმები, რომელნი იყუნენ ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა ორით წლითგანი და უდარესი...“.

საკონცენტრაციო ბანაკებში ხომ უარესი ხდებოდა. აქ „ჰეროდეს ძენი“ ყოველდღიურად რამდენიმე ათას ბავშვს გზავნიდნენ გაზკამერებსა და კრემატორიუმებში... ბანაკების საწყობები სავსე იყო დახოცილი ძუძუმწოვარა ბავშვების ფაჩუჩებითა და ტანსაცმლით. ათასობით პატარა ურიკები ეყარა ეზოში. ჩვილი ბავშვების თმები ცალკე იყო დაწყობილი, როგორც „უმაღლესი ხარისხის მასალა“ ლეიბებისთვის.

ეს კიდევ არაფერი. ურიასტანში, თუ რაღაც მიზეზის გამო ხოცავდნენ ბავშვებს... აქ უმიზეზოდაც... ისე, გასართობად!..

...იანოვსკის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდატურის შენობის აივანი მეორე სართულზე. აივანზე დგას შტურმფიურერი გუსტავ ვილჰაუზი. მის გვერდით სტუმრად ჩამოსული მეუღლე და ექვსი წლის გოგონაა.

იწყება „ნადირობა". ქვევიდან მინოტავრივით სქელკისერა ესესელი ააგდებს ძუძუმწოვარა ბავშვს!.. ვილჰაუზი ესვრის... მავთულხლართს იქით კივის გამწარებული დედა. კომენდანტის პატარა გოგონა კი აღტაცებული ხტუნავს და იძახის:

— კიდევ, მამა, კიდევ!...

...მერე ერთმანეთში დაობენ: შეიძლება თუ არა ხმლის ერთი დაკვრით ათი წლის ბავშვის შუაზე გაკვეთა, ეს დავა საბოლოომდე მიდის. მოგებულს ერთი ბოთლი „შნაპსი".

შეჯიბრება იწყება. ბანაკიდან მართლაც ათი წლის ბავშვი გამოჰყავთ, დააჩოქებენ და აიძულებენ გულ-ხელი დაიკრიფოს. ესესელი ჯერ ხმალს უსწორებს თავში, მერე დაჰკრავს და... ნიძლავი მოგებულია...

...გესტაპოელი ბეკერი სამიზნედ ხეზე აკრავს ბავშვს, ჯერ ერთს, მერე მეორეს... მესამეს... შუბლში მოხვედრება — 5 ქულა, მკერდის არეში — 4, ტანზე — 3, აცდენა — 2. თუ ვინმეს ხელი აუცახცახდება და ვერ ესვრის — 0.

შეაჯამებენ და გამარჯვებულს აჯილდოებენ...

...ახალდაბადებულსა და ძუძუმწოვარა ბავშვებს სახეზე ბალიშს აფარებენ და გუდავენ, წყლით სავსე კასრში ყრიან ან უბრალოდ ხიშტზე აგებენ და კრემატორიუმში წვავენ... ზოგჯერ ცოცხლადაც...

...მე ახლაც თვალწინ მიდგას, ნიურნბერგის პროცესზე როგორ შემოიყვანეს მოწმე, ახალგაზრდა, მაგრამ სრულიად ჭაღარა ქალი — სევერინა შმაგლევსკა, რომელმაც თავისი პირველი პირმშო საკონცენტრაციო ბანაკში შვა. მან უამბო მოსამართლეებს, თუ როგორ ართმევდნენ დედებს ახალდაბადებულ ბავშვებს და სპობდნენ...

დაკითხვას საბჭოთა ბრალმდებელი აწარმოებდა:

კ ი თ ხ ვ ა: რამდენ ხანს იყავით თქვენ ოსვენციმში?

პ ა ს უ ხ ი: 1942 წლის შვიდი ოქტომბრიდან 1945 წლის იანვრამდე.

კ ი თ ხ ვ ა: რით დასტურდება, რომ თქვენ იყავით ამ ბანაკის ტუსაღი?

პ ა ს უ ხ ი: მე მაქვს ხელზე ამოშანთული ნომერი (აჩვენებს).

კ ი თ ხ ვ ა: გთხოვთ მიპასუხოთ, იყავით თუ არა მოწმე ესესელების დამოკიდებულებისა ბავშვებთან?

პ ა ს ხ ი: დიახ!..

კ ი თ ხ ვ ა: გვიამბეთ ამის შესახებ.

პ ა ს უ ხ ი: იმ დროს, როცა ებრაელებს დიდი რაოდენობით სპობდნენ გაზკამერებში, გამოვიდა განკარგულება, რომ ბავშვები გაზით წინასწარ მოუწამლავად პირდაპირ ჩაეყარათ კრემატორიუმში.

კ ი თ ხ ვ ა: როგორ უნდა გავიგოთ ეს: ცოცხლად ყრიდნენ ცეცხლში, თუ დაწვის წინ ხოცავდნენ რამე სხვა საშუალებით?

პ ა ს უ ხ ი: ცოცხლად ყრიდნენ ცეცხლში. მათი ყვირილი მთელს ბანაკში ისმოდა.

ჩვენ გაოგნებული ვუსმენდით ამ საშინელ ამბებს. ბრალმდებლებს თავი ჩაექინდრათ. თავმჯდომარე ლოურენსს ხელები უცახცახებდა... შმაგლევსკაც გაჩერდა, შუბლზე სიმწრის ოფლი მოიწმინდა, თვალები დახუჭა და, მცველები რომ არა, ალბათ წაიქცეოდა კიდეც, მაგრამ ხელი სტაცეს და შეაჩერეს. მერე ღონემიხდილი მარცხნივ მიბრუნდა და მწუხარებისაგან ამომშრალი თვალებით მიაჩერდა ბრალდებულებს. ყველანი

უხერხულად შეიმმუშნენ განსასჯელთა სკამზე. შმაგლევსკამ კი ძალა მოიკრიბა და შემზარავი ხმით იკივლა:

— ევროპის ყველა ქალის სახელით, ვინც ბავშვი დაბადა საკონცენტრაციო ბანაკში, მე გეკითხებით თქვენ და გერმანელ დედებს:

— სად არიან ახლა ჩვენი შვილები?..

...იცის ვინმემ რამე ამის შესახებ? — იკითხა ამ ამბით შეძრწუნებულმა დამცველმა ნიურნბერგის ციხის სასადილოში, სადაც მთავარი სამხედრო დამნაშავენი ერთად იკრიბებოდნენ.

— არაფერი! — წამოიძახა მაშინვე კაიტელმა და განზე გადგა...

— რა თქმა უნდა, ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით! — გამოეხმაურა მას საკონცენტრაციო ბანაკების პირველი შემქმნელი გერინგი. — ეს ისეა, როგორც ფრონტზე. ოფიცრებმა ყოველთვის როდი იციან რას აკეთებენ ჯარისკაცები მოწინავე ხაზზე. რაც უფრო მაღლა დგას ადამიანი, მით უფრო ნაკლებ ხედავს რა ხდება დაბლა!..

...ტყუილი იყო, „ბედაური ტყუილიო“, ილია რომ წერს, ისეთი. სინამდვილეში „დაბლა“ ის ხდებოდა, რასაც „მაღლა“ ადგენდნენ.

1942 წლის შემოდგომაზე ჰიტლერი დროებით ოკუპირებულ უკრაინაში ჩავიდა. კიევში მის მანქანას ცნობისმოყვარე ბავშვების გუნდი შემოეხვია. ჰიტლერს სახეზე ნაძალადევი ღიმილი აეხატა და კამფეტები დაურიგა პატარებს. მერე სურათებიც გადაიღო მათთან.

მე მახსოვს, გერმანული თვითმფრინავები რომ ჩვენი ჯარების განლაგებაში უამრავ „მფრინავ ფურცელს“ ყრიდნენ, სადაც ამგვარი სურათები იყო დაბეჭდილი წარწერით: „ბავშვთა დიდი მეგობარი — ადოლფ ჰიტლერი“.

ეს ისე, სხვების თვალის ასახვევად, სინამდვილეში კი...

...უკრაინიდან თავის რეზიდენციაში — ბერჰტესგადენში

დაბრუნებულმა „ბავშვთა დიდმა მეგობარმა“ ჰიტლერმა იხმო იმპერიის პირველი ჯალათი ჰიმლერი და სწორედ გერინგის, ბორმანის, ,ჟაიტელის, რიბენტროპისა და სხვათა თანდასწრებით უთხრა:

— ,ბე ვიყავი უკრაინაში. იქ ვნახე წარმოუდგენლად ბევრი ბავშვი (ungeheuer viel Kinder), სულ ჯანსაღები, ფიზიკურად ძლიერები და ქერათმიანები. გერმანელმა ბავშვებმა გამოხდილი წყალი თუ არ სვეს, მაშინვე ავად ხდებიან, ისინი კი წუმპისა და ჭაობის წყალს სვამენ და ვითომ არაფერი!

მერე ხმას აუწია და განრისხებულმა იყვირა:

— ჰიმლერ! თქვენ გესმით რას ნიშნავს ეს? რა ამბავია ამდენი ბავშვი უკრაინაში! ჩვენ იქ იმიტომ მივედით, რომ დავსახლდეთ, თუ ძიძებად დავუდგეთ მათ ბავშვებს?! ეს როდისმე კისერში ამოგვივა! ნუთუ არ გესმით, რომ ის ბავშვები ჩვენი მომავალი მტრებია?

ჰიმლერმა, რა თქმა უნდა, გაიგო, რასაც ნიშნავდა ეს... და მაშინვე წამოვიდა ბრძანებები, ინსტრუქციები, განკარგულებები... საკონცენტრაციო ბანაკები აივსო ბავშვებით. გაზკამერები და კრემატორიუმები დღედაღამ მუშაობდნენ „ბავშვთა სიმრავლის“ (Kinderreichertum) სალიკვიდაციოდ...

მახსოვს, ნიურნბერგში სახელმწიფო უშიშროების სამსახურისა და გესტაპოს უფროსმა კალტენბრუნერმა წინასწარ დაკითხვაზე რომ თქვა: ბავშვებს თუ არ დავხოცავდით, მომავალში წინააღმდეგობის ძალა ხომ მაინც გაიზრდებოდაო...

...ასეთია მითებისა და სინამდვილის ერთიანობის მოდუსი! ამიტომაც ვამბობ: ათასი თვალი და ყური რომ გამოიბა კაცმა, აქ მაინც ვერ გაარჩევ, სად ერთია და სად მეორე. ვერც იმ დანაშაულობათა განზომილებებს დაადგენ ასე ადვილად, რაც ჰიტლერელებმა ჩაიდინეს იმ საშინელი ომის დროს... ამას ხედვის განსაკუთრებული ძალა უნდა, მაგიური ხილვის უნარი, რაც მხოლოდ მითებშია შესაძლებელი...

მეც ამიტომ მივმართავ მითს მართლმსაჯულების ქალღმერთ თემიდის შესახებ, რომელსაც ხელში ჯადოსნური სასწორი უჭირავს და სულ მისხლობით წონის ადამიანთა ცოდვა-ბრალისა და სიკეთე-მადლის სიმძიმეს. მართალია, თვალები კი აქვს ახვეული, მაგრამ, როგორც ამბობენ, მიუდგომლობისათვის. ისე კი კარგად ხედავს ყველაფერს, უფრო კარგად, ვიდრე ჩვენა გვგონია. თემიდას არაფერი გამოეპარება და არც არაფერი შეეშლება, რადგან ჩვენივე ყოფის მსაჯულია. დაჯილდოებული ხედვის ისეთი მაგიური ძალით, რომ ერთბაშად სწვდება სინამდვილის დიდსა და პატარა რგოლებს. ადამიანს კი ეს ყოველთვის როდი ძალუძს. მართალია, ისიც უყურებს საგნებსა და მოვლენებს, მაგრამ ყურება ხომ ხედვა არ არის. ყურება ყველას შეუძლია, ხედვა კი — არა.„ თვალები გახელილი რომ გაქვს, მიტომ გგონია, რომ ხედავ?“ — წერდა შექსპირი. ადამიანებს, რომლებიც იყურებიან, მაგრამ ვერაფერს ხედავენ, გოეთე უწოდებდა „ბრმებს ღია თვალებით“. მისი აზრით, ნამდვილი „ხედვა ფორმის მიცემაა“. ეს რთული შემოქმედებითი პროცესია — სახეთა ფორმების შექმნა. ამისათვის ე. წ. „ხორციელი ხედვა“ არ კმარა. აქ სხვა თვალებია საჭირო — გ უ ლ ი ს თ ვ ა ლ ე ბ ი.

როცა საგნებისა და მოვლენების ნამდვილ ხედვაზე მიდგება საქმე, ილიაც ასკვნის: „ხორციელი ხედვა ამისთვის უღონოა“. იგი ასეთ შემთხვევაში გულის თვალებზე ფიქრობს და მშვენიერ ქართულ კომპოზიტს — „გულისყურსაც“ მოიმარჯვებს ხოლმე, თუნდაც იმ ბგერების მისაწვდომად, რომელნიც უფრო შორს მიდიან, ვიდრე საზღვარია ჩვენი სმენისა.

„აბა მარტო თვალი გულისა-ღა თუ ხედავდა და ყურო გულის-ღა თუ ისმენდაო“, — შენიშნავს იგი.

„ხორციელ ხედვაში“ გულის თვალებს გრძნობები შეაქვს, კეთილს ქმნის და ბიძგს აძლევს აღმაღლებულის წარმოსახვას, რომ „უსახოთა ნივთთა“ ჭვრეტა, „უსახოსა სახისა“ ხილვა ან „უნახის დანახვა“ შეძლოს.

მაგრამ ამ „უნივთო ხედვისათვის“ უკვე არა მარტო გუ-

ლის. არამედ სულის თვალებიცაა საჭირო.

ჰამლეტი: მე თითქოს ვხედავ!

ჰორაციო: სად?

ჰამლეტი: ჩემიკე სულის თვალთა წინაშე! — წერს შექსპირი.

რასაც გულის თვალები იგრძნობენ და სულის თვალები წარმოიდგენენ, სახეთა ფორმებში გამოიხატება, რისთვისაც არა მარტო სულის ან გულის, არამედ გონების თვალიცაა საჭირო... და მასთან ერთად — „გონიერებაც გულისა“

„წარმართე გონება გულისა შენისა“, — ამბობს ბრძენი სოლომონი და, მართლაც, ასეთი გონიერებით თუ მიიღწევა ფცდომელობა მართლმსაჯულებისა, რასაც თემიდას ალეგორია განასახიერებს. მას კი მართლაც არაფერი შეეშლება, არც არაფერი გამოეპარება, რადგან მთელი სამყაროს ჭეშმარიტება თავსდება მის ღვთაებრივ ხედვაში.

ამიტომ ყველა, ვინც ამ მზე-ქვეყანაზე დავდივართ, ვსუნთქავთ და ვმოქმედებთ, თემიდას სასწორზე ვდებთ ჩვენს ნამოღვაწარს, ავსაც და კარგსაც: ერთს — ერთ თასზე, მეორეს — მეორეზე. ეს თასები განუწყვეტლივ მოძრაობენ და სულ კიბერნეტიკული სიზუსტით ადგენენ ადამიანთა ცოდვა-ბრალისა და სიკეთე-მადლის სიმძიმეს. ასე იყო უწინ, ასეა ახლა და, ვინც შორს გაიხედავს, ისევ იმ თემიდას მოჰკრავს თვალს, ხალხთა შორის მოხეტიალეს...

...მეც ბევრჯერ მიგრძვნია მისი მსუბუქი სიარული ნიურნბერგის იუსტიციის სასახლეში. როგორც კი სხდომათა დარბაზში შევდგი პირველად ფეხი, მაშინვე იმ თემიდას მოვკარი თვალი, მაღალი კარების პორტალზე გამოსახულს. თეთრი კაბა ეცვა, გრძელ ნაოჭებად ძირს დაშვებული, თვალებიც თეთრი ხელსახოცით ჰქონდა ახვეული. ფეხშიშველა იდგა, ოდნავ თავდახრილი, ცალ ხელში კი ისევ ის ჯადოსნური სასწორი ეჭირა.

ნიურნბერგის „საქმეებში“ ყველა ოფიციალურ დოკუმენტზედაც ეს ქალღმერთი იყო აღბეჭდილი, როგორც მართლმსაჯულების ემბლემა. მათ შორის — ჩემს საშვებეზდაც, რა-

საც დღემდე ვინახავ, როგორც სუვენირს. საითაც არ უნდა გამეხედა, ყველგან თემიდას ვხედავდი, თავისი სასწორით ხელში, რადგან იგი განასახიერებდა უზენაესსა და მიუდგომელ მართლმსაჯულებას. ამიტომ ყველაფერს, რასაც აქ მოვყვები ან დოკუმენტების სახით წარმოვადგენ, მეც მისი სასწორის თასებზე დავალაგებ. ისე კი უმჯობესი იქნებოდა ის სასწორი თემიდას მარტო კი არა, ყველა ადამიანს ჰქონოდა. მაშინ ისინი თვითონ აწონ-დაწონიდნენ საკუთარ ნამოქმედარს და გაიგებდნენ, ვინ რომელ თასს ამძიმებს — ცოდვისას, თუ მადლისას; იმასაც გაარკვევდნენ, თვითონ რას წარმოადგენენ, რადგან სიმართლე იქნებოდა მათი სარკე. აბა, ისე რა უნდა ქნან, თუ საკუთარი არც სასწორი ექნებათ და არც სარკე სიმართლისა! ამიტომაა, რომ სულ სხვას უყურებენ, სხვის საქმეებს ზომავენ და ფიქრობენ, თუ რამ ქვეყანაზე მადლია, — ეს ჩვენა ვართ, ცოდვა კი სხვებისაა. იმ „სხვებშიც“ საკუთარი თავი უყვართ და აბა ჭეშმარიტებას როგორ დაადგნენ?!

მე რომ ასეთი სასწორი მქონდეს, თქვენ არც შეგაწუხებდით იმაზე ფიქრით, რა რომელ თასზე დადოთ. ამას მე თვითონ გავაკეთებდი და არც არაფერი შემეშლებოდა. ახლა კი ათას ღობე-ყორეს უნდა მოვედო, რომ გავარკვიო, სად ცოდვაა და სად მადლი. ეს ისე ძნელია, რომ ძალაუნებურად ისევ იმ რაღაც დიდისა და შეუძლებლის მითიურ სფეროში გადავყევართ, რასაც ჩვენი გონება ვერ მისწვდება. გზა კი იქითკენ მიდის. ცხოვრების რეალური ფაქტების (მცირე რგოლების) ლოგიკაც ამას ადასტურებს და სხვა გზა არ არის: უნდა ავყვეთ ამ პატარა რგოლების ალეგორიულობის კიბეებს, „როგორც ქვევიდან ზევით სწორხაზობრივად ატყორცნილ წრეს“ (დიდი რგოლი) და მათ ურთიერთ კავშირში ვცადოთ სინამდვილის ჭეშმარიტი სახის დადგენა.

შეიძლება გვითხრან, რომ ეს პარადოქსია, მაგრამ რას ვიზამთ, თუკი ჩვენი ამოცანაც ასეთია!..

ათასი ფუთი გრალდება...

ნამდვილად კი ასეთია, რადგან ჯერჯერობით ჩვენ ზოგიერთ ელემენტარულ კითხვაზეც ვერ ვიძლევით პასუხს, ვთქვათ,

ასეთზე: როდის დაიწყო ნიურნბერგის პროცესი? ისტორიკოსები და იურისტები ამას ადვილად უპასუხებენ: 1945 წლის 20 ნოემბერს! თუმცა აქაც შეიძლება იყოს განსხვავებული აზრი. ზოგიერთები იტყვიან: 1945 წელს, როცა ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს შეთანხმებით საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი ჩამოყალიბდა და მოსამზადებელ მუშაობას შეუდგაო. იქნებ ისიც თქვან: არა, უფრო ადრე, მოსკოვის კონფერენციაზე, სადაც ასეთი დამსჯელი ორგანოს შექმნა გადაწყდა, და სხვა ასეთი. მე, როგორც ლიტერატორს, აქ მეტი თავისუფლება მაქვს და შემიძლია ვთქვა, რომ ეს პროცესი ჯერ კიდევ ოციან წლებში დაიწყო, როცა ნაცისტური მოძრაობა ჩაისახა და პროგრესულმა საზოგადოებრიობამ ბრძოლა გამოუცხადა მას. იმ დღეებშივე გახდა ნათელი, რომ ყველაფერი ეს მოსალოდნელი იყო, შემდეგ კი, როცა მძლავრი ანტიფაშისტური მოძრაობა გაიშალა, უფრო ნათლად გამოჩნდა, ნაცისტურ თვითნებობას დროზე თუ არ აღკვეთდნენ, კატასტროფა რომ გარდუვალი იქნებოდა.

ახლა იმის აღდგენაც ძნელია, თუ ვინ შეადგინა პირველი საბრალდებო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ, რასაც შემდეგ მთელი პროგრესული კაცობრიობა მიემხრო. ვერც პირველ ბრალდებულებს ჩამოვთვლით, რომელთა რიცხვმა მილიონებს გადააჭარბა. მეტიც, არც ის ვიცით, როდის დაიწყო ნაცისტური რეჟიმის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ საბრალდებო დოკუმენტების შეგროვება, რამაც 1945 წლის ზაფხულში რამდენიმე ათას ტონას მიაღწია...

კაცობრიობა სწორედ ასეთი დოკუმენტების საშუალებითაც გადასცემს შთამომავლობას თავის ნამოღვაწარს — როგორც სასახელოს, ისე სამარცხვინოს. ისტორიული საბუთები თავისთავად ღაღადებენ წინაპართა საქმეებზე, ზოგჯერ ავისა და კარგის გინურჩევლადაც. ამის გამოა, სასახელო ამბების გვერდით სამარცხვინო ფაქტებიც რომ „დოკუმენტურად“ იწონებენ თავს ისტორიის წინაშე. ისინიც ეტმასნებიან დროჟამის ხანგრძლივობას და ჰეროსტრატესებური „დიდებით“ ცდილობენ თავიანთი სირცხვილის უკვდავყოფას.

ამის უხვ მაგალითს სწორედ ჰიტლერის „მესამე იმპერია-

ში“ ვხვდებით. ისტორიას არც ახსოვს, რომ ასეთი მონდომებითა და პედანტური გულმოდგინებით აღებეჭდოთ დოკუმენტებში სახელმწიფოს ყოველგვარი საშინაო თუ საგარეო საქმეები, სამხედრო და სამოქალაქო უწყებების მუშაობის შინაარსი, საზოგადო მოღვაწეებისა და მოხელეების პირადი საქმიანობა.

პატივმოყვარეობის რაღაც „ტევტონური ჟინით“ შეპყრობილ ჰიტლერელებს ქაღალდზე გადაჰქონდათ ყველაფერი, რასაც ამბობდნენ ან ფიქრობდნენ. გულმოდგინედ ადგენდნენ სამინისტროებისა და დაწესებულებების ანგარიშებს, იწერდნენ „მაღალი დონის“ შეკრებისა თუ თათბირის შინაარსს, აღრიცხავდნენ და ინახავდნენ უფროსების სიტყვიერ თუ წერილობით განკარგულებებს, პედანტური სიზუსტით გამოსცემდნენ ბრძანებებს, ინსტრუქციებს, დირექტივებს. „უფრო თავმომწონენი“ წერდნენ დღიურებს, აგროვებდნენ სუვენირებს. მარტო ერთ-ერთი სამხედრო დამნაშავის, პოლონეთის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის ჰანს ფრანკის დღიურები 39 უზარმაზარ ტომს შეადგენს. თვითეულ ტომში 1000-1500 გვერდია.

ასეთსავე დღიურებს აღგენდნენ მესამე იმპერიის ხელმძღვანელები, გენერლები, ფელდმარშლები, მინისტრები, ყველა, ვინც ფიქრობდა. რომ ისტორია ვალდებულია ანგარიში გაუწიოს მათს პატივმოყვარეობას.

ამის გამოა, რომ ყველაფერი, რაც კი „მესამე იმპერიაში“ გაკეთებულა, აღბეჭდილია დოკუმენტებში, აკინძული, მაგარ ყდაში ჩასმული და შენახული. რას არ ნახავთ აქ?! სახელმწიფოს ყველაზე საიდუმლო სიგელებს, შეიარაღებული ძალებისა და სამინისტროების არქივებს, პოლიციისა და დამსჯელი რაზმების ბნელი საქმეების მასალებს, ბრძანებებს, მითითებებს, განკარგულებებსა თუ ინსტრუქციებს. ყველაფერი ქაღალდზეა გადატანილი: რა როგორ გაკეთდეს, ვინ როგორი ნაბიჯი გადადგას, რა საშუალებით, როგორ მოკლას, ტყავი როგორ გაძროს, როგორ დამარხოს ან „ადამიანის ცხიმისაგან“ საპონი როგორ მოხარშოს! ყველაფერი გარკვეულია, პარაგრაფებად ჩამოყალიბებული და ისე ზუსტად აწონილ-დაწონილი, რომ

გაოცებული თომას მანი ამას „იდუმალებამდე მისულ გაანგარიშებას“ უწოდებს.

მართლაც, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს გერმანიაში არავის შეეძლო დადგენილი წესისა და რიგის გარეშე ადგომა, დაჯდომა, გავლა ან რამის სურვილისამებრ გაკეთება. ადამიანის ყოველგვარი თავისუფლება მიჯაჭული იყო ამ დოკუმენტებსა და პარაგრაფებზე. გერმანელს აღკვეთილი ჰქონდა თავისუფალი ფიქრი, მოქმედება... მის სულს მძიმე ტვირთად აწვა ათასობით ტონა ასეთი „წესისა და რიგის“ დამამყარებელი კანონები და აიძულებდა სიზიფივით ეგორებინა ის საკუთარი არსებობის გოლგოთაზე...

ჯერ კიდევ ლუდვიგ ბერნე ამბობდა, ბუნებას რომ იმდენი კანონები ჰქონდეს, რამდენიც სახელმწიფოს, ღმერთიც კი ვერ შეძლებდა მის მართვასო...

...ნაცისტებმა უკანასკნელ დღეებამდე ვერ დათმეს ისტორიის ეს „უძვირფასესი საგანძური“. მაშინაც კი, როცა უფსკრულის პირას მდგარნი ეთხოვებოდნენ სახელმწიფოს, ხალხს, სიცოცხლეს, ამ დოკუმენტების გადარჩენას მაინც ცდილობდნენ: აგროვებდნენ, რკინის საიმედო სეიფებში აწყობდნენ და ეშელონებით გადაჰქონდათ აღმოსავლეთიდან დასავლეთის რაიონებში, მერე სადღაც მარხავდნენ მიწაში, გამოქვაბულებში, კატაკომბებში, წყალშეუვალი ყუთებით ძირავდნენ ტბების ფსკერზე... მაგრამ დამალვას ვერ აუთავდნენ. განადგურება კი არ უნდოდათ, ამიტომ უდიდესი ნაწილი ამ დოკუმენტებისა მოკავშირეთა არმიებმა იგდეს ხელთ. ომის უკანასკნელ თვეებში სპეციალური შემკრები ცენტრებიც შექმნეს — Ministerial Collecting Servise, სადაც „ნადავლ დოკუმენტებს“ ჯერ წონით იღებდნენ, ხოლო შემდეგ არჩევდნენ და ახარისხებდნენ მე თვითონ ვიყავი ქ. კასელში, სადაც სამი ათასი ტონა ასეთი დოკუმენტებისა იყო შეკრებილი. ორი ათასზე მეტი მემანქანე იჯდა მიწისქვეშა ქიმიური ქარხნის უზარმაზარ საამქროში და ბეჭდავდა ამ მასალებს; ორი ათას მანქანას ერთად გაჰქონდა გუგუნი, რასაც

ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ისეთი შთაბეჭ-დილება იყო, თითქოს საბეჭდი მანქანები კი არა, ტყვიამფრქვე-ვები დაეყენებინოთ და ბრალდების საშინელ დოკუმენტებს უშენდნენ მთავარ სამხედრო დამნაშავეებს...

...ასეთივე შემკრები ცენტრები გაიხსნა მარბურგში, ფლესბურგში, ბერჰტესგადენსა და სხვაგან. მე არაფერს ვამ-ბობ იმ აურაცხელ დოკუმენტებზე, საბჭოთა არმიის ნაწილებშა რომ იგდეს ხელთ. არც იმაზე, რაც პროცესის შემდეგ იქნა აღ-მოჩენილი. ვინ იცის, ახლაც სად რამდენია გადამალული. დღე ისე არ გავა, გაზეთებმა რამე ახალი ცნობა არ მოიტანონ ამის თაობაზე. მაგრამ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ი ს, რ ა ც ჯ ე რ კ ი დ ე ვ მ ა შ ი ნ ი ყ ო ა ღ მ ო ჩ ე ნ ი ლ ი დ ა შ ე კ რ ე ბ ი ლ ი. ა თ ე უ ლ ა თ ა ს ო ბ ი თ ტ ო ნ ა ს, ა ნ უ ა ს ე უ ლ ა თ ა ს ფ უ თ ს შ ე ა დ გ ე ნ ს...

ოთხი-ხუთი თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ დაახლო-ებით ათასი ფუთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენ-ტები, რაც ამ ზღვა მასალიდან იქნა შერჩეული, გაიგზავნა ქ. ნიურნბერგს, როგორც საბრალდებო მასალა.

ა თ ა ს ი ფ უ თ ი — რ ა მ დ ე ნ ი მ ე ა ს ე უ ლ ი ა თ ა-ს ი დ ა ნ!

ეს კი ჯერ მხოლოდ ფიზიკური წონაა ამ დოკუმენტებისა, რომლის განსაზღვრას არც ქალღმერთ თემიდას მითი უნდა და არც მისი სასწორის ალეგორია. ამის საჭიროება მაშინ გაჩნ-დება, როცა ამ ათასი ფუთი დოკუმენტის საფუძველზე ჩადე-ნილ დანაშაულობათა სიმძიმის წარმოდგენას შევეცდებით. აი, ს წ ო რ ე დ ე ს ი ქ ნ ე ბ ა ი ს დ ი დ ი დ ა შ ე უ ძ ლ ე-ბ ე ლ ი, რაზედაც ვამბობთ, რომ მას წარმოსახვის ინტეგრა-ლებით თუ მივსწვდებით, ან იმ სწორხაზოვნად ატყორცნილ დიდ რგოლს გავატარებთ სინამდვილის მცირე რგოლებში. სა-ამისოდ იმ ათასი ფუთიდან ჯერ სულ რამდენიმე გრამი ან მი-ლიგრამი ავიღოთ (პატარა რგოლი), ხოლო შემდეგ მათ სა-ფუძველზე ვცადოთ მთლიანი სურათის წარმოდგენა (დიდი რგოლი)...

...მე ვათავისუფლებ კაცობრიობას ისეთი საშინელი ქიმე-

რისაგან, რასაც ეწოდება სინდისი. — წერს ჰიტლერი სულ რაღაც ერთ მილიგრამ ქაღალდზე.

შემდეგ სინდისისაგან გათავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაც მოჰყვა:

— ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულ იქნენ გერმანელი ჯარისკაცები, რომელნიც დაპყრობილ ქვეყანაში რამე დანაშაულს ჩაიდენენ...

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მასშტაბებს მიაღწევდა დანაშაული, თუკი მისი ჩამდენი წინასწარ იქნებოდა გათავისუფლებული ყოველგვარი მსჯავრდებისაგან, მით უმეტეს, როცა ამ მითითების განხორციელებას კისრულობდნენ ისეთი ოდიოზური პიროვნებანი, როგორიც იყვნენ უმაღლესი სარდლობის უფროსი ფელდმარშალი კაიტელი და „რკინის ჰერმანად“ წოდებული რაიხსმარშალი გერინგი.

კაიტელმა მაშინვე აფრინა ეს განკარგულება არმიების ჯგუფთა სარდლებთან და თანაც ასეთი განმარტება დაურთო:

— ფიურერი ფიქრობს, რომ თავისუფლების აღკვეთა ან სამუდამო კატორღა სისუსტის ნიშანი იქნება. ნამდვილი და თანმიმდევრული დაშინება შესაძლებელია მხოლოდ სიკვდილით დასჯის მეოხებით.

გერინგმა უფრო გაბედულად დაგეშა გესტაპოელები:

— პოლიციელის რევოლვერით გასროლილი ყოველი ტყვია, — თქვა მან გესტაპოს უმაღლეს მოხელეთა შეკრებაზე, — ეს ჩემი ტყვიაა! თუ ვინმე ამას უწოდებს მკვლელობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვარ მკვლელი: მე მოვკალი, მე გავეცი ასეთი ბრძანება, მე დავეთანხმე ამას, მე ვკისრულობ მთელ პასუხისმგებლობას და არც მეშინია ამისი.

ერთმა გენერალმა რაღაც პროტესტის განცხადების მსგავსი სცადა და სინდისიც ახსენა, მაგრამ გერინგმა მკვახედ მოუჭრა:

— მე არა მაქვს სინდისი, ჩემი სინდისია ადოლფ ჰიტლერი!..

...ახლა საგარეო საქმეთა მინისტრის იოაჰიმ ფონ რიბენტროპის ასეთი მითითება აიღეთ:

— ადგილობრივ, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე დახვრეტილ იქნეს ყველა, ვინც ითვლება ტერორისტად, ან არ ითვლება ასეთად.

დიპლომატების ენას ყოველთვის ახლდა ერთგვარი ბუნდოვანი ორაზროვნება, მაგრამ აქ ხომ სულ ვერაფერს გაიგებს კაცი, ვინ უნდა იქნეს დახვრეტილი? ან სასამართლო მართლაც რად უნდა ამას, როცა სასიკვდილო განაჩენი წინასწარაა გამოტანილი, იმის მიუხედავად, ითვლება მსჯავრდებული ტერორისტად, „თუ არ ითვლება ასეთად...“

...რიბენტროპის წინამორბედმა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, შემდეგ კი ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორმა ბარონ ფონ ნოირატმა უდანაშაულოთა დასჯა კანონად აქცია და ბრძანა:

— პასუხისმგებლობა საბოტაჟის ცალკეულ შემთხვევებზე დამნაშავეებთან ერთად ეკისრება მთელ ჩეხ მოსახლეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ პერსონალურად ისჯება არა მარტო დამნაშავე, არამედ უდანაშაულოც...

არ ვიცი, სამართლის ისტორიაში თუ კიდევ არის სხვა შემთხვევა, უდანაშაულოთა დასჯა რომ კანონად ექციოთ, ან ასეთი იურიდიული კოდექსი შეეთხზათ: „ისიც დამნაშავეა, ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია“. მაგრამ თუ ეს მხოლოდ ადამიანთა მოსპობას ეხებოდა, შემდეგ ჯერი ქალაქებზედაც მიდგა...

რამდენი ათასი წელია, რაც კაცობრიობა ძრწოლით იგონებს ძველთაძველ თქმას: „კართაგენი უნდა დაინგრეს!..“ თუმცა კართაგენის დანგრევა რა არის იმასთან შედარებით, რასაც ჰიტლერელები გეგმავდნენ.

— ფიურერმა გადაწყვიტა აღგავოს პირისაგან მიწისა პეტერბურგი. საბჭოთა რუსეთის დამარცხების შემდეგ არავითარ ინტერესს აღარ წარმოადგენს ამ დიდი დასახლებული პუნქტის არსებობა!..

ასეთი მითითება მიიღო ჩრდილოეთის ფრონტის საჰაერო ძალების სარდალმა. შემდეგ კი თვითონ ჰიტლერმა განმარტა თავისი გადაწყვეტილება:

— არც ფინელები არიან დაინტერესებულნი ზედ საზღვართან ჰქონდეთ ესოდენ დიდი ქალაქი!

ამას კი ახალი განკარგულება მოჰყვა:

— პეტერბურგი მოისპოს, ცარიელი ტერიტორია კი გადაეცეს ფინელებს!..

...ასევე გადაწყდა მეორე „დიდი დასახლებული პუნქტის“ მოსკოვის გაუქმება.

— მოსკოვი მიწასთან უნდა იქნეს გასწორებული, რათა მთლიანად გავთავისუფლდეთ ამ ქალაქის მცხოვრებლებისაგან და არ მოგვიხდეს მათი კვება ზამთრის პერიოდში, — წერდა ჰიტლერი.

— საჭირო არ არის აღდგენილ იქნეს ქ. კიევი! — ესეც ჰიტლერის სიტყვებია.

ასეთივე განკარგულება გასცა მან სხვა დედაქალაქების შესახებ. იმასაც ნანობდა, რომ „ნაადრევი კაპიტულაციის“ გამო საბაბი არ მიეცა დაენგრია პარიზი და ევროპის სახელმწიფოთა არა ერთი სხვა დედაქალაქი.

— ყველამ უნდა იცოდეს, რომ ევროპაში იქნება ერთი დედაქალაქი — ბერლინი! — ამბობდა იგი...

...მერე კი მთელ სახელმწიფოებს მისდგა...

— რუსეთი უნდა ამოიშალოს ევროპის სახელმწიფოთა სიიდან! — მიუთითა ჰიტლერმა თავის გენერლებს ერთ-ერთ საიდუმლო თათბირზე. მერე კიდევ ის დაიქადნა, ინგლისელებს თავიანთი კუნძულებიდან საჰარასა და ციმბირში გადავასახლებო...

ისეც ხდებოდა, რომ, სიტყვიერი მითითებების ნაცვლად, რომელიძე „გაუქმებული“ სახელმწიფოს რუკაზე თეთრ პუნქტირებს დასვამდნენ და დააწერდნენ: Entvölkerung („განხალხება“). სათანადო განმარტებებს თვითონ ჰიტლერი იძლეოდა:

— პოლონეთი განხალხებულ (entvölkert) უნდა იქნეს და დასახლებული გერმანელებით, შემდეგ კი, ბატონებო, რუსეთსაც ის დღე დაადგება, რაც პოლონეთს... და მაშინ დაიწყება ჟამი ჩვენი მსოფლიო ბატონობისა.

იგი არც „განხალხების წმინდა ტექნიკურ მხარეს“ ივიწყებდა:

— ჩვენ უნდა განვავითაროთ განხალხების ტექნიკა, — უთხრა ჰიტლერმა რაუშნიგს და იქვე განმარტა კიდეც:

— თუ მკითხავთ, რას ვგულისხმობ ტერმინში „გაახალხება“, გეტყვით, რომ მხედველობაში მაქვს მთელი რასიული ერთეულების მოსპობა. ეს არის ის, რაც მე უნდა განვახორციელო. ან უფრო უხეშად რომ ვთქვათ, ასეთია ჩემი ამოცანა. ბუნება სასტიკია, ამიტომ ჩვენც სასტიკნი უნდა ვიყოთ. თუ მე შემიძლია გერმანელების საუკეთესო ნაწილი გავგზავნო ბრძოლის ქარცეცხლში ისე, რომ არ ვიდარდო ძვირფასი არიული სისხლის დაღვრაზე, ცხადია, იმის უფლებაც მაქვს, რომ მოვსპო მილიონობით დაბალი რასის წარმომადგენლები, რომლებიც მატლებივით მრავლდებიან.

აი, სწორედ ამისათვის იყო მოგონილი ეს თეთრი პუნქტირები და ნეოლოგიზმი „განხალხება“. ასეთი პუნქტირები და შიფრი იყო დასმული საქართველოს რუკაზეც! მაგრამ ამაზე— შემდეგ....

...რასიული ერთეულების მოსპობის შესახებ ჰიტლერის მითითების განხორციელება ებრაელთა მასობრივი ჟლეტით უნდა დაწყებულიყო. „ევროპაში ებრაელობა უნდა მოისპოს, როგორც რასა!..“ ასეთი იყო პირველი ამოცანა.

შემდეგ მეორე იწყებოდა—სლავების მოსპობა. დოკუმენტებში წერია:

— ესესის რაიჰსფიუერერმა ჰიმლერმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილია 30 მილიონი სლავის ლიკვიდაცია...

...ასეთი ბრძანებები და განკარგულებანი, რასაც მოჰყვა ათეული მილიონობით უდანაშაულო ადამიანების გაჟლეტა, ათასობით ქალაქებისა თუ სოფლების აოხრება და ფასდაუდებელი ისტორიული ძეგლების განადგურება, დაბეჭდილია სულ რამდენიმე გრამ ქაღალდზე. ან ის გრამი რად უნდა ფარატინა ქაღალდს, ნიურნბერგის პროცესის საქმეებში რომ არის ჩაკერებული და გვაუწყებს: ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანა-

კიდან სუპერფოსფატის დამამზადებელ ფირმა „შტრემს“ გაეგზავნა 112 ტონა და 600 კილოგრამი ადამიანის ძვლების ფხვნილი...

ერთი გრამი ან მილიგრამი ქაღალდი — ერთი ან ორი მილიონი ადამიანის მსხვერპლი და 112 ტონა ძვლის ფხვნილი სუპერფოსფატისათვის! — ასეთია ამ გრამებისა და მილიგრამების რეალური წონა. მერედა... რამდენი ასეთი გრამი თუ მილიგრამია ათას ფუთში და როგორი იქნება ალეგორიული სიმძიმე მთელი იმ დანაშაულობებისა, რაც მათ საფუძველზეა ჩადენილი? აი, ჩვენი წარმოსახვის წინაშე დასმული მითიური ამოცანა.

ისევ მითები თუ არ მოვიშველიეთ, სხვაგვარად, მართლაც, ძნელია ამის ამოხსნა. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ბრძანებაზე ის ერთი გრამი ქაღალდიც არ არის დახარჯული. ყველაზე საშინელი განკარგულებები გაცემულია სიტყვიერად, ასეთი შენიშვნით: „მიიღეთ როგორც კანონი“. ან რაღაც „უმნიშვნელო ნიშნებია“ დასმული, მაგალითად, ნული, რაც არაფერს ნიშნავს, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი მანიპულაცია არ მოხდება...

...ჰიტლერს წინ დაუდეს ხელის მოსაწერად გამზადებული ბრძანება: „ყოველი გერმანელი ჯარისკაცის მოკვლისათვის დახვრეტილ იქნეს 5—10 მძევალი“. მან ორად ორი ნოლი მიუმატა ამ რიცხვებს და... გამოვიდა „50—100“. მერე ჰიმლერს შეხედა, თვალი ჩაუკრა და ნიშნის მოგებით უთხრა:

— კვადრატული ფესვი ნოლიდან არის ისევ ნოლი!..

არტისტული სისასტიკე...

ყველაფერი ეს საშინელია, მაგრამ ჩადენილ დანაშაულობათა სიმძიმეზე მაინც ვერ მოგვცემს მიახლოებით წარმოდგენას, თუ არ გავითვალისწინებთ, რა „არტისტული სისას-

ტიკითა“ და ცინიკური გულგრილობით სრულდებოდა ყოველივე ეს.

ურიცხვი მაგალითებიდან აქაც მხოლოდ რამდენიმე ავიღოთ იმავე იანოვსკის საკონცენტრაციო ბანაკის ცხოვრებიდან, რომლის კომენდანტი შტურმფიურერი გუსტავ ვილჰაუზი ცოლ-შვილის გასართობად პატიმარი ქალების ბავშვებზე ნადირობდა. ახლა დიდებზე „ნადირობის“ ორიოდე ეპიზოდს გიამბობთ, ყოველგვარი „მხატვრული შელამაზების“ გარეშე, ისე როგორც შიშველ ფაქტს...

...ეზოში ასამდე ტყვეს აყენებენ მწკრივში. იქვე ტუსაღებისაგან შედგენილი ორკესტრი უკრავს „სიკვდილის ტანგოს“, გუსტავი ერთობა! იგი მიდის მწკრივთან და ეკითხება პირველს:

— რატომ ხარ პირველი?

ტყვე გაოცებული უყურებს და მხრებს იჩეჩს. ვილჰაუზი ესვრის და მწკრივის ბოლოში გადადის.

ისევ კითხვა:

— რატომ ხარ უკანასკნელი?

ტყვე შიშით მისჩერებია მას. ისევ სროლა. შემდეგ თავიდან:

— რატომ ხარ პირველი?

— რატომ ხარ უკანასკნელი?

— რატომ?..

და ისევ სროლა!.. სროლა!.. სროლა!..

ბოლოს ერთი რჩება, რომელიც პირველიცაა და უკანასკნელიც. ვილჰაუზი იმ დღეს იმას ხელს არ ახლებს. პირიქით, „მეგობრულად“ უცინის და ულოცავს:

— ბედი გქონია, მეგობარო, მაშ, ხვალამდე!..

... იგივე ბანაკი. 20 აპრილი. ჰიტლერის დაბადების დღე. ფიურერს 54 წელი შეუსრულდა. ეზოში გაამწკრივებენ 54 პატიმარს. გუსტავ ვილჰაუზი 54 გასროლით ხვრეტს მათ. 54 გვამს ერთად აგდებენ ორმოში, მიწას მიაყრიან და წარწერას უკეთებენ:

— საყვარელ ფიურერს — დაბადების 54 წლისთავზე!..

...ჩონჩხების დამამზადებელი ლაბორატორია. ჰიმლერის დეპეშა: „გაცნობებთ, რომ გამოგზავნილი ჩონჩხების ნაწილი, თქვენი დაუდევრობის გამო, დაზიანებულია ტყვიით. წინადადებას გაძლევთ საჩონჩხე მასალა ისე დაამუშაოთ, რომ ძვლები არ დაზიანდეს“.

აურზაური ლაბორატორიაში, შეშფოთებული ექიმები, პროფესორები, დოქტორები, მათი გონების მრუშობა და ფანტასტიკური წინადადება, რაც უზრუნველყოფს ჩონჩხის დაუზიანებლობას: „საჩონჩხე მასალას“ გაატიტვლებენ, კასრში ჩააყენებენ და ცოცხლად მიაკრავენ ბოძზე. ჯერ ტყავს გააძრობენ სპეციალურად დამუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით, მერე მდუღარე წყალს ასხამენ, ვიდრე რბილი არ ჩამოშორდება და მარტო ძვალი დარჩება. ამით მიიღწევა „ჩონჩხის აბსოლუტური დაუზიანებლობა“, თანაც „დიდი ეკონომიური ეფექტი“: არავითარი დანაკარგი! ტყავი — ჩანთების, საფულეების, აბაჟურებისა და წიგნის ყდების დასამზადებლად, „რბილი ნაწილები“—საპნის ქარხანას, ჩონჩხი კი—ანატომიურ მუზეუმებსა და ლაბორატორიებს...

...რაიხსმარშალმა ჰერმან გერინგმა განკარგულება გასცა, აღდგენილ იქნეს სიკვდილით დასჯის მამაპაპური წესი—ნაჯახით თავის მოკვეთაო, რასაც მის მიერვე დამუშავებული ინსტრუქცია მოჰყვა: „სიკვდილმისჯილი თავდაღმა კი არა, პირაღმა დააწვინეთ, რომ მოქნეულ ნაჯახს თვალი მოჰკრას და ელდა ეცეს“...

ერთი ასეთი გერმანული მოთხრობაც წავიკითხე:

მოხუც პროფესორს გერინგის კანონის მიხედვით თავის მოკვეთა მიუსაჯეს. სასაკლაოზე რომ მიჰყავდათ, გუნებაში ეცინებოდა. მცდიან, ჩემი გამოტეხა უნდათ, თორემ როგორ შეიძლება გოეთესა და ბეთჰოვენის ქვეყანაში კაცს ნაჯახით თავი მოჰკვეთონო.

იმ უბედურს ღიმილი მხოლოდ მაშინ შეაშრა ტუჩებზე, როცა თავი გააგდებინეს.

ვერც გოეთემ უშველა და ვერც ბეთჰოვენმა...

...ნიურნბერგში შემთხვევა მქონდა წინასწარი გამოძიების დროს გერინგისათვის მეკითხა:

— როგორ შეიძლება ჩვენი ეპოქის ადამიანს ასეთი აზრი მოუვიდეს თავში?

— ეს აზრი კი არა, საშუალებაა, — გამისწორა მან.

— საშუალება რისი? — შევუბრუნე კითხვა.

— დაშინების! — მოკლედ მოჭრა ბრალდებულმა და მაშინვე დაუმატა:

— სიკვდილით ერთს იმიტომ სჯიან, რომ სხვები დააშინონ... — მერე ამას განმარტებაც დაურთო:

— რაც უფრო საშინელია დასჯის ფორმა, მით უფრო ეფექტურია ის, როგორც საშუალება!

ახლა სხვამ ჰკითხა:

— განა ასეთი საშუალების გამართლება შეიძლება?

— რაკი მიმართავენ, ჩანს, შეიძლება!

— რითი? — არ მოეშვა გამომძიებელი.

— მიზნით! — უპასუხა მან და თან ცნობილი დევიზიც გაიხსენა:

— მიზანი ამართლებს საშუალებას!..

...გერინგისათვის რომ ესიამოვნებინათ, ზოგჯერ მისი ხელქვეითები პირადად ცდილობდნენ თავიანთი შეფის „მამაპაპური“ მეთოდის გამოყენებას — ნაჯახით თავის მოკვეთას, მაგრამ აქ ერთი დაბრკოლება გაჩნდა: ბატონებს ეშინოდათ მუნდირი სისხლით არ დასვროდათ; თუმცა მლიქვნელებმა გამოსავალიც მაშინვე იპოვეს: მსხვერპლს ჯერ გაყინავდნენ, მერე მორიგით დადებდნენ კუნძზე... მარჯვედ მოქნეული ნაჯახი და... თავი ცალკე, ტანი — ცალკე.

არც ერთი წვეთი სისხლი!..

...დიდ საკონცენტრაციო ბანაკებთან შექმნილი ლაბორატორიები გერინგის განკარგულებით და მისი შტაბის უფროსის ფელდმარშალ მილჰის შეკვეთით საჰაერო ძალების საჭიროებისათვის სპეციალურ ცდებს მიმართავდნენ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს იყოს სრულიად

გაყინული და რა გრადუსზე, რომ ისევ დაუბრუნდეს სიცოცხლე. საამისოდ გაყინული პატიმრის შიშველ სხეულს დებდნენ იატაკზე. მერე აქეთ-იქით ორ ასევე შიშველ, მაგრამ თბილ როსკიპს მიუწვენდნენ. თუ მათი სითბო სიცოცხლეს დაუბრუნებდა პატიმარს და „ყველაფერი რიგზე იქნებოდა“, ცდა დამთავრებულად ითვლებოდა, არადა... იწყებდნენ თავიდან.

ერთხელ ამ ლაბორატორიის „საქმეებში“ ასეთ წერილებსაც წავაწყდი: ბანაკის უფროსს ესესის რომელიღაც ობერგრუპენფიურერი ეკითხებოდა, ხომ არ შეიძლება ფასიანი როსკიპების უფასო პატიმარი ქალებით შეცვლაო. ბანაკის უფროსმა ამაზე ოფიციალურად უპასუხა:

— თუ შესაფერისი ინსტრუქცია იქნება დაშვებული, რა თქმა უნდა, შეიძლება!..

...„სამეცნიერო-კვლევითი“ მუშაობის გაშლასთან ერთად გაუმჯობესდა ადამიანთა ჟლეტის ტექნიკაც. ჯერ კიდევ კრასნოდარის გათავისუფლების დროს ჩაგვივარდა ხელთ ე. წ. „გაზვაგენი“, რომელიც სპეციალურად ამ საქმისათვის იყო ვანკუთვნილი.

მანქანის ჰერმეტულად დახურულ ძარში შეჰყავთ 20—30 „მგზავრი“, კარებს გარედან კეტავენ, მანქანის ძრავი მილით ბეერთებულია ძართან, შხამიანი გაზი 10—15 წუთში თავისას აკეთებს. მანქანა ჩერდება ქალაქგარეთ — ტანკსაწინააღმდეგო თხრილებთან ან ხრამთან, გვამებს ყრიან და უკან ბრუნდება ახალი „მგზავრების“ წასაყვანად...

...შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესებული ტექნიკა გამოჩნდა—ავტომატური გაზკამერები; „გამტარუნარიანობა“—ორი ათასამდე კაცი თითო სეანსზე!

სიკვდილის ბანაკში მოჰყავთ ახალი ჯგუფები. ესესელები და გესტაპოელები თავაზიანი ღიმილით ეგებებიან მათ და წინასწარ დაბეჭდილ ბარათებს ურიგებენ შინ გასაგზავნად: „კარგად მოვეწყვეთ. გვაქვს სამუშაო, მშვენივრად გვეპყრობიან. კვება კარგია, ველით თქვენს ჩამოსვლას“.

მერე ისევ თავაზიანი მოპატიჟება:

— მობრძანდით, ბარგი შემნახველ კამერაში ჩააბარეთ, პალტოები — გარდერობში, ტანისამოსი გაიხადეთ, აი, აქ დააწყვეთ, ახლა კი მიბრძანდით აბაზანაში...

კარები გარედანაც იკეტება, „აბაზანაში“ შხამიან გაზს უშვებენ, 10—15 წუთის შემდეგ კონვეიერი ამოძრავდება და ორი ათას გვამს წაიღებს კრემატორიუმისაკენ. კიდევ რამდენიმე წუთი და... უზარმაზარი მილიდან ადენილი შავი კვამლი გაიფანტება ჰაერში.

მთელ ამ „მოგზაურობას“ საოცრად რომანტიკული სახელი ჰქვია:

„გზა სამოთხისაკენ!..“

...მილიონობით ადამიანებმა განვლეს „სამოთხის“ ეს გზა. ჩვენც ისე ვამბობთ მილიონებმაო, თითქოს ეს რიცხვების უბრალო თამაში იყოს. ამ მილიონებში ყოველი ერთეული ცალკე სიცოცხლეა, ცალკე ფიქრი, იმედი, ოცნება...

ჰაინე წერდა:

— ყოველი ცალკეული ადამიანი მთელი სამყაროა, რომელიც იბადება და კვდება მასთან ერთად. ყოველი საფლავის ლოდის ქვეშ წევს კაცობრიობის ისტორია.

მაქსიმ გორკიმ ეს სიტყვები რომ წაიკითხა, თქვა:

„Эта дерзкая оценка, но человек заслужил ее!“

ასეთი რამ შეეძლო ეთქვა მწერალს, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები:

„Человек — это звучит гордо!.. “

იმათ კი რა უნდა ეთქვათ, ტილებსა და ადამიანებს ერთნაირის მონდომებით რომ ხოცავდნენ საკონცენტრაციო ბანაკების გაზკამერებსა და კრემატორიუმებში?

— ადამიანის სიცოცხლე არაფრად არ ღირს, — განაცხადა ფელდმარშალმა კაიტელმა.

— ადამიანის ფასი გროშია, — გაიმეტა ჰიმლერმა.

დოქტორი ლეი და ზაუკელი თითო უკრაინელ მსახურ ქალს 10—15 მარკად ყიდდნენ.

გერინგი შინაურ ცხოველებს უფრო აფასებდა, ვიდრე ადამიანებს.

ჰიტლერმა ადამიანებს ჯერ „პლანეტის ბაცილები“ (Planetenbazillen) უწოდა, მერე კი სულ ნოლს გაუთანაბრა და კვადრატული ფესვის ამოღებაც სცადა მისგან.

არც მისი მიმდევრები მოერიდნენ ტილებისა და მატლებისათვის შეედარებინათ მათთვის საძულველი რასების წარმომადგენელნი და, ჰანს ფრანკისა არ იყოს, დაეტრაბახათ, პოლონეთში ტილები და ებრაელები მოვსპეთო. ჰიმლერიც ამბობდა, ებრაელების გაჟლეტა ჰიგიენის საკითხია და არა პოლიტიკისო. და განა მარტო ებრაელების! სხვა ერების წარმომადგენლები კიდევ უფრო მეტი დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკებში. ეს არა მარტო მასობრივი მკვლელობა იყო, არამედ ადამიანური ღირსების გაუგონარი დამცირებაც!

ბუჰენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში ტუსაღებს ჯერ დააჩოქებდნენ, რეზინის ან რკინის ჯოხებით სცემდნენ, მერე ოთხზე დააყენებდნენ და აძახებდნენ: „მე ღორი ვარ...“ ვინც წამოდგებოდა და იტყოდა: „არა, მე ადამიანი ვარ!..“ — იქვე ხვრეტდნენ.

მთელი მსოფლიო შეძრწუნებული იყო ასეთი საშინელებებით. უკვე არც ისე ხშირად იგონებდნენ დანტეს ჯოჯოხეთს. ამის ნაცვლად ამბობდნენ: მაიდანეკი! ბუჰენვალდი! ოსვენციმი! ტრემბლინკა! დახაუ!..

მერე, როცა დანაშაულმა სულმთლად კოშმარული სახე მიიღო, ხოლო ჰიტლერული გერმანია დამხობილ იქნა, ნიურნბერგის პროცესის დარბაზში შურისძიების ქალღმერთი ნემეზიდაც გამოჩნდა და აღმართა თავისი მახვილი!..

...მე ახლაც ჟრუანტელი მივლის, როცა ვიგონებ, ნიურნბერგის პროცესზე გერმანელების ამ შემაძრწუნებელ დანაშაულთა დემონსტრაციის დღეებში რომ ახსენეს დიდი გოეთეს სახელი...

დარბაზს თითქოს სინათლე მოემატა. ასე მგონია, ცხადლივაც ვნახე, როგორ შემოვიდა ის — მაღალი, ახოვანი, სახენათელი, უსაშველოდ დიდი შუბლითა და ლომის ფაფარით. თითქოს შეწუხებული სახე ჰქონდა, ნაღვლიანი თვალები, თუმცა არავის არ უყურებდა და არც არაფერს ხედავდა, გარდა

საკუთარი ფიქრებისა. დინჯი ნაბიჯებით ავიდა იგი ხალხთა სამსჯავროს მაღალ ტრიბუნაზე და გაიმეორა ვითომ ამ ას ორმოცდაათი წლის წინ წარმოთქმული წინასწარმეტყველური სიტყვები:

— ერთხელაც იქნება და ბედისწერა დასჯის გერმანელ ხალხს, დასჯის იმიტომ, რომ მან უღალატა თავისთავს და არ სურს იყოს ის, რაც არის. სამწუხაროა, რომ მას არ ესმის მომხიბლაობა ჭეშმარიტებისა; საზიზღარია, რომ იგი გატაცებულია ნისლით, კვამლითა და გულისამრევი არაზომიერებით; სინანულის ღირსია, რომ იგი ემორჩილება ნებისმიერ ჭკუანაკლებ ვიგინდარას, რომელიც თამაშობს მის ქვენა ინსტინქტებზე, აქეზებს მის დანაშაულებრივ მიდრეკილებებს და შთააგონებს პატრიოტიზმი გაიგოს, როგორც რბევა და სისასტიკე...

ხალხთა სამსჯავრო...

„ერთხელაც იქნებაო“, რომ ითქვა, ის დღეც დადგა. მართლმსაჯულების ქალღმერთი თემიდა ჩამოვიდა ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის სხდომათა დარბაზის პორტალიდან და, თავისი სასწორით ხელში, ჩადგა მოსამართლეთა შორის. აპოკალიპსური მითი ჯერაც არყოფილი „საშინელი სამსჯავროს“ შესახებ მაშინვე გაეთამაშა სინამდვილეს, „რამეთუ მოვიდა დღე იგი დიდი რისხვისა მისისა... დათრგუნვად შალალი ბოროტებისა კაცთა ზედა, რომელთაცა აქუნდა ბეჭედი იგი მხეცისა...“

ეს იყო განკითხვის დღის დასაწყისი!.. ჩვენ ვიცით, რომ ის „საშინელი სამსჯავრო“ არ შემდგარა, მაგრამ არც ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მსგავსი რამ მოსწრებია მანამ კაცობრიობას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარმდგარიყო ერთი ერის ათ მილიონამდე წარმომადგენელი, მათი მთავრობა, პარტია, არმიის სარდლობა და სხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციები. ეს აპოკალიპსური მითიც ჩვენს დროში იქცა სინამდვილედ. მართალია, პირველი მსოფლიო ომის შემდეგაც სცადეს მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლება „საერ-

თაშორისო მორალისა და ხელშეკრულებათა წმიდათაწმიდა ძალის უკიდურესი შეურაცხყოფის გამო"; ანტანტის სახელმწიფოებმა სპეციალური ტრიბუნალიც შექმნეს, მაგრამ პროცესი არ შემდგარა. კაიზერმა ვილჰელმ მეორემ ჰოლანდიის სამეფოს შეაფარა თავი, როგორც „საერთაშორისო კონფლიქტის მსხვერპლმა". ფელდმარშალი ჰინდენბურგი, გენერლები ლუდენდორფი და მაკენზენი, ბავარიის კრონპრინცი რუპრეჰტი, ადმირალი ტირპიცი, კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი და სხვები არ გამოცხადდნენ ტრიბუნალში და არც არავის შეუწუხებია ისინი. არც დანარჩენი 890 სამხედრო დამნაშავისათვის დაუდვიათ რამე სასჯელი...

ამჯერად კი, როგორც ჩანს, „გულუბრყვილოებიც" გონს მოვიდნენ და გაიმართა ეს გრანდიოზული პროცესი, რომელსაც მთელმა მსოფლიომ—ისევ იმ ბიბლიური „საშინელი სამსჯავროს" ასოციაციით—„ხალხთა სამსჯავრო" უწოდა. საბჭოთა კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობების შეთანხმებით, ბრალმდებელთა კომიტეტმა პასუხისგებაში მისცა 24 მთავარი სამხედრო დამნაშავე:

1. რაიხსმარშალი ჰ ე რ მ ა ნ გ ე რ ი ნ გ ი,

2. ჰიტლერის მოადგილე 1941 წლამდე რ უ დ ო ლ ფ ჰ ე ს ი,

3. საგარეო საქმეთა მინისტრი ი ო ა ჰ ი მ ფ ო ნ რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი,

4. რაიხსლაიტერი რ ო ბ ე რ ტ ლ ე ი,

5. ფელდმარშალი ვ ი ლ ჰ ე ლ მ კ ა ი ტ ე ლ ი,

6. სახელმწიფო უშიშროების უფროსი ე რ ნ ს ტ კ ა ლ ტ ე ნ ბ რ უ ნ ე რ ი,

7. აღმოსავლეთის ოკუპირებული რაიონების საიმპერიო კომისარი ა ლ ფ რ ე დ რ ო ზ ე ნ ბ ე რ გ ი,

8. პოლონეთის გენერალ-გუბერნატორი ჰ ა ნ ს ფ რ ა ნ კ ი,

9. იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი ვ ი ლ ჰ ე ლ მ ფ რ ი კ ი,

10. გაულაიტერი ი უ ლ ი უ ს შ ტ რ ა ი ხ ე რ ი,

11. ეკონომიკის მინისტრი ვალტერ ფუნკი,

12. გერმანიის საიმპერიო ბანკის პრეზიდენტი იალმარ შახტი,

13. მრეწველი გუსტავ კრუპ ფონ ბოლენ უნდ ჰოლბახი,

14. გერმანიის წყალქვეშა ფლოტის სარდალი, გროსადმირალი კარლ დენიცი,

15. გერმანიის საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი, გროსადმირალი ერიჰ რედერი,

16. „ჰიტლერული ახალგაზრდობის" ყოფილი მეთაური, ვენის გაულაიტერი ბალდურ ფონ შირახი,

17. მუშახელის გამოყენების გენერალური რწმუნებული, გაულაიტერი ფრიც ფონ ზაუკელი,

18. გენერალი ალფრედ იოდლი,

19. პარტიული კანცელარიის უფროსი, რაიჰსლაიტერი მარტინ ბორმანი,

20. ყოფილი ვიცე-კანცლერი ფრანც ფონ პაპენი,

21. ავსტრიის ყოფილი კანცლერი, ნიდერლანდის საიმპერიო კომისარი არტურ ზეის-ინკვარტი,

22. შეიარაღების მინისტრი ალბერტ შპეერი,

23. საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ბოჰემიისა და მორავიის საიმპერიო პროტექტორი კონსტანტინ ფონ ნოირატი.

24. გერმანიის დეპეშათა სააგენტოსა და რადიომაუწყებლობის უფროსი ჰანს ფრიჩე.

გასამართლებულ იქნა აგრეთვე 6 დანაშაულებრივად გამოცხადებული ორგანიზაცია:

1. მთავრობის კაბინეტი,

2. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა,

3. დამცველი რაზმები ამ პარტიისა (SS), უშიშროების სამსახურითურთ (SD),

4. სახელმწიფო საიდუმლო პოლიცია (გესტაპო),

5. ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მოიერიშე რაზმები (SA),

6. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი და უმაღლესი სარდლობა.

ამ სიას გამოაკლდნენ რობერტ ლეი, რომელმაც პროცესის დაწყებამდე სატუსაღოში ჩამოიხრჩო თავი, და გუსტავ კრუპი — მძიმე ავადმყოფობის გამო. მარტინ ბორმანი, როგორც ფიქრობდნენ, მიიმალა და გაასამართლეს დაუსწრებლად. მთავარზე უმთავრესმა სამხედრო დამნაშავეებმა ადოლფ ჰიტლერმა, იოსებ გებელსმა და ჰაინრიხ ჰიმლერმა თვითმკვლელობით სცადეს თავი აერიდებინათ მართლმსაჯულებისათვის, მაგრამ ამაოდ. იურისტები ამბობენ, მკვდრებს არ ასამართლებენო, ლიტერატორები კი იტოვებენ ამის უფლებას. სტენდალი წერს: „არიან მკვდრები, რომელნიც სიკვდილით დასჯას იმსახურებენო“. ასეთები იყვნენ ჰიტლერი, ჰიმლერი, გებელსი, ლეი და მრავალი სხვა, რომელთა გვარები წამდაუწუმ ისმოდა ხალხთა დიდ სამსჯავროში. არც თემიდას თვალებს გამოპარვია მათი დანაშაული. იგი განსასჯელთა სკამზე სვამდა ყველას, ვისაც რამე ბრალი მიუძღოდა ამ კატასტროფულ ბოროტმოქმედებაში. ამით ხალხთა სამსჯავროს მასშტაბები იმდენად გაიზარდა, რომ მე მის წინასწარ მოსახაზავად ისევ მითიურისა და ნამდვილის გადაჯვარედინების ხერხს მივმართავ, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას მშვენიერ ალეგორიას...

...გახსოვთ? მოთხრობაში „საახალწლო სიზმარი“ როგორ აგვიწერს ის თავის „მამაპაპურ“ დარბაზს, რომლის გამჭვარტლული კედლები, უზარმაზარი მუხის ბოძები და დიდი თავხე გონების ძალით ჯერ კიდევ სუსტად განათებული ქვეყნის ალეგორიას წარმოადგენს! მერე ამ დარბაზში ზღაპრული სილამაზის ქალი შემოდის — ჭეშმარიტების უმაღლესი სახე, ბუნების ხილული მშვენიერება, იდეალურის მარადქალური გამოსახულება, თვით ვაჟას შინაგანი მისწრაფება, მისი რწმენა, იმედი და სასოება.

— ღმერთო, რა ვნახე, რა იყო ის სულ-კურთხეულის გაჩენილი! — წამოიძახებს ვაჟა: — ღმერთი იყო, სწორედ ანგელოზი იყო, არ ვიცი რა იყო... ქალი იყო, ძველი კაბა ეცვა, ფეხშიშველი, მაგრამ ლამაზი. სამოთხე გარდაქმნილიყო

ქალად და მოვიდა ჩემთან. მკერდი ნახევრამდე გადაღეღილი ჰქონდა, ზედ ია და ვარდი ჰყვაოდა. იმის თვალებშიც ღმერთებს დაესადგურებიათ, დიდი იკეანე იმის თმად ქცეულიყო, მთელი ჩვენი პლანეტი — იმის სახედ.

ასე ჰიპერბოლურად წარმოიდგინა ვაჟამ მთელი ქვეყნის სიკეთე და მშვენიერება (დიდი რგოლი) ლამაზი ქალის სახით (მცირე რგოლი), რასაც გოეთე უწოდებდა „იდეის ხილულობას სახეში". ვაჟასთვის ის რწმენის იდეალი, მომავლის იმედი, არსებობის აზრი და ნუგეშის წყარო იყო. მერე იმ „პლანეტარული მშვენიერების" შემცველი ქალი. ანუ მარადქალურის გოეთესებური იდეალი, „თითქოს თაფლი იღვრებაო", ისე მსუბუქად დაჯდა ცაცხლის პირას სამფეხა ჩიკა სკამზე და „ლამაზი, სანთელივით ანთებული თითები მიაპყრო მოგიზგიზე ცეცხლს".

— ათასი საუკუნე რომ ერთმანეთს გადაბმოდა, მაინც ვერ გაძღებოდა კაცი იმის ცქერით, — ამბობს ვაჟა და განაგრძობს ალეგორიას...

იმ ქალის შემოსვლა და... ის ჩაბნელებული დარბაზი უცებ განათდა, გადიდდა და თითქოს მთელ ქვეყნიერებად იქცა...

— როგორ დამშვენდა, როგორ ტურფა შეიქმნა მაშინ ჩემი ჭვარტლიანი დარბაზი, — ამბობს ვაჟა, — იმაზე კარგს სად რასა ჰნახავდი, ცოდვილო ადამიანის შვილო...

ასე წარმოიდგინა მან ბუნების საიდუმლოების ხილული სახე, მისი რწმენისა და იმედის სიმბოლო.

გოეთეც ხომ მითიური ელენეს აჩრდილს მოუხმობდა ამისთვის და ამბობდა, ბუნება თავის საიდუმლოებას მშვენიერების სახით ცხადყოფსო...

ვაჟას გამჭვარტლული ქოხის გაჩირაღდნებულ დარბაზად ქცევაც ამისი ალეგორიაა...

...ქალღმერთ თემიდას შემოსვლამდე ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის სხდომათა დარბაზი, სადაც პროცესი მიმდინარეობდა, ისევე სანახევროდ ჩაბნელებული იყო, როგორც ვაჟას მამაპაპური ქოხი. ამერიკელებმა, რომელნიც იქ

მასპინძლის როლს ასრულებდნენ, მართლაც სცადეს რელიგიური „საშინელი სამსჯავროს“ გათამაშება. დადგმაც ბიბლიური ხასიათისა იყო, „დეკორაციებიც“. მთავარი სამხედრო დამნაშავენი მოათავსეს ციხეში, რომელიც გვირაბით უერთდება ნიურნბერგის იუსტიციის სასახლეს. ამის შემდეგ ამერიკელებმა იუსტიციის სასახლის საკნებში, დერეფნებსა და დარბაზში ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე ამოქოლეს ყველა ფანჯარა და მძიმე ფარდები ჩამოკიდეს, რომ მსჯავრდებულებს უკვე არასოდეს არ ეხილათ მზის სინათლე, ანუ „მთიებნი აღმობრწყინებულნი“, „რაჲთა არა მოიძიონ იგინი უფალმან ზეგარდამოჲთ, არცა რაჲთა მოვიდეს მათ ზედა ნათელი, და რაჲთა შეიპყრნეს იგინი ბნელმან და აჩრდილმან სიკუდილისამან“...

ამის გამო მთელი ათი თვის განმავლობაში პროცესი ელექტროშუქზე მიმდინარეობდა. მიზანსცენაც თავისებურად იყო დაწყობილი. სხდომათა დარბაზში გარდა ერთი კარისა, რომლის პორტალზედაც ის თვალებახვეული თემიდა იდგა, ყველა დანარჩენი გაუქმებულ იქნა. ამ ერთი კარით უნდა შემოსულიყო და გასულიყო ყველა, ვინც მართლმსაჯულებას ემსახურებოდა ან მისი მახვილის სიმძიმეს მოელოდა: ვითომ იმის ნიშნად, რომ სამართალს სხვა გზა არა აქვს, გარდა ერთისა, არც ბედისწერას ადამიანისას!..

...ასე დაიწყო მითების თამაში სინამდვილესთან. მერე ის თემიდა წამოდგა და გონების თვალი მოავლო იქაურობას.

დარბაზი მყისვე განათდა, ისე როგორც ვაჟას მამაპაპური ქოხი. კედლებმაც განზე გაიწიეს, ჭერიც ამაღლდა და ამ დარბაზმაც „მთელი ქვეყნიერება“ მოიცვა. თვალახვეულ თემიდას წინაშეც მთელი მსოფლიო, ანუ, ისევ ვაჟას ენით რომ ვთქვათ, „მთელი პლანეტი“ გადაიშალა. პროცესმაც მაშინვე დაკარგა რეალური განზომილებანი და რაღაც მითიურ უსასრულობაში გადაიზარდა. გონების თვალი გაჰყვა ამ უსასრულობას და იმ 21 მთავარ სამხედრო დამნაშავეთა შორის, რომელთაც თავზე თეთრმუზარადებიანი სამხედრო პოლიციელები ადგნენ ხელკეტებით, დაინახა ათ მილიონამდე

კიდევ სხვა — იმ ექვსი დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, მეთაურები და აქტიური ფუნქციონერები, რომელთაც ამავე პროცესზე ასამართლებდნენ. აქვე გამოჩნდნენ ისინიც, ქმრებსა და შვილებს რომ სწერდნენ ფრონტზე: „ვილი ძვირფასო, გამომიგზავნე სურათები, როგორ ხოცავ პარტიზანებს“. არც ისინი დარჩნენ შორს, საკონცენტრაციო ბანაკებში დახოცილთა ტანსაცმელს რომ ინაწილებდნენ და, სისხლს თუ შენიშნავდნენ, საჩივრებს გზავნიდნენ, რატომ წინასწარ კარგად არ წმენდენო. მსჯავრს ვერც ის „სინდისისა და პასუხისმგებლობისაგან“ გათავისუფლებული გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები ასცდნენ, დაპყრობილ ქვეყნებში რომ აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას... და კიდევ, ვინ იცის, რამდენი მილიონი იტაცებდა თავზე ხელს, ვინმეს რომ უფრო ხმამაღლა დაეძახა, დამნაშავეებს ქუდი ეწვითო.

ეს კიდევ არაფერი. მერე ბრალდებულთა უკან გამოჩნდა 50 მილიონამდე მსხვერპლი ამ ომისა და ორი ამდენი ჩამქრალი თვალით მიაჩერდა იმათ, ვინც მოწოდებული იყო მსჯავრი დაედო დამნაშავეებისათვის.

როგორც ხედავთ, აქაც გაცოცხლდა აპოკალიპსური მითი საშინელი სამსჯავროს შესახებ, სადაც გამოჩნდნენ „სულნი იგი მოკლულთანი წამებისათუის იესოჲსა და სიტყუისათუის ღმრთისა, და რომელთაცა არა თაყუანის-სცეს ხატსა მას მხეცისასა და არცა მიიღეს ბეჭედი მისი შუბლთა ზედა, ანუ ხელთა მათთა“...

ეს — მხოლოდ ისინი, ვინც ომმა შეიწირა, და ვინ იცის, მათ გვერდით კიდევ რამდენი ასეული მილიონი ჭირისუფალი იდგა — მშობლები, შვილები, დები, ძმები, ნათესავები, ნაცნობები და მეგობრები, რომელნიც მოითხოვდნენ მართლმსაჯულებას, იქნებ შურისძიებასაც!

მოსამართლეებს შორის ჩადგა ყველა, ვისაც ოდესმე სამართლის კვერთხი აღუმართავს. იარუსზე კი 250 კორესპონდენტთან ერთად იყო დანარჩენი მსოფლიო, რომელიც ინტერესით ადევნებდა თვალყურს პროცესის მიმდინარეობას და ფიქრობდა თავის მომავალზე...

...არც ესაა ყველაფერი. მერე რომ ამ ომის მსხვერპლნი... ერთბაშად წამოიმართნენ და ჰკითხეს ცოცხლებს: თქვენ სად იყავით, როცა ეს ამბები ხდებოდაო, ვინ იცის, კიდევ რამდენმა მილიონმა იგრძნო თავი სამსჯავროს წინაშე, იურიდიულისა თუ არა, მორალურისა მაინც.

ძველი რომაელები ამბობდნენ: სადაც კანონი არ სჯის, სინდისი სჯისო. თემიდას თვალებს არც ეს გამოეპარება. ის კარგად არჩევს იმათ, ვინც იმთავითვე აფრთხილებდა ყველას, რომ ჰიტლერი ომია, და ამ ომშიც უდიდესი მსხვერპლი გაიღო, რათა კაცობრიობა ეხსნა ყავისფერი ჭირისაგან. მაგრამ მის თვალებს ვერც ისინი ემალებიან, წლების მანძილზე რომ ხელს უმართავდნენ, აიარაღებდნენ და აქეზებდნენ ჰიტლერს. ყველამ კარგად იცის, რომ იყო მიუნჰენი და ისიც რამდენი!

ახლაც ასეა. გუშინ დამხობილები დღეს რევანშისათვის ემზადებიან. თავიანთი ჰიტლერელი წინამორბედების მსგავსად ისინიც ამბობენ, რომ არ შეწყვეტენ სამშობლოს საზღვრების გაფართოებაზე ფიქრს, „ვიდრე გერმანელ დედებს კიდევ შეეძლებათ შობონ შვილები“.

ეს იგივეა, რაც იყო. დამცველებიც იგივენი არიან. რევანშისტებსაც გამოუჩნდათ თავიანთი მიუნჰენელი ჩემბერლენები და დალადიეები, რომლებიც ფიქრობენ, ისევ ერთი თაობა წამოიზარდა ომისათვისო. როგორც ჩანს, კვლავ მილიონები უნდათ გაგზავნონ მათთვის სასურველი მომავლის სამსხვერპლოზე. იმაზე კი არ ფიქრობენ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარს ვალად რომ აძევს გამოისყიდოს პირველი ნახევრის დანაშაული. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ნიურნბერგელ მოსამართლეებს. ამიტომ იყო, რომ ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა გაიხსენა პროცესზე „ახალი აღთქმის“ სიტყვები:

— ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ. რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ.

სხვებმაც თქვეს:

— თუ როგორ გავასამართლებთ ამათ, ჩვენც ისე გაგვასამართლებსო ისტორია...

ასეც მოხდება, მაგრამ ვინ იცის, მაშინ ვინ იქნება ვისი მსაჯული:

„ძალმომრეობის კანონი
დღეს ერთისაა, ხვალ სხვისა“. — ამბობს აკაკი...

...ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა ამ, ისტორიაში ჯერ არნახულ პროცესს სრულიად მარტივი და ადვილად გასაგები მოდუსი მოუძებნა. ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა თქვა კიდეც:

— საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ზოგადი ამოცანა მარტივია, იგი სულ სამი პუნქტისაგან შედგება:

1. ადგილი ჰქონდა თუ არა მოქმედებას, რაც ტრიბუნალის წესდებით განმარტებულია, როგორც დანაშაულებრივი.

2. არის თუ არა ეს მოქმედება შედეგი საერთო გეგმის, ანუ შეთქმულებისა.

3. არიან თუ არა ბრალდებულები იმათ რიცხვში, ვინც ამაზე სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს.

სწორედ რომ ს ი ს ხ ლ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა! ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ წინასწარ, თორემ ზოგს ჰგონია, ნიურნბერგში დამარცხებული გერმანიის ნაცისტ ხელმძღვანელებს მათი პოლიტიკური იდეების გამო ასამართლებდნენ გამარჯვებული სახელმწიფოები. ამის შესახებ თავიდანვე გარკვევით განაცხადა იმავე ჯეკსონმა:

— ჩვენ მათ იდეების გამო არ ვასამართლებთ. ბრალდებულებს უფლება აქვთ, თუ ეს სურთ, ჩირქი მოსცხონ იუდეველთა შენაძენს ცივილიზაციის ისტორიაში, რომლის ნაწილად ერთ დროს თვითონ გერმანიაც ითვლებოდა. ამის გამო მათ საერთაშორისო ტრიბუნალს არ გადასცემდნენ, რომ სახელმწიფოთა საზღვრები არ გადაელახათ...

და სხვა ისეთი დანაშაული არ ჩაედინათ, რაც ჩამოყალიბებულია ტრიბუნალის წესდების ქვეთავში: „იურისდიქცია და საერთო პრინციპები“ (განყ. II, სტატია 6).

ამავე ტრიბუნალის იურისდიქციით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენენ და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას იწვევენ შემდეგი ქმედობანი ან რომელიმე მათგანი:

ა) დანაშაული მშვიდობის მიმართ, სახელდობრ: დაგეგმვა, მომზადება, დაწყება თუ წარმოება აგრესიული, ან კიდევ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დამრღვევი ომებისა; აგრეთვე საერთო გეგმასა, ან შეთქმულებაში მონაწილეობა, რაც მიმართულია რომელიმე ზემოაღნიშნული მოქმედების განხორციელებისაკენ.

ბ) სამხედრო დანაშაულობანი, სახელდობრ: ომის კანონებისა და ჩვეულებათა დარღვევა, რასაც მიეკუთვნება ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის მკვლელობა, წამება, მონებად ან სხვა რამ მიზნისათვის წაყვანა; სამხედრო ტყვეების ან ზღვაზე მყოფ პირთა მკვლელობა ან წამება, მძევალთა დახოცვა; საზოგადოებრივი ან კერძო ქონების ძარცვა; ქალაქებისა და სოფლების უაზრო ნგრევა-განადგურება სამხედრო აუცილებლობის გარეშე და სხვა დანაშაულობანი.

გ) დანაშაულობანი ადამიანურობის მიმართ, სახელდობრ: სამოქალაქო მოსახლეობის მკვლელობა, დახოცვა, დამონება, გადასახლება და სხვა სისასტიკე, ან კიდევ დევნა პოლიტიკური, რასიული, თუ რელიგიური მოტივებით, ისეთი დანაშაულის განსახორციელებლად (ან მასთან დაკავშირებით), რომელიც ექვემდებარება ტრიბუნალის იურისდიქციას, იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა ეს ქმედობა ქვეყნის შინაგანი წესების დარღვევა.

ხელმძღვანელები, ორგანიზატორები, წამქეზებელნი და ხელისშემწყობნი, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ რომელიმე ზემოთ აღნიშნული დანაშაულობის დაგეგმვასა ან შესრულებაში, პასუხს აგებენ ყველა ქმედობაზე, რაც ჩადენილია ამა თუ იმ პიროვნების მიერ ასეთი გეგმის განხორციელების მიზნით.

სასიამოვნო ბრალდებანი...

ტრიბუნალის წესდების ამ პუნქტებში ნათლადაა ჩამოყალიბებული მთელი იმ ათასი ფუთი ბრალდების შინაარსი, რაც მთავარ სამხედრო დამნაშავეებს წაუყენეს ნიურნბერგის

პროცესზე. ამით ყველასათვის ცხადი გახდა, თუ რა პათოლოგიური სიამაყით ახორციელებდნენ ისინი მათ მიერ „ახალი წარღვნის“ სახით დასახულ ამოცანებს.

იმავე წესდების მიხედვით ტრიბუნალი მტკიცების გარეშე მხედველობაში არ იღებდა არც ერთ .დანაშაულებრივ ფაქტს. ყველაფერი უნდა წარდგენილი და დასაბუთებული ყოფილიყო. რაც პროცესის მიმდინარეობის დროს არ იქნებოდა თქმული და დადასტურებული, ბრალდებად არ ითვლებოდა. ამიტომ იყო, რომ ყველაფერმა, რაც მოხდა, ხელახლა კალეიდესკოპივით გაიარა პროცესის მონაწილეთა თვალწინ. ამას დიდი დრო მოუნდა: მოსამზადებელი პერიოდის გარდა — ათი თვე! ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა 212 სხდომა, შედგა 16 ათასი თაბახი ოქმი, ჩაიწერა 27 ათასი მეტრი ფირი, გადაღებულ იქნა 7 ათასი ფოტოფირფიტა, გამოქვეყნდა 5390 დოკუმენტი, დაიკითხა ათასამდე მოწმე... და მიუხედავად ამისა ის პროცესი დღემდე არ დამთავრებულა. ცხადია, ამას იურიდიული თვალსაზრისით კი არ ვამბობ, არამედ ისტორიულით. ამ მხრივ კი ბევრი რამ დარჩა გაურკვეველი, თუნდაც „უბრალო“ საკითხი: როგორ გახდა ყველაფერი ეს შესაძლებელი მეოცე საუკუნეში, ცივილიზაციის თანამედროვე დონეზე, ევროპის შუაგულში, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ ქვეყანაში?

ამ საკითხზე პროცესის შემდეგაც უამრავი წიგნი დაიწერა, მაგრამ ის კითხვის ნიშანი მაინც დარჩა. ძიება დღესაც გრძელდება. ზოგიერთი ისტორიკოსი იმასაც წერს, რომ ნიურნბერგში „ნამდვილი დიალოგი“ არც შემდგარა, რადგან „ბრალმდებლები და ბრალდებულები სულ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ“. ან სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა „ბრალდებულებს ადამიანური კანონებით ასამართლებდნენ, მაშინ როცა მათი მოქმედება სრულიად არაადამიანური ხასიათისა იყო“.

ამისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემსავით არასპეციალისტისათვის მართლაც იყო რაღაც პარადოქსული პროცესის მიმდინარეობაში... ძე მაშინაც მიკვირდა, მთავარ სამხედრო დამნაშავეებს ისეთ რამეს რომ „აბრალებდნენ“, რითაც მათი

ფიურერი და თვითონ ისინიც ამაყობდნენ კიდეც. მე კი არა, ჩემზე უფრო საქმეში ჩახედული ხალხი იყო გაოცებული: რად უნდა ამას ამდენი მტკიცება, როცა ყველაფერი ისედაც ცხადიაო. ახლა, რასაკვირველია, მეც მესმის, იურიდიული თვალსაზრისით რომ ეს აუცილებელი იყო, მაგრამ მაშინ როგორც ლიტერატორს მაინც მიკვირდა, მთავარ სამხედრო დამნაშავეებს საშინელ, მაგრამ სინამდვილეში მათთვის მაინც სასიამოვნო ბრალდებებს რომ უყენებდნენ. მართალია, ეს პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ასე კი იყო.

ბრალმდებლები დიდძალი ფაქტიური და დოკუმენტური მასალით ამტკიცებდნენ, რომ „ისინი ბარბაროსებია". მერედა ამას, მართლაც, რა მტკიცება უნდოდა, როცა თვითონ ჰიტლერი ამბობდა: „დიახ, ჩვენ ბარბაროსები ვართ და კიდევაც ვამაყობთ ამით". ჰუმანიზმის მტრები არიანო, ღაღადებდნენ ბრალმდებლები. მერე რა! განა ისინი როდისმე აცხადებდნენ თავს ჰუმანისტებად?! პირიქით: „როცა მე მესმის სიტყვა ჰუმანიზმი, მზად ვარ რევოლვერზე ვიტაცო ხელი",— იმეორებდა ჰიტლერი ვიღაცის მიერ ადრევე თქმულ სიტყვებს.

მერე ცივილიზაციაც ახსენეს, ნაცისტურ დოქტრინებთან სრულიად შეუთავსებელიაო. ჰიტლერს ამაზედაც ჰქონდა მზა პასუხი: „სულაც არ მენაღვლება, რას იტყვის ჩემზე ევროპის დაჩაჩანაკებული ცივილიზაცია".

გერინგსაც კი სინდისზე ხელის აღებას „აბრალებდნენ", ვითომ ეს მართლაც ბრალდება ყოფილიყო მისთვის. ხომ გახსოვთ, თვითონ რომ თქვა: „მე არა მაქვს სინდისი, ჩემი სინდისი ადოლფ ჰიტლერიაო". თავის მხრივ კი ადოლფ ჰიტლერიც ტრაბახობდა: „მე ვათავისუფლებ კაცობრიობას ისეთი ქიმერისაგან, რომელსაც სინდისი ეწოდება".

არც „მილიონობით უდანაშაულო ადამიანების დახოცვა" ჟღერდა მათთვის დანაშაულებრივად... მერე რა, ჩინგისხანმა უფრო მეტი დახოცა, მაგრამ ისტორია მასში მაინც უდიდესი იმპერიის შემქმნელს ხედავსო... მერე, როგორც ვიცით, ღმერთსაც მიადგნენ, რომ „ახალი წარღვნის" ღვთაებრივი კურთხევა მიეღოთ.

ამით მართლაც შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს პროცესზე მხარეები რაღაც პარალელურ ხაზებზე მისრიალებდნენ. ასეთი ხაზები კი, მოგეხსენებათ, ერთმანეთს არ ხვდებიან, კონტაქტი არ ხდება; და შეიძლება ამიტომაც წერენ, „ნამდვილი დიალოგი“ არც შემდგარაო...

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არც ასეა საქმე, მაგრამ მაშინ მიღებული შთაბეჭდილებაც არაა მთლად უსაფუძვლო. ის კი არა, იქნებ იურისტებს გაეცინოთ ამაზე, მაგრამ მაინც ვიტყვი: იმ პროცესზე ჰიტლერელების უმთავრეს დანაშაულზე თითქმის არაფერი თქმულა. ისე, რომელიღაც ბრალმდებელმა თქვა გაკვრით, მათ დათრგუნეს სული ადამიანისაო. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი! ისტორიამ კი გვიჩვენა, რომ სწორედ ესაა მათი მთავარი დანაშაული. იმ პროცესის შემდეგ სულ რაღაც ოცი წელი გავიდა. ფიზიკური ჭრილობები მოშუშდა... ნანგრევებიდან ახალი ქალაქები წამოიმართა, სოფლები ისევ გაშენდა, სანგრები და საფლავები ბალახითა და ყვავილებით დაიფარა... საკონცენტრაციო ბანაკები მუზეუმებად გადაკეთდა... მაგრამ კაცობრიობისათვის მაშინ მიყენებული სულიერი ჭრილობები დღესაც არ შეხორცებულა... და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაჰყვება ის საშინელი ამბები ჩვენს ფიქრსა და ოცნებას... ყველას ნებისყოფამ როდი გაუძლო ბოროტების იმ ზღაპრულ ძოძალებას. მაშინდელი ამბებით გამოწვეული სულიერი დეპრესია დღემდე კოშმარებად აწევს კაცობრიობის აზროვნებას, ლიტერატურას, ხელოვნებას... და, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეს კოშმარული ქაოსი, რაც ხელოვნებასაც აიძულებს უარი თქვას ჰარმონიის მშვენიერებაზე... ფერები და ფორმები ერთმანეთში ირევა... ჩნდება პიკასოს „გერნიკა“, სალვატორე დალის „სამოქალაქო ომი“... იაპონელი ირი და ტოსიკო მარუკების უზარმაზარი პანო „ხიროსიმა“...

მერე ადამიანის გონებას თითქოს სიგიჟის ფრთები შეეხო, დაიწყო აზრის პაროქსისტული კრუნჩხვა... რაღაც გაიბზარა, გატყდა... ფორმა და სახე დაიკარგა... გამეფდა ნისლი და ბუნდოვანება... „შეუქმნელობის ბნელი“ და „წარმოშობა-

თა ქაოსი“, რასაც უკიდურესი სასოწარკვეთა მოჰყვა... ისტერია...

...ძახსოვს, იმ დღეს პროცესზე რომ შემოიტანეს „ძვალსამტვრევი მანქანა“, პატიმრების ქონისაგან დამზადებული საპონი, ცოცხალი ადამიანის ტყავისაგან გაკეთებული ნივთები: აბაჟურები, ხელჩანთები. საფულეები და სხვა. მდივანმა ქალმა ვერ აიტანა და იკივლა. მთარგმნელ გოგონას გული შეუღონდა... ბრალდებულთაგან ზოგმა თავი ჩაღუნა, ზოგმა შავი სათვალე აიფარა, პაპენმა და შახტმა ზურგი შეაქციეს დარბაზს... ამერიკელმა ბრალმდებელმა კი ხელში ლექსების წიგნი შეათამაშა და თქვა:

— აი, ლირიკული ლექსების კრებული, რომლის ყდაც ცოცხალი ადამიანის ტყავისაგანაა გაკეთებული...

ახლა ჩემ გვერდით მჯდომმა ფრანგმა პოეტმა, რომლის შესახებაც შემდეგ გიამბობთ, ვერ მოითმინა, ფეხზე წამოხტა და ისტერიულად იყვირა:

— სალუტ ცივილიზაციას, სალუტ!..

სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო, თვალები უზომოდ გაფართოებოდა და ბნედიანივით ცახცახებდა. ვეცით, რომ გარეთ გაგვეყვანა... გაგვიძალიანდა, ყელსახვევი ჩამოიგლიჯა და ერთხელ კიდევ შესძახა:

— სალუტ!

ძლივს გავიყვანეთ, გარეთაც ბორგავდა და ყვიროდა:

— უნდა ვაღიაროთ! სხვა გზა არ არის, უნდა ვაღიაროთ!

ჯერ მის სიტყვებს ყურადღება არ მივაქციეთ, მერე ისევ რამდენჯერმე წამოიყვირა:

— თუ ასეა, უნდა ვაღიაროთ!

— რა უნდა ვაღიაროთ? — ჩავეკითხე მე.

თითქოს მის დაძაბულ სხეულს ერთბაშად ძვლები გამოეცალაო, ისე მოეშვა, მოდუნდა და ჩვარივით დაეცა სკამზე. მერე თვალებზე ხელები აიფარა და უფრო გაგუდული ხმით თქვა:

— უნდა ვაღიაროთ:

— რომ ქვეყანა შეიშალა,

— რომ ბრძოლა უაზროა,

— რომ სიკეთე შეუძლებელია,

— რომ ყველაფერი დამთავრებულია და...

— რომ ჩვენც მალე. მგლებივით დავიწყებთ ყმუილს!..

მერე სული მოითქვა, გარშემო უაზროდ მიიხედ-მოიხედა და სულ მთლად გაგუდული ხმით დაუმატა:

— მაშინ მეც ცოცხალი ადამიანის ტყავისაგან დაწნულ სიმებს გავუბამ ჩემს ჩანგს, დავჯდები რომელიმე საკონცენტრაციო ბანაკის კრემატორიუმის წინ და ყოველდღე თითო საზიზღარ ლექსს შევაფურთხებ კაცობრიობას...

....სასოწარკვეთილთა ასეთივე პანიკური ხმები გაისმოდა მაშინ მთელ ევროპაში:

— ადამიანი გაკოტრდა!

— პიროვნება უახლოვდება არაფერს!

— კაცობრიობა კატასტროფული სისწრაფით მიექანება უფსკრულისაკენ!

— ქვეყანა ჯერ საგიჟეთად იქცევა, მერე — კრემატორიუმად!

— ყველაფერი უაზროა!

— ჩვენი სიღრმე უფსკრულია!

— რაკი სიკვდილი აუცილებელია, რა საჭიროა დროსთან ვაჭრობა?

— ქვეყანაზე ისეთი არაფერია, რაც ზიზღით არ დაიძლევა!

— მივენდოთ ცხოვრების ულმობელ სისასტიკეს!

— თუკი არაფრის გაკეთება არ შეიძლება, რა საჭიროა შეშლილობამდე მივიდეთ?

— დინოზავრებს წინააღმდეგობას არ უწევეი, ქალიშვილო!

— ცოცხალი ძაღლი სჯობია მკვდარ ლომს!

— რისთვის ვიცხოვროთ? — კითხულობდა სასოწარკვეთილი.

—„სისხლი, იავოს სისხლი“! — ყვიროდა შურისმაძიებელი!

— „ელოდეთ წარღვნას ან სასწაულს!“ — ქადაგებდა „წინასწარმეტყველი“.

— ემზადეთ... მოსამზადებლად... ემზადეთ, რომ მოემზადოთ მოსამზადებლად... ემზადეთ, რომ მოემზადოთ მომზადებულად... ემზადეთ... და ასე შემდეგ, — ლოცულობდა ყველაფერზე ხელჩაქნეული.

— დადუმდა ჩვენში მუსიკა, რომლის ჰანგზე ძლივს ფეთქავდა სიცოცხლე, მორჩა და გათავდა. ახალგაზრდული სული მოკვდა სადღაც, ქვეყნის დასასრულთან, ჭეშმარიტების ძიების ხანგრძლიობაში, — წერდა ის, ვინც სიკვდილსაც ნისიად არიგებდა...

— კაცობრიობა გადაგვარდა, ადამიანი ნთქავს თავისივე წინაპრების ტვინს, — ყვიროდა ცინიკოსი და ასეთ ამაზრზენ სურათს ხატავდა:

ფეშენებელური რესტორანი... რჩეული საზოგადოება... მილიონერები და მათი ხასები... ბატონები და ქალბატონები... ოქრო და ვერცხლი... ფარჩა და სიასამური... თანამედროვე კულინარიის საოცრება და შადრევანი შამპანურების... ბოლოს კი...

დელიკატესი!..

ვერცხლის სამფეხებზე გაკრული ცოცხალი მაიმუნები, კისერზე ვერცხლისავე მარყუჟშემოჭერილნი და თავზე ტყავგადამძვრალნი... ვერცხლის პაწია ჩაქუჩები და კოვზები... ნატიფი მოძრაობანი... ჩაქუჩების რაკუნი მაიმუნების შიშველ თავის ქალაზე... ძვლების ყრუ მტვრევა... პატარა კოვზები და...

ცივილიზებული კაცობრიობა მადიანად შეექცევა თავისი შორეული წინაპრების თბილ ტვინს...

...ნუთუ ევროპის ცივილიზაცია არ აგებს ამაზე პასუხს?! — წამოიძახა პროცესზე ინგლისელმა ბრალმდებელმა.

ყოველივე ეს დამფრთხალი გონების დაბნეულობის შედეგია — მოთქმა იმათი, ვისთვისაც ბოროტება ბუნებაა ადამიანისა და არა თვისება, ყველა დამნაშავეა და ცოდვილი. ადამიანში ჯერაც არ არის დაძლეული ველური. არც არასო-

დეს დაიძლევა, რადგან ეს ბუნებაა მისი. ყველა ერთნაირია, შესაფერ გარემოში ყველა გამოაჩენს თავის მხეცურ ინსტინქტებს. თავისთავად არც სიკეთე არსებობს და არც ბოროტება. ამას ადამიანები ქმნიან. სიკეთე ფარისევლობაა, ნიღაბი; ბოროტება — არსი! ამიტომ:

— ყველა ბოროტია!

— ყველა დამნაშავეა!

— ყველა ცოდვილია!

— ყველა აგებს პასუხს!

— ყველა უნდა დაისაჯოს!..

...არა, მე არ მომიკლავს ქრისტე! არ მომიკლავს!..—უმტკიცებს გამვლელ-გამომვლელთ ის საცოდავი ბავშვი, ისინი კი ისევ სდევნიან და უყვირიან მას:

— ჯვარს აცუ ეგე!.. ჯვარს აცუ!.. მაგან მოკლა ქრისტე!..

თვითონ კი ამაყად დადიან და ჯიბეში იმ 30 ვერცხლს აჩხრიალებენ, იუდამ რომ მიიღო ქრისტეს დასმენის საფასურად. ეს მათ მოიგონეს ზღაპარი „მარადიული ცოდვის“ შესახებ. რომ საყოველთაოში დაფარონ საკუთარი დანაშაული ან გაამართლონ ის როგორც აუცილებლობა და თქვან:

— არა არს კაც, რომელიცა იყუნეს და არა სცოდოს!

ამ ზღაპარსაც თავისი ლოგიკა აქვს: პირველმა ადამიანმა სცოდა და ეს ცოდვა აწევს ყველა თაობას. ბოროტება ისევე აუცილებელია, როგორც სიკეთე. ყველაფერი სიტუაციაზეა დამოკიდებული. კეთილი თუ ხარ, შეიძლება ბოროტიც იყო, ანდა პირიქით. დამნაშავეც იგივეა, რაც უდანაშაულო. დღეს თუ ბრალმდებელს გეძახიან, ხვალ ბრალდებულს დაგიძახებენ. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ჯალათიც იქნები და მსხვერპლიც, პატიოსანიცა და არამზადაც. ასეც შეიძლება და ისეც...

ამაშია პარადოქსი ადამიანური არსებობისა, რასაც ასეთი შინაგანი იუმორითა და ალეგორიით გამოხატავს სარტრი თავის პიესაში—„ოთხ კედელს შუა“...

...გარსენი სასტუმროში შევიდა და პორტიეს კბილის ფუნჯი სთხოვა. არა გვაქვსო, უთხრა პორტიემ. გარსენმა ახ-

ლა სარკე ითხოვა, არც სარკე გვაქვსო, უთხრეს და იგი გაბრაზებული წავიდა თავის ნომერში. პორტიემ მხრები აიჩეჩა და გაიკვირვა:

— გადასარევია, რად უნდა ამ კაცს აქ კბილების წმენდა?!

თურმე ყოფილმა ჟურნალისტმა გარსენმა არც იცის, რომ ის-უკვე მკვდარია, დახვრეტილი, როგორც დეზერტირი. ახლა იგი ჯოჯოხეთშია, მაგრამ აქაურობა თურმე ისე ჰგავს იმქვეყნიურ ცხოვრებას, რომ ვერც ამჩნევს ამას.

ნომერში რომ შევიდა, ნახა ოთხი უფანჯრო კედელი და ერთი კარი, რომელიც არსად არ გადის. სარკე არც აქაა, რომ „შეიმეცნოს თავისი თავი“ და გაიგოს ვინ არის, თორემ ისიც არ იცის, აქ რატომაა, მარტოა, თუ სხვებიც არიან. თვითონ კი უნდა, რომ მარტო იყოს, რათა გაერკვეს საკუთარ არსებობაში, მაგრამ ჩნდება მეორე — ინესი, ისიც დამნაშავე, საკუთარი ბავშვის მკვლელი, თანაც ისეთი, კაცები კი არა, ქალები რომ უყვარს. მერე კიდევ ერთი გამოჩნდება: მესამე — ესტელი, ქარაფშუტა როსკიპი, რომელსაც, პირიქით, ქალები კი არა, კაცები უყვარს და თავი გაზით მოუწამლავს.

ოთახში ახლა სამნი არიან. ერთად, თუ ცალ-ცალკე, ეს სულერთია. არც ის იციან, შემთხვევითია მათი ერთად ყოფნა, თუ კანონზომიერი. ეს არც გარსენმა იცის, არც სხვებმა, რადგან ისინი მართლა სხვებია, ე. ი. სამი ერთი და ორი სხვა: გარსენისათვის — ინესი და ესტელი, ინესისათვის — ესტელი და გარსენი, ესტელისათვის — გარსენი და ინესი. ყველა მათგანს უნდა მარტო იყოს. მაგრამ მარტოობას მხოლოდ მაშინ შეუძლია მარტო ყოფნა, როცა მარტო იქნება. თუ მეორეა, მარტოობა გაქრება და გაჩნდება სხვა, ხოლო თუ მესამეც — სხვები.

ნომერში ახლა ერთი „მარტოობაა“ და ორი „სხვა“. იმ ერთს ორის შემოხედვა აწუხებს, რადგან მარტო თავისთვის კი არ არის, არამედ სხვებისთვისაც, როგორც სხვების სხვა. ე. ი. ყველა სხვაა სხვისთვის. არც ერთმა „სხვამ“ არ იცის თვითონ რაა. ამისათვის სარკეა საჭირო, სარკე კი არ არის, სამაგიეროდ არის მეორე, რომელიც შეიძლება სარკეც იყოს. ყველას აინტერესებს როგორია ის მეორის სარკეში. უნდათ

კიდეც სხვებში თავიანთი თავი დაინახონ, მაგრამ ერთის ფიქრი მეორის თავში იწყებს ხმაურს, მეორისა მესამეში, ხოლო მესამისა პირველში და ასე — ყველაფერი ყველაფერში. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება მათ შორის კავშირი დამყარდეს.

ესტელს უნდა გარსენის ყურადღება მიიპყროს. აბა, რა ქნას? სხვა გზა თუ არ არის, ერთად უნდა იარსებონ. გარდა ამისა, მას მამაკაცები უყვარს, გარსენი კი მამაკაცია, თანაც ერთადერთი. მერე ინესიც შეუერთდება მათ, რადგან ესტელთან უნდა ყოფნა. ის ქალია, მაგრამ მაინც ხომ ქალები უყვარს!

ამის შემდეგ სამივენი ერთად არიან და ერთმანეთს უამბობენ თავიანთი ცხოვრებისა და სიკვდილის ამბებს. რა თქმა უნდა, სამივე ტყუის, მაგრამ ტყუილი მხოლოდ ერთთან შეიძლება, ორთან—არა. ამიტომ ერთისთვის დანარჩენ ორში მეორე ყოველთვის ზედმეტია, უხერხული და შემზღუდველი, ე. ი. ჯალათი. ამიტომ თვითეული მათგანი იმავე დროს ჯალათია ორი დანარჩენისა. ამის გამო ჯოჯოხეთის ხელისუფლებამ შტატების შემცირების დროს სულ გააუქმა ჯალათის თანამდებობა და ადამიანები თვითმომსახურებაზე გადაიყვანა, ე. ი. თვითონ აქცია თავიანთი თავის ჯალათებად. ახლა ვინც დასასჯელია, იმავე დროს ჯალათიცაა. ყოველი ერთი—დახარჩენი ორისა. მაგალითად, თუ გარსენისათვის ორ სხვაში პირველი ესტელია, მეორე — ინესი, ჯალათი იქნება ორივესათვის. ინესისათვის თუ ესტელია ორში პირველი, მაშინ მეორე — გარსენია ჯალათი და ა. შ.

ყველა ჯალათია და ყველა მსჯავრდებული, როგორც ერთმანეთის სხვები. ეს „სხვები“ წარმოადგენენ ჯოჯოხეთს. ესე იგი „ჯოჯოხეთი სხვებია!..“

...ასეთია იმათი ფიქრი, ვინც დარწმუნებულია, რომ ყველა ერთნაირია, ყველა ჯალათია და ყველა ერთად ქმნის ჯოჯოხეთს. სიკვდილამდის თუ სიკვდილის შემდეგ, ეგ სულერთია! აქაც ისაა, რაც იქ! ცხოვრება უაზრობაა, მარადიული ღამე, შავით შავზე წერა, არაფერი ან უფრო ცოტა, ვიდრე არაფერი... დროც გაჩერებულია. საათის ისრები არ მოძრაობენ.

ყველაფერი ერთი და იგივეა და ამ ერთიდაიგივეობის ჯამი ყოველთვის ნოლია. ეს კი კვადრატული წრეების ბრუნვას ჰგავს, დიდისა თუ მცირის, სულერთია, მაინც ერთნაირად აუცილებლისა და შეუძლებლის. ისიც ხომ დასაშვებია, რომ ერთიდაიგივეობის მონაცვლეობა ქმნიდეს მათს მოჩვენებით სახესხვაობას? ან იმ წრეების ბრუნვაში ჩნდებოდეს განსხვავება, თუ მათში მახვილ კუთხეს წარმოვიდგენთ? ერთი ხომ ერთია, მაგრამ მეორესთან ისიც მეორედ იქცევა, თუკი მესამე აღმოაჩენს მათს ერთად ყოფნას. ხომ შეიძლება ამ სამში ყველა პირველიც იყოს, მეორეც და მესამეც! პირველი — მეორისა და მესამის, მეორე — პირველისა და მესამის, ხოლო მესამე— პირველი ორის? რაც სამკუთხედი იქნება ერთიდაიგივეობის წრეში...

ასეთ მოჯადოებულ წრეში ბრუნავს ყველა, ვინც დაკარგა წონასწორობა და იმედი, ვინც დამარცხდა ცხოვრების „ულმობელ სიდიადესთან“ ბრძოლაში და თქვა:

— ჩვენ მხოლოდ აჩრდილები ვართ იმისი, რაც გვინდა ვიყოთ!..

უფრო სასოწარკვეთილებმა კი, „აჩრდილები იმ აჩრდილისაო“, შეასწორეს მათი ნათქვამი და ისევ ეკლეზიასტე გაიხსენეს:

— ამაოება ამაოებისა ამაო არს!..

...კაცობრიობის ამგვარ პერსპექტივებზე რომ ლაპარაკობდა, ინგლისელმა ბრალმდებელმა შოუკროსმა შექსპირის სიტყვები გაიხსენა:

— სისხლი და ნგრევა იქცევა ისეთ ჩვეულებრივ ამბად, ხოლო უსაშინლესი სანახაობანი — იმდენად ყოველდღიურად, რომ დედები მხოლოდ გაიცინებენ, როცა შეხედავენ ბრძოლის ველზე ოთხში ამოყვანილ თავიანთ შვილებს. სიბრალულის გრძნობას სრულიად მოაჩლუნგებს ბოროტების ჩადენის ჩვეულება...

...იუმორს ვერც ასეთ დროს წაუხვალ თურმე! გერმანული იგავია: ორი დედა ხვდება ერთმანეთს, ორივე შავებშია, რადგან ორივეს ომში დაეღუპა შვილი:

— სად მოკლეს თქვენი ვაჟი? — ეკითხება ერთი მეორეს.

— ლაიფციგში! — მიუგებს მეორე.

— ოო, ლაიფციგი მშვენიერი ქალაქია! — ამბობს პირველი.

თითქოს ლაიფციგის მშვენიერება იყოს აქ მთავარი და არა შვილის დაღუპვა!..

ამის შედეგია გრძნობების მოჩლუნგება, განურჩევლობა და ამგვარი ცინიკური მსჯელობა:

— როცა მე ყავას ვსვამ და თან გაზეთში ვკითხულობ, ამა და ამ ქვეყანაში წყალდიდობის დროს ამდენი ათასი კაცი დაიღუპაო, ჩემზე ყავის სურნელება უფრო მოქმედებს, ვიდრე ის ტრაგიკული ამბავი...

ასეთი ადამიანები უკვე აღარ იბრძვიან, არც არაფერს მოითხოვენ, სურვილიც არა აქვთ საკუთარი. ერთადერთი, რაც მათ ხელს აძლევს, ეს არის არსებობის „ტკბილი საზიზღროების“ შეგნება და შეგუება. ეს წარმოშობს გულგრილობას, განურჩევლობას, ადუნებს წინააღმდეგობის გრძნობას და ხელს უწყობს ბოროტების მოძალებას. როგორც კი კეთილ ნების ადამიანებს შეერყევათ რწმენა, კარგავენ იმედს და წყვეტენ ბრძოლას საკუთარი თუ საზოგადო ბოროტების წინააღმდეგ, ჯოჯოხეთის მთელი პანდემონიუმი აიშლება და ისევ იწყება ხალხთა მასობრივი დენა გოლგოთაზე, სადაც ჯვარს უნდა აცვან სიკეთისა და სათნოების ის მარადქალური იდეალი, უმაღლესი მშვენიერების სახით რომ გამოცხადდა ვაჟას მამაპაპურ სახლში...

ქუდმოხდილი სახლი...

ეს ალეგორია შემდეგაც გრძელდება და საოცარი სიზუსტით ეხმაურება ჩვენ თვალწინ მომხდარ კატასტროფულ ამბებს. გავიხსენოთ და კვლავ გავუვეთ ამ ალეგორიას:

მოძალებული ბოროტება ისევ წალეკვით ემუქრება კაცობრიობას. ადამიანები სისხლის მორევში ცურავენ. ვაჟას

„მამაპაპეული“ სახლი — სიმბოლო მთელი ქვეყნიერებისა, ნამუსის ქუდმოხდილ კაცივით დგას სახურავგადაგლეჯილი. ჭერიდანაც კოკისპირულად ჩამოდის „წითელი წვიმა“. სისხლის მდინარე კარებში იჭრება. ყოველის მხრიდან ისმის წივილ-კივილი და გოდება.

— ხალხო, მოიდა ვეშაპი!.. — ყვირის ვიღაც და უკვე ყველა ხედავს, ციდან დაბლა როგორ ეშვება შავი ღრუბელი, ნისლივით მოცურავს უზარმაზარი ცხოველი და შთანთქმას უქადის ქვეყნიერებას. საჭიროა პერსევსის შემართება, ბრძოლა, წინააღმდეგობა, მაგრამ შიში ძლევს ამ გრძნობას... წუთით ვაჟაც შედრკება ურჩხულის წინაშე, უნდა თაყვანი სცეს მას, მუხლთ მოეხვიოს, რომ მოალბოს და დაბას მისი „სისხლისმსმელობა“, მაგრამ გველვეშაპსა და „სისხლის გუდას“ რა უნდა სთხოვოს? ან „თხოვნით ვინ შეუწყალია სიკვდილსა და სულთამხუთავს?“ ეს კი იცის, მაგრამ მკლავები ისე დადუნებია, რომ ვერაფერს აკეთებს, ცრემლსა ღვრის მხოლოდ და გულშივე იკლავს თავის ხვაშიადს.

სხვა დროსაც, როცა მის „მამაპაპეულ სახლს“ ცეცხლი წაეკიდა, ცხვარ-ძროხას დათვ-მგლები დაერია და „მხეცთა მეჯლისზე სვავ-ყორნები დაფარფაშებდნენ“, ადამიანები იდგნენ და სეირს უყურებდნენ, თვალს ალაღებდნენ, გულს იოხებდნენ, ისე რომ არც ერთ მათგანს არ „უსულღმერთნია“ ეცადა ცეცხლის ჩაქრობა...

ის კი, ვაჟას „ძვირი სტუმარი“, მისი ნუგეშისმცემელი, „გრძნობათა აღმტკინებელი“ და „გულის სიმების მრხეველი“ მშვენიერი ასული იბრძოდა, იღვწოდა, შრომობდა, რადგან ის იყო ერთადერთი „ციური არსება, მუდამ უცვლელი, მუდამ ლამაზი, გრძნობა-ცხოველი, მადლისა და სათნოების მთესველი“, — ვაჟას და, საერთოდ, ყველა კეთილი ნების ადამიანის იმედი, ნუგეში, კაცობრიობის „წარსული, აწმყო და მომავალი“, „მადლით მოსილი“ რწმენა კაცურკაცობისა...

— ნუ გეშინიან, გულს ნუ გაიტეხ, იმედს ნუ დაჰკარგავ! — შთააგონებს იგი სასოწარკვეთილსა და იარაღდაყრილს... მაგრამ დრო გადის, ბოროტება ახალი ძალით უტევს სიკეთეს, რწმენა თანდათან სუსტდება, იმედი იკარგება და ის

ასულიც იცვლის სახეს, ან სხვაგვარად როგორ იქნება, როცა თვითონაც სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა რწმენისა და იმედის სიმბოლო!..

...და აი, ვაჟა ისევ თავის „მამაპაპეულ სახლში“ ზის, როგორც მაშინ, როცა პირველად „მთელი ქვეყნის სიტურფე“ გამოეცხადა იმ მშვენიერი ასულის სახით. მაშინ მას „თამამი, გაბედული სახის გამომეტყველება ჰქონდა“, „მტკიცე, გამჭრელი მიმოხვრა“ და „მადლით შეზელილ ცეცხლს აფრქვევდა თვალთაგან“... „ვარდისფერ ტუჩებზე კი ღიმილი უქროდა“.

ახლა კი... დრო შეიცვალა... ბოროტება მოჯარდა, „გარეთ ქარი ღმუის, ცივა, ქვა ტყვრება სიცივისაგან, ნამქერს ისვრის ქარი, ყველაფერს ჭვალივით ჰსერავს სიცივე, ძვალსა და რბილში ისარივით ესობა“.

ვაჟაც ითოშება, აღარაფერზე არა ფიქრობს. მისი გონება თითქოს გაჩლუნგებულია, ოდესღაც მძლავრი ბგერა გულისა შემდგარა, რაც სწამდა, აღარა სწამს, რაც უყვარდა, აღარ უყვარს... ერთი სულიერი საუნჯე ჰქონდა და, მგონი, მინდიასავით ისიც დაკარგა. ამით გაიბზარა მისი მთლიანობა, გატყდა, ნახევარიღა დარჩა — უმწეო, უბადრუკი, რწმენადაკარგული. მერე იფიქრა კიდეც, „ცოცხალს თუ სრული სიცოცხლე არ ექნება, სრული სიკვდილი მირჩევნიაო“, და დამბაჩისკენ წაიღო ხელი... რომ ამ დროს ისევ ის ძველი რწმენისა და იმედის მარადქალური სიმბოლო წარდგა მის წინაშე... ოდნავ გადმოხედა მას და ისევ იმ ჩიკა სკამზე ჩამოჯდა ცეცხლის პირას...

როცა რწმენა და იმედი ძლიერი იყო, ის „მთელი პლანეტის მშვენიერებას“ გამოხატავდა... მაგრამ, რწმენა რომ შეირყა და იმედიც გაქრა, მანაც დაკარგა მიმზიდველობა...

— ახ, რა ლამაზი იყო ის მაშინ,—წამოიძახებს გაოგნებული ვაჟა,—თვალს ვერ მოაშორებდა კაცი, და როგორ გამხდარა, როგორ გასაცოდავებულა!... სახე ჩაჰყვითლებია, თვალები დასისხლული აქვს, თითქოს ცრემლის გუბეში ჩამდნარაო. დაძველებული თალხი ჩიქილა ძლივს ეფარება თავ-

ზე და თმა მირევ-მორევით ჩამოსწეწია ბრწყინვალე შუბლზე... მობერებულა, მოკრუნჩხულა, მუშტის ტოლაღა გამხდარა, ძლივსღა ფეთქავს. რა საბრალო სანახავია! მეტ საცოდავობას ხომ ვეღარას ჰნახავს კაცის თვალი...

...მერე სულ სახრჩობელაზე აიყვანეს რწმენა კაცობრიობისა... საშინელი ამბები დატრიალდა: „მხედარნი ჰმუსრავდნენ გლახაკთა. გოდებისა, მუდარისა და კვნესის ხმა ცასა სწვდებოდა... სისხლი წყალივით იღვრებოდა...“

საშინელება იყო!..

შეძრწუნებული ვაჟა გაშორდა იქაურობას, გაიქცა, მაგრამ სად წავიდეს! რაგინდ ეცადოს, ცხოვრებას მაინც ვერ გაექცევა, ვერც თავის თავს. არც იცის, რა ქნას: კლდეზე გადაიჩეხოს, თუ წყალში გადავარდეს... და ისე გარბის, რომ არც უნდა უკან მიიხედოს, არ უნდა დაინახოს ის გასაცოდავებული იდეალი ამქვეყნიური ცხოვრებისა...

წინ მინდორია. ზედ ხალხი ირევა. ბარისა, ქარჩისა, წერაქვისა და ნიჩბების წკაპა-წკუპი ისმის. ხედავს: საფლავებს თხრიან, საფლავებს ადამიანთათვის... უნდათ ხალხი დაფლან, დამარხონ...

— ახ ღმერთო! აღარ მინდაო ამგვარი სურათის ცქერა, — ყვირის...—სხვა მაჩვენეთო, კარგი, გულის სასალბუნო; მდელო, ყვავილებით მორთული, იქ მოსეირნე იგივე ხალხი, მომლხენი და მოკისკისე...—მაგრამ ვინ გაუგონებს, ან ასე ბედნიერი ხალხი სადღაა... და ისევ გარბის. ეძახიან, დაბრუნდი, ნუ გარბიხარ, სირცხვილიაო, მაგრამ მაინც გარბის... და ხედავს: ხალხი ისე ირევა, როგორც ფუტკრის მართვე. ერიამული ისმის, ტრიალ მინდორზე ორი ბოძი მოჩანს, თავში ერთის მორით გახიდული...

— რაა ეს? — კითხულობს.

— სახრჩობელა! — უპასუხებენ.

მის რწმენას, იდეალს, იმედს, „მთელი პლანეტის სიტურფეს“, არსებობის მარადქალურ მშვენიერებას...

ა ხ რ ჩ ო ბ ე ნ!..

იგი უკვე აჰყავთ ჯალათებს სახრჩობელაზე, მაგრამ ამაყად დგას, წარბსაც არ იხრის...

ვაჟა უკვე აღარ არის უმოქმედოდ. იგი სულ ცეცხლად იქცევა, იბრძვის, უნდა ბრჯღალებით ეცეს ჯალათებს სახეში, მაგრამ დარაჯი მახვილს დაჰკრავს და გონს კარგავს...

ხალხის მედგარი ხმა ესმის მხოლოდ:

— გადარჩა, გადარჩა, სამჯერ გაწყდა თოკი!..

...რამ გადაარჩინაო, რომ მკითხოთ, გეტყვით:

— მონდომებამ, მოქმედებამ, ბრძოლამ, რწმენის, სიკეთისა და იმედის აღდგენამ, „ენაზე ბორკილის ახსნამ", შრომამ და ღვაწლმა ადამიანთა...

აკი თვით ვაჟა ამბობს:

— მადლია და ღვაწლი თვით სიმტკიცე და რწმენა!..

სემირამიდას გალი...

ამბობენ, ცოდვა ქვაზე წერია, მადლი — ქვიშაზეო. ასე რომ იყოს, სიკეთე დღემდე ვერ გაუძლებდა ბოროტების მოძალებას და უწმინდურება წალეკავდა ქვეყანას. არც ცოდვა-მადლის შეფარდება მოგვცემდა სანუგეშო სურათს. ეს კი ასე არ არის. ცხოვრება რთული კომპლექსია. მას კეთილისა და ბოროტის ერთიანობის თვალსაზრისით უნდა გაგება და არა მათი იგივეობისა. ავსაც და კარგსაც თავისი ადგილი აქვს. ერთიც სინამდვილეა და მეორეც. ქვეყანა არც ცოდვის თვალით დაინახება მარტო და არც მადლისა. მათი წინააღმდეგობა ქმნის არსებობის ფორმას და იღებს ბრძოლის სახეს. ამ ბრძოლაში ხან ერთი იმარჯვებს, ხან მეორე. ასეა ბუნებასა და საზოგადოებაში, ცალკე ადამიანშიც. ყოველ მათგანში ზის „დემონი"—ცდუნების ძალა, ცოდვიხა თუ ბრალის წყარო. ადამიანი მთელი არსებით, გულითა და გონებით „მიდრეკილია სიკეთისადმი", ძლევს ცდუნების ძალას, იმორჩილებს მას და უენებელყოფს თავისსავე არსებობაში. ხოლო თუ ეს

„დემონი“ თავის ნებაზეა მიშვებული ან წახალისებულიც, იგი თანდათან ეუფლება მის გონებას, მოქმედებას და კიდევაც წარმართავს თავის უკუღმართ გზაზე...

...ძველი გერმანული თქმულების მიხედვით, ფაუსტმა რომ შპესერის ტყეში დემონი იხმო, რათა სული მიეყიდა მისთვის და საკუთარი სისხლითაც მოეწერა პირობაზე ხელი, ნაიარევ მკლავზე ასეთი წარწერა გაუჩნდა:

O, homo fuge!.. — ერიდე, ადამიანო!

ვისაც გონების გამჭრიახობა და ნებისყოფა ეყო, კიდევაც განერიდა ეშმაკს. გერმანიაში კი ბევრმა ვერ შეძლო ეს და კავშირი შეკრა თავის დემონთან — ჰიტლერთან.

თომას მანმა „დოქტორ ფაუსტუსში“ ეს ალეგორია შემაძრწუნებელ განზოგადებამდე მიიყვანა და გერმანელი ხალხის დემონურთან დაძმობილების საშინელი სურათი შექმნა...

...მერე, როცა მთელი ეს ნაცისტური პანდემონიუმი აიშალა მშვიდობიანი კაცობრიობის წინააღმდეგ და ყავისფერი წარღვნის ტალღები მოედო ქვეყნიერებას, მსოფლიოს ყველა კუთხის კეთილი ნების ადამიანები შეკავშირდნენ და წინ აღუდგნენ ბოროტების ამ გაუგონარ მოძალებას.

ეს იყო სიკვდილისა და სიცოცხლის, კეთილისა და ბოროტის საბედისწერო შეტაკება. სიცოცხლის შეშფოთებულმა ინსტინქტმა ისე გაიბრძოლა ადამიანში, რომ სიკვდილი შედრკა მის წინაშე. ან სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა სიცოცხლეა და არა სიკვდილი ბუნების მიზანი! ვაჟა ამბობს, ბუნებაში ყველაფერი სიცოცხლისკენაა „მიდრეკილი“, ანუ „მქნელია სიცოცხლისა“. ბუნება „სიკვდილის სიცოცხლედ მაქცეველია“, რადგან სიკვდილ-სიცოცხლე ორივე მის ხელთ არის და თუ ადამიანი „კაცური კაცია“, ანუ „კაი ყმაა“, იგი „თვით სიკვდილშიც სიცოცხლეს ჰპოულობს“.

— მადლობელი ვარ, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა! — ამბობს ვაჟა.

ეს ქმნის სიცოცხლის უძლეველობისა და მარადიულობის მოდუსს...

...ვინ იცის, რამდენ ადამიანს უცხოვრია ამ ქვეყნად, რამდენი სახე არსებულა, რამდენი ფიქრი და ოცნება, სიყვარული და მწუხარება, რამდენი ფორმა შექმნილა და კვლავ დაშლილა, რამდენი და რამდენნაირი მცენარე ამოსულა მიწიდან და კვლავ დაბრუნებია მიწას, რამდენ რამეს უარსებია: ტყეში — ნადირს, ცაში — ფრინველს, ზღვაში — თევზს, დედამიწაზე — ქვეწარმავალს... ყველაფერი ეს წარმავლობის უფსკრულში შთანთქმულა, მაგრამ არსებობა მაინც გრძელდება, სიცოცხლე ისევ ხარობს... ბუნებაში არაფერი არ იკარგება, არც „იშლება არაფერში". „ყველაფერი, რაც იყო, არის ისევ ყველაფერი!" დრო-ჟამი სახეებისა და ფორმების ცვალებადობაა, საწუთრო — ჟამის დღე-ღამეობა! აქ დღეს ღამე მოჰყვება, ზაფხულს—ზამთარი, სიცოცხლეს კი—სიკვდილი, მაგრამ ბუნების მარადიული გაზაფხულების წესი და რიგი უკანვე აბრუნებს ამ ჯარას და ღამეს ისევ დღით ცვლის, ზამთარს—ზაფხულით, ხოლო სიკვდილს—სიცოცხლით. ამიტომაც უკვირს ვაჟას: გული რატომ უნდა დაღონდეს ან ნისლით გაიბეროს? სულ ხომ ასე არ ვიქნებით ყინულით დაკრუნჩხულნი? ზაფხული ისევ „მოალის", მზე გამოანათებს, მთები გულ-მკერდს გადაიხსნიან და ქვეყანა შვებით ამოისუნთქავს.

ასეთია სიცოცხლის ძალა, მისი მარადიულობის კანონი... ვაჟაც ამიტომ ამბობს:

> ...და უფსკრულს დასცქერს პირიმზე
> მოღერებულის ყელითა!..

ეგი შეჰხარის თავის არსებობას, მზეს, ქვეყანას, და თუ ვინმე სიცოცხლის ძალის უძლეველობისა და მარადიულობის ემბლემის შექმნას მოისურვებს, აი, ეს უფსკრულის პირას ყელმოღერებული პირიმზე გამოადგება სახედ იმისა, რაც მუდამ მზეს უყურებს და მზითვე ხარობს...

ეს ცარიელი სიტყვა კი არ არის, არც პოეზია, პირიქით, შიშველი სინამდვილეა ბუნებისა...

...ქალაქის ქუჩებში ხომ გინახავთ, ჩვილი ბალახი რომ მტკაველის სისქე ასფალტს ამოხეთქავს? არ გაგკვირვებიათ?

ან არ გიკითხავთ მაინც, რა აძლევს მას ისეთ ძალას, რომ პნევ-მატიკური ბურღის ძალით ანგრევს ამგვარ დაბრკოლებას?

სიცოცხლე უნდა, სითბო და სინათლე, ესაა, სხვა არაფერი...

...მახსოვს, ერთხელ ბუნების დიდ მგოსან მიხეილ მამულაშვილთან ჩავედი მცხეთაში და ვსთხოვე, ისეთი თაიგული გამიკეთე, თვით ყვავილების ქვეყნის დედოფალიც გავაკვირვო-მეთქი.

თავისებურად ირიბად შემომხედა და მითხრა:

— მერე შენ გესმის, რას ნიშნავს ასეთი თაიგული?

— ალბათ, მესმის, რომ ამისათვის თბილისიდან თქვენთან ჩამოვედი-მეთქი.

მაშინ მამულაშვილთან არც ისე ხშირად დადიოდნენ თბილისელები და ნათქვამი ესიამოვნა. ემანდ დადექო, მოშაძახა და ყვავილების ვიწრო ხეივანში გაუჩინარდა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოვკარი თვალი, სხვა მხრიდან მოდიოდა, თავისებურად, ცალგვერდულად, წელში მოხრილი და თვალებგაბრწყინებული. ხელში რაღაც ეჭირა, ისე სათუთად, ისე ფაქიზად, თითქოს საკუთარი გული მოაქვსო.

მოვიდა და ხელისგულისოდენა ფიქალი ქვის ბრტყელი ნატეხი გამომიწოდა, მოშავო, რუხი ფერისა, რომელსაც ერთ მხარეს ხავსის ოდნავ შესამჩნევი ბუსუსი მოჰკიდებოდა, შუაში კი მორცხვად თავდახრილი პაწია პირიმზე ამოსულიყო...

გავოცდი! სიცოცხლისადმი სწრაფვის რა განუზომელი ძალა იმალებოდა ამ პაწია მცენარეში, რომ ასეთ სიპ ქვაზედაც ახერხებდა არსებობას.

მერე მამულაშვილის სიტყვებიც გავიგონე:

— დახე, რა ძალა აქვს სიცოცხლეს, ამ ვერანასა!..

ხმა ვერ გავეცი! იმისიც შემეშინდა, ვაითუ თბილისამდე არც ჩამყვეს ბუნების ეს უნაზესი (თუ, ვინ იცის, იქნებ უძლიერესი!) ქმნილება-მეთქი. მაგრამ ისევ მან გამამხნევა:

— ნუ გეშინია, თავი მზისკენ დაუჭირე და არ მოიწყენსო.

წამოსვლისას კი ასეთი სიტყვებიც დამადევნა:

— ახლა წადი, შვილოსა, და გაიგე, რას უფრო მეტი ძალა აქვს, ამ პატარა პირიმზეს, თუ იმ ელექტროსტანციას, აგერ იქ რომ აგიშენებიათ!..

...რა უნდა მეთქვა. განა ასე ადვილია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა? ვინ იცის, სად რა ძალა იმალება, ან რითი შეგვიძლია მისი გაზომვა! ისედაც ყოველთვის მაოცებდა განზომილებებისა და მასშტაბების პარადოქსული თამაში. არც უდიდესისა და უმცირესის შეფარდებისა მესმოდა რამე. ან მათი შედარების შინაარსს ვინ დააგენს უსასრულობის ამ თვალუწვდენ სამყაროში?! უდიდესის საზღვრებს ვინ გაზომავს ან უმცირესს ვინ დაუდგენს მოქმედების ფარგლებს?! ისე, კაცმა რომ გვკითხოს, ჩვენ თითქოს ყველაფერს ვწონით და ვზომავთ, თვით დედამიწის სიმძიმეს და მანძილსაც კი ვარსკვლავებამდე, მაგრამ მამულაშვილის მიერ დასმულ კითხვაზე მაინც ვერ ვუპასუხე, ვერც მაშინ, ვერც ახლა. ამიტომაც ვფიქრობ, იქნებ თემიდას ალეგორიამ ახადოს-მეთქი პირბადე იზიდას ბიუსტის იმ საიდუმლოებას. ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, მ ი ნ დ ა მ ჯ ე რ ო დ ე ს: თ უ თ ე მ ი დ ა ს ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა ს წ ო რ ი ს ე რ თ თ ა ს ზ ე კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს დ ა ნ ა შ ა უ ლ ო ბ ა თ ა მ თ ე ლ ს ი მ ძ ი მ ე ს დ ა დ ე ბ ე ნ დ ა ზ ე დ ა ც ი მ ა თ ა ს ა ნ თ უ ნ დ ა ც ა ს ჯ ე რ ა თ ა ს ფ უ თ ბ რ ა ლ დ ე ბ ა ს დ ა უ მ ა ტ ე ბ ე ნ, ხ ო ლ ო მ ე ო რ ე თ ა ს ზ ე ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ძ ა ლ ი ს ა დ ა უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი ს ს ი მ ბ ო ლ ო ს — პ ი რ ი მ ზ ე ს დ ა ვ დ ე ბ თ, ე რ თ ბ ა შ ა დ გ ა დ ა ს წ ო ნ ი ს ც ო დ ვ ი ს ი მ ს ი მ ძ ი მ ე ს, თ უ ნ დ ა ც მ ი ლ ი ო ნ ჯ ე რ მ ე ტ ი ც ი ყ ო ს ი ს.

ა ს ე თ ი ა ს ი კ ვ დ ი ლ-ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ა დ ა ც ო დ ვ ა-მ ა დ ლ ი ს შ ე ფ ა რ დ ე ბ ა...

მეც ამ რწმენით წამოვედი მაშინ მამულაშვილის თუ სემირამიდას იმ ზღაპრული ბაღიდან და მისი უბრალო სიბრძნით მოხიბლულმა გუნებაში ეპიკურეს სიტყვები გავიმეორე:

— ბედნიერი ხარ, ჩემო აპოლეს, რამეთუ ყოველგვარი განსწავლულობის გარეშე მიაშურე ფილოსოფიას!...

იმის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ დღესაც იმ სიპ ქვაზე ამოსული, თუ უფსკრულის პირას ყელმოღერებული პაწია პირიმზე მიმაჩნია სიცოცხლისადმი სწრაფვის სიმბოლოდ. ამ თხრობის პათოსიცის მინდა იყოს, თუ სიკეთე-მადლის ნათელი როგორ ძლევს წყვდიადს ბოროტებისას, ან „სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი“ ადამიანები როგორ აღწევენ გამარჯვებას მაშინაც კი, როცა თავს წირავენ.

ამის მაგალითი უამრავია — ასი, ათასი, მილიონი და უფრო მეტიც! ვინ მოთვლის, რამდენი ერის რამდენმა შვილმა პოვა გმირულ სიკვდილში თავისი უკვდავება. მთელი მსოფლიოს ხალხები, მათი ლიტერატურა, ხელოვნება, პრესა, რადიო თუ ტელევიზია აგერ 25 წელიწადზე მეტია, რაც დიდების შარავანდით მოსავს მათ სახელს, და მე ასეთ საერთო ღაღადისს რა უნდა შევმატო, გარდა პირადად განცდილი და გაგონილი ამბებისა...

..ნიურნბერგის დარბაზში შემოიყვანეს ჭაღარა ქალი, ცნობილი ფრანგი პოეტის ვაიან კუტიურიეს მეუღლე, კლოდ მარი — საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. იგი ნელ-ნელა ავიდა ტრიბუნაზე, არა მარტო როგორც მოწმე, არამედ ბრალმდებელიც.

მოსამართლეებმა უკვე იცოდნენ, რაც მას გადახდა საკონცენტრაციო ბანაკში. ეს ისე შემაძრწუნებელი იყო, რომ ტრიბუნალი შიშობდა კიდეც, „შურისძიების გრძნობას არ დაებნელებინა“ სიმართლის ძალა და, ამ ერთადერთ შემთხვევაში, ნაწილობრივ შეცვალა ტრადიციული ფიცის ტექსტი: „ვფიცავ, რომ ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს გარდა სიმართლისა“.

ამის ნაცვლად ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლოურენსმა წარმოთქვა იმავე ფიცის შესწორებული ტექსტი, რაც კლოდ მარიმ სიტყვა-სიტყვით გაიმეორა:

— ვფიცავ, რომ ყოველგვარი გაბოროტებისა და შურისძიების გრძნობის გარეშე ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს გარდა სიმართლისა!..

ამის შემდეგ მან სამსჯავროს უამბო, თუ როგორ გაიყვანეს სამასი ფრანგი ქალი ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ეზოში, გააშიშვლეს და სამი საათის განმავლობაში ამყოფეს 10—15 გრადუს ყინვაში. შემდეგ სიცივისაგან დაკრუჭჩხულებს გამოუცხადეს: ოთხ მწკრივად მოეწყვეთ, რომ სადეზინფექციო კამერაში გაგატაროთო.

კლოდ მარიმ იცოდა, რა „კამერაც“ იყო ეს და, როდესაც 300 შიშველი ქალი მწკრივებად მოეწყო, გესტაპოელებს მიმართა:

— არ გვინდა სამარცხვინო სიკვდილი გაზკამერაში. ჩვენ მზად ვართ პირდაპირ წავიდეთ კრემატორიუმში და ცოცხლად დავიწვათ!..

მერე თავიანთ თანამემამულეებს მიუბრუნდა და შესძახა:

— მეგობრებო! ვაჩვენოთ ამ ბოშებს (boches) როგორ კვდებიან ფრანგი ქალები!..

და წამოიწყო მარსელიოზა! 300 ქალი აჰყვა ამ სიმღერას და ისე გაემართნენ კრემატორიუმისაკენ!..

გესტაპოელები დაიბნენ. ჯერ კლოდ მარის სტაცეს ხელი და კარცერში შეათრიეს. მერე სხვებს დაერივნენ და ჯოხებით შერეკეს „სადეზინფექციო კამერაში“...

ნახევარი საათის შემდეგ კვამლს გაჰყვა მათი სიცოცხლე.

— ისე დაიწვნენ, რომ არც გამთბარანო, — თქვა კლოდ მარიმ.

თვითონ კი ტრემბლინკის საკონცენტრაციო ბანაკის სპეციალურ საწამებელ კამერაში გაგზავნეს.

ადამიანური გრძნობების შეურაცხყოფა იქნება იმის მოყოლა, რაც მას იქ გადახდა... მაგრამ ყველაფერს გაუძლო: ცემას, ფრჩხილების დაგლეჯას, სხეულის დაშანთვას, თმებით დაკიდებას. ახლა ძნელიცაა იმის თქმა, თუ რა ძალამ აატანინა ამ ნაზი აგებულების ქალს ამდენი წამება... იქნებ მისი გალელი წინაპრების სიბრძნემ, ამ წიგნის ეპიგრაფად რომ მაქვს არჩეული:

— სანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი!

არც „გაუბედავს“, არ მომკვდარა, ყველაფერს გაუძლო, გადაიტანა... და აი, ახლა დგას ხალხთა სამსჯავროს მაღალ ტრიბუნაზე როგორც ბრალმდებელი..

თურმე ტყუილად შიშობდა ლოურენსი. კლოდ მარის სულაც არ ეტყობოდა გაბოროტება ან შურისძიების გრძნობით გამსჭვალვა. პირიქით, ამ შემაძრწუნებელი ამბების მოყოლა რომ დაამთავრა, ხელები ზეცისკენ აღაპყრო და წყნარად წარმოთქვა:

— შეუნდოს მათ უფალმა დანაშაული, რამეთუ ისინიც ადამიანები არიან!...

...ნიურნბერგის ე. წ. „პოლონურ საქმეებში“ ასეთი ამბავი ამოვიკითხე: ერთი სოფლის მთელი მოსახლეობა გაიყვანეს მოედანზე და, რომ დაემცირებინათ ისინი, უბრძანეს დაეჩოქათ. არც ერთი მათგანი არ განძრეულა. ბრძანება გაიმეორეს, მაგრამ ამაოდ. გესტაპოელებმა ავტომატები მომართეს და დაემუქრნენ: ვინც არ დაიჩოქებს, დავხვრეტთო. არც ამან გასჭრა. ყველა გაქვავებული იდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა ავტომატების სროლის ხმა და ათიოდე კაცი დაეცა. სხვები მაინც არ განძრეულან. მუქარა გაუმეორეს, მაგრამ ისევ ისე იდგნენ, გაუნძრევლად. გესტაპოელები გაცეცხლდნენ. შტურმფიურერმა იყვირა:

— მოემზადეთ!

ავტომატები ისევ მომართეს, ხალხი კი მაინც დუმდა. მერე ოციოდე წლის ყმაწვილი წამოიწია წინ, მუშტი აღმართა და დაიძახა:

— ძირს ჰიტლერი, გაუმარჯოს პოლონეთს!...

გაიყვანეს და იქვე დახვრიტეს ყველას თვალწინ. ამის პასუხად ხუთმა ახალგაზრდამ შესძახა:

— ძირს ჰიტლერი, გაუმარჯოს პოლონეთს!..

ხუთივე დახვრიტეს. ვერც ამით დააშინეს პატრიოტები.

ახლა ოციოდე მამაკაცი გამოვიდა წინ და იგივე გა-

იმეორა. ოცივე ტყვიით დაცხრილეს! მოედანი კი ერთხმად გუგუნებდა:

— ძირს ჰიტლერი, გაუმარჯოს პოლონეთს!...

...მთელი ხალხი უჭერდა მხარს პატრიოტების ასეთ თავგანწირულ ბრძოლას. ვერავითარმა ძალამ ვერ აიძულა ისინი შეეწყვიტათ წინააღმდეგობა... მერე ტერორმა სულ კოშმარული ხასიათი მიიღო. დაიწყო პოლონეთის „განხალხება“. ციხეებმა და ბანაკებმა ვერ დაიტია მოზღვავებული „სალიკვიდაციო მასალა“. ვერც ტრანსპორტი აუვიდა პატიმართა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანას. ამ სიძნელეებით შეწუხებულმა პოლონეთის გენერალ-გუბერნატორმა ჰანს ფრანკმა შეკრიბა გესტაპოს უფროსი მოხელეები და უყვირა:

— რას მიათრევთ მათ საკონცენტრაციო ბანაკებში, მოსპეთ ადგილობრივ!..

იმ დღიდან პოლონელ პატრიოტებს პირდაპირ ქუჩებში ხვრეტდნენ. შეძრწუნებული მოსახლეობა ფარდებაფარებული ფანჯრებიდან და დერეფნებიდან უთვალთვალებდა ამ საშინელ სურათს.

მერე, როცა მკვლელები წავიდოდნენ, კაცები ჩუმად გამოდიოდნენ სახლებიდან და მარხავდნენ დახოცილთ, ქალები კი თანამემამულეების ჯერ კიდევ თბილი სისხლით გაჟღენთილ მიწას იღებდნენ პეშვით, ლარნაკებში ყრიდნენ და მიჰქონდათ ეკლესიაში, რომ იქ პარაკლისი გადაეხადათ მათი სულის მოსახსენებლად...

...ასე იბრძოდნენ ყველა ქვეყანაში, სადაც კი გერმანელმა ვანდალებმა დაადგეს ფეხი. პატრიოტები თავს წირავდნენ მათი ხალხის თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის, სიცოცხლისა და სიყვარულისათვის...

— მოვკვდე იმ იმედით, რომ დადგება უკეთესი დრო, ამაზე მშვენიერი რა არის! — უთვლიდა მშობლებს 20 წლის ფრანგი ჭაბუკი სიკვდილით დასჯის წინ.

— დაე, სიყვარული ბატონობდეს ქვეყნად და არა სიძულვილი! — სწერდა სიკვდილმისჯილი შვილი დედას.

— მშვიდობით, ნეტავი ყველა თქვენგანი იქნეს ჩემი ღირსი!—ამაყობდა თავისი სიკვდილით ფრანგი პარტიზანი.

ასეა. გმირული სული სიკვდილსაც სიცოცხლის დიდებად აქცევს...

არესის მრისხანება...

ვინ იცის, რამდენი ასეთი „გაურუჯავი სული“ გამოიწრთო იმ ომსა და დავიდარაბაში, რამაც თანდათან ტოტალური ხასიათი მიიღო. მასში დედამიწის ხუთივე კონტინენტი იღებდა მონაწილეობას, — იარაღით ხელში, თუ შრომით, სულერთია, მიზანი ერთი იყო: გერმანია-იტალია-იაპონიისა და მათი სატელიტების აგრესიული პოლიტიკის დამხობა.

ნაცისტური გერმანიის ძიერ ერთხელ აგორებული ჭუჭყი წლების განმავლობაში ისე გაიზარდა, რომ მთელ დედამიწას მოედო. ნაციზმი თავის კანში ვერ ეტეოდა. ჰიტლერმა ჯერ ავსტრია შეიერთა, მერე ჩეხოსლოვაკია დაიპყრო და, რაკი წინააღმდეგობა არავინ გაუწია, პოლონეთს დაეტაკა. შეშინებულმა ინგლისმა და საფრანგეთმა. მაშინვე ომი გამოუცხადეს გერმანიას, თუმცა პოლონეთის დასახმარებლად ხელიც არ გაუნძრევიათ. ამით ისარგებლეს გერმანელებმა, ადვილად დაამარცხეს პოლონეთის შედარებით სუსტი სამხედრო ძალები და, იოლი გამარჯვებებით მადაწახალისებულნი, ევროპის სხვა სახელმწიფოებს მიესივნენ. არც აქ შეხვედრიათ ჯეროვანი წინააღმდეგობა და ზედიზედ დაიპყრეს დანია, ნორვეგია, ჰოლანდია, ბელგია, საფრანგეთი, იუგოსლავია და საბერძნეთი. ამასთანავე დაიმორჩილეს და მოკავშირედ გაიხადეს უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და ფინეთი. „ნეიტრალური“ ესპანეთი, თურქეთი და შვეცია კი თავიანთი ეკონომიური გავლენის ქვეშ მოაქციეს. ამით გერმანია-იტალიის სამხედრო პოტენციალი თუ რესურსები ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. ომის არენა კატასტროფული სისწრაფით გაფართოვდა. გერმანია-იტალიისა და ინგლისის ფლოტებს დიდი შეტაკება მოუხდათ ატლანტიკის ოკეანესა და

ხმელთაშუა ზღვაში. მერე ომის ტალღებმა აფრიკის კონტინენტამდე მიაღწია, ცხარე ბრძოლები გაიმართა აბისინიაში, ლიბიაში, ტუნისსა და აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროებზე. თავდაპირველად გერმანიის ფლოტმა აქაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ორწლინახევრის საზღვაო ბრძოლების შედეგად ინგლისმა ორი ათას ხუთასზე მეტი სამხედრო და სავაჭრო ხომალდი დაკარგა. გაძლიერდა საჰაერო თავდასხმები. ჰიტლერელებს უნდოდათ უკვე მისუსტებული ინგლისიც თავიანთ მოკავშირედ გაეხადათ და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაეთრიათ, მაგრამ რაკი ეს არ მოხერხდა, გადაწყვიტეს დაეწყოთ დიდი ხნით ადრე მომზადებული გეგმის „ბარბაროსას“ განხორციელება. 1941 წლის 22 ივნისს ისინი თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს, რითაც ისედაც შორსგაჭიმული ფრონტი კიდევ ორი ათასი კილომეტრით გაზარდეს. ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე გიგანტური ბრძოლები გაჩაღდა. ომის რადიუსი კი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ბოლოს იაპონიამაც გამოიღო ხელი და მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში აწარმოებდა ომს, 1941 წლის 8 დეკემბერს თავს დაესხა ამერიკის ფლოტს ჰავაის კუნძულებზე — პირლ-ჰარბორში.

ამის შემდეგ ომის ცეცხლი აზიის კონტინენტსაც მოედო. დიდი საზღვაო-სახმელეთო ბრძოლები გაჩაღდა წყნარი ოკეანის აუზში, ჩინეთში, ინდო-ჩინეთში, ინდონეზიაში, ფილიპინების კუნძულებზე და სხვაგან. ამით ომმა თანდათან გლობალური ხასიათი მიიღო და მთელი ჩვენი პლანეტა მოიცვა. ვეებერთელა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები ჩაებნენ ამ ჭეშმარიტად ზღაპრულ ბრძოლაში. ისევ აღდგა ბიბლიური „მსოფლიო წარღვნის“ ალეგორია. ეს იყო ცეცხლისა და ლითონის ნიაღვარი, თვითმფრინავების გაბმული გუგუნი ჰაერში და ზარბაზნების განუწყვეტელი გრიალი, ტანკების მუხლუხოებითა და ყუმბარებით გადათხრილი მინდორ-ველები, დანგრეული ქალაქები და გაპარტახებული სოფლები. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მთელი ჩვენი პლანეტა შედგა ყალყზე და ზიზღისაგან გააძაგძაგა, რომ ეს ყავისფერი ჭუჭყი ჩამოეშორებინა. მერე ისე სწრაფად დატრი-

ალდა, რომ ყველაფერი ერთმანეთში აირია: ცა და დედამიწა, ზღვა და ხმელეთი, ქვეყნები და სახელმწიფოები. ძველები ამბობდნენ, ისევ სატანის ხელი აბრუნებსო დედამიწას, სხვები კი ხუმრობდნენ, მესამედ მოსვლის ნიშანიაო... მეორის შემდეგ!

თითქოს მართლაც წარღვნამ წალეკა დედამიწა! ჭიანჭველების ბუდეებივით აშალა ნასახლარი ადგილები და მილიონობით იარაღასხმული ადამიანები მოფანტა დედამიწის ყველა მერიდიანზე.

ნეტავ სად თოვა და წვიმაო ამდენი ხალხი! საიდან სად გადმორეკა ომის ტალღებმა ამოდენა ჯარი, ან რა ძალამ აიძულა ისინი თავიანთი სახლ-კარიდან ამ დასაკარგავში გადმოხვეწილიყვნენ! უწინ რომ იტყოდნენ, „დუნიას იქითო“, ქვეყნის მიღმა მხარეს გულისხმობდნენ. ახლა ეს „დუნიაც“ უკან დარჩა... ვინ რას გაიგებდა, სადაური სად იცავდა თავისი სამშობლოს საზღვრებს: ციმბირელი — ოდერზე, ინგლისელი — საჰარაში, ამერიკელი კი — მარიამის კუნძულებზე. ადრე რომ ეკითხათ, ბევრი რუკაზედაც ვერ იპოვიდა იმ ადგილებს, სადაც მერე სისხლს ღვრიდა. ან უბრალო ადამიანებს რა ჰქონდათ ერთმანეთში გასაყოფი, მართლაც ეშმაკის ხელი რომ არ აბრუნებდეს ჯოჯოხეთის ამ მანქანას. თანაც რამდენი დოვლათი და ადამიანის ენერგია უნდა მის ამუშავებას, რამდენი შრომა და ჯაფა!

მთელი ომის განმავლობაში განუწყვეტლივ მოედინებოდნენ რკინის არტერიებით ეშელონები, ზღვებითა და ოკეანეებით — სამხედრო ხომალდები, ჰაერით — თვითმფრინავები; მოჰქონდათ იარაღი და საჭურველი. ასეულ მილიონობით მუშახელი სჭირდებოდა მათ დამზადებას—ტყვიამფრქვევებსა და ზარბაზნებს, რეაქტიულ ნაღმსატყორცნებსა და ჯავშნოსან მანქანებს, სახაზო გემებსა და კრეისერებს, ნაღმოსნებს, წყალქვეშა ნავებს, ბომბდამშენებსა და გამანადგურებლებს.

იყო ერთი ჭაპანწყვეტა დღისით და ღამით, დაუსვენებლივ შრომა და შეუნელებელი ბრძოლა.

ამის მსგავსი ჯერ არაფერი მოსწრებია კაცობრიობას. ან

ვის შეუძლია რამეს შეადაროს ეს გრანდიოზული ბრძოლები! სად, როდის, რა ყოფილა ამისი მსგავსი?! ყველაფერი შეიძლება მოვიგონოთ: ალექსანდრე მაკედონელისა და ჩინგისხანის ლაშქრობანი, ფრიდრიხ დიდისა და ნაპოლეონის ურდოების თარეში, სამოქალაქო და მსოფლიო ომები, შვიდწლიანიცა და ოთხწლიანიც, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არავის არ მოსწრებია. ეს გააფთრებული ბრძოლები ჰაერში, ხმელეთსა და ზღვებში, ზესკნელსა თუ ქვესკნელში შეუდარებელია ყველაფერთან, რაც იყო.

ისევ ანტიკურ მითებსა და აპოკალიფსურ წინასწარმეტყველებებში თუ შევხვდებით მსგავსი მასშტაბების ბრძოლებს. საოცარია, მაგრამ ფაქტი, რომ ათასეული წლების წინ ხალხის ფანტაზიის მიერ შექმნილი ბრძოლების მითიური სურათები უფრო ჰგავს ამ ომის სინამდვილეს, ვიდრე ყველაფერი, რაც ოდესმე მომხდარა და აღწერილა. წარმოიდგინეთ ოლიმპის მეუფეებისა და ტიტანების ბრძოლა, ზევსი, რომელიც კლდეებსა და ჭექა-ქუხილს სტყორცნის მოწინააღმდეგეებს, და შეადარეთ ყუმბარების სეტყვას თანამედროვე ომში. სხვისი არ ვიცი და, როცა ცეცხლისმფრქვეველ ურჩხულებზეა ლაპარაკი, მე მაშინვე რეაქტიულ ნაღმსატყორცნებზე ვფიქრობ. რკინისფრთებიანი სტამფადიდების შებმა ოთხმოტორიანი ბომბდამშენებისა და გამანადგურებლების საჰაერო ბრძოლებს მაგონებს, საშინელი ჯავშნიანი ციკლოპები — ტანკებს, წყალქვეშა ნავები კი — ზღვის დრაკონებს.

მერე გიგანტებიც ერევიან ბრძოლაში. ცა ირყევა და მიწა ზანზარებს მათი სიმძიმით. ზევსი კი ისევ მგრგვინავ მეხსა და ელვას უშენს კრონოსის მომხრეთ. ათი წელი გრძელდება ეს მართლაც გიგანტური ომი. მერე ასთავიანი ტიფონიც წამოვა ბრძოლის ველისაკენ. ასი თავი ასნაირად გაჰყვირის და შიშის ზარსა სცემს ყველას. ისმის ძაღლების ყმუილი, გახელებული ხარების ბღავილი და ლომების გრგვინვა...

თვით ღმერთებიც შედრკებიან ამის შეხედვით. მეხთმტყორცნი ზევსი კი ისევ უშიშრად ეძგერება მტერს! ისევ გაისმის ჭექა-ქუხილი, ცეცხლის ალი მოედება მთელ ქვეყანას. ზღვაც კი დუღს ტიფონის მოახლოებით. ხმელეთზე ქვა

დნება გაჩაღებული ბრძოლის მხურვალებით... და მიუხედავად ყველაფრისა, ცაში მაინც ზევს-ოლიმპიელის „ავიაცია“ ბატონობს, ხოლო ზღვაზე — პოსეიდონის „ფლოტი“.

ასე არია ერთმანეთში არესის მრისხანებამ მითი და სინამდვილე... ყველაფერი, რაც ოდესმე ყოფილა წარმოსახვასა და სინამდვილეში, გაფერმკრთალდა კიდეც ამ ომთან შედარებით. გაოგნებული ხალხი ამბობდა, სისხლისაგან იცლებაო ჩვენი პლანეტა. სახტად დარჩენილი პოეტები კი წერდნენ:

— დედამიწა სისხლით იბანს პირს და ყუმბარებით ივარცხნისო თმას...

დიდი ზაფხული...

ხუთი წელიწადი მიმდინარეობდა ასეთი შეუპოვარი ბრძოლები დასავლეთისა და აღმოსავლეთის ყველა ფრონტზე. რამდენიმე ათას კილომეტრზე გაშლილი ფრონტით უტევდნენ მოკავშირეები ნაცისტურ გერმანიასა და მის სატელიტებს. ორივე მხრიდან საშინელი ძალით მოიწევდა ცეცხლის ნიაღვარი. მარწუხებში მოქცეული ჰიტლერელები შედრკნენ. იგრძნეს კიდეც, მათმა საბედისწერომ რომ ჩამორეკა, მაგრამ მაინც არ ნებდებოდნენ, იქადდნენ კიდეც: ჩვენ თუ წავალთ, ისე, რომ დედამიწამ ზანზარი დაიწყოსო. უნდოდათ ერთ უზარმაზარ სასაფლაოდ ექციათ მთელი ქვეყანა, მაგრამ არ გამოვიდა. მოკავშირეთა ერთიანი მოქმედებით ბერლინი-რომი-ტოკიოს ღერძი გატყდა. ინგლისელებმა ფელდმარშალ მონტგომერის სარდლობით ელ-ალამეინთან დაამარცხეს ერვინ რომელის სახელგანთქმული „აფრიკული კორპუსი“. ამერიკელებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს წყნარი ოკეანის აუზში და სხვა ფრონტებზეც: საზღვაო და საჰაერო დესანტები გადასხეს მარიამის კუნძულებზე, ახალ გვინეაში, განავითარეს შეტევები იტალიაში, აიღეს რომი, შემდეგ —ფლორენცია, ბოლოს კი, როგორც იქნა, განახორციელეს ოპერაცია „ოვერლორდი“ და გახსნეს მეორე ფრონტი.

დიდი ბრძოლები გაიმართა ადრიატიკის სანაპიროებზედაც.

...მსოფლიო ომის ბედი კი მაინც აღმოსავლეთის ფრონტზე წყდებოდა. 1944 წლის გაზაფხულიდან აქ ისევ ამოძრავდა ბალტიისპირეთიდან შავი ზღვის სანაპიროებამდე ორი ათასი კილომეტრის მანძილზე გაჭიმული ფრონტი. საბჭოთა არმიამ ჯერ კიდევ წინა წელს გატეხა ჰიტლერელთა წინააღმდეგობა და ახლა ვოლგის ნაპირებიდან თუ კავკასიის მისადგომებიდან გამორეკილ მტრის დივიზიებს მისდევდა დასავლეთისაკენ.

ორ ცეცხლს შუა მოქცეული გერმანია კიდევ უფრო შეიკუმშა თავისივე ტერიტორიაზე. ორი ფრონტი ორივე მხრიდან მიუახლოვდა ბერლინს. ამ წინსვლას თან ახლდა მოახლოებული გამარჯვების საერთო სიამაყე და სიხარული...

...სიამაყე იმიტომ, რომ თავს ამ დიდი ისტორიული ამბების მონაწილედ გრძნობ, შეიძლება ისე პატარად, როგორც წვეთია მდინარისათვის, მაგრამ მაინც გიხარია, რომ საერთო დინებას მიჰყვები. ზოგჯერ გიმძიმს კიდეც, ძალიანაც გიმძიმს, მაგრამ მაინც გიხარია, რომ სძლევ. არც არაფერი შეედრება დაძლევის სიხარულს, წინააღმდეგობის გადალახვისა და გამარჯვების წადილს—ფიქრს, რომ უფრო ძლიერი ხარ, ვიდრე შენ წინაშე აღმართული დაბრკოლება, რომ შენ მას დასძლევ და გაიმარჯვებ. ამის წადილი ეზიდება ადამიანს წინააღმდეგობათა დასაძლევად, ზღვებისა და ოკეანეების გადასალახავად, კოსმოსური სამყაროს დასაპყრობად, ან თუნდაც ისე, უბრალოდ, არაფრისთვის, სპორტული ჟინისა და ინტერესისთვის.

ზოგს უკვირს, რა ძალა მიეწევა მთამსვლელებს მყინვარებისაკენ, სადაც არც ხნავენ და არც თესავენ; რატომ ამდენს ცდილობს ჭაბუკი, რომ რამდენიმე სანტიმეტრით უფრო შორს ან უფრო მაღლა გადახტეს; ან რა მნიშვნელობა აქვს, ძალოსანი ამდენ ფუთს ასწევს, თუ იმდენს!..

ასეთი კითხვები შეიძლება იმას დაებადოს, ვისთვისაც უცხოა წინააღმდეგობათა დაძლევის ჟინი და სიხალისე; ვინც არ ფიქრობს, რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შინაარსი დაბრკოლებათა დაძლევაა, დიდისა თუ პატარასი, სულ-

ერთია. უამისოდ არც არსებობს ყოფნის ინტერესი, არც განვითარება. ყველას თავისი რუბიკონი აქვს გადასალახავი. ეს აწრთობს ადამიანის ნებისყოფას და მოუხმობს. ძლიერი მიჰყვება კიდეც მის ძახილს და უხარია. იგი განგებ ეძებს სახიფათო თავგადასავალს, ზოგჯერ ფათერაკსაც გადაეყრება, მაგრამ წარბს არ შეიხრის, რადგან ლაღია, უდარდელი, ისეთი, გაშლილი ზღვის ღიმილით რომ ხვდება განსაცდელს. ასეთი ადამიანი ბრძოლაშიც შეუპოვარია, არც არაფრის ეშინია, რაკი მთელი არსებითაა დაბრკოლებათა დაძლევას მიჩვეული. ის არც ფიქრობს, რომ შესაძლებელია სადმე ფეხი მოუსხლტეს ან კლდეზე გადაიჩეხოს. ამას კარგად გრძნობს ყოველი მეომარი, რომელსაც ტყვია-წამლის სუნი უყნოსავს. იგი ყოველთვის ხალისიანია და სიკვდილის წინაშეც არ კარგავს იუმორის გრძნობას.

ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი მებრძოლი შეგხვდება კაცს ფრონტზე და რამდენი გაგაოცებს თავისი რკინისებური ნებისყოფითა და რაღაც ტრაგიკული სიხალისით...

...ახლაც ასეთი მეომრული ჟინითა და ხალისით მიუახლოვდნენ ისინი სახელმწიფო საზღვრებს. ყველას უნდოდა პირველს მიეღწია იმ მიჯნისათვის, სამი წლის წინ რომ გადმოლახეს ჰიტლერელებმა. ბალტიკიდან შავ ზღვამდე თითქოს გრანდიოზული შეჯიბრიც გაიმართა—ვინ პირველი გავიდოდა საზღვარზე. აღმოსავლეთის ყველა ფრონტი ჩაება ამ სტიქიურ „შეჯიბრში“, მათ შორის ჩვენი, უკრაინის მე-2 ფრონტიც და...

ისევ წამოვიდა ცეცხლისა და რკინის ნიაღვარი. სამი წლის დაგუბებული ბოღმა ცის რისხვად დაატყდათ ჰიტლერელებს, თანდათან გატეხა მათი წინააღმდეგობა და აიძულა ფრონტის ყველა ხაზზე დაეხიათ უკან.

ეს იყო 1944 წლის იანვრის ბოლოს. ჩვენმა მეწინავე ნაწილებმა გაარღვიეს გერმანელების ღრმა ეშელონებად განლაგებული სიმაგრეები, გადალახეს მდინარე დნესტრი, სწრაფად წაიწიეს წინ, დაიკავეს ქ. უმანი და კორსუნ-შევჩენკოვოში ალყა შემოარტყეს ჰიტლერელების დიდ დაჯგუფებას,

რომელშიც ცხრა ქვეითი დივიზია შედიოდა, ერთი სატანკო და ერთიც ცალკე მოტომექანიზებული ბრიგადა.

ეს იყო მეორე სტალინგრადი! საბჭოთა დივიზიების მარწუხებში მოქცეულმა მტერმა გააფთრებული იერიში მოიტანა ჩვენი არმიის ნაწილებზე, მაგრამ ალყა მაინც ვერ გაარღვია. 8 თებერვალს საბჭოთა სარდლობამ წინადადება მისცა გერმანელებს შეეწყვიტათ უაზრო წინააღმდეგობა და დანებებულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ალყაშემორტყმული ჯარების სარდლები ხედავდნენ თავიანთ უნუგეშო მდგომარეობას, ჰიტლერმა კატეგორიულად აუკრძალა მათ იარაღის დაყრა. იგი ჰპირდებოდა დახმარებას, რამდენიმე სატანკო დივიზიაც გაუგზავნა ალყის გასარღვევად, მაგრამ ამაოდ: რაც სტალინგრადში მოხდა, აქაც ის განმეორდა.

ულტიმატუმის უარყოფის მეორე დღესვე დაიწყო მათი ალყაშემორტყმული ჯარების ლიკვიდაცია. ჩვენი ფრონტის ყველა შენაერთი ერთად გადავიდა შეტევაზე. ცხარე ბრძოლები გაიმართა თვით ქალაქის მისადგომებთან. გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას წევდნენ. ოფიცრები უმალავდნენ ჯარისკაცებს, რომ ისინი ალყაშემორტყმული არიან. ეს აძლიერებდა მათი წინააღმდეგობის ძალას, მაგრამ ჩვენები სულ უფრო და უფრო უჭერდნენ მარწუხებს. მერე ყველაფერი გაირკვა. ჯარისკაცებიც მიხვდნენ, რომ გამოსავალი არ ჰქონდათ. დისციპლინა ერთბაშად დაეცა. უკანასკნელ მომენტში კი გენერლები და შტაბის ოფიცრები, მათ შორის, ომის შემდეგ „ნატოს“ შტაბში მომუშავე გენერალი შპაიდელიც თვითმფრინავებით გაიქცნენ ბრძოლის ველიდან, „რიგითებმა“ კი იარაღი დაყარეს.

როგორ არ ჰგავდნენ ახლა ეს ფეხებმოყინული, ათასგვარ ძონძებში გახვეული, მშიერი და ჭუჭყიანი „ფრიცები“ გუშინდელ მებრძოლებს, რომელთაც ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა—ქალამნად... ისინი გაოგნებული იყვნენ, გაკვირვებულნი: საიდან აღმოაჩნდათ, მათი აზრით, „უკვე დამარცხებულ რუსებს“ ამდენი ძალა! ზოგი სულ ნირწამხდარი იყო, იმედგადაწყვეტილი და ხელჩაქნეული...

...ჩვენები ვეღარ აუდიოდნენ ტყვეების წამოყვანას თუ სამხედრო ნადავლის დათვლას. მთელი ბატალიონები და ლეგიონები თავიანთი მეთაურებიანად ყრიდნენ იარაღს. მხოლოდ ცალკეულ დივიზიებში მყოფმა ესესელებმა არჩიეს თვითმკვლელობა „სამარცხვინო ტყვეობას“. მათ მაგალითს ზოგიერთმა ფანატიკოსმა ოფიცერმაც მიბაძა. სხვები დანებდნენ.

მანამ არასოდეს მენახა ერთად ამდენი ტყვე გერმანელი. სტალინგრადის შემდეგ ეს ახალი მოვლენა იყო. ტყვე ჯარისკაცები გაოცებულნი მისჩერებოდნენ თავიანთ იარაღაყრილ ოფიცრებს — ლეიტენანტებს, მაიორებს, პოლკოვნიკებს... ადრე ვერც წარმოედგინათ, რომ შეიძლება ოფიცრებიც დანებდნენ ტყვედ. ყოველი მათგანი ხომ დაჟინებით შთააგონებდა ჯარისკაცებს, ეს უმძიმესი დანაშაულია ფიურერისა და სამშობლოს წინაშეო. თავის მხრივ, ოფიცრებიც დარცხვენილი უყურებდნენ თვიანთ ჯარისკაცებს ან, რამდენადაც შეეძლოთ, თვალს არიდებდნენ მათ. ბევრ მათგანს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამარჯვების იმედი დაკარგული და რცხვენოდა თავისი მდგომარეობისა. ერთმა პოლკოვნიკმა ითხოვა კიდეც ჯარისკაცებთან ერთად ნუ გვამყოფებთო. ჩვენებმა შეუსრულეს ეს თხოვნა და ცალკე მიუჩინეს ადგილსამყოფელი.

მე და ჩემს მეგობრებს ტყვე ოფიცრების დაკითხვა გვქონდა დავალებული. იმდენი იყვნენ, რომ დღედაღამ ვმუშაობდით. სხვებისა არ ვიცი და, მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გერმანული არმიის თფიცრობა მორალურად ჯერ კიდევ არ იყო გატეხილი. თავიანთ მარცხს ისინი „გენერალ ზამთარს“ აბრალებდნენ, სტალინგრადის კატასტროფას კი — ფელდმარშალ პაულუსის ღალატს...

...ჩემთან დაკითხვაზე შემოიყვანეს სიმპათიური გარეგნობის პოლკოვნიკი, „რაინდის ჯვრის“ კავალერი, ბარონი. პოლკოვნიკს ჯერ კიდევ ამაყი გამომეტყველება ჰქონდა და, ტყვეობის მიუხედავად, კარგ მხედრულ წრთობას ამჟღავნებდა. შემოვიდა თუ არა, მაშინვე სამხედრო სალამი მომცა. მერე ქუდი მოიხადა და მონოკლი შეისწორა.

პირველად თვალში მისი პრუსიულად აწკვერტილი ულვაშები მომხვდა, ისეთი, ბუზი აეცმებაო, რომ იტყვიან ჩვენში....

— დაბრძანდით! — ვუთხარი მე და სკამზე მივუთითე. არც განძრეულა. ისევ ისე გაჯგიმული იდგა და პირდაპირ სახეში მომჩერებოდა. დაბრძანდით-მეთქი, გავუმეორე, მაგრამ ორიოდე ნაბიჯით წამოიწია მხოლოდ, მონოკლი ერთხელ კიდევ შეისწორა და დაჟინებით დამიწყო ყურება. გამეცინა, ალბათ, რაღაცით არ მოვეწონე-მეთქი, მაგრამ მისი ასეთი ყურადღების ნამდვილ მიზეზს მაინც ვერ მივხვდი.

— რატომ არ დაბრძანდებით? — გავუმეორე კითხვა. დაჯდომის მაგივრად ქუდი დაიხურა, გაიჭიმა და რატომღაც ისევ სამხედრო სალამი მომცა. მერე რაც შეეძლო მკაცრი გამომეტყველება მიიღო და თქვა:

— თუ ნებას დამრთავთ, ერთ კითხვას მოგცემთ!

გამიკვირდა. დაკითხვაზე ჩემთან მოიყვანეს, ის კი აქეთ მიპირებს კითხვების მოცემას-მეთქი, მაგრამ მაინც დავეთანხმე:

— ბრძანეთ!

ერთხანს იყოყმანა, მერე კი ისევ ძველი პრუსიული წესის მიხედვით მესამე პირით მკითხა:

— ბატონი ოფიცერი ებრაელი ხომ არ ბრძანდება?

ახლა მივხვდი, რომ ჩემმა „არარუსულმა“ გარეგნობამ შეაშფოთა, მაგრამ არ შევიმჩნიე, ისე ვუპასუხე:

— არა, ებრაელი არ გახლავართ, თუმცა ამას რა ნიშვნელობა აქვს?

—ჩვენ არ ვისურვებდით ებრაელთან საუბარს.—თქვა მან და ისეთი ზიზღით შემომხედა, რომ ეტყობოდა არ დაიჯერა ჩემი ნათქვამი. ამიტომ მეც მის ტონს ავყევი და ვუთხარი:

— ბარონს ავიწყდება, ტყვე რომ ბრძანდება და ისიც საბჭოთა არმიისა. ამიტომ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენებრს მიცემა მოუხდებათ იმის მიუხედავად, ებრაელი ვარ, რუსი, თუ სხვა ვინმე.

— არა, ჩვენ ებრაელებთან არ ვისურვებდით ლაპარაკს!— გაიმეორა მან და მესამედ მომცა სამხედრო სალამი.

— გარემოებამ რომ გაიძულოთ?

— სულერთია, ეს შეუძლებელია, ჩვენ არასოდეს არ ვღალატობთ პრინციპებს.

— არც ტყვეობაში?

— არა, არავითარ შემთხვევაში, გვირჩევნია მოვკვდეთ, ვიდრე დავიმციროთ თავი და ებრაელს ჩვენება მივსცეთ,— თქვა მან და რამდენჯერმე გაიმეორა:

— არა, ეს შეუძლებელია, შეუძლებელი!

როგორც იქნა, დავაჯერე, რომ ებრაელი არა ვარ, კავკასიელი ვარ-მეთქი. ამის შემდეგ ქუდი მოიხადა, დაჯდა, მაგრამ მაინც უკმეხად გასცა პასუხი ჩემს კითხვებს. მისი ანტისემიტური ზიზღის გარდა მე ესეც მაბრაზებდა და მინდოდა სამაგიერო მიმეზღო, მაგრამ არ ვიცოდი როგორ. მერე თვითონ დამეხმარა ამაში. დაკითხვის შემდეგ, რაც თითქმის ორ საათს გაგრძელდა, ის-იყო ადგა და უნდა გაეყვანათ, რომ უცებ მომიბრუნდა და უკვე თავაზიანად მკითხა:

— გვინდა ვიცოდეთ, ვისთან გვქონდა პატივი საუბრისა?

თავში ერთბაშად ჰაინრიჰ ჰაინეს პოემის „დონა კლარას“ ამბავმა გამიელვა და, არც დავფიქრებულვარ, ისე მივახალე ჩვენი განყოფილების ერთ-ერთი ებრაელი თანამშრომლის გვარი, სახელი და მამის სახელი:

— მაიორ გრიგოლ იზრაილის ძე ბრეიმანთან, თქვენო ბრწყინვალებავ!..

სახტად დარჩენილი ბარონი სულ გალურჯდა ბრაზისაგან, მერე, ხელი რომ არ მიეშველებინა, ალბათ, მონოკლი ჩამოუვარდებოდა, ზიზღით ისე აუთრთოლდა სახე...

...მაშინ სხვა ოფიცრებსაც ასე ქედმაღლურად ეჭირათ თავი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ გაზაფხულიდან ისევ დაიწყებოდა გერმანული არმიის წინსვლა აღმოსავლეთის ფრონტზე.

— სადამდე? — ვკითხე ერთ მათგანს.

— ურალამდე, — მიპასუხა მან.

— ციმბირამდე, — თქვა მეორემ.

— სანამ ჩვენი ფიურერი არ გვიბრძანებს გაჩერებას, — განაცხადა მესამემ.

მაგრამ ისინი უკვე გაჩერებული კი არა, სულ უკან-უკან იხევდნენ. კორსუნ-შევჩენკოვო ახალი ლახვარი იყო მათთვის. აქ გერმანელებმა 73 ათასი კაცი დაკარგეს — როგორც მოკლული, ისე ტყვე. მარტო ჩვენი ფრონტის ნაწილებმა ხელთ იგდეს 41 თვითმფრინავი, 167 ტანკი, 10 ათასი ავტომანქანა, 127 ათასი გამწე, ურიცხვი ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი და სხვა იარაღი, სურსათისა და საჭურვლის საწყობები, ვაგონები და ცისტერნები...

...ამის შემდეგ ჩვენი ჯარების შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. კიდევ რამდენიმე დარტყმა და უკრაინის მეორე ფრონტმა გადალახა მდ. ბუგი, დაიკავა ქალაქები ჟმერინკა, ვინიცა, კამენეც-პოდოლსკი და 85 კილომეტრის სიგანეზე მიადგა სახელმწიფო სასაზღვრო მდინარე პრუტს.

22 მარტს მოსკოვში სამას ოცდაოთხი ზარბაზნის ოცდაოთხმა ერთობლივმა გასროლამ ამცნო ქვეყანას ეს ამბავი. ყველანი გახარებული ვიყავით, რადგან იმ გრანდიოზულ „შეჯიბრში“ სწორედ ჩვენმა, უკრაინის მე-2 ფრონტმა გაიმარჯვა და სახელმწიფო საზღვარზე გასვლის პირველი საზეიმო სალუტიც დაიმსახურა...

კეისრული სალამი...

ამის შემდეგ რამდენიმე დღეში ჩვენებმა 170 კილომეტრის სიგანეზე გადალახეს მდინარე პრუტი, დაიკავეს 180 დასახლებული პუნქტი და გავიდნენ მდინარე სერეტის ნაპირებზე.

12 აპრილს საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა რუმინეთს კავშირი გაეწყვიტა გერმანიასთან და მონაწილეობა მიეღო ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი ქვეყნის „დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღსადგენად“. პრემიერ-მინისტრმა იონ ანტონესკუმ არ მიიღო ეს წინადა-

დება. ამას მოჰყვა რუმინეთისა და გერმანიის ჯარების კატასტროფული მარცხი სამხრეთის ფრონტზე. სარდლები ამ მარცხს ჰიტლერს აბრალებდნენ, ის კი — სარდლებს.

ნათქვამია, ძალა აღმართსა ხნავსო: ჰიტლერმა მოხსნა სამხრეთის ფრონტის არმიათა ჯგუფის სარდალი ფელდმარშალი მანშტაინი, შემდეგ — ფელდმარშალი კლაისტიც და მათ მაგივრად დანიშნა ფელდმარშალი მოდელი და ახალგაზრდა გენერალ-პოლკოვნიკი შერნერი.

გერმანულ არმიათა ამ ჯგუფებს ჯერ კიდევ „სამხრეთი უკრაინა“ და „ჩრდილოეთი უკრაინა“ ერქვათ, თუმცა უკრაინა მათ დიდი ხანია, რაც უკან დარჩათ...

...იქ ახლა მხოლოდ მე-17 არმია იბრძოდა, ისიც ყირიმის ხაფანგში მომწყვდეული. უკანდასახევი სახმელეთო გზა მათ უკვე აღარ ჰქონდათ. ზღვით ჯარებისა და ტექნიკის ევაკუაცია კი ძნელი იყო, რადგან ჰაერში საბჭოთა ავიაცია ბატონობდა.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი რამის გადარჩენა შეეძლოთ, რომ აქაც ჰიტლერი არ გაჯიუტებულიყო. მან ყური არ ათხოვა არმიის სარდალს გენერალ იანეკეს, არც სხვა სამხედრო სპეციალისტების რჩევას და ამ შემთხვევაშიც ბრძანება გასცა, „უკანასკნელ კაცამდე“ დაეცვათ „გერმანული ყირიმი“ (?!).

ასეთ ბრძანებებს ის ხშირად იძლეოდა. გერმანული არმიები ვოლგისპირეთიდან გერმანიამდე ისე გამოიქცნენ, რომ ჰიტლერს ერთი მტკაველი უკანდახევის ნება არ მიუცია, არც მაშინ, როცა ამას სტრატეგიული ან ტაქტიკური აუცილებლობა მოითხოვდა.

— ჩემს გენერლებს რომ თუნდაც ერთხელ მივსცე ახალ პოზიციებზე დახევის ნება, მერე სულ ზურგს უკან ღაიწყებენ ყურებასო, — ამბობდა იგი.

ჰიტლერი თავს ისეთ მხედართმთავრად თვლიდა, რომელიც უკან არასოდეს იხევს.

— სადაც ჩემი ჯარისკაცი ერთხელ დადგება, იქიდან ფეხს არ მოიცვლის, — განაცხადა მან.

ასეთი ბაქიაობა 1944 წლის გაზაფხულზე, სხვა რომ არა იყოს რა, სასაცილოდ ყღერდა, რადგან ამ დროს გერმანელ ჯარისკაცებს ქუსლი სულ უკან რჩებოდათ. ჰიტლერი კი ისევ თავისას გაიძახოდა—არც ერთი ნაბიჯი უკანო, თუმცა რა... დრო იყო, არც იხევდნენ, მაგრამ იხოცებოდნენ ან ტყვედ ნებდებოდნენ. მერე ჩვენები რომ შეუტევდნენ, ჯაჭვითაც ვერ დააბამდით ერთ ადგილას, ისე კუდაკრეფილი გარბოდნენ აღმოსავლეთის ფრონტიდან...

...სიტყვამ მოიტანა და ამ „ჯაჭვით დაბმაზე" გაახსენდა. ერთ საშინელ ქარბუქიან დღეს დნესტრის მარჯვენა მხარეს მივყვებოდით. გაყინულ თოვლს გრიგალი შიგ სახეში გვაყრიდა. თვალის გახელა ჭირდა, მაგრამ მაინც ფეხდაფეხ მივსდევდით გაქცეულ მტერს. იქაურობა სულ დახოცილი გერმანელებითა და უპატრონოდ მიტოვებული საომარი ტექნიკით იყო მოფენილი.

ტყის პირას რომ გავედით, ჩვენი ყურადღება თოვლში ჩაფლულმა უზარმაზარმა ზარბაზანმა მიიპყრო. „დიდი ბერტა" ეწერა მის ლაფეტზე. ვიცოდით, რომ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროსაც უწოდებდნენ ასე ყველაზე მსხვილყალიბიან ზარბაზანს, რომელსაც ცნობილი გერმანელი მრეწველი გუსტავ კრუპი უშვებდა. ბერტა მისი მეუღლე იყო. როცა კრუპების ასწლოვან დინასტიას ვაჟი მემკვიდრე არ დარჩა, უფროს ქალიშვილს ბერტას გუსტავ ფონ ბოლენ უნდ ჰოლბახი შერთეს და ქმარი ცოლის გვარზე ჩაწერეს. ამის შემდეგ გუსტავ კრუპ ფონ ბოლენ უნდ ჰოლბახი გახდა კრუპების ფირმის მეთაური. ბერტას სახელი კი ამ ფირმის მსხვილყალიბიან ზარბაზანს მიეკუთვნა. ფრონტზე მეომრები ხმით ცნობდნენ ამ ზარბაზანს და, ბერტა ურტყამსო, ამბობდნენ.

ახლა კი ეს „ქალბატონი ბერტა" თოვლსა და ტალახში იყო ჩაფლული. იქვე გვერდით გერმანელი ჯარისკაცი ეგდო თავდაღმა დამხობილი, მაგრამ ისე ვიყავით „დიდი ბერტას" გასინჯვით გართულნი, რომ იმისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. მერე ვიღაცამ თქვა, მგონი ის ჯარისკაცი ჯერ კიდევ ცოცხალიაო. მივედით, თოვლი გადავწმინდეთ და ძაჯა ვავუ-

სინჯეთ. ძლივს ფეთქავდა. ეტყობოდა, მოყინული იყო. ტუჩზე არყით სავსე მათარა მივაყუდეთ, ცოტათი შევათბეთ და ძლივს მოვაბრუნეთ სააქაოსაკენ. გვინდოდა წამოგვეყენებინა კიდეც, მაგრამ, ერთი რომ წამოვწიეთ, ჯაჭვმა გაიჩხრიალა და ისევ დაეცა. დავინტერესდით, გავსინჯეთ და მართლაც საოცარი რამ ვნახეთ:

ის ჯარისკაცი ზარბაზანზე იყო ჯაჭვით მიბმული...

...მერე ისე მოხდა, რომ ნიურნბერგის პროცესზე მუშაობის დროს გუსტავ კრუპიც ვნახე და მისი მეუღლე ბერტაც, დოკუმენტებში კი ასეთი რამ ამოვიკითხე:

— უპასუხისმგებლო და მშიშარა ჯარისკაცები ბრძოლის ველზე ტოვებენ მძიმე არტილერიას, — წერდა თავის ბრძანებაში რომელიღაც გენერალი და ავალებდა მძიმე ზარბაზნების მომსახურე ქვეგანაყოფებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაეცვათ თავიანთი საბრძოლო იარაღი. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა და ზარბაზანს ბრძოლის ველზე მიატოვებდა, გენერალი დახვრეტით ემუქრებოდა. მაგრამ სიკვდილით დასჯის მუქარაც ვერ აიძულებდა სასიკვდილოდ განწირულ ჯარისკაცებს, თუნდაც „დიდი ბერტასათვის“ გაეწირათ თავი. ამიტომ დაიწყეს ჯაჭვით მიბმა ზარბაზნის ლაფეტზე, ანუ, როგორც ჯარისკაცები ხუმრობდნენ, „ძალით დაქორწინება ქალბატონ ბერტაზე“...

...ასეთი რამ, ცხადია, ფრონტის ხაზს ვერ გაამაგრებდა. ჩვენი ტანკისტები სოლივით იჭრებოდნენ მათ განლაგებაში და გზას უკაფავდნენ ქვეით ნაწილებს. მერე ზურგიდანაც შემოუვლიდნენ და ალყაში აქცევდნენ მათს მსხვილ შენაერთებს...

...ახლაც ასე მოხდა. შეტევის დაწყებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ საბჭოთა არმიის ნაწილებმა პერეკოპსა და ქერჩის ნახევარკუნძულზე ერთდროული დარტყმის შედეგად გაარღვიეს მტრის უაღრესად გამაგრებული პოზიციები, შეიჭრნენ ყირიმის შუაგულში, დაიკავეს ჯერ ჯანკოი, მერე სიმ-

ფეროპოლი და გერმანულ-რუმინული არმიის ნარჩენები ზღვის ნაპირას მიამწყვდიეს სევასტოპოლის რაიონში. ჰიტლერმა კი ამ შემთხვევაშიც სხვას შეახოცა ხელები და უკვე მართლაც დაბნეული სარდალი იანეკე გენერალ ალმენდინგენით შეცვალა. მაგრამ საქმეს ამან ვერ უშველა. ვერც იმან. საბჭოთა კავშირის დროებით დაპყრობილი ტერიტორიების საიმპერიო მინისტრმა ალფრედ როზენბერგმა რომ მოასწრო ყირიმის ქალაქების გერმანულად „მონათვლა“: სევასტოპოლს — „თეოდორიჰსჰაფენი“ შეარქვა, სიმფეროპოლს — „გოტებურგი“ და ა. შ.

როგორც ჩანს, ყირიმის თუნდაც დროებით შენარჩუნებას გერმანიისათვის მართლაც ჰქონდა ერთგვარი პოლიტიკური მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებდნენ გერმანული არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები.

ფელდმარშალი კაიტელი წერდა: „ყირიმის დაკარგვას ისეთი პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს. რომლის მასშტაბებისა და მნიშვნელობის გათვალისწინება ახლა შეუძლებელიცაა“.

საქმე ის არის, რომ მე-17 არმია მეტწილად რუმინული დივიზიებისაგან შედგებოდა (შვიდი თორმეტიდან). ამბობენ, ჰიტლერს ეშინოდა, აღმოსავლეთის ფრონტზე დამარცხებული რუმინელების დაბრუნებას საშობლოში იქ ომის საწინააღმდეგო განწყობილების გაძლიერება არ მოჰყოლოდა.

ასეა თუ ისე, გერმანელებს კეისრული სალამის მიუცემლადაც მოუხდათ ყირიმში ხმლის ძირს დადება. მათს შეიარაღებულ ძალებს კი ჰიტლერის ეს დაჟინება 200 ათასამდე კაცი და დიდძალი საომარი ტექნიკა დაუჯდათ.

ილია წერს: „ჟინს კიდევ ჟინი იმიტომ ჰქვია, რომ დაჟინებით იცის კაცის შეწუხებაო“.

ჰიტლერმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა ასეთი ბრძა დაჟინებით გამოწვეული დანაკლისის კატასტროფული მნიშვნელობა, მაგრამ თავი ისე მოჰქონდა, თითქოს ყველაფერი ეს ბუნებრივი იყო ომის პირობებში.

იგი წერდა: „მე უფლება მაქვს მოვსთხოვო ჯარისკაცებს

გაწირონ თავი!“ ჰიტლერი არც თავის „სულიერ მამას“ — ფრიდრიჰ დიდს ივიწყებდა, რომელიც ამასვე მოუწოდებდა თავის გრენადერებს. მაშინ ასეთ თავგანწირვას იქნებ მეომრის დიდებაც ახლდა, ახლა კი ეს სრულიად უაზრო მსხვერპლი იყო, მსხვერპლი ჯარისკაცებისა და არა მათი გენერლებისა, რომელნიც არცთუ ისე უფრთხილდებოდნენ „რიგითების“ სიცოცხლეს. ჰიტლერი კი თავის თვალში ყველაფერს ამართლებდა და ოფიცრებსაც ასე ურჩევდა: „ჯარისკაცებისაგან თავი შორს დაიჭირეთ და ნაკლებ შეგეცოდებათ ისინიო“. უყვარდა კიდეც შეეხსენებინა მათთვის, თუ როგორი აღტაცებით მიესალმებოდნენ კალიგულას სასიკვდილოდ განწირული გლადიატორები:

— სალამი კეისარს, სასიკვდილოდ მიმავალნი მოგესალმებიან შენ!...

ყირიმში კი ჰიტლერელ ოფიცრებს ამის თავი სად ჰქონდათ. თვითონ თვითმფრინავებით უშველეს თავს, ხოლო ჯარისკაცები ბედის ანაბარა დატოვეს... ისე, ნამუსის მოსაშენდად კი მათაც შეეძლოთ კალიგულას თუ არა, დემოსთენეს სიტყვები მაინც გაემეორებინათ:

— ვინც გამოიქცევა, ის კიდევ იბრძოლებს...

პირველი ნათლობა...

ყირიმის შესახებ მე მაშინ რადიოთი ვისმენდი უკანასკნელ ცნობებს ან გაზეთებში ვკითხულობდი კორესპონდენციებს. ჩავრთავდი თუ არა მიმღებს, ან გადავშლიდი გაზეთს, მაშინვე ნაცნობი სიტყვები მესმოდა: ქერჩი, ჯანკოი, პერეკოპი, სივაში, სევასტოპოლი... იქ ხომ ადრეც დიდი ბრძოლები იყო! სამამულო ომის ისტორიაში კარგადაა ცნობილი ქერჩის ნახევარკუნძულის გმირული შტურმი 1941—42 წლების ზამთარში. სამხედრო ხელოვნების ისტორიაში შევიდა გაბედული საზღვაო-სადესანტო ოპერაციები თეოდოსიაში და სევასტოპოლის ლეგენდარული დაცვა, რაც, სამწუხაროდ, ვერ ითქმის ქერჩის ნახევარკუნძულის ევაკუაციაზე 1942 წლის მაისში.

მე ეს ამბები კარგად მახსოვს, რადგან ჩემი პირველი საბრძოლო ნათლობაც ამ ადგილებთანაა დაკავშირებული. მაშინ გავიგე მეტისმეტად ძნელი, მაგრამ მაინც მიღწეული გამარჯვების სიხარულიც და უთავბოლობით გამოწვეული დამარცხების სიმწარეც. წინსვლაც განვიცადე და უკან დახევაც. თუმცა ერთიც მოსავალია და მეორეც. ომის ღმერთი არესი ყოველთვის ერთნაირად როდი სწყალობს ყველას!..

... მაშინ 51-ე არმიაში ვმსახურობდი. ქერჩის ნახევარკუნძულის სადესანტო ოპერაციაც სწორედ ამ არმიას ჰქონდა დავალებული. ეს იყო 1941 წლის დეკემბერში. ჩვენებს უნდა გადაელახათ სამი კილომეტრი სიგანის სრუტე, აეღოთ ქ. ქერჩი და განევითარებინათ შეტევა აკმონაის ყელის მიმართულებით. ამასთანავე მარცხენა ფლანგზე მოქმედ 44-ე არმიას შავი ზღვის სამხედრო ფლოტთან ერთად თეოდოსიაში უნდა გადაესხა დესანტები და ქერჩის ნახევარკუნძულის გადაკვეთის საფრთხე შეექმნა. ამბობდნენ, ჩვენი არმიის ოპერაციებში აზოვის ფლოტილიაც ჩაერთვებაო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

51-ე არმიაში შემავალი დივიზიები, საერთო გეგმის მიხედვით, სადესანტო ჯგუფებად იქნა დანაწილებული და ეშელონებად განლაგებული.

მეც მომიხდა მონაწილეობის მიღება ამ ოპერაციებში. დავალება უბრალო იყო: თუ პირველი სადესანტო ჯგუფები ქერჩის რაიონში ხელთ იგდებდნენ ტყვეებს ან საშტაბო დოკუმენტებს, ადგილზევე მიმეღო სარდლობისათვის საინტერესო ცნობები. ამისათვის შემიყვანეს შტაბის ოპერატიულ ჯგუფში, რაც ჩემთვის იმითაც იყო საინტერესო, რომ უფრო კარგად ვგებულობდი საერთო მდგომარეობას ფრონტის ყველა უბანზე...

...სუსხიან დეკემბრის ღამეს გავედით ქერჩის სრუტის აქეთა მხარეს ისარივით გაჭიმულ „ჩუშკაზე“. აქ გაცხარებული სადესანტო მზადება მიმდინარეობდა. მე სამხედრო სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ ჩემთვის მაშინვე ნათელი გახდა, რომ ფრონტი ასეთი რთული ოპერაციისათვის მომზადე-

ბული არ იყო. აბა, წარმოიდგინეთ სამი კილომეტრის სიგანე „წყლის ზღუდის“ გადალახვა ყოველგვარი სამხედრო-სადესანტო ტრანსპორტის გარეშე. ამის მაგივრობას ვითომ ადგილობრივ კოლმეურნეობებსა და მოსახლეობაში სახელდასახელოდ შეგროვილი სათევზაო კატარღები, კაპარჭები, ბარკასები, ტივები და უბრალო ნავები ეწეოდა. შავი ზღვის სამხედრო ფლოტი კი თეოდოსიის ოპერაციისათვის იყო განკუთვნილი. რაც შეეხება აზოვის ფლოტილიას, როგორც მოგახსენეთ, იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ არავითარი ფლოტილია არ გვინახავს. ამბობდნენ, ქვანახშირის უქონლობის გამო სეინერებიც ვერ გამოიყვანესო ნავსადგურიდან. საუბედუროდ, ქარიშხალიც მაშინ ამოვარდა და იმ რაიონში არნახული შტორმი დაიწყო. ეს იყო 25 დეკემბერს ღამით. მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, სარდლობამ მაინც გადაწყვიტა დაეწყო სადესანტო ოპერაციები. პირველ ეშელონში განლაგდა მსროლელი დივიზია, რომლის შემადგენლობაში ქართველებიც ბევრი იყო. მას მხარს უჭერდა ცალკეული მსროლელი ბრიგადები. ახლა ყველაფერი ამ შენაერთთა ჯარისკაცებისა და ოფიცრების გმირობაზე იყო დამოკიდებული. უნდა ითქვას კიდეც, რომ ამ შემთხვევაში სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მიუხედავად იმისა, რომ მებრძოლთა განკარგულებაში იმყოფებოდა „ფლოტი“, რომლის მსგავსითაც, ალბათ, არც ასი და ორასი წლის წინ ომობდნენ, ისინი მაინც მთელი სულითა და გულით მიიწევდნენ ქერჩისაკენ, რომ იქ შებმოდნენ მტერს.

მე, რა თქმა უნდა, არ შევუდგები ამ ოპერაციების აღწერას. ეს ჩემი საქმე არ არის. მაგრამ არ შემიძლია არ მოვიგონო ცალკეული სურათები, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ერთხელაც მოგახსენეთ, რომ არის რაღაც იდუმალი, არცთუ ისე ადვილად ასახსნელი ძალა თუ ენინი, რომელიც მებრძოლებს დაბრკოლებათა დაძლევისა და სახიფათო შეტაკებისაკენ ეზიდება. ეს ძალა ზოგჯერ ისეთ პათოსში გადადის, რომ მისი შეკავება შეუძლებელია.

პუშკინი წერს: „Есть упоение в бою“. ეს ბრძოლით თრობა თუ აღტაცება მიეწეოდა მათ წინ, თუმცა მაშინ ყვე-

ლასათვის ცხადი იყო, რომ ამგვარი სადესანტო ოპერაცია ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავდა.

წარმოიდგინეთ ნავსადგური, გამაგრებული სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით, ტერფით თხემამდე შეიარაღებული გარნიზონითა და სანაპიროზე განლაგებული შენიღბული საცეცხლე წერტებით, არტილერიით, ნაღმსატყორცნებითა და სადაზგო ტყვიამფრქვევებით; წინაც ბუნებრივი ზღუდე—სამი კილომეტრი წყლის სივრცე და საშინელი ღელვა. ასეთ პირობებში უბრალო კატარღებით, ნავებითა და ტივებით მიცურავენ მხოლოდ შაშხანებით შეიარაღებული ჯარისკაცები, რომელთაც გამბედაობის მეტი დაცვის არავითარი საშუალება არა აქვთ, ისიც მაშინ, როცა ჰაერში მტრის ავიაცია ბატონობს. იწყება ჯოჯოხეთური ცეცხლი, შენ კი რა უნდა ქნა? გვერდზე გადაუხვევ, სანგრებს თავს შეაფარებ, თუ რა... ზიხარ ნავში, ტივზე ან კატარღაზე და ძლვიძლივობით მიბობღავ წინ.

სხვა ყველაფერი ვინიცობის საქმეა: გადარჩები, ხომ კარგი, არადა—ომი ომია!..

...და მაინც ყველას ის უნდა, რომ პირველ სადესანტო ჯგუფებში მოხვდეს. სანაპიროზე უამრავი ჯარისკაცი ირევა. დაიტვირთება თუ არა კატარღა, მიაბამენ ხალხით სავსე ტივს და გაუშვებენ. რამდენიმე წუთში ის კატარღაც, ტივიცა და ხალხიც ღამის ბნელ ხახაში იკარგება. მერე ახალი ტრანსპორტის დატვირთვას შეუდგებიან. ისევ ატყდება ჩოჩქოლი. ყველას ერთად უნდა ასვლა.

— წესრიგი, ამხანაგებო, წესრიგი! — მეასეჯერ მოუწოდებს ოფიცერი, მაგრამ ამაოდ: გაყინულ წყალში ვარდებიან, მიდიან, მიტოპავენ, მიცურავენ, კატარღებს ებღაუჭებიან... მინახავს, ფარვანები რომ აწყდებიან ასე ლამფის შუშას. სინათლე უნდათ, სითბო, თორემ სიკვდილის ფასად რას მოიპოვებენ ასეთს?!

ესენი კი დეკემბრის ამ სუსხიანსა და უკუნეთ ღამეში სად მიიჩქარიან! რას ეძებენ! გარდა იმისა, რომ მტერთან უნდათ

პირისპირ შეხვედრა, იმათთან, ვისაც ზიზღით „ფრიცებს“ ეძახიან... ამიტომ ვერ აკავებს მათ ვერავითარი ძალა.

რას არ ნახავს ასეთ დროს კაცი! თვალს არ ვუჯერი: სადღაც ავტომანქანის საბურავები უშოვიათ, ზედ ფიცრებს ამაგრებენ, უნდათ ამით გადაცურონ ქერჩის სრუტე.

— კაცო, თქვენ გიჟები ხომ არა ხართ! — უყვირის მათ ვიღაც ხანშიშესული კაცი.

— არხეინად იყავი, ბიძა, ისეთი კრეისერი გავაკეთოთ, რო... — ისმის პასუხად.

— ე, ბიჭო, ჩვენც გავბეროთ მაგისთანა დრედნოუტი,— ხუმრობს უწვერულვაშო ჯარისკაცი...

ყველა რაღაცას ცდილობს, ეძებს, ახერხებს და მიდის იქითკენ, სადაც სასწაულით თუ შეიძლება სიკვდილს გადაურჩეს ვინმე...

...ყველაფერი ეს შობა ღამეს ხდება... ძველად სოფლებში ამ დროს ბავშვები თეთრ ჩიჩილაკებს დაატარებდნენ და „ალილოს“ სიმღერით მიადგებოდნენ მეზობლის კარებს...

— კარი გამიღე! — იძახდა მხიარული მეალილოე.

— რა მოგაქვს? — შეეკითხებოდა შიგნიდან მასპინძელი.

— სიცოცხლე, სიკეთე, სიხარული, ბედნიერება, — ჩამოთვლიდა მოსული....

ომის დროს კი კარზე ყოველი დაკაკუნება წინასწარ შიშს იწვევს...

— ვინ არის? ფოსტალიონი თუა? რა მოაქვს? წერილი, თუ ცნობა იმის შესახებ, რომ...

...ვინ იცის, ეს ღამე რამდენ ასეთ ცნობას უმზადებს იმათ, ვინც ასე მოუთმენლად ელის ფრონტიდან „კარგ ამბავს“... გერმანელებიც, ალბათ, საშობაო ლოცვაზე იდგნენ იმ ღამით. ეკლესიებშიც გაისმოდა ღაღადი: სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი... იქნებ არც ელოდნენ თავდასხმას ქრისტეს შობის ამ „წმიდა ღამეს“, თუმცა საეჭვოა. ისინი ხომ თავიანთ ყავისფერ სატანას უფრო სცემდნენ თაყვანს, ვიდრე მაცხოვარს. ბოლოს ისე გაკადნიერდნენ,

რომ მოითხოვეს ეკლესიებში ქრისტეს ხატები ჰიტლერის სურათებით შეეცვალათ. ჩვენ კი ეს დღესასწაული სულაც არ გვიწერია კალენდარში. სამაგიეროდ, ახალ წელს გვინდოდა ყირიმში შევხვედროდით...

...გარიჟრაჟისას უკვე მთელი ჩვენი „არმადა“ დაიძრა ნახევარკუნძულისაკენ. მტერმა კარგა ხანია, რაც ეს შენიშნა და საშინელი ცეცხლი გახსნა. შტორმმაც იძალა. ტალღები ნაფოტებივით აქანავებდნენ მსუბუქ ნავებსა და ტივებს. ჯარისკაცები ერთმანეთს ეკვროდნენ და ძლივს უმკლავდებოდნენ ზღვის გახელებას.

მერე ცნობა მოვიდა, აზოვის ფლოტილია უკან გაბრუნდაო. ჩვენ არც გამოსვლა გვჯეროდა მისი და ამას რას გავიკვირვებდით! მოტორიანი ნავები და კატარღები კი მაინც წინ მიიწევდნენ. აქა-იქ საბურავებზე დადებული „კრეისერებიც“ ჩანდნენ. მერე ბრძოლის მძიმე სურათი გადაიშალა ჩვენ თვალწინ! ტალღამ დაარტყა და ნავი გადააბრუნა. ჯარისკაცები გაყინულ წყალში ჩაცვივდნენ. რომელიღაც კატარღას მტრის ყუმბარა მოხვდა. უკან მიბმული ტივი მოცელა ტყვიამფრქვევმა. თვითმფრინავები შვეულად დაეშვნენ და პირდაპირ მოახვედრეს მიზანს. ჩვენი მებრძოლების ერთ ჯგუფს კი მეორე მიჰყვება, მეორეს — მესამე, მეოთხე, მეხუთე, მაგრამ მტერიც აძლიერებს წინააღმდეგობას. პირველი ჯგუფი თითქმის აღარ არის, მეორეც, მესამეც. მეოთხემ, როგორც იქნა, მიაღწია ქრონის კონცხს და ნაპირზე გამაგრდა.

ერთ დროს ამ მხარეს ძველი რომაელი მეზღვაურებიც დაცურავდნენ. მდგომარეობის ტრაგიკულმა ანალოგიამაც ამიტომ მაფიქრებინა, იქნებ ეს სახელი „ქრონიც“ იმდროინდელია-მეთქი, როცა, ლეგენდის მიხედვით, მენავე ქირონს მკვდრების სულები გადაჰყავდა ქვესკნელის მდინარე აქერონის იქეთა მხარეს, სადაც ჯოჯოხეთია მოთავსებული.

ასე თუ ისე, ნახევარი საათის შემდეგ ჩვენი კატარღაც მიადგა იმ კონცხს, მაგრამ შემდგომ შეტევასა თუ პლაცდარმის გაფართოებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო და დესანტი თავდაცვაზე გადავიდა...

...სამი დღე და ღამე მძვინვარებდა შტორმი სრუტეში. ანძები დაილეწა. ნავები გადაბრუნდა და მცურავი კუბოებივით გაჰყვა ქერჩის სრუტისა, თუ იმ აქერონის დინებას. ახალი სადესანტო ჯგუფების გადასხმა კი შეუძლებელი გახდა. ვერც შავი ზღვის ფლოტმა მოახერხა ბრძოლებში ჩაბმა. მხოლოდ მებრძოლთა თავგანწირულობამ იხსნა მდგომარეობა.

30 დეკემბერს ჩვენი არმიის ნაწილები ისევ წავიდნენ იერიშზე. მძიმე ბრძოლების შემდეგ რამდენიმე ჯგუფმა კიდეც მიაღწია ყამიშბურუნს. მეც იმ დღეს დავბრუნდი ქრონიდან და ამ ჯგუფს შევუერთდი. მერე ერთხელ კიდევ ვიმგზავრე კონცხზე, მაგრამ გადავრჩი!

ასეთ რამეს მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას უნდა უმადლოდეს კაცი!

გერმანელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ როგორმე მოესპოთ ჩვენი სადესანტო ჯგუფები ქერჩის რაიონში. მაგრამ 30 დეკემბერს დილით 44-ე არმიამაც დაიწყო თეოდოსიაზე იერიში. შავი ზღვის ფლოტმა დესანტები გადასხა ნავსადგურში და დაიკავა ქალაქი. ორ დღეში იქ უკვე სამი საბჭოთა დივიზია და ორი ცალკე ლეგიონი იბრძოდა. გერმანელები იძულებული გახდნენ სევასტოპოლს, თეოდოსიასა და ქერჩს შორის დაექსაქსათ თავიანთი ძალები. მერე, როცა ჩვენებმა ორივე პლაცდარმი შექმნეს, გაჩნდა საშიშროება აკმონაის ყელის გადაჭრისა და გადაწყვიტეს ქერჩის ნახევარკუნძულიდან უკან დაეხიათ.

იმ ღამეს ბე ისევ დავბრუნდი „დიდ მიწაზე“, ხოლო მეორე დღეს შტაბის ოფიცრებთან ერთად უკვე მძიმე ყუმბარმშენით მივფრინავდი ქერჩისაკენ. ესეც ჩემი პირველი საჰაერო „ნათლობა“ იყო.

მახსოვს, მაშინ ჩვენთან ერთად მოდიოდა ცნობილი რუსი პოეტი ილია სელვინსკი. თვითმფრინავი მინდორზე დაეშვა. ნერვები ჩვენ უკვე საკმაოდ გვქონდა გამაგრებული, მაგრამ. რაც იქ ვნახეთ, ამის გახსენება ახლაც ერუანტელს მგვრის...

...დავეშვით თუ არა მიწაზე, მაშინვე ბაგეროვოს ტანკსაწინააღმდეგო ორმოებთან აღმოვჩნდით, სადაც გერმანელებს

სულ რამდენიმე საათის წინ დაეხვრიტათ ქერჩის რამდენიმე ათასი მცხოვრები. ერთი კილომეტრის სიგრძისა და ორი მეტრის სიღრმის ტანკსაწინააღმდეგო ორმო სულ დახოცილთა გვამებით იყო ამოვსებული. თითქმის მთელი ქერჩის მოსახლეობა გამორბოდა ამ საშინელების სანახავად: ვინ ქმარს ეძებდა, ვინ მშობლებს, შვილებს, თუ ნათესავებს. მორბოდნენ წივილ-კივილით, ორმოებიდან ამოჰქონდათ დახოცილთა გვამები. ზოგი ჯერ კიდევ სუნთქავდა, ზოგს ტყვია არც მოხვედროდა, ისე ჩამხტარიყო ორმოში და იქ გაგუდულიყო, მკვდრებს შორის მოქცეული. საშინელი სურათი იყო! ყველა თავისიანს დაეძებდა. პოულობდნენ კიდეც და თმებს იგლეჯდნენ. ერთის დატირებაზე რა ამბავია ხოლმე და აქ კი ათასობით მოკლულს ხუთი ამდენი ჭირისუფალი დასტირის!

სელვინსკი და მე ვუყურებდით ამ სცენას და თმა ყალყზე დგებოდა. ნერვები ისე დაიძაბა, რომ პოეტის გულმა ვეღარ აიტანა და ითხოვა, წავიდეთო. ამ დროს შტაბის ოფიცერი მოვიდა ჩვენთან და იმ ორმოს მეორე მხარეს წაგვიყვანა, სადაც უფრო შემზარავი სურათი დაგვხვდა. ასამდე ძუძუმწოვარა ბავშვი ეწყო ერთმანეთის გვერდით — ყველა სათუთად შეხვეული. მშობლებისათვის უთქვამთ, სხვაგან უნდა გადაგასახლოთო. დედებს თბილად გაეხვიათ ბავშვები, გზაში არ გაგვიცივდესო. აქ კი ჯერ ბავშვები დაეხვრიტათ, მერე მშობლები, და ისიც მსკდომი ტყვიებით. ბოლოს თვითონ შეეზარათ თურმე ეს საშინელება და სიკვდილის უფრო „ჰუმანური“ მეთოდი გამოიყენეს — მოწამვლა. ორმოცამდე ბავშვს ტუჩებზე რაღაც ყვითელი საწამლავი წაუსვეს და დახოცეს. ზოგიერთი დედა ისე მაგრად ჩაბღაუჭებოდა თავის შვილს, რომ ხელიდან ვერ გამოეგლიჯათ და ორივე ერთად მოეკლათ. სიკვდილის შემდეგაც ჩახუტებული იყვნენ ისინი ერთმანეთს. მამაც ასე ჩაფრენოდა თავის ათიოდე წლის ბიჭს, მაგრამ ორივე ერთად დაეხვრიტათ ორმოს ნაპირას.

ყველაზე შემზარავი ის იყო, მკვდრებს შორის როგორ „ამოთხარეს“ სამოციოდე წლის მოხუცი, რომელსაც სულაც არ მოხვედროდა ტყვია. იგი აქეთ-იქით აცეცებდა ელდანაცემ თვალებს და უხმოდ იცინოდა, თან ხელებით ეძებდა ტახზე

ადგილს, ტყვია სად მომხვდაო, ვერ პოულობდა და უხაროდა. ისე შემაძრწუნებელი იყო ეს ხელების ფათური და ჩლუნგი სიცილი, რომ ვერავინ გაუძლო მის ყურებას. იმ მოხუცმა კიდევ ერთხანს ამოწმა სხეულის ყველა ნაწილი და, რომ დარწმუნდა, ტყვია არ მომხვედრიაო, რაღაც ცხოველური ღმუილი აღმოხდა ყელიდან და გაიქცა. გაეკიდნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს, გარბოდა და რაღაცას ღრიალებდა... თუ ხარხარებდა...

შეშლილი იყო!

ხალხი კი ისევ ქოთქოთებდა ტანკსაწინააღმდეგო ორმოს გარშემო...

...იმ დღეებში ფრონტზე მიმავალ ახალ შენაერთებს ჯერ ბაგეროვის ამ სასაკლაოზე გაატარებდნენ, აჩვენებდნენ მთელ ამ საშინელებას და აბარებდნენ:

— სისხლი სისხლის წილ!..

გაგულისებული მეომრები ნიაღვარივით მიიწევდნენ წინ. მათი შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

— სამშობლოსათვის!.. სტალინისათვის!.. — ეწერა ყველა გზაჯვარედინზე. ხშირად ასეთ წარწერასაც შეხვდებოდით:

— მოკალი გერმანელი!..

ახლა ეს ჩვენთვის შეიძლება გაუგებარიც იყოს, მაშინ კი არც გვიკვირდა. ან რატომ უნდა გამკვირვებოდა, როცა ნიურნბერგის პროცესზეც ასე ამბობდნენ:

— გაივლის მთელი საუკუნე და კაცობრიობა კიდევ ვერ შეძლებს ზიზღისა და სიძულვილის გარეშე წარმოთქვას სიტყვა „გერმანელი“.

ისიც თქვეს:

— ამიტომაც ვფიქრობთ, რომ თვითონ გერმანელებმა უფრო მკაცრი მსჯავრი უნდა დასდონ იმათ, ვინც მათი ეროვნული სახელი ლანძღვად აქცია.

ვეთანხმებით ახლა ამას თუ არა, სხვა საქმეა, მაგრამ იმ დროს მართლა ასე იყო. ის კი არა, მწერალმა ალექსეი ტოლსტოიმ, რომელიც ყოველთვის მშვიდობასა და კაცთმოყვარე-

ობას ქადაგებდა, იმ საშინელ დღეებში დაწერა წიგნი — „მე ვქადაგებ სიძულვილს!“

ეს სამართლიანი სიძულვილიც ქმნიდა მაშინდელი ბრძოლების პათოსს, რის შედეგადაც ქერჩის მთელი ნახევარკუნძული გათავისუფლებულ იქნა გერმანელი ოკუპანტებისაგან. მათი მე-11 არმიის სარდალი კი იძულებული გახდა სევასტოპოლის შტურმი შეეწყვიტა. გაგულისებულმა ჰიტლერმა არც ამ შემთხვევაში უღალატა თავის თავს. ქერჩის ნახევარკუნძულზე მოქმედი ჯარების სარდალი მან რიგით ჯარისკაცად ჩამოაქვეითა, ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნა და უბრძანა სისხლით გამოესყიდა დანაშაული...

ბედისწერის სასწორი...

ქერჩის ნახევარკუნძულის აღება მართლაც დიდი გამარჯვება იყო. მით უფრო სამწუხაროა, რაც ამის შემდეგ მოხდა. ოთხი თვის განმავლობაში ჩვენი ფრონტის სარდლობა აქ თავს უყრიდა დიდძალ სამხედრო ტექნიკასა და რეზერვებს, რომ ახალი დიდი შეტევა დაეწყო მთელი ყირიმის გასათავისუფლებლად. მაისის დასაწყისში უკვე ყველაფერი მზად იყო და დღითი-დღე ველოდით გადამწყვეტ შეტევას...

მოხდა კი პირიქით... 8 მაისს თვითონ ჩვენი მოწინააღმდეგე გადმოვიდა შეტევაზე. დილიდანვე თითქოს გრანდიოზული საჰაერო აღლუმი გაიმართა ყირიმის ცაზე. მე მთელი საათის განმავლობაში გაოცებული შევყურებდი გერმანული თვითმფრინავების დაუსრულებელ ნაკადებს, ტალღისებურად რომ მოედინებოდნენ ჩვენკენ. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მრავალი ათასი ყუმბარმშენი „იუნკერსები“ და „ჰაინკელები“ „მესერშმიტების“ ესკადრილიების თანხლებით მოდიოდნენ ჩვენი პოზიციების დასაბომბავად. მაშინ არც ვიცოდი, რომ ეს თავისებური „ფსიქიკური შეტევა“ იყო. გერმანელთა მე-4 ავიაფლოტის ცალკეული შენაერთები და მე-8 საავიაციო კორპუსის თვითმფრინავები ე. წ. „ვარსკვლავისებური ფრენით“ ქსელავდნენ ცას ჩვენს ზევით, ისე როგორც ქაღალდი-

დან ფანქრის მოუშორებლად იხატება ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ასეთი ფრენა თვითმფრინავების ახალ-ახალი ტალღების დაუსრულებელი დინების შთაბეჭდილებას ქმნის, მაშინ როცა სინამდვილეში ერთი და იგივე თვითმფრინავები ტრიალებენ და ვარსკვლავისებურად ხაზავენ ცას.

„აღლუმის“ შემდეგ დაიწყო მოწინავე პოზიციებისა და ზურგში განლაგებული სამხედრო ობიექტების დაბომბვა. მტრის ავიაცია მაშინ მნიშვნელოვნად სჭარბობდა ჩვენსას. ამან საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს საფუძვლიანად „დაეუთოებინა“ ჩვენი მოწინავე ხაზი. მერე შეტევაც დაიწყეს და ბედისწერის სასწორი ამჯერად მათკენ გადაიხარა. ჩვენებმა უკან დაიხიეს.

უფრო გვიან გამოირკვა, რომ გერმანელებს ძირითადი იერიში ჩვენს მარცხენა ფლანგზე მიეტანათ, იქ, სადაც 44-ე არმია იყო განლაგებული. აქ მათ შეძლეს უფრო ძლიერი შენაერთებისათვის მოეყარათ თავი და წარმატებასაც მიაღწიეს. 44-ე არმიის მოწინავე დივიზიებმა უკან დაიხიეს სანაპიროს გასწვრივ.

იმ დღეს მე ფრონტის შტაბის საკომანდო პუნქტში ვიყავი მორიგედ. ამის შემდეგაც იქ დავრჩი რამდენიმე ხანს. შტაბის ოპერატიული ჯგუფის სხვა ოფიცრებთან ერთად მე ვახლდი არმიის სარდალს, გენერალ ლვოვს. ყველას გვიყვარდა ეს ქერათმიანი გოლიათი, რომელსაც ერთი წყრთა ულვაშები ჰქონდა, რის გამოც ჩუმად „ულვაშას“ ვეძახდით. თვითონაც იცოდა ეს. ზოგჯერ ტელეფონშიც ჩასძახებდა, „ულვაშა“ გელაპარაკებათო, და ხელით ჩამოიფოცხავდა თავისი „სახის მშვენებას“.

...გერმანელთა შემოტევა რომ დაიწყო, ლვოვი სულ ბობოქრობდა, ვიღაცეებს ეჩხუბებოდა ტელეფონში, თითებს იმტვრევდა და ისე ითხოვდა უფლებას კონტრშეტევაზე გადასულიყო თეოდოსიის მიმართულებით. უნდოდა გვერდიდან დაეკრა გერმანელების წინ წამოწეული ჯარის ნაწილებისათვის და მოეწყვიტა ისინი ძირითადი ძალებისაგან.

მე არ ვიცი, როგორ მოხდა ყოველივე ეს. არც ის შემიძ-

ლია ვთქვა, ლვოვმა ფრონტის სარდლობის დაუკითხავად თუ გასცა განკარგულება შეტევის დაწყების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, პირველივე დღეს რამდენიმე კილომეტრით წავიწიეთ წინ და, ვინ იცის, რა მოხდებოდა, რომ ჩვენ თვალწინ ასეთი ამბავი არ დატრიალებულიყო.

სანგრებში ვიყავით, რომ პირდაპირ ჩვენს მხარეს „იუნკერსების“ მთელი ესკადრილია წამოვიდა. ლვოვმა მაშინვე გვიბრძანა თავშესაფარში შევსულიყავით, თვითონ კი, მიუხედავად თხოვნისა, ხვეწნისა და ადიუტანტის კატეგორიული წინადადებისა, მაინც ადგილზე დარჩა. სანგრები მას წელამდეც ვერ სწვდებოდა. მთასავით იდგა და ჭოგრიტით ზვერავდა მოწინავე ხაზს, ყუმბარმშენებთან ერთად ტანკებიც წამოვლენ თუ არაო. მერე რაც იქ მოხდა, მოსაგონებლადაც ძნელია. გერმანელების თვითმფრინავები შვეულად დაეშვნენ და ახლო მანძილიდან დაბომბეს შტაბის განლაგების ადგილი. ერთ ტალღას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე...

ჩვენი გოლიათი სარდალი მძიმედ დაიჭრა და სანიტრებმა წაიყვანეს. ამბობდნენ, მაშინვე გადააფრინესო ღრმა ზურგში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ მისი გარდაცვალების ამბავი, ისიც, თუ რა პატივისცემით დაესაფლავებინათ იგი თბილისში...

...ამის შემდეგ ჩვენ რატომღაც უკან დახევის ბრძანება მივიღეთ. ახლა სამხედრო სპეციალისტებიც წერენ, რომ ეს შეცდომა იყო. ჩვენ ამაში მაშინაც დარწმუნებული ვიყავით. ტყვედ ჩავარდნილმა ოფიცერმა თქვა: ლვოვს რომ შეტევა განეგრძო, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ოპერაცია ჩაიშლებოდაო. ამას რომ ამბობდა, ტუჩებზე ღიმილი უთამაშებდა...

ჩვენ კი უკან ვიხევდით. ბრძანება იყო, ე. წ. „თურქულ სანგრებში“ გავმაგრებულიყავით. ესეც, ალბათ, გაუგებრობას უნდა მიეწეროს. სინამდვილეში არავითარი „თურქული სანგრები“ არ არსებობდა. ან კი ასი წლის წინათ, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, გათხრილი სანგრები რა სიმაგრეებად გამოდგებოდა... ამას ჯერ უთავბოლო უკან დახევა მოჰყვა... მერე —

ევაკუაცია. ვინც მოასწრეს, გადაიყვანეს „დიდ მიწაზე“, ვინც არა, დარჩა აჯიმუშკაის კატაკომბებში, რომ შემდეგ პარტიზანული ბრძოლა ეწარმოებინა...

...მე ერთხანს კიდევ ვასრულებდი რაღაც დავალებებს. ზოგჯერ მეზობელ შენაერთებშიც მგზავნიდნენ კავშირის დასამყარებლად, მაგრამ უკვე ეშმაკიც ვერ გაიგებდა, ვინ ვის მეზობლად იმყოფებოდა. ყველაფერი ისე იყო ერთმანეთში არეული, რომ, თუ ძალიან ყურადღებით არ იქნებოდი, შეიძლებოდა სადმე მტრის მეავტომატეებსაც წასწყდომოდი. ცალკე შიმშილი გვაწუხებდა, ცალკე — უძილობა. სამხედრო ნაწილები ისე მოსწყდნენ თავიანთ ბაზებს, რომ შემთხვევით თუ წავაწყდებოდით რამეს, თორემ არავითარი მომარაგება არ იყო. ისე კი, რას იპოვიდი ამ გადაფხეკილ ნახევარკუნძულზე, სადაც მხოლოდ კირქვიანი ნიადაგი და კატაკომბებია.

ერთხელ მე და პოლკოვნიკი სამოილოვი სადღაც, მიტოვებული ქოხის კუთხეში, შემთხვევით მიყრილ ხახვს წავაწყდით. სამი დღის განმავლობაში ეს იყო ჩვენი საუზმეც, სადილიც და ვახშამიც. ხახვი კი „მსუქანი“ იყო, უკრაინელები რომ „ციბულის“ ეძახიან, მაგრამ წყლისა და საჭმლის მაგივრობას მაინც ვერ გვიწევდა. მერე იმ პოლკოვნიკმა როგორღაც სულზე მიუსწრო უკანასკნელ საევაკუაციო ჯგუფს და მოახერხა გადასვლა „დიდ მიწაზე“. შემდეგაც ხშირად შევხვედრივარ მას და ყოველთვის ასე მივესალმებოდით ხოლმე ერთმანეთს:

— გამარჯობა, ხახვო!

— გაგიმარჯოს, ციბული!

ასეთი ჟარგონი ადვილად იქმნება ფრონტზე...

მახსოვს, ყუბანში, სოფ. სვისტელნიკოვოში, მძიმე ბრძოლებს რაღაც სასწაულად გადარჩენილ პროფ. სავლე წერეთელს შევხვდი, გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა, მაგრამ მაშინვე ისეთ ქარცეცხლში გავეხვიეთ, რომ მერე სულ ასე ვესალმებოდით ერთმანეთს:

— სვისტელნიკოვოს გაუმარჯოს!
— გაუმარჯოს!..

...მერე პოლკოვნიკ შეველიოვის მეთაურობით შტაბის ოფიცრებისაგან შეკრებილი ბატალიონი შედგა. უკანდახევის დროს სულ ბოლოს ეს „ოფიცერთა ნაკრები ბატალიონი" მოდიოდა. იგი საარიერგადო ბრძოლებს ეწეოდა და ამით, შეძლებისამებრ, ხელს უწყობდა ჩვენი ჯარების ევაკუაციას ყირიმიდან. გერმანელების შემოტევის შეჩერება ჩვენ, ცხადია, არ შეგვეძლო, მაგრამ, ასე თუ ისე, მაინც ვაკავებდით ძეავტომატეთა წინსვლას ენიკალეს მიმართულებით. აქაც ისეთივე მძიმე პირობები გვქონდა. მთელი ოთხი დღე არც ძილი გვღირსებია და არც სასმელ-საჭმელი. პირს ზღვის წყლით ვისველებდით და ეს იყო ყველაფერი.

18 მაისს ევაკუაცია დამთავრდა. 19 მაისს ჩვენ აჯი-მუშკაის კატაკომბებში შევედით. აქ ათასობით ჯარისკაცსა და ოფიცერს მოეყარათ თავი. ვეძებე ნაცნობები: ვიქტ. კუპრაძე, ვლ. მაჭავარიანი, ვ. კუპრავა, მაგრამ ვერ ვნახე. მერე ის ღამეც თეთრად გავათენეთ... ვისხედით, ვფიქრობდით, ვდავობდით, მაგრამ საბოლოო აზრს მაინც ვერ დავადექით, თუ როგორ მოექცეულიყავით. თითქმის მთელი კვირის უძინარები ვიყავით, უსმელ-უჭმელნი, დაქანცულნი... ბედის დაცინვა ის იყო, რომ ვიღაცას აქაც ერთი ტომარა ხახვისთვის მიეგნო და ბატალიონის ინტენდანტმა თითო თავი დაგვირიგა ყველას. მე ესეც ღვთის წყალობად მივიღე, ნელ-ნელა გავფცქვენი. თან მარჩიელობა დავიწყე, ისე როგორც იბსენის ერთ-ერთმა გმირმა: თანდათან ვაცლი ხახვს ფურცლებს და ვფიქრობ, მივაღწევ გულამდე თუ არა. თუ მივაღწიე, ხომ გადავრჩებით, თუ არა... ერთი, ორი, სამი... ხუთი... ათი... შემოვაცლი თუ არა ერთ ფურცელს, გადასაგდებად მენანება და ვღეჭავ, მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთი მწარე ხახვი შემხვდა, რომ თვალებიდან სულ ნაპერწკლები მაყრევინა... მერე, ბოლომდე რომ მივაღწიე, არავითარი გული!

ხახვს ფურცლებს რომ შემოაცლი, გრჩება არაფერი...

გარიჟრაჟისას ბატალიონის მეთაურმა გადაწყვიტა კატა-

კომბებიდან ამოვსულიყავით და ბრძოლით გაგვეკვლია გზა ენიკალესაკენ, საიდანაც საბჭოთა ჯარების ევაკუაცია წარმოებდა. როგორც ჩანს, შეველიოვს ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ აქ რამე ტრანსპორტს იშოვიდა და ჩვენც გადავიდოდით „დიდ მიწაზე“. ამოვედით კიდეც სამასამდე კაცი. დანარჩენები იქ დავტოვეთ.

დღეს ყველამ იცის მათი გმირული თავგადასავალი. დიდი ხნის განმავლობაში უწევდნენ ისინი გერმანელებს წინააღმდეგობას, ვიდრე შხამიანი გაზებით არ ამოახრჩვეს ყველანი...

მაცხოვრის შიკრიკი...

სანაპირო სოფელ ენიკალემდე ჩვენს ბატალიონს დიდი წინააღმდეგობა არც შეხვედრია. როგორც მეთაურმა გამოგვიცხადა, დანაკლისიც „უმნიშვნელო“ იყო: სულ 24 კაცი. დანარჩენებმა ამ პრიმიტიულ „გადასასვლელამდე“ მივაღწიეთ და ზედ ზღვის ნაპირას ერთ უზარმაზარ გამოქვაბულს შევაფარეთ თავი. უძილობისა და დაქანცულობის გამო ისედაც ჰალუცინაციებით ვიყავი შეპყრობილი და, ახლა რომ ამ გამოქვაბულს შევხედე, მომეჩვენა, ბაყბაყ დევს დაუღია ვეება ხახა და მთელ შავ ზღვას უპირებს გადაყლაპვას-მეთქი. ზღვისა რა მოგახსენოთ და ჩვენ კი დაგვიტია ყველა. იარაღი ავიხსენით და დაქანცულები პირდაპირ მიწაზე დავეყარენით.

მე ისე ვიყავი ძილად მიქცეული, რომ „ვითარცა წყალი დავითხიე და განიბნინეს ყოველნი ძუალნი ჩემნი...“ — როგორც ფსალმუნში წერია...

...ევაკუაცია უკვე დამთავრებული იყო და გადარჩენის არავითარი იმედი აღარ არსებობდა. ვერც ისეთი სადესანტო ტრანსპორტი მოადგებოდა აქ, რომ ამდენი კაცი გადაეყვანა „დიდ მიწაზე“.

ქერჩიდან ენიკალე ხელისგულივით ჩანს, ხოლო თვითონ ამ სოფლის ნაწილიც უკვე გერმანელების ხელთ იყო. ღამემ გვიხსნა, თორემ აქამდეც შეიძლებოდა ყველაფერი დამთავ-

რებულიყო. იმ ღამით კი რა სასწაული უნდა მომხდარიყო ან რა „ნოეს კიდობანი“ უნდა გამოჩენილიყო, რომ აქედან გავეყვანეთ. მით უმეტეს, თუ ჩვენ შესახებ იმ აღთქმულ „დიდ მიწაზე“ არაფერი იცოდნენ. დილით კი გერმანელები უკანასკნელ იერიშს მოიტანდნენ და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა.

— არ დაიძინოთ, ბიჭებო, არ დაიძინოთ! — ისმოდა პოლკოვნიკის მონოტონური ხმა.

ზოგს მართლაც არ ეძინებოდა, მე კი უკვე იმდენი ღამე მქონდა თეთრად გათენებული, რომ ახლა არაფერი ისე სანატრელი არ იყო ჩემთვის, როგორც სადმე მიგდება და ძილი. ერთი საათით თვალის წატყუება დამიბრუნებდა ენერგიას, მაგრამ, რაკი სოფლის მეორე მხარეს გერმანელები იყვნენ, ძილი მართლაც არ შეიძლებოდა. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თავდასხმა. მე ისევ ზღვის წყლით ვისველებდი სახეს და ცოტათი ეს მშველოდა, მაგრამ მაინც სულ დავიშალე. თავს ვერ ვიმაგრებდი, თვალები მეხუჭებოდა, უძილობამ და წყურვილმა ღონე სულ გამომილია.

— არ დაიძინოთ! ეცადეთ, როგორმე არ დაიძინოთ! — გვაფრთხილებდა ისევ პოლკოვნიკი.

არც მე მინდოდა დამძინებოდა, მაგრამ თავს ვეღარ ვერეოდი. ისე ვიყავი გაბრუებული, რომ განსხვავებასაც ვერ ვამჩნევდი: უკვე მეძინა, თუ ჯერ კიდევ არა. სულერთია, ამ ქვეყნისა აღარ ვარ-მეთქი. თავი ტყვიასავით დამიმძიმდა, გონებასაც რაღაც ბურუსი გადაეფარა, თვალები მელულებოდა, თითქოს სადღაც ვიძირებოდი, გარშემო ტალღების მღვრიე რგოლები მიცურავდნენ. ერთი რგოლი მიჰყვებოდა მეორეს... მეორეს — მესამე... და მერე ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა.

პოლკოვნიკის სიტყვები კი მაინც გარკვევით მესმოდა:

— არ დაიძინოთ, ბიჭებო, გთხოვთ, არ დაიძინოთ!..

ეს სიტყვები ლურსმნებივით მეჭედებოდა ტვინში!.. ვხედავდი, ჩემ გარშემო ოფიცრები როგორ გარინდებულიყვნენ. ალბათ, ყველა თავის ფიქრს მიჰყვებოდა, ვინ იცის, საიდან სად. ვის რა აგონდებოდა, ან თავს ძალას ატანდა, რომ მოჰ-

გონებოდა... ფიქრს ყველაფერი შეუძლია. მისთვის არც დროა დაბრკოლება და არც სივრცე. ფიქრს თუ გაჰყვები, გინდ ერთ წამში ათეულ წლებს გადალახავ, ასიოდე ქვეყანას მოიცლი, გინდ წარსულში აღმოჩნდები, გინდ მომავალში. ფიქრისათვის სულერთია. ყველაფერი ეს ერთ წერტილშია გადაკვეთილი და ერთ წამში შესაძლებელი.

არც არაფერია უფრო სწრაფი, ვიდრე ფიქრი ადამიანისა...

...ფაუსტმა რომ უსწრაფესი სულის არჩევა განიზრახა მსახურად, შვიდი მსურველი გამოეცხადა. მის კითხვაზე, რა სისწრაფისა ხარო, ერთმა უპასუხა: როგორც ქარი; მეორემ: როგორც ისარი; მესამემ: როგორც სინათლის სხივი; მეოთხე თუ მეხუთე სულმა ისიც თქვა: სწრაფი ვარ, როგორც სიკეთიდან გადასვლა ბოროტებაშიო, მაგრამ ფაუსტმა მეშვიდე სული აირჩია, რომელმაც უთხრა:

— როგორც ფიქრი ადამიანისა!..

...ასეა. ფიქრი ხომ ადამიანის ფრთებია. იგი ალამაზებს ჩვენს ყოფას. აბა, უამისოდ რა ვიქნებოდით?! საკუთარი სხეულის სიმძიმე, სხვა არაფერი!..

მე კი ფიქრიც ისე დამიმძიმდა, საკუთარ არსებობასაც ველარ ვგრძნობ. რაც შემიძლია, კი ვებრძვი თავს, რომ ძილი გავიფრთხო. ერთხანს ზღვის ტალღების ერთფეროვან შრიალს ვუსმენ, ყნოსვითაც ვგრძნობ, ნიავს როგორ მოაქვს სანაპიროდან თევზისა და მარილის სუნი, და ვფიქრობ...

...ახლა ვფიქრობ, თორემ მაშინ ამის თავი სად მქონდა. თუ ადამიანი ნორმალურად ცხოვრობს, ვერც კი ამჩნევს, რა სიკეთე აქვს ძილის სახით მომადლებული. ზოგი კი უსიამოვნოდაც შეიშმუშნება, როცა ვინმე ეტყვის:

— იცით, ერთად რომ შევკრიბოთ, ყოველ ჩვენგანს სიცოცხლეში თურმე 20 წელიწადი ძილი გამოუდის, შეიძლება მეტიც...

— რა საშინელებაა!—იტყვის ის, ვისაც ძილი დროს და-

კარგვად მიაჩნია. გერმანელებს თქმულებაც აქვთ ასეთ „დროს დახარბებულ კაცზე", რომელმაც დაწყევლა კიდეც ძილის გამჩენი. ეს იწყინეს ანგელოზებმა და იმ კაცს სულ წაართვეს ძილის უნარი. ამაზე მეტი უბედურება არც შეიძლებოდა მის თავზე დატრიალებულიყო: თვალის გუგები თითქოს ქვებად ექცნენ, ქუთუთოები და წამწამები აღარ მოძრაობდნენ... იყო ასე დღენიადაგ თვალებგახელილი და შეძრწუნებული, მაგრამ რა ექნა, როცა ძილი არ ეკარებოდა, თუნდაც ჰიპნოსის ჯადო-წამალი დაელია, თვით ოლიმპის მბრძანებელსაც რომ ახუპვინებდა თვალებს.

ასეთ ტანჯვაში გაატარა მან მთელი სიცოცხლე, ვიდრე სიკვდილმა არ შეიბრალა და სულაც არ იხსნა ამქვეყნიური არსებობისაგან...

ეს იგავი რომ გაიხსენა, თომას მანმა, თავის მხრივ, ასეთი პათეტიკური სიტყვებიც უძღვნა ბუნების ამ „დიად წყალობას":

— ის, რომ დღის შემცვლელად ეშვება ღამე და მადლი ძილისა მწუხრის ყოველ ჟამს გაშლის თავის მოსასხამს, რათა გააქარვოს ან დააცხროს ყოველგვარი ტანჯვა, უკუღმართობა, ტკივილი და სევდა; ის, რომ ეს მკურნალი და თავდავიწყების მომნიჭებელი სასმისი შემზადებულია ჩვენი დასიცხული ტუჩებისათვის; და რომ მარად და მარად იხმობს იგი თავის გრილ წიაღში ბრძოლისაგან მოთენთილ სხეულებს, ჩამოგვრეცხავს ოფლს, მტვერსა და სისხლს, რათა კვლავ აღვდგეთ უფრო ძლიერნი, განახლებულნი, გაახალგაზრდავებულნი, დავუბრუნდეთ ჩვენს საწყის უცოდველობასა და უბრალოებას, აღვიდგინოთ თავდაპირველი სიმამაცე და არსებობის სიხარული, — ო, მეგობარო, მე ყოველთვის მიმაჩნდა ერთ ყველაზე უფრო ამაღელვებელ წყალობად, რაც კი არსებობს ყოფიერების დიდებულ ფაქტორთა შორის...

...ჩვენ უკვე თითქმის ერთი კვირაა, რაც ამ წყალობას მოკლებულნი ვართ. დაუღალავი პოლკოვნიკი კი ისევ თავზე გვადგას და გვაფრთხილებს:

— არ დაიძინოთ, ბიჭებო, არ დაიძინოთ!..

გამიგონია, კაცს რომ სიკვდილს მიუსჯიან, ჰკითხავენ, რა იქნებაო თქვენი უკანასკნელი სურვილი.

ჩემთვის რომ მაშინ ვინმეს ასეთი კითხვა მოეცა, უყოყმანოდ ვეტყოდი:

— ერთი საათით ძილი!.. თუნდაც მარადიული ძილის წინ!..

...აღმოსავლეთს გარიჟრაჟი შემოადგა. ცამ თითქოს მაღლა აიწია, სივრცე გაიშალა და ნამძინარევმა ქვეყანამ თვალები გაახილა. მთელი ღამე ვებრძოდით ფიქრსა და უძილობას, ახლა კი, თითქოს პირველად გვენახოს, ისე შეშფოთებული ვხვდებით ქვეყნის მნათობის მობრძანებას. თანაც რაღაც გაურკვეველის მოლოდინში ვართ. მზის ამოსვლასაც ისე ვუყურებთ, როგორც სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას. ასე გვგონია, სადაცაა ამოვა „ვარსკულავი მბრწყინვალე განთიადისაჲ“ და მასთან ერთად ვიღაც ჩაგვჩურჩულებს ყურში:

მე შიკრიკი ვარ იმ მაცხოვრისა.
ვისაც მოელით განთიადისას!..

ასეთ დროს ქვეყანას ისე აღიქვამ, როგორც უზარმაზარ საათის ციფერბლატს. ისარი ნელ-ნელა უახლოვდება თორმეტს... ყოველი დარტყმა ჭრილობას აყენებს, უკანასკნელი კი კლავს. შენ უყურებ და უცდი... გაკეთებით კი არაფერი შეგიძლია. რაც არ უნდა მოინდომო, დროს ვერ შეაჩერებ, ვერც მის ღმერთს—კრონოსს მოაშლევინებ საკუთარი შვილების შთანთქმას...

...მოპირდაპირე გორაკიდან ნაღმსატყორცნებმა ცეცხლი გახსნეს. დაიწყო! ნაღმები სადღაც ახლოს გასკდა, სანაპიროსთან. მერე ტყვიამფრქვევებიც ახმაურდნენ. ყველანი ფეხზე წამოვცვივდით, როგორც ერთი კაცი! გაჭირვებამ ისე შეგვაკავშირა, რომ ამ სამასამდე კაციდან მართლაც ერთი ორგანიზმი შეიქმნა. ყველანი ერთნაირად ვფიქრობდით, ერთმანეთს ვეხმარებოდით, განსხვავება არ იყო, არც სურვილ?

ამისი. ყოველ განკარგულებაზე ავტომატურად ვმოძრაობდით, მაშინაც, როცა ყველაზე კრიტიკული მომენტი დგებოდა, და რომ გვეგონა, სხეული დაიშალაო, ბატალიონი უფრო შეკავშირდა და განმტკიცდა: ყველას პიროვნება ერთში გაერთიანდა და, როგორც ერთი კაცი, ისე ამოქმედდა...

...ჩვენ წინ კვარცხლბეკივით აღმართული უზარმაზარი ლოდი ეგდო. ეგვიპტურ სფინქსს ჰგავდა, მკერდგამოშვერილს. ბატალიონის მეთაური პოლკოვნიკი შეველიოვი ამ ლოდზე ავიდა. მას აჰყვნენ კომისარი და შტაბის უფროსი. პოლკოვნიკმა რატომღაც ქუდი მოიხადა და ისე თქვა:

— მეგობრებო! ჩვენ, რაც გვევალებოდა, გავაკეთეთ და მოვრჩით, მეტი არაფერი შეგვიძლია. გამოსავალი არ არის. მინდა მადლობა გადაგიხადოთ და გაგაცნოთ უკანასკნელი ბრძანება.

ახლაც კარგად მახსოვს: ტანდაბალი, მაგრამ ჯმუხი კაცი იყო, ფართო, ცისფერი თვალები ჰქონდა, დიდი ხნის შეუკრეჭელი თმები, მზით გარუჯული სახე და ბოხი, ხავერდოვანი ხმა.

ამას რომ ამბობდა, სადღაც ახლო ნაღმი გასკდა. ვიღაცამ დაიძახა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ფრთხილად!

პოლკოვნიკს რატომღაც გაეცინა და ხელი ჩაიქნია. მერე ქუდი ისევ დაიხურა და შესძახა:

— ოფიცერთა ბატალიონო, სმენა!

ყველანი გავიჭიმეთ.

— ისმინეთ ბრძანება!

ეს „უკანასკნელი ბრძანება“ ისე ჩაიკითხა პოლკოვნიკმა, რომ ხმა ერთხელაც არ გაბზარვია. ის ამბობდა, რომ ოფიცერთა ნაკრებმა ბატალიონმა ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და, რაკი სხვა გამოსავალი არ არის, სამარცხვინო ტყვეობის თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტა მოახდინოს...

...ვის მოუვიდა თავში პირველად ეს სიტყვა, ახლაც მიკვირს: „თვითლიკვიდაცია“. როგორც ჩანს, „თვითმკვლელო-

ბა“ არ უნდოდათ დაეწერათ და ეს „თვითლიკვიდაცია“ მოიგონეს, თანაც საბრძოლო ბრძანების ფორმით. ბატალიონის სამ ოფიცერს, რომელთა გვარები ამოიკითხეს, ამ ბრძანების შესრულების შემდეგ ნაღმებით უნდა აეფეთქებინათ გამოქვაბული და თავიანთი თავიც. ეს იქნებოდა 276 ოფიცრის ძმათა სასაფლაო.

ბრძანება ისეთი პათოსით იქნა წაკითხული, გეგონებოდათ საქმე რომელიღაც მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრის აღებას ეხებაო. ჩვენც ისეთი შეგრძნება გვქონდა, ვითომ სხვების ლიკვიდაცია უნდა მოგვეხდინა და არა საკუთარი თავისა. ძნელიცაა ასეთ ვითარებაში გარკვევა. იქნებ ჩვენ თვითონ ვიქეცით ჩვენთვისვე „სხვად“ და, რაკი ომია, შეიძლებოდა ამ „სხვის“ სულ ადვილად მოსპობა, რაც იმავე დროს იქნებოდა ბრძანებით გადაწყვეტილი „თვითლიკვიდაცია“...

...და ყველაფერი ეს ხდება გასაოცარი სიმშვიდით. მე მიმძიმს კიდეც აქ სიტყვა „სიმშვიდე“ ვიხმარო, იქნებ ეს მოჩვენებითია. ხომ შეიძლება უკანასკნელ საზღვრამდე მისული მღელვარება გადადიოდეს თავის წინააღმდეგობაში, რასაც უკვე განურჩევლობა და აპათია ჰქვია. იქნებ ამდენი ხნის უსმელ-უჭმელობით, უძილობითა და სიკვდილის პირისპირ დგომით მოთენთილი სხეული კარგავს სწორი რეაქციის უნარს და ერთმანეთში ურევს ყოფნა-არყოფნის კარტებს.

ნამდვილად ასეა თუ არა ეს, არ ვიცი, ამაზე ვერც ვერაფერს გეტყვით. მე მგონი, ამისი წარმოდგენა შეიძლება, განცდაც. მაგრამ ახსნა? არა! ყოველ შემთხვევაში, ეს მე არ შემიძლია.

ვაჟა რომ ამბობს, ბუნება თვით სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველიაო, ჩემთვისაც გასაგებია, მაგრამ ნიცშეს ზარატუსტრას ნათქვამში—„ყველას თვითმკვლელობას ეწოდება სიცოცხლე“ — სულ ვერ ვერკვევი. თუმცა არც იმას უარვყოფ. რომ შეიძლება ასეც იყოს...

...პოლკოვნიკი შეველიოვი ისევ იმ ქვის კვარცხლბეკზე დგას. მაისის ახლად ამოსული მზე პირდაპირ ანათებს მის გა-

რუჯულ სახეს და უფრო ვაქკაცურ იერს აძლევს. გაისმის განკარგულება:

— მოამზადეთ იარაღი!..

რევოლვერების ერთსულოვანი ჩხრიალი არღვევს დილის მყუდროებას. ეს იმას ნიშნავს, რომ „მომზადებულ იარაღს“ თითის გამოკვრაღა აკლია.

ამის შემდეგ სრული სიწყნარეა, სამარისებური სიჩუმე. ყველა გარინდებულია, ჰაერის მოძრაობაც შეჩერებული. უკვე აღარც ზღვა შრიალებს, ან ჩვენ არ გვესმის არაფერი... არც სუნთქვა... არც გულისცემა...

ასე გრძელდება ერთ წუთს. ეს, ალბათ, ის წუთია, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე რომ დევს და რომელზედაც ამბობენ, ყველაზე ძნელი გადასალახავიაო. მერე ისევ პოლკოვნიკის მოწოდება გაისმა:

— მაშ ასე, ამხანაგებო, სამშობლოსათვის!.. სტალინისათვის!..

...და ისროლა. ჯერ იქვე, ქვის კვარცხლბეკზე ჩაიკეცა, მერე ძირს გადმოვარდა. ოფიცრებმა ხელი შეაშველეს და დაიწვინეს... მერე ბატალიონის კომისარმა მიჰბაძა მის მაგალითს... შტაბის უფროსმაც... რამდენიმე ადგილასაც გაისმა სროლის ხმა...

...და აქ მოხდა საოცრება, რომლის გამო ვყვები ამ ამბავს. მე როგორღაც უნგრული რევოლვერი მომხვდა ხელთ, უშველებელი რაღაც იყო, ჩვენებურ ძველ დამბაჩას ჰგავდა, მსხვილყალიბიანს... ავწიე თუ არა ეს ჩემი „მზადყოფნაში მოყვანილი“ დამბაჩა... გვერდით მდგომ მაიორს უცებ სიცილი წასკდა. ეს ისე მოულოდნელი იყო და ისე იმოქმედა ჩემზე, თითქოს სადღაც უფსკრულის პირას ჩამავლო ვიღაცამ ხელი და შემაჩერა.ძ მგონი, ცალი ფეხი უკვე გადადგმულიც მქონდა იქით, მაგრამ ამ უეცარმა სიცილმა ადგილზევე გამაშეშა...

მე არასოდეს არ დამავიწყდება ეს სიცილი. ალბათ, რამდენი კაციცაა აქ ქვეყნად, სიცილიც იმდენნაირია. ყველა თავისებურად იცინის. ადამიანის სულიერი სამყარო სიცილ-

შიც მჟღავნდება. ზოგი ისე გაიცინებს, რომ შეგზარავს, ზოგის ღიმილი კი ცის კარებს გაგიხსნის. გესლიანი სიცილი გულს გიკლავს, დამცინავი — გაღიზიანებს. ადამიანი სიხარულის გამო იცინის, მაგრამ ზოგჯერ დიდი მწუხარებაც იწვევს ნერვიულ სიცილს.

ახლა ისიც ვიცი, თომას მანი რომ წერს „შემაძრწუნებელი სიცილის“ შესახებ. ადრიან ლევერკიუნმა ისეთი სიცილი იცოდა, რომ შიშის ზარს სცემდაო თავის მეგობრებს. „ჯოჯოხეთური სიცილიც“ გამიგონია. ისიც მინახავს, შეშლილი რომ სიცილით გამოხატავს თავის უბედურებას.

იმ მაიორის სიცილი კი სულ სხვა იყო, ძლიერი, ნერვიულიც, მაგრამ მაინც ხალისიანი; გულიანი სიცილით, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი, თუმცა იმ სიტუაციაში ისე მოულოდნელი და უცნაური, რომ შეშფოთებულმა შევხედე, ხომ არ გაგიჟდა-მეთქი. სხვებმაც მოიხედეს. ალბათ, იმათაც ასე იფიქრეს. ის კი ისევ მხიარულად იცინოდა. მერეც ტუჩებზე ღიმილი არ მოშორებია, ისე მითხრა:

— შე იდიოტო, სად ნახე ეგ ზარბაზანი! თუ თავის მოკვლაა, რაღა ამ უსაშველო ტყვიით იხეთქავ თავს, აგერ მოიცადე ცოტა და...

უცებ ხმას დაუწია, სახეზეც ღრუბელმა გადაურბინა და ერთბაშად ჩამოხსნა ღიმილი მის ტუჩებს. სული რომ მოითქვა, ისევ წყნარი, მაგრამ უკვე გაჟეჟილი ხმით თქვა:

— მერე ამ ჩემს „ბრაუნინგს“ აიღებ და ის იქნება...

ამაზე სხვებსაც გაეცინათ. შეიძლება ეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ასე კი იყო. ალბათ, ამ უეცრად მოვარდნილმა სიცილმა წალეკა ტრაგიკულობის შეგრძნება და ერთი წუთით მაინც მისცა გზა ხალისიან განწყობილებას. იმას კი ვინ იტყვის, თვითონ სიცილი საიდან მოვარდა ასე უეცრად, ან იმ ღობემძვრალა იუმორმა სად მოძებნა ხვრელი, რომ სიკვდილის ამ სამეფოშიც შემომძვრალიყო!

ამაზეც ახლა ვფიქრობ, თორემ მაშინ არც არაფერი მიფიქრია. ისე, ერთი წუთით ამიტაცა ცაში ამ უცნაურმა სიცილმა და... კიდევაც გადამარჩინა „თვითლიკვიდაციას“...

...რამდენიმე ადგილას ისევ გაისმა სროლის ხმა, მაგრამ ეს უკვე ჩემზე აღარ მოქმედებდა... თითქოს რაღაც დამავიწყდა, თუ თავი სხვაგან მეგონა, შესაძლებელია, ნისლიც გადაეფარა გონებას, რომ ისევ იმ მაიორმა გამკრა იდაყვი და გვერდით მიმახედა... კაპიტანმა თვალები დახუჭა და მეზობელმა ესროლა. ალბათ. თვითონ ვერ შეძლო...,

— ვითომ ასე სჯობია? — მომესმა ისევ მაიორის ხმა.

— რა ვიცი, არა მგონია, — ვუპასუხე მე, თუ სხვამ ჩემ მაგივრად.

— კარგი, აბა, მოიცადე და მერე ჩემი „ბრაუნინგი" აიღე. ხელი რომ ასწია, ვიღაცამ რაღაც შემზარავი, მჩხავანა ხმით დაიძახა:

— შეაჩერეთ სროლა!

ყველამ იქით მივიხედეთ. დაზვერვის უფროსი მაიორი პავლოვი შეხტა ქვის კვარცხლბეკზე, რომელზედაც ჯერ კიდევ ზოლებად ჩამოდიოდა იმათი სისხლი, ვინც ორიოდე წუთის წინ მოახდინა „თვითლიკვიდაცია". მაიორმა ხელი ასწია და ისევ დაიყვირა:

— შეაჩერეთ სროლა! სისულელეა! ვაუქმებ პოლკოვნიკ შეველიოვის ბრძანებას და თვითონ ვკისრულობ მეთაურობას.

თითქოს დაჭიმული ზამბარები დახსნესო, ისე მოგვეშვა ყველას. მხოლოდ ერთი გასროლა გაისმა უკანა რიგში. ეტყობა, ვიღაც უკვე ისე იყო შესული „თვითლიკვიდაციის" ექსტაზში, რომ მაიორის სიტყვებისათვის ყურადღება არც მიუქცევია.

— როგორც მეთაური ვბრძანებ, შეაჩერეთ-მეთქი სროლა! — გაიმეორა მაიორმა, — თავი რატომ უნდა მოვიკლათ, რა სისულელეა, ეს შეურაცხყოფს ოფიცრის ღირსებას! არა, ამხანაგებო, ასე ნუ მოვიქცევით. მე ვიცი, რომ გამოსავალი არ არის, მაგრამ თვითმკვლელობა მაინც სამარცხვინოა. ისა სჯობია, ვიბრძოლოთ უკანასკნელ კაცამდე და მოვკვდეთ ბრძოლის ველზე. მტრის ტყვია მოგვხვდეს, ის გვირჩევნია, ვიდრე საკუთარი...

— სწორია! — დაიძახა ვიღაცამ, მერე სხვებიც აჰყვნენ და, მგონი, ერთხმადაც შევძახეთ:

— სწორია, სწორი!

მაიორს სახეზე ღიმილმა გადაურბინა და ასე დაამთავრა თავისი მოწოდება:

— მაშ ასე, ამხანაგებო, წავიდეთ იერიშზე და...

აქ ისეთი უწმაწური რამ თქვა, რომ...

პასუხად ერთსულოვანი ხარხარი გაისმა... ძლიერიც და საშინელიც... გაუთავებელი... ძრწოლის მომგვრელიც და როგორღაც დამამშვიდებელიც. თითქოს თუნუქის სახურავს სეტყვამ დაუშინაო, ისე ახორხოცდა ყველა. მეც ვიცინოდი მათთან ერთად და ვგრძნობდი, როგორ თავისუფლდებოდა სხეული რაღაც უხილავი ტვირთისაგან. მივხვდი კიდეც, ნებისყოფის რა არაადამიანური დაძაბვის შედეგი ყოფილა ის „სიმშვიდე“, რომელიც დაგვეუფლა მაშინ, როცა რევოლვერები ჩახმახზე გვქონდა შეყენებული...

ისე ავხმაურდით და ავმოძრავდით, თითქოს მართლაც „ნოეს კიდობანი“ გამოჩენილიყოს „დიდ მიწაზე“ გადასაყვანად. იმაზე კი არ ვფიქრობდით, რომ ის, რაც ერთ საათში მოგველოდა, იგივე „თვითლიკვიდაცია“ იყო, რასაც პოლკოვნიკ შეველიოვის ბრძანება მოითხოვდა...

სიკვდილის მაძიებელნი...

სამ ასეულად გავიყავით. თვითეულ ასეულში 90-მდე ოფიცერი შედიოდა. ბატალიონის ახალმა მეთაურმა პირველი ასეული ზღვის ნაპირისაკენ გაგზავნა მარჯვენა ფლანგზე, მეორე ცენტრში დააყენა, ხოლო მესამე — მარცხნივ, აჯიმუშკაის კატაკომბებისაკენ. მეც იმ მესამე ასეულში მინდოდა მოხვედრა, რადგან იმ მხარეს მეგულებოდა ჩემი თანამემამულე ვახტანგი, მაგრამ ბატალიონის მეთაურმა მეორე ასეულის კომისრობა დამავალა და იმ მხარეს წასვლა არ მომიწია. სამაგიეროდ მაიორი, რომელმაც თავის მოსაკლავად პატარა ბრაუნინგი შემომთავაზა, ჩემთან მოხვდა ასეულში. გახარებული იყო, გადამეხვია და მითხრა: ხომ იცი, შენმა ზარბაზანმა გადამარჩინა, თორემ ახლა, ალბათ, ჯოჯოხეთის კარებთან ვიქნებოდი ატუზულიო.

მერე ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მტრის განუწყვეტელი ცეცხლისაგან დანაკლისი არც მიგვიღია. პოზიციებზე გასვლამდე მაიორმა აგვიხსნა—საერთო სიგნალის მიცემისთანავე „ფსიქიკურ შეტევაზე“ წავალთო. ჩვენ, რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდით, რომ ერთ დროს ვიღაც ჭკუანაღრძობის მიერ მოგონილი ეს „ფსიქიკური შეტევა“ აქ იმიტომ იქნა ნახსენები, თავი მტრის ტყვიისათვის მიგვეშვირა...

ესეც იმ „თვითლიკვიდაციას“ ჰგავდა, მაგრამ, ალბათ, უფრო ადვილიც იქნებოდა და ღირსეულიც...

...რილკეს უთქვამს: „ყველამ ვიცით, რომ უნდა მოვკვდეთ, მაგრამ არავინ ვცდილობთ გავალამაზოთ ჩვენი სიკვდილიო“. როგორ არ ვცდილობთ! აბა, ეს „ფსიქიკური შეტევა“ რა არის! ესეც ხომ რაღაც რომანტიკასთანაა დაკავშირებული, „დასასრულის სილამაზესთან“, და ჩვენც, როგორც შეგვეძლო, ისე ვალამაზებდით ჩვენს დასასრულს... მაშინ რომ „საწვავი მასალაც“ გვქონოდა, ცხადია, უფრო დავამშვენებდით მას. ბისმარკის აზრით, გერმანელ ჯარისკაცს ნახევარი ბოთლი შამპანური უნდა, რომ თავის ბუნებრივ სიმაღლეს მიაღწიოს. ვინ იცის, ეს ირონიითაა ნათქვამი თუ არა. ის კი შემიძლია ვთქვა: ყველა ჩვენგანს რომ ნახევარ-ნახევარი ლიტრი არაყი გვქონოდა... საკუთარ სიმაღლესაც გადავაჭარბებდით. მაგრამ სად იყო! ისე კი ვცდილობდით, რაც შეგვეძლო, რომ „ბუნებრივი სიმაღლე“ მაინც არ დაგვეკარგა...

...ცუდი ხომ არსებობს, მაგრამ არის ცუდზე უარესიც. და როცა იმ უარესს თავს ვაღწევთ, როგორც ჩანს, ცუდიც უკეთესად გვეჩვენება. ალბათ, ამიტომ იყო, რომ პირველი ასეული სულ სიმღერით წავიდა თავისი პოზიციისაკენ. ისე გაჰყვიროდნენ „Широка страна моя родная-ს“ თითქოს ოთხივე მხრივ მართლაც უზარმაზარი სივრცე ჰქონოდათ თავისუფლად სანავარდო. წარმოდგენილი მაქვს, გერმანელები როგორ დააღებდნენ პირს, მათ სიმღერას რომ გაიგონებდნენ.

მერე მარცხენა ფლანგზეც გაისმა უფრო მჭექარედ: „Эх,

тачанка ростовчанка“ ბოლოს, ჩვენი ასეულიც ჩაერთო ამ „ოლიმპიადაში“. აქ თვით ბატალიონის მეთაურმა წამოიწყო თავისი ხრინწიანი ხმით: „Эх, яблоко куда катишся“... ჩვენც ავყევით და ორასი მეტრით წავიწიეთ წინ. მერე მაიორმა მაშხალა გაისროლა და წავედით!.. ისევ სიმღერა, ისევ „შირაკა“, „ტაჩანკა“ და „იაბლოკო“, უთავბოლო სროლა და ხანდახან „ურაა“, ვითომ „ფსიქიკური შეტევაა“! მაგრამ სინამდვილეში არავითარი შეტევა არ გამოვიდა. ჩვენდა გასაოცრად, მოპირდაპირე არსად ჩანდა. არც არავითარი წინააღმდეგობა გაუწევიათ. მივდივართ, მივიმღერით და სულ ესაა ჩვენი „ფსიქიკური ვაჟკაცობა“. გავიარეთ ორი კილომეტრი, ისევ — არავითარი წინააღმდეგობა. მერე — კიდევ ორი. იგივე ამბავი! ერთი კილომეტრიც წავიწიეთ და შევჩერდით. ვერაფერი გავიგეთ, რა მოხდა. ან ის ნაღმტყორცნები სად წავიდნენ, ადრე დილით გორაკიდან რომ გვესროდნენ? მერე გამოირკვა, რომ გერმანელებს ნაღმმტყორცნელთა მცირე ნაწილის მეტი აქ არავითარი ძალა არა ჰყოლიათ. მთელი მათი ყურადღება თურმე ქერჩისაკენ იყო მიმართული. ყოველ შემთხვევაში, ეს ხუთი კილომეტრი ისე გავიარეთ, რომ უკანდახეულ მენაღმეთა შორეული ცეცხლის გარდა არავითარი დაბრკოლება აო შეგვხვედრია.

ჩემთვის ეს ხუთი კილომეტრიც მძიმე მოსაგონარია, არა იმიტომ, რომ არც ისე ადვილია ასეთ მანძილზე ათრიო შენი მოთენთილი სხეული, არამედ იმის გამო, რაც მე ვნახე. ერთი კვირის წინ აქ ისეთი ჯოჯოხეთის ალი ტრიალებდა, რომ ეს მინდორი ახლაც საშინელ სანახაობას წარმოადგენდა. მინდვრები და გორაკები სულ დახოცილთა გვამებით იყო მოფენილი. ზოგი თავდაღმა იყო გართხმული მიწაზე, ზოგიც პირაღმა გაშოტილი, ხელებგაშლილი და უმოძრაო. მიწა უკვე იწოვდა მათ სხეულს, რაც შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. რანაირ პოზაში არ იყვნენ ეს სხეულები გაქვავებულნი, ან რას არ ამოიკითხავდა კაცი მათ გაყინულსა და უმოძრაო შემოხედვაში...

...ომამდე ძალიან მიმძიმდა პანაშვიდებზე სიარული, მაგრამ, თუ ზოგჯერ მაინც იძულებული ვხდებოდი, თავს გვერდ-

ზე ძივიბრუნებდი და ისე გავიდოდი ოთახიდან. დღემდე არც ის მესმის, რატომ უნდათ მიცვალებულის სახისთვის აყურებინონ ხალხს. საამისოდ პანაშვიდებსაც არ სჯერდებიან და ქუჩაში თავახდილი კუბო მიაქვთ, თანაც რაც შეიძლება მაღლა აწეული, რომ მთელმა ქვეყანამ უყუროს. იმაზე კი არავინ ფიქრობს, რომ ამაში არის რაღაც დამამცირებელი მიცვალებულისათვის, რომელიც ერთ დროს ადამიანი იყო და, ალბათ, თავმომწონეც. აბა, რა საყურებელია უმწეო ნაშთი სიცოცხლისა, რომელიც არც არაფერს გრძნობს და არც ხედავს, თორემ, თვითონ რომ ესწრებოდეს თავისი დასაფლავების ცერემონიალს, სირცხვილით დაიწვებოდა... მაგრამ წესი წესია და ყველა ტრადიციულად ასრულებს მას...

...აქ კი ვინ არის ამათი პატრონი! ვინ იცის, ვინ საიდან მოსულა, რომელი ქვეყნის რომელი კუთხიდან, ვის სად დარჩენია მშობლები, დები და ძმები. რომ იცოდნენ, რა ყოფაშია მათი ქოჩორა ვაჟკაცები, სიმწრისაგან თმებს დაიგლეჯდნენ. არ იციან და ელიან. ესენი კი გაშხვართულან აქ ამ მინდორზე და მზისთვის მიუპყრიათ თავიანთი უსიცოცხლო თვალები. ერთი გულმოსულია და სახემოღუშული, მეორე — ტკივილებისაგან გამწარებული, მესამე, ალბათ, წყევლაკრულვას უთვლის ვიღაცას, მეოთხეს მუშტი მოუკუმშავს და იმუქრება...

იქით გახედვის მეშინია. ყოველი მხრიდან მომჩერებია მათი სხივჩამქრალი თვალები და სახის უცნაური გამომეტყველება. ყოველივე ამის წიგნივით წაკითხვა შეიძლება, დამახსოვრება, მაგრამ, იმათ რომ ვუყურებ, მე ჩემი მემართება. დიდხანს არც შემიძლია ამის ატანა, ისე შემაძრწუნებელია მზისა და მიცვალებულთა ამ ღიად დარჩენილი თვალების ურთიერთ ცქერა. მე თვალებს უფრო მაგრად ვხუჭავ, მაგრამ თავში მაინც ჩვენი პოეტის სიტყვები ხმაურობს:

...მას გახელილი დარჩა თვალები,
ო, გახელილი დარჩა თვალები!..

ეს უკვე აუტანელია!.. მინდა სწრაფად გავეცალო აქ-

ურობას და იქამდე მივაღწიო, სადაც სიკვდილი ჩვენც ასე ჩა-გვწერს თავის დავთარში.

მაგრამ სულ ქუთუთოებდახუჭული ხომ არ ვივლი! გა-ვახელ და ისევ იმ მზით გაუმაძღარი ვაჟკაცების ღიად დარჩენილ თვალებს ვხედავ... მერე ნელ-ნელა ვეჩვევი... ვუყურებ... ვაკვირდები კიდეც და ვამჩნევ, რომ ყველას სახეზე უკანასკნელი ფიქრი და გრძნობაა აღბეჭდილი: სინანული, საყვედური, ტკივილი და თბილი, სათნო ღიმილიც.

ყველაზე უფრო სწორედ ეს მაოცებს, ეს ღიმილადქცეული ნიღაბი სიკვდილისა, რაც ყველაზე საშინელია თავისი კონტრასტული სიმძაფრით. არაფერი ისე არ შეგაძრწუნებს ადამიანს, როგორც მიცვალებულის სახეზე აღბეჭდილი ღიმილი. მაშინვე იმას ფიქრობ, რომ უკანასკნელ წამს ისინი თავისიანებს ხედავდნენ და ისე ძლიერი იყო სიამოვნების ეს გრძნობა, რომ უმალ განდევნა სიკვდილის კოშმარი და ღიმილად დარჩა მათ სახეზე...

...რა უდარდელია ბუნება ადამიანის მიმართ. ვინა თქვა, ის თანაუგრძნობსო კაცთა ცხოვრებას! ტყუილია. არავითარი თანაგრძნობა!.. ეს რომანტიკოსი მწერლები წერენ ზოგჯერ,— ადამიანი თუ დამწუხრებულია, ბუნებაც ცრემლსა ღვრისო, თუ მისი სული აბობოქრებულია — ქარიშხალიც მძვინვარებსო, ან თუ გული ხალისითაა სავსე — ბუნებაც იცინის და მხიარულობსო... ყველაფერი ეს იმ ლამაზი, მაგრამ ფრთამსუბუქი ფანტაზიის ნაყოფია. ბუნება მხოლოდ თავის თავს ჰბაძავს. იგი გულუხვიცაა და გულგრილიც. თუ უნდა, უანგაროდ გვთავაზობს ყველაფერს, მაგრამ გულთან არ იკარებს ჩვენს უგუნურობას. ან რაში ვენაღვლებით! თუ ადამიანები არ ვმოქმედებთ „თანახმად ბუნებისა“, ბუნება რატომ თანაგვიგრძნობს?! „განა ბუნების გული ადამიანის მკერდში არა სცემს?“ — გვეკითხება ბრძენი გოეთე. საქმეც ის არის, რომ არა სცემს. ვაჟასაც უნდა, ადამიანმა „დედამიწის ლამაზი გული მეორე გულად ჩაიდგას საგულეში“, მაგრამ ეს სურვილია მხოლოდ, გულმართალი კაცის სურვილი და სხვა არაფერი. ბუნებასა და ადამიანს შორის ასეთი ჰარმონია რომ

იყოს, არც ეს უტიფარი ცხრათვალა მზე დაუწყებდა ასე მხიარულად ყურებას ამ უთვალავ გვამებს და არც ადამიანები გამოიჩენდნენ ამგვარ ძალადობას ბუნების წესსა და რიგზე.

ბუნება უფრო ჭკვიანია, ვიდრე ადამიანი! როცა დრო მოვა, იგი თვითონ მოუხმობს ყველას თავის წიაღში. უკვდავი არავინაა. ბუნების შვილები ბუნებასვე უბრუნდებიან. ეს არსებობის კანონია და წინ მას ვერავინ აღუდგება. მაგრამ როცა ბუნება ხედავს, რაოდენ ძალას, ენერგიას, დროსა და მატერიალურ ღირებულებას ხარჯავს კაცობრიობა იმისათვის, რომ ადამიანებმა მოკლან ადამიანები უფრო ადრე, ვიდრე ისინი თავიანთი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდებიან, გულგრილია მათ მიმართ. ან ბუნებამ რა ქნას, თუ ადამიანების ბედი მათსავე ნებაზეა მიგდებული? ისინი კი თავს ვერ აღწევენ ამ უგუნურებას!..

...კიდევ ერთი კილომეტრით რომ წავიწიეთ, მტრის გამაგრებულ პოზიციებს წავაწყდით. აქამდე სიკვდილს ვეძებდით, ახლა თვით სიკვდილმა მოიტანა ჩვენზე იერიში. ტყვიამფრქვევმა მოცელა „ფსიქიკური შეტევის“ რამდენიმე რიგი. თითქოს ჩვენც ეს გვინდოდა, მაგრამ სიცოცხლის ინსტინქტმა მაინც გაიბრძოლა. ამდენი კილომეტრი რომ გამოვიარეთ, ახლა გადარჩენის იმედიც გაჩნდა. არც ამას ვაგრძნობინებდით ერთმანეთს, ისე კი ყველას მოქმედებას ეს გრძნობა განსაზღვრავდა. ამიტომაც ვიკადრეთ თავშესაფრების ძებნა. „ფსიქიკური რიგები“ დაიშალა. ზოგი ბორცვს ამოეფარა, ზოგმაც თხრილის მსგავსი რაღაც იპოვა, სხვები პირდაპირ მინდორზე დაწვნენ. მერე სასწრაფოდ ამოვთხარეთ „ინდივიდუალური სანგრები“ და ისევ ავტეხეთ უთავბოლო სროლა, რადგან ახლა უკვე სიკვდილის მაძიებელ ოფიცერთა ჯგუფი კი არ ვიყავით, არამედ მებრძოლი ბატალიონი, თუმცა ყველას გვესმოდა, რომ ეს „ჭისებური სანგრები“ იქნებოდა ჩვენი უკანასკნელი თავშესაფარი ამ ქვეყანაზე, თუ დროზე მაშველი ძალები არ მოგვისწრებდა. ასეთი ძალები კი არსად ჩანდა. ტყვედ კი, რა თქმა უნდა, არც ერთი ჩვენგანი არ დანებ-

დებოდა, ეს რომ ვინმეს ნდომებოდა. არც არავინ უშლიდა ხელს: რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა მარჯვნივ ან მარცხნივ, ენიკალესა თუ აჯიმუშკაის კატაკომბებისაკენ, და მოუცდიდა მტრის მოწყალებას.

ჩვენი ბატალიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი „მოწყალება“ არც ერთ მის მებრძოლს არ მიუღია...

უსახელო მაღლობი...

კიდევ კარგი, რომ ღამემ მოგვისწრო და გვამებით მოფენილ მინდორ-ველებს „მწუხრის ზეწარი გადაეფარა“. ბრძოლაც შეწყდა. მოკლულები დავმარხეთ. მძიმედ დაჭრილები არ იყო: ოფიცრებმა იცოდნენ, ასეთ დროს როგორ მოქცეულიყვნენ. მსუბუქად დაჭრილებს კი როგორღაც მოვუარეთ და ისევ დავიწყეთ გერმანელებზე უფრო საშიშ მტერთან — ძილთან ბრძოლა. სანგრიდან სანგარში ტურებივით გავკიოდით, რომ არ ჩაგვძინებოდა. ვაზნები ბევრი გვქონდა და ვისროდით უთავბოლოდ. ესეც—ძილის გასაფრთხობად. მოწინააღმდეგე კი გატრუნული იყო. ჩვენ მათთვის, ალბათ, რაღაც გამოცანას წარმოვადგენდით. ოპერაციები აქ დამთავრებული ეგონათ და რას გაიგებდნენ, ვინ ვართ, ან რამდენი?

ღამით ბატალიონის მეთაურმა შეგვკრიბა ასეულების მეთაურები და კომისრები. სასიხარულო ამბავიც გვითხრა: მესამე ასეულს დაზიანებული საველე რაცია უპოვია და, თუ ავამუშავეთ, „დიდ მიწას“ დავუკავშირდებითო. ისევ გაჩნდა რაღაც იმედი. შეიძლება ხავსივით სუსტი, მაგრამ ახლა ყველაფერს ვეჭიდებოდით. ყოველ ნახევარ საათში მორბოდა მესამე ასეულიდან მეკავშირე და მოჰქონდა ცნობა, ვერაფერი სანუგეშო, მაგრამ მაინც...

...ღამის სამ საათზე ამუშავდა რაცია. მაიორი დაუკავშირდა ტემრიუკს. ეს მათთვის სენსაცია იყო. არ მოელოდნენ. მოითხოვეს ზუსტი კოორდინატები და შეგვპირდნენ, გაუძელით და დაგეხმარებითო. როგორ ან როდის, არაფერი უთქ-

ვამთ. ჩვენ ეს სასიხარულო ცნობა „ჯაჭვური“ სისტემით გადავეცით ერთმანეთს. სანგრებში გამაყრუებელი სროლა ატყდა.

ეს სიხარულის სალუტი იყო!

მეორე „უკანასკნელ გარიჟრაჟსაც“ გულის ფანცქალით შევხვდით. მტერი ფერდობზე იყო გამაგრებული. იქიდან ჩვენი პოზიციები ხელისგულივით ჩანდა. არც რამე სიძნელე იქნებოდა მათთვის ერთი ძლიერი შეტევით ყველაფერი გაეთავებინათ, მაგრამ რატომღაც ყოყმანობდნენ. ნაღმები კი დაგვიშინეს, მაგრამ იერიშზე არ გადმოსულან. ამასობაში ჰაერში ორი მზვერავი თვითმფრინავი გამოჩნდა. ჩვენები იყვნენ. მაშხალებით სიგნალები მივეცით. თვითმფრინავებმაც ფრთების რხევით რაღაც გვანიშნეს, მაგრამ ჩვენ ვერაფერს მივუხვდით. ერთხელ კი მქონდა ყური მოკრული სამხედრო სკოლაში ყოფნის დროს, თითქოს ასეთი ნიშნები ატყობინებს წინა ხაზის მებრძოლებს, რომ ავიაცია ან არტილერია თავს დაესხმის მოპირდაპირედ მყოფ მტრის პოზიციებს და ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით.

ასეც მოხდა. ოციოდე წუთის შემდეგ იმ მაღლობს, სადაც გერმანელები იყვნენ გამაგრებული, ჩვენმა შვიდმა ბომბდამშენმა გადაუქროლა ძალიან დაბლა და ყუმბარები დააყარა. პირველ ჯგუფს მეორე მოჰყვა, მეორეს—მესამე. მერე თითოჯერ კიდევ შემოუარეს და სულ „დააუთოეს“ იქაურობა. მტრის „მესერშმიდტებმა“ დაიგვიანეს და ყუმბარმშენები მშვიდობით გაბრუნდნენ უკან. ჩვენც მაშინვე იერიშზე გადავედით და, ვიდრე გერმანელები გონს მოვიდოდნენ, იმ უსახელო მაღლობს მივადექით. დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ისე დაიხიეს უკან. მაღლობი ავიღეთ და გერმანელების „კომფორტაბელურ“ სანგრებში მოვეწყვეთ. დანაკლისი აქაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ისე მოვიქეცით, როგორც წინა დღეს.

მძიმე დღე იყო ეს ჩვენთვის! ამდენის კი არა, ერთი კაცის დანაკლისიც გვიკლავდა გულს. ბედმა ისე შეგვაერთა და შეგვაკავშირა, რომ ერთის სიკვდილიც ხორცის ამოგლეჯასა-

ვით მტკივნეული იყო. ამ ტკივილმა დაფარა ჩვენში ყველა სხვა გრძნობა.

შიმშილი უკვე იმდენად აღარ გვაწუხებდა, არც წყურვილი და უძილობა. ზღვიდან ქუდებითა და მუზარადებით მოგვქონდა „წყალ-მარილი“ და პირს ვიბანდებოდით. ამ „წყალ-მარილს“ ხუმრობით „პურ-მარილის“ მაგივრად ამბობდნენ. ხუმრობით-მეთქი, მაინც ვამბობ, რადგან ის ბოლოქანქარა იუმორი არც აქ გვტოვებდა...

ნაშუადღევს მზვერავი თვითმფრინავების მეტი არავინ გვინახავს. ძალიან გაგვიკვირდა, მაშველი ძალები რომ არ გამოგზავნეს, მაგრამ მაშინ ამის მიზეზი არ ვიცოდით. მერე ისევ ღამემ მოგვისწრო და ჩვენი ძველი სანგრები „ძმათა სასაფლაოდ“ ვაქციეთ. ისე დავმარხეთ ისინი, რომ სახეზე არც შემიხედავს. ამიტომაც დღემდე ცოცხლებად დარჩნენ ჩემს მეხსიერებაში...

...იმ ღამეს ბატალიონის მეთაურსა და მე მნიშვნელოვანი საქმეც გაგვიჩნდა. პირველმა ასეულმა მაღლობის აღების დროს მსუბუქად დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცი ჩაიგდო ტყვედ. ეს ძალიან საჭირო იყო ჩვენთვის. ახლაც მახსოვს, მას კურტი ერქვა. ისე იყო შეშინებული, ერთხანს დაკითხვაც ვერ მოვახერხეთ, ასე ეგონა, საცაა დამგლეჯენო. რაც შემეძლო დავამშვიდე და ხმა ამოვაღებინე. ფიცისა და საიდუმლოების შენახვაზე მაინცდამაინც თავი არ გამოუდვია. ყველაფერი დაფქვა. თურმე ჩვენ პირისპირ ნაღმმტყორცნელთა სულ ერთი ასეული იდგა. დანარჩენები ქერჩისაკენ გადაესროლათ, რადგან აქ უკვე არავინ ეგულებოდათ. ამიტომაც დავიხიეთო უკან. მერე ისიც გვითხრა, ამაღამ ქერჩიდან მეავტომატეთა ასეული უნდა გამოგზავნონო, მაგრამ „თქვენ მოსასპობადო“ კი არ თქვა, „ამ ადგილების გასაწმენდადო“. ეს რომ ბატალიონის მეთაურს ვუთარგმნე, კბილები გააკრაჭუნა და მუშტი ისე ძლიერ მოუქნია ისედაც შეშინებულ „ფრიცს“, რომ გული ლამის სულ ამოუფრთხო საგულედან. მე ხელი დავუჭირე და ვუთხარი, რომ ის დაჭრილია. მერე, თოკი რომ არ იყო, ჩვენი „ნადავლი“ ფრიცი საველე ტელეფონის მავთუ-

ლებით შევკარით, ისე, „ყოველი შემთხვევისათვის“, საწგარში ჩავდეთ და ყარაულიც მივუჩინეთ...

...ზოგჯერ მართლაც ხერხი სჯობია თურმე ღონეს... ეს ხერხიც ბატალიონის მეთაურმა მოიგონა და მე გამანდო. განყარგულება გასცა და 50 ოფიცერი, გუშაგების გარდა, ყველანი ერთ ტაფობში შეკრიბა, ვითომ „სამხედრო საბჭოს“ სხდომაზე. მოვიტანეთ ის მავთულებით შეკრული ტყვეც, ხელფეხი გავუხსენით და ისე დავსვით. ერთად ამდენი ოფიცერი რომ დაინახა, თვალები დაქაჩა. ალბათ, იფიქრა, სადაც ამდენი ოფიცერია, ჯარისკაცი რამდენი ეყოლებათო. მე გვერდით მივუჯექი და ვეკითხები:

— კურტ!

— დიახ, ბატონო ოფიცერო!

— კიდევ ცოცხალი ხარ?

— დიახ, ბატონო ოფიცერო!

— აბა, დილამდეც შეგიძლია ამ ქვეყნად იყო, ღამეში კი მორჩა, წახვალ საიქიოში საბალახოდ. ხომ ხედავ, რამდენი მაშველი ძალა მოგვივიდა. მერე კომისრებიც მოვლენ და, დაგინახავენ თუ არა, კაპუტ შენი საქმე, ხიშტზე აგაგებენ.

კურტი შიშისაგან შეიკუმშა. გერმანელებს ყველაზე უფრო კომისრებისა ეშინოდათ. გებელსის პროპაგანდა შთააგონებდა მათ, რომ კომისრებს ტყვეებად არავინ მიჰყავთ, თვალებს თხრიან, ენას ამოაგლეჯენ, ცხვირს, ყურებს, ხელებს დააჭრიან და მერე ხიშტზე ააგებენო. ეს ტყუილი მათ იმისათვის უნდოდათ, რომ თავიანთი ბარბაროსული ბრძანება გაემართლებინათ, სადაც ნათქვამი იყო, კომისრები სამხედრო ტყვეებად არ ითვლებიანო. ეს თითქოს „უწყინარი“ ფრაზა იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა არმიის ყველა პოლიტმუშაკი ადგილზევე უნდა დაეხვრიტათ. ამის გამო ეწეოდნენ ასეთ პროპაგანდას. მდგომარეობამ მოიტანა და ახლა მე თვითონ დავუდასტურე ყველაფერი ეს კურტს. ის საცოდავი ისე იყო წამხდარი, რომ ენა ძლივს ამოიგნო:

— რატომ უნდა მომკლან, მე ხომ სამხედრო ტყვე ვარ? — წამოიკნავლა მან.

მე სულ გადავუწყვიტე იმედი:

— კომისრები იმას არ დაეძებენ, შენ ტყვე ხარ თუ არა, მაინც გაგიყრიან ხიშტს. განა ასე არ გეუბნებოდნენ თქვენები?

— მეუბნებოდნენ, მაგრამ არ მჯეროდა, — ძლივძლივობით წაილუღლუღა კურტმა.

— თუ არ გჯეროდა, ხვალ დილით დაიჯერებ, — შეეუყარე ისევ საფანტი ცეცხლში, — შეიძლება თვალები არ დაგთხარონ, მაგრამ ხიშტს კი აუცილებლად გაგიყრიან, გაიგე?

გაგებით კი გაიგო იმ საცოდავმა, მაგრამ შიშით კინაღამ სული გასძვრა.

„თათბირი" დამთავრდა. მცველმა ლეიტენანტმა კურტი ძლივს გაიტანა თავის „ბლინდაჟში", მერე ვითომ წასთვლიმა. კურტი გაინძრა და მიაყურა, მართლა სძინავს თუ არაო. ლეიტენანტმა სულ მოიმკვდარუნა თავი. კურტი დარწმუნდა, სძინავსო, და ბლინდაჟიდან ამოფოფხდა. ლეიტენანტმა აცალა, ვიდრე შორს გახოხდებოდა, და მერე ასტეხა განგაში. ატყდა სროლა, დავიდარაბა, მაგრამ „რატომღაც" კურტი ისე მიეფარა გორაკს, რომ ვერავინ მოახვედრა.

ერთი საათის შემდეგ მეთვალყურეებმა მაშხალები გაისროლეს და ცნობა მოიტანეს, გერმანელები გაფაციცებით თხრიანო სანგრებს. კურტის მიერ ასეთი „საიდუმლო" ცნობების მიტანის შემდეგ ისინი თავიანთ გეგმას აუცილებლად შეცვლიდნენ და დილით შეიძლება იერიშზე არ გადმოსულიყვნენ. ჩვენ კი სწორედ ეს გვინდოდა — დროს მოგება. კიდევ ერთი დღე და, იქნებ ეს ასამდე კაცი მაინც გადავრჩენილიყავით...

...ის თვალღია ღამეც ამ იმედით გავათენეთ, მაგრამ „დიდი მიწიდან" არავითარი დახმარება არ მიგვიღია. ბატალიონის მეთაური რომ შეეკითხა რაციით, უპასუხეს—დაიცადეთო. ასეთი მოკლე ცნობა სანუგეშოს ვერაფერს გვეუბნებოდა, რადგან უკვე სწორედ ეს „დაცდა" გახდა შეუძლებელი. გაძლებასაც თავისი საზღვარი აქვს. მეც ისე ვარ დაოსებული, რომ არსებობაც მეზარება. ასე მგონია, სიამოვნებით

გავალ-მეთქი საკუთარი თავიდან და გადავიკარგები სადმე. საიდანაც უკან არ ბრუნდებიან, მაგრამ ესეც შეუძლებელი იყო. სიცოცხლის წყურვილი კიდევ იბრძოდა ჩვენში. თანაც იმედის ნაპერწკალიც გაჩნდა. აბა, რას დავიჯერებდით, რომ დახმარების გარეშე დაგვტოვებდნენ? თურმე არც დავუტოვებივართ, მაგრამ...

...მაგრამ, რაც ახლა უნდა გიამბოთ, ეს მე მხოლოდ შემდეგ გავიგე. გაგონილის გადმოცემას კი საბუთი უნდა, მე ეს საბუთი არა მაქვს. ამიტომ ამ ამბის შუამავლად თუ გამოვდგები, თორემ ნათქვამის ჭეშმარიტებაზე თავს ვერ გამოვიდებ.

მიამბეს კი ასეთი რამ: თურმე რომელიღაც გენერალს „გენიალური“ აზრი მოსვლია თავში. მაშველი რაზმები გავგზავნოთ არა ენიკალეს რაიონში, არამედ ყამიშ-ბურუნშიო. იმ ანგარიშით, რომ იქიდან ქერჩს შემოუვლიდნენ და, რაკი უკვე ამდენად წავიწიეთ წინ, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით შეგვიერთდებოდნენ. ამის შემდეგ კი ვითომ სხვა რაღაც შესაძლებლობებიც ისახებოდა.

ომის დასაწყისში ცოტა როდი იყო ასეთი გენერალი. ოღონდ რუკაზე შემოეხაზათ წითელი ფანქრით რომელიმე ობიექტი და ეთქვათ: აქედან—ესენი, იქიდან—ისინი, შეერთება—იქ, და გათავებულია, მტერი ალყაშემორტყმული იქნებაო. რუკების ასე იოლად ხაზვა შემდეგ მებრძოლების კისერზე გადადიოდა. ბევრი „ცოცხალი ძალა“ შეიწირა ამან.

ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. მაშველი რაზმები ყამიშ-ბურუნში მტრის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ და, თუ ვინმე გადარჩა, უკან გაბრუნდა. ჩვენთვის განკუთვნილი გერმანელი მეავტომატეებიც, ალბათ, იქ იბრძოდნენ იმ ღამეს, ამან მცირე შესვენება მაინც მოგვცა, მაგრამ, ის „უაზრო“ ოპერაცია რომ დამთავრდა, ყველამ ჩვენთვის მოიცალა. „დიდი მიწიდან“ ახლა ის შემოგვითვალეს, ეშელონებად დაიხიეთ ისევ ენიკალესაკენ და ღამით რამე სადესანტო ტრანსპორტს გამოგიგზავნითო. ვითომ ეს ადვილი საქმე ყოფილიყო: როგორც კი იმ მაღლობიდან ფეხს მოვიცვლიდით, გერმანელები მაშინვე გაგვათავებდნენ. მაგრამ რა უნდა გვექნა?

ბრძანება მაშინაც ბრძანებაა, როცა ის უაზროა!..

დილით ისევ გერმანელებმა მოიტანეს იერიში და იმ მაღლობიდან გადმოგვრეკეს. ხალხი ბევრი დავკარგეთ, რაციაც. „დიდ მიწასთან“ კავშირი შეწყდა. დასასრულის გრძნობამ ისევ გამოყო თავი სოროდან. ბატალიონის მეთაურმა გამოგვიცხადა — პოლკოვნიკ შეველიოვის ბრძანება დროებით იყო შეჩერებული და საჭირო შემთხვევაში მაინც უნდა შესრულდესო. ამ დროს სულ სამოცამდე კაცი ვიყავით დარჩენილი. საკმარისი იყო გერმანელებს კიდევ ერთი პატარა იერიში მოეტანათ, რომ ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ უკვე შებინდდა და ბრძოლა შეწყდა. გერმანელებს არ უყვარდათ ღამღამობით ოპერაციების ჩატარება, მით უმეტეს, გაურკვეველი მდგომარეობის დროს, მაგრამ იმ ღამით ეს ტრადიცია დაირღვა. უკან დახევა გაგვიჭირდა. გერმანელები ფეხდაფეხ მოგვყვებოდნენ. გზადაგზა დანაკლისიც გვქონდა. 60-დან ბოლოს 27 დავრჩით. გულისწურვა უფრო გაძლიერდა და მწუხარებამაც დაძლია ყოველგვარი ადამიანური ინსტინქტი.

ყველაზე მძიმე ჩემთვის მაინც იმ მაიორის დაკარგვა იყო, მე რომ თავის „ბრაუნინგს“ მთავაზობდა. ნაღმმა ორივე ფეხი წააგლიჯა ჩემ თვალწინ. ეს რომ ვნახე, მეგონა, გულის ძარღვები ჩამწყდა-მეთქი, ისეთი ტკივილი ვიგრძენი. ის კი ყვიროდა „მიშველეთო“, მაგრამ ჩვენ რა შველა შეგვეძლო, როცა სისხლისაგან იცლებოდა. ერთხანს ვატარეთ, მერე გაგვიძალიანდა... თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ძალა არა ჰქონდა წინააღმდეგობისა და, მომკალითო, იხვეწებოდა...

...პირველი შემთხვევა როდი იყო, უიარაღოდ დარჩენილი მძიმედ დაჭრილი რომ სამადლო ტყვიას ითხოვდა. ეს უნდოდა ყველას, ვისაც უკვე ძალა ან საშუალება არა ჰქონდა თვითონ მოეკლა თავი. მე ბევრჯერ გამიგონია, ძმაო, მესროლეო, რომ გვემუდარებოდა გატანჯული მებრძოლი... ამაზე საშინელი არაფერი სმენია ჩემს ყურებს... და არა ერთხელ, აქაც, იქაც...

მეგობარო, მესროლე, მეგობარო, გამათავე, გთხოვ... აღარ შემიძლია.... მესროლე, გამათავე...

ახლაც ჟრუანტელი მივლის, ეს უცნაური პარადოქსი რომ მახსენდება. იქნებ ამიტომ მოახდინა ჩემზე ასეთი შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება, როცა ჟან პოლ სარტრის „ეშმაკი და კეთილი ღმერთის“ ის ადგილი წავიკითხე, სადაც გოც ფონ ბერლიჰინგენი მოწყალებასავით არიგებს სიკვდილს. ის კლავს თავის გულითად მეგობარს და ეუბნება:

— ჩაძაღლდი, ჩემო ძმაო!

სელინის გმირი ნისიადაც არიგებს სიკვდილს, ვაგრამ მეგობარი რომ მართლაც სიკვდილს გთხოვს, ამაზე ძნელი რა არის!.. ან რა მოსაგონარია, თუ ზოგჯერ... თუმცა არ ღირს ამის მოყოლა. ეს მხოლოდ ბატალიონის მეთაურს შეეძლო, იმ რკინისნერვებიან კაცს, სხვას არავის... რამდენიმე შემოხვევის შემდეგ კი ისიც გატყდა, მეტი აღარ შემიძლიაო, გამოაცხადა.

აღარ მეგონა, იმ წუთს თუ არ შეიშლებოდა, ისეთი სახე ჰქონდა...

...ახლა რომ ამაზე ვფიქრობ, ისიც მაგონდება, იმ დღეებში ენიკალესთან სადღაც შემორჩენილმა ყუბანელმა კაზაკმა რომ ოცლში გაღვრილი ცხენი მოაგდო ზღვის ნაპირას. წითელლამპასებიანი შარვალი ეცვა, თავზე წითელკოკარდიანი ქუდი ეხურა, ქოჩორი ბუჩქივით ჰქონდა გადმოშლილი, კალერდზე კი ორდენები და მედლები ეკიდა, წელზეც ოდნავ ძოხრილი სმალი ერტყა. ამაყი ჩანდა, მისივე ცხენივით ფიცხი. ალბათ, იფიქრა, ქერჩის სრუტეს გავცურავო. ამას სხვაც ბევრი ფიქრობდა. სამი კილომეტრის გაცურვა მართლაც შეიძლება, მაგრამ ისინი ვერ ითვალისწინებდნენ, სრუტის შუაწელში სწრაფი დინება რომაა და, ვინც ამას ცდიდა, ქერჩთან გარიყავდა, სადაც მათ თევზებივით იჭერდნენ გერმანელები.

იმ კაზაკსაც მოუნდა ბედი ეცადა. სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან, ახსნა უნაგირი, მოსართავები, აჰყარა აღვირი და ბელებით მაგრად დაუჭირა თავი. ჯერ თვალებში ჩახედა, მე-

რე კისერზე ხელები მოხვია და შუბლში აკოცა. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ხუთჯერ... რა ვიცი, ათჯერ თუ ასჯერ. კოცნიდა გაშმაგებით, თავდავიწყებით თვალებში, კისერზე... მერე ხელი უშვა, უკან დაიხია, რევოლვერი გაიძრო და სამჯერ ზედიზედ დაახალა შუბლში... ცხენისათვის არც შეუხედავს, ისე გაიქცა ზღვისაკენ.

ცხენი ჯერ თითქოს გაოგნებული შეჩერდა. მერე ძლივს შებრუნდა მხედრისაკენ, ერთი გახედა და დაიჭიხვინა. მხედარს არც ახლა მოუხედავს...

ცხენმა წინა ფეხებზე ჩაიჩოქა, კისერი წაიგრძელა, უნდოდა კიდევ დაეჭიხვინა, მაგრამ რაღაც ხრიალი ამოხდა და დაეცა...

მხედარმა ზღვის ნაპირას ხმალი იძრო, ჯერ მოწიწებით ემთხვია, მერე მუხლზე გადაიმტვრია და გადააგდო. შემდეგ ჩექმები გაიხადა, ტანისამოსიც და გადახტა ზღვაში.

ისიც, ალბათ, ქერჩის ნაპირას გარიყა წყალმა...

...ის მაიორი კი მართლაც შეუძლებელს ითხოვდა ჩვენგან. გვიმტკიცებდა, ასე სჯობიაო, პოლკოვნიკის ბრძანებაც ასეთი იყოო, თან გაცინებასაც ცდილობდა, ვითომ ნუ გეშინიათ, ეს „თვითლიკვიდაცია“ არ იქნებაო...

მე ძლივს მიცნო, გამეხუმრა კიდეც, ის ზარბაზანი რა უყავიო. პასუხი ვერ გავეცი. მერე ერთი კიდევ გაიბრძოლა და თქვა: ჩემი „ბრაუნინგი“ უნდა ვაჩუქოო ამას.

— გქონდეს ჩემგან სამახსოვროდ, — მითხრა უკვე მისუსტებული ხმით, — ამას რომ გეუბნები, მერიდება კიდეც. არ იფიქრო, მაშინდელივით გაძლევდე სალიკვიდაციოდ, პირიქით, ღმერთსა ვსთხოვ, არასოდეს დაგჭირვებოდეს, ისე შეგენახოს, ჩვენი ამ მძიმე დღეების მოსაგონებლად.

ეს ისე გულწრფელად თქვა, რომ იმ სულელებმა დაუჯერეს, ხელი შეუშვეს, ერთ წამში გაიძრო რევოლვერი და, სანამ გონს მოვიდოდით, კიდეც დაიხალა საფეთქელში...

ის რევოლვერი ახლაც ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში დევს...

მდგომარეობა სრულიად აუტანელი გახდა. მართალია, მსუბუქი იარაღის გარდა ყველაფერი გადავყარეთ და პირი ისევ ენიკალესაკენ ვიბრუნეთ, მაგრამ უკვე საკუთარი თავის ზიდვაც აღარ შეგვეძლო. მივლასლასებდით მცირე ჯგუფებად, ორ-ორი, სამ-სამი კაცი. კიდევ კარგი, რომ მე და ვახტანგი ისევ ერთად ვიყავით და ერთმანეთს ვეხმარებოდით. სანამ შეგვეძლო, ხან მე მიმქონდა მისი სიცოცხლე, ხან კი იმას—ჩემი. ერთი წუთი შესვენება არ შეიძლებოდა, რადგან ფეხდაფეხ გერმანელები მოგვდევდნენ. ბინდმა რომ იძალა, ტრიალ მინდორზე გავედით. მარცხნივ ისევ გამოჩნდა ზღვის ლურჯი ზოლი. იქამდე რა მიაღწევდა, თორემ შეიძლებოდა ზღვას ცოტათი გამოვეფხიზლებინეთ. გამომშრალ პირსაც დავისველებდით მლაშე წყლით. ისე კი, დიდი გაჭირვებით მიგვქონდა ჩვენი თავი. ერთხელ თითქოს ზეზეულადაც ჩავთვლიმე. მერე, უკან რომ მოვიხედე, ვახტანგი ვერ დავინახე. დავუძახე. ძლივს გამცა ხმა. თხუთმეტიოდე მეტრის დაშორებით იჯდა. ძალისძალით გავიარე ეს გზა უკან... ვახტანგი ძლივს წამოდგა და გამიღიმა. მეგონა, ცუდად გახდა-მეთქი და, გამიკვირდა, თვალებგაბრწყინებული რომ შემხვდა.

— რა იყო, ბიჭო? ხომ არაფერი მოგივიდა?!—ვკითხე მე.

— არაფერი. მოდი, რა გაჩვენო!

ხელში რაღაც ბალახი ეჭირა, ნეკის ოდენა ძირი ჰქონდა.

— ა, კაცო, პრასა! — მითხრა მან.

— რა? — ჩავეკითხე მე.

— პრასა! — გამიმეორა ისევ.

— პრასას რა უნდა აქ?!

— ვერა ხედავ, რომ პრასაა? — თქვა გაკვირვებით და გულმოდგინედ შეუდგა იმ ბალახის ძირის ორად გაყოფას. მერე ნახევარი მე გამომიწოდა და მითხრა:

— ჭამე, გეამება!..

„პრასის“ ნახევარი კი გამოვართვი, მაგრამ პირში არ ჩამიდვია, ჩუმად გადავაგდე. ვახტანგმა ღეჭვა დაუწყო, მაგრამ მერე ისე, რომ მე არ დამენახა, იმანაც გამოაფურთხა.

— გემრიელი იყო, არა? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.
— ძალიან, — ვუპასუხე მე, — შენ როგორ მოგეწონა?
— კარგი რამეა! — ბავშვობაში ძალიან მიყვარდა პრასა და აგერ არ ვნახე!
მერე ერთმანეთს შევხედეთ და გაგვეცინა...

...ენიკალეს გადასასვლელთან რომ მივაღწიეთ, 27 კაციღა დავრჩით. ისევ იმ გამოქვაბულში ვართ, ისევ იმ ლოდთან, პოლკოვნიკმა რომ თავისი ბრძანება წაიკითხა, მაშინ 276 ვიყავით, ახლა კი — 27. სიტუაცია იგივეა: უკანასკნელი ღამე, ლოდინი... გარიჟრაჟამდე თუ არაფერი მოვიდოდა „დიდი მიწიდან", დილით ისევ „თვითლიკვიდაცია" და ძმათა სასაფლაო! ბატალიონის მეთაური ამას არ გვახსენებდა, მაგრამ უიმისოდაც ვგრძნობდით ყველაფერს...

...შუაღამემ ისე მოაწია, რომ არავითარი ტრანსპორტი არ გამოჩენილა. მთვარიანი ღამეა. ცაზე ზანტად მიცურავენ თეთრი და შავი ღრუბლები... ზღვაზე კი ვერცხლისფერი ბილიკია გაწოლილი. ფიქრით ამ ბილიკს მივყვები... დიდ მიწისაკენ, საქართველოსაკენ. დამშეული, წვერგაბურძგვნილი, ჭუჭყიანი, მკბენარდახვეული, უძილობისაგან გამოთაყვანებული, მაგრამ მაინც რაღაცის მოიმედე. ჩემ გვერდით ვახტანგი ზის, ისიც ფიქრობს. ყველა თავისთვისაა. ერთმანეთს არავინ ელაპარაკება. მეთაური აღარ იძახის, არ დაიძინოთო, მაგრამ არც არავის ეძინება. ისევ იმ ანგელოზს თუ მოაყვანინეს გული, დროსდახარბებულ კაცს რომ ძილი წაართვა გერმანული ლეგენდის მიხედვით. ჩვენშიც ხომ ამბობენ, „ძილის ანგელოზი დამიფრთხაო". თვალის გუგები ისე გაგვიქვავდა, რომ ქუთუთოებიც არ მოძრაობენ. როგორც ჩანს, რაღაც უხილავმა ძალამ ძილის მაჯლაჯუნაც დასძლია.
მე სულ ზღვისაკენ ვიყურები. ზღვა კი ვრცელია და უნაპირო, მაგრამ არა ისე მიმზიდველი, სანუკვარი თუ საყვარელი, როგორც სხვა დროს. პირიქით, ახლა ის შავი ვეშაპივითაა გაწოლილი ჩვენსა და დიდ მიწას შორის. ყველაფერი ასე დიდია და უზარმაზარი ამ ქვეყანაზე: ცა, ზღვა, ხმელეთი.

ამდენი ველ-მინდვრებია, მთები, ოკეანეები, ჩვენ კი ისევ აქა ვართ მიჭეჭყილი ამ ხელისგულისოდენა მიწაზე და გზა არსაით გვაქვს. სხვაც, ალბათ, რამე ასეთ სისულელეს ფიქრობს, ან სულაც არ ფიქრობს არაფერს. ღამე კი ისევ უზარმაზარ შავ ობობასავით მიბობღავს სადღაც. ცაზე თეთრი და შავი ღრუბლები ირევა, პირაღმა ვწევარ და ვუყურებ: ხან თეთრი ღრუბელი გაასწრებს შავს, ხან კიდევ — შავი თეთრს, მე კი ისე მეჩვენება, თითქოს ჰაერში ღრუბლები კი არა, კენტავრები მიქრიან მხარდამხარ, მიქრიან და ჩემი ფიქრებიც მათ მიჰყვება... რომელი გაასწრებს რომელს: თეთრი — შავს, თუ შავი — თეთრს... თეთრი სიცოცხლისაა, შავი — სიკვდილისა, ისინი მიცურავენ გარიჟრაჟისაკენ, განთიადისაკენ, მზის სინათლისაკენ, მე კი მაინც ვერ ვარჩევ, რომელი ასწრებს რომელს, მერე უცებ ორივე კენტავრი გაერთიანდა, თუ ერთმანეთში აირია და...

სადღაც იმ ყუბანელი კაზაკის ცხენის შემზარავი ჭიხვინი გაისმა...

...ფეხზე წამოვხტი...

— კარგია, რომ ჩაგეძინა, — მეუბნება ვახტანგი და მიცინის.

— არა, არ დამიძინია, ერთი წუთით ჩავთვლიმე მსოლოდ, — ვუთხარი მე და ვითომ გავუღიმე კიდეც.

მერე ერთხანს ზღვის ტალღების უდარდელი შრიალი მესმოდა მხოლოდ. ყველა თავისი ფიქრით იყო გართული. მე ეს მიკვირს, რატომ ერთმანეთს არ ველაპარაკებით?! რატომ არ არის სურვილი რამე ვთქვათ, ვიხუმროთ, გავიცინოთ, რომ ეს მძიმე განწყობილება შევიმსუბუქოთ, როგორც ეს ხშირად გვიქნია. ნუთუ ეს ერთი დიდი ორგანიზმი ისევე დაიშალა, როგორც ჩვენი სხეული იშლება დაღლილობისა და უძილობისაგან? ან სადღაა ეს დიდი ორგანიზმი, 276 კაციდან 27 დარჩა! ეს უკვე არავითარი ორგანიზმი არ არის. მწუხარებამ ჩაკლა ყველაფერი. დაირღვა კავშირი სივრცისა, ურთიერთობისა. ხმას როგორღა გავცემთ ერთმანეთს, როცა სულ დავიშალეთ და გავვუცხოვდით?! ახლა არც ერთმანეთისა ვართ

და არც ჩვენი თავისა. დაღუპული მეგობრების აჩრდილი ბორკავს ჩვენს გონებას, წარმოსახვას, სურვილს, ყველაფერს... და ვზივართ ასე ცალ-ცალკე, ერთმანეთს არ ვუყურებთ, არ ველაპარაკებით, მივჩერებივართ ზღვის ჰორიზონტს და ვართ გაჩუმებულნი. ეს სიჩუმეც ცხედარივით ასვენია ჩვენ შორის და ლაპარაკის ხალისს გვიკარგავს. მთვარის სითეთრეში უფრო ხაზგასმულად მოჩანს ჩვენი შავი და არაფრისმთქმელი სილუეტები. ამღვრეული ფიქრები ზღვის შრიალს უერთდება და ნისლივით იფანტება სადღაც, სიბნელეში...

მე კი ისევ ფეხმორთხმული ვზივარ და არც ვიცი დრო რითი მოვკლა. ერთხანს პეშვით გრილ ქვიშას ვიღებ და ხელის მტევანს ისე ვამრგვალებ, რომ ნეკ თითთან ვიწრო ხვრელიღა რჩება. მერე ხელს ქვიშის საათივით თავდაღმა ვაბრუნებ და ვგრძნობ როგორ მისრიალებს დრო ზევიდან ქვევით... ფიქრით მეც მის დინებას მივყვები და ვუცდი, როდის გაივლის უკანასკნელი მარცვალი იმ ვიწრო ხვრელს, რომ ამით დამთავრდეს ყველაფერი. მეტი აღარც შეგვიძლია... უკვე ყოველგვარ იმედს წაერთვა სუნთქვა და... სწორედ ამ დროს ვიღაცამ წვრილი, უსიამო ხმით, თითქოს რკინას ხერხავენო, წამოიწყო ფრონტზე იმხანად მეტად გავრცელებული სიმღერა:

Эх, умру я, умру я,
Похоронят меня...

— მოკეტე ერთი! რას კნავი? — შეუღრინა ულვაშებიანმა კაპიტანმა.

— დააცალე, იმღეროს, შენ რა გინდა, — თქვა ბატალიონის მეთაურმა.

— მაგის მეტი ვერაფერი ნახა, რომ იმღეროს?

— რაც გულში აქვს, იმას მღერის, ვერ მოეშვები?

სიმღერა მაინც შეწყდა. მერე ისევ ბატალიონის მეთაურმა წამოიწყო კრინით:

Широка страна моя родная!..

იმ წვრილხმიანის მეტი არავინ აჰყვა და სიმღერა არ გამოვიდა.

შილერს უთქვამს, „ქუხილის ხმა რომ ბგერებად დაიშალოს, იავნანას მივიღებთო“. ჩვენი ხმები კი ისე იყო დაშლილი, რომ აღარც იავნანა გამოდიოდა. ყველა თავის საკუთარ ფიქრს მისცემოდა.

მერე მოულოდნელი სროლის ხმა გაისმა. „მომღერალმა“ ლეიტენანტმა თავი მოიკლა... არავითარი რეაქცია, ვითომ ქვა აეღოს ვინმეს და ზღვაში ჩაეგდოს... რაღაც რგოლებმა კი გაირბინეს, მაგრამ ამით არც ზღვა აღელვებულა და არც ადამიანები...

ამის შემდეგ ოცდაექვსი დავრჩით და ოცდაექვსივე ისევ ზღვის ჰორიზონტს მივაჩერდით. თვალები დაგვაწყდა ამდენი ყურებით. მთვარე კარგა ხანია, რაც ჩავიდა. ბნელმა იძალა და ზღვის შავმა ტალღებმაც სადღაც, უსასრულობისაკენ იქცია პირი...

...დილით ჰორიზონტს ისევ ის „მაცხოვრის შიკრიკი“ შემოადგა. ცაც უფრო ნათელი გახდა... მღელვარებამ იმატა... ერთი რაღაცას ღიღინებს, მეორე ბოლთას სცემს... მესამე ხმამაღლა ფიქრობს, მეოთხე, ვატყობ, უაზროდ ითვლის ციფრებს, რომ დრო გაიყვანოს. დრო კი ისევ ნელ-ნელა მიედინება და იმედის კვალსაც არ ტოვებს. სრული სიჩუმეა, ზღვა ძველებურად შრიალებს. ფიქრები კი ისევ იმ წერტილს უბრუნდება: ნუთუ, ეს 26 კაციც განწირულია? ნუთუ არ დაგვეხმარებიან? თუმცა ვინ იცის? ამბობენ, იმედი ფხიზელთა სიზმარიაო, მაგრამ ხომ შეიძლება ასეთი სიზმარიც ახდეს?..

ფიქრები ერთმანეთში ირევა და სქელ რძისფერ ბურუსში ეხვევა. მერე თითქოს ზღვის ტალღებიც წყვეტენ შრიალს. დედამიწაც აღარ ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო.

ისევ საოცარი სიჩუმე სუფევს, სამარისებური სიწყნარე... და ამ დროს, უცებ, ისტერიული ყვირილი ისმის:

—ე-ჰე-ჰე-ჰეეე!..

ყველანი ჩვენდა უნებურად წამოვხტით ფეხზე, მაგრამ ვერ მივხვდით რა მოხდა. ისევ განმეორდა:

—ე-ჰე-ჰე-ჰეეე!..

—რა იყო? — მივარდა მაიორი ახალგაზრდა კაპიტანს...

— ე-ჰე-ჰე-ჰეეე!.. — მესამედ გაიმეორა მან და ხელი ზღვისაკენ გაიშვირა.

ჰორიზონტს მივაშტერდით და დიოსკურების ნიშანივით რაღაც შავი წერტილი შევნიშნეთ, რომელიც თანდათან დიდდებოდა. ყველანი ცქერად და გულისცემად ვიქეცით. კატარღა ნელ-ნელა გვიახლოვდებოდა... მოგვიახლოვდა კიდეც... აი, ახლა სულ ახლოა... უფრო ახლო, უკვე მეზღვაურებსაც ვხედავთ...

— მოემზადეთ, ამხანაგებო! — გასცა განკარგულება ბატალიონის მეთაურმა.

„ნოეს კიდობანი" ნელ-ნელა მოადგა ნაპირს. ესეც საკვირველება! ისე დინჯად და უდარდელად ვიქცევით. თითქოს ავტობუსი ჩამომდგარიყოს მორიგ გაჩერებაზე. ზანტად მივდივართ, ფრთხილად, ერთმანეთს გზას ვუთმობთ, დაჭრილებს ვეხმარებით.

— უიარაღოდ არავინ ავიდეს კატარღაზე! — ბრძანა მაიორმა. გაფრთხილება არც იყო საჭირო, იარაღი ყველას თან გვქონდა...

რამდენიმე წუთის შემდეგ კატარღა მოშორდა ნაპირს და ისევ ღია ზღვაში გავიდა....

სხვისი სხვა...

ახლა რომ იმ ამბებს ვიგონებ, მიკვირს კიდეც, თუ რატომ ხდება ასე. კატარღაზე რომ ავედით, სახეზე კმაყოფილების ნიშანწყალიც არავის დასტყობია... არც არავითარი გრძნობები გამოგვიმჟღავნებია, ერთმანეთისათვის არც კი მიგვილოცავს გადარჩენა... არაფერი, გარდა ყრუ დუმილისა... ყველანი ჩვენ-ჩვენთვის ვფიქრობთ, ცალ-ცალკე, რაღაც იდუმალი ზღუდეებით გათიშული „სხვები", რაზედაც არც „ჩვენ" ითქმის და არც „თქვენ". ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლის გამოსახატავად გერმანელმა მაქს შტირნერმა ოდესღაც სრულიად თავისებური გრამატიკული ფორმა გამოიყენა.

ყველამ ვიცით, რომ „მე“ გერმანულად არის „ich“, „ჩვენ“ კი — „wir“, მაგრამ შტირნერს სწორედ მრავლის ეს ერთობლიობა მიაჩნდა შეუძლებლად ცალკეულ პიროვნებათა ერთმანეთისაგან სრული გათიშულობის გამო და პირველი პირის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად სრულიად შეუძლებელი „ichen, ანუ „მეები“ იხმარა.

რომელიმე ჩვენგანს ვინმემ მოწაფესავით რომ ჰკითხოს, როგორ არის „ich“ მრავლობითში და ვუპასუხოთ „ichen“-ო, ალბათ, ორიანს დაგვიწერენ. შტირნერს კი ეს არამცთუ სწორად, არამედ აუცილებლადაც მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, ადამიანებმა რომ თქვან „ჩვენ“, ამის უფლებაც უნდა მოიპოვონ თავიანთი საზოგადოებრივი და სულიერი ერთიანობით.

ისე კი რამდენიც არ უნდა შეიკრიბოს ერთად, მაინც „მეები“ იქნება და არა „ჩვენ“...

...ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ იმ დღეებში „სხვებს“ კი არა, მგონი, საკუთარ თავსაც ისე დავშორდი, რომ სულ სხვად ვიქეცი, ჩემივე „სხვად“, თუ სხვის „მედ“, ამის გაგება ძნელია, რადგან ადამიანები ზოგჯერ საკუთარ თავს უფრო ვართ დაშორებული, ვიდრე სხვას. ასეთ დროს კი მართლაც ვერ გაიგებ შენ თვითონ ვინ ხარ: შენი „სხვა“, თუ სხვისი „მე“. იქნებ ერთიცა და მეორეც ან არც ერთი.

განვლილმა ოცმა წელმაც დამარწმუნა, რომ მაშინ ამ შინაგანი გაუცხოების გამო ჩვენ გამოვეთხოვეთ რაღაც ისეთ თბილსა და ადამიანურს, რასაც მერე ვეღარაფერი დაგვიბრუნებს. „რაღაცას“-მეთქი, ვამბობ, მაგრამ იქნებ სწორედ ეს „რაღაცაა“ მომხიბვლელი უდარდელობა თუ გულუბრყვილობა, ყოველი ჩვენგანის სიჭაბუკეს რომ ახლდა და რის ნაცვლადაც დაგვრჩა ის, რასაც ჩემი თაობის წარმომადგენლებმა უწოდეს:

— Седина юности...

...ჯერ გვეგონა პირდაპირ „ჩუშკაზე“ გაგვიყვანდნენ. მაგრამ რატომღაც ტემრიუკისაკენ წავედით. ეს ძალიან შორი

გზა იყო, დღისით კი ღია ზღვაში ყოფნა კატარღისათვის საშიშია. იმ დროს უკვე თენდებოდა. ზღვიდან უზარმაზარი მზე ამოგორდა და თავისი უხვი სხივებით გაგვიღიმა. მე თითქოს შემრცხვა კიდეც იმ მკრეხელური სიტყვებისათვის, ადრე რომ ვამბობდი ცის დიდებული მნათობისა და მისი ღიად დარჩენილი თვალების შესახებ, ახლა მეც შევხაროდი მზეს და მის ნათელმოსილ მობრძანებას დედამიწაზე, თუმცა აღტაცების არც ძალა მქონდა და არც ხალისი... ისე ვგრძნობდი, რომ მზესთან ერთად ცამაც აიწია და თვალუწვდენი სივრცე გაიშალა ჩემ გარშემო. ზღვა... ჰაერი... ჰორიზონტი...

მერე სადღაც ცის ტატნობზე ორი თვითმფრინავი გამოჩნდა და ჩვენკენ წამოვიდა. ვიცანი „მესერშმიდტები". აბა, საქმე ის იქნებოდა, ამ ღია ზღვაში შევემჩნიეთ და ჩვენთვის მოეცალათ! მაშინ ეს კატარღა მართლაც აქერონის ნავად გვექცეოდა და ისევ იმ ნაპირისაკენ წაგვიყვანდა, სადაც მზე არასოდეს ამოდის.

— ამდენ უბედურებას გადავრჩით და ახლა ამ თვითმფრინავებმა რომ მოგვათავონ, სასაცილო არ იქნება? — მკითხა ვახტანგმა.

— ჰო, სასაცილო იქნება, — მივუგე მე ისე, მექანიკურად, რომ აზრი არც მიმიტანებია, რატომ უნდა ყოფილიყო ეს სასაცილო!

ბედად „მესერშმიდტებმა" ისე გადაგვიფრინეს, რომ ჩვენთვის ყურადღება არც მოუქცევიათ. ალბათ, საბრძოლო ოპერაციიდან ბრუნდებოდნენ და ჩვენი თავი არა ჰქონდათ, თორემ მე ბევრჯერ მინახავს, ქორივით რომ დააცხრებოდნენ მსხვერპლს, მით უმეტეს, როცა მოწინააღმდეგეს დაცვის არავითარი საშუალება არა ჰქონდა...

...როგორც იქნა, გამოვედით ტემრიუკში. დავადგით თუ არა ფეხი „დიდ მიწას", ისე უბრალოდ, მე ვიტყოდი, ისე გულგრილად დავემშვიდობეთ ეს „მეები" ერთმანეთს, თითქოს შემთხვევითი თანამგზავრები ვყოფილიყავით. ვიცი, რომ დაღუპული მეგობრების ჯერ კიდევ ხელშესახები მოგონება არ გვაძლევდა „გრძნობების გამოხატვის" შესაძლებლობას,

მაგრამ მე მაინც გამიკვირდა, თითო თბილი სიტყვაც რომ არ გვითქვამს ერთმანეთისათვის...

— ჯერჯერობით!.. — მოგვაძახა ვიღაცამ და წავიდნენ...

ჩვენ ორნი დავრჩით: მე და ვახტანგი. შორს აღარ წავსულვართ. ნავსადგურიდან პირდაპირ მინდორში გავედით... არც საჭმელი გვიძებნია, არც სასმელი, დავეყარენით მიწაზე და დავიძინეთ... თუმცა რა, დავიძინეთ კი არა, ჩავიძირეთ რაღაც უძიროსა და უსაზღვროში. მიწაზე რომ ვეშვებოდი, უკვე მაშინ ვგრძნობდი, თითქოს სადღაც სიღრმეში ვვარდებოდი. არც ვცდილობდი რამეს მოვჭიდებოდი, თავი შემემაგრებინა, შევჩერებულიყავი. პირიქით, თვითონ ჩავყევი ამ სიღრმეს და გავიფიქრე რაღაც უფორმოსა და უსასრულოში...

...რომ გავიღვიძეთ, მზე უკვე ჩაწურვაზე იდგა. ზღვიდან გრილი ნიავი უბერავდა. ნედლი მიწისა და ბალახის სურნელება აბრუებდა ყნოსვას. ძილის ეშხი კი მოვიკალით, მაგრამ სხეული მაინც ისე გვქონდა მოთენთილი, თითქოს ძვალი და რბილი ერთმანეთს გაეყარაო. სიმშილიც უფრო მწვავედ ვიგრძენით და ძლივს ლასლასით გამოვედით იქვე ახლო მოედანზე გამართულ პატარა ბაზარში. ვიღაც დედაბერი შედედებულ რძეს ყიდდა. ჩვენ ერთი კაპიკიც არ გვედო ჯიბეში. მათხოვრებს ვგავდით. იმ ქალს შევეცოდეთ და უფასოდ მოგვცა. ქორეზივით დავაცხერით და გადავყლაპეთ. მერე ისე გავთავხედდით, რომ მუქთად გავიპარსეთ, გავიკრიჭეთ და სამახსოვროდ „მინუტკაში“ სურათებიც გადავიღეთ. ეს სურათები ახლაც ჩემ წინ დევს. ისეთი გამოთაყვანებული თვალები გვაქვს ორივეს, ზედ გვაწერია, რაც გადაგვხდა...

მეორე დილით გარიჟრაჟს დავასწარით და გზად მიმავალ მანქანას გავყევით კრასნოდარისაკენ. გვითხრეს, თქვენები იქ არიანო. როგორც იქნა, იქამდეც მივაღწიეთ, გავიკითხ-გამოვიკითხეთ და იმ ქუჩაზე შევუხვიეთ, სადაც სამედიცინო ინსტიტუტია. ვიცოდით, რომ ჩვენებს დაღუპულები ეგონეთ. აბა, სხვა რა უნდა ეფიქრათ, როცა ყირიმის ევაკუაციის შემდეგ ამდენ ხანს აღარ გამოვჩნდით...

პირველი, ვინც შეგვხვდა, ვიქტორ კუპრაძე იყო. ჯერ

ვერ გვიცნო, თუ თვალს არ დაუჯერა. მერე თავისებური მომხიბვლელი ღიმილი შემოგვაგება და სიხარულით ცრემლ-მორეული გადაგვეხვია...

თავი უცებ მშობლიურ გარემოცვაში ვიგრძენით...

...სხვებმაც „მკვდრეთით აღმდგარივით" მიგვიღეს და რაღაც საზეიმო შეხვედრის მსგავსიც მოგვიწყვეს თავიანთ წრეში. მერე გავიგე, კრასნოდარიდან ისეთი ორჭოფული წერილები გაეგზავნათ მეგობრებს თბილისში, რომ ჩვენიანებს დაღუპულად ან „უკეთეს შემთხვევაში" უგზო-უკვლოდ დაკარგულად უნდა ჩავეთვალეთ. შტაბშიც ასე მითხრეს და, როგორც „იმ ქვეყნიდან დაბრუნებულს", ერთი კვირის შვებულება მომცეს შინ წასასვლელად.

ცხადია, მაშინვე თბილისისაკენ გამოვეშურე. წინასწარ ვითომ სასწრაფო დეპეშაც გამოვგზავნე, ცოცხალი ვარ და მოვდივარ-მეთქი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ომის დროს ასეთ „სასწრაფოს" შეიძლება ფეხითაც ჩააასწროს კაცმა. მეც ასე მომივიდა. მართალია, ფეხით არ წამოვსულვარ, მაგრამ გზა-დაგზა, მგონი, ათიოდე მატარებელი გამოვიცვალე, ხან ვაგონის სახურავზე ვიჯექი, ხანაც კიბეებზე ვეკიდე, ერთხელ მოსაბმელებზეც ვიყავი გახიდული და, როგორც იქნა, ჩამოვაღწიე თბილისამდე.

გათენებული არც იყო, რომ ეზოში შევედი. შავებში ჩაცმულ დედას აივნის მოაჯირისათვის ჩამოედო თავი და ისე ჩასძინებოდა ტანგაუხდელად. მერე მითხრეს, რაც ის ორჭოფული წერილები მოვიდა, არც ტანისამოსი გაუხდია და არც შინ შემოსულაო დასაძინებლად. იჯდა თურმე დილიდან მეორე დილამდე აივანზე და დარდისაგან გაკერპებული უცდიდა რამე ამბავს ჩემ შესახებ. ყირიმიდან კი მაშინ არცთუ ისე სასიამოვნო ცნობები მოდიოდა. ჩემი მდგომარეობა ხომ სულ საგანგაშო იყო, მაგრამ იმედი მაინც არ ჰქონდათ დაკარგული და რაღაცის მოლოდინში იყვნენ...

...აივანზე ფრთხილად ავედი და ჩაძინებულს ხელი შევახე. მინდოდა გამეღვიძებინა... შეიშმუშნა, თვალები გაახილა,

შემომხედა კიდეც, მაგრამ ვერ გაერკვა, ისევ სიზმარი იყო, თუ ცხადი. თურმე სწორედ მაშინ სიზმარშიც მხედავდა და ეგონა, ისევ ის ზმანება გრძელდებაო, და „ვიღაცას“ ეხვეწებოდა, ნუ წახვალ, ცოტა კიდევ მოიცადეო...

აბა, სად უნდა წავსულიყავი, როცა სიზმრად კი არა, ცხადად ვადექი თავზე...

...მერე რაც მოხდა, ამას თავადაც წარმოიდგენთ.

ყველაფერი რომ მიწყნარდა, გულმა არ მომითმინა და უნივერსიტეტში წავედი მეგობრების სანახავად. გზაში უცხოსავით ვაკვირდებოდი ყველაფერს. თბილისს თითქოს სახე ეცვალა. ჩემი თეთრი უნივერსიტეტიც შავად შეეღებათ და ძაძებით მოსილ მგლოვიარესავით იდგა ფიქრის გორაზე.

ერთხანს ალაყაფის კარებთან შევჩერდი. მელიქიშვილის ქუჩიდან ვიღაც მოხუც ქალს მოასვენებდნენ. წინ დროშა მოჰქონდათ, მერე — იმ ქალის პორტრეტი. პორტრეტის შემდეგ ორმოცდაათამდე გვირგვინი გაემწკრივებინათ ბავშვებს. მათ უკან მაღლა აწეული კუბო მოჰქონდათ მიცვალებულისა. მერე ხალხი მოდიოდა, ყველა საოცრად გამხდარი, ჩამოძენძილი და დაღვრემილი... ბოლოს კი სასულე ორკესტრი და შოპენის სამგლოვიარო მარშის მსგავსი რაღაც...

ხომ ბუნებრივია ეს სცენა, მაგრამ მე როგორღაც თავი უხერხულად ვიგრძენი... აქ ამდენი ცერემონიალი ერთი ბუნებრივი სიკვდილის გამო... იქ კი...

თუმცა მე უკვე გიამბეთ, რაც იქ ვნახე...

უნივერსიტეტში შევედი და თითქმის დაცარიელებულ ვესტიბიულის კიბეებს ავყევი. პირდაპირ კედელზე უშველებელი სტენდი ეკიდა, რომელზედაც ომში დაღუპულ უნივერსიტეტელთა შავარშიაშემოვლებული სურათები იყო გაკოკრული... მათ შორის — ჩემიც!

სურათი მე თვითონ ჩამოვხსენი და მართლაც „მკვდრეთით აღმდგარივით“ გამოვეცხადე ნაცნობ-მეგობრებს...

...ორიოდე დღის შემდეგ ისევ ფრონტზე დავბრუნდი თბილისური საჩუქრებით დატვირთული. გზაში უსიამოვნო

ამბავიც შემხვდა. მატარებელი რომ არმავირს უახლოვდებოდა, ძილმა წამიტყუა. გაგონილი მქონდა, აქ ისეთი ხალხია, კაცს თვალში წამწამს გამოპარავენო, და, რაც შემეძლო, ვიცავდი ჩემს ავლა-დიდებას. „კატასტროფა“ კი მაინც მოხდა. გავახილე თუ არა თვალი... სადღაა ჩემი ჩემოდანი!

ჩვეულებრივ, შეიძლება ეს არც ისე დიდ უბედურებად მიიჩნიოს კაცმა, მაგრამ ომის დროს თბილისიდან ფრონტელ ამხანაგებთან ხელცარიელი ჩასვლა მართლაც კატასტროფად მეჩვენებოდა. ამიტომ იყო, რომ გიჟივით წამოვხტი და „ტამბურში“ გამოვვარდი. იმავე წუთს ვიღაცამ ისკუპა და ჩემოდნიანად გადახტა მატარებლიდან. არც მიფიქრია რამე, ისე ინსტინქტურად მივყევი მეც და ბნელაში სამჯერ გავისროლე რევოლვერი. უცნობმა ჩემოდანი დააგდო და ბნელს შეერია. მე კი ვეცი „დაკარგულ საუნჯეს“, მაგრამ ამასობაში მატარებელმაც ჩაიარა.

ეს არაფერი! ავიკიდე ჩემი ბარგი-ბარხანა და სადგურამდე ფეხით გამოვყევი ლიანდაგს... მერე ისევ მატარებელი და უძილო ღამე...

კრასნოდარში რომ ჩავედი, მეგობრები სიხარულის ყიჟინათი შემხვდნენ. უფრო მე, თუ ჩემს ჩემოდანს, ეს სხვა საქმეა.

— გაუმარჯოს ბახუსს, იუპიტერისა და სემელეს ძეს!..— დაიძახა ვიღაცამ და მაშინვე შეუდგნენ „პილატეს ცრემლების“ შრობას. მერე, საკმაოდ რომ შეზარხოშდნენ, ჩემი როგორც „ცხონებულის სულის მოსახსენებელი“ და სადღეგრძელო ერთად დალიეს...

ხე ცხოვრებისა...

ახლა, როცა ძველ მეგობრებზე ვფიქრობ, მიკვირს კიდეც, ზოგჯერ რა უდარდელად ვექცევით ამ მართლაც გულის ძარღვებზე გამოსკვნილ საქმეს. ვინ იცის, რამდენ მეგობარს ვიძენთ ცხოვრებაში და რამდენს ვკარგავთ ჩვენივე დაუდევრობით. ყოველი ჩვენგანის „ხე ცხოვრებისა“ თანდათან იმოსება მეგობრობის ფოთლებით. ისინი ხარობენ და

მწვანით იმოსებიან ჩვენთან ერთად. აბა, რა სჯობს ამ ფოთლების შეხმატკბილებულ შრიალს, მათი მეგობრული ურთიერთობის ჰარმონიას...

მაგრამ უბრალო რამ გვეწყინება... სულ უბრალო, და მორჩა... მოსწყდა ფოთოლი ხეს... დაირღვა მეგობრობა. ზოგს ამის გამო თითქოს რაღაც ჩასწყდება გულში. სხვა აინუნშიც არ ჩააგდებს, ვითომც არაფერიო. ისეთებიც არიან, ოცდაათ ვერცხლად ან სულაც ჩალის ფასად რომ ყიდიან მეგობარს! უგუნურები არიან, არ იციან, რომ ხე ცხოვრებისა „სურვილია კეთილი", თორემ მეგობარზე უკეთესს რას შეიძენენ! თუმცა ეს მხოლოდ იმათ ემართებათ, ვისაც სხვებშიც თავიანთი თავი უყვართ. მეგობრებიც მანამ უნდათ, ვიდრე რამეში გამოადგებათ. ისე არც აინტერესებთ მათი ბედ-იღბალი. ასეთი რამ ბოლოს ცინიზმამდე მიდის, ისეთ .უხამსობამდე, ალბერ კამიუს კლემანსი რომ ამბობს:

— როცა მე ვამბობ, ჩემი მეგობრები-მეთქი, ეს მხოლოდ პრინციპისათვის. ისე კი მე არცა მყავს მეგობრები, მე თანამონაწილეები მყავს.

კლემანსი ამტკიცებს, რომ მეგობრების ყოლა არცაა ხელსაყრელი, უხერხულიცაა, რადგან შესაძლებელია უდროო დროს მოგვადგნენ სასტუმროში, როცა მარტო არა ვართ, ან სწორედ მაშინ დაგვირეკონ, როცა არა გვცალია.

კლემანსს რომ ჰკითხოთ, შეიძლება მხოლოდ გარდაცვლილი მეგობრები გვიყვარდეს: ისინი არც დაგვირეკავენ და არც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებენ. ოღონდ საჭიროა მეგობრის ან „თანამონაწილის" სიკვდილმა არ მოგვაყენოს უხერხულობა. ხომ შეიძლება დასაფლავება იმ დროს დაინიშნოს, როცა ფეხბურთის საინტერესო მატჩია ან ვინმესთან პაემანი გვაქვს დანიშნული!..

კლემანსს ის კი აინტერესებს უყუროს, თავად მის დასაფლავებაზე რამდენი „თანამონაწილე" მოვა, მაგრამ ამისთვის არ ღირსო სიკვდილი, ამბობს იგი: ისედაც ვიცით, ბევრი არავინ შეიწუხებს თავს და, ვინც შეიწუხებს, ისიც იბუზღუნებს, რაღა მაინცდამაინც დღეს ასაფლავებენო...

ასეა, კამიუს კლემანსის აზრით...

...სინამდვილეში კი ასე არ არის! მეგობარს ვინც არ ეძებს, ის თავის მტერიაო, გვასწავლიდნენ ბავშვობიდანვე. ხალხშიც ამბობენ, ადამიანი მეგობრებითაა ძლიერიო. ისიც უთქვამთ, ხე ფესვებით ხარობს, ადამიანი — მეგობრებითო.

ამიტომაც ვამბობ, მეგობრობის ხეს უფრო სათუთი მოვლა უნდა-მეთქი. მას ისედაც ბევრი მტერი ჰყავს: დრო, ომი, სიკვდილი, გულგრილობა. ზოგჯერ ისეთი ქარიშხალი ამოვარდება, რომ ფოთლებს აგლეჯს მას, ან სულაც შეალეწავს ტოტებს ესეც არ იყოს, ხანდაზმულობასაც მიაქვს თავისი. დადგება შემოდგომა და იწყება ფოთოლცვენა.... ჯერ ერთი ჩამოვარდება... მერე — მეორე... მესამე... მეათე... და ჩვენი „ცხოვრების ხე" თანდათან იძარცვება მეგობრებისაგან. მერე ზამთარიც მოახლოვდება და სულ გაშიშვლდება. შეიძლება სადმე კენწეროზე ერთი-ორი გამძლე და „ბოლომდე ერთგული" ფოთოლი კიდევ შემორჩეს მის დამზრალ ტოტებს, მაგრამ ბოლოს მათაც დაიმორჩილებს ჟამთა დინების კანონი...

ახლაც იმაზე ვფიქრობ, თუ ჩემი ცხოვრების ხეც რამდენჯერ გაძარცულა მეგობრობის ფოთლებისაგან, განსაკუთრებით ომის დროს, რის შემდეგაც ყველაფერი მოგონებად იქცა. ვზივარ და ვიხსენებ, ვინ რა იყო, რა გაუკეთებია ან რითი ჩამრჩენია გულში. წვრილმანები ადვილად ეძლევა „უნათლოსა დავიწყებისასა", რაც უმნიშვნელოა, ქრება, მაგრამ ჩემ წინაშე ისევ დგება დროის ხანგრძლიობით განმტკიცებული მეგობარი, ჯერ ერთი, მერე — მეორე... მესამე და ასე შემდეგ, — იმდენი, რამდენიც იყო და არის. ამით ჩემი ცხოვრების ხე ისევ იმოსება მეგობრობის ფოთლებით, მართალია, უკვე წარმოსახულით, მაგრამ მაინც ძვირფასით. ამიტომაც ჩავჩერებივარ ამ ძველ ფოტოსურათებს და გულში ვამბობ: ოო, ეს ის არის, ის „იუდას კერძი", ისა! ესეც „სარდანაპალი", „კრუხის პალო", „დედის ნებიერა", „ქარი ვეტია", „ბებერი ქერუბინო", „ბოროტი მეშვიდე" და რა ვიცი, რანაირ ზედმეტ სახელებს არ ვუგონებდით ხოლმე ერთმანეთს. ბევრი დაიღუპა, დაიკარგა ან ისე დავშორდით ერთმანეთს, რომ შორეული მოგონებაღა დარჩა... ზღაპარი... იყო და არა იყო რა...

...ყველაზე მძიმე კი, აი, ამ სურათის ყურებაა. ეს ჩემი ყირიმელი მეგობრებია. მარცხნივ რომ მაღალი ოფიცერი დგას, ვახტანგია. ეს კი მე ვარ, ცალ მუხლზე ჩაჩოქილი, სხვებიც ან ფეხზე დგანან, ან სხედან, სულ 25 კაცი. აქედან ხუთი კაციღა დარჩა ცოცხალი. სხვა დაიღუპა ან დაიკარგა. აი, ეს პატარა გოგონაც, ამ 24 მამაკაცს შორის რომ ჩამჯდარა, მემანქანეა. ის ჩვენ თვალწინ ისე დაფლითა უეცრად აფეთქებულმა ნაღმმა, რომ მისი ნაწილებიც ვერ შევაგროვეთ დასამარხავად. მერე, თითქოს ჩვენი ბრალი ყოფილიყოს, გვრცხვენოდა კიდეც, ამდენ მამაკაცში ერთი სუსტი გოგონა გვერია და ისიც რომ ასე გამოგვაცალა სიკვდილმა... თუმცა განა მარტო ის! აი, ეს ბრგე ვაჟკაცი ცოცხლად ჩაიმარხა ბლინდაჟში. ვეცით, ამოვთხარეთ, მაგრამ უკვე გვიან იყო. ის კი მტრის თვითმფრინავების თავდასხმის დროს დაიღუპა.

ყველაზე ერთნაირად ვამბობთ „დაიღუპაო“, თორემ სინამდვილეში ეს სულ სხვადასხვანაირად ხდება. ადამიანს სიკვდილიც ისე თავისებური აქვს, როგორც სიცოცხლე. რაინდული სიკვდილი ისევე ამკობს ადამიანს, როგორც სახელოვანი ცხოვრება. იტყვიან კიდეც, ესა და ეს კაცი ასე მოკვდაო. ისიც ვიცით, დიდების როგორი შარავანდი მოსავს ბევრი მათგანის უკანასკნელ წუთებს....

მთელმა მოსფლიომ გაიგო, როგორ მოკვდნენ გასტელო, მატროსოვი, კოსმოდემიანსკაია, ზოია რუხაძე და სხვა მრავალი. ზოგიც დიდებულად მიიცვალა თავის სარეცელზე.

— სინათლე, მეტი სინათლე! — ითხოვა სიკვდილის წინ გოეთემ.

— მივდივარ რაღაც უფრო დიდის საძიებლად, — წაიჩურჩულა რაბლემ.

— საქმე კარგადაა, რუბიკონი გადალახულია! — თქვა ფრიდრიჰ დიდმა.

— მე უკანასკნელად ვხედავ მზეს, — მოასწრო სინანულის თქმა რუსომ.

— საკმარისია! — დაასკვნა ლოკმა.

ზოგს კი ისე უეცრად დააცხრება სიკვდილი, რომ ფიქრის დროც არ რჩება, უკანასკნელი ამოსუნთქვისაც. ფრონტ-

ზე უამრავია ასეთი შემთხვევა. რომ დაუფიქრდე რამდენ-ნაირი სიკვდილი გინახავს ომში ყოფნის დროს, გაგიჟდები. ბევრი არც დაიჯერებს, იტყვის, ზღაპარიაო. მართლაც ჰგავს ზღაპარს, მაგრამ მე მაინც გიამბობთ ერთ მათგანს, რადგან ყველაზე უფრო უცნაურია იმ სიკვდილთა შორის, მე რომ მინახავს....

...სამნი მივდიოდით ყუბანის ველზე — ორი ქართველი და ერთი რუსი. ისინი რაღაცაზე წაჩხუბებული იყვნენ და არც ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. საბრძოლო დავალება ჰქონდათ ერთად შესასრულებელი, თორემ ასე მხარდამხარ როგორ ივლიდნენ! რა უნდა მექნა! ისე მივაბიჯებდი მათ შორის, თითქოს დუელანტები ყოფილიყვნენ, მე კი—მათი სეკუნდანტი. მტრის მოწინავე ხაზი ახლოს იყო და ჯერ სანგრებს გავყევით, მერე ამოვედით და ფრთხილად განვაგრძობდით გზას, ხან ხოხვით, ხანაც ფეხზე მდგარი. იმ ქართველმა დილით თბილისიდან ამანათი მიიღო, მეც გამიმასპინძლდა და მხიარულ ხასიათზე ვიყავით. მახსოვს კიდეც მისი სახელი და გვარი, მაგრამ არ ვიტყვი. ვიცი, ნათესავები ჰყავს თბილისში და არ მინდა გაიგონ ეს საშინელი ამბავი.

სულ რაღაც ნახევარი საათი ვიარეთ. წინ ერთი ობოლი ხე იდგა, ოლეს ჰგავდა, მინდორში განმარტოებით მდგარს. იმ ხეს რომ მივუახლოვდით, რუსმა იყვირა:

— დაწექი!..

ყუმბარის ან ნაღმის ხმა წინასწარ ისმის და, ვისაც გამახვილებული სმენა აქვს, ადვილად გრძნობს. მოწყვეტილად დავეცით. ექვსლულიანი ნაღმსატყორცნის ჭურვებიც იქვე ახლოს გასკდა და კვამლსა და მტვერში გაგვხვია სამივე. ბურუსი რომ გაიფანტა, წამოვდექით... ორნი, ის ქართველი კი აღარ ამდგარა... მივვარდით, მაგრამ... მკვდარია. ეს კიდევ არაფერი. თავი არა აქვს! სისხლი მოთქრიალებს ტანიდან, თავი კი არსად ჩანს... მართლაც ზღაპარსა ჰგავს, მაგრამ სინამდვილე კია. მივიხედ-მოვიხედეთ, ბევრიც ვეძებეთ, მაგრამ ამაოდ...

მერე იმ რუსმა შენიშნა, ხიდან სისხლი წვეთავდა... ავი-

ხედეთ და... საშინელი სურათი ვნახეთ: ნაღმის ნამსხვრევით აგლეჯილი თავი ხის ტოტებში გაჩხერილიყო...

ენა დამება, მუხლებიც მომეკვეთა და იქვე ჩავჯექი. ის რუსიც გაშეშებული იდგა. ერთხანს ვერც ერთმა ვერ ამოვიღეთ ხმა... სისხლი კი ისევ წვეთავდა ხიდან... მერე იმ რუსს ხმა არ გაუღია, ისე გაიძრო შინელი, ჩექმებიც, და ხეზე აცოცდა. მე თვალს არ ვაშორებდი მას და ვხედავდი, როგორ მიიწევდა ზევით...

ხანდახან „გზააბნეული“ ტყვიაც გაიზუზუნებდა, მაგრამ ის ამას ყურადღებას არ აქცევდა, ისე იყო გართული თავისი საქმით.

ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია იქამდე და მოგლეჯილ თავს ფრთხილად შეახო ხელი... ტანში ჟრუანტელმა დამიარა და თვალები დავხუჭე. იმ რუსის ხმა კი მაინც გავიგონე:

— აჰა, დაიჭი!..

გული გადამიქანდა და შეშინებულმა ჩემდა უნებლიეთ წამოვიძახე:

— ხომ არ გაგიჟდი!..

შემეშინდა, მართლა არ გადმოაგდოს-მეთქი, და თვალი ავარიდე, თავში კი ჩაქუჩივით მირტყამდა ფიქრი:

— გადმოაგდებს თუ არა, გადმოაგდებს თუ... ჰო, თუ არა... ჰო, თუ...

ისე სძულდა საცოდავი, რომ შეიძლება მართლაც გადმოეგდო. გულში კი გავიფიქრე: ახლა რომ მიწაზე თავის დაცემის ხმა გავიგონო, კიდევაც გავგიჟდები-მეთქი. მერე ჩემივე თავისა შემრცხვა, შიში დავძლიე და ისევ ქურდულად ავხედე იმ რუსს.

თავი იღლიაში ამოეჩარა და ფრთხილად ჩამოდიოდა ხიდან. უჭირდა ასე ცალხელა ჩამოცოცება, მაგრამ როგორღაც მაინც მოახერხა. ჩემთვის არაფერი უთქვამს, ისე მივიდა მკვდართან და მოჭრილი თავი ფრთხილად მიადო ტანს. მერე ასევე ჩუმად ჩაიცვა ჩექმები, შინელი კი მკვდარს გადაეფარა...

— უნდა წავიღოთ დივიზიის შტაბში, იქ უკეთ დავასაფლავებთ! — თქვა მან.

— ჰო, უნდა წავიღოთ, — ვუპასუხე მე და ავდექი. ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე მოჰკიდა უთავო მკვდარს ხელი და აწევა სცადა. მე კი მინდოდა შევშველებოდი, წავიწიე კიდეც მისკენ, მაგრამ შემაჩერა:

— მოიცა, მე თვითონ... — ეს ისე წყნარად თქვა, რომ ძლივს გავიგონე. სახეზე რომ შევხედე, გამიკვირდა: თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე... ამასობაში თავმოწყვეტილი ტანი ფრთხილად ასწია და ეს ამხელა კაცი მხარზე გადაიკიდა... მე ისევ შემეკუმშა გული. სადღაც უნებლიეთ ასეთმა აზრმაც გამკრა:

— ახლა რომ მითხრას, თავი წამოიღეო, რას ვიზამ? წამოვიღებ თუ არა? ცხადია, წამოვიღებ... წამოვიღებ... უსათუოდ წამოვიღებ... — ვარწმუნებ ჩემს თავს...

ამ ფიქრში რომ ვარ, იმ რუსმა თავიც თვითონ ამოიჩარა იღლიაში და გზას გაუდგა... გული კი მეუბნებოდა, მიდი, მიეშველეო, მაგრამ მაინც დარცხვენილი მივყვებოდი შორიახლო...

ასეთ დროს კაცი ვერ იფარისევლებ, ვერც სიძულვილს შეინახავ გულში...

დივიზიის შტაბში ნაღმმტყორცნელებმა აგვიხსნეს, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ეს სასწაული, მაგრამ ამის ახსნა საქმეს რას უშველის...

...ყოველთვის კარგი ამბავი როდი მოაქვს მოგონება. როგორიც ცხოვრებაა, მოგონებაც ისეთია: ზოგი — კარგი, ზოგიც — ცუდი! ორივეს ერთიანობა ქმნის ჩვენი არსებობის სიმართლეს.

არის პერიოდები, როცა არც ერთი მეგობარი არა გყავს. ისე ხარ გათქვეფილი საერთოში, რომ არც არავის გამოჰყოფ და არც არავის განასხვავებ. ყველა ერთია და ერთნაირი, როგორც მდინარის წვეთები. ცხოვრებაც როგორღაც ტალღობრივად მიედინება, და შენც მიჰყვები ამ დინებას. მიმართულება ერთია, მიზანიც. ფორმაც ერთნაირი გვაცვია და თითქოს განწყობილებაც ერთნაირი გვაქვს. დაკვირვებისა და განსხვავებისათვის არა გვცალია, ზოგჯერ არცაა ამის სურ-

ვილი. ამ საერთოში უფრო კარგად გრძნობ თავს. ურთიერთობაც თავისებურია, უფრო სამხედრო წოდებებით განსხვავებული, ვიდრე ხასიათებით. სხვა ყველაფერი თითქოს ერთნაირია, — ორი ერთი და იგივე ისე ხვდება საერთო ერთიდაიგივეობის ფარგლებში ერთმანეთს, რომ განსხვავება არც არის, არც განსაკუთრებული რამ. ყველაფერი ისე ხდება, როგორც უნდა მოხდეს, და ეს ყველას ერთნაირად გვეხება. საქმესაც ერთიანი ძალით ვაკეთებთ, თავგადასავლებიც ერთნაირი გვაქვს. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ყველანი ერთი ვიყოთ და უამრავი თავები, ხელები და ფეხები გვქონდეს.

იქნებ ამიტომაცაა, რომ იმ დროიდან უფრო ამბები მახსოვს, ვიდრე ადამიანები... მერე, როდესაც ვინმეს დაუახლოვდები და დაუმეგობრდები, ხედავ, რომ, პირიქით, ყველას თავისი სახე და ხასიათი აქვს. ამას დანახვა უნდა, დრო კი არ არის. ხალხში ამბობენ: ერთხელ რომ ვინმეს შეხვდები, ნაცნობიაო, მეორედ რომ შეხვდები — ამხანაგი, ხოლო თუ მესამედ შეხვდი — მეგობარიო. ფრონტზე ერთსა და იმავე პირთან სამჯერ შეხვედრა არც ისე ადვილია. ამიტომ მეგობარს ძალიან ძნელად პოულობ, მაგრამ ადვილად კი კარგავ. დღეს რომ არის, ხვალ აღარაა: „დაიღუპა გმირულად“, „დაიჭრა ბრძოლის ველზე“, „დაიკარგა უგზო-უკვლოდ“ ან „სხვა ნაწილში გადაიყვანეს“. არც მისამართი იცი მისი და არც გზა-კვალი, არც არასოდეს შეხვდები, თუ რამ სასწაული არ მოხდა... ასეთი სასწაულებიც არის, ოღონდ იშვიათად. კიდევ უფრო იშვიათია ხანგრძლივი მეგობრობა, მაგრამ, თუ ის არის, ისეთია, რომ მოგონებად ღირს...

...მე უფრო კარგად ჩვენი განყოფილების თანამშრომლები დამამახსოვრდა, რადგან აქ უფრო დიდხანს მიხდებოდა ერთსა და იმავე ხალხთან მუშაობა. მას შემდეგ, რაც ჩვენი ჯარების შეუჩერებელი წინსვლა დაიწყო და სახელმწიფო საზღვრებს მივუახლოვდით, სამხედრო სპეციალობის მიხედვით—საზენიტო არტილერიაში— აღარ მიმსახურია. საჭირო გახდა უცხო ენების მცოდნე ოფიცრები და მეც ამ განყოფილებაში დავიწყე მუშაობა. აქ სულ ასამდე კაცი იყო —

ოფიცერიც და რიგითიც. გვქონდა საკუთარი საველე სტამბა, სპეცმანქანები, მოძრავი რადიოსადგურები, ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობანი და სხვ.

ჩვენი განყოფილების ოფიცრები უმთავრესად მწიგნობარი ხალხი იყო. ბევრი მათგანი ადრე კულტურის სხვადასხვა დარგში მოღვაწეობდა. ვის არ ნახავდით აქ, თვალსაჩინო მწერლებს, ლიტერატორებს, მხატვრებს, იურისტებს, საგარეო ვაჭრობის დარგის სპეციალისტებს... მთარგმნელებად უცხო ენათა ინსტიტუტების სტუდენტებიც მუშაობდნენ.

სამამულო ომის ამბებზე ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ იმ სახის მუშაობის შესახებ, რაზედაც მე აქ მოგიყვებით, ლიტერატურა მეტად მცირეა, მხატვრულიცა და პუბლიცისტურიც. შეიძლება ეს არც ისე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც სხვა რამე, მაგრამ დავიწყების ღირსი მაინც არ არის. ბევრი რამ საინტერესოცაა.

ჩვენი განყოფილების „ოპერატიულ ჯგუფში“ შვიდი კაცი შევდიოდით, ამიტომ მეგობრები „მეშვიდეებს“ ან „შვიდიანებს “გვეძახდნენ. მართალია, შვიდში მეშვიდე მხოლოდ ერთია, მაგრამ ეს „ერთი“ ყოველი ჩვენგანი იყო.

მე მინდა გიამბოთ ამ „შვიდიანების“ შესახებ. ეს შეიძლებოდა შემდეგისათვის გადამედო, მაგრამ ახლა მირჩევნია, ვიდრე ჩვენი ფრონტის დიდი შეტევის ამბებზე გადავიდოდე, თორემ, ის ორომტრიალი რომ დაიწყება, მერე ამისთვის ვინ მოიცლის!..

საიდუმლოდ შუიდთა ვარსკულავთად...

ეს შვიდი რიცხვი მართლაც იქცევდა ჩვენი განყოფილების თანამშრომლების განსაკუთრებულ ყურადღებას. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველა თავისებურად ავარჯიშებდა ამაზე გონებას: ანტიკური მითების მოყვარულნი იგონებდნენ, რომ ძველი ეგვიპტელები, შემდეგ ბერძნებიც, რაღაც მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ რიცხვს და მისგან სამკუთხედ-

ოთხკუთხედების მაგიურ ვარიაციებს ქმნიდნენ. მერე მოდგებოდნენ და, შვიდ რიცხვთან დაკავშირებული რაც კი გაეგონათ, ყველაფერს იხსენიებდნენ: შვიდი პლანეტა, შვიდი ცა, ცისარტყელას შვიდი ფერი, მუსიკის შვიდი ტონი, კვირაში შვიდი დღე, შვიდი თავისუფალი ხელოვნება, შვიდი ბრძენი, შვიდი ეშმაკი და შვიდი ანგელოზი. ამბობდნენ, ნოეს კიდობანი მეშვიდე დღეს მიადგაო არარატის მთას. შვიდს აპოლონის რიცხვად თურმე იმიტომ თვლიდნენ, რომ ლატონამ დიდი წვალების შემდეგ მეშვიდე დღეს შვა იგი. ისიც გაახსენდათ, ბუდამ შვიდი მადლისათვის ნაირადშარას ნაპირზე შვიდჯერ შვიდი დღე რომ იმარხულა.

მერე შვიდის ალეგორია ეთიკურ პრინციპს მიუყენეს და თქვეს, ლოცვანშიც შვიდი თხოვნაა უფლისადმი და სწორედ მეშვიდეა, ბოროტებისაგან გათავისუფლებას რომ გულისხმობსო. ასე „გაანდეს“ ერთმანეთს საიდუმლო „შუიდთა ამათ ვარსკულავთაჲ...“ მერე გერმანელებს მისდგნენ და „აღმოაჩინეს“, რომ ისინი მართლაც ამბობდნეხ „ბოროტი შვიდიო“ (Das Böse Sieben), გადაშვიდებასაც (übersieben) უსურვებდნენ მტერსა და დუშმანს.

შემდეგ შვიდის სიმბოლიკა ყოფისა და მორალის სფეროსაც დაუკავშირეს. აქაც „აღმოჩნდა“, რომ ქვეყნად შვიდი ცოდვაც არსებობს და შვიდი მადლიც. კათოლიკურ კათეხიზისში, სქოლასტური დოგმატიკის მიხედვით, მართლაც შვიდი მიუტევებელი ცოდვაა ჩამოთვლილი: ქედმაღლობა, სიძუნწე, მრუშობა, ბრაზი, ღორმუცელობა, შური და სიზარმაცე. ასევე ამბობდნენ, შვიდი მადლიო: ზომიერება, სიმამაცე, სიბრძნე, სიმართლე, რწმენა, იმედი და სიყვარული. იმაზედაც ითქვა: ახლაც შვიდი ცოდვა და შვიდი მადლი ებრძვიანო ერთმანეთს, და ასე ჩაახვიეს:

— ქვეყნად ეს შვიდი კი არა, შვიდჯერ შვიდი მადლიც შეიძლება იყოს. მაგრამ ამ შვიდის ერთი მეშვიდედიც რომ ჰქონდეს ყოველ ჩვენგანს მომადლებული, შვიდ ცოდვას ადვილად ძლევდა შვიდი მადლი და არც ის ბოროტი შვიდი ასცდებოდა თავის დროზე გადაშვიდებას...

„რამეთუ შვიდგზის დაეცეს მართალი და აღდგეს, ხოლო არაწმიდაჲ მოუძლურდეს ბოროტსა შინა...“

ამის პასუხად ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა წამოიძახა:

— ხომ საოცრებაა, რომ ეს შვიდი...

ეტყობოდა რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მეორემ არც დაამთავრებინა, ისე მიაყოლა:

— დიახ, რა თქმა უნდა, საოცრებაც შვიდ რიცხვთანაა დაკავშირებული! ამბობენ, შვიდი საოცრებაო.

მაინც რაო, რომ ჰკითხეს, მაშინვე ჩამოთვალა: ეგვიპტური პირამიდები, სემირამიდას დაკიდული ბაღები ბაბილონში, დიანას ტაძარი ეფესში, ფიდიასის მიერ გამოქანდაკებული იუპიტერი, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, როდოსის კოლოსი და ალექსანდრიის შუქურა.

მერე ლიტერატორებიც ჩაერივნენ ამ ზეპირ ვიქტორინაში და თქვეს: დანტესთან შვიდი რიცხვი ცარიელი აბსტრაქცია კი არ არის, არამედ ალეგორიული გამოხატვა „შვიდი საიდუმლო ძალის, შვიდი მიუტევებელი ცოდვისა და სულის შვიდი საჩუქრისაო.

ისიც კი შენიშნეს, თომას მანის რომან „მოჯადოებულ მთაში“ რომ შვიდი თავია, მოქმედების ადგილიც — Berghof და მთავარი გმირის გვარიც — Kastorp შვიდი ასოსაგან შედგება. სხვებმა დაუმატეს, სასადილო ოთახშიც შვიდი მაგიდა დგას და უმთავრესი სტუმრების გვარებშიც შვიდ-შვიდი ასოაო.

მე ამ „ფრიად განსწავლულ“ პაექრობას იმის მეტი ვერაფერი შევმატე, რომ ვთქვი, ჩემი სახელიც შვიდი ასოსაგან შედგება-მეთქი. ასე რომ ეძებოს კაცმა, შვიდი ასოსაგან შემდგარ სხვა უფრო მნიშვნელოვან გვარსაც აღმოაჩენდა და, თუ არ მოიხსენიებდა, გუნებაში მაინც გაივლებდა, მაგრამ ჩვენებს ავუხსენი, რომ საქართველოში უფრო ცხრის სიმბოლიკაა მიღებული: ცხრა მთა, ცხრამუხა, ცხრაწყარო, ცხრაკლიტული, ცხრათვალა მზე, ცხრა ნაბადზე ხტომა, ცხრა ენის გამობმა, ცხრა ზნის დედა, ცხრა თოკში გამძვრალი და სხვა ასეთი... თუნდაც ცხრამირონცხებული და ცხრაბეჭედდასმული. ისიც დავსძინე, თუ ჩემი სახელი შვიდი ასოსაგან

შედგება, სამაგიეროდ გვარში ცხრა ასოა-მეთქი, და ამით ვითომ ორივე რიცხვის—როგორც შვიდის, ისე ცხრის—სიმბოლიკაში შევყავი თავი...

...განა არ ვიცი, რომ ყველაფერი ეს ფანტაზიის ნაყოფია, სიტყვების უბრალო თამაში. მაგრამ ადამიანის ფიქრი ზოგჯერ ასეთ სიმბოლიკურ მირაჟებსაც მისდევს, მეტადრე პოეტებისა, ჩვენშიც და უცხოეთშიც. მე მაშინ სად გამახსენდებოდა, თორემ, ახლა რომ ამაზე ჩამომიგდოთ სიტყვა, განა მაგალითები გამომელევა! რამდენიც გინდათ! შვიდისაც და ცხრისაც!

ჯერ რუსთაველის „შვიდთა მნათობთა“ ჰიმნი ავიღოთ, მერე ცის შვიდი ბორბალი ან ხალხური „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, თუნდაც:

ჩვენ შვიდთა ძმათა თკარელთა
მთას ვეფხვი გადმოგვეკიდა,
შვიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი,
ვეფხვს ერთიც არ მოეკიდა.

მეიძლება ესეც გავიხსენოთ:

შვიდმ ქისტმა, ერთმა ფშაველმა
ხელი გაიკრეს ხმალზედა.
შამაურბინა ფშაველმა,
შვიდსავ თავ მასჭრა წამზედა.
შვიდსავ მარჯვენა ააჭრა
ერთსავ ამლათის ხანზედა,
შვიდსავ ფრანგულებ შამაჰხსნა,
სრულ ქალს დაჰკიდა ტანზედა...

ცხრისა უფრო მეტიცაა. გავიხსენოთ გალაკტიონი:

ელვარე და ლომფერი
იყო ცხრა ოქტომბერი,

მაგრამ თვალმა დათვალა
მზე ბევრი და ცხრათვალა.

ო, მზით გადანაცხარო
ცხრამუხა და ცხრაწყარო!

რუსთაველი ხანია,
ისიც ცხრა ანბანია.

ვნება იყო ღვარული
ჩემი ცხრა სიყვარული.

ოდეს განახე, ლომფერი
იყო ცხრა ოქტომბერი.

ჟან კოკტო წერს:

— ცხრიანით იგი თამაშობდა ერთს!..

— სხვაც ბევრი მიმართავს „მაგიური ციფრების“ ამგვარ ალეგორიებს. ამიტომ ნურც მე დამზრახავთ, თუ ზოგჯერ მომეჩვენება, თითქოს იმ შვიდისა და ცხრის ალეგორიით „საიდუმლოდ შუიდთა ვარსკულავთაჲ“ შვიდი ცოდვისა და შვიდი მადლის ამ იდუმალი თამაშის აზრს მამცნობს და თუნდაც ჯოჯოხეთის ცხრავე გარსის გავლით დამარწმუნებს, რომ შვიდივე ცოდვა ოდესმე მაინც იქნება შვიდგზის შურმიგებული თუ გადაშვიდებული, ხოლო ნება შვიდისა მადლისა, გაცისკროვნებული სილამაზისა და სათნოების ისევ იმ იდეალური სახის — ბ ი ჩ ე ს სევდიანი თვალების შუქით, დანტე ალიგიერივით გაივლის ჯოჯოხეთის ყველა გარსს და გაჰყვება შვიდთავე ცოდვათაგან გაწმენდის გზას...

...ეს გრძნობისა და გონების გაფაქიზებისა და შვიდივე უკეთურების დაძლევის გზაო, გვეუბნებოდა ჩვენ შორის ყველაზე გატაცებული „შვიდომანი“ პავლე პავლეს ძე, რომელსაც მეგობრები პალპალიჩს ან, უბრალოდ, პაოლოს ვეძახდით. იგი საბჭოთა კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, უცხო ენების ჩინებული მცოდნე და დიდი ერუდიციის ლიტერატორი იყო, თანაც ისე უცნაური, რომ მისი მოგონება ყოველთვის სიამოვნების ღიმილს მგვრის.

თვითონაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს სულ ყელში მოწოლილ სიცილს ებრძოდა. გაიფიქრებდა რაღაცას თუ არა, მაშინვე სიცილი მოეძალებოდა. სამუშაოზე კი სულ სიცილი ვის გაუგონია, და ისიც ითმენდა, ტუჩებს მოკუმავდა, ხანდახან ხელებსაც დაიფარებდა პირზე, მაგრამ ერთხელ აყრილი სიცილის ტალღა მაინც აწვებოდა, გუბდებოდა, ძლიერდებოდა და, თუ გადმოხეთქავდა...

მორჩა! პაოლო უკვე თავს ვეღარ შეიკავებდა და იმდენს იცინებდა, ვიდრე ის ტალღა ისევ არ დაცხრებოდა და თვითონაც ტიკივით არ დაიცლებოდა. მერე სიცილის ტალღა ისევ მოაწვებოდა, ისევ გაიგუდებოდა და... იყო ასე დილიდან საღამომდე.

კამათიც ასე უცნაური იცოდა. მიუხედავად ყველაფრისა, იგი მაინც ვერ თმობდა გერმანული კულტურისადმი პატივისცემას. ამას არც არავინ მოითხოვდა მისგან, მაგრამ ზოგი, განსაკუთრებით კი კაპიტანი მარკოვი, რომელსაც ლენინგრადში მთელი ოჯახი დაეღუპა, ისე იყო გერმანელებზე გამწარებული, რომ ვერ იტანდა მის „ინტელიგენტურ ფილოსოფიას". როგორც კი პაოლო გერმანულ კულტურაზე ჩამოაგდებდა სიტყვას, მარკოვი მაშინვე პირში ეცემოდა, ფრიცების კულტურა ვინ გაიგონა, შე გამოტვინებულოო.

ამაზე პაოლო იფეთქებდა:

— რას ამბობ, კაცო, მაშ გერმანელ ერს კულტურა არ შეუქმნია?

— ერი, რომელიც ამდენ მილიონ პროფესიულ მკვლელს ზრდის, არ შეიძლება რამე კულტურის შემქმნელი იყოს! — უპასუხებდა მარკოვი. — ან თუ შექმნის, ისიც ისევე შემაძრწუნებელი იქნება, როგორც თვითონ. მკვლელების კულტურა ისევ მკვლელებს წარმოშობს. სამხედრო ყაზარმებით, თუ „სულიერი საზრდოთი,"—ეს სულერთია! მკვლელი მაინც მკვლელია. მორჩა და გათავდა!

როცა მტკიცების არგუმენტი შემოაკლდებოდა, მარკოვი ამ ყოვლისშემძლე „მორჩა და გათავდას" დააყოლებდა, ვითომ ვთქვი და ბეჭედიც დავუსვიო, მაგრამ პაოლო მაინც არ ნებდებოდა.

— ყველა გერმანელი? განურჩევლად? დიდი და პატარა? — ეკითხებოდა იგი.

— ყველა, მორჩა და გათავდა! — მკვახედ მიახლიდა მარკოვი, — ფრიცი ყველა ფრიცია, მე მაგათი!..

— ბავშვებიც?! — გაიოცებდა პაოლო.

— ბავშვებიც, რა თქმა უნდა, აბა, ძაღლის ბატკანი ვის გაუგონია!.. ის კი არა, სანამ დაიბადებოდნენ, მანამდეც, —

ამტკიცებდა მარკოვი, — დაიბადებიან თუ არა, ცხადია, ფრიცები არიან და, როცა გაიზრდებიან, ისევ ფრიცები იქნებიან, აბა, რა...

— ფრიცი შენ თვითონ ხარ, შე უბედურო, შენა! — იფეთქებდა პაოლო.

— შენ კიდევ „ვასისტდასი“ ხარ, შე მართლა გამოჩერჩეტებულო!—ვალში არა რჩებოდა მარკოვი, ვისთვისაც ფრიცი და ეს „ვასისტდასი“ ერთი და იგივე იყო.

თუ პაოლო ამაზეც გულს მოიყვანდა, მარკოვი პუშკინის სიტყვებს მიუმღერებდა:

И хлебник немец аккуратный
В бумажном колпаке не раз
Уж вытворял свой васистдас!

მერე პაოლო მეასეჯერ მოყვებოდა, თუ რა დიდი კულტურა შექმნა გერმანელმა ერმა. ჩამოთვლიდა გვარებს: ეს ლუთერიო, ლესინგი, შილერი და გოეთე, მერე ბეთჰოვენი, ბახი და მოცარტი... ასე ივლიდა, ივლიდა და ბოლოს თომას მანთან ამოვიდოდა. მაგრამ მარკოვი ყველაფერ ამაზე ხელს აუქნევდა და გინებაზე გადავიდოდა. ისეთი ლაგამწაყრილი ლაპარაკი იცოდა, რომ ის „გულისამრევად ინტელიგენტური“ პაოლო, აბა, რას გაუძლებდა! სახითაც „უწმაწური“ იყო, უცნაურად გადალესილი, უფერული, თანაც კბილჩოღერა და ისე გამხდარი, რომ ყბა ყბაში გასდიოდა. კარგად თუ არ დააკვირდებოდი, ვერც გაარჩევდი, სად თვალები ჰქონდა, სად ცხვირი და სად პირი. ამაზე თვითონ მარკოვიც ხუმრობდა: ეს ოხერი, რაღაც „უცენზურო სახე“ მაქვსო. მგონი, ართობდა კიდეც ამგვარი ხუმრობა, ყოველ შემთხვევაში, გული არ მოსდიოდა, პირიქით, სხვის ნათქვამს თვითონაც რამე საოხუნჯოს დაუმატებდა და კიდევ უფრო გაჰკილავდა თავის უსახურობას.

მარკოვს არც მაშინ მოსვლია გული, როცა გაგულისებულმა პაოლომ, „რიჩარდ მესამეო“, დაუძახა და თვითონაც მიულექსა შექსპირის სიტყვები:

მუხთალ ბუნებას აღუვსიხარ უსახურობით,
და უქამური, შეთითხნილი გაურევიხარ
ცოცხალთა შორის...

...ისე კი მარკოვი სულაც არ ჰგავდა რიჩარდ მესამეს, პირიქით, შესანიშნავი ხასიათი ჰქონდა, უაღრესად გაბედული კაცი იყო, თავდადებული და ერთგული. საოცრად უყვარდა სამხედრო წესრიგი. როგორც უბრძანებდნენ, ისე აკეთებდა ყველაფერს. ზოგჯერ თვითონაც არ მოსწონდა, რასაც აკეთებინებდნენ, მაგრამ იტყოდა:

— რას იზამ, ძმაო, ხაზია ასეთი მოცემულიო.

სულ ამ „მოცემულ ხაზს" მიჰყვებოდა და არც არაფერი შეეშლებოდა. უფროსს რომ ეთქვა, „ხაზი" მოითხოვს წყალში გადავარდეო, უსათუოდ გადავარდებოდა. გული რომ მოუვიდოდა, ენას ჯარასავით დაატრიალებდა და ისეთ უწმაწურ სიტყვებს მიაყოლებდა, რომ განყოფილების გოგოები სულ კივილით გარბოდნენ.

ყველაზე უფრო კი ვითომ იმ „ქარიფანტია პოლინას" ეჯავრებოდა მარკოვის უწმაწური ლაპარაკი. სულ მის ლანძღვაში იყო, რას არ ეუბნებოდა, როგორ არ დასცინოდა: ტარტაროზო, სატანა, უკაცურო, ბილწო, საზიზღარო, ზღარბო, ჯოჯოვ, ასპიტო, — ასე ამკობდა ისედაც „უცენზურო სახის" მარკოვს. ის კი მაინც კეთილად უღიმოდა, ან თვითონაც უჩურჩულებდა რიჩარდ მესამის სიტყვებს:

—მე, უშნოდ გათლილს, არ მაქვს სატრფო შეხედულება,
რომ მოვაწონო თავი ცუნდრუკ კოხტა გომბიოთ...

ასე იყო დღისით, საღამოთი კი როგორღაც ისევ დაუტკბებოდნენ ერთმანეთს და ყველა ამჩნევდა, ხელიხელჩაკიდებულნი რომ იკარგებოდნენ ბნელ ხეივნებში. ამან კიდევ უფრო განუმტკიცა მარკოვს რიჩარდ მესამის სახელი, ხოლო პაოლომ ერთხელ, „ლედი ანაო", დაუძახა პოლინას და ყურეზამდე გააწითლა...

უისრო საათი...

პაოლოსა და მარკოვის „ხელჩართულ კამათში" ზოგჯერ ჩვენ შორის ყველაზე „უხუცესი" გრიგოლ იზრაილის ძე ბრეი-

მანიც ერეოდა. იგი პაოლოს სრული ანტიპოდი იყო: ყველაფრისადმი განურჩეველი, აუღელვებელი, გულჩათხრობილი და განდგომილი. ხუმრობდნენ კიდეც: მაგისთვის სულერთია, ცხელ კუპრში ჩააგდებ, თუ გაყინულ წყალში, განსხვავებას მაინც ვერ იგრძნობსო. ალბათ, ომამდეც ისეთივე იყო, რაც ომის დროს. არავითარი ცვლილება! ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ერთხელ შემუშავებული რიტმიდან ვერავინ გამოიყვანდა, ვერც ააჩქარებდა. სასადილოში მიდიოდა, თუ მოულოდნელი საჰაერო თავდასხმის დროს თავშესაფარში, მისთვის სულერთი იყო. ერთნაირად დინჯი და მოკლე ნაბიჯებით იცოდა სიარული, თანაც ისე მოკრძალებულად, საკუთარი ჩრდილისათვის რომ ფეხი დაედგა, იმასაც ბოდიშს მოუხდიდა... დრო მისთვის არ არსებობდა, დღედაღამ უისრო საათივით მუშაობდა — არც „ადრეს“ გრძნობდა და არც „გვიანს“.

ერთხელ ვუთხარი, ძალიან მეჩქარება და ეს მასალები როგორმე საღამომდე გამიმზადეთ-მეთქი. გაოცებით შემომხედა და ტუჩები ოდნავ ირონიულმა ღიმილმა გაუბზარა. ალბათ, იფიქრა, რა ეჩქარება ამ სულელსო. მერე გაკვირვებით მკითხა:

— რატომ მაინცდამაინც ამაღამ და არა ხვალ?

— იმიტომ, რომ ამაღამ უნდა მოვახსენო გენერალს.

— ხვალ მოახსენეთ!

— ხვალ გვიან იქნება!

— რატომ იქნება გვიან?

აბა, რა ვიცი, რატომ იქნება? უცებ მართლაც გაგიჭირდება ამის თქმა. ვერც მე მოვიფიქრე ამაზე უკეთესი:

— გენერალს დღეს უნდა და არა ხვალ.

ბრეიმანმა გულუბრყვილოდ გაიღიმა და მკითხა:

— განა გენერალმა არ იცის, რომ ხვალაც ის არის, რაც დღეს?

სულერთია, რაც არ უნდა მექადაგა, საწინააღმდეგოში ვერ დავარწმუნებდი და ვერც ავაჩქარებდი.

ისე კი ვკითხე:

— გრიგოლ იზრაილის ძევ, როგორ შეგიძლიათ ყოველთვის ასე ერთნაირი იყოთ?

ამ კითხვაში რატომღაც ირონია იგრძნო და ვითომ სიტყვა ბანზე ამიგდო:

— ლათინური ანდაზაა ყმაწვილო: „ისწავლეთ იყოთ ერთნაირი!“

მერე, ჩვეულებისამებრ იგავიც მოაყოლა:

— სოკრატეს მეუღლე ქსანტიპა ამბობდა თავის ბრძენ ქმარზე: როცა ის მიდიოდა ან მოდიოდა, სახის გამომეტყველება სულ ერთნაირი ჰქონდაო...

...ბრეიმანის მოვალეობას გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების წერილებისა თუ დოკუმენტების გარჩევა შეადგენდა. ასეთი მასალები აუარებელი მოჰქონდათ მოწინავე ხაზიდან, მეტადრე მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმია წინ მიიწევდა და ტყვეებიც ბევრი ჰყავდა. იჯდა ბრეიმანი თავის ოთახში თუ მიწურში და იქექებოდა დოკუმენტებში. წინ ერთი თავჩაბრუნებული სამელნე და წებოდასხმული ლამბაქი ედგა. ძველთაძველი სათვალე ზედ ცხვირის წვერზე ჰქონდა დაკოსებული, ხელები კი—მუდამ მელნით მოსვრილი. ჩალისფერ წვერს იშვიათად იპარსავდა. არც თმის გაკრეჭაზე იწუხებდა თავს, არა მცალიაო, იმიზეზებდა.

მართლაც, რა დროსაც არ უნდა შეგეხედათ მის ბუნაგში, ნახავდით, რომ კითხულობდა, წერდა, ჭრიდა ან აწებებდა რაღაც ქაღალდებს.

განყოფილების მუშაკთაგან ყველა დიდის პატივისცემით ეპყრობოდა, მაგრამ ენაგესლიანებს მაინც რა გააჩერებდათ! ისინი ჩუმჩუმად ქილიკაობდნენ და ბიბლიოთეკის, წიგნის ან ქაღალდის ვირთხას ეძახდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ისე კი ჩვენი ილიას თქმისა არ იყოს: „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“. ამიტომ „არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა...“

რაკი ბრეიმანი სულ „წიგნებიდან იყურებოდა“, ჩუმად „წიგნის ვირთხასაც“ ეძახდნენ და თან ასეთ ძველებურ იგავს ყვებოდნენ...

...საღამოობით ვირთხები იკრიბებოდნენ თურმე სოროში და ერთმანეთს უამბობდნენ, რა მოინადირეს და მიირთვეს დღის განმავლობაში. ერთი ერთს იტყოდა, მეორე — მეორეს. ზოგი კმაყოფილი იყო, ზოგიც — უკმაყოფილო. ბოლოს, წრუწუნასაც ჰკითხეს:

— წრუწუნ, აბა, მოყევი, შენ რა მიირთვი დღეს?

— ვეფხვი გეახელით, ბატონო! — მიუგო წრუწუნამ და ულვაშზე ხელი გადაისვა. ვირთხებმა თვალები დაჭყიტეს და ერთმანეთს გადახედეს. მეორე დღეს იგივე ჰკითხეს წრუწუნას, დღეს რა მიირთვითო.

— დღეს ლომი, ჩემო ბატონო! — უპასუხა მან.

მერეც ასე გაგრძელდა. წრუწუნამ ხან სპილო გეახელითო თქვა, ხან — ბეჰემოტი, ერთხელ ჟირაფიც მიაყოლა. გაოცებული ვირთხები დაინტერესდნენ:

— ბატონო წრუწუნ, გვითხარით, როგორი გემო აქვს ლომებსა და ვეფხვებს ან სპილოებსა და ბეჰემოტებს?

— რა ვიცი, ჩემო ბატონო, — მიუგო წრუწუნამ უკმაყოფილოდ,—ასე ადვილად ვერც ვარჩევ, რატომღაც ყველას ერთნაირი გემო აქვს... ქაღალდისა!..

თურმე წიგნებში დახატულ სურათებს მიირთმევდა და ქაღალდის გემოს მეტს რას გაიგებდა!

როგორც ჩანს, ჩვენი კეთილი ბრეიმანიც ქაღალდების მიხედვით აღიქვამდა ომის მიმდინარეობას. დროის რიტმიდან ის, დიდი ხანია, რაც ამოვარდნილი იყო. ვერც არჩევდა, დღე იყო, თუ ღამე. როცა ერთი-ორი საათით წაიძინებდა, ეს მისთვის ღამე იყო, სულაც შუადღე რომ ყოფილიყო; დანარჩენი კი — დღე. იჯდა თავისთვის და ლამფის მბჟუტავ სინათლეზე კითხულობდა სხვის წერილებს ან თვლემდა ფიქრებში წასული.

იმ წერილებში კი მართლაც სარკესავით ჩანდა გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების განწყობილება ომის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე. ჯერ თავხედური ტონი ჰქონდათ. მოდიოდნენ და მოიმღეროდნენ, ტრაბახობდნენ, დიდგულობდნენ. ორიოდე კვირის შემდეგ შინ გამარჯვებული დაბრუნდებითო, ჰპირდებოდნენ თავიანთ ნათესავებსა და ნაცნობებს.

— შემდეგ წერილს ურალიდან მოგწერთ, — იტყობინებოდა გადიდგულებული ფრიცი კიევიდან.

— ელოდეთ ამანათს ციმბირიდან! — კიდევ უფრო შორს მიიწევდა მადაგახსნილი ჰანსი.

მაშინ გერმანიიდანაც ასეთივე წერილებს იღებდნენ: მიდით, დასცხეთ, დაჰკარით! თქვენით ამაყობსო დიდი გერმანია და სხვა ასეთი. ჰიტლერის „უძლეველი რაინდებიც“ სულ „ოი, ლა... ლა... ლას“ სიმღერით მოიწევდნენ აღმოსავლეთისაკენ. მაგრამ მერე, როცა ჩვენებმა მოსკოვთან და სტალინგრადთან მუხლები ჩააკეცინეს, შეიცვალა მათი წერილების ტონიც, ძველებური პათოსი ნელ-ნელა გაქრა. კადნიერმა ტონმა ადგილი დაუთმო შეშფოთების ნოტებს:

„რატომ შეჩერდით?“, „რა მოხდა?“, „ნუთუ?!..“—მოისმოდა გერმანიიდან.

„საშინელი ბრძოლებია“, „ჩვენ უკან ვიხევთ“..., „ძლივს გადავრჩით!...“—უპასუხებდნენ მათ ფრონტიდან.

განწყობილებაც შეიცვალა. ფრიცებმა ლამფას დაუწიეს. „ოი, ლა... ლა... ლას“ მაგივრად ახლა წერდნენ: „თუ ცოცხალი გადავრჩი...“, „თუ როდისმე ისევ მეღირსა თქვენი ნახვა...“, „მე უკვე იმედი დავკარგე“... და ა. შ.

შემდეგ შეშფოთება პანიკურ შიშსა და ისტერიაში გადავიდა... ბრეიმანთან მოჰქონდათ ათასობით ტალახში თუ სისხლში ამოსვრილი წერილები, ფოტოები... მის მაგიდაზე ყოველთვის გორები ეწყო ამ ამაზრზენი დოკუმენტებისა! ბრეიმანი დღედაღამ წელგაუშლელი მუშაობდა და არჩევდა ამ წერილებს. მის გვერდით განუწყვეტლივ შიშინებდა ჩაიდანი. ის ჯერ ცხელ წყალს დაასხამდა ლამბაქზე, რაღაც ნაჭერს დაასველებდა, ფრთხილად გაწურავდა და ნელ-ნელა წმენდდა წერილებს სისხლისა და ტალახისაგან. მერე ლამფის სიმხურვალეზე გაამრობდა და კითხულობდა: „ბედმა თუ გამიღიმა და შინ ცოცხალი დავბრუნდი...“

...ისინი კი უკან არ ბრუნდებოდნენ... იყინებოდნენ, იხოცებოდნენ ან ხელებაწეულნი ნებდებოდნენ ტყვედ. ასეთ დროს მათ შორის მუშაობას მეტი ეშხი ეძლეოდა. საჭირო იყო

გერმანელ ჯარისკაცებს სცოდნოდათ, თუ რა კატასტროფულ მდგომარეობაში იყო მათი არმია ჩავარდნილი, რომ დარწმუნებულიყვნენ წინააღმდეგობის გაწევის უაზრობაში, რასაც ასევე უაზრო მსხვერპლის მეტი არაფერი მოჰყვებოდა.

ყველაზე საინტერესო სამუშაოებს ამ მხრივ ე. წ. „ოპერატიული ჯგუფები“ ასრულებდნენ. მათი საქმიანობა მართლაც ცეცხლთან თამაშსა ჰგავდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა პირველ სადესანტო ჯგუფებთან ერთად მიდიოდნენ ტყვეების ადგილობრივ დასაკითხავად და დოკუმენტების გასარჩევად, ან მტრის ზურგში ასრულებდნენ რამე დავალებას. არც ფრონტისპირა ხაზზე ჩასატარებელი მუშაობა იყო ადვილი. ასეთი რამ კი ძალიან ფართო მასშტაბით ეწყობოდა. ჩვენი ოფიცრები და მებრძოლები საამისო „საომარი ტექნიკითაც“ იყვნენ შეიარაღებული, უბრალო რუპორებით დაწყებული და ე. წ. „მფრინავი ფილარმონიით“ დამთავრებული. რუპორისტები მოწინავე ხაზის ყველა ნაწილში იყვნენ. ისინი ღამღამობით 30—50 მეტრის სიახლოვეზე მიდიოდნენ მტრის პოზიციებამდე და გადასცემდნენ „უკანასკნელ ცნობებს“. გერმანულის ამდენი მცოდნე სად იყო, მაგრამ ამისათვის წინასწარ ამზადებდნენ მარტივ ტექსტებს, რაც რუსული ასოებით იწერებოდა და მებრძოლები ადვილად სწავლობდნენ. ვისაც ასეთი ცნობების გადაცემა არ შეეძლო, მოკლე მოწოდებებს ვაძლევდით. მაგალითად, ასეთებს: „წინააღმდეგობა უაზროა“, „თქვენ ალყაშემორტყმული ხართ“, „დაგვნებდით ტყვედ“, „გაუფრთხილდით თქვენს სიცოცხლეს“ და სხვ. თუ რამეს „წმინდა რუსულს“ დაუმატებდა თავის მხრივ რუპორისტი, ეს ანგარიშში არ შედიოდა.

მათი ყოველი გასვლა მოწინავე პოზიციაზე მძიმე საბრძოლო დავალებას უდრიდა. ადვილი ხომ არ არის, ასე ახლოს მიხვიდე მტრის სანგრებთან და ისიც არა ფარულად, არამედ რუპორების ძახილით გაამჟღავნო შენი ადგილსამყოფელი.

კორპუსებსა და დივიზიებში ჰქონდათ აგრეთვე ხმის გამაძლიერებელი სტაციონარული დანადგარები. ასეთი დანადგარის მოძრავ რეპროდუქტორებს 50—100 მეტრით წასწევდ-

ნენ წინ და სადმე ამაღლებულ ადგილას დაამაგრებდნენ. დიქტორი კი სანგრებიდან აწარმოებდა გადაცემას მიკროფონის საშუალებით. ეს არანაკლებ სახიფათო იყო, რადგან „ლექციები“ დღისითაც ტარდებოდა.

მეც ბევრჯერ მიმიღია ასეთ გადაცემებში მონაწილეობა და ვიცი, რა ხილიცაა! ბევრი დაიღუპა დავალების შესრულების დროს, ბევრიც ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან სახიფათო საქმე იყო, მოხალისეები ყოველთვის ბევრი გვყავდა. ზოგჯერ ერთმანეთს გლეჯდნენ ხელიდან რუპორს, რომ „ოფიციალური“ ტექსტის გადაცემის შემდეგ „ტკბილი სიტყვაც“ შეეთვალათ ფრიცებისათვის. ეს ყველას ეხალისებოდა და კონტროლის გაწევაც ძნელი იყო. ამიტომ გადაცემები ხშირად კეთილგანწყობილი მოწოდებებით იწყებოდა და „ფრიც, შენი ასე და ისეთი“ მთავრდებოდა. არც უფროსები უშლიდნენ ამას. ამბობდნენ: გაუშვი, გული მოიფხანონო. ჯარისკაცები კი გულზე უფრო ენას იფხანდნენ და, რადგან გადაცემები მეტწილად ღამით მიმდინარეობდა, ძილს უფრთხობდნენ გერმანელებს.

ერთხელ რომელიღაც დივიზიაში ნაშუაღამევამდე შეუჩნდნენ თურმე ჩვენები რუპორებით. მერე იქიდანაც მოისმა რაღაც სახელდახელოდ გაკეთებული რუპორის ხმა:

— რუს, დავაი შპატ!..

ამითაც რომ ვერ გააჩერეს ჩვენები, სროლა აუტეხეს.

მოძრავი რეპროდუქტორებიანი დანადგარებით უფრო სერიოზულ გადაცემებს აწარმოებდნენ, ანუ, როგორც ფრონტის ხაზზე ამბობდნენ, „ლექციებს უკითხავდნენ ფრიცებს“.

მფრინავი ფილარმონია...

ასეთი „ლექციები“ თითქმის ყოველ საღამოს ტარდებოდა. მოწინავე ხაზზე საამისოდ იყენებდნენ სპეციალურ ავტომანქანებს, ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობით. რაკი ამ მანქანის შემოკლებული სახელწოდება МГУ (Мощно Говорящая Установка) მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასეთსავე სახელწოდებას ემთხვეოდა, ფრონტზე მას „ფრიცების უნივერსიტეტი“ შეარქვეს.

ეს იყო ჩვეულებრივი საბარგო მანქანა, რომელსაც ფანერის ძარა და თუნუქის სახურავი ჰქონდა. ძარაზე ოთხი მძლავრი რეპროდუქტორი იყო დამაგრებული. მათი ხმა ორ-სამ კილომეტრს სწვდებოდა. ამ მანქანაზე მუშაობა ეკიპაჟის განსაკუთრებულ გმირობას მოითხოვდა, რადგან გადაცემები დღისითაც ეწყობოდა და ღამითაც. „ემგეუ“ მოწინაღმდეგის ცხვირწინ მოქმედებდა და ხშირად ტყვიებით დაცხრილული ან ნაღმებით ფერდშელეწილი ბრუნდებოდა ნაწილში.

წარმოიდგინეთ ბრძოლის ველი, სადაც მებრძოლები საბგრებითა და ბლინდაჟებით არიან დაცული, მძიმე იარაღები ტყის პირებსა და ბუჩქნარებშია ჩამალული. ეს მანქანა კი მიდის პირდაპირ შოსეზე. არავითარი დაცვა, არც ჯავშანი, მხოლოდ ფანერა და თუნუქი! თან ნახევარი ან, სულ დიდი, ერთი კილომეტრის მანძილზე უახლოვდება მტრის პოზიციას, შებრუნდება ზურგით მოწინააღმდეგისაკენ და იწყებს გადაცემებს. ტანკს ჯავშანი აქვს, ადვილად შეუძლია მანევრირება, მტრის პოზიციაზე ფარული გასვლა. იგი არ ეძებს კარგ გზებს, პირიქით, ოღრო-ჩოღრო ადგილებით უფრო ადვილად უახლოვდება მოწინააღმდეგეს. „ფრიცების უნივერსიტეტს“ კი არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნია. ის მხოლოდ კარგ გზებზე დადის, ვერსად გადაუხვევს, ვერც ასე ადვილად შეაფარებს რამეს თავს. თანაც კი არ ინიღბება, პირიქით, აღრიალდება და მოწინაალმდეგის ყურადღებას იქცევს. არც ის აყოვნებს, ტყვიამფრქვევს უშენს, ნაღმებითა და მსუბუქი არტილერიით ესხმის თავს, ზოგჯერ თვითმფრინავებსაც კი გზავნის მის ჩასაჩუმებლად...

...გადაცემები აქაც მუსიკით იწყებოდა, შემდეგ ინფორმაციებსა და მოწოდებებს კითხულობდნენ, ბოლოს, თუ სიწყნარე იქნებოდა, ისევ მუსიკას გადასცემდნენ, ხოლო თუ ძლიერი სროლა ატყდებოდა, ეკიპაჟის უფროსი გასცემდა განკარგულებას, აბა, ბიჭებო, მოუსვითო, და „ფრიცების უნივერსიტეტი“ ტოვებდა „საბრძოლო პოზიციას“.

ფრონტზე მებრძოლებმა ამ მანქანას „ბორბლებიანი კუბო“ შეარქვეს. არავის არ სიამოვნებდა მისი გამოჩენა. განსა-

კუთრებით — ღამე, როცა ჯარისკაცები ისვენებდნენ, რადგან გადაცემის დაწყებისთანავე მტრის ცეცხლს იწვევდა. ზოგჯერ ნაწილების მეთაურები ეჩხუბებოდნენ კიდეც ეკიპაჟის უფროსს, ჩვენი პოზიციიდან ნუ აწყობთ გადაცემასო. საჭირო გახდა სარდლობის მხრივ მკაცრი ზომების მიღება, რომ ასეთი რამ აღკვეთილიყო. ამას თვით ეკიპაჟებმაც შეუწყვეს ხელი: როცა ისინი „ლექციების კითხვას“ მორჩებოდნენ, ერთი-ორი კილომეტრით უკან დაიხევდნენ და მთელი საათი გადასცემდნენ სიმღერებს ჩვენივე ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის. ეს ყველას მოსწონდა. შემდეგ ცნობისმოყვარეებმაც იმატეს. გადაცემა რომ დაიწყებოდა, მანქანის გარშემო ჯარისკაცები გროვდებოდნენ და თხოულობდნენ, მიკროფონთან მიგვიშვით და ჩვენ უფრო შესაფერის ლექციას წავუკითხავთ ფრიცებსო. ზოგჯერ დიქტორს უჭირდა კიდეც მათგან თავის დაცვა. მე თვითონ ვნახე, როგორ ებრძოდა ის ცნობისმოყვარე ჯარისკაცებს. ერთმა მაინც გამოსტაცა მიკროფონი და, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, ჩაჰყვირა:

— ფრიც, შენი დედა... — მერე მეორე წამოეშველა მას და კიდევ უფრო „მაღალფარდოვანი მისალმება“ გაუგზავნა გერმანელებს. ეს ხმები ჩვენი ჯარების განლაგების წინა ხაზზედაც გავრცელდა და, როგორც შემდეგ გვითხრეს, მებრძოლების საერთო აღტაცება გამოიწვია...

...უფრო გვიან ფრონტის ხაზზე ახალი და ყველაზე საინტერესო „იარაღი“ გამოჩნდა — „მფრინავი ფილარმონია“. „პო-2“-ის ტიპის თვითმფრინავზე დადგმული იყო ხმის გამაძლიერებელი აპარატურა, მიკროფონი და რეპროდუქტორები. ღამით თვითმფრინავი მტრის მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტს გადაუფრენდა, მოტორს გამორთავდა და მიკროფონს აამუშავებდა. მძლავრი რეპროდუქტორები ჯერ მუსიკას გადასცემდნენ, შემდეგ—უკანასკნელ ცნობებს. თუ გერმანელები სროლას აუტეხდნენ, მფრინავი ერთ-ორ ყუმბარას ჩამოაგდებდა, დიქტორი კი მიკროფონით აფრთხილებდა:

— ეი, ფრიც, არ ისროლო, თორემ კიდევ ჩამოვაგდებ ყუმბარას.

მერე ფრონტის ამბებს გადასცემდნენ და, თუ ფრიცები „ჭკვიანად იქნებოდნენ“, ბოლოს მუსიკას მიაყოლებდნენ, არადა — ისევ ყუმბარებსა და „მფრინავ ფურცლებს“...

...შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. გერმანელები დამარცხდნენ მოსკოვთან, სტალინგრადთან, კავკასიის მისადგომებზე და სწრაფად იხევდნენ უკან. საბჭოთა არმიის მოტომექანიზებული შენაერთები ფლანგებიდან უვლიდნენ მათ და არ აძლევდნენ ორგანიზებულად უკან დახევის საშუალებას. გაჩნდა უამრავი დიდი თუ მცირე ალყაშემორტყმული ადგილი, რომლებშიც გერმანული არმიის ნაწილები და ზოგჯერ მთელი შენაერთებიც იყვნენ მომწყვდეულნი. ოფიცრები უმალავდნენ ამას თავიანთ ჯარისკაცებს და აიძულებდნენ უაზრო წინააღმდეგობა გაეწიათ:

„უკანასკნელ ჯარისკაცამდე!“

„უკანასკნელ სისხლის წვეთამდე!“

„უკანასკნელ ამოსუნთქვამდე!“

ჰიტლერი მათ ალყის გარღვევის უფლებასაც არ აძლევდა. მეტწილად ჯარისკაცებმა არც იცოდნენ, მათ ფრონტზე რა მდგომარეობა იყო. ასეთ დროს სწორი ინფორმაციის მიწოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. განსაკუთრებით რუმინული ნაწილებისათვის. ისინი დიდი ყურადღებით ისმენდნენ ახალ ცნობებს და, თუ ოფიცრები არ აიძულებდნენ, არც ახშობდნენ გადაცემებს.

ჯარისკაცები განსაკუთრებულ ინტერესს ისეთი გადაცემებისადმი იჩენდნენ, რომლებშიც ტყვედ წამოყვანილი ოფიცრები იღებდნენ მონაწილეობას. ჯერ ამბობდნენ, ისინი მოღალატეები არიანო, მაგრამ, როცა ოფიცრების ტყვეობა გახშირდა, ჯარისკაცებიც ჩაუფიქრდნენ ამას. ჯერ გენერალ ზაიდლიცისა და ნაციონალური კომიტეტის „თავისუფალი გერმანიის“ მოწოდებებმა, ხოლო შემდეგ ფელდმარშალ პაულუსის მაგალითმაც ბევრს აუხილა თვალი. ბევრი სხვა გენერალიც დანებდა ტყვედ საბჭოთა არმიას. მათი მიმართვებიც ხელს უწყობდა განსაკუთრებით ჯიუტი ჯარისკაცების „ჭკუაზე მოყვანას“.

ასეთი მუშაობა ძალიან ოპერატიულად წარმოებდა და შედეგიც თვალსაჩინო იყო, მართალია, ყოველთვის არა, მაგრამ მაინც...

...სტანიცა კრიმსკაიასთან ჩვენმა არმიამ ხელთ იგდო დივიზიის შტაბი და ტყვედ წამოიყვანა მისი უფროსი—პოლკოვნიკი შმიდტი. თვით დივიზია ჯერ კიდევ იცავდა ამ სტანიცას დასავლეთ ნაწილს. იმავე ღამეს მე პოლკოვნიკი წავიყვანე მოწინავე ხაზზე, იქ, სადაც მისივე დივიზია იყო განლაგებული, და სწორედ იმ სახლში შევიყვანე, სადაც ადრე მათი შტაბი იდგა. საინტერესო იყო ამ პოლკოვნიკისა და იმ სახლის დიასახლისის შეხვედრა. ჯერ კიდევ გუშინ ის აქ მბრძანებლობდა, დღეს კი ორი რუსი მეავტომატისა და საბჭოთა ოფიცრების თანხლებით დაუბრუნდა იმავე ადგილებს, როგორც ტყვე. მის დანახვაზე დიასახლისმა ლოყაზე იტკიცა ხელი და ნიშნის მოგებით დაიწყო ყურება. პოლკოვნიკი ცდილობდა თვალი აერიდებინა მისთვის. მან იცოდა, რომ რამდენიმე ქუჩის იქით ჯერ კიდევ გერმანელები იყვნენ. ეტყობოდა, თავს ებრძოდა. ჩვენი დავალების შესრულებაც უნდოდა და ტყვეობის გამქღავნებისაც რცხვენოდა. ცხადია, ამას არც მისი დივიზიის მებრძოლები მოელოდნენ, რომელთაც ჩვენმა ჯარისკაცებმა რეპროდუქტორები „ზედ ყურის ძირას“ დაუკიდეს.

წყნარი მთვარიანი ღამე იყო. ციოდა. ფრონტის ხაზიდან მხოლოდ კანტიკუნტი სროლის ხმა ისმოდა. მიკროფონთან ჯერ მე მივედი და ვცადე ამეხსნა გერმანელი ჯარისკაცებისათვის, უკან დასახევი გზა არა გაქვთ და წინააღმდეგობა უაზროა-მეთქი. მაგრამ ეს არაფერი! წარმოდგენილი მაქვს, როგორ დააღებდნენ ისინი პირს, როცა გამოვუცხადე:

— მე საბჭოთა ოფიცერი ვარ და შეიძლება არც დამიჯეროთ, მაგრამ, აი, ახლა მოუსმინეთ თქვენი დივიზიის შტაბის უფროსს პოლკოვნიკ შმიდტს, ის აგიხსნით ყველაფერს!

ამის შემდეგ ქაღალდივით გათეთრებული პოლკოვნიკი მივიდა მიკროფონთან, მაგრამ ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, ისე იყო გაოგნებული. ჯერ თვალები დახუჭა და ტუჩები მოკუმა. შუბლზე ჭირის ოფლმა დაასხა, უმწეოდ დაიღმიჭა. მე-

რე თვალები ნელ-ნელა გაახილა და წყალი ითხოვა. არ აღმოგვაჩნდა, სამაგიეროდ ეკიპაჟის უფროსმა მათარით არაყი მიაწოდა, ხასიათზე მოიყვანსო. პოლკოვნიკმა ოდნავ მოსვა და დაიწყო:

— ჩემო ჯარისკაცებო! მე ყოველთვის ერთგული ვიყავი თქვენი და სამშობლოსი. მოღალატე არც ახლა ვარ! სანამდე შემეძლო, ვიბრძოლე. ახლა კი მოგმართავთ, როგორც სამხედრო ტყვე. მე ვიცი, რა მდგომარეობაა ფრონტზე. თქვენი წინააღმდეგობა უაზროა. იფიქრეთ და იმოქმედეთ! ღმერთი იყოს თქვენი შემწე!..

იმ ღამეს მხოლოდ ხუთ ჯარისკაცსა და ერთ უნტერ-ოფიცერს „შეეწია ღმერთი“, ისინი მშვიდობით გადმოვიდნენ ჩვენს მხარეს. გათამამებულმა პოლკოვნიკმა კიდევ რამდენჯერმე მიმართა სიტყვით თავის ჯარისკაცებს, მერე მის მიერ დაწერილი მოწოდებაც გავრცელდა „მფრინავი ფურცლების“ სახით...

შემდეგში ჩვენი გადაცემების რეპერტუარი კიდევ უფრო გაფართოვდა. „სოლისტებად“ სხვა გერმანელი ოფიცრებიც გამოდიოდნენ. ჯარისკაცები კი თითქმის ყოველღამ „მორიგეობდნენ“ მიკროფონთან. მათ რუპორისტებადაც ხშირად ვიყენებდით.

ერთი დიდი და ერთი პატარა...

ჩვენთან ერთად ამ საქმეზე ორი დრუჟნიკოვი მუშაობდა. ორივეს ნიკოლოზი ერქვა და ორივე ნიკოლოზის ძე იყო, თანაც—ორივე მაიორი, მაგრამ ასაკით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. უმცროსი ტანადი იყო, მარგილივით აშვერილი. ბეჭებში მოხრილი და ტლანქი. რატომღაც ყველას მრუდე თვალით გვიყურებდა, სულ სახემოღუშული დადიოდა და თითქმის არავისთან მეგობრობდა. ის კი არა, მარქენალი ხარივით გვიბღვერდა და, ვის რაზე დაგვტაკებოდა, არ იცოდა.

უფროსი კი ჩია კაცი ჩანდა, მომცრო ტანისა, მაგრამ ყოველთვის მხიარული და ყველასათვის საყვარელი იყო. უფ-

როსს, მაგრამ ტანად პატარას ზრდილობისათვის „დიდი დრუჟნიკოვი“ შევარქვით, ხოლო მაღალს, მაგრამ ასაკით უმცროსს—„პატარა დრუჟნიკოვი“. ეს როგორღაც სასაცილოდ ეღერდა, მაგრამ უფრო სამართლიანად გვეჩვენებოდა. ორივე დრუჟნიკოვს სულ გერმანელების ცხვირწინ უხდებოდა მუშაობა და მოსწონდათ კიდეც ეს სახიფათო თამაში ცეცხლთან. „დიდი დრუჟნიკოვისა“ კი ის მიკვირდა, ფრონტის მოწინავე ხაზზედაც რომ ჩვეულებრივი სათვალის მაგივრად ოქროს პენსნეს ატარებდა. კაცისათვის, რომელიც დღედაღამ ფრონტისპირა სანგრებსა და ბლინდაჟებში დაფორთხავს, ეს სრულიად შეუფერებელი „სამკაული“ იყო. ამიტომაც გვიკვირდა ყველას. ზოგი დასცინოდა კიდეც, ხუმრობით ლიტვინოვიც შეარქვეს, ვითომ საგარეო საქმეთა მინისტრიაო, სხვებმა „დიდი დრუჟნიკოვი“ დაივიწყეს და უბრალოდ „პენსნიან მაიორს“ ეძახდნენ. ის ოდნავ კეკლუცობდა კიდეც ამით. ომამდე საგარეო ვაჭრობის დარგში მუშაობდა და ამიტომაც ცდილობდა არ დაეკარგა თავისი „ინტელიგენტური იერი“. ჩვენს ყურადღებას ისიც იქცევდა, თუ რა გულმოდგინედ წმენდდა იგი თავის პენსნეს. საამისოდ ხავერდის ნაჭერიც დაჰქონდა თან. მოიძრობდა, მტვერს მოაცილებდა, მერე დაორთქლავდა, გაწმენდდა, ისევ დაორთქლავდა, გააპრიალებდა, ერთი-ორჯერ გახედავდა სინათლეზე, სადმე მტვრის ნამცეცი ხომ არ შერჩაო, და ფრთხილად დაიკოსებდა ცხვირზე. ეტყობოდა, ეს პროცესი დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, რადგან პენსნეს წმენდის პროცედურა ნახევარი საათი მაინც გრძელდებოდა. ამასობაში შეიძლებოდა შაშხანის ორჯერ მაინც დაშლა, გაწმენდა და აწყობა.

მე კი მაინც ცნობისმოყვარეობა მაწუხებდა. ვგრძნობდი, რომ ეს პენსნე დრუჟნიკოვისათვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. კარგა ხნის შემდეგ თვითონ გამიმხილა თავისი „საიდუმლო“. შეიძლება ეს დიდი არაფერი იყოს, მაგრამ მე რატომღაც დღემდე ჩამრჩა გულში.

— იცი, რა გითხრა? — თქვა მან, — ხომ უნდა გქონდეს ადამიანს ცხოვრებაში ისეთი რამ, რასაც ძალიან უფრთხილდები, რაც ყოველ წუთს გახსოვს და რისი დაკარგვაც ძალიან

გეწყინება. ეს რაღაცით ავსებს შენს ცხოვრებას და გიღვიძებს ინტერესს. ჩემთვის ასეთი რამ პენსნეა. მე მას უფრო ვუფრთხილდები, ვიდრე საკუთარ თავს. არ გეგონოთ, რომ ამას ფიგურალობისათვის ვამბობდე. არა, ნამდვილად ასეა. გამოცდილიცა მაქვს: როცა ფრონტის წინა ხაზზე მძიმე მდგომარეობაში ვვარდები, მთელი ჩემი ყურადღება და ფიქრი ამ პენსნესაკენაა მიმართული და შიშისათვის არცა მცალია. ასე დროც ადვილად გადის. მერე, ყველაფერი რომ გათავდება, მე ისევ პენსნეს გავსინჯავ, ხელს შევახებ, გავწმენდ და მიხარია... რა გიხარიაო, რომ მკითხოთ, უბრალოდ გეტყვით: ის, რომ კიდევ ვარსებობ!..

...ყოველგვარი cogito გამიგონია ჩემს ცხოვრებაში: დეკარტესი — „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ"; რომანტიკოსებისა — „მიყვარს, მაშასადამე ვარსებობ"; პოლ ვალერისა — „ვეხები, მაშასადამე ვარსებობ"; ალბერ კამიუსი — „აჯანყებული ვარ. მაშასადამე ვარსებობ"; ბერდიაევისა—„ვიტანჯები, მაშასადამე ვარსებობ"; სარტრისა—„გული მერევა, მაშასადამე ვარსებობ". მაგრამ დიდი დრუჟნიკოვის „პენსნე მაქვს, მაშასადამე ვარსებობ" მაინც ყველაზე უცნაურია მათ შორის.

ის კი ფაქტია, რომ დრუჟნიკოვმა მთელი ომის ქარცეცხლი ისე განვლო, პენსნე არ დაუკარგავს... და ცხადია, არც თავი, რადგან მისი cogito უვნებელი გადარჩა...

მერვე ბრძენი...

ოპერატიული ჯგუფების მუშაობაში ჩემ ნაცნობთაგან თითქმის ყველა ოფიცერი იღებდა მონაწილეობას, გარდა საინტენდანტო სამსახურის კაპიტან ტრაინინისა. ის კი, როგორც იტყვიან, სათოფეზე არ ეკარებოდა ამ სახიფათო „თამაშს". პატარა დრუჟნიკოვი აძალებდა, ერთხელ შენც წადი და გასინჯე, რა ხილიაო, მაგრამ ტრაინინს ამით ვერავინ გააბრიყვებდა. „ის ენამრუდი" დრუჟნიკოვი კი სძულდა ამის გამო. არც დრუჟნიკოვს ამოსდიოდა მზე ტრაინინზე, მაგრამ თავს მაინც

იკავებდა. როცა ისინი პირისპირ ხვდებოდნენ ერთმანეთს, ტრაინინი თითქოს თაფლად იღვრებოდა მის წინაშე, ენას დაიტკბილებდა, ელოლიავებოდა და ძმობას ეფიცებოდა, მაგრამ საკმარისი იყო ოდნავ მოშორებოდა „იმ თოკიდან გამოქცეულს“, რომ მაშინვე შეიცვლებოდა და იტყოდა: თავი დაანებეთ, ეგ ისეთი ვინმეა, დამწვარი ხელი რომ უჩვენო, ზედ მდულარეს დაგასხამსო.

მე ყველაზე უფრო სიარული მიყვარდა მისი. ქუჩაში რომ მიდიოდა, გიდელა თავი ყოველთვის წინ უსწრებდა ფეხებს. კისერს წაიგრძელებდა, წაიზნიქებოდა და ბიჩიქჩიქებდა მოკლე-მოკლე ნაბიჯებით. თუ უკან მოხედვა დასჭირდებოდა, ტანს ოდნავადაც არ შემოაბრუნებდა, თავს მოატრიალებდა მხოლოდ, თუნდაც 180 გრადუსით, და „პირი მისი იყო უკუნ ქცევით მუურეტელ“ ვისიმე, ვინც მოეწონებოდა.

თქვენ რომ მისთვის ასეთ პოზაში შეგეხედათ, იტყოდით, ამ კაცს თავი უკუღმა აქვს კისერზე დადგმულიო. ის „უქამოდ წარწყმედილი“ დრუჟნიკოვი კი მაშინვე დაგესლავდა:

— რას უყურებ, შე ბებერო ლაბარდანა, მაგ გოგოსო! — მაგრამ ტრაინინი ყურადღებასაც არ მიაქცევდა, თავს ისეკ შეატრიალებდა და თავისთვის ჩაილაპარაკებდა:

— იცის ხარმა თივისა!..

მეგობრები ტრაინინს „მერვე ბრძენს“ უწოდებდნენ, რადგან პირზე სულ სოლომონის სიტყვები ეკერა. რა სიტუაციაც უნდა ყოფილიყო, სულერთია, მაინც მოურგებდა სოლომონ ბრძენის რამე ქარაგმას. „წყარო ცხოვრებისა გონიერებაა“,— იტყოდა ხოლმე და, თითქოს განგებისგან შთაგონებულ საიდუმლოებას გვამცნობსო, ისე დაუმატებდა:

— გული გონიერისა მოიგებს ცნობასა, ხოლო ყური ბრძენთა ეძიებს გონიერებასა...

ტრაინინისთვის სოლომონ ბრძენის აზრები იყო „გონების სალესავი“. ამის მიხედვითვე ჰქონდა გამომუშავებული ცხოვრების „საკუთარი ფილოსოფია“, რასაც სხვა არავინ იზიარებდა, მაგრამ ეს არც აწუხებდა. პირიქით, შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, მაინც მოჰყვებოდა ქადაგებას:

—რას იზამ, ჩემო ძმაო, უნდა შეეჩვიო ყველაფერს და იცხოვრო, სანამ ეს შესაძლებელია. რაც არის, არის! ქვეყანა სარკეა: რასაც უჩვენებ, იმას გაჩვენებს. უნდა მის კანონებს მიჰყვე. რაც გსურს, თუ ის არა გაქვს, ისურვე, რაც გაქვს. ნუ ფიქრობ იმაზე, როგორია ქვეყანა. საქმე ისაა, როგორ იცხოვრო ამ ქვეყანაზე. თუ კარგად მოეწყობი, ჭკვიანი ხარ, არადა — რეგვენი. ასეა, ძმაო, ვინც აკაკუნებს, კარს იმას უღებენ. ეს შენზეა დამოკიდებული, სხვას არაფერი დააბრალო, არც უკან დაიხიო, არ გატყდე. თუ საჭირო იქნა, შვიდ კარზე დააკაკუნე, ერთს მაინც გაგიღებენ. ადამიანი შესაძლებლობაა: შეგიძლია, იცხოვრე, არადა—გაჩუმდი. ხომ ხედავ, ცხოვრება იმისია, ვისაც ძლიერი ყბები აქვს. შნო გაქვს — დაღეჭე და გადაყლაპე. ეს ქვეყანა მაინც არავის შერჩება. ის კი არა, კაცი რომ იბადება, მაშინვე კატაფალკაზე სვამენ. შენ როგორც შეგიძლია, ისე მოეწყვე, რასაც მოისურვებ, ის აკეთე, გინდ სულ იცეკვე და იხტუნავე, კატაფალკა მაინც თავისი გზით მიდის სასაფლაოსაკენ, თანაც ისე, რომ, ერთი წუთი რა არის, ერთი წამი ან თუნდაც მისი მემილიონედი, არ შეჩერდება სადმე. არც შენ გაგაჩერებს ვინმე. ის კი არა, ერთი წამითაც რომ გაიდგა ფეხი, დრო გაგკრავს მუჯლუგუნს და გეტყვის, გაიარეო... თვითონაც მიდის და მიდის... მერე იქამდე რომ მივა, გეტყვიან: აბა, ჩამობრძანდით, მოვედითო! მორჩა და გათავდა, ეს არის მთელი შენი სიცოცხლე...

თვითონ ტრაინინი დარწმუნებული იყო, რომ, რაც შეეძლო, ჭკუას არ აკლებდა და ისე ცხოვრობდა, როგორც უნდოდა. ფრანგული ანდაზა უყვარდა: ვისაც ბედი აქვს, მისი ქათმებიც იწველიანო. თუ მოინდომებდა, მართლაც „ჩიტის რძეს“ გააჩენდა; თავისთვის, რა თქმა უნდა, თორემ სხვისთვის თავს არ აიტკივებდა. ისე კი სულ წუწუნებდა, ქვეყანა რომ ნაზუქად გადაიქცეს, მე ერთი ლუკმაც არ შემხვდებაო, თუმცა არც ისე მიამიტი იყო. რასაც ხელს მიატანდა, ყველაფერი თავისთვის უნდოდა. მადა კარგი ჰქონდა, მხედველობაც, სმენა კიდევ უკეთესი, ყნოსვაც... პირს მოკუმავდა, თავს უკან გადაწევდა და ტყიდან ნადავლის საშოვნელად გამოსული დათვივით ყნოსავდა ჰაერს, რამე ხიფათში არ გავებაო. გრძნობდა კიდეც, სა-

იდან ელოდა საფრთხე, და მაშინვე დატრიალდებოდა, გველის ფხაში გაძვრებოდა და ფათერაკს აიცდენდა. სამაგიეროდ უნდა გენახათ, დაბომბვის დროს რა დღეში იყო. ატყდებოდა განგაში თუ არა, წინ ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა, სადაც იდგა, იქვე დაეცემოდა და, რაც ხელში ეჭირა, ყველაფერს თავზე წაიფარებდა. უბედურება ის იყო, თუ ამ დროს პატარა დრუჟნიკოვიც იქ აღმოჩნდებოდა:

— კაცო, ცოტა იქით მიიწი! ვერა ხედავ, ის ყუმბარა რომ პირდაპირ შენკენ მოდის? — გაუხეთქავდა გულს შიშისაგან ისედაც სულგამძვრალ ტრაინინს.

საფრთხე რომ გაივლიდა, ძლივძლივობით წამოდგებოდა, ტანისამოსს გაიბერტყავდა, წარბებს სათვალეს ზემოთ აჭიმავდა და ნაძალადევი ღიმილით იტყოდა:

— აბა, ეს იყო და!..

...ფრონტზე კვირა დღეებს ხომ არავინ თვლის უქმედ, მაგრამ ტრაინინი ამ შემთხვევაშიც გამონაკლისი იყო. თუ ვინმე მაინც დაავალებდა რამეს, ათას მიზეზს მოიკიდებდა და უარს ეტყოდა. ზოგჯერ მისი უშუალო უფროსი პაოლო აუყვირდებოდა, დააძალებდა, მაგრამ ტრაინინი დინჯად გაისწორებდა სათვალეს და პასუხად ბიბლიას მოიმარჯვებდა:

—და აკურთხა ღმერთმან დღე მეშუიდე და წმიდა ყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა...

ჩვენთან იგი უმთავრესად „დიპლომატიური ფოსტის“ გაფორმებაზე მუშაობდა. როცა მასალებს შეუგროვებდნენ, ყველაფერს „აჟურში მოიყვანდა“ და გასაგზავნად მოამზადებდა. გაგზავნა კი უკვე სხვისი კომპეტენცია იყო.

„დიპლომატიურ ფოსტაში“ უმთავრესად ტყვე გენერლების მიმართვები შედიოდა. ისინი ამ მიმართვებს თავიანთ ყოფილ ჯარისკაცებს უგზავნიდნენ და უხსნიდნენ მდგომარეობას. ასეთი წერილები მრავალ ათეულ ათას ეგზემპლარად იბეჭდებოდა და ავიაციის საშუალებით ვრცელდებოდა მოწინააღმდეგის ჯარის ნაწილებში. იყო სხვა სახის „დიპლომატიური ფოსტაც“. როცა ჩვენი სარდლობა შეიტყობდა, რომ გერმანელების

მიერ დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე რომელიმე გენერალური კომისარი ან სხვა ვინმე მსხვილი მოხელე განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდა რბევასა და სისასტიკეში, სარდლობა მას „მფრინავი ფურცლების“ საშუალებით აძლევდა გაფრთხილებას. ჩვენ ასეთ გაფრთხილებას ხუმრობით „ტრაინინის მემორანდუმებს“ ვეძახდით. ზოგჯერ ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაციაც ტარდებოდა. საბჭოთა მთავრობა იმთავითვე აფრთხილებდა გერმანელ ოკუპანტებს, შეეწყვიტათ მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა და ხოცვა-ჟლეტა. ჯერ კიდევ 1941 წლის 25 ნოემბერს ყველა იმ ქვეყნის ელჩებს, რომელთაც დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან, სპეციალური ნოტა დაეგზავნათ გერმანელ ხელისუფალთა აღმაშფოთებელი მხეცობის შესახებ სამხედრო ტყვეების მიმართ. თვენახევრის შემდეგ, 1942 წლის 6 იანვარს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა ნოტა გერმანელ ხელისუფალთა გაუგონარი სისასტიკისა და ძარცვა-გლეჯის შესახებ დაპყრობილ ტერიტორიებზე. იმავე წლის 27 აპრილს შედგენილ იქნა ასეთივე ნოტა, რომელიც აფრთხილებდა გერმანიის მთავრობასა და სარდლობას მათი პასუხისმგებლობის შესახებ. რამდენიმე თვის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის დესპანმა ფირლინგერმა და საფრანგეთის ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელმა გარომ საბჭოთა მთავრობას გადასცეს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, საბერძნეთის, ბელგიის, ლუქსემბურგის მთავრობებისა და საფრანგეთის ეროვნული კომიტეტის კოლექტიური ნოტა თხოვნით, გაეფრთხილებინათ ჰიტლერელები მათი პასუხისმგებლობის შესახებ. ამ მთავრობებმა თვითონაც მიიღეს დეკლარაცია ომის დროს გერმანელების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათათვის დამნაშავეების დასჯის შესახებ.

ამის გამო საბჭოთა მთავრობამ კიდევ ერთხელ, და ეს მერამდენედ, გააფრთხილა გერმანიის მთავრობის წევრები, რომ მათ დაეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა დროებით ოკუპირებულ ქვეყნებსა და ტერიტორიებზე ჩადენილ დანაშაულობათა გამო. ნახსენები იყო გვარებიც: ჰიტლერი, გერინ-

გი, ჰესი, გებელსი, ჰიმლერი, რიბენტრობი, როზენბერგი და სხვები.

უფრო გვიან, 1943 წელს, როცა გერმანელთა ბოროტმოქმედებებმა ფანტასტიკური ხასიათი მიიღო, ეკლესიამაც დაგმო დამნაშავენი, „რომელთა განკიცხვით შერისხვისათა არა განისწავლეს“, და მოაგონა „საშინელი სამსჯავრო ღმრთისა“.

მერე სამმა მოკავშირე სახელმწიფომ — საბჭოთა კავშირმა, ინგლისმა და ამერიკამ გამოაქვეყნეს დეკლარაცია ჰიტლერელთა პასუხისმგებლობის შესახებ იმ აღმაშფოთებელი მხეცობის გამო, რასაც ისინი სჩადიოდნენ გარეშე სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. ამ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ გერმანელები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ იტალიელ ოფიცერთა მასობრივ დახვრეტებში, ფრანგ, ნიდერლანდელ და ბელგიელ მძევალთა სიკვდილით დასჯაში, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ჟლეტაში, გაგზავნილი და გასამართლებული იქნებიან ჩადენილ დანაშაულობათა ადგილას და რომ არც ერთ მათგანს არ ასცდება პერსონალური პასუხისმგებლობა. დეკლარაციაში ნათქვამი იყო:

— დაე, იმათ, ვისი ხელებიც ჯერ კიდევ არ არის უდანაშაულოთა სისხლით შეღებილი, მიიღონ ეს მხედველობაში, რათა არ მოხვდნენ დამნაშავეთა რიცხვში, თორემ სამი მოკავშირე სახელმწიფო მოსძებნის მათ თუნდაც ცის კიდეზე და გადასცემს სასამართლოს, რათა აღასრულოს მართლმსაჯულება!

ამავე დეკლარაციით დადგინდა, რომ მთავარი სამხედრო დამნაშავეები, რომელთა ბოროტმოქმედებანი არ არის შეზღუდული ამა თუ იმ გეოგრაფიული მდებარეობით, დასჯილი იქნებიან მოკავშირე მთავრობათა საერთო გადაწყვეტილებით!

მთელი ეს მასალები, გარდა სახელმწიფოებრივი არხებისა, ფრონტზედაც ვრცელდებოდა „მფრინავი ფურცლების“ სახით.

ცოცხალი ყუმბარა...

ზოგჯერ „ადგილობრივი მნიშვნელობის“ ოპერაციებიც ტარდებოდა. საჭირო იყო ჩვენი ფრონტის წინ მოთარეშე

ჰიტლერელებისთვისაც გაგვეგზავნა სპეციალური მიმართვა და პერსონალურად გაგვეფრთხილებინა ისინი.

ასეთი მასალების მომზადება ჩვენი ფრონტისათვის ერთხელ მეც დამევალა. საამისოდ რამდენიმე დღით მოსკოვში უნდა გავფრენილიყავი. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო მაშინ. ვიცოდით, რომ ჯერ კიდევ მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოგვიხდებოდა ფრენა. სატრანსპორტო თვითმფრინავით ეს შეუძლებელი იყო, ამიტომ გადაწყვიტეს ყუმბარმშენით გაგზავნა.

ეს მოგზაურობა დაუვიწყარია ჩემთვის. არ ვიცი, რა აუცილებლობა იყო ამისი, რომ თვითმფრინავის ძარაში (отсек-ში) ჩამსვეს, იქ, სადაც ჩვეულებრივად ყუმბარებს აწყობენ. შემდეგში რამდენჯერმე წავიკითხე, სამხედროები რომ წერდნენ მოგონებებში, ყუმბარმშენის отсек-ით ვიმგზავრეთო. ეს მეც გამოვცადე. მფრინავი კი გამეხუმრა წინასწარ, ჭკვიანად იყავი, თორემ ღილის ერთი დაჭერა და წახვალ ძირს ბომბის მაგივრადო. ძალიანაც რომ მომენდომებინა, რა უჭკუობა უნდა გამომეჩინა ამ ძარაში! მეყვირა, ჩემს ხმას ვერავინ გაიგონებდა. სულიც რომ ამომხდომოდა, ისე ჩამიტანდნენ მოსკოვში, ვერც გაიგებდნენ რა მომივიდა, თუკი, საერთოდ, ჩავაღწევდით იქამდე.

დიდ სიმაღლეზე მივფრინავდით (ეს მე იმით ვიგრძენი, რომ გავითოშე). ვიცოდი, ჩვენს თვითმფრინავს ორი გამანადგურებელიც რომ მოჰყვებოდა მცველად. სამხედრო თვითმფრინავით გამგზავრება მოსკოვში, ისიც ორი გამანადგურებლის ესკორტით, რაღაც სადღესასწაულოდ ჟღერს. მაგრამ ვაი ასეთ დღესასწაულს! გზაში ერთი მხრივ სიცივემ, ხოლო მეორე მხრივ თვითმფრინავის ნჯღრევამ და იმ ძარაში აქეთ-იქით ხეთქებამ ისეთ დღეში ჩამაყენა, რომ თავმოძულებულს იმ ღილზე ხელის დაჭერა მოენატრებოდა...

...ღამით მივფრინავდით და საშინელი სიცივე იყო! ხელები და ფეხები ისე გამეფშიკა, ძლივსღა ვამოძრავებდი სახსრებში. მფრინავებს თბილი ქურქები ეცვათ, მე კი — უბრალო ფარაჯა, თანაც ნაბდის ჩექმების ნაცვლად—ტყავისი. თავზეც

ბეწვის ყურსაფარი კი არა, ჩვეულებრივი სამხედრო ქუდი მეხურა. ჯერ ის ვიგრძენი, რომ ყინვამ ყურის ბიბილოები „მომაკვნიტა“, მერე ფეხებისა და ხელების შეგრძნებაც დავკარგე, ბოლოს მომეჩვენა, თითქოს სიცივე გველივით მოცოცავდა გულისაკენ. ერთი კი ვიფიქრე, საცაა მოაღწევს და მორჩა, გაჩერდება-მეთქი, მაგრამ ამ დროს თვითმფრინავი გრიგალების ზონაში მოხვდა და მეც აქეთ-იქით დამიწყო ძარაში ხეთქება. მერე ერთხანს სულ ნაფოტივით გვისროდა თვითმფრინავიანად. ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. მართლაც! მგონი, ამან მიხსნა, თორემ სულ გავიყინებოდი. იძულებითმა მოძრაობამ სახსრები ამიმუშავა, თან ისე დავიბეჟე, რომ მთელ სხეულში ტკივილებს ვგრძნობდი. ეს კი მიხაროდა, რადგან ტკივილის შეგრძნება ასეთ დროს სიცოცხლის ნიშანია.

გარიჟრაჟისას აეროდრომზე რომ დავეშვით, იმ ძარიდან ძლივს ამომათრიეს.

— ცოცხალი ხარ? — ჩამომძახა მფრინავმა.

— მგონი, — ძლივს ვუპასუხე მე, რადგან მეტი ლაპარაკის თავი არც მქონდა.

— არ გვეგონა, ასე მაღლა თუ მოგვიხდებოდა ფრენა, თორემ უფრო თბილად გაგხვევდით, — მითხრა მან, მერე თუნუქის მათარით გათოშილობის „უებარი წამალი“ მომაყუდა და ერთბაშად გავთბი, სხეულიც თავისუფლად ამიმოძრავდა, ხმის ამოღებაც უკვე აღარ მიჭირდა. სასტუმრო „მოსკოვში“ კი სულ დავუბრუნდი ამ ქვეყანას. ფრონტის შემდეგ ეს ნამდვილი ფუფუნება იყო ჩემთვის. მეხუთე სართულზე დავბინავდი მარჯვენა ფლიგელში.

წინასწარი მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ ზოგიერთ „პაციენტთან“ შეხვედრა სადმე სხვაგან კი არა, თვით სასტუმროში მომიხდებოდა. გამიკვირდა! რა ვიცოდი, რომ ეს არათუ შესაძლებელი, საჭიროც იყო თურმე...

...ომის დროს მოსკოვში სასადილოში მიუმაგრებლად ვერავინ შევიდოდა. მე სამხედრო უწყებამ გორკის ქუჩაზე მდებარე რესტორან „ასტორიას“ მიმამაგრა. საჭირო ბარათი მომცეს თუ არა, მაშინვე იქ გავჩნდი. დარბაზი სავსე იყო გერმანული არმიის უფროსი და უმაღლესი ოფიცრობით. ზოგს

სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა, ზოგსაც—სამხედრო. ერთხანს აზრზე ვერც მოვედი. თავი უცხოეთში მეგონა. მერე ყველაფერი გაირკვა. აქ თურმე გერმანელ ემიგრანტთა და „პროგრესულად განწყობილ“ ტყვე ოფიცერთა დემოკრატიული ორგანიზაციის—„თავისუფალი გერმანიის“ ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი თანამშრომლები სადილობდნენ. რაკი მე ამ ორგანიზაციასთან მქონდა საქმე, აქვე მიმამაგრეს. ვიჯექი და ცნობისმოყვარედ ვათვალიერებდი დარბაზში მსხდომთ. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს გერმანული არმიის გენშტაბი გადმოეტანათ აქ. მართალია, გენერლებს ძველებური ამპარტავნული გამომეტყველება და მიხვრა-მოხვრა შემპარავი, თანაც მლიქვნელური მანერებით შეეცვალათ, მაგრამ თავი მაინც ღირსეულად ეჭირათ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „ტყვე გენერალი“ არცთუ ისე ღირსეულად ჟღერს, თუნდაც „ისტორიაში“.

ვიჯექი და დიდხანს ვათვალიერებდი ამ „გადემოკრატებულ“ გენერლებს. მე არავის ვიცნობდი. ისინი კი ინტერესით მომჩერებოდნენ, რადგან ერთადერთი საბჭოთა ოფიცერი ვიყავი მათ შორის. საღამომდე დიდი ხანი იყო დარჩენილი და არ მეჩქარებოდა. მაგიდები თანდათან შეივსო ახალმოსულებით. „შეიძლება?“ — იკითხავდნენ ისინი და ცარიელ ადგილს მიუსხდებოდნენ. მე მარტო ვიჯექი, მაგრამ ჩემთან არავინ მოდიოდა. მერე თავზე ვილაც დამადგა და მეუბნება:

— შეიძლება, ბატონო ოფიცერო?

— სიამოვნებით! — ვუთხარი მექანიკურად და პირი გაღებული დამრჩა: სწორედ ის პოლკოვნიკი შმიდტი იყო, კრიმსკაიაში რომ ტყვედ ჩაგვივარდა, თანაც სამოქალაქო ტანისამოსში. პოლკოვნიკმა გაიცინა და მხიარულად მომესალმა. დავსხედით. საიდან, როგორ, როდის?—გამოვკითხეთ ერთმანეთს, სტანიცა კრიმსკაიაც მოვიგონეთ. ერთხანს ასე ვიბაასეთ. მერე იგი ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას შეუდგა: თვალით ხან ერთზე მანიშნებდა, ხან — მეორეზე და მაცნობდა მათ ვინაობას: აქეთ რომ ზის, ესა და ეს გენერალია, აი, ის კი—ზაიდლიცი, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მეთაური... მე მზერას იქითკენ ვაპარებდი ხოლმე, საითაც პოლკოვნიკი მანიშნებდა...

გენერლები კი თავისთვის ისხდნენ და მადიანად შეექცეოდ-ნენ. ზოგს სადილი უკვე დაემთავრებინა და თამბაქოს აბოლებ-და, სხვები ხმადაბლა მუსაიფობდნენ. მე ვიცოდი, რომ „თავი-სუფალი გერმანიის“ პრეზიდენტი ცნობილი გერმანელი მწე-რალი ერიჰ ვაინერტი იყო, და პოლკოვნიკს ვკითხე:

— ბატონი ვაინერტი ხომ არ არის აქ?

— დიახ, როგორ არა, — მიპასუხა მან, — მეორე დარბაზ-შია, შემოსასვლელიდან მარჯვნივ, სამოქალაქონი უმთავრესად იქ სადილობენ.

მერე საათს დახედა და დაუმატა:

— გერმანელების პუნქტუალობის ამბავი მოგეხსენებათ. ოცი წუთის შემდეგ ყველანი იქ იქნებიან ოჯახის წევრები-ანად.

კიდევ ერთხანს ვილაპარაკე ჩემს ნაცნობ პოლკოვნიკთან. ხვალაც ამ დროს შემოვიელი-მეთქი, ვუთხარი და მეორე დარ-ბაზში გავედი. აქ მართლაც მხოლოდ სამოქალაქონი იყვნენ: კაცები, ქალები, ბავშვები. ნამდვილი დემოკრატები და გადე-მოკრატებული გენერლები ჯერ ისე მაინც არ იყვნენ დაახლო-ებულნი, რომ ერთ მაგიდას მისხდომოდნენ...

დარბაზს რომ ვათვალიერებ, უცებ ვიღაც წამომეპარა და თვალებზე ხელები დამაფარა. უცხოელების მეტი იქ არავინ მეგულებოდა და რას მივხვდებოდი, ვინ „შემიპყრო“ ასე უეცრად. მერე იმ უცნობმა პირდაპირ ყურში ჩამძახა:

— გამარჯობა, ხახვო! — და გადამეხვია.

პოლკოვნიკი სამოილოვი იყო, ყირიმში რომ ოთხი დღე ერთად მხოლოდ ხახვით ვიკვებებოდით.

— გაგიმარჯოს, ციბული! — ვუპასუხე მე და გულითადად მივესალმე. გერმანელებმა ერთი წუთით მიანებეს თავი „სა-ჭმლის მიღების“ წმიდათა წმიდა რიტუალს და ჩვენ მოგვა-ჩერდნენ. თავი რომ უფრო თავისუფლად გვეგრძნო, გვერდზე გავდექით და სხაპასხუპით ვუამბეთ ერთმანეთს ჩვენი თავგა-დასავალი. მერე იმ პოლკოვნიკმა ხელი დამავლო, რესტორნის დირექტორის კაბინეტში შემიყვანა და, როგორც ფრონტზე ამბობენ, „აუხსნა სიტუაცია“. ასეთი „საზეიმო შემთხვევის“ პასუხად დირექტორმა ნახევარი ლიტრა არაყი „გააჩინა“ და

ჩვენც მაშინვე „წავუტეხეთ ბოთლს თავი“. პირველი ჭიქა დავცალეთ თუ არა, პოლკოვნიკმა სიცილით თქვა:

— ეხ, ერთი თავი ხახვი დაგვაყოლებინა ახლა!

დირექტორს ეს მართლა ეგონა და თვალის დახამხამებაში გავარდა სადღაც. ჩვენ სიცილით ვიყავით გართული და ვერც შევამჩნიეთ, ისე გაგვიქრა თვალსა და ხელს შუა. ორიოდე წუთის შემდეგ კი ისევ შემოვიდა ოთახში და სუფთად დაჭრილი და საინზე კოხტად დალაგებული ხახვი მოგვაწოდა. ჩვენ იმდენს ვიცინოდით, რომ დირექტორი გაოგნებული გვიყურებდა. ალბათ, ფიქრობდა, ნეტავი რა არის აქ სასაცილოო!..

საქმეს „უცებ მოვაბით თავი“, ბოთლი დავცალეთ, დირექტორს მადლობა გადავუხადეთ და ისევ დარბაზში გამოვედით. პოლკოვნიკსაც ამ ორგანიზაციასთან ჰქონდა საქმე და ისე შინაურულად იქცეოდა, ეტყობოდა, უკვე ყველას იცნობდა. მერე მეც გამაცნო ზოგიერთი მათგანი. ჯერ—ერიჰ ვაინერტი, ჯმუხი, სახედანაოჭებული, უკვე ხანში შესული, უზარმაზარ-ფაფრიანი, შემდეგ — სხვა ცნობილი ანტიფაშისტი მწერლებიც: იოჰანეს ბეხერი, რომლის ქალიშვილი მარინა ჩვენთან მსახურობდა, ფრიდრიხ ვოლფი, ვილი ბრედელი... ისინი მაშინ დიდ მუშაობას ეწეოდნენ მოსკოვში, როგორც ნაციონალურ კომიტეტ „თავისუფალი გერმანიის“ წევრები. ეს კომიტეტი ჩვენთან განუწყვეტლივ გზავნიდა გერმანულ ჯარის ნაწილებში გასავრცელებელ საინფორმაციო მასალებს.

მე ერთხანს ვისაუბრე მათთან, მერე...

....დრომ მოატანა და წამოვედი. საღამოს შვიდ საათზე შეხვედრა მქონდა სასტუმროში. გენერალი ზაიდლიცი და სხვები უნდა მოსულიყვნენ, თუ — მოეყვანათ, არ ვიცი. შესაძლებელი იყო — უფრო მაღალი ჩინის მქონე პირიც! მე ეს უფრო მაინტერესებდა და სამზადისს შევუდექი. მეხუთე სართულის დერეფანში რომ შევუხვიე, ერთ-ერთი ნომრის ღია კარებიდან ქართული ლაპარაკი მომესმა. ძალაუნებურად შევჩერდი და ყური მივუგდე. ქართველები იყვნენ. თითქოს მათი ხმაც მეცნაურა. ძალიან მომინდა თანამემამულეებთან შეხვედრა, თუნდაც უცნობებთან. გავბედე და დავაკაკუნე. ირაკლი აბაშიძე

გამოვიდა. ეს ნამდვილი სიურპრიზი იყო ჩემთვის. ერთმანეთს კარგად ვიცნობდით უნივერსიტეტიდან. ნომერში რომ შევედით, ახალი სიურპრიზი დამხვდა: შალვა დადიანი! მანამდე პირადად არ ვიცნობდი მას და ეს შეხვედრა დიდად სასიამოვნო იყო ჩემთვის. მასპინძლებმა ცნობისმოყვარეობა გამოიჩინეს, რაღაცეები გამომკითხეს. მე ვუამბე, რისთვის ვიყავი მოსკოვს ჩამოსული, და დაინტერესდნენ. ერთხანს ვისაუბრეთ, მერე ჩემს ნომერში წავედი და დაველოდე „საპატიო სტუმრებს“...

მკვდრეების მოგზაურობა...

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც დაგეგმილი იყო. ვისთანაც შესახვედრი ვიყავი, შევხვდი კიდეც. საჭირო მასალებიც მივიღე და მეორე დღეს კრასნოგორსკის ბანაკში უნდა წავსულიყავი, სადაც სტალინგრადში დატყვევებული სხვა გენერლები იყვნენ მოთავსებული, მაგრამ სამოილოვმა „ნაციონალურ კომიტეტში“ წამიყვანა და მისი ხელმძღვანელები გამაცნო. წინასწარ შეთანხმებულიც ყოფილა, რომ მე უკრაინის ფრონტებზე მყოფი გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობის შესახებ გავაკეთებდი მოხსენებას ჩემ ხელთ არსებული დოკუმენტური მასალების მიხედვით. ასეთი საინფორმაციო მოხსენება მე ყოველთვის მზად მქონდა და მისი წაკითხვა არც არავითარ სიძნელეს წარმოადგენდა, მაგრამ აუდიტორია რომ გამაცნეს, დავიბენი. ნაციონალური კომიტეტის ხელმძღვანელების—ვაინერტის, ბეხერის, ზაიდლიცის, ბრედელის, ვოლფისა და სხვების გარდა აქ იყვნენ გერმანიის მუშათა კლასის მეთაურები ვილჰელმ პიკი და ვალტერ ულბრიჰტი. გერმანელების წინაშე გერმანულ ენაზე მოხსენების გაკეთება ზედმეტ კადნიერებადაც მეჩვენა, მაგრამ შემაგულიანეს და იძულებული გავხდი დავთანხმებულიყავი, მით უმეტეს, რომ აუდიტორიის თითქმის ნახევარმა რუსული ენა არ იცოდა.

ჩემი მოხსენების ძირითად აზრს ის შეადგენდა, რომ გერმანელ ჯარისკაცებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა, ხო-

ლო ოფიცრობის თითქმის მთელი შემადგენლობა ჯერ კიდევ დარწმუნებული იყო გამარჯვებაში.

მოხსენების შემდეგ უამრავი შეკითხვა მომცეს. მეც ვუპასუხებდი, რაც შემეძლო, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ პიკმა და ულბრიჰტმა ყოველივე ეს ჩემზე უკეთ იცოდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც დიდ ინტერესს იჩენდნენ, კითხვებსაც იძლეოდნენ, თვითონაც მსჯელობდნენ, ახალ-ახალი მაგალითები მოჰქონდათ და, საერთოდ, ტონს აძლევდნენ საქმის ვითარებას. მე ერთი სული მქონდა, როდის გათავდებოდა ყოველივე ეს. მეშინოდა, ვაითუ მათთვის არასაინტერესო ამბებს ვყვები-მეთქი, მაგრამ, როგორც გამოირკვა, თურმე ჩემდაუნებურად „სიტუაციაში ჩავვარდი". ნაციონალურ კომიტეტს გერმანელ ტყვე ოფიცერთა კავშირის დაარსება გადაეწყვიტა და მის ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ დავა ჰქონდათ ერთმანეთთან ცალკეულ საკითხებზე. როგორც შევატყვე, ვაინერტი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა ამ საქმისადმი, არა სჯეროდა, რომ გერმანელი ოფიცრების თავზე „სახარების კითხვა" რამე შედეგს გამოიღებდა. მოსამზადებელი მუშაობა კი მაინც წარმოებდა, განსაკუთრებით, კრასნოგორსკის ტყვეთა ბანაკში. იქ უკვე იმდენი გენერალი და ოფიცერი იყო, რომ, ცხადია, მათი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა. მეც იმ გენერლების მიმართვების და სხვა მასალების მომზადება მქონდა დავალებული. ეს რომ ვთქვი, პიკმა მაშინვე მითხრა:

— თუ სხვა გეგმა არა გაქვთ, ზეგ მე და ერიჰი მივდივართ კრასნოგორსკში. თქვენც წამოდით და იქ მოვაგვარებთ ყველაფერს.

— მეც მოვდივარ, — თქვა სამოილოვმა.

ეს სწორედ ის იყო, რაც მე მინდოდა და, ცხადია, დავეთანხმე. მეორე დღეს სამოილოვთან სამსახურში ვეცნობოდი სპეციალურ ბიულეტენებს ნაციონალური კომიტეტისა და სტალინგრადის ამბების შესახებ, განსაკუთრებით, პაულუსის დაკითხვის ტექსტებს და სხვა გენერლების „საერთო განწყობილებას"... ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ სტალინგრადის კატასტროფა უმთავრესად ჰიტლერისა და გერინგის ბრა-

ლიაო. გენერლების შეხედულებით, საქმეს მხოლოდ დროზე უკანდახევა უშველიდა, მაგრამ, რაკი ეს არ მოხერხდა, მერე ალყის გარღვევა მაინც უნდა ეცადათ. მართალია, ალყის გარღვევის ცდის დროს პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს დავკარგავდით, მაგრამ რაღაცას მაინც გადავარჩენდითო. ბევრი მათგანი პირადად პაულუსს ადანაშაულებდა: უხერხემლო აღმოჩნდა, თორემ კრიტიკულ მომენტში მეტი პასუხისმგებლობა უნდა აეღო თავის თავზეო.

პაულუსთან საუბრის შემთხვევა რომ მომეცა, მანაც დაადასტურა, დროზე უკანდახევა ან ალყის გარღვევა იყო აუცილებელიო.

— ამის შესახებ მე ჰიტლერს დეპეშა გავუგზავნე 2 ნოემბერს, — თქვა მან, — ერთი დღის შენდეგ იგივე გავიმეორე. 25 ნოემბერს კი ერთხელ კიდევ ვითხოვე ალყის გარღვევის ნებართვა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჰიტლერი მაშინ მხოლოდ კაიტელსა და იოდლს უჯერებდა, ისინი კი უმალ არმიას გაიმეტებდნენ დასაღუპავად, ვიდრე ფიურერის, როგორც მთავარსარდლის, პრესტიჟს შელახავდნენ.

პაულუსი ამბობდა, რომ 8 დეკემბრიდან 1-ლ იანვრამდე იგი თითქმის ყოველდღე გზავნიდა დეპეშებს ჰიტლერის სახელზე, მაგრამ ის გარედან დახმარებას ჰპირდებოდა და კატეგორიულად უკრძალავდა უკან დახევას, ალყის გარღვევას ან კაპიტულაციას. მერე ეს უკვე შეუძლებელი გახდა, არმია ისე დაილია, რომ სერიოზული მანევრების ჩატარება აღარც შეეძლო...

...სამხედრო მემუარებში კარგადაა აღწერილი, თუ რა კატასტროფულ მდგომარეობაში იყვნენ ალყაშემორტყმულები. საშინელი ყინვები დაიჭირა, ჯარს კი მომარაგება აკლდა, საზამთრო ტანისამოსიც არ იყო. სიცივე, შიმშილი და ავადმყოფობა მუსრს ავლებდა გერმანელთა „ცოცხალ ძალას". ჩვენი არმიები კი მათ სულ უფრო უჭერდნენ მარწუხებს. ამაო გამოდგა გერინგის ქადილი, თითქოს პაულუსის არმიას ჰაერიდან მოამარაგებდა თვით პაულუსის თქმით, საამისოდ, სულ მცირე, 850 ტონა ტვირთის გადმოსროლა იყო საჭირო ყოველდღი-

ურად. გერინგი კი ამის ნახევარსაც ვერ ახერხებდა, თუმცა ჰიტლერს არწმუნებდა, ყველაფერი რიგზე იქნებაო. როცა კატასტროფა მოახლოვდა და პაულუსის არმიის ხსნა უკვე შეუძლებელი შეიქნა, ჰიტლერს მორიგმა ისტერიამ მოუარა. მან იხმო გერინგი და პირველად მის სიცოცხლეში უყვირა: უქნარა ხარ, ზარმაცი, შენი ავიაცია კი—უსუსური, არაფრის მაქნისი, ისა სჯობია, სულ დავშალოთ და არმიათა ჯგუფებს მივამაგროთო. „რკინის ჰერმანმა“ ამას იმით უპასუხა, რომ ცრემლი გადმოღვარა, მერე გალახული ბავშვივით გამოვარდა ფიურერის კაბინეტიდან, გაიარა მისაღები და პირდაპირ ბუფეტში შევარდა. აქ ერთი ბოთლი კონიაკი გამოცალა და მაგიდაზე დამხობილმა ისევ ქვითინი მორთო. ან კი რა უნდა ექნა: არმია ისე იღუპებოდა, რომ უკვე ვერავითარი ძალა ვერ უშველიდა.

ჰიტლერს კი, როგორც ჩანს, არცთუ ისე სწორად ჰქონდა წარმოდგენილი სტალინგრადის დაცვის სტრატეგიული მნიშვნელობა. ზოგჯერ ამგვარ გულუბრყვილო მოსაზრებასაც გამოთქვამდა: რუსები ასე დაჟინებით იმიტომ იცავენ ლენინგრადსა და სტალინგრადს, რომ ეს ქალაქები მათი ბელადების სახელებს ატარებენო.

„ეს დამღუპველი იქნება მათთვის, — ინუგეშებდა თავს ჰიტლერი, — ამიტომაა, რომ მე არ მივეცი ნება ჩემი ან რომელიმე თანამებრძოლის სახელი მიეკუთვნებინათ გერმანული ქალაქებისათვის“.

ცხადია, ეს ნუგეში კი არა, თავის მოტყუება იყო. მე-6 არმია სულს ღაფავდა. ჯარისკაცები ხომ სულ კატასტროფულ მდგომარეობაში იყვნენ... ახლა მათ უფრო მკვდრებზე უხდებოდათ ზრუნვა, ვიდრე თავიანთ თავზე. გაყინული მიწა ქვასავით იყო გამაგრებული და ზოგჯერ ერთი სამარის გათხრას შიმშილისაგან მისუსტებული, გათოშილი ოთხი-ხუთი კაცი მთელი დღე უნდებოდა. მერედა რამდენი საფლავი იყო საჭირო! ლამის მთელი არმია მესაფლავეებად გადაიქცა. ეს კიდევ არაფერი! როცა გერმანული ნაწილი უკან იხევდა, ოფიცრების განკარგულებით ჯარისკაცებს მკვდრები ისევ უნდა ამოეთხარათ და თავიანთი ახალი დისლოკაციის ზონაში გადა-

ეტანათ. შემდეგ რომ კიდევ უფრო უკან იხევდნენ, ისევ თხრიდნენ გვამებს და... იყვნენ მკვდრები და ცოცხლები ასე ერთობლივ „მოგზაურობაში“.

ადვილი გასაგებია, თუ რა გავლენას მოახდენდა ეს გერმანელი ჯარისკაცების მორალურ მდგომარეობაზე. ოფიცრები მათ უმალავდნენ, თუ რა გამოუვალ მდგომარეობაში იყვნენ, ატყუებდნენ, მალე შემცვლელებს გამოგზავნიან, თქვენ კი სამშობლოში დაბრუნდებითო. ჯარისკაცებს კი არა, პაულუსმა თავის გენერლებსაც დაუმალა, საბჭოთა სარდლობისგან დანებების ულტიმატუმი რომ მიიღო. ერთხელ იგი თვითონაც გაფრინდა ჰიტლერთან, მაგრამ ისეთივე განკარგულება ჩამოიტანა:

— წინააღმდეგობა უკანასკნელ ჯარისკაცამდე!..

... 20 იანვარს პაულუსი ისევ იძულებული გახდა ჰიტლერისათვის კაპიტულაციის ნება ეთხოვა, მაგრამ ამჯერადაც უარი მიიღო, ბრძოლები კი დასასრულს უახლოვდებოდა.

— ეს ყველაზე მძიმე დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში!— თქვა მან, როცა ამის შესახებ გვიყვებოდა.

ოღონდაც! ადრე ის ბედისაგან განებივრებული ჩანდა. სამხედრო კარიერის საფეხურებიც შედარებით ადვილად აირბინა და სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის ობერკვარტირმაისტერად დაინიშნა. აქ ის ცვლიდა შტაბის უფროსს, გენერალ-პოლკოვნიკ ჰალდერს, და ასრულებდა მის სპეციალურ დავალებებს. 1941 წლის შემოდგომიდან პაულუსს დაუმორჩილეს გენერალური შტაბის ორი განყოფილება: სასწავლო და ორგანიზაციული. იგი მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმის შედგენაში, რასაც კოდური სახელი — „ბარბაროსა“ შეარქვეს...

...ჰოპენშტაუფენების დინასტიის წარმომადგენელი, ე. წ. „რომის წმინდა იმპერიის“ იმპერატორი XII საუკუნეში, ფრიდრიჰ I ბარბაროსა მრავალი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე იყო. იგი ოცნებობდა აღმოსავლეთის ტერიტორიების დაპყრობასა და სლავების შემუსვრაზე. ხანგრძლივი ბრძოლე-

ბის შემდეგ იგი ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიხრჩო მდინარე სალეფში. ამის შემდეგ გერმანიაში შეიქმნა ლეგენდა, თითქოს ფრიდრიჰ ბარბაროსამ თავი შეაფარა კიფჰაიზერის მთის გამოქვაბულს ტიურინგიაში და უცდიდა, როდის დადგებოდა დრო, რომ კვლავ ჩასდგომოდა სათავეში ტევტონელ რაინდებს და გაელაშქრა აღმოსავლეთისაკენ.

ჰიტლერის აზრით, ეს დროც დადგა. 800 წლის შემდეგ მან განკარგულება გასცა შეედგინათ აღმოსავლეთზე გალაშქრების გეგმა და იმ მითის შესაბამისად წინასწარვე „ბარბაროსა“ უწოდა მას. თქვა კიდეც, რომ დაიწყებს იქიდან, სადაც ერთ დროს ჯვაროსანი ტევტონები შეჩერდნენ.

— „ბარბაროსას“ პირველი ვარიანტი შედგენილ იქნა მე-18 არმიის შტაბის უფროსის გენერალ-მაიორ მ ა რ კ ს ი ს მიერ. — რატომღაც ხაზგასმით აღნიშნა პაულუსმა. ეს გვარი რომ ახსენა, სახეზე ღიმილი აუთამაშდა. პიკმა მაშინვე შენიშნა:

— მგონი, გსიამოვნებთ ამ გვარის ხსენება, იქნებ ეს რამე ასოციაციებს იწვევს თქვენში?

— ჩემში არავითარს, — თქვა პაულუსმა, — თვითონ გენერალი მარკსი კი ხუმრობდა ამაზე.

— რას ხუმრობდა? — ჩაეკითხა პიკი და მოიღუშა. პაულუსმა თავი უხერხულად იგრძნო, მაგრამ მაინც თქვა:

— კომუნისტ მარქსის საქმეს მე, ნაციონალ-სოციალისტი მარკსი, მოვუღებ ბოლოსო.

— თქვენ როგორ გგონიათ? — არ მოეშვა პიკი და პირდაპირ თვალებში ჩახედა.

— მე მგონია, პირიქით, მკვდარი მარქსი ძლევს ცოცხალს, — უპასუხა პაულუსმა და ისევ გაიღიმა.

— ამაში მალე დარწმუნდებით!—მიუგო პიკმა. ეტყობოდა, გაჯავრებული იყო, მაგრამ არ იმჩნევდა. მაშინ რა იცოდა, რომ ისტორია ერთხელ კიდევ გაიმეორებდა ასეთ ხუმრობას და მთავარ სამხედრო დამნაშავეთა შორის ყველაზე ოდიოზური პიროვნების შტრაიხერის დაცვას ნიურნბერგის პროცესზე დააკისრებდა ნაცისტ ვექილს, გვარად მარკსს.

ეს — სხვათა შორის.

პაულუსს რომ ამ უსიამოვნო დიალოგისათვის თავი დაეღწია, სწრაფად განაგრძო:

— გენერალური შტაბის უფროსმა ჰალდერმა შემდეგ ის გეგმა მე გადმომცა დასამუშავებლად, ჩემ შემდეგ კი გენერალი ჰოიზინგერიც მუშაობდა საბოლოო ვარიანტზე.

ამის მერე პაულუსი მოყვა, რომ მისი ხელმძღვანელობით ცოსენში ჩატარდა „ბარბაროსას“ პირველი სამხედრო ვარჯიში, ანუ „თამაშობანი“, როგორც მაშინ ამბობდნენ. პიკი უცებ გამხიარულდა:

— ასე რომ საბჭოთა კავშირთან ომი თქვენ „თამაშით“ დაიწყეთ და სტალინგრადში ხელების აწევით დაამთავრეთ არა?

პაულუსს ამაზე პასუხი არ გაუცია. პიკმა კი ჩვენ გადმოვეხედა და რაღაც საოცარი გერმანული აქცენტით გვითხრა:

— Доигралса фельдмаршал!..

მერე, თითქოს მარქსზე ხუმრობის სამაგიეროს უზღავსო, გულიანად გაიცინა და გაიმეორა:

— Да, да, доигралса!..

ᲭᲐᲢᲧᲣᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ...

პაულუსისათვის ეს დამარცხება მართლაც დიდი ტრაგედია იყო. იგი იმთავითვე საბჭოთა კავშირთან ომის მომხრედ ითვლებოდა. მისი სახელი მოიხსენიება ყველგან, სადაც კი „ბარბაროსაზეა“ ლაპარაკი. 1941 წლის სამ თებერვალს ესწრებოდა კიდეც ბერჰტესგადენში ჰიტლერის მიერ მოწვეულ თათბირს, სადაც დამტკიცდა ეს გეგმა. თათბირზე იყვნენ აგრეთვე სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი ფელდმარშალი ბრაუხიჩი, გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი გენერალი ჰოიზინგერი და სხვები, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჰიტლერის მუდმივი თანმხლებნი ასეთ და მსგავს შემთხვევებში — კაიტელი და იოდლი. თათბირისა და გეგმის დამტკიცების შემდეგ იოდლმა უთხრა თურმე გენშტაბის პოდპოლკოვნიკ ლოსბერგს:

— საბჭოთა კავშირზე შეტევის დაწყებიდან 3 კვირის შემდეგ ეს მუყაოს ხუხულა დაინგრევა!

ლოსბერგმა იოდლის ნათქვამი გადასცა პაულუსს, რომელმაც გააცხადა ეს თავის მიმართვაში საბჭოთა მთავრობისადმი.

პაულუსმა აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე იუგოსლავიაზე თავდასხმაში. 1941 წლის 27 მარტს სპეციალურ თათბირზე ჰიტლერმა თქვა:

— გადავწყვიტე მოვსპო იუგოსლავია. მე იქ გამოვიჩენ შეუბრალებელ სისასტიკეს, რათა დავაშინო სხვა ნეიტრალები!..

ყველამ იცით, რა საშინელი ტრაგედია დატრიალდა ამის შემდეგ იუგოსლავიაში. პაულუსსაც მიუძღვის წილი ამ ამბებში. სხვაგანაც. იგი სპეციალური ვიზიტით ჩავიდა ჯერ ვენაში, ხოლო შემდეგ—ბუდაპეშტში, რათა მოემზადებინა ნიადაგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში უნგრეთის ჩასაბმელად. ასეთსავე დავალებას ასრულებდნენ გერმანული სამხედრო მისიები რუმინეთსა და ფინეთში. 27 და 28 მარტს პაულუსს გამოუძახეს იმპერიის კანცელარიაში, სადაც ჰალდერმა გადასცა სამხედრო „ტრიუმვირატის“ — ჰიტლერ-კაიტელ-იოდლის გადაწყვეტილება იუგოსლავიაზე, შემდეგ საბერძნეთზე თავდასხმის შესახებ. ამით უნდოდათ „ბარბაროსას“ ოპერაციების გაშლის დროს გერმანულ არმიას მარჯვენა ფლანგი უზრუნველყოფილი ჰქონოდა.

ამის გამო საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ვადამ მაისიდან ივნისის მეორე ნახევრამდე გადაიწია. პაულუსი ამ თავდასხმის ყველა დეტალის მომზადებაში იღებდა მონაწილეობას. იგი ესწრებოდა 1941 წლის 6 ივნისის თათბირსაც, სადაც ჯარების სახეობათა სარდლები მოახსენებდნენ ჰიტლერს, კაიტელსა და იოდლს თავიანთ მზადყოფნას საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად.

— 1941 წლის 22 ივნისიდან,—თქვა პაულუსმა,—ჩვენ ავიღეთ საბჭოთა ქვეყნის განადგურებისა და მოსპობის კურსი...

...ამ „კურსის“ განსახორციელებლად ჰიტლერმა არმიათა სამი ჯგუფი შექმნა:

1. „ჩრდილოეთი“ — მთავარსარდალი ფელდმარშალი ლეგბი,

2. „ცენტრი“—მთავარსარდალი ფელდმარშალი ფონ ბოკი,

3. „სამხრეთი“ — მთავარსარდალი ფელდმარშალი რუნდშტედტი.

არმიათა სამივე ჯგუფს, რომელთა შემადგენლობაში გერმანელების 119 ქვევითი, 19 სატანკო და 14 მოტომექანიზებული დივიზიის გარდა ფინური, რუმინული და უნგრული შენაერთები შედიოდა, საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ფელდმარშალი ბრაუხიჩი. მის განკარგულებაში იყო 5 მილიონამდე ჯარისკაცი, 50 ათასზე მეტი ზარბაზანი და ნაღმსატყორცნი, 3 ათასზე მეტი ტანკი და 3 საჰაერო ფლოტი 4900 თვითმფრინავით.

უმაღლეს მთავარსარდლობას ახორციელებდა ეფრეიტორი ჰიტლერი. სამხედრო სპეციალისტები იოლ გამარჯვებას ჰპირდებოდნენ თავიანთ ფიურერსა და მთავარსარდალს. ჰიტლერმაც დაიჯერა ეს და განაცხადა, ვარსკვლავებიც მიწინასწარმეტყველებენ, რომ საბჭოთა კავშირთან ომი სულ რამდენიმე კვირას გაგრძელდებაო.

პაულუსი მაშინ გენერალურ შტაბში მუშაობდა. იგი იმთავითვე გრძნობდა, რომ „გამარჯვება აღმოსავლეთში“ არცთუ ისე იოლად მოსაპოვებელი იქნებოდა. ერთხელ გაუბედა კიდეც თავის ფიურერს და უთხრა, ზამთარში ჯარის მომარაგება გაგვიძნელდებაო. ამან ჰიტლერი ისე გააცოფა, რომ იყვირა:

— მე გაგონებაც არ მინდა ამისი! არავითარი ომი არ იქნება ზამთარში! ენდეთ ჩემს გუმანს. სულ რამდენიმე დარტყმა და თქვენ ნახავთ როგორ დაინგრევა ეს თიხისფეხებიანი კოლოსი...

...ომის პირველმა თვეებმა გვიჩვენა, რომ გერმანული არმია უფრო კარგად იყო მომზადებული, ვიდრე ჩვენი. იმ დრო-

ისათვის ჯერ კიდევ არ გვქონდა დამთავრებული არმიის რეორგანიზაცია და გადაიარაღება. სასაზღვრო რაიონებში უმთავრესად ახალწვეულები იდგნენ, რომელთაც ვერც კი მოასწრეს აეთვისებინათ თანამედროვე რთული საბრძოლო ტექნიკა. არც მეთაურთა კადრები იყო სათანადოდ მომზადებული ასეთი დიდი ომისათვის. დივიზიებს აკლდათ დაკომპლექტება, შეიარაღებაც. გერმანელებს თითქმის ორჯერ მეტი „ცოცხალი ძალა" ჰყავდათ ჩვენს საზღვრებთან. მართალია, საბრძოლო ტექნიკა ჩვენებს მეტი ჰქონდათ, მაგრამ ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით მაინც მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებოდით მოწინააღმდეგის საბრძოლო შეიარაღებას. ეს განსაკუთრებით ითქმის ავიაციის შესახებ. ჩვენი მოძველებული ტიპის თვითმფრინავები ვერც სისწრაფით შეედრებოდნენ და ვერც მანევრირებით გერმანულ „მესერშმიდტებს", „იუნკერსებს", „ჰაინკელებსა" და „ჰაინშელებს". ახალი ტიპის თვითმფრინავების „მიგ"-ების, „იაკ"-ებისა და „ილ"-ების წარმოება და ათვისება კი მხოლოდ მაშინ იწყებოდა.

ასე რომ საბჭოთა არმიის სასაზღვრო ნაწილები როგორც რაოდენობის, ისე შეიარაღების ხარისხის მხრივაც ჩამორჩებოდნენ მოწინააღმდეგეს. მშვიდობის პერიოდის მდგომარეობაში მყოფი სამხედრო ოლქები არც საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. შეიძლება ეს იმითაც აიხსნას, რომ ჩვენებს არ სურდათ ომის საბაბი მიეცათ გერმანელებისათვის. ან იქნებ არც სჯეროდათ, რომ ისინი ასე უცერემონიოდ დაარღვევდნენ თავდაუსხმელობის პაქტს. ყოველ შემთხვევაში, 1941 წლის 14 ივნისს პრესაში ოფიციალური ცნობაც გამოქვეყნდა, რომ გერმანული ჯარების კონცენტრაციას ჩვენს საზღვრებთან არა აქვს ასეთი მიზანიო...

ერთი კვირის შემდეგ კი ჰიტლერელების თავით ფეხამდე შეიარაღებული და კარგად გაწვრთნილი არმიები ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ. ამით მოულოდნელობის ფაქტორიც მათ მხარეს აღმოჩნდა. ყოველივე ამან განაპირობა გერმანელების დროებითი უპირატესობა ბრძოლის ველზე ომის პირველ თვეებში...

22 ივნისს გარიჟრაჟისას მტრის ავიაციამ დაიწყო საბჭოთა ქალაქების, რკინიგზის სადგურების, აეროდრომებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დაბომბვა. ამას მოტომექანიზებული და ქვეითი ჯარების შეტევა მოჰყვა. საბჭოთა მეომრების გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად მტერმა სწრაფად გაარღვია ჩვენი თავდაცვის ხაზები და ღრმად შემოიჭრა ქვეყნის შიგნით. „ცოცხალი ძალისა“ და საბრძოლო ტექნიკის დანაკლისი მნიშვნელოვანი იყო. ჩვენი ნაწილები იძულებული გახდნენ მძიმე თავდაცვითი ბრძოლები ეწარმოებინათ. ისინი მთელი ფრონტით იხევდნენ უკან, თუმცა საგრძნობ ზარალსაც აყენებდნენ მოწინააღმდეგეს...

... ზაფხულის განმავლობაში გერმანელებმა ჩრდილო-დასავლეთით ლენინგრადს მიაღწიეს, დასავლეთით -- მოსკოვს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით—დონის როსტოვს. მათ ნაბრძანები ჰქონდათ ალყა შემოერტყათ მოსკოვისათვის. დადგენილ იქნა ალყის საზღვრები და რადიუსები, რომელთა იქით არც ერთი გერმანელი ჯარისკაცი არ უნდა გამოსულიყო. ჰიტლერს თვალწინ ედგა ნაპოლეონის მაგალითი და ეშინოდა კუტუზოვის სტრატეგიის გამეორებისა. ამიტომ კრძალავდა მოსკოვში შესვლას და მის სრულ მოსპობას მოითხოვდა. ასევე იყო განზრახული ლენინგრადის „ლიკვიდაცია“. არმიათა ჯგუფი „სამხრეთი“ კი როსტოვის აღების შემდეგ კავკასიაში უნდა შეჭრილიყო...

მდგომარეობა მართლაც სერიოზული შეიქნა და საგანგაშო ხმებიც გაისმა. საბჭოთა ხალხი აღდგა სამშობლოს დასაცავად. განმტკიცდა თავდაცვის ღონისძიებები... ჩვენი არმიები, მართალია, ისევ თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ, მაგრამ მნიშვნელოვნად ასუსტებდნენ მტრის ძალას. რამდენიმე მიმართულებით შეჩერებულიც იქნა მათი წინსვლა. აქა-იქ კონტრიერიშებიც დაიწყო... მოსკოვთან გერმანელების ორი დიდი შეტევა ჩაიშალა... მტერი უკუგდებულ იქნა დედაქალაქიდან. ლენინგრადმა გმირულად გაუძლო ბლოკადას. „სამხრეთის“

ფრონტის წინსვლა შეწყდა დონზე. მერე საბჭოთა არმიის ე. წ. „ზამთრის კონტრშეტევები“ დაიწყო და ჰიტლერი მიხვდა, რომ საქმე კარგად არ მიდიოდა, მატყუარა ვარსკვლავებმა სწორედ არ უწინასწარმეტყველეს იოლი გამარჯვება... იმაშიც დარწმუნდა, რომ ის „კოლოსი“ თიხის კი არა, ფოლადის ფეხებზე იდგა.

პაულუსი მართალი აღმოჩნდა. საჭირო იყო ზამთრისათვის დროული მოშზადება... გერმანულ არმიას კი საზამთრო ტანისამოსიც არ ჰქონდა მომარაგებული. დრო კი თავისი გზით მიდიოდა. „გენერალ იანვარს“ „გენერალი თებერვალი“ მოჰყვა და გერმანულმა არმიამ პირველი დიდი დამარცხებანი იგემა: მოსკოვთან, ყირიმში, როსტოვში, რჟევისა და ვიაზემსკის რაიონში თუ სხვაგან...

მერე 1942 წლის ზაფხულის სტრატეგიულ-თავდაცვით ბრძოლებს ისევ ზამთრის ოპერაციები მოჰყვა... ამ ოპერაციებში პაულუსს უკვე პირადად მოუხდა მონაწილეობის მიღება. იგი დაინიშნა სარდლად მე-6 არმიისა, რომელსაც სტალინგრადის აღება ევალებოდა. ამ დროს გერმანია თავის პიროსიესებურ გამარჯვებათა ზენიტში იყო. იგი ფლობდა და განაგებდა უზარმაზარ ტერიტორიებს ნორდკამპის კონცხიდან ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებამდე და ბრეტანიდან ვოლგამდე. გერმანელებმა ამ დროისათვის უკვე მიაღწიეს ერთის მხრივ ლამანშს, ატლანტიკას, პირენეის, ადრიატიკას და თვით ხმელთაშუა ზღვის ორივე სანაპიროს, მეორეს მხრივ კი — არქტიკას, მოსკოვის, სტალინგრადისა და კავკასიის მისადგომებს, შავსა და ეგეოსის ზღვებს. მისი წყალქვეშა ნავები მოქმედებდნენ დედამიწის ყველა ოკეანეში. ეს დიდი მიღწევაც იყო და უბედურებაც. გერმანიას არ შეეძლო ათასეულ კილომეტრებზე გაჭიმული ფრონტის ერთდროული დაცვა და შემდგომი შეტევების განვითარება. მისი დაქსაქსული ძალები თანდათან სუსტდებოდა, მოკავშირეები კი სულ ახალ-ახალ ძალებს იკრებდნენ. ნოემბერში ინგლისელებმა ფელდმარშალი რომელი დაამარცხეს ელ-ალამეინთან. მერე ამერიკელებთან ერთად დესანტები გადასხეს მაროკოსა და ალჟირში. იმავე დროს დაიწყო სტალინგრადის ეპოპეა. აქ, ვოლგისა და დონის ქვე-

მოდინების უწვრილეს ყელზე, ასი ათას კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე საომარ ოპერაციებში ერთდროულად მონაწილეობდა ორ მილიონზე მეტი კაცი, დაახლოებით ორი ათასი ტანკი, ოცი ათასი ზარბაზანი და ორი ათასზე მეტი სამხედრო თვითმფრინავი. ნოემბრის შუა რიცხვებში საბჭოთა არმიამ გაარღვია გერმანელ-რუმინელთა დაცვის ხაზი სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთითა და სამხრეთით, სადაც გერმანელებთან ერთად იბრძოდნენ რუმინელები (მე-3 არმია), იტალიელები (მე-8 არმია) და უნგრელები (მე-2 არმია).

გერმანელების მარჯვენა ფლანგს რუმინეთის მე-4 არმია იცავდა. დონისა და სტალინგრადის ფრონტების ერთიანი ოპერაციით, რაც 19 ნოემბერს დაიწყო, იერიში მიტანილ იქნა როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით ორივე რუმინულ არმიაზე. ამავე დროს ოცი საბჭოთა დივიზია და რამდენიმე სატანკო და მოტომექანიზებული ბრიგადა გადავიდა შეტევაზე ვოლგასა და დონს შორის, რათა შეებოჭა გერმანელთა ძირითადი ძალების მოქმედება. მე-6 არმიის სარდლობამ მაშინვე იგრძნო, რომ ხაფანგში ხვდებოდა, თავდაცვის ზომებიც მიიღო, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. 22 ნოემბერს იგი ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. იმავე დღეს იყო, პაულუსმა დეპეშით რომ ითხოვა დებლოკაციის ნებართვა. ჰიტლერი არ დაეთანხმა მას. მერე პაულუსმა ისევ აფრინა დეპეშა როგორ მოვიქცეო. გაბრაზებულმა ჰიტლერმა გენერალ ცაიცლერს უთხრა:

— პაულუსი მეკითხება, რა უნდა ვქნაო. წარმოგიდგენიათ?! ამდენი ჯარები ჰყავს და სარდალი მე მეკითხება, რა უნდა ვქნაო!

პასუხი მაინც ასეთი იყო:

— ბრძოლა უკანასკნელ ჯარისკაცამდე!

პაულუსმა კიდევ ერთი დეპეშა გაუგზავნა ჰიტლერს... მაგრამ ვარსკვლავებმა ისევ უმტყუნეს ფიურერს და.. თქვენ უკვე იცით, რაც ამის შემდეგ მოხდა!

ეს „სამხედრო თამაშობანი“ კი არ იყო ცოსენში, არამედ ნამდვილი ომი, და პაულუსი მართლაც «Доигралса.»

ახლა კი ზის იგი უკვე დამშვიდებული, ინტერვიუებსა და მიმართვებში გართული. საშუალოზე მაღალი კაცია. გამხდარი, უკან გადავარცხნილი თმები აქვს, დიდი შუბლი. ოდნავ მოხრილი ცხვირი და ამპარტავნული გამოხედვა. კარგი საუბარი იცის, ბევრს ფიქრობს და ცოტას ლაპარაკობს. ცდილობს ყოველი სიტყვა აწონ-დაწონოს. თავიც ისე მოაქვს, თითქოს დიდად აღშფოთებული იყოს ჰიტლერის პოლიტიკით, ნამდვილად კი უფრო გერინგს, კაიტელსა და იოდლს ლანძღავს.

მე მახსოვს. ნიურნბერგის პროცესზე რომ წაიკითხეს დოკუმენტი პაულუსის ხელმოწერით, სადაც იგი ჩამოთვლის მთავარი სამხედრო დამნაშავეების—გერინგის, კაიტელისა და იოდლის მძიმე დანაშაულთ, თავის თავზე კი რამდენადმე შეკავებულად ზეობს:

— მე თვითონაც მაწევს მძიმე პასუხისმგებლობა იმისა, რომ სტალინგრადში სრულიად კეთილსინდისიერად ვასრულებდი ბრძანებებს სამხედრო ხელმძღვანელებისა, რომელნიც წინასწარი განზრახვით მოქმედებდნენ დანაშაულებრივად...

მერე პაულუსი მოწმედ გამოვიდა ნიურნბერგის პროცესზე. ის რომ ლაპარაკობდა, გერინგი, კაიტელი და იოდლი როგორღაც ამრეზილად უყურებდნენ. პაულუსი მათ მოღალატედ მიაჩნდათ. ფიცის გამტეხად. თუმცა იყო დრო, როცა თერმოპილის გმირადაც კი სახავდნენ მას...

... თერმოპილი, მოგეხსენებათ, ვიწრო ხეობაა საბერძნეთში, რომელიც თესალიას აერთებს ლოკრიდუსთან. აქ, ამ ხეობაში, ჩვენ ერამდე ერთი საუკუნით ადრე მოხდა სამხედრო ხელოვნების ისტორიაში კარგად ცნობილი შეტაკება ბერძნებსა და სპარსელებს შორის. როცა ხანგრძლივი ბრძოლებას შემდეგ ბერძნები დარწმუნდნენ, რომ მათი დამარცხება გარდუვალია, სარდალმა, მეფე ლეონიდემ, დაითხოვა ოთხი ათასი ჯარისკაცი. რის შემდეგაც ხეობას მხოლოდ სამასი სპარტანელი იცავდა. კიდევ ორი დღის განუწყვეტელი ბრძოლის მიუხედავად სპარსელებმა ვერ შეძლეს თერმოპილის ხეობის

გარღვევა და გასვლა. ისინი იძულებული გახდნენ მთის ბილიკებით შემოეევლოთ... მაგრამ არც ერთი სპარტანელი არ დანებდა მტერს. ყველანი გმირულად დაიღუპნენ ბრძოლის ველზე თავიანთი მეფის მეთაურობით. სპარსელებმა კი ოცი ათასი კაცი დაკარგეს ამ ბრძოლებში...

— კიდევ ერთი ასეთი „გამარჯვება“ და... ჩვენ დავიღუპებით! — თქვა რომელიღაც მხედართმთავარმა...

...სტალინგრადის კატასტროფის მძიმე შთაბეჭდილება რომ შეენელებინათ, გებელსის პროპაგანდამ სცადა თერმოპილის გმირების ბედი დაეკავშირებინა პაულუსისა და მისი „გრენადერების გმირულ დაღუპვასთან“. ნაცისტური პრესა აივსო „სტალინგრადელი სპარტანელების“ ხოტბით. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ფელდმარშალმა პაულუსმა და მისმა გენერლებმა თავი დადეს ბრძოლის ველზე. ამბობდნენ, სამასი სპარტანული მოსასხამიც შეუკვეთესო მკერავებს დაღუპულ გმირთა სიმბოლური დამარხვის ცერემონიალისათვის. გაზეთები აქვეყნებდნენ „თერმოპილის გმირ პაულუსის“ ბიოგრაფიას, რაც უფრო ნეკროლოგს ჰგავდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ „ამ საქმეს“ უკვე არავითარი წამალი არ დაედებოდა. ბერლინის რადიოსადგური კი მაინც დღედაღამ გაჰყვიროდა იმის შესახებ, თუ რა მამაცურად დაიღუპა ფელდმარშალი თავის ოფიცრებთან ერთად... ეს კატასტროფული მარცხიც „გერმანული სულის“ სიმტკიცის მაგალითად უნდოდათ გამოეყენებინათ, მაგრამ...

...ამბობენ, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო. არც დაიმალა და სიმართლემაც მალე იჩინა თავი. სწორედ მაშინ, როცა „სტალინგრადელ სპარტანელებს“ დიდების შარავანდით მოსავდნენ, საბჭოთა მეავტომატეების სპეციალური რაზმი მიიწევდა უნივერმაღის შენობისაკენ, რომლის სარდაფშიც პაულუსის შტაბი იმყოფებოდა. ალყაშემორტყმული არმიის ლიკვიდაცია ჩვენს ჯარებს თითქმის დამთავრებული ჰქონდათ, ეს ხელისგულის ოდენა ტერიტორია კი, რომელზედაც ერთი სახლიც ძლივს ეტეოდა, ჯერ კიდევ ფელდმარშლის განკარგულებაში იყო...

31 იანვარს, ღამით მეავტომატეებმა ალყა შემოარტყეს ამ სახლს და გადაჭრეს ტელეფონის ხაზები... პაულუსს ეს დილამდე არ გაუგია. დილით ადრე კი საბჭოთა არმიის წარმომადგენლებმა ულტიმატუმი გადასცეს დანებების შესახებ...

...ეს ამბები აღწერილი აქვს პოლკოვნიკ ვინოკუროვს, რომელიც შედიოდა ამ წარმომადგენლობაში. იგი სხვებთან ერთად გამოცხადდა პაულუსის შტაბში, სადაც იმყოფებოდნენ უძილობისაგან თვალებდაწითლებული, გაუპარსავი და ჭვარტლით გამურული გერმანელი ოფიცრები. თითქმის ყველას რაინდის ჯვარი ეკიდა კისერზე. ერთ-ერთი მათგანი წინ წამოიწია და მხედრული წესით წარმოთქვა:

— გენერალ-მაიორი როსკე!

შემდეგ საბჭოთა წარმომადგენლებს წარუდგნენ გენერალ-ლეიტენანტი შმიდტი და პოლკოვნიკი ადამი—პაულუსის ადიუტანტი.

— ჩემს ჯარებს, ესე იგი არმიის სამხრეთ დაჯგუფებაში შემავალ ნაწილებს კიდევ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა, ჩვენ გვყავს საკმაო ძალები, — თქვა როსკემ.

— თქვენი სამხრეთ დაჯგუფების შტაბი ალყაშემორტყმულია საბჭოთა ნაწილების მიერ. ყოველგვარი წინააღმდეგობა უაზროა, — მიუგო მას ვინოკუროვმა.

ისედაც გაფითრებულ როსკეს სულ წაუვიდა ფერი და ძლივს გამოსცრა კბილებიდან:

— სახლი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, დანაღმულია და ასაფეთქებლად გამზადებული!..

— არც ამას აქვს აზრი...—„დაამშვიდა“ ის ვინოკუროვმა.

ვიდრე როსკე მოლაპარაკებას აწარმოებდა, არმიის შტაბის უფროსი შმიდტი წამდაუწუმ გადიოდა ოთახიდან და ისევ ბრუნდებოდა. იგი ინფორმაციას აწვდიდა პაულუსს. ამასობაში კი როსკე ტყვედ დანებების პირობებს არკვევდა.

— გარანტირებული იქნება თუ არა ფელდმარშალ პაულუსის უშიშროება და დაუყოვნებლივ მიიყვანენ თუ არა მას დონის ფრონტის სარდალ გენერალ-პოლკოვნიკ როკოსოვსკისთან? — იკითხა როსკემ, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო.

— მიეცემა თუ არა მას უფლება გამოსცეს გამოსათხოვარი ბრძანება ჯარებისადმი?

— რა თქმა უნდა! — დაეთანხმა ისევ საბჭოთა წარმომადგენელი.

როსკე ჯერ შმიდტს მოეთათბირა, მერე კი ფელდმარშლის ოთახისკენ გაუძღვა საბჭოთა ოფიცრების ჯგუფს...

ისინი გავიდნენ მაშხალებით განათებულ დერეფანში და მიადგნენ კარებს, სადაც ორი მეავტომატე იდგა.

როსკეს ნიშანზე საბჭოთა წარმომადგენლები გაატარეს. ისინი შევიდნენ ოთახში, სადაც რკინის უბრალო საწოლზე იწვა კედლისაკენ მიბრუნებული პაულუსი. იგი ძლივძლივობით წამოდგა ფეხზე და უხალისოდ წარმოთქვა:

— ჰაილ!..

ამ შემთხვევაში „ჰიტლერ!" არ დაუმატებია. სიტუაცია არ იყო შესაფერისი. იგი ლაპარაკობდა მძიმედ, თითქოს ყელში რაღაც უჭერსო. თქვა, რომ მოლაპარაკების დეტალები მისთვის ცნობილია და კაპიტულაციის პირობების განხილვას ანდობს გენერალ-მაიორ როსკეს, თვითონ კი არავითარ კითხვაზე არ გასცემს პასუხს.

ამდენი ლაპარაკი „პირობებზე" უკვე გვიან იყო! საბჭოთა არმიის წარმომადგენლებმა მოსთხოვეს პაულუსს, შტაბის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს იარაღი ჩაებარებინათ.

პაულუსმა მხრები აიჩეჩა, მდუმარედ ამოიღო ჯიბიდან პატარა პისტოლეტი და გაუწოდა როსკეს. როსკემ იარაღი გადასცა საბჭოთა პოლკოვნიკს და დასძინა, რომ დანარჩენმა ოფიცრებმა უკვე ჩააბარეს პირადი იარაღი შტაბში.

გერმანული გაზეთები წერდნენ, თითქოს პაულუსს ყველა ჯიბეში თითო პისტოლეტი ედო და საწამლავიც ჰქონდა მომარაგებული, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება...

...პაულუსი ჯერ 64-ე არმიის სარდალ გენერალ-პოლკოვნიკ მ. შუმილოვთან მიიყვანეს. მასთან ერთად იყვნენ გენერალი შმიდტი და პოლკოვნიკი ადამი. შევიდნენ თუ არა საბჭოთა სარდლის სამუშაო ოთახში, ნაცისტური სალამი მისცეს და ერთხმად შესძახეს:

— ჰაილ ჰიტლერ!

სარდალმა ძლივს შეიკავა სიცილი და უთხრა:

— ჰიტლერი აქ არ გახლავთ. თქვენ დგეხართ 64-ე არმიის სარდლობის წინაშე და კეთილი ინებეთ მიესალმოთ მათ როგორც წესია და რიგი!

გერმანელები გაშეშებული იდგნენ. მაშინ ჩვენი ოფიცერი მივიდა მათთან და ჯერ პაულუსს მიატანინა ხელი საფეთქელთან, მერე კი სხვებსაც „ასწავლა“, თუ როგორ უნდა მისალმება საბჭოთა არმიის წესდების მიხედვით.

— წარმოადგინეთ დოკუმენტები!—მოითხოვა შუმილოვმა.

პაულუსმა ჯარისკაცის წიგნაკი გაუწოდა.

— ეს წიგნაკი ჯარისკაცისაა და მე არაფერს მეუბნება, — უთხრა გენერალმა.

— მე გერმანული არმიის ჯარისკაცი ვარ,—უპასუხა პაულუსმა.

— მეც წითელი არმიის ჯარისკაცი ვარ, მაგრამ გარკვეული თანამდებობა მიჭირავს.

პაულუსმა უგუნებოდ ამოიღო ჯიბიდან გენერალ-პოლკოვნიკის მოწმობა და გადასცა სარდალს.

— ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენ ჰიტლერმა მოგანიჭათ გენერალ-ფელდმარშლის წოდება, — უთხრა შუმილოვმა.

პაულუსის მაგივრად შმიდტი წამოდგა და გადასცა ჰიტლერის რადიოგრამა.

— მაშასადამე, მე შემიძლია მოვახსენო ჩემს მთავრობას, რომ 64-ე არმიამ ტყვედ წამოიყვანა არა გენერალ-პოლკოვნიკი, არამედ გენერალ-ფელდმარშალი პაულუსი?

— დიახ, — უპასუხა შმიდტმა.

ისე კი პაულუსი მხოლოდ ერთი დღე ატარებდა ამ წოდებას... შემდეგ „ყოფილი“ გახდა...

...ამით დამთავრდა „თერმოპილის კომედია“. „გმირულად დაღუპული ფელდმარშალი“ და მისი „გრენადერები“ „სამარცხვინო ტყვეობაში“ აღმოჩნდნენ. როცა იოდლმა მოახსენა ჰიტლერს, რუსებმა სტალინგრადში ამდენი ათასი ტყვე წაიყვანესო, ჰიტლერმა არ დაიჯერა.

— შეუძლებელია თუნდაც ერთი წაეყვანათ! — იყვირა მან,—ეს ალბათ რუმინელებია. რუსები ვერ არჩევენ, რომელია გერმანელი და რომელი — რუმინელი!

მერე გენერალმა ციცლერმა პაულუსის დატყვევების ამბავიც აცნობა და სულ გააგიჟა.

ჰიტლერს ბრაზისაგან ენა დაება.

— ამის გამართლება არ შეიძლება,—მიეხმარა ციცლერი,—თუ ნერვებმა უსუსტა, უნდა თავი მოეკლა!

ჰიტლერი ისე იყო ზარდაცემული, რომ ყვირილის თავიც აღარ ჰქონდა, და მიღონებული ხმით უთხრა თავისი უბედურების მოზიარე ციცლერს:

— თვითონ კი არ უნდა მოეკლა თავი, თორემ მისი ჯარისკაცები რას იტყოდნენ! ისა სჯობდა, საქმე რომ წაახდინა, რომაელ სარდალ ვარუსივით ეთქვა: „ახლა მეც მომკალით!"

იოდლმა, ჩვეულებისამებრ, მდგომარეობის შემსუბუქება სცადა:

— მე მაინც არა მჯერა, რომ ეს ასეა!

— იქნებ რუსები იგონებენ ამას,—მიეშველა იოდლს ავიაციის გენერალი იეშონეკი,—ისინი ისეთი ჭკვიანი ეშმაკები არიან!

— არა, — მიუგო ჰიტლერმა, — სამწუხაროა, მაგრამ მე მჯერა, რომ ის ნამდვილად ტყვეობაშია... ალბათ მოწოდებასაც დაწერს, პროკლამაციებსაც...

მერე უცებ აყვირდა:

— იყოს! ვირთხები შეჭამენ ლუბიანკაში. მე მხოლოდ ის მაგიჟებს, რომ ფელდმარშლის წოდება მივანიჭე. ომის დამთავრებამდე აწი არავის მივცემ ამ წოდებას. მე არ შემიძლია ეთვალო წიწილები, ვიდრე ისინი გამოიჩეკებიან.

მერე თავგანწირვაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ჰიტლერმა ისევ პაულუსს შეუტია:

— ასეთ დროს როგორ უნდა იფიქროს კაცმა თავის გადარჩენაზე! ერთი ოფიცერი ფრონტზე იყო ცოლთან ერთად, ის მოკლეს, ცოლმა კი წერილი მომწერა, მიხედეთ ჩემს შვილებსო, და თვითონაც მოიკლა თავი.

მერე ძველთაძველი ამბავიც გაიხსენა:

იმპერატორ კლაუდიუსის წინააღმდეგ შეთქმულების გამო პეტს სიკვდილი მიუსაჯეს და ხანჯალი მიაწოდეს თავის მოსაკლავად. პეტი შედრკა... შეშინდა... ხელები აუკანკალდა...

იქვე მდგომმა მისმა მეუღლემ არიამ, ქმარი რომ სიცხვილისაგან ეხსნა, უცებ გამოსტაცა ხანჯალი, მკერდში დაიკრა... ამოიძრო... ისევ პეტს გაუწოდა და მომაკვდავმა მიაძახა:

— შეხედე, პეტ! სულაც არ მტკივა!..

— ამას დედაკაცები აკეთებენ, ფელდმარშალი კი!..

აქ ჰიტლერს ბრაზისაგან სახე ისე დაეღრიჯა, რომ სათქმელი ვერ დაამთავრა, ზიზღით გადააფურთხა მხოლოდ და დააყოლა:

— ნაგავი!..

ამ სიტყვას მე ვამბობ, თორემ ჰიტლერმა აქ ისეთი ყურებზე თითებდასაცობი რამ თქვა, რომ ვერც გავიმეორებ...

...ბერლინში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა. რადიო განუწყვეტლივ გადასცემდა ვაგნერის „ღმერთების დასასრულს", საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა გრძელი სია გენერლებისა და პოლკოვნიკებისა, რომელთაც ტყვეობა არჩიეს თეატრალურ სიკვდილს. ცხადია, მოიხსენიეს პაულუსიც.

ამის შემდეგ ის საბჭოთა არმიის განკარგულებაში იყო, სხვა გენერლებისაგან განცალკევებით ცხოვრობდა და, საერთოდ, ლოიალურად ეკიდებოდა ყველაფერს, რასაც მისგან მოითხოვდნენ. ბოლოს და ბოლოს ის არც ისე გაუტეხელი ბეჭედი აღმოჩნდა. პიკი ესაუბრა კიდეც ოფიცერთა კავშირის ჩამოყალიბების შესახებ, რასაც პაულუსი ინტერესით შეხვდა და მგონი თავისი თანამშრომლობაც აღუთქვა.

მე ყველა მასალა მივიღე, რაც მინდოდა, დამრჩა მხოლოდ კრასნოგორსკში წასვლა...

ნიბელუნგების სისხლი...

დანიშნულ დროს „ასტორიაში" შევიკრიბეთ. სახელდახელოდ ვისაუზმეთ და რომელიღაც უცხოური მარკის მანქანაში ჩავსხედით. მე მძღოლთან დამსვეს, თვითონ უკან მოთავსდნენ. გზადაგზა მანქანის სარკეში ვაინერტის სახეს ვხედავ-

დი. იგი გაცხარებით ეკამათებოდა პიკს „ოფიცერთა კავშირის“ შესახებ. პიკი იცინოდა და თითქოს ეთანხმებოდა კიდეც, მაგრამ მაშინვე შეავატყვე, რომ მაინც თავის პოზიციაზე იდგა.

— ეჰ, ერიჰ, ერიჰ, რა კარგი პოლიტიკოსი იქნებოდი, პოეტი რომ არ იყო! — გაეხუმრა ბოლოს პიკი.

—პოლიტიკოსები რომ პოეტები არ ყოფილიყვნენ, რევოლუციასაც ვერ მოახდენდნენ,—მიუგო ვაინერტმა.

ვერც მივხვდი, რაზე დაობდნენ ისინი, ეს სიტყვები კი კარგად დამამახსოვრდა. ვაინერტი ხუმრობდა: „ოფიცერთა დემოკრატიულ კავშირს“ ისა სჯობს, „იეზუიტ გენერალთა ინტერნაციონალი“ ჩამოვაყალიბოთ, მათ შორის გერმანელების გარდა ხომ რუმინელები, უნგრელები და იტალიელებიც არიანო.

მოსკოვიდან კრასნოგორსკამდე სულ 23 კილომეტრია, მაგრამ მანქანა ისე ნელა მიდიოდა, რომ ამ მანძილის გავლას საათზე მეტი მოვუნდით. ტყვეთა ბანაკამდე რომ მივაღწიეთ, ჩვენ თვალწინ მშვენიერი პეიზაჟი გადაიშალა. კრასნოგორსკი საკურორტო ადგილია და ლამაზი ხედი აქვს. ბორცვებზე აქაიქ კოხტა აგარაკებია მიმოფანტული. წიწვიანი ხეების სიხშირე კიდევ უფრო ალამაზებს იქაურობას.

ბანაკის ხელმძღვანელობისათვის მარტო მე ვიყავი ახალი სტუმარი. პოლკოვნიკმა გააცნო ჩემი თავი, მაგრამ დოკუმენტები მაინც მომთხოვეს.

ვილჰელმ პიკი ყველას მეგობრულად მიესალმა. ვაინერტიც. ერთსაც და მეორესაც ძალიან უხდებოდათ უცხოური აქცენტით გამოთქმული რუსული სიტყვები. კომენდანტმა იკითხა, ამხანაგი ულბრიჰტი რატომ არ ჩამოვიდაო. ის თურმე ყველაზე ხშირი სტუმარი ყოფილა ამ ბანაკში. უთხრეს, ჯარისკაცების ბანაკშია წასულიო. ვაინერტი, ბეხერი და ბრედელიც ხშირად გამოდიოდნენ თურმე აქ და კითხულობდნენ „მგლების თავზე სახარებას“. „მგლები“ კი სულ ტყისაკენ იყურებოდნენ. ერთხელ მავთულხლართებს ქვეშ გვირაბიც გაიყვანეს და გაქცევა სცადეს, რომ შემდეგ თავიანთ „მგლის ბუნაგამდე“ მიეღწიათ, მაგრამ გაუგეს და უკანვე დააბრუნეს ბანაკში. მათ შორის იყო თითო-ოროლა თვინიერი გამონაკლისი, ძაგრამ ისიც, მგონი,

ისე. სიტუაციის გამო. როცა პიკი მიმართავდა მათ სიტყვით, ხედვე ეტყობოდათ, გუნებაში რასაც ფიქრობდნენ. მართალია, სტალინგრადის კატასტროფა კი გამოცადეს, მაგრამ ეს მაინც ვოლგის ნაპირას მოხდა და არა ოდერზე. მათ ჯერ კიდევ წარმატების იმედი ჰქონდათ. სტალინგრადის ამბებს კი ისევ უმაღლესი სარდლობის შეცდომებს მიაწერდნენ. უფრო ხშირად — „გენერალ ზამთარს“.

მერე იქაურ წესებსაც გავეცანი. დილისა და საღამოს შეკოწმებაზე გენერლები ცალკე ეწყობოდნენ, სხვა ოფიცრები— ცალკე. სასაცილოც იყო, „უძლეველი“ გერმანელი გენერლები რომ საბჭოთა ლეიტენანტის წინაშე იჭიმებოდნენ და მწყობრში სწორდებოდნენ. მაშინ ყველა მათგანი ატარებდა სამხედრო წოდების განმასხვავებელ ნიშნებს და ორდენებს. მარტო რუმინელი გენერალი იყო რატომღაც სამოქალაქოში. ალბათ, ასე გადაცმულს უნდოდა გაპარულიყო, მაგრამ მაინც ჩავარდა ტყვედ. კავალერიის გენერალი ბრატესკუ კი სრულ ფორმაში დადიოდა და თანაც ისე ამაყად, თითქოს ომი მოეგოს. ამ ბრატესკუს ჰკითხეს თურმე, შენი კავალერიის ცხენები სად არისო და... გერმანელმა ჯარისკაცებმა ჩლიქებიანად შესანსლესო. მართლაც ასე ყოფილა. როცა ბრატესკუს კავალერია ალყაში მოხვდა და მომარაგების მდგომარეობა გაუარესდა, მისი ცხენები ისე ნაჭერ-ნაჭერ დაუტაცნიათ ჯარისკაცებს, გერმანელებსაც და რუმინელებსაც, რომ ჩლიქები კი არა, ძვლებიც არ დაუტოვებიათ გამოუხრავი. მერე ამ „ქვეითი კავალერიის“ სხვა ოფიცრებიც ტყვედ მოხვდნენ. მე ველაპარაკე პოლკოვნიკ ვალტოპოლს. ვკითხე, „დიდი რუმინეთის“ ზონა ხომ დნესტრისა და დნეპრის მიდამოებშია და ვოლგასთან როგორ აღმოჩნდით-მეთქი.

— ჰიტლერსა და ანტონესკუს თავიანთი საზღვრები გაყოფილი არასოდეს ჰქონიათო,—მიპასუხა ქედმაღლურად.

ახლა ეს რუმინელი გენერლებიც გერმანელებთან ერთად ეფიცხებოდნენ მზეს კრასნოგორსკის ბანაკში, თუმცა შიგადაშიგ უღრენდნენ კიდეც ერთმანეთს. გერმანელები რუმინელების სისუსტეს აბრალებდნენ თავიანთი ფლანგების გაშიშვლებას. ამას განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდნენ კორპუსის

მეთაურები გენერალ-პოლკოვნიკები შტრეკერი და ჰაინცი. ამავე აზრს იზიარებდნენ გენერალ-ლეიტენანტები ფონ როდებურგი და ზეკსტ არნიმი. ფონ ლენსკი პაულუსს ლანძღავდა, ცოლი ჰყავს რუმინელი და ამიტომაც ენდობოდა ასე ბრმად იმათ სარდლებსო. ექსპანსიური იტალიელი გენერალი რინოლდი წამდაუწუმ სათვალეს ისწორებდა და რაღაცას უმტკიცებდა გენერალ-მაიორებს ფონ ლიატმანსა და მაგნოსს. გენერალ-მაიორი როსკე კი განზე იდგა და ისე ათვალიერებდა ყველაფერს.

პიკსა და ვაინერტს ჯერ რამდენიმე გენერალი შემოეხვია, მერე მათმა რიცხვმა იმატა, ბოლოს გაცხოველებული დისკუსიაც გაიმართა. პიკი რკინისებური ლოგიკით ბოქავდა გერმანელ გენერლებს, მაგრამ თავის მხრივ გენერლებიც აქტიურობდნენ, განსაკუთრებით, გენერალ-პოლკოვნიკი შტრეკერი. იგი ამტკიცებდა, გერმანული არმია არასოდეს არ წააგებს ომს, პოლიტიკოსები რომ არ აფუჭებდნენ საქმესო.

— ასე იყო იმ ომის დროსაც, ასეა ახლაც, — თქვა მან, — ჩვენ ვმარცხდებით პოლიტიკის გამო და არა სამხედრო სტრატეგიისა.

პიკი ერთხანს ელაპარაკა მას, მაგრამ ვერ გადაარწმუნა. შტრეკერმა მაინც თავისებურად თქმული სენტენცია მოარგო სიტუაციას:

— როცა ზარბაზნები გრიალებენ, პოლიტიკოსები უნდა დუმდნენ!..

ნამდვილი პრუსიული სალდაფონი იყო და ამგვარი საუბარი მასთან, მართლაც, მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავდა...

...მე კიდევ ორი დღე დავრჩი მოსკოვში, კომიტეტი „თავისუფალი გერმანია“ ისევ სტალინგრადის მასალებს ამუშავებდა. განსაკუთრებულ აქტივობას კორპუსის მეთაური, არტილერიის გენერალი ვალტერ ფონ ზაიდლიცი იჩენდა. სასიამოვნო იყო მასთან საუბარი. იგი საღად აფასებდა შექმნილ მდგომარეობას და გულწრფელად ცდილობდა თავისი მოღვაწეობით ხელი შეეწყო გერმანელი ხალხის ჰიტლერის ტირანიისაგან

გათავისუფლებისათვის. შეიძლება ის ერთადერთი გენერალიც იყო „თერმოპილელთა“ შორის, რომელმაც სწორად გაიგო თავისი სამხედრო და სამოქალაქო მოვალეობა. ძველი გერმანული არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი ვალტერ ფონ ზაიდლიცი სულით და ხორცით სამხედრო პირი და გაბედული მებრძოლი იყო. გენერალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებში. იგი დაჯილდოებული იყო „რაინდის ჯვრით მუხის ფოთოლზე“. ასეთი მაღალი ჯილდო მე-6 არმიის გენერლებს შორის სხვას არავის ჰქონია, საერთოდაც, რამდენიმე კაცი თუ იყო მაშინ ამ ორდენის კავალერი.

გერმანელ სამხედრო პირთა დაჯილდოება როგორღაც საფეხურებრივად ხდებოდა. ჯერ მეორე ხარისხის „რკინის ჯვარს“ აძლევდნენ, მერე—პირველი ხარისხისას, ამის შემდეგ მოდიოდა „რაინდის ჯვარი“, რომლის მფლობელი დიდი ღირსებითა და პატივისცემით სარგებლობდა. „რაინდის ჯვრის“ კავალერიო, რომ იტყოდნენ, ეს დიდ რამეს ნიშნავდა. მერე ეს ხარისხი კიდევ უფრო ამაღლდა, „რაინდის ჯვარს“ დაემატა ოქროს მუხის ფოთოლიც, რომელზედაც მას კიდებდნენ. დრო რომ გავიდა, ამ ორდენის ახალი და უფრო მაღალი ხარისხი მოიგონეს — მახვილები. რაინდის ჯვარს ოქროს მუხის ფოთოლზე კიდებდნენ, ხოლო მუხის ფოთოლს—ორ გადაჯვარედინებულ მახვილზე. უკანასკნელად კი ამ გადაჯვარედინებულ მახვილებს შორის ბრილიანტები ჩასვეს და მიიღეს უმაღლესი ხარისხის სამხედრო ორდენი: „რაინდის ჯვარი მუხის ფოთლით, მახვილებითა და ბრილიანტებით“. ასეთი ორდენი მთელი ომის განმავლობაში სულ რამდენიმე მფრინავს ჰქონდა მიღებული: უდეტს, მოლდერსს, გრაფს, მარსეის და კიდევ რამდენიმე კაცს...

...იმ დროს, როდესაც მე-6 არმიის ზოგიერთი ფანატიკოსი გენერალი „ტრაგედიის ეფექტურ დასასრულზე“ ფიქრობდა, ზაიდლიცის საზრუნავი ის იყო, რომ თავისი ჯარისკაცები როგორმე ალყიდან გამოეყვანა. მან საამისოდ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. მე რომ ზაიდლიცს ვესაუბრე, იმ ამბებიდან რამდენიმე კვირა იყო გასული, ის კი ისევ ისე შეძრწუნე-

ბული ჩანდა, ამბობდა, ეს ყველაზე დიდი კატასტროფა იყო იენისა და აუერშტადტის შემდეგო. ამ კატასტროფის უმთავრეს მიზეზად მას ჰიტლერი მიაჩნდა. უნდა ითქვას, რომ არც ჰიტლერი მალავდა ამას:

— სტალინგრადის ამბების პასუხისმგებლობა მარტო მე ერთს მაწევს კისერზე, — თქვა მან თათბირზე თავის მთავარ შტაბში. მერე შიშით ფერდაკარგულ გერინგს გადახედა და დაუმატა:

— რა თქმა უნდა, მე შემეძლო ამ დანაშაულის ნაწილი მაინც გადამებრალებინა გერინგისათვის, რომელმაც არასწორი ინფორმაცია მომცა არმიის ჰაერიდან მომარაგების შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ ჩემ მიერვე დანიშნულ მემკვიდრეს ხომ არ დავაკისრებ ასეთ მძიმე პასუხისმგებლობას?!

გერინგი მიხვდა ამ სიტყვების მნიშვნელობას, მაგრამ იცოდა, ხმა არ ამოეღებოდა, და ცვილივით დადნა. განრისხებულმა ჰიტლერმა კი სულ ცეცხლი ჰყარა პაულუსის მისამართით. იგი გაცოფებული ყვიროდა:

— პაულუსი მოღალატეა, მხდალი, ლაჩარი! ზიზღისა და ფურთხის ღირსი!..

ჰიტლერი მხოლოდ იმ გენერლების „სულს იხსენიებდა“ მოწიწებით, ვინც სტალინგრადთან დაიღუპა ან თავი მოიკლა. იყვნენ ასეთებიც. ერთი მათგანი იქვე მყოფ შვილს, ლეიტენანტს, დაემშვიდობა და თავისი ნებით განერიდა ამ ქვეყანას. მეორემ შაშხანა აიღო ხელში, სანგრიდან ამოვიდა და მოწინააღმდეგის ტყვიას მიუშვირა მკერდი...

...დღესაც არიან გენერლები, რომელნიც მემუარებს წერენ „სტალინგრადის კატასტროფის“ შესახებ, მაგრამ მაინც არ ეშვებიან თერმოპილის კომედიას. გენერალ-ფელდმარშალმა ერიჰ ფონ მანშტაინმა, რომელსაც ჰიტლერსა და გერინგზე ნაკლები ბრალი როდი მიუძღვის ამ „კატასტროფაში“, დაწერა უზარმაზარი წიგნი—„დაკარგული გამარჯვებები“, რომელსაც ეპიგრაფად მეფე ლეონიდეს და მისი სამასი სპარტანელის საფლავზე წარწერილი სიტყვები წარუმძღვარა:

„მოგზაურო! თუკი ოდესმე სპარტაში მოხვალ, თქვი, რომ ჩვენ დავეცით აქ ისე, როგორც მოგვიწოდებდა კანონი“.

მანშტაინი ამ ფარისეველური შედარებითაც არ კმაყოფილდება. იგი იხსენიებს თქმულებას ნიბელუნგების შესახებ, რომელნიც ასეთივე გაჭირვების დროს საკუთარ სისხლს სვამდნენ წყურვილის მოსაკლავად.

ზაიდლიცს არ იტაცებდა ამგვარი თეატრალური ჟესტები. უკანასკნელ მომენტში მან უბრძანა კორპუსის ოფიცრებს გადაეყარათ თავიანთი ნივთები და ჩამდგარიყვნენ ჯარისკაცთა რიგებში. ეს მან პირველმა გააკეთა და, როცა პაულუსისა და სხვა გენერლების თავშესაფრიდან ადიუტანტებს მძიმედ გატეხილი ჩემოდნები გამოჰქონდათ, იგი თავის ჯარისკაცებთან ერთად ხელცარიელი ნებდებოდა გამარჯვებულთა ძლიერებას...

გარდატეხა კი უფრო ადრე მოხდა. ზაიდლიცმა პირველმა თქვა უარი ჰიტლერის უგონო ბრძანებების შესრულებაზე, არც არმიის სარდლის განკარგულებებს დაემორჩილა, რითაც ბევრ ჯარისკაცს შეუნარჩუნა სიცოცხლე...

— გენერალს არა აქვს უფლება თავის პრესტიჟს შესწიროს ჯარისკაცების სიცოცხლე,—მითხრა მან საუბრის დროს. შემდეგ მოწოდებებიც დაწერა. ამ მოწოდებებს სხვა გენერლებიც შეუერთდნენ, არა ყველანი, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც...

ჟალალდის ისრები...

მოსკოვიდან ფრონტზე ისევ იმ ყუმბარმშენით ვიმგზავრე. ამჯერად საქმე უფრო გართულებული იყო. ჩემთან ერთად მოდიოდა ემიგრანტი გერმანელი მწერლის ქალიშვილი, ულრიკე, რომელიც ჩვენი ფრონტის მოქმედ არმიაში იგზავნებოდა. მშობლებს არ უნდოდათ მისი ამ თვითმფრინავით გაშვება, მით უმეტეს, ჩემი ნაამბობის შემდეგ, მაგრამ ახალბედა ენთუზიასტის სიჯიუტემ მაინც თავისი ქნა და გამატანეს. თან ბოდიში მოიხადეს შეწუხებისათვის.

თუმცა რა „შეწუხება“ იყო! ეს ისეა, „კატას თავში ძეხვი დაჰკრესო“, რომ იტყვიან.

მფრინავებმა კი ამ შემთხვევაში მეტი „ჯენტლმენობა“ გამოიჩინეს. ულრიკე როგორლაც კაბინაში მოაწყვეს, მე კი, ახლა უფრო თბილად შეფუთვნილი, ისევ იმ ყუმბარების ძარაში

ჩამდეს, თან გამეხუმრნენ: იქნებ გერჩივნა ეს ლამაზმანიც იქ ჩაგვესვა, მაგრამ ვერ მოგართვითო...

აბა, ისინი რისი „მომრთმევები“ იყვნენ! თუ რამ „მოსართმევია“, „ღმერთი“ ისედაც „მოიღებს მოწყალებას“...

...მოსკოვში შეგროვილი მასალების მიხედვით დაუყოვნებლივ შედგა „დიპლომატიური ფოსტა“, ანუ „ტრაინინის მემორანდუმები“, რაც საველე სტამბაში გაამრავლეს და „მფრინავ ფურცლებად“ გაამზადეს. პირადად მე უკრაინის რაიჰსკომისარ ერვინ კოხისადმი განკუთვნილ „მოკითხვის ბარათებს“ ვადგენდი. იგი განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდა დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

— ფიურერმა მე აქ გამომგზავნა არა იმისათვის, რომ ვინმეს ველოლიავო,—ამბობდა კოხი,—ჩემი მიზანია ამ ტერიტორიების გაწმენდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან და წმინდა სისხლის გერმანელებით დასახლება.

კოხი იმდენად იყო გაკადნიერებული, რომ იმუქრებოდა:

— უკრაინაში ერთი კაციც რომ აღმოჩნდეს ღირსი ჩემთან ერთად სუფრაზე ჯდომისა, მე იმასაც უყოყმანოდ დავხვრეტდი!

კოხი ამაყობდა კიდეც თავისი დანაშაულებრივი საქმეებით. რუზველტის მიერ შედგენილ მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიაში მე პირველი ვარო, ამბობდა.

არავინ იცის, რამდენად სწორია ეს, ფაქტი კი ისაა, რომ კოხის „დამსახურებით“ კმაყოფილმა ჰიტლერმა იგი წინასწარ შეარჩია „ქალაქ მოსკოვის კომისრად“. უკვე ინსტრუქციაც ჰქონდა მიღებული ჰიტლერისაგან კიევის შემდეგ მოსკოვის, როგორც „დასახლებული პუნქტის“, მოსპობისა. ამით გათამამებული კოხი წამდაუწუმ იმეორებდა ჰიტლერის სიტყვებს:

— მე მოვსპობ მოსკოვს და იქ, სადაც ეს ქალაქია, მოვაწყობ ნაგვის გადასაყრელ ადგილს!

თვითონ ჰიტლერს კი ამ მხრივ რამდენადმე განსხვავებული იდეა ჰქონდა. მასაც მოსკოვის „ტოტალური მოსპობა“ სურდა, მაგრამ ნაქალაქევ ადგილას „ნაგვის გადასაყრელი ადგილი“ კი არ უნდოდა მოეწყო, არამედ...

თუმცა სჯობს თვითონ მას მოვუსმინოთ:

— მოსკოვი აღგვილ უნდა იქნეს პირისაგან მიწისა, როგორც კი იქიდან გამოვზიდავთ მთელ სიმდიდრეს, — თქვა მან 1941 წლის 6 ივლისს, საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ.

იმავე წლის ივლისის დამლევს კი, როცა ელვისებური იერიში ჩაიშალა და ფელდმარშალ ბოკის არმიებმა ვერ აიღეს მოსკოვი, გაცეცხლებული ჰიტლერი ჩავიდა ქ. ბორისოვოში, სადაც არმიათა ჯგუფ „ცენტრის“ შტაბი იმყოფებოდა და ისევ იმ მსოფლიო წარღვნის იდეებით შეპყრობილმა ასეთი მითითება მისცა სარდალს:

— მოსკოვში არ უნდა შევიდეს არც ერთი გერმანელი ჯარისკაცი. არც ალყაშემორტყმული ქალაქიდან უნდა გამოვიდეს ვინმე — არც სამხედრო, არც მოქალაქე. მე მივიღებ ზომებს, რათა მოსკოვი და მისი მიდამოები წყლით იქნეს დაფარული. იქ, სადაც ახლა მოსკოვია, იქნება ტბა, რომელიც სამუდამოდ შთანთქავს რუსების დედაქალაქს.

ეს არ ყოფილა ლიტონი სიტყვები, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ჰიტლერმა განკარგულება მისცა სპეციალურ დავალებათა ოფიცერს ოტო სკორცენის ხელთ ეგდო მოსკოვ-ვოლგის არხის დამბები...

...კოხი ვერ მოესწრო ამ დღეს. გერმანელებმა მოსკოვი ვერ აიღეს. არც ის დაუნიშნავთ მოსკოვის ოლქის გენერალურ კომისრად, მაგრამ უკრაინაში მაინც ისახელა თავი! რაკი მოსკოვის მოსპობა ბედმა არ არგუნა, კიევის როგორც „დასახლებული პუნქტის“ გაუქმება განიზრახა. ჰიტლერის მითითების გარდა, ამას მრავალი დოკუმენტი ადასტურებს. ამიტომაც იყო, რომ უკრაინის გენერალური კომისარიატის რეზიდენციად მან არა კიევი, არამედ ქ. როვნო გამოაცხადა და მაშინვე შეუდგა საქმეს იმ „პრინციპების“ მიხედვით, რაც მან საჯაროდ გამოაცხადა ჯერ კიდევ კიევში წარმოთქმულ „სეფე-სიტყვაში“:

— ჩვენ ბატონთა რასა ვართ! მაშასადამე, უნდა შევიგნოთ, რომ თვით ყველაზე უბრალო გერმანელი მუშა როგორც

რასიული, ისე ბიოლოგიური თვალსაზრისით ათასჯერ უფრო ძვირფასია, ვიდრე აქაური მოსახლეობა. მე უკანასკნელ წვეთსაც კი გამოვწოვ ამ ხალხს. აბა, იმისთვის კი არ მოვსულვარ აქ, რომ მოწყალება ვარიგო...

ამ „მისიას“ კოხი ისეთი ველური სისასტიკით ასრულებდა, რომ თვით ფიურერის რამდენიმე მადლობაც კი დაიმსახურა, როგორც „ყველაზე მტკიცე ნაციონალ-სოციალისტმა“. მართალია, ზოგიერთი გენერალი კი ბუზღუნებდა, კოხმა მთელი უკრაინა პარტიზანებად აქციაო, მაგრამ აშკარად არავის განუცხადებია ამაზე პროტესტი. მისმა უშუალო უფროსმა როზენბერგმა კიდევაც უჩივლა ერთხელ ჰიტლერთან: კოხმა თუ ასე განაგრძო, ჩქარა უკრაინაში ერთი კაციც არ დარჩება შრომის უნარის მქონეო. მაგრამ ჰიტლერმა ეს საჩივარი ჰიმლერს გადაუგზავნა, ჰიმლერი კი ასეთ საჩივრებს ყურადღებას აღარ აქცევდა. ამან კოხი უფრო გაათამამა და პატივმოყვარეობის ჟინით შეპყრობილმა ჰიტლერს სთხოვა უკრაინისათვის პელოსტოკის ოლქიც შეეერთებინა. რატომო, რომ ჰკითხეს, უპასუხა:

— ამით მე უფლება მომეცემა ვთქვა, რომ ჩემი სამფლობელო გადაჭიმულია ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე!..

მერე, როცა კოხის აღვირახსნილობამ ყოველგვარ ფანტასტიკურ საზღვარს გადააჭარბა, საბჭოთა არმიის უკრაინის ფრონტების სარდლობამ გადაწყვიტა გაეფრთხილებინა იგი: თუ ისევ განაგრძობდა ამ უმსგავსობას, ომის შემდეგ წარდგენილი იქნებოდა მაღალი სამსჯავროს წინაშე, სადაც მას უკლებლივ მოეკითხებოდა ყველაფერი.

გამაფრთხილებელ მიმართვას „მფრინავი ფურცლების“ სახით ის გერმანელი ტყვე გენერლებიც უგზავნიდნენ, რომლებიც კარგად იცნობდნენ კოხის დანაშაულებრივ მოქმედებას, მათ შორის, გენერალ-ფელდმარშალი პაულუსი, რომლის კოლეგები „სამხრეთის“, ხოლო შემდეგ „დონის“ ფრონტიდან ფელდმარშალი მანშტაინი, გენერლები კიტცინგერი, იუტნერი, ებერჰარდი, ფონ რემერი, ლემნერი და მისთანები, განსაკუთრებით კი ესესის მეთაურები ჰალტერმანი, შეერი, კვიტცრაუ,

ნორდმანი და სხვები კოხს არაფრით ჩამორჩებოდნენ სისასტიკეში...

მზესუმზირას ოთხი მარცვალი...

ამგვარ „მფრინავ ფურცლებს“ ფრონტისპირა ხაზზე უმთავრესად ღამის მსუბუქი ბომბდამშენების ქალთა ლეგიონი ავრცელებდა.

რამდენი რამ გამიგონია ლეგენდარული ამაზონი ქალების შესახებ, მათ გმირობასა და თავდადებაზე. ისინი ჩინებული ცხენოსნები და მოისრენი იყვნენ, გაბედული მებრძოლები და პატრიოტები.

მითოსისა და სინამდვილის ადრე ნახსენები გადაჯვარედინების ძალამ ჩვენს დროშიც დაგვანახვა ასეთი გმირული შარავანდით მოსილი ქალები. ჩვენ მათ „მფრინავ ამაზონებს“ ვუწოდებდით, რადგან საჰაერო ფლოტის მებრძოლები იყვნენ. ეს ლეგიონი 1941 წელს დაკომპლექტდა მოსკოვში. კომკავშირის ცეკაში არ იქნა და თავიდან ვერ მოიშორეს „აბეზარი გოგოები“, რომლებიც მანამდე საპარაშუტო და საპლანერო სპორტით იყვნენ გატაცებულნი, ახლა კი მოითხოვდნენ: გინდათ თუ არა, ფრონტზე მოქმედ საავიაციო ნაწილებში გაგვიშვითო. რა ძალა იზიდავდა მათ ფრონტისაკენ, ავიაციისაკენ, არც ისე ადვილი ასახსნელია. სამშობლოს დაცვის სურვილი, პატრიოტიზმი? რა თქმა უნდა, მაგრამ — კიდევ რაღაც, რაც ახალგაზრდობას ახასიათებს: რომანტიკა, გატაცება, გაბედული დაუდევრობა, ხიფათისა და ფათერაკის ძიება. რომ უთხრეს, ავიაცია გოგოების საქმე არ არის, ვერ შესძლებთო, შეურაცხყოფად მიიღეს, გაგულისდნენ კიდეც, მაგრამ მაინც თავისი გაიტანეს.

ცნობილმა მფრინავმა ქალმა, საბჭოთა კავშირის გმირმა მარინა რასკოვამ ამ 20—21 წლის კომკავშირელი ქალიშვილებისაგან საავიაციო ლეგიონი შეადგინა. ლეგიონმა ხანმოკლე წვრთნის შემდეგ პირველი საბრძოლო ნათლობა ჩვენს ფრონტზე მიიღო. მე კარგად მახსოვს, როგორ ჩამოფრინდნენ ისინი „პო-2“-ის ტიპის თვითმფრინავებით მოქმედ არმიაში.

იმ დღეს აეროდრომზე მათი ყველა თვითმფრინავი მინდვრის ყვავილებით იყო მორთული. თვითონაც საზეიმო გამომეტყველება ჰქონდათ. სამხედრო ფორმაც უხდებოდათ, თავი ისე ამაყად ეჭირათ, თითქოს უკვე ბრძოლებში გამობრძმედილი ყოფილიყვნენ. ცდილობდნენ კიდეც ქალური სიკეკლუცე მოეშორებინათ და ვაჟკაცური იერი მიეღოთ: ფართო ნაბიჯებით დადიოდნენ, ტანის ლაღი და უდარდელი რხევით. უხაროდათ, სურვილი რომ შეისრულეს და მოქმედ არმიაში მოხვდნენ.

სამაგიეროდ ფრონტის საჰაერო ძალების სარდალი იყო საგონებელში ჩავარდნილი, ფიქრობდა, რომელი საჰაერო დივიზია მიიღებს ამ „ცხვირმოუხოცავ“ გოგოებს თავის შემადგენლობაშიო. ბოლოს გადაწყვიტა, ავიაციის გენერალ ბ-სათვის გაეგზავნა ისინი: დამყოლი კაცია და უარს არ იტყვისო...

...ქალთა საჰაერო ლეგიონი გამწკრივდა დივიზიის მეთაურის მოლოდინში. მალე ისიც მოვიდა და მწკრივებს ჩამოუარა. ყველამ იგრძნო, რომ მათ შემყურე გენერალს გუნება გაუფუჭდა. მართალია, თვითონ კი ცდილობდა ეს არ გამოემჟღავნებინა, მაგრამ როცა ყველაზე პატარა, 18 წლის ცეროდენა დუსია პასკოს გაუსწორდა, სახე სულ მოეღრიცა. შეშინებული პასკო, რაც შეეძლო, გაიჭიმა, მაგრამ ერთ სანტიმეტრზე მეტი მაინც ვერ მოიმატა.

ამ მიღებით გენერალიც უკმაყოფილო დარჩა და მფრინავი გოგოებიც. მართალია, ლეგიონის მეთაური ბერშადსკაია ყოველნაირად ამხნევებდა მათ, მაგრამ გოგოები მაინც გულდაწყვეტილები იყვნენ.

მეორე დღეს დუსია პასკო და რამდენიმე მფრინავი გოგო შეეფეთა თურმე იმ „უქმურ გენერალს“, მაგრამ „გაბუტულები იყვნენ“ და არ მიესალმნენ. გენერალმა გააჩერა ისინი და დატუქსა, რატომ უფროსს წესის მიხედვით სალამს არ აძლევთო.

—ჩვენ უცნობ მამაკაცებს არ ვესალმებით! — მიუგო იმ „კარაპუზა“ დუსია პასკომ და გაიქცა.

მალე ამ ლეგიონზე ხუმრობა ჩვეზთან მოდად იქცა. ზოგმა მას „პატარძლების ლეგიონი“ შეარქვა, ზოგმა — „იხვების გუნდი“, უფრო ენაკვიმატებმა კი — „საჰაერო არმადა: მოდი მაკოცე!“ და სხვა ამგვარი.

მფრინავი ბიჭები მოსვენებას არ აძლევდნენ მათ, საჰაერო კავალრებს ხომ არ ინებებთო, სთავაზობდნენ. თუ სადმე ჰაერში შეხვდებოდნენ, ქორებივით ჩამოუქროლებდნენ და დააწიოკებდნენ. ლეგენდაში, თუ გახსოვთ, პირიქით იყო: იქ თვით ამაზონი ქალები სცემდნენ შიშის ზარს მამაკაცებს. ესენი კი მხოლოდ იბუტებოდნენ და გულში იქადდნენ: დაგვაცადეთ, დრო მოვა და გიჩვენებთ, თუ თქვენი დასაცინი ვართო...

...მართლაც, რამდენი გმირობა და იუმორი იყო მათ საფრონტო ცხოვრებაში. ნამდვილი, ხალისიანი, ყოველგვარი სიმძიმის შემამსუბუქებელი და მწუხარების გამქარვებელი იუმორი. არავინ იცის, რომელ მათგანს მოუვიდა ეს აზრი პირველად თავში, მაგრამ ფაქტია, რომ „მფრინავმა ამაზონებმა“ „ოფიციალური ფიცი“ დადეს — ომის დამთავრებამდე სიყვარულზე არ ვიფიქროთო. უმრავლესობა, როგორც ჩანს, მართლაც ასრულებდა ამ პირობას, მაგრამ ახლა, როცა მათი დღიურები გამოქვეყნდა, გამოირკვა, რომ ფიცის დარღვევის შემთხვევებსაც ჰქონია ადგილი...

...დედიკო, შენი ჯიუტი გოგო მგონი შეყვარებულია! — სწერდა ჟენია რუდნევა თავის დედას, მერე მის დღიურშიც აღმოჩნდა ასეთი ჩანაწერი:

„თუ განშორებისას ისევ შეხვედრაზე ფიქრობ, ჩანს, მოსულხარ, სიყვარულო... მოსულხარ, მაგრამ მე თუ ვარ მზად შენ შესახვედრად?“...

იგი სიყვარულზე ოცნებობდა, მაგრამ სიკვდილს ეთამაშებოდა და ისე დაიღუპა თავისი მეგობრების თვალწინ, რომ კარზე მომდგარ ბედნიერებას არც შეხვედრია...

...დავიღუპე, მგონი შეყვარებული ვარ! —გაანდო თავის მეგობრებს „საშინელი საიდუმლო“ კატია რიაბოვამ, როცა

მფრინავ სივკოვს შეხვდა, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, „ამაზონების ფიცის“ დარღვევას ადგილი არა ჰქონია. რიაბოვა და სივკოვი შეთანხმდნენ, რომ გამარჯვების დღეს იქორწინებდნენ. მართლაც, 1945 წლის 9 მაისს მოაწერეს ხელი საბჭოთა კავშირის გმირმა რიაბოვამ და საბჭოთა კავშირის ორგზის გმირმა სივკოვმა.

იყო თუ არა სხვა შემთხვევები ფიცის დარღვევისა, არ ვიცი. ისტორიაც დუმს ამის შესახებ. სამაგიეროდ ფაქტები ღაღადებენ მათს განსაცვიფრებელ გმირობაზე...

...სამამულო ომის პერიოდში ქალთა ამ ლეგიონმა ოცდახუთი ათასი საბრძოლო გაფრენა მოახდინა, სამი მილიონი კილოგრამი ყუმბარა ჩამოყარა მტრის ტერიტორიაზე და რამდენიმე მილიონი „მოკითხვის ბარათი“ გაუგზავნა ფრიცებს. 30 მფრინავი დაიღუპა საბრძოლო დავალების შესრულების დროს; 200 ორდენებითა და მედლებით იქნა დაჯილდოებული, 23-ს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, 180 პარტიაში მიიღეს. ლეგიონი ორჯერ იქნა დაჯილდოებული ორდენით, მიენიჭა გვარდიულის წოდება და ამიერიდან ასე იწოდებოდა: „ღამის ბომბდამშენი ორგზის ორდენოსანი ტამანის ქალთა გვარდიული ლეგიონი...“

...ასე გაიზარდნენ და გამოიბრძმედნენ ეს „ცხვირმოუხოცავი გოგოები“ ომის ქარცეცხლში. მათი ზღაპრული გმირობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ გავითვალისწინებთ, როგორ თვითმფრინავებზე უხდებოდათ საბრძოლო დავალებათა შესრულება.

„პო-2“-ს ზოგი „მესიმინდეს“ უძახდა, ზოგი — „იხვს“. ზოგიც — „საკერავ მანქანას“ ან „მფრინავ ფანერას“. მართლაც ფანერისა იყო. არავითარი საფარი არა ჰქონდა, სამაგიეროდ მანევრირება შეეძლო კარგი. ვიდრე მტრის „მესერშმიდტები“ ჰაერში ფართო ირაოს აკეთებდნენ, „პო-2“ ერთი ათჯერ შეტრიალ-შემოტრიალდებოდა და, როგორც ხუმრობით ამბობდნენ, მწყერივით შეძვრებოდა სიმინდებში. ამიტომაც შეარქვეს „მესიმინდე“.

ღამღამობით ისინი შიშის ზარს სცემდნენ გერმანელებს.

მოულოდნელად დაესხმოდნენ თავს მათ პოზიციებს, ჯერ ყუმბარებს დაუშენდნენ, ხოლო შემდეგ „მოკითხვის ბარათებსაც“ მიაყოლებდნენ.

გერმანელები ამ „მფრინავ ფანერას“, პირიქით, „რკინის გუსტავს“ უწოდებდნენ და თითო ასეთი თვითმფრინავის ჩამომგდებს რკინის ჯვრით აჯილდოებდნენ, თანაც გულზე სკდებოდნენ, რომ გაიგებდნენ, მფრინავები გოგოებიაო.

გოგოები კი იყვნენ, მაგრამ როგორი! ან რა მეგობრობა ჰქონდათ ერთმანეთთან! თუ ვინმე დაიღუპებოდა, შურისმაძიებელთა თვითმფრინავებსა და ყუმბარებზე მაშინვე ჩნდებოდა წარწერა: „დუსიასათვის“, „პოლინასათვის“, „ირინასათვის“...

...პირველ მაისს ლენა და რუზანა გაფრინდნენ საბრძოლო დავალების შესასრულებლად. ფრონტის ხაზი გადალახეს და მსხვილ დასახლებულ პუნქტს მიუახლოვდნენ. აქ მათ ბენზინის საწყობები ეგულებოდათ. ზუსტად გავიდნენ კიდეც მიზანზე და ჩამოყარეს ყუმბარები. მეორე იერიშის დროს ის ადგილი უკვე ცეცხლით იყო განათებული, ბენზინი იწვოდა. გოგოებმა კიდევ რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს. ცეცხლმა იმატა, საზენიტო არტილერიაც ამუშავდა. მერე პროჟექტორებმაც დაიჭირეს ჯვარედინ სინათლეზე. საჭირო იყო გასცლოდნენ იქაურობას, მაგრამ ჯერ კიდევ რჩებოდათ რამდენიმე ყუმბარა და „მოკითხვის ბარათები“. გადაწყვიტეს მესამედ მიეტანათ იერიში. მესამედაც მოახვედრეს მიზანს, მერე ფურცლებიც გადმოყარეს. ახლა საჭირო იყო პროჟექტორების რკალიდან გასვლა და შინ დაბრუნება. დაიწყეს კიდეც მანევრირება, მაგრამ უცებ მძლავრი დარტყმა... და თვითმფრინავი შეტორტმანდა... ლენამ შენიშნა, რომ მანქანაც დაზიანდა და თვითონაც მსუბუქად დაიჭრა. საჭირო იყო როგორმე სახიფათო ზონიდან გასვლა. ერთხანს იტრიალა პროჟექტორების ჯვარედინ ხაზებს შორის, მერე თავისებურად შეტრიალ-შემოტრიალდა და გავიდა კიდეც სახიფათო ზონიდან, მაგრამ თვითმფრინავმა თანდათან დაკარგა სიმაღლე, მერე—წონასწორობაც...

ლენა იძულებული გახდა სადღაც ჩირგვებში დაშვებუ-

ლიყო, მტრის ტერიტორიაზე... საცა იყო, გერმანელებიც მოვიდოდნენ, და რომ თვითმფრინავი მტერს არ ჩავარდნოდა, სწრაფად წაუკიდეს ცეცხლი, თვითონ კი ლაქაშებში მიიმალნენ. მთელი ღამე იარეს, მაგრამ დაიბნენ და ფრონტის ხაზამდე ვერ მიაღწიეს, დღისით კი სიარული არ შეიძლებოდა...

...მეორე დღეს ლენას დაბადების დღე იყო. რუზანას გაახსენდა ეს, მაგრამ არ იცოდა, რა საჩუქარი მიერთმია თავისი დაჭრილი მეგობრისათვის. ალალ-ბედზე ჯიბეები მოიჩხრიკა და მზესუმზირას ოთხი მარცვალი აღმოაჩინა. გახარებულმა რუზანამ ეს „მცირე საჩუქარი“ უძღვნა მეგობარს...

მცირე კი არა, ალბათ, უფრო ძვირფასი, ვიდრე უზარმაზარი ბროლის ვაზები, დაბადების დღეს რომ მიართმევენ ხოლმე ნათესავებს ან ნაცნობ-მეგობრებს...

...„მფრინავი ამაზონების“ ეს ლეგიონი კარგა ხანს იყო ჩვენს ფრონტზე, შემდეგ ბელორუსიაში გადაიყვანეს. იქიდან—პოლონეთში, ბოლოს კი—გერმანიაში, სადაც ერთხელ კიდევ შევხვდით ლენასა და რუზანას...

სარდანაპალი

შემდეგ, როცა ჩვენი ფრონტის ნაწილები რუმინეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ, „დიპლომატიური ფოსტის“ ადრესატებთან გაგზავნას, უმთავრესად, საინტენდანტო სამსახურის კაპიტანი ბეგი ახორციელებდა. იგი სამნეო საქმეებს განაგებდა და კარგადაც უძღვებოდა. ბეგი იყო ჩვენი უცვლელი კვარტირიერიც. დისლოკაციის შეცვლის წინ ის მიდიოდა დანიშნულების ადგილას და, როცა ჩვენც იქ ჩავიდოდით, უკვე ყველაფერი მომზადებული ჰქონდა. თან თვალებში გვიყურებდა, მოეწონათ თუ არაო. თუ კმაყოფილებას ამოიკითხავდა, თვითონაც გაიხარებდა, არადა შემდეგისათვის უკეთესს გვპირდებოდა.

რუმინეთში ჩვენი პირველი დისლოკაციის ადგილად ქ. ბოტოშანი იქნა დანიშნული. ბეგი მაშინვე იქ გაჩნდა და შეუდგა წინასწარ მზადებას. როცა ადგილზე ჩავედით, სიურ-

პრიზი დაგვხვდა. სახლი, რომელშიც ჩვენი ოპერატიული ჯგუფი მოთავსდა, ეტყობა, ვიღაც სომეხს ეკუთვნოდა. ბიბლიოთეკაც სულ სომხური წიგნებით იყო სავსე. მასპინძელი არსად ჩანდა და არც შემდეგ გამოჩენილა. საწერი მაგიდის უჯრაში რუსულად დაწერილი ბარათი ეგდო:

— იმედია, წაიკითხავთ! ეს მეოთხეჯერ ვტოვებ სახლკარს და გავრბივარ. ასეთი ყოფილა ჩემი ბედი, ბედი აჰასფერისა! ახლა თითქოს სამშობლო მიახლოვდება, მე კი იძულებული ვარ ისევ გავიქცე. გული მაინც არა მაქვს ბოლმით სავსე... გამარჯვებას გისურვებთ!

აბა, რას გავიგებდით, საიდან გაიქცა ის სომეხი ან მის სიტყვებს იქით რა ტრაგედია იმალებოდა. არც არავინ დაინტერესებულა ამით. პაოლომ ჩაილაპარაკა მხოლოდ: „სომეხი აჰასფერი“ პირველად მესმისო. სხვები კი მაშინვე ბიბლიოთეკის ჩხრეკას შეუდგნენ.

— ნუთუ არის ქვეყანაზე ხალხი, რომელიც ასეთ წიგნებს კითხულობს! — თქვა ბეგიმ და ხელში სომხური ბიბლია შეათამაშა.

— რომ არ იყოს, მაშინ ამ წიგნებს ვინ დაწერდა? — მოუჭრა დიდმა დრუჟნიკოვმა.

— აბა, ქვეყანაზე რამდენი ხალხიცაა, იმდენი ენაა?! — დაინტერესდა ბეგი.

— არა, ქვეყანაზე უფრო მეტი ენაა, ვიდრე ხალხი.

— მაინც რამდენი?

— ხალხი ათას სამასამდეა, ენა კი — სამიათასზე მეტი.

— რა ოხრად უნდათ მერე ამდენი ენა, სულერთია, ყველას ხომ ვერ ისწავლის კაცი?!

ბეგის ლოგიკა არ გაგიკვირდეთ. ისეთ გულუბრყვილო კითხვებს იძლეოდა, ძალიანაც რომ მოგენდომებიხათ, ადვილად პასუხს ვერ გასცემდით. თვითონ ტრანსილვანიელი იყო, უნგრული და რუმინული ბავშვობიდანვე იცოდა, შემდეგ კიშინიოვში მოხვდა და რუსულიც ისწავლა, გიმნაზიიდან რამდენიმე ფრანგული სიტყვაც შემორჩა და ასე ეგონა, რაც ქვეყანაზე ენებია, ყველა ვიცი. როგორც კი ახალ, მისთვის უცნობ ენას აღმოაჩენდა, მაშინვე ხასიათი უფუჭდებოდა:

— რაც ქვეყანაზე ფრანგულია, ყველა რომ ისწავლო, სულერთია, ჭკუა მაინც არ მოგემატებაო,—ინუგეშებდა თავს.

სიტყვა „ფრანგულს“ მე ბრჭყალებში ვსვამ, რადგან, ბეგი რა უცხო სიტყვასაც გაიგონებდა, ყველა ფრანგული ეგონა. კულტურულობის უმაღლეს ნიშნადაც „ფრანგული“ სიტყვები მიაჩნდა. ვინ როგორ „ფრანგულ“ სიტყვას გაურევდა ლაპარაკში, ბეგის სიმპათია მისდამი ამით განისაზღვრებოდა. თვითონაც სულ იმის ცდაში იყო, საკუთარი ფრანგული ლექსიკონი გაემდიდრებინა...

...ერთხელ ვკითხე:

— ბეგი, რამ შეგაყვარა ასე ძლიერ „ფრანგული“ სიტყვები?

პასუხად ასეთი რამ მიამბო:

— გიმნაზიაში ერთი მსიე მასწავლებელი გვყავდა („მსიე“ ბეგისათვის Monsieur-ს ნიშნავდა). გვატყუებდა, ვითომ პარიზში ვსწავლობდიო, და ლაპარაკში სულ რაღაც ფრანგულ სიტყვებს ურევდა. შეიძლება მართლაც იყო პარიზში, მაგრამ რა? ბრიყვმა ათასი პარიზი რომ მოიაროს, მაინც ბრიყვი დარჩება. ის უბედური კი სულ გამოჩერჩეტებული იყო. ნაპოლეონმა ესა თქვა და ნაპოლეონმა ისა თქვაო... ამის მეტი არაფერი იცოდა. ამიტომ გიმნაზიაში „ნაპოლეონ IV“ შეარქვეს. იმ სულელს თავი მართლაც ნაპოლეონი ეგონა, ისე გაფხორილი დადიოდა. ხელში ყოველთვის წკეპლა ეჭირა და, ვაშავებდით რამეს თუ არა, მაინც გვირტყამდა. იმპერატორი ასე ზრდიდაო თავის ქვეშევრდომებს, იტყოდა ხოლმე და ფრანგულად დაუმატებდა:

— ბონაბარტ! საკრამენტო!

ჩვენ არ ვიცოდით, რას ნიშნავდა ეს „საკრამენტო“. მაგრამ ისე მოგვეწონა, რომ მსიეს ამის შემდეგ „ნაპოლეონ მეოთხის“ მაგივრად „ნაპოლეონ საკრამენტოს“ ვეძახდით. ის ამაზე ბრაზდებოდა და, თუ სადმე მოგვიხელთებდა, მაშინვე კენჭებზე გვაჩოქებდა.

ერთი კარგი ჩვეულება კი ჰქონდა მსიე მასწავლებელს. თუ ლაპარაკში ჩვენც რამე ლამაზ ფრანგულ სიტყვას გავურევდით, მაშინვე ყველაფერს გვაპატიებდა. თუ თვითონაც იცო-

და ეს სიტყვა, ხომ კარგი, თუ არა, მიიხედ-მოიხედავდა, ხომ არავინ გვისმენსო, და ჩუმად იკითხავდა, ეს რას ნიშნავსო. პასუხს აუცილებლად უბის წიგნაკში ჩაიწერდა. ეს რომ გავიგე, ვიფიქრე: აბა, ბეგი, თუ მართლა ბრიყვი არა ხარ, სხვისი სიბრიყვით უნდა ისარგებლო-მეთქი და, ჩვენი სოფლის მღვდელს შევუჩნდი. ის მასწავლიდა ფრანგულ სიტყვებს, სამაგიეროდ მე სხვის ბაღებში დაკრეფილ ხილს ვუზიდავდი. სკოლას ხშირად ვაცდენდი ან ვიგვიანებდი, არც არაფერს ვსწავლობდი. ულვაშები ისე ამომივიდა და დავვაყკაცდი, მეოთხე კლასს ძლივს მივაღწიე. ამიტომ იყო, რომ მსიე რეგვენს მეძახდა. ეს მე უიმისოდაც ვიცოდი, მაგრამ ოღონდ წკეპლა არ დაეკრა ან კენჭებზე არ დავეჩოქებინე და სხვას არაფერს დაეძებდი. ერთხელ, ჩვეულებისამებრ რომ დავიგვიანე, მსიემ მიყვირა:

— ბეგი-რეგვენო, რატომ დაიგვიანე?

მე ვითომ დავიმორცხვე, თავი ჩავღუნე და მღვდლის მიერ ნასწავლი ფრანგული შევაპარე:

— დიახ, ეს სკრუპულოზურია...

მსიემ ყურები ცქვიტა და ჩუმად მკითხა:

— ეს რას ნიშნავს?

მე სიტყვას კი ვიზეპირებდი, მაგრამ რას ნიშნავდა, ამას ვერ ვიმახსოვრებდი. ამიტომაც ჩავიბურტყუნე:

— ეს ისე, ლამაზია...

— დაეგდე, აკი გეუბნებოდი, რეგვენი ხარ-მეთქი!

ამის შემდეგ ჩემი საქმე კარგად წავიდა: „მერსი", იტყოდა მსიე, „პარდონ", მივარტყამდი მე; „შარლატან", ღამიძახებდა ის, „კოლოსალ!", ვუპასუხებდი მე.

ამ ამბავს რომ მოყვა, სინანულით დაუმატა:

— ეჰ, გიმნაზიიდან რომ არ გამოვეგდე, კიდევ რამდენ ფრანგულს ვისწავლიდი!

— რატომ გამოგაგდეს? — ჰკითხა მარინა ბეხერმა.

— კი არ გამომაგდეს, მივატოვე, — გაბრაზდა ბეგი.

— რას ბრაზდები, შენ თვითონ არა სთქვი, გამომაგდესო? — შეუტია მარინამ.

— მე თუ ვთქვი, ჩემი საქმე მე ვიცი, შენ ვინ გეკითხება, გამომაგდეს თუ არა? — აყვირდა ბეგი.

— კარგი, ბატონო! ბრძანეთ, რატომ მიატოვეთ გიმნაზია? — დაუყვავა მარინამ.

— რატომ მივატოვე და გამომაგდეს, — განმარტა ბეგიმ. ჩვენ სიცილი აგვიტყდა. ის კი ვერ მიხვდა, რატომ გვეცინებოდა, მაგრამ „ხათრისათვის“ თვითონაც გაიცინა და თქვა:

— ჩხუბის გამო!

თვითონ თუ ამბობდა გამომაგდესო, ეს არაფერი, მაგრამ სხვა რომ ამასვე ეტყოდა, შეურაცხყოფად იღებდა და ბრაზდებოდა. სულ იმას იძახდა, რეგვენი ვარო, მაგრამ „რეგვენი ხარო“, ამის თქმას ვინ გაუბედავდა!

— ბეგი, მოყევი, რატომ იჩხუბე? — არ მოეშვა მარინა.

— რატომ ვიჩხუბე და ყელში ამომივიდა ნაპოლეონი! ამ საკრამენტომ სულ გამაგიჟა. ერთხელ ისევ დავიგვიანე და მიყვირა:

— აჰა, ბეგი-რეგვენო, კიდევ დაიგვიანე?

მე იმ დღეს ფრანგული არ ვიცოდი და არაფერი ვუპასუხე. დავისაჯე კიდეც. მსიემ კუთხეში დამაჩოქა კენჭებზე. მე უკვე ულვაშებიანი კაცი ვიყავი, მაგრამ ის ჩერჩეტი ისე შექცეოდა, როგორც ჩვენი კლასის ლაწირაკებს. ამხელა აქლემი რომ დამაჩოქეს, ბავშვები დამცინოდნენ; ის კი ისევ ნაპოლეონის ამბებს ყვებოდა: იმპერატორი რომ მტრებს დაამარცხებდა, ამ რეგვენ ბეგივით დააჩოქებდაო. იმას მე სხვა დროსაც დავუჩოქებივარ კენჭებზე, რეგვენსაც სულ გამარჯობასავით მეუბნებოდა, მაგრამ ვიტანდი. იმ დღეს კი ცალკე მუხლების ტკივილმა და ცალკე დაცინვამ გამაცოფა. მსიე რომ დაფისაკენ მიბრუნდა, ვიღაც ღლაპმა რკო გამოისროლა და შიგ შუბლში მომარტყა. ძალაუნებურად შევიგინე. მსიემ ახლა მეორე მუხლის ქვეშ შემიყარა კენჭები, თვითონ კი ისევ მოყვა ნაპოლეონის ქებას, იმას შეურაცხყოფას ვერავინ გაუბედავდაო. მე ვიფიქრე, ის ვიღაც ოხერი ნაპოლეონია, ყველაფერში როგორ უნდა მჯობდეს-მეთქი, და უცებ...

არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჯდა, წამოვვარდი. ჯერ ხომ მსიეს მაგიდა გადავაბრუნე, მერე მერხებს მივადექი, დაფაც ჩამოვგლიჯე, ფანჯრები სულ ჩავლეწე... შეშინებული ბავშვე-

ბი ეზოში გაცვივდნენ. მე იმ გამოშტერებულ მსიეს ვწვდი კისერში და დავუყვირე: აბა, ბონაპარტ, საკრამენტო, დაიჩოქე-მეთქი. გამიძალიანდა, მაგრამ ჩემთან რას გახდებოდა! გული ჰქონდა დიდი, თორემ ისე ჩია კაცი იყო. იმდენი ვურტყი, სანამ არ დაიძახა:

— კარგი, ბეგი-რეგვენო, ოღონდ ნუ მომკლავ და დავიჩოქებ...

დაიჩოქა კიდეც, მაგრამ ეშმაკი იყო, ის მართლაც ეშმაკის კერძი. სანამ დაიჩოქებდა, კენჭები წინასწარ გვერდზე მიახვეტა ხელით. ასეთ წვრილმანს მეც არ გამოვუდექი, ერთიც წამოვარტყი და ვუბრძანე:

— აბა, თქვი, ვინ არის ახლა ნაპოლეონი, მსიე, საკრამენტო!

— შენა ხარ ნაპოლეონი, ბეგი-რეგვენო, — დაიძახა იმ ჩერჩეტმა და, რომ დაედასტურებინა თავისი ნათქვამი, დაუმატა:

— ნამდვილი ნაპოლეონი... ბონაპარტ!..

მე კიდევ რამდენჯერმე წავკარი ფეხი, საკრამენტოც მივაძახე და მოვუსვი. სახლში არც შევსულვარ, ისე გამოვიქეცი რუმინეთში, მერე—კიშინიოვში და, აგერ ათ წელზე მეტია, მშობლები აღარ მინახავს, არც ის მსიე საკრამენტო...

...ბეგის ნაამბობზე ბევრს ვიცინოდით. სამაგიეროდ ჩვენც კარგი „ფრანგული“ სიტყვებით ვავსებდით მის ლექსიკონს. თვითონ ბეგის ყველაზე უფრო ორი სიტყვა მოსწონდა: „პარდონ“ და „სუპრიზ!“ (ეს ვითომ „სიურპრიზიაო“).

ბეგი, რა არის ეს-მეთქი, რომ ვკითხავდი, „სუპრიზ, ამხ. უფროსო“, იტყოდა და „ხიშტზე დადგებოდა“. რამე საქმეზე რომ გამოვუძახებდი, ჩამომარცვლიდა:

— პარდონ, ამხ. უფროსო, ადიუტანტი ბეგი გამოცხადდა თქვენს განკარგულებაში!

ვეუბნებოდი: ბეგი, ნუ ამბობ „ადიუტანტს“, დაგვცინებენ, ხომ იცი, ჩვენთან ადიუტანტობა არ არის, ან კი მე რომელი მარშალი მნახე, რომ ადიუტანტად კაპიტანი მყავდეს-მეთქი.

სულ ამაო ლაპარაკი იყო! ბეგის ისე მოსწონდა ეს უცხო სიტყვა „ადიუტანტ“, რომ ვერავითარი ძალა ვერ მოაშლევინებდა ერთხელ ამოჩემებულს. არ უყვარდა, „ახეჩეს“ უფროსი ხარო, რომ ეტყოდნენ...

...იმ დღეს აფორიაქებული შემოვარდა და მითხრა:

— პარდონ, უფროსო, გენერალი მეძახის!

— თუ გეძახის, მიდი, რისი გეშინია?

— კი არ მეშინია, მინდა ისეთი ფრანგული მასწავლოთ, რომ თვით გენერალიც გავაგიჟო!

ვიცოდი არ მომეშვებოდა და, ეშმაკმა იცის, საიდან გამიელვა თავში ასურელთა მეფის სახელმა, რომ დაუფიქრებლად ვუთხარი:

— სარდანაპალ!

— რა? — გაიკვირვა ბეგიმ.

— სარდანაპალ! — გავუმეორე მე.

— პარდონ, მერსი, — ერთ ახალ „ფრანგულში“ ორი ძველი დამიბრუნა ხურდად და გაიქცა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გენერალმა დამირეკა:

— შენი სარდანაპალი იყო ახლა ჩემთან, ორი დღით გაათავისუფლე, რაღაც დავალება მაქვს.

ტელეფონის მილის დადება და ბეგის შემოვარდნა ერთი იყო. გენერალთან მისვლამდე საალლუმო მუნდირის გადაცმაც მოესწრო და ორდენებიცა და მედლებიც გაეკეთებინა.

— პარდონ, უფროსო, ყველაფერი რიგზეა.

— აბა, ბეგი, მოყევი, როგორ მიგიღო გენერალმა? — ეუთხარი მე.

— როგორ მიმიღო და სკრუპულოზურად,—მოგვიფრანგულა ბეგიმ, — შევედი თუ არა ასე მარშალივით გამოჯგიმული, გაკვირვებით შემომხედა და მითხრა:

— ო, ბეგი, თქვენ ჩინებულად გამოიყურებით!

— სარდანაპალ, ამხანაგო გენერალო!—მივარტყი მაშინვე.

მოკვდა სიცილით... მერე „ყაზბეგიც“ მომაწოდა. მე, რა თქმა უნდა, პარდონ-მეთქი და ერთის მაგივრად ორი ავაცოცე...

...ამის შემდეგ ბეგის სარდანაპალი შეარქვეს. დაუზარელი კაცი იყო. რაგინდ ძნელი დავალება მიგეცათ, ცხრა თოკში გაძვრებოდა და მაინც გააკეთებდა. უბაროდა, დავალებებს რომ სხვები აძლევდნენ, ამბობდა:

— ჩემით ვერ მოვიფიქრებ, რა უნდა გავაკეთო, მაგრამ, სხვა თუ მეტყვის, უ... ჰუ... ჰუუუ! — წამოიძახებდა ის და მუშტს მუშტზე მიიმტვრევდა. ამით ვითომ ამბობდა, ისეთი რა უნდა იყოს, დამავალოთ და ვერ შევასრულოო.

რქა და ყურები...

მას შემდეგ, რაც ჩვენი ფრონტის ნაწილები რუმინეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ, „ბეგის მარკამაც აიწია". რუმინული და უნგრული ენების კარგი ცოდნა და გამოულეველი ენერგია ხელს უწყობდა ამას. უცნაური ხასიათი და „სუპრიზებით" სავსე იუმორი კი უფრო პოპულარულს ხდიდა მეგობართა შორის. მართალია, „წიგნების ჩხრეკა" არ უყვარდა, თორემ სხვა მხრივ დაუფასებელი მუშაკი იყო. „წიგნის მჩხრეკელი" კი ისედაც ბევრი გვყავდა. მათ ჩვენი „მერვე ბრძენი" ტრაინინი მეთაურობდა, რომელსაც ბოტოშანში ვიღაც იურისტი პარუმბაკუ შემოუერთდა. ამ ახლად გამოჩენილ ქადაგს ჩვენებმა მაშინვე „სოლომონ ბრძენი" შეარქვეს, რადგან ტრაინინივით სულ იმას ცდილობდა, გაცილებით ღრმა და მნიშვნელოვანი გამოჩენილიყო, ვიდრე იყო. ამისათვის საუბარში წამდაუწუმ, იყო თუ არა საჭირო, ისიც სოლომონ ბრძენის შეგონებებს ურთავდა. ტრაინინს შეეშინდა, ამ ბაქია პარუმბაკუმ განსწავლულობაში არ მაჯობოსო, და თვითონაც ჩაუჯდა სომხის სახლში ნაპოვნ ბიბლიას, რის შემდეგაც ისიც იუდეველთა მეფის სიტყვებით კენწლავდა „სიბრძნის მქადაგებელ" პარუმბაკუს. როგორც კი „სოლომონ ბრძენი" „ცარიელ გუდას" მოხსნიდა თავს და „ბრძნულ" ქადაგებას შეუდგებოდა, ტრაინინი სათვალეს შეისწორებდა, ჩაიცინებდა და ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკებდა:

— არიან მდიდრად გამომაჩინებელნი თავისა თუისისაჲ და არარაჲ აქუნ!..

ეს, რა თქმა უნდა, „სოლომონ ბრძენს“ არ გამოეპარებოდა და გაწიწმატებული ეცემოდა პირში „თავადაც სიცარიელით გაბერილ ცრუ ბრძენს“. მერე მოსდგებოდა და სეტყვასავით დააყრიდა სოლომონ მეფის გამოთქმებს. ტრაინინი მშვიდად ისმენდა მის ქადაგებას და, როცა პარუმბაკუ ერთი წამით შეჩერდებოდა, ისევ ეშმაკურად ჩაიცინებდა და იტყოდა:

— ქარი ჩრდილოეთისაჲ აღადგენს ღრუბელსა, ხოლო პირი ურცხუინოჲ აღატყინებს ენასა...

...იქვე, ბოტოშანში, სადღაც შემორჩენილი „ანარქისტიც“ გაჩნდა ჩვენ შორის. როცა სხვები კამათობდნენ, ის სულ პირზე ხავსმოკიდებული იჯდა თავისთვის და უსმენდა. მაგრამ, თუ ვინმე რამე საშინელ ამბავს მოყვებოდა, თვალები სიხარულით გაუბრწყინდებოდა და ერთადერთ წინადადებას ჩაურთავდა:

— წარღვნაა, ბატონებო, საჭირო, წარღვნა!..

ეს იყო და ეს. სხვას არაფერს იტყოდა, ერთხანს დაჯდებოდა ჩვენთან, მერე კი ისე უცებ გაქრებოდა სადღაც, რომ თვალს ვერ შეასწრებდა კაცი!

„ანარქისტის“ სრული ანტიპოდი იყო „ფიქრთა მხატვარი“ გუცა. იმას ხომ სულ ენის ქავილი ჰქონდა ავარდნილი. ამბობდნენ კიდეც, ამ ყბაღია რუმინელს ენაზე წისქვილის ქვა რომ დაჰკიდოთ, მაინც ილაპარაკებსო. მართლაც ასე იყო. ერთხელ რომ მოიმართებოდა, აღარ გაჩერდებოდა. ჩვენ კი გავეპარებოდით ნელ-ნელა, მაგრამ ტრაინინი რჩებოდა მასთან „ტყვედ“ და ბოლომდე ისმენდა მის ქადაგებას. გუცა ხომ სულ საფრანგეთსა და პარიზზე ლაპარაკობდა. წარმოშობით ნამდვილი რუმინელი იყო, მაგრამ თავის სამშობლოდ რატომღაც „ფრანგთა ქვეყანა“ მიაჩნდა. ამას რომ გავიკვირვებდით და ვკითხავდით, თქვენი დაბადების ადგილი სად არისო, ის „ტვინ-ფრატუნა კოსმოპოლიტი“ (ვაჟას გამოთქმაა) არც დაფიქრდებოდა, ისე იტყოდა, ბირლადელი ვარო.

— მერედა ბირლადი ხომ რუმინეთშია და არა საფრანგეთშიო, — უთხრა დიდმა დრუჟნიკოვმა.

გუცას წესად ჰქონდა დადებული გაჭირვების დროს გამოსავალი სხვების მიერ ნათქვამ სენტენციებში ეძებნა და ამ შემთხვევაშიაც ასე მოიქცა:

— ჩვენი სამშობლო იქ კი არ არის, სადაც ვიბადებით, — თქვა მან, — არამედ საითკენაც მივისწრაფით!

— მერე ეს საკმარისია იმისათვის, რომ სისხლით ფრანგი გახდეთ? — არ მოეშვა ის „აბეზარი მაიორი“. გუცა კი მაინც ერთგული დარჩა თავისი თავისა:

— ადამიანს ფრანგად ხდის არა სისხლი, არამედ გემოვნების დონე! — უპასუხა მან...

...ჩვენთან მუშაობა დაიწყეს აგრეთვე რუმინულის მცოდნე გოგოებმა. ისინი კიშინიოვის უნივერსიტეტიდან მოვიდნენ. მათ შორის იყო „დომნიშუარა ვერონიკა“, რომელსაც ბეგიმ განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად „კოლოსალური დელფინა“ შეარქვა. საერთოდ, ბეგის თუ ვინმე მოეწონებოდა, „დელფინას“ უძახდა. უფრო კი ისეთები მოსწონდა, ვინც წონით ოთხმოცი კილო მაინც იქნებოდა, თუ — მეტი, მით უკეთესი! ბეგის აზრით, ქალის სილამაზე მოცულობის მიხედვით იზრდებოდა. განსაკუთრებით „მასიურზე“ კი დიდი მოწიწებითა და თანაც „ფრანგულად“ ამბობდა, აი, ეს მართლაც კოლოსალური სილამაზეაო.

ვერონიკა ჯერ სულ ახალგაზრდა იყო, მაგრამ მიდრეკილება მაინც „კოლოსალურობისაკენ“ ჰქონდა და ბეგიც ამიტომ ვერ უყურებდა გულგრილად. თვითონ ვერონიკა კი „თავის საწყალ სარდანაპალს“ სულ „კრიალოსანივით მარცვლავდა“. ისე ჰყავდა კაბის კუდზე გამობმული, რაც უნდოდა, იმას აკეთებინებდა, უფრო ხშირად — ისეთ რამეს, რაც ბეგის სასაცილო მდგომარეობაში აგდებდა. მერე ამაზე თვითონაც სიცილით კვდებოდა და სხვებსაც ბევრს აცინებდა. „მშრალ ნავზე გაცურებული“ ბეგი კი, შეხედავდა თუ არა, ყველა იცინისო, თვითონაც აროხროხდებოდა და ამით მთავრდებოდა საქმე...

...მაშინ ჩვენთვის რუმინეთის ისტორიის, კულტურის, საზოგადო მოღვაწეებისა და არმიის განწყობილების ცოდნა იყო

საჭირო. მანამდეც ვიცოდით, რომ ეს ომი არასოდეს ყოფილა პოპულარული რუმინელ ხალხში. შემდეგ ამგვარი განწყობილება არმიასაც გადაედო: არ უყვარდათ გერმანელები, რომლებიც ქედმაღლურად უყურებდნენ მათ. ანტონესკუს მთავრობა კი ყოველ ღონეს ხმარობდა, როგორმე მხარი აება ნაცისტური გერმანიისათვის. მოახერხა კიდეც და, მიუხედავად დიდი შინაგანი წინააღმდეგობისა, რუმინეთმა 1940 წლის ნოემბერში თვითონვე წაუშვირა კისერი უღელს. მთავრობის სახელით მარშალმა ანტონესკუმ ხელი მოაწერა შეთანხმებას „სამთა პაქტისადმი" შეერთების შესახებ. ბუქარესტში მაშინვე ჩამოვიდა გერმანული სამხედრო მისია გენერალ-პოლკოვნიკ ჰანზენისა და გენერალ-მაიორ შპაიდელის მეთაურობით. ამის შემდეგ, ანტონესკუს დავალებით, რუმინული არმიის გენერალური შტაბის უფროსმა იონიციანუმ გამოსცა ბრძანება გერმანელ ინსტრუქტორ-ოფიცერთა დაშვების შესახებ სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში. ამით დაიწყო რუმინული არმიის რეორგანიზაცია გერმანული წესდების მიხედვით. გარდა ამისა, მოწვეულ იქნა სათადარიგო ოფიცერთა ორთვიანი შეკრება გერმანელი გენერლების ხელმძღვანელობით. იმავე დროს ფარულად მომზადდა არმიაში თორმეტი ასაკის გაწვევა „ყოველი შემთხვევისათვის". ამ რეზერვების მომზადებაც გერმანელ ოფიცერთა მეთაურობით მიმდინარეობდა. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებდა, რომ რუმინეთის მთავრობა ომს ამზადებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. და მართლაც, 1941 წლის თებერვლისათვის ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის საზღვრებზე გაიგზავნა ექვსი დივიზია. სამი მათგანი რუმინულ ნაწილებს შეუერთდა და მათთან ერთად დაიკავა პოზიციები საბჭოთა კავშირის საზღვარზე. 1941 წლის მაისში, როცა ომისათვის მზადება უკვე აშკარა იყო, გერმანელებმა ეს ნაწილები გააძლიერეს შვიდი დივიზიით, ხოლო რუმინელებმა თავის მხრივ კიდევ ოთხი დივიზია გაგზავნეს, მათ შორის—ერთი სატანკო.

გერმანია და რუმინეთი ასე შეთანხმებულად ემზადებოდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს დაადასტურა თავის ჩვენებაში რუმინეთის მაშინდელმა საგხედ-

რო მინისტრმა პანტაზიმ. მისივე თქმით, რუმინეთს უნდოდა ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის შემოერთება, ბაგრამ ეს მხოლოდ ომის დაწყებამდე იყო. როგორც კი ომი დაიწყო და გერმანელები ღრმად შეიჭრნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ანტონესკუმ წერილი მისწერა ჰიტლერს, რომ ის იღებს თავის თავზე დნესტრსა და დნეპრს შორის მდებარე ტერიტორიების კონტროლს. ჰიტლერს ანტონესკუ ისე ჰყავდა თითზე დახვეული, რომ მისი ნებართვის გარეშე ამას ვერ გაბედავდა, ამიტომ ითხოვდა ასე ქედმოდრეკილი, რომ „ფიუერერს" მისთვის მითითებები მიეცა თავისი უფლება-მოვალეობის შესახებ ამ ტერიტორიების „პოლიტიკური მართვისა და ეკონომიური ექსპლოატაციის საკითხში". ამასთანავე საკუთარი პოზიციები რომ გაემაგრებინათ, გერმანელების მიბაძვით, რუმინელებმა ამ დროებით დაპყრობილ ტერიტორიებს „ტრანსნისტრია" უწოდეს და გუბერნატორად გენერალი ალექსიანუ დანიშნეს, რომელმაც პირადად მიიღო ჰიტლერისაგან ნებართვის წერილი თავისი მმართველობის ქვეშ გაეერთიანებინა „გერმანელების მიერ დაპყრობილი ტერიტორიები დნესტრსა და დნეპრს შორის". ამით მარშალი ანტონესკუ მეშვიდეცას ეწია და განაცხადა:

— ახლა ყველასათვის ნათელია, თუ რა გონივრულად მოვიქეცი მე, როცა ჯერ კიდევ 1940 წლის ნოემბერში შევუთანხმდი ჰიტლერს საბჭოთა კავშირზე ერთიანი თავდასხმის შესახებ!..

...აქლემს რქა მოუნდა და ყურებიც დაკარგაო. ასე მოუვიდა ანტონესკუსაც. ქარის მოტანილი ქარმა წაიღო. წინდაუხედავად გაკადნიერებულმა მარშალმა თავისი არმიების უდიდესი ნაწილი სტალინგრადსა და ყირიმში დაღუპა. ვინც გადარჩა, იმათაც კალთები აიკრიფეს და დასავლეთისაკენ მოკურცხლეს. „დიდი რუმინეთი" ვერ შეიქმნა. უკან დარჩა არა მარტო „ტრანსნისტრია", არამედ ბესარაბიაცა და ბუკოვინაც. ისინი გარბოდნენ, საბჭოთა ჯარის ნაწილები კი უკვე თვით რუმინეთის ტერიტორიაზე განაგრძობდნენ შეტევას.

ჩვენც აქ პირველად მოგვიხდა მტრის ტერიტორიაზე მუ-

შაობა. მართალია, ჯერ არცთუ ისე დიდი ფართობი გვქონდა დაპყრობილი, მაგრამ მოსახლეობასთან მუშაობის პრაქტიკისათვის ესეც გვეყოფოდა. საჭირო იყო ადგილობრივი ხელისუფლების შექმნა, დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობისათვის ხელის შეწყობა და, საერთოდ, ნორმალური, მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება.

ეს არცთუ ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა, როგორც გვეგონა. მოსახლეობა, განსაკუთრებით ინტელიგენცია, ისე იყო დაშინებული მტრული პროპაგანდით, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხალისი აღარ ჰქონდათ. ამას არც სიტუაცია უწყობდა ხელს. ფრონტის ხაზი ჯერ სულ ახლოს გადიოდა. ჩვენი სარდლობა სწორედ აქ ახდენდა კოლოსალური სამხედრო ძალების კონცენტრაციას შეტევის გასავითარებლად. ამას მოწინააღმდეგეც გრძნობდა. ბოტოშანს დღეში რამდენჯერმე შეძრავდა საგანგაშო საყვირების ზრიალი, რაც მოსახლეობას ამცნობდა მტრის თვითმფრინავების მოახლოებას. განგაში ღამითაც გრძელდებოდა და ადგილობრივი მოსახლეობა სულ საჰაერო თავდასხმის შიშს განიცდიდა. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ძნელი იყო ცხოვრების ნორმალურ პირობებზე ლაპარაკი, მაგრამ სამხედრო კომენდანტები მაინც ცდილობდნენ სამოქალაქო ყოფის მშვიდობიან კალაპოტში ჩაყენებას. ჩვენებს უნდოდათ ყველაფრის ინიციატივა თვითონ რუმინელებს გამოეჩინათ და ისე მოეწყოთ თავიანთი ცხოვრება, როგორც უმრავლესობას სურდა. ჩვენი საქმე ხელისშეწყობა იყო და არა კარნახი. იმათ კი არცა სჯეროდათ, რომ საბჭოთა არმია არ აპირებდა მათს შინაურ საქმეებში ჩარევას. ასე ეგონათ, დაპყრობილ ტერიტორიებზე მაშინვე საბჭოთა წყობილება დამყარდებოდა. გვეკითხებოდნენ კიდეც, ადგილობრივ პრიმარიებს „საბჭოები“ დავარქვათ თუ არაო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგი ვიყავით. დასავლეთის რეაქციული პრესა უამისოდაც ავრცელებდა ხმებს, თითქოს „წითელი არმიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე კომუნისტური რეჟიმი“ მყარდებოდა. ამ საკითხით, როგორც გამოირკვა, ჩვენი დასავლეთელი მოკავშირეებიც დაინტერესდნენ და სამხედრო ინსპექცია მოითხოვეს.

ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ჯარების მიერ გათავისუფლებული რუმინეთის ეს მცირე ტერიტორია უცებ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორი „რეჟიმიც“ დამყარდებოდა ამ ტერიტორიაზე, ამით ცდილობდნენ გამოეცნოთ, თუ რა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შედეგები მოჰყვებოდა საბჭოთა არმიის წინსვლას სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში. საჭირო იყო ყველაფრის გათვალისწინება, რომ მტრულ პროპაგანდას პროვოკაციების საბაბი არ მისცემოდა. ისედაც ბევრს წერდნენ „ევროპის ბოლშევიზაციის“ შესახებ. ჩვენი მოკავშირეებიც შეშფოთებული იყვნენ. სამხედრო-პოლიტიკურმა დაზვერვამაც გააძლიერა მუშაობა. ახლა უკვე რამდენიმე სახელმწიფო ითხოვდა ინსპექციის უფლებას. ეს აჟიოტაჟი სხვებსაც გადაედო. ყველას უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა „იქ“, სადაც საბჭოთა არმიამ შედგა ფეხი. ახლომახლო უცხოეთის უამრავი „კორესპონდენტი“ დაძრწოდა. მათი გულისყურიც, ცხადია, ამ „ექსპერიმენტული ატლანტიდისაკენ“ იყო მიმართული...

ფერიდეს მოსასხამი...

იმ საღამოს შტაბში გამომიძახეს და უცხოეთის დელეგაციის მიღება დამავალეს. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემი მუშაობის პრაქტიკაში და, უნდა გამოვტყდე, ვღელავდი. ღამით რაღაც გეგმებს ვაწყობდი, „რეპეტიციას გავდიოდი“, ვემზადებოდი.

მეორე დღეს ოცდახუთი უცხოელი კორესპონდენტი ჩამოვიდა სხვადასხვა ქვეყნიდან, უმთავრესად, ინგლისიდან და ამერიკიდან. ყველა ამბობდა, კორესპონდენტი ვარო, თავიანთ გაზეთებსა და სააგენტოებსაც ასახელებდნენ, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მათ შორის დაზვერვის მუშაკებიც იყვნენ. ყველას ისევ ის ერთი საკითხი აინტერესებდა: „როგორი რეჟიმი მყარდება წითელი არმიის მიერ დაპყრობილ რუმინულ ტერიტორიაზე“.

პირველი ოფიციალური შეხვედრა ქ. ბოტოშანის პრე-

ფექტთან მოეწყო, მაგრამ არცთუ ისე მეგობრულ ვითარებაში, როგორც ჩვეულებრივად ამბობენ ხოლმე. მძიმე და მსუბუქი „არტილერიით“ — ფოტოაპარატებით, მინიატურული მაგნიტოფონებით, ბლოკნოტებითა და ფანქრებით შეიარაღებული კორესპონდენტები მიესივნენ ქალაქის პრეფექტურას. ყველა მომზადებული იყო პირველი დასცხრომოდა რამე სენსაციურ ამბავს და ემცნო ქვეყნიერებისათვის ცხელ-ცხელი ცნობები „ბოლშევიკების მიერ დაპყრობილი ტერიტორიიდან“.

ჩემს ნათქვამს, რომ წითელი არმია არ ერევა რუმინეთის შინაურ საქმეებში, როგორც ეს არა ერთგზის განუცხადებია-მეთქი საბჭოთა მთავრობას, დელეგაციის წევრების უმრავლესობა ირონიულად შეხვდა. ერთმა აყლაყუდა ამერიკელმა დემონსტრატიულადაც გააბრტყელა:

— ხა, ხა, ხა!.. გვჯერა... რა თქმა უნდა, გვჯერა!

მე წესრიგისაკენ მოვუწოდე მას და გავაფრთხილე: თუ კიდევ გაიმეორებდა ასეთ დემაგოგიურ გამოსვლას, დაუყოვნებლივ იქნებოდა გაძევებული.

„კორესპონდენტი“ ამას არ მოელოდა და ბოდიში მოიხადა.

ახლა მეორემ გამოიდო თავი და პრეფექტს ჰკითხა:

— რამდენი კაცი მუშაობს თქვენს პრეფექტურაში?

— ჯერ ცოტა, სულ ოცდახუთი, — უპასუხა პრეფექტმა.

— რამდენია მათ შორის კომუნისტი?

— ორი!

საოცარი ჩოჩქოლი ატყდა. ეს განცხადებაც ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. აშკარად ჩანდა, რომ არ სჯეროდათ. გაოცებული იყურებოდნენ და ხელებს ასავსავებდნენ. ზოგიერთები ჩუმად თვალსაც უკრავდნენ ერთმანეთს და ანიშნებდნენ: ხედავთ, როგორ გვატყუებენო.

ნამდვილად კი ასე იყო. ანტონესკუს რეჟიმის დროს რუმინეთში კომუნისტური პარტია არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა. ფარული ორგანიზაციების ქსელი ყველგან ვერა სწვდებოდა. მართალია, ბოტოშანში არსებობდა ასეთი ორგანიზაცია, რომელიც საკუთარ გაზეთს „კლოპოტულსაც“

უშვებდა, მაგრამ ქალაქის პრეფექტურაში მაინც ორი კომუნისტი იყო. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა „საბჭოთა რეჟიმის“ დამყარებას და არც სენსაციისათვის გამოდგებოდა, მაგრამ ამაში როგორ დააჯერებდით ამ ყბაღია კორესპონდენტებს, როცა წინასწარ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ კომუნისტების გარდა არავინ არ შეიძლებოდა საბჭოთა ოკუპაციის ზონაში მყოფი ქალაქის მმართველობაში ყოფილიყო.

ცოტათი რომ დაწყნარდნენ, რომელიღაც ინგლისელმა ჰკითხა პრეფექტს:

— თქვენ კომუნისტი არა ბრძანდებით?

— არა, მე უპარტიო გახლავართ, — მიუგო მან.

— ნამდვილად? — ჩაეკითხა ინგლისელი და ჩაეცინა.

— თავაზიანობა რომ არ მაიძულებდეს, განმეორებით კითხვაზე საერთოდ არ გაგცემდით პასუხს, სერ! — უპასუხა პრეფექტმა.

ასეთი პასუხიც მოულოდნელი იყო მათთვის. ინგლისელმა ისევ გაქვავებული სახე მიიღო. სხვებმა კიდევ დიდხანს უტრიალეს ამ საკითხს, ზოგიერთი მაინც თავხედობდა, მაგრამ ახლა უკვე პრეფექტიც შევიდა როლში.

— ბატონებო! ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ იმყოფებით თანამდებობის პირთან, რომლის განკარგულებას ყველა ემორჩილება ქალაქში! — მერე მე შემომხედა, ალბათ იფიქრა, ნამეტანი ხომ არ მოვიქნიეო, და დაუმატა: — გარდა სამხედრო-საოკუპაციო ძალებისა, რა თქმა უნდა!

— მეც მხარს ვუჭერ თქვენს განცხადებას, — დავეთანხმე მე.

— ეს ერთობლივი განცხადება შეთანხმებად ხომ არ მიგაჩნიათ? — მკითხა მოულოდნელად ინგლისელმა.

მე ვერ მივხვდი ამ „უაღრესად დიპლომატიური“ ფრაზის მნიშვნელობას, მაგრამ მაინც განზე გადგომა ვარჩიე:

— ყოველ შემთხვევაში, არა ისეთ დონეზე, რომ ეს პოლიტიკას ქმნიდეს.

ინციდენტი ამით ამოიწურა. სენსაცია არ მომხდარა. წინასწარ მომზადებული ბლოკნოტები და წვერმომახული

ფანქრები გამოუყენებელი დარჩა. თითო-ოროლა ფოტოსურათი გადაიღეს მხოლოდ და სხვა საკითხებზე გადავიდნენ.

განსაკუთრებულ აქტივობას ერთი ახალგაზრდა ქალი იჩენდა. იგი ინგლისურად ლაპარაკობდა, მაგრამ ინგლისელს არა ჰგავდა. კუპრივით შავი თმები ჰქონდა, ოვალური სახე და უზარმაზარი ლურჯი თვალები. ერთმანეთზე გადაბმული წვრილი წარბები კიდევ უფრო მეტ ეგზოტიკურ იერს აძლევდა მის გარეგნობას. სისხლივით წითელი, მუდამ ღია ტუჩები და შავგვრემან სახეზე უხვად დაყრილი ხალები მის აღმოსავლურ წარმოშობაზე მეტყველებდა. მართლაც, ეგვიპტელი აღმოჩნდა, სახელად ფერიდე, რომელიღაც მინისტრის ქალიშვილი, კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტი და შეთავსებით „ჟურნალისტი“. ბალკანეთის ქვეყნების ისტორიას ვსწავლობ და ამიტომ მაინტერესებს ეს საკითხებიო. თანაც გვთხოვა გაზეთებში არ გამოგვექვეყნებინა მისი ფოტოსურათი ან გვარი. მამაჩემის დაუკითხავად ვარ წამოსული ფრონტზე და, რომ გამიგოს, დამსჯისო. ეს თხოვნა ზედმეტიც იყო, რადგან არც არავინ აპირებდა მათ შესახებ ცნობების გამოქვეყნებას...

...საღამოთი მიღება გაიმართა. სამეურნეო საკითხებს ბეგი განაგებდა. მასპინძელთა შორის იყვნენ შტაბის უფროსი ოფიცრები. სტუმართაგანაც არავინ გვაკლდა. რუსულმა არაყმა უცებ დაავიწყა მათ პოლიტიკური საკითხებიც და სხვა მოვალეობაც. ის ეგვიპტელი ქალი ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი მოვიდა. სარი ეცვა, თანაც უამრავი სამკაული ეკეთა: ბეჭდები. სამაჯურები, საყურეები, ყელსაბამი და ბრწყინვალე დიადემა. ისე ლამაზი იყო, რომ უნებლიეთ ყველას ყურადღებას იპყრობდა. დელეგაციაში კიდევ ხუთიოდე ქალი მონაწილეობდა, ოღონდ ფერიდე ყველასაგან გამოირჩეოდა. ცოტა არ იყოს, უცნაურადაც კი მოჩანდა ფრონტზე ასე სარშემოხვეული და ძვირფასი სამკაულებით მორთული ქალი, და ისიც ამგვარი მისიით. მაგრამ მეჯლისზე ჩქარა იმასაც დაავიწყდა „ბალკანეთის ისტორიის“ საკითხები და უფრო თავისი ქალური მომხიბვლელობის დემონსტრაციით გაერთო. კეკლუცობდა, მარცხენა მხარზე გადადებულ სარის კალთას

წამდაუწუმ ისწორებდა და სრულიად „შემთხვევით“, რა თქმა უნდა, იმდენ სიშიშვლეს აჩენდა, რამდენიც საკმარისი იყო ყურადღების მისაქცევად.

ბეგი კინაღამ გაგიჟდა, ეს რა შემოუხვევია ამ ქალსო. უფრო ის აკვირვებდა, „შეუკერავი ფართალი“ ასე როგორ უმაგრდებაო ტანზე. მერე მე მკითხა:

— პარდონ, უფროსო, ეს ფართალი რომ უცებ ჩამოუვარდეს, თუ რამე დარჩება ტანზე?

ისე მეკითხებოდა, თითქოს ეგვიპტური ტანისამოსის სპეციალისტი ვყოფილიყავი, მაგრამ რაკი ბეგის „ყველაფრის მცოდნედ“ მივაჩნდი, მაინც „დარწმუნებით“ ვუთხარი:

— არაფერი!

— უ, ჰუ-ჰუუ!.. გაგიჟდება კაცი! — დაირტყა მუხლზე ხელი ბეგიმ, — აბა, ამის შემდეგ თვალს როგორ მოვაშორებ!

ამ „უ, ჰუ, ჰუუს“ ბეგი ისეთი გასაოცარი ინტონაციით წარმოთქვამდა, რომ ყველას გვეცინებოდა. ძალიან რომ გაუკვირდებოდა რამე, მუხლზე ხელს დაირტყამდა და, „უ, ჰუ... ჰუუო“, წამოიძახებდა.

ახლა კი თვალები სულ იმ ქალზე ჰქონდა მიშტერებული. მაგრამ არ იქნა და მოლოდინი არ გაუმართლდა—ის „ფართალი“ მაინც არ ჩამოუვარდა. წელზე რომ შიშველი ზოლი მოუჩანდა, ამით მისი ცნობისმოყვარეობა არ კმაყოფილდებოდა. მერე იმდენი მოახერხა, რომ საცეკვაოდ გაიწვია ის „ხალებიანი დელფინა“. ბეგის ცეკვა სულ არ აინტერესებდა, არც იცოდა რას ცეკვავდა. სადღაც ნაშოვნი ჟღრიალა პატეფონი ალთას მიდიოდა, ბეგი ბალთას, მაგრამ მთავარი ის იყო. რომ ამგვარად უფრო შეიძლებოდა ფერიდეს ტანისამოსის „საიდუმლოების“ გამოცნობა...

...მეორე დღეს დელეგაცია დოროხოიში წავიყვანეთ. მერე მთელი ის ტერიტორია მოვატარეთ. ამ მოგზაურობის დროს უფრო ეთნოგრაფიული საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე პოლიტიკურით. გულმოდგინედ სინჯავდნენ რუმინული ყოფის დამახასიათებელ დეტალებს, ძალიან მოსწონდათ ხის ნაკეთობანი და კერამიკა. დაინტერესდნენ

სახლების თავისებური ინტერიერით. აქ ძალიან უყვართ ფერადი ორნამენტები. ოთახები მორთულია ფერად-ფერადი ხალიჩებით, ნაქარგით, ყველგან — კედლებზე მაგიდებზე, საწოლზე თუ ზანდუკებზე — ნახავთ საინტერესო დეკორატიულ მოტივებს, დამშვენებულს რამდენადმე სტილიზებული გეომეტრიული ორნამენტით. ყველგან გვხვდება მოჭიქურებული თეფშები, დოქები და კედლებზე გაკრული ათასფრად მოხატული ლანგრები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ე. წ. „შავი კერამიკა". ჩვენი თანამგზავრი პარუმბაკუ გვიხსნის, რომ აქ დღემდე შემონახულია ბერძნულ-რომაული გავლენა, მომეტებულად—მოჭიქურებული წითელი თიხის კერამიკისა და ლურჯი კობალტის სახით.

სტუმრები აივსნენ სუვენირებითა და კმაყოფილნი დაბრუნდნენ ბოტოშანში. მოსახლეობასთან გულახდილმა საუბარმაც, როგორც იქნა, დაარწმუნა ისინი, რომ რუმინეთის არავითარი „ბოლშევიზაცია" არ ხდებოდა.

გამოსათხოვარმა საღამომ, როგორც იტყვიან ხოლმე, „გულთბილ ვითარებაში" ჩაიარა. ფერიდემ რაღაც ეროვნული ცეკვაც შეასრულა. ამ „სკრუპულოზური სილამაზის" შემყურე ბეგის ნიანგივით თვალებზე მოსდიოდა ნერწყვი. მასთან ცეკვის დროს, როგორც მერე გამოგვიტყდა, ხელიც გავაცოცეო ტანზე შემოხვეული ქსოვილისაკენ, მაგრამ ისე აქვს შემოჭერილი, ნამდვილად მიწებებული უნდა იყოსო...

ის კი არ იცოდა, ფერიდეს ხელის ერთი განძრევა რომ კმაროდა იმ „შეუკერავი ფართლისა" და მასთან ერთად აღმოსავლური მორცხვობის უკანასკნელი ნაშთის ძირს დასაფენად...

დილით დელეგაცია გაემგზავრა ბოტოშანიდან და ამით დამთავრდა ჩემი პირველი „დიპლომატიური მისია"...

ჩარიტას ვარიანტები...

საომარი ოპერაციები რომ მოახლოვდა, „მფრინავმა ფილარმონიამ" და „ფრიცების უნივერსიტეტმა" გააძლიერეს მუშაობა.

როცა გერმანული გადაცემები ეწყობოდა, მფრინავ ანატოლისთან ერთად მეც ხშირად მივდიოდი. ფრონტის ხაზს გადავიფრენდით თუ არა, მაშინვე ვიწყებდით გადაცემას. სანამ მუსიკას გადავცემდით, ერთხელაც არ გვესროდნენ, იყვნენ გასუსულნი და უსმენდნენ სიმღერებს, უმთავრესად „ლილი მარლენსა“ და „მაინ ლიბერ აუგუსტინს“. მუსიკა რომ შეწყდებოდა და ფრონტის ამბების გადაცემას შევუდგებოდით, ფრიცები მაშინვე ატეხდნენ სროლას ტყვიამფრქვევებითა და ავტომატებით. მერე საზენიტო არტილერიაც ამუშავდებოდა. პროექტორებიც ცდილობდნენ ჯვარედინი სინათლით დავეჭირეთ, მაგრამ „პო-2“-ს ისეთი ჩინებული მანევრირება შეეძლო, რომ პროექტორები და საზენიტო არტილერია ვერაფერს ხდებოდა. ერთხელ მაინც დაგვიჭირეს სინათლის ჯვარედინი ისრებით. თავის დაღწევა ძნელი იყო და ანატოლიმ თვითმფრინავი პირდაპირ პროექტორებისაკენ წაიყვანა. საზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, მთელი თავისი ყუმბარების მარაგი დააყარა ფრიცებს და მოკითხვის ფურცლებიც გაუგზავნა. ვიდრე პროექტორები ისევ დაგვიჭერდნენ, ანატოლი სამშვიდობოს გავიდა. ფრონტის ხაზს რომ მივუახლოვდით, ისევ მუსიკა ჩავრთეთ და „ლილი მარლენის“ სიმღერით დავბრუნდით აეროდრომზე.

აქ კი გავიგე, რომ თვითმფრინავს ფრთები სამ ადგილას ჰქონდა ტყვიით გახვრეტილი, ხოლო ანატოლი დაჭრილი იყო, თითქოს მსუბუქად, მაგრამ ჭრილობა არც ისე იოლი აღმოჩნდა და ორი დღის შემდეგ ჩვენთან ახალი მფრინავი გამოგზავნეს... ქალთა საჰაერო ლეგიონის ყოფილი მებრძოლი ფროსია შერემეტიევა...

...არიან ადამიანები, რომელნიც ყველაფერს ხალისით აკეთებენ და არც არაფრის ეშინიათ. ასეთებისათვის შრომის თუ ბრძოლის ყოველი ეპიზოდი თავისებური შემოქმედებაა. ისინი ისე არიან გატაცებულნი თავიანთი საქმის რომანტიკით, რომ სხვას ყველაფერს თმობენ და ყოველგვარ ხიფათს ხალისით ხვდებიან. ასეთი იყო ჩვენი ახალი მფრინავიც. მას თან მოჰყვა ლეგიონისათვის დამახასიათებელი ონავრობა. ყვე-

ლა თავისებურად კარგავს ჭკუასო, ამბობდა ის და კაპიტან ბეგის ბაძავდა. თუ ბეგი „ფრანგულ“ სიტყვებზე გიჟდებოდა, ფროსია—სახელებზე. რა სახელიც მოეწონებოდა, იმას ირქმევდა.

— ბრწყინვალე შთამომავლობის ქალი გახლავარო, გრაფის ასული შერემეტიევა, და ეს „გლეხური“ სახელი — ფროსია არ შემეფერებაო, — ხუმრობდა ის. ამიტომ განყოფილებაში ზოგი „გრაფის ასულს“ ეძახდა, ზოგიც—„ბარონესას“.

პაოლოსი არ იყოს, მისი სტიქიაც სიცილი იყო. ბევრი ლაპარაკი არ იცოდა, მაგრამ არც გაჩუმება შეეძლო. ამიტომ, ჰქონდა მიზეზი თუ არა, სულ იცინოდა. მარტო რომ დარჩებოდა, მაშინაც აიტეხდა სიცილს. რა გაცინებს ამდენსო, რომ ჰკითხავდნენ, თავში ტუტუცური აზრები მომდის და ის მაცინებსო, უპასუხებდა. ზოგჯერ უფრო „სერიოზულ“ მოტივსაც დაასახელებდა: მოთმინება არ მყოფნის და იმიტომო. სხვებსაც ურჩევდა: იცინეთ, თქვე სულელებო, ხომ ხედავთ, სიცილში დრო უფრო ადვილად გადისო.

— ქვეყანა ამისათვისაა გაჩენილი, — თქვა ერთხელ პაოლომ: — ომი ისე გათავდება, რომ ეს სარეკელა ვერც გაიგებს, რა უბედურება ტრიალებდა ქვეყანაზე. ისე იქცევა, თითქოს თეატრში იყოს და წარმოდგენას უყურებდეს.

ტრაინინმა კი ისევ რომელიღაც ბრძენის სიტყვებით განაზოგადა ბარონესას ხასიათი:

— ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, დედაკაცები მაშინ იცინიან, როცა შეუძლიათ, და ტირიან, როცა უნდათო, ტუტუცები კი ყველაფერს უკუღმა აკეთებენ. ეგ ღობის ძირას დაბადებულიც, ხომ ხედავთ, ყოველთვის იცინის, როცა უნდა, ტირილი კი სულაც არ შეუძლია, რადგან არც აწუხებს რამე!

ეს რომ თქვა, პარუმბაკუს გადახედა და ამჯერად ეკლეზიასტეს სიტყვები ჩაიღიღინა:

— ვითარცა ხმა ეკალთა ქუეშე სიავისა, ეგრევე სიცილი უგუნურთა.

ამაში კი დაეთანხმა მას „სოლომონ ბრძენი“ და თავისი კერპის სიტყვებითვე აუბა მხარი:

— დიახ, დიახ, სიცილი უგუნურთა ჰყოფენ ბოროტთა!..

...„ბარონესა“ მართლაც ბევრს იცინოდა, მაგრამ უგუნური სულაც არ იყო, მით უმეტეს—ბოროტი. ისე, ბევრი არაფერი აწუხებდა და არც „სერიოზულ რამეზე“ ფიქრობდა. ყოველივე ადვილად სიცილით იტანდა. დაბომბვის დროს ერთი წუთით გაიტრუნებოდა, მერე ისევ სიცილს აიტეხდა ან ვინმეს დასცინოდა.

— ეი, ბუბლიკ, შე საცოდავო, შიშისაგან ისე დაპატარავდი, რომ ვერც დაგინახე, — ეტყოდა ყველაზე ტანმორჩილ ლეიტენანტს. ვისაც ყბის ქვეშ მოიქცევდა, არ მოეშვებოდა და თავბედს აწყევლინებდა. სამაგიეროდ, ვინც ხასიათს შეუწყობდა და მასთან ერთად იცინოდა, ძმაბიჭად თვლიდა, უხასიათოებს კი „უკმურსა“ და „მკავე კომბოსტოს“ ეძახდა.

ერთი მარტო ბეგი ამოდიოდა „ბარონესას“ „ოხტში“. იმის მეტის „ბარონესას“ არავისი ეშინოდა, გვარდიელი იყო და ამით ამაყობდა კიდეც:

— ეი, შენ, ხომ იცი, გვარდიასთან გაქვს საქმე, — შეუტევდა რომელიმე „მკავე კომბოსტოს“ და საჩხუბრადაც მიწვევდა.

გვარდიელობა მხოლოდ მაშინ ავიწყდებოდა, როცა ბეგი ქამარს შეიხსნიდა და გამოუდგებოდა....

...საკმარისი იყო „ბარონესა“ ერთი წუთით ჩაფიქრებულიყო, რომ მაშინვე ჰკითხავდნენ:

— რაზე ფიქრობ, ბარონესა?

— ეჰ, წითელი ჩექმები მინდა მქონდეს! — თან გრძელ ფეხებს გაჭიმავდა და დააყოლებდა: — მომიხდება, არა?

— დაგხატავს, მეტი არაფერი გაკლია!..

—„ბარონესამ“ იცოდა, რომ სხვაც ბევრი აკლდა. მოხდენილი ტანის პატრონს უშნო სახე ჰქონდა, თუმცა იმდენად უშნო არა, რამდენადაც სასაცილო: ზედმეტად აპრეხილი ცხვირი, გადმობრუნებული ლოყები და უსაშველოდ ამობურცული ტუჩები — ყველაფერი ერთ ხაზზე ჩამოსწორებული. დაჯდებოდა სარკის წინ და ხან ცხვირს ისწორებდა ხელით, ხან ლოყებს. ერთხელ ტრაინინმა უთხრა, ეგ რას გიშველის,

სულერთია, შენს დაბადებაზე ამურს ცხვირი არ დაუცემინებიაო.

ჩარიტა ვერ მიხვდა რას ნიშნავდა ეს. მერე პაოლომ აუხსნა: ძველი რომაელები ამბობდნენ, „ლამაზი გოგო რომ დაიბადება, ამური ცხვირს დააცემინებსო“. ჩარიტამ ეს იგივი თავისებურად გაიგო და, ლამაზ გოგოს რომ დაინახავდა, ცხვირს განგებ დააცემინებდა.

მერე მთარგმნელ ვალიას შეუჩნდა, რად უნდა ასეთი ლამაზი სახე რომ აქვს, სულერთია, ტანი მაინც ტიკინას მიუგავსო.

ის ვალიაც დიდი არაფერი მარიხ-ვარსკვლავი იყო, მაგრამ ისეთი მწარე ენა ჰქონდა, რომ „ბარონესას“ ვალში არა რჩებოდა და ზოგჯერ ხურდასაც უბრუნებდა:

— ღმერთს რომ ჭკუა ჰქონდეს, შენს ჩამოქნილ ტანს ასეთ სულელურ თავს როგორ დაადგამდაო...

...ერთხელ, რაღაც ეშმაკად, „ბარონესას“ ინდური თქმულება ვუამბე ორი ვაჟის — ნანდასა და შრიდემანის შესახებ. ნანდას მშვენიერი სახე, მაგრამ უშნო ტანი ჰქონდა, შრიდემანს პირიქით — მშვენიერი ტანი და უშნო სახე. ორივეს ერთი გოგო — ზიტა უყვარდა. ზიტამ ნანდა აირჩია და ცოლად გაჰყვა. შრიდემანი ბედს შეურიგდა, მაგრამ ზიტა ვერ დამშვიდდა. როცა ნანდასთან იყო, სულ შრიდემანის მშვენიერი ტანი ელანდებოდა. ნანდამ ეს რომ შეამჩნია, შეურაცხყოფად მიიღო და ყელი გამოიჭრა. შრიდემანმა თავისი მეგობრის უბედურება რომ გაიგო, იგივე გააკეთა. ზიტასაც თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ღმერთქალმა შეაჩერა და დაარიგა: მოჭრილი თავები ისევ მიადგი სხეულებს და ორივეს გავაცოცხლებო.

ვინ იცის, შეცდომით, თუ განგებ, ზიტამ ნანდას თავი შრიდემანის ტანს მიადგა, ხოლო შრიდემანისა — ნანდასას. ახლა ის ნანდას მშვენიერი თავისა და შრიდემანის ასევე მშვენიერი ტანის ბედნიერი ცოლი იყო...

ამ ლეგენდას კიდევ აქვს გაგრძელება, მაგრამ „ბარონესას“ ეს არ აინტერესებდა. ამაზე კი ნამდვილად გაგიჟდა. დიდ-

ხანს სიცილს ვერ მოერია. მერე, როგორც იქნა, დაწყნარდა და თქვა:

— უი, რა კარგია, ახლა მეც შევადგენ ვარიანტებს!..

მაგრამ უცებ ხასიათი შეეცვალა.

— რა გასაგიჟებელი ამბავია და მე კი ვერავის ვუამბობ, — თქვა გულდაწყვეტილმა.

— რატომ? — ვკითხე მე.

— ეს რომ ჩვენებს ვუამბო, ზიტას შემარქმევენ.

— მერე რა უჭირს?

— ხომ არ გაგიჟდი, ზიტა მაიმუნის სახელია!

გამოსავალი უცებ ვიპოვე:

— აბა, მითხარი, ყველაზე უფრო რა სახელი მოგწონს?

არც დაფიქრებულა, ისე წამოიძახა:

— ჩარიტა!.. ბოშა ქალს ჰქვია დოროხოიში.

— შენც აიღე და, როცა ამ ამბავს მოყვები, ზიტას მაგივრად ჩარიტა თქვი.

— არ გამცემთ?

— არა!

— გვარდიული სიტყვაა?

— გვარდიულია!

გაიქცა და ყველას ყურები გამოუჭედა ამ ლეგენდის მოყოლით. თვითონაც დაიწყო „ვარიანტების შედგენა". ყოველდღე მოჰქონდა „იდეალური ერთის" ახალი ნიმუში: ამისი თავი, იმისი ტანი! არა, ამისი ტანი, იმისი თავი და ა. შ.

თუ იმ ტანმორჩილ ლეიტენანტს მოჰკრავდა თვალს, მიუსამძიმრებდა:

— უი, ბუბლიკ, შე საცოდავო, რამდენი ვარიანტიც არ შევადგინე, შენი არაფერი გამოდგა, არც თავი, არც ტანი... არაფერი!

— ჩემი? — შეეკითხა „მერვე ბრძენი" ტრაინინი.

ჩარიტა არც დაფიქრებულა:

— შენგან და ბუბლიკისაგან ერთ ვარიანტს შევადგენ და ვალიას გავუგზავნი, მეტის ღირსი არცაა...

სამაგიეროდ სურვილი აუხდა: ყველამ ჩარიტა შეარქვა.

— ეი, ჩარიტა! — დაუძახებდნენ, — ამ საღამოს ვიცეკვოთ?

— ნაშუაღამევს ჯობს, თუ არ დაგეძინა, შე დონდლო, შენა!

— ჩარიტა, ჭკუა არ მოგემატა?

— როგორ არა, სწორედ იმდენი, რამდენიც შენ დაგაკლდა!..

...ერთხელ ჩარიტა იმ „უქმურმა“ გენერალმა დასაჯა საჰაერო ხულიგნობისათვის. გზაში ოფიცრებით სავსე საბარგო მანქანას აედევნა თვითმფრინავით. ისე დაბლა გადაუქროლებდა თავისი „იხვით“, რომ ოფიცრები იძულებული იყვნენ „თავი მოეჭრათ“. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ! უკან თურმე გენერალი მოდიოდა ვილისით და... ჩარიტა დაისაჯა.

— მაგ უქმურისაგან მეტს რას უნდა მოელოდე! — ბუზღუნებდა ჩარიტა, მაგრამ თავს ინუგეშებდა, როცა იქნება, გადავუხდიო: თუ სადმე შოსეზე დავიჭირე თავისი ვილისიანად, მე მაგას დავაუთოებ თვითმფრინავის ბორბლებითო. ბიჭები კი აქეზებდნენ, თუ გენერალს გააცინებ, წითელ ჩექმებს გიშოვითო.

— ნაძლევი! — თქვა ჩარიტამ.

— მოდის! — უთხრეს ბიჭებმა.

— რაზე?

— რაც გინდა!

— წითელ ჩექმებზე!

— არის. შენ თუ წააგე?

— პირობა დადოს, რომ ერთი კვირა არ გაიცინებს, — თქვა ვიღაცამ.

— კაცო, წელიწადში ერთხელ აქლემიც გაიცინებს, იმ გენერალს რა სჭირს ასეთი, — ჩაერია ლაპარაკში ტრაინინი.

გენერლის გაცინება მართლაც ძნელი საქმე იყო, მაგრამ ჩარიტამ მაინც იკისრა ეს ძნელი ვალდებულება...

...მერე გამოაცხადა, ჩემი დაბადების დღეაო. ფრონტზე დაბადების დღე ვის ახსოვს, მაგრამ ჩარიტა ამაშიც გამონაკ-

ლისი იყო. მთელი დღე სამზარეულოში ტრიალებდა და ემზადებოდა. მზარეულმა, რომელსაც ჩარიტამ „ლოქო“ შეარქვა, ვეღარ გაუძლო, ეზოში გამოვარდა და იყვირა:

— ეს ეშმაკის ნაბუშარი მომაშორეთ, თორემ ამაღამ ყველას მშიერს დაგტოვებთ!

საღამოთი მართლაც სტუმრობა გაიმართა. ჩარიტა ყველას უყვარდა და ყველა თავისებურად ესალმებოდა:

— ჩარიტა, შენ კუთხეში დადექი, რომ მაგ აპრეხილ ცხვირზე ფარაჯები ჩამოვკიდოთ!

— კი, ძვირფასო, ოღონდ შენ იატაკზე დაწექი, რომ ფეხები დაგახოცოთ, სხვად არაფრად ვარგიხარ!

მერე მზარეული შემოვიდა:

— გამათავა კაცი ამ სარეკელამ, — გამოაცხადა მან. — ვინც ამასთან თუნდაც ერთ დღეს გაძლებს, მთავრობის ჯილდო ეკუთვნის.

— ლოქოს ორდენით დამიჯილდოებიხარ! — გაახარა ჩარიტამ.

ყველასათვის მოულოდნელად გენერალიც მოვიდა. ჩარიტამ უკლო ონავრობას. მაგიდას აწყობდა და თავისთვის ბუტბუტებდა:

— ეს მე გავაკეთე, ეს — ლოქომ, ეს — მე, ეს — ლოქომ...

— ნაძლევზე როგორა ხარ? — შეახსენეს ჩარიტას.

— არის სიცილი! — გამოაცხადა მან...

...გენერლის იქ ყოფნის გამო სუფრას სერიოზულობა არ აკლდა. ჩარიტა დაიტანჯა თავშეკავებით. ღვინოსაც არ მიეკარა, ისედაც ტუტუცი ვარ და სულ გავტუტუცდებიო. მერე შეკვეთა მიიღო, აბა, მაგიდის წევრებისაგან „იდეალური ვარიანტი“ შეადგინეო. ჩეხოვიც გაიხსენეს: ამის თვალი, იმის ცხვირი და სხვა.

ჩარიტამ ფანქარი და ქაღალდი მოიტანა. სხვები რომ „პილატეს ცრემლებს“ აშრობდნენ, ის იჯდა თავჩაღუნული და ფანქრის თავს ღრღნიდა. ხანდახან წამოიკივლებდა, სიცილს

აიტეხდა და რაღაცას ჩაიწერდა. ბოლოს „ვარიანტი“ მზად იყო, მაგრამ ყველაფერი შეებრუნებინა: ვისაც რამე ცუდი ან სასაცილო ჰქონდა, იმის კომბინაცია გაეკეთებინა. წაიკითხა და ქაჩალს ქოჩორი მოუწონა, უკბილოს — კბილები, ცხვირას — ცხვირი, ღიპიან ლოქოს — წერწეტა წელი, ის ყუსპარა ბუბლიკიც გააბედნიერა და ახოვანება შეუქო, სხვებსაც კიდევ — სხვა რაღაცეები.

ყველა იცინოდა გენერლის გარდა. ის ისევ შუბლგაუხსნელი იჯდა და სახეზე ღიმილის ნატამალიც არ ეტყობოდა. ჩარიტა გულზე გასკდა, წითელი ჩექმები დამეკარგაო. ამ დროს გენერალმა დინჯად და სერიოზულად, როგორც მის სამხედრო წოდებას შეეფერებოდა, წარმოთქვა:

— ამხანაგო გვარდიის ლეიტენანტო, ყველა შეგიტანიათ თქვენს ვარიანტში ჩემ გარდა, რატომ? — და თავის დასმულ კითხვას თვითონვე გასცა პასუხი: — იქნებ იმიტომ, რომ ჩემი არაფერი მოგეწონათ?

— უი, როგორ არა, — არ დაიბნა ჩარიტა, — თქვენი ღიმილი მოგვწონს ყველას!

საერთო სიცილი ატყდა. გაეცინა გენერალსაც. ჩარიტა ცას ეწია სიხარულით:

— ეი, ბიჭებო, ნაძლევი მოვიგე, ახლა წითელი ჩექმები თქვენზეა.

შემდეგ გენერალსაც ვუამბეთ ამ ნაძლევის ამბავი. ჩვეულებას უღალატა და ბევრი იცინა. შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ მართლაც შეეძლო სიცილი.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩარიტამ წითელი ჩექმები გენერლისაგან მიიღო საჩუქრად...

მირჩო და 95 ჯარისკაცი...

რაკი ჩვენი ფრონტის წინ რუმინული არმიაც იდგა, „მფრინავი ფილარმონიის“ გადაცემები მათ ენაზედაც მიმდინარეობდა. ბეგიმ თავისი შესაფერი საქმე იშოვა: იგი „პოპესკუების პროპაგანდის მინისტრად“ დაინიშნა. ისე უყვარ-

და ამ „მფრინავ ფილარმონიაზე“ მუშაობა, რომ ორჯერ დაჭრის მიუხედავად მაინც არ ეშვებოდა.

ყველაზე ხშირად მოქმედი საჰაერო წყვილიც იმ დროს ბეგი და ჩარიტა იყვნენ. ისინი ჰაერშიც კინკლაობდნენ.

— ბეგი, შენ მიკროფონი რად ვინდა, რუპორი გაქვს გადაყლაპული და ისე ღრიალებ, პოპესკუები ისედაც გაიგონებენ (ჩვენს ფრონტზე გერმანელებს თუ „ფრიცებს“ ეძახდნენ, რუმინელებს — პოპესკუებს, რადგან ეს ძალიან გავრცელებული გვარია რუმინეთში).

მერე მათ შორის საერთო ენაც გამოინახა. იცოდა რა ბეგის „სისუსტე“, ჩარიტა თვითმფრინავის ნაწილების „ფრანგული“ სახელებით ამდიდრებდა მის ლექსიკონს. კმაყოფილი ბეგი ჩარიტას მხარზე ხელს დაჰკრავდა და ეტყოდა:

— ფუზელაჟ!..

— შასი! — მიუგებდა ჩარიტა და, პაოლოს რჩევით, მახვილს გაგრძელებულ „ი“-ზე აკეთებდა, რომ უფრო „ფრანგული“ გამოსულიყო.

ბეგის ისე მოეწონა ეს „შასი“, რომ „მერსიზე“ ხელი აიღო და, თუ ვინმესათვის მადლობის გადახდა უნდოდა, ამ ახალ „ფრანგულს“ იყენებდა. თან ისე გაბრტყელებულად იტყოდა „შასიიი, ძვირფასოო“, რომ ჩარიტა სიცილით კვდებოდა. ამისთანებში არც თვითონ ჩამორჩებოდა „თავისი ჭკუის კოლეგას“. გვერდში ერთ „გვარდიულ მუშტს“ უთავაზებდა და მიაყოლებდა:

— ანტრეკოტ, შე ღვთის დაკარგულო!..

ბეგი გიჟდებოდა ამ სიტყვაზე. რაც კი საჭმელი მოეწონებოდა, ყველაფერს ანტრეკოტს ეძახდა. სასადილოში რომ შემოვიდოდა, განგებ ჰკითხავდნენ:

— დღეს რას მიირთმევთ, ბატონო ბეგი? — ვითომ მართლაც რამე ჰქონდათ ასარჩევი.

— ანტრეკოტს, — მიუგებდა ბეგი და „ლოქოს“ შეთითხნილ გულიაშს მიუჯდებოდა. ჩარიტაც მაშინვე მიუსკუპდებოდა და სთხოვდა, ანტრეკოტზე დამპატიჟეო. თუ ბეგის გული მოუვიდოდა, „თვითმფრინავის ფრანგულით“ შეირ-

გებდა, სამაგიეროდ ბეგი ბენზინის უფრო „სოლიდურ“ ნორმას უწერდა.

გადაცემის პროგრამა და ტექსტები წინასწარ დგებოდა, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ბეგი ხშირად არღვევდა ამ პროგრამებს და საკუთარი „შემოქმედებაც“ შეჰქონდა „რეპერტუარში“, მაგალითად, ასეთი:

— ეი, პოპესკუ, დუმიტრესკუ, რა გინდათ აქ, თავს რომ იკლავთ ფრიცებისათვის, დაყარეთ იარაღი და წადით შინ!

თუ რუმინელები მაინც სროლას აუტეხდნენ, ბეგი მთელი თავისი ბილწსიტყვაობის მარაგს გადმოალაგებდა მიკროფონში.

გავიგეთ და დავსაჯეთ. ამის შემდეგ „მფრინავ ფილარმონიაზე“ აღარ ვუშვებდით, რადგან კონტროლის საშუალება არ იყო. ბეგიმ ყურები ჩამოყარა. შეგვეცოდა და „ფრიცების უნივერსიტეტის პროფესორად“ დავნიშნეთ. იცოდა, რომ ესეც ხუმრობა იყო, მაგრამ მაინც შეიფერა. ჯერ ერთი, „ფრანგული“ სიტყვების ხმარებას უმატა, მეორეც, გამომეტყველება მიიღო „უფრო სოლიდური“.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო პროფესორო? — ჰკითხავდა პაოლო.

—იძპოზანტ! — უპასუხებდა ბეგი.

— ლექცია როდის გაქვთ?

— აკურატ თერთმეტ საათზე!..

ბეგის, მართალია, „მფრინავი ფილარმონია“ ერჩია ამ „ბორბლებიან კუბოს“, მაგრამ რას იზამდა, ჩქარა ამასაც შეეგუა. ერთხანს გულმოდგინედ იმუშავა და სარდლობის მადლობაც დაიმსახურა...

...იმ დღეს ბეგი წავიდა რუმინელების „გასანათლებლად“ და მეც წავყევი მეთვალყურედ. ტყვეების დაკითხვის წყალობით ზუსტად ვიცოდით, რუმინელთა რომელი ნაწილი იყო ჩვენი „აუდიტორია“. ბეგის უკვე იმდენი ტყვე ჰყავდა ამ ნაწილიდან დაკითხული, რომ მეთაურებისა და ზოგიერთი ჯარისკაცის გვარიც იცოდა და „ლექციაც“ ამის მიხედვით

ჰქონდა მომზადებული. ჯერ სამასი მეტრის სიშორეზე გამართა რეპროდუქტორები და გამოუცხადა:

— რუმინელებო, ჩემო ძმებო და მეგობრებო!—აქ მან მიკროფონს ხელი დააფარა და გვერდზე გადააფურთხა, მერე, გაწყდა თქვენი სახსენებელიო, ჩაილაპარაკა, იმათთვის კი ხმამაღლა თქვა: — ძალიან კოლოსალური რამ მაქვს სათქმელი და, თუ სროლას არ ასტეხთ, უფრო ახლოს მოვიწევი, რომ უკეთ გაგაგონოთ ყველაფერი.

ცხადია, იქიდან პასუხს არავინ აძლევდა, მაგრამ არც ისროდნენ. ბეგიმ ეს თანხმობის ნიშნად მიიღო და ორას მეტრამდე მიუახლოვდა მოწინააღმდეგის პოზიციებს.

— რუმინელებო, — გაიმეორა მან, — ახლა უფრო ახლოს ვარ, ხომ უკეთ გესმით? იმპოზანტ! თუ გინდათ, შემიძლია უფრო ახლოს მოვიწიო, მაგრამ პირობა პირობაა, სროლა არ იყოს!..

ისევ სიჩუმე იდგა და ბეგი ახლა სულ რაღაც ასი მეტრის მანძილზე მიუჩოჩდა თავის „პოპესკუებს“. აქედან, ცხადია, უკეთ შეიძლებოდა „ლექციის“ კითხვა. ბეგიმ ჯერ დაწერილი მიმართვა წაიკითხა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მერე მუსიკა მოასმენინა, ამასობაში მე „მომირიგდა“, ორიოდე სიტყვას ჩემით ვეტყვიო. დავეთანხმე, მაგრამ მთარგმნელი ვერონიკა იქვე რუსულად მეუბნებოდა, რასაც ის „თავისით“ გადასცემდა პოპესკუებს.

— მირჩო ტატარესკუ, ხომ გესმის ჩემი, მე კაპიტანი ბეგი ვარ, ადიუტანტ!.. ვიცი, ოცეულის ბედი შენს ხელშია, შენ ხარ მეთაური, ამიტომ გეუბნები: ან ახლავე გადმოდი შენი ოცეულიანად ჩვენს მხარეს, ან სულერთია... შენი საქმე გათავებულია: სადაც არ უნდა წახვიდე, მოგძებნი და ხეზე ჩამოგკიდებ, შე აყლაყუდავ! ბონაპარტ, საკრამენტო! მაგ საწყალ ჯარისკაცებს რომ ახოცვინებ იმ ოხერი ფრიცებისათვის, მერე სად მიდიხარ? მე ჩემი გითხარი, შენ კი, როგორც გინდა, ისე გადაწყვიტე. გიცდი სკრუპულოზურად ნახევარ საათს. თუ ვნახე თეთრი დროშა, ხომ კარგი, სულ ანტრეკოტებს გაჭმევ, არადა, მერე შენ იცი!..

ოცი წუთის შემდეგ მირჩო და მისი 95 ჯარისკაცი გად-

მოვიდნენ ფრონტის ხაზზე და ხიშტებზე წამოცმული თეთრი პერანგების ფრიალით ეახლნენ ბეგის. ბეგი სიხარულით ცას ეწია, ძველი მეგობარივით მიესალმა მირჩოს, ჯარისკაცებიც გაამხნევა, მერე ათეულებად დააწყო და წამოიყვანა...

ასეთი შემთხვევები გახშირდა, მაგრამ ძერე ბეგის აქაც დაემართა „კონფუზი". ერთხელ, როცა „პოპესკუების" ნალმმა მის „უნივერსიტეტს" სახურავი ააგლიჯა, ისევ შეიგინა მიკროფონთან. მართალია, „დელიკატურად" შევიგინეო, ამტკიცებდა, მაგრამ არ დავუჯერეთ და ამით დამთავრდა ბეგის „პროფესორული" მოღვაწეობა „ფრიცების უნივერსიტეტში"...

შიშნარევი სიამოვნება...

ჩვენ კი ისევ ფრენის მანიამ შეგვიპყრო. ერთი სოფლიდან მეორეშიც საკუთარი „ფილარმონიით" მივფრინავდით. აეროდრომი იმას არ სჭიროდა და დასაფრენი მოედანი. სადაც მოისურვებდა, იქ ჯდებოდა: მინდორში, ფართო ქუჩაზე, სახლის გვერდით. ოღონდ პატარა სწორი ადგილი ეპოვნა და სხვა არაფერი უნდოდა. ეს „ეშმაკიც". ალბათ, იმიტომ შევვიჯდა გვერდებში, რომ ერთი ადგილის ტკეპნა მოგვწყინდა. ასეთ შემთხვევაში როგორღაც ინერციიდან გამოდიხარ. სამხედრო ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს ეღიშები და თავს უხერხულად გრძნობ. გინდა რაღაც გააკეთო ისეთი, რაც შეტევის დროს ხდება, რადგან ეს უკვე ჩვეულებად გაქვს ქცეული. ასე იყვნენ ჩვენი ფრონტის მებრძოლებიც. საღავედაჭერილი ბედაური მინახავს, ადგილზე რომ ტრიალებს, ცმუკავს, ლაგამს ხრავს, უნდა თავი აიშვას და ისევ წინ გავარდეს. ყველას უნდოდა თავიანთი „ცხენებისათვის" სადავე მიეშვა, მაგრამ სარდლობას საკუთარი გეგმა ჰქონდა და აღვირიც მაგრად ეჭირა. ბედაურები კი ისევ ლაგამს ხრავდნენ. რუმინეთის გათავისუფლებული მცირე ტერიტორია ნაბადივით იყო მათ ფეხქვეშ გაშლილი და ისინიც თითქოს ამ ნაბადზე აცეკვებდნენ ცხენებს, ვიდრე სადავეს მიუშვებდნენ და შეუძახებდნენ.

წინ კი მთელი რუმინეთი გვედო, მისი დედაქალაქი ბუქარესტი — „მეორე პარიზი“. გული ყველას იქით მიგვიწევდა. გვინდოდა ამ ზღაპრულ ქალაქში შესვლა და მის ტრიუმფალურ თაღქვეშ გავლა. ბეგი გვიხსნიდა, რომ იქ მხოლოდ მეფეები და მისი საპატიო სტუმრები გადიანო, მაგრამ ომმა დაანგრია ეს წესები. ახლა ჩვენც შეგვეძლო იმ თაღქვეშ გავლა. თუმცა არც მეფეები ვიყავით და არც მათი საპატიო სტუმრები...

...ის დღეები სულ აეროდრომზე ვიყავით. დღისით „მფრინავ ფილარმონიას“ ვამზადებდით „საგასტროლოდ“, საღამოს კი ფრიცების „გასანათლებლად“ მივფრინავდით. იმ დღესაც აეროდრომზე გავედი. ისეთი მაცდური დარი იდგა, როცა ადამიანს სურვილი გიპყრობს რაღაც უჩვეულო გააკეთო. მწვანე ხავერდივით გაშლილი ველი, უსაზღვროდ ლურჯი ცა და თვითმფრინავების განუწყვეტელი გუგუნი კიდევ უფრო აღიზიანებდა ამ სურვილს.

— თბილისელო, გამარჯობა! — წამომეწია ამ დროს ნაცნობი ქართველი მფრინავი, მხარზე ხელი დამკრა და პირდაპირ მითხრა:

— გინდა ბუქარესტი გიჩვენო?

— როგორ? — გავიკვირვე მე.

— ნახევარ საათში მივფრინავ და, თუ გინდა, წაგიყვან: შესაძლებლობაა, მარტო მივდივარ ორადგილიანზე, ჰაერიდან ფოტოგადაღებები მაქვს დავალებული.

— მერე ნებართვა?! — ვკითხე მე, რადგან ვიცოდი, რომ სპეციალური ნებართვის გარეშე ეს არ შეიძლებოდა. ორადგილიანი თვითმფრინავით მარტო ერთის წასვლაც როგორღაც ზღაპარსა ჰგავდა.

— შენ რა გინდა, ესკადრილის უფროსს მე მოველაპარაკები, ჩვენი ბიჭია, უარს არ იტყვის.

მე „მფრინავი ფილარმონიით“ ვიყავი გათამამებული, ამიტომ, წამოვალ-მეთქი, მაშინვე ვუთხარი. ესკადრილიის უფროსმა ერთხანს იყოყმანა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა, ოღონდ, „ფრთხილად იყავითო“, დაგვარიგა.

ყუმბარმშენით რამდენჯერმე მეფრინა, გამანადგურებლით კი — არასოდეს. მაშინაც, რომ მცოდნოდა — ეს რა ხილია, სათოფეზე არ გავეკარებოდი...

...თვითმფრინავი ელვის სისწრაფით მოსწყდა აეროდრომს და მაშინვე „სანთელზე“ გადავიდა. ფრონტის ხაზი დიდ სიმაღლეზე გადავიფრინეთ. პირველმა შიშმა უცებ გამიარა და საოცარი სიამოვნება ვიგრძენი. ძირს რუმინეთის მინდორ-ველები იყო გაშლილი. მარცხნივ შავი ზღვა ჩანდა, მარჯვნივ—კარპატები. წინ, ძალიან შორს, მაგრამ მაინც, დავინახე დუნაის ცისფერი ზოლი. როგორც ეტყობოდა, მდინარე სეგეტის ხაზს მივყვებოდით. რამდენჯერაც არ ჩავიხედე ძირს, ისევ ის თასმასავით გაშიმული მდინარე დავინახე, უფრო მარცხნივ მეორე მდინარე, პრუტი, მოგვდევდა დუნაისაკენ. ზემოდან ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ეს ორი მდინარე რკინიგზის ხაზივით მოჰყვებოდა ჩვენს ტრასას. ბეკეუდან ფოკშანამდე ისე ვიფრინეთ, რომ ამ ხაზს არ მოვშორებივართ. შემდეგ მარჯვნივ კარპატების კალთები და მუნტენიის მთები გამოჩნდა. რუმინეთის გეოგრაფია ისე მქონდა წინასწარ შესწავლილი, რომ ამ სიმაღლიდანაც არ ვკარგავდი ორიენტაციას. კარპატებს რომ მივუახლოვდით, თვითმფრინავმა კიდევ უფრო მაღლა აიწია, ხელმარცხნივ უკვე გარკვევით მოჩანდა დუნაის დელტა, ისიც, ჩვენი „რკინიგზის“ ცისფერი ხაზი როგორ უერთდებოდა დუნაის. ევროპის ეს უდიდესი მდინარე სწორედ აქ იცვლიდა 90 გრადუსით მიმართულებას — დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ისიც ვიცოდი, რომ აქ ორი დიდი ქალაქი მდებარეობდა — გალაცი და ბრაილა, მაგრამ რომელი რომელი იყო, ამას ვეღარ ვარჩევდი. ორივეს ისე შემოხვეოდა მდინარეთა ზოლები. დიდებული სანახავი კია, ამ მდინარეების უამრავი განშტოებანი რომ ერთვიან დუნაის და მიემართებიან შავი ზღვისაკენ.

მერე თვითმფრინავმა ისევ ზევით აიწია. გამანადგურებლით ფრენის დროს ისეთი შთაბეჭდილება გაქვს, თითქოს თვითმფრინავი კი არა, შენ თვითონ მიფრინავ, თანაც, რაც უფრო მაღლა იწევ, მეტ სიამოვნებას გრძნობ: ასე გგონია,

დედამიწაზე კი არა, საკუთარ თავზედაც მაღლები და ისე შორს მიდისარ, რომ სიამაყის გრძნობა გიპყრობს. დედამიწასაც ისე დაჰყურებ, თითქოს ქალამნადაც არ მიგაჩნდეს. ცის უზარმაზარი გუმბათი კი სულ მაღლა და მაღლა გეწევა. მიჰყვები ამ უსასრულო სიმაღლეს და ასე გგონია, ფეხის წვერებზეც რომ აიწიო, მზეს ხელით მისწვდები და ჩამოიღებ...

მე მაშინ მივხვდი პირველად, თუ რას ნიშნავს „სიმაღლეების სიზმარი“ ან არწივს რატომ აქვს ასეთი ამაყი გამოხედვა, როცა ის ზემოდან დასცქერის დედამიწას. შექსპირი ამბობს. „მაღალ ტაძარში სულისკვეთებაც მაღალიაო“! ვაჟაც სიმაღლითაა გატაცებული: „მიყვარს სიმაღლე. მით მიყვარს მთებიო“, წამოიძახებს იგი. თუმცა ტაძრებისა და მთების სიმაღლე აქ რა მოსატანია, როცა კარპატების მწვერვალებიც სადღაც ძირს მოჩანს, თან ისე მსუბუქი ხარ და ისე მიფრინავ, რომ საკუთარ თავსაც შენს ქვევით ხედავ!..

მერე ბუქარესტიც გამოჩნდა. აქაც მშვენიერი დარი იდგა. ქალაქი გარკვევით ჩანდა. ჯერ ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს უზარმაზარ მწვანე ხალიჩაზე თეთრი ლოდებიაო დაყრილი. როცა თვითმფრინავმა ერთი წრე შემოუარა და უფრო დაბლა დაეშვა, ის „ლოდები“ სახლებად იქცა. მერე პარკები, ქუჩები და სკვერები გამოჩნდა. თვითმფრინავი ქალაქის ცენტრს გაუსწორდა. სამხრეთით აქედანაც ცისფერი დუნაის დაგრეხილი ზოლი ჩანდა. ჩრდილოეთით — ისევ ღრუბლების თეთრ ბურუსში გახვეული კარპატები, ძირს კი მართლაც ფერად ხალიჩასავით გაიშალა ქალაქი, ცისფერ ლაქებად მოჩანდა მოგზაური, ბენიასი, ფლორიასკა, ფენდენი, ჰერესტი და სხვა ტბები. მათ შორის ზიგზაგებად იკლაკნებოდა მდინარე კოლენტინა. ქალაქის ცენტრიდან ლარივით გაშიშვლილი პროსპექტები გარბოდნენ ყოველმხრივ ცამრეგებივით შეშოფერილ რადიუსებში. ირგვლივ ჭადრაკის დაფებივით ოთხკუთხედად დაყოფილი, მწვანეში ჩაფლული გარეუბნებიც ჩანდნენ...

...თვალი და გული ერთად გაიტაცა ამ სანახაობამ. მერე ჩვენ გარშემო აქა-იქ „ბამბის“ თეთრი ქულები გაიშალა: ეს

საზენიტო არტილერია ისროდა. მფრინავმა მანევრირება დაიწყო. ქალაქი ხან მარჯვნივ აყირავდა, ხან მარცხნივ. მერე უცებ დიდი სიმაღლიდან პირდაპირ ხრახნილისებურ შეეულ ფრენაზე გადავიდა. აბა, ეს იყო, რაც იყო! მე მაშინვე გამოვედი მწყობრიდან. ბუქარესტიც დამავიწყდა და თავიც. ვიდრე თვითმფრინავი ისევ „სანთელზე" გადავიდოდა, თვალები არც გამიხელია... ცხადია, არც არაფერი დამინახავს. აზრი მხოლოდ მაშინ მოვიკრიფე, როცა ჰორიზონტალური მდგომარეობა მივიღეთ. მფრინავმა მომხედა, გამიღიმა და უზარმაზარი სათვალიდან თვალი დამიპაუნა კიდეც, ვითომ ყველაფერი რიგზეაო. მეც რაღაც ღიმილის მსგავსი შევაგებე, ვითომ ჩემთანაც ასეა-მეთქი, მაგრამ ვაი ამ ღიმილს! ახლა უფრო ის მაინტერესებდა, კიდევ აპირებდა თუ არა ისეთივე ნომრის გამეორებას. ამის ფიქრი და... სადღაც ქვევით ისევ აყირავდა ქალაქი... ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ... წავედით ძირს. თვალები ისევ უნებლიეთ დავხუჭე, სუნთქვა შემეკრა და გავინაბე. თვითმფრინავი ამჯერად პირდაპირ ეშვებოდა და არა ხრახნილისებურად. რა შედარებაა! ეს უფრო ადვილი ასატანი იყო. თვალები რომ გავახილე, შევნიშნე, რაღაც ხიდს გადავუქროლეთ და ისევ ზევით წავედით. წინ ასლა არა ჩანდა რა, სინათლისა და ლურჯი ცის მეტი! შიშმა ნელ-ნელა გამიარა. თვითმფრინავი ბუქარესტის თავზე აკეთებდა ირაოს. ძირს ისევ უზარმაზარი ქალაქი იყო გაწოლილი. საზენიტო არტილერიის ცეცხლმა იმატა, თეთრი ქულები უფრო ახლო ჩნდებოდა და იფანტებოდა...

რომ მგონია, ახლა მაინც უკან გავბრუნდებით-მეთქი, ისევ ქვასავით წავედით ძირს. ამჯერად თვალები არ დამიხუჭავს. ისეთი შეგრძნება მქონდა, ვითომ ჩემიანე თავიდან გამოვვარდი, ზევითაც დავრჩი და ქვევითაც ვეშვები! ქალაქი საშინელი სისწრაფით ახლოვდებოდა. საცაა კიდეც დავენარცხებით-მეთქი დედამიწას... მერე ყველაფერი დაბნელდა... დაბნელდა კი არა, ისევ უნებურად დამეხუჭა თვალები და, როცა გავახილე, დიდი სისწრაფით, მაგრამ ძალიან დაბლა, მივფრინავდით. მფრინავი რაღაცას მანიშნებდა. მაგრამ ისე ვიყავი

გაბრუებული, ვერაფერს მივხვდი. მერე გავიგე მხოლოდ, რომ მტრის ორი გამანადგურებელი დაგვდევნებოდა. ჩვენი თვითმფრინავი სადაზვერვო იყო და საჰაერო ბრძოლას თავს არიდებდა. მე არხეინად ვიჯექი, რადგან არაფერი გამიგია. ნასიამოვნები ვიყავი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. მფრინავსაც კმაყოფილება ეტყობოდა. როგორც ჩანდა, დავალება კარგად შეასრულა. ეს დაბალი „გამკრეჭი“ ფრენაც სასიამოვნო იყო. მეტეორივით გადაუქროლებ ქალაქებს, სოფლებს, ტყეებს, ველებს და სისწრაფის ნამდვილ სილამაზეს გრძნობ. თუ ძირს დაიწყებ ცქერას, თანდათან ისე მოგეჩვენება, თითქოს დედამიწა გარბის, შენ კი გაჩერებული ხარ, მაგრამ თვალს თუ დახუჭავ, მაშინვე საკუთარ სისწრაფეში „ჩაერთობი“ და ისევ ქარიშხალივით გადაევლები ქვეყანას.

რაც კარგია, კარგია, მაგრამ...

...აეროდრომზე რომ დავბრუნდით, ყველაფერი წაგვმწარდა. ის იყო გადმოვბობღდით თვითმფრინავიდან, რომ „ვილისი“ მოვარდა. ჩვენ წინ ავიაციის გენერალი იდგა.

— აბა, ჩიტუნებო, დასხედით მანქანაზე! — გვიბრძანა მან. ორივენი ავიწურეთ და ბრძანება შევასრულეთ. გენერალი შოფერთან დაჯდა.

— მგონი მოგეხვდება ორივეს, — მიჩურჩულა მფრინავმა. საავიაციო დივიზიის შტაბში რომ მიგვიყვანეს, იქ უკვე ყველაფერი იცოდნენ.

— ათი დღე პატიმრობა! — გამოუცხადა გენერალმა მფრინავს.

— არის ათი დღე პატიმრობა! — გაიმეორა მან.

მე, როგორც სამოქალაქოში იტყვიან, „ზემდგომი ორგანოდან“, ფრონტის შტაბიდან, ვიყავი და ის გენერალი ვერ დამსჯიდა, მაგრამ წამოსვლისას მაინც „მომახარა“:

— შენთან რომ დაბრუნდები, იქ გაგაწელინებენ გარმონს, ნუ გეშინია, ყველაფერი იციან!

ეს რომ თქვა, ხელი გამომიწოდა და მითხრა:

— აბა, კარგად იყავი, ჩემგან არაფერი გეწყინოს, ხომ იცი, დისციპლინა დისციპლინაა!

მფრინავმაც ჩამომართვა ხელი და მითხრა:

— არაფერია, სხვა დროს უკეთ შევხვდებით ერთმანეთს!

მერე გამიღიმა და ყურში მიჩურჩულა: ნუ გეშინია, „გარმონის გაწელვა“ არც ისე ძნელი საქმეაო.

წამოვედი, მაგრამ რას ნიშნავდა ეს „გარმონის გაწელვა“ არ ვიცოდი. მერე გავიგე, თურმე ძველ არმიაში ე. წ. „შინაურ პატიმრობას“ ნიშნავდა. საბჭოთა არმიის დისციპლინარულ წესდებაში ასეთი სასჯელი გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ზოგიერთები მაინც იყენებდნენ, უფრო მაშინ, როცა სასჯელს იუმორიც ახლდა თან.

ჩემმა გენერალმაც ასე მითხრა, იჯექი ერთი კვირა და წელე გარმონიო...

...კაცმა რომ თქვას, ეს „გარმონის წელვა“ მართლაც კარგი ყოფილა! ვზივარ ჩემთვის სახლში, ვკითხულობ წიგნებს და ვუკარნახებ დღიურებს მემანქანე რაიას, რომელსაც ჩვენთან აქსინიას უძახდნენ, რადგან გარეგნობითაც და ხასიათითაც ძალიან ჰგავდა შოლოხოვის გმირს.

ისიც დონისპირელი იყო, ბოშა ქალივით დურმიშხანა, ცარიელი ეშხისაო, რომ იტყვიან, ისეთი. შავი ბრიალა თვალები ჰქონდა, საფეთქლებამდე აზიდული წარბები, სქელი სისხლისფერი ტუჩები და ფართო ელვარე კბილები. სახეზე რაღაც მოუთვინიერებელი ცხოველის იერი გადაჰკრავდა. ისეთი ველური გამოხედვა იცოდა, თვალის ერთი დაკვრით შეაკრთობდა კაცს. წარბებს ზევით აჭიმავდა, ქუთუთოებს ოდნავ მოხუჭავდა, ნესტოებს გაბერავდა, მუდამ ღია ტუჩებიდან კბილებს გამოაელვებდა და ისე ზამბარასავით მოიმართებოდა, რომ...

— ღმერთმა დაწყევლოს ამის გამჩენი! რომ ელაპარაკები, ასე გგონია, აფთარივით გეცემა და გიკბენსო, — იტყოდა ტრაინინი.

ადრე თურმე დიდი თეატრის საბალეტო სტუდიაში სწავლობდა, მაგრამ შემდეგ ამ „ფეერიული ხელოვნებისათვის“

რატომღაც თავი დაუნებებია და სტენოგრაფისტთა კურსებზე შესულა. ომი რომ დაიწყო, სახლიდან გაპარულა და მოქმედ არმიაში „ჩაწერილა“ მოწყალების დად. დაჭრილა კიდეც და... ახლა საბეჭდ მანქანასთან იჯდა ჩვენს განყოფილებაში. ისეთი ასპიტი ვინმე იყო, ჩარიტასაც კი ეშინოდა მისი. როცა „არავინ ერჩოდა“, თვითონაც „ზავს იცავდა“, მაგრამ სიყვარულში ოუ ვინმე შეეცილებოდა... აქ კი მართლაც აქსინია იყო: ისეთ ცეცხლს დააკვესებდა თვალებიდან, იმის შიშით განყოფილების სხვა გოგოები მტრედის ხუნდებივით გაინაბებოდნენ.

„გარმონის წელვის“ პერიოდში ჩემი ჩანაწერები და ღღიურები სულ იმან მოიყვანა წესრიგში, გადაბეჭდა, აკინძა და გადმომცა. ასე რომ ის სასჯელი სასიამოვნოც იყო და სასარგებლოც...

...მახსოვს, მერე მეც გამოვიყენე ასეთი სასჯელი ლეიტენანტ გრიგოლ კარპენკოს მიმართ. იგი ადრე კიევის უნივერსიტეტის უცხო ენათა ლექტორი იყო, საოცრად სიმპათიური და კიდევ უფრო საოცრად ზარმაცი. სულ ძილისთვის უკვდებოდა თავი. ამ „შინაურ პატიმრობაში“ ხომ გული იჯერა, მაგრამ „გარმონის წელვით“ კი არა, ძილით.

სასჯელი რომ მოიხადა, როგორც წესი, გამოცხადდა და მომახსენა:

— ამხანაგო უფროსო, ლეიტენანტი კარპენკო დაბრუნდა სასჯელის მოხდის შემდეგ!

შვეიკივით იყო გაჭიმული და სახეზე კეთილი ღიმილი უთამაშებდა.

— კარგი, ჩამოუშვი ხელი და ცერემონიებს თავი დაანებე, შენ ისა თქვი, ხომ არ გეწყინა? — ვუთხარი მე.

ხელი ისევ საფეთქელთან მიიტანა, გაიჭიმა და ჩვეულებრივი ბოხი ხმითა და უკრაინული აქცენტით მომაძახა:

— Никак нет, то́варищ начальник, розрешите по́вто́рить?..

გამეორება, ცხადია, არ მოუხდა, მაგრამ ახლა მე ჩავვარდი იმის მდგომარეობაში. „გარმონის წელვის“ რეჟიმი მართლაც საკურორტო იყო. საღამოთი სხვა მუშაკებიც მოდიოდნენ და დროს საუბარში ვატარებდით. ბეგი სულ თავზე მედგა:

— სულ იმ ესკადრილიის უფროსის ბრალია: ჯერ ნება მოგცა, მერე კი შეეშინდა იმ ძაღლის კერძს, იმას! — ილანძღებოდა იგი და, ლანძღვა რომ უფრო „სკრუპულოზური“ გამოსულიყო, ისევ თავისებურად უმატებდა:

— ბონაპარტ, საკრამენტო!..

...ტრაინინი სულ გაგიჟებული იყო: ვერაფრით ვერ გაეგო, ასეთი რამ რატომ უნდა გააკეთოს კაცმა. შემოვიდა თუ არა, მაშინვე გამიბა:

— აქლემს ცეკვა ხიდზე მოუნდაო, გაგიგონია?

— კი, გამიგონია! — ვუთხარი მე.

— ჰოდა, თუ გაგიგონია, ჭკუა არ მიგიტანებია, — თქვა მან და სასაუბროდ მოიკალათა:

— არ გაგიჟდები! კაცმა ერთხელ იცხოვრო ქვეყანაზე და ისიც გიჟი რატომ უნდა იყო! რომ მიდიხარ, სად მიდიხარ? მიწაზე ფეხი დაგისლტეს, დაეცემი, წელს ვერ აითრევ, იქ სად მიძვრები? რომ ჩამოგაგდონ, ღმერთი შეგაშველებს ხელს, თუ რა! ისემც იმისი მამა ცხონდა. მაგისი შვილი იყო, რომ ჯვარს აცვეს, მაგას კი ხელიც არ გაუნძრევია. შენ რას მოგეხმარება! ხომ იცი, ცოდვა ქვაზე იწერება, მადლი ქვიშაზე. რას ეჩრები! რომ გავალებდნენ, კიდე ჰო, რას იზამ: დავალება იმისია, რომ კაცს, რაც არ უნდა, ის გააკეთებინონ. თუ ჭკვიანი ხარ და მოხერხება გაქვს, დაგავალებენ — თავს დაიძვრენ, არადა რა ჩარაა... წახვალ. მე ამაზე ვგიჟდები: არ გავალებენ, რისთვის მიდიხარ, რა გინდა? ქვას რომ აგდებ და თავს უშვერ, ვითომ შენი თავი ქვაზე მაგარია?

ვიცოდი, ერთ „იმიტომს“ ათი „რატომ“ რომ მოჰყვებოდა, მაგრამ მაინც ვუთხარი:

— სიამოვნებისათვის, რომან იზრაილის ძევ... — არც დამამთავრებინა, ისე მწვდა პირში:

— შე კაი კაცო, სიამოვნებისათვის ლოგინზე დაწექი, ფეხი გამართე და მოისვენე... სიამოვნება ეგ არის. იმ ჯანდაბაში რომ მიდიხარ, ეგ რა სიამოვნებაა. ერთიც ვთქვათ და... ღმერთმა დაგიფაროს, ვითომ რა მადლობას გეტყვიან? ხომ ხედავ, დაგსაჯეს კიდეც. ისე, კაცმა რომ თქვას, ახი კია შენზე! იქნებ ჭკუა გასწავლოს!

აბა, ტრაინინი როგორ უნდა დამერწმუნებინა, რომ „ჭკუის სწავლება“ აქ არაფერი მოსატანია. ვერც იმას გაიგებდა, რომ მეთქვა: ზოგჯერ ჩვენივე თავით ვიღლებით და გვინდა სხვა ვიყოთ, რაღაც ახალი და საინტერესო, თანაც შემთხვევითი და მოულოდნელი; ის კი არა, რომ გვინდოდა და მოველოდით, არამედ — რაც უეცრად მოხდა და გაგვაკვირვა.

მე ხომ უკეთ ვიცი ჩემი! გამოცდილიცა მაქვს — ხანგრძლივად არაფერი მსურვებია. არც მიბრძოლია ამისათვის. ისედაც მყოფნიდა უეცარი და შემთხვევითი. ეს უფრო საინტერესოც იყო, ემოციურიც და შთამბეჭდავიც — თორემ, როცა ძალიან გინდა რამე და დიდი ხანი ცდილობ ამის მიღწევას, შესრულების სიამოვნება თანდათან ისე ილევა, რომ ბოლოს ამ გულის გადამლევ ხანგრძლიობაში მიღწეულითაც უკმაყოფილო რჩები. იტყვი, ნუთუ ამისთვის იყოო ეს ყველაფერი!..

ტრაინინის ფიქრი კი მოსალოდნელ ხიფათს არ შორდებოდა. სულ იმას იძახდა, ხომ შეიძლებოდა ჩამოევდეთო...

ლაპარაკში ჩაყოლა არ მინდოდა და, ვერ ჩამომაგდებდნენ-მეთქი, ვუთხარი. იმ „მერვე ბრძენმა“ ეს უფრო გაიკვირვა:

— ვითომ რატომ ვერ ჩამოგაგდებდნენ, ანგელოზის ფრთები გაბია თუ?!

— არა, მაგიტომ არა, მე თვითონ საზენიტო არტილერიის სამხედრო სკოლაში მისწავლია და ვიცი, რისი ჩამო-

მგდებნიც არიან! ეგ არც ისე ადვილია, — ვითომ დაკამშვიდე ჩემი აბეზარი მეურვე...

წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა...

ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება იმიტომ შემექმნა, რომ ომის დასაწყისში მეც ვითომ არტილერისტის სამხედრო სპეციალობა უნდა მიმეღო. მაგრამ ბევრი არაფერი მისწავლია. ის დრო, რაც საზენიტო არტილერიის სამხედრო სკოლაში გავატარე, უფრო „მამაც ჯარისკაც“ შვეიკის თავგადასავალს ჰგავდა. ომი რომ დაიწყო, ამ სკოლაში გამგზავნეს, მიმიღეს კიდეც და სხვა ქართველებთან ერთად ლეიტენანტ ჩმუროვის ოცეულში ჩამრიცხეს. ვინ იცის, რამდენი მასწავლებელი და მეთაური გვყავდა იქ, მაგრამ მე ამ ჩმუროვის მეტი არავინ დამამახსოვრდა. ძალიან საინტერესო პიროვნება იყო. ტანად-მომცრო, გამხდარი. კეფა და საფეთქლები დანით ჰქონდა აპარსული, სქელი წარბებიდან ეკალივით მჩხვლეტელი წვრილი თვალები გამოიყურებოდა. ცხვირი სულ არ ჰქონდა. სულ კი არა, მარტო წვერი მოუჩანდა ცხვირისა, ისიც უტიფრად წინ გამოშვერილი. უზარმაზარი ქვედა ტუჩი და საგანგებოდ წინ წამოწეული მოძრავი ყბა ჰქონდა. სასაცილოც იყო და სიმპათიურიც. სულ იმას ტრაბახობდა: სმოლენსკში ნამდვილი ხულიგანი ვიყავი, მაგრამ, ჯარში რომ მოვხვდი, ხომ ხედავთ, კაცი გამოვედიო, თუ კარგად მოიქცევით, შეიძლება თქვენგანაც რამე გამოვიდესო...

ყველაფერს დაიჯერებდა, მაგრამ ჩემგან თუ „კაცი გამოვიდოდა“, ამას — ვერა. მე მაშინ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი ვიყავი. ეს ომი რომ არ ყოფილიყო, ჩმუროვის ოცეულში მართლაც არ მომიწევდა „კაცად გახდომა“, მაგრამ ახლა ასე იყო საჭირო და რაც შემეძლო ვცდილობდი კიდეც. ჩმუროვი მაინც უკმაყოფილო იყო. საერთოდ, არ უყვარდა „ინტლიგენტები“ და მე რა გამონაკლისი ვიქნებოდი! სულერთია, შენგან კაცი არ გამო-

ვაო, შემახსენებდა ხოლმე. მე მისი პროგნოზების საწინააღმ-
დეგო არაფერი მქონდა, მაგრამ სამხედრო რეჟიმის შემსუბუ-
ქებას კი ვცდილობდი... მთავარი ის იყო, რომ განკუთვნილ
დროში ვერაფერს ვერ ვასწრებდი, ხშირად ვიგვიანებდი.
ჭამასაც კი. წესი ასეთი იყო: დამწკრივებულად შეგვიყვანდ-
ნენ სასადილოში, სადაც გრძელი მაგიდები და სკამები ელაგა.
ჩვენ ასევე მწკრივად ვდგებოდით მაგიდასთან და ველოდით,
სანამ ბრძანება არ გაისმოდა:

— დასხედით!..

ყველა ერთად დავსხდებოდით მოწყვეტილად და მაშინვე
დავაცხრებოდით საჭმელს. მე ზანტი ჭამა ვიცოდი და ზოგჯერ
ნახევარი ულუფაც არ მქონდა მირთმეული, რომ ისევ გაის-
მოდა ბრძანება:

— ადექით!..

მაშინვე უნდა დამეყარა ყველაფერი და ავმდგარიყავი.
მერე ახალი ჯგუფი მოდიოდა. რაკი ამ დროში ჩემი ულუფის
მიღებას ვერ ვასწრებდი, დაიძახებდნენ თუ არა ადექითო, მე
მათლაფიანად წამოვხტებოდი და ისევ განვაგრძობდი ჭამას,
ვიდრე გარეთ არ გაგვიყვანდნენ. ერთხელ ზემდეგმა შემნიშნა
და ჯამიან-ყველაფრიანად კუთხეში დამაყენა: სულერთია,
შენ ზეზეულად ჭამა გეხერხებაო...

...ყველაზე უფრო დილის გამამხნევებელი ვარჯიში მეზა-
რებოდა. როგორც ამბობდნენ, შემჭიდროებული პროგრამით
გვიხდებოდა მეცადინეობა და გათენებამდე ვდგებოდით.
პირველი ბრძანება იყო „გაფრთხილება!“, მეორე—„ადექი!“,
მესამე—„გამოდი, მოეწყვე!“. პირველსა და მეორე ბრძანებას
შორის უნდა გაგვეღვიძა, მაგრამ ჯერ ვწოლილიყავით, მეორე
ბრძანებაზე უნდა ჩაგვეცვა, მესამეზე კი ეზოში გამოვსუ-
ლიყავით და მწყობრში ჩავმდგარიყავით. ამ ბრძანებებს შო-
რის ისე მოკლე დრო იყო, მე ვერაფერს ვასწრებდი, განსა-
კუთრებით — ჩაცმას, მწყობრში ჩადგომასაც ვაგვიანებდი და
ჩმუროვი დიდი სიამოვნებით მგზავნიდა სამზარეულოში ქვა-
ბების სახეხად ან კარტოფილის საფცქვნელად.

მერე ხერხს მივმართე. ტანისამოსს ლოგინში ვიწყობდი. პირველი ბრძანება რომ გაისმოდა, საბანქვეშ ვიწყებდი ჩაცმას. მეორე ბრძანებაზე რომ წამოგვყრიდნენ, მე მხოლოდ ჩექმებში ფეხის ჩაყოფა მაკლდა და... თითქმის პირველი გამოვრბოდი ეზოში. იქ უკვე ჩმუროვი გაკვირვებით შემათვალიერებდა და მეტყოდა: ხედავ, უკვე რაღაც ნიჭი გამოგაჩნდაო.

მაგრამ ეს „ნიჭი“ დიდხანს არ გამომადგა. როგორც ჩანს, ღამის შემოწმების დროს შენიშნეს, რომ ტანისამოსი საბანქვეშ მქონდა შენახული. დილით პირველი ბრძანება რომ მოგვცეს, ვაფათურე ხელები ლოგინში, მაგრამ ვერაფერი ვნახე. მეორე ბრძანებაზე კი წამოვხტი, მაგრამ მესამეზედაც საცვლების ამარა დავრჩი. მერე ზემდეგმა ტანისამოსი მომიტანა და ისევ სამზარეულოში მიკრა თავი...

...სამაგიეროდ ახლა სხვა რამეში გამოვიჩინე „ნიჭი“. სანამ სკოლის ეზოში ვვარჯიშობდით, კიდევ არაფერი, მაგრამ შემდეგ ქუჩაში გაგვიყვანდნენ და გვარბენინებდნენ. სხვები თავისუფლად ასრულებდნენ დილის ამ გამამხნევებელ ვარჯიშს, მე კი მიმძიმდა. იქვე ახლოს ერთი გაუთავებელი აღმართი იყო. შეგვაყენებდნენ ამ აღმართს და მანამ გვარბენინებდნენ, ვიდრე გული არ ამოგვვარდებოდა. მერე მოვბრუნდებოდით და უკანვე დავუყვებოდით დაღმართს. ბოლოს, როცა ნაბიჯზე გადაგვიყვანდნენ, სულს მოვითქვამდით და გახარებულნი, რაც ძალი და ღონე გვქონდა, გავყვიროდით ერთ'ა და იმავე სიმღერას:

Все выше, выше и выше,
В каждом пропеллере дышет...

აქ ჩემი „ნიჭი“ იმაში გამოიხატა, რომ, ბრძანებისთანავე „სირბილით!“-ო, ცოტას გავიქცეოდი, მერე მწყობრიდან გამოვხტებოდი და სადმე ღია დერეფანში შევვარდებოდი. ჯერ კიდევ ბნელოდა და ზემდეგი ამას ვერ ამჩნევდა. სხვები კი არაფერს ამბობდნენ. ისინი ირბენდნენ, ირბენდნენ და, როცა ოფლში გაღვარულები უკან ბრუნდებოდნენ, მე ისევ შეუმჩ-

ნევლად გამოვხტებოდი დერეფნიდან, შევუერთდებოდი მწყობრს და სხვებთან ერთად გავყვიროდი:

Все выше, выше и выше...

შემდეგ ჩემს „ნიჭს“ მიმბაძველებიც გაუჩნდნენ და, ერთხელ ზემდეგმა სირბილის დროს უკან რომ მოიხედა, ოცეულის ნახევარი არსად ჩანდა. ეს რომ გაგვიგეს, დაგვაწიოკეს. ჩმუროვი ისევ მე მომვარდა:

— არა, ხომ გითხარი, შენგან კაცი არ გამოვა-მეთქი, ასე ინტლიგენტი დარჩები ცხოვრებაში!..

...ერთხელ მე და რამდენიმე ჩემი მეგობარი ქალაქში გაგვიშვეს, თან, ჭკუით იყავითო, დაგვარიგეს. ჩვენ „ჭკუით ყოფნას“ რესტორანში შესვლა ვარჩიეთ. შავი ლუდი ისე გვესიამოვნა, რომ, რაც ჭკუა გვქონდა, მალე ისიც დავკარგეთ და... პატრულებმა დაგვიჭირეს. სკოლაში კი დაგვაბრუნეს, მაგრამ ჩმუროვს საყვედური უთხრეს, ოცეულში დისციპლინა არა გაქვსო. ამის შემდეგ ის განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა. ზოგჯერ საღამოობით „გასასეირნებლად“ რომ მწყობრად გაგვიყვანდა, ჩვენ ციხიდან გამოშვებულივით თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდით. ჩმუროვი ამასაც გვიკრძალავდა და შეგვძახებდა ხოლმე:

— კახპებს ნუ უყურებ!..

მერე, ასეთ რამეებზე ყურადღება რომ არ მიგვექცია, გვიბრძანებდა:

— წამოიწყე სიმღერა!

ჩვენს ოცეულში თითქმის ყველა ქართველი იყო და ამიტომაც ქართულ სიმღერას ვიწყებდით:

წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა
ალვის ხის ჩამონათალი!..

ჩმუროვს ძალიან უყვარდა ეს სიმღერა, თუმცა თვითონ ერთი სიტყვაც არ იცოდა ქართული, ბიჭები კი, გიყვარდეს, იმაზე გულის ჯავრს იყრიდნენ. სამწყობრო მეცადინეობის დროს ჩმუროვი რომ ამოიკითხავდა:

— რიკრიკაძე!..

—Здесь!.. — შენი ასეთი და ისეთიო, — მიაყოლებდა იგი ქართულად. ეს „შენი ასეთი და ისეთი“ რას ნიშნავდა, ჩმუროვმა არ იცოდა და ერთხანს არც აქცევდა ყურადღებას. მერე ვიღაც არამკითხე თარჯიმანი გამოჩნდა და ყველაფერი აუხსნა. მეორე დღეს რომ უთხრეს, შენი ასეთი და ისეთიო, იმანაც, ისეთიცა და ასეთიცო, დაუბრუნა უკან. ამის შემდეგ როგორც კი დავიწყებდით „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“-ს, ჩმუროვი იმის შიშით, კიდევ რამე ეშმაკობა არ შემომაპარონო, მაშინვე გაგვაჩუმებდა. ჩვენც რა გზა გვქონდა, ფირფიტას გადავაბრუნებდით და ისევ Все выше, выше и выше-ს გავყვიროდით... თვითონ კი, „ცკალს ნაპოტი ჩამოკონდაო“, ღიღინებდა თავისთვის.

ამაზე ბევრს ვიცინოდით. ჩმუროვი მეცადინეობის დროს იყო მკაცრი, თორემ ისე ყველასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ამიტომაც გვიყვარდა სხვაზე უფრო...

...ომის დასაწყისში ბევრი რამ მოუწესრიგებელი იყო. ჰიტლერელების მოულოდნელმა თავდასხმამ ჩვენი ხალხის სწრაფი მობილიზაცია მოითხოვა. ერთ-ორ თვეში არმიას იმდენი ახალგაწვეული მოაწყდა, რომ მათი დაკომპლექტება, შემოსვა და უმოკლეს ვადაში გაწვრთნა ადვილი საქმე როდი იყო. ამისათვის არც დრო ჰყოფნიდათ და არც სამხედრო ტექნიკა. ეს მაშინ ჩვენს სასწავლებელსაც ეტყობოდა. იგი სწორად არ იყო დაკომპლექტებული. ბევრი ისეთი მიეღოთ, ვისაც შვიდწლედიც არ ჰქონდა დამთავრებული. მეცადინეობა გართულდა. საზენიტო არტილერიის შესწავლა მათემატიკის (ალგებრისა და, განსაკუთრებით, ტრიგონომეტრიის) კარგ ცოდნას მოითხოვდა. საერთოდ, ისეთ დისციპლინებს გვასწავლიდნენ, საშუალო განათლების გარეშე მათი შეთვისება ძნელი იყო, მით უმეტეს ასე ჩქარა. ამიტომ სხვები რომ მონდომებით სწავლობდნენ, მე მათ მხარს ვერ ვუბამდი, რადგან ყველაფერი ეს დავიწყებული მქონდა. ზოგს კი ასეთი საგნები სულაც არ გაევლო და, მასწავლებელი რომ დაფაზე ფორმულების წერას დაიწყებდა, ხელს თვალებზე მიიჩრდილავდა და ისე უყურებდა...

ერთხელ საერთო კრება მოიწვიეს, სადაც სკოლის უფროსმა, სხვათა შორის, თქვა, სასწავლებლის შემადგენლობა ჭრელიაო: ჩვენთან ზოგს შვიდწლედიც არა აქვს დამთავრებული, ზოგი საშუალო განათლებითაა, უმაღლესითაც, ერთი დოცენტიც კი სწავლობსო და ჩემი გვარი დაასახელა. ჩმუროვმა ყურები ცქვიტა, ეგონა, კიდევ დავაშავე რამე. კრება რომ დამთავრდა, დამიძახა. როცა მივედი, ბრაზისაგან ყბები უცახცახებდა. ჯერ კბილები გააკრაჭუნა, მერე თავი შეიკავა და ვითომ წყნარად მკითხა:

— აბა, ერთი ჩამოყაჭე, ეს რა დუცენტობა ჩაგიდენია!

მე გაკვირვებით შევხედე და ვუთხარი:

— არაფერიც არ ჩამიდენია!

— როგორ თუ არ ჩაგიდენია, — იფეთქა ჩმუროვმა, — აბა, ის რა იყო, სასწავლებლის უფროსმა რომ თქვა შენზე, დუცენტიაო! გეგონა ვერ გავიგონე?

ბევრი ვეცადე, როგორმე ამეხსნა, რომ „დუცენტობა“ დანაშაული არ არის, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე.

— ზღაპრებს ჰყვები, გინდა მომატყუო?..

— როგორ გეკადრებათ...

— ხვალ რომ კიროვის პარკში გავალთ, იქ გიჩვენებ, რაც მეკადრება, — დამემუქრა ის და წასვლა უნდოდა, მაგრამ შევაჩერე და ერთხელ კიდევ ვცადე ამეხსნა:

— აი, სკოლაში რომ სწავლობენ, ჯერ ოთხწლედია, მერე — შვიდწლედი, მერე — ათწლედი. სასწავლებელს რომ დაამთავრებენ, უნივერსიტეტში ან ინსტიტუტში შედიან, იქაც 5 წელიწადს სწავლობენ, მერე, ვისაც უმაღლესში მასწავლებლობა უნდა, კიდევ სამ წელიწადს სწავლობს ასპირანტურაში და წოდებას იღებს. როგორც ჯარშია ოფიცრების წოდება, ასეა სამოქალაქოშიც: ასისტენტის, მასწავლებლის უფროსი მასწავლებლის, დოცენტისა და შემდეგ პროფესორის!

აი, პროფესორი კი გაეგონა და იცოდა, რომ ეს დიდ რაღაცას ნიშნავს, ამიტომაც დაინტერესდა:

— მაშ დუცენტობა და პროფესორობა თითქმის ერთი და იგივეა?

— დიახ, მათ შორის მხოლოდ ერთი საფეხურია: ჯერ — დოცენტი, მერე — პროფესორი.

— პროფესორის მერე რა არის?

— მერე არაფერი, ეს უმაღლესი სამეცნიერო წოდებაა!

— როგორც მარშალი არმიაში, არა?

ოღონდ ჩემთვის თავი დაენებებინა და რას დავეძებდი, დავეთანხმე:

— დიახ, როგორც მარშალი!

ჩმუროვი დაფიქრდა და ასეთი დასკვნა გამოიტანა:

— მაშ, პროფესორი თუ მარშალია, დუცენტი ხომ გენერალი იქნება?

— რა თქმა უნდა, — შევიფერე მე, — დოცენტი ხომ თითქმის პროფესორია.

ამის შემდეგ ჩმუროვისათვის მე „თითქმის პროფესორი" ვიყავი, მისებურად — чуть не профессор, რასაც ჩვეულებრივად საშინელ უწმაწურ სიტყვებს მოაყოლებდა, ვითომ მოსაფერებლად. ერთხანს რაღაც მოკრძალებითაც განიმსჭვალა ჩემდამი. როცა სამწყობრო მეცადინეობის დროს ვინმე იტყოდა, მეტი არ შემიძლიაო, ჩმუროვი უყვიროდა:

— აგერ კაცი თითქმის პროფესორია და მაინც ვარბენინებ, მე ამისი ასეთი და ისეთი (გინება ამ შემთხვევაშიც აუცილებელი იყო), შენ კი ვინ ოხერი გდიხარ, არ შემიძლიაო, რომ იძახი!

სამზარეულოში მორიგეობა რომ მომიწევდა, ვინმეს დაუძახებდა და ეტყოდა:

— თითქმის პროფესორია ეგ... (კიდევ უარესი!), უხერხულია კარტოფილი ფცქვნას, შენ წადი და იმორიგეე ამის მაგივრად.

ჩვენ ყველას სამზარეულოში მორიგეობა გვერჩია სამწყობრო მეცადინეობას, მაგრამ მე „ავტორიტეტის" დაცემა არ მინდოდა და მის „წყალობას" ვიფერებდი, ჩემ მაგივრად კი სხვა სიხარულით მიდიოდა სამორიგეოდ...

...იმ შეკრებას მაინც თავისი შედეგი მოჰყვა. გადაწყვიტეს, ვისაც შვიდწლედი დამთავრებული არა ჰქონდა, სასწავ-

ლებლიდან სხვა ნაწილში გადაეყვანათ. როგორც ჩანს, კანცელარიაში ვიღაცამ არ მოისურვა თავი შეეწუხებინა და გაეგო, რას ნიშნავდა ჩემი გვარის გასწვრივ მიწერილი „დოცენტი“, და მეც იმ ნაწილში გადასაყვანთა სიაში შემიტანეს.

ღამით აგვაყენეს, კურსანტის ლამაზი ფორმა გაგვხადეს, ისევ სამოქალაქო ჩაგვაცვეს (სადაც მიხვალთ, ფორმას იქ მოგცემენო) და სადგურში გაგვიყვანეს. აქ საბარგო ვაგონებში ჩაგვსხეს და არცთუ ისე შორს, ალიათში, გადმოგვსვეს, სადაც ჩვენისთანა „დაწუნებულები“ შემოგვიერთდნენ, ისეთები, ვისიც არმიაში გამოყენება არ შეიძლებოდა.

ის ღამე ღია ცის ქვეშ გავათენეთ. მეორე დილით მოედანზე გაგვამწკრივეს. ვიღაც ლეიტენანტმა ერთი საათი იწვალა, ვიდრე ამას მოახერხებდა.

სამხედრო ფორმა ჯერ ცოტას ჰქონდა მიღებული. უმრავლესობა ისევ სამოქალაქოში იყო. მე ჩემი ტანსაცმელი შინ მქონდა გაგზავნილი და, ვიდრე ფორმას მომცემდნენ, ცალ ფეხზე ლანჩაამძვრალი „კერზის“ ჩექმა მეცვა, მეორეზე კი ქალამანივით მქონდა ამოკრული ვიღაცის ფეხსაცმლის ნაშთი. მუხლები ხომ მიჩანდა, ეგ არაფერი, ყველაზე „სოლიდური“ ის იყო, მკლავების მაგივრად ძველი თავადიშვილივით ყურთმაჯები რომ მიფრიალებდა.

— სმენა! — გაისმა ლეიტენანტის ბრძანება. ჩვენ უფრო ავჩოჩქოლდით. მოედანზე ლეგიონის მეთაური მაიორი სემიონოვი და შტაბის უფროსი კაპიტანი ნ. გამოვიდნენ. მწკრივებს რომ ჩამოუარეს, ჩვენი შემყურენი სიცილს ძლივს იკავებდნენ. მე მაშინვე ვიცანი ის კაპიტანი, ჩვენს უნივერსიტეტში მუშაობდა სამხედრო კათედრაზე. გამიხარდა, რომ ნაცნობი ვნახე. ჩვენს რიგებს რომ გაუსწორდნენ, კაპიტანმა ერთი კი შემავლო თვალი, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მიცნო, ან რას მიცნობდა, როცა „დუცენტს“ სულაც არ ვგავდი: თავი გადაპარსული მქონდა და რაღაც უცნაური ფორმის „მუნდირი“ მეცვა, თავზეც სხვისი კოკარდიანი ქუდი მქონდა ჩამოფხატული. არაფერი უთქვამთ, ისე ჩაიარეს. კაპიტანმა ერთი კიდევ მოიხედა და თვალი შემავლო. ისევ არაფერი. უკან რომ დაბ-

რუნდნენ, მე ქუდი გადავიშვლიპე, იქნებ ასე მაინც მიცნოს-ბეთქი. მაშინ კი მოვიდა ჩემთან და ქართულად მეუბნება: კაცო, შენ ესა და ეს არა ხარო? გახლავართ-მეთქი, და წინ მუსტაფა-სავით გავეჭიმე.

— მერე აქ რა გინდა? — გაიკვირვა მან.

— რა ვიცი, არც უკითხავთ რამე, ისე გამომგზავნეს.

— საიდან?

— ბაქოდან!

— კარგი, კარგი, გამოვარკვევ, — ეს მითხრა და წავიდა. მერე მაიორს ელაპარაკა რაღაც. მაიორმა ჯერ სიტყვით მოგვ-მართა ყველას:

— არც ვიცი რა გიყოთ. სწავლა თქვენ არ შეგიძლიათ, არმიაში არ გამოდგებით, ისღა დაგვრჩენია აქვე დაგტოვოთ და სანგრები გათხრევინოთ. წადით და ჩიჩქნეთ მიწა!

მერე ლეიტენანტმა ჩემი გვარი დაიძახა და დაუმატა:

— ადგილზე! დანარჩენები ზურგისა-კენ! დაიშალეთ!

მე შტაბში წამიყვანეს. მითხრეს, ვიდრე თქვენს საქმეს გამოვარკვევდეთ, აქ, კანცელარიაში, იმუშავეთო. არც აქ აღმოჩნდა ჩემთვის ადგილი და მდივნის თანაშეძწე დამარ-ქვეს. მდივანი ქაღალდს შეადგენდა, მე ნომერს დავუსვამდი და ბეჭედს დავარტყამდი, სულ ეს იყო ჩემი „საბრძოლო დავალება“.

კაპიტანმა „ძველი ნაცნობობით“ სხვა საქმეც გამიჩინა. იგი თავის „კაბინეტს“ მასუფთავებინებდა და ხანდახან ჩექმე-ბის გაწმენდასაც მავალებდა. ვფიქრობდი, რატომ ასე უდიე-რად მექცევა ჩემი თანამემამულე-მეთქი, მაგრამ იმის მეტი ვერაფერი გავიხსენე, რომ ერთხელ უნივერსიტეტში, მისა-ღები გამოცდების დროს, როგორც დეკანის მოადგილესა და მიმღები კომისიის წევრს რაღაც მთხოვა და ვერ გავუკეთე. მაშინ დამემუქრა, მეც დაგჭირდები რამეშიო, და შეიძლება ეს იმ ამბების გამოძახილიც იყო. აბა, სხვა რა უნდა მეფიქრა. მე მაინც დღემდე არ წამომცდენია ვინმესთან მისი ვინაობა. ამბობენ, ომიდან არ დაბრუნებულაო და, თუ ასეა, დაე, მი-ეტევოს მისი ადამიანური სისუსტე...

...ერთ საღამოს კაპიტანი შემოვიდა კანცელარიაში და მე

მიკითხა. რომ მივედი, მხარზე ხელი მომხვია და გარეთ გამიყვანა, გამიკვირდა, არ ვიცოდი რისთვის მიმეწერა მისი ასეთი ფერისცვალება.

— წამოდი ჩემთან, ერთად ვივახშმოთ! — მითხრა მან.

— არა, ნუ შეწუხდებით, რა საჭიროა! — დავიმორცხვე მე.

— წამოდი, წამოდი, თბილისიდან რაღაცეები მომივიდა და მარტო მეზარება, მაიორიც იქნება.

— მერე მე რა აუცილებელი ვარ?

— წამოდი, შე კაცო, სულ სამხედრო წესები ხომ არ უნდა დავიცვათ!

— თუკი ამდენ ხანს ვიცავდით...

— ახლა მაგას თავი დავანებოთ, რაჭული ღვინო მაქვს, დავსხდეთ და უნივერსიტეტი მოვიგონოთ.

არ წავყევი. რაც უნდა ეთქვა, მაინც არ წავყვებოდი, რადგან ვიცოდი, რომ ასეთ შემთხვევაში პური ერთად არ გაიტეხება. ის კი ზედ გადამაკვდა. ძალიან უნდოდა წავყოლოდი, მაგრამ არა და არ გავდგი ფეხი.

ახლა მაიორი მოვიდა, იმანაც ხელი ჩამომართვა. ეს მაშინ დიდი წყალობა იყო ჩემთვის, მაგრამ რა მოხდა ასეთი, აზრზე არ ვიყავი.

— გადმოგცეს? — მკითხა მაიორმა.

— არა, რა უნდა გადმოეცათ?

— დეპეშაა მოსული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბიდან, თქვენს დაუყოვნებლივ თბილისში გაგზავნას თხოულობენ. ხლბათ, მნიშვნელოვანი ამბავია, თვითონ სარდალი აწერს ხელს!

მე არაფერი ვიცი-მეთქი, მივუგე.

— დღეს მოვიდა, აგერ, კაპიტანს აქვს.

კაპიტანმა საველე ჩანთა გახსნა და დეპეშა მიჩვენა.

— როდის წახვალთ? — მკითხა მაიორმა.

— ამაღამვე! — ვუპასუხე მე.

დოკუმენტები გაუფორმეთო, გასცა განკარგულება, ეზო მშვიდობისა მისურვა და წავიდა.

ახლა კი მივხვდი, რამ შეცვალა კაპიტანი. ეუხერხულე-

ბოდა თბილისში, უნივერსიტეტში არ მეთქვა, როგორ მეჭ-
�ეოდა აქ.

დოკუმენტები უცებ გააფორმებინა. ცოტათი გამომაცი-
ლა კიდეც.

— ომია, ხომ იცი, ადამიანი ყველაფერს უნდა მიეჩვი-
ოს, — მითხრა მან.

— რა თქმა უნდა. არც მე მიმიღია ცუდი პრაქტიკა.
ძველი დრო რომ იყოს, „დენშჩიკად“ გამოვდგებოდი.

— თბილისში კი არ დაიწყო ახლა ამ ამბების მოყოლა!
ხომ იცი, არმიაში ეს მიღებული არ არის.

— როგორ არ ვიცი, ეს ხომ დიდი სამხედრო საიდუმლო-
ებაა, — დავამშვიდე მე.

— აბა, შენ იცი!

— ჯავრი ნუ გაქვთ, არაფერს ვიტყვი.

— აბა, კარგად იყავით!

— კარგად ბრძანდებოდეთ...

...იმ ღამესვე ჩავჯექი მატარებელში და მეორე დღეს სა-
ღამოთი თბილისში ვიყავი. სადგურში აუარებელი ხალხი
ირეოდა, უმთავრესად — სამხედროები. მე ეტლში ჩავჯექი და
შინ მივედი. ღამითვე გამოვცხადდი შტაბში. თავაზიანად მი-
მიღეს და ჩემს თავგადასავალზე ბევრი იცინეს. პოლიტსამ-
მართველოს უფროსი, კორპუსის კომისარი სალომკო, ჩაითაც
გამიმასპინძლდა თავის კაბინეტში.

ასეთ მოპყრობას მიჩვეული არ ვიყავი და, ალბათ, ეს
უმნიშვნელო დეტალიც ამიტომ დამამახსოვრდა.

ტყვეობა აცრა...

მაშინვე ქუთაისში, 46-ე არმიის შტაბში, გამამწესეს. ეს
არმია დღე-დღეზე ელოდა ფრონტზე გაგზავნას. ჩემს თანამ-
დებობაზე პოდპოლკოვნიკი სუპხანგულოვი მუშაობდა, რო-
მელმაც აღმოსავლური ენები იცოდა, არმია კი დასავლეთის

ფრონტზე მიდიოდა და საჭირო გახდა მისი შეცვლა გერმა-ნული ენის მცოდნე პირით. მე მხოლოდ კურსანტი ვიყავი და არავითარი სამხედრო წოდება არა მქონდა, მაგრამ მაინც დამნიშნეს და მიბრძანეს, მეორე დღესვე გავმგზავრებულიყავი დანიშნულების ადგილზე. ეს ძნელი საქმე იყო, რადგან მე ისევ ალიათის „მუნდირი“ მეცვა. სამხედრო ფორმა ნაწილ-ში ჩასვლისას უნდა მოეცათ. ასე წასვლა კი უხერხული იყო და... აი, დაიწყო „შემოწირულების მიღება“ მეზობლ-ებისაგან. ერთმა ლურჯი გალიფე-შარვალი მოიტანა, მეორემ— აზიური ჩექმები, მესამემ ღილკილოებიანი ხალათი და დაახლო-ებით მაინც დამამსგავსეს სამხედრო პირს.

ასეთი სახით რომ წარვდექი არმიის სარდლის წინაშე, სიცილით მითხრა: ამხანაგო, თქვენ აქ საომრად ჩამოხვედით, თუ ანსამბლში საცეკვაოდო. ეტყობოდა, ისიც გაუკვირდა, არავითარი სამხედრო წოდება რომ არა მქონდა. არც ის იცოდა, როგორ მოემართა ჩემთვის. მერე სამნეო ნაწილის ინტენდანტი იხმო და დაავალა: წესრიგში მოიყვანეთო ეს „სამხედრო პირი“. „წესრიგში მოყვანა“ იმას ნიშნავდა, რომ „საცეკვაო“ ტანისამოსი გაეხადათ და სამხედრო ჩაეცმიათ, რაც დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული. უხერხულობა ახლა სამსახურის ადგილას მელოდა. იქ უკვე გაეგოთ, ვიღაც ახალი უფროსი მოდისო, და, როგორც შემდეგ გავიგე, ძალიანაც გახარებოდათ, რადგან პოდპოლკოვნიკი სუპხანგულოვი ზედ-მეტად უხეშად მიაჩნდათ.

ჩვენი ნაწილი მაშინ საკმაოდ ცნობილი მუსიკალური სას-წავლებლის შენობაში იყო. რომ მივედი, მორიგე კაპიტანმა ვითომ პატაკი მომცა:

— ამხანაგო!.. — მაგრამ ენა დაება, არ იცოდა რა ეთქვა. რადგან წოდება არ მქონდა, მერე უცებ გამოვიდა მდგომარეო-ბიდან და მომახსენა:

— ამხანაგო ახალო უფროსო, ნაწილის მთელი შემად-გენლობა ადგილზეა, გარდა მაიორ შეველიაგინისა. მაიორი შეველიაგინი მივლინებაშია. მოგახსენებთ მორიგე კაპიტანი ლებედევი!

პოდპოლკოვნიკმა სუპხანგულოვმა საქმეები გადმომაბარა

და მუშაობა დავიწყე. გარემოცვა კი არ ჰგავდა მაინცადამაინც სამხედროს. ჩემი კაბინეტის კუთხეში ძვირფასი როიალი იდგა, კედლებიდან კი პ. ჩაიკოვსკის, ზ. ფალიაშვილისა და მ. ბალანჩივაძის სურათები მომჩერებოდნენ. ასე მეჩვენა, გაოცებულები არიან-მეთქი. აბა, რა იქნებოდა, როცა მუსიკალურ სასწავლებელში შეიარაღებული ოფიცრები დადიოდნენ და არა მოწაფეები. მართალია, სიმღერა თუ არა, Все выше, выше и выше-ს ყვირილი მაინც ვიცოდით, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, არც ერთ ჩვენგანს არ მიგვიღებდნენ ამ სასწავლებელში...

ახალ ადგილზე სულ 13 დღე დავყავი. მერე ბრძანება მოვიდა და ისევ ფრონტის შტაბში დამაბრუნეს. მახსოვს, წინასწარ ვლ. მაჭავარიანმაც დამირეკა; მთელი შტაბი მიდის ფრონტზე, თქვენი არმია ჯერ იქვე რჩება, თუ გინდა, ვეტყვი და გამოგიძახებენო.

სანამ ეს გაფორმდა, ისინი უკვე წასულიყვნენ. მე მხოლოდ ტამანის ნახევარკუნძულზე, ქ. ტემრიუკში, დავეწიე მათ. საღამო იყო, რომ მივედი. მიმასწავლეს კიდეც, რომელ სახლში იყვნენ ჩვენები. ეზოში რომ შევედი, ჯერ რევოლვერის ხმა გავიგონე და მაშინვე ყურზე ვიტაცე ხელი. ტყვიამ ბიბილო წამასხიპა და სისხლი მომდიოდა. სულ ორიოდე მილიმეტრით მარჯვნივ რომ ყოფილიყო, ფრონტზე გასვლის პირველ დღესვე დამთავრდებოდა მთელი ეს ამბავი.

მერე მითხრეს, ვიღაც რევოლვერს ათამაშებდა და შემთხვევით გაუვარდაო. რომ შევედი, სიცილი დაიწყეს. ბედი ვქონია, თორემ ხომ შეიძლებოდა ყურზე კი არა, შუბლში მოგხვედროდაო. ისიც იხუმრეს: აწი არაფერი გიჭირს, აცრილი ხარ და მთელი ომის განმავლობაში ტყვია არ გაგეკარებაო.

ბოროტბეგის კვალდაკვალ...

მერე ის იყო, ყირიმისათვის ბრძოლებისა და ბაგეროვოში დახვრეტილი მშვიდობიანი მოსახლეობის შესახებ რომ გიამ-

ბეთ. ამის შემდეგ ჩვენი არმიების წინსვლის დროს მტრის ამგვარი ველური სისასტიკის, ან როგორც ნიურნბერგის პროცესზე ამბობდნენ, „სისხლიანი რთველის“ უშუალო მოწმე გავხდი. ამ მხრივ ბაგეროვოში მიღებული „ნათლობა“ მხოლოდ მცირე ჭაშნიკი აღმოჩნდა ჩემთვის. გზადაგზა ასეთი რამ ჩვეულებრივ სანახაობად მექცა. წინ ყველგან ნაომარნარბევი და გაპარტახებული ქალაქები თუ სოფლები მხვდებოდა, გაძარცული ხალხი, ძმათა სასაფლაოები... გზებზე, მინდვრებზე, ტანკსაწინააღმდეგო თხრილებში, მაღაროებში, ჭებსა თუ ორმოებში — ყველგან მოკლულთა გვამები ეყარა. გერმანელებმა არ იკმარეს, რაც დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე ანადგურეს თავიანთი ბატონობის წლებში. უკან დახევის დროს მათ სულ ყველაფრის ნაცარტუტად ქცევა მოინდომეს. ჰიტლერი ამას „გადაბუგული მიწის“ პოლიტიკას უწოდებდა. ჰიტლერმა და კაიტელმა უსასტიკესი ინსტრუქციები დაგზავნეს ფრონტზე ამ პოლიტიკის შესასრულებლად. ერთი მათგანი „კოხის უკრაინაში“ ჩაგვივარდა ხელთ. ეს იყო ჰიმლერის ბრძანება, სადაც ეწერა:

— მიზანი, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს, მდგომარეობს შემდეგში: უკრაინის რაიონების ევაკუაციის შემდეგ არ უნდა დარჩეს არც ერთი კაცი, არც ერთი სული საქონელი, რკინიგზის არც ერთი ხაზი, არც ერთი დაუნგრეველი სახლი, მოუწამლავი ჭა ან მოქმედი მაღარო, რომლის გამოყენება შეიძლებოდეს უახლოესი წლების განმავლობაში, ისე რომ მტერს დარჩეს მხოლოდ გადაბუგული მიწა და გაპარტახებული ქვეყანა.

ეს კატეგორიული ბრძანება იყო და არა სურვილი. გერმანელები კი, მოგეხსენებათ, ყოველთვის გადაჭარბებული გულმოდგინებით ასრულებდნენ ასეთ ბრძანებებს. ის კი არა, „ზემოდან“ მიღებულ სასტიკ განკარგულებებს დაქვემდებარებული პირები უფრო ზუსტსა და კონკრეტულ ფორმას აძლევდნენ. ასე, მაგალითად, 52-ე ლეგიონის მეთაურის შიტინგის ბრძანებაში ნათქვამია:

— დასახლებულ პუნქტებში, სადაც სრული განადგურება უნდა ჩატარდეს, საჭიროა გადაიწვას ყველა სახლი.

ამისათვის შენობები წინასწარ თივით უნდა გაიტენოს, ქვის ნაგებობანი კი აფეთქებულ იქნეს. უნდა დაინგრეს სარდაფებიც. განსაზღვრული ზონის უდაბნოდ ქცევა უნდა ჩატარდეს შეუბრალებლად და მთლიანად.

ეს ასეც ხდებოდა, მაგრამ, ხის შენობებს რომ წვავდნენ, აგურის ღუმელები მაინც რჩებოდა. ჰიტლერმა ამისთვისაც მოიცალა, სპეციალურ ბრძანებაში იგი წერდა:

— თუ მიუხედავად ყველაფრისა, მეთაურის განკარგულებით, ესა თუ ის დასახლებული პუნქტი ევაკუირებულ უნდა იქნეს, საჭიროა ყველაფერი ძირფესვიანად გადაიწვას. ღუმელები დანგრეულ იქნეს.

ასეთ ბრძანებებს შემაძრწუნებელი შედეგი მოჰყვა, რის შესახებაც საბჭოთა ბრალმდებელი რ. რუდენკო ლაპარაკობდა ნიურნბერგის პროცესზე:

— გერმანელ-ფაშისტმა დამპყრობლებმა მთლიანად ან ნაწილობრივ დაანგრიეს და დაწვეს 170 ქალაქი, 70 ათასი სოფელი, 6 მილიონზე მეტი შენობა. გარდა ამისა, გაანადგურეს 31850 სამრეწველო საწარმო, მოსპეს 239 ათასი ელექტრომოტორი, 175 ათასი ლითონმჭრელი დაზგა. აჰყარეს 65 ათასი კილომეტრი რკინიგზა, დაანგრიეს 4100 სადგური, 3: ათასი ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება, 40 ათასი საავადმყოფო, 84 ათასი სკოლა, 43 ათასი ბიბლიოთეკა; გაძარცვეს 98 ათასი კოლმეურნეობა, 1876 საბჭოთა მეურნეობა; დაკლეს ან გერმანიაში გარეკეს 7 მილიონი ცხენი, 17 მილიონი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 27 მილიონი ცხვარი...

საერთო ზარალი, მიყენებული საბჭოთა კავშირისადმი, 1940 წლის ფასებში 679 მილიარდ მანეთს შეადგენს. ნაძარცვი ხელოვნების ძეგლების რეალური ღირებულება კი ასტრონომიული ციფრებითაც არ ისაზღვრება...

ან კი როგორ უნდა განისაზღვროს დანგრეული და გაპარტახებული ევროპის ფასი?!

კიდევ კარგი, რომ ვერ მოასწრეს, თორემ მართლაც უდაბნოდ აქცევდნენ ყველაფერს. საბჭოთა არმიის ნაწილები და პარტიზანული რაზმები დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდნენ უკუქცეულ ოკუპანტებს. შეტევებიც ისეთი მოულოდნე-

ლი და სწრაფი იყო, რომ ისინი იარაღს ყრიდნენ და გარ-
ბოდნენ. მოსახლეობა ამ დროს ტყეში ან სარდაფებში იმალე-
ბოდა. მაგრამ, როცა ჰიტლერელებს ამის საშუალება ეძლეო-
დათ, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ყველაფერს.
თან იმას ცდილობდნენ, ადრე ჩადენილი ბოროტების კვალი
დაეფარათ. ამისთვის ერთი ან ორი წლის წინ დახოცილი
მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამხედრო ტყვეების გვამებს
თხრიდნენ და წვავდნენ, ძვლებს კი ისევ სპეციალური მანქა-
ნებით ფხვნილად აქცევდნენ და მიჰქონდათ გერმანიაში...

მერე მთელი მსოფლიოს წინაშე გადაიშალა მათი ბარბა-
როსობის შემზარავი სურათი. საბჭოთა კავშირში შექმნილმა
საგანგებო კომისიამ აღრიცხა და საბრალდებო დოკუმენტე-
ბად აქცია ამგვარი დანაშაულებრივი მოქმედების უმთავრესი
ფაქტები. ეს დოკუმენტები, თანახმად წესდებისა, მტკიცების
გარეშე იქნა მიღებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნა-
ლის მიერ. არც რომელიმე ბრალდებულს უარუყვია მათი
სიმართლე. ან რომელი ერთი უნდა უარეყოთ, როცა ყველა-
ფერი ზუსტად იყო აღრიცხული და დასაბუთებული.

მეც ბევრი ასეთი საშინელება შემხვედრია დასავლეთი-
საკენ სვლის დროს, მაგრამ ყველაფერ ამას რა მოყვება! ან
რა საჭიროა? დღეს ეს ამბები ისედაც იცის მთელმა ქვეყანამ.
მე კი მხოლოდ ზოგიერთ ფაქტს გიამბობთ, რაც დროებითი
ოკუპაციისაგან გათავისუფლებულ ტერიტორიაზე მინახავს
და განმიცდია...

...ომი რომ ომია, ყველამ იცის და ნიურნბერგელ ბრალ-
მდებელთაგან არც არავინ ყოფილა ისე გულუბრყვილო, რომ
არ სცოდნოდა—ომის დროს მოწინააღმდეგენი ერთმანეთს
ტყვიებს ესვრიან და არა ვარდებს. ისიც გასაგებია, რომ ომს
ბუნებრივად მსხვერპლიც მოსდევს, მაგრამ აქ ამაზე როდია
ლაპარაკი. საქმე ეხება უკანონობას და ომის წარმოების წე-
სების დარღვევას, რაც საერთაშორისო კონვენციებითაა
დადგენილი. ჰიტლერელებმა იმთავითვე გადაწყვიტეს, რომ
საბჭოთა კავშირთან ომის დროს ეს წესები არ უნდა იქნეს
დაცული. რატომ?! ამაზე არც ისე ადვილი იყო პასუხის გა-

ცემა. მართალია, ჰიტლერი შთააგონებდა ყველას, „გამარჯვებულებს ასეთ კითხვებს არ დაუსვამენო“, მაგრამ გარემოებამ მაინც მოითხოვა ახსნა-განმარტება. ჯერ ერთი, არმიის შემადგენლობაში იყვნენ ოფიცრები, რომელნიც სპეციალური დასაბუთების გარეშე ამ ღონისძიებებს არ გაამართლებდნენ; მეორეც, თავისთავად ცხადი იყო, რომ ამგვარი დარღვევები საიდუმლოდ ვერ დარჩებოდა. ამიტომ ჰიტლერი და მისი უმაღლესი სარდლობა იძულებული გახდნენ რამე არგუმენტი წამოეყენებინათ. ჯერ იყო და გამოიგონეს, თითქოს საბჭოთა კავშირი არ შეერთებია ე. წ. „ჰაგის კონვენციას“, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო ტყვეებთან დამოკიდებულების წესებს, და ამიტომ გერმანია ვალდებული არ არის დაიცვასო მის მიმართ ეს წესები. მაგრამ ყველამ იცოდა, საბჭოთა კავშირი ამ კონვენციის მონაწილე რომ იყო, და ეს ცრუ მანევრი უშედეგო გამოდგა. მერე ისიც თქვეს, ეს ომი რასიულია და არა ჩვეულებრივიო. ეს არგუმენტიც არაფერს ეუბნებოდა „საზოგადოებრივ აზრს“, არც ის, ამ ომს „იდეოლოგიური“ რომ უწოდეს.

ეს უმთავრესად უიარაღო მეომრებს, ანუ სამხედრო ტყვეებს ეხება. უმაღლესმა სარდლობამ და ჰიმლერის უწყებამ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე შეადგინეს საიდუმლო ბრძანებები ამ საკითხზე. ჯერ ხომ დაადგინეს, სამხედრო კომისრები ტყვეებად არ ითვლებიანო, და მათი ადგილობრივ მოსპობის განკარგულება გასცეს. მერე კი, საერთოდ, ტყვეების შენახვისა თუ მათი ლიკვიდაციის საკითხი სამხედრო ნაწილების მეთაურებს მიანდვეს. ისინი ნაწილს საკონცენტრაციო ბანაკებში სპობდნენ, ნაწილს კი, საერთაშორისო კონვენციით სასტიკად აკრძალვის მიუხედავად, სამხედრო ობიექტებსა და მაღაროებში გზავნიდნენ სამუშაოდ. მე უკვე აღარაფერს ვამბობ იმ არაადამიანურ პირობებზე. ტყვეებს რომ ამ ბანაკებში ჰქონდათ. ყველაფერი ეს ცნობილი გახდა და ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება გამოიწვია. მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობები ნოტებს ნოტებზე აქვეყნებდნენ, რათა გერმანელებს შეეწყვიტათ ეს საშინელი უკანონობა, მაგრამ ამაოდ. რაც დრო გადიოდა,

სამხედრო ტყვეებისადმი დამოკიდებულება უფრო შემაძრწუნებელ სახეს იღებდა, იმდენად შემაძრწუნებელს, რომ საოკუპაციო ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის „პროტესტიც“ კი გამოიწვია. ასე, მაგალითად, სამინისტროს მრჩეველი დორში სწერდა როზენბერგს ქ. მინსკის სამხედრო ტყვეების ბანაკის შესახებ:

— დაახლოებით ისეთ ფართობზე, როგორიცაა ვილჰელმის მოედანი, მოთავსებულია 100 ათასი სამხედრო ტყვე და 40 ათასი სამოქალაქო პირი. ისინი ისე არიან მიჭეჭყილნი ერთმანეთს, რომ განძრევაც არ შეუძლიათ და იძულებულნი ხდებიან ზეზეულად, ადგილობრივ მოისურვილონ. ტყვეებს მთელი კვირის განმავლობაში სრულიად არავითარი საჭმელი არ ეძლევათ და იმდენად დასუსტდნენ, რომ ფეხზე დგომაც აღარ შეუძლიათ. მათ მეთვალყურედ გამოყოფილი რეგულარული ჯარის ნაწილები აღჭურვილი არიან მხოლოდ ცეცხლმსროლელი იარაღით, რასაც ისინი წამდაუწუმ იყენებენ.

საქმე ისაა, რომ დორში ამ წერილს რამე ჰუმანური მოსაზრებით კი არ წერს, არამედ უფრო იმითაა შეშფოთებული, „ტყვეების სამუშაოზე გამოყენება შეუძლებელი გახდებაო“.

ასეთი წერილი ბევრი მისდიოდა როზენბერგს. 1942 წლის 29 თებერვალს თვითონაც მისწერა ფელდმარშალ კაიტელს, საბჭოთა კავშირთან ომი ჯერ არ დამთავრებულა და ტყვეებთან ასეთი სასტიკი მოპყრობის შემდეგ საპროპაგანდოდ მათ გამოყენებას ვერ შევძლებთო. უფრო კი როზენბერგსაც ის აწუხებდა, რომ კარგავდნენ „უფასო მუშახელს“ სამხედრო ობიექტებისა და სამთო მრეწველობისათვის.

— საბჭოთა ტყვეების ბედი გერმანიაში უზარმაზარი მასშტაბის ტრაგედიად იქცა, — წერდა იგი: — სამი მილიონ ექვსასი ათასი სამხედრო ტყვისაგან (როზენბერგი აქ, ალბათ, საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულ სამოქალაქო პირებსაც გულისხმობს) დღეისათვის შრომის უნარის მქონეა მხოლოდ რამდენიმე ასეული ათასი, დანარჩენი კი დაიხოცა შიმშილისა და სიცივისაგან...

როზენბერგი წერს, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე გა-

დაყვანის დროს ძალაგამოლეულ ტყვეებს გზადაგზა ხვრეტენ შეძრწუნებული მოსახლეობის თვალწინ და გვამებს იქვე ტოვებენ. ამბობენ კიდეც: რაც უფრო მეტი ტყვე მოკვდება, მით უკეთესი ჩვენთვისო...

ამას რა შეიძლება დაუმატოს კაცმა, ან აღიარების ასეთ აშკარა ფაქტს კიდევ რა მტკიცება უნდა? სამი მილონ ექვსასი ათასი კაციდან მხოლოდ რამდენიმე ასეული ათასი დარჩაო, წერს თვითონ როზენბერგი!..

...პროცესზე კი ის უფრო ფრთხილად ლაპარაკობდა ამ ტრაგედიაზე. ტერმინებსაც საგანგებოდ ირჩევდა. როცა რამეს ჰკითხავდნენ, ადგებოდა, თვალს რბილად მოავლებდა დარბაზს და დაშიფრულად იტყოდა: საბჭოთა ტყვეების მდგომარეობა „განსაკუთრებული პოლიტიკური საკითხი“ იყოო, ან უფრო უწყინრად: „ტყვეებს შორის პოლიტიკურ მუშაობას ვაწარმოებდითო“. როცა ბრალდებულებს რიბენტროპს, როზენბერგსა და გებელსის მოადგილე ფრიჩეს ჰკითხეს მათი დამოკიდებულების შესახებ სამხედრო ტყვეების ამ „გრანდიოზულ ტრაგედიასთან“, ისინი მხრებს იჩეჩდნენ და გაკვირვებული სახით აცხადებდნენ: ჩვენ რა დამოკიდებულება გვაქვს ამ საკითხთანო?! მართლაც, ერთი დიპლომატი იყო, მეორე — ფილოსოფოსი. ხოლო მესამე — „უბრალო პროპაგანდისტი“ და, ვინ იცის, შეიძლება თქვენც იფიქროთ, რომ ეს განცხადება საფუძველს მოკლებული არ არის. სინამდვილეში კი თავის დროზე ყველა ურევდა ხელს ამ ჭუჭყიან საქმეში, თანაც არა იძულებით, არამედ თავიანთი „პრესტიჟისა და პრივილეგიების“ დასაცავად. სამხედრო ტყვეებს შორის „პოლიტიკური მუშაობის“ პრეტენზიებს ერთდროულად რამდენიმე სამინისტრო აცხადებდა. ჯერ გებელსმა მოითხოვა, რომ ეს ამოცანა იმპერიის პროპაგანდის სამინისტროს დაკისრებოდა. ამაზე პროტესტი განაცხადა რიბენტროპმა: ტყვეები უცხოელები არიან და მათ შორის მუშაობაც საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა დაეკისროსო. თავის მხრივ, როზენბერგიც იცავდა აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიების საქმეთა სამინისტროს პრეროგატივას ამ საკ

კითხში, თუმცა ისედაც დადგენილი იყო, რომ საერთო წესიდან „გამონაკლისს შეადგენდნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეები, რომლებიც ემორჩილებიან აღმოსავლეთის ოკუპირებული რაიონების საქმეთა სამინისტროს, რადგან მათზე ჟენევის კონვენცია არ ვრცელდება და განსაკუთრებულ პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფებიან“.

ამ „პოლიტიკური ვითარების“ აზრი თავისთავად გასაგებია. მით უმეტეს როზენბერგისთვის, რომელიც საჭირო შემთხვევაში თავისუფლად ხმარობდა ამ ტერმინს, რადგან იცოდა, რომ იგი იმასვე გამოხატავს, რასაც „ლიკვიდაცია“ ან „განხალხება“. ჩემ მიერ წაკითხულ ყველა დოკუმენტში „განსაკუთრებული პოლიტიკური საკითხი“ მოსპობას ნიშნავს. ამიტომ არის, რომ საიდუმლო დირექტივებში საბჭოთა ტყვეებისადმი დამოკიდებულების განმსაზღვრელი განკარგულებები, როგორც წესი, პოლიტიკური შესავლით იწყება. ასე, მაგალითად, საბჭოთა ტყვეების დაცვის წესებს ასეთი სათაური აქვს: „ბოლშევიზმი ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის მოსისხლე მტერია“.

„პირველად ამ ომში, — წერია „წესებში“, — გერმანელი ჯარისკაცი ხვდება მოწინააღმდეგეს, რომელიც გაწვრთნილია არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისით, მისი იდეალია კომუნიზმი, რაც ნაციონალ-სოციალიზმის უბოროტესი მტერია...“

მე უკვე გაგაცანით კაიტელის ბრძანება, რომელსაც ასეთივე პოლიტიკური შესავალი აქვს. როზენბერგიც ამიტომ იძახდა, სამხედრო ტყვეების მდგომარეობა „განსაკუთრებული პოლიტიკური საკითხიაო“.

პროცესზე ჩატარებული ჯვარედინი დაკითხვების შემდეგ კი იგი იძულებული გახდა აშკარად ეთქვა, თუ რას ნიშნავდა ამ სამი ცნების ერთმანეთთან დაკავშირება.

სამხედრო ტყვეთა მიმართ ასეთ „განსაკუთრებულ პოლიტიკურ საკითხს“ საბჭოთა არმიისა და დაწესებულებების პოლიტმუშაკები წარმოადგენდნენ. აქაც სრულიად გარკვეული სახელმძღვანელო დებულებები იყო ჩამოყალიბებული, რომელთა ავტორია არა ესესისა და გესტაპოს ხელმძღვანელე-

ბი — ჰიმლერი, ჰაიდრიხი ან კალტენბრუნერი, არამედ არმიის წარმომადგენელი, გენერალ-პოლკოვნიკი ვერლიმონტი. მის მიერ შედგენილ სრულიად საიდუმლო დოკუმენტში წერია: „პასუხისმგებელი პოლიტიკური მუშაკები და პოლიტიკური ხელმძღვანელები (კომისრები) ლიკვიდირებულ უნდა იქ-ნენ...“ ამ დოკუმენტს იოდლმა მისთვის დამახასიათებელი ეშმაკური მინაწერი გაუკეთა: „მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რეპრესიების შესაძლებლობა გერმანელი მფრინა-ვების მიმართ, ამიტომ უმჯობესია, ყოველივე ეს წარმოდგე-ნილ იქნეს, როგორც საპასუხო ღონისძიება“. იოდლი ასეთივე რჩევას აძლევდა საზღვაო მეკობრეებს, „ჯერ ჩავძიროთ და მერე მწუხარება გამოვთქვათო“.

იოდლიცა და ვერლიმონტიც ნიურნბერგის პორცესზე იყვნენ: ერთი, როგორც ბრალდებული, მეორე — მოწმე. ვერლიმონტმა ამერიკელ პოლკოვნიკ ჰინკელს ასეთი ჩვენება მისცა:

— მე, ვალტერ ვერლიმონტი, ფიცით ვიძლევი ჩვე-ნებას, რომ საომარი ოპერაციების დაწყებამდე ვესწრებოდი შეიარაღებული ძალებისა და არმიათა ჯგუფების მთავარსარდ-ლების, შტაბების უფროსებისა და სხვათა თათბირს, რომელ-ზედაც ჰიტლერმა განაცხადა, რომ მიიღებს სპეციალურ ზომებს საბჭოთა არმიის პოლიტმუშაკებისა და კომისრების წინააღმდეგ: ომი საბჭოთა კავშირთან ჩვეულებრივი ომი კი არ იქნება, არამედ მოწინააღმდეგე იდეათა ბრძოლა, ამიტომ პოლიტიკური მუშაკები არ უნდა იქნენ მიჩნეული ტყვე-ებადო...

ამავე თათბირს ესწრებოდა გენერალური შტაბის ყო-ფილი უფროსი გენერალი ჰალდერი, რომელმაც დაკითხვის დროს მოიგონა ჰიტლერის სიტყვები იმის შესახებ, რომ ეს არისო რასიული ხასიათის ომი...

ჰალდერმა ასე დაასრულა თავისი აზრი: ერთი სიტყვით, ე. წ. კომისრები არ უნდა გავიგოთ, როგორც სამხედრო ტყვეები!

აქ გამომძიებელმა ჰკითხა ჰალდერს:

— თქვა თუ არა ფიურერმა რამე იმ ბრძანების შესახებ,

რომელიც უნდა გამოცემულიყო ამასთან დაკავშირებით?

— ზეპირად ნათქვამიც, რაზედაც მე ახლა ვლაპარაკობდი, იყო ბრძანება, — უპასუხა მან, — ჰიტლერმა განაცხადა, რომ ეს დირექტივა შესრულებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ მას არ მოჰყვებაო წერილობითი განკარგულება.

ჰიტლერს ეშინოდა ამ ამბის გახმაურებისა. იცოდა, ეს ბრძანება თუ ხელში ჩაუვარდებოდა მოწინააღმდეგეს, დიდ „საერთაშორისო უსიამოვნებას“ გამოიწვევდა. ეუბნებოდნენ კიდეც, როდისმე ეს ბრძანება წინ ცუდად დაგეხვდებაო, მაგრამ ჰიტლერმა ასეთი განკარგულება მაინც გასცა, რაც ფიქსირებულ და განვითარებულ იქნა საიდუმლო დოკუმენტებში. ნაწილი ამ დოკუმენტებისა შევიდა იმ ათას ფუთ ბრალდებაში და, მართლაც, წინ დაუხვდა მთავარ სამხედრო დამნაშავეებს ნიურნბერგში...

მესამე ხარისხი...

პროცესზე ბრალმდებლების მიერ წაკითხულ ერთ-ერთ დოკუმენტში ასე ეწერა: „პოლიტიკური ძალაუფლების მქონე პირების, კომისრების, პოლიტხელების ტყვედ წამოყვანა არ შეიძლება. ისინი დახვრეტილ უნდა იქნენ ადგილობრივ, არა უგვიანეს სატრანზიტო ბანაკებში ყოფნისა. მათი ზურგში ტრანსპორტირება აკრძალულია“.

ამ ბრძანების მიღებისთანავე უმაღლესი სარდლობის (OKW) საერთო სამმართველოს უფროსმა გენერალმა რაინეკემ მოიწვია თათბირი, რომელსაც ესწრებოდა სამხედრო დაზვერვის უფროსის ადმირალ კანარისის მოადგილე გენერალი ერვინ ლაჰუზენი. ნიურნბერგის პროცესზე მოწმედ გამოძახებულ ლაჰუზენს ამერიკელმა ბრალმდებელმა ეიმენმა ჰკითხა:

— რა მიზანი ჰქონდა დასახული ამ თათბირს?

— ძირითადად შემდეგი, — მიუგო ლაჰუზენმა: — კომენტირება მიღებული ბრძანებებისა სამხედრო ტყვეებთან დამოკიდებულების შესახებ, მათი განმარტება და დასაბუთება.

შემდეგ ლაჰუზენმა მოკლედ გადმოსცა ამ ბრძანებებისა და ინსტრუქციების შინაარსი:

— განსახორციელებლად დასახული იყო ორგვარი ღონისძიება — თქვა მან: — პ ი რ ვ ე ლ ი: პოლიტიკური კომისრების მოსპობა; მ ე ო რ ე: სამხედრო ტყვეთა შორის იმ ელემენტების დახოცვა, რომლებიც გამოვლენილ იქნებოდნენ უშიშროების სამსახურის (SD) მიერ, ე. ი. ბოლშევიკებისა და ბოლშევიკური მსოფლმხედველობის პირებისა.

— ახლა გთხოვთ აუხსნათ ტრიბუნალს, როგორ ხდებოდა ასეთი ელემენტების გამოვლინება. როგორ ადგენდნენ, ვინ უნდა ყოფილიყო მოკლული?

ლაჰუზენმა არც ისე ხალისიანად, მაგრამ მაინც გასცა პასუხი ამ კითხვაზე:

— სამხედრო ტყვეების გადარჩევას აწარმოებდნენ უშიშროების სამსახურის მიერ სპეციალურად შედგენილი საგანგებო რაზმები (Sonderkommando). ეს ხდებოდა სრულიად თვითნებურად. საგანგებო რაზმების ზოგიერთი მეთაური ხელმძღვანელობდა რასიული მოსაზრებით. იმ სამხედრო ტყვეს, რომელსაც არ გააჩნდა გარკვეული რასიული ნიშანი, იყო ებრაელი, ებრაული ტიპისა ან სხვა რომელიმე დაბალი რასის წარმომადგენელი —ხვრეტდნენ. სხვებს არჩევდნენ ინტელექტუალობისა და ინტელიგენტურობის მიხედვით. იყო შერჩევის სხვა პრინციპებიც.

თვითონ ლაჰუზენს რომ ჰკითხოთ, ის არც იზიარებდა ამ „პრინციპებს“: სულერთია, სამხედრო ტყვეების უმრავლესობა ისედაც იხოცებოდა შიმშილით, სიცივითა და მოუვლელობითო...

...მერე იმ ბრძანებებს ახალი დაემატა, ე. წ. Kugel-Erlass—„ტყვიის კანონი“, რაც იმ სამხედრო ტყვეებთან დამოკიდებულებას „აწესრიგებდა“, ვინც საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცევას შეეცდებოდა... მათთვის ბორკილები უნდა დაედოთ და გადაეცათ უშიშროების სამსახურისათვის გრიფით— „მესამე ხარისხი“, რაც მაუტჰაუზენის სასიკვდილო ბანაკში გადაგზავნასა და მოსპობას ნიშნავდა. მერე ესეც დაეზარათ და ადგილობრივ ხვრეტდნენ ყველას.

ეს ისეთი საშინელი ბრძანება იყო, რომ ნიურნბერგის პროცესზე კალტენბრუნერს თუმცა აშკარა მამხილებელი დოკუმენტები წარუდგინეს, მაგრამ მაინც გაიძახოდა, ამის შესახებ არაფერი ვიცი. ფაქტები კი უფრო ჯიუტი აღმოჩნდა, ვიდრე ის: ინგლისელმა ბრალმდებელმა შოუკროსმა მას წინ ისეთი დოკუმენტი დაუდო, რაზედაც ხელს თვითონ კალტენბრუნერი აწერდა. ეს იყო ინსტრუქცია „ტყვიის კანონის“ შესრულების შესახებ. კალტენბრუნერი არც ამ შემთხვევაში დაიბნა და სრულიად უცერემონიოდ განაცხადა, ეს ჩემი ხელისმოწერა არ არისო, რაზედაც დარბაზში მსხდომ ხალხს კი არა, ბრალდებულებსაც გაეცინათ, კაიტელისა და იოდლის გარდა: აბა, იმათ სიცილის თავი სად ჰქონდათ. ის კი არა, სულგანაბული უსმენდნენ, როდის ახსენებდნენ ამ საშინელ ბრძანებებთან დაკავშირებით მათ სახელს...

...ბრალმდებლებმა კი ჯერ ჰიტლერის განკარგულება გამოაქვეყნეს: სამხედრო ტრიბუნალისათვის გადაეცათ ყველა, გენერალი იქნებოდა, თუ ოფიცერი, ვინც „ტყვიის კანონს“ მთელი სისასტიკით არ შეასრულებდა.

მერე იოდლიც ახსენეს. იგი შეიშმუშნა ადგილზე, თითქოს დაპატარავდა კიდეც, ძირს ჩაიწია და წინა რიგში მსხდომთ ამოეფარა. ბრალმდებელი მის ინსტრუქციას კითხულობდა:

— ის ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები, ვინც ამ შემთხვევაში სისუსტეს გამოიჩენს, შეუბრალებლად უნდა იქნენ დასმენილი და სასტიკ პასუხისგებაში მიცემული. მიზანშეწონილია, რომ გაქცევის ცდის შემთხვევაში სამხედრო ტყვეები დაკითხონ და იქვე დახვრიტონ.

ეს ინსტრუქცია უფრო სასტიკი იყო, ვიდრე „ტყვიის კანონი“...

...მერე კაიტელიც ახსენეს. ბრალმდებელმა ჰკითხა მას:

— განა თქვენც არ მოიწონეთ და სწორად არ მიიჩნიეთ ბრძანებები სამხედრო ტყვეების დახვრეტის შესახებ?

აქამდე ის ძველებური გოროზი გამომეტყველებით იჯდა განსასჯელთა სკამზე: ყოველთვის სუფთად გაპარსული, თუმ-

ცა პაგონებჩამოგლეჯილი, მაგრამ კარგად დაუთოებული მუნ-
ღირითა და გაპრიალებული პრუსიული ჩექმებით. ერთიღა
ფელდმარშლის კვერთხი აკლდა მხოლოდ... სწორედ ის კვერ-
თხი, ცხრა მაისს ბერლინში კაპიტულაციაზე ხელისმოწერის
შემდეგ რომ დადო გამარჯვებულთა მაგიდაზე...

ეს „უსიამოვნო კითხვა“ რომ მისცეს, თვალზე ჭონოკლი
აუცახცახდა... ხმაც გაებზარა და დაბნეულმა თქვა:

— მე არაფერი შემეძლო მეთქვა ამის საწინააღმდეგოდ:
ერთის მხრივ, დასჯის შიშით, მეორეს მხრივ კი, მე ხომ მაინც
ვერაფერს შევცვლიდი ფიურერის მითითების გარეშე.

ბრალმდებელი არ დაკმაყოფილდა ამ პასუხით და ირო-
ნიული ღიმილით მიმართა კაიტელს:

— კი მაგრამ თქვენ ხომ ფელდმარშალი იყავით, აღზრდი-
ლი ბლიუხერის, გნაიზენაუსა და მოლტკეს ტრადიციებზე,
როგორ შეგეძლოთ ასე უსიტყვოდ მოგეთმინათ, როცა ამდენ
ახალგაზრდებს ხვრეტდნენ?

კაიტელი მაინც თავისაზე იდგა:

— მე უკვე მოგახსენეთ იმ მიზეზებზე, თუ რატომ არ გა-
ვილაშქრე ამ ბრძანებების წინააღმდეგ. ახლა კი მე არაფრის
შეცვლა არ შემიძლია. ეს ამბები მოხდა და ჩემთვის ცნობილია
ყოველივე ამის შედეგი.

ეს კიდევ არაფერი! კაიტელს მართლაც შეეძლო ეთქვა,
ეს ბრძანებები სხვისი დაწერილია და მე დასჯის შიშით არ შე-
ძეძლო პროტესტის განცხადებაო, რაც უფრო მორალური
მსჯავრდების სფეროს განეკუთვნება, ვიდრე იურიდიულისა.
მაგრამ ბრალმდებელმა ახლა მისი საკუთარი ბრძანება დაუდო
წინ არმიის, ესესისა და პოლიციის საერთო ღონისძიებით იმ
ფრანგი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ოჯახის წევრთა დასჯის
შესახებ, ვინც „რუსების მხარეს“ იბრძოდა. თან ასეთი „მწა-
რე სიტყვებიც“ დააყოლა:

— შეგიძლიათ ამაზე საშინელი რამ წარმოიდგინოთ? მი-
მართოთ სამხედრო ძალადობას დედის მიმართ, რომლის შვი-
ლი იბრძვის მოკავშირეებთან ერთად თავისი სამშობლოს გა-
სათავისუფლებლად?! განა შეიძლება ამაზე ამაზრზენი საზიზ-
ღრობა?!

— მე ბევრი რამის წარმოდგენა შემიძლია, თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითონაც ორი შვილი დავკარგე ამ ომში.— მიუგო კაიტელმა, მაგრამ ბრალმდებელი მაინც ბოლომდე ჩაჰყვა აღძრულ საკითხს:

— ბრალდებულო! — მიმართა მან გაიტელს, — გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს, განსხვავება ჩემსა და თქვენს თვალსაზრისს შორის: დაკარგოთ შვილები ომში—ეს საშინელი ტრაგედიაა, მაგრამ სამხედრო ძალის გამოყენება დედის მიმართ, რომლის შვილი იბრძვის თავისი სამშობლოსათვის მოკავშირეებთან ერთად, — ეს ამაზრზენი საზიზღრობაა. პირველი საშინელი ტრაგედიაა, მეორე—ამაზრზენი საზიზღრობა, სისასტიკის მწვერვალი. ეს სულ სხვადასხვაა.

კაიტელმა ამაზე ვერაფერი უპასუხა, გარდა იმისა, რომ ჩაიბურტყუნა:

— მე ვწუხვარ, რომ ცალკეული ნათესავები გავხადეთ პასუხისმგებელი მათი შვილების დანაშაულზე.

მაინც ასე თქვა, „დანაშაულზეო"!. ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა ბრალმდებელს და ასეთი სიტყვებით შეწყვიტა კაიტელის დაკითხვა:

— მე არ მინდა დრო დავკარგო იმაზე, რომ უფრო ღრმა ანალიზი გავუკეთო თქვენს გამოთქმას — „დანაშაული", მაგრამ პროტესტს კი ვაცხადებ ამაზე და უარვყოფ!..

ლირსების საქმე...

კაიტელმა კი თქვა, ყოველივე ამის შედეგი ჩემთვის ცნობილიაო, მაგრამ განა მართლაც ასე ადვილია ამის წარმოდგენა! „უშიშროების რაზმები", ზონდერ-აინზატც-და-აუსროტტუნგს კომანდოები თუ ესესელები რომ ვერ „აუთავდნენ საქმეს", მერე არმიაც დაახმარეს. სარდლობის განკარგულებით ჯარის ნაწილები იგზავნებოდნენ სამხედრო ტყვეების დასახვრეტად, მათი მეთაურები კი გასაოცარი პუნქტუალობით აღრიცხავდნენ მათ მიერ ჩატარებულ „სამუშაოებს". ზოგი ასეთ დღიურებსაც ადგენდა:

ოთხშაბათი. ასეულმა გამოყო დამსჯელი ჯგუფი 2 ოფიცრისა და 51 ჯარისკაცის შემადგენლობით, რომელიც გიე-მართა პროსტკაუს სამხედრო ტყვეთა ბანაკში. ჯგუფი ბანაკში გამოცხადდა 7 საათსა და 50 წუთზე. 141 ტყვის დახვრეტა დამთავრებულ იქნა 11 საათსა და 50 წუთზე. ფიშბორნისა და იოჰანესბურგის ბანაკებში 15 საათსა და 30 წუთზე დამატებით დახვრეტილ იქნა კიდევ 51 ტყვე. ჯგუფი ყაზარმებში დაბრუნ-და 19 საათსა და 45 წუთზე.

ხუთშაბათი. ასეულმა გამოყო დამსჯელი რაზმი ერ-თი ოფიცრისა და 50 ჯარისკაცის შემადგენლობით, უფროს ლეიტენანტ მაიერის მეთაურობით. 7 საათსა და 00 წუთზე რა-ზმი გამოცხადდა ადგილობრივი გესტაპოს განკარგულებაში. დახვრეტილ იქნა 166 ტყვე. დახვრეტა დამთავრდა 9 საათსა და 30 წუთზე...

ასე განაგრძობდნენ დღიდან დღემდე, თანაც სრულიად შეხმატკბილებულად... ჯარის რეგულარული ნაწილები, გესტა-პო და ესესი, რაზედაც თვით მათ მიერვე შედგენილი დოკუ-მენტები მეტყველებენ.

— ყოველგვარი უმნიშვნელო შემთხვევის გამო მცველები ადგილობრივ ხვრეტენ ტყვეებს, — წერს ერთ-ერთი სამხედრო ოლქის ტყვეების განყოფილების უფროსი. ამგვარად დახვრე-ტილთა რიცხვი წარმოუდგენლად გაიზარდა, ამიტომ წესად უნდა იქნეს შემოღებული ჯერ კონდახის ვამოყენება, მერე — ხიშტის, ბოლოს კი — ცეცხლმსროლელი იარაღისა.

როგორც ჩანს, „ზედმეტი სიმკაცრის“ გამოაშკარავება-საც უფრთხოდნენ. უშიშროების პოლიციის უფროსი წერს:

— სამხედრო ტყვეების ბანაკებში გადაყვანის დროს დი-დი ნაწილი გზაში იხოცება შიმშილისა და დაუძლურებისაგან. გერმანელი მოსახლეობისათვის ამის დამალვა შეუძლებელია. ამასთანავე ტყვეების ტრანსპორტირებას ახდენენ არმიელები, მოსახლეობა კი ყოველივე ამას აბრალებს ესესს...

ამით „შეურაცხყოფილმა“ ესესელებმა განკარგულება გა-სცეს: ავადმყოფ, დასუსტებულ და მომაკვდავ ტყვეებს ნუღარ მოიყვანთ ბანაკებში, ე. ი. ადგილობრივ დახვრიტეთო.

...და ასე მოდის ზღვა დოკუმენტებისა, სადაც აღრიცხუ-

ლია სამხედრო ტყვეების მასობრივი დახვრეტის შემთხვევები... ვინც ცოცხალი რჩებოდა, „უფასო მუშახელად“ იყენებდნენ სამთო-სამრეწველო და სამხედრო ობიექტებზე. ესეც სასიკვდილო განაჩენს უდრიდა, რადგან საიდუმლო სამხედრო ობიექტების მშენებლობაზე გამწესებულთ ბრძანებასაც მიაყოლებდნენ, იქიდან ცოცხალი არ გაეშვათ არც ერთი, რომ ობიექტის საიდუმლოება არ გამომჟღავნებულიყო... ამის შედეგია იმ „სამი მილიონ ექვსასი ათას“ სამხედრო ტყვის დაღუპვა, რაც „მეოცე საუკუნის მითის“ ავტორმაც „გრანდიოზულ ტრაგედიად“ მიიჩნია...

...იოდლს ეს არ მოეწონა. იგი ერთხანს ლაშდაღრენილი უსმენდა, ბრალმდებლები რომ ამ „საშინელ ტრაგედიაზე“ ლაპარაკობდნენ.

— შიმშილი, სიცივე, ეპიდემია მუსრს ავლებდა ათასობით სამხედრო ტყვეებსო, — გაისმოდა ტრიბუნიდან.

სუსხიან ზამთარში თითქმის შიშველ ტყვეებს 30—40 გრადუსი ყინვის დროს ყოველგვარი თავშესაფრის გარეშე ტოვებდნენ მავთულხლართებით შემოკავებულ მინდვრებზე. მათ არც სასმელს აძლევდნენ და არც საჭმელს. ან სასმელ-საჭმელი რად უნდოდათ, როცა რამდენიმე დღეში იყინებოდნენ. მერე თოვლი ფარავდა მათ სხეულებს. გერმანელები კი საცვლებსაც ხდიდნენ გაყინულ გვამებს და ახალ „ბუნებრივ სასაფლაოზე“ გადადიოდნენ...

მარშის დროსაც ასეთი სურათი იყო. ტყვეებს დაუყოვნებლივ გახდიდნენ ჩექმებს, ფარაჯას, თბილ ტანისამოსს და ისე მიჰყავდათ საშინელ ქარბუქში; მინდორ-ველები მოფენილი იყო მათი გაყინული სხეულებით...

...შემდეგ ტრიბუნალი შეუდგა იმის რკვევას, სად რამდენი დახოცეს ასე, რამდენი გაიყინა და რამდენი მოკვდა შიმშილითა თუ ეპიდემიით?

აქ კი ვეღარ მოითმინა იოდლმა, ფეხზე წამოიჭრა და, რაკი ტრიბუნალისათვის უშუალო მიმართვის უფლება არ ჰქონდა, ჯაჭვით დაბმული ნაგაზივით შეუღრინა თავის დამცველს:

— ეშმაკსაც წაუღიხარ! რატომ არ ადგები და არ ეტყვი შაგათ, რაც ყველამ იცის! ან პროტესტს რატომ არ აცხადებ, როცა ასეთ სულელურ კითხვებს იძლევიან?! რა თქმა უნდა, ათასობით რუსი ტყვე კვდებოდა და იყინებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის დროს. მერე რა? ასევე იყინებოდნენ და იხოცებოდნენ ბრძოლის ველზე ჩვენი ჯარისკაცებიც. მათი გვამებით მოფენილი იყო რუსეთის ველ-მინდვრები! ომი ომია! რატომ მე არ მაძლევენ ასეთ კითხვებს?! აბა, მკითხონ! მე გავცემდი მათ პასუხს!..

სამხედრო პოლიციელებმა ის ძალით დასვეს თავის ადგილას. ლოურენსმა წესრიგისაკენ მოუწოდა გაცოფებულ იოდლს. ის კი საღამოთიც ბორგავდა ციხეში:

— ეს საშინელება იყო, საშინელება! ჩვენ ვიბრძოდით 40 გრადუსი ყინვის დროს, ამათ კი ჩაუყვიათ ცხვირი ქაღალდებში და კითხულობენ, რა ნომერი აქვს ამა და ამ დოკუმენტსო. რატომ იმას არ იკითხავენ, ნაპოლეონი როგორ იხევდა მოსკოვიდან! ჩვენი უკანდახევა უარესი იყო!

გაშმაგებული იოდლის პათეტიკას ციხის ექიმმა ჯილბერტმა გადაასხა ცივი წყალი:

— კი მაგრამ ვისი ბრალია! რატომ იბრძოდით 40 გრადუს ყინვაში მოსკოვთან! ბრძანებულიყავით თქვენს თბილ ბერლინში და ის იქნებოდა!..

იოდლი არც ისე ენამოსწრებული იყო, რომ ამაზე პასუხი ვაეცა, ხოლო ეშმაკი—საკმაოდ. როცა გაუჭირდებოდა, თავსაც იბრიყვებდა, ამისი არაფერი მესმისო. ისე კი კაიტელივით თავი ღირსეულ ჯარისკაცად მოჰქონდა და, გარდა საკუთარი ღირსებისა, „გერმანული არმიის პრესტიჟის დაცვასაც“ კისრულობდა.

ერთხელ ნიურნბერგში ასეთი დიალოგიც გაიმართა იოდლსა და ამერიკელ ბრალმდებელ რობერტს შორის:

რ ო ბ ე რ ტ ს ი: ბრალდებულო იოდლ! თქვენ თქვით გუშინ, რომ სულიან-ხორციანად ჯარისკაცი ხართ, სწორია თუ არა ეს?

ი ო დ ლ ი: დიახ, ეს სწორია.

რ ო ბ ე რ ტ ს ი: თქვენ თქვით აგრეთვე, რომ აქ იმისთვის

ხართ, რათა დაიცვათ გერმანელი ჯარისკაცის ღირსება. ასეა, არა?

ი ო დ ლ ი: დიახ, და ამას ვახმარ მთელ ჩემს ძალ-ღონეს.

რ ო ბ ე რ ტ ს ი: ძალიან კარგი. მაშასადამე, თქვენ თავი პატიოსან ჯარისკაცად მიგაჩნიათ?

ი ო დ ლ ი: დიახ, რასაც ვაკეთებდი, სრულიად შეგნებულად ვაკეთებდი.

რ ო ბ ე რ ტ ს ი: თქვენ განაცხადეთ აგრეთვე, რომ ხართ მართალი კაცი?

ი ო დ ლ ი: დიახ, მე ასე დავახასიათე ჩემი თავი და ასეთიც ვარ.

რ ო ბ ე რ ტ ს ი: კეთილი. მაშასადამე, თქვენ ამბობთ, რომ თქვენს ღირსებას ჩირქი არა აქვს მოცხებული. ნამდვილია თუ არა, რომ ამ უკანასკნელი ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში, როცა, თქვენივე თქმისამებრ, იძულებული იყავით ჩაგედინათ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, თქვენი სიმართლისმოყვარეობა რჩებოდა ისევ იმ მაღალ დონეზე?

იოდლი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ ამის საწინააღმდეგოდ ბრალმდებელი რამე საშინელ მამხილებელ საბუთს დაუდებდა წინ, და დუმილით სცადა პასუხის აცილება. ოქმშიც ასე წერია: „იოდლი დუმს“. მაგრამ ბრალმდებელი არ ეშვება:

რ ო ბ ე რ ტ ს ი: შეგიძლიათ თუ არა უპასუხოთ ჩემს კითხვას?

ი ო დ ლ ი: მე ვფიქრობ, იმდენად ბრიყვი ვარ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია (დარბაზში სიცილია).

როგორ არ შეეძლო, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდა...

პროცესზე ბრალმდებლები ისეთ დოკუმენტებს ადგენდნენ, რომ იოდლს კი არა, გერინგსაც მოუხდა რამდენჯერმე თავის გაბრიყვება, რადგან საქმე საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულ სამხედრო ტყვეებსა და მშვიდობიან მოსახლეობას შეეხო...

სოდომის დაღი...

ასეთი ბანაკები გაიხსნა სმოლენსკში, ხარკოვში, კიევში, ლვოვში, პოლტავაში, ნოვგოროდში, ორიოლში, დნეპროპეტ-

როვსკში, ოდესაში, კამენეც-პოდოლსკში, გომელში, ქერჩში, სტალინგრადის ოლქში, კაუნასში, რიგაში და, ვინ იცის, კიდევ სად. მარტო საკონცენტრაციო ბანაკებში კი არა, სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის „ლიკვიდაცია“ ხდებოდა ტყეებში, ჭაობებში, ქალაქების განაპირა უბნებში. მარტო ლისიცკის ტყეში ორასი ათასი კაცი დახვრიტეს. ბაგეროვოსა და ბაბიე იარის ტანკსაწინააღმდეგო თხრილები, აგრეთვე ორმოები, ჭები და შახტები ამოვსებული იყო დახოცილთა გვამებით. საკონცენტრაციო ბანაკებში კი ესესელები და გესტაპოელები თანდათან შედიოდნენ მასობრივ მკვლელობათა ეშხში. ჯერ მათ სამხედრო ტყვეებისა და სხვების დადაღვა შემოიღეს. ყველასათვის ხელზე უნდა ამოეშანთათ საკუთარი ნომერი, რაღაც იმის მსგავსი, ბიბლიური ცეცხლის წვიმით რომ დაღავდა სოდომის მცხოვრებთ, თუმცა უფრო „ფილოსოფიურად მოფიქრებული“. როცა ამის შესახებ როზენბერგს ჰკითხეს, მან პითაგორეს სიტყვებით „იხუმრა“:

— არაფერი არ არსებობს თავისი რიცხვის გარეშე...

საკონცენტრაციო ბანაკის ყოველ ტუსაღსაც უნდა ჰქონოდა „თავისი რიცხვი“ ამოშანთული, როგორც სოდომის დაღი. ამით საკონცენტრაციო ბანაკების ადმინისტრაციას უამრავი საზრუნავი გაუჩნდა. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ საკმაოდ გაწვრთნილები და ეგონათ, რომ დადაღვის დროს ელემენტარული სანიტარული წესების დაცვა მაინც იყო საჭირო. ეს არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა, თუ გავითვალისწინებთ საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულთა კოლოსალურ რაოდენობას. შემდეგ მათ სპეციალური ინსტრუქციით მოაგონეს, რომ „დადაღვა არ არის სანიტარული ღონისძიება“. საქმე უცებ გამარტივდა, მაგრამ გზადაგზა ახალი სიძნელეებიც გაჩნდა: პატარა ბავშვებს მრავალნიშნიანი ციფრები არ ეტეოდათ ხელზე. არც ეს დაბრკოლება აღმოჩნდა გადაულახავი. მოვიდა ახალი ინსტრუქცია, რაც საკონცენტრაციო ბანაკების ადმინისტრაციას ნებას რთავდა ბავშვები სხეულის „სხვა შესაფერის ადგილებზეც“ დაედაღათ.

„ფიზიკური დასჯის ტექნიკაც“ სწრაფად გაუმჯობესდა. ჯერ ყოფილმა მოჭიდავემ რუდოლფ რადკემ თუნუქის მათრა-

ხები გააკეთა და ამაში ჯილდოც მიიღო. მერე რომელიღაც ინ-ჟინერმა „ჯოხის დამრტყმელი მანქანა“ გამოიგონა. ისიც დაჯილდოვეს. თან ეკონომიაზეც იზრუნეს და მშენებლობის მინისტრ შპეერის განკარგულებით დეფიციტური რეზინის ჯოხები რკინის ხელკეტებით შეცვალეს...

...ნიურნბერგის პროცესზე ამის თაობაზე, მგონი, ინგლისელმა ბრალმდებელმა შეკითხვა მისცა იმავე შპეერს, რომელიც ბრალდებულთა შორის იყო.

ბრწყინვალე გარეგნობის „ჯენტლმენი“ წამოდგა, ისეთი, ცხვირზე ბუზს არ ისვამსო, რომ იტყვიან. იგი თავისი „რესპექტაბელობის შეურაცხყოფას“ ვერ იტანდა. თავი ისე მოჰქონდა, თითქოს რაღაც გაუგებრობით მოხვდა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიაში, თორემ გამოჩენილ არქიტექტორსა და მშენებელს, აბა, რა საქმე აქვს ამ საშინელებებთან! თითქოს საკონცენტრაციო ბანაკების „გაზკამერები“ და კრემატორიუმები მისი უწყებების აშენებული არ ყოფილიყოს!

ახლაც გულმოსული ადგა, შავი სათვალე მოიძრო და გულუბრყვილოდ იკითხა, რა ბრძანეთო.

— გაეცით თუ არა განკარგულება, რომ საკონცენტრაციო ბანაკებში პოლიციელებისათვის რეზინის ჯოხები რკინის ხელკეტებით შეეცვალათ? — გაუმეორეს მას.

შპეერი უფრო აღელდა, მაგრამ რა ექნა, უკვე გამოცდილებით იცოდა, უარი რომ ეთქვა, წინ მაშინვე მის ბრძანებას დაუდებდნენ, ამიტომ ჩათრევას ჩაყოლა არჩია.

— დიახ, ბატონო პროკურორო, რეზინი დეფიციტური საქონელი გახლდათ, და ვამჯობინეთ ადვილად მოსაპოვებელი ლითონით — რკინით შეგვეცვალა!.

— რეზინისა და რკინის ჯოხის დარტყმებს შორის რომ განსხვავებაა, ეს ხომ გესმით? — ჩაერია დაკითხვაში ტრიბუნალის თავმჯდომარე ლოურენსი.

— დიახ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ასეც იყოს!— ბურტყუნებს შპეერი.

— რომელი უფრო მტკივნეულია?—არ ეშვებიან მას. შპეერი კი ისევ უხერხულად იშმუშნება, არ იცის, თავი საღ

წაიღოს ან ხელებს რა უქნას, ისეა დაბნეული... ბოლოს მაინც გამოცრა კბილებიდან: ალბათ, რკინისა უფრო მტკივნეული იქნებაო... და რომ დაინახა, ჩემმა პასუხმა დარბაზში სიცილი გამოიწვიაო, სასწრაფოდ დაუმატა:

— რკინისა, რა თქმა უნდა!..

საცოდავი მკვლელები...

ჩქარა ახალი პრობლემა წამოიჭრა. არიული წარმოშობის ჯალათები „წუხდებოდნენ" ამდენი ხალხის სიკვდილით დასჯით. ზოგიერთის ნერვულ სისტემაზედაც ცუდად მოქმედებდა სისხლისღვრა. ამასთანავე სასიკვდილოდ განწირულნი ისე „უტაქტოდ და შეუგნებლად" იქცეოდნენ, რომ „უაზრო ყვირილითა და იდიოტური წინააღმდეგობით" კიდევ უფრო ურთულებდნენ ბატონ ჯალათებს თავიანთი მოვალეობის შესრულებას. ხუმრობა ხომ არ არის დღეში რამდენიმე ათასი კაცის დახვრეტა! დამხვრეტები ერთეულებია, დასახვრეტები კი—ათასები! როგორ გგონიათ, ვინ უფრო მძიმე მდგომარეობაშია? ის, ვინც ხვრეტს, თუ ვისაც ხვრეტენ?

მას შემდეგ, რაც ადამიანურ აზრს სიგიჟის ფრთები შეეხო, თურმე ესეც დილემად იქცა. ვინც ამ „დილემის რქებს" ხელი ჩაავლო, საკითხიც ადვილად „გადაწყვიტა": ცხადია, ის, ვინც ხვრეტს. დასახვრეტს დახვრეტენ და ამით გათავდება მისი საქმე! იმათ რა ქნან, „საცოდავებმა", ვისაც ეს საქმე გამოულეველი აქვს, მათი ინტერესებიც ხომ უნდა დაიცვას ვინმემ?... და აი, ესესისა და გესტაპოს მთავარი შტაბები აივსო ასეთი „გულისამაჩუყებელი" საჩივრებით: „კაცთმოყვარეობა მოითხოვს...", „ჰუმანურობის პრინციპი გვავალებს...", „ჩვენი ვალია დამსჯელ რაზმებს შევუმსუბუქოთ სამუშაო..." და სხვა. ბოლოს, ლოზუნგიც გადმოისროლეს: „დავიცვათ ძლიერები სუსტებისაგან!" ამ შემთხვევაში—დამხვრეტები იმათგან, ვისაც ხვრეტენ!

განა ეს საშინელება იუმორის გარეშეა?!..

...იგავადაც გამიგონია. საშინელ ქარბუქში ჯალათს სიკვდილმისჯილი მიჰყავდა, სადღაც ტყეში რომ დაეხვრიტა. ქარბუქი შიგ სახეში სცემდა თურმე ორივეს, გზა კი საკმაოდ გრძელი იყო. დანიშნულ ადგილას რომ მივიდნენ, ჯალათმა უთხრა მსხვერპლს:

— შენ რა გიჭირს, ჩემო ძმაო, დაგხვრეტ და აქ დარჩები, მე კი ეს ამოდენა გზა უკანვე უნდა გავიარო!..

...ამ საქმის პაროდიულობის საჩვენებლად შეიძლება ლიტერატურული მასალაც დავიმოწმოთ. აი, თუნდაც ალბერ კამიუს მოთხრობა, სადაც ის აღწერს უაღრესად ფეშენებელურ რესტორანს, სიმდიდრითა და ფუფუნებით გალაღებულ ელიტას საზოგადოებისას, რომელიც დროს ატარებს. გარეთ სუსხიანი ზამთარი მძვინვარებს, შიგნით კი სასიამოვნო, პირდაპირ სამოთხისებური ატმოსფეროა: სითბო, სინათლე, მუსიკა, ცეკვები და ვნების ციებ-ცხელება... ყველა სიამოვნებისა და ნეტარების ზღვაში ცურავს და უცებ... ისინი ხედავენ საშინელ სურათს: ორი ფეხშიშველი, ჩამოძენძილი, მშიერ-მწყურვალი და გათოშილი ბავშვი შემოპარულა როგორღაც ამ ნეტარების ბუნაგში და სამათხოვროდ გაუშვერიათ ხელი... აღშფოთებული ბატონები და ქალბატონები მეტრ დ'ოტელს უხმობენ, რათა გააძევონ „ეს თავხედები". შეშინებული მეტრ დ' ოტელი უყვირის მათხოვრებს:

— როგორ ბედავთ! ახლავე გაეთრიეთ აქედან, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ აწუხებთ ბატონებსა და ქალბატონებს, აბა, თქვენ იყოთ იმათ ადგილას!..

ბატონი ჯალათებიც ამიტომ ჩივიან და ითხოვენ დახმარებას. მე მთელი მიმოწერა მაქვს ამ საკითხზე წაკითხული. „საქმეებში" არის დავალებები, ინსტრუქციები, ახალ-ახალი წინადადებები: სასიკვდილოდ გამწესებულთათვის გაჯით პირის ამოქოლვა ან პლასტირით აკვრა ტუჩებისა; ვიღაც გესტაპოელის წინადადება, „ფსიქოლოგიურად უვნებელი დახვრეტის" შესახებ. რასაც იყენებდნენ კიდეც: კედელში ხვრელი იყო გაკეთებული. კედლის იქითა მხარეს დააყენებდნენ სიკვდილით დასასჯელს, რომელმაც არც იცოდა, რა მოელოდა, და ხვრელი-

დან ესროდნენ ისე, რომ მკვლელი არ განიცდიდა მოკლულის „ფსიქიკურ ზეგავლენას“. იმ გესტაპოელის ეს ახალი მეთოდი შემდეგ სხვებმაც განავითარეს და უფრო მოხერხებული „სასიკვდილო აპარატი“ შექმნეს, რაღაც გილიოტინის მსგავსი, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავდა უბრალო სასწორს. სასიკვდილოდ განწირულს დააყენებდნენ ამ აპარატზე, უნდა აგწონოთო, მერე სასხლეტს ხელს დაჰკრავდნენ, ურო მოსწყდებოდა, მსხვერპლს თავში დაეცემოდა და, დაყვირებას ვერც მოასწრებდა, ისე „დაადგებოდა თავის გზას სამოთხისაკენ“...

...ამ ამბებმა ჰიმლერის ყურამდეც მიაღწია. ჯერ გული მოიყვანა, „ამდენი ცერემონიებით“ დაბალი რასის მასობრივი ჟლეტის საქმე დაბრკოლდებაო, მერე თვითონ მოისურვა „ადგილობრივ შეემოწმებინა“ მართლა ასე ძნელი იყო „ეგზეკუციების ჩატარება“ თუ არა. იგი სპეციალურად ჩავიდა აღმოსავლეთის დროებით ოკუპირებულ რაიონში და თავის თანამშრომელს ნებეს უბრძანა დასახვრეტად გამოეყვანა ასი კაცი. მათ შორის მოხუცებიც, ქალებიცა და ბავშვებიც. ნებე დატრიალდა. სტაცეს ხელი, ვინც მოხვდათ, და ტანკსაწინააღმდეგო ორმოსთან მიიყვანეს.

ნახევარი საათის შემდეგ მობრძანდა თვით ჰიმლერი დიდძალი ამალის თანხლებით და ბრძანა გაეხსნათ ცეცხლი...

ისეთი საშინელი ამბავი დატრიალდა, რომ თვით ეს „შავი იეზუიტიც“ შედრკა. ჯერ ფერი დაეკარგა, მერე დაბარბაცდა და წაიქცა კიდეც. მხლებლები შეშფოთდნენ და მაშინვე ფეხზე წამოაყენეს თავიანთი რაიჰსფიურერი. ჰიმლერმა შავი მუნდირიდან მტვერი ჩამოიბერტყა და სწრაფად გაშორდა იქაურობას.

რამდენიმე დღის შემდეგ მან გამოსცა „უაღრესად ჰუმანური“ ბრძანება:

— მამაკაცები დახვრიტეთ, ქალები და ბავშვები კი მოწამლეთო...

ეს ადრე იყო. მერე კი თვითონ ჰიმლერიც იმდენად მიეჩვია ამ „ეგზეკუციებს“, რომ ზოგჯერ გასართობადაც მართავდა ასეთ „სპექტაკლებს“...

...ცხოვრება მართლაც წინ მიდიოდა და მასობრივი მკვლელობის ტექნიკაც ვითარდებოდა! ადრინდელი პრიმიტიული „სიკვდილის აპარატებით“ მთელი რასიული ერთეულების მოსპობა ნამდვილად შეუძლებელი იყო. საჭირო გახდა „სიკვდილის კომბინატების“ შექმნა. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ე. წ. „გაზვაგენები“ იყო, რის შესახებაც მე უკვე გიამბეთ. ასეთი „გაზვაგენები“ პირველად ქ. ქრასნოდარში ვნახე. ვესაუბრე კიდეც ერთ-ერთ დასასჯელს, რომელიც ცოცხალი გადარჩა. ექიმი იყო და იცოდა როგორ მოქცეულიყო. მომწამვლელი გაზის სუნი რომ იგრძნო, ცხვირსახოცი შარდით დაასველა, ცხვირზე დაიფარა და გაგუდვას გაუძლო, მერე სხვებთან ერთად რომ თხრილში ჩააგდეს, თავი მოიმკვდარუნა, საღამოთი კი ამოძვრა იქიდან და მიიმალა. იმ ერთ დღეში სულ გათეთრებულიყო.

მაშინ ამ ამბების გამოსაძიებლად გერმანელების დანაშაულობათა დამდგენი საკავშირო კომისიის წევრი, ცნობილი რუსი მწერალი ალექსეი ტოლსტოიც იქ იმყოფებოდა. მან ვერ აიტანა იმ ექიმის თავგადასავლის მოსმენა, წამოდგა, „გადაგვარდა ადამიანთა მოდგმაო“, ჩაილაპარაკა და კარები ისე მაგრად გაიჯახუნა, თითქოს ჩვენ დაგვეშავებინოს რამე...

...„განხალხების ტექნიკა“ კი დღითიდღე უმჯობესდებოდა. შეიქმნა სპეციალური ფირმა „ტოპფი და შვილები“, რომელსაც დაევალა „მასობრივი ლიკვიდაციის სტაციონარულ ნაგებობათა აშენება“. ასე გაჩნდა „გაზკამერები“ და მექანიზებული კრემატორიუმები სიკვდილის ბანაკებში. აქ უკვე ყველაფერი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით იყო გამოანგარიშებული და გათვალისწინებული: „ღონისძიებათა საიდუმლოება“, „მაქსიმალური გამტარუნარიანობა“ და, ცხადია, „სიკვდილის ეკონომიური ეფექტიანობაც“. წარწერებიც ისეთი ჰქონდათ გაკეთებული, თითქოს სასიკვდილო კი არა, სამკურნალო კომბინატი ყოფილიყოს: „სადეზინფექციო“, „ქირურგიული კაბინეტი“, „ჰისტოლოგიური ლაბორატორია“, „აბაზანა“, „გარდერობი“, „ბუფეტი“ და სხვ.

ეს კომბინატები განუწყვეტლივ იღებდნენ „პაციენტებს“,

რომელთაც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებიდან „მორეკავდნენ“ ხოლმე. ჯერ მათს „ფილტრაციას“ ახდენდნენ, რაც სასამართლო პროცესის ემბრიონალურ, შეიძლება ითქვას, სრულ ცინიზმამდე დასულ მარტივ ფორმას წარმოადგენდა...

...ცნობილია, რომ რომაელი იმპერატორები გლადიატორების ბრძოლას მართავდნენ ცირკში. არენაზე გამოდიოდნენ მონები და ებრძოდნენ ერთმანეთს. როცა ერთი დასცემდა მეორეს, იმპერატორი ცერის მოძრაობით უჩვენებდა, მოეკლათ დამარცხებული თუ არა. თუ იმპერატორი ცერს ძირს დაუშვებდა, დამარცხებულს მოკლავდა გამარჯვებული, და თუ ცერს მაღლა აიშვერდა, დამარცხებულს აპატიებდნენ...

...ასე იქცეოდნენ რომის იმპერატორები. ესესელი პრეტორიანებიც ხომ ასეთივე „სრულუფლებიანი იმპერატორები“ იყვნენ თავიანთ საკონცენტრაციო ბანაკებში და რატომ თვითონაც არ გაიმეორებდნენ იმპერატორთა ჩვევებს!

აი, ბანაკის კომენდანტი ან ექიმი გამოდის კომენდატურიდან და ფეხებგაჩაჩხული დგება ეზოს შუაგულში. ორკესტრი უკრავს „სიკვდილის ტანგოს“. მოშორებით ორი ათასამდე „ახლად მორეკილი პაციენტია“ გამწკრივებული... გაისმის ბრძანება და იმ მწკრივს ნელ-ნელა ბატონ მსაჯულის წინ ჩაატარებენ, რომელიც ორკესტრს სტვენას ააყოლებს და თითის უბრალო მოძრაობით აჩვენებს, ვინ მარჯვნივ გადაიყვანონ და ვინ მარცხნივ. მარჯვნივ გადაყვანილებს მაშინვე „აბაზანაში“ შერეკავენ, მერე კონვეიერი — კრემატორიუმი — საკვამლე მილი და... გზა სამოთხისაკენ. ვისაც მარცხნივ გადაიყვანენ, მათ საკატორღო სამუშაოზე გაგზავნიან. განაჩენის ეს ორი ფორმაა მხოლოდ: სიკვდილი და კატორღა! პროცედურა მარტივია: ორკესტრი უკრავს, კომენდანტი უსტვენს, საჩვენებელი თითი მოძრაობს და ორი ათასი კაციდან დაახლოებით სამი მეოთხედი მიდის „სამოთხეში“, ერთი მეოთხედი კი „ჯოჯოხეთში“— საკატორღო სამუშაოზე. მთელი ეს „სასამართლო პროცესი“ სულ რაღაც ნახევარი საათი გრძელდება. ორი ათასი განაჩენი ნახევარ საათში!

აბა, მსოფლიოს რომელი ტრიბუნალი ან სასამართლო დაიქადის ასეთ ოპერატიულობას!..

ფერფლი და კვამლი...

ყველაფერი ეს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვითაა მოწყობილი. ნიურნბერგის პროცესზე ფრანგმა ბრალმდებელმა შარპანტიე დე რიბმა განაცხადა კიდეც: ჩვენი ეპოქის სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ტექნიკის მიღწევები იქცა ბარბაროსობის იარაღადო.

სამწუხაროდ, ეს მართლაც ასე იყო და, ვინ იცის, იქნებ ამ სიტყვებშიც გამოიხატებოდეს თანამედროვეობის მთელი ტრაგიკული სინამდვილე, თუმცა მე აქ არც მასობრივი მოსპობის სამხედრო იარაღებზე მექნება ლაპარაკი, არც ატომისა და წყალბადის ყუმბარებზე, ხიროსიმასა თუ ნაგასაკზე, არამედ სიკვდილის იმ „კომბინატებზე“, საკონცენტრაციო ბანაკებში რომ ჰქონდათ ჰიტლერელებს გამართული. მე ახლაც თვალწინ მიდგას მაღალი ტექნიკური მიღწევებით აგებული გაზკამერები და კრემატორიუმები, სადაც მილიონობით ადამიანებს აქცევდნენ ფერფლად და კვამლად. მათ შორის აქ თუნდაც ერთი — ოსვენციმი გავიხსენოთ. შორიდან რომ ამ ბანაკისათვის შეგეხედათ, სემირამიდას ბაღიაო, იტყოდით... ტანთეთრი არყების ჭალა, ფიჭვების ხეივანი და ზღვა ყვავილებისა... უფრო ყვითელი თუ წითელი ვარდები... ქრიზანთემები და გვირილები... შორიდანვე ისმის მუსიკა—ვაგნერი, ოფენბახი ან ბრიუკნერი... მერე დიდი ალაყაფის კარები ჩნდება, იქვე მშვენივრად მოვლილი ყვავილების გაზონებია, რილკეს სიტყვების იდილია: ვარდები თვალების მუსიკაა... მაგრამ მუსიკა თურმე დემონურია თავისი არსებით, სილამაზეც მაცდუნებელია, იგი ისევ იმ „ბოროტების ესთეტიკას“ გვაგონებს. ზოგიერთი პარადოქსული დისონანსიც გვხვდება თვალში... მავთულხლართები და სიმყრალის საშინელი სუნი, ვარდების სურნელებასთან შეზავებული... ზევით კი — ლურჯ ცაზე გაკრული შავი ბოლი... ისიც მყრალი და ჟრუანტელის

მომგვრელი... მერე ბანაკები... და ისევ ის „შეღებილი აჩრდილები“ — ძვალ-ტყავად ქცეული ადამიანები, ჩამქრალი თვალების უმწეო შემოხედვა... განწირულება...

არყის ხეებს შორის ძველებური გოთური სტილის ერთსართულიანი ნაგებობა დგას, დამრეცილი სახურავითა და ვიწრო ფანჯრებით... გვერდით... კიბეებია... ძირს სარდაფისაკენ... თუ ჯოჯოხეთისაკენ, სადაც უზარმაზარი „საამქროა“, ნაცრისფერი კედლებითა და პატარა კაბინებით... აქ ტუსაღები „აბაზანის მიღების წინ“ ტანისამოსს იხდიან, ფრთხილად კეცავენ და ალაგებენ... მერე სადეზინფექციოში ჩადიან, სადაც შიშისმომგვრელი უზარმაზარი თუჯის კარებია მარკით: „ტოპფი და შვილები. ერფურტი“.

ორი ათასი შიშველი კაცი, ქალი, მოხუცი თუ ბავშვი შედის ამ ჯურღმულში „ჭუჭყისა და ტილების“ მოსაშორებლად. თუჯის კარები სწრაფად იხურება... და იწყება საშინელება... სადღაც ზემოთ „ლუკი“ იხსნება და ვიღაც ფხვნილს „ციკლოპ B“-ს ყრის... ოცი წუთი კოშმარი... მერე ყველაფერი წყნარდება და კონვეიერები იწყებენ მოძრაობას. ამწეები გვამებს თუჯის უზარმაზარი ღუმელებისაკენ მიაქანებენ... იქაც ასეთი წარწერაა: „ტოპფი და შვილები. ერფურტი“. 15 ასეთი ღუმელია ერთმანეთის გვერდით... ყოველი ნათგანი სამ ნაწილადაა გაყოფილი... შუაში ელექტროვენტილატორები უბერავენ... „ჯოჯოხეთის ცეცხლი“ ჩაღდება... კონვეიერები რკინის ბადეებზე ყრიან გვამებს... და ფერფლად აქცევენ...

შავი კვამლი კი ზევით მიჰყვება მილს და ჰაერში იფანტება...

...გარშემო „დამხმარე სათავსოებია“, მაგალითად. „სასაკლაო“ ან „ქსენონი“. როცა „გადასამუშავებლად“ არც ისე დიდი კონტინგენტია, ღუმელების გახურება ეზარებათ და კრემატორიუმის უფროსის, ესესის შტურმფიურერ მოლის განკარგულებით ხვრეტენ ტუსაღებს... ამას უმთავრესად თვითონ მოლი აკეთებს... გასართობად. იგი ხუთ ტუსაღს დააყენებს ერთად... სიმაღლის მიხედვით ერთ ხაზზე... რომ ტყვიის ერთმა გასროლამ ხუთივეს გაუაროს საფეთქელში... ეს პირადად მისი

გამოგონებაა... ერთი ტყვია ხუთ კაცზე!.. ეკონომიისათვის. ამ სასაკლაოს ასფალტის იატაკი ოდნავ დაქანებულია, რომ სისხლი ჩაირეცხოს სპეციალურ ლუკებში, სადაც ამ „ნედლი მასალის“ ქიმიური გადამუშავება ხდება... მიწის გასანოყიერებლად...

იმავე სართულზე სპეციალური სათავსოებია... ვთქვათ, „კბილის საპროთეზო“, როგორც პოლიკლინიკაში... ვისაც ოქროს კბილები აქვს, აქ შეიყვანენ და გაზით ამოგლეჯენ. მერე ამ კბილებს აგროვებენ და მეზობელ საამქროს გადასცემენ, სადაც გადაადნობენ და ზოდებად უგზავნიან გერმანიის საიმპერიო ბანკს...

...გერმანელებმა დროის დაფასებაც იციან. ეს აქაცაა გათვალისწინებული... ყველაფერი სწრაფად უნდა მოხდეს, თორემ სიკვდილის კომბინატები ვერ აუდიან მილიონობით ადამიანების ფერფლად გადამუშავებას...

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში რომ „ახალ სტუმრებს მიიღებენ“, ექიმი მენგელე სწრაფად ახარისხებს მათ... მცირე ნაწილს სამუშაოდ გადაარჩევს, დანარჩენებს გაზკამერებისაკენ გზავნის... ორი ათას კაცს ერთად... აქაც დროის მოგებაა საჭირო... ახალგაზრდები კი ჩადიან სწრაფად კიბეებზე, მაგრამ ამ დაჩაჩანაკებულმა მოხუცებმა გააჭირეს საქმე!.. ისინი ძლივს მიჩანჩალებენ და სხვებსაც უშლიან ხელს... ტექნიკურმა აზრმა ესეც გაითვალისწინა და სიკვდილის კომბინატებსა თუ გაზკამერებს მეორე შესასვლელი გაუკეთდა... აქ კიბეები კი არ არის, არამედ ღარია ჩასასრიალებელი, კულტურისა და დასვენების პარკებში რომ ბავშვებისთვის „გორკას“ აკეთებენ, ისეთი. ზემოთ რომ ამ „გორკაზე“ დააგდებენ მოხუცს, ის თვალის დახამხამებაში ჩასრიალდება... პირდაპირ გაზკამერაში... იქიდან კი, სულერთია, გვამი მოხუცისა იქნება, თუ ახალგაზრდისა, ყველა ერთნაირი ტემპით მიჰყვება კონვეიერებს კრემატორიუმისაკენ...

...უფრო მეტ სიძნელეს ბავშვები ქმნიან, მაგრამ დაუძლეველი მართლაც არაფერია ამქვეყნად... ვისაც „თავი აბია

მხრებზე“, ამ სიძნელესაც ადვილად დაძლევს... მოლიც ჩაუფიქრდა ამას და ღუმელების გამტარუნარიანობის გასადიდებლად კრემატორიუმს სპეციალური ლუკი გაუკეთა... რის შემდეგაც ბავშვები გაზკამერებში კი არ შეჰყავდათ მშობლებთან ერთად, რაც ბევრ „უსიამოვნებას ქმნიდა“, არამედ პირდაპირ ცოცხლად ყრიდნენ ღუმელებში...

...აქ გაიყინა ადამიანის აზრი... მოსამართლეები, ბრალმდებლები და თვით დამცველებიც ისე გაქვავდნენ, რომ პროცესი თითქოს შეჩერდა კიდეც... ვერავინ შეძლო დაჯერება, რომ „ამგვარი დანაშაული შესაძლებელია“... ვერც გონებამ აღიქვა ფაქტების სინამდვილე და დაიწყო ხანგრძლივი იურიდიული მტკიცება... თქვენ გგონიათ რისი? რომ ეს ნამდვილად მოხდა? არა!.. რომ ეს საერთოდ შეიძლებოდა მომხდარიყო... ფაქტებს კი მერე მოუბრუნდნენ და შეუდგნენ იმის ჩვენებას, რომ...

— ასეთი დანაშაული, დიახ, ასეთი დანაშაული... მართლაც შესაძლებელია მოხდეს... და ნამდვილად... ჰო... ნამდვილად მოხდა! — ენა ებმის ბრალმდებელს...

...ტრიბუნაზე ჩვენთვის უკვე ნაცნობი სევერინა შმაგლევსკა დგას... ბანაკიდან საბჭოთა არმიის მიერ გათავისუფლების შემდეგ იგი გადასახლდა ამერიკაში და საკმაოდ ცნობილი მწერალი გახდა.

უნდა გენახათ რა სახეები ჰქონდათ იმათ, ვინც მის ნაამბობს ისმენდა ბავშვების ცოცხლად დაწვის შესახებ, მაგრამ რა უნდა ექნათ!.. ერთ საშინელებას მეორე მოსდევდა. შმაგლევსკა რომ ტრიბუნიდან ჩამოვიდა, მისი ადგილი ამავე ბანაკის ყოფილმა ტუსაღმა მიულერმა დაიკავა:

— 1944 წლის ზაფხულს კრემატორიუმის ძველი უფროსის ნაცვლად დანიშნეს ესესელი ჯალათი მოლი, რომელმაც ყველაფრის რეორგანიზაცია მოახდინა, — თქვა მან. — როცა კრემატორიუმები საქმეს ვერ აუთავდნენ, მოლმა უზარმაზარი ორმო ამოათხრევინა გვამების დასაწვავად. თუ სამუშაო ბევრი იყო, იგი თვითონ შრომობდა ხელებდაკაპიწებული და

ყრიდა გვამებს ორმოში. ეს ფანატიკოსი, შეშლილი ნაცისტი არც ეწეოდა, არც სვამდა. სულ იმას იძახდა: ბრძანება ბრძანებაა და, თუ ფიურერი მიბრძანებს, საკუთარ ცოლსა და შვილებსაც დავწვავო.

მისი უმთავრესი ჟინი იყო ადამიანის სისხლის ყურება და სროლა, გართობა კი — თამაში სასიკვდილოდ განწირულ ბავშვებთან. სახეგაღიმებული მოლი მიდიოდა ხან ერთ, ხან მეორე დედასთან, კოცნიდა მათ ბავშვებს, შოკოლადის ნატეხსაც აძლევდა და ეთამაშებოდა. მერე ხელშიც აიტაცებდა და მიჰყავდა სადღაც, დედას კი ეუბნებოდა, ახლავე უკან მოვიყვანო...

ის კი არა, გაჩაღებულ კოცონთან მიდიოდა და პირდაპირ ცეცხლში აგდებდა. ან არადა — თხრილში, რომელიც სავსე იყო კოცონიდან გამომდინარე დამწვარი ადამიანების მდუღარე ქონით. მოლი ღღეში რამდენჯერმე იმეორებდა ამას, მერე კი კმაყოფილი იტყოდა, „დღეს მე საკმაოდ ვიშრომე სამშობლოსათვისო“, და სავახშმოდ მიდიოდა...

კრემატორიუმები კი მთელი ღამე განაგრძობდნენ მუშაობას...

მარსიას ტყავი...

სიკვდილის კომბინატების გარშემო სოკოებივით აღმოცენდნენ საწარმოო-კომერციული ფირმები, რომელთაც შექმნეს მეურნეობის ახალი დარგი—„სიკვდილის ეკონომიკა“. „დასაბუშავებელ მასალას“, როგორც მოგახსენეთ, ჯერ სტომატოლოგიურ კაბინეტში შეიყვანენ და, ოქროს კბილები თუ აქვს, გაზით ამოგლეჯენ, დააგროვებენ და სპეციალური ყუთებით გერმანიის საიმპერიო ბანკში გაგზავნიან. მერე იმ „მასალას“ სადალაქოში „მიიწვევენ“ და თავს გადაპარსავენ. ამ „ნედლეულს“ სპეციალური ფირმა იღებს, რომელიც საწოლ ლეიბებს ამზადებს. ამის შემდეგ იმავე „მასალას“... „სიცოცხლეს ჩამოაშორებენ“ და სისხლს ქიმიურ მრეწველობას გადასცემენ. ქონს — საპნის ქარხანას, ძვლებს კი სპეციალური „ძვალსამტვრევი მანქანები“ ფხვნილად აქცევენ და სუპერფოსფატის

დამამზადებელ ქარხანას მიჰყიდიან. ეს ყველაფერი ფული ღირს! ყოველი სიკვდილის კომბინატი რენტაბელური წარმოებაა, ზოგიერთი დიდ მოგებასაც იძლევა, არც სხვა ფირმები რჩებიან ზარალში...

...საიმპერიო ბანკის დირექტორად, შახტის გადაყენების შემდეგ, ფრიკი დაინიშნა. ახლა ორივე განსასჯელთა სკამზე ზის. გულუბრყვილოებს შეიძლება გაუკვირდეთ კიდეც, რა დამოკიდებულება აქვსო ბანკის დირექტორს საკონცენტრაციო ბანაკებში მომხდარ საშინელებებთან! თითქოს არაფერი, სინამდვილეში კი — უშუალო. ბანკის დირექტორი ფრიკიც განაგებდა სიკვდილის ამ ეკონომიკას. ეკითხებიან კიდეც, თქვენ თუ იცოდითო რამე ამის შესახებ. ფრიკი, რა თქმა უნდა, ამბობს, არაფერიო. გაოცებული მხრებსაც იჩეჩს, რა დამოკიდებულება მაქვსო ამ საქმესთან. მერე უთხრეს, ბანკის შენობის სარდაფების სპეციალურ სეიფებში რომ ოქროს კბილებით სავსე ყუთები ინახებოდა, არც ამის შესახებ იცოდითო რამე?

თურმე არც ეს იცოდა!

მერე ამის თაობაზე ესესისა და ვესტაპოს ხელმძღვანელობასთან მისი საკუთარი მიმოწერაც უჩვენეს, მაგრამ მეხსიერების ქალღმერთმა მნემოზინამ მაინც არ მოიღო მოწყალება და არ გაახსენა არაფერი...

...კალტენბრუნერიც „შეაწუხეს" უსიამოვნო კითხვებით. ცოცხალი ადამიანების ტყავისაგან დამზადებული ნივთებიც უჩვენეს. მისი თანამშრომლის, პროფ. შპეერის მიერ შემუშავებული ტექნოლოგია გააცნეს, თანაც ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის მცველის ანდრეას პფაფენფეგერის ჩვენებაც წაუკითხეს:

— იმის შემდეგ, რაც გავსინჯეთ ტატუირებულკანიანი ტყვეები, გადავარჩიეთ მათგან ისეთები, რომელთაც უკეთესი ნახატები ჰქონდათ. ისინი ჯერ საავადმყოფოში მოვათავსეთ, ხოლო შემდეგ კანში შხამის შეშხაპუნებით დახოცა კარლ ბაიჰსმა, ვერნერბახმა კი ამოჭრა ტატუირებული კანი, დაამუშავა და საჩუქრად გადასცა შტანდარტენფიურერ კოხის მეუღ-

ლეს, რომელმაც ის ელექტროლამფის აბაჟურად და ბუდუარების სხვა მოსაკაზმავ მასალად გამოიყენა...

...ასეთ რამეს ისევ ძველ ანტიკურ მითებში თუ გაიგონებს კაცი!..

...ამბობენ, ფრიგიელი მარსია გაეჯიბრა აპოლონს მუსიკაში და დამარცხდაო. მარსიას კადნიერებით გაგულისებულმა აპოლონმა ტყავი გააძრო თურმე მას და გამოქვაბულში დაკიდა კილენის ახლო. მარსია, ლეგენდის მიხედვით, ფლეიტის დიდი მოყვარული ყოფილა, აპოლონი კი —ჩანგისა. ამიტომ ყოველთვის, როცა სადმე ფლეიტის ხმა გაისმოდა, მარსიას ტყავი ცახცახს იწყებდაო კილენის გამოქვაბულში.

ის კი არავინ იცის, როცა გამწარებული დედის გული მოუხმობდა ფრონტზე დაკარგულ შვილს, მისი ტყავი თუ იწყებდა ცახცახს ქალბატონ კოხის ბუდუარებში...

...პროცესზე წაიკითხეს აგრეთვე ინგლისელი ჯარისკაცის ჯონ ჰენრი უიტონის წერილობითი ჩვენება. უიტონი გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს არდენის ოპერაციების დროს და 1943 წლის 4 აპრილს ჩაიყვანეს დანციგში, სადაც მას ამუშავებდნენ ანატომიური ინსტიტუტის მიდამოებში. უიტონი ყვება, რომ ინსტიტუტში „წითელი ჯვრის“ სპეციალურ მანქანებს ყოველდღე მოჰქონდათ ნაჯახით თავმოჭრილი შიშველი გვამები და ჩაჰქონდათ სარდაფში. აქ მათ რაღაც სითხეს უშხაპუნებდნენ და ისე ტოვებდნენ დაახლოებით ოთხ თვეს. შემდეგ ისევ ამოჰქონდათ, რბილ ნაწილებს აშორებდნენ ძვლებს და...

უიტონმა აღწერა საპნის დამზადების პროცესი, პირველი ხარშვიდან — ყალიბებში ჩამოსხმამდე...

მერე „იმ იეზუიტმა ბრალმდებელმა“ არც ეს იკმარა და კალტენბრუნერს „ადამიანის ცხიმისაგან“ დამზადებული საპონიც დაუდო წინ, თან აფთიაქარივით აუღელვებელი ხმით ჩაიკითხა სამედიცინო აკადემიის დანციგის ანატომიური ინსტიტუტის მიერ შემუშავებული რეცეპტი:

„10—12 გირვანქა ქონი, 10 ლიტრი წყალი, 1000 გრამი

ნატროლის ხსნარი (Natroletten)—მყარი საპნისათვის, ხოლო 1000 გრამი კალიუმოკსიდი—თხევადისათვის, ერთი მუჭა სოდა. ადუღეთ ქვაბში სამი საათი, დაუმატეთ სამზარეულო მარილი, ცოტა კიდევ ადუღეთ და გააცივეთ. გამაგრებული ზედაფენა მოხადეთ, დაჭერით და ისევ ადუღეთ საათნახევრიდან ორ საათამდე ერთ-ორ ლიტრ წყალში, ჩაასხით ჭურჭელში და გააცივეთ. დაჭერით ნაჭრებად მოხმარებისათვის“.

გასაოცარია მათი ეკონომიური ალღო. ისინი ადამიანის ცხიმის ნახარშსაც არ ტოვებდნენ გამოუყენებლად. რეცეპტში ეწერა: „სითხე, რომელიც პირველი გაცივების შემდეგ რჩება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს გასაწმენდ მასალად“... და შემდეგ: „საპონს არასასიამოვნო სუნი რომ მოაშოროთ, დაუმატეთ რამე შესაფერისი ნივთიერება, მაგალითად, ბენზალდეგიდი“.

ამრიგად დამზადებული საპნები და მათი ყალიბებიც შემოიტანეს პროცესზე და სხვა ტექნიკურ ექსპონატებთან ერთად უჩვენეს ყველას. ისიც გამოარკვიეს, რომ ეს რეცეპტი მარტო ქარხნებისათვის კი არ იყო შედგენილი, არამედ ინდივიდუალური, საოჯახო მოხმარებისათვის. ყველა დიასახლისს შეეძლო სახლში მოედუღებინა ასეთი საპონი.

ადამიანის ცხიმი ხომ არც ისე ძნელი საშოვნელია, მით უმეტეს, ომის დროს!..

...მერე ის იყო, რამდენიმე გულშეღონებული რომ გაიტანეს დარბაზიდან. ზოგიც თვითონ გავიდა, იარუსიც თანდათან დაიცალა შეძრწუნებული კორესპონდენტებისაგან. ლოურენსს ენა ებმოდა. თითქოს სადღაც ფერდაკარგულ თემიდასაც მოვკარი თვალი. მგონი, იმასაც ისე უცახცახებდა ხელები, რომ ძლივს იკავებდა სასწორს. სასამართლო პროცესიც დანიშნულ დროზე ადრე შეწყდა...

არ ვიცი, საპნით თუ ვინმემ დაიბანა იმ დღეს ხელი. ის კი ვნახე, რომ სასადილოში კაციშვილი არ შესულა და გაოცებული მზარეულები კითხულობდნენ, რა მოხდა ასეთიო!..

საკონცენტრაციო ბანაკების „სპეცფილტრაცია“ მაშინ შემოიღეს, როცა მათი სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა გადაწყვიტეს და იძულებული გახადეს საკუთარ შემოსავალზე ეზრუნათ. ჰიტლერელებს ეხერხებოდათ ეს საქმე. თუ აქამდე უბრალოდ „სიკვდილის ეკონომიკას“ ავითარებდნენ, ახლა „ესთეტიკური პრინციპებიც“ გაიტანეს ბაზრობაზე. ამ სამუშაოებს „მაღალი გემოვნების“ სპეციალური კომისიები ასრულებდნენ. ისინი დიდის გულმოდგინებით არჩევდნენ „საჭირო ესთეტიკურ ექსპონატებს“: ვისაც ჯანსაღი და ლამაზი კბილები ჰქონდა, წაიყვანდნენ ქირურგიულ კაბინეტში და... „თავს ფრთხილად მოაშორებდნენ სხეულს“, ლამაზ თავის ქალას დაამზადებდნენ და მიჰყიდდნენ რომელიმე ანთროპოლოგიურ კაბინეტს. ასევე, თუ კარგი აგებულების ტყვეები შეხვდებოდათ, ჩონჩხებს დაამზადებდნენ და ანატომიურ ინსტიტუტებს დაუგზავნიდნენ.

შემდეგ „ცოცხალი ექსპონატებითაც“ დაიწყეს ვაჭრობა. ჯანსაღ და ფიზიკურად ძლიერ ტუსაღებს სამუშაოდ მიერეკებოდნენ, ქალებს კი ხელზე მოსამსახურეებად ყიდდნენ. ფასი სხვადასხვაგვარი იყო. ჯერ საკმაოდ „ძვირს“ აფასებდნენ, მაგრამ მერე მოსამსახურის ფასი 10—15 მარკამდე დაიყვანეს. ამ ხელზე მოსამსახურეების მდგომარეობა იმდენად აუტანელი იყო, რომ ბევრმა თავი მოიკლა.

პროცესზე ასეთი მაგალითიც მოიყვანეს. ერთმა უკრაინელმა გოგონამ ვეღარ აიტანა დამცირება და თავი ჩამოიხრჩო საღორეში, სადაც მას აცხოვრებდნენ. მეორე დღეს დიასახლისმა ეს რომ დაინახა, გულშემზარავი კივილი მორთო და მთელი მეზობლები შეყარა უბედურების ადგილას.

— ნუ სწუხართ, ქალბატონო,—ანუგეშა იგი ერთ-ერთმა მეზობელმა, — თქვენ შეგიძლიათ კიდევ იშოვოთ ასეთი გოგო!

— რა უნდა ვიშოვო! — იკივლა იმ ქალბატონმა, — მე უკვე ორჯერ გადავიხადე 15—15 მარკა.

თურმე დახარჯულ ფულს ტიროდა და არა ადამიანის სიცოცხლეს!

ასეთი მონებით მოვაჭრე მთავარი სამხედრო დამნაშავის ზაუკელის განკარგულებით მარტო უკრაინიდან გერმანიაში უნდა „შემოეზიდათ“ 500 ათასამდე ახალგაზრდა ქალიშვილი, რომ მსახურებად დადგომოდნენ გერმანელ „ფრაუებს“ და თან სახელმწიფო ხაზინაში მილიონობით თანხა შესულიყო.

ამას გარდა, „ესთეტიკური კომისიის“ წევრები სპეციალურად არჩევდნენ ლამაზ გოგოებს, რომ საროსკიპოებში გაეყიდათ. ამ შემთხვევაში ფასი შედარებით მაღალი იყო. მერე გემოვნება უფრო „დაიხვეწა“, გრძნობებიც „გაფაქიზდა“ და საჭირო გახდა ლამაზკანიანი გოგონების შერჩევა, რომ ცოცხლად გაეძროთ ტყავი და „ნატიფი ნივთები“ დაემზადებინათ. ეს იაფიც ჯდებოდა და სამუშაოდაც სასიამოვნო იყო. საკონცენტრაციო ბანაკის შემოსავალი იზრდებოდა და „სიკვდილის წარმოება“ მართლაც რენტაბელური ხდებოდა.

მე წავიკითხე ერთ-ერთი საკონცენტრაციო ბანაკის ანგარიში: რომელ საკვლევ ინსტიტუტს, ლაბორატორიას ან საროსკიპოს რამდენი კაცი თუ ქალი მიჰყიდეს და რა ფასად. ყველაფერი ეს ლამაზადაა გაფორმებული, აწონილ-დაწონილი და გაანგარიშებული, თანაც „ფსიქიკურად უვნებელ ფორმებში“ წარმოდგენილი და, ცხადია, გესტაპოელების ესთეტიკურ პრინციპებთან შეთანხმებული, ზოგჯერ „მუსიკალურადაც დახვეწილი“ და სანახაობად ქცეული. ამისთვის ბანაკები რადიოფიცირებული იყო. „მასობრივი ლიკვიდაციის დროს“ რეპროდუქტორები გადასცემდნენ ჰიტლერის საყვარელ მელოდიებს „მხიარული ქვრივიდან“ ან ბარკაროლას „ჰოფმანის ზღაპრებიდან“. და თუ განწირულთა ყვირილი გადააჭარბებდა რეპროდუქტორების ხმას, რამე უფრო ხმაურიან ჯაზურ მუსიკას დაუკრავდნენ...

...ამას რომ ვიგონებ, თავში რატომღაც შოპენჰაუერის ფრაზა მიტრიალებს: „მხოლოდ მუსიკის საშუალებით ხდება გასაგები ინდივიდის მოსპობის სიხარული!“ ნუთუ აქ მართლაც რამე კავშირია? ან რატომ წერენ ამდენს მუსიკის დემონური ხასიათის შესახებ? რატომ არის, რომ სიკვდილი მუსიკის თანხლებას მოითხოვს? იანოვსკის საკონცენტრაციო ბანაკში, რო-

გორც მოგახსენეთ, საამისოდ სპეციალური ორკესტრი შექმნეს გამოჩენილი ტყვე მუსიკოსების — პროფესორ შტრიქსის, დირიჟორ მუნდისა და სხვათა მონაწილეობით. ეს ორკესტრი „სიკვდილის ტანგოთი“ უტკბობდა ყურთასმენას ბატონ ესესელებსა და გესტაპოელებს, როცა ისინი ათასობით ტყვეებს ხვრეტდნენ ან გაზკამერებში მიერეკებოდნენ.

შემდეგ, როცა საბჭოთა არმიის ნაწილები მიუახლოვდნენ ბანაკს, კომენდანტის განკარგულებით თვით ეს ორკესტრანტები დახვრიტეს. ისინი გაიყვანეს ბანაკიდან და ტანკსაწინააღმდეგო ორმოსთან დააყენეს. ყველა მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მაგრამ ნერვები ისე ჰქონდათ გახევებული, რომ მექანიკურად აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც კი ეუბნებოდნენ. შტურმფიურერმა ამ შემთხვევაშიც არ უღალატა წესს და უბრძანა მათ „სიკვდილის ტანგო“ დაეკრათ. ორკესტრანტებმა ეს ბრძანებაც შეასრულეს. იდგნენ და უკრავდნენ თავიანთ რეკვიემს. მერე ინსტრუმენტები ერთად დააწყვეს და ისევ თხრილთან დადგნენ.

ამის შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც „წესი და რიგია“, მაგრამ როცა იმათ ხვრეტდნენ, ორკესტრი უკვე აღარ უკრავდა...

...ალბათ, ასეთი „მუსიკალური საშინელებებით“ შეძრწუნებული თუ იყო თომას მანი, როცა დაწერა, „მუსიკა თავისი არსით დემონურიაო“. მერე ეს აზრი განავითარა კიდეც და დაუმატა, „გერმანელის დამოკიდებულება სამყაროსთან მუსიკალურიაო“. ამიტომ, მისი შეხედულებით, ფაუსტიც როგორც „გერმანული სულის გამოხატულება“ აუცილებლად მუსიკოსი უნდა ყოფილიყო, რადგან „აბსტრაქტული და მისტიკური, ე. ი. მუსიკალურია გერმანელის დამოკიდებულება სამყაროსთან“.

ამაზე ფიქრით შეიძლება კაცს ტვინი აემღვრეს. ადრიან ლევერკიუნიც ხომ ასევე ტვინამღვრეული იყო თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში. ასე ამბობენ, თორემ, ვინ იცის, იქნებ სწორედ შეშლილობის მიჯნაზე გაუნათდა მას გონება, რომ ეთქვა საშინელი სიმართლე: „ხელოვნება—მუსიკა დასცი-

ნის თავისთავს და ეს ეპოქის ბრალიაო!“ თუმცა ვინ გაიგებს, მუსიკა დასცინის თავისთავს, თუ ადამიანი? ესესელიცა და გესტაპოელიც ხომ ადამიანია? სამწუხაროდ, მაგრამ მაინც ადამიანი! როცა ის მუსიკის თანხლებით სპობს ათასობით ადამიანის სიცოცხლეს, იქნებ, შოპენჰაუერისა არ იყოს, მართლაც „მუსიკალურად განიცდის“ „ინდივიდის მოსპობის სიხარულს“. მუსიკა ხომ დემონურია, დემონური კი ადამიანურის უარყოფას ნიშნავს, ასევე—მუსიკაც, რომელიც თავისთავს დასცინის. სერენ კირკეგორის თქმით, მუსიკა „ქრისტიანული ხელოვნების უარყოფის ნიშანია“...

ფრანგი ბრალმდებელი დე მენტონი, ანალიზს უკეთებდა რა „ინდივიდის მოსპობის“ ნაცისტურ თეორიას, ამბობდა:

— მათი აზრით, ცალკეული ინდივიდი თავისთავად არ წარმოადგენს რამე ღირებულებას. მას მნიშვნელობა ეძლევა როგორც რასაში შემავალ ელემენტს... ვინც ამ აზრს არ იზიარებს,—ფიქრობენ ისინი,—სულელია ან ანტისაზოგადოებრივი ელემენტი. ნაციონალ-სოციალიზმმა, — დაასკვნის მენტონი, — გამოიწვია პიროვნების დათრგუნვა სახელმწიფოს მიერ და დაუკარგა მას თავისთავადი ღირებულება...

როგორც ყოველი ცალკეული ინსტრუმენტის ხმა სიმფონიის საერთო ჟღერადობაში, „უპიროვნო ადამიანებიც“ ისე იკარგებიან რასის, ერისა და სახელმწიფოს მთლიანობაში.

ვინ იცის, იქნებ მართლაც აქ დაუკავშირდა ერთმანეთს მუსიკა და „ინდივიდის მოსპობის სიხარული!“ ისიც შესაძლებელია, რომ ქრისტიანული ხელოვნება ამით უარყოფდეს ან დასცინოდეს თავისთავს. ყოველ შემთხვევაში, ჰიტლერი ასეთ რამეს უქადაგებდა რაუშნინგს:

— ქრისტიანულ დოქტრინას ადამიანის ინდივიდუალური სულის უსაზღვრო მნიშვნელობისა და პიროვნების პირადი პასუხისმგებლობის შესახებ მე მთელი სიცხადით ვუპირისპირებ მხსნელ დებულებას ადამიანის ინდივიდუალური არსების უმწეობისა თუ უმნიშვნელობის და მისი განმეორებითი არსებობის შესახებ ერის ყოვლად თვალსაჩინო უკვდავებაში...

იგივე აზრი თავისებური მაღალფარდოვანი ფრაზებით გამოთქვა როზენბერგმა „XX საუკუნის მითში“: „ხალხები,

რომელთა ჯანსაღი სული განისაზღვრება სისხლით, არ ცნობენ ინდივიდუალიზმს როგორც სულიერ ღირებულებათა კრიტერიუმს, ისევე როგორც არ ცნობენ უნივერსალიზმს. ინდივიდუალიზმი სხვა არაფერია, თუ არა დეკადენტობის მეტაფიზიკა".

აქ არ გამოვუდგებით იმის ძიებას, არის ეს მართლაც ჰიტლერისა და როზენბერგის მიერ გამომუშავებული დებულება, თუ ისინი ამ შემთხვევაშიც ადამიანის როგორც უპიროვნო ნაცვალსახელის შესახებ სხვების აზრს იმეორებენ. საერთოდაც არ დავიწყებდი ამაზე ლაპარაკს, რომ ამ ინდივიდუალიზმიდან, თუ „ინდივიდის მუსიკალური მოსპობის სიხარულიდან" ჰიტლერელებს პიროვნებათა ფიზიკური მოსპობის უფრო პრიმიტიული „ფილოსოფია" არ შეემუშავებინათ. თუ, ჰიტლერის აზრით, პიროვნებას ღირებულება არა აქვს, ეს ჰიმლერის ენაზე იმას ნიშნავს, რომ „ადამიანის ფასი გროშია". კაიტელისათვის ოკუპირებულ ტერიტორიაზე „ადამიანის სიცოცხლე, საერთოდ, არაფერი არ ღირს". ამიტომ შეიძლება მათი მოსპობა, თუნდაც მუსიკის თანხლებით.

ადამიანთა მოსპობის შესახებ ბრძანებების გაცემით რომ მოიღლებოდა, კაიტელი სისხლიან ხელთათმანებს გაიძრობდა, როიალს მიუჯდებოდა და ვაგნერით უტკბობდა ყურთასმენას „საყვარელ ფიურერს".

ვინ იცის, იქნებ აქაც ინასკვებოდა ერთმანეთში მუსიკა, მისი დემონური არსი და ინდივიდის მოსპობის სიხარული!.

სასაცილო სიკვდილი...

სწორედ რომ „სიხარული!" აბა, სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ „სიკვდილით გართობის" მეტაფიზიკა! ან ის სადისტური ჟინი, რითაც შეპყრობილი იყვნენ ჰიტლერელი ჯალათები! სიკვდილის მისჯა და დახვრეტა ან ჩამოხრჩობა ერთია... გართობა — მეორე. წამების ათასგვარი ინკვიზიტორული ხერხიცაა ცნობილი, მაგრამ ესეც შურისძიებისა და დასჯის გამოვლინება იყო და არა სიამოვნების საშუალება. აქ კი ყველაფერი,

ისევ შექსპირისა არ იყოს, „ჩვეულებად“ იქნა ქცეული. ვის როგორ მოეხასიათებოდა, ისე კლავდა. თან იმას ცდილობდნენ, „სიკვდილის პროცედურა“ რაც შეიძლება სასაცილო ყოფილიყო. გასართობსაც ადვილად შოულობდნენ: საკონცენტრაციო ბანაკებში ამაზე მეტი რა იყო!..

...პირველად ასეთი ბანაკი მე ქ. იანოვსკში ვნახე. ეს, რა თქმა უნდა, ის არ იყო, რასაც საკონცენტრაციო ბანაკები მოქმედების დროს წარმოადგენდნენ, მაგრამ გარკვეული შთაბეჭდილება მაინც შემექმნა ამ ჯოჯოხეთზე. ისე კი, მე მგონი, ცნობილი ინგლისელი კორესპონდენტი ინგერსოლი სწორად წერს:

—საკოცენტრაციო ბანაკი საკუთარი თვალით უნდა ნახო, რადგან უშუალო გაცნობის შეცვლა ამ შემთხვევაში არაფერს შეუძლია. თქვენ იქნებ მოგეჩვენოთ, რომ გაქვთ სწორი წარმოდგენა ფაშიზმსა და ნაცისტურ პარტიაზე, რამაც გახრწნა გერმანელი ხალხი, მაგრამ ვიდრე საკონცენტრაციო ბანაკს ნახავდეთ, შეიძლება გაჰკიცხოთ ყოველივე ეს გონებით, გულით, მაგრამ არა მთელი არსებით! რომ დაათვალიეროთ ის ადგილი, სადაც საკონცენტრაციო ბანაკი იყო, ეს საკმარისი არ არის; არც ის, უკვე გასუფთავებული რომ ნახოთ მას შემდეგ, რაც ბარაკები დაწვეს, ხოლო ფერფლი და სიმყრალის სუნი ქარმა წაიღო. ის კი არა, გვამებსაც რომ მოჰკრათ თვალი, — ესეც ცოტაა. საკონცენტრაციო ბანაკი უნდა ნახოთ მოქმედებაში, როცა მისი ძალაუფლება ჯერ კიდევ აწევს ადამიანებს. მას შემდეგ კი, რაც მცველები გარბიან და ბანაკის კარები ფართოდ იღება, სული მისი შემქმნელი სისტემისა კიდევ ერთხანს ტრიალებს მის ზევით, როგორც სიმყრალე...

იანოვსკის საკონცენტრაციო ბანაკი მე სწორედ იმ მომენტში ვნახე, როცა უკუქცეულმა მტერმა დატოვა მისი მიდამოები და ჯოჯოხეთის ეს დაგმანული კარები გაიხსნა. იქაურობა მართლაც სტიქსის შმორიან ჭაობსა ჰგავდა. ამაზრზენი სიმყრალის სუნი იდგა. მაიდანეკი, ოსვენციმი, ბუხენვალდი და სიკვდილის სხვა ბანაკები უფრო საშინელი იყო, მაგრამ მე

პირველად სწორედ ეს იანოვსკის ბანაკი ვნახე და, ალბათ, ამიტომაც მოახდინა ჩემზე ასე შემზარავი შთაბეჭდილება...

...ვინც ამ ბანაკში მოხვდებოდა, გადარჩენის ყოველგვარი იმედი უნდა ჰქონოდა დაკარგული, რადგან აქაც მოქმედებდა დანტეს ჯოჯოხეთის კარიბჭეზე შავად წარწერილი სიტყვების ძალა:

„თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დაჰკარგეთ ყველა!“

ან რა იმედი უნდა ჰქონოდათ სასიკვდილოდ განწირულთ, როცა ყველასთვის ერთი განაჩენი იყო გამოტანილი — სიკვდილი! ჯოჯოხეთის მეშვიდე გარსის მსგავსად ამ ბანაკსაც მავთულხლართების „შვიდი გალავანი და შვიდი კარიბჭე“ ჰქონდა შემოვლებული. გასასვლელი კი მხოლოდ ერთი იყო—კრემატორიუმი და საკვამლე მილი. ბანაკის მოედანიც იოსაფატის ბიბლიურ ჭალას მიაგავდა, იერუსალიმთან რომ ჰქონდა იუდეველთა მეფეს მართლმსაჯულების სიმბოლოდ გამართული. მეფე იოსაფატი ამ მოედანზე ასამართლებდა ხალხს და ვითომ ღვთის განაჩენი გამოჰქონდა მათთვის. იანოვსკის ბანაკის მოედანზე კი მის ნაცვლად ქვესკნელის მრისხანე მსაჯულ მინოსის მსგავსი გესტაპოელი იდგა და „ტანჯვის ჯურღმულებში“ გზავნიდა ახალმოსულებს...

ჯოჯოხეთის ყველა გარსში მოგონილი სატანჯველი თუ შეედრება იმ საშინელებას, რაც ამ ბანაკში ხდებოდა. თუმცა ასეთი შედარებაც გაფერმკრთალდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ სრულიად უდანაშაულონი ან თავიანთი სამშობლოს ღირსებისათვის მებრძოლნი იტანჯებოდნენ, იქ კი, დანტეს ჯოჯოხეთში, მხოლოდ სახელშებილწული დამნაშავენი, „ვინც ცოდვით სავსემ დატოვა ამქვეყნიური სამყოფელი“, უპირველეს ყოვლისა, „მოკვდავთ შორის უბადრუკნი“, ვინც სიცოცხლეში ვერ გახდა ღირსი „ვერც ქების, ვერც გინებისა“ და ვინც მხოლოდ თავისი თავისთვის ზრუნავდა. „ზეცამ სისპეტაკე დაიცვა მათგან“, მაგრამ არც ჯოჯოხეთმა მიიღო ისინი, რადგან „არარაობას ბოროტებამაც ზიზღით შეხედა“. სამაგიეროდ, ჯოჯოხეთის ბნელ ჯურღმულებში იტანჯებოდა ყველა ცოდვილი, დიდი თუ მცირე, ქვეყნის მფლობელი თუ მისი მონა-

მორჩილი. მართლმსაჯულების წინაშე ყველა ერთია და ყველას მიეზღო კიდეც დამსახურებული სასჯელი. ქვეყნის გამგებელნი და ტირანები იქ გოჭებივით ეყარნენ ლამში, ადუღებულ კუპრში იხარშებოდნენ ისინი, ვინც მეუფეთა წყალობას სავაჭროდ იხდიდა ან მაცდურ რჩევას აძლევდა მათ, თესავდა განხეთქილებას, ზიანს აყენებდა მოყვასს ან ბოროტ განზრახვებს ისრულებდა ტყუილითა და ძალდატანებით... იქ იყვნენ ფარისეველნი, შურის მთესველნი, მოძალადენი, კაცისმკვლელნი, მძარცველნი და ცეცხლის წამკიდებელნი, ვინც სხვის ქონებას ანადგურებს ან ფლანგავს საკუთარს. შესაფერი სასჯელი ედოთ ფარისეველთა და პირფერთ, ქურდებსა და მექრთამეებს, ხარბებს, აღვირახსნილებსა და ამპარტავნებს...

ყველას, „ვისაც ღმერთი ვერ უგრძნია საკუთარ გულში“...

აქ კი განუკითხავად ისჯებოდნენ დიდები და პატარები, ქალები და კაცები, სიკეთისა და სამართლისათვის მებრძოლნი... მაგრამ სამართალს მაინც თავისი გააქვს. თუ ყველა პატივაყრილის ტანჯვა ჯოჯოხეთში მარადიულია, აქ სიკეთემ სძლია ბოროტებას და გახსნა „სისხლიანი ქვეყნის ბინადართა“ ტანჯვის ჯურღმულები...

როცა ჩვენები იანოვსკის მიდამოებში შეიჭრნენ, გესტაპოელები თუ ჟანდარმერიის „შავი ანგელოზები“ უკვე გაქცეული იყვნენ. მათ ვერ მოასწრეს ბანაკის აფეთქება ან განადგურება, ვერც ტყვეების ევაკუაცია ან ლიკვიდაცია. ახლომახლო ჯერ კიდევ დალასლასებდნენ გაძვალტყავებული და სასომიხდილი ადამიანები, რომელნიც, დანტესი არ იყოს, „შეღებილ აჩრდილებს“ ჰგავდნენ. მათი უმრავლესობა ისე იყო სასომიხდილი, რომ გათავისუფლების სიხარულსაც არ განიცდიდა. ზოგს ბანაკიდან გასვლაც ვერ გაებედა, ავადმყოფები და ძალაგამოლეულები ისევ თავიანთ ნარებზე იწვნენ...

...საღამო ხანი იყო. მკვდრის მზე მკრთალად ანათებდა მათ გაფითრებულ სახეებს, თუ მარტო თვალებს... შთაბეჭდილებაც ისეთი იყო, თითქოს თვალებიღა ჰქონდათ დარჩენილი, საშინლად სევდიანი და უსიცოცხლო თვალები...

რომ მივუახლოვდით და გამოველაპარაკეთ, სიცოცხლის

ნაპერწკალმა გაიელვა მათში, სახეზე რაღაც ღიმილის მსგავსიც გაჩნდა, ნაკვლის ღიმილისა, რაც ათასჯერ უფრო შემაძრწუნებელია, ვიდრე ტანჯვით აღსავსე თვალების შემოხედვა... მერე გამოველაპარაკეთ კიდეც და გათამამდნენ, ჩვენთან ერთად დასხდნენ და გვიამბეს...

...დანტეს ნაამბობი ხომ მართლაც საშინელია, მაგრამ ის, რაც უნდა იყოს, მაინც მოგონილია, გენიალური პოეტის ფანტაზიის ნაყოფი. აქ კი თვით სინამდვილე მეტყველებდა თავისი ჯოჯოხეთური საშინელებით, თუმცა ჯოჯოხეთიც რას შეედრება ამ ბანაკებში გამეფებულ „არტისტულ სისასტიკეს"! იქ სასჯელი დადგენილია და დამნაშავის დასასჯელად განკუთვნილი. ამ მხრივ ჯოჯოხეთსაც თავისებური ლოგიკა აქვს. იგი არ სჯის უდანაშაულოს. აქ კი უდანაშაულოთა დასჯა, ტანჯვა თუ წამება უმიზეზო გასართობი იყო.

იმ ტუსაღების ნაამბობიდანაც მე სწორედ იმან შემაძრწუნა ყველაზე უფრო, რასაც თვითონ „სიკვდილით გართობას" ან „სასაცილო სიკვდილს" უწოდებდნენ...

...ჰაუპტშტურმფიურერ ფრიც გებაუერს უფრო ცოცხალი ადამიანების გაყინვა ართობდა თურმე. ის ჯერ გაატიტვლებდა პატიმარს, მერე ხელ-ფეხს შეუკრავდა და 15-20 გრადუსი ყინვის დროს წყლით სავსე კასრში ჩასვამდა ან ბოძს მიაკრავდა და მანამ ამყოფებდა „შხაპქვეშ", ვიდრე მსხვერპლი ყინულის სქელი ფენით არ დაიფარებოდა. ძუძუმწოვარა ბავშვებს კი ის ფეხზე ხელს მოჰკიდებდა და ჩურჩხელასავით ამოავლებდა გაყინულ წყალში.

რომ ეტყოდნენ, რას აკეთებო, „ცოცხალ მუმიებსო", უპასუხებდა...

...შტურმფიურერი ხაინე მოძრავ სამიზნეზე სროლით ერთობოდა. ქალს თმებით ჩამოკიდებდა ხეზე, გააქან-გამოაქანებდა და ესროდა. უფრო ხშირად კი ვილჰელმ ტელივით თავზე ჭიქას დაადგამდა ვინმეს, დაუმიზნებდა და...

მისთვის სულერთი იყო... ჭიქას მოარტყამდა, თუ ადამიანს...

...სხვებიც თავისებურ გართობას იგონებდნენ: ტყვეს ერთ ფეხზე ერთი ჯგუფი მოეჭიდებოდა, მეორეზე—მეორე და მანამ ექაჩებოდნენ აქეთ-იქით, ვიდრე შუაზე არ გახლეჩდნენ...

...ერთ-ერთ ბანაკში ორმოცამდე ინგლისელი ტყვე მფრინავი მოიყვანეს... ყველა სასიკვდილოდ იყო განწირული. მათ ჯერ რკინის ჯოხებით სცემეს და მერე სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანეს. ერთმა ინგლისელმა ოფიცერმა ითხოვა, განაჩენი ისე მოეყვანათ სისრულეში, როგორც სამხედრო პირებს შეეფერებოდათ...

ამის პასუხად გესტაპოელებმა, პირიქით, სიზიფის მითის რაღაც თავისებური ვარიანტი გაითამაშეს.

მფრინავები ქვასატეხში ჩაიყვანეს, ასიოდე საფეხური იყო ჩასასვლელი. იქ უზარმაზარ ქვებს აჭიდებდნენ და უბრძანებდნენ ზევით აეტანათ. გზადაგზა მათრახებითა და რკინის ჯოხებით სცემდნენ, როგორც დანტეს შავი დემონები შოლტავდნენ მარადიული წამებისათვის განწირულ ცოდვილთ მალებოლჯეში.

როცა მფრინავი-სიზიფი დიდის ვაი-ვაგლახით უკანასკნელ საფეხურამდე მიაღწევდა, ისევ დასცხებდნენ ჯოხს, ქვას გააგდებინებდნენ და უკანვე ჩააგორებდნენ. მერე იწყებოდა თავიდან, ვიდრე უკანასკნელი მსხვერპლიც უსულოდ არ დაეცემოდა ქვასატეხის საფეხურზე...

...სხვაგან „პარაშუტისტობას“ ასწავლიდნენ საკონცენტრაციო ბანაკის „სტუმრებს“. ესესელები მიიყვანდნენ მათ ასი მეტრი სიმაღლის კლდის ნაპირას და მანამ ურტყამდნენ რკინის ჯოხებს, ვიდრე ხრამში არ გადახტებოდნენ.

ჯალათები სიცილით იხოცებოდნენ... მორიგი „პარაშუტისტი“ კი თავის რიგს უცდიდა...

... მთელმა მსოფლიომ გაიგო, თუ ნაზი აგებულებისა და სათნო გარეგნობის 21 წლის ქერა გოგონა ირმა გრეზე როგორ აგლეჯინებდა ძაღლებს ასობით ტყვეს. იგი ტუსაღებს საკუთარი ხელით ხვრეტდა, ქალებს თმებით ჰკიდებდა ხეზე და მათს უკანასკნელ კონვულსიას უყურებდა...

...პათოლოგიის ისტორიაში ცნობილია ფრანგი მილიონერის ქალიშვილის ვინმე მარია ჟანერეს ავადმყოფური სადისტური მიდრეკილება სხვისი ტანჯვით სიამოვნების მიღებისა. განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდა მას მომაკვდავთა აგონიის ყურება. ამისთვის მიატოვა თავისი მდიდრული ოჯახი და საავადმყოფოში დაიწყო უბრალო მომვლელად მუშაობა. იგი საათობით იჯდა მომაკვდავთა სასთუმალთან და ტკბებოდა მათი ცქერით. მერე, „სიამოვნების წყარო“ რომ მოაკლდა, თვითონ დაიწყო საწამლავის მიცემა. ღამით ჩუმად მოწამლავდა ვინმეს და მისი ყურებით იკმაყოფილებდა თავის სადისტურ ჟინს...

...ეს ერთი შემთხვევა მრავალ სამედიცინო წიგნშია აღნიშნული. საკონცენტრაციო ბანაკებში კი ათასობით ასეთი მარია ჟანერეები იყვნენ. მარტო ირმა გრეზეს ან̄გარიშზე რამდენი ათასი უდანაშაულო ადამიანის „სასაცილო სიკვდილი“ იყო, მაგრამ...

ომი რომ დამთავრდა, შეიპყრეს, გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს.

მაშინ კი ატირდა „ამორძალების დედოფალი“...

...იყო უფრო „უწყინარი“, მაგრამ „მაინც სასაცილო“ ამბებიც. პროცესზე წაიკითხეს მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტუსაღის რიბოლ ფრედერიკის ჩვენება. იგი ყვებოდა, რომ მათთვის წყალ-წყალა „საჭმელი“ ორ-სამ დღეში ერთხელ მოჰქონდათ და, როცა მოიტანდნენ, მაშინაც ტუსაღების დასამცირებლად იყენებდნენ. ნარეცხის მსგავს სითხეს პირდაპირ ღარში, პირსაბანში ან ეზოს პატარა აუზში ასხამდნენ, რომლის გარშემო ოციოდე კაცი თუ ეტეოდა, იქ კი ამ დროს ორი ათასამდე ტუსაღი იყო. მათ არ ჰქონდათ კოვზები ან სხვა რამ ჭურჭელი. ისე, „ღორებივით უნდა მისეოდნენ“ აუზს, რომ რამდენიმე ყლუპი მაინც შეხვედროდათ.

როცა ეს ორი ათასი კაცი იბრძოდა აუზამდე მისაღწევად, მცველი ესესელები იდგნენ და ხარხარებდნენ...

...ნიცშეს რომ უთქვამს, „ბრაზით კი არ კლავენ, სიცილითო“, სწორედ ამის პასუხია!.. ეს „სიცილით სიკვდილიც“ ალბათ გონების მრუშობის შედეგია, თორემ სასაცილო ისე რა უნდა ყოფილიყო ამაში? ნორმალური ადამიანის წარმოსახვა ვერც მისწვდება ამას. გოეთეს კი უთქვამს: ყველაფერზე უფრო ადამიანის ხასიათს ის ამჟღავნებს, თუ რა მიაჩნია მას სასაცილოდო. მაგრამ არც ეს არის „ორჯერ ორი ოთხიას“ ჭეშმარიტება. ქართველი კაცი რომ იტყვის, „ნუ მომკალი სიცილითო“, სხვის ხუმრობაზე თვითონ იცინის და იმიტომ. იმათ კი, ვისაც საკონცენტრაციო ბანაკებში ხოცავდნენ, სიცილის თავი სად ჰქონდათ... ის კი არა, მათ ისეთი განურჩევლობა და აპათია იპყრობდა, რომ იარაღს ყრიდნენ ცხოვრების ამგვარი ულმობელი სისასტიკის წინაშე, წყვეტდნენ უაზრო ბრძოლას და მშვიდად უცდიდნენ „სასაცილო სიკვდილსა“ და კრემატორიუმს... როცა მათი რიგი მოაღწევდა, უკვე იმდენად თავმობეზრებული იყვნენ, რომ „დამშვიდებულნი და ბედთან შერიგებულნი“ ნებდებოდნენ არყოფნის მიმზიდველობას. ამიტომაც იყო, რომ სრულიად აუღელვებლად მიდიოდნენ დასახვრეტი ორმოებისაკენ. ოსვენციმის კომენდანტ რუდოლფ ჰოსის ენაზე ამას „სიკვდილის სასიამოვნო ტრანსში“ შესვლა ერქვა. რაც უფრო ღრმად იყვნენ ისინი შესული ამგვარ „ტრანსში“, უფრო „უადვილდებოდათო სიკვდილი“, მეტადრე, თუ ამას მუსიკის აკომპანიმენტიც ახლდა!

ესეც თურმე ჰუმანიზმის თავისებური სახეობაა და ბანაკის კომენდანტის „დიდსულოვნებაზე მეტყველებს!..“

თიეზოლელთა სარეცელი...

ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებული ტუსაღები მართლაც ისე ეჩვეოდნენ სიკვდილზე ფიქრს, რომ ეს მათზე არც მოქმედებდა. საშინელი ის იყო მხოლოდ, როცა მთელი ოჯახი ერთად გაჰყავდათ დასახვრეტად. ამ დროს დიდებს თავიანთ პატარებზე უხდებოდათ ზრუნვა: არ გაიგონ, რაც მოელითო. საკუთარ თავზე კი უკვე აღარც ფიქრობდნენ.

პროცესზე გაოგნებული ვისმენდით, ინგლისელი ბრალმდებელი შოუკროსი რომ სახეგაფითრებული კითხულობდა გერმანელი მუშის გრაბერის წერილობით ჩვენებას. გრაბერი შემთხვევით დასწრებოდა დუბნოში „მასობრივ ეგზეკუციებს“.

— ჩემი ათისთავი და მე წავედით პირდაპირ ორმოსაკენ, — წერს იგი,— ხელი არავის შეუშლია ჩვენთვის. მერე მე გავიგონე კანტიკუნტი სროლის ხმა... ადამიანებს, რომელნიც ჩამოვიდნენ საბარგო მანქანებიდან, მათ შორის მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს, შეიარაღებული ესესელების ბრძანებით მათრახებითა და შოლტებით აიძულებდნენ გაეხადათ ტანისამოსი და ერთ ადგილას დაელაგებინათ: ფეხსაცმელები — ცალკე, თეთრეული—ცალკე, კაბები და კოსტიუმებიც—ცალკე.

მე დავინახე ფეხსაცმელების მთელი გროვა, დაახლოებით 800—1000 წყვილი, უამრავი ტანისამოსი და თეთრეული. გაშიშვლებული ხალხი ჯგუფ-ჯგუფად, მთელი ოჯახებით, იდგნენ ისე, რომ არც ყვიროდნენ, არც ტიროდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს, ეთხოვებოდნენ და უცდიდნენ ნიშანს ესესელისას, რომელიც ორმოსთან იდგა მათრახით ხელში. 15 წუთის განმავლობაში, რაც მე იქ ვიდექი, არ გამიგონია შეწყალების არც ერთი თხოვნა. ვუყურებდი ოჯახს, რომელიც 8 სულისაგან შედგებოდა: კაცები და ქალები დაახლოებით 50 წლისანი ჩანდნენ, ბავშვები — რვიდან ათამდე და ორი მოზრდილი ქალიშვილიც — ასე ოცი-ოცდაერთი წლისა. თოვლივით თეთრთმიან მოხუც ქალს ხელში ეჭირა ერთი წლის ძუძუმწოვარა ბავშვი, რომელსაც დაბალი ხმით უმღეროდა და ეთამაშებოდა. ბავშვი სიამოვნებისაგან ტიტინებდა. მშობლები შესცქეროდნენ მას და თვალებიდან ცრემლი სდიოდათ. მამას ხელი მოეკიდა 10 წლის ბიჭისათვის და რაღაცას ეჩურჩულებოდა. ბავშვი ცრემლს ებრძოდა. მამას უნდოდა შვილის ყურადღება მოეწყვიტა იმ საშინელებისაგან, რაც გარშემო ხდებოდა, და ცაზე უჩვენებდა რაღაცას, თან თავზე ხელს უსვამდა და ეფერებოდა.

ამ დროს ორმოსთან მდგომმა ესესელმა, „შემდეგი“, დაუძახა თავის მეგობარს. ამან ოცი კაცი გადათვალა და უბრ-

ძანა ორმოსაკენ წასულიყვნენ. მათ შორის იყო ის ოჯახი, რომელზედაც გეუბნებოდით. მე დამამახსოვრდა კოხტა ტანის ბაღთმიანი გოგონა, რომელმაც გვერდით ჩამიარა, თავის თავზე მიმითითა და მითხრა: „ოცდასამი“. ვერაფრით ვერ მივხვდი რას ნიშნავდა ეს. იქნებ უნდოდა ეთქვა, მეოცე კი არა ვარ, არამედ ოცდამესამე, ე. ი. ურიგოდ მიკღივარო!

მერე მივუახლოვდი ორმოს და უზარმაზარი საფლავის წინაშე აღმოვჩნდი. ადამიანები ერთმანეთზე ეყარა ისე, რომ მხოლოდ თავები ჩანდა. თავიდან მხრებზე თითქმის ყველას სისხლის ზოლი ჩამოსდიოდა. ზოგი ჯერ კიდევ ინძრეოდა, ზოგიც ხელს წევდა და თავს აბრუნებდა, რათა ეჩვენებინა ცოცხალი ვარო, და ითხოვდა კიდევ მესროლეთო.

ცოცხლად დამარხვის ეშინოდათ და იმიტომ.

მე რომ მივედი, ორმოს სამი მეოთხედი უკვე ამოვსებული იყო. ჩემი ანგარიშით, იქ ათასამდე კაცი იქნებოდა ჩაყრილი. მე თვალით დავუწყე ძებნა კაცს, ვინც მათ ხვრეტდა. ეს იყო ესესელი, რომელიც იჯდა ორმოს ნაპირას, ფეხები პირდაპირ თხრილში გადაეყო, მუხლებზე გამზადებული ავტომატი ედო, თვითონ კი სიგარას ეწეოდა. გატიტვლებული ადამიანები ჩადიოდნენ ორმოში ჩაჭრილი საფეხურებით და მიფოფხავდნენ მკვდრებს შორის. ან გადადიოდნენ მათ გვამებზე, რომ იმ ადგილისათვის მიეღწიათ, რომელსაც ესესელი უჩვენებდა.

მერე წვებოდნენ ადრე დახვრეტილი ან დაჭრილი მეზობლების გვერდით და იცდიდნენ. ზოგიერთი მათგანი ეალერსებოდა იმათ, ვინც დაჭრილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მერე მე გავიგონე ავტომატის ხმა. ჩავიხედე ორმოში და ვნახე, როგორ იკრუნჩხებოდნენ და ფართხალებდნენ ისინი...

გაოცებული ვიყავი იმით, რომ არავინ დამიყვირა მოვშორებოდი იქაურობას. ისიც ვნახე, იქვე სამი ფოსტალიონი რომ იდგა ფორმებში. ისინიც უყურებდნენ ამ სურათს.

ამასობაში ახალი ჯგუფი მოახლოვდა და ყველანი მშვიდად ჩავიდნენ ორმოში. მე ვნახე, ჯერ მამა როგორ ჩაუყვა კიბეს, დედამ კი სამი პატარა ბავშვი ჩააწოდა მას და მერე თვითონაც ჩავიდა. ისინი წვებოდნენ იმათ გვერდით ან

პირდაპირ მათზე, ვინც ადრე დაეხვრიტათ და... ელოდნენ...

ავტომატის ხანგრძლივმა კაკანმა შეწყვიტა ეს ლოდინი...

მერე ახალი საბარგო მანქანა მოვიდა. ეს მოხუცები იყვნენ. ერთი ისე ბებერი იყო, რომ სხვებმა გახადეს და წაიღეს ორმოსაკენ...

...როცა ეს სიტყვები გაისმოდა დარბაზში, სამარისებური სიჩუმე იდგა. ხანდახან თუ გაიჭრიალებდა კარები, კორესპონდენტთა გალერეაზე: სუსტნერვებიანები ნელ-ნელა იპარებოდნენ დარბაზიდან. ბრალდებულები თავჩაქინდრული ისხდნენ... კალტენბრუნერს გაქვავებული სახე ჰქონდა, ზაუკელს წარბები უცახცახებდა, ფრიჩე ტუჩებს იკვნეტდა, გერინგს თავი ხელებში ჩაერგო, შირახი წამწამებს იწიწკნიდა, ფრანკი და როზენბერგი რაღაც დოკუმენტებს ჩასჩერებოდნენ, ვითომ არ ვისმენთო, ჰესი წიგნს კითხულობდა...

ტრიბუნალის თავმჯდომარე ლოურენსს სახეზე ჭაობისფერი დასდებოდა, თავი ძირს დაეხარა და ყბები უცახცახებდა.

შოუკროსმა კი ხელი ბრალდებულებისაკენ გაიშვირა და უდაბნოში მღაღადებლის ხმით წარმოთქვა:

— აი, ნაძირალები, რომლებმაც ეს ჩაიდინეს!..

მერე ის იყო, გოეთეს სიტყვები რომ წაიკითხა: „ერთხელაც იქნება, განგება დასჯის გერმანელ ხალხსო“... და სხვ. იგი გამანადგურებელი პირდაპირობით ამხილებდა ბრალდებულთა გაუგონარ ბოროტმოქმედებას, თანაც ისეთი რკინის ლოგიკითა და საბუთიანობით, რომ თავისივე ცოდვებით შეძრწუნებულმა „პოლონელთმჭლეტმა“ ფრანკმა ვეღარ მოითმინა, ფეხზე წამოვარდა და იყვირა:

— ო, ეს წყეული ინგლისელები!..

გოლიათმა პოლიციელმა მხრებში ჩაავლო მას ხელი და ძალით დასვა თავის ადგილზე.

შოუკროსმა კი ასე დაამთავრა გამოსვლა:

— გახსოვდეთ სცენა, მამას რომ ხელი ზეცისაკენ ჰქონდა აღმართული და რაღაცას ეჩურჩულებოდა სასიკვდილოდ განწირულ შვილს...

...ხალხს ნერვები ისე დააწყდა, რომ უკვე ვეღარც არ-ჩევდნენ, სინამდვილეს ყვებოდნენ, თუ კოშმარულ სიზმრებს. ნეტავი იმათ კი რა ნერვები ჰქონდათ, ვინც ასე მშვიდად ჩადიოდა მთელი ოჯახიანად იმ ორმოში და წვებოდა მოკლულების გვერდით ან პირდაპირ მათზე, როგორც დანტე ალიგიერის მიერ აღწერილი თიეზოლეინი, „თვის მსგავსთა გვამებს სარეცელად რომ იგებდნენ“ და „ქედმოდრეკით ეძლეოდნენ უდრტვინველ ვარამს“...

...სხვა რა შეიძლება აქ კაცმა თქვას, თუ არა ისევ იმ ფლორენციელი ბრძენის სიტყვები:

— თვით შიშის ზარი ცათში იღებს სურვილის სახეს!..

ბაპარსული ნადირები...

პროცესზე მთელი დღის განმავლობაში უჩვენებდნენ გერმანელების მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებს საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებათა შესახებ. ეკრანი ისე მოხერხებულად იყო გაკეთებული, რომ დარბაზის ყველა კუთხიდან კარგად ჩანდა. სინათლეს რომ ჩააქრობდნენ, მხოლოდ ბრალდებულთა სახეები რჩებოდა განათებული. ასეთ დროს ყოველი მათგანის წინ ენთებოდა პატარა ნათურა, რომ სპეციალურ პირებს საშუალება ჰქონოდათ ფილმის დემონსტრაციის დროს თვალყური ედევნებინათ მათი რეაქციისათვის. ეს ძალაუნებურად ჩემს ყურადღებასაც იქცევდა, რადგან ის ფილმი უკვე რამდენჯერმე მქონდა ნანახი. ჯერ კიდევ ქალაქ კასელში ყოფნისას შემთხვევით დავესწარი ამ ფილმის მონტაჟს. ოთხმოცი ათასი მეტრი ფირიდან, რაც ორმოცდაათამდე სრულმეტრაჟიან კინოსურათს უდრის, გადარჩეულ იქნა ექვსი ათასი მეტრი.

ვიდრე ფილმის დემონსტრაცია დაიწყებოდა, ინგლისელმა ბრალმდებელმა განაცხადა:

— ჩემ მიერ წარმოდგენილი მასალები შემაძრწუნებელი იქნება და თქვენ იტყვით, რომ მე დაგიფრთხეთ ძილი...

თუმცა ძილის დაფრთხობა რა არის ან გოიასა და დიუ-

რერის კოშმარული ხილვანი, როცა აქ თვით ცხოვრების უსაშინელესი სინამდვილეა აღბეჭდილი!..

...ჯერ მაიდანეკი აჩვენეს, უზარმაზარი ბანაკი. გაძვალტყავებული ადამიანები, გაზკამერები, კრემატორიუმი, სიკვდილით დასჯის პროცედურა. გაშიშვლებული ქალები და კაცები, სადღაც კუთხეში მიყრილი ტანისამოსი, ისევ გროვა ფეხსაცმელებისა, თმების საწყობები, ძვალსამტვრევი მანქანის მუშაობა, დახოცილთა გვამები...

მაიდანეკს ბუხენვალდი მოჰყვა, ბუხენვალდს — დახაუ, მერე — მაუტჰაუზენი. ყველგან ცასობრივი დახვრეტები, კრემატორიუმები, ორმოებში ჩაყრილი შიშველი გვამები, დახოცილი ბავშვები. ვიღაცას ხეზე კიდებენ, ვიღაცას ძაღლებს აგლეჯინებენ...

პაპანაქება სიცხეში თავგადაპარსული ტუსაღი გამოჰყავთ ბანაკის ეზოში. ესესელები სახით მზისაკენ ბოძზე აკრავენ მას. ექიმები უყურებენ, ვიდრე მზე არ დაჰკრავს და მოკლავს, თან რაღაცეებს იწერენ უბის წიგნაკში.

კოშმარული სურათები ერთმანეთს ცვლის. მთელი დარბაზი დაძაბულია. ზოგჯერ აღშფოთების წამოძახილიც ისმის. ვიღაც ხმამაღლა ყვირის:

— ღმერთო, ეს რა საშინელებაა!..

ლოურენსი ხის ჩაქუჩს ურტყამს მაგიდაზე და ხალხს აწყნარებს. ჩოჩქოლი მაინც გრძელდება. თავები თითქოს მექანიკურად მოძრაობენ, ხან ეკრანს უყურებენ, ხან — ბრალდებულებს. ბნელი დარბაზი პროექტორის ვიწრო ზოლითაა გადასერილი. შემოსასვლელ კარებზე ბჟუტავს წითელი სინათლე და ოდნავ ანათებს თავდახრილი თემიდას სახეს. მე ისევ განსასჯელთა სკამებისაკენ ვიყურები. გერინგი ეკრანს მისჩერებია და ღელავს, ჰესი ისევ წიგნს კითხულობს, რიბენტროპი გულსელდაკრეფილი ზის და შავ სათვალეს ეფარება, კაიტელი გაქვავებულია, როზენბერგს თავი ხელებში ჩაურგავს და ქურდულად იყურება, შახტი ზურგს აქცევს ეკრანს, პაპენიც, ნოირატს თვალებზე ხელები აქვს აფარებული, ფრანკი თავჩაქინდრულია, რედერი და დენიცი უფრო

შშვიდად გამოიყურებიან, შირახი ადგილზე ვერ ისვენებს...

კონვეიერებს კი მიაქვთ დახოცილთა გვამები კრემატორიუმისაკენ, უზარმაზარი საკვამლე მილი ბოლავს, გაზკამერასთან გრძელი რიგები დგას. აქ არიან დიდები, პატარები, ძუძუმწოვარა ბავშვებიც. დამშეულები, დატანჯულები. ეკრანიდან გვიყურებენ მათი შეშინებული და უიმედო თვალები.

ღმერთო, რამდენი რამ შეიძლება თურმე ამოიკითხოს კაცმა სასოწარკვეთილთა ასეთ უნუგეშო შემოხედვაში! ან რა ნებისყოფა გაუძლებს ამ საყვედურითა და ცრემლით სავსე თვალების ცქერას. მთელ დარბაზს შიშის ჟრუანტელი უვლის... ვიღაც ხმამაღლა მოთქვამს, ვიღაც კვნესის... ისინი კი ნელ-ნელა მიდიან თავიანთი დასასრულის შესახვედრად: თოვლით დაფარულ გაყინულ მიწაზე მიაბიჯებენ ფეხშიშველი ბავშვები, რომელთაც დედის კალთისათვის ჩაუვლიათ ხელი, მათ მიჰყვებიან თავჩაქინდრული და სასომიხდილი მამაკაცები...

ისინი მიდიან ნელ-ნელა, რიგები თანდათან მოკლდება, გაზკამერა კი ივსება ხალხით. მერე აპარატი სპეციალურ ხვრელს უახლოვდება და...

ამის აღწერა უკვე არავითარ კალამს არ ძალუძს! ეკრანზე ჩანს, თუ როგორ იგუდებიან სასიკვდილოდ განწირულები გაზკამერაში... ეს მართლაც კოშმარია, იმაზე ასჯერ უარესი, დანტეს „ჯოჯოხეთში“ რომაა აღწერილი.

თვითონ დანტეც ამბობს: ვერავითარი კალამი ვერ აღწერსო განუკითხავად დაღვრილ სისხლს, ვერც გონების ნიჭი მისწვდებაო ჯოჯოხეთში წამებულთა გოდებას...

...ფილმის დემონსტრაცია რომ დამთავრდა, არც ერთ ბრალდებულს არ შეუხედავს დარბაზისათვის. არც ერთ მათგანს არ აუწევია თავი, არც არაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის...

საღამოთი, როცა ექიმმა ჯილბერტმა ჩამოიარა მათი კამერები, ისინი ისევ იმ საშინელი სანახაობის შთაბეჭდილებით იყვნენ გაოგნებულნი:

დენიცი ბოლთასა სცემდა და მეასეჯერ იმეორებდა ერთსა და იმავეს:

— ეს რა საშინელებაა! ღმერთო! ეს რა საშინელებაა!..

ფრიჩეს თავი მკლავებში ჩაერგო და ტიროდა. ჯილბერტი რომ შევიდა მასთან, ცრემლი კი მოიწმინდა, მაგრამ ისევ ისე გულამომჯდარმა უთხრა:

— არავითარ ზეციერ და მიწიერ ძალას არ შეუძლია მორეცხოს ეს სირცხვილი გერმანელ ხალხს... არც მომავალ თაობებს... არც საუკუნეებს...

მერე ისევ ისტერიული ტირილი აუვარდა და, ცოტათი რომ დამშვიდდა, ბოდიში მოუხადა ჯილბერტს, ნერვებმა მიღალატაო.

— თავის ტკივილის წამალი ხომ არ გნებავთ? — ჰკითხა ექიმმა. ფრიჩეს ისევ მოუარა ისტერიამ:

— რად მინდა, განა წამალი ამოაგდებს თავიდან იმ ამბებს! — იყვირა მან.

ნუთუ ესეც ფარისევლობა იყო?!

როგორც ჩანს, თორემ, აბა, თქვენ თვითონ იფიქრეთ, სხვა რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან, როცა ვიცით, პროცესის შემდეგ იმავე ფრიჩემ რომ მემუარების წიგნი გამოსცა, სადაც თვით ჰიმლერის დაცვაც კი იკისრა, იმ ჰიმლერისა, რომლის შავმა საქმეებმა ამდენი ცრემლი აღვრევინა ციხეში!..

ნიანგის ცრემლიო, იტყვიან ამაზე...

...მერე რა!.. ფრანკიც ხომ ასევე ღვრიდა ცრემლს, მაგრამ განა ეს ცრემლი ჩამორეცხავდა რამდენიმე მილიონი ადამიანის სისხლს, რაც მის ხელებსა და სინდისს ეცხო?! ვარშავის გეტოს რომ თავი დავანებოთ, ყველაზე საშინელი საკონცენტრაციო ბანაკები — მაიდანეკი, ტრემბლინკა და სხვ. ხომ მის საგენერალგუბერნატოროში იყო! ოსვენციმიც, რაზედაც წერენ ეს ნამდვილი Jnferno-ა დანტეს Commedia-შიო.

იმ დღეს კი ფრანკი სულ არ გაჰკარებია საჭმელს და თვალზე ცრემლმორეულმა უთხრა ჯილბერტს:

— გაოცებული ვარ, კიდევ რა კარგად გვეპყრობით აქ! ღმერთმა დალოცოს თქვენი სახელი!..

მერე იმანაც ცრემლი მოიწმინდა და უცებ გადავიდა ეშმაკობაზე:

— ექიმო, ეს ფილმი მხოლოდ გერმანელებს უნდა უჩვენოთ, რომ შეაძრწუნოთ ისინი, — თქვა მან, — სხვებისათვის კი არ ღირს ჩვენება, რადგან შეიძლება ამან შურისძიების გრძნობა გააღვივოს!..

ჯილბერტი, რა თქმა უნდა, მიხვდა ამ ეშმაკობას და ძილის წამალი შესთავაზა თავის „პაციენტს“.

— არა, არ მინდა. თუ ვერ დავიძინებ, ვილოცებ, — მიუგო ფრანკმა.

საკვირველი კია, რომელ ღმერთზე უნდა ელოცა მას? აკი უწინ ამბობდა, მოაშორეთ ეს თქვენი ღმერთი, ჩვენ გვყვავს საკუთარიო. ახლა კი მკერდზე მჯიღს იცემდა და ამბობდა: ჩვენ ვცხოვრობდით როგორც მეფეები და გვჯეროდა იმ ურჩხულისო.

რას უნდა დაუჯეროს კაცმა?! ის „საკუთარი ღმერთიცა“ და ეს „ურჩხულიც“ ხომ ერთი და იგივე პიროვნება იყო: ჰიტლერი!..

ახლა კი ფრანკი მართლაც იმ დემონსა ჰგავდა, შეშინებულად რომ სჭიდებს ხელს ჯვარცმის ნიშანს და ღმერთს შეღაღადებს:

— მოეც სიხარული გულსა ჩემსა, ხოლო მე მრავლითა მოწყალებითა შენითა შევიდე სახლსა შენსა, თაყუანის-ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა შიშითა შენითა...

...ეს შიში ამოძრავებდა მაშინ დანარჩენ ბრალდებულებსაც. ისინიც „შეძრწუნებული“ იყვნენ, მაგრამ მაინც ცდილობდნენ როგორმე პირადი პასუხისმგებლობა აეცდინათ თავიდან:

— რაც იქ აჩვენეს, იმ დანაშაულის უმცირეს ნაწილშიც რომ მედოს წილი, თავს მე თვითონ ჩამოვიხრჩობდი, — თქვა შტრაიხერმა.

შირახიც თურმე ახლა „მიხვდა“, რომ ჰიტლერი ატყუებდა და „დანაშაულებრივი მიზნებისათვის იყენებდა მის ერთგულებას“. შახტი ისევ იბუტებოდა, ასეთი საქმეების

ჩამდენთა გვერდით როგორ დამსვეს საბრალდებულო სკამზეო. პაპენმაც ამიტომ შეაქცია ზურგი ეკრანს.

— რატომ არ უყურეთ ფილმს? — ჰკითხა მას ჯილბერტმა.

— მე არ მინდოდა გერმანიის სირცხვილისათვის მეყურებინა, — მიუგო მან.

კაიტელი სულ განზე გადგა:

— ეს საშინელებაა, ექიმო!.. ასეთ რამეებს როცა ვუყურებ, მე მრცხვენია, რომ გერმანელი ვარ!

ის კი არა თქვა, გერმანელებს უნდა რცხვენოდეთ, მეც რომ გერმანელი ვარო. მე მრცხვენიაო! გერინგს ხომ სულ მგლისფერი დაედო, დაიბნა კიდეც: ვერც ამ საშინელ ბრალდებათა სიმართლე უარყო და ვერც საკუთარი დანაშაული აღიარა. ხედავდა კი, იმ ათასი ფუთი ბრალდების მთელი სიმძიმე პირველ რიგში მას რომ აწვებოდა, მაგრამ ისტორიის წინაშე მაინც წელმოუხრელი დგომა უნდოდა. სხვებსაც ამას ეუბნებოდა: სულერთია, სიკვდილით დასჯა არ აგვცდება და ღირსეულად მაინც გვეჭიროსო თავი. ასე ეგონა, ღირსებას სიცრუით დაიცავდა, და ‘თელი პროცესის განმავლობაში გამომწვევი პოზა ეჭირა... სულ იმას ცდილობდა წარდგენილი ბრალდებები უარეყო და ზოგჯერ შეტევაზეც გადასულიყო... მაგრამ ფაქტები ჯიუტიაო, ამბობენ... ამ „სიჯიუტეს“ კი ბოლომდე ვერც გერინგის არტისტულმა პოზამ გაუძლო...

ინკვიზიტორის აღსარება...

მაინც რა საათივით იყო აწყობილი ის პროცესი! ყოველთვის ყველაფერი ჰქონდათ ხელთ, რასაც საჭიროება მოითხოვდა. გარდა მთავარი სამხედრო დამნაშავეებისა, ნიურნბერგის ციხეში ჰყავდათ მესამე იმპერიის ცოცხლად გადარჩენილი სხვა ხელმძღვანელები და გენერალიტეტი. აქ იყვნენ ყოფილი მინისტრები, რაიჰსლაიტერები და გაულაიტერები, ფელდმარშლები, გენერლები და ესესის უმაღლესი ოფიცრები. საქმე მოითხოვდა თუ არა, დარბაზში შემოიყვანდნენ საჭირო მოწმეს...

ახლაც ასე მოხდა. ბრალდებულები რომ ამბობდნენ, მასობრივი ეგზეკუციის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდითო... დარბაზში გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ყველაფერი იცოდა და არც არაფერს მალავდა, არც თავისას, არც სხვისას...

ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს იყო ერთი ყველაზე საშინელი დღე მთელი იმ პროცესის განმავლობაში.

თითქოს ჯოჯოხეთის კარები გაიხსნაო, ტრიბუნალის წინაშე წარდგა თვით ბელზებელი, მწითური, ტანდაბალი და სქელკისერა მინოტავრი. დარბაზშიც ისეთი გამყინავი სიცივე შემოიჭრა, ჯოჯოხეთის მოციქულებს რომ ძოჰყვებოდა ხოლმე ამქვეყნად თქმულებების მიხედვით.

კარამაზოვთან რომ „მისი დემონური სხვა“ შემოვიდა, სიცივისაგან ააკანკალა... ლევერკიუნის „შემაძრწუნებლად მეორეს“ (Entsezlich Andere) კი ისეთი გათოშილობა მოჰყვა, რომ იმ საცოდავ ადრიანს ლამის ტვინი გაეყინა...

ეს, რა თქმა უნდა, ალეგორიაა. ჩვენ კი სისხლი შეგვიჩერდა ძარღვებში, როცა ის „სატანის მონა“ გამოჩნდა დარბაზში და ზლაზვნით, უხალისოდ გაემართა ტრიბუნისაკენ...

— დიდი ინკვიზიტორი! — გავიფიქრე გუნებაში და ქურდულად შევხედე იმ საოცრებას. შეშინებული სახე ჰქონდა, ამღვრეული თვალები და ისეთი გამყინავი გამოხედვა, რომ ჟრუანტელმა დამიარა ტანში...

ნელა, უხალისოდ ავიდა იგი ტრიბუნაზე და ჩასისხლიანებული თვალები მიმოავლო იქაურობას...

ეს იყო რუდოლფ ჰოსი, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსი კომენდანტი, რომელმაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სამი მილიონი ადამიანის სიცოცხლე გაატანა კვამლსა და ფერფლს...

...უნდა გენახათ, ბრალდებულებს რა სახე ჰქონდათ, როცა თავიანთ ოფიციალურ ჯალათს უყურებდნენ! ვინ-ვინ და, ჰოსმა ხომ მაინც იცოდა როგორ ხდებოდა ყოველივე ეს. ისიც, თუ ვინ რა მონაწილეობას იღებდა ამაში! იგი გამოცდილი ჯალათი იყო, ორჯერ ნასამართლევი, ერთხელ სიკვდილმისჯი-

ლიც, მაგრამ რაღაც მანქანებით გადარჩენილი; ნაცისტური პარტიის წევრი 1922 წლიდან.

— 1934 წლიდან მე სულ საკონცენტრაციო ბანაკებთან მქონდა საქმე, — დაიწყო მან. — 1938 წლამდე ვმსახურობდი დაჰაუში, მერე 1940 წლამდე ზაქსენჰაუზენის ბანაკის უფროსის ადიუტანტი ვიყავი. 1940 წელს დამნიშნეს ოსვენციმის ბანაკის უფროსად, სადაც 1943 წლის პირველ დეკემბრამდე ვიმუშავე. ამ ხნის განმავლობაში იქ დაახლოებით ორმილიონნახევარი კაცი იქნა ლიკვიდირებული. ნახევარი მილიონი დაიღუპა შიმშილითა და ავადმყოფობით. ამრიგად, ოსვენციმში ჩემი სამსახურის დროს დახოცილთა რიცხვმა სამ მილიონს მიაღწია.

ეს რომ თქვა, უცებ მარცხნივ მიბრუნდა და ბრალდებულებისაკენ გაიშვირა ხელი:

— ამათი მეშვეობით ჩვენ სისხლსა და ხორცში გვქონდა გამჯდარი აზრი, რომ მხოლოდ სისასტიკით შეიძლება დაკისრებული მოვალეობის შესრულება. ჩვენთან საკონცენტრაციო ბანაკში ხშირად მოდიოდნენ ასეთი მაღალი თანამდებობის პირები...

ბრალდებულები შეშფოთდნენ. ზოგმა თავი ჩაქინდრა, ზოგმა გვერდზე მიიხედა ან სწრაფად აიფარა შავი სათვალე... ფრანკი სულ ჩაძვრა სადღაც...

ჰოსი კი განაგრძობდა:

— ჰიმლერი ხშირად გზავნიდა ოსვენციმში მთავრობის დიდ მოხელეებს, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ფუნქციონერებს, ესესის ოფიცრებს, რათა პირადად ენახათ როგორ სპობდნენ ებრაელებს გაზკამერებში. ზოგიერთები, ადრე რომ აღტაცებული იყვნენ ტუსაღების მოსპობის მეთოდებით, ჩუმად იდგნენ, როცა საკუთარი თვალით ხედავდნენ „ებრაელთა საკითხის საბოლოო მოგვარებას“. მეკითხებოდნენ კიდეც, ჩვენ როგორ ვუძლებდით ამ საშინელების ყურებას ან როგორ ვიტანდით ყოველივე ამას. მე მათ ვეუბნებოდი იმას, რასაც თვითონ გვასწავლიდნენ: ასეთ დროს უნდა ჩავიხშოთ ყოველგვარი ადამიანური გრძნობები და რკინისებური თანმიმდევრობით შევასრულოთ ფიურერის ბრძანება. მეც ასე ვიხშობდი

ადამიანურ განცდებს და მეგონა, რომ სიბრალულის გრძნობის გამომჟღავნება ღალატი იქნებოდა ფიურერისადმი...

...ჰოსი ისე ყვებოდა საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებაზე, თითქოს „გემოსაც ატანსო“ ნათქვამს. ეტყობოდა, ამაყობდა კიდეც თავისი „ესესური სიმტკიცით“. ასეთივე შთაბეჭდილება დამრჩა, როცა მისი მემუარები წავიკითხე.

არ გაგიკვირდეთ!.. სწორედ რომ მემუარები!.. დაწერილი ციხეში და გამოცემული ცალკე წიგნად. ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მჭერია ხელთ ამაზე ამაზრზენი წიგნი. რომ ვკითხულობდი, ხელები მიცახცახებდა, როგორც მორწმუნე ქრისტიანებს მაგიური წიგნების კითხვის დროს. ღამითაც კოშმარები მაწუხებდა... რამდენჯერმე იძულებულიც გავხდი შემეწყვიტა კითხვა, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ კვლავ განვაგრძობდი... ისევე შეძრწუნებული, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც.

-- სხვა რა გზა მქონდა, — განაგრძობს ჰოსი, — უნდა გავყოლოდი მასობრივი მკვლელობისა და განადგურების გზას, ისე, რომ ვყოფილიყავი ცივი, გულგრილი და არავითარი განცდები არ გამომემჟღავნებინა... როცა ძალიან შემაძრწუნებელ ამბებს ვუყურებდი, იმ დღეს შინ არ მივდიოდი, მრცხვენოდა ცოლ-შვილისათვის შეხედვა... ერთხანს უთავბოლოდ ვაჭენებდი ცხენს, მერე საჯინიბოში შევიპარებოდი და იქ ვიძინებდი. ბავშვობიდანვე მთელი ჩემი სიყვარული მიმართული იყო ცხენებისადმი და არა ადამიანებისადმი. ცხოველები მიმაჩნდა ადამიანებზე უფრო გონივრულ არსებებად. მაძაჩემს კი უნდოდა მღვდელი გამოვსულიყავი. სულელი!.. აბა, როგორ! მე ხომ მძულდა ადამიანები! ხოლო ეს სიძულვილი ამათ ჩამინერგეს თავში, — ისევ ბრალდებულებისაკენ გაიშვირა ხელი ჰოსმა.—მე ვკითხულობდი გებელსის წერილებს „Das Reich“-ში, შტრაიხერის სტატიებს „Der Stürmer“-ში, როზენბერგის წიგნებს. ყველა იმას ამტკიცებდა, ებრაელები გერმანელების მტრებიაო, და მეც ასეთი დასკვნა გამოვიტანე.

მერე საერთოდ შემძულდა ადამიანები. ამიტომაც ვერიდებოდი ხალხს, ნაცნობ-მეგობრებს, ოჯახსაც კი. როცა შინ ვიყავი და საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებანი მომაგონ-

დებოდა... გავრბოდი სახლიდან. მაგრამ ბანაკში გვამების გაზიდვას ან გაზკამერების მუშაობას რომ ვუყურებდი, ისევ ცოლ-შვილზე ფიქრი არ მშორდებოდა. ხომ შეიძლება იმათაც ასე მოუვიდეთ, ებრაელებმა რომ გაიმარჯვონ-მეთქი, ვფიქრობდი და უფრო სასტიკად ვექცეოდი მათ. მაგრამ ქალებს რომ თავიანთ ბავშვებიანად გაზკამერაში ვერეკებოდი, მაინც ჩემი ცოლი და შვილები მელანდებოდა. ამიტომ თავს ბედნიერად არ ვგრძნობდი. უკმაყოფილო ვიყავი ჩემი ხვედრით. სხვები კი ალბათ ფიქრობდნენ, კომენდანტს რა კარგად აქვს თავისი ცხოვრება მოწყობილიო.

ჩემი ცოლ-შვილი მართლაც კარგად ცხოვრობდა. მათი ყოველი სურვილი დაუყოვნებლივ სრულდებოდა. ბავშვები თავისუფალნი იყვნენ და უზრუნველყოფილნი. ცოლს სამოთხისებური ყვავილნარი ჰქონდა ბაღში გაშენებული. პატიმარი მსახურები ცდილობდნენ რაც შეეძლოთ ესიამოვნებინათ მათთვის, რომ მოწყალება მიეღოთ. ცოლი ზოგჯერ საჩუქრებსაც აძლევდა პატიმარ მსახურებს. ბავშვები პაპიროსს მთხოვდნენ მათთვის. ყველას გვიყვარდა ბუნება, განსაკუთრებით ცხოველები. ცოლი მეუბნებოდა კიდეც, უფრო ოჯახზე და ცხენებზე იფიქრე, ვიდრე სამსახურის საქმეზეო.

. იმან რა იცოდა, ჩემს გულში რა ცეცხლი ტრიალებდა!..

მერე არც სამსახურში ვფიქრობდი ბევრს. ესენი მიბრძანებდნენ და მე ვასრულებდი. იმის ანგარიშში კი არ შევდიოდი, საჭირო იყო ეს თუ არა. ან ამაზე ფიქრის თავი სად მქონდა! თუ რაიჰსფიურერმა ასე გადაწყვიტა, მე რატომ უნდა მეფიქრა ან მეყოყმანა! „ფიურერი ბრძანებს, ჩვენ ვასრულებთ!“ — ეს იყო ჩემი უმაღლესი კანონი.

როცა დამაპატიმრეს, მეკითხებოდნენ: ვერ ჩააძაღლე ის შენი ჰიმლერი და უარი ვერ სთქვი ასეთ საშინელ ბრძანებების შესრულებაზეო! მე მგონი, ეს შეუძლებელი იყო, ამას ვერც ერთი ესესელი ვერ იზამდა. მართალია, იყვნენ ისეთები, რომლებიც ილანძღებოდნენ ამგვარი ბრძანებების გამო, მაგრამ მაინც ასრულებდნენ. ფიურერის ბრძანება ყველასათვის წმიდათა წმიდა იყო და ყველანი მზად უნდა ვყოფილიყავით, თუ საჭირო იქნებოდა, თავიც გაგვეწირა, ისევე როგორც იაპონე-

ლები წირავდნენ თავს დაუფიქრებლად თავიანთი მეფისათვის, რომელიც ღმერთად მიაჩნდათ.

მერე ჰოსი თავისი „მუშაობის მეთოდებზე“ გადავიდა:

— ჯერ, როცა სამუშაო არც ისე ბევრი იყო, ვხვრეტდით. მერე პატიმრები მომრავლდნენ და ეს სამუშაო გაძნელდა. მაშინ ჩემმა თანაშემწემ მათ დასახოცად იხმარა საწამლავი „ციკლონი B“, რასაც ადრე ტილების მოსასპობად ვიყენებდით. ჯერ დახშულ ფარდულებში ვსპობდით პატიმრებს. მე თვითონ მიყურებია, როგორ ხდებოდა ეს. საწამლავს რომ შევაგდებდით, პატიმრები მაშინვე იხოცებოდნენ, მხოლოდ ერთი-ორჯერ დაყვირებას ასწრებდნენ და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. მე უფრო დამამახსოვრდა, პირველად ცხრაასი რუსი რომ მოვწამლეთ ძველ კრემატორიუმში. წინასწარ ხვრელები ამოვქოლეთ, მერე შესასვლელთან ტანსაცმელი გავახდევინეთ და ვუთხარით, რომ ტილების დეზინფექციას ვაპირებთ. იმათაც ასე ეგონათ და მშვიდად შევიდნენ. კარები რომ მივხურეთ და ჩავკეტეთ ყველანი, ზემოდან საწამლავი ჩავუყარეთ. ერთხანს ყვირილი ისმოდა, მერე გუგუნი... ბოლოს კი ყველაფერი მიწყნარდა.

პირველად მაშინ ვნახე მასობრივად მოწამლულთა გვამები. ჯერ შემაძრწუნა ამ სანახაობამ, მაგრამ მერე დავმშვიდდი, რადგან ვიფიქრე, რომ მომავალში ასეთი ხერხი მუშაობას გაგვიადვილებდა. მე უფრო დახვრეტების ყურება მიმძიმდა, მეტადრე როცა ქალებსა და ბავშვებს ვხვრეტდით. თვითონაც ბევრჯერ მიმიღია ამაში მონაწილეობა და ვიცი, თუ რა საშინელია ამის ყურება. ჩემი დამსჯელი რაზმის ერთმა წევრმა ვერ აიტანა და თავი მოიკლა, რამდენიმე გაგიჟდა. ეს უმთავრესად ბავშვების დახვრეტის დროს ხდებოდა. ზოგი ალკოჰოლით ცდილობდა სიბრალულის გრძნობის ჩახშობას.

1942 წლიდან ძალიან დიდი პარტიები მოიყვანეს ბანაკში. ჩვენები მათ თავაზიანად ხვდებოდნენ, ეკითხებოდნენ კიდეც, სად მუშაობდით, რა პროფესიისა ხართო, უნდა სპეციალობის მიხედვით გამუშაოთ, მანამ კი დეზინფექციას გაგატარებთო... და ისინიც მშვიდად შედიოდნენ გაზკამერაში... თუ ვინმე მიხვდებოდა და შიგნიდან დაიძახებდა, უნდა მოგვწამლონო, დანარ-

ჩენებს ძალით შევრეკავდით კამერაში და კარებს მივუკეტავ-
დით...

მერე გაჩნდნენ ისეთები, ვინც წინასწარ აფრთხილებდა, მაგრამ მათ ვიჭერდით და ეხვრეტდით. ზედმეტი დავიდარაბისაგან რომ დაგვეხსნა თავი, ვცდილობდით რაც შეიძლება მალე გაეხადათ ტანისამოსი და შესულიყვნენ კამერაში, მაგრამ ზოგჯერ ხმა მაინც ირხეოდა. დედები მალავდნენ ბავშვებს, „დეზინფექცია მათზე ცუდად იმოქმედებსო". ბავშვებიც წივილს იწყებდნენ, მაგრამ მშობლები ამშვიდებდნენ, ხელში სათამაშოებს აძლევდნენ, და ისინიც თამაშ-თამაშით მიჰყვებოდნენ მათ გაზკამერაში.

მე მინახავს დედები, რომელთაც იცოდნენ, რაც მოელოდათ, მაგრამ ნებისყოფის ისეთ სიმტკიცეს იჩენდნენ, რომ კამერაში შესვლამდე თავიანთ შვილებს ეხუმრებოდნენ, აცინებდნენ და ისე მიჰყავდათ. ერთმა ქალმა რომ ჩამიარა, თავის ოთხ შვილზე მიმითითა და მითხრა: „როგორ შეგიძლიათ ასეთი მშვენიერი ბავშვების დახოცვა, ნუთუ გული არა გაქვთ?!" კაცმა კი დაიყვირა: „ეს მასობრივი მკვლელობანი ძვირად დაუჯდება გერმანიას!"

ო, რა ზიზღი გამოიხატებოდა მის თვალებში! მიუხედავად ამისა, იგი გაბედულად, წელში გამართულად შევიდა გაზკამერაში.

მახსოვს ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თავისი ორი შვილი მიჰყავდა... სხვა ბავშვების ტირილი რომ გაიგონა, თავისას ხელი უშვა, მათთან მივიდა. გაეთამაშა, გაამხიარულა და ყველანი სიცილ-კისკისით შეუშვა კამერაში: მერე თვითონაც მიჰყვა მათ. კარებს რომ ვხურავდით, ის მოგვიბრუნდა და მშვიდად გვითხრა:

— მე იმთავითვე ვიცოდი, რომ მოსაწამლავად მიგყავდით, მაგრამ... იმედია მალე დამთავრდება ეს... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

მე მაშინვე მივუხურე კარები!..

ერთხელ ისიც ვნახე, დედამ რომ თავისი ორი შვილი უკანვე გამოაგდო და მოგვაძახა:

— ესენი მაინც შეიბრალეთ!

იყვნენ ისეთებიც, კივილს რომ ატეხდნენ და თმებს იგლეჯდნენ, მაგრამ მათ ვტაცებდით ხელს, ბანაკის უკან გავიყვანდით და ვხვრეტდით.

ბევრი ასეთი შემაძრწუნებელი სანახაობა იყო. ყველაფერი ეს ახლაც თვალწინ მიდგას. მაგრამ არც სხვა სამუშაო იყო ადვილი, მაგალითად, დახარისხება. ცოლს ქმარს ვაშორებდით, შშობლებს—შვილებს. ეს ადვილი კი არ არის! ზოგჯერ ძალის გამოყენებაც გვიხდებოდა. ამ ებრაელებმა მაინც რა იციან! მათი ოჯახის წევრები ისე სუროებივით არიან გადასკვნილნი, რომ ადვილად კი ვერ დააშორებ ერთმანეთს! ისეთებიც მინახავს, სულაც რომ დაკარგული აქვთ კოლეგიალობის გრძნობა. ერთმა ქალმა თავი გამოჰყო გაზკამერის კარებიდან, ვიღაცაზე გვანიშნა და დაიძახა, ისიც ებრაელია და მოჰკალითო. ალბათ, ის ენანებოდა, მის შემდეგ რომ სხვა მისთანა რჩებოდა ცოცხალი...

მე ისიც მიკვირს, ზოგიერთ პატიმარს დამხმარედ რომ ვიყენებდით. კარგად იცოდნენ, ჯერ რომ სხვებს დახოცავდნენ, მერე თავადაც ის დღე მოელოდათ, მაგრამ მაინც გულმოდგინედ ასრულებდნენ ამას. გაოცებული ვუყურებდი, რა დაუღალავად ეზიდებოდნენ ისინი მკვდრებს, გვეხმარებოდნენ ოქროს კბილების ამოგლეჯაში, თმის გადაპარსვაში... ცეცხლსაც ისინი აჩაღებდნენ კრემატორიუმებში, საწამლავს ყრიდნენ კამერებში და ყოველივე ამას ისე მონდომებით აკეთებდნენ, თითქოს თავიანთ ჩვეულებრივ სამუშაოს ასრულებენო. იმათ შეეძლოთ დიდი ხნით ადრე დახოცილთა გახრწნილი გვამების გვერდით დამჯდარიყვნენ და საჭმელი ეჭამათ ან თამბაქო მოეწიათ. ერთმა მათგანმა ფეხით ამოათრია ორმოდან მკვდარი და ცალკე დადო. რას შვრები-მეთქი, რომ ვკითხე, ჩემი ცოლიაო, მითხრა. მე ერთხანს ვუყურებდი მას. იმან კი, ვითომ არაფერი, ისე წაათრია ცოლის გვამი კრემატორიუმში, მერე სხვებთან ერთად დაჯდა და განაგრძო ჭამა...

თავში ახლაც ის ფიქრი მიტრიალებს: ნუთუ ასე შეეძლო მას თავისი გრძნობების დაფარვა! რა არის ეს? ნებისყოფის სიძლიერე, თუ სისუსტე?! სულ ის მიკვირდა, რატომ თავიანთი ნებით არ მოკვდებოდნენ! ეს მე სიკვდილ-სიცოცხლის ისე-

თი გამოცანის წინაშე მაყენებდა, რომლის ამოხსნა არ შემეძ-ლო...

...ამის ბოსმენა მართლაც აუტანელი იყო... ან ჰოსი რას მიხვდებოდა ამ „აღშფოთებული მორჩილების“ აზრს! ტუსა-ღებს ისინი ჯერ სულ დაუკარგავდნენ ადამიანურ სახეს, და-ცლიდნენ შინაარსისაგან, ფიქრებისაგან, ემოციებისაგან და მე-რე იმსახურებდნენ... ვინც იმ ჯოჯოხეთიდან გამოვიდა, შე-ძრწუნებული ყვებოდა „პატარა მარის“ ამბავს.

ერთი ოჯახიდან თურმე ცხრა მოიყვანეს ერთად: დედა. მარი და მისი შვიდი ძმა. დედა და ძმები მაშინვე გაზკამერაში შეყარეს, ის კი დატოვეს და „სადეზინფექციო“ პატარა ბავ-შვებისათვის ტანისამოსის გახდა დაავალეს. მერე ფერფლს აჩხრეკინებდნენ, იქნებ კიდევ დარჩა ოქროს კბილებიო.

ჩამოძენძილი, გაყვითლებული, თითქმის შეშლილი და-ბორიალობდა „პატარა მარი“ სასიკვდილოდ განწირულთა შო-რის და „ემსახურებოდა“ ესესელებს...

ნების ამგვარ აპათიას ისინი სამსახურსა და ერთგულებას უწოდებდნენ!..

ჰოსი კი განაგრძობდა:

— ის, რასაც მე აქ ვყვები, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწი-ლია იმისი, რაც ვნახე და განვიცადე. მაშინ ეს არ შედიოდა ჩემს გონებაში. არც ვფიქრობდი: არის ეს საჭირო თუ არა? ზოგჯერ კი მებადებოდა კითხვა: ნუთუ აუცილებელია ასი ათა-სობით ქალისა და ბავშვის დახოცვა? მაგრამ მეგონა, რომ ამას მოითხოვს ჩემი ქვეყნისა და ხალხის ინტერესები...

ასეთი აზრი ჩამინერგეს ამათ! — თქვა ჰოსმა, ისევ ბრალდებულებს გადახედა და დაუმატა: — ასეთ მგლებში რომ მოხვდები კაცი, შენც ყმუილს დაიწყებ, აბა, რა!..

განსასჯელთა სკამზე ჩოჩქოლი ატყდა. ლოურენსმა ხის ჩაქუჩი რამდენჯერმე დაარტყა მაგიდას და წესრიგი მოითხოვა. ადამიანის ფერი არავის ედო სახეზე. ბევრს ცრემლი ჩამოს-დიოდა. ჰოსი კი განაგრძობდა:

— მე რა უნდა მექნა, ესენი მიბრძანებდნენ დახოცეო და

მეც ვამბობდი: javohl (კეთილი)! და ვხოცავდი. ასეთი იყო ჩემი მოვალეობა.

დამცველმა კაუფმანმა ჰკითხა ჰოსს:

— თქვენ თვითონ ხომ გაქვთ ოჯახი, გყავთ ბავშვები, მიპასუხეთ: გრძნობდით თუ არა რამე სიბრალულს ამდენი მსხვერპლის მიმართ?

— დიახ! — უპასუხა ჰოსმა.

— მაშინ რატომ სჩადიოდით ამას?

— ჩემი სახელმძღვანელო დებულება იყო რაიჰსფიუერერ ჰიმლერის ბრძანება და მის მიერვე მოცემული დასაბუთება— „განმარტა“ მან...

...საღამოთი ჯილბერტმა განაგრძო ეს დიალოგი. როცა ჰოსის საკანში შევიდა, „პაციენტმა“ თვითონ შეაგება კითხვა:

— თქვენ ალბათ გინდათ გაიგოთ, ვარ თუ არა მე ნორმალური ადამიანი, არა?

— დიახ, სწორედ ეს მინდა! — უპასუხა ჯილბერტმა.

— სრულიად ნორმალური გახლავართ, — დააკმაყოფილა ჯილბერტის ცნობისმოყვარეობა ჰოსმა: — მიუხედავად იმისა, რომ ამდენ ხალხს ვხოცავდი, ისეთივე ნორმალურ ოჯახურ ცხოვრებას ვეწეოდი, როგორც სხვები. ოღონდ ის არის, რომ საკუთარი თავით უკმაყოფილო ვიყავი და განმარტოებულად ცხოვრება მიყვარდა. თავს მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი კარგად, როცა ცხენებთან ვიმალებოდი საჯინიბოში.

— ვის ემალებოდით? — ჩაეკითხა ისევ ჯილბერტი.

— რა ვიცი, ალბათ ჩემს ცხოვრებასა და ფიქრებს, — მიუგო ჰოსმა.

— როცა ამდენ ხალხს ხოცავდით, არასოდეს გიფიქრიათ, რამე დანაშაული აქვთ მათ ჩადენილი თუ არა?

— არა, ჩვენ, ესესელებს, ამაზე ფიქრი არ გვევალებოდა.

— არც იმაზე გიფიქრია, რომ ამდენი მკვლელობის გამო ჩამოგახრჩობდნენ? — ჰკითხა მან.

— არა, ამაზედაც არ მიფიქრია. — მიუგო ჰოსმა.

— აბა, პირველად როდის გაგიჩნდა აზრი, რომ დაგიჭერდნენ და ტრიბუნალს გადაგცემდნენ? — არ მოეშვა ჯილბერტი.

— კატასტროფის შემდეგ, როცა ჰიტლერი მოკვდა, — თქვა ჰოსმა და ხელი ჩაიქნია...

...ასეც მოხდა. ომის შემდეგ იგი ერთხანს იმალებოდა, გვარი გამოიცვალა, წვერი მოუშვა... მაგრამ ასე წვერმოშვებული ხალხი რაღაც საეჭვოდ მომრავლდა დამარცხებულ გერმანიაში. მათ იჭერდნენ და ამყღავნებდნენ როგორც ყოფილ ნაცისტებს.

ჰოსსაც ასე მოუვიდა. მართალია, ჯიბეში საწამლავი ედო, მაგრამ შემთხვევით რომ გაუტყდა, ახალი არც უძებნია... ორიოდე დღის შემდეგ იგი დაიჭირეს, გაპარსეს და ის-იყო ნიურნბერგში ჩამოიყვანეს მოწმედ.

მერე პოლონელებს გადასცეს და გაასამართლეს... ჩამოხრჩობამდე კი ციხეში მემუარი—აღსარება დაწერა, რაზედაც უკვე გელაპარაკეთ...

მე ყველაზე უფრო ამ საშინელი წიგნის ბოლო სიტყვებმა შემაძრწუნა:

— შეუძლიათ თუ არა ადამიანებს ჩემში გულდამშვიდებით დაინახონ მხოლოდ სისხლისმსმელი მხეცი, შემზარავი სადისტი, მილიონების მკვლელი! სხვაგვარად, ალბათ, ვერც წარმოიდგენენ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტს. მაგრამ გაიგებენ კი ისინი ოდესმე, რომ ვეც მქონდა გული და... ეარცთუ ისე ცუდი კაცი ვიყავი?!..

ახლაც იმაზე ვფიქრობ:

— ნუთუ ამ ურჩხულშიც იბრძოდა ადამიანის ნატამალი, რომ თავისი თეთრი კბილები ეჩვენებინა ქვეყნისთვის?!.

უნამუსო ერთგულება...

ერთხელ მეც მქონდა მასთან საუბრის შემთხვევა. ვიცოდი, ბანაკში, საწერ მაგიდაზე რომ ვიღაც ულვაშებიანი პატიმრის მოჭრილი და გამხმარი თავი ედო, წითელი ხის ლამაზ კვარცხლბეკზე დადგმული. შოუკროსმა ის პროცესზე წარმოადგინა, როგორც საბრალდებო მასალა. მე ძალიან მაინტერესებდა, რად

უნდოდა ეს მოჭრილი თავი ჰოსს. საწერ მაგიდაზე ხომ ჩვეულებრივ რამე ლამაზ ნივთს დგამენ, ვთქვათ, ბრინჯაოს ფიგურას, ვინმე გამოჩენილი ადამიანის ბიუსტს ან სხვა რამეს, რასაც ალეგორიული ან სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, თვალს ესიამოვნება და გონებისთვისაც სასარგებლოა.

აგერ 30 წელიწადია, რაც ჩემს მაგიდაზე ჩაფიქრებული მეფისტოფელის ფიგურა დგას, ანტოკოლსკის ხამუშევარი. როცა იმას ვუყურებ, ყოველთვის ის O, homo, fuge!.. მახსენდება და ცდუნების წინაშე თავის შეკავებაზე ვფიქრობ. ადამიანის გაძხმარი თავის ქალა კი... გაუგებარია, რას უნდა გამოხატავდეს ეს? მით უმეტეს, რომ ახალმოჭრილის შთაბეჭდილებას ტოვებს: მაღალი ნათელი შუბლი აქვს, უკან გადავარცხნილი შავი თმები, გრძელი ძირს დაშვებული ულვაშები და რბილად დახურული ქუთუთოები, თითქოს თვლემსო, სახეზე კი იმასაც ირონიული ღიმილი უთამაშებს, რასაც კიდევ უფრო შესამჩნევს ხდის ოდნავ გახსნილი ტუჩებიდან მოკიაფე თეთრი კბილები...

ამაზე რომ ვკითხე, ჰოსმა რაღაც „ფსიქიკურ ტრანსზე“ დაიწყო ლაპარაკი, „პერმანენტული განწყობილების სიმყარეზე“.

— როცა დახვრეტებს აწარმოებ ან გაზკამერებში მიერეკები ხალხს, — თქვა მან, — ისეთ „ფსიქიკურ ტრანსში“ შედიხარ, რომ ეს საშინელი სურათები შენს ნერვულ სისტემაზე არ მოქმედებს, არ გაღელვებს, არც სინანულის გრძნობას იწვევს და „სიბრალულის იმუნიტეტს“ გიმუშავებს, ოღონდ უნდა ეცადო, რომ ამ „ტრანსიდან“ არ გამოხვიდე...

ამისათვის, ჰოსის აზრით, საჭიროა ყოველთვის ერთსა და იმავე ბუნებრივ მდგომარეობაში იყო.

— დახვრეტებს რომ მორჩები და კაბინეტში შეხვალ, იქაც ადამიანის მოჭრილ თავს უყურებ და არ ჰკარგავ ერთხელ უკვე გამომუშავებულ განწყობილებას, — დაასკვნა მან...

...მოხდა ისე, რომ ციხის სასადილოში ჰოსი პირადადაც შეხვდა თავის შემქმნელებს. ყველა ამრეზილად უყურებდა მას, გარდა გერინგისა. არც არავინ ისურვა „იმ ჭუჭყიან ღორთან“

საუბარი. გერინგი კი სამი მილიონი კაცის მოსპობის „ტექნიკური საკითხებით“ დაინტერესდა:

— როგორ შეიძლებოდა ერთ ბანაკში ამდენის მოსპობა? —იკითხა მან.

ჰოსმა აუხსნა გაზკამერების, კრემატორიუმებისა და კონვეიერების ტექნიკური დეტალები: ერთ სეანსზე ორი ათასი კაცი მიჰყავდათ. საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა თურმე ეს რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილიყო.

— ვინ იძლეოდა ამის ბრძანებებს? — ჰკითხა გერინგმა, ვითომ თვითონ არ იცოდა ეს!

— ჰიმლერი, ჰიტლერის დავალებით, — მიუგო ჰოსმა.

აქ ისევ ჯილბერტმა „უკბინა“ ყოფილ რაიხსმარშალს:

— ხედავთ? ესეც ერთგულია ფიურერისა!

გერინგი გაბრაზდა:

— ერთგულება კი არა, ეს მოვალეობაა! აბა რა გამოვა, რომ ყველა ოფიცერმა უარი თქვას უფროსების ბრძანებათა შესრულებაზე!..

ჯილბერტმა ვეღარ მოითმინა და სიტყვა შეუნაცვლა:

— ასეთმა ბრმა ერთგულებამ გამოიწვია ამდენი დანაშაული!

აქ მან ჯიბიდან ადგილობრივი გაზეთი „Nürnberger Nachrichten“ ამოიღო და გაბრაზებულ გერინგს უჩვენა უზარმაზარი ასოებით აწყობილი მეთაური: „უნამუსო ერთგულება“. თან დასძინა:

— აჰა, წაიკითხეთ და გაიგეთ, რას ფიქრობენ ახლა გერმანელები ასეთ უნამუსო ერთგულებაზე!

გერინგმა ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა:

— მე სულაც არ მაინტერესებს რას ჯღაბნიან ამერიკული კონტროლით გამოცემული გერმანული გაზეთები!

...როგორ არ აინტერესებდა, მაგრამ უნდოდა ისტორიის წინაშე გერმანელი ხალხის ინტერესებისათვის წამებულად გაესაღებინა თავი... ის ხალხი კი უკვე ზიზღით აქცევდა მათ

ზურგს... ხალხი კი არა, თვითონაც ამას ცდილობდნენ. შიშით თუ შეგნებით, სულერთია, ასე კი იყო. განა დამახასიათებელი არ არის, რომ პროცესზე არ აღმოჩნდა არცერთი ბრალდებული, რომელსაც ეცადა მაინც დაცვა ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის პოლიტიკა, რასაც ასეთის გაშმაგებით ქადაგებდნენ წლების განმავლობაში... მე ვამბობ, არც ერთი! ის კი არა, თითქმის ყველა მათგანი თითს თავიანთი ყოფილი ფიურერისაკენ იშვერდა და იძახდა:

— ჯვარს აცუ ეგე!.. ჯვარს აცუ!.. მაგან ჩაიდინა მთელი ეს საშინელება!..

შირახმა „თავის ფიურერს“ საჯაროდ ჯალათი უწოდა.

— ჩემი დანაშაული ის არის, რომ მე ვზრდიდი ახალგაზრდებს ადამიანისათვის, რომელიც ჯალათი აღმოჩნდა, — უკვე მერამდენედ იმეორებდა იგი.

ფრანკმა სულ იუდა ისკარიოტელის პოზა მიიღო:

— საუკუნეები გაივლიან და მოვლენ ახალი თაობები, — განაცხადა მან, — რომლებიც გაეცნობიან ამ საშინელ ამბებს და შეძრწუნებულნი იტყვიან: ღმერთო ჩემო! ნუთუ ეს შესაძლებელი იყო?!. არა, ამას არ შეიძლება დანაშაული ეწოდოს. „დანაშაული“ ძლიერ რბილი სიტყვაა ამის გამოსახატავად. ქურდობა — ესაა დანაშაული, კაცის მოკვლა — ესეც დანაშაულია. ამგვარი საშინელება კი ყოველივე ამას აღემატება! მასობრივი მკვლელობანი, ორი ათასი კაცისა ერთად! ოქროს კბილები და ბეჭდები—რაიჰსბანკში! თმები—ლეიბებისათვის! ღმერთო ძლიერო!.. და ყოველივე ეს ერთი დემონის ბრძანებით, რომელიც ადამიანის სახით მოევლინა ქვეყანას!..

ამას ამბობდა კაცი, რომელმაც სამ მილიონზე მეტი ადამიანი გაჟლიტა პოლონეთში და „სიამაყის გრძნობით“ მოახსენა „თავის ფიურერს“ „ჩემს საგენერალგუბერნატოროში ებრაელები და ტილები მოსპობილიაო...“

ფარისევლობა ამაზე შორს სად წავა!..

...ერთი მხოლოდ გერინგი ცდილობდა „ფიურერის ღირსების“ დაცვას... ისიც ორჭოფულად. უნდოდა ეთქვათ: ერთი კაცი ხომ მაინც აღმოჩნდა ბოლომდე ჰიტლერის ერთგულიო.

ციხეში იგი ესაუბრა კიდეც რიბენტროპს ამის შესახებ. ის კი არ იცოდა, როგორღაც ეს საუბარიც რომ იწერებოდა „ისტორიისათვის", და ძალაუნებურად ამხილა თავისი თავი. ჯერ, „ჰიტლერი გერმანელი ერის ინტერესებისათვის ბრძოლას შეეწირა", ასე ვთქვათო, მაგრამ თვითონვე შეეპვდა ამაში და ადრევე ნათქვამი გაიმეორა:

— ო, ეს მასობრივი მკვლელობანი! ამას რა უნდა ვუყოთ, ვინ დაიჯერებს, რომ ამ საშინელებას რამე კავშირი აქვს ერის ინტერესებთან!..

ეს არც არავის სჯეროდა. ბრალდება და საზოგადოებრივი აზრი კი დაჟინებით მოითხოვდა პასუხს კითხვაზე:

— ვინ იძლეოდა ასეთ განკარგულებებს?

რა უნდა ეთქვათ? გერინგმა კი უთხრა რიბენტროპს: არა, ჩვენ არ უნდა ვთქვათ, რომ ჰიტლერიო. ჯერ არც ის ამბობდა ამას, მაგრამ ჯილბერტმა უკუღმართად შეუბრუნა კითხვა:

— მაშ ვინ? იქნებ თქვენი განკარგულებით ხდებოდა ეს?

გერინგს შეეშინდა.

— არა, ჩემით არა! — იყვირა მან.

იქვე მდგომ ფრიჩეს გაეცინა:

— რა თქმა უნდა, არა, — ირონიულად ჩაილაპარაკა მან,— ეს განკარგულებები თურმე რომელიღაც სერჟანტს გაუცია!

ზაუკელმა დატუქსა ფრიჩე:

— რა საჭიროა საერთოდ ამაზე ლაპარაკი! ეს არცხვენს ჩვენს სამშობლოს!..

გერინგმაც ხმას აუწია და ისე მიმართა ყველას:

— ნუ გავიწყდებათ, რომ ჰიტლერი სახელმწიფოს მეთაური იყო!

— ნაცისტური სახელმწიფოს მეთაური, რომელმაც გაჟლიტა მილიონობით უდანაშაულო ადამიანი! — ჩაერია მათ საუბარში პაპენი.

გერინგი თითქოს მოტყდა. Donnerwetter!.. ისევ ეს მასობრივი მკვლელობანი!.. და ხმას დაუწია:

— მაინც არ უნდა სთქვათ ასე. ან შირახს რა უფლება აქვს ჯალათი უწოდოს მას? მე ვიცი, რასაც იტყვით ამაზე: ეს სიმართლეაო... შეიძლება, მაგრამ სხვაგვარად მაინც თქვას...

ის ჯილბერტი კი სულ კბილის მატლივით შეუჩნდა გერინგს:

— როცა ჰიტლერს ერთგულად ემსახურებოდით, მაშინაც ხომ იცოდით, რომ ჯალათი იყო? — ჰკითხა მან უკვე მოტეხილ გერინგს.

ის კი უცებ აფეთქდა:

— კი მაგრამ, ღმერთო მაღალო! ჯანდაბას თქვენი თავი და ტანი! მე ხომ არ შემიძლია ავდგე და იმ ტილიანი შირახივით ვიძახო, ჩვენი ფიურერი ჯალათი იყო-მეთქი. რატომ გავიწყდებათ, რომ ის ჩვენთვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე პიროვნება!..

ამაზე თითქმის ყველა მიესია გერინგს და, რაც შეეძლოთ, ლანძღეს თავიანთი ყოფილი ფიურერი... შტრაიხერი დუმდა მხოლოდ, კაიტელიც განზე იყო გამდგარი... რიბენტროპი კი საერთოდ არ იღებდა ხმას ასეთ დროს.

გერინგმა რომ დაინახა, როგორ აუჯანყდნენ მოციქულები თავიანთ ანტიქრისტეს, სულ გამოვიდა მოთმინებიდან:

— ეს რა ტრაგიკომედიაა! — იყვირა მან, — ან ეს საზიზღრები რას აკეთებენ?! ჰიტლერმა მე სიკვდილი მომისაჯა და თითქოს მევე უნდა მქონდეს უფლება ასეთი რამე ვთქვა, და არა — ამათ! თუნდაც შპეერსა და შირახს, რომლებიც ძალიან უყვარდა ჰიტლერს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე... მე დიახაც მაქვს ამის უფლება, მაგრამ მაინც არ ჩავდივარ ამას... პრინციპისათვის... მე მას შევფიცე ერთგულება და არ შემიძლია უკან დავიხიო... რაცა ვარ, ისა ვარ და არც არავინ უნდა მოელოდეს, რომ ჩემი ცხოვრების 52 წლისთავზე შევიცვლი შეხედულებებს....

მერე ისეთი ალიაქოთი ატყდა, რომ ხელკეტებით შეიარაღებულ თეთრმუზარადიან პოლიციელებს მოუხდათ „კამათის“ შეწყვეტა...

ჭალგატონი—ნომერი პირველი...

მეორე დღეს შავი ლიმუზინი გავიდა ნიურნბერგიდან და გეზი ზაკლინგენის ტყისაკენ აიღო. მშვენიერი დარი იდგა. ირ-

გვლივ ნაადრევი გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობოდა. ნაზამთრალი ხეები ჯერ კიდევ არ იყო მწვანით შემოსილი, მაგრამ კვირტები კი სკდებოდა უკვე. მანქანა ისარივით მიქროდა ფართო ავტოსტრადაზე... მძღოლთან ისევ ის ჯილბერტი იჯდა და რაღაც სიმღერას ღიღინებდა თავისთვის. კვირა დღე იყო და ისიც „თავის ჭკუაზე" ატარებდა დროს...

რამდენიმე ხნის შემდეგ მანქანამ სადღაც მიუხვ-მოუხვია და ერთსართულიანი სახლის წინ გაჩერდა. „Neuhaus" ეწერა შესასვლელთან. ფანჯარაზე ფარდა ფრთხილად გადაიწია და წამით ვიღაც მანდილოსნის შეშინებული სახე გამოჩნდა. გარშემო სრული მყუდროება სუფევდა. ჯილბერტი გადმოვიდა მანქანიდან, რაღაც შეხვეული გადმოიტანა და კარზე დააკაკუნა...

ხმა არავინ გასცა.... მერე იგივე გაიმეორა. ისევ დუმილი...

— ეი, ვინა ხართ, გააღეთ კარი! — დაიძახა მან.

ერთი წუთის შემდეგ „სადარბაზო" გაიღო და მსახური ქალი გამოვიდა.

— ქალბატონი გერინგი შინ ბრძანდება? — იკითხა ჯილბერტმა.

— მობრძანდით! — შეიპატიჟა მსახურმა და წინ გაუძღვა მოულოდნელად გამოჩენილ ამერიკელ ოფიცერს.

სახლი უბრალო იყო, ღარიბულად მოწყობილი, მაგრამ სუფთად მოვლილი... დერეფანი გაიარეს, ერთი ოთახი, მეორე და პატარა სასტუმროში შევიდნენ. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ერთი მაგიდა იდგა, წიგნების კარადა და რამდენიმე სავარძელი.

— დაბრძანდით! — მიიპატიჟა მსახურმა სტუმარი და ოთახიდან გავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ კი სახლის დიასახლისი შემოვიდა: მაღალი, ტანსრული, ფართო, სევდიანი თვალებითა და უბრალო ტანისამოსით... ყოველგვარი სამკაულის გარეშე. ეს იყო მსოფლიოში უმდიდრესი კაცის რაიჰსმარშალ ჰერმან გერინგის ცოლი: „იმპერიის ქალბატონი ნომერი პირველი".

— ემი, — თქვა შემოსულმა და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — გერინგი!..

კალთაზე მას რვა-ცხრა წლის ლამაზი ქერათმიანი გოგონა ედა ჩაბღაუჭებოდა და ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა სტუმარს...

ჯილბერტმა ბავშვს ტკბილეული გადასცა და დიასახლისთან ერთად ბუხრის წინ მოიკალათა...

...ემიმ მსახური იხმო და ბავშვი გაატანა... სათამაშოდ. მერე ჯილბერტს მიუბრუნდა და შესჩივლა:

— წარმოგიდგენიათ? იმ გიჟმა ბრძანება გასცა მოეკლათ ეს ბავშვი!

ის „გიჟი“ ჰიტლერი იყო. ემი მოყვა, როგორ დააპატიმრეს ისინი ჰიტლერის ბრძანებით, ემუქრებოდნენ სიკვდილით, მარტო ჰერმანს კი არა, ემის და ამ პატარა ბავშვსაც...

— წარმოგიდგენიათ?!—იძახდა იგი ისევ: — ჰერმანი გაგიჟებული იყო... როგორ დააბრალა ჰიტლერმა ღალატი! მე სულ იმის მეშინოდა, ყარაულებს არ მოეკლათ, როცა იგი ჰიტლერს ლანძღავდა. ღმერთო!.. რაც ჩემმა ქმარმა ერთგულება გაუწია ჰიტლერს... მან დაკარგა ჯანმრთელობა, ბედნიერება, პირველი ცოლი... იგი ყველაფერში მხარს უჭერდა ჰიტლერს... ეხმარებოდა ძალაუფლების მოპოვებაში და... მადლობის მაგივრად დაპატიმრება და მოკვლა?! ჩემი ბავშვისაც!.. ეს რომ გავიგეთ!..

მსახურმა ჩაი შემოიტანა, მაგიდაზე დადგა და უკანვე გაბრუნდა.

საუბარი საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებებს შეეხო. გერინგი რომ ამბობდა პროცესზე, ამის შესახებ არაფერი ვიცოდიო, ტყუილი გამოდგა... გერინგს კი არა, მის ცოლსაც სცოდნია ყველაფერი.

—როცა ამის შესახებ გავიგე, — უთხრა მან ჯილბერტს, — წერილი მივსწერე ჰიმლერს, ნება მოეცა ჩემთვის დაქეთვალიერებინა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი. ჰიმლერმა თავაზიანად მიპასუხა, მაგრამ მაინც უარი შემომითვალა: რაც შენი საქმე არ არის, იმაში ნუ ერევიო...

ჯილბერტმა აქ ეშმაკურად შეუბრუნა კითხვა:

— თქვენმა მეუღლემ რომ გაიგო, ჰიტლერი მკვლელიაო, ამან არ იმოქმედა მის ერთგულებაზე?..

ემი გერინგში უცებ გაიღვიძა ბრუნჰილდეს სულმა. იგი ამაყობდა „ჰერმანის სიმტკიცით“ და, როგორც ჯილბერტი შენიშნავს, „ის საშინელი ამბები“ სულაც არ ანგრევდა მის ილუზიებს ამის თაობაზე. პირიქით, ამართლებდა კიდეც ქმრის ერთგულებას „იმ გიჟი ჰიტლერისადმი“.

— ერთმა კაცმა მაინც ხომ უნდა თქვას: დიახ, მე მხარს ვუჭერდი ფიურერს, ახლა კი აქა ვარ, თქვენ წინაშე, და, რაც გინდათ, ის მიყავითო,—განუცხადა ემი გერინგმა ჯილბერტს და განაგრძო:

— თორემ ჩვენთვის, ყველასთვის ისე სამარცხვინოა, როცა ვხედავთ, რამდენი გერმანელი ამბობს, მხარს არასოდეს ვუჭერდით ჰიტლერსო, ძალით შეგვიყვანა პარტიაშიო. ეს გულისამრევი ფარისევლობაა. ჰერმანს კი უნდა აჩვენოს ყველას, რომ ის უკან არ იხევს, როგორც მხდალი ბრბო...

...იმავე საღამოს ჯილბერტი გერინგის საკანში იყო. ზიკლინგენიდან მას ცოლის წერილი და პატარა ედას სურათი ჩამოუტანა. გერინგმა არ ისურვა მისი თანდასწრებით წერილის წაკითხვა. როგორ არიანო, ეს ჰკითხა მხოლოდ. მერე ისევ იმ ერთგულებაზე ილაპარაკეს, ჰიტლერის ბრძანებაზეც, დაეპატიმრებინათ და დაეხვრიტათ გერინგი, როგორც მოღალატე...

— მე არ მჯერა, რომ ეს ბრძანება ჰიტლერმა გასცა, — თქვა გერინგმა, — ეს სულ იმ ჭუჭყიანი ღორის ბორმანის საქმეა. ოხ, ერთი ის გოჭი მომცა აქ, ამ საკანში... ხუთი წუთით... მხოლოდ ხუთი წუთით... დაკეტილ კარებში... თქვენ მაშინ არ მოგიხდებოდათ მისი გასამართლება. მე მას მივახრჩობდი საკუთარი ხელით... იმიტომ კი არა, რაც მე მიყო, არა, მხოლოდ იმ ჭუჭყიანი საქმეებისათვის, რაშიც მან გახვია ფიურერი...

...ასეთი ერთგული პალადინის პოზა მარტო გერინგს ეჭირა. სხვები (შტრაიხერის გამოკლებით, რომელსაც ანგარიშში არავინ აგდებდა) სულ ჰიტლერსა და ჰიმლერს აბრალებდნენ ყველაფერს, თუმცა ციხე შიგნიდანაც ტყდებოდა.

— არ დაიჯეროთ, რომ ამათ არაფერი არ იცოდნენ! — უთხრა ფრანკმა ჯილბერტს.

ეს ჩვენ არც გვჯეროდა. ისედაც ვიცოდით, ყველა რომ ერთ პირზე იდგა იმთავითვე: ჰიტლერი, გერინგი, ჰიმლერი, კაიტელი, რიბენტროპი, როზენბერგი, ჰაიდრიხი და ჰოსი — პოლიტიკური მოღვაწენი, არმიის სარდლები, ესესის მეთაურები, დიპლომატები თუ გესტაპოს თანამშრომლები. წარმოდგენილი დოკუმენტებიც ამაზე ღაღადებდნენ... ათასი ფუთი ბრალდების სიმძიმე ერთნაირად აწვა მხრებზე გერინგსაც და კალტენბრუნერსაც, კაიტელსაც და შირახსაც, ყველას, ვინც საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განსასჯელთა სკამზე იჯდა ან სადმე სხვაგან, სადაც კი მართლმსაჯულების ხელი მისწვდა მათ...

ბრალდება ეკრანიდან...

მტკიცების თუ რა უკომპრომისო ძალა ჰქონდა ამ დოკუმენტებს, ასეთი კურიოზული ფაქტიდანაც ჩანს.

პროცესის ერთ-ერთ მორიგ „მძიმე დღეს“, როცა ჰიტლერელთა ველურობის უსაშინელეს დოკუმენტებს ადგენდნენ, ბალდურ ფონ შირახმა თავისი დამცველის საშუალებით პროტესტი განაცხადა:

— მე ეჭვი არ შემაქვს ბრალმდებელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასალების აუთენტიკურობაში. მჯერა, რომ მთელი ეს საძაგლობა ჩადენილია. მაგრამ ტრიბუნალი სწორად არ იქცევა, ამთავითვე რომ არ განსაზღვრავს, ბრალდებულთაგან სახელდობრ ვის ედება ამაში ბრალი. ისე კი გამოდის, თითქოს ეს გვეხება ყველას, მათ შორის მეც, რაც შეურაცხყოფს ჩემს სინდისს იმაზე მეტად, ვიდრე დანაშაული მიმიძღვის. ჩემდათავად მე ვაცხადებ, რომ ამ პროცესამდე არასოდეს გამიგონია საკონცენტრაციო ბანაკების არსებობის შესახებ, არც არასოდეს მინახავს, და არც არაფერი ვიცი ამის თაობაზე.

ტრიბუნასთან მაშინ ჯეკსონი იდგა. მან ირონიულად გა-

დახედა შირახს და ტრიბუნალს სთხოვა ნახევარი საათით შესვენება გამოეცხადებინა.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ ლოურენსმა ჩაქუჩი დაჰკრა და შესვენება გამოაცხადდა.

ჩვენ ვესტიბიულში გამოვედით. როგორც ჩანდა, შირახის პროტესტმა გავლენა მოახდინა: კორესპონდენტები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ცხარედ კამათობდნენ.

50 წუთის შემდეგ კვლავ მიგვიხმეს დარბაზში. ტრიბუნასთან ისევ ჯეკსონი დადგა და შირახის პროტესტი გაიმეორა:

— ბრალდებული შირახი აცხადებს, რომ მას არაფერი სმენია საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ, არასოდეს უნახავს არც ერთი მათგანი და არც არაფერი იცის ამის თაობაზე.

მერე თავის თანაშემწეს მიუბრუნდა და მითითება მისცა:

— გთხოვთ გვიჩვენოთ ფილმი!

სინათლე ჩაქრა. ეკრანზე ისევ საკონცენტრაციო ბანაკი გამოჩნდა, ახლა უკვე—რაღაც საზეიმო გარემოებაში: შესასვლელთან ორკესტრი იდგა და შეხვედრის მარშს უკრავდა. მერე ალაყაფის კარები გაიღო და მაღალი თანამდებობის პირთა მთელი ჯგუფი შემოვიდა. ისინი გაემართნენ პატიმრების კარვებისაკენ, დაათვალიერეს გაზკამერა, კრემატორიუმი. მთელი ამ ხნის განმავლობაში სიბნელეში გაისმოდა ჯეკსონის ხმა:

— ცენტრში დგას შირახი, ცენტრში დგას შირახი, გთხოვთ დააკვირდეთ, ცენტრში დგას შირახი!

ჩვენც კინოკამერის საშუალებით მათთან ერთად კიდევ ერთხელ ვიმოგზაურეთ ჯოჯოხეთის ცხრავე გარსში და ვნახეთ ისეთი საშინელება, რომლის ხელახლა გახსენება არც ღირს...

ფილმის ჩვენება რომ დამთავრდა და დარბაზში სინათლე აენთო, ჯეკსონმა ტრიბუნალის წევრებს მიმართა:

— გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ თქვენ ეკრანზე ნახეთ ბრალდებული ბალდურ ფონ შირახი, რომელიც ათვალიერებს ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკს.

ტრიბუნალმა, რა თქმა უნდა, ეს დაადასტურა. დაცვის მხარეს არაფერი უთქვამს, არც შირახს. ჯეკსონმა კი ახლა ასეთი განკარგულება გასცა:

— გთხოვთ შემოიყვანოთ მოწმე.

დარბაზში შემოვიდა ვიღაც მორგვივით სქელი, თავგადაპარსული კაცი სამოქალაქო ტანისამოსში. იგი შეშინებული აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს და ხაზგასმული თავაზიანობით ასრულებდა ბრალმდებლის მითითებებს.

— გთხოვთ დააკვირდეთ ამ კაცს და დაიმახსოვროთ მისი სახე, — თქვა ჯეკსონმა და ისევ თავის თანაშემწეს მიუბრუნდა:

— ერთხელ კიდევ გვიჩვენეთ ფილმი!

დარბაზში ისევ ჩაქრა სინათლე. ეკრანზე ისევ იმავე კადრებმა გაირბინეს. სიბნელეში კი ჯეკსონის ხმა ისმოდა:

— გთხოვთ დააკვირდეთ კაცს ესესის ფორმაში, შირახის მარჯვნივ! გთხოვთ დააკვირდეთ და დაადასტუროთ, რომ ეს იგივე კაცია, რომელიც ახლა მოწმედაა გამოძახებული... გთხოვთ დააკვირდეთ და ა. შ.

ეკრანზე მართლაც იგივე კაცი იყო, ოღონდ უფრო სქელი, სახეგაბადრული და რაღაც აუწერელი მლიქვნელური გამომეტყველებით.

ფილმი დამთავრდა. სინათლე აენთო. დარბაზი დაძაბულია. ტრიბუნალი ადასტურებს, რომ მოწმე და ის კაცი ერთი და იგივე პიროვნებაა. დაცვის მხარე ისევ დუმს. შირახს შავი სათვალე აქვს აფარებული. ჯეკსონი ეკითხება მოწმეს:

— ხომ არ უარყოფთ, რომ ის კაცი თქვენა ხართ?

— არა,—უპასუხებს მოწმე, რომელიც იმ საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი აღმოჩნდა.

— უამბეთ ტრიბუნალს, რატომ გადაიღეთ ეს ფილმი, — ეუბნება ჯეკსონი. მოწმე ცალი თვალით შირახისაკენ იყურება და ისე ამბობს:

— ბატონი გაულაიტერი შირახი უკმაყოფილო იყო ბანაკის გამტარუნარიანობით. ჩვენ კი მეტი არ შეგვეძლო თითო გაზკამერითა და კრემატორიუმით, ისიც საკმაოდ მოძველებულით. მაშინ ბატონმა შირახმა მოისურვა ადგილობრივ შეემოწმებინა ეს და დაგვინიშნა დღე. ჩვენ რაკი ასეთ საპატივცემლო სტუმარს მოველოდით, რა თქმა უნდა, მოვემზადეთ შესახვედრად, მოვიწვიეთ ორკესტრი, კინოოპერატორები და...

ზერე არცაა საინტერესო. ისედაც ყველაფერი გასაგები იყო, თუმცა ჯეკსონმა მაინც მიმართა შირახს:

— ბრალდებულო შირახ! ხომ არ გსურთ თქვენი პროტესტის განმეორება?

პასუხის ნაცვლად შირახმა თავი ჩაქინდრა.

ასეთი იყო იმ ათასი ფუთი ბრალდების სიმძიმე...

შავი კორპუსი...

ისინი კი მაინც ესესელებს აბრალებდნენ ყველაფერს. „ეს სულ იმ ჭუჭყიანი ღორების საქმეაო," — აცხადებდა კაიტელი. სხვებიც. იმაზე კი არ ფიქრობდნენ, თვითონაც რომ ესესელები იყვნენ. ბევრ მათგანს ესესის გენერლის ჩინიც ჰქონდა, მათ შორის — რიბენტროპს, ჰესს, ფრანკს, ფრიკს, ზაუკელს, ნოირატს. ისინი ახლა ემიჯნებოდნენ, ციხეში, იმ „ჭუჭყიან ღორებს", თორემ იყო დრო, როცა მესამე იმპერიის ყველა დიდი სახელმწიფო მოღვაწე თავისი ღირსების საქმედ თვლიდა ესესელთა ამ „ამაყი კორპუსის" რიგებში ყოფნას. რიბენტროპი თავის თხოვნაში წერდა:

— მე ყოველთვის განსაკუთრებულ პატივად ჩავთვლი ვეკუთვნოდე ფიუერერის ამ ამაყ კორპუსს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი დიდი გერმანული იმპერიის მომავლისათვის.

რიბენტროპი მაშინ, ცხადია, არ ფიქრობდა, ამ სიტყვებს სასამართლო პროცესზე რომ შეახსენებდნენ. ასე კი მოხდა. როგორც კი მან სცადა დაპირისპირებოდა ესესის საქმიანობას, ინგლისელმა ბრალმდებელმა მაქსუელ-ფაიფმა „მოაგონა", რომ თვითონაც ეკუთვნოდა ამ ორგანიზაციას. რიბენტროპმა ეს ვერ უარყო, მაგრამ მაინც განაცხადა „მე ესესის მხოლოდ საპატიო წევრი ვიყავიო". ამის გამო მაქსუელ-ფაიფი ბოლომდე მიჰყვა ამ საკითხს.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: ბრალდებულო რიბენტროპ! მე მინდა, რომ მოჰყვეთ ესესთან თქვენი დამოკიდებულების შესახებ. ხომ არ გნებავთ პროცესის მიმდინარეობის ამ ეტაპზედაც

ამტკიცოთ, თითქოს ამ ორგანიზაციის მხოლოდ საპატიო წევრი იყავით? თქვენი დამცველი, ალბათ რაღაც გაუგებრობის ნიადაგზე, აცხადებს ამას.

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: ეს გაუგებრობა კი არ არის, ნამდვილად ასეა. მე მივიღე ჰიტლერისაგან ესესის ფორმა, ისე კი არასოდეს არავითარ ფუნქციას არ ვასრულებდი ესესის ორგანიზაციაში. მაგრამ როგორც ელჩს, შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრს, არსებული წესის მიხედვით, უნდა მიმეღო ესესის რამე ჩინი და მე გავხდი კიდეც ესესის ერთ-ერთი ფიუერერი.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: მე ვამტკიცებ, რომ ეს სრულიადაც არ შეეფერება სინამდვილეს. ესესში მიღება თქვენ ითხოვეთ ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე 1933 წლის მაისში სრულუფლებიანი ელჩი გახდებოდით. მართალია თუ არა ეს?

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: დიახ, ასეა მე ყოველთვის ვეკუთვნოდი ესესის ორგანიზაციას.

მიუხედავად ასეთი აღიარებისა, რიბენტროპმა მაინც სცადა აერია სრულიად ნათელი საკითხი. მაგრამ გამოცდილი გამომძიებელი არ დაიბნა.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: თქვენ ახლაც სთქვით, რომ ესესის წევრობა საპატიო ხასიათისა იყო, რადგან ჰიტლერს უნდოდა ფორმა გქონოდათ. მე თქვენ გეკითხებით: 1933 წელს შეიტანეთ თუ არა განცხადება, რომ მიეღეთ ესესის რიგებში ჩვეულებრივი წესით. ასეა თუ არა ეს?

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: რა თქმა უნდა, საჭირო იყო განცხადების შეტანა. მაგრამ საქმე ასე იყო. მიღებებზე მე რამდენჯერმე გამოვჩნდი ჩემი უზარმაზარი ნაცრისფერი პალტოთი. ამის გამო ჰიტლერმა მითხრა, რომ საჭიროა მქონდეს ფორმა. როდის იყო ეს, არ მახსოვს, მე ვფიქრობ — 1933 წელს. და მე, როგორც ელჩმა, მივიღე კიდეც სათანადო წოდება, ხოლო შემდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრი რომ გავხდი, — კიდევ უფრო მაღალი.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: მაშასადამე, 1933 წელს ითხოვეთ, შეხვედით ესესში და მიიღეთ არცთუ ისე მაღალი წოდება შტანდარტუნფიუერერისა. ასეა, არა?

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: დიახ, ასეა.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: ობერფიუერერი თქვენ გახდით მხოლოდ 1935 წლის 20 აპრილს, ბრიგადენფიუერერი — იმავე წლის 14 ივნისს, გრუპენფიუერერი — 1936 წლის 13 სექტემბერს, ობერგრუპენფიუერერი — 1940 წლის 20 აპრილს. ვიდრე ელჩი გახდებოდით, სამი წლის განმავლობაში თქვენ ითვლებოდით ესესში და ჩვეულებრივის გზით იღებდით ახალ-ახალ წოდებას. ასეა არა?

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: დიახ, მაგრამ მე არასოდეს არავითარი მუშაობა არ მიწარმოებია ესესში.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: თქვენ ითხოვეთ, რომ მიეღეთ დივიზია „ტოტენკოპფში“ („ადამის თავი“) არა?

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: არა, ეს მართალი არ არის!

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: განა თქვენ არ გახსოვთ, რომ ჰიმლერისაგან მიიღეთ განსაკუთრებული ბეჭედი და ხანჯალი დივიზიისა „ადამის თავი“? განა თქვენ არ გახსოვთ ეს?

რ ი ბ ე ნ ტ რ ო პ ი: არა, არ მახსოვს, მე არასოდეს არ ვყოფილვარ დივიზია „ადამის თავში“.

მ ა ქ ს უ ე ლ- ფ ა ი ფ ი: 1933 წლიდან მოკიდებული თქვენ ყოველთვის დაინტერესებული იყავით ესესით, ომის დროსაც. ასეა არა? მგონი, თქვენი მიმოწერა ჰიმლერთან გრძელდებოდა 1941 თუ 1942 წლამდე.

რიბენტროპს არ მოეწონა, ეს მიმოწერა რომ გაიხსენეს. მართალია, მისი შინაარსი არ გადმოუციათ, მაგრამ ისედაც ცხადი იყო, თუ რა „საქმიანი მიმოწერა“ უნდა ჰქონოდა მას იმპერიის პირველ ჯალათთან...

...ნათქვამია: იდაყვი ახლოა, მაგრამ ვერ უკბენო. ეს ვერ გაითვალისწინეს ბრალდებულებმა... ესესი მათი „იდაყვი“ იყო, რასაც ასე ადვილად ვერ უკბენდნენ...

ესესის ცოდვა მათაც აწვათ კისერზე. სწორად თქვა საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ:

— ამრიგად, ესესის ერთი და იგივე სისტემა აერთიანებდა ტრემბლინკის კომენდანტს უნტერშარფიუერერ კურტ ფრანცს, „გაზვაგენების“ გამომგონებელ უნტერშტურმფიუერერ ბეკერს, ცოცხალ ადამიანებზე ცდების ჩამტარებელ ესე-

სელ ჰაუპტშტურმფიუერერ დოქტორ რაშერს და იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ესესის ობერგრუპენფიუერერ რიბენტროპს...

ერთ ტაფაზე...

განსასჯელთა სკამზეც ყველა ერთ ბედქვეშ აღმოჩნდა: პარტიის, სახელმწიფო აპარატის, არმიის, ესესისა და გესტაპოს წარმომადგენლები, დიდი თუ მცირე. ზოგი — მთავარ პროცესზე, ზოგიც—შემდეგ. მართალია, ნიურნბერგში უფრო „რესპექტაბელური დამნაშავეები“ — დიპლომატები და სამხედრო პირები ცდილობდნენ თავი შორს დაეჭირათ კალტენბრუნერისა და შტრაიხერის მსგავსი „ჭუჭყიანი ღორებისაგან“. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო.

ანდაზად ითქმის: თევზმა თევზს უთხრა, იქით მიიწიეო; სად უნდა მივიწიო, ვერა ხედავ, ერთ ტაფაზე ვართო!

ბრალდებულებს იმედი ჰქონდათ, რომ იმ „ჭუჭყიან ღორთაგან“ განსასჯელთა სკამზე მათთან ერთად არც ერთი არ იქნებოდა. იცოდნენ ჰიმლერის თვითმკვლელობის ამბავი, ჰაიდრიხის მკვლელობისა ხომ—უფრო ადრეც. კალტენბრუნერი კი ჯერ არ ჩანდა... ავადმყოფობის გამო. იგი პირველად პროცესის დაწყებიდან 20 დღის შემდეგ, 10 დეკემბერს, გამოჩნდა. ბრალდებულები შიშით უყურებდნენ, როგორ დინჯად შემოვიდა ის დარბაზში და ზლაზვნით გაემართა განსასჯელთა სკამისაკენ. ზოგმა ზურგი შეაქცია, სხვებმა თვალი აარიდეს. არ უნდოდათ გამოემჟღავნებინათ, რომ რამე საერთო აქვთ მასთან. ის კი პირდაპირ წავიდა მითითებული ადგილისაკენ და გვერდით დაუჯდა კაიტელს. ხელიც გაუწოდა ჩამოსართმევად ფელდმარშალს, მაგრამ კაიტელმა დემონსტრატიულად შეაქცია ზურგი. კალტენბრუნერმა ტუჩზე იკბინა. არც სხვები მიესალმნენ მას. განსაკუთრებული აღშფოთება სამხედროების სახეზე გამოიხატებოდა. მათ უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ ესესელებთან, „მადლობა ღმერთს,“ არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდათ.

კაიტელი იმითაც იყო აღშფოთებული, რომ კალტენ-ბრუნერი სწორედ მის გვერდით დასვეს. ეს თურმე ლახავდა ყოფილი ფელდმარშლის ჯარისკაცულ ღირსებას. თქვა კიდეც იოდლივით:

— მე აქ იმიტომ ვარ, რომ გერმანელი ჯარისკაცის მუნდირი დავიცვა!

განზრახვა არ იყო უღირსი, მართლაც რომ ჰქონოდა ამის საფუძველი. ბრალმდებლებმა კი სრულიად მარტივად აუხსნეს ამ მუნდირიან ბოროტმოქმედთ:

— სამხედროებს ჩვენ ბრალს იმაში კი არ ვდებთ, რომ ისინი ჯარისკაცები იყვნენ და ასრულებდნენ იმას, რაც ჯარისკაცებს ევალებათ. ზეინკლობა პროფესიაა და ამაში ბრალს არავის სდებენ, მაგრამ თუ ზეინკალმა თავისი პროფესია იმისთვის გამოიყენა, რომ ბოქლომი გატეხა და მეზობლის ბინა გაძარცვა, პასუხისგებაში მისცემენ...

...აქ მეზობლის ბინა კი არა, მთელი ქალაქები და სახელმწიფოებია დანგრეული, მილიონობით ხალხია გაჟლეტილი და ჩადენილია სხვა ათასგვარი საშინელებანი. ამას არც სამხედროები უარყოფენ. ისინი მხოლოდ თავიანთ პირად მონაწილეობას არ სცნობენ „იმ ესესელი ღორების“ საქმეებში. ყველაზე უფრო კი ფელდმარშალი კაიტელი იდებს თავს გერმანული არმიისა და მისი გენერალიტეტის ღირსების დაცვაზე.

ფაქტები კი სულ სხვაზე მეტყველებენ. მოძრაობას იწყებს ათასი ფუთი ბრალდება. თუმცა ათასი ფუთი რად უნდა, როცა რამდენიმე გრამიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ არმია, ესესი და გესტაპო შეხმატკბილებულად მუშაობდნენ აღმოსავლეთის დაპყრობილი ტერიტორიების „განხალხების“ დროს. წინასწარ ხელშეკრულებაც იყო დადებული მათ შორის თანამშრომლობის შესახებ. საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ორი კვირით ადრე ოფიციალური მოლაპარაკებაც გაიმართა ამის თაობაზე არმიის უმაღლეს სარდლობასა (OKW) და ესესის (SS) რაიჰსფიურერს შორის. სარდლობის უფროსმა ფელდმარშალმა კაიტელმა ამ მოლაპარაკებაზე გა-

გზავნა თავისი სპეციალური რწმუნებული გენერალ-კვარტირმაისტერი ვაგნერი, ხოლო ესესის რაიჰსფიუერერმა ჰიმლერმა — გესტაპოს უფროსი ჰაიდრიხი. მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლის ძალითაც ესესისა და გესტაპოს დამსჯელი რაზმები (Einsatzgruppen) მიამაგრეს არმიების შტაბებს და დაუქვემდებარეს მათ სარდლობას. პროცესზე წარმოდგენილი იყო თვით გერმანელი სარდლების მამხილებელი დოკუმენტები: ფელდმარშლების ლეებისა და კიუჰლერის პირადი ბრძანებით დანგრეულ იქნა პეტერჰოფი. ფელდმარშალ მანშტაინისა — კიევი. გენერლები ჰაინრიცი, ჰარპე, ვაიდემანი და სხვები ხელს აწერდნენ ბრძანებებს მასობრივი დახვრეტების შესახებ...

ვერც ერთმა სამხედრო პირმა ვერ შეძლო უარეყო ამ საბუთის აუთენტიკურობა... მით უმეტეს, ცოცხალი მოწმის ჩვენება... და ისიც როგორის!..

...დარბაზში კალტენბრუნერის შემდეგ. ყველასათვის მოულოდნელად შემოიყვანეს ესესის გენერალი ბახ-ზელევსკი, კაიტელსა და იოდლს ფერი ეცვალათ. რუდოლფ ჰოსისა არ იყოს, ბახ-ზელევსკიმაც კარგად იცოდა როგორ ხდებოდა ყოველივე ეს! 1942 წლამდე იგი ცენტრალური ფრონტის ესესის ნაწილებისა და გესტაპოს უფროსი იყო. შემდეგ დააწინაურეს და აღმოსავლეთის სამივე ფრონტი დაუმორჩილეს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ტარდებოდა ყველა ეს „დამსჯელი ოპერაცია“, ე. ი. „მთელი რასიული ერთეულების მოსპობის“, თუ განხალხების“ პოლიტიკა. მან კარგად იცოდა რომ მისი უწყებები იქ დამოუკიდებლად კი არ მოქმედებდნენ, არამედ არმიის სარდლობის განკარგულებებით. დამსჯელი ოპერაციებიც უმთავრესად გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების საშუალებით ტარდებოდა. როცა ის ჩვენებას იძლეოდა, კაიტელი მოუთმენლად ცმუკავდა, იოდლი კი თავს იბრიყვებდა, ვითომ არც ესმოდა, რაზე იყო ლაპარაკი.

ბახ-ზელევსკიმ განაცხადა, რომ ის მოქმედებდა აღმოსავლეთის ფრონტის სარდლებთან შეთანხმებით. ამ ოპერაციების საერთო ხელმძღვანელები იყვნენ: ფელდმარშალი კიუჰლერი,

კრებსი, კლუგე და სხვ. ამერიკელ ბრალმდებელ პოლკოვნიკ ტეილორსა და ბახ-ზელევსკის შორის ასეთი დიალოგიც გაიმართა:

ტ ე ი ლ ო რ ი: რასაც თქვენ აკეთებდით, ეს სამხედრო აუცილებლობით თუ იყო გამოწვეული?

ბ ა ხ-ზ ე ლ ე ვ ს კ ი: არა. რასაც ჩვენ ვაკეთებდით, იმის წარმოდგენაც შეუძლებელია.

ტ ე ი ლ ო რ ი: არმიის სარდლობამ თუ იცოდა ეს?

ბ ა ხ-ზ ე ლ ე ვ ს კ ი: რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მათთან შეთანხმებით კეთდებოდა.

ტ ე ი ლ ო რ ი: რატომ ხდებოდა ასე?

ბ ა ხ-ზ ე ლ ე ვ ს კ ი: იმიტომ რომ ყველა ოფიცერს ჰქონდა მიცემული უფლება, როგორც უნდოდა, ისე მოქცეულიყო.

ტ ე ი ლ ო რ ი: იწვევდა თუ არა ეს უდანაშაულო ხალხის მასობრივ ჟლეტას?

ბ ა ხ-ზ ე ლ ე ვ ს კ ი: დიახ!

ტ ე ი ლ ო რ ი: იყო თუ არა ბრძანება, ჯარისკაცები არ დაესაჯათ მოსახლეობის მიმართ დანაშაულებრივი მოქმედებისათვის?

ბ ა ხ-ზ ე ლ ე ვ ს კ ი: დიახ, იყო!

ტ ე ი ლ ო რ ი: რა შედეგი მოჰყვა ამას?

ბ ა ხ-ზ ე ლ ე ვ ს კ ი: დაიკარგა ყოველგვარი კანონიერება, წესრიგი.

ტ ე ი ლ ო რ ი: გენერლებიდან ვინმე თუ აცხადებდა პროტესტს ასეთი სისასტიკის გამო?

ბ ა ხ-ზ ე ლ ე ვ ს კ ი: რამდენადაც მახსოვს, მხოლოდ გენერალი ბენკენდორფი, სხვა არავინ!

დამცველები ისე დაიბნენ, რომ არ იცოდნენ რა კითხვები მიეცათ ბახ-ზელევსკისათვის. სხვებზე უტიფარი კი მაინც გერინგის დამცველი შტამერი გამოდგა. იგი ცდილობდა ეთქმევინებინა მისთვის, ბრძანებებს მე ვაწერდი ხელსო, მაგრამ მოწმემ განაცხადა:

— მე არ მქონდა ბრძანებებზე ხელისმოწერის უფლება, ხელს აწერდნენ მხოლოდ სარდლები.

შტამერმა სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მოწმის დაშინება სცადა:

— იცით თუ არა, რომ ფიურერი და ჰინლერი გაქებდნენ თქვენ სწორედ სიმკაცრის გამო? დაგაჯილდოვეს კიდეც ამისთვის!

— არა, ასეთი რამ არ ყოფილა, — გაუფრთხილდა თავს ბახ-ზელევსკი, თუმცა ამ სიტყვებს საყურადღებო მსჯელობაც დაუმატა:

— თუ ათი წლის განმავლობაში გიქადაგებენ, რომ სლავები დაბალ რასას მიეკუთვნებიან და რომ ებრაელები „არაადამიანები“ არიანო, მილიონობით ასეთი ხალხის გაჟლეტა ლოგიკურად იქცევა ბუნებრივ მოვლენად.

ბახ-ზელევსკიმ, რომელიც ესწრებოდა სხდომას, სადაც ჰიმლერი მოითხოვდა დაეხოცათ 30 მილიონი სლავი, თქვა: ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებდით აღმოსავლეთის ფრონტზე, ამ მითითების განხორციელება იყო. ეს როზენბერგის დამცველს დოქტორ ტომას არ მოეწონა: მისი „დაცვის ობიექტი“ ხომ საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებს განაგებდა და, პირველ რიგში, სწორედ იმას ედებოდა ბრალად ამ მითითების განხორციელება:

— 30 მილიონი სლავის დახოცვა ჰიმლერის აზრი იყო, თუ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პოლიტიკა?—ჰკითხა ბახ-ზელევსკის ტომამ, თითქოს მართლაც „პირადი აზრით“ შეიძლებოდა ამის განხორციელება.

— ახლა მივხვდი, რომ ეს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პოლიტიკა იყო, — თქვა მოწმემ, — მანამდე მეგონა, რომ მხოლოდ ებრაელების მოსპობა წარმოადგენდა ამ პოლიტიკის ნაწილს.

ეს კი მან ნამდვილად კარგად იცოდა, რადგან იმ სხდომასაც ესწრებოდა, რომელზედაც ჰიმლერმა განაცხადა:

— სრულიად აშკარად უნდა გითხრათ, რომ ებრაელობის როგორც რასის მოსპობა ჩვენი პარტიის პროგრამის ორგანული ნაწილია. ანტისემიტიზმი ზუსტად იგივეა, რაც სანდამუშავება. ტილებისაგან გათავისუფლება არ არის იდეოლოგიის საქმე, ეს სისუფთავის საკითხია...

რაკი ანტისემიტური პოლიტიკის გატარებას მხოლოდ ჰიმლერსა და მის უწყებებს აბრალებდნენ, ბრალმდებლებმა სხვებსაც შეახსენეს მათ მიერ გამოთქმული აზრები ამის თაობაზე. ჯერ რიბენტროპს წაუკითხეს მისივე სიტყვები:

— ანტისემიტიზმი წარმოადგენს გერმანიის რეკონსტრუქციის გამაერთიანებელ ფაქტორს... ებრაელთა საკითხი გადაწყვეტილად მაშინ ჩაითვლება, როცა არც ერთი ებრაელი არ დარჩება გერმანიის სასიცოცხლო ტერიტორიებზე.

მერე ყველაზე თავაწყვეტილ ანტისემიტს შტრაიხერს მისდგნენ. იგი წლების განმავლობაში რედაქტორობდა ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალურ გაზეთ „Stürmer"-ს („მოიერიშე").

შტრაიხერი ისეთი ბნელი პიროვნება იყო, რომ თვით ნაციზმის ხელმძღვანელებიც განზე დგებოდნენ, ამ კაცთან საერთო არაფერი გვაქვსო. სამაგიეროდ ჰიტლერს უყვარდა იგი. სხვებსაც ეუბნებოდა: რას იზამთ, მიიღეთ ის, როგორიც არისო. შტრაიხერის „მიღება" კი არც ისე ადვილი იყო. ბევრი აღშფოთებას გამოთქვამდა ჰიტლერის ამ ფავორიტის უხამსი საქციელის გამო. როცა იგი ნიურნბერგის ციხეში ინახულა ჯილბერტმა, პირველი, რაც თქვა, ეს იყო:

— ო, ექიმო, მე აქ უკვე რამდენჯერმე ვიჯექი.

— მაინც რამდენჯერ? — ჰკითხა ჯილბერტმა, ციხის ამ ხშირ სტუმარს.

შტრაიხერი დაფიქრდა და უპასუხა:

— კარგად არ მახსოვს, თორმეტჯერ, თუ ცამეტჯერ.

ეს კი უკანასკნელი პროცესი იყო მისთვის. იჯდა თავისთვის და ელოდა განაჩენს. ბრალდებულთაგან მას იშვიათად თუ ვინმე დაელაპარაკებოდა: ეშინოდათ, სახელი გაგვიტყდებაო. მანამ კი სულ ხელმძღვანელ პოსტზე ჰყავდათ. იგი წლების განმავლობაში მეთაურობდა ნიურნბერგის პარტიულ ორგანიზაციას და ცნობილი იყო თავისი სადისტური მოქმედებებით, ამორალიზმითა და ბილწსიტყვაობით. მოხსენების დროს ისეთ უხამს გამოთქმებს ხმარობდა, რომ გაზეთში მათი

დაბეჭდვა არ შეიძლებოდა. ფრჩხილებში კი ასე წერდნენ: აქ ბატონმა შტრაიხერმა რამდენიმე მაგარი, კოლორიტული სიტყვა იხმარაო.

შტრაიხერის სიტყვებს საქმეც მოჰყვებოდა: იგი ებრაელ ქალიშვილებს გააშიშვლებდა, ჭაობში შერეკავდა და ბალახს აძოვინებდა ან ქალაქის პარკში კბილებით აკრეჭინებდა გაზონებს. თეატრში გაშიშვლებულ მსახიობებს აიძულებდა შეესრულებინათ უხამსი სიმღერები, მერე კისერზე თოკს მოაბამდა და ქუჩებში დაატარებინებდა.

ერთხელ სპორტსასახლეში ვიღაც ზანგმა მოკრივემ გერმანელი დაამარცხა. ქალებმა ოვაცია გაუმართეს გამარჯვებულს. ამან შტრაიხერი გააცოფა. კარები ჩააკეტვინა, მამაკაცები გამოყარა, ქალები კი გაატიტვლებინა და მათრახით აცემინა.

საქვეყნოდ ცნობილია მისი ანტისემიტური პოლიტიკა: ჯერ მდიდარი ებრაელები გაძარცვა, მერე მთელი ქონება ჩამოართვა, ბოლოს კი დედაბუდიანად ამოწყვიტა ყველა „თავის სამფლობელოში“.

პროცესზე კი შტრაიხერმა საოცარი ტრიუკი გააკეთა და თავი სიონისტად გამოაცხადა (!): მე ებრაელების პალესტინაში გადასახლება მინდოდა და არა მათი გაწყვეტაო. ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა კი სწორედ აქ მიატანა ვიწროში და იმ ათასი ფუთი ბრალდებიდან სწორედ ის გრამი აიღო, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა შტრაიხერისათვის. დარბაზში გაისმა შტრაიხერის ნათქვამი:

— ანტისემიტიზმი მხოლოდ ევროპული პრობლემა არ არის. ებრაელთა საკითხი მსოფლიო მნიშვნელობის საკითხია. არა მარტო გერმანიას არ შეუძლია იგრძნოს თავი საფრთხის გარეშე, ვიდრე თუნდაც ერთი ებრაელი ცხოვრობს ევროპაში, არამედ ამ საკითხის გადაწყვეტა თვით ევროპაშიც არ შეიძლება, სანამ ისინი იცხოვრებენ დედამიწის რომელიმე კუთხეში...

შემდეგ საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომაც დადო თემიდას თასზე „ერთი მილიგრამი“ ბრალდებისა და შტრაი-

ხერს მთლად ჩაუშავა ისედაც ჩაღამებული გული. მან წაიკითხა ამ „ნაფიცი სიონისტის“ ნათქვაძი:

— ვიდრე უკანასკნელი ებრაელი არ ჩაძაღლდება დედამიწაზე, მზე ვერ ინათებს...

ის დღე იყო და ის. ამის შემდეგ შტრაიხერს თავის სიონისტობაზე ხმა არ გაუღია. სამაგიეროდ საშინელი მამხილებელი ციფრები წამოვიდა, სპეციალური რუკებიც აჩვენეს. სად რამდენი ებრაელობა გაჟლიტეს. ყველა ნერვიულობდა. „აკადემიკოსი“ ჰანს ფრანკი კი სულგანაბული იჯდა და ელოდა, მე თუ მახსენებენო... ახსენეს კი არა, მთელი დარბაზი აღაშფოთეს მისი სენტენციებით. იგი ბოდიშს იხდიდა ფიურერის წინაშე, რომ ერთი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა „ტილებისა და ებრაელების“ მთლიანად მოსპობა, მაგრამ ამის პირობა მისცა და რამდენიმე ხნის შემდეგ უპატაკა კიდეც:

— სიამაყის გრძნობით შემიძლია ვთქვა, რომ საგენერალგუბერნატორო უკვე გაწმენდილია ტილებისა და ებრაელებისაგანო!..

...მიუხედავად მტკიცების სიცხადისა, სამხედროები და სამოქალაქო პირები მაინც ჯიუტად ცდილობდნენ ყველაფერი ესესელებისთვის გადაებრალებინათ. ესესელები კი სრულიადაც არ აპირებდნენ თავიანთ ხარჯზე არმიის ღირსების დაცვას და აცხადებდნენ:

— ყველაფერ ამას განსაკუთრებით სუფთად იმიტომ ვაკეთებდით, რომ არმიის სარდლობა გვეხმარებოდაო.

შემდეგ ისიც გამოირკვა, რომ ეს არცთუ ისე „სუფთად“ კეთდებოდა. უკმაყოფილების ხმა აქა-იქ თვით გერმანელ ოფიცერთა შორისაც გაისმა. ძალიან იშვიათად, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც.

528-ე ლეგიონის მეთაურმა მაიორმა როსლერმა მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა მე-9 კორპუსის სარდლის მოადგილეს მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დახვრეტების შესახებ ქალაქ ჟიტომირში. იგი თვითონ დაესწრო „ამ საზიზღრობას“ და იმდენად შეძრწუნებული დარჩა, რომ, დღემდე გონს ვერ მოვსულვარო, სწერდა თავის უფროსს.

დახვრეტილთა ორმოში მან დაინახა თეთრწვერებიანი დაჭრილი მოხუცი, რომელიც ხელჯოხს ჩაბღაუჭებოდა და იხვეწებოდა, კიდევ მესროლეთო.

— მე ვუბრძანე პოლიციელს ბოლო მოეღო მისთვის,— წერს როსლერი, — რაზედაც მან ღიმილით მიპასუხა:

— მე უკვე შვიდი ტყვია მივარტყი მუცელში, აწი იგი თავისით უნდა ჩაძაღლდეს.

აღწერს რა ასეთ საშინელ სცენებს, როსლერი იგონებს, ჯარისკაცები რომ ადრეც ეუბნებოდნენ, მასობრივი დახვრეტები ყოველდღე ხდებაო.

— მე მონაწილეობას ვიღებდი პირველ მსოფლიო ომში, — ამთავრებს იგი თავის მოხსენებით ბარათს, — აგრეთვე საფრანგეთისა და რუსეთის კამპანიაში ამ ომის დროს და სრულიადაც არ ვარ დაავადებული ზედმეტი მგრძნობელობით. მე, როგორც მოხალისეთა რაზმის წევრს, 1919 წელს მომიხდა ვყოფილიყავი მრავალი არასასიამოვნო ამბის მოწმე, მაგრამ ამის მსგავსი რამ არასოდეს მინახავს...

...ეს კი მხოლოდ დასაწყისი იყო. შემდეგში ასეთმა მასობრივმა ხოცვა-ჟლეტამ სულმთლად კოშმარული ხასიათი ჰიიღო. ბელორუსიაში „ებრაელებს რომ მორჩნენ“, მერე სლავებს მისდგნენ და, როცა „საკონტროლო ციფრმა“ ოთხ მილიონნახევარს მიაღწია, თვით გენერალური კომისარიც კი შეძრწუნდა ამით. პროცესზე წაიკითხეს ამონაწერი მოხსენებითი ბარათიდან, რომელიც მან გაგზავნა ბერლინში:

— ასეთი ფართო მასშტაბის ოპერაციების პოლიტიკური ეფექტი მშვიდობიან მოსახლეობაზე საშინელია, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ ქალებისა და ბავშვების მრავალრიცხოვან დახვრეტებს.

ეს მოხსენებითი ბარათი გადასცეს საიმპერიო კომისარს ალფრედ როზენბერგს შემდეგი შენიშვნით:

— ის ფაქტი, რომ საჭიროა ებრაელებისადმი განსაკუთრებული მოპყრობა (ეს დახვრეტას ნიშნავს), გასაგებია და ამაზე კამათი საჭირო არ არის. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ხდება ისე, როგორც აღწერილი აქვს გენერალურ კომისარს. კატინი რა არის ამასთან შედარებით!..

როგორც უკვე ვთქვით, ასეთი ბარათები სხვა კომისარიატებისგანაც მოსდიოდათ როზენბერგს, კაიტელსა და ჰიმლერს, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ გამოუღია. პირიქით, ბარათების ნაპირებზე ჩნდებოდა მათი წარწერები: „ეს საჭიროა. როზენბერგი"; „რაკი იდეოლოგიური ბრძოლაა, ასეც უნდა მოხდეს. კაიტელი"; „მიზანშეწონილია. ჰიმლერი" და სხვ.

1942 წლის 16 დეკემბერს კაიტელმა საიდუმლო ბრძანებაც გამოსცა, რომელშიც ნათქვამია, რომ „ამ ბრძოლას არაფერი აქვს საერთო ჯარისკაცის რაინდულ მოქცევასთან ან ჟენევის კონვენციის წესებთან. ამიტომ ჯარს შეუძლია გამოიყენოს ყოველგვარი საშუალება, თვით ქალებისა და ბავშვების დახვრეტაც..."

ასეთ შემთხვევაში კაიტელი წინასწარ ათავისუფლებდა მსჯავრდებისაგან ყველას, ვინც რამე დანაშაულს ჩაიდენდა დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობის მიმართ. მან საბჭოთა კავშირთან ომის გეგმას — „ბარბაროსას" დაურთო სპეციალური ინსტრუქცია: „დამოკიდებულება დანაშაულობებისადმი, რასაც ჩაიდენენ სამხედრო პირები და დამხმარე პერსონალი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ".

ამ ინსტრუქციაში წერია:

— ძიების (დევნის) აღძვრა სამხედრო მოსამსახურეთა ან დამხმარე პერსონალის მიერ მტრის სამოქალაქო პირების მიმართ ჩადენილი მოქმედების გამო არ არის სავალდებულო, იმ შემთხვევაშიც (დააკვირდით!), როცა ეს მოქმედება წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს ან თუ ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებულობის გამო ძიება მაინც იქნება აღძრული, საქმის განხილვის დროს პროცესის ყოველ სტადიაზე აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ გერმანიის დამარცხება 1918 წელს და გერმანელი ხალხის ტანჯვის პერიოდი ამის შემდეგ, აგრეთვე ბრძოლა ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგ, რამაც ურიცხვი მსხვერპლი გამოიწვია, შედეგი იყო ბოლშევიკების გავლენისა, რაც არც ერთ გერმანელს არა აქვს დავიწყებული...

ამან ყოველგვარ უკანონობას გაუხსნა გზა და ისეთი ჯო-

ჯოხეთის ცეცხლი დაატრიალა ჰიტლერელების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, რომ შეძრწუნებული კაცობრიობა დღემდე ვერ გარკვეულა, როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო საყოველთაო განვითარებისა და ცივილიზაციის თანამედროვე პირობებში!..

....ამ ინსტრუქციას გერმანული პუნქტუალობით ასრულებდა ყველა.

ერთხელ რომელიღაც ქალაქში ერთბაშად, დიდიან-პატარიანად, ჩვიდმეტი ათასი კაცი დახვრიტეს. თვით დამსჯელი რაზმის წევრებიც შეძრწუნებული იყვნენ ამ საშინელი სანახაობით. ვიღაცამ გაბედა და უკმაყოფილება გამოთქვა. ამით გაგულისებულმა როზენბერგმა დაუყოვნებლივ შეკრიბა თავისი თანამშრომლები და განუცხადა:

— ჩვენ არ უნდა დავიწყოთ მანქვა-გრეხა, როცა გვესმის ამბავი ჩვიდმეტი ათასი კაცის დახვრეტისა. ისინიც ომის მსხვერპლნი არიან. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აქ შეკრებილნი შეტანილნი ვართ ბატონ რუზველტის მიერ შედგენილ დამნაშავეთა სიაში. მე მაქვს პატივი იმ სიაში ნომერი პირველი ვიყო. ჩვენ ყველანი, ასე ვთქვათ, თანამონაწილეებად ვიქეცით მსოფლიო ისტორიაში და სწორედ ამიტომაც უნდა ვიყოთ ერთად, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ საერთო იდეები. ყოველივე ამის გამოც სასაცილო იქნებოდა, რომ ვინმესთვის ჩვენი ჭუჭყიანი პერანგი გვეჩვენებინა და გვედავა მეთოდების შესახებ.

თუ რა „მეთოდებით“ ხდებოდა ეს მასობრივი „ეგზეკუციები“, თვალნათლივ იქნა ნაჩვენები პროცესზე. მაგრამ შემდეგ, პასუხისმგებლობის საკითხი რომ დადგა, ყველამ განზე გადგომის ტაქტიკა ირჩია. განსაკუთრებით—სამხედროებმა, რომელნიც ახლა გერმანელი ჯარისკაცის ღირსების დაცვაზე უფრო საკუთარი ტყავისა და მუნდირის დაცვაზე ფიქრობდნენ. უნდა ითქვას, რომ ფელდმარშალი კაიტელი ერთადერთი იყო თავის კოლეგებს შორის, რომელიც მას შემდეგ, რაც წარდგენილი მასალების ლოგიკით შებოჭილი აღმოჩნდებოდა, უკვე აღარ ცდილობდა ჯიუტად უარეყო ბრალდების უცილო-

ბელი ფაქტები. მართალია, ჯერ თავდაცვის ყველა ზომას ხმარობდა, მაგრამ როცა დაინახავდა, რომ ყოველივე ეს ამაო იყო, ჯარისკაცური პირდაპირობით აღიარებდა თავის დანაშაულს...

ადამიანის ფასი...

პროცესზე კაიტელს წინ დაუდვეს მის მიერვე შედგენილი საშინელი დოკუმენტი — 1941 წლის 16 სექტემბრის ბრძანება, რომელშიც წერია:

— ძირშივე რომ ჩახშობილ იქნეს უკმაყოფილება, საჭიროა პირველი შემთხვევისთანავე და დაუყოვნებლივ მიიღოთ უსასტიკესი ზომები...

და შემდეგ:

— ამასთანავე მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ ადამიანის სიცოცხლე იმ ქვეყნებში, რომელთაც ეხება, აბსოლუტურად არაფერი ღირს და რომ დამაშინებელი ღონისძიებანი შესაძლებელია გატარდეს მხოლოდ და მხოლოდ არაჩვეულებრივი სისასტიკით.

მერე ასეთი დიალოგი გაიმართა:

რ უ დ ე ნ კ ო: თქვენ გახსოვთ ეს დებულება? ძირითადი დებულება ბრძანებისა, რომ „ადამიანთა სიცოცხლე აბსოლუტურად არაფერი ღირს“? გახსოვთ ეს ფრაზა?

კ ა ი ტ ე ლ ი: დიახ!

რ უ დ ე ნ კ ო: თქვენ მოაწერეთ ხელი ამ ბრძანებას ასეთი დებულებით?

კ ა ი ტ ე ლ ი: დიახ... ეს სიტყვები არ არის ბრძანებაში, მაგრამ ფაქტია, რომ სამხრეთ აღმოსავლეთსა და, ნაწილობრივ, საბჭოთა რაიონებში ადამიანთა სიცოცხლე არ იყო ანგარიშში ჩაგდებული (!) იმ მოცულობით, როგორც საჭირო იყო...

რ უ დ ე ნ კ ო: თქვენ ამბობთ, რომ ასეთი სიტყვები არ არის ბრძანებაში?

კ ა ი ტ ე ლ ი: რამდენადაც ვიცი, იქ ასე წერია, რომ „ადამიანის სიცოცხლე ცოტა ღირს“.

რ უ დ ე ნ კ ო: მე ბოგაგონებთ: როცა თქვენ 1946 წლის

9 იანვარს დაგკითხათ გენერალმა ალექსანდროვმა, არსებითად ამ ფრაზის შესახებ, თქვენ უპასუხეთ: „ეს ფრაზა, უნდა ვაღიარო, რომ ნამდვილია, მაგრამ ის ციფრები პირადად ფიურერის მიერაა ჩაწერილი“. ახლა გაგონდებათ? ხომ ასე სთქვით?

კ ა ი ტ ე ლ ი: ჭეშმარიტად ასეა! გუშინ მე არ წამიკითხავს ბრძანების ყველა პარაგრაფი. მე ვაღიარე მხოლოდ, რომ ის ნამდვილად არსებობს.

რ უ დ ე ნ კ ო: ბატონო თავმჯდომარევ! მე ახლა წარვუდგენ ამ ბრძანებას ბრალდებულს...

ბრალდებულო კაიტელ, გაეცანით?

კ ა ი ტ ე ლ ი: დიახ, ტექსტი გერმანულად ასეთია: „სათანადო ქვეყნებში ადამიანის სიცოცხლე ხშირად არაფერი ღირს“.

რ უ დ ე ნ კ ო: და შემდეგ...

კ ა ი ტ ე ლ ი: დიახ, სწორედ ასეა. ახლავე! „...და დამაშინებელი ზემოქმედება შეიძლება მიღწეულ იქნეს არაჩვეულებრივი სისასტიკით, როგორც სასყიდელი გერმანელი ჯარისკაცების სიცოცხლისა“.

რ უ დ ე ნ კ ო: გასაგებია. ამავე ბრძანების „ბ“ პარაგრაფში ნათქვამია: „სასყიდლად გერმანელი ჯარისკაცის სიცოცხლისა, ასეთი შემთხვევების შედეგი, როგორც წესი, უნდა იყოს 50—100 კომუნისტის სიკვდილით დასჯა. დასჯის ფორმამ უნდა გაზარდოს დამაშინებელი ზეგავლენის ხარისხი“. სწორია?

კ ა ი ტ ე ლ ი: გერმანული ტექსტი ცოტა სხვაგვარია: „ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, საერთოდ, დადგენილ იქნეს 50—100 კაცის სიკვდილით დასჯა“. ასეთია გერმანული ტექსტი.

რ უ დ ე ნ კ ო: ერთ გერმანელ ჯარისკაცზე?

კ ა ი ტ ე ლ ი: ეს მე ვიცი და აქაც ვნახე.

რ უ დ ე ნ კ ო: მე გეკითხებით: ხელი მოაწერეთ რა ამ ბრძანებას, თქვენ ამით გამოსთქვით თქვენი აზრი ამ სასტიკი ღონისძიებების თაობაზე, ე. ი. დაეთანხმეთ ჰიტლერს?

კ ა ი ტ ე ლ ი: მე ხელი მოვაწერე ამ ბრძანებას, მაგრამ

ციფრები, რაც აღნიშნულია იქ, ეკუთვნის პირადად ჰიტლერს, სწორედ რომ პირადად ჰიტლერს.

რ უ დ ე ნ კ ო: თქვენ როგორი ციფრები წარუდგინეთ ჰიტლერს?

კ ა ი ტ ე ლ ი: 5—10 კაცი. ეს ის ციფრებია, რაც მე ჩავწერე ორიგინალში.

რ უ დ ე ნ კ ო: მაშასადამე, თქვენსა და ჰიტლერის წინადადებებს შორის განსხვავება ციფრებში იყო და არა არსებითად, ხომ ასეა?..

...შემდეგ კაიტელს გადასცეს 1941 წლის 16 დეკემბრის ბრძანება, რომელშიც წერია:

— ამის გამო ჯარებს უფლება ეძლევათ და ევალებათ გამოიყენონ ამ ბრძოლაში ნებისმიერი საშუალება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, თვით ქალებისა და ბავშვების მიმართაც, თუკი ეს ხელს შეუწყობს საქმეს.

კაიტელი ბევრს ეცადა აეცილებინა ეს მძიმე ბრალდება, მაგრამ, როგორც ამბობენ, ფაქტები ჯიუტია, და ამას ვერც ფელდმარშლის მჭევრმეტყველებამ გაუძლო. უტყუარი დოკუმენტები ისეთი საშინელი სიცხადით ამხილებდნენ მის დანაშაულს, რომ ბრალდებულის „სიჯიუტე“ საქმეს ვერ შველოდა.

აი, ამისი მაგალითიც.

კაიტელს უჩვენეს ბრძანების პროექტი, რომელზედაც მისი ხელითაა მიწერილი:

— მეთაურებს, რომელთაც აქვთ სამხედრო წოდება არანაკლებ დივიზიის უფროსისა, შეუძლიათ გასცენ ბრძანება, რომ ტყვედ არავინ იქნეს აყვანილი, ე. ი. ტყვეები და სამოქალაქო მოსახლეობა ბრძოლების რაიონშივე შეიძლება დახვრეტილ იქნენ. უმაღლესი სარდლობის უფროსი კაიტელი. საკუთარი ხელით.

გასაგებია ამ პატარა მინაწერის ძალა: უამრავი დახოცილი სამხედრო ტყვე და სამოქალაქო მოსახლეობა!

მერე, როდესაც სამხედრო ტყვეების მასობრივმა ჟლეტამ მართლაც შემაძრწუნებელი ხასიათი მიიღო, კაიტელს შეახსე-

ნეს, რომ ასეთ რამეს კრძალავს ჟენევის კონვენცია. ამაზე ფელდმარშალს გული მოუვიდა და იყვირა: „მიმიფურთხებია მაგ კონვენციისთვისო“.

გარდა ამისა, არმიის დაზვერვის უფროსმა ადმირალმა კანარისმა 1941 წლის 15 სექტემბერს კაიტელს გადასცა სპეციალური მოხსენებითი ბარათი, რომელიც მიუთითებდა საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ დაშვებული თვითნებობისა და უკანონობის მასობრივ შემთხვევებზე და მოითხოვდა ასეთი ფაქტების აღკვეთას.

— მსოფლიო ოდესმე აიძულებს არმიას, რომლის თვალწინ ხდება ეს ამბები, პასუხი აგოს ამაზე, — უთხრა კანარისმა კაიტელს.

საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ ამის შესახებ ჰკითხა ფელდმარშალს:

— თქვენ ეთანხმებოდით თუ არა იმ მოსაზრებებს, რაც წარმოდგენილი იყო კანარისის წერილში?

კაიტელმა უპასუხა, რომ მან ამ წერილის შინაარსი დაუყოვნებლივ აცნობა ჰიტლერს და სთხოვა ზომების მიღება.

— მე, საერთოდ, ვიზიარებდი კანარისის შეხედულებებს, — თქვა შემდეგ კაიტელმა.

—— იზიარებდით? კეთილი, — მიუგო საბჭოთა ბრალმდებელმა და წინ დაუდო კანარისის წერილის დედანი, რომელსაც თვით კაიტელის ასეთი რეზოლუცია ადევს:

— ეს მოქმედებანი ეთანხმება ჯარისკაცის წარმოდგენას ომის რაინდული წარმოების შესახებ. აქ საქმე ეხება მთელი მსოფლმხედველობის მოსპობას, ამიტომ მე ვეთანხმები ამ ღონისძიებებს და ხელს ვაფარებ მათ. კაიტელი.

ხოლო აბზაცს, სადაც კანარისი წერს, რომ პოლიციის დამსჯელი ორგანოები მასობრივად ხოცავენ სამხედრო ტყვეებს, კაიტელის ხელით მიწერილი აქვს:

— მიზანშეწონილია.

შემდეგ ასეთი მოკლე დიალოგი იმართება:

კ ა ი ტ ე ლ ი: დიახ, ეს მე დავწერე, როგორც გადაწყვეტილება, მას შემდეგ, რაც მოვახსენე ფიურერს... ეს მე დავწერე...

რ უ დ ე ნ კ ო: იქ არ წერია, რომ ფიურერმა თქვა ასე, იქ წერია, მე ვაფარებ ხელსო.

კ ა ი ტ ე ლ ი: მე ამას აქ ფიცით ვაღიარებ და ადრეც გავაკეთე მსგავსი განცხადება...

რ უ დ ე ნ კ ო: ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით მე თქვენ გეკითხებით, ბრალდებულო კაიტელ, თქვენ, ვინც ფელდმარშლად იწოდებოდით და აქ, ამ ტრიბუნალის წინაშე, თავი ჯარისკაცად მოგქონდათ! ამ სისხლიანი რეზოლუციით 1941 წლის სექტემბერში, დაადასტურეთ და სანქცია მიეცით თუ არა იმ უიარაღო ჯარისკაცების მკვლელობაზე, რომლებიც ტყვედ ჩაგივარდათ? ასეა თუ არა?

კ ა ი ტ ე ლ ი: მე ხელი მოვაწერე ორივე ბრძანებას და პასუხს ვაგებ, როგორც თანამდებობის პირი. მე ვიღებ ჩემს თავზე ამ პასუხისმგებლობას...

ღამე და ნისლი...

კაიტელის ამ აღიარებამ გერინგი აღაშფოთა. არ ვიცი როგორ, მაგრამ ჩაწერილი კია მისი საუბარი კაიტელთან. გერინგი ასეთ რჩევას აძლევს თავის კოლეგას:

— ბრალმდებელთა შეკითხვებს ასე პირდაპირი პასუხი არ უნდა გასცეთ. უნდა სთქვათ, რომ ნამდვილი ჯარისკაცი იყავით და უყოყმანოდ ასრულებდით ბრძანებებს. დანაშაულზე რომ შეგეკითხებიან, ნუ უპასუხებთ. შეკითხვა არაფერს არ ნიშნავს. მთავარია პასუხი. საშინელ კითხვებს რომ მოგცემენ, საკითხს გარშემო უარეთ და პირდაპირ პასუხს ნუ გასცემთ.

— კი მაგრამ მე ხომ შავს ვერ გავათეთრებ?! — შესჩივლა დაბნეულმა კაიტელმა.

—ასეთ დროს სულ უნდა აუაროთ გვერდი საკითხს! — ურჩია გერინგმა.

კაიტელმა ყურად არ იღო გერინგის რჩევა და დანაშაულის შემსუბუქების სხვა ხერხი ირჩია. მან წერილი მისწერა ამერიკელ პოლკოვნიკ ეიმენს, მე როგორც ჯარისკაცი ბრძანებებს ვასრულებდი მაშინაც, როცა ეს სწორად არ მიმაჩ-

ნდაო. თან ისიც დაუმატა, ნაციონალ-სოციალისტურ პოლიტიკასთან საერთო არაფერი მქონდაო.

ეს წერილი რომ ეიმენმა პროცესზე წაიკითხა, გერინგი სულ გაგიჟდა:

— ეს პატარა კაცუნა, — იყვირა მან, — პაწია თეთრი კრავი! პარტიასთან საერთო არაფერი მქონდაო... უჰ, მე შენი!..

და ისე შეიგინა, რომ ყველამ ზურგი შეაქცია.

გერინგი კიდევ ერთხანს ბობოქრობდა, გულის ვნებას იქარვებდა, თორემ ისე რა აზრი ჰქონდა ამას...

...მერე ისევ დოკუმენტების მთელი ნიაღვარი წამოვიდა. კაიტელს უჩვენეს მისივე ბრძანება იუგოსლავიის, როგორც სახელმწიფოს, მთლიანად მოსპობის შესახებ.

— ჰიტლერმა მიბრძანა და მეც ამის შემდეგ მოვაწერე ხელი,—თქვა მან. შემდეგ იმით „იმართლა“ თავი, რომ ასეთ რეზოლუციებსა და ბრძანებებს „წუთიერი აღგზნების“ დროს ვწერდიო. ამან დარბაზში სიცილი გამოიწვია.

ამის შემდეგ გამოაქვეყნეს კაიტელის ბრძანებები ფრანგი მძევლების დახვრეტის შესახებ. როცა კითხულობდნენ მის დირექტივას არმიის მოქმედების კოორდინაციის შესახებ ესესის ნაწილებთან და გესტაპოსთან, კალტენბრუნერს ეცინებოდა. აქედან როგორღაც არ გამომდინარეობდა, რომ „ყველაფერი იმ ესესელი ღორების საქმეა“.

რამდენიმე ხნის შემდეგ ახალი საშინელი დოკუმენტი წაიკითხეს—ისევ კაიტელის ბრძანება წინააღმდეგობის ფრონტის მებრძოლთა ოჯახის წევრების დახვრეტის შესახებ. მართალია, ეს წინადადება გერმანიის ნაცვალმა ნორვეგიაში ტერბოვენმა წამოაყენა, მაგრამ მან სხვადასხვა დამსჯელი ღონისძიების ჩამოთვლის შემდეგ გამოთქვა აზრი, რომ, მისი ფიქრით. უმჯობესია დახვრეტა. ამ ადგილას კაიტელმა მიაწერა: „დიახ, უმჯობესია. კაიტელი“.

შედეგი თავისთავად ცხადია...

...ყველა ასეთი დოკუმენტის ჩამოთვლა შეუძლებელია. არცაა საჭირო. კაიტელმაც შეწყვიტა მათი უარყოფა და აღიარა ყველაფერი. სხვა ბრალდებულები გესლიანად უყურებ-

ლნენ, როგორ ჩამოხსნეს ბრალმდებლებმა მათთვისაც არცთუ ისე საყვარელ ფელდმარშალს ისედაც გამქვირვალე ნიღაბი...

ერთხანს იოდლიც კი, რომელიც ადრე სულ თვალებში შეჰყურებდა კაიტელს, გადაუდგა ყოფილ შეფს.

პროცესის კულუარებში ასეთ ამბებსაც ყვებოდნენ: ადრე, როგორც წესი, საპატიმროს სასადილოში სამხედროები —კაიტელი, იოდლი, დენიცი და რედერი ერთ მაგიდასთან სხდებოდნენ, ამიტომ ამ მაგიდას ხუმრობით „სარდლობის მაგიდას" უწოდებდნენო. იმ დღეს კი, როცა კაიტელი ამხილეს საშინელ დანაშაულობებში, „სარდლობის მაგიდას" კაიტელის მეტი არავინ გაჰკარებია, იჯდა ფელდმარშალი და მარტოდ მარტო სადილობდაო. ამის გამო ექიმმა ჯილბერტმა ჰკითხა თურმე იოდლს, დღეს რატომ „სარდლობის მაგიდას" არ მოუჯექითო.

— წაქცეულს არ სცემენ, — მიუგო ამაზე იოდლმა...

...კაიტელი საბოლოოდ განაიარაღა ამ ამბებმა. მისი მძიმე დანაშაული ყველასათვის აშკარა გახდა. თვითონ მისთვისაც. ამიტომ დანაშაულის გამართლებიდან ახსნაზე გადავიდა. კანტიც ახსენა და ვითომ დაიმოწმა, ბრძანებისადმი უყოყმანო მორჩილება გერმანელი ხალხის ეროვნული თვისებაოო.

— გერმანელისათვის მთავარია მოვალეობის შეგრძნება და ჩემი ტრაგედიაც სწორედ ისაა, რომ უყოყმანოდ ვასრულებდი ყველა ბრძანებას, როგორც ადოლფ ჰიტლერის ერთგული მიმდევარი და მტკიცე ნაციონალ-სოციალისტი,—თქვა მან.

კაიტელი ბოლომდე დარჩა ასეთი, რამაც კიდევ უფრო გაუსვა ხაზი მის ტრაგიკულ მდგომარეობას. პროცესზე მან განაცხადა:

— სულის სიღრმეში მე ყოველთვის ადოლფ ჰიტლერის ერთგული მიმდევარი ვიყავი და ჩემი პოლიტიკური შეხედულებებიც ნაციონალ-სოციალისტური იყო... მას შემდეგ, რაც მან ნდობა გამომიცხადა, და პირადმა კონტაქტმა, რაც მე მასთან მქონდა, ხელი შემიწყო გავმხდარიყავი ნაციონალ-სოციალისტი. მე დღემდე ვრჩები ადოლფ ჰიტლერის ერთგულ

შიმდევრად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიზიარებ პარტიის პროგრამისა და პოლიტიკის ყველა პუნქტს.

იგი აღარ იჭერდა მომნანიებლის პოზას. პირიქით. როცა მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა და უკვე იცოდა, რაც მოელოდა, ისევ დაადასტურა თავისი ერთგულება ჰიტლერისა და მისი პარტიისადმი. საბოლოო სიტყვაში გაიხსენა კიდეც დამცველის მიერ მიცემული კითხვა:

— გამარჯვების შემთხვევაში იტყოდით თუ არა უარს მონაწილეობა მიგეღოთ დაფნის გვირგვინების განაწილებაში?

— არა, — უპასუხა ამაზე კაიტელმა, — მე მხოლოდ ვიამაყებდი ამით...

რაც ჭკუას აკლდება, სიამაყეს ემატებაო, — ამბობენ ჩვენში.

...საამაყო კი კაიტელს დიდი არაფერი ჰქონდა. ვიდრე აღმოსავლეთის ფრონტზე ჩადენილ დანაშაულობებს აღიარებდა, როგორც ჩანს, მაინცდამაინც სინდისის ქენჯნას არ განიცდიდა, რადგან ეს მართლაც იდეოლოგიურ ბრძოლად მიაჩნდა და არა ჩვეულებრივ ომად. თუმცაღა აქ ყველაფერს ისე არ აკეთებდა, რომ კანონისა და ღირსების წინაშე ამის გამართლება შეიძლებოდეს, მაგრამ თავისი სისასტიკით „ვილაცეების“ გულს მაინც იგებდა.

ფელდმარშალ ბეკს უთქვამს: „ცუდი ის კი არ არის, რასაც ვაკეთებთ, არამედ—როგორ ვაკეთებთო“.

მიზანი არც კაიტელს ეეჭვებოდა, საშუალებას კი არავითარს არ ერიდებოდა, რადგან ჰიტლერისაგან სულ ის ესმოდა, „გამარჯვებულს არ ეკითხებიან, მართალი იყავი თუ არაო“. ახლა კი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ აღმოსავლეთში ჩადენილი ბოროტებით დასავლეთიც გააღიზიანა. დაიბნა კიდეც ფორმულირებებში, ვერ გაარკვია, კარგ საქმეს ემსახურებოდა ცუდად, თუ ცუდ საქმეს—კარგად. თუმცა არც ერთი ამართლებდა და არც მეორე. გარდა ამისა, ამერიკელებმა, ინგლისელებმა, ხოლო შემდეგ ფრანგებმაც, თავის მხრივ, ახალი მძიმე ბრალდება წაუყენეს: მოკავშირეთა მფრინავების დახვრეტა და ფრანგი გენერლების ვაიგანისა და ჟიროს მოკვლის ცდა.

გერინგმა, როგორც იტყვიან, მგლის ყური გამოიბა, ვითომ ეს მე არ მეხებაო, მაგრამ თვითონ ხომ იცოდა, წილი რომ ედო ამ ჭუჭყიან საქმეში. კაიტელმა კი თავი ვერაფრით იმართლა: ვერც „ბრძანებით ზევიდან“, ვერც „ომის პერიოდის პირობებით“. მაქსუელ-ფაიფმა პროცესზე პირდაპირ დაუსვა მას კითხვა:

— შეგიძლიათ თუ არა დაუსახელოთ ტრიბუნალს სამი ყველაზე საშინელი მოქმედება, რომლებიც ჩაიდინეთ თქვენივე სინდისის კარნახის წინააღმდეგ? რომელია ეს სამი უსაშინლესი დანაშაული?

ძნელი იყო კაიტელისათვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ რაკი ბრალმდებელმა „სინდისის კარნახის გარეშეო“ უთხრა, ალბათ ეგონა, ეს ჩემს ღირსებას არ შეეხებაო, და თქვა:

— პ ი რ ვ ე ლ ი. ომის წარმოების საშუალებები, რასაც აღმოსავლეთში მივმართავდით და რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო წესებს.

მ ე ო რ ე. განკარგულება 50 ინგლისელი ოფიცრის დახვრეტის შესახებ, რაც მძიმე ცოდვად აწევს ჩემს სინდისს.

მ ე ს ა მ ე... და ყველაზე უარესი: კანონი „ღამე და ნისლი“.

თვით კაიტელის აღიარებით, მშვიდობიანი მოსახლეობის დეპორტაცია „ღამე და ნისლის“ მიხედვით უარესი იყო, ვიდრე მასიური დახვრეტები.

მართლაც! კაცი მიდის სამუშაოზე და უცებ გაქრება სადღაც, ასევე — ბავშვიც, ახალგაზრდაც, ქალიშვილი თუ ჭაბუკი, ვერავინ გაიგებს ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ, ყველაფერი საიდუმლოდ ინახება. მშობლები და ნათესავები ეძებენ, თავს კედელს ახლიან, მაგრამ არავითარი ცნობა...

მხოლოდ ღამე და ნისლი...

კაიტელს ჰკითხეს:

— სინამდვილეში ეს „ღამე და ნისლი“ საკონცენტრაციო ბანაკებსა და გაზკამერებს ნიშნავდა, ხომ ასეა? იმის მიუხედავად, იცოდით თუ არა თქვენ ამის შესახებ.

ისევ მისცა კაიტელის სინდისს შეღავათი ბრალმდებელმა.

—არ ვიცი. — გადგა გვერდზე კაიტელი და, ისევ უსიამოვნო მამხილებელ დოკუმენტს რომ არ წაწყდომოდა, პასუხი ასეთნაირად დაგრიხა:

— მე ვუშვებ შესაძლებლობას, რომ ეს ასე იყო, ყოველ შემთხვევაში, მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ასე არ იყო...

მერე ისე დაიბნა, რომ საღამოთი ექიმ ჯილბერტს უთხრა:

— ჟიროს საქმე! ცხადია, მე ვიცოდი, რომ ეს როდისმე ამოტივტივდებოდა, მაგრამ რა შემიძლია ამაზე ვთქვა? მე არ მეეჭვება, ექიმო, რომ ეს საქმე თქვენშიც, როგორც კეთილშობილ ადამიანსა და ოფიცერში, დიდ გულისწყრომას გამოიწვევს. დიახ, ეს საქმე ძლიერ ვნებს ჩემს ღირსებას... მაგრამ არც ვიცი, როგორ გავები ამ საქმეში!

...ამის შემდეგ კაიტელის სიმტკიცეზე ხელჩაქნეულმა ვერინგმაც ზურგი შეაქცია „იმ წირპლიანს“ და მასთან ლაპარაკს ისევე ერიდებოდა, როგორც კალტენბრუნერთან, რომელიც დაგეშილი ნადირივით უთვალთვალებდა თავის კოლეგებს.

შექსპირის მარიტა ასე წყევლის გლოსტერს:

— სიკვდილის წინათ ბევრად ადრე მოგესპოს დღენი!..

კაიტელის სულიც უფრო ადრე მოკვდა, ვიდრე სხეული. როცა მის მიერ ჩადენილ ბოროტებათა საშინელი სურათი გადაიშალა ტრიბუნალის წინაშე და „ღირსეული ოფიცრის“ ნიღაბიც ჩამოეხსნა, ის მიხვდა, რომ აქ ტაბიკების მტვრევა აღარ გამოადგებოდა, და თავის დამცველს უთხრა:

— თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მე გაგიგებთ, თუ ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩემ შესახებ მოისმინეთ, უარს იტყვით ასეთი შერცხვენილი ადამიანის დაცვაზე. მე მრცხვენია თქვენი...

კაიტელს უკვე აღარ შეეძლო თვალი გაესწორებინა ვინმესთვის. მაშინაც კი, როცა სიკვდილმისჯილს უთხრეს, შეგიძლიათ ცოლს შეხვდეთო, მან უარი თქვა, „არა, მე ვერ წარვდგები მის წინაშეო“. ისე კი ბოლომდე იფიცებოდა, იმ საშინელ ბრძანებებს ჰიტლერისადმი ერთგულება მაწერინებდა, თვითონ კი შინაგანად ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ამგვარი სისასტიკისო.

ამით ის შეწყალებას ითხოვდა როგორც ღვთისაგან, ისე ადამიანებისაგან...

მაგრამ „არა შეიწყალნეს, რამეთუ არა ძალი მაფიცართა, არამედ შემცოდებელთა სჯა შემოვალს მარადის გარდასლვასა ზედა უსამართლოთა...“

ახლა რომ ამაზე ვფიქრობ, რატომღაც სულ სხვა ამბავი მაგონდება...

...რუსთაველის სახელობის თეატრში სპექტაკლი „ოიდიპოს მეფე“ მიდიოდა. მეფის როლს მსახიობი სერვო ზაქარიაძე ასრულებდა. დიდხანს გაგრძელდა ეჭვისა და გამოცნობის სცენები... მერე საშინელი დამამტკიცებელი ფაქტი დაიდო თემიდას სასწორზე და... ოიდიპოსი მიხვდა, თუ რა შემზარავი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი...

ტანტალიდების ცოდვის მთელი სიმძიმე დააწვა ერთბაშად მის ახოვან მხრებს, როცა იგი სასახლის კიბეებზე ჩამოდიოდა... ზევიდან ქვევით... და მე ვხედავდი, ის საშინელი ცოდვა როგორ იქცეოდა წარმოუდგენელი ძალის ფიზიკურ სიმძიმედ...

მსახიობი ჯერ მხრებში მოიხარა... თავი სადღაც კისერში ჩაუძვრა... წელში გაიდრიკა... მუხლები მოეკეცა... და თებაიდელთა ის ბრგე მეფე ოიდიპოსი მოჭრილ მუხასავით დაენარცხა ძირს.... და დაგორდა კიბის საფეხურებზე... ქვევით... სულ ქვევით... უფსკრულისაკენ...

კაიტელის მაგალითი გვიჩვენებს, რომ იმ ათასი ფუთი ბრალდების სიმძიმე ასევე იქცეოდა ფიზიკურ ძალად და წელში ტეხდა მართლმსაჯულების წინაშე წარმდგარ მთავარ სამხედრო დამნაშავეებს...

...ნიურნბერგის ციხეში საღამოობით რატომღაც ორღანოს უკრავდნენ... მაგრამ არა „სიკვდილის ტანგოს“, არამედ ძილისპირულს.

კაიტელის უკანასკნელი თხოვნა იყო:

— გადაეცით, რომ ძილისპირულს ნუღარ დაუკრავენ, ეს ჩემში ცუდ განცდებს იწვევს!

კაიტელის ეს უკანასკნელი თხოვნა შესრულებულ იქნა.

ორღანო არც მაშინ უკრავდა, როცა იგი თავის უკანასკნელ ნაბიჯებს ადგამდა, „ღამისა და ნისლის“ სამეფოში მიმავალი...

კანონიერი უსამართლობა...

ფელდმარშალ კაიტელის ბედზე აქ იმიტომ შევჩერდი ასე დაწვრილებით, რომ ეს ყველა მთავარ სამხედრო დამნაშავეს ეხება, სულერთია, სამოქალაქო პირია იგი, თუ შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი. სამხედრო ტყვეებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ამგვარი შეუბრალებელი ჟლეტის მაგალითებიც საბრალმდებლო აქტში ფორმულირებული „ადამიანურობის წინააღმდეგ შეთქმულების“ საილუსტრაციოდ მოვიტანეთ...

დამეთანხმებით, ეს მართლაც ისეთი შემაძრწუნებელი მაგალითებია, რომ საერთოდ უარყოფს ადამიანურობის ყოველგვარ ცნებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა გითხრათ, რომ ის მაინც არ არის მთავარი, არც გადამწყვეტი ან სრულიად გაუგონარი რამ... ისტორიას ბევრი შავბნელი დღე ახსოვს: ჰუნების, მონღოლებისა თუ ოსმანების შემოსევები ნგრევა და ხოცვა-ჟლეტა განურჩევლად დიდ-პატარასი... თმით ცხენის ძუაზე გამობმული ქალები და კალოზე გალეწილი ბავშვები... შორს რომ არ წავიდეთ, განა ქართველებს ცოტა გვაქვს ამ მხრივ მოსაგონარი?! თუნდაც თემურ ლენგის შემოსევები, სპარსთა თუ თურქთა თარეში და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რა!..

ამიტომ, როცა ჰიტლერელების ველური სისასტიკის შესახებ ვლაპარაკობ, ანგარიშს ვუწევ შესაძლებელ კითხვას: ხომ არ შეიძლება კაცობრიობის სხვა პერიოდებიდან ამგვარი ფაქტების ამოკრება, ერთმანეთთან მიჯრა, და ასეთივე საშინელი შთაბეჭდილებების შექმნა? გეტყვით პირდაპირ: შეიძლება! თუ, რა თქმა უნდა, წინასწარ გამოვრიცხავთ „არტისტული სისასტიკის“, „სიკვდილის ეკონომიკისა“ თუ „ბოროტების ესთეტიკის“ სრულიად უპრეცედენტო ფაქტებს.

ნიურნბერგის ტრიბუნალის ერთ-ერთ განაჩენში წერია:

— სამწუხაროდ, ჯერ კიდევ კაენის დროიდან მოყოლებული, ადამიანი კლავდა ადამიანს, ძმა—ძმას. ბოროტძოქმედნი და არამზადები ყოველთვის პოულობდნენ საამისო მიზეზს. ისინი კლავდნენ ძმას, რათა ხელთ ეგდოთ მისი სიმდიდრე, ცოლი ან ტახტი; კლავდნენ ეჭვიანობის, შურისძიების, ვნებათაღელვის, გარყვნილებისა თუ კანიბალური ჟინის გამო. ასე იქცეოდნენ გვირგვინოსანი მეფეები, მონათმფლობელები, გიჟები და ყაჩაღები. მაგრამ მხოლოდ XX საუკუნეს ხვდა წილად ეულიტათ ადამიანები ისე უჩვეულოდ, რომ ამის გამოსახატავად საჭირო გახდა ახალი ტერმინის, გენოციდის, გამოგონება.

ოსმანები რომ აღმოსავლეთ ევროპაში შეიჭრნენ, სულ ცეცხლითა და მახვილით გადაბუგეს იქაურობა... ხელფეხშეკრულ ტუსაღებს ისინი სარზე სვამდნენ ან კიდევ ორი ალვისხის წვეროებს გადაზნექდნენ ერთმანეთისაკენ, ერთ წვეროზე ერთი ფეხით მიაბამდნენ მსხვერპლს, მეორეზე — მეორეთი, მერე ხელს გაუშვებდნენ და ასე გაგლეჯდნენ შუაში.

ადამიანურ უფლებათა ხელყოფისა და კანონად ქცეული უსამართლობის პარადოქსულ ამბებსაც ბევრს ვნახავთ ისტორიაში. თუნდაც იმავე პერიოდის ე. წ. „თუქჩი ბეშის“ კანონი“ ავიღოთ, თურქებმა რომ შემოიღეს ბულგარეთში. ამ კანონის მიხედვით, როცა თურქი ბულგარელის ოჯახში შევიდოდა, მასპინძელი ვალდებული იყო სასმელ-საჭმელად მიეცა მისთვის, რასაც კი იგი მოითხოვდა ან რისი შესაძლებლობაც იყო. მერე ჯარიმაც უნდა გადაეხადათ იმ ოსმან-აღასათვის, აქაოდა... თქვენი საჭმელების ჭამაში კბილები გამიცვდაო.

ეს კიდევ არაფერი! ოჯახში თუ მოსაწონი დიასახლისი ან ქალიშვილი იყო, ისიც უნდა „მიერთმიათ“ სტუმრისათვის და „გაწეული შრომის“ ქირაც გადაეხადათ...

ეს „კანონიერი უხამსობაც“ ისეთივე შინაგანი იუმორის შემცველია, როგორც ჰიტლერელების „საგმირო საქმეების“ ჩვენ მიერ უკვე მოტანილი ფაქტები...

მე შემეძლო ბევრი უფრო საშინელი ამბავიც გამეხსენე-

ბინა, ძველიცა და ახალიც, მაგრამ ის, რაც ჩვენ თვალწინ მოხდა ამ ომის დროს, თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში, მაინც სხვაა. ჯერ ერთი, იქნებ უხერხულიც იყოს, გერმანელების — ამ უაღრესად განათლებული და მაღალი კულტურის მქონე ევროპელი ხალხის მიერ ჩადენილი ბოროტების შედარება მონღოლებისა და ოსმანების ბნელ საქმეებთან. მეორეც, მაშინ ყოველივე ეს დამპყრობლური თარეშის, დასჯისა და შიშველი სისასტიკის გამოხატულება იყო, ახლა კი — წინასწარ მოფიქრებული და სახელმწიფო პოლიტიკის შინაარსად ქცეული დანაშაული, „შეთქმულება მსოფლიოსა და მშვიდობის წინააღმდეგ“, როგორც ეს ფორმულირებულია ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებაში. ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული პირველი სამი ზოგადი პარაგრაფი ბრალდებისა — „შეთქმულება მშვიდობის წინააღმდეგ“, „სამხედრო დანაშაულობანი“ და „დანაშაულობანი ადამიანურობის მიმართ“ — აქ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და სახელმწიფოებრივ-პარტიული იდეოლოგიის შინაარსად გამოცხადებული.

ეს კი სულ სხვაა. მართალია, ასე განყენებულად ვამბობ, სულ სხვაა-მეთქი, მაგრამ, რასაც ამას იქით მოგიყვებით, იმედი მაქვს, სრულიად აშკარად დაადასტურებს ამ განსხვავებას. საქმე აქ, უწინარეს ყოვლისა, ჩადენილ დანაშაულობათა მიზნებს ეხება. მას შემდეგ, რაც იმ ათასი ფუთი ბრალდების მცირე ნაწილზე მაინც ვილაპარაკე და ვცადე ასე თუ ისე პასუხი გამეცა კითხვაზე—„რას სჩადიოდნენ?“, უნდა აქედან გამომდინარე კითხვასაც შევეხო: „რატომ სჩადიოდნენ ამას?“ თუ ასე მოვიქცევით, მე მგონი, უფრო ნათლად გამოჩნდება მომხდარი ამბების უპრეცედენტო ხასიათი...

...მართლაც! რატომ სჩადიოდნენ ამას გერმანელები? ეს კითხვა დღესაც ბევრს აწუხებს, რადგან ნორმალური ადამიანის გონება ასე ადვილად ვერ აღიქვამს ყოველივე ამას, როგორც შესაძლებელ ფაქტს. ამ თხრობის სიძნელეც, მოგეხსე-

ნებათ, ეს არის. მაგრამ სიძნელეს მაინც დაძლევა უნდა, თორემ გაუგებრობა ისევ გაუგებრობად დარჩება და მსმენელები, ვიცი, მხოლოდ მხრებს აიჩეჩთ ამაზე. მე კი მგონია, უბრალო კითხვა — „რატომ სჩადიოდნენ ამას?“ — უშუალოდ უკავშირდება ასევე უბრალოდ დასმულ, მაგრამ არცთუ ადვილად პასუხმისაგებ კითხვას: რა უნდოდათ?

ნიურნბერგიდან თბილისში რომ დავბრუნდი, მეც ისე უბრალოდ მეკითხებოდნენ ხოლმე, რა უნდოდათო, თითქოს ამაზე მართლაც ადვილი იყო პასუხის გაცემა!

ახლა კი საქმემ მოიტანა და მაინც უნდა ვცადო ვუპასუხო ამ ორ, მაგრამ არსებითად ერთსა და იმავე კითხვას: რატომ სჩადიოდნენ ამას? რა უნდოდათ?

სატანის გიბლია...

კაცმა რომ თქვას, ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემა მაშინ ჩვენი განყოფილების მუშაკების სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა. უნდა გვცოდნოდა მოწინააღმდეგე ქვეყნების ისტორია, პოლიტიკა, იდეოლოგია, მიზანდასახულობა. საამისო საშუალებებიც გვქონდა: წიგნები, რადიო, ნადავლი გაზეთები, დოკუმენტები და სხვ. ამისთვის ვაწარმოებდით ტყვეების დაკითხვას, ვსწავლობდით მათს პირად წერილებს.

მე ასეთი მუშაობის განგრძობა ომის შემდეგაც მომიხდა ნიურნბერგის პროცესზე. იქ იმდენი მასალა იყო ჩემს განკარგულებაში, რომ გავბედავ და, თუ შევძელი, ნაწილობრივ მაინც გავცემ პასუხს აქ დასმულ კითხვებს...

...ჩემს მოვალეობას, ამ შემთხვევაში, შეიძლება ის აადვილებდეს, რომ თავდაპირველად ნაცისტები თავიანთი პოლიტიკური და სამხედრო მისწრაფებებისაგან არავითარ საიდუმლოებას არ ქმნიდნენ. ჰიტლერი ისეთი ყბაღია პოლიტიკოსი იყო, რომ ყველაფერი სააშკარაოზე გამოჰქონდა. მას თითქმის არაფერი გაუკეთებია ისეთი, რომ წინასწარ არ ჰქონოდა გამოცხადებული. ენა ყოველთვის წინ უსწრებდა მოქმედებას: ჯერ იტყოდა, მერე აკეთებდა. ეს ისეთ საქმეებსაც ეხება, რისი ნაადრევი გამჟღავნებაც თითქოს წარმოუდგენელი-

ცაა. ჯერ კიდევ 1933 წელს რაუშნინგთან საუბრის დროს, ათიოდე კაცის, (მათ შორის ქალების) თანდასწრებით, საუბარი რომ ვენასა და ავსტრიის კანცლერ დოლფუსს შეეხო, ჰიტლერი უცებ აყვირდა:

— ვენა გერმანული ქალაქი არ არის! იგი სავსეა ხუცებითა და ებრაელებით. მე იმ დოლფუსს კისერს მოვუღრეცი, დამაცადოს ერთი! ვნახავ, მუხლებზე დაჩოქილი რომ მოდიოდეს ჩემთან! მე მას ჩავაძღლებ როგორც მოღალატეს!..

რამდენიმე დღის შემდეგ დოლფუსი მოკლეს...

ასეთი ფაქტი უამრავია. ჰიტლერის სიტყვა კანონი იყო. ბრძანება — მოქმედების იარაღი, სინდისისა და ნამუსის შემცვლელი, ზნეობისა და მორალის უარმყოფელი... იტყოდა რამეს და ასეც უნდა მომხდარიყო. თუ ვინმე გაბედავდა და შეესიტყვებოდა, ეს უკანონოაო, ჰიტლერი იყვირებდა:

— როგორ! ჩემი სიტყვები არა სჯობია თქვენს აბსურდულ კანონებს?!

და მართლაც, სიტყვები ცვლიდა კანონებს, დადგენილ წესებს, ხელშეკრულებებს... ნათქვამი კია: ვინც საკუთარ სიტყვას ფეტიშად აქცევს, თავს ღმერთად თვლისო.

იოანეს სახარებაშიც წერია:

„პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა“.

ნაცისტები აქ ნაცვლად „ღმრთისა“ გულისხმობდნენ თვით ჰიტლერს. ამიტომაც სჯეროდათ მისი ყოველი სიტყვისა. მათი ნამდვილი სახარება ნაცისტური პარტიის პროგრამა და ჰიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“ იყო. ყველაფერი, რაც მოხდა, ეწერა სატანის ამ ბიბლიაში, და ეს არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა თქვა კიდეც ნიურნბერგის პროცესზე:

— ადოლფ ჰიტლერის აგრესიული გეგმები ისეთივე „საიდუმლოება“ იყო, როგორც წიგნი „ჩემი ბრძოლა“, რომელიც ექვს მილიონზე მეტი ტირაჟით გამოვიდა...

იმავე პროცესზე ელვინ ჯონსონმა გაიხსენა დიდი გერმანელი ფილოსოფოსის სიტყვები, „იდეას ხელები და ფეხები აქვსო“, და განაცხადა:

— ბრალდებულებმა „ჩემი ბრძოლის“ იდეა აქციეს დოქტრინად და მოქმედების იარაღად. ამ წიგნს სტენიდნენ თავში ახალგაზრდებს ყველგან — სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებში, ბიბლიოთეკებში, პროპაგანდისტულ წრეებში. იგი მიღებულ იქნა როგორც საღვთო წერილი — დაბადება, ანუ ბიბლია!..

...მერე ეს წიგნი გერმანიის მომავალი „ათასწლოვანი მსოფლიო იმპერიის“ იდეოლოგიურ საფუძვლად გამოაცხადეს და ეს აზრი რაღაც რიტუალურ პროცედურადაც აქციეს. ჯერ სპეციალური პერგამენტები დაამზადეს, საგანგებო კალიგრაფ-გადამწერლები მოიწვიეს, მერე უჟანგავი ლითონის გარეკანი გაუკეთეს, შეკრეს, დაბეჭდეს „ბეჭდითა შუიდითა“ და რკინის ურნით ჩამარხეს „გერმანულ მიწაში“, რომ ათასი წლის შემდეგ გაეხსნათ და ეკითხათ, როგორც ნაციონალ-სოციალისტური მსოფლიოს სახარება...

მაგრამ მათმა იმპერიამ ათასი წელი კი არა, ცამეტი ძლივს იარსება. ვერც იმ სატანის ბიბლიამ გაუძლო დროის გამოცდას. რამდენიმე წლის შემდეგ მას ტაბუ დაედო და დღეისათვის უკვე დავიწყებასაც მიეცა. თავის დროზე კი ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტი იყო...

ნიურხბერგის პროცესზე ინგლისელმა ბრალმდებელმაც თქვა:

— ამ წიგნმა მოწამლა ერთი თაობის შეგნება და გარყვნა მთელი ხალხის მსოფლმხედველობა... „ჩემი ბრძოლიდან“ პირდაპირი გზაა ოსვენციმის კრემატორიუმებამდე და მაიდანეკის გაზკამერებამდე!..

მოზეიმე მახვილი...

ჰიტლერი ცინიკური გულახდილობით ქადაგებდა ძალის გამოყენების აუცილებლობას საერთაშორისო საკითხების გადასაწყვეტად და უარყოფდა ერთა თანამშრომლობის იდეას:

— მიწა, რომელზედაც ვცხოვრობთ, — წერდა იგი, —

ციდან კი არ გამოუგზავნია ჩვენი წინაპრებისათვის ღმერთს, არამედ ჩვენ ის დაგვიჯდა სიცოცხლის ფასად. გერმანელი ხალხი არც მომავალში მიიღებს არსებობის წყაროსა და საშუალებებს, როგორც სხვების საჩუქარს. მან უნდა დაიპყროს ის „მოზეიმე მახვილით“.

ჰიტლერი ამბობდა, რომ არიული რასა ვერავითარ კულტურას ვერ შექმნისო დაბალი რასების დათრგუნვის გარეშე...

— დაბალ რასებზე ბატონობა არის ერთადერთი საშუალება მაღალი კულტურის მიღწევისა, — წერდა იგი. — როცა გერმანიის ტერიტორია მოიცავს ყველა გერმანელს და ამის შემდეგაც ვერ მიიღებს არსებობის საკმარის საშუალებებს, მაშინ მას ექნება მორალური უფლება ხალხის მოთხოვნილებათა მიხედვით დაიპყროს უცხოეთის ტერიტორიები. ამის შემდეგ სახნისებს შეცვლის მახვილი და ომით მონადენი ცრემლები მოგვიპოვებს პურს ჩვენი არსებობისას.

ჰიტლერი აცხადებდა:

— გერმანიისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი ვერსალის შედეგების გაუქმება და 1914 წლის საზღვრების აღდგენა. მას უნდა მიეცეს აუცილებელი საარსებო ტერიტორიები თვით ევროპის კონტინენტზე, პირველ რიგში კი „რუსეთსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში“. ამისათვის გერმანელები ისევ უნდა დაადგნენ ტევტონელი რაინდების გზას აღმოსავლეთისაკენ.

ჰიტლერი ქადაგებდა უკიდურეს სისასტიკეს, როგორც მოქმედების მეთოდს, თანაც მას ნიღბავდა უცნაური პარადოქსით:

— ბრძოლის ყველაზე შეუბრალებელი მეთოდი არის იმავე დროს ყველაზე ჰუმანური.

ამიტომაც თქვა ინგლისელმა ბრალმდებელმა ჯონსონმა:

— „ჩემი ბრძოლა“ ისეთი ლიტერატურული ვარჯიშობა კი არ არის, რომლის უგულვებელყოფა შეიძლება, არამედ გამოხატულებაა ძალისა და მოტყუებისა, ფანატიკური რწმენის, როგორც იარაღის, ევროპისა და იქნებ მთელი მსოფლიოს დასაპყრობად.

— ბრალდება იმ აზრისაა, — დაასკვნა მან,—რომ ნაცისტი

თანამონაწილენი, რომელნიც აქ სხედან განსასჯელთა სკამზე, წინასწარ მოფიქრებულად უბიძგებდნენ ცივილიზაციას ომის უფსკრულში...

...ჰიტლერულ შეხედულებათა უფრო „თანმიმდევრულ, მეცნიერულ" დასაბუთებას ე. წ. „გეოპოლიტიკა" ცდილობდა. „ხალხი და ფართობი", „სისხლი და მიწა" — ასეთი იყო ამ „მეცნიერების" მთავარი თეზა. გეოპოლიტიკის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლების ფრიდრიჰ რატცელის, რუდოლფ ჩელენისა და კარლ ჰაუსჰოფერის ნაწერები გაჟღენთილია მილიტარისტული სულისკვეთებით: „იმპერია გულისხმობს იმპერატორს". „საჭიროა პოლიტიკური მიზანშეწონილობა და არა კანონი", „ხელისუფლებას ტყუილად როდი უჭირავს მახვილი", „პოლიტიკური დემოკრატია არ იქნება ისტორიის უკანასკნელი სიტყვა" — ქადაგებდნენ ისინი. გეოპოლიტიკოსების აზრით, ომი დაპყრობის „სტიქიური ინსტინქტი" კი არ არის, არამედ „ზრდის ბუნებრივი და აუცილებელი ფორმაა".

აი, სწორედ ამ აზრის შთანერგვა იყო საჭირო გერმანელი ხალხისათვის და აქეთკენვე იქნა მიმართული გეოპოლიტიკოსებისა და ნაცისტური პარტიის მთელი პროპაგანდისტული არსენალი. მათ უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ „არსებობისათვის ბრძოლა არსია ერის ცხოვრებისა, ხოლო ომი — მისი ფორმა".

გეოპოლიტიკოსები ამ იდეას თანმიმდევრულად ატარებდნენ. ისინი ჩააგონებდნენ თავიანთ თანამემამულეებს, რომ გერმანული რასა ერთადერთი მმართველი რასაა მსოფლიოში. ამიტომ ყველა დანარჩენი რასის წარმომადგენლებს სძულთ იგი და არ სურთო განვითარების ნორმალური საშუალება მისცენ. მთელი მსოფლიო გაერთიანებულია გერმანელების წინააღმდეგ და ამიტომ ისინიც იძულებულნი არიან (!) იბრძოლონ მსოფლიო ბატონობისათვის, რათა უზრუნველყონ თავიანთი ნორმალური ცხოვრებისა და განვითარების პირობებიო. ეს, მათი აზრით, „არსებობის მკაცრი კანონია და არა არჩევანი".

მსოფლიო ომისა და ვერსალის შედეგად 70 მილიონი გერ-

მანელი მომწყვდეულ იქნა მიწის სულ რაღაც 470 ათას კვადრატულ მეტრზე. ამიტომ სხვისი ტერიტორიების დაპყრობა და კოლონიზაცია „ბუნებრივი აუცილებლობაა“ და, როგორც ასეთი, „სამართლისა და უსამართლობის მიღმა იგულისხმება, რაც არ შეიძლება მსჯავრდადებულ იქნეს“.

ამის პასუხად უადგილო არ იქნება ისევ ილიას სიტყვები გავიხსენოთ:

— ძნელია კაცმა გულდაჯერებით მიიღოს მამულის ნაკლებობა მიზეზად ავაზაკობისა.

ამ სიტყვებს განმარტება არ სჭირია. სამაგიეროდ მართლაც ძნელია ვინმემ გულდაჯერებით მიიღოს ჰიტლერის ეს სიტყვები:

— სასიცოცხლო სივრცის (Lebensraum) შეფარდება მოსახლეობის რაოდენობასთან მარადიული პრობლემაა. იგი გულისხმობს შესაფერისი პროპორციის დამყარებას გერმანელ ხალხსა და მის ტერიტორიებს შორის. ჩვენი მიზანია გერმანელების უზრუნველყოფა სასიცოცხლო ფართობით. ამისათვის არავითარი ჭკუის ქულტა არ არის საჭირო. საკითხს წყვეტს მხოლოდ მახვილი!

ასეთი ქადაგებით გააბრუეს და გახრწნეს ნაცისტებმა გერმანელი ხალხის დიდი ნაწილი. დღედაღამ ისმოდა:

—გერმანია იღუპება, იჩაგრება. მას ახრჩობენ, არ აძლევენ სასიცოცხლო ფართობს, ართმევენ კოლონიებს, უნდათ შური იძიონ იმის გამო, რომ ის მათზე უნარიანი, მმართველი რასაა, უმაღლესი და უდიდესი პოტენციის მქონე ხალხი. ამიტომ საჭიროა შეიარაღება, ომი, მტრების არა მარტო დამარცხება, არამედ მოსპობა, მათი ტერიტორიების დაპყრობა და გერმანული რასის მსოფლიო ჰეგემონიის უზრუნველყოფა. ყველაფერი ეს „ბუნებრივი აუცილებლობაა“ და ბოროტებისა თუ სიკეთის, სამართლიანობისა თუ უსამართლობის პრინციპებით არ გაიზომება. ფიურერი მიზანშეწონილობის პრინციპს უნდა მიჰყვეს და არა კანონმდებლობას. და თუ ის კანონებს არღვევს, ეს დანაშაული კი არ არის, არამედ ისევ იმ „ბუნებრივი აუცილებლობის“ გამოხატულებაა, შეიძლება მკაცრი, მაგრამ აუცილებელი.

ჰიტლერი ამას საიდუმლოდ არც ინახავდა. იგი რიხით აცხადებდა:

— ძალიან ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ყოველივე ამას ადრეც არ ვამბობდი. მე არასოდეს არ მიხმარია ლეღვის ფოთოლი. ვიცი, რომ ხელშეკრულებას იცავენ მხოლოდ მანამ, ვიდრე ეს მიზანშეწონილია. ყველა, ვინც ამ საქმეში მონაწილეობას იღებს, თავისუფალია მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობისაგან, რადგან ეს არის წმიდათა-წმიდა მოვალეობა სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

— მე მზადა ვარ, — ამბობდა იგი, — ხელი მოვაწერო ყველაფერს, რაც მათ სურთ. მე ყოველგვარ დათმობაზე წავალ, რომ მივიღო თავისუფლება ჩემ მიერ დასახული პოლიტიკის განსახორციელებლად. მე მივცემ ყოველგვარ საზღვრის გარანტიას, ხელს მოვაწერ თავდაუსხმელობისა და მეგობრობის ყოველგვარ პაქტს, რასაც ჩემგან მოითხოვენ. ჩემის მხრივ ბავშვობა იქნებოდა არ მესარგებლა ასეთი საშუალებებით იმის გამო, რომ მერე მომიხდება დავარღვიო ყველა ვალდებულება, მათ შორის — სრულიად საზეიმო პირობებში დადებული...

სიტყვაც ასეთი იყო და საქმეც.

1939 წლის პირველ სექტემბერს, საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტის დადების შემდეგ, რაიხსტაგის სხდომაზე ჰიტლერმა თქვა:

— მე მინდა აქ განვაცხადო, რომ ამ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის და რომ ის საბოლოოა. რუსეთი და გერმანია იბრძოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ პირველი მსოფლიო ომის დროს. ეს არ უნდა განმეორდეს და არც განმეორდება არასოდეს!

ჰიტლერი რომ ამას ამბობდა, მისი გენერალური შტაბი უკვე ადგენდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ოპერატიულ გეგმას...

...ასეთია ნაციზმის სატანური ლოგიკა, გამომუშავებული ჯერ კიდევ გერმანელი გეოპოლიტიკოსების, განსაკუთრებით —კარლ ჰაუსჰოფერის მიერ.

ყველაფერი, რაც ჰიტლერის ქადაგებებში ისმის, ეყრდნობა სწორედ ამ ჰაუსჰოფერისა და სხვა გერმანელი გეოპოლიტიკოსების შრომებს. თვითონ ჰაუსჰოფერიც აღტაცებული იყო ჰიტლერის „გეოსტრატეგიით“. „ფიურერმა გეოპოლიტიკური ოსტატობა გამოიჩინა, — წერდა იგი,—ჩვენ მოწიწებით ვხრით თავს მისი საქმიანობის წინაშე“.

ჰაუსჰოფერი პირველი მსოფლიო ომის დროს გენერალმაიორი იყო, რუდოლფ ჰესი—მისი ადიუტანტი. მერე ჰაუსჰოფერი მიუნჰენის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. ჰესიც იქ გაჩნდა, ჯერ როგორც სტუდენტი, მერე — უნივერსიტეტის ნაცისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მიუნჰენის პუტჩის ჩაქრობის შემდეგ რუდოლფ ჰესი ჰაუსჰოფერმა დამალა თავის მამულში. ხოლო როცა ჰესი და ჰიტლერი ლანდსბერგის ციხეში ჩასვეს, ჰაუსჰოფერმა ინახულა ისინი და მიუტანა რატცელის „პოლიტიკური გეოგრაფია“ და სხვა გეოპოლიტიკური წიგნები.

ვინც ჰიტლერის წიგნს „ჩემ ბრძოლას“ შეადარებს გერმანელი გეოპოლიტიკოსების ძირითად ნაშრომებს, დარწმუნდება, რომ ამ წიგნში, გარდა ჰიტლერის პირადი ცხოვრების აღწერისა, არ არის თითქმის არც ერთი დებულება, რაც გეოპოლიტიკოსების შრომებში არ იყოს განვითარებული. ყველა მათგანის ამოსავალი წერტილი ერთნაირია:

— საჭიროა არა ობიექტურობა. არამედ მიზანდასახულობა. მიზანი ამართლებს საშუალებას. შეიძლება მოსპოთ, გაანადგუროთ, ფეხქვეშ გათელოთ ყველაფერი და ამასთანავე არ იგრძნოთ არც სინდისის ქენჯნა, არც პასუხისმგებლობა — მორალური თუ იურიდიული, რადგან ასეთ ღონისძიებათა გარეშე შეუძლებელია მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვება და კოლოსალური გერმანული იმპერიის შექმნა დედამიწის სამ კონტინენტზე (ევროპა+აზია=ევრაზია, და ევროპა+აფრიკა=ევრაფრიკა). ევრაზიაც და ევრაფრიკაც იქნება „ათასწლოვანი გერმანული იმპერია“, რაღაც ბიბლიური „ღვთაებრივი იმპერიის“ მსგავსი. დანარჩენი სახელმწიფოები გაქრებიან და მათი გადარჩენილი მოსახლეობა მმართველი არიული რასის მონებად იქცევა.

ყოველივე ამას ჰიტლერი და მისი თანამოაზრენი ისეთ რელიგიურ-მისტიკურ ბურუსში ხვევდნენ, რომ დასავლეთელი ისტორიკოსები მომხდარ ამბებს დღესაც „რეალურ ფანტასტიკად" მიიჩნევენ და „უმაღლესი გამოუცნობის სფეროს" მიაკუთვნებენ.

მე მინდა ამის შესახებაც გიამბოთ, რადგან უამისოდ ბევრი რამ ჩვენთვისაც „გამოუცნობი" დარჩება, „უმაღლესი" თუ არა, ჩვეულებრივი მაინც. შეიძლება ამის გამო თვითონაც მოგვიხდეს იმ „რეალური ფანტასტიკის" ბურუსში შესვლა, მაგრამ თხრობა მაინც დოკუმენტური ხასიათისა იქნება. ყველაფერი, რასაც აქ გიამბობთ, შეეხება რასისა და სისხლის ნაცისტურ მისტიკას, პოლიტიკური მოძღვრებისა და მაგიურ-რელიგიური წარმოდგენების ერთიანობას, ძველი აღმოსავლური ლეგენდებისა და თანამედროვე ევროპული სინამდვილის გადაჯვარედინებას, იმას, რასაც როზენბერგმა XX საუკუნის მითი უწოდა.

ცხადია, ნაციონალ-სოციალისტური მოძღვრების გასაგებად ეს არ არის მთავარი, მაგრამ არც ისე უმნიშვნელოა, რომ უგულვებელყოფილ იქნეს. თვითონ ჰიტლერის „ჩემი ბრძოლისა" და ე. წ. „სუფრული საუბრების" (Tischgespräche) უდიდესი ნაწილი ამ საკითხებს ეხება. ნათქვამიც აქვს: ვინც ნაციონალ-სოციალიზმში მარტო პოლიტიკურ მოძღვრებას ხედავს, იმას ამ მოძრაობის არაფერი ესმისო.

მაშინ ეს სიტყვები გაუგებარი იყო, მაგრამ შემდეგ ყველა მიხვდა, რომ ჰიტლერს ნ ა ც ი ო ნ ა ლ-ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი, გ ა რ დ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს ა, ა ხ ა ლ ა ნ ტ ი ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ რ ე ლ ი გ ი ა დ უ ნ დ ო დ ა ე ქ ც ი ა. ამით იყო გამოწვეული მისი გაშმაგებული ბრძოლა ქრისტეს რწმენის წინააღმდეგ. ერთ-ერთი მორიგი სუფრული საუბრის დროს მან ასე ირონიულად გადმოსცა სახარების შინაარსი:

— ღმერთმა შექმნა ადამიანი. მერე მოუხმო ეშმაკს და შეაცდინა. ცდუნებამ დაბადა ცოდვა: ქალწულმა მარიამ შვა

ბ-ეში. ამ როსკიპისა და რომაელი ჯარისკაცის ნაბიჭვარს — ქრისტეს უნდა განეწმინდა ადამიანები ცოდვებისაგან... ამიტომაც იქმნენ გვემულნი და მუხლმოდრეკილნი... ფუჰ! რა მოსწონს ხალხს ამაში! მე მესმის, მაჰმადის სამოთხე მაინც იყოს! ეს ალილუია კი სიკვდილის შემდეგ... საზიზღრობაა!..

მერე შუბლზე ჩამოშლილი თმები თითებით აივარცხნა და ყვირილი მორთო:

— ქრისტიანიზმი ბოლშევიზმის პროტოტიპია. ორივე ებრაულ-ფილოსოფიურ საფუძვლებს ეყრდნობა. ებრაელების ღმერთი იყო ოქრო, ამიტომ ეკლესიებშიც ყველაფერი მოოქროვილია. გალილეველები იბრძოდნენ ებრაული კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ქადაგებდნენ თანასწორუფლებიანობას და ამით დაღუპეს რომის იმპერია. ეს გააკეთა წმ. პაველმ, რომელიც ბოლშევიკი იყო. რომის წმიდა იმპერიის მემკვიდრეები გერმანელებია. მათ საწინააღმდეგოდ ახლა ებრაელებს ისევ ქრისტიანიზმის აღდგენა უნდათ ბოლშევიზმის სახით. მე კი ამის წინააღმდეგ ვიბრძვი!..

მერე კიდევ უფრო აუწია ხმას:

— ქრისტიანიზმი სისულელეა. ვისაც ტრანსცენდენტური ძალების სჯერა, ისიც სულელია... ცხოვრება ქმნის ცხოვრებას — ეს არის უკვდავება! იაპონური რელიგია ადამიანს აახლოებს ბუნებასთან, ქრისტიანული — ზებუნებრივთან. ვის რაში სჭირია ეს ტყუილი!

ჰიტლერი ერთი წუთით შეჩერდა, მაგიდასთან მივიდა, სტუმრებს ნამცხვრები გადაუღო და... ისევ აყვირდა:

— მე თუ მოვინდომე, გარწმუნებთ, ერთ-ორ წელიწადში დავანგრევ ეკლესიებს. ერთი შეტევა და ყველაფერი გათავდება. მე გავათახსირებ ღვთისმსახურთ, გამოვააშკარავებ მათ ნამდვილ სახეს კინოფილმებში... ჩვენს ბიურგერებს თმა ყალყზე უნდა დაუდგეთ, როცა კინოთეატრებიდან გამოვლენ. ამას ახალგაზრდობა გაითვალისწინებს მომავალში და ისწავლის სიმართლის გარჩევას სიცრუისაგან. მსოფლიოში 170 სხვადასხვა რელიგიაა. ყველა მათგანი „ერთადერთსა“ და „უზენაეს“ ჭეშმარიტებას ქადაგებს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ 170 რელიგიიდან 169 ტყუის. ყველამ უნდა იცოდეს, რომ რე-

ლიგია ჩვენი საქმე არ არის! იტალიელებს თუ უნდათ, შეუძლიათ შეეგუონ ეკლესიას. ისინი სულელები არიან, ჰგონიათ ერთსა და იმავე დროს შეიძლება წარმართებიც იყვნენ და ქრისტიანებიც. ასეა ფრანგებიც. გერმანია სხვაა. ჩვენ ან წარმართები უნდა ვიყოთ, ან ქრისტიანები. ორივე ერთად შეუძლებელია. მუსოლინი ვერასოდეს ვერ იქცევა ფაშიზმის ნამდვილ გმირად, რადგან არც იცის, წარმართია, თუ ქრისტიანი. ჩვენ არ გვინდა ებრაული ქრისტიანიზმი თავისი ეფემერული შეწყალების მორალით. ძველი და ახალი აღთქმა ებრაული მონაჩმახია. იგი ჩვენ ვერ მოგვცემს თავისუფლებას. გერმანული ეკლესია და გერმანული ქრისტიანობა ფაქტების უხამსობაა. ორში ერთი უნდა იყოს: გერმანელი ან ქრისტიანი...

ბოლოს სულ გაშმაგდა, დორბლმორეული დარბოდა ოთახში და ყვიროდა:

— მე აღმოვფხვრი ხალხის წარმოდგენიდან ქრისტიანულ რწმენას! და თქვენ როგორ გგონიათ, ისინი ისევ მოინდომებენ დაუბრუნდნენ ამ სისულელეს? არავითარ შემთხვევაში! გარწმუნებთ, როგორც მათ მიიღეს ჰეკელი და დარვინი, გოეთე და გეორგე ქრისტიანიზმის მქადაგებლად, ასევე შეცვლიან სვასტიკით ჯვარცმის ნიშანს. ისინი ეზიარებიან რწმენას გერმანული სულისა, როგორც ღვთაებრივ უნარს. ჩვენ არ გვინდა ხალხი, ვისაც ცალი თვალი ზეცისაკენ უჭირავს. ჩვენ გვინდა ადამიანები, რომელნიც იგრძნობენ და გაიგებენ. რომ ღმერთი თვით მათშია... ჩვენ გვინდა ახალი რწმენა ჩავუნერგოთ მათ... ეს იქნება ჩვენი რასის რელიგია... დაფუძნებული ბუნებასა და სისხლზე...

მერე იმ „ძარღვითურთ წარწყმედილ“ შტრაიხერს მიუბრუნდა და ისტერიულად შესძახა:

— შტრაიხერ, მაშინ ჩვენ ისევ ავაგებთ ტაძრებს, თუკი ამას მოვისურვებთ, და მათში იღაღადებენ ჩვენს რელიგიას... მე ჯერ კიდევ არ ვიცი როგორ იქნება ეს, მაგრამ ვგრძნობ კი ამას...

გრძნობდა კი არა, კარგადაც იცოდა, რაც უნდოდა: ახალი ნაცისტური ტაძრები ნაციონალ-სოციალისტური რწმენით, ჯვრის ნაცვლად—სვასტიკა, ხოლო ქრისტეს ადგილას—ანტიქრისტე: ადოლფ ჰიტლერი!..

სამწუხაროდ, იქ არავინ იყო ისეთი, სოლომონ ბრძენის სიტყვები რომ შეეხსენებინა მისთვის:

— ნუ იქადი ხვალისთვის, რამეთუ არა უწყი რასა შობს შემომსველელი დღე...

მაგიური კვადრატი...

ქრისტიანული რწმენის წინააღმდეგ ამგვარ ბრძოლას, პოლიტიკური მოსაზრების გარდა, სხვა მიზნებიც ჰქონდა. ჰიტლერი გატაცებული იყო აღმოსავლურ-მისტიკური მოძღვრებებითა და წარმართული რელიგიით, სწავლობდა ძველ მაგიურ წიგნებს, ასტროლოგიას, დღედაღამ ჰოროსკოპებს ჩაჰკირკიტებდა და ვარსკვლავების მოძრაობით ცდილობდა გერმანელი ხალხის მომავლის გაგებას. იგი ქადაგებდა სამყაროს „მაგიური ინტერპრეტაციისა“ და ბუნების იდუმალ ძალებთან კავშირის შესაძლებლობას.

— ჩვენ გონების ეპოქის დასასრულთან ვდგევართ, — უთხრა მან რაუშნინგს, — ინტელექტი გადაიზარდა დესპოტიზმში და ცხოვრების სნეულებად იქცა. ახლა კი მსოფლიოს ახალი, მაგიური ინტერპრეტაციის ეპოქა მოდის...

ბიოგრაფები წერენ, რომ ჰიტლერს შესწავლილი ჰქონდა პლოტინის მოძღვრება ადამიანის ბუნებრივი და მაგიური კავშირის შესახებ სამყაროსთან, „რომლის ყოველი ნაწილი ისეა ერთმანეთით განპირობებული, როგორც ცოცხალ არსებათა ორგანიზმი“. ჰიტლერი, მსგავსად პლოტინისა, ამტკიცებდა, რომ ადამიანთა ბედი ვარსკვლავების მოძრაობაზეა დამოკიდებული. მთავარ კონსულტანტად ამ დარგში მას „კარის ასტროლოგი“, გვარად ფიურერი (Führer), ჰყავდა, რომელსაც ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ „მათემატიკურ, ასტრონომიულ და ფიზიკურ მეცნიერებათა სრული მფლობელის“ მანამ გაუგონარი ტიტული უბოძა. იმასაც ამბობენ, „ფიურერის“ წოდება თვითონაც იმ ასტროლოგის გვარის მიხედვით მიიღო.

ასეა ეს თუ არა, არ ვიცი. ის კი ფაქტია, რომ ჰიტლერს ამ ფიურერის ვარსკვლავთმრიცხველობისა უფრო სჯეროდა,

ვიდრე ჭეშმარიტი მეცნიერების. იგი არწმუნებდა თანამოაზრეებს, რომ თვითონაც იდუმალ კავშირშია მაგიურ ძალებთან. „განგებამ მიკარნახაო“, იტყოდა ხოლმე და მოჰყვებოდა რაღაც გრანდიოზულისა და შეუძლებლის ქადაგებას: თუ როგორ გამოიწვევდა კოსმოსურ ორომტრიალს, მსოფლიო ქაოსს, სისხლიან წარღვნას, როგორ წალეკავდა „მატლებივით მომრავლებულ დაბალ რასებს“, დაამსხვრევდა „ევროპის დრომოჭმულ ცივილიზაციას“, მოსპობდა ძველ ადათ-წესებსა და სახელმწიფოებრივ წყობას, რითაც საფუძველს ჩაუყრიდა ბიოლოგიური ფილტრაციისა თუ მუტაციის გზით მიღებული არიელი ღმერთ-კაცების ბატონობას ათასწლოვან გერმანულ იმპერიაში.

— თქვენ არაფერი იცით ჩემ შესახებ, — ამბობდა ჰიტლერი,—არც ჩემს პარტიულ ამხანაგებს აქვთ წარმოდგენა იმ განზრახვაზე, რითაც შეპყრობილია მთელი ჩემი არსება. ვერავინ ხედავს იმ კოლოსალურ შენობას, რომლის საძირკველი ჩაიყრება ჩემ სიკვდილამდე. მსოფლიო დგას გადამწყვეტი შემობრუნების წინაშე. მე დროის ამ საკვესთან ვდგევარ, მაგრამ თქვენ, ვინც განგების მიერ განდობილი არა ხართ, ვერასოდეს გაიგებთ ამას!..

ჰიტლერი ამტკიცებდა, რომ იგი ხელდასხმულია განგების მიერ და უფრო ინტუიციით სწვდება უზენაეს ჭეშმარიტებას, ვიდრე გონებით.

შემდეგ ცნობილი გახდა მისი გატაცება ანრი ბერგსონის ინტუიტიური ფილოსოფიით. როცა ებრაელი ბერგსონი ოკუპირებული საფრანგეთიდან ემიგრაციაში გაიქცა, ჰიტლერმა მას „საპატიო არიელის“ წოდება შესთავაზა, მაგრამ ფრანგმა ფილოსოფოსმა ზიზღით უარყო ეს „წყალობა“...

გულუბრყვილოებს მართლაც სჯეროდათ თავიანთი ფიურერის ქადაგებისა. ბევრმა თავიც დაირწმუნა, რომ იგი განგებამ მოუვლინა მხსნელად „მრავალტანჯულ გერმანელ ხალხს“. თვითონ ჰიტლერიც უწყობდა ხელს ამგვარი მითის გავრცელებას, არც არასოდეს გაუშვებდა შემთხვევას, არ აღენიშნა თავისი იდუმალი კავშირი უზენაესთან. ამგვარი „ზეშთაგონების“ დროს იგი გულხელს დაიკრეფდა, თვალებს ზეცისაკენ

აღაპყრობდა და ისტერიული ხმით ამცნობდა აღგზნებულ ბრბოს „განგების მიერ ნაკარნახევ ჭეშმარიტებას“.

ერთხელ „მაგიურ ტრანს'ში“ ჩავარდნილმა ჰიტლერმა იმ-დენი უქადაგა სტუმრებს ამგვარი კავშირის შესახებ ბუნე-ბის იდუმალ ძალებთან, რომ სულ შეშლილს დაემსგავსა: ყვი-როდა, ხელებს უაზროდ იქნევდა, თითქოს რაღაც უხილავსა და გამოუცნობს ებრძოდა. მერე ჰაერში თითებით წრეებისა და კვადრატების ხაზვა დაიწყო, თან ყველასათვის გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა და ბნედამორეულივით ცახცა-ხებდა.

ამან ისე შეაშინა ერთი მანდილოსანი, რომ ისტერიული კივილი მორთო. მთელი ნახევარი საათი მოუნდა მის დაწყნა-რებას. მერე, როგორც იქნა, დამშვიდდა და სასოებიდილი შეევედრა ჰიტლერს:

— ნუ, ჩემო ფიურერ! ნუ გინდათ მაგია, ნურც თეთ-რი და ნურც შავი. ეს ჩაგიხშობთ საკუთარ შემოქმედებით ძალას...

...ჰიტლერი დიდხანს არწმუნებდა იმ მანდილოსანს, რომ სწორედ სამყაროს იდუმალ ძალებთან მაგიური კავშირი აძ-ლევს მას ზებუნებრივ ძალას. მე მხოლოდ ასეთი კავშირით შემიძლია ვიხსნა გერმანელი ხალხი განსაცდელისაგანო, ამ-ბობდა იგი და ისედაც შეძრწუნებულ სტუმრებს, უარეს ამ-ბებს უყვებოდა. იგი ამტკიცებდა, რომ სადღაც, აღმოსავლეთ-ში, არის იდუმალებით მოცული ფარული ქალაქი, რომელ-შიც ბატონობს „ქვეყნის უზენაესი მბრძანებელი“, ანუ „ში-შისა და ძრწოლის მეუფე“. ვინც მის იდუმალ ძლიერებას ეზი-არება, მრავალი ათასი წლის მანძილზე შეუცვლისო სახეს ქვეყნიერებას და გარკვეულ მიზანს დაუსახავს „დღევანდელი კაცობრიობის უაზრო არსებობას“.

სად არის ეს საიდუმლო ქალაქიო, ვინმეს რომ ეკითხა,— პასუხი ასეთი იქნებოდა: ყველგან და არსად, ისევე როგორც თომას მანის კაიზერსაშერნი ან ჰერმან ჰესეს კასტალიენი... უფრო მიახლოებით, კავკასიაში, გობის უდაბნოებში, ჰიმა-

ლაის მთებსა და ტიბეტში... ან მიწისქვეშა გამოქვაბულში...

ჰიტლერი ხშირად ახსენებდა „მიწისქვეშა ქალაქს“, რომელშიც „არიული რასის შორეული წინაპრები ცხოვრობდნენ“. თუმცა ამ შემთხვევაში არც ისაა ადვილი წარმოსადგენი, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს „მიწისქვეშა“. ჰიტლერის კარის მეცნიერების: ჰაუსჰოფერის, ბენდერის, ჰორბინგერისა და სხვათა „ახალი კოსმოლოგიური სისტემის“ თანახმად დედამიწა მრგვალია, მაგრამ შიგნიდანაა ღრუ და გარშემორტყმული ქვის უსასრულობით. ადამიანები ცხოვრობენ ამ ღრუში როგორც ბუზები შუშის ქილაში. ცა, მზე და ვარსკვლავებიც იმ ღრუშია მოთავსებული. კლდის გამოქვაბულები კი დასახლებულია „უმაღლესი ფსიქიკის“ არიული მოდგმის გიგანტური ადამიანებით, რომელნიც მოწოდებული არიან გამოვიდნენ იმ ჯურღმულებიდან და კვლავ იბატონონ დედამიწაზე.

საკვირველი ის არის, რომ „ღრუ დედამიწის“ ამ „თეორიას“ დასავლეთში დღესაც მილიონამდე მომხრე ჰყავს თურმე. მაშინ კი ჰორბინგერი, ბენდერი და სხვა ასტროლოგები სიკვდილის მუქარით აიძულებდნენ უნივერსიტეტების პროფესორებს ეცნოთ ეს ახალი „მოძღვრება“. საქმე ზოგჯერ მუშტი-ჩრიკამდეც მიდიოდა.

— მიიღეთ ჩვენი თეორია ან ისე მოგეპყრობით, როგორც მტრებს,—ემუქრებოდნენ ისინი „ებრაულ-ლიბერალური“ მეცნიერების წარმომადგენლებს.

როცა ჭეშმარიტი მეცნიერები მათემატიკური სიზუსტით უმტკიცებდნენ ჰორბინგერს მისი „კოსმოლოგიური თეორიის“ უმწეობას. ეს ბრგე მოხუცი ხელის ტოტით უზარმაზარ წვერულვაშს ჩამოიფოცხავდა, თვალებს დააბრიალებდა და ისე უყვიროდა „ცრუ მეცნიერთ“:

—როგორ! თქვენ იმ დამპალი განტოლებებისა უფრო გჯერათ, ვიდრე ჩემი?! როდის შევა თქვენს თავში, რომ მთელი მათემატიკა ორკაპიკიანი სიცრუეა!

ჰიტლერი მხარს უჭერდა ამგვარ ტერორს. ძალაუფლების ხელში ჩაგდების დღიდანვე მან გააძევა გერმანიიდან სა-

ხელგანთქმული მეცნიერები, რომელთაც შემდეგში დიდად შეუწყვეს ხელი ატომის ყუმბარის დამზადებას ამერიკაში. გერმანული მეცნიერება კი ჰაუსჰოფერისა და ჰორბინგერის სათარეშოდ იქცა. ფართო გავრცელება პოვა „ღრუ დედამიწისა“ და „მარადიული ყინულის“ თეორიამ. მეცნიერული მეთოდები შეიცვალა მაგიური მისტიკით. თვითონ ჰიტლერიც ამტკიცებდა, რომ „ღრუ დედამიწის“ თეორია უფრო ახლოდგას ჭეშმარიტებასთან, ვიდრე „ებრაელი აინშტაინის მონაჩმახი“.

ამ ბოლო დროს ისიც გამოირკვა, რომ სარაკეტო დანადგარების სპეციალისტებს იგი აიძულებდა თავიანთი მეცნიერული კვლევა-ძიება ამ თეორიის მიხედვით ეწარმოებინათ. სარაკეტო დანადგარების ბაზას პენემიუნდეში კონტროლს უწევდა „ღვთისაგან კურთხეული გენიალური აღმომჩენი“ მისტიკოსი ჰორბინგერი. იგი ამოწმებდა, „ფაუ-2“-ის წარმოება ხომ არ გამოიწვევდა „მარადიული ყინულის“ სამეფოს განრისხებას სტრატოსფეროში.

ჰიტლერიც რამდენჯერმე ჩაერია ამ საქმეში და დროებით შეაჩერა რაკეტების წარმოება, რადგან ეშინოდა, „შეურაცხყოფილ ზეცას“ შური არ ეძია გერმანიაზე.

მოსკოვსა და სტალინგრადთან გამძვინვარებულ „გენერალ ზამთრის“ შემოტევით შეშფოთებულმა ჰიტლერმა 1942 წელს დოქტორ ჰაინც ფიშერის მეთაურობით საიდუმლო სამეცნიერო ექსპედიცია გაგზავნა კუნძულ რიუგეზე, რათა ინფრაწითელი სხივებით დაემტკიცებინათ ღრუ დედამიწის თეორიის ჭეშმარიტება და ზუსტად დაედგინათ ინგლისის სამხედრო ფლოტის ადგილსამყოფელი სკაპა-ფლოუში.

ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს მისტიკა და ტექნიკა.

აგჰართი და შამპულაჰი...

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ჰიტლერზე განსაკუთრებით ძლიერი გავლენა ტიბეტურმა მისტიკამ მოახდინა. თვითონაც ამტკიცებდა, „მთელ ჩემს მოძღვრებას საფუძვლად ერთი ტი-

ბეტური ლეგენდა დავუდვაო". ეს ლეგენდა, გერმანიაში პირველად ალბათ, ჩამოიტანა ჰაუსჰოფერმა, რომელიც რამდენჯერმე იყო ტიბეტში, სადაც გაეცნო იქაურ „მოგვთა სასწაულმოქმედებას".

ამბობენ, ამან საბედისწერო როლი ითამაშაო ჰიტლერის ცხოვრებაში...

...იმ ტიბეტური ლეგენდის მიხედვით ერთ დროს გობის უდაბნოებში ცხოვრობდნენ არიული რასის უძველესი წინაპრები. მათი ცივილიზაციის დაღუპვის შემდეგ რაღაც სასწაულით გადარჩენილ ადამიანთა მცირე ჯგუფმა თავი ჯერ ჰიმალაის გამოქვაბულებს შეაფარა, მერე კი ორ ნაწილად — მარჯვენა და მარცხენა ხელის ნაწილებად გაიყო და თვითეულმა საკუთარი ქალაქი დააარსა: ერთმა — შამპულაჰი (Schampulah), ხოლო მეორემ — აგჰართი (Agharthi).

იგივე ლეგენდა მოგვითხრობს ამ ორი ქალაქის, ორი ტაძრიდან გამომდინარე ორი წყაროს შესახებ:

პ ი რ ვ ე ლ ი, ანუ მარჯვენა ხელის წყარო გამომდინარეობს იდუმალ ქალაქ აგჰართის ტაძრიდან. ეს არის ფიქრისა და განსჯის ტაძარი, სიმბოლო სიკეთისა და მჭვრეტელობითი არსებობისა. იმ ქალაქის მცხოვრებნი სულაც არ ერევიან ამქვეყნიურ საქმეებში.

მ ე ო რ ე, ანუ მარცხენა ხელის წყარო გამომდინარეობს ასევე იდუმალ ქალაქ შამპულაჰის ტაძრიდან და ფიზიკურ ძალაუფლებას გამოხატავს. იგი აწესრიგებს ბუნების მოვლენებსა და ადამიანთა ბედს.

შამპულაჰი ძალადობის ქალაქია. მას შიშისა და ძრწოლის მეფე განაგებს და, ვინც მის იდუმალ ძლიერებას ეზიარება, მთელ მსოფლიოს დაიპყრობს...

შიშით, ძრწოლითა და ძალადობით მსოფლიოს დაპყრობა იყო ის „სიბრძნე", რომელსაც ჰიტლერი ეზიარა ამ ტიბეტური ლეგენდის მეოხებით. მას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ გაუწყვეტია კავშირი ტიბეტურ მისტიკასთან. ხშირად ხვდებოდა ბერლინში მცხოვრებ ტიბეტელ ლამას. სხვებიც

მხარს უბამდნენ მის ამგვარ გატაცებას. ჰიმლერი ემისრებს გზავნიდა ლჰასაში და სწავლობდა „ჰიმალაის მთების საიდუმლოებას“, დალაი-ლამამ ჰიტლერს გამოუგზავნა ლამეტური (ტიბეტური) ბიბლიის ასი ტომი. შემდეგ პირდაპირი რადიოკავშირიც იქნა დამყარებული ორივე ქვეყნის დედაქალაქებს შორის. ლჰასიდან ბერლინში რეგულარულად გადმოსცემდნენ ტიბეტური „წმიდა წიგნების“ შინაარსს...

ასე გრძელდებოდა ჰიტლერისა და მისი „მესამე იმპერიის“ უკანასკნელ დღეებამდე, ვიდრე ათასამდე ტიბეტელმა და ინდოელმა ფანატიკოსმა მსხვერპლშეწირვის სახით თავი არ დადო ბერლინის კარიბჭესთან...

...სწორედ რომ მსხვერპლშეწირვის! მე ვფიქრობ, ეს არის ტიბეტური მისტიკის ყველაზე ბნელი და იდუმალებით მოცული მხარე. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჰიტლერელმა „განდობილებმა“ მილიონობით ადამიანის გაქლეტა მოიფიქრეს, როგორც მსხვერპლის შეწირვა „შიშისა და ძრწოლის მეუფე“ შამპულაჰისადმი. ჰიტლერი ხშირად ამბობდა, რომ განგებამ მას შთააგონა მსოფლიო ბატონობის ისეთი საშუალება, რომელსაც „თვით რიგით განდობილებსაც“ ვერ გაუმხელს. მასობრივი მსხვერპლშეწირვის რიტუალი კი საქმეს მოითხოვდა. ამისთვის შექმნა მან ესესელთა შავი ორდენი სიკვდილის ემბლემით და დააწესა უმკაცრესი იერარქია. ესესის ოფიცრები განდობილი იყვნენ ამ იდუმალების პრაქტიკულ მხარეს, მაგრამ მათ ფიცი ჰქონდათ დადებული არ გაემხილათ ეს. ამიტომაც მიიჩნევდნენ ხალხთა მასობრივ ჟლეტას თავიანთ მოვალეობად. შავი ორდენის სათავეში იდგა ჰიტლერის მიერ „უზენაეს საიდუმლოებას განდობილი დიდი მაგისტრი ჰიმლერი“.

1942 წელს, როცა გერმანელების „ელვისებური დარტყმის“ იდეა დამარცხდა და „მსოფლიო ყინულის“ სტიქიამ იძალა, ჰიტლერმა გაანდო ჰიმლერს განგების მიერ ნაკარნახევი საიდუმლოება და დაავალა დაუყოვნებლივ მოესპო ექვსი მილიონი ებრაელი... ჰიმლერმა გაუბედა თურმე, ასე უცებ ამდენი ხალხის მოსპობა ძნელიაო, და თანაც დასძინა, უკვე

დავიღალე ამ საქმითო, მაგრამ ამაზე ჰიტლერი განრისხებულა და გაულანძღავს იგი. ჰიმლერმა შერე კი ინანა, „წუთიერი, მდაბალი წუთიერი, სისუსტე და ეგოიზმი“ რომ გამოიჩინა, და თავისი გულისტკივილი პირად ექიმს კერსტენს გაანდო, რომელმაც გერმანიის დამარცხების შემდეგ მთელ ქვეყანას მოსდო ეს ამბავი... მოგონებათა წიგნში იგი წერს, რომ 1942 წელს მასთან მივიდა დაღვრემილი ჰიმლერი და შეჰჩივლა:

— ექიმო, მე დიდ დეპრესიას განვიცდი. განგებამ გაანდო ჰიტლერს საიდუმლო: ვიდრე თუნდაც ერთი ებრაელი იცოცხლებს ქვეყანაზე, მშვიდობა არ დამყარდებაო. მან მიბრძანა დაუყოვნებლივ შევუდგე იმპერიის ფარგლებში ყველა ებრაელის მოსპობას...

ეს მაშინ იყო, როცა სტალინგრადთან გამძვინვარებული „მსოფლიო ყინულის“ სტიქია ამსხვრევდა ჰიტლერელთა კოსმოგონიას. ყინულის მეუფე „მსხვერპლს მოითხოვდა და ჰიტლერმა გადაწყვიტა ექვსი მილიონი ებრაელი ზვარაკად შეეწირა...

ყველაზე დიდი ტრაგედია სწორედ მაშინ დატრიალდა. თავისი „დანაშაული“ რომ გამოესყიდა, ჰიმლერი სულ გაცოფდა. იგი მოითხოვდა სიკვდილის ბანაკებისა და კრემატორიუმების გამტარუნარიანობის გადიდებას და ებრაელების საკითხის „საბოლოო გადაწყვეტას“.

ევროპის ყველა კუთხიდან დაიძრა ეშელონები „სამსხვერპლო ზვარაკებით“, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე გაჰყვა მაშინ კვამლსა და ფერფლს...

„მსოფლიო ყინულის“ მძვინვარება კი მაინც არ დაცხრა... ვერც შამპულაჰის გული მოიგო ჰიტლერმა...

გერმანელები სასტიკად დამარცხდნენ სტალინგრადთან...

...არანაკლებ საყურადღებოა ჰიტლერისა და მისი თანაშებრძოლების მონაწილეობა ტიბეტურ საზოგადოება „თულეში“ (Thule). ეს საზოგადოება, როგორც ჩანს, დააარსა კარლ ჰაუსჰოფერმა. ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის თითქმის ყველა მეთაური გახდა ამ საზოგადოების წევრი: ჰიტ-

ლერი, გერინგი, ჰიმლერი, როზენბერგი და სხვები. მათი თავ-დაპირველი „ხელმძღვანელი“ იყო მისტიკოსი დიტრიჰ ეკარტი. რომელსაც ჰიტლერი თავის „სულიერ მოძღვრად“ თვლიდა. ეს სწორედ მან განუმტკიცა ჰიტლერს მისტიკური მიდრეკილება მაგიისადმი. მანვე აკურთხა პირველად „გერმანელი ხალხის მომავალი ფიურერი“.

— გაჰყევით ჰიტლერს, — წერდა თავის ანდერძში ეკარტი, — იგი წამოიწყებს როკვას. რომლის მუსიკა დავწერე მე!..

ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობას ახლაც ადარებენ წმიდა ვიტეს პაროქსისტულ როკვას. რაუშნინგი კი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე წერს:

— ნაციონალ-სოციალიზმი — ეს არის წმიდა ვიტეს როკვა მეოცე საუკუნეში!

ამას რომ გიყვებით, ახლაც თვალწინ მიდგას ნიურნბერგში ნანახი გერმანული დოკუმენტური ფილმები. რაჰდენჯერ მინახავს, „მორიგი გამარჯვების“ შემდეგ ჰიტლერი რომ ცალ-ცალი ფეხით როკავდა, ხოლო მაგიდაზე ჰიპოპოტამივით აბობღებული გერინგი დაპყრობილი ქვეყნის რუკაზე ბუქნაობდა...

...ყოველივე ამას მართლაც მაგიური კულტის სახე ჰქონდა. საზოგადოება „თულეც“ ჩამოყალიბდა როგორც რელიგიურ-მისტიკური სექტა. მისი სახელწოდება დაკავშირებულია ძველ გერმანულ მითოლოგიასთან. გადმოცემის ჰიბედვით, სადღაც ჩრდილოეთში არსებობდა კუნძული თულე, რომლის მოსახლეობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თანამედროვე ადამიანებისაგან. იმათ უფრო მაგიურ-ინსტინქტური კავშირი ჰქონდათ სამყაროსთან, ვიდრე გონებრივ-ინტელექტუალური. მათი „მაგიური ცივილიზაციაც“ სხვაგვარი იყო: ზღაპრული. უფრო წარმოსახვითი, ვიდრე რეალური. მერე ის კუნძულიცა და ცივილიზაციაც შთანთქა წყლის სტიქიამ. მაგრამ მისი კვალი მთლიანად არ გამქრალა. ეკარტი ამტკიცებდა, რომ იმ კუნძულის იდუმალებას ნაზიარევთა თუ განდგომილთა მცირე ჯგუფი ახლაც კავშირშია ყველაფერთან, რაც იქ იყო. ისინი

ფლობენ უნარს, რამაც თანდათან უნდა მოიყვანოს მოძრაობაში საიდუმლო ძალები და უზრუნველყოს ახალი ზეკაცობრიული ბატონობა სამყაროში. ასეთი ზეადამიანები წაიყვანენ ლეგიონებს ბრძოლაში და დაიპყრობენ მთელ მსოფლიოს. მათი მეთაური იქნება ღმერთ-კაცი, უდიდესი მოგვი და მბრძანებელი, რომლის ნებას დაემორჩილება მთელი მსოფლიო...

ასეთ „ღმერთ-კაცად“ და „წინასწარმეტყველად“ გამოცხადებულ იქნა მათი „ფიურერი“ ადოლფ ჰიტლერი!..

...ბევრისთვის დღესაც გაუგებარია, როგორ მოხდა ყოველივე ეს? როგორ შეიჭრა შავი მაგია და მისტიკა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში? სწორედ რომ პოლიტიკურში, თორემ დასავლეთის აზროვნებაში ძველაღმოსავლური და შუასაუკუნეობრივი მისტიკა უკვე ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანვე იყო ფეხმოკიდებული. ახალი აქ სწორედ ის არის, რომ ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის მესვეურებმა მაგია და მისტიკა სპირიტუალისტურ-ოკულტივისტური თუ ეზოტერული მოძღვრებანი არა მარტო რელიგიური მსოფლმხედველობის, არამედ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საფუძვლად აქციეს. ეს ისე მოულოდნელი, უცნაური და გაუგებარი იყო ჩვენი საუკუნის ტექნიკურ-მეცნიერულ აზროვნებისათვის, რომ გაოცებული რაუშნინგი წერდა, ყოველივე ამის „ფესვები იდუმალების სფეროშია დაფარულიო“.

ეს, მართლაც, ფანტასტიკურიცაა და რეალურიც, მისტიკურიცა და ნამდვილიც. წერენ კიდეც, ის საშინელებანი, რაც მოხდა, მარტო სოციალური და პოლიტიკური დოქტრინებით არ აიხსნებაო. არც ჩვეულებრივ იურიდიულ ნორმებში თავსდება ყველაფერი, რაც მათ ჩაიდინეს საერთაშორისო სამართლის მიმართ. ხალხთა მასობრივი მოსპობა და ნგრევის ჟინი ნაცისტურ გერმანიაში რაღაც რელიგიურ კულტამდე თუ მისტიკურ ექსტაზამდე იქნა აყვანილი. ასეთი იყო ცნობილი

აუტო დაფე წიგნებისა, როგორც კულტი... საჯაროდ, მოედანზე, ფერხულითა და შეძახილებით... რასაც დემონების შაბაშს, ფლაგელანტების მოძრაობას თუ ვიტეს პაროქსისტულ როკვას ადარებენ. ეს, მართლაც, დიდისა და შეუძლებლის განამდვილების მისტერიას ჰგავდა, ახალ მესიანიზმს, მსოფლიო წარღვნისა და ქაოსის შემოქმედებითი ძალის რწმენას...

ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის ხელმძღვანელები მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე იყვნენ შეპყრობილი ამგვარი მაგიურ-მისტიკური იდეებით. ჰიტლერის „ღვთაებრიობისა“ და „ხელდასხმულობის“ მითიც, ალბათ, ამის შედეგია. ბევრი ახლაც ამტკიცებს, რომ იგი „დემონური პიროვნება“ იყო, სხვები ირონიულად შენიშნავენ — ეშმაკთან წილნაყარიო. ჩვენთვის ამას მხოლოდ ალეგორიული მნიშვნელობა აქვს. თუმცა არც ესაა უაზრო. მოხდენილი ალეგორია სინამდვილის სწორ აღქმაში გვეხმარება. ამ შემთხვევაშიც ასეა...

...ძველი გერმანული თქმულების მიხედვით, დოქტორი ფაუსტი შუაღამით შპესერის ტყეში შევიდა, თავის გარშემო მაგიური წრე შემოხაზა და უხმო ჯოჯოხეთის სულებს...

დედამიწამ ზანზარი დაიწყო, ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, ელვის მახვილები ჰკვეთდნენ მოქუფრულ ღრუბლებს, ქარიშხალი ძირფესვიანად გლეჯდა ხეებს, ანგრევდა ყველაფერს და შიშის ზარს სცემდა ადამიანებს...

თომას მანის თქმით, ფაუსტი მაშინ „გერმანელობის ავბედით სულს განასახიერებდა“, იგი საკუთარი სისხლით დებდა ხელშეკრულებას ბოროტ ძალებთან...

ჩვენს ეპოქაშიც ასე მოხდა. ჰიტლერმა გერმანიის გარშემო შემოხაზა ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის მაგიური წრე და უხმო ქვესკნელის ძალებს...

მეფისტოფელი ამჯერად ადოლფ ჰიტლერის სახით გამოცხადდა მის წინაშე...

...ფაუსტურ ლიტერატურაში ცნობილია, ის მეფისტოფელი რომ „დამპალი კვერცხივით“ უპირებდა ჩვენს პლანეტას გა-

ჭყლეტას... ამქვეყნიური „მეფისტოფელებიც“ ოცნებობდნენ კაცობრიობისათვის ხმლის ერთი მოქნევით მოეკვეთათ თავი. ჰიტლერი სისხლიანი წარღვნით უპირებდა წალეკვას „პლანეტის ბაცილებს“. კიდევაც აიშალნენ დემონები ბროკენის მთაზე და მთელ მსოფლიოს დაუპირეს დაპყრობა. ამ მიზნით აიარაღებდნენ ისინი გერმანელ ხალხს, ახალგაზრდობას, არმიას. გერმანელი ჯარისკაცების ოფიციალური სააღლუმო სიმღერაც ასეთი სიტყვებით იწყებოდა:

თუნდაც მთელი მსოფლიო იქცეს ნანგრევებად,
ჯანდაბას! მიგვიფურთხებია ყველაფრისათვის!
სულერთია, ჩვენ მაინც გავწევთ წინ,
რადგან დღეს გვეკუთვნის გერმანია,
ხვალ კი — მთელი მსოფლიო!..

დაუსრულებელ მიტინგებსა და საზეიმო შეკრებებზე ისევ ხმას იხლეჩდნენ ნაცისტი პროპაგანდისტები. გებელსმა ცხრა ენა გამოიბა:

— მსოფლიო შეთქმულია ჩვენ წინააღმდეგ, — ყვიროდა იგი, — გვახრჩობენ მცირე ტერიტორიაზე, არ უნდათ მოგვცენ სასიცოცხლო ფართობი! თუ იარაღს მოვკიდეთ ხელი, მაშინვე ყველა სახელმწიფო პირს შეკრავს და მოგვესევა. ამიტომ აუცილებელია უცხო ქვეყნების დაპყრობა და მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვება...

ჰიტლერი ხომ სულ ქადაგად იყო ქცეული:

— ჩვენი ხალხის მომავალი მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როცა გერმანია მსოფლიო სახელმწიფოდ იქცევა, — ამბობდა იგი და დასძენდა:—ეს არის ჩემი ცხოვრების მიზანიო...

მუყაოს პლანეტა...

ამგვარ ჰიპერტროფიულ წარმოსახვას საზღვარი არა აქვს. არც ილუზიებს ადამიანისას. იგი ისე კარგავს საკუთარ საწყისს და ფანტასტიკურ მირაჟებში გადადის, რომ სრულიად

სცილდება სინამდვილისა და შესაძლებლობის სფეროს. ვინც ასეთ მირაჟებს მისდევს, უნდა საკუთარ ჩრდილს გადაახტეს. მისი სურვილები დაუოკებელია. იგი ისეთი „აღუვსებელი საწყაულია“, რომ არც იცის კმაყოფილების გრძნობა.

იულიოს კეისარმა დიდების ზენიტს რომ მიაღწია, მაინც უკმაყოფილოდ იკითხა:

— ნუთუ ეს არის ყველაფერი?!.

ჰიტლერიც კეისრის პოზას იღებდა და სულ საკუთარი ილუზიების ჩრდილს მისდევდა. უნდოდა მთელი მსოფლიო დაეპყრო. ცნობილი გერმანელი მრეწველი ტისენი წერს, „ჰიტლერი რასაც ხედავდა, ყველაფერი მისი უნდოდა ყოფილიყო“.

ხედავდა კი ბევრს! დედამიწის ყველა კუთხეს, მსოფლიოს, მთელ ჩვენს პლანეტას. ბერჰტესგადენის რეზიდენციაში მან უზარმაზარი გლობუსი დაიდგა და დაატრიალა. მერე ამ მუყაოს პლანეტას თითი აძგერა და გააჩერა:

— ევროპა!..

ამის შემდეგ პირზე სულ ეს სიტყვა ეკერა. „გერმანია— ეს ევროპაა!“ — განაცხადა მან და რაუშნინგთან საუბრის დროს ასე განავითარა თავისი აზრი:

— ნამდვილი გერმანია მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როცა ის ევროპად იქცევა. ვიდრე ევროპას არ დავიმორჩილებთ, სულ ასე უმწეო მდგომარეობაში ვიქნებით, რადგან ჩვენი სასიცოცხლო ფართობის კომპლექსი ევროპა და მისი კოლონიებია. ვინც ევროპას დაიპყრობს, თავის დაღს დაასვამს ისტორიას!.. ჩვენ კი სხვა გამოსავალი არცა გვაქვს. ორ'მი ერთი: ან უნდა ვმართოთ მთელი ევროპა, ან უმნი'მვსელო სახელმწიფოდ ვიქცეთ!..

მერე ისევ მოავლო „მუყაოს პლანეტას“ თვალი და ასე მოხაზა „გერმანული ევროპის“ საზღვრები:

— აღმოსავლეთით ჩვენ უნდა ვიბატონოთ კავკასიამდე და ირანამდე, დასავლეთით — საფრანგეთის საზღვაო ნაპირებამდე. ჩვენ გვინდა ფლანდრია და ჰოლანდია, ყველაზე უფრო—შვეცია და ნორვეგია... ჩვენ უნდა ვმართოთ ევროპა და დავიბრუნოთ კოლონიები. ამ უზარმაზარი იმპერიის ცენტრ-

ში მე მოვათავსებ დიდ გერმანიას, ავსტრიას, ბოჰემიას, მორავეთს, დასავლეთ პოლონეთს, მერე აღმოსავლეთსაც, ბალტიისპირა ქვეყნებს, უკრაინას, ვოლგის სანაპიროებს, საქართველოს...

ეს იქნება გიგანტური კავშირი, მაგრამ არა თანასწორუფლებიანი პარტნიორებისა, არამედ ვასალური ქვეყნებისა, რომელთაც არ ეყოლებათ საკუთარი არმია და არც ექნებათ დამოუკიდებელი პოლიტიკა ან ეკონომიკა. მე განზრახული არა მაქვს შევქმნა გაერთიანება სანტიმენტალურ ნიადაგზე, არც განვასხვავებ ერთმანეთისაგან მტრებსა და მეგობრებს. პატარა სახელმწიფოების დრო წასულია. ისინი შთანთქმული იქნებიან დიდი იმპერიის მიერ. ეს, ცხადია, ხელის ერთი დაკვრით არ მოხდება, მაგრამ მე აქეთკენ წავალ მტკიცე ნაბიჯებითა და რკინისებური ნებისყოფით...

რაკი აქ სიტყვა „კავშირია“ ნახმარი, იქნებ ვინმეს ეგონოს, რომ ჰიტლერი გულისხმობდა ცალკე სახელმწიფოების არსებობას გერმანიის პროტექტორობით. არა. იგი გადაჭრით აცხადებდა:

— ჩვენ არ გვინდა პანევროპა გერმანელი კეთილი ბიძის მეთაურობით. ჩვენ გვინდა დაპყრობილი ხალხები და ქვეყნები.

რაუშნინგმა რომ შეჰბედა და უთხრა, იქნებ ეს შეკავშირების გზით მოხერხდესო, ჰიტლერმა იყვირა:

— ბრიტანეთი? განა ბრიტანეთი ქურდობისა და ყაჩაღობის გზით არ იქცა იმპერიად! ეს რა, „შეკავშირების“ პოლიტიკა იყო, თუ ძალის?

— ყველა ეპოქას თავისი მეთოდები და საშუალებები აქვს, ჩემო ფიურერ! — გაუბედა ისევ რაუშნინგმა.

აქ კი იფეთქა ჰიტლერმა. წამოხტა, მაგიდას მუშტი დასცხო და უკივლა თავის სტუმარს:

— თქვენ სცდებით, ვაჟბატონო! ერთი რამ ყოველთვის უცვლელი რჩება: ძალა! იმპერიები იქმნება მახვილით, უპირატესი ძალით და არა შეკავშირებით!

მერე სულ აიწყვიტა: „დიდი გერმანული ევროპიდან“ კოლონიებზე გადავიდა, „ევრაზია“ და „ევრაფრიკა“ შექმნა,

აქეთ ოთხი კონტინენტი „დაიმორჩილა“, იქით კი ამერიკას მიადგა და, ვითომ მოქნეული არავის გაუზომავსო, ოკეანეს ბადით მოუნდომა დაჭერა:

—ბრაზილიაში ჩვენ ახალი გერმანია უნდა შევქმნათ— ყვიროდა იგი,—არგენტინა და ბოლივია დავიპყროთ, მექსიკაში ნაციონალ-სოციალისტური წყობილება დავამყაროთ...

აქ მან ხმას დაუწია, თვალები ჭერს მიაპყრო და, თითქოს ნატვრის თვალი ეპოვნოს, ისე გატაცებით წარმოთქვა:

— ჩვენ რომ მექსიკა გვქონდეს, ყველა სიძნელეს ერთბაშად გადავწყვეტთ. შეერთებულ შტატებში მე უზრუნველყოფ გერმანიის ხელმძღვანელ როლს. იქ მე საკუთარი მოიერიშეები მეყოლება...

— მე ვშიშობ, ჩემო ფიურერ, რომ თქვენი გეგმები ჩაიშლება, ვიდრე მომწიფებას მოასწრებდნენ, — ჩაერია მათ ლაპარაკში რომელიღაც სტუმართაგანი.

ჰიტლერი ისევ გახელდა. სტუმრის ნათქვამი პირად შეურაცხყოფად მიიღო, ასე ეგონა, ცის ბორბალი მარტო ჩემს თავზე ტრიალებსო, აქ კი „ვიღაც თავხედებს“ ეჭვი შეჰქონდათ მის ყოვლისშემძლეობაში! ამიტომაც უყვირა თავის „უზომოდ გაკადნიერებულ“ თანამესუფრეს:

— თქვენ სცდებით, ვაებატონო, თუ ფიქრობთ, რაც ჩემამდე არ გაკეთებულა, ვერც მე გავაკეთებ მას. ნუ გგონიათ, რომ მე ამერიკაში ჯარის ნაწილებს გავგზავნი. არა! იქ ყველაფერს ჩემი კონკვისტადორები გააკეთებენ!..

მერე ისევ მოყვა დაუსრულებელ ქადაგებას, თუ როგორ დაიპყრობდა მთელ მსოფლიოს: ევროპას, აზიას, აფრიკას, ამერიკას, ავსტრალიასაც კი...

...მონტენი გვიამბობს პლუტარქეს მიერ გადმოცემულ ამბავს: როცა მეფე პიროსმა იტალიაზე გალაშქრება გადაწყვიტა, მისმა ბრძენმა მრჩეველმა კინეადმა, ამ გადაწყვეტილების უგუნურება რომ ეგრძნობინებინა მისთვის, ჰკითხა:

— რისთვის წამოიწყეთ, მეუფეო, ეს დიდი საქმე?

— რომ დავიპყრო იტალია, — უპასუხა მეფემ.

— შემდეგ? — განაგრძო კინეადმა, — როცა ამას მიაღწევთ?

— მე გავილაშქრებ გალიისა და ესპანეთის წინააღმდეგ!

— შემდეგ?

— შემდეგ მე დავიპყრობ აფრიკას და ბოლოს დავიმორჩილებ მთელ მსოფლიოს, რათა ვიცხოვრო და მოვისვენო ჩემდა სანეტაროდ!

— ახლა რა გიშლით ხელს, რომ შეიქმნათ ასეთი მდგომარეობა? რატომ ახლავე არ დასახლდებით იქ, საითაც თქვენი წარმოდგენით მიისწრაფით, და არ აიცდენთ თავიდან ათასგვარ დავიდარაბას და მოულოდნელობას, რაც შეიძლება გზად გადაგეღობოთ?..

ამის შემდეგ მონტენი მიმართავს ლუკრეციუსის ავტორიტეტს და მოჰყავს ადგილი წიგნიდან „საგანთა ბუნებისათვის“:

— აქ არაფერია გასაოცარი, რამეთუ მან არ იცოდა, სად უნდა შეჩერებულიყო, ან სანამდის შეიძლება დიდდებოდეს ჩვენი ტკბობის სურვილი.

ბოლოს კი ისევ მონტენი წერს:

— ამ მსჯელობას დავამთავრებ ერთი უძველესი ავტორის ნათქვამით, რაც, ჩემი აზრით, შესაფერისია ამ შემთხვევისათვის:

„ბედი ჩვენი დამოკიდებულია ჩვენსავე ზნეობაზე!..“

...ჰიტლერელების „ბედი“ კი მსოფლიო ბატონობის „გლობალური იდეების“ უზნეობაზე იყო დამოკიდებული. როცა ჰიტლერი ამაზე ლაპარაკობდა, ნამდვილად შეშლილს ჰგავდა, სულ უფრო მეტი გაშმაგებით დარბოდა ოთახში, ხელებს იქნევდა, ხმაჩახლეჩილი ყვიროდა, ვიღაცას თუ რაღაცას მუშტს უღერებდა, ჩასისხლიანებულ თვალებს აბრიალებდა და ოფლში იღვრებოდა. ასეთ დროს მას თმები აწეწილი ჰქონდა, სახე მოქცეული, თითქოს რაღაც გრანდიოზულსა და შეუძლებელს ებრძოდა, თანაც აუცილებელსა და უსათუოს. მომავალი მას ესახებოდა როგორც მსოფლიო წარღვნა, კოს-

ბოსური ნგრევა და ქაოსი. იგი ხედავდა რაღაც გიგანტური ძალების შეჯახებას, რასაც უნდა წარმოეშვა გერმანელთა „ათასწლოვანი მსოფლიო იმპერია“...

რაუშნინგი წერს, „ყოველივე ეს მე გიჟის ნაბოდვარად მეჩვენებოდაო“. ადრე სხვაც ბევრი ფიქრობდა ასე. ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ რომ გამოვიდა, ამბობდნენ, „ეს ციხეში მჯდომი და გაბოროტებული კაცის ფანტაზიაა“. ისეთებიც იყვნენ, საერთოდ, ყურადღების ღირსად რომ არ თვლიდნენ „გიჟი ეფრეიტორის“ ენაშმაგობას...

სინამდვილეში კი რა გამოვიდა! ვერსალის გერმანიამ, სულ მოკლე ხნის, ექვსი წლის, განმავლობაში ისეთი კოლოსალური სამხედრო ძალა შექმნა, რომ იმ „გიჟი ეფრეიტორის“ თითის ერთ გაქნევაზე მსოფლიოს ყველა მიმართულებით მოძრაობდა სამასზე მეტი თავით ფეხამდე შეიარაღებული დივიზია, მძლავრი საზღვაო და საჰაერო ფლოტი. დასავლეთში მან დააჩოქა თითქმის მთელი ევროპა და გავიდა ლამანშზე. ინგლისი დღითიდღე ელოდა ჰიტლერელთა ურდოების შესევას. მათი საექსპედიციო კორპუსი იბრძოდა აფრიკაში. აღმოსავლეთით გერმანელებმა ვოლგის ნაპირებს მიაღწიეს და კავკასიას მოადგნენ, რომ აქედან გაელაშქრათ აზიის კონტინენტზე. მათი „ფაუ-I“ და „ფაუ-II“-ები კონვეიერებად მიემართებოდნენ ინგლისისაკენ. იყო დრო, როცა სპეციალური ემისრები გაიგზავნა ნიუ-იორკში, ამ ქალაქის საკონტინენტთაშორისო რაკეტებით დასაბომბავად. კიდევ „ხუთი წუთი“ და... შეიძლებოდა ატომის ყუმბარაც დაერტყათ სადმე... და უკვე არა ჰიტლერის „ნაბოდვარით“, არამედ სინამდვილით შეძრწუნებული რაუშნინგი წერდა:

— ყველაფერი ეს ფაქტად იქცა. ხოლო კაცი, რომელმაც ეს გააკეთა, მართლაც შეიძლებოდა დამთვრალიყო საკუთარი სიძლიერით და თავი ღმერთად წარმოედგინა...

ეს უნდა იქნეს წინასწარ მხედველობაში მიღებული, თუ გვინდა სწორად წარმოვიდგინოთ, რაოდენ სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა მაშინ კაცობრიობა... ახლა ვერც იმას დავუძახებთ „ნაბოდვარს“, ჰიტლერის უწყებებში რომ დაპყრობილი ტერიტორიების „განხალხების“ გეგმები დგებოდა,

ხოლო ათეულ მილიონობით ადამიანს „სალიკვიდაციო მასალად“ თვლიდნენ, ინგლისელებს საჰარაში გასახლებას უპირებდნენ, საბჭოთა ხალხს კი—აზიურ ციმბირში...

ცოდვის კალო...

ხალხთა მასობრივი „გასახლების“ ეს პოლიტიკა ჯერ კიდევ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის პერიოდიდან დაიწყო. ნიურნბერგის პროცესმა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, რადგან ცხადი გახდა, რომ გერმანულ დოკუმენტებში ასე ხშირად ხმარებული სიტყვა „გასახლება“ უფრო საშინელ რამეს გულისხმობდა, ვიდრე მისი შინაარსი.

ჰიტლერელები თავიანთი „საბოლოო მიზნების“ შესანიღბავად სხვა უფრო „ფაქიზ“ გამოთქმებსაც იყენებდნენ: „განსაკუთრებული პოლიტიკური საკითხი“, „სპეციალური მოპყრობა“, „საგანგებო ზომები და სხვა. ეს პირველად ბრალდებულ გრაფ ფონ ნოირატის დაკითხვის დროს გაირკვა.

როგორც მოგეხსენებათ, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ იგი ჯერ ჩეხიისა და მორავიის, ხოლო შემდეგ მთელი ჩეხოსლოვაკიის „პროტექტორად“ დაინიშნა. ნიურნბერგში ნოირატი განაწყენებული იყო, რომ „იმ ბანდიტებთან“ ერთად დასვეს საბრალდებულო სკამზე. თვითონ კი თავი „უცოდველ ჯენტლმენად“ მიაჩნდა. როცა „ობერ-ბანდიტი“ კალტენბრუნერი „სიცრუის სპექტაკლს მართავდა“ პროცესზე, ნოირატი თავისი კოლეგების შახტისა და ფრიჩეს მსგავსად აღშფოთებას გამოთქვამდა: „ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება ფიცის ქვეშ მყოფმა ადამიანმა ამდენი იცრუოსო“. ნოირატიც ამბობდა: „ღმერთმა დამიფაროს, მეც ავდგე და სიცრუის ასეთი სპექტაკლი გავმართოო“...

...ნათქვამია, სხვა სხვის ომში ბრძენიაო. დაკითხვის რიგმა რომ მოუწია, ნოირატმაც სცადა ამგვარი „სპექტაკლის“ გამართვა. იგი ისე უდარდელად ხმარობდა გამოთქმებს:

„გასახლება“, „სპეციალური მოპყრობა“, „საგანგებო ზომები“, თითქოს არ სცოდნოდა, რომ ყოველივე ეს უბრალოდ „მოსპობას“ ნიშნავდა...

— რატომ უნდა გაგესახლებინათ ჩეხი ინტელიგენცია მათივე სამშობლოდან? — ეკითხეთ ნოირატს ნიურნბერგში.

— იმიტომ რომ ინტელიგენცია წარმოადგენდა მთავარ დაბრკოლებას გერმანელებისა და ჩეხების თანამშრომლობის საკითხში, — გვიპასუხა მან.

სიტყვა „თანამშრომლობა“ ნოირატმა აქ იმიტომ იხმარა, რომ ნამდვილი მიზანი დაეფარა. მაგრამ გამომძიებელი ადვილად ხვდება ამ ფანდს და ეკითხება:

— განა თქვენ, როგორც ბრძანეთ, ჩეხი და გერმანელი ხალხის თანამშრომლობა გინდოდათ?

— დიახ, თანამშრომლობა! — ამბობს ნოირატი.

— ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, სადაც ნათქვამია, რომ „თანამშრომლობა“ უადგილო გამოთქმაა იმ მიზნების გამოსახატავად, რაც გერმანელებს აქვთ ჩეხების მიმართ.

— ვის ეკუთვნის ეს სიტყვები? — შეშფოთდა ბრალდებული.

— თქვენ, ფონ ნოირატს! — მიუგო გამომძიებელმა.

ნოირატი ხვდება, რაზეა ლაპარაკი, და ირჩევს როგორმე შეარბილოს მდგომარეობა. მას „ახსენდება“, რომ „თანამშრომლობის“ ნაცვლად ხმარობდა ტერმინ „ასიმილაციას“, და ამბობს:

— შესაძლებელია, მაგრამ „თანამშრომლობაში“ მე სწორედ „ასიმილაციას“ ვგულისხმობდი.

— განა თანამშრომლობა და ასიმილაცია ერთი და იგივეა?

— შეიძლება მათ შორის შემხები წერტილები მოიძებნოს, — არ ტყდება ნოირატი, მაგრამ არც გამომძიებლები ნებდებიან.

— ვთქვათ, ასეა. მაშინ აგვიხსენით, რა საშუალებებით გინდოდათ ამ „ასიმილაციის“ მიღწევა?

ნოირატს, რა თქმა უნდა, უმძიმს ამის „ახსნა“. მან კარგად იცის, ეს „ასიმილაციაც“ რომ შეუფერებელი გამოთქმაა იმის გამოსახატავად, რასაც ნამდვილად აკეთებდა, მაგრამ მი-

კიბულ-მოკიბული ლაპარაკით ცდილობს აიცდინოს პასუხისმგებლობა, გამოცდილი დიპლომატია და ეხერხება სინამდვილისათვის ბურუსის მოხვევა. ათასი ფუთი ბრალდების ალეგორია კი მაინც ძალაშია. მტკიცების საფუძველი დოკუმენტებია და არა დიპლომატიური მანევრები.

— ხომ არ შეგიდგენიათ ამ საკითხზე რამე მემორანდუმი? — ეკითხებიან მოულოდნელად ნოირატს.

— არ მახსოვს! — იჩქარა მან პასუხის გაცემა.

გამომძიებელმა არამცთუ გაახსენა ეს, არაძედ წინაც დაუდო ასლი იმ მემორანდუმისა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა.

— ეს ჩემი მემორანდუმი არ არის! — განაცხადა ნოირატმა.

— მაშ ვისია?

— კარლ ფრანკისა.

— კარლ ფრანკი ვინ არის?

— ჩემი მოადგილე!

— კეთილი. თქვენ იცნობდით თუ არა ამ მემორანდუმს?

— არა, არ ვიცნობდი, ეს ფრანკის შედგენილია! — ჯიუტობს ნოირატი.

— განა ფრანკი თქვენ არ გითანხმებდათ ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებს?

— არა, ყოველთვის არა, — დაიბნა ბრალდებული, მაგრამ გამომძიებელი კარამდე მიჰყვა მის სიცრუეს:

— ამ შემთხვევაში?

— ამ შემთხვევაშიც არ შეუთანხმებია, — ისევ იცრუა ნოირატმა.

აქ კი იმ „ათასი ფუთის“ რამდენიმე მილიგრამმა გამოყო თავი და ნოირატს ახლა წინ იმ მემორანდუმის ასლი კი არა, დედანი დაუდვეს, რომელსაც მისი ხელით აწერია: „სავსებით ვეთანხმები. გაეგზავნოს ლამერსს ჰიტლერისათვის გადასაცემად. ნოირატი“.

— ახლა ხომ გაგონდებათ ეს მემორანდუმი? — ეკითხებიან მას.

ნოირატი დუმს. ან რა უნდა თქვას. მან ძალიან კარგად იცის, რა წერია ამ მემორანდუმში. ეს ხომ მისი სამუშაო

გეგმაა, რაც ითვალისწინებს ბოჰემიისა და მორავიის ან სრულ „განხალხებას“ ჩეხი მოსახლეობისაგან, ან, თუ ნაწილი დარჩება, მათ მიმართ — „სპეციალური ზომების“ მიღებას, „არასრულფასოვანი ჩეხებისა“ და მათი ინტელიგენციისადმი კი „სპეციალურ მოპყრობას“.

ეს პირდაპირ გამომდინარეობდა ჰიმლერის ადრინდელი მითითებიდან, რაც სრულიად საჯაროდ იყო განცხადებული:

— ჩვენ ან გადმოვიბირებით კარგი სისხლის პირებს, რომელთა გამოყენება მოგვიხდება, ან, — ბატონებო, თქვენ შეგიძლიათ ამას სისასტიკე უწოდოთ, მაგრამ ბუნებაც ხომ სასტიკია, — ჩვენ გავჟლეტთ მათ.

ჰიმლერი ამას აშკარად ამბობდა, სხვები კი — ქარაგმებით, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით რასაც ნიშნავდა ეს დაშიფრული ტერმინები: „განხალხება“, „სპეციალური მოპყრობა“ და სხვ. ნოირატს ხომ კიდევ უფრო კარგად მოეხსენებოდა ეს, რადგან თავის დროზე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, მონაწილეობას იღებდა „მთელი რასიული ერთეულების მოსპობის“ გეგმების შედგენაში; თანაც გრძნობს, რომ ჩვენთვის ყველაფერი ეს ცნობილია, და ამიტომ იძლევა ასე მიკიბულ-მოკიბულ პასუხებს.

— რას ნიშნავს „სპეციალური ზომები“? — ეკითხებიან მას.

— საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებას.

— „სპეციალური მოპყრობა“?

ნოირატი ერთხანს დუმს. ისევ ვუცდით, მაგრამ არაფერს ამბობს. გამომძიებელი იძულებული ხდება კითხვა გაუმეოროს.

— ამას წყვეტდა უმაღლესი ხელისუფლება, — ამბობს იგი მილეული ხმით.

— ჩვენ არ გეკითხებით, ვინ წყვეტდა ამას. უპასუხეთ კითხვაზე: რას ნიშნავს „სპეციალური მოპყრობა“?

ნოირატი მაინც დუმილს ირჩევს.

— თქვენ წარადგინეთ წინადადება „არასრულფასოვანი ჩეხებისა“ და ინტელიგენციისადმი „სპეციალური მოპყრობის“ შესახებ. ნუთუ არ იცით, რას ნიშნავს ეს?

— ლიკვიდაციას! — გამოსცრა კბილებიდან ნოირატმა.

— ესე იგი მოსპობას, არა? — დააზუსტა გამომძიებელმა.

— დიახ, მოსპობას, მაგრამ ჩვენ არ გვინდოდა მთელი ჩეხი მოსახლეობის მოსპობა! — ეძებს ხვრელს ბრალდებული.

— გვჯერა, — მიუგებს ამაზე გამომძიებელი, — მაშასადამე: ნაწილის განდევნა, ნაწილის საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსება, ნაწილის მოსპობა და, თუ ვინმე დარჩებოდა, მათი გაგერმანელება. ასეა, არა?

— დიახ, ასეა! — ადასტურებს ნოირატი.

— პირადად თქვენ თუ იძლეოდით განკარგულებებს ჩეხი ინტელიგენციის მოსპობაზე? — ეკითხება მეორე გამომძიებელი.

ნოირატს არც ამაზე სურს პასუხის გაცემა, მაგრამ იცის, უარი რომ თქვას, წინ ისევ იმ ათასი ფუთიდან რამდენიმე გრაპ მამხილებელ საბუთს დაუდებენ. ჩვენ კი რამდენიმე გრამი კი არა, ერთი უჯრა გვქონდა გატენილი ჩეხი ინტელიგენტების სიებით, რომელთა დახვრეტის შესახებ განკარგულება ნოირატმა გასცა.

ზოგჯერ აფიშებსაც აკრავდა ქუჩებში. ამ აფიშებზედაც ნოირატის ხელისმოწერაა...

...მერე საქმე უფრო გამარტივდა. პოლონეთში გერმანელები „ამდენი ცერემონიით“ თავს არ იწუხებდნენ. გენერალ-გუბერნატორი ჰანს ფრანკი დასცინოდა კიდეც „კოლეგა ნოირატს“ — იმ „მაწანწალა ინტელიგენტებს“ რომ ხვრეტს, ქუჩებში ამის შესახებ აფიშებს აკრავსო.

— მე რომ ასე მოვიქცე, — თქვა მან, — მაშინ პოლონეთის მთელი ტყეები არ მეყოფოდა იმდენი ქაღალდის დასამზადებლად, რაც ამგვარ აფიშებს მოუნდება!

ბოლოს არც ნოირატი იწუხებდა თავს ამით. ეს ხომ ის ნოირატია, კანონი რომ გამოსცა, „დამნაშავე და უდანაშაულო ერთნაირად ისჯებაო“. ან მის დანაშაულს ამდენი მტკიცება რად უნდა! მთელი ის ათასი ფუთი ბრალდება შეიძლება ორიოდე სიტყვითაც გამოიხატოს:

— ლიდიცე!.. ცოდვის კალო!..

...ჰაიდრიხის მკვლელობის მეორე დღეს იქ ესესელთა დამსჯელი რაზმელები გაჩნდნენ, ალყა შემოარტყეს მთელ სოფელს და დედაბუდიანად ამოჟლიტეს ყველა — ქალები, მოხუცები თუ ახალგაზრდები. მერე სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, გადაბუგული მიწა კი ტრაქტორებით გადახნეს და წავიდნენ.

მთელი მსოფლიო შეძრწუნებული იყო მაშინ ამ ველურობით... პროტესტებიც იქნა განცხადებული, მაგრამ მერე რა! ლიდიცეს ტრაგედია საფრანგეთშიც განმეორდა — ორადურში, იუგოსლავიაშიც და პოლონეთშიც — ბიდგოშში, საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე რომ არაფერი ვთქვა, სადაც ნგრევისა და სისხლისღვრის ტევტონური ჟინით გახელებულმა ჰიტლერელებმა განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს...

პროცენტული შეფარდება...

ყოველივე ეს „მსოფლიოს ნაციონალ-სოციალისტური ტრანსფორმაციისა“ და დედამიწის ხუთივე კონტინენტზე „მარადიული გერმანიის“ გლობალური კოლონიური იმპერიის დაარსების ისევ იმ „ჰიპერტროფიულ მიზანს“ ემსახურებოდა. ეს კი უკვე მარტო სიტყვები როდი იყო, არამედ მოქმედებად ქცეული საქმე. ჰიტლერმა ერთ-ერთი „სუფრული საუბრის“ დროს თქვა:

— მე არ მიყვარს გოეთე, მაგრამ პატივს ვცემ მის ერთ ფრაზას: „პირველად იყო საქმე“.

ჰიტლერს, როგორც ჩანს, ეს დიდებული სიტყვები თავისებურად ესმოდა. მან ამ „საქმეს“ წინ „ჯოჯოხეთური“ წაუმძღვარა და ისეთი გამოთქმა მიიღო, რაც მის პოლიტიკას უფრო ეთანხმებოდა, ვიდრე გოეთეს სიბრძნეს.

„საქმე“ კი, მართლაც, ჯოჯოხეთური იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უცხო სახელმწიფოების ვრცელი ტერიტორიები იქნა დაპყრობილი. ამან ახალი და იქნებ ყველაზე საშინელი „საჭირბოროტო საკითხი“ დააყენა დღის წესრიგში:

ამ ტერიტორიებზე გერმანელთა ბატონობის განსამტკიცებლად რამდენი დამპყრობელი იქნებოდა საჭირო და რამდენი დაპყრობილი? ჰიტლერელებისათვის ეს უწინარეს ყოვლისა „რაციონალური შეფარდების“ საკითხი იყო. ამისათვის ადგენდნენ გერმანელი დამპყრობლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სასურველი „რიცხობრივი შეფარდების“ გეგმას, რაც ათეულ მილიონობით „ადგილობრივი მოსახლეობის“ მოსპობას გულისხმობდა. არა რამე სხვა მიზეზის, წინააღმდეგობის ან დანაშაულის, არამედ აუცილებელი „პროცენტული შეფარდების“ მისაღწევად, რისთვისაც, ერთის მხრივ, „წმინდა არიული სისხლის გერმანელების“ რაოდენობა ევროპაში თანდათან 250 მილიონამდე უნდა გაეზარდათ, ხოლო, მეორეს მხრივ, გაეჟლიტათ ათეულ მილიონობით „დაბალი რასის“ წარმომადგენელი, რომ გერმანელი და არაგერმანელი მოსახლეობის სასურველი „წონასწორობისათვის“ მიეღწიათ, რაც, მათი აზრით, უზრუნველყოფდა ჰიტლერელთა „ათასწლოვანი მსოფლიო იმპერიის სამუდამო უშიშროებას...

ეს ისეთი შემაძრწუნებელი გეგმა იყო, რომ თვით ჰიტლერელებმა უწოდეს მას „ჯოჯოხეთური საქმე“ (Teufelswerk). თუ რა საშინელი ბოროტმოქმედება ჰქონდათ მათ ჩაფიქრებული ამ „საქმის შესასრულებლად, შეგვიძლია „უბრალო ციფრებითაც“ წარმოვიდგინოთ.

ვთქვათ, ჰიტლერელებს ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილობრივ გაგერმანელებით, ე. წ. „ბორმანის კანონების“ გატარებით,თუ ჰიმლერის მიერ შემუშავებული „ანთროპოლოგიური ღონისძიებებით“ ასი წლის განმავლობაში კიდეც მოეხერხებინათ გერმანელთა რაოდენობის 250 მილიონამდე გაზრდა. ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის საერთო პერსპექტიული ზრდის მეცნიერულ-სტატისტიკურ მონაცემებს და შევადარებთ ერთმანეთს, ასეთ სურათს მივიღებთ:

სტატისტიკური ორგანოების ოფიციალური ცნობით, დედაშიწის მოსახლეობა ყოველ წუთში 94 კაცით იზრდება, დღედამეში ჩვენს პლანეტას დაახლოებით 135 ათასი კაცი ემატე-

ბა. ერთ წელიწადში, მაგალითად, 1959 წელს, დედამიწის მოსახლეობის წმინდა მატება 50 მილიონს შეადგენდა. 1960 წელს დედამიწაზე 2914 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 1980 წელს ჩვენი პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 4223 მილიონი იქნება, ხოლო 2000 წლისათვის ეს ციფრი შვიდმილიარდამდე გაიზრდება. ვინ იცის, რა იქნებოდა 2050 წელს, როცა, ნაცისტების აზრით, ევროპაში 250 მილიონი გერმანელი უნდა ყოფილიყო? ახლა იფიქრეთ, რამდენი მილიარდი ადამიანი უნდა გაეყლიტათ ან რამდენად უნდა შეემცირებინათ მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა, რომ გერმანელებს უახლოესი ასი წლის განმავლობაში უზრუნველეყოთ მსოფლიო ჰეგემონიისათვის აუცილებელი „პროცენტული შეფარდება“.

აი, კიდევ ერთი მითიური ამოცანა, დასმული ჩვენი წარმოსახვის წინაშე. თუმცა ჰიტლერისათვის ეს მითი კი არა, პრაქტიკულად განსახორციელებელი პრობლემა იყო...

...ჰიმლერმა ჯერ კიდევ 1940 წელს შეადგინა ამ პრობლემის გადასაწყვეტად „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სრულიად საიდუმლო დოკუმენტი“, რომელშიც წერს:

— შაბათს, 25 მაისს, მე წერილობით წარვუდგინე ფიურერს საკუთარი მოსაზრებანი აღმოსავლეთ რაიონებში ადგილობრივ მოსახლეობასთან დამოკიდებულების შესახებ. ფიურერმა თავიდან ბოლომდე გადაიკითხა ექვსიევ გვერდი ჩემი პროექტისა და მიიჩნია ის სავსებით სწორად. გარდა ამისა, მან განკარგულება გასცა დაებეჭდათ ამ პროექტის მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი და გაფრთხილებოდნენ, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის საიდუმლო დოკუმენტს...

ჰიმლერმა მართლაც აკრძალა ამ პროექტის გამრავლება ან ციტირება ზეპირად თუ წერილობით და შეუდგა მის განხორციელებას პოლონეთის ტერიტორიაზე. ჯერ ჰიტლერის ნებართვით ეს პროექტი გააცნო პოლონეთის გენერალ-გუბერნატორს ფრანკს, რომელმაც მაშინვე აუღო ალღო „სიტუაციას“ და „თავის სატახტო ქალაქ კრაკოვში“ დაბრუნებისთანავე განაცხადა:

— ამიერიდან დასრულებულია პოლონელი ხალხის პოლიტიკური როლი. იგი წარმოადგენს მხოლოდ მუშახელს და სხვას არაფერს... ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ერთხელ და სამუდამოდ წაიშალოს თვით ცნება „პოლონეთი“...

ფრანკს ამ „ისტორიული მისიის“ შესრულებაში ესესისა და პოლიციის გარდა რეგულარული არმიაც ეხმარებოდა. სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსმა გენერალმა ჰალდერმა ასეთი ბრძანებაც გამოსცა: „იმპერიამ ხელი უნდა შეუწყოს გენერალ-გუბერნატორს ამ ჯოჯოხეთური საქმის დაგვირგვინებაში“. ფელდმარშალმა რუნდშტედტმა კი ბერლინის სამხედრო აკადემიის მსმენელებს უფრო გულახდილად განუცხადა:

— მეზობელი ხალხებისა და მათი სიმდიდრის მოსპობა სრულიად აუცილებელია ჩვენი გამარჯვებისათვის!..

თქვენ, ალბათ, გახსოვთ, ჰიტლერი ამგვარ „ჯოჯოხეთურ საქმეს“ „მთელი რასიული ერთეულების მოსპობას“ რომ უწოდებდა. ამ საქმის სპეციალისტი კი ჰიმლერი იყო. იგი საგანგებოდ ჩავიდა კრაკოვში და, „ვისაც ჯერ არს“, გააცნო თავისი პროექტი, რაც გულისხმობდა „ყოფილი პოლონეთის“ ტერიტორიიდან ადგილობრივი მოსახლეობის 80-85 პროცენტის გასახლებას ჩრდილოეთ კავკასიაში, ციმბირსა და სამხრეთ ამერიკაში.

...მერე, როცა აღმოსავლეთის უფრო ვრცელი ტერიტორიები იქნა დაპყრობილი, „საჭირო გახდა“ ამ მართლაც ჯოჯოხეთური გეგმის კიდევ უფრო გაფართოება. ჰიმლერის დავალებით იმპერიის უშიშროების სამმართველო ჯერ ჰაიდრიხის, ხოლო შემდეგ კალტენბრუნერის მეთაურობით გულმოდგინედ, გერმანული პუნქტუალობით, შეუდგა დაპყრობილი ტერიტორიების „განხალხებისა“ და ე. წ. „პროცენტული შეფარდების“ დამუშავებას. საერთო მითითება, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც ჰიტლერს ეკუთვნოდა. იგი ამბობდა:

— საქმე ეხება არა ხალხების დაპყრობას, არამედ ტერიტორიებისას, რაც „განხალხებულ“ უნდა იქნეს...

და შემდეგ:

— ექსპანსიის განხორციელება შეიძლება მხოლოდ ცო-

ცხალი ძალის შემუსვრით. წარსულში მთელი ტომებისა და ხალხების მოსპობა გამარჯვებულთა პროგრამატივას წარმოადგენდა...

რაუშნინგთან საუბრის დროს ჰიტლერმა თქვა:

— ყოველგვარი საშუალებით უნდა ვეცადოთ, რათა მსოფლიო დაიპყრონ გერმანელებმა. თუ ჩვენ გვინდა შევქმნათ დიდი გერმანული იმპერია, უწინარეს ყოვლისა, უნდა განვდევნოთ და გავეცლოთ სლავები: რუსები, პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, ბულგარელები, უკრაინელები, ბელორუსები. არ არის არავითარი საფუძველი, რომ არ გავაკეთოთ ეს!

იგი არც ერიდებოდა რამეს. მისთვის არ არსებობდა ცნებები: გონება, განათლება, ჰუმანიზმი, კანონი, სამართალი, სინდისი, პატიოსნება... ამაყობდა კიდეც ამით.

— განგებამ წინასწარ განსაზღვრა, რომ მე ვიქნები კაცობრიობის უდიდესი მხსნელი, — დაიტრაბახა მან რაუშნინგთან საუბრის დროს. — მე ვათავისუფლებ ადამიანებს გონების დამაბრკოლებელი საწყისისაგან, რამაც შებოჭა ისინი; ჭუჭყიანი და გამრყვნელი დამცირებისაგან, რასაც პიროვნება იტანს; ქიმერისაგან, რომლის სახელია სინდისი და მორალი; თავისუფლებისა და პიროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნილებისაგან, რისი ატანაც შეუძლიათ მხოლოდ მცირეოდენთ. მე მადლობელი ვარ ბედისწერისა, რომ არ გამიმზადა კურთხევა სახელმწიფოსი და თვალებზე არ ჩამომაფარა ფარდა, რომელსაც მეცნიერული განათლება ეწოდება. ამით მოვახერხე თავიდან ამეცილებინა მრავალგვარი გულუბრყვილო დაბნეულობა და ახლა ვიმკი ამის შედეგს. მე კოლოსალური ყინულისებური სიმშვიდით და რამე ცრურწმენის გარეშე ვუახლოვდები ყველაფერს.

საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისთანავე მან კიდევ უფრო გარკვევით განაცხადა:

— ჩვენი ძალა მოქნილობასა და სისასტიკეშია. ჩინგისხანმა სრულიად გულდამშვიდებით გაჟლიტა მილიონობით ბავშვი და ქალი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისტორია მასში, უწინარეს ყოვლისა, მაინც სახელმწიფოს დიდ ფუძემდებელს ხედავს. არც მე მენაღვლება, რას იტყვის ჩემზე ევროპის და-

ჩაჩანაკებული ცივილიზაცია. მე გავეცი ბრძანება და დავხვრეტ ყველას, ვინც ერთ სიტყვას დაძრავს საწინააღმდეგოდ. ამ ომის მიზანია არა გარკვეულ საზღვრამდე მისვლა, არამედ მოწინააღმდეგის ფიზიკური მოსპობა.

ამგვარი მითითების საფუძველზე 1942 წლის აპრილისათვის ჰიტლერის უწყებაში შედგა დაპყრობილ ტერიტორიებზე „მოსახლეობის ფილტრაციის" „გენერალური გეგმა", რომელსაც მიეცა კოდური სახელწოდება „Ost" („აღმოსავლეთი"). ეს გეგმა სახელმძღვანელოდ გადაეცა ალფრედ როზენბერგის სამინისტროს „კოლონიზაციის განყოფილების" უფროსს ე. ვეტცელს, რომელმაც მოიწონა იგი, მაგრამ მაინც საჭიროდ მიიჩნია თავისი შენიშვნები გაეკეთებინა. ეს „შენიშვნები" ახლა ჩვენ ხელთაა.

გადმოსცემს რა გეგმა „აღმოსავლეთის" შინაარსს, ვეტცელი წერს, რომ „უკვე დაპყრობილ ტერიტორიებზე დასახლებულ უნდა იქნეს 8 მილიონი გერმანელი". ამის მიხედვით,— განაგრძობს იგი, — სწორი შეფარდების ძისაღწევად, თანახმად მოცემული გეგმისა, დაპყრობილი ტერიტორიებიდან გასახლებულ უნდა იქნეს 31 მილიონი ადგილობრივი მცხოვრები.

ვეტცელს ეს „საკონტროლო ციფრი" არასაკმარისად მიაჩნია. მთელი მისი შენიშვნების აზრი კი მდგომარეობს „გასასახლებელთა" რიცხვის 31 მილიონიდან 45—51 მილიონამდე გადიდებაში, რაც თურმე უკეთ უზრუნველყოფდა გერმანელი კოლონიზატორებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სასურველ „პროცენტულ შეფარდებას". ვეტცელი იმასაც „აგდებს ანგარიშში", რომ „5-6 მილიონი ებრაელის ლიკვიდაცია მოხდება გასახლების დაწყებამდე", მაგრამ მაინც მიაჩნია, რომ „გეგმით დასახული ციფრები" ზუსტი არ არის.

— გარდა ამისა, მე მგონია, — წერს იგი, — გეგმაში გათვალისწინებული არ არის, რომ არაგერმანული წარმოშობის ადგილობრივი მოსახლეობა მომავალი 30 წლის განმავლობაში სწრაფად გაიზრდება.

ვეტცელი შეწუხებულია იმ სიძნელეებითაც, რასაც გერმანელთა ბატონობა ხვდება „სლავი ხალხის უზარმაზარი ბიო-

ლოგიური ძალის სახით". ამიტომაც ეოითხოვს სლავების „ბიოლოგიური დასუსტების" ღონისძიებათა გაძლიერებას და „გაგერმანელების" პროცესის დაჩქარებას. იგი მწუხარებას გამოთქვამს, რომ „ებრაელთა მსგავსად" სლავების სრული მოსპობა არ შეიძლება, რადგან ეს „პოლიტიკურ გართულებებს გამოიწვევს". ისე კი მათი გასახლება ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებულიო. ვეტცელი ანგარიშობს:

— თუ ამ 46-51 მილიონი ხალხის გასასახლებლად გეგმით გათვალისწინებული იქნება 30 წელიწადი, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად გასახლებულ უნდა იქნეს 700—800 ათასი კაცი, რისთვისაც საჭირო გახდება წელიწადში 700—800, ხოლო ბარგისათვის კიდევ რამდენიმე ასეული მატარებელი.

ვეტცელის ანგარიშით, მარტო პოლონელების გასახლებას დაჭირდება წელიწადში 1000-1200 მატარებელი, „რაც მშვიდობიანობის პერიოდში ტექნიკურად შესაძლებელიაო", დაასკვნის იგი.

ჰიტლერი და ჰიმლერი კი უფრო ადვილად უელიდნენ გვერდს ამ სიძნელეს. „გასახლებაში" ისინი ხომ უბრალოდ „მოსპობას" გულისხმობდნენ. ნიურნბერგის პროცესზე დადგინდა, რომ დაახლოებით ამასვე ნიშნავდა „გაგერმანელება". ჰიტლერს „განხალხებული ტერიტორიები" სჭიროდა და არა „ადგილობრივი მოსახლეობა". ამიტომ იყო, რომ „გერმანელი ხალხის საკრალური პრობლემა"—„ხ ა ლ ხ ი ს ა ს ი ც ო ცხ ლ ო ს ი ვ რ ც ი ს გ ა რ ე შ ე" მან შეცვალა დასახული მიზნით — „ს ა ს ი ც ო ცხ ლ ო ს ი ვ რ ც ე ხ ა ლ ხ ი ს გ ა რ ე შ ე". ამის მიხედვით იქნა შედგენილი საგანგებო ღონისძიებანი: ერთის მხრივ, სიკვდილის კომბინატები დაბალი რასების გასაჟლეტად, „რომელნიც მატლებივით მრავლდებიან", ხოლო, მეორეს მხრივ, „არიული რასის წარმოების" გაძლიერება მსოფლიო ჰეგემონიის უზრუნველსაყოფად.

ნიურნბერგში მე შემთხვევა მქონდა საკუთარი ყურით მომესმინა, თუ როგორ „ასაბუთებდა" კალტენბრუნერი ამ ჯოჯოხეთური გეგმის „აუცილებლობას". წინასწარ დაკითხვებ-

ზე იგი არც არაფერს მალავდა, პირიქით, აშკარად აცხადებდა ყველაფერს, რადგან უდანაშაულო ხალხის ასე მილიონობით ხოცვა-ჟლეტა ფიურერის მიერ დადგენილ „ბუნებრივ აუცილებლობად“ მიაჩნდა და არა თავის დანაშაულად...

სატანის მონა...

ეს გავიფიქრე მაშინვე, როგორც კი ის დაკითხვის ოთახში შემოიყვანეს. იმ დღეს მუშაობა არ მევალებოდა, მაგრამ მარკოვმა მთხოვა და სიამოვნებით შევცვალე. ეს საინტერესო შემთხვევა იყო ჩემთვის, მართალია შემზარავი, მაგრამ მაინც საინტერესო. ახლაც მგონია, რომ სწორედ იმ დაკითხვაზე გავიგე მათი „ჯოჯოხეთური საქმის“ მთელი საიდუმლოება. ადრეც ვიცოდი, რომ ყოველგვარი საშინელება, რაც კი საკონცენტრაციო ბანაკებში ხდებოდა, კალტენბრუნერის სახელთან იყო დაკავშირებული. იგი წლების მანძილზე განაგებდა პროფესიულ ჯალათთა კორპორაციას — უშიშროების ორგანოსა და გესტაპოს. ჰიმლერმა თავი მოიწამლა, ჰაიდრიხი მოკლეს, იმპერიის ოფიციალური ჯალათი № 3 კი განსასჯელთა სკამზე დასვეს.

— თქვენი სახელი და გვარი? — ეკითხებიან მას.

— ერნსტ კალტენბრუნერი! ამბობს იგი უხალისოდ. მარტო ამ გვარის ხსენება სცემდა შიშის ზარს მილიონობით ადამიანს. გარეგნობაც ისეთი აქვს: უზარმაზარი, ტლანქი, თითქოს ნაჯახით გამოთლილი სახე, სტუდენტობის დროს დუელებით დაჩეხილ-დასახიჩრებული, ზეთისფერი უგონო თვალები და, რაც მთავარია, უზარმაზარი ყურები. ხელები კი სადღაც მუხლებს ქვევით სწვდება და ძალაუნებურად გორილას გვაგონებს!..

იშვიათად თუ სჯის ბუნება ადამიანს ასეთი გარეგნობით! ისე, ცენზი არც მის განათლებას აკლია! როცა ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა პირველად ჰანს ფრანკის სახელი ახსენა, თქვა: არ შემიძლია სირცხვილის გარეშე განვაცხადო, რომ იგი იურისტიაო. კალტენბრუნერიც იურიდიულ მეც-

ნიერებათა დოქტორი იყო. მან კარგად იცოდა რას აკეთებდა და რატომ აკეთებდა! მეც ამიტომ მიპყრობდა მოუთმენლობა. მინდოდა გამეგო ყველაფერი: როგორ თავსდება ერთ სიბრტყეზე იურისპრუდენცია და კაცთმკვლელობა, საუნივერსიტეტო განათლება და ჯალათის ხელობა. ან ეთიკისა და მორალის ცნება თუ შეიძლება ახსენოს კაცმა აქ ისე, რომ მართლაც სირცხვილის გრძნობამ არ შეიპყროს! რაგინდ მრუში იყოს კაცის გონება, როგორ გაამართლებს იმას, რაც მოხდა ან რაც პირადად მან ჩაიდინა!..

...ის კი ზის ჩვენ წინაშე, მოთვინიერებული, ბედს შერიგებული, და ჩლუნგი თვალებით მისჩერებია ერთ წერტილს. ასე მგონია, საცაა დაამთქნარებს-მეთქი, და ტანში ჟრუანტელი მივლის. ეტყობა, ჯერ არც არის გარკვეული, რა ხდება მის გარშემო. არც არაფერს უარყოფს! რაც არ უნდა საშინელი ციფრი ან ფაქტი დაუსახელოთ, მაშინვე ადასტურებს. მის შუბლზე ერთი ძარღვიც არ ირხევა, როცა მილიონობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობის „ანგარიშს აბარებს“ გამომძიებლებს, გეგონებათ ამდენი და ამდენი მილიონი ფუთი ზორბლის მოწევაზე ლაპარაკობდეს. სფინქსივითაა, გაყინული, გაქვავებული, ენა მოძრაობს მხოლოდ, ისიც დუნედ. ლაშები ძირს ჩამოუშვია და ტკეპნით ყვება, სად რამდენი დახოცეს და კიდევ რამდენი უნდა დაეხოცათ. თან სულ მესამე პირით ლაპარაკობს, თითქოს სხვის მიერ ჩადენილ ამბებს ყვებოდეს. ნიცშეს რომ უთქვამს, „განდეგილისთვის მეგობარი ყოველთვის მესამეაო“, იქნებ კალტენბრუნერს ეგონა სწორედ ის „მესამე“ დაფარავს ჩემს დანაშაულსო. ამიტომ უქცევს ასე:

— ევროპაში ოც მილიონამდე კაცი მოსპეს, 30 მილიონი კიდევ უნდა მოესპოთ, ეს პირველ რიგში, დანარჩენი მერე,— ამბობს იგი და უმატებს:

— ასეთი იყო ფიურერის ბრძანება.

გამომძიებლებმა ჰკითხეს:

— მერე რამდენი?

— ეს ზუსტად არ ჰქონდათ დადგენილი, ისე რამდენსაც აუცილებლობა მოითხოვდა, — „განმარტა“ მან.

ეს ისევ ის „აუცილებლობაა“, გეოპოლიტიკოსების „შეფარდების თეორიით“ რომ განისაზღვრა და საფუძვლად დაედო კალტენბრუნერის პრაქტიკულ მოღვაწეობას.

— სინდისის ქეჯნას მაინც თუ გრძნობთ, როცა ამას ლაპარაკობთ! — ვერ მოითმინა გამომძიებელმა.

აქ კი შეიშმუშნა ბრალდებული, იწყინა კიდეც. ეტყობოდა, ვერც გაიგო, რა სახსენებელი იყო მისი სინდისი, როცა საქმე „სხვის მიერ ჩადენილ“ დანაშაულს ეხებოდა! ან თავს რატომ უნდა ვრძნობდეს დამნაშავედ? არავითარ შემთხვევაში! ამ „საკონტროლო ციფრებს“ სხვები ადგენდნენ, ის კი მხოლოდ ასრულებდა, ე. ი. ეს მის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა. თორემ, რაც მას ჩაუდენია, ყველაფერი პერსონალურ დანაშაულად რომ ჩაუთვალონ, ათიათასჯერ უნდა ჩამოახრჩონ. ეს თვითონაც იცის და ოდნავ ეღიმება კიდეც, ალბათ, ფიქრობს, რა სისულელეაო!..

ასე იყო წინასწარ დაკითხვებზე. მერე კალტენბრუნერმა ტაქტიკა შეცვალა და ტრიბუნალის წინაშე თავდაცვის სრულიად მარტივ ხერხს მიმართა: ყველაფრის უარყოფას. როგორც ჩანს, ამ შემთხვევებში იგი სხვისი კარნახით მოქმედებდა, სახელდობრ გერინგისა, რომელიც ურჩევდა თავის კოლეგებს—ყველაფერი უარყავით, ნურაფერს ნუ აღიარებთო. კალტენბრუნერს კი რაღა გერინგის რჩევა-დარიგება უნდოდა, როცა თვითონ ეკუთვნოდა იეზუიტების ორდენს, რომლის კატეხიზმოში პირდაპირ წერია:

— უარყავი! გაჯიუტდი! თქვი: არაფერი არ ვიცი, არაფერი არ გამიგონია!..

კალტენბრუნერიც ასე იქცეოდა. იგი ჯერ ფიცს დებდა ეთქვა „სიმართლე, მხოლოდ სამართლე და არაფერი გარდა სიმართლისა“ და... მაშინვე მოხსნიდა თავს ტყუილების გუდას. მერე რა! იეზუიტების კატეხიზმოში ხომ ესეც ეწერა:

— დადე ფიცი, რომ იტყვი სიმართლეს და... იცრუე რამდენიც გინდა!..

კალტენბრუნერიც ასე იქცეოდა. მართალია, ბრალდების

ფაქტებს ვერ უარყოფდა, მაგრამ ამბობდა, ყველაფერი ეს ჰიმლერისა და ჰაიდრიხის საქმეა, მე კი მარტო დაზვერვას ვხელმძღვანელობდიო.

აბა, იმდენად გულუბრყვილო ვინ იქნებოდა, რომ ეს დაეჯერებინა, როცა იმ ათასი ფუთი საბრალმდებლო დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მის მიერ იყო ხელმოწერილი. კალტენბრუნერი კი ისე იყო „სიცრუით განგოზილი“, რომ არც საკუთარ ხელმოწერას ცნობდა და „სიყალბეაო“ გაიძახოდა. ამან არა მარტო პროცესის მონაწილეების, არამედ თვით ბრალდებულთა ირონიული სიცილი გამოიწვია...

— კალტენბრუნერს ციხის ფსიქოზი სჭირს, იგი ყველაფერში ტყუის,—თქვა ბრალდებულმა შპეერმა.

ის კი თავისას არ იშლიდა.

— რა საქმე მაქვს ამ საშინელ ამბებთან! მე მხოლოდ დაზვერვა მეხებოდა! — გაიძახოდა იგი და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— არა, არ ვიცი, არ მახსოვს, არ მინახავს, ხელი მე არ მომიწერია...

დარბაზში მყოფნი სიცილს ვერ იკავებდნენ. გაბრაზებული ლოურენსიც უკვე ვეღარ ახერხებდა მათ დაწყნარებას. ბრალდებულებიც გამოცოცხლდნენ. გერინგმაც კი ვერ შეიკავა თავი და დენიცს გადაულაპარაკა:

— ჰო... ჰო... ჰო... ჰო!.. ერთი ამას უყურეთ, რას ლაპარაკობს!

დენიცმა შავი სათვალე მოიხსნა, მეორე რიგიდან წინ, პირველზე, გადაიწია და გერინგს უჩურჩულა:

— იმას რცხვენია თავისი თავისა!

ნამდვილად კი კალტენბრუნერს სირცხვილის გრძნობა სულაც არ აწუხებდა. როცა ერთხელ კიდევ დაუდეს წინ საკუთარი დოკუმენტი მასობრივი მკვლელობის შესახებ, ისევ უტიფრად განაცხადა, ეს ჩემი ხელმოწერა არ არისო.

დარბაზი ისევ ახმაურდა. ლოურენსმა ერთხანს აბრახუნა ხის ჩაქუჩი მაგიდაზე და, როცა სიჩუმე ჩამოვარდა, კალტენბრუნერმა სულ ანგელოზის სახე მიიღო და დაუმატა:

— ვიღაცას მოუწერია ხელი ჩემ მაგივრად!..

ეჰ, სად იყო ჩვენი ტრაინინი, თორემ აქაც, ალბათ, სოლომონ ბრძენის სიტყვებს გაიხსენებდა:

— ...ურცხუინო პირი არა კეთილ არს სამსჯავროსა შინა...

...ყველაზე „ურცხუინო“ ტყუილი სწორედ ეს იყო: დანაშაული ჩადენილია, დამნაშავე კი არ არის! მთელი პროცესის მანძილზე მე არ მახსოვს, ჩადენილი დანაშაულის თუნდაც ერთი ფაქტი რომ უარეყოთ ბრალდებულებს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უღიარებია თავი დამნაშავედ. ტრიბუნალის მუშაობის პერიოდში გერმანიაში გაკრული იყო 200 ათასი განცხადება, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციების წევრებს უფლება აქვთ თვითონ წარდგნენ სასამართლოს წინაშე და იმართლონ თავი. ასეთი განცხადებები გამოქვეყნდა პრესაში და სისტემატურად ცხადდებოდა რადიოთი. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: 245 ათასმა კაცმა ითხოვა მოესმინათ მათთვის. მარტო ერთ, აუერბახის სამხედრო ტყვეთა ბანაკში 923 ოფიცერმა და 16964 ჯარისკაცმა მისცა წერილობითი ჩვენება. ასევე მოხდა სხვა ბანაკებშიც. ნიურნბერგის ტრიბუნალში, როგორც მოგახსენეთ, 310 ათასი წერილობითი ჩვენება იდო, მაგრამ არც ერთის ავტორი არ ცნობდა თავს დამნაშავედ: არც ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრები, არც ესესელები, გესტაპოელები, თუ დამსჯელი რაზმელები, ე. ი. ისინი, ვინც მოსპო მილიონობით უდანაშაულო ადამიანი. ასე იქცეოდნენ მთავარი სამხედრო დამნაშავენიც ნიურნბერგის პროცესზე. ისინი აღიარებდნენ, რომ დანაშაული ჩადენილია, ამდენი ხალხი დახოცილია, მაგრამ პირადად თურმე არც ერთ მათგანს არ მიუძღვის ამაში ბრალი. აქ ამერიკელ ბრალმდებელს, ჯეკსონს ისევ შექსპირის გახსენება მოუხდა:

როცა ლედი ანა წყევლის რიჩარდ მესამეს „სხვების უღირსად, უსამართლოდ ხოცვა-ჟლეტისთვის“, ჯალათი რიჩარდი ამბობს:

— მე ხომ ტყუილად მაბრალებენ იმათ დახოცვას?

ამაზე გაგულისებული ანა მიუგებს:

— მაშინ მკვდარნიც არ იქნებიან... მაგრამ ისინი მკვდარნი არიან შენის ხელით, სატანის მონავ!

ნიურნბერგშიც ამას ამტკიცებდნენ ბრალდებულები: მოკლულები კი არიანო, მაგრამ ძკვლელები—არა!.. და არც არავინ აღიარებდა თავს ასეთად...

...არც წინასწარ დაკითხვაზე მყოფი კალტენბრუნერი აპირებდა ამას და თავს იმართლებდა. მან, როგორც იურისტმა, კარგად იცოდა, რასაც ნიშნავს „აუცილებლობა“ და „მოვალეობა“! არც სხვებს ეშლებოდათ ეს. ცინიკური გულახდილობა არც ერთს არ აკლდა, გარდა შახტისა და პაპენისა. თვითონვე ამბობდნენ, რომ ყოველივე ეს სასტიკია, არაადამიანური, შემაძრწუნებელიც, მაგრამ — აუცილებელი. ვიმეორებ, რომ ნაცისტური პროპაგანდის მთავარი მიზანი ამ „აუცილებლობის“ შთაგონება იყო გერმანელი ხალხისათვის. უნდოდათ ეს ფატალური „აუცილებლობა“ შეგნებულ მოვალეობად ექციათ, ხოლო ვინც ამ „მოვალეობას“ ასრულებდა, გაეთავისუფლებინათ ყოველგვარი იურიდიული და მორალური პასუხისმგებლობისაგან. ეს მექანიზმი აბრუნებდა მთელ ამ ჯოჯოხეთურ მანქანას.

— აუცილებლობა!.. — გაიძახოდა კალტენბრუნერიც წამდაუწუმ. ცხადია, უნდა გვეკითხა: რა აუცილებლობაა ეს, ათეულ მილიონობით უდანაშაულო ადამიანის დახოცვას რომ მოითხოვს!..

— ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, ვერასოდეს განახორციელებდნენ ფიურერის იდეას, — ამბობს იგი: მათ ხომ განზრახული ჰქონდათ ბატონობა ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და საბჭოთა კავშირში ურალამდე ჩათვლით (inklusiv),— არაფერი გამოტოვა კალტენბრუნერმა. ამისათვის ეს მასობრივი რეპრესიები აუცილებელი იყო და ისინიც ითვალისწინებდნენ ამას. ან სხვა რა გზა ჰქონდათ! ასეთ ვრცელ ტერიტორიებზე და ხალხებზე რომ იბატონო, ჯერ მათი წინააღმდეგობის ძალა უნდა გასტეხო, მერე კი კვლავ აღორძინების პოტენ-

ციური შესაძლებლობა მოუსპო მათ. თუ ამას არ გააკეთებ, ვერც იბატონებ მათზე, ვინც ათჯერ და მეტჯერაც გჭარბობს რიცხობრივად.

ეს კალტენბრუნერს „ბუნებრივ ჭეშმარიტებად“ მიაჩნდა, რადგან თვით ჰიტლერი შთააგონებდა ასეთ აზრებს. წიგნში—„ჩემი ბრძოლა“ მართლაც წერია:

— უფრო ძლიერი რასა განდევნის სუსტებს, რადგან საშინელი და გაბედული სწრაფვა წინ, სიცოცხლისაკენ, უარყოფს ინდივიდუალისტურად განწყობილი კაცობრიობის სასაცილო გზებს და გაუთავისუფლებს ადგილს ადამიანებს, რომელნიც მოქმედებენ ბუნების კანონების შესაბამისად, რაც გულისხმობს სუსტების მოსპობას ძლიერების მიერ...

თავისი აზრის ამ „აუცილებელი დადასტურების“ შემდეგ კალტენბრუნერმა მაინც საჭიროდ მიიჩნია „სრულიად მარტივად“ აეხსნა ეს, თითქოს ჩვენ მერხზე მსხდომი მოწაფეები ვყოფილიყავით, ის კი—კლასის დამრიგებელი.

— აბა, წარმოიდგინეთ,—ამბობს იგი,—რამდენი ქალაქი, სოფელი ან, საერთოდ, დასახლებული პუნქტია ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და საბჭოთა კავშირში? დავუშვათ, რომ თქვენ სრულიად არ გაგეწიათ წინააღმდეგობა გერმანიის შეიარაღებული ძალებისათვის და გეთქვათ: კი, ბატონო, მობრძანდით და იბატონეთ, წინააღმდეგობას არც გაგიწევთო. რა უნდა ექნათ მაშინ? თქვენ გგონიათ, ეს უზრუნველყოფდა მათ გამარჯვებას? არავითარ შემთხვევაში! მთელი მათი არმიები რომ გაენაწილებინა ამოდენა ტერიტორიებზე, თითო დასახლებულ პუნქტს იმდენი მაინც არ შეხვდებოდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ცარიელი ხელებითაც არ მიეხრჩო ისინი, როცა ამას მოისურვებდა. ამაზეც ხომ უნდა ეფიქრა ჩვენს ფიურერს?

აქ კალტენბრუნერმა თავისი უზარმაზარი თათი აისვა ნაიარევ ლოყაზე და უფრო დაფიქრებული გამომეტყველება შიიღო. ჩვენ გაოგნებულები ვუსმენდით მას და ტანში გვაზრიალებდა, ის კი ისევ კლასის დამრიგებლის ტონით გვიხსნიდა ამ „უბრალო ჭეშმარიტებას“. შეიძლება უკვირდა კიდეც, ასეთი ელემენტარული რამ როგორ არ ესმითო!

— ჰოდა, იფიქრა კიდეც, — განაგრძო მან, — თუმცა აქ ივაზე მეტს რას მოიფიქრებ, თუ არ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის პოტენციური ძალის მოსპობას. ასეთ ძალას კი უმთავრესად ებრაელობა, კომუნისტები, სლავები და ინტელიგენცია წარმოადგენს. ამიტომ, ბუნებრივია, პირველ რიგში სწორედ მათი მოსპობა გადაწყვიტეს. უამისოდ ფიურერის ცდა გერმანელებისათვის სასიცოცხლო სივრცის მოპოვებისა და მსოფლიო ბატონობის განმტკიცებისა სულ ამაო იქნებოდა, შეიძლება — კატასტროფულიც, რადგან მოწინააღმდეგე სრულიად ადვილად მოსპობდა გერმანიის არმიასა და, საერთოდ, მის აქტიურ ძალას. ამიტომ იყო, რომ საიდუმლო პოლიციის მუშაკებს, მიცემული ჰქონდათ უმაღლესი სარდლობის კატეგორიული ბრძანება ამის თაობაზე.

კალტენბრუნერი აქ გულისხმობდა ფელდმარშალ კაიტელის ბრძანებას, სადაც ნათქვამი იყო: „აღმოსავლეთში დაპყრობილი ტერიტორიების ფართობის სიდიდის გამო უშიშროებისათვის განკუთვნილი ძალები საკმარისი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წინააღმდეგობის ყოველგვარი ცდა აღიკვეთება არა სასამართლო გამოძიებებით, არამედ ისეთი ტერორის შემოღებით, რაც შეძლებს წინააღმდეგობისადმი ყოველგვარი მიდრეკილების აღმოფხვრას“. და შემდეგ: „სარდლებმა თვითონ უნდა გამონახონ უშიშროების დაცვის ღონისძიებანი არა ახალი ძალების გამოთხოვით, არამედ დრაკონული წესების შემოღებით“.

კალტენბრუნერს ეგონა, რაკი იგი ასრულებდა ფიურერის იდეას, გამოხატულს კაიტელის ბრძანებაში, ამიტომ მისი სინდისი თავისუფალი იყო ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან... იმას კი არ ფიქრობდა რომ თვით ეს მსოფლიო ბატონობის იდეა იყო აბსურდული, რადგან მსოფლიო დიდია, გერმანია კი — პატარა. ხალხში რომაა ნათქვამი, „ცოტავ, სად მიდიხარო და — ბევრის მოსატანადო“, გერმანელებსაც ასე მოუვიდათ. კალტენბრუნერის ნათქვამიც ამას ადასტურებდა...

— კი მაგრამ ბავშვებს რატომ ხოცავდით? — ვეკითხებით ამ ჯალათ „იურისტს“.

— იმავე მიზნით, — მშვიდად განაგრძობს იგი: — მომა-

ვალზეც ხომ უნდა ეფიქრათ. ვთქვათ, მოესპოთ წინააღმდეგობის ძალა. მერე ეს ბავშვები რომ დაიზრდებოდნენ, ხომ ისევ გაჩნდებოდა საშიშროება. საჭირო იყო ამ საშიშროების ლიკვიდაციაც, ეს კი მაშინ უფრო ადვილი იყო, ვიდრე შემდეგ, როცა ისინი დაიზრდებოდნენ. ამიტომ ნაწილი ბავშვებისა უნდა დაეხოცათ, ხოლო ისინი, ვინც რასიულად სრულფასოვანი იქნებოდა, წაეყვანათ და გაეგერმანელებინათ. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებდა ადგილობრივ მოსახლეობას და ასევე მნიშვნელოვნად გაზრდიდა „ბატონთა რასის" რიცხვს.

თავს ძალას ვატანთ და მშვიდად ვეკითხებით:

— კი მაგრამ იმ ბავშვებს რას უპირებდით, მომავალში რომ უნდა დაბადებულიყვნენ?

გვეგონა, აქ მაინც მოვიდოდა გონს და მიხვდებოდა კითხვის ასე დაყენების ირონიას. საქმეში ხართ! კალტენბრუნერმა ახლა შუბლზე გადაისვა ხელი და ისევ მესამე პირით გვიპასუხა:

— ამისი რეგულირება მოხდებოდა სტერილიზაციის საშუალებით. გერმანელები თვითონ განსაზღვრავდნენ რამდენი არაგერმანელი უნდა დაბადებულიყო მათ ტერიტორიებზე, ე. ი. რამდენი მუშახელი იქნებოდა საჭირო.

ამას რომ ამბობდა, ჩვენ უხერხულად ვიშმუშნებოდით. ის კი თავისი ჭროღა თვალებით მოგვჩერებოდა და არხეინად განაგრძობდა:

— ეს შედარებით ადვილი საქმე იყო. ჰიმლერის უწყებაში უკვე სათანადო ცდებიც იქნა ჩატარებული. სპეციალური ჯგუფები შეუდგნენ კიდეც ამის განხორციელებას...

ახალგაზრდა დედაბერი...

ამგვარ ცდებს უმთავრესად „მემკვიდრეობის საკითხების შემსწავლელ სამეცნიერო ინსტიტუტებში" („Ahnenerbe") ატარებდნენ.

ამ ინსტიტუტებს თავისი ფილიალები და ლაბორატორიები ჰქონდათ საკონცენტრაციო ბანაკებთან გახსნილი, სადაც გა-

მოჩენილი პროფესორები, დოქტორები და ექიმები „მოღვაწეობდნენ“. „ცდის ობიექტები“ აქ ყოველთვის ხელთ ჰყავდათ. თუ ადრე ამისათვის ბაჭიებს, ვირთხებს ან ზღვის გოჭებს იყენებდნენ, ახლა ცდებს პირდაპირ ადამიანებზე ახდენდნენ. მართალია, ასეთი ცდები, როგორც წესი, „ობიექტების“ სიკვდილით მთავრდებოდა, მაგრამ ეს მათ არ აწუხებდათ, რადგან სათანადო კონტინგენტს მაინც „უფასო სალიკვიდაციო მასალით“ ავსებდნენ. ამ მხრივ დიდი „დამსახურება“ მიუძღვით პროფ. ფრიდრიჰ ჰილშერს და ვოლფრამ ზივერსს, რომელთაც 1933 წელს დააარსეს პირველი ამგვარი ინსტიტუტი. ჰიმლერს ისე მოეწონა ეს „ახალი წამოწყება“, რომ 1939 წელს ინსტიტუტი „აანენერბე“ ესესელთა შავ ორდენს დაუქვემდებარა. ინსტიტუტის წესდებაში წერია, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიზანია „ძიებანი ინდო-გერმანული რასის სულის,საქმიანობისა და მემკვიდრეობის დარგში, ამ ძიებათა შედეგების ადვილად გასაგები ფორმით პოპულარიზაცია ხალხის ფართო მასებში. ძიება უნდა წარმოებდეს მეცნიერული მეთოდებისა და სიზუსტის სრული დაცვით“.

ეს იყო ერთადერთი მეცნიერება, რომელსაც ჰიმლერი ცნობდა. მისი ხელმძღვანელობით „აანენერბე“ 1939 წელს უკვე 50 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და უამრავ ფილიალს აერთიანებდა. მათი მუშაობის კოორდინაციას ახდენდა მიუნჰენის უნივერსიტეტის სანსკრიტული ენების კათედრის გამგე პროფესორი ვურსტი.

ისტორიკოსები წერენ, რომ გერმანიამ იმაზე მეტი თანხა დაახარჯა ამ ინსტიტუტებს, ვიდრე ამერიკამ ატომური ყუმბარების წარმოებასო!..

ჰიმლერის ინსტიტუტებში, იქ გაბატონებული ეზოტერულ-ოკულტივისტური მეთოდების დამუშავების გარდა, რაზედაც შემდეგ გიამბობთ, არიული ჯიშის გამრავლებისა და დაბალი რასების „ბიოლოგიური დასუსტების სრულიად პრაქტიკული საკითხებიც წყდებოდა. მე წაკითხული მაქვს ამგვარი ინსტიტუტების ხელმძღვანელთა მიმოწერა ჰიმლერთან, რომელიც განსაკუთრებით დაინტერესებულა ერთი „უაღრესად მეცნიერულ-პრაქტიკული საკითხით“: შეიძლებოდა თუ არა

სათანადო ტექნიკის განვითარება ისე, რომ დღეში „დაბალი რასის“ ორი ათასი მამაკაცისა და ქალის სტერილიზაცია მოეხდინათ. გამოჩენილმა ესესელმა პროფესორებმა დაადგინეს, რომ ეს შესაძლებელია. პრაქტიკამ დაადასტურა ამგვარი დასკვნის ჭეშმარიტება. საკონცენტრაციო ბანაკებში შეუდგნენ „არასასურველი რასების“ წარმომადგენელი მამაკაცებისა და ქალების სტერილიზაციას. ნიურნბერგის პროცესზე მოწმედ გამოძახებულმა ვოლფრამ ზივერსმა ნათელყო ამ „ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიებათა მტკიცე მეცნიერული საფუძვლები“. პრაქტიკულ შედეგებს კი ჩვენ თვითონ გავეცანით პროცესზე. ბრალმდებლები რამდენიმე დღის განმავლობაში აქვეყნებდნენ ცოცხალ ადამიანებზე ჩატარებული ცდების საზარელ დოკუმენტებს. როცა ამ სისაძაგლეს ვუსმენდით, თმა ყალყზე დგებოდა. ეს იმდენად შემაძრწუნებელი იყო, რომ, მართალი გითხრათ, არც მინდა მისი მოყოლით თქვენს ნერვებზეც ვიმოქმედო. ამიტომ მხოლოდ ერთ ფაქტს გიამბობთ, რაც, ჩემი აზრით, საკმაო სიცხადით გადმოსცემს ამგვარი „მეცნიერული ძიებების“ მსხვერპლთა ტრაგედიას...

...ნიურნბერგში მარკოვმა მიჩვენა მოწმედ ჩამოყვანილი უკრაინელი ქალი, რომელსაც დაახლოებით 60 წლის დედაბრის შეხედულება ჰქონდა.

— თუ იცი, ეს ქალი რამდენი წლისა იქნება? — მკითხა მარკოვმა.

— რა ვიცი, ალბათ, სამოცის, — ვუპასუხე მე.

მარკოვს გაეცინა და თქვა:

— წარმოიდგინეთ, რომ ის ჯერ ოცისაც არ არის!

ეს რომ მითხრა, გაოცებულმა იმ ახალგაზრდა „დედაბერს“ შევხედე და თვალწინ ასეთი სურათი დამეხატა: ძლიერ შეთხელებული ჭაღარა თმები, ჩაღამებული თვალები, დამჭკნარი სახე, მოხრილ მხრებს შორის ჩავარდნილი ვიწრო მკერდი...

გამეცინა, მეგონა მარკოვი მატყუებდა. მაგრამ ახლა იმ ოცი წლის „დედაბერმა“ გამიღიმა და... საოცრებაც ის იყო, სახეზე სრულიად ახალგაზრდულმა, თითქმის ბავშვურმა იერ-

მა რომ გადაჰკრა... თუ მომეჩვენა, არ ვიცი... დავიჯერე კია, რომ ის სრულიად ახალგაზრდა იყო.

მერე გავიგე კიდეც: ოსვენციმის ბანაკში „მემკვიდრეობის იმუნიტეტის“ გამოსამუშავებლად ისეთი ხანგრძლივი და საშინელი ოპერაციები გადაუტანია, როგორც „ცდის ობიექტს“, რომ ასე უცებ დაბერებულა, თმა გასცვენია, სახე დანაოჭებია და წელში მოხრილა. რაც იმან საშინელება მიამბო, მეც ჭაღარად შემრჩა თმებში. ადრეც გითხარით „სიჭაბუკის ჭაღარის“ შესახებ, ამჯერად კი ჩემ წინაშე სრულიად გაჭაღარავებული „ახალგაზრდა დედაბერი“ იდგა. მისი დამჭკნარი სახისა და ბავშვური ღიმილის გახსენება ახლაც ერუანტელსა მგვრის...

...მას შემდეგ, რაც ჰიმლერის ინსტიტუტებმა დაბალი რასის „გამრავლების იმუნიტეტის“ ამგვარი „მეცნიერული მეთოდები“ გამოიმუშავეს, არიელი გერმანელების რაოდენობის სწრაფი ზრდის საკითხიც დადგა. მაგრამ არ იქნა და ვერ მოიძებნა გამრავლების ისეთი მეთოდი, რომ მოკლე ხანში უზრუნველეყოთ გერმანელთა პროცენტული უპირატესობა დაპყრობილ ქვეყნებში. 100 მილიონი გერმანელის დასახლება აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე — ასეთი იყო მათი „პერსპექტიული გეგმა“. მერედა სად უნდა ეშოვათ ეს 100 მილიონი? მართალია, ჰიმლერის ინსტიტუტები სპეციალურად სწავლობდნენ „ტყუპების ბიოლოგიას“ და მრავალშვილიანობის გავრცელების შესაძლებლობას. მაგრამ, ომის დროს რომ მამაკაცები ფრონტზე წავიდნენ, პირიქით, გამრავლებამ იკლო. ამით შეშფოთებული ჰიმლერი 1942 წლის 23 აპრილს სპეციალურად ეახლა ჰიტლერს ბერჰტესგადენში და მეტად ტრაგიკულ ფორმებში დაუხატა ეს საშიშროება.

— რა ვქნათ! ომში გვეკარგება ძვირფასი სისხლის გერმანელები. შთამომავლობის გამრავლების საკითხი საფრთხეშია!

ჰიტლერი დაფიქრდა და ასე მოიარებით უპასუხა ჰიმლერს:

— როცა მე აქ, ბერჰტესგადენში, გადმოვსახლდი, გარშე-

მო სოფლებში დაბანაკდა ესესელთა ლაიბშტანდარტი. მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა და, აბა, გახედეთ, როგორ მომრავლდნენ ბავშვები! ყველგან, სადაც რასიული დეგენერაციის ნიშნები გაჩნდება, ასევე უნდა მოვიქცეთ: გავგზავნოთ ესესელთა ნაწილები. ჯარისკაცის მოვალეობაა ჯანსაღი შვილი შესძინოს გერმანელ ქალს.

ჰიმლერმა, ცხადია, გაიგო ფიურერის შეგონების აზრი, მით უმეტეს, რომ იქვე მდგომმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა დარემ დააკონკრეტა ეს:

— როგორც ჰანოვერის ჯიშის ცხენები გამოგვყავს საცდელ ფერმებში, ჩემო ფიურერ, ისევე უნდა მოვამრავლოთ წმინდა სისხლის გერმანელები.

ეს შედარება არ უნდა გაგიკვირდეთ. თურმე არიული ჯიშისა მარტო ადამიანები კი არა, ცხოველებიცა და მწერებიც ყოფილა. ჰიმლერმა ტიბეტიდან ჩამოყვანინა „არიული ჯიშის“ ცხენები და ფუტკრები გერმანიაში მოსამრავლებლად. არც „არიული ჯიშის ადამიანების მოშენების“ პრობლემა დარჩა გადაუჭრელი. ჰიტლერის „ბრძნული რჩევის“ შედეგად მან ესესელთა ნაწილები დააბანაკა ბავარიის ტყეებსა და აღმოსავლეთ პრუსიაში... მერე 100 სპეცბანაკის მოწყობის გეგმაც შეადგინა. ყოველ ბანაკში 1000 წმინდა სისხლის არიელი ქალიშვილი უნდა მოეთავსებინათ, რათა „რასიულად ძვირფასი მწარმოებლების“, უმთავრესად ესესელების, საშუალებით უზრუნველეყოთ ყოველწლიურად ამდენივე „არიული ნამატი“.

ამას „წმინდა სისხლის არიელების“ დაქორწინების რთული პროცედურა მოჰყვა. ვიდრე ახალგაზრდები ჯვარს დაიწერდნენ, 70-კითხვიანი ანკეტა უნდა შეევსოთ. ეს ისე ძნელი იყო, რომ გერმანიაში ქალიშვილები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ:

— რატომ არ თხოვდები, ელზა?

— რა ვიცი, ანკეტის შევსება მეზარება!..

ვინც ანკეტას შეავსებდა, მერეც რთული პროცედურა ჰქონდა გასავლელი: სიმაღლის გაზომვა, გულ-მკერდისა თუ თეძოების სიგანის შემოწმება და ათასი სხვა.

გაზეთებიც აივსო ამგვარი განცხადებებით:

— ვარ 27 წლის წმინდა სისხლის არიელი ქალიშვილი, სასიამოვნო გარეგნობისა, ქერა, თვალები — ცისფერი, სიმაღლე — 175 სანტიმეტრი, მკერდი — ამდენი, თეძოების სიგანე — ამდენი... ცხოვრების თანამგზავრად ვეძებ მტკიცე ხასიათის მამაკაცს, სასურველია ესესელი, სიმაღლე — არანაკლებ 180 სანტიმეტრისა და ა. შ.

ასეთი მამაკაცები მაშინ ფრონტზე იყვნენ და „ცხოვრების თანამგზავრის“ ძებნის თავი არ ჰქონდათ. „დედობას მონატრებული“ ჯიშიანი გერმანელი ქალიშვილები კი, რომელთაც ავსტრიელმა მწერალმა ფრანკ ვედეკინდმა „თეძოებით მოაზროვნეები“ უწოდა, მაინც დაჟინებით მოუხმობდნენ თავიანთ „ცხოვრების თანამგზავრებს“.

ამას ე. წ. „ბორმანის კანონები“ მოჰყვა. ნიურნბერგში მომიხდა მეთარგმნა ამ „კანონების“ კოდექსები. ბორმანი მოუწოდებდა გერმანელ ქალიშვილებს გათხოვების გარეშეც ეზრუნათ „ძვირფასი სისხლის შთამომავლობაზე“. იგი კატეგორიულად კრძალავდა ლიტერატურაში, თეატრსა და კინოში რამე ირონიულ დამოკიდებულებას „მარტოხელა დედებისადმი“, რადგან ამ შემთხვევაში „არიული ნამატი“ უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მორალისა და ზნეობის კანონები...

...ჰიტლერელები, მოგეხსენებათ, არც საკუთარ ზნეობაზე ზრუნავდნენ და სრულიად აშკარად ქადაგებდნენ „დაბალი რასების მოსპობას“, მოწინააღმდეგის „ბიოლოგიურ დასუსტებას“, „ბავშვთა სიმრავლის ლიკვიდაციას“, „მემკვიდრეობის იმუნიტეტის გამომუშავებას“, ბატონებისა და მონების „სასურველ პროცენტულ შეფარდებასა“ და „ადამიანთა შორის თანასწორუფლებიანობის აღმოფხვრას“, რომ ამით შეექმნათ მომავლის ისეთი მყარი იერარქიული სახელმწიფო, სადაც ყველას „ბიოლოგიურად განსაზღვრული“ ადგილი ექნებოდა საზოგადოებაში: ბატონს — ბატონისა, მონას კი — მონის. ჰიტლერის აზრით, ეს უმთავრესად ადამიანთა ახალი ჯი-

შის გამოყვანის, ანუ მუტაციის წესით შეიძლებოდა მომხდარიყო.

ერთხელ, ღამით, მან დიდხანს უქადაგა რაუშნინგს ამის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც ვერ დააჯერა:

— კი მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ დაეხმაროთ ბუნებას ამაში, — შეჰბედა მან ჰიტლერს: — ახალი ჯიშის გამოყვანა ხომ მარტო მას შეუძლია. აქამდე თვით ცხოველების სფეროშიც ძალიან იშვიათად თუ მიუღწევიათ მუტაციის, ე. ი. ახალი სახეობის შექმნისათვის...

გაცოფებული ჰიტლერი მთელი ტანით აძაგძაგდა და ისე უყვირა თავის სტუმარს:

— ახალი ადამიანი უკვე ცხოვრობს ჩვენს შორის, ის აქაა. განა ეს თქვენთვის საკმარისი არ არის? გინდათ, საიდუმლოს გაგიმხელთ: მე ვიხილე ახალი ადამიანი, იგი მამაცია და სასტიკი, მის დანახვაზე შიშმაც კი შემიპყრო...

მერე, ცოტათი რომ დაწყნარდა, ასე განავითარა თავისი აზრი:

— მუტაციის პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა. ადამიანები მხოლოდ ახლა უახლოვდებიან ტრანსფორმაციის ფაზას. ძველი მოდგმა უკვე შევიდა დაცემის სტადიაში. ყოველ შვიდას წელიწადში კაცობრიობა ახალ საფეხურზე ადის. მათი უფრო ხანგრძლივი ბრძოლის იმპულსებს ღმერთ-კაცები იძლევიან. ბუნების მთელი შემოქმედებითი ძალა თავს იყრის ახალ რასაში, რომელიც ვითარდება, სხვები კი ისპობიან. მომავალი რასა უსაზღვროდ უფრო მაღალი იქნება, ვიდრე დღევანდელი.

ჰიტლერი ადრეც ამტკიცებდა, რომ „უმაღლესი ადამიანები“, რომლებიც მრავალი ასეული თუ მილიონი წლის წინ უკვე ცხოვრობდნენ ჩვენს პლანეტაზე, კვლავ დაბრუნდებიან და „დაიწყებენ არსებათა სრულ გარდაქმნას დედამიწაზეო“.

თავის მხრივ ჩრდილოეთის არიული რასის წარმომადგენლები „კოლოსალური კატასტროფებისა და ღრმა მუტაციის გზით“ უნდა გათანაბრებოდნენ თავიანთ შორეულ წინაპრებს...

— ამით დაიწყება ახალი კოსმოსური ციკლი! — აცხადებდა ჰიტლერი...

...ბატონ „ზეადამიანებისა“ და მონათა ამგვარი „მუტაცია“ იმდენად ჰიპერტროფიულია, რომ მისი წარმოდგენა პარუოდიულობის გარეშე, მართლაც, შეუძლებელია. ამიტომაც მინდა გაგახსენოთ ინგლისელი მწერლის ოლდოუს ჰაქსლის რომანი „ბედნიერი, მშვენიერი სამყარო“, რომელშიც სწორედ პაროდიულადაა აღწერილი ინკუბატორში ადამიანების ამგვარი „მუტაციისა“ და „სოციალური იმუნიტეტების“ გამომუშავების პროცესი...

ალფადან იპსილონამდე...

მოქმედება ასი წლის შემდეგ ხდება. ფაბრიკის დირექტორს ექსკურსიაზე მოსული „ვარდისფერი სტუდენტები“ შეჰყავს ოცდათორმეტსართულიან ნაცრისფერ შენობაში, რომელსაც აწერია „ლონდონის (გერმანელები, ცხადია, იტყოდნენ „ბერლინის“) ცენტრალური ინკუბატორი და ადაპტაციური ცენტრი“. იქვე, ნიშზე, გაკრულია ახალი „მსოფლიო იმპერიის“ დევიზი:

„საზოგადოებრიობა, ერთტიპიურობა, სიმყარე!“

სტუდენტები შედიან შენობაში და მაშინვე ე. წ. „განაყოფიერების საამქროში“ აღმოჩნდებიან. აქ საამური სიგრილეა. საამქროში სამასამდე „გამანაყოფიერებელი“ ზის და „რაღაც უცნაური ინსტრუმენტებით მუშაობს“. დირექტორი აცნობს ექსკურსანტ სტუდენტებს ამ დაწესებულების საქმიანობას. იგი ჯერ ინკუბატორს უჩვენებს, სადაც მომავალი ადამიანების შექმნასა და დახარისხებაზე მუშაობენ. საქმე ის არის, რომ ახალ მსოფლიო იმპერიაში ხალხი კასტებად, ანუ კლასებად არის დაყოფილი. კასტების განსაზღვრა ალფადან იპსილიონამდე ხდება „განაყოფიერების საამქროში“, სპეციალური ბიოქიმიური ზემოქმედების გზით. უმაღლესი არისტოკრატიული კასტის წარმომადგენლებს (ალფებს) ერთ-

ხანს ამ საამქროში ტოვებენ, დანარჩენები კი, დაბალი კასტის (კლასის) წარმომადგენლები (იპსილონები), 36 საათის შემდეგ სხვა საამქროში გადააქვთ შემდგომი დამუშავებისათვის. ამასთანავე „გამოსაშვები პროდუქციის“ რაოდენობისა და „პროცენტული შეფარდების“ საკითხიც გადაწყვეტილია. ინკუბატორში შეუძლიათ იმდენი და ისეთი კასტის წარმომადგენლები „დაამზადონ“, რამდენიც უნდათ. თუ უწინ ჰიმლერი და ბორმანი ფიქრობდნენ, რომ ამისათვის ერთი საუკუნე იყო საჭირო, ახლა სულ რამდენიმე წელია საკმარისი, რადგან ერთი სპერმიდან აქ 96 ტყუპი გამოჰყავთ. ჰიმლერს და ბორმანს ამაზე ოცნებაც არ შეეძლოთ. დირექტორის აზრითაც ეს გაუგონარი პროგრესია „ბუნებრივ გამრავლებასთან“ შედარებით.

— წარმოიდგინეთ 96 ტყუპი! — პათეტიკურად აცხადებს იგი. — ეს 96 ტყუპი მუშაობს 96 ერთი ტიპის დაზგაზე. სტანდარტული ადამიანები ასრულებენ სტანდარტულ სამუშაოებს!... ჩვენი მიზანია, საერთოდ, სტანდარტული გავხადოთ მოსახლეობა. ჯერჯერობით ამას იმით ვაღწევთ, რომ ერთი საკვერცხიდან 16 ათასი სტანდარტული და-ძმა გამოგვყავს, მაგრამ ცდები გრძელდება და ეს რიცხვი შეიძლება კიდევ გავზარდოთ!

ასეთია, ნაცისტური მისწრაფების პაროდიულად ჰიპერტროფირებული ფორმა ჰაქსლის რომანში...

...სოციალური წესრიგის სურათიც ანალოგიურია. ჰიტლერი კატეგორიულად კრძალავდა ყოველგვარ სწავლა-განათლებას არაარიული მოსახლეობისათვის, რადგან ეს მხოლოდ ბატონთა რასის პრივილეგიად მიაჩნდა. ასეთ რასას კი, მისი აზრით, მხოლოდ გერმანელები წარმოადგენდნენ. ერთ-ერთი ოფიციალური საუბრის დროს მან უთხრა ბალდურ ფონ შირახს:

— პოლონელებს მხოლოდ ერთი ბატონი უნდა ჰყავდეთ — გერმანელი! არ შეიძლება და არც უნდა იყოს ორი ბატონი ერთსა და იმავე დროს. ამიტომ პოლონეთის ინტელიგენციის

ყველა წარმომადგენელი მოსპობილ უნდა იქნეს. ეს მკაცრად ეღერს, მაგრამ რას იზამთ, ასეთია კანონი ცხოვრებისა.

ამ მითითებას გულმოდგინედ ასრულებდნენ ჩეხოსლოვაკიის პროტექტორი ნოირატი და პოლონეთის გენერალ-გუბერნატორი ფრანკი. ეს უკანასკნელი ხუმრობდა კიდეც: „პოლონელებს იმდენი განათლება უნდა მიეცეთ, რამდენიც მათი საკუთარი არსებობის უაზრობას შეაგნებინებსო“.

მათაც უნდოდათ ჰყოლოდათ ბატონ-მმართველთა უმაღლესი კასტა, რომელსაც დაემორჩილებოდა მონათა უფორმო და უუფლებო მასა. ამ მასას წინასწარვე უნდა ჰქონოდა გამომუშავებული იმუნიტეტი ყოველგვარი სწავლა-განათლებისა და სილამაზისადმი, ზუსტად ისევე, როგორც ეს ჰაქსლის რომან-პაროდიაშია გამოხატული...

...სტუდენტები ათვალიერებენ კონვეიერებს, რომლებზედაც მოძრაობენ შუშის კოლბები მომავალი ადამიანების ჩანასახებით. „განაყოფიერების საამქრო“ სპეციალური ექსკავატორებით უერთდება „ჩანასახების საამქროს“. კონვეიერებზე მოძრაობის სხვადასხვა საფეხურზე განისაზღვრება მომავალი ადამიანების სქესი და სოციალური დანიშნულება: ვინ ქალი იყოს, ვინ კაცი და ვინ რომელ კასტას მიეკუთვნოს. შემდეგ ჩანასახები გადააქვთ „გასახსნელ საამქრო“ში“, სადაც მათ ჰომუნკულუსივით ათავისუფლებენ შუშის კოლბიდან და დამოუკიდებელ არსებობას აჩვევენ. ამასთანავე აქ სრულიად ზედმეტია ჰიმლერისა და კალტენბრუნერის განკარგულებები „სტერილიზაციის შესახებ“. ან რა საჭიროა ეს, როცა თვით ინკუბატორში განისაზღვრება ვის ექნება მომავალში „განაყოფიერების იმპულსი“ და ვის — არა. სტატისტიკამ ზუსტად დაადგინა, რომ ახალ პირობებში ყოველი 1200 ქალიდან საკმარისია მხოლოდ ერთს შერჩეს ეს „იმპულსი“: ამითაც უზრუნველყოფილი იქნება „საჭირო პროდუქციის გამოშვება“. დირექტორის აზრით, ეს ათავისუფლებს ადამიანებს ბუნების მონური მიბაძვისაგან და უფრო მრავალფეროვანს ხდის ახალი სახეების გამოგონებას.

ამის შემდეგ იწყება ე. წ. ადაპტაცია, ანუ სოციალური ფილტრაცია: კასტებად დაყოფა, დახარისხება, ვინ ალფას

განეკუთვნოს და ვინ—იპსილონს. ეს პროცესი ჯერ კიდევ ჩანასახებზე ბიოქიმიური ზემოქმედებით იწყება — ჟანგბადის დოზის განაწილებით (ასეთი ცდები საკონცენტრაციო ბანაკების ლაბორატორიებშიც მიმდინარეობდა). ვინც ალფა კასტას განეკუთვნება, ჟანგბადის ნორმალურ დოზას უშვებენ მის კოლბაში, ვინც იპსილონს — ნაკლებს, რომ ჩანასახი განვითარების არანორმალურ პირობებში ჩააყენონ. რაც უფრო დაბალია კასტა, მით უფრო ნაკლებ დოზას აძლევენ ჟანგბადისას. ამით ჯერ ტვინი ზიანდება, მერე—ჩონჩხი. სრულიადაც არ არის საჭირო იპსილონ კასტის წარმომადგენლებს განუვითარდეთ თავის ტვინი ან სხეულის ლამაზი აგებულება ჰქონდეთ. ეს ალფა კასტის პრივილეგიაა. იპსილონები მომავალი მონებია და მხოლოდ ფიზიკური მუშაობა მოეთხოვებათ. ამიტომაც ხდება მათი „ტერიტორიული და პროფესიული ადაპტაცია“. ვინც ტროპიკებში უნდა გაიგზავნოს სამუშაოდ, სიცხეს აჩვევენ, ვინც პოლუსისაკენ, — სიცივეს.

ამგვარი „ბიოლოგიური ადაპტაციის“ შემდეგ, რასაც ნიურნბერგში „დიქტატორული ბიოლოგიზმი“ უწოდეს, იწყება სოციალური აღზრდის სეანსები. სპეციალურ საამქროში შემოყავთ იპსილონ კასტის ბავშვები და დასვამენ დარბაზის ერთ კუთხეში. მოპირდაპირე მხარეს კი აწყობენ მშვენიერი ვარდების თაიგულებს და ფერად-ფერად ნახატებიან წიგნებს. ცნობისმოყვარე „იპსილონები“ გაფორთხდებიან იქითკენ და აღტაცებულნი ჩაბღუჯავენ ამ ლამაზ ნივთებს. იმავე წამს „აღმზრდელი“ ღილს დააჭერს თითს და გაისმის სირენების გულშემზარავი ხმაური. შემდეგ ელექტროდენსაც შეუერთებენ იმ ადგილს, სადაც გაოგნებული „იპსილონები“ სხედან. ისინი ტკივილისაგან იკრუნჩხებიან, წივიან... მერე დენს გამორთავენ და ხმაურს შეწყვეტენ. რამდენიმე ხნის შემდეგ სეანსი მეორდება. დირექტორი ზეიმობს:

— ორასი ასეთი სეანსი და იპსილონების შეგნებაში განუყრელად დაუკავშირდება ერთმანეთს წიგნები და გულშემზარავი ხმაური, ყვავილები და ელექტროდენის დარტყმა... ხოლო რასაც ადამიანის შეგნება დააკავშირებს, იმას შემდეგ ბუნება ვეღარ გათიშავს... ასე გამოუმუშავდებათ დაბალ კას-

ტებს ინსტინქტური სიძულვილი, ანუ იმუნიტეტი სილამაზისა და განათლების მიმართ.

გარდა ამისა, სტუდენტები ეცნობიან „კლასობრივი თვითშეგნების“ სეანსებს. საჭიროა დაბალი კასტის წარმომადგენლებს გამოუმუშავდეთ არა მარტო იმუნიტეტი იმისადმი, რაც მაღალი კასტის პრივილეგიაა. არამედ კმაყოფილიც იყვნენ ამით, რასაც ე. წ. ჰიპნოპედიური აღზრდით აღწევენ. სტუდენტები შედიან ნახევრად ჩაბნელებულ პალატაში, სადაც ბავშვებს სძინავთ. ყოველი მათგანის სასთუმალთან დგას რეპროდუქტორი, რომელიც ჩასჩურჩულებს მათ „კლასობრივი თვითშეგნების“ გაკვეთილს:

— ყველა ატარებს მწვანე ტანისამოსს, დელტა-ბავშვები კი ატარებენ მიხაკისფერს. არა, მე არ მინდა ვითამაშო დელტა-ბავშვებთან, იპსილონები კი უარესები არიან: ისინი ისე ჩერჩეტებია, რომ წერა-კითხვაც არ იციან. გარდა ამისა, მათ შავი ტანისამოსი აცვიათ, ეს საზიზღარი ფერია. არა, მე არ მინდა იპსილონ-ბავშვებთან თამაში! რა კარგია, რომ მე ალფა ვარ...

პაუზის შემდეგ დიქტორი განაგრძობს:

— ალფა ბავშვები ატარებენ ცისფერ ტანისამოსს. ისინი გაცილებით ჩვენზე მეტს მუშაობენ, რადგან საშინლად ჭკვიანები არიან. რა კარგია, რომ მე იპსილონი ვარ და არ მომიხდება ამდენი მუშაობა. მე არ მინდა ვიყო ალფა, რადგან არ მინდა წიგნების კითხვა. რა კარგია, რომ მე იპსილონი ვარ, მე არ მომიხდება წიგნების კითხვა. არა, მე არ მინდა ვიყო ალფა...

დირექტორი ამბობს, რომ ასეთი სეანსი დღეში ორმოცჯერ ტარდება, ვიდრე ბავშვები გაიღვიძებენ. იგივე მეორდება ხუთშაბათობით და შაბათობით. ასე გრძელდება ორწლინახევრის განმავლობაში, რის შემდეგაც ისინი უფრო რთულ გაკვეთილებზე გადაჰყავთ.

ასეთი აღზრდის შედეგად ბავშვის ცნობიერება თანდათან ფორმდება შთაგონებული ცნებების მიხედვით, რაც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება. ალფა კმაყოფილი და ბედნიერი იქნება იმით, რომ ის ამ კასტას ეკუთვნის, ისევე

როგორც იპსილონი, რომელიც თავს ბედნიერად ჩათვლის, რაკი ალფა კასტას არ ეკუთვნის და არ მოუხდება გონივრული მუშაობა, წიგნების კითხვა, ყვავილების ყნოსვა და „სხვა ასეთი სისულელე“...

ამით დამყარდება სოციალური ჰარმონია მსოფლიო იმპერიაში: არ იქნება არავითარი შუღლი, კლასობრივი დაპირისპირება, ერთი კასტიდან მეორეში გადასვლის სურვილი და სხვა...

ორკეცი სასწორი...

თხრობის პაროდიულობა ხელს როდი უშლის ამ რომანის ავტორს ჭეშმარიტება გამოავლინოს.

ჰიტლერელები, მართლაც, ისეთ მსოფლიო იმპერიაზე ოცნებობდნენ, სადაც „მაღალი რასის“ კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იქნებოდა „დაბალი რასების“ მონური შრომით. თუმცა შემდეგში ჰიმლერისათვის ცნება „მონურიც“ შეუფერებელი აღმოჩნდა „უსიტყვო მორჩილების“ გამოსახატავად და „პირუტყვულიო“ თქვა, თან ისე, უბრალოდ, სასხვათაშორისოდ კი არა, არამედ „პრინციპულად“, საჭირო „დასაბუთებისა“ და „რკინისებური ლოგიკის“ მიხედვით. „მონის“ ნაცვლად, „დაბალი რასების“ აღსანიშნავად მან „პირუტყვი-ადამიანის“ ცნება შემოიღო. ჰიტლერმა ესეც ზედმეტ ლიბერალობად მიიჩნია. მან ჯერ გამოაცხადა, რომ „დაბალი რასების“ წარმომადგენელნი, საერთოდ, „ადამიანები კი არ არიან ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ სიცოცხლის ძალების უბადრუკი ენაბლუობის შედეგი“. მისი აზრით, ებრაელები, ბოშები, ზანგები და სხვა ამგვარი „გონების მატლები“ უფრო შორს დგანან ნამდვილი ადამიანებისაგან, ვიდრე პირუტყვი.

რამდენიმე ხნის შემდეგ კი მან საჭიროდ ჩათვალა ასეთი შენიშვნაც გაეკეთებინა:

— ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ებრაელები პირუტყვებად მიმაჩნდეს. ებრაელი უფრო შორსაა ჩვენგან, ვიდრე პირუტყვი.

ჰიმლერისას კი რას გაიგებს კაცი, ხუმრობდა, თუ სერიოზულად ამბობდა:

— ჩვენ, გერმანელები, ერთადერთი ხალხი ვართ მსოფლიოში, რომელნიც წესიერად ვეპყრობით პირუტყვებს. ამიტომ ამ პირუტყვ-ადამიანებსაც შესაფერისად მოვექცევით. მაგრამ ამასთანავე საკუთარი რასის მიმართ ჩავიდენთ დიდ დანაშაულს, თუ ვიზრუნებთ მათზე...

ამ „პირუტყვებსა“ და, საერთოდ, დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობაზე ზრუნვას ჰიტლერიც კრძალავდა. თანაც კატეგორიულად.

— ისინი იზოლირებული იქნებიან თავიანთ საღორეებში, და ყველას, ვინც კრინტს დაძრავს, რომ უნდა ვიზრუნოთ ადგილობრივ მცხოვრებლებზე ან ცივილიზაცია შევიტანოთ მათში, დაუყოვნებლივ ვავგზავნი საკონცენტრაციო ბანაკებში, —უთხრა მან რაუშნინგს.

თავის თანამემამულეებს კი ოქროს მთებს პირდებოდა:

— გერმანელმა კოლონიზატორებმა უნდა იცხოვრონ ლამაზ და ვრცელ ფერმებში, — ამბობდა იგი. გერმანული დაწესებულებები დაიკავებენ ბრწყინვალე შენობებს, გუბერნატორები კი — სასახლეებს, ქალაქების გარშემო 30—40 კილომეტრის რადიუსით ჩვენ შევქმნით ლამაზ სოფლებს და დავაკავშირებით ერთმანეთთან შესანიშნავი გზებით...

ამრიგად: „დაბალი რასის“ წარმომადგენლები — გეტოებსა და საღორეებში, ხოლო მაღალი რასისა — სასახლეებში, — ასეთი იყო მათი საბოლოო მიზანი. აქედანვე გამომდინარეობდა ჰიტლერული პოლიტიკის ორგვარი დამოკიდებულება ადამიანებისადმი. საზომიც „ორკეცი“ იყო: ერთი — ბატონების, ხოლო მეორე — მონებისათვის, რაც გულისხმობდა არა მარტო სოციალურ, არამედ რასიულ სხვაობასაც. მონობა ელოდა ყველას, ვინც ამ თვალსაზრისით არასრულფასოვნად გამოცხადდებოდა, სულერთია, აკადემიკოსი იქნებოდა იგი, პროფესორი, მწერალი, მუშა, თუ გლეხი. ჰიტლერელების სასწორზე მხოლოდ ორი „ღირებულება“ იდო: რასიულად სრულყოფილი ადამიანი (გერმანელი) და არასრულყოფილი (არაგერმანელი).

ფრანგი ბრალმდებელი დე მენტონი ამბობდა ნიურნბერგში, გერმანელებმა ამით უარყვესო ქრისტიანული მოძღვრება ადამიანისადმი „ორკეცი სასწორით“ მიდგომის უზნეობის შესახებ.

ბიბლიაში მართლაც წერია, რომ „სასწორი დიდთა და მცირეთა, და საწყაული ორი წილი, არაწმინდა წინაშე უფლისა ორივე და რომელნი ჰყოფენ მათ... რამეთუ საძაგელ უფლისა ორკეცი სასწორი“...

...ამით ნათელი გახდა ჰიტლერელების „ორკეცი სასწორის“ ალეგორიაც. ისინი ოცნებობდნენ ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნაზე, როგორიც ოლდოუს ჰაქსლიზე ადრე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულში, დახატა ინგლისელმა მწერალმა ჰერბერტ უელსმა თავის ცნობილ რომანში — „დროთა მანქანა“.

მოქმედება შორეულ მომავალში ხდება. კაცობრიობა იმ დროს დაყოფილია ორ ჯგუფად — ელოებად და მორლოკებად. ელოები მმართველი არისტოკრატიული კლასის წარმომადგენლებია, რომლებიც ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრობენ, მორლოკები კი — „დაბალი რასისა“: ისინი სადღაც ჯურღმულებში არიან და მონურ სამუშაოებს ასრულებენ. ბატონ ელოების, როგორც საზოგადოებრივი ელიტას, საკეთილდღეოდ. ელოებისა და მორლოკების რაოდენობრივ შეფარდებას აწესრიგებს სახელმწიფო.

გერმანელებს ელოებად არიული რასის წარმომადგენლები მიაჩნდათ, ხოლო დანარჩენები — მორლოკებად, ანუ მონებად. იმის გამო, რომ ელოების რაოდენობა მკვეთრად ჩამორჩებოდა მორლოკებისას, მათი აზრით, საჭირო იყო ერთის მხრივ ელოების „წარმოების გადიდება“, ხოლო მეორეს მხრივ — „მატლებივით გამრავლებული“ მორლოკების რაოდენობის მკვეთრი შემცირება...

ფარული სიმართლე...

ამის შედეგი იყო „მაღალი არიული კასტისა“ (ელოები, ალფები) და მონებად ქცეული „პირუტყვების“ (მორლოკები,

იფსილონები) იერარქიული სახელმწიფოს იდეა, რასაც ჰიტლერი და მისი პალადინები ქადაგებდნენ. ეს ქადაგება შემდეგში საქმედ იქცა და მთელი ევროპა დაიფარა საკონცენტრაციო ბანაკების ქსელით. ამან ისე აღაშფოთა კაცობრიობა, რომ ჰიტლერი იძულებული გახდა ნაწილობრივ მაინც შეენიღბა თავისი „ჰიპერტროფიული მიზნები“ და შეელამაზებინა დაწყებული ომის მტაცებლური ხასიათი. ამ მიზნით მან განკარგულება მისცა პროპაგანდისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს, საჯაროდ მხოლოდ ისეთი განცხადებები გაეკეთებინათ, რაც „ნაადრევად“ არ გაამჟღავნებდა მათ „საბოლოო მიზნებს“ და არ შელახავდა გერმანიის, როგორც „დამონებული ხალხების გამათავისუფლებელი“ ქვეყნის, პრესტიჟს.

ამის შემდეგ ჰიტლერმა ყოველგვარი დიპლომატიურ-პროპაგანდისტული მანევრი ეტაპებად დაყო x-დღემდე და x-დღის შემდეგ, ესე იგი თავდასხმის დაწყებამდე და თავდასხმის დაწყების შემდეგ. იყო სამი ქვეეტაპიც. პირველ ქვეეტაპზე, როცა რომელიმე სახელმწიფოში იწყებდნენ შეჭრას, პროპაგანდისტებს უნდა ემტკიცებინათ, რომ ისინი მოდიან ამ ხალხის „გასათავისუფლებლად“ და ევროპაში „ახალი წესრიგის“ დასამყარებლად. მეორე ქვეეტაპზე იწყებოდა სასტიკი საოკუპაციო რეჟიმი, ხოლო მესამეზე ძალაში შედიოდა ჰიმლერის უფლებამოსილება „საბოლოო მიზნის“ განსახორციელებლად.

1941 წელს ჰიტლერმა ასეთი დირექტივა მისცა თავის პალადინებს:

— ახლა მეტად მნიშვნელოვანია, რომ არ გამოვააშკარავოთ მსოფლიოს წინაშე ჩვენი მიზანდასახულობანი. სხვათა შორის, ეს საერთოდაც არ არის მიზანშეწონილი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიძნელოთ საქმე ზედმეტი ახსნა-განმარტებებით. ან რა საჭიროა ეს, როცა ჩვენ გვაქვს ძალაუფლება და შეგვიძლია ვაკეთოთ, რაც გვინდა, ხოლო რაც ჩვენს ძალაუფლებას აღემატება, ვერც გავაკეთებთ... ამიტომ მოქმედებათა მოტივირება სამყაროს წინაშე უნდა

გამომდინარეობდეს ტაქტიკური მოსაზრებიდან. ჩვენ აქ (საბჭოთა კავშირში) ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც ნორვეგიაში, დანიაში, ჰოლანდიასა და ბელგიაში. იქაც ხომ არაფერი გვითქვამს საბოლოო მიზნების შესახებ., მომავალშიც ამ გეზს უნდა გავყვეთ და განვაგრძოთ იგივე პოლიტიკა, ე. ი. ისევ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ იძულებული ვიყავით დაგვეპყრო და გვემართა განსაზღვრული ზონა, რათა დაგვეცვა თვით მოსახლეობის ინტერესები, დაგვემყარებინა წესრიგი და მოგვეგვარებინა კვებისა და კომუნიკაციების საკითხები. ამით ვერავინ მიხვდებოდა, რომ ყველაფერი ეს მიმართულია იმ ტერიტორიებში გერმანელების ჩასახლებისაკენ...

შემდეგ, როგორც ჩანს, მას შეეშინდა ამგვარი ყალბი მანევრებით „საბოლოო მიზანი" არ დავაზარალოო და დაუმატა:

— ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა მივმართოთ ყველა საჭირო ზომას, დახვრეტებს და სხვ.

— მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ გვინდა, — განაგრძო მან, —ვინმე ნაადრევად ვაქციოთ მტრად. ამიტომ ჯერ ისე ვიმოქმედოთ, თითქოს განზრახული გვქონდეს განვახორციელოთ მანდატი. თვით ჩვენთვის კი სრულიად ნათელი უნდა იყოს, რომ ამ ოლქებიდან უკვე აღარასოდეს წავალთ.

აქედან გამომდინარე, საქმე ეხება შემდეგს:

1. არაფერი არ ვაკეთოთ საბოლოო მოწესრიგებისათვის, მაგრამ ფარულად ვამზადოთ ყოველივე ეს (unter dem Hand vorzubereiten).

2. ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მოგვაქვს „თავისუფლება".

ამგვარი „შემპარავი პოლიტიკა" იმთავითვე დაიწყო და თანმიმდევრულად განვითარდა. 1941 წლის 13 მარტის ინსტრუქციაში ნათქვამია:

— სამხედრო ოპერაციების დროს დაპყრობილი ტერიტორიები, როგორც კი ამის საშუალება იქნება, სპეციალური მითითების თანახმად დაყოფილ უნდა იქნეს ცალკეულ სახელმწიფოებად, თავიანთი საკუთარი მთავრობებით.

ერთი კვირის შემდეგ „რწმუნებულად" ამ საკითხში ჰიტ-

ლერმა დანიშნა ალფრედ როზენბერგი, რომელმაც დაუყოვნებლივ შეკრიბა თანამშრომლები და განუცხადა:

— ამა წლის 20 აპრილს ფიურერმა მე დამნიშნა თავის უშუალო რწმუნებულად აღმოსავლეთ ევროპის საკითხების ცენტრალური გზით მოსაგვარებლად...

მაშინ როზენბერგიც ამბობდა, „ამიერკავკასიაში ფედერაციული სახელმწიფო უნდა შეიქმნასო".

როგორც ჩანს, ზოგიერთ ტყუილს მოკლე კი არა, გრძელი ფეხები აქვს. ეს ხმები უცებ გავრცელდა და ბევრ „ტახტის მაძიებელს" აუბნია გზა-კვალი. ბევრმა დაიჯერა, რომ დაიბრუნებდა ოდესღაც დაკარგულ ხელისუფლებას. მაგრამ იმავე წლის 29 აპრილს ჰიტლერმა მიიწვია არმიის ხელმძღვანელობა და სრულიად საწინააღმდეგო დირექტივები მისცა ამის თაობაზე. იმ თათბირის ოქმში წერია:

— როგორც ცნობილია, ფიურერმა ადრე გაცემული განკარგულებების შესაცვლელად გადაწყვიტა...

და ამის შემდეგ უკვე ლაპარაკია არა „ცალკეულ სახელმწიფოებსა და მთავრობებზე", არამედ დაპყრობილი ტერიტორიების პოლიტიკურ და ეკონომიურ მართვაზე თვით გერმანელების მიერ. ამ „სიახლეს", ცხადია, მაშინვე გამოეხმაურა როზენბერგი.

1941 წლის 20 ივნისს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებამდე ორი დღით ადრე, მან ისევ შეკრიბა თავისი აპარატი და განუცხადა:

— არსებობს ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო, კონცეფცია გერმანიის პოლიტიკის შესახებ აღმოსავლეთში. ერთია ტრადიციული, ხოლო მეორე — ახალი, რომლის გამომხატველნიც ჩვენ უნდა ვიყოთ, იმის მიუხედავად, თუ როგორი იქნება საქმის ვითარება უახლოესი ასი წლის განმავლობაში.

პირველი კონცეფციის მიხედვით, გერმანია ჩაება გადამწყვეტ ბრძოლაში ბოლშევიზმთან და საჭიროა ამ ბრძოლის ბოლომდე მიყვანა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ამის შემდეგ უნდა დაიწყოს რუსეთის მეურნეობის ხელახალი შენებისა და აღორძინებულ, ეროვნულ რუსეთთან კავშირის განმტკიცების პერიოდი, რაც შეი-

ძლება წარმატებით განხორციელდეს, რადგან რუსეთი აგრარული ქვეყანაა, გერმანია კი — ინდუსტრიული.

ასეთია სხვადასხვა წრეების ჩვეულებრივი შეხედულება უკანასკნელ დრომდე. მე კი სხვანაირად ვფიქრობ და უკვე ოცი წელიწადია არც ვმალავ, რომ ამგვარი იდეოლოგიის წინააღმდეგი ვარ. დღეს ჩვენ ვმართავთ არა „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. „საწყალი რუსების“ გასათავისუფლებლად, არამედ გერმანული პოლიტიკის გასატარებლად და საკუთარი უშიშროების უზრუნველსაყოფად.

დროა ამის შესაბამისად შევიგნოთ ჩვენი მომავალი ძდგომარეობა. ომი ახალი, განუყოფელი რუსეთის შესაქმნელად გამორიცხულია. სტალინის შეცვლა სხვა მეფით ან ამ ტერიტორიებზე ვინმე ახალი ბელადის წამოწევა კიდევ უფრო შეაკავშირებს მტრულ ძალებს ჩვენ წინააღმდეგ. ამიტომ დღემდე გავრცელებული ერთიანი რუსეთის იდეის ნაცვლად ძალაში შედის აღმოსავლეთის საკითხის ახალი კონცეფცია. ამიერიდან გერმანიის სურსათით მომარაგება იქნება ჩვენი უმთავრესი ამოცანა... ჩვენ არ ვკისრულობთ არავითარ ვალდებულებას ვკვებოთ რუსი ხალხი ამ უაღრესად ნაყოფიერი ტერიტორიებით. ამასთანავე კარგად ვიცით, რომ ეს მკაცრი აუცილებლობაა, რაც გამოდის გრძნობათა ყოველგვარი ფარგლებიდან, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მოგვიხდება მათი ევაკუაციის ფართო მასშტაბით ჩატარება, რის გამოც რუსებს მძიმე წლები დაუდგებათ...

როზენბერგმა აქ იგულისხმა რუსების ურალს იქით, ციმბირში, „გასახლება“, რის შემდეგაც ისევ დაუბრუნდა „ევაკუაციის მკაცრი აუცილებლობის“ საკითხს, რაც, მისი აზრით, მოითხოვს „ძლიერი ხასიათების გამომუშავებას“.

დამახასიათებელია, რომ როზენბერგი, „საბოლოო მიზნების“ შენიღბვის შესახებ ჰიტლერის დირექტივების შესაბამისად, ცდილობდა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს „რუსული დინამიკის აღმოსავლეთისაკენ მიქცევით“ თვით „რუსებისათვის სასარგებლო საქმე კეთდებოდა(!)“.

— მომავალი რუსეთი, — თქვა მან, — როდისმე გაამართლებს ამ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, არა ამ ოცდ-

ათი, არამედ ასი წლის შემდეგ, რადგან უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში რუსების სული ორადაა გაპობილი ამ ორი ტენდენციის შინაგანი ბრძოლით. და თუ რუსები ამთავითვე იზოლირებული იქნებიან დასავლეთისაგან, იქნებ გაიხსენონ თავიანთი პირველსაწყისი ძალები და მიდამოები, საიდანაც წარმოშობილან. ყოველ შემთხვევაში, ასი წლის შემდეგ რომელიმე ისტორიკოსი, ალბათ, სხვაგვარად განსჯის ამ გადაწყვეტილებას, ვიდრე ეს ახლა მიაჩნიათ რუსებს შესაძლებლად...

უზარმაზარი ნაზუქი...

ასე ახორციელებდნენ ჰიტლერელები თავიანთი ფიურერის მითითებას „საბოლოო მიზნების“ საიდუმლოდ შენახვის შესახებ. მაგრამ საბჭოთა კავშირთან ომის წარმატებამ პირველ თვეებში თვითონ ჰიტლერს „დაავიწყა“ ადრინდელი მითითებები და „ნაადრევად“ გაამჟღავნა თავისი „საბოლოო მიზნები“. როგორც კი მისი არმიები ღრმად შემოიჭრნენ ჩვენს ტერიტორიაზე, ჰიტლერმა იფიქრა — ეს „უზარმაზარი ნაზუქი“ უკვე ხელთა მაქვსო, ძველი „ტაქტიკური“ დაპირებები უკუაგდო, „გამათავისუფლებლის“ ნიღაბიც მოიხსნა და, „იოლი გამარჯვებებით“ მადაწახალისებული, შეუდგა საბჭოთა ტერიტორიების ჭრა-კერვას. 1941 წლის 16 ივლისს მან ამ მიზნით გამოიძახა გერინგი, ბორმანი, როზენბერგი, რაიხსკანცელარიის უფროსი ლამერსი და განუცხადა მათ:

— ახლა ჩვენ წინაშე დგას ამოცანა — დავჭრათ ეს უზარმაზარი ნაზუქი ისე, როგორც ჩვენ გვინდა, რათა შეგვეძლოს: პ ი რ ვ ე ლ ი — ვიბატონოთ, მ ე ო რ ე — ვმართოთ, მ ე ს ა მ ე — ექსპლოატაცია გავუწიოთ.

თათბირი ხუთ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ჰიტლერი ცალ ფეხზე ხტუნაობდა, ხელებს იფშვნეტდა და ეჩოსავით ყველაფერს თავისკენ მიითლიდა. მან მთელი ბალტიისპირეთი გერმანული იმპერიის ნაწილად გამოაცხადა, გალიცია (ცენტრი ქ. ლვოვი) გერმანულ საგენერალგუბერნატოროს

გადასცა, ყირიმი და ახლო-მახლო მდებარე ტერიტორიები (რაც შეიძლება ბევრიო, შენიშნა მან) გერმანიას შეუერთა, თან დასძინა:

— ყირიმი გაწმენდილ იქნეს ყველა უცხოსაგან და დასახლდეს გერმანელებით! ადრე გუთები იყვნენ იქ და ახლაც ისინი უნდა დაბრუნდნენ თავიანთ ძველ ტერიტორიაზე.

მერე ვოლგისპირეთს მისდგა და ისიც თავისკენ მიითალა.

თათბირის ოქმში წერია:

— ფიურერი ხაზს უსვამს, რომ ვოლგის კოლონიები უნდა იქცეს იმპერიის ოლქად ზუსტად ისევე, როგორც ბაქოს ოლქი, იქ იქნება გერმანიის სამხედრო კოლონია.

იმავე თათბირზე ჰიტლერმა განაცხადა, რომ მას სურს ურალის დასავლეთით მდებარე მთელი ტერიტორიები გერმანიას დაუმორჩილოს. აქ არავითარი სხვა სახელმწიფო არ შეიძლებოდა ყოფილიყო, გარდა თვით გერმანიისა, არც არავითარი არმია.

— ურალის დასავლეთით სამხედრო სახელმწიფოს არსებობა არასოდეს არ უნდა დადგეს დღის წესრიგში, — თქვა მან, — ამისთვის ასი წელიც რომ მოგვიხდეს ომი. ჩემმა ყველა მიმდევარმა უნდა იცოდეს: იმპერია მხოლოდ მაშინ იქნება ყოველგვარი საფრთხის გარეშე, როცა ურალის დასავლეთით აღარ იარსებებს უცხოეთის არმია. ამ ტერიტორიების დაცვას გერმანია თავად კისრულობს. რკინის კანონად უნდა იქცეს: არასოდეს არ უნდა მიეცეს ვინმეს ნება, გარდა გერმანელისა, ატარებდეს იარაღს... მხოლოდ გერმანელს აქვს უფლება იარაღის ტარებისა და არა სლავს, ჩეხს, კაზაკს ან უკრაინელს...

რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობისათვის ან, როგორც ჰიტლერი ამბობდა, „ფეხქვეშ გათელილი ხალხებისათვის (unterworfenen Völker) ადრე შეპირებული „თავისუფლების მინიჭებას“, რაზედაც პროპაგანდისტული მიზნით ლაპარაკობდნენ ე. წ. „პირველ ეტაპზე“, ეს შეპირება უკვე იმდენად იყო „ვადაგასული“, რომ ჰიტლერს მისი გახსენებაც არ

უნდოდა. იგი „დაპყრობილ ხალხებზე“ ბატონობას ქადაგებდა და არა მათ თავისუფლებას:

„ბატონობის“ ფორმებიც გერმანული პუნქტუალობით იყო დადგენილი. საბჭოთა კავშირის დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე ოთხი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული, ანუ რაიჰსკომისარიატი უნდა ჩამოეყალიბებინათ, რაც თავის მხრივ რამდენიმე გენერალურ კომისარიატად იქნებოდა დაყოფილი:

1. რაიჰსკომისარიატი „მ ო ს კ ო ვ ი“. ადმინისტრაციული ცენტრი მოსკოვი. გენერალური კომისარიატები: მოსკოვის, ტულის, ლენინგრადის, გორკის, ვიატკის, ყაზანისა და პერმის.

2. რაიჰსკომისარიატი „ო ს ტ ლ ა ნ დ ი“. ცენტრი რიგა. გენერალური კომისარიატები: ესტონეთის, ლატვიის, ლიტვისა და ბელორუსიის.

3. რაიჰსკომისარიატი „უ კ რ ა ი ნ ა“. ცენტრი როვნო. გენერალური კომისარიატები: ვოლინო-პოდოლიის, ჟიტომირის, კიევის, როსტოვის, სტალინგრადის, სარატოვის, ვოლგისპირა გერმანელებისა და ვორონეჟის.

4. რაიჰსკომისარიატი „კ ა ვ კ ა ს ი ა“. ცენტრი თბილისი. გენერალური კომისარიატები: ყუბანის, ყალმუხეთის, სტავროპოლის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მთიანეთის.

პარალელურად არსდებოდა დაპყრობილი ტერიტორიების ეკონომიური ექსპლოატაციის ადმინისტრაციული ოლქები. უკვე შეიქმნა „განსაკუთრებული დანიშნულების“ ეკონომიური შტაბი—„ოლდენბურგი“, რომელიც ზემოხსენებული დაყოფის შესაბამისად 5 სამეურნეო ინსპექციის, 23 სამეურნეო რაზმისა და 12 ფილიალისაგან შედგებოდა. იმ 5 სამეურნეო ინსპექციიდან (ოლქიდან) 4 უკვე შედგენილი იყო:

1. ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი ს ა (კოდური სახელი „ჰოლშტაინი“). საქალაქო რაზმები: ვილნიუსი, რიგა, ტალინი, ლენინგრადი, მურმანსკი. ფილიალები: ვოლოგდა, არხანგელსკი.

2. მ ო ს კ ო ვ ი ს ა (კოდური სახელი „საქსონია“). რაზ-

მები: მინსკი, მოსკოვი, ტულა, გორკი. ფილიალები: ბრიანსკი, იაროსლავლი, რიბინსკი.

3. კ ი ე ვ ი ს ა (კოდური სახელი „ბადენი“). რაზმები: ლვოვი, კიევი, კიშინიოვი, ოდესა, ხარკოვი, დნეპროპეტროვსკი, სტალინო, როსტოვი, სტალინგრადი. ფილიალები: სევასტოპოლი, ქერჩი, ვორონეჟი, კურსკი.

4. ბ ა ქ ო ს ი (კოდური სახელი „ვესტფალია“). რაზმები: კრასნოდარი, გროზნო, თბილისი, ბაქო. ფილიალი: ბათუმი.

5. ს ა რ ე ზ ე რ ვ ო (კოდური სახელი „ჰ ე ს ე ნ ი“).

ამის შემდეგ აღმოსავლეთის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების ოთხივე რაიჰსკომისარიატში დანიშნეს კომისრები. ჰიტლერმა ამ შემთხვევაშიც წინასწარ მიიწვია თავისთან გერინგი და როზენბერგი. ამ თათბირის ოქმი წაკითხულ იქნა ნიურნბერგის პროცესზე, როგორც საბრალდებო მასალა. აღსანიშნავია, რომ გერინგი არც ამ შემთხვევაში ღალატობდა თავის „არასალონურ“ ყარგონს. იგი ლაპარაკობდა არა ამა თუ იმ რაიჰსკომისრის დანიშვნაზე, არამედ ასე:

— მე მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ესა და ეს ოლქი გადაეცეს ამა და ამ პირს გასაყვლეფად.

რაიჰსკომისარიატ „მოსკოვისა“ და ამავე ეკონომიური ოლქის „გასაყვლეფად“ კომისრის თანამდებობაზე ჯერ კაშე დაასახელეს, მაგრამ ხანდაზმულობის გამო უარყვეს მისი კანდიტატურა. ჰიტლერმა თქვა, კოხი დავნიშნოთო. გერინგმა და როზენბერგმა კოხის კანდიდატურა უფრო უკრაინისათვის მიიჩნიეს შესაფერისად. შემდეგ შეთანხმდნენ, რომ რაიჰსკომისარიატ „ოსტლანდის“ კომისრად დაენიშნათ ლოზე, „მოსკოვისა“ — კაშე, „უკრაინისა“ — კოხი, ხოლო რაიჰსკომისარიატ „კავკასიის“ შესახებ თათბირის ოქმში ასე წერია:

— კავკასიისთვის როზენბერგმა თავისი სტატს-მდივანი შიკედანცი დაასახელა, რაზედაც ეჭვი გამოთქვა გერინგმა. როზენბერგმა ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ მისი აზრით შიკედანცი კარგად გაართმევდა თავს ამ საქმეს. ჰიტლერი დაეთანხმა როზენბერგს და კავკასიის რაიჰსკომისრად დაინიშნა არნო შიკედანცი.

აღმოსავლეთის დაპყრობილი ტერიტორიების რწმუნე-

ბულის, შემდეგ კი მინისტრის, როზენბერგის რეზიდენციად დადგენილ იქნა ბერლინი, ლიტცენბურგის ქუჩა, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ყოფილი შენობა...

...როზენბერგმა რწმუნების მიღებისთანავე განსაზღვრა თავისი უფლებამოსილება და აპარატის მუშაკებს განუცხადა:

— წინასწარ ძნელია ყველაფრის გათვალისწინება, მაგრამ უკვე ახლაც შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს:

1. აღმოსავლეთში სრული ძალაუფლების განხორციელება მონდობილი მაქვს მე.

2. ოთხივე რაიჰსკომისარი მითითებებს მიიღებენ ჩემგან.

3. ოლქის სრულ ხელმძღვანელობას ახორციელებს რაიჰსკომისარი.

როზენბერგმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, თუ როგორ რეჟიმს დაამყარებდა თავის სამფლობელოში, და დაუმატა:

— ყველამ, ვინც იმ ქვეყანაში მიდის, მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ იგი ემსახურება გიგანტურ ამოცანას და რომ მას აწევს მძიმე კოლონიზატორული მოვალეობა...

თორმეტი მცნება...

ამ „მძიმე მოვალეობის“ შესასრულებლად ჰერმან გერინგის ეკონომიურმა შტაბმა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებამდე შეადგინა „დირექტივები აღმოსავლეთის დაპყრობილი ტერიტორიების სამართავად“, ანუ ე. წ. „მუყაოს მწვანე ჩანთა“.

გერმანულ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი „მწვანე ჰაინრიხი“, ჩვენ კი ამ დირექტივების გამო გერინგს „მწვანე ჰერმანი“ ვუწოდეთ.

ეს მართლაც „მწვანე დირექტივები“ სრულიად საიდუმლოდ შეადგინეს და აღმოსავლეთის ფრონტზე განლაგებული გერმანიის ჯარების შენაერთებს დაუგზავნეს. „მივიღოთ გერ-

ვანიისათვის რაც შეიძლება მეტი სურსათი და ნავთი — ესაა ამ კამპანიის მთავარი მიზანი“, — წერია ამ დირექტივებში. იქვე ნათქვამია. რომ, ფიურერის ბრძანების მიხედვით, „მიღებულ უნდა იქნეს ყველა ზომა, რათა დაპყრობილი რაიონები მთლიანად და დაუყოვნებლივ დაუქვემდებარდეს გერმანიის ინტერესებს... ყოველგვარი ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და მზა პროდუქცია ამოღებულ უნდა იქნეს სავაჭრო ქსელიდან რეკვიზიციისა და კონფისკაციის გზით“.

ამავე დირექტივის მიხედვით, მხოლოდ ისეთმა საწარმოებმა უნდა განაგრძონ მუშაობა, სადაც გერმანიისათვის საჭირო პროდუქცია დამზადდება, პირველ რიგში კი — ნავთობი.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, აქ სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობები უცვლელად უნდა დაექვემდებარებინათ ჯერ სამხედრო ძალებისათვის, ხოლო შემდეგ გერმანელი მემამულეებისათვის გადაეცათ, საბჭოთა მეურნეობის მუშები და კოლმეურნეები მათ ყმებად გაეხადათ... ამასთანავე სახელწოდება „კოლექტიური მეურნეობა“ შეცვლილ იქნა „სათემო მეურნეობით“. დირექტივებში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „კოლმეურნეობათა მიწები და ქონება გადადის გერმანული არმიის საკუთრებაში“. ამას მოჰყვა ასეთი ბრძანება:

— ამ დოკუმენტის გამოქვეყნებიდან 48 საათის განმავლობაში ყოფილ კოლმეურნეობათა მთელი ქონება, რაც სოფლელებს აქვთ წაღებული, უნდა გადაეცეს სათანადო მმართველებს. შეუსრულებლობისათვის — დახვრეტა.

გერმანელებმა სიკვდილით დასჯის მუქარით დააბრუნებინეს გლეხებს კოლმეურნეობის საქონელი, თვით შინაური ფრინველებიც კი, და ყველაფერი ეს გერმანიის საკუთრებად გამოაცხადეს.

საბჭოთა კავშირში, კერძოდ, უკრაინაში შეჭრის შემდეგ გერმანული რადიო გადასცემდა, რომ აღმოსავლეთის დაპყრობილ ტერიტორიებზე დასახლებულ უნდა იქნეს 20—25 მილიონი გერმანელი. კოლონიზატორების წასაქეზებლად იმასაც აცხადებდნენ, რომ სიძნელეებისა არ უნდა შეეშინდეთ,

რადგან „მძიმე და შავ სამუშაოებზე“ ისინი გამოიყენებენ უკრაინელებს.

„ფელკიშერ ბეობაჰტერში“ გამოქვეყნდა განცხადება, რაც აუწყებდა გერმანელ მოსახლეობას, რომ დაიწყო განცხადებების მიღება აღმოსავლეთში დასახლების მსურველთაგან. ყოველ მათგანს პირდებოდნენ 40-დან 125 ჰექტარამდე მიწას...

კავკასიის ნავთობის საექსპლოატაციოდ ჯერ კიდევ 1941 წლის 27 მარტს დაარსდა სააქციო საზოგადოება „კონტინენტალური ნავთობი“, რომელსაც უნდა „მთლიანად აეთვისებინა“ ბაქოსა და გროზნოს ნავთის წარმოება...

დირექტივების საერთო აზრი ის იყო, რომ მოეწყოთ დაპყრობილი ტერიტორიების „ტოტალური ექსპლოატაცია“...

...გერინგის ამ ზოგად მითითებებს მისი თანამშრომლები აზუსტებდნენ და აკონკრეტებდნენ, თან ინსტრუქციებს იმუშავებდნენ, თუ როგორ უნდა განეხორციელებინათ ყოველივე ეს. ამ მხრივ საინტერესოა „ოსტლანდში“ სურსათისა და სოფლის მეურნეობის რწმუნებულის, სტატს-მდივან ბაკეს ინსტრუქციები. ბაკემ იცოდა, აღმოსავლეთის ტერიტორიების ძარცვა რომ ქრისტეს ათი მცნების დაცვით არ შეიძლებოდა, და თვითონ შეადგინა ამ ტერიტორიებზე გერმანელთა ქცევა-მოქმედების „თორმეტი მცნება“. თუ ქრისტე ქადაგებდა, „არა კაც ჰკლაო“, ბაკე მასობრივი მკვლელობისაკენ მოუწოდებდა თანამემამულეებს და ანუგეშებდა:

— ნუ გეშინიათ მცდარი გადაწყვეტილებებისა. არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს. ჯობს მცდარი გადაწყვეტილება მიიღოთ, ვიდრე არავითარი. მთავარია საქმე და არა შეცდომა. რუსებთან ურთიერთობის დროს კი, საერთოდ, შეცდომების დაშვება ჯობს. თქვენ არ უნდა უყუროთ საქმეებს ვიწრო დასავლეთევროპული თვალსაზრისით. გამოიჩინეთ ინიციატივა. არავითარი ლაპარაკი! საჭიროა მხოლოდ მოქმედება. სულერთია, რუსებს ლაპარაკით ვერასოდეს აჯობებთ, ისინი ამ საქმის ოსტატებია. მოიქეცით ისე, რომ მათ ჩვენში დაინახონ ბატონები. უნდა შეიგნოთ, რომ იქ მთელი საუკუნეების მან-

ძილზე იქნებით დიდი გერმანიის წარმომადგენლები და ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის მედროშენი. ამიტომ საკუთარი ღირსების შეგნებით უნდა მიიღოთ ყველაზე სასტიკი და შეუბრალებელი ღონისძიებანი, რასაც თქვენგან სახელმწიფო მოითხოვს. ვისაც ხასიათის სიმტკიცე არ აღმოაჩნდება, დაუყოვნებლივ იქნება მოხსნილი და მერე ვერავითარ სამსახურს ვეღარ მიიღებს.

ბაკეს „თორმეტი მცნება“ ასწავლის ქვეშევრდომებს ზღვარდაუდებლობასა და გაუმაძღრობას:

— დაისახეთ მაღალი მიზნები, მიუღწეველნიც. — ქადაგებს ეს სენტენციების მოყვარული ყაჩაღი. — მიღწეული ყოველთვის უნდა მიიჩნიოთ ნაწილად. არასოდეს გაძღეთ მოპოვებულით. გაამახვილეთ ყურადღება მთლიანზე. ნუ კითხულობთ, რა სარგებლობას მოუტანს ეს ადგილობრივ გლეხობას; იკითხეთ, თუ რამდენად გამოადგება გერმანიას. რუსებს არ უნდა დარჩეთ შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვმერყეობთ. ნუ გამოიყენებთ აქ გერმანულ მასშტაბებს, დაივიწყეთ ყოველგვარი გერმანული, გარდა თვით გერმანიისა!..

ბაკეს „თორმეტი მცნება“ სავსებით შეესაბამებოდა მისი უმაღლესი შეფის გერინგის მოთხოვნებს. რაიჰსმარშალი ასეთ შემთხვევებში უფრო ლაკონიური იყო, იგი ასე განსაზღვრავდა გერმანიის ეკონომიურ პოლიტიკას აღმოსავლეთში: „ჩვენი მთავარი მიზანია მივიღოთ გერმანიისათვის რაც შეიძლება მეტი სურსათი და ნავთი!“ ან უფრო პირდაპირ: „ჩვენ უნდა ვძარცვოთ და ვძარცვოთ რაც შეიძლება ეფექტურად“. რაიჰსმარშალი არც ასეთ თქმებს თაკილობდა:

— ისე უნდა ვიყოთ, როგორც დაგეშილი ძაღლები...

უსიტყვო მეტყველება...

ნიურნბერგში წინასწარი დაკითხვების დროს გერინგს ვკითხეთ:

— რამ გაიძულათ ამგვარი სიტყვები გეთქვათ და ისიც ასე საჯაროდ?

გერინგს სრულიადაც არ უგრძვნია უხერხულობა ასეთი კითხვის გამო, პირიქით, რაღაც უდარდელი გამომეტყველება მიიღო და თქვა:

— თქვენ მართალი ბრძანდებით: ჩემს გამოთქმებს, საერთოდ, აკლია სალონური სინატიფე.

საქმე, რა თქმა უნდა, გამოთქმების „სინატიფეს“ კი არ ეხებოდა, არამედ ამ დირექტივების ამორალურ ცინიკურობას.

ეს, როგორც ჩანს, ძნელი შესათვისებელი „სიბრძნე“ იყო გერინგისათვის. იგი საერთოდ ვერ იტანდა ისეთ ცნებებს. როგორიცაა: მორალი, ზნეობა, სინდისი, პატიოსნება. არც ესმოდა მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, მით უმეტეს — შეგონებისა:

— პატიოსნება უსიტყვოდაც მეტყველებს!..

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არც არავინ დებდა ამაზე თავს.

ერთხელ ნიურნბერგის ციხის სასადილოში სხვა ბრალდებულებთან საუბრის დროს პაპენმა რამდენჯერმე ახსენა სიტყვა „პატიოსნება“. ეს არ მოეწონა გერინგს და გულმოსულმა იყვირა:

— რა ჯანდაბას ნიშნავს ეს „პატიოსნება“? ან „პატიოსანი სიტყვა?!“ ამაზე შეგიძლიათ ილაპარაკოთ, თუ რამე საქონელზე ურიგდებით ვინმეს. მაგრამ როცა ერის ინტერესებზეა ლაპარაკი, ვის რა ოხრობად უნდა ეგ თქვენი პატიოსნება?!

ადრე ხომ სინდისზეც ასე ამბობდა: „მე არა მაქვს სინდისი, ჩემი სინდისი ადოლფ ჰიტლერიაო“. ჰიტლერმა კი, მოგეხსენებათ, ამ „ქიმერისაგან“ მთელი კაცობრიობის გათავისუფლება მოინდომა. მერე მანაც „გულუბრყვილოდ“ წარმოთქვა:

— მე არ მესმის: გერმანელი, რომელიც ერთ ნატეხ პურს ჭამს, რატომ უნდა იტანჯებოდეს სინდისის ქეჯნით, რომ ეს პური მოპოვებული გვაქვს მახვილით. როცა ვინმე კანადის პურს ჭამს, ხომ არ იტანჯება იმაზე ფიქრით, რომ იმ ქვეყნებიდან განდევნილ იქნენ ინდიელები?!

ეს უკვე მოწოდება იყო. მართალია, ოდნავ შენიღბული, მაგრამ მაინც საკმაოდ აშკარა. მერე ეს ნიღაბიც მოიხსნა და გერმანელ ხალხს მიმართა:

— თქვენ თვითონ გამდიდრდით!..

საკითხავია: რითი? შრომით? მოღვაწეობით? პატიოსანი გზით? არა! ვთქვათ პირდაპირ: სხვისი მიწა-წყლისა და ქონების ძარცვა-გლეჯით. თუმცა, მიკერძება რომ არ დამბრალდეს, რაღა მე ვამბობ ამას, ჯობს თვითონ იმათ მივცეთ სიტყვა:

მე ერთხელ კიდევ შეგახსენებთ გერინგის ნათქვამს:

— ჩვენ უნდა ვძარცვოთ და ვძარცვოთ რაც შეიძლება ეფექტურად.

ჰიტლერი უფრო „სალონურად" გამოთქვამდა ამავე აზრს:

— არ მესმის, მე რატომ უნდა ვიზრუნო სხვების კეთილდღეობაზე. გააკეთონ, რაც უნდათ, როგორც უნდათ, და თვითონ გამდიდრდნენ!

ჰიტლერმა აქ „მცირე კორექტივი" შეიტანა გერინგის ცნობილ ლოზუნგში: „ჩვენ ისე უნდა ვიყოთ, როგორც დაგეშილი ძაღლები..."

მართალია, გერინგზე ნაკლებ არც მას უყვარდა თავისი „ბლონდი", მაგრამ ამ შემთხვევაში „ძაღლებს" მაინც ნიცშეანური „ლომები" ამჯობინა და თქვა:

— მე მინდა ლომები, რომელთაც ყველაფრის უფლებას ვაძლევ. აკეთონ, რაც უნდათ და როგორც უნდათ. აბა, დედაკაცებს კი არ უნდა ჰგავდნენ, მოწყალების სათხოვნელად რომ ეკლესიის კართან არიან ატუზული. ღმერთმა იცის, რომ ჩემი ბიჭები ანგელოზები არ არიან. ისინი მომხვეჭებია და კიდეც უნდა იყვნენ ასეთები. მე მინდა ადამიანები, რომლებიც არაფრის წინაშე არ შეჩერდებიან და არც შედრკებიან, რომ მოკლან ვინმე თავიანთი შეხედულების მიხედვით. ყველა მათგანს შეუძლია თქვას: „ფიურერმა გვითხრა: თვითეულ მებრძოლს უნდა ჰქონდეს პური და სამსახური. ჩვენ იმისათვის კი არ გვიბრძოლია, რომ ხელცარიელნი დავრჩენილიყავით. აბა, რა მებრძოლები ვიქნებით, თუ უზრუნველყოფილი მომაკლის იმედი არ გვექნება!.."

რაკი მითითება ასეთი იყო, ისინიც მდიდრდებოდნენ. რითი? სულერთია: ებრაელთა ქონების ექსპროპრიაციით, რეპრესირებულთა ფულებით, უცხო ქვეყნების ძარცვა-გლეჯით, ყალბი ფულის მოჭრით, საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულთა ნივთებითა და ტანისამოსით, ცოცხალი ადამიანების კანით, დახოცილთა ქონით, ოქროს კბილებითა და თმებით, ძვლის ფხვნილითა და, ვინ იცის, კიდევ რით!

სახელმწიფოს მეთაურები ისე იხრჩობოდნენ სიმდიდრე'ში, როგორც ბუზი თაფლში. ჰიტლერი „ოქროს აბებს" აყლაპებდა თავის გაულაიტერებსა და გენერლებს. ყველას გაუტკბა სხვის დოვლათზე ჯდომა და ალაფობა. ყველა სასახლეს იშენებდა, მამულებს იძენდა და „ყოველი შემთხვევისათვის" უცხოეთის ბანკებშიც ინახავდა უამრავ თანხას...

ამბობდნენ, ერთადერთი ჰიტლერი იყო გამონაკლისიო. ეს მხოლოდ ნაწილობრივაა სწორი. შეიძლება იგი მართლაც არ იყო გერინგივით დაავადებული გამდიდრების „სეკრეციის ჯირკვლებით," მაგრამ „ხელცარიელი მაინც არ დარჩენილა". „ჩემი ბრძოლის" იძულებითი გავრცელებით მიღებულ უზარმაზარ ჰონორარს რომ თავი დავანებოთ, მან რამდენიმე მილიონი მარკა მხოლოდ იმაში მიიღო, რომ ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს ნება მისცა საფოსტო მარკებზე მისი პორტრეტი გამოესახათ... ჰიტლერმა უამრავი ძვირფასი სურათი მიიღო „საჩუქრად" დაპყრობილ ქვეყნებში გაძარცული სამხატვრო გალერეებისა და მუზეუმების ფონდებიდან.

ის, ვინც ამ სიხარბეს არ აჰყვება, ზიზღით უყურებდა გამდიდრების მანიით შეპყრობილ თანამემამულეებს, მაგრამ აშკარა პროტესტს ვინ გაბედავდა... ისე კი გმობდნენ... ჩუმ-ჩუმად...

...დოქტორმა ლეიმ ასი ათას მარკად ღირებული ვილა რომ აიშენა, ღამით ალაყაფის კარებზე ვიღაცამ ცარცით მიაწერა:

— სად იშოვა ლეიმ ასი ათასი მარკა?

დილით ლეიმ ეს წაიკითხა და ისე გაბრაზდა, რომ პოლიციას უბრძანა დაუყოვნებლივ მოეძებნათ და დაეპატიმრებინათ

„დამნაშავე“. თან ათასი მარკა დაჰპირდა ჯილდოდ, ვინც ამას გააკეთებდა.

მეორე დღეს კი ისევ გაჩნდა წარწერა, მაგრამ ახლა ასეთი:

— სად იშოვა ლეიმ ეს ერთი ათასი მარკა?..

...პატივმოყვარე გაულაიტერი კოხიც არ უდებდა ტოლს თავის „უფროს კოლეგებს“. ერთხელ იგი გერინგმა მიიწვია თავის სახელგანთქმულ „კარინჰოლში“. შურიანმა კოხმა მეორე დღესვე დაიტრაბახა, მე უკეთეს სასახლეს ავაგებო, და გახურებული ომის დროსვე შეუდგა ბუხენჰოფში თავისი ძველი სასახლის რეკონსტრუქციას, რაც მილიონ მარკაზე მეტი დაჯდა. ამბობენ, იგი შვეიციიდან ეზიდებოდაო მარმარილოსა და სხვა მასალებს.

სასახლეების მშენებლობას, მათი აზრით, პრინციპული ხასიათიც ჰქონდა. ჰიტლერი ამის მიხედვითაც აფასებდა თავის თანამებრძოლებს, არკვევდა, ვის როგორი გემოვნება აქვსო: ზოგჯერ მათი კარიერაც ამაზე იყო დამოკიდებული.

ოფიციალური განცხადების მიხედვით ჰიტლერს თავის მომაგიერედ რუდოლფ ჰესი ჰყავდა დანიშნული. ჰესმაც აიშენა სასახლე, მაგრამ ჰიტლერს არ მოეწონა ის და თქვა: „კაცი, რომელსაც ამაზე მეტი გემოვნება არა აქვს, არ შეიძლება ჩემი მემკვიდრე იყოსო“ და... ჰესის ნაცვლად თავის მომაგიერედ დანიშნა გერინგი. რომლის ზღაპრული „კარინჰოლით“ იგი აღტაცებული იყო...

კოხმა კი მაინც ვერ მოახერხა დანაქადის შესრულება. ‘ის სასახლე ბევრად ჩამოუვარდებოდა გერინგისას, რამაც დიდ ‘წუხარებაში ჩააგდო იგი.

— მეტის მდომი მდიდარიც ღარიბიაო, — უთქვამს ილიას. ასეთი „სიღარიბე“ შურითა და მწუხარებით ავსებდა გაუმაძღარი კოხის გულს...

და თუ ისევ ჩვენ თანამემამულეთა სიბრძნეს მოვუხმობთ, საბა-სულხანი გაგვახსენდება:

„შური [არს] მწუხარებაჲ სხუისა კეთილსა ზედა“ — ასე განმარტა მან ეს სიტყვა.

ამ შურმა და მწუხარებამ შემდეგში უკრაინის რაიჰსკომისარი კოხი ისე გაახელა, რომ მთელი „თავისი სამფლობელო“, სადაც მისი სიტყვით „მზე არასოდეს არ ჩადის“, გაუგონარი ყვლეფისა და ძარცვა-გლეჯის არენად აქცია.

აქაო-და არნადით მოსახვეტი ვიშოვეო, თვითონაც ჩაება ამ ძარცვა-გლეჯაში.

— ჩემს სამფლობელოში, თუ მინდა, კლდიდან რძეს ვადენო, — ტრაბახობდა იგი.

ყოველივე ეს შედეგი იყო ჰიტლერის ლოზუნგისა: „გამდიდრდით, ვისაც როგორ შეგიძლიათო“. კანონიერად, თუ უკანონოდ, ამის ფიქრი და დარდი არავის ჰქონდა. აქედან კი ერთი ნაბიჯი იყო ბრძანებამდე დაპყრობილ ტერიტორიებზე ჯარისკაცების ყოველგვარი მსჯავრდებისაგან გათავისუფლების შესახებ, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის სრული ლეგალიზაცია მოჰყვა...

...შუა საუკუნეებში რომის პაპი და მისი კარდინალები ინდულიგეციებს ყიდდნენ ცოდვების წინასწარ შესანდობლად. ვინც განსაზღვრულ თანხას გადაიხდიდა, შეეძლო ყოველგვარი ცოდვა ჩაედინა და მაინც გულდამშვიდებული ყოფილიყო, რადგან უკვე ნაყიდი ჰქონდა „მიტევება“ და ადგილი სამოთხეში. ცოდვების ასეთი წინასწარი მიტევება — Absolutio გზას უხსნიდა ყოველგვარ გახრწნილებას.

მაშინ თუ ასე იყო, ახლა რა შეუშლიდა ხელს მსჯავრდებისაგან წინასწარ გათავისუფლებულ გერმანელ ჯარისკაცებს, როგორიც უნდოდათ, ისეთი დანაშაული ჩაედინათ დაპყრობილ ქვეყნებში. ამის Absolutio-ს მათ ჰიტლერისა და კაიტელის ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული ბრძანება ანიჭებდათ...

გამოხრული ძვალი...

ასეთ ბრძანებებს კანონის ძალა ჰქონდათ. ფელდმარშალი კაიტელი ყოველ მათგანს არმიათა ჯგუფებს უგზავნიდა, როგორც სავალდებულოს. ამით არმიაც სრულიად ოფიციალურად ჩაება მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვაში. ან კი

რა გასაკვირია, თუ ასეთ შეგონებათა შემდეგ ჰიტლერისა და კაიტელის „ღირსეული ჯარისკაცებიც“ თავიანთ ბედისკვერს მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვასა და ალაფობაში ეძებდნენ. მათ არამცთუ არავინ უშლიდა ამაში ხელს, პირიქით, აქეზებდნენ კიდეც ოფიცრები.

1941 წლის 25 ივნისის ბრძანებით ჰიტლერმა დაპყრობილ ტერიტორიებზე სრული ძალაუფლება არმიათა სარდლებს გადასცა. იღრინებოდა კიდეც, ნადავლის გაყოფაში არავინ ჩამერიოსო. მას ხომ გამოხრული ძვლის გადაგდებაც ენანებოდა სხვისთვის. საიდუმლო თათბირებზე ზოგჯერ თავის სატელიტებსაც „ამკობდა“ უშვერი სიტყვებით, სხვის ანაბარა უხდათ ფართო კარვის დადგმაო.

იმ დღეებში საფრანგეთის ვიშისტური მთავრობის რომელიღაც გაზეთმა განაცხადა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიის ომით მთელი ევროპა ნახავს სარგებლობასო. ამან სულ გააცოფა ჰიტლერი.

— როგორ? ეს რა უსირცხვილობაა! — ყვიროდა იგი, — მაგათ ხომ არ ჰგონიათ, რომ ჩვენ მთელი ევროპის სასარგებლოდ ვეწევით ამ ომს?!..

მერე დაემუქრა კიდეც „ვიღაცეებს“. არც იმ მოკავშირე სახელმწიფოებს დაერიდა, ვისთანაც საერთო უღელს წევდა: ესენი დღეს ჩვენ გვეხმარებიან, მაგრამ, ვინ იცის, ხვალ რას იზამენო, — და სცადა აღეკვეთა მათთვის „ნადავლის გაყოფაში“ მონაწილეობის მიღების სურვილიც კი...

სხვის სურვილებს ჰიტლერი, საერთოდ, არავითარ ანგარიშს არ უწევდა. ცხადია, არც როზენბერგივით იტყოდა, დაპყრობილი ხალხები ოდესმე გაამართლებენ ჩვენს ღონისძიებებსო. იგი მხოლოდ შამპულაჰის შიშველ ძალასა და „დაშინების მეთოდს“ ეყრდნობოდა. ძალამ კი გზადაგზა უმტყუნა მას. მართალია, ქაღალდზე კი შექმნა რაიჰსკომისარიატები, მაგრამ იმ ოთხიდან, „სარეზერვოზე“ რომ არაფერი ვთქვათ, სამი არ გამოვიდა: მოსკოვის, ლენინგრადისა და კავკასიის (ბაქოსი). გერმანელებმა ვერც მოსკოვი აიღეს, ვერც ლენინგრადი და ვერც ამიერკავკასიაში შემოდგეს ფეხი. ამით გაცოფებულმა ჰიტლერმა ერთხელ კიდევ აურია კარტები და... ის იყო.

მოსკოვისა და ლენინგრადის ტოტალური მოსპობა რომ გადაწყვიტა:

— მოსკოვი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა, როგორც კი იქიდან გამოზიდული იქნება მთელი სიმდიდრე, — განაცხადა მან.

მისი აზრით, „პეტრე დიდის მიერ პეტერბურგის დაარსება ფატალური მოვლენა იყო ევროპის ისტორიაში“, ამიტომ ეს ქალაქიც უნდა მოისპოს მთლიანადო.

კაიტელმა მაშინვე აფრინა შესაფერი მითითება:

— ფიურერმა ისევ მიიღო გადაწყვეტილება — არ დავეთანხმოთ ლენინგრადის კაპიტულაციას, არც მოსკოვისას, კიდევაც რომ შემოგვთავაზონო... ეს შეეხება აგრეთვე სხვა ქალაქებსაც. აღების წინ ისინი მოსპობილ უნდა იქნენ არტილერიის ცეცხლითა და საჰაერო თავდასხმებით, მოსახლეობა კი უნდა ვაიძულოთ გაიქცეს... რაც უფრო მეტი ქაოსი იქნება რუსეთში, მით უკეთესი ჩვენთვის. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ქალაქების მცხოვრებთა სურსათით მომარაგება გერმანული სამშობლოს ხარჯზე... ფიურერის ამ გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ყველა მეთაურს.

მერე მოსახლეობისათვის „გაქცევის საშუალების“ მიცემის „ჰუმანიზმიც“ გაქრა. ლენინგრადისა და მოსკოვის „საბოლოოდ მოსპობის“ გეგმებში ამ მხრივ უფრო მკაცრი ზომები იქნა გათვალისწინებული. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბის უფროსმა 1941 წლის 24 სექტემბერს გამოსცა საიდუმლო ბრძანება ლენინგრადისა და მისი მოსახლეობის მთლიანად მოსპობის შესახებ.

— ადრინდელი მოთხოვნა, — წერია ამ ბრძანებაში, — გემთმშენებელ-სანავსადგურო და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სხვა მნიშვნელოვან ნაგებობათა შენარჩუნების შესახებ, ცნობილია შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობისათვის, მაგრამ ამის დაკმაყოფილება შეუძლებელია პეტერბურგის შესახებ საერთო მითითების მიღების გამო. გადაწყვეტილია მჭიდრო ალყა შემოერტყას ქალაქს, რომ ყველა ყალიბის

არტილერიის ცეცხლითა და განუწყვეტელი საჰაერო თავდასხმებით მიწასთან იქნეს გასწორებული. შექმნილი მდგომარეობის გამო, ალბათ, მიღებული იქნება თხოვნა დანებების შესახებ, რაც უნდა უარვყოთ, რათა ქალაქში მოსახლეობის დარჩენისა და მათი სურსათით მომარაგების პრობლემები არ გავიხადოთ სადავიდარაბოდ. ამ ომში, რასაც ჩვენი არსებობისათვის ვეწევით, დაინტერესებული არა ვართ მოსახლეობის თუნდაც ნაწილობრივი შენარჩუნებით.

თქვენ უკვე იცით, რომ ასეთივე ბრძანებები იყო შედგენილი მოსკოვისა და კიევის მოსპობის შესახებ.

კალტენბრუნერმა წინასწარ დაკითხვაზე ყოველივე ამის „აუცილებლობა“ შემდეგნაირად „აგვიხსნა“:

— რაკი რუსეთის ვრცელ ტერიტორიებზე სოფლის მეურნეობა უნდა განვითარებულიყო და არა ინდუსტრია, დიდი ქალაქები ზედმეტ ტვირთად დააწვებოდა სურსათით მომარაგების ორგანოებს... ჰიტლერმა ამიტომ გადაწყვიტა ამ დასახლებული პუნქტების მოსპობა...

მერე, ჩვენს გაოცებულ სახეებს რომ შეხედა, დასძინა:

— რას იზამთ, ბატონებო, შეიძლება ეს მართლაც საშინელია, მაგრამ აუცილებელი!..

მოძალადე ნათლიები...

ასეთი იდეებით შეიარაღებულმა ჰიტლერელებმა კავკასიის მისადგომებამდე მოაღწიეს. საშინელი საფრთხე ემუქრებოდა მაშინ ჩვენს ხალხს. ჰიტლერს, როგორც მოგახსენეთ, საქართველო გერმანიის იმპერიის ფარგლებში ჰქონდა შეტანილი. ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად იგი შედიოდა რაიჰსკომისარიატ „კავკასიაში“, რომლის საზღვრები ასე მოხაზა როზენბერგმა:

— კავკასიაში საზღვრები მიემართება ვოლგის აღმოსავლეთით, შემდეგ—როსტოვის სამხრეთით, დანარჩენი კი—ძველებურად თურქეთისა და ირანის გასწვრივ. ეს ოლქი მოიცავს 500 ათას კვ. კილომეტრს, სადაც 18 მილიონი მცხოვ-

რებია. იგი დაყოფილი იქნება ექვს გენერალურ კომისარიატად.

საქართველოს მაგივრად ერთ-ერთი ასეთი კომისარიატი უნდა ყოფილიყო და ფილიალი ბათუმში ჰქონოდა. გენერალური კომისრის რეზიდენციად, ისევე როგორც კავკასიის რაიჰსკომისრისა, გამოცხადდა თბილისი...

ამრიგად, ჰიტლერი, როზენბერგი და სხვა არამკითხე ნათლიები არა მარტო სპობდნენ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე სახელმწიფოებს, არამედ მათი სახელების მოშლასაც ცდილობდნენ. პოლონეთი ჰიტლერელებმა „საგენერალგუბერნატოროდ“ აქციეს. ბალტიისპირეთის დაპყრობილ ტერიტორიებს „ოსტლანდი“ უწოდეს, ხოლო ნოვგოროდის, ფსკოვისა და ლენინგრადის ოლქს — ინგერმანლანდია. „ნაზუქის“ ოთხ ნაჭერს ოთხი კოდური სახელი შეარქვეს: „ჰოლშტაინი“, „საქსონია“, „ბადენი“ და „ვესტფალია“. ქალაქებიც გერმანულად მონათლეს: გოტენბურგი, თეოდორიჰსჰაფენი და ა. შ. საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩრდილოეთი კავკასია და ყუბანი გენერალურ კომისარიატებად სურდათ ექციათ. ჩვენი ქვეყნის აწმყო და ᲫᲛᲐᲕᲐᲚᲘ საშინელი საფრთხის წინაშე დადგა. საქართველოსაც ის ემუქრებოდა, რაც ჰიტლერელების მიერ ადრე „რუსეთისა“ და „რუსების“ შესახებ იყო თქმული. იგივე მოელოდა საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხს, ვინც გერმანიის „ათასწლოვანი იმპერიის“ ფართოდ მოხაზულ საზღვრებში მოხვდებოდა. დოკუმენტებში კი უმთავრესად „რუსეთსა“ და „რუსებზეა“ ლაპარაკი. ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. როცა ჰიტლერელები ამბობენ „რუსეთიო“, გულისხმობენ „საბჭოთა კავშირს“, ხოლო „რუსებს“ მასში მცხოვრებ ხალხებს უწოდებენ. მხოლოდ იშვიათ ან სპეციალურ შემთხვევებში აზუსტებენ ისინი ცალკეულ ეროვნებათა სახელწოდებებს. ეს სრულიად ცხადი გახდა ნიურნბერგის პროცესზე: როცა ინგლისელმა ბრალმდებელმა ეიმენმა შეცდომით იხმარა გამოთქმა „რუსი ტყვეები“, ლოურენსმა

მაშინვე ჩაქუჩი დაჰკრა მაგიდას, ლაპარაკი შეაწყვეტინა და გაუსწორა:

— პოლკოვნიკო ეიმენ, მე ვფიქრობ „რუსი ტყვეების“ ნაცვლად თქვენ უნდა თქვათ „საბჭოთა ტყვეები“.

— დიახ, EXcelece!.. — დაეთანხმა ეიმენი.

ასე რომ, რაც ადრე ჰიტლერელების საერთო გეგმებისა და მიზანდასახულობათა შესახებ ითქვა, „რუსეთსა“ და „რუსებთან“ ერთად ეხება კავკასიასა და მის მრავალრიცხოვან ხალხებს, მათ შორის საქართველოსა და ქართველებს...

ამიტომაც ადგენდა ჰიტლერი ასე გულმოდგინედ „გერმანული ევროპის“ ფარგლებს და, როგორც კი მის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებს მიადგებოდა, მაშინვე საქართველოს დაადგამდა თვალს.

— დიდი გერმანიის საზღვრები იქნება, — ამბობდა იგი,— ჩრდილო-აღმოსავლეთით ფინეთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — საქართველო.

სწორედ ასე ამბობდა, საქართველოო, და თან განმარტავდა Georgiene, ანუ Gruzia-ო.

„ცისფერი კავკასია“ ხომ სულ პირზე ეკერა. იგი მოითხოვდა აქ „საგანგებოდ მკაცრი ღონისძიებანი“ გაეტარებინათ. ეუბნებოდა კიდეც თავის თანამშრომლებს:

— კავკასია ჩვენთვის ნავთის უზარმაზარ რეზერვუარად უნდა იქცეს. თუ ჩვენ გვინდა ეს ნავთი ხელთ ვიგდოთ, კავკასიაში უნდა უმკაცრესი ღონისძიებანი გავატაროთ, თორემ ისე ვერაფერს გავხდებით ამ სისხლის აღებით დაორსულებულ (Geschwangert) მხარეში....

საქართველოს შესახებაც ასევე გეშავდა თავის ქვეშევრდომებს და მოუწოდებდა: ეს ქვეყანა in scharfsten Ansicht zu nehmen!...

...ბუნებრივია, რომ ნიურნბერგის პროცესში მონაწილეობის დროს მე განსაკუთრებით მაინტერესებდა ყველაფერი, რაც კავკასიას, კერძოდ კი საქართველოს შეეხებოდა. საგანგებოდაც ვაგროვებდი მასალებს ამ საკითხზე: ვიღებდი გერმა-

ნული დოკუმენტებისა და სამხედრო დამნაშავეთა დაკითხვის ოქმების ასლებს, ვესაუბრებოდი მთავარ სამხედრო დამნაშავეებსა და პროცესზე მოწმედ გამოძახებულ პირებს. შვიდი თვის განმავლობაში, რაც მე იქ დავყავი, საქმაო მასალაც დამიგროვდა, მაგრამ, თბილისში რომ შვებულებით ჩამოვედი, მხოლოდ მცირე ნაწილი ჩამომყვა თან. დანარჩენი იქ დავტოვე, სამუშაო ოთახში. მერე, როგორც მოგახსენეთ, უკან აღარ დავბრუნებულვარ და ის მასალებიც დაკარგული მეგონა, ყოველ შემთხვევაში—ჩემთვის. დიდი ხანი არც მიფიქრია ამაზე. ახლა კი, როცა ამ ამბების მოყოლა დავიწყე, გული დამწყდა, საქართველოს შესახებ შეგროვილი მასალები რომ ხელთ არა მქონდა. ალალ-ბედზე ვცადე მათი მოძებნა მოსკოვის ცენტრალურ არქივში, სადაც ნიურნბერგის პროცესის მასალები ინახება. ამ დოკუმენტებში (აღწერილობა № 1) ადვილად მივაგენი ჩემთვის საინტერესო მასალებსაც (დოკ. 31, საქმეები № № 1692, 1693 და ა. შ.), მათ შორის საკუთარსაც, რაც არქივში ახლაც ჩემს გვარზეა ჩაწერილი.

მთელი ეს მასალა ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვინც აქ მოთხრობილი ამბების სისწორის დოკუმენტურ შემოწმებას მოისურვებს...

ციხფერი კავკასია...

· კავკასიის საკითხი როგორღაც მოულოდნელად ამოტივტივდა ნიურნბერგის პროცესზე. იგი პირველად გერინგის დამცველმა დოქტორმა შტამერმა წამოჭრა, მერე კი საერთო მსჯელობის საგნად იქცა. მართალი გითხრათ, მე ჯერ მიკვირდა კიდეც, რატომ მიიპყრო ამ საკითხმა გერინგისა და მისი დამცველის ასე დაჟინებული ყურადღება! მერე კი მივხვდი ყველაფერს. თურმე ნუ იტყვით, ყოფილ რაიხსმარშალსა და შტამერს განუზრახავთ თვით ინგლისელი და ფრანგი მოსამართლეების „გაყვანა ბრალდებაში“, რისთვისაც გულმოდგინედ შეუგროვებიათ უამრავი ისტორიული და საარქივო მასალა იმის შესახებ, რომ კავკასიის დაპყრობის გეგმა გერმანელებ-

ზე ადრე თვით ინგლისელებსა და ფრანგებს ჰქონდათ შედგენილი.

— აი, ვინ არიან საბჭოთა კავშირის ნამდვილი მტრები!.. — განაცხადეს მათ, რომ ამით უთანხმოება ჩამოეგდოთ მოკავშირეთა შორის.

ეს არცთუ ისე სასიამოვნო მოსასმენი იყო იმათთვის, ვინც მხოლოდ სხვის ბრალდებასაა მიჩვეული. ტრიბუნალის ინგლისელმა თავმჯდომარემ ლორდმა ლოურენსმა რამდენჯერმე დაჰკრა ხის ჩაქუჩი მაგიდას და გააჩერა დოქტორი შტამერი, ეს განხილვის საგანს არ ეხებაო, მაგრამ მრავალ პროცესში გამობრძმედილმა იურისტმა მაინც თავისი გაიტანა და შეუდგა დაცვის მასალების წარდგენას...

ისე, კაცმა რომ თქვას, აქ ახალი არაფერი თქმულა. ჩვენთვის ადრეც ცნობილი იყო, რომ სამივე იმპერიალისტურ სახელმწიფოს — ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიას ყოველთვის საკუთარი ინტერესები ჰქონდათ კავკასიის მიმართ. იყო დრო, როცა სხვა სახელმწიფოებიც ერეოდნენ ამ საქმეში, როგორც შორეულნი — ამერიკა, იტალია, ისე ახლობლებიც — თურქეთი, ირანი. კავკასიის ნავთის სუნი ერთნაირად იზიდავდა ყველას. პირველი პოლიტიკური ბანქოს თამაში ამ საკითხზე ჯერ კიდევ 20-იან წლებში გაიმართა. მთავარ პარტნიორებად მაშინ ლოიდ ჯორჯი და კლემანსო გამოდიოდნენ. მერე ვილსონიც გააქტიურდა, ვითომ იტალიის ინტერესების დასაცავად, მაგრამ, რაკი თავისი მოკავშირე „პულკაში“ ვერ გაიყვანა, თურქებისათვის „გამოიდო თავი“: კავკასიის საკითხი უნდა განვიხილოთ როგორც თურქეთის იმპერიის პრობლემაო, განაცხადა მან. საქმე ისაა, რომ თურქეთში თვით ამერიკას ჰქონდა ფეხი მოკიდებული და ვილსონი ფიქრობდა, სხვისი მაზიარებელი უზიარებლად არც თვითონ დარჩებაო. მერე ერაყისა და ქურთისტანის ნავთობის საკითხიც წამოიჭრა. ლოიდ ჯორჯმა იფიქრა, ამერიკას აქაც დავასწრებო, და ეს რაიონიც თავისი ინტერესების სფეროში შეიტანა.

„დიდი სომხეთის“ საკითხიც დაისვა, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ ვისთვის რა ებოძებინათ. იტალია უკვე არავის ახსოვდა. სომხებს ნავთი არა ჰქონდათ და „დიდ სომხეთზე“ მაინცდამა-

ინც არავინ იკლავდა თავს. ბოლოს სომხეთიცა და საქართველოც ამერიკის გავლენის ზონაში მოექცა. ვილსონი კავკასიაში „აწესრიგებდა“ საკითხებს, მაშინ როცა საკუთარი სახელმწიფო საქმეები აწეწილ-დაწეწილი ჰქონდა. მალე იგი გადააყენეს კიდეც. იტალიაშიც საყოველთაო გაფიცვები დაიწყო. თურქეთში ქემალ ათა თურქის მოძრაობა გაიშალა და „წითელქუდა დამპყრობლებს“ კავკასიის თავი აღარა ჰქონდათ.

შემდეგ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, მაგრამ ძველი გეგმები მხოლოდ დროებით მიივიწყეს.

გერინგმა და შტამერმა ახლა 1939—1940 წლების ამბები გაიხსენეს და განაცხადეს, კავკასიის დაპყრობას ამ პერიოდშიც ჩვენზე ადრე ინგლისელები და ფრანგები აპირებდნენო.

ვინ ვისზე ადრე აპირებდა, ამის თქმა მართლაც ძნელია. ყოველ შემთხვევაში, დოკუმენტები ამჯერადაც გერმანიის საზარეებლოდ არაფერს ღაღადებდნენ. მათ ხომ პირველი მსოფლიო ომის დროსაც შეადგინეს ასეთი გეგმა. ცნობილ მრეწველ ტისენს უკვე მაშინ ჰქონდა კავკასიის ნავთი თავის ბალანსში შეტანილი, ხოლო გენერალი ლუდენდორფი საქართველოში ეძებდა „კარგ ჯარისკაცულ მასალას“ (cute Soldatenmaterial).

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ „ცისფერი კავკასია“ ისევ „ბანხეთქილების ვაშლად“ იქცა...

...როგორც კი ევროპაში წყალი აიმღვრა, სამივე სახელმწიფომ ერთად მოამზადა ბადე სასროლად. გერმანია რომ „ბარბაროსას“ გეგმავდა, არც ინგლისელებსა და ფრანგებს ეძინათ. კავკასიის ნავთის სუნი ერთდროულად სცემდათ როგორც ბერლინში, ისე პარიზსა და ლონდონში. 1940 წლის თებერვალში დალადიე თავის ანკარელ ელჩს მასილიის დირექტივებს უგზავნიდა კავკასიის, კერძოდ ბაქოს, ნავთის თაობაზე. ლონდონშიც მოაგონდათ, რომ მათ ამ საქმის ჩინებული სპეციალისტი ჰყავთ — გენერალი დიდსი, რომელიც 1918—1919 წლებში დიდი ბრიტანეთის ჯარებს სარდლობდა კავკასიაში. მართალია, იგი კარგა ხანს დავიწყებული იყო, მაგრამ მოძებნეს, „წესრიგში მოიყვანეს“ და ანკარაში გაგზავნეს. გენერალმა გამელენმა და ადმირალმა დარლანმაც მიიღეს სა-

ფრანგეთის მთავრობის დავალება შეედგინათ კავკასიის დაპყრობის გეგმა.

„ბაქოდან ბათუმამდე!“ — ასეთი იყო მარშრუტი. მაშინ ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთის ჯარებს გენერალი ვაიგანი სარდლობდა, რომელმაც საიდუმლო მემორანდუმი გაუგზავნა თავის მთავრობას, აქ ამ საქმისათვის ინგლისელებიც ემზადებიანო. ოცი წლის წინანდელი მეტოქენი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. საქმე ამჯერადაც ისე იყო, თუ ვინ ვის დაასწრებდა. ფრანგებმა აეროდრომები გამართეს დიარბექირში, ერზერუმსა და ყარსში. ამ „მომგებიან საქმეში“ ჩაბმული იყო თურქი მარშალი ჩაკმაკი. საფრანგეთი თურქეთის საშუალებით აპირებდა კავკასიის დაპყრობას. ვაიგანმაც გამელენთან დაიტრაბახა, „კავკასიას რომ დავიპყრობ, ისე შევალ რუსეთში, როგორც დანა კარაქშიო“. ის კი არ იცოდა, რომ ჰიტლერს უკვე ალესილი ჰქონდა დანა თვითონ საფრანგეთის ყელის გამოსაჭრელად. არც ინგლისი ჰყავდათ გერმანელებს დავიწყებული.

ინგლისელები და ფრანგები ზედმეტად თვითდაჯერებული არიან, როცა ასეთ გეგმებს ადგენენ. ეს სენი გერმანიასაც გადაედო. მათ უნდოდათ თურქეთიც აეყოლიებინათ, მაგრამ „წითელქუდა“ დიპლომატია ეშმაკია: იგი ასე უცებ არ იღებს გადაწყვეტილებებს და უცდის, ვიდრე გამარჯვების სრული გარანტია არ ექნება. ამ გარანტიას ის 1940 წელს ჯერ კიდევ ვერ ხედავდა და ამიტომ თავი შეიკავა საფრანგეთის ავანტიურაში მონაწილეობისაგან. ფრანგები ახლა ირანელებს მიადგნენ და პარტნიორობა შესთავაზეს, რის შემდეგაც თურქი ჩაკმაკის მაგივრად პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე ირანელი გენერალი ალი რაზმარა ამოტივტივდა.

1940 წლის 4 აპრილს დამტკიცდა კავკასიაში შეჭრის გეგმა. ოპერაციები უნდა დაწყებულიყო ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში...

მაშინ რა იცოდა გენერალმა ვაიგანმა, რომ ამ დროისთვის საფრანგეთის რესპუბლიკა უკვე აღარ იარსებებდა და თავად მას კავკასიაზე ლაშქრობის მაგივრად კომპიენის ტყეში მოუხდებოდა კაპიტულაციაზე ხელისმოწერა...

ინგლისის „კავკასიური პოლიტიკის“ საკითხებზე გერმანელებიც კარგად იყვნენ ინფორმირებულნი. 1942 წლის 27 ივლისს როზენბერგი „კავკასიის მართვის“ თაობაზე შედგენილ სპეციალურ მემორანდუმში სწერდა ჰიტლერს:

— ლონდონის პოლიტიკა ყურადღებას აქცევდა კავკასიის პრობლემას მთლიანად. 1939 წელს გამოქვეყნებულ სტატიებში გამოთქმული იყო ბრიტანული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ კავკასიის ზონას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთელ უკრაინას...

შემდეგ როზენბერგი იმოწმებს ამონაწერს ერთ-ერთი ასეთი ინგლისური სტატიიდან:

— ხელისუფლებას, რომელიც განმტკიცდება, კავკასიის ყელზე, შეუძლია დააბრკოლოს ცენტრალური რუსეთისაკენ მოძრაობა ვოლგის დიდი არტერიით და კონტროლს ქვეშ იყოლიოს დღევანდელი დიდი რუსეთის შემცირებული სახელმწიფო. ერთდროულად იმავე ხელისუფლებას მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი ექნება მიუახლოვდეს სპარსეთის უბეს, ერაყისა და ირანის ნავთობის ზონას. არც ერთ მსოფლიო სახელმწიფოს არ შეუძლია ნება დართოს რომელიმე ახალ მსოფლიო სახელმწიფოს გამაგრდეს კავკასიის ყელზე...

ეს იყო მთავარი! არც გერმანიას, არც ინგლისსა და არც საფრანგეთს არ უნდოდათ დაეშვათ „სხვა ვინმეს“ ბატონობა კავკასიაში, რადგან ამ საქმეს, როგორც იტყვიან „ნავთის სუნი ასდიოდა“. ყოველი მათგანი თვითონ ცდილობდა ამას. გერმანიაც, რა თქმა უნდა. იმავე დოკუმენტში როზენბერგი წერს:

— აშკარად ჩანს, რომ ინგლისელებს სურთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში კავკასია დაქუცმაცებული იყოს და არა შეკავშირებული რომელიმე მსოფლიო სახელმწიფოს, პირველ რიგში, გერმანიის მიერ.

როზენბერგის აზრით კი პირიქით:

— გერმანიას სურს შეიქმნას თავისთვის მტკიცე პოზიციები კავკასიაში და ამით უზრუნველყოს კონტინენტალური ევროპის უშიშროება, ე. ი. განამტკიცოს თავისი კავშირი ახ-

ლო აღმოსავლეთთან. ნავთის საბადოებთან მხოლოდ ეს კავშირი გახდის მომავალში გერმანიასა და მთელ ევროპას დამოუკიდებელს საზღვაო სახელმწიფოთა ყოველგვარი კოალიციისაგან. გერმანიის პოლიტიკის მიზანია: კავკასიასა და მის სამხრეთით მოსაზღვრე სახელმწიფოებში ბატონობა, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით...

ნიურნბერგის დოკუმენტებიდანვე გაირკვა, რომ გერმანელებს განზრახული ჰქონდათ ბაქოში შეექმნათ ძლიერი სამხედრო კოლონია და განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ნავთის ექსპლოატაციის საკითხისათვის. რაუშნინგი ჯერ კიდევ 1934 წელს წერდა, რომ ჰიტლერი დაინტერესებული იყო კავკასიის ნავთის საკითხებით. ამასთან დაკავშირებით საქართველოზედაც ჩამოაგდო თურმე ლაპარაკი. გაახსენდა, რომ ერთ დროს, როცა საქართველო დამოუკიდებლად არსებობდა, დეტერდინგი იყო დაინტერესებული ამ ქვეყნით. მაშინაც იმის გაგება მოისურვა, დეტერდინგის მოსყიდვა თუ შეიძლებაო საქართველოს შეპირებით, მაგრამ ცდებოდა: „ნავთის მეფეს“ ბაქო უფრო აინტერესებდა, ვიდრე საქართველო. ჰიტლერსაც ეს უნდოდა. ამიტომ იყო, მომავალ რაიხსკომისარიატ „კავკასიას“ ეკონომიური თვალსაზრისით მან „ბაქოს ოლქი“ რომ უწოდა. აქვე უნდა შექმნილიყო აღმოსავლეთში უდიდესი გერმანული სამხედრო პლაცდარმი, სადაც მხოლოდ სამხედროები იცხოვრებდნენ მათი ოჯახებისათვის და, საერთოდ, კავკასიაში გადმოსახლებული გერმანელებისათვის უმთავრესად საქართველოს „განხალხებული“ ტერიტორია იყო განკუთვნილი. ისიც გამოირკვა, რომ ამას მათს ჟარგონზე „პოლიტიკური ხასიათის პრობლემა“ ეწოდებოდა და თვით გერმანიის ტერიტორიული ფარგლების გაფართოებას გულისხმობდა. როზენბერგი წერდა:

— აღმოსავლეთის პრობლემა ითვალისწინებს ბალტიისპირელი ხალხების გადაყვანას გერმანული კულტურის ნიადაგზე და იმპერიის ფართოდ მოხაზული საზღვრების დადგენას. უკრაინის ამოცანაა უზრუნველყოს გერმანია და მთელი ევროპა კვების პროდუქტებით, ხოლო კონტინენტი — ნედლეულით. კავკასიის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური

ხასიათისაა და ნიშნავს კონტინენტური ევროპის გაფართოებას კავკასიის ყელიდან ახლო აღმოსავლეთისაკენ...

ნიურნბერგის პროცესზე ეს დოკუმენტი რომ გამოაქვეყნეს, საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ ჰკითხა როზენბერგს:

— წაიკითხეთ ეს ადგილი?

— დიახ! — მიუგო ბრალდებულმა.

— თქვენ ხომ არ უარყოფთ, რომ ასეთი გეგმა არსებობდა? — შეეკითხა ისევ რუდენკო.

— არა, მე ვადასტურებ ამას, — აღიარა როზენბერგმა...

შეწყვეტილი საუბარი...

ან სხვა რა გზა ჰქონდა, როცა წინასწარ დაკითხვებზე იმდენი მამხილებელი დოკუმენტი წარუდგინეს ამის თაობაზე, რომ მთელი მისი „ფარული გეგმები“ სააშკარაოზე იქნა გამოტანილი. ისიც მოაგონეს, რომ, მისი აზრით, გერმანიას „ოთხი დასაყრდენი ბლოკი“ უნდა შეექმნა აღმოსავლეთში: დიდი ფინეთი, ბალტიისპირეთი, უკრაინა და კავკასია.

— ჩვენ უნდა დავიპყროთ და შევინარჩუნოთ ეს ტერიტორიები, — ამბობდა იგი, — ცხადია, ამას მარტო ჩვენი თაობა ვერ შეასრულებს, ეს საუკუნეების საქმეა, მაგრამ მაინც უნდა გაკეთდეს, რომ ევროპამ სამუდამოდ წაიწიოს წინ აღმოსავლეთისაკენ.

აქ კი, როზენბერგის აზრით, კავკასია იქნებოდა ერთ-ერთი „ძირითადი დასაყრდენი ბლოკი“. ჰიტლერი ამას „სამხედრო კონცესიას“ უწოდებდა და, როგორც მოგახსენეთ, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა საქართველოს მიმართ. ამ საუბრის დროს როზენბერგს მეც მივეცი რამდენიმე შეკითხვა:

კ ი თ ხ ვ ა: ხომ არ შეგიძლიათ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ საქართველოს შესახებ?

პ ა ს უ ხ ი: არა, მე ხელთ არა მაქვს საჭირო მასალები. რაც შეეხება ძირითადს, თქვენ უჩემოდაც იცით, რომ ჰიტლერს საქართველო შეტანილი ჰქონდა გერმანიის იმპერიის ფარგლებში.

კ ი თ ხ ვ ა: რა უფლებით, განა არსებობს ასეთი გადაწყვეტილების რამე ისტორიული ან იურიდიული წანამძღვარი?

პ ა ს უ ხ ი: ჰიტლერი ამას ანგარიშს არ უწევდა.

კ ი თ ხ ვ ა: თქვენ?

პ ა ს უ ხ ი: მე ვალდებული ვიყავი შემესრულებინა მისი განკარგულებები. პირადად კი არასოდეს ვიზიარებდი ადგილობრივი მოსახლეობისადმი მოპყრობის ზედმეტად მკაცრ პოლიტიკას, რასაც ფიურერი ჰიმლერის მეშვეობით ახორციელებდა.

კ ი თ ხ ვ ა: განა ჰიმლერის წარმომადგენლები თქვენს უწყებაში არ მუშაობდნენ?

პ ა ს უ ხ ი: დიახ, მაგრამ ისინი მე არ მემორჩილებოდნენ.

კ ი თ ხ ვ ა: ჩვენ გვაქვს მასალები, რაც საწინააღმდეგოს ადასტურებს.

პ ა ს უ ხ ი: შესაძლებელია, მაგრამ ძირითადად ეს ასე იყო. მე არ მქონდა ნება შემეზღუდა ჰიმლერის უფლებამოსილება ჩემდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზედაც კი.

კ ი თ ხ ვ ა: იყო თუ არა შექმნილი ჰიმლერის სპეციალური დამსჯელი ორგანიზაციები კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოსათვის?

პ ა ს უ ხ ი: დიახ, იყო.

კ ი თ ხ ვ ა: ვინ ხელმძღვანელობდა მათ?

პ ა ს უ ხ ი: საერთოდ გენერალი ბახ-ზელევსკი, უშუალოდ კი გენერალი ოლენდორფი.

კ ი თ ხ ვ ა: რა ევალებოდათ ამ ორგანიზაციებს?

პ ა ს უ ხ ი: ეს უკეთ ოლენდორფს მოეხსენება, შეგიძლიათ მას ჰკითხოთ.

კ ი თ ხ ვ ა: ვალდებული იყო თუ არა ოლენდორფი შეესრულებინა თქვენი განკარგულებები?

პ ა ს უ ხ ი: რა თქმა უნდა, თუ ეს არ ეწინააღმდეგებოდა ჰიმლერის მითითებებს.

კ ი თ ხ ვ ა: იყო თუ არა ამ საკითხში უთანხმოება თქვენსა და ჰიმლერს შორის?

პ ა ს უ ხ ი: მე უკვე მოგახსენეთ. რომ არ ვიზიარებდი მის მეთოდებს. ამის შესახებ მივსწერე კიდეც ჰიტლერს და

ვსთხოვე უფრო ჰუმანურად მოპყრობოდნენ მოსახლეობას, განსაკუთრებით კავკასიაში.

კ ი თ ხ ვ ა: რა შედეგი მოჰყვა ამას?

პ ა ს უ ხ ი: არავითარი, ჩვენ არ დაგვიპყრია კავკასია.

კ ი თ ხ ვ ა: იცით თუ არა, რომ ოლენდორფმა კავკასიის მისადგომებზედაც მოასწრო სულ მცირე ოთხმოცდაათი ათასი კაცის დახვრეტა?

პ ა ს უ ხ ი: არა, ამის შესახებ მე არაფერი ვიცი.

კ ი თ ხ ვ ა: რატომ? განა ეს თქვენდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არ ხდებოდა?

პ ა ს უ ხ ი: ეს იმდენად უზარმაზარი ტერიტორია იყო, რომ მე არ შემეძლო ყველაფერი მცოდნოდა. რაც შეეხება კავკასიას, ამის შესახებ შეგიძლიათ უფრო ზუსტი ცნობები არნო შიკედანცისაგან მიიღოთ.

კ ი თ ხ ვ ა: შიკედანცი ვინ არის?

პ ა ს უ ხ ი: ჩემი მოადგილე და კავკასიის რაიჰსკომისარი...

აქ კი შევცდი. მეგონა მართლაც ასე იქნებოდა და უფრო კერძო საკითხებზე გადავედი. ვიფიქრე, შიკედაცს მერე მოვძებნი და საქართველოს შესახებ დაწვრილებით გამოვკითხავ-მეთქი...

შვინდისფერი ხავერდი...

შიკედანცი! ეს გვარი მე ადრეც მქონდა გაგონილი. სრულიად შემთხვევით, მაგრამ მაინც. მაშინ ბერლინში ვმუშაობდი საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის აპარატში. დილით ჩემმა უშუალო უფროსმა ა. სობოლევმა გამომიძახა და მითხრა:

— ცნობა მივიღეთ, რომ კარლსჰორსტის ეკლესიაში ინახება ჰიტლერის პირადი არქივი. გთხოვთ ახლავე გაემგზავროთ იქ და შეამოწმოთ, რამდენად სწორია ეს.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მარკოვი, მდივანი ირინა, შოფერი ანდრეი და მე უკვე იმ ეკლესიის კარებთან ვიდექით. ჩვენს ძახილს, ცხადია, არავინ გამოეხმაურა. ანკი ვინ იქნებოდა იქ! კარები ისე მაგრად იყო დაკეტილი, რომ

იძულებული გავხდით მისი გაღება ანდრეისათვის მიგვენდო. მან უცებ შეასრულა ეს დავალება, მერე ხუმრობით პირჯვარი გადაიწერა და პირველმა თვითონ შეაბოტა ეკლესიაში. იატაკი სულ ფოტოსურათებითა და დაფანტული ქაღალდის ფურცლებით იყო მოფენილი. ეტყობოდა, პირდაპირ მანქანებიდან გადმოეყარათ ყველაფერი. ეკლესია კარგად იყო განათებული. გუმბათისქვეშ ვიწრო, მაგრამ მაღალი ფანჯრებიდან ხანჯლებივით იჭრებოდა მზის სხივები. კედლები სულ ფრესკებით იყო დაფარული. ჯვარცმული ქრისტე ჩამშრალი თვალებით დაჰყურებდა ძირს, იატაკზე, მიმოფანტულ ქაღალდებს. ღვთისმშობელს ხელში ბავშვი ეჭირა და თითქოს გასაქცევად ემზადებოდა, შეშინებული ანგელოზებიც გაფრენას აპირებდნენ. ზემოდან კი „მაღალი ღმერთი“ დაჰყურებდა თავისი უღირსი შვილების ნამოქმედარს.

მაშინვე ვეცით დოკუმენტებს და დავრწმუნდით, რომ არქივი მართლაც ჰიტლერს ეკუთვნოდა ან მის პირად კანცელარიას წარმოადგენდა. აქ იყო უამრავი ფოტოსურათი, „მადლიერი ერის“ წარმომადგენლები რომ გულისამაჩუყებელი წარწერებით უგზავნიდნენ თავიანთ ფიურერს, გავლენიან პირთა განცხადებები და პირადი წერილები, მისასალმებელი დეპეშები, ალბომები ჰიტლერისა და ევა ბრაუნის ფოტოებით.

ანდრეი და ირინა სურათებს ათვალიერებდნენ, მე და მარკოვი კი წერილებს ჩავუჯექით. ზოგი რას სთხოვდა ჰიტლერს და ზოგი რას. ვნახე შახტის წერილი, თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ რომ მიეწერა ფიურერისათვის, ხელფასი და ავტომანქანა შემინარჩუნეთო. „სრულიად უკრაინის“ ყოფილი ჰეტმანი სკოროპადსკი შესჩიოდა თავის „ძვირფას ფიურერს“. უკვე მთელი ჩემი სამშობლო „განთავისუფლებულია“, მე კი ნოირატს ტუსაღივით ვყევარ გამოკეტილიო, და ითხოვდა „უფლებებში აღედგინათ“ როგორც ჰეტმანი უკრაინისა.

ეს ამაო თხოვნა იყო. ჰიტლერს უკრაინა თავისთვის უნდოდა და არა სკოროპადსკისათვის...

...განცხადებებს მისასალმებელი წერილები მოჰყვებოდა. რა მლიქვნელური სიტყვებით არ მიმართავდნენ ჰიტლერს მისი პალადინები:

— მე არ ვიცი რა არის ღმერთი, მე ვიცი ადოლფ ჰიტლერი,—სწერდა მას გებელესი და ულოცავდა დაბადების დღეს.

— რა იქნებოდა გერმანია, განგებას რომ თქვენ არ მოევლინეთ მის ფიურერად! — გერინგი.

— მხოლოდ თქვენი სიცოცხლეა გერმანიისა და ყველა ჩვენგანის იმედი! — ჰიმლერი.

— რა ბედნიერებაა, რომ თქვენთან ერთად ვცხოვრობთ დედამიწაზე! — რიბენტროპი...

— მე მხოლოდ იმიტომ გავჩნდი ამქვეყნად, რომ თქვენ შემოგწიროთ ჩემი სიცოცხლე! — ბორმანი...

მერე ერთი უცნაური დოკუმენტი ვნახე, თვითონ ჰიტლერის მიერ შედგენილი: როგორ უნდა შეხვედროდნენ მას ბერლინში, საფრანგეთიდან გამარჯვებით დაბრუნებულს; პირველი ვინ უნდა მიჰგებებოდა, როცა მისი პირადი მატარებელი ჩამოდგებოდა ბაქანზე; რომელი ქუჩებით უნდა გაევლო საპატიო ესკორტს; როგორი უნდა ყოფილიყო მანქანების რიგი, სია საპატიო სტუმრებისა დარბაზობაზე... ყველაფერი ეს მისი საკუთარი ხელით იყო დაწერილი და დახაზული... აქვე ვნახეთ განკარგულება საფრანგეთის კაპიტულაციაზე ხელისმოწერის ცერემონიალის შესახებ.

როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ კომპიენის ტყეში გაჩერებულ სალონ-ვაგონში მოაწერინა ხელი გერმანიის წარმომადგენლებს კაპიტულაციაზე. შემდეგ ეს ვაგონი ფრანგებმა პარიზში გადაიტანეს და მუზეუმში დააყენეს, როგორც ისტორიული რელიკვია. ახლა კი ჰიტლერი იძლეოდა განკარგულებას აეძულებინა ფრანგები გამოეტანათ ეს ვაგონი მუზეუმიდან და ისევ კომპიენის ტყეში დაეყენებინათ, რომ თვითონაც იქ მოეწერათ ხელი კაპიტულაციაზე.

შემდეგ ეს მე კინოშიც ვნახე. მართლაც ასე იყო ყველაფერი მოწყობილი...

— ეს მგონი თქვენი ხელობის საქმეა, ლიტერატურა, — მითხრა ამ დროს მარკოვმა და მუყაოს სქელი ჩანთა მომაწოდა. გავხსენი, რაღაც პიესა იყო. იქვე იყო ჰიტლერისადმი მიმართული წერილი, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე არნო შიკედანცი. მას თურმე პიესა დაეწერა იტალიაში მომხდარი გადატრიალების შესახებ, რომლის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ მეფე ვიქტორ-ემანუილი, მუსოლინი, ჩიანო, მარშალი ბადოლიო და სხვები. განცხადებიდან ჩანდა, რომ თავისი პიესა შიკედანცს ჯერ გებელსისათვის გაეგზავნა. გებელსს არ მოსწონებოდა და ამით შეურაცხყოფილი შიკედანცი ჰიტლერს სწერდა, გებელსს ძალიან მოაქვს თავი ანტიკური დრამისა და, საერთოდ, ლიტერატურის დიდ მცოდნედ, მაგრამ სინამდვილეში ამ საქმისა ბევრი არაფერი გაეგებაო. იგი სთხოვდა ფიურერს წაეკითხა მისი ნაწარმოები და გამოეთქვა თავისი „ავტორიტეტული აზრი“.

ეს იყო ჩემი პირველი „ნაცნობობა“ საქართველოს „მომავალ გენერალ-გუბერნატორ“ არნო შიკედანცთან. მისი პიესა მე მხოლოდ გადავათვალიერე, წაკითხვით კი არ წამიკითხავს, ან ამის დრო სად მქონდა მაშინ. იქ იმდენი დოკუმენტი იყო, ორი კაცი, აბა, რას გავსწვდებოდით. ირინასაც შეეძლო დაგვხმარებოდა, მაგრამ იგი ისე ჩააცივდა ევა ბრაუნის ალბომებს, რომ სხვა აღარაფერი ახსოვდა. ანდრეი კი ხელის შეშლის მეტს რას გააკეთებდა, დროდადრო მოვიდოდა ჩემთან და რამეს მკითხავდა:

— უფროსო, ეს უცხვირო კაცი ვინ არის?

— მუსოლინია! — ვეტყოდი მე და მოვიშორებდი, სანამ ისევ რამე კითხვით არ მომმართავდა.

მერე ერთი უზარმაზარი ალბომი მომითრია და გაოცებით მითხრა:

— ეს სულ ჰიტლერია, აი!..

ალბომი გადავფურცლე, მართლაც მისი სურათები იყო, ახალგაზრდობიდან დაწყებული უკანასკნელ მომენტამდე. ვიღაცის მზრუნველ ხელს ორნამენტებით შეემკო და შვინდიფერ ძვირფას ხავერდის ყდაში ჩაესვა.

ღმერთო, რა პოზებში და მდგომარეობაში არ იყო გადა-

ღებული! ყველაზე მეტად — მიტინგებსა და აღლუმებზე, ტრიბუნაზე ქადაგების დროს.

ვისაც ჩარლი ჩაპლინის ფილმი „დიქტატორი“ უნახავს, მხოლოდ იმას თუ შეუძლია წარმოიდგინოს ამ უცნაური პოზებისა და მანერების გროტესკულობა...

ალბომი ბოლომდე გადავფურცლე. წასვლის დროც მოვიდა. ჩექმები სულ მტვერში მქონდა ამოგანგლული. არ ვიცი, მდგომარეობის პარადოქსულობამ მიკარნახა, თუ ირონიისადმი მიდრეკილებამ, რომ ჰიტლერის იმ პირად ალბომს ხავერდის მოზრდილი ნაწილი ამოვაჭერი და დამტვერილი ჩექმები გავიწმინდე, მერე გავფერთხე და „სამახსოვროდ“ ჯიბეში ჩავიდე.

ხავერდის ის ნაჭერი დღემდე მიწევს ასეთ სამსახურს...

...შიკედანცზე მერე, ცხადია, არც მიფიქრია, ვიდრე პირველად როზენბერგისაგან არ გავიგე, რომ ის კავკასიის რაიჰსკომისრად იყო დანიშნული. სხვა დოკუმენტებში კი „საქართველოს გენერალ-გუბერნატორადაც“ არის მოხსენიებული. როგორც ჩანს, რაიჰსკომისარიატ „კავკასიის“ ცენტრად რაკი თბილისი იქნა გამოცხადებული, შიკედანცმა ეს მეორე თანამდებობაც შეითავსა.

...ნიურნბერგში რიბენტროპსა და როზენბერგთან საუბრის შემდეგ ბევრი ვეძებე „საქართველოს გენერალ-გუბერნატორი“ შიკედანცი, მინდოდა პირადად შევხვედროდი მას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი გახდა: ამერიკელთა დელეგაციის საინფორმაციო სამსახურმა ზუსტად დაადგინა და მაცნობა, რომ არნო შიკედანცმა ომის დამთავრებისთანავე მოიკლა თავი.

ამის გამო ჩემთვის დიდად სასურველი საუბარი შიკედანცთან არ შედგა. მისი დოკუმენტები კი, რაც ხელთ მომხვდა, შევაგროვე და ახლა მხოლოდ ამის მიხედვით შემიძლია გიამბოთ ზოგი რამ მისი მოღვაწეობის შესახებ საქართველოსთან დაკავშირებით...

როგორც კი შიკედანცმა მიიღო ცნობა კავკასიის საიმპერიო კომისრად დანიშვნის შესახებ, მაშინვე შეუდგა თადარიგს. მან ჯერ სულ რაღაც ათიოდე კაცის შემადგენლობით შექმნა ოპერატიული ჯგუფი „კ“, რომელსაც კავკასიის საკითხების შესწავლა და სპეციალური რეკომენდაციების წარდგენა ევალებოდა. ამ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა როზენბერგიც. მან 1942 წლის 27 ივლისს საგანგებო მემორანდუმიც შეადგინა „კავკასიის გარდაქმნის შესახებ“, რაც ჰიტლერისთვის უნდა წარედგინათ.

როზენბერგის მემორანდუმი ასე იწყება:

— გერმანიის შეიარაღებული ძალების წინსვლა დონის რაიონში გვაკარნახებს გადავსინჯოთ ჩვენი თვალსაზრისი კავკასიის ნომავალი გარდაქმნის შესახებ და წარვუდგინოთ ფიურერს რამდენიმე პრინციპული მოსაზრება ამის თაობაზე.

როგორც ჩანს, როზენბერგი მაშინ დარწმუნებული იყო, რომ გერმანელები მოკლე ხანში დაიპყრობდნენ კავკასიას. ამაში არც მათს სარდლობას ეპარებოდა ეჭვი. 1941-42 წლის ზამთარში მოსკოვთან დამარცხების შემდეგ ისინი ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ და არმიის ყველა სახეობის მსხვილ შენაერთებს უყრიდნენ თავს დონის აუზში, რომ აქედან გაელაშქრათ კავკასიის მიმართულებით. იქ მაშინ მართლაც გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა. გერმანულ არმიათა ჯგუფი „A“ 13 ქვეითი, 5 სატანკო და 4 მოტომექანიზებული დივიზიის ძალებით უტევდა ჩვენს პოზიციებს. მტრის სატანკო ნაწილები მოიწევდნენ სალსკის, ტიხორეცკისა და კრასნოდარის მიმართულებით. ცხარე ბრძოლები წარმოებდა როსტოვის რაიონში და ტამანის ნახევარკუნძულზე. მე კარგად მახსოვს ამ ბრძოლების მძიმე სურათები. მოწინააღმდეგის ძალები მნიშვნელოვნად სჭარბობდა ჩვენსას. ფრონტის ხაზი ყველა მიმართულებით გარღვეული იყო. საბჭოთა არმიის დაქსაქსული ნაწილები ბრძოლით იხევდნენ უკან. ზოგან — საკმაოდ უწესრიგოდაც. იყო დღე, როცა რამდენიმე ათეულ კილომეტრს გამოვრბოდით. ჩვენი განყოფილების ოპერატიული მუშაკები

მოქმედი არმიის ნაწილებთან ერთად იბრძოდნენ, სხვები კი ამგვარი არახელსაყრელი სიტუაციის დროსაც ასრულებდნენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას და მფრინავ ფურცლებს ყრიდნენ მოწინააღმდეგის ჯარის ნაწილებში, თანაც ასეთი მოწოდებით—„ტყვედ დაგვნებდითო“. ამაზე გერმანელები ასეთივე ფურცლებით გვიპასუხებდნენ. რა გვეთქმოდა. უპირატესობა მათ მხარეს იყო. ისინი გვიტევდნენ, ჩვენ კი უკან ვიხევდით. ფეხდაფეხ გერმანელთა ტანკები და მოტომექანიზებული ნაწილები მოიწევდნენ. ისინი უმთავრესად ფართო შარაგზებს მიჰყვებოდნენ და ერიდებოდნენ გაშლას ფრონტის ხაზის სერტყიანსა და დაბურულ ადგილებში. ჩვენ დღისით მზესუმზირას თვალუწვდენ ჭალებს ვაფარებდით თავს, ღამით კი უფრო სწრაფად გამოვრბოდით. ზოგჯერ ჩვენ გვერდით სულ რაღაც 50-100 მეტრის დაშორებით გერმანული ნაწილები მოდიოდნენ, მაგრამ ვერ გვამჩნევდნენ...

სხვების შესახებ რა მოგახსენოთ და ჩემთვის ეს ძალიან მძიმე დღეები იყო. შეიძლება ფიზიკურად იმდენად არა, რამდენადაც მორალურად. მით უმეტეს, რომ სულ ორიოდე თვის წინ გამოცდილი მქონდა მძიმე პირობებში უკან დახევა ქერჩის ნახევარკუნძულიდან, რაზედაც ადრე გიამბეთ. იმ უბედურებას ახლა ტამანის ნახევარკუნძულიდან და ყუბანიდან სწრაფი უკან დახევა დაერთო. მტერი ნოვოროსიისკისა და ტუაფსეს მიმართულებით მოიწევდა, რომ შავი ზღვის ნაპირს მოსდგომოდა, მერე კი სოხუმისაკენ გაჭრილიყო, დაეპყრო ბათუმი და შემოსეოდა ამიერკავკასიას. სამხრეთ-აღმოსავლეთით ისინი გროზნოსა და მახაჩკალას უტევდნენ ბაქოს მიმართულებით. ამასთანავე მათი სამთო ნაწილები ცდილობდნენ გადმოელახათ კავკასიონის უღელტეხილი, რომ ქუთაისისა და თბილისის მიმართულებით განევითარებინათ შეტევა.

ივლისის ბოლოსა და აგვისტოს პირველ ნახევარში აქ მართლაც გრანდიოზული ბრძოლები გაიმართა. ყავისფერი ტალღები განუწყვეტლივ აწყდებოდა კავკასიის მისადგომებს. შეიქმნა რეალური საფრთხე, რომ მტერი ჭარბლაც გა-

ნახორციელებდა თავის გეგმას, მაგრამ ჩვენმა უმაღლესმა სარდლობამ დროზე მიიღო კონტრზომები. სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტები გაერთიანდა. კავკასიის მისადგომებზე შეიქმნა დაცვის ღრმად ეშელონირებული ხაზები. ამიერკავკასიის ფრონტის მეომრები მტკიცედ იცავდნენ მდინარე თერგისა და ურუხის სანაპიროებს, მთავარ ძალებს კი კავკასიონის ცენტრალური ნაწილი ჰქონდათ ჩაკეტილი. თქვენ იცით, თუ რა ლეგენდარული ბრძოლები გაიმართა სანჭაროსა და მარუხის უღელტეხილებზე. ამის შესახებ ბევრი დაიწერა და ალბათ უფრო მეტი დაიწერება...

მე ამ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიმიღია. ჩვენი ნაწილი მაშინ კრასნოდარიდან უკან დახევის შემდეგ არმავირის გზით გამოვიდა ქ. ორჯონიკიძეში. აქედან სამხედრო გზის გავლით დავბრუნდით თბილისში და მეორე დღესვე გავემგზავრეთ ქუთაისის, ხოლო შემდეგ სოხუმის მიმართულებით. მტერი ყოველმხრივ მოიწევდა საქართველოსაკენ. მთელი ჩვენი ხალხი ჩაბმული იყო თავდაცვით ბრძოლებში. დიდი თუ პატარა შეძლებისამებრ აკეთებდა ყველაფერს, რომ გზა გადაეღობათ ჰიტლერელთა ურდოებისათვის.

ქართველი ხალხი მედგრად და გასაოცარის სიმშვიდით შეხვდა მოახლოებულ განსაცდელს. არმია თავდადებით იცავდა კავკასიის მისადგომებს. მე ახლაც ზღაპრად მეჩვენება, რომ, მიუხედავად მტრის ავიაციის საგრძნობი უპირატესობისა, თითო-ოროლა მზვერავი თვითმფრინავის გარდა, ერთხელაც ვერ შემოიჭრნენ ბაქოსა და თბილისში. მერედა როგორ უნდოდათ გერმანელებს ამ ქალაქების დაბომბვა! თუნდაც იმისათვის, რომ წინასწარი პანიკა გამოეწვიათ. მაგრამ არ გამოუვიდათ! ჩვენებმა ავიაციის შედარებით სუსტი ძალებითაც მოახერხეს ამიერკავკასიის საჰაერო სივრცის დაცვა. მახსოვს მხოლოდ, ქუთაისიდან წასულნი სოხუმში რომ ჩავედით, სწორედ იმ მომენტში ჩამოაგდეს მტრის მზვერავმა თვითმფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა. ამას მოსახლეობაში არავითარი პანიკა არ გამოუწვევია. იმავე დღეს ტუაფსეს რაიონს მივაღწიეთ და შევუერთდით ე. წ. ზღვისპირეთის ფრონტს. აქ აგვისტოს მეორე ნახევარში ჩვენმა შენაერთებმა ძლიერი წინა-

აღმდეგობა გაუწიეს მტრის ჭარბ ძალებს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა შეძლეს ნოვოროსიისკის აღება და მიუპყლოვდნენ ტუაფსეს, აქ შექმნილმა „შავი ზღვის ჯარების ჯგუფმა“ მაინც მოახერხა დაკავებული პოზიციების დაცვა. მტერი შეჩერებულ იქნა უღელტეხილებზედაც. მათი შეტევის ძალა თანდათან სუსტდებოდა, ჩვენები კი რეზერვებს იკრებდნენ და კონტრშეტევისათვის ემზადებოდნენ...

ნაადრევ ზარ-ზეიმს მიჩვეულმა გერმანელებმა კი ერთი ამბავი შექმნეს „მოახლოებულ გამარჯვებაზე“. ჰიტლერს უკვე აღარ ეეჭვებოდა, რომ დღეს თუ ხვალ დაიპყრობდა კავკასიას და აქედან გაიჭრებოდა ახლო აღმოსავლეთში, რომ სადმე შეხვედროდა რომელის საექსპედიციო კორპუსს და მოეხაზა „გერმანული ევროპისა“ და მისი კოლონიების გრანდიოზული საზღვრები. ამ შემთხვევაშიც ზედმეტმა თავდაჯერებამ უმტყუნა მას. თვითონ გერმანელებს უთქვამთ: „მტერი რომ თაგვად გეჩვენებოდეს, შეხედე როგორც ლომსო“. ჰიტლერი პირიქით იქცეოდა. იგი ყოველთვის უგულვებელყოფდა მტრის ძალას, განსაკუთრებით პოტენციურს. აქაც ასე მოხდა. 1942 წლის ზაფხულის ბრძოლების წარმატებით თავბრუდახვეულმა სწორედ კავკასიის მისადგომებზე მოიტეხა კისერი. ეს ალბათ პირადად მისი უხეში სტრატეგიული შეცდომების მიზეზიც იყო. ყოველ შემთხვევაში, ამაზე ახლა მემუარების მთხზველი თითქმის ყველა გერმანელი გენერალი წერს.

ჰიტლერმა ორი „კურდღლის“ ერთად დაჭერა მოინდომა: სტალინგრადისა და კავკასიისა. ამისათვის არმიათა ჯგუფი „სამხრეთი“ ორ ნაწილად გაყო: A (სარდალი — ფელდმარშალი ლისტი) და B (სარდალი—ფელდმარშალი ფონ ბოკი). ჰიტლერმა პირველს მიზნად დაუსახა კავკასიის დაპყრობა, ხოლო მეორეს — სტალინგრადისა. გენერლები ურჩევდნენ მას ასე ნუ დავაჭუცმაცებთო ძალებს, მაგრამ ვინ გაუგონა! ჰიტლერმა არ მიიღო მათი გეგმა: გაერთიანებული ძალებით დაერტყათ ჯერ სტალინგრადისათვის, აეღოთ იგი და ამის შემდეგ ასევე ერთიანი ძალებით ეცადათ კავკასიის დაპყრობა. ჰიტლერი საერთოდ უნდობლად უყურებდა თავის სარდლებს, თან ისეთი ჯიუტი იყო, ერთხელ ნათქვამს, ზედაც რომ და-

კვდომოდნენ, მაინც ვერ გადაათქმევინებდნენ. ეს ვერც ამ შემთხვევაში მოახერხეს სარდლებმა: ჰიტლერი დარწმუნებული იყო, ორივე ამოცანას ერთად შევასრულებო, და რომ პირადად ეხელმძღვანელა ამ ოპერაციებისათვის, თავისი მთავარი შტაბი აღმოსავლეთ პრუსიიდან ქ. ვინიცაში გადმოიტანა...

ცეცხლი და ყინული...

ვიდრე გერმანული არმიის ნაწილები წინ მოიწევდნენ, ჰიტლერიც თავისი მხედართმთავრული დიდების ზენიტზე იდგა. მას უკვე ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა — ქალამნად. ყურს არავის უგდებდა, არც არავის ეთათბირებოდა, თვითონ წყვეტდა ყველაფერს და „გამარჯვების“ დაფნის გვირგვინებსაც თვითონ იმკიდა. მაგრამ, როგორც კი მათი წინსვლა შეფერხდა, მაშინვე თავის „უუნარო“ გენერლებს დაადგა რქები. მერე ტაბიკების მტვრევაზედაც გადავიდა. ზღვისპირეთსა და უღელტეხილებზე დამარცხების გამო მან მოხსნა ფელდმარშალი ლისტი, რომელმაც აცნობა, ჩემ ხელთ მყოფი ძალებით შეტევის განვითარება არ შემიძლიაო. ლისტის მაგივრად დაინიშნა გენერალი კლაისტი. მერე იგივე ბედი ეწია ფელდმარშალ ბოკსაც. იგი შეცვალა გენერალ-პოლკოვნიკმა ბარონ ფონ ვაიჰსმა. ამან, ცხადია, საქმეს ვერ უშველა. სტალინგრადთან და კავკასიის მისადგომებთან გერმანელები საბჭოთა არმიის გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. დრო გადიოდა... ჰიტლერელები წინ ვეღარ მოიწევდნენ, „გენერალი ზამთარი“ კი კატასტროფულად ახლოვდებოდა. ჰიტლერი საგონებელში ჩავარდა. „მაგიურმა ინსტინქტებმა“ უკარნახა მას, რომ ისევ დადგა ყინულისა და ცეცხლის „საბედისწერო შეტაკების“ ჟამი. როგორც მოგახსენეთ, ჰორბინგერის „მარადიული ყინულის თეორიის“ გავლენით ჰიტლერიც დარწმუნებული იყო, რომ მთელ კოსმოსურ მოძრაობასა და არსებობას განაგებს ორი ძალის—ყინულისა და ცეცხლის სტიქია. ანტიკური ფილოსოფოსები ოთხ ელემენტს ცნობდნენ არსებობის საფუძვლად: წყალს, ცეცხლს, მიწასა და

ჰაერს. ჰიტლერი და მისი იდეოლოგიური „ძიძები“ უარ-ყოფდნენ ამ თეორიას. მათი აზრით, მხოლოდ ყინული და ცეცხლი წარმოადგენდა შემოქმედ ძალას. თან სჯეროდათ, რომ ცეცხლი აუცილებლად გაალღობდა ყინულს, გამოიწვევ-და ახალ წარღვნას, წალეკავდა დაბალ რასებს და, მსგავსად ნოეს კიდობნისა, გადაარჩენდა მხოლოდ „წმინდა არიული სის-ხლის“ გერმანელებს, რომლებიც შექმნიდნენ ახალსა და უფრო მაღალ საზოგადოებას. მართალია, ეს მოხდებოდა არა ეს ერ-გასის დღეს, არამედ უფრო ხანგრძლივ პერიოდში, მაგრამ მოხდებოდა კი აუცილებლად, რამე განსხვავებული თვალ-საზრისი ამ საკითხში აკრძალული იყო. ჰორბინგერი ამ შემ-თხვევაშიც ტერორის მეთოდს მიმართავდა. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე. ვიდრე ჰიტლერელები ძალაუფლებას ჩაიგდებ-დნენ ხელში, გერმანელი მეცნიერები იღებდნენ ანონიმურ წერილებს:

—ამიერიდან თქვენ მოგიხდებათ აირჩიოთ, ვისთან ხართ: ჩვენთან, თუ ჩვენს მოწინააღმდეგეებთან. ჰიტლერი გაწმენდს პოლიტიკურ ატმოსფეროს, ჰანს ჰორბინგერი კი წალეკავს ცრუ მეცნიერებას. გერმანული ერის აღორძინების სიმბოლო იქნება დოქტრინა მარადიული ყინულის შესახებ. ფრთხი-ლად!.. შეუერთდით ჩვენს რიგებს, ვიდრე გვიან არ არის!..

თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები „ამკობდა“ ასეთ ბარათებს...

1934 წლის შემდეგ ჰორბინგერის მომხრეებმა ფიცის და-დებაც მოსთხოვეს გერმანელ მეცნიერებს. ტექსტი ასეთი იყო:

— ვფიცავ, რომ მე მჯერა მსოფლიო ყინულის თეო-რიისა!

ვინც ასეთი ფიცის მიღებაზე უარს იტყოდა, ემუქრე-ბოდნენ:

—როცა ჩვენ გავიმარჯვებთ, თქვენ მოგიხდებათ სამა-თხოვროდ ხელის გაშვერა ქუჩაში!..

ჰიტლერს სწორედ „მსოფლიო ყინულის“ ამ თეორიის განხორციელება მიაჩნდა თავის „განგებისმიერ მისიად“ და უფრო კონკრეტულ ვითარებას უკავშირებდა ჰორბინგერის

„მეცნიერულ დასკვნებს“. მისი აზრით, „გერმანული ცეცხლი-სა“ და „რუსული ყინულის“ შეტაკება გადაწყვეტდა ომის ბედს. ამასთანავე ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ცეცხლი სძლევდა ყინულს. საწინააღმდეგო აზრის შესაძლებლობასაც არ უშვებდა არც ერთ ვარიანტში. ამიტომ იყო, გენერლები რომ მოსკოვთან შეჩერების გამო ურჩევდნენ, საჭიროა ჯარისკაცებისა და ოფიცრების საზამთრო ტანისამოსით მომარაგებაო, ისტერიულად კიოდა:

— არავითარი ზამთარი არ იქნება, მე გაგონებაც არ მინდა ამისი!

ასე ეგონა, ყინული უკვე დაძლეულიაო ცეცხლის სტიქიით, მაგრამ ჰიტლერის „მაგიური ინტუიცია“ არც ამ შემთხვევაში გამოდგა სანდო. პირიქით, ისეთი საშინელი ზამთარი იშვიათად თუ ყოფილა მოსკოვის მიდამოებში. თერმომეტრი მინუს 40 გრადუსს უჩვენებდა. ყინულის სტიქია მძვინვარებდა. „გერმანული ცეცხლი“ შედრკა ამ „საშინელი მოულოდნელობის“ წინაშე. ჰიტლერი შეეჭვდა თავისი „თეორიის“ სისწორეში. გებელესი გაჰკიოდა: „გაიგეთ, ამით მთელი ჩვენი რწმენა ირყევაო“. მაგრამ რა, ყინულის სტიქია კი არა, საბჭოთა არმიის ცეცხლი აქრობდა „გერმანულის უძლეველობას“...

ბერლინში გლოვა იყო. რადიო განუწყვეტლივ გადასცემდა ვაგნერის „ღმერთების დასასრულს“. ცრუმორწმუნე ჰიტლერი შეშინდა, განგება განვარისხეო, და ერთი წლით შეწყვიტა სარაკეტო დანადგარებზე მუშაობა.

ადვილი გასაგებია, თუ რა მძიმე შედეგი მოჰყვებოდა ამას...

...1942 წელს იგივე განმეორდა. გერმანელები ახლა სტალინგრადთან და კავკასიის მისადგომებთან იდგნენ. ჰიტლერი ისევ „გერმანული ევროპის“ იდეას ეთამაშებოდა. ისევ გაიღვიძა მასში „ყინულისა და ცეცხლის“ დაპირისპირების რწმენამ. ისევ დაიწყო მაგიური სეანსები, რამლის ყრა და ქვიშაზე მკითხაობა. ასტროლოგებმაც ჰოროსკოპები აამუშავეს და... ჰიტლერმა რჩეული სამთო დივიზიები — „ედელვაისები“ მიაყარა ევროპის უმაღლეს მწვერვალს, მარადიული ყინულისა

და თოვლის სამეფოს — იალბუზს. ასე ეგონა: თუ მის მწვერვალზე აღმართავდა სვასტიკიან დროშას, ამით მოუღებდა ბოლოს „ყინულის სტიქიას“ და სამუდამოდ გაიმარჯვებდა ძალა გერმანული ცეცხლისა. გენერლები გაოცებული იყვნენ — რატომ აიძულებდა ჰიტლერი მათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, მიეღწიათ იალბუზის მწვერვალისათვის. რა ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამას?! ახლა კი წერენ, „სიმბოლურიო“, მაგრამ მაშინ ეს მათთვის გაუგებარი იყო. გერმანელი ჯარისკაცები უდიდეს და უაზრო მსხვერპლს იღებდნენ ამისათვის. ბოლოს დიდის გაჭირვებით რამდენიმე კაცმა კიდეც მოახერხა 5633 მეტრის სიმაღლეზე აეტანათ გერმანული დროშა, მზისა და ცეცხლის ემბლემით — სვასტიკით. ამაზე ერთი აურზაური ასტეხა გებელსის პროპაგანდამ. არც ერთი გამარჯვება ისე არ უზეიმიათ გერმანიაში, როგორც ეს, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, არც ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და არც სიმბოლური. ეს ისევ ჰიტლერისა და მისი თანამოაზრეების რელიგიურ-მაგიური აღტყინება იყო, ვითომ ზეიმი მარადიული ცეცხლისა და დამხობა ყინულის სტიქიისა... რის შემდეგაც მყინვარწვერზედაც აპირებდნენ გადმოსვლას. სინამდვილე კი თავისი გზით მიდიოდა. იმ დღეებში ქართველი პოეტი ალ. აბაშელი წერდა:

სად ყოფილა, მყინვარწვერს
მტრის მახვილი სწვდებოდეს,
მტერი ხანძარს უნთებდეს
საქართველოს ცის კიდეს,
ამირანის ნადგომზე
ქონდრის კაცი დგებოდეს...

ქართველმა მეომრებმა მყინვარწვერზე გაუშვეს კი არა, იალბუზიდანაც გადარეკეს გერმანელი ქონდრის კაცები. სტალინგრადშიც, მოგეხსენებათ, რა დღე დაადგათ გერმანული ცეცხლის თაყვანისმცემლებს. მათი ენით რომ ვთქვათ, „გენერალმა ზამთარმა“ აქაც იმძლავრა და საბოლოოდ გადაუტეხა ხერხემალი გერმანულ არმიას...

ბერლინში ისევ გაისმა გლოვის ზარი. ისევ მოეფინა ჰაერს „ღმერთების დასასრულის“ ჰანგები...

ეს დასაწყისი იყო გერმანული არმიის დასასრულისა...

შეშინებული კაცის პროტესტი...

უფრო საღად მოაზროვნე გენერლები და მოქნილი პოლიტიკოსები თავიდანვე ირონიულად უყურებდნენ ჰიტლერის ამ მაგიურ კოსმოგონიას. ისინი მოითხოვდნენ შამპულაჰისებური უხეში ძალის, ანუ მხოლოდ ცეცხლისა და მახვილის პოლიტიკის შეცვლას. მათ არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ ჰიტლერის ჰიპერტროფიულმა იდეებმა აღაშფოთა მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები და ისეთი მძლავრი კოალიცია შეკრა გერმანელი ნაცისტების წინააღმდეგ, რომ ვერავითარი მისტიკურ-ეზოტერული თუ მაგიური მანიპულაციები ველარ უშველიდა ამას.

საბჭოთა კავშირის დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე ხომ სულ მიწა იწვოდა მათ ფეხქვეშ. მთელი ხალხი აღდგა ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ. მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივმა ელეტამ, უსასტიკესმა ეკონომიურმა ექსპლოატაციამ, ბარბაროსულმა ნგრევა-გაპარტახებამ და ეროვნულმა ჩაგვრამ, რამაც ადამიანური ღირსების შეურაცხყოფის უსაშინელესი ფორმა მიიღო, წინააღმდეგობის ისეთი ურყევი სულისკვეთება შექმნა, რომ ოკუპანტები შიშის ზარმა აიტანა. რომ ეგონათ, მოსახლეობა აღტაცებით შეხვდება „ბოლშევიკური რეჟიმისაგან განმათავისუფლებლებს“ და სულ ოთხზე ივლის ჩვენ წინაშეო, მთელი სოფლები და ქალაქები აიკრიფნენ. ნაწილი ევაკუირებულ იქნა, სხვებმა ტყეს შეაფარეს თავი და უამრავი პარტიზანული რაზმები შექმნეს. ვინც ადგილზე დარჩა, არც ისინი შეხვედრიან ლოიალურად „განმათავისუფლებლებს“. გერმანელები არბევდნენ და აწიოკებდნენ მათ. რომ იტყვიან, უპერანგოს გულზე საკინძს აგლეჯდნენო, სწორედ ის იყო. გაოხრებულ-გატიალებული „დასახლებული პუნქტები“ შურის საძიებლად ემზადებოდნენ. გერმანელები კი

თანდათან აძლიერებდნენ საოკუპაციო რეჟიმს. ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა წინააღმდეგობის ძალას. უკვე ყველა მიხვდა, თუ რას ნიშნავდა გერმანელების „გამათავისუფლებელი მისია“. ე. წ. პირველი ეტაპის ლოზუნგები თავისუფლების შესახებ სისხლსა და ცრემლში ჩაიხშო. ჰიტლერმაც სულ დაივიწყა ადრინდელი პრინციპი მოსახლეობის „ნაადრევად მტრად გადაქცევის“ მიზანშეუწონლობის შესახებ. ეგონა, გამარჯვება უკვე ხელთა მაქვსო, და მაშინვე შეუდგა „საბოლოო მიზნების“ განხორციელებას.

ადრე თუ პროპაგანდისტული მიზნით მაინც ჰპირდებოდნენ ხალხებს ეროვნულ მთავრობას, დამოუკიდებლობას, კერძო საკუთრების აღდგენას და სხვა მისთანებს, ახლა ყველაფერი ეს წყალს გაატანეს და უსასტიკეს ღონისძიებებზე გადავიდნენ, რამაც საერთო-სახალხო წინააღმდეგობა გამოიწვია და საგონებელში ჩააგდო აგჰართის „მოქნილი პოლიტიკის“ მომხრეები, უწინარეს ყოვლისა, აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიების სახელმწიფო მინისტრი ალფრედ როზენბერგი და მისი აპარატის მუშაკები, რომელთაც ამ ტერიტორიების ექსპლოატაცია ევალებოდათ. სწორედ იმ დროს, 1942 წლის ოქტომბრის ბოლოს, როცა გერმანელების შეტევა შეფერხდა სტალინგრადთან და კავკასიის მისადგომებზე, როზენბერგის სამინისტროს მთავარი პოლიტიკური განყოფილების უფროსი ბროიტიგამი წერს საპროტესტო წერილს ამგვარი „უხეში და პირდაპირი პოლიტიკის“ წინააღმდეგ...

მე არც ვიცი როგორ გაგაცნოთ ამ ვრცელი წერილის შინაარსი. ჩემი სიტყვებით გადმოგცეთ, დაუჯერებელი იქნება! გეგონებათ, ამას წერს არა გამოცდილი გერმანელი ნაცისტი მოხელე, არამედ—მე თვითონ. ამიტომ ისევ ეს ვამჯობინე: ბროიტიგამის წერილი მოვიყვანო თუმცა შემოკლებით, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მისივე სიტყვებით:

...აი რას წერს იგი:

— გერმანია აღმოსავლეთში სამმხრივ ომს აწარმოებს: 1. ბოლშევიზმის მოსასპობად, 2. დიდი რუსეთის იმპერიის

შესაბუსრავად და 3. კოლონიების ხელში ჩასაგდებად ეკონომიური ექსპლოატაციის მიზნით.

ამ სამმა მიზანმა გამოიწვია აღმოსავლეთის ხალხთა გაუგონარი წინააღმდეგობა. თვით შეზღუდული ადამიანებიც მიხვდნენ, რომ გერმანელების ლოზუნგი—„ბოლშევიზმისაგან გათავისუფლება!“ — მხოლოდ საბაბია აღმოსავლეთის ხალხთა დასამონებლად. გერმანული საზოგადოებრიობა სრულიად აშკარად მიუთითებს ამ განზრახვაზე. ზეპირსიტყვიერად თუ პრესის საშუალებით პროპაგანდა ეწევა და ტარდება ეკონომიური ექსპლოატაცია ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებათა აბსოლუტური უგულვებელყოფით. მუშებმა და გლეხებმა ჩქარა დაინახეს, რომ გერმანია მათ უყურებს არა როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორებს, არამედ საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური მიზნების ობიექტებს, ამასთანავე რამე პოლიტიკური მოსაზრებით კი არა, მხოლოდ პრიმიტიული ბიოლოგიური თვალსაზრისით. ამგვარ ქედმაღლობას ჩვენ ვაყენებთ ყოველგვარ პოლიტიკურ პრინციპზე მაღლა და ისე ვეპყრობით აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას, როგორც მეორე ხარისხის თეთრებს, რომელთა წინაშე თვით განგებამ დასვა ამოცანა—იქცნენ გერმანელთა მონებად. ვამბობთ, რომ მათ მიეცემათ მხოლოდ უმდაბლესი განათლება, არ იქნება არავითარი ზრუნვა მათზე და რომ მოსახლეობის კვება ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ იმდენად, რომ შეინარჩუნონ შრომის უნარი, ხოლო სხვა მხრივ მათ ვუყურებთ როგორც არასრულფასოვანთ. ამით ჩვენ გავუადვილეთ საქმე საბჭოთა პროპაგანდას გაეღვივებინა სიძულვილი გერმანიისა და ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგ. დღეს კი რუსები განსაკუთრებული სიმამაცით იბრძვიან მხოლოდ იმიტომ, რომ დაიცვან თავიანთი ადამიანური ღირსება.

ეს პრობლემა მეტად სერიოზულია და მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, რადგან საქმე ეხება გერმანელი ხალხის მომავალს, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხს.

საიმპერიო სამინისტროს მთავარმა პოლიტიკურმა განყოფილებამ, უნდა ითქვას, იმთავითვე შეიგნო ეს ამოცანა და

მოითხოვა დაპყრობილ ტერიტორიებზე კოლმეურნეობების დაშლა, კერძო საკუთრების აღდგენა და რაღაც მთავრობის მსგავსის შექმნა სტალინის წინააღმდეგ რომელიმე სამხედრო ტყვე წითელი გენერლის მეთაურობით. ან თუ გვინდოდა თავიდან აგვეცდინა ეს გამოთქმა — „მთავრობა“. მოგვეძებნა ვინმე დე გოლივით ჭირვეული გენერალი, რომელიც თავის გარშემო შემოიკრებდა სტალინით უკმაყოფილო ჯარისკაცებს. მაგრამ ყველა ჩვენი წინადადება უარყოფილ იქნა, გარდა იმისა, რომ ნება დაგვრთეს შეგვედგინა თურქესტანული და კავკასიური ნაწილები... აგრეთვე — ყაზახური და, ბოლოს, რამდენიმე დამარცხების შემდეგ — ესტონურიც.

შემდეგ ბროიტიგამი, აღწერს რა მკაცრ საოკუპაციო რეჟიმს უკრაინაში, ამბობს:

— ამან ჩვენ გამოგვაცალა ორმოცმილიონიანი ხალხის მხარდაჭერა და ყოველმხრივ გააძლიერა წითელი არმიის წინააღმდეგობა. უკრაინის რაიჰსკომისარიატის ყველა დაწესებულება ახლა მხოლოდ ერთ მიზანს — ქვეყნის ეკონომიურ ექსპლოატაციას ემსახურება, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხედრო ტყვეების მდგომარეობა. ახლა არც მტრებისა და არც მეგობრებისათვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ ასეულ ათასობით ტყვე დაიხოცა შიმშილისა და სიცივისაგან... არაფერს ისე არ გაუძლიერებია წითელი არმიის წინააღმდეგობა, როგორც იმის შეგნებას, რომ ტყვეობაში მათ მოელით ნელ-ნელა და ტანჯვით სიკვდილი.

ადგილობრივი მოსახლეობის მიმართაც ისეთი მეთოდებია გამოყენებული, რისი შედარებაც შეიძლება მხოლოდ მონებით ვაჭრობის ყველაზე შავბნელ მეთოდებთან...

ბროიტიგამის აზრით, ყოველივე ამან განაპირობა წითელი არმიის წინააღმდეგობის გაძლიერება, ომის გახანგრძლივება და, საერთოდ, კითხვის ქვეშ დააყენა გერმანიის გამარჯვების საკითხი... მაშინ როდესაც უფრო „მოქნილ პოლიტიკას“, მოსახლეობისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას და ეროვნული ღირსების ხელშეუხებლობას შეეძლო ჩვენი რიგების გაძლიერებაო. იგი წერს, გერმანელთა პროპაგანდამ ბოლ-

შევიკები და „რუსი ნაციონალები“ ერთ ფრონტად გაერთიანაო ჩვენ წინააღმდეგ.

— სავსებით ცხადია, — განაგრძობს ბროიტიგამი, — თუ ჩვენ შევძლებთ შევცვალოთ პოლიტიკური კურსი, ამით გავხრწნით წითელი არმიის რიგებს. მათი წინააღმდეგობა შესუსტდება სწორედ იმ მომენტში, როცა დაიჯერებენ, რომ გერმანია მათ მოუტანს უკეთეს ცხოვრებას, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლება და რომ გერმანია პატივს სცემს მათს ეროვნულ თავისებურებებს, ერთი სიტყვით, გერმანია არ მოუსპობს მათ სულიერ საზრდოს...

ამის შემდეგ ბროიტიგამი აყალიბებს პოლიტიკური სამმართველოს ძირითად დებულებას ამ საკითხში:

— სწრაფი გამარჯვება, — წერს იგი, — შეუძლებელია მიღწეულ იქნეს მხოლოდ იარაღით, იგი მოპოვებული იქნება დიდ, სერიოზულ პოლიტიკურ მიღწევებთან კავშირში.

დასასრულ, ბროიტიგამი აცხადებს, რომ ამ „უკანასკნელ მომენტშიც“ შესაძლებელია გარდატეხის მოხდენა და იმ კატასტროფული საფრთხის თავიდან აცდენა, რაც სრულიად აშკარად ემუქრება გერმანელ ხალხს...

მოქნილი ტაუილი...

ასე ფიქრობდა ალფრედ როზენბერგიც. ისიც შეშფოთებული იყო შექმნილი მდგომარეობით და, როგორც მოგახსენეთ, სპეციალური მემორანდუმიც შეადგინა ამის თაობაზე, სადაც კავკასიაში გასატარებელი პოლიტიკის გადასინჯვა მოითხოვა, რა თქმა უნდა, არა თავისი მრწამსით, არამედ იძულებით, თანაც „ს ა ბ ო ლ ო ო მ ი ზ ნ ე ბ ი ს“ შ ე ს ა ც ვ ლ ე ლ ა დ კ ი ა რ ა, მ ა თ შ ე ს ა ნ ი ღ ბ ა ვ ა დ. მიზნები ყველასათვის ერთნაირი იყო, მათი განხორციელების გზები და საშუალებები კი...

სხვადასხვაგვარიო, რომ ვთქვა, სწორი არ იქნება, რადგან რეკომენდაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს დადგენილ წესს. მართალია, ბევრი იძლეოდა ტაქტიკურის თვალსაზრისით სხვა-

დასხვაგვარ რჩევას, მაგრამ საბოლოოდ საკითხს მხოლოდ ჰიტლერი წყვეტდა. იგი ასეთ რეკომენდაციებს ჩვეულებრივად ჰიმლერს უგზავნიდა, ეს კი, ყველასთვის გასაგებია, რასაც მოასწავებდა.

როზენბერგმაც კარგად იცოდა, რომ მისი რეკომენდაციები „საბოლოო მიზნებს“ არ ეხებოდა. ჰიტლერი არც არავის აძლევდა უფლებას რამე შენიშვნა გაეკეთებინა ამ მიმართულებით. ამიტომაა, რომ, ვიდრე „ტაქტიკურ მოსაზრებებს“ გამოთქვამდეს, როზენბერგი მოწაფესავით აბარებს გამოცდას თავის ფიურერს — ამ მიზნების არსი მეც კარგად მესმისო. სახელდობრ: მადნეულის საბადოთა გამოყენება, განსაზღვრულ ოლქებში გერმანული კოლონიების შექმნა, მოსახლეობის ყოველგვარი ინტელექტუალური განვითარების უარყოფა, მათი მხოლოდ მუშახელად გამოყენება, ხოლო ყოველივე დანარჩენის უგულვებელყოფა.

როზენბერგი იმეორებს, რომ ეს თავადაც იცის, მაგრამ საჭირო არ არის ყოველივე ამის ა შ კ ა რ ა დ და ს ა ჯ ა რ ო დ გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა, როგორც ახლა ხდებაო. მაგალითად, ასე ამბობენო:

— დაპყრობილ ხალხებს მხოლოდ მათრახით უნდა ველაპარაკოთ, როგორც ზანგებს.

— სლავი ხალხი სრულიად გაუნათლებელი უნდა დარჩეს... და ა. შ.

ეს კიდევ ცოტაა! საჯაროდ თქმული ასეთი უხამსობანი იავნანასავით ეღერს იმასთან შედარებით, რაც საიდუმლო დოკუმენტებში წერია. როზენბერგი კი მხოლოდ ასეთ „საჯარო საიდუმლოებათა“ წინააღმდეგია: რ ა ც გ ა ს ა ბ ე თ ე ბ ე ლ ი ა, გ ა ვ ა კ ე თ ო თ, მ ა გ რ ა მ წ ი ნ ა ს წ ა რ ნ უ ღ ა რ ვ ი ლ ა პ ა რ ა კ ე ბ თ ო ამაზე. ბროიტიგამის მსგავსად, ჩვენთვის უკვე გარკვეული მოსაზრების ბამო როზენბერგიც წინააღმდეგია აშკარა ტერორისტული მეთოდებისა.

— გერმანულ პოლიტიკას, — წერს იგი, — რა თქმა უნდა, შეუძლია თავისი თვალსაზრისი ჰქონდეს დამონებულ ხალხთა მიმართ, მაგრამ ისეთი ზოქები არ უნდა იქნეს მიღებუ-

ლი, რომ საწარმოო პროდუქტიულობის დაძაბვის ნაცვლად სრულიად დამაჩლუნგებელ სასოწარკვეთილებამდე მივიყვანოთ ისინი.

ნაცვლად ამისა როზენბერგი მოითხოვს, რომ „პოლიტიკური ხელმძღვანელობა იყოს ფარული“ (geheim).

— იქ, სადაც საჭირო ხდება გერმანული პოლიტიკის აუცილებელი სისასტიკის გამოყენება, გაჩუმებული მაინც უნდა ვიყოთ (verschweigen) დაპყრობილი ხალხებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ. დიახ, გონივრული გერმანული პოლიტიკით, განსაზღვრულ პირობებში აგრეთვე ამ პოლიტიკის უმნიშვნელო შერბილებით ან ცალკეულ შემთხვევაში ერთგვარი ადამიანურობის გამოჩენით შეიძლება უფრო მეტს მივაღწიოთ გერმანიის ინტერესებისათვის, ვიდრე აშკარა და წინასწარ მოფიქრებული სისასტიკით...

მთელი ამ მემორანდუმის აზრი ისაა, რომ ა შ კ ა რ ა დ ა რ გ ა ე მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ ი ნ ა თ ი ს, რ ა ც ფ ა რ უ ლ ა დ (unter dem Hand) უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი.

ჩვენში რომ ამბობენ, „მიმპარავი ძაღლი მყეფარზე უარესიაო“, ისეა. როზენბერგის მოქნილი ტყუილის პოლიტიკა უფრო საზიზღარი იყო, ვიდრე გერმანული სისასტიკის გულახდილი პირდაპირობა. ამიტომაც მოხდა საკმაოდ პარადოქსული ამბავი. წინასწარ დაკითხვებზე როზენბერგი დაჟინებით მიუთითებდა ამ მემორანდუმზე, როგორც მისი „ჰუმანურობის“ დადასტურებაზე. პროცესზე კი ეს დოკუმენტი არა დაცვის, არამედ ბრალდების მხარემ გამოაქვეყნა. ამითაც აშკარა შეიქნა, რომ როზენბერგი სრულიად ამაოდ ეძებდა მადლის წყაროს ცოდვის გუბეში. ისე გულუბრყვილო არავინ იყო, რომ მისი ვერაგული, მოქნილი ტყუილის ტაქტიკა ჰუმანურობის ნიშნად მიეღო, თუმცა გარეგნულად ეს მართლაც ასე ჩანდა. როზენბერგს უნდოდა ჰიტლერის მხარის დაჭერა მოეპოვებინა ამ საკითხში და, ტაქტიკური მოსაზრებით, დროებით მაინც შეეზღუდა უკრაინის საიმპერიო კომისრის კოხის სააშკარაოზე გამოფენილი ბარბაროსობა, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის პატრიოტული წინააღმდეგობა გაეტეხა. მაგრამ ესეც ამაო

ცდა იყო. ჰიტლერი აშკარად უჭერდა მხარს კოხს, მიაჩნდა ის სანიმუშო რაიჰსკომისრად და უკრაინის შემდეგ მოსკოვს სთავაზობდა გასატიალებლად...

რიგში კი კავკასია იდგა, სადაც ჰიტლერი, როგორც გახსოვთ, განსაკუთრებით მკაცრ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვდა, როზენბურგი კი შედარებით მოქნილ პოლიტიკას სთავაზობდა მას, უფრო სწორად: ერთ დროს თვით ჰიტლერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას შეახსენებდა თანდათანობის ხელსაყრელობისა, ხოლო საბოლოო მიზნების ნაადრევად გამჟღავნების მიზანშეუწონლობის შესახებ. აკი თვითონაც ამბობდა: რომელიმე ქვეყანას როცა მივუახლოვდებით, პროპაგანდისტული მიზნით უნდა ვიძახოთ, რომ თავისუფლება მოგვაქვსო.

იძახდნენ კიდეც, ვიდრე რუსეთში, ბალტიისპირეთსა და უკრაინაში შედიოდნენ. მერე? როცა შევიდნენ? სად გაქრა ეს თავისუფლება? ის კი არა, ისეთი ჯოჯოხეთის კევრი დაატრიალეს, რომ მთელი მსოფლიო შეაძრწუნეს. ზოგიერთმა გულუბრყვილომ რომ შეახსენა მაშინ ჰიტლერს შეპირებული თავისუფლების შესახებ, გულწრფელად გაოცებულმა დიქტატორმა წამოიძახა:

— თავისუფალ ხალხებს რომ ფეხქვეშ გავიგებ, მერე ისევ თავისუფლება მივსცე! რატომ?! რა სისულელეა ეს?! თუ ჩვენ სისხლსა ვღვრით, კიდეც უნდა ვიბატონოთ!..

ამის საწინააღმდეგო არც როზენბერგს ჰქონდა რამე, მაგრამ, 1942 წლის შემოდგომაზე შექმნილ მდგომარეობას რომ ანალიზი გაუკეთა, ძველი პოლიტიკის „უმნიშვნელო შეცვლა“ მოითხოვა, განსაკუთრებით — კავკასიაში, სადაც, მისი აზრით, სრულიად სპეციფიკური გარემოების შექმნა იყო მოსალოდნელი... ამიტომაც აღნიშნავს იგი თავის მემორანდუმში კავკასიელ ხალხთა სრულ თავისებურებას დაპყრობილი ტერიტორიების სხვა მოსახლეობასთან შედარებით.

— კავკასიელი ხალხები, — წერს იგი, — ისტორიულად სხვადასხვა პირობებში ვითარდებოდნენ. ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რასის, ტრადიციებისა და საარწმუნოების მიხედვით. მთიანმა რელიეფმა კიდევ უფრო გააძ-

ლიერა ეს განსხვავება და ხელი შეუშალა მათ გაერთიანებას. არც ერთ კავკასიელ ხალხს არ შეუძლია უზრუნველყოს ხანგრძლივ პერიოდში თავისი დამოუკიდებელი არსებობა. მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოს მფარველობა მოუპოვებს მათ ერთიანობასა და პოლიტიკურ სიმშვიდეს.

ადვილი გასაგებია, რომ ამ „პოლიტიკურ სიმშვიდეში" როზენბერგი გერმანელი დამპყრობლებისადმი სასურველ მორჩილებას გულისხმობს და ფიქრობს, რომ „მრავალი, მაგრამ მცირერიცხოვანი ხალხებით დასახლებულ კავკასიაში შესაძლებელი იქნება გერმანული პოლიტიკის განსხვავებული მეთოდებით გატარება, მაშინ როდესაც დიდი ერების მიმართ ასეთივე მეთოდები პოლიტიკურ და სამხედრო წინააღმდეგობებს გააძლიერებდნენ"...

ამ მეთოდებისა და ჰიტლერის ადრინდელ მითითებათა საფუძველზე როზენბერგი და შიკედანცი კავკასიაში გასატარებელ ღონისძიებებს სამ ეტაპად ყოფდნენ:

1. კავკასიასთან მოახლოებისას „ნამდვილი მიზნების" შესანიღბავად გამოყენებული ღონისძიებანი და პროპაგანდისტული მანევრი „გათავისუფლების" შესახებ.

2. ე. წ. „დროებითი", ანუ „გარდამავალი პერიოდის" ღონისძიებანი კავკასიის დაპყრობის დროს, რასაც უნდა უზრუნველეყო ჰიტლერის მითითება „ნაადრევად მტრების გაჩენის" მიზანშეუწონლობის შესახებ.

3. ღონისძიებანი „საბოლოო მიზნების" განსახორციელებლად, რაც კავკასიაში გერმანელების სამუდამო ბატონობის დამყარებას და მისი ზოგიერთი ტერიტორიის, კერძოდ, საქართველოს „განხალხებას" გულისხმობდა.

ასეთი იყო საერთო გეგმა, რის განხორციელებასაც გერმანული საოკუპაციო ორგანოები ცდილობდნენ არმიის იმ შენაერთებთან ერთად, რომლებსაც კავკასია უნდა დაეპყროთ და შემდეგ ახლო აღმოსავლეთისაკენ გაელაშქრათ. ვიდრე ეს მოხდებოდა, ჰიტლერელები „საბოლოო მიზნების“ უაღრესად დასაიდუმლოებას მოითხოვდნენ. ჰიტლერი ერთ დროს კრძალავდა კიდეც „ჯერაც დაუპყრობელი ტერიტორიების“ შესახებ წერას და რუკების შედგენას, თუმცა ეს ისეთი სარქველახდილი საიდუმლოება იყო, რომ ამის შენიღბვა უკვე ვეღარ ხერხდებოდა. რუსებმა, უკრაინელებმა, ბელორუსებმა და ბალტიისპირელმა ხალხებმა კარგა ხანია გაიგეს, რასაც ნიშნავდა გერმანელების საბოლოო მიზნები. არც კავკასიელი ხალხები აუწყობდნენ ასე ადვილად ფეხს „გერმანელ გამათავისუფლებელთა“ მაცდურ ლოზუნგებს. ამიტომ როზენბერგი, შიკედანცი და მათი აპარატი გულმოდგინედ ამზადებდნენ თავიანთ „შემპარავ პოლიტიკას“. ამას ყოველთვის როდი უწევენ ანგარიშს ისტორიკოსები, რომლებიც ცალკეული დოკუმენტებისა და სხვა მასალების ანალიზს ახდენენ დროისა და კონკრეტული ტაქტიკური ვითარების გაუთვალისწინებლად ან ყოველგვარი კომენტირების გარეშე აქვეყნებენ საარქივო მასალების სქელტანიან ტომებს, მაშინ როდესაც აუცილებელია წინასწარი გათვალისწინება, თუ „პოლიტიკური ამბების“ განვითარების რომელ ეტაპს ეხება ესა თუ ის დოკუმენტი. თორემ მათი სხვა, უფრო საიდუმლო დოკუმენტებისაგან მოწყვეტით განხილვა ერთგვარ დაბნეულობას იწვევს. გამოდის, თითქოს ერთი დოკუმენტი ეწინააღმდეგება მეორეს, მაშინ როდესაც ყოველი მათგანი მოქმედების განსაზღვრული ეტაპისთვისაა განკუთვნილი და საერთო, ანუ „საბოლოო მიზნებს“ ემსახურება.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი დოკუმენტი ამა თუ იმ მაღალი თანამდებობის პირის შეხედულებას გამოხატავს, რასაც კანონის ძალა არა აქვს, თუ ჰიტლერის მიერ არ არის დამტკიცებული. ასეთია როზენბერგის მემორანდუმიც.

იგი არამცთუ არავის დაუმტკიცებია, მხედველობაშიც არ ყოფილა მიღებული. ჰიტლერელთა ნამდვილი პოლიტიკის არსი კავკასიის მიმართ გამოხატული იყო არა ასეთ მემორანდუმებსა და რეკომენდაციებში, არამედ ჰიტლერის მითითებებსა და იმ საიდუმლო ბრძანებებში, რასაც ჰიმლერი და მისი დამსჯელი ორგანიზაციები ადგენდნენ დაპყრობილ ტერიტორიებზე „საბოლოო მიზნების“ თანდათანობით განსახორციელებლად. როზენბერგი ამას კავკასიაში „გერმანიის მტკიცე საფუძვლების შექმნას“ უწოდებდა და სათანადო რეკომენდაციებსაც იძლეოდა. მისი აზრით, რაკი კავკასიის ტერიტორია დასახლებულია უამრავი სხვადასხვა ეროვნების ხალხით, უნდა შექმნილიყო „ერთიანი ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი ერთეული“— „საიმპერიო კომისარიატი, რომელიც განახორციელებდა ერთიან გერმანულ მმართველობას“. როზენბერგი წერს: „საიმპერიო კომისარიატის (Reichskommissariat) ცნება აშკარად გამოხატავს ერთიანი გერმანული მმართველობის ნებას“. ეს იმას ნიშნავს, რომ აღარ უნდა ყოფილიყო საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი და სხვ., არამედ — ერთიანი „საიმპერიო კომისარიატი, როგორც გერმანული იმპერიის შემადგენელი ნაწილი“.

ასე მოხდა, მაგალითად, ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში. „ხმარებიდან მოიხსნა“ „ყოფილი თავისუფალი სახელმწიფოების“ სახელწოდებანი: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია. ამის ნაცვლად დარჩა გაერთიანებული გერმანული სახელმწიფო ერთეული — „ოსტლანდი“. ჰიტლერის მიერ ჯერ კიდევ 1941 წლის 17 ივლისს გამოცემული ბრძანებით დადგენილ იქნა დაპყრობილი ტერიტორიების ადმინისტრაციული სქემა: რაიჰსკომისარიატი — რაიჰსკომისრის მეთაურობით, გენერალური კომისარიატი — გენერალური კომისრის მეთაურობით, რაიონული კომისარიატი — რაიონული კომისრის მეთაურობით და ა. შ.

მემორანდუმის ავტორი ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ ეს არცთუ ისე ადვილად შესაგუებელი საქმეა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ამიტომ ადგენს იგი ამ „საბოლოო

მიზნების“ შესანიღბავ ღონისძიებებს „მეორე ეტაპისათვის“, რასაც თვითონ „გარდამავალი პერიოდის დროებით ღონისძიებებს“ (zwischenlösuang) უწოდებს. ამ პერიოდში როზენბერგი რეკომენდაციას იძლევა, ჯერ კიდევ ნუ მოვსპობთო სახელწოდებებს — „საქართველო“, „სომხეთი“ და სხვ. მემორანდუმში ეს ასეა გამოხატული:

— გარდამავალ პერიოდში პირდაპირ ნუ ვიტყვით გენერალური ოლქებიო, არამედ ვთქვათ „ქვეყანა საქართველო“, „სომხეთი“ და სხვ. მმართველები ამ ქვეყნებისა უნდა იწოდებოდნენ არა გენერალურ კომისრებად, არამედ ქვეყნის მფარველებად, ნაცვლებად ან რეზიდენტებად.

ამ „რეკომენდაციის“ აზრი ადვილად გასაგებია: იყოს „კომისარი“, მაგრამ ერქვას „მფარველი“, „ნაცვალი“ ან „რეზიდენტი“, რომ ამით „გარდამავალ პერიოდში“ არ შეილახოს „ღირსება მთავარი კავკასიელი ხალხებისა“ და „დროზე ადრე“ არ გაიხადონ ისინი მტრებად.

ეს რომ ფანდია, პირდაპირ ჩანს თვით დოკუმენტში. იქ წერია: „შეიძლება დაინიშნონ მთავარი კომისრები, რომლებიც დაემორჩილებიან კავკასიის საიმპერიო კომისარს და შეასრულებენ გენერალური კომისრების ფუნქციებს ისე, რომ არ ჰქონდეთ ეს წოდება“. ე. ი. საქმე ოფიციალურ წოდებას ეხება და არა სინამდვილეს, ცნებას და არა მის შინაარსს, რომელიც მათს „საბოლოო მიზნებს“ გამოხატავს. „ამიტომო, — წერს როზენბერგი, — მთავარ კომისრებს უნდა ჰქონდეთ სხვა სახელწოდება: „საიმპერიო მფარველი“, „საგანგებო რწმუნებული“, „საოლქო ნაცვალი“ ან „საოლქო რწმუნებული“. მემორანდუმის სპეციალურ შენიშვნაში როზენბერგი წერს: „შემოთავაზებული სახელწოდებანი, რა თქმა უნდა, არ ცვლიან ჩემ მიერ გადმოცემულ პრინციპებსო“, და, თავისი რეკომენდაციის აუცილებლობა რომ „დაამტკიცოს“, მაგალითისათვის მიმართავს ისტორიას: „საყურადღებოა (უფრო სწორად „ჭკუის სასწავლია“), რომ რუსეთის მეფეს ნაცვალი მხოლოდ კავკასიაში ჰყავდაო“.

როზენბერგიც ცდილობს „ჭკუა ისწავლოს“ მეფის რუსე-

თის პოლიტიკისაგან კავკასიაში. იგი წერს: „აქ ცარიზმის დროს ოფიციალურ ენად შემოღებული იყო რუსული ენა. ახლა რუსული ენა უნდა შეიცვალოს გერმანულით“. ან ასე: „სახელმწიფო ენა უნდა იყოს გერმანული“. ამას როზენბერგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და მესამედ იმეორებს: „კავკასიაში გერმანული ენა უნდა იქნეს შემოღებული როგორც ყოველდღიური ურთიერთობის საშუალება“.

რატომო, ვინმემ რომ იკითხოს, ამის პასუხსაც ნახავს მის მემორანდუმში: „რომ შეგნებულად მივაღწიოთ თანდათანობითს ასიმილაციას“. ამისათვის, მისი აზრით, გარდამავალ პერიოდში „ქართული და სომხური ენის სწავლება მაინც სასურველია“.

ეს „ასიმილაციაც“, ან სხვაგვარად — „გერმანიზაციაც“, „დროებითი მოხმარების“ ცნებაა. ამაზე სრულიად აშკარადაა მითითებული ოფიციალურ დოკუმენტებში. ზემოაღნიშნული მემორანდუმის შედგენიდან სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ, გერმანიის ჯარების კავკასიიასთან მოახლოების დღეებში, ჰიმლერი წერდა ესესელთა მთავარ ორგანოში („შავი კორპუსი“):

— ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, რომ მოვახდინოთ აღმოსავლეთის გერმანიზაცია ამ სიტყვის ძველებური გაგებით, ე. ი. შევაჩვიოთ ადგილობრივი მოსახლეობა გერმანულ ენასა და კანონებს, არამედ მივაღწიოთ იმას, რომ იქ ცხოვრობდნენ მხოლოდ ნამდვილად გერმანული სისხლის ადამიანები.

გაზეთი საჭიროდ თვლის ჰიმლერის ამ სიტყვებს კომენტარები გაუკეთოს და აღნიშნოს, რომ ეს ბრძანებაა და არა სურვილი.

— გერმანიზაციის უარყოფა ახალი არ არის, — წერდა გაზეთი, — ყოველ შემთხვევაში, იგი ისევე ძველია, როგორც ნაციონალ-სოციალიზმი. მაგრამ ახლა ესესის რაიხსფიურერის, როგორც გერმანული ნაციის განმტკიცების გენერალური კომისრის, სიტყვებით იგი იქცევა ბრძანებად. ამაშია ამ სიტყვების ძალა. მათში სხვა აზრებივით მარტო აზრი კი არ არის გამოთქმული, არამედ ცხადდება საგანგებო პროგრამა, შედგენილი იმ ადამიანის მიერ, ვინც ფიურერის ნებას საქმედ აქ-

ცევს. ეს საქმე კი მხოლოდ მაშინ გაკეთდება, როცა მთელი დაპყრობილი ტერიტორია იქცევა გერმანულად და მასზე დასახლებული იქნება მხოლოდ გერმანელი ხალხი...

აქ, ცხადია, იგულისხმება „ცისფერი კავკასიაც“, როგორც ჰიტლერი ამბობდა, რადგან ის შეტანილი იყო „გერმანიის იმპერიის ფარგლებში“. მაგრამ ესეც „საბოლოო მიზანია“, მანამ კი გარდა როზენბერგისა შიკედანციც თავის „ანგარიშში“ ურთავს გარდამავალი პერიოდის ტაქტიკურ გეგმებს, რითაც უნდა შეიქმნას ამ „საბოლოო მიზნის“ მტკიცე საფუძველი კავკასიაში, განსაკუთრებით კი — საქართველოში.

საბოლოო მიზნები...

'შიკედანცის ანგარიშში მართლაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თვით საქართველოს. მისი აზრით, საქართველო უნდა იქცეს „კავკასიაში ფარული გერმანული ბატონობის მძლავრ დასაყრდენად“. რატომ საქართველო? ალბათ იმიტომ, რომ სწორედ საქართველო იყო ის ნაწილი კავკასიისა, სადაც ე. წ. „განხალხების“ პოლიტიკის თანდათან განხორციელებითა და გერმანელების ვასობრივი დასახლებით ჰიტლერელებს განზრახული ჰქონდათ შეექმნათ „მტკიცე საფუძველი“ კავკასიაში თავიანთი ბატონობისა. შიკედანცი წერს: „ამისათვის ისიც გამოსაყენებელია, რომ კავკასიის დედაქალაქი საქართველოში იქნებაო“. „საქართველო გარშემორტყმულია სომხეთით, აზერბაიჯანითა და დაღესტნით. იგი არ არის ისე ძლიერი, რომ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვოს. ამიტომ როგორც უწინ იყო იძულებული დაყრდნობოდა რუსეთის მფარველობას, ახლაც ასევე იქნება იძულებული ეძებოს გერმანელთა მფარველობა“.

ამ „მფარველობის“ ფასი კი ჩვენ უკვე ვიცით. იგი იმისთვისაა მოგონილი, რომ საქართველოს ნაცვლად, რა თქმა უნდა, „ფარულად“ შეიქმნას გენერალური კომისარიატი, რომლის სათავეში იქნება გერმანელი კომისარი. კავაკასიაში, როგორც აღინიშნა, სულ ხუთი ასეთი კომისარიატის დაარსება

იყო დაგეგმილი: საქართველოს, აზერბაიჯანის, მთის კავკასიის, ყუბანისა და თერგის. შეიქმნებოდა აგრეთვე ორი მცირე სამმართველო: სომხეთი და ყალმუხეთი. თვით საქართველოში სამი საოლქო სამმართველო უნდა შექმნილიყო: აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის. ყველა ეს ადმინისტრაციული ერთეული გერმანული მმართველობის ქვეშ იქნებოდა. მართალია, ეს სულაც არ შეეფერებოდა პირველი ეტაპის ლოზუნგს — ვითომ თავისუფლება მოგვაქვსო, ამიტომ შიკედანცი ასეთ რეკომენდაციას იძლევა: ამის შესარბილებლად უნდა ვთქვათ, რომ „ზომები, რაც მიღებული იყო რუსი, უკრაინელი, ბელორუსი და ბალტიისპირელი ხალხების მიმართ, არ იქნება კავკასიაში მექანიკურად გამოყენებული“ და რომ გერმანული მმართველობა წესდება მხოლოდ ომის პერიოდში, „ეკონომიური ექსპლოატაციაც ომის პირობებითაა გამოწვეული“, ხოლო საბოლოო გამარჯვების შემდეგ მდგომარეობა შეიცვლებაო.

შიკედანცი და როზენბერგი, რომელთაც კარგად იციან ჰიტლერის მითითება კავკასიაში „უსასტიკეს ღონისძიებათა გატარების“ შესახებ, ტაქტიკური მოსაზრებით იმასაც კი მოითხოვენ, რომ იქ გერმანული ჯარების შესვლის დროს უფრო „ჰუმანური დამოკიდებულება“ იქნეს გამოჩენილი ადგილობრივი მოსახლეობისადმი, ვიდრე ეს იყო რუსეთში, ბალტიისპირეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში.

აღსანიშნავია, რომ, ვიდრე ბალტიისპირა ქვეყნებს დაიპყრობდნენ, ჰიტლერელები ასევე აცხადებდნენ: ლიტველებს, ლატვიელებსა და ესტონელებს ისე არ მოვექცევით, როგორც რუსებსო. ახლა კი, მას შემდეგ, რაც უკვე მთელმა ქვეყანამ გაიგო, თუ რა ცოდვის კალო დაატრიალეს მათ ბალტიისპირეთში, კავკასიელებს „ანუგეშებდნენ“: თქვენთან ისე როდი მოვიქცევით, როგორც ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთშიო.

ამის მიუხედავად, მაინც ისმის კითხვა: რატომ? ან, წმინდა პროპაგანდისტული მიზნების გარდა, რითია ეს „განსხვავებული“ დამოკიდებულება გამოწვეული?

ჯ ე რ ე რ თ ი. მემორანდუმში წერია: „ეს ჰუმანიზმი ხელს შეგვიწყობს გავატაროთ ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის აუცილებელი მკაცრი ღონისძიებანი“; მ ე ო რ ე. „ამ ღონისძიებების გატარების დროს ვიზრუნოთ იმაზე, რათა კავკასიელი ხალხების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ გ ა მ ო ი წ ვ ი ო ს დ ა ფ ა რ ვ ა გ ე რ მ ა ნ ი ი ს ს ა ბ ო ლ ო ო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დ ა ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მ ი ზ ნ ე ბ ი ს ა“.

ეს არის მთავარი! საბოლოო მიზნების დაფარვა! სხვა დანარჩენი კი დროისა და ტაქტიკის საქმეა. მაგრამ საკითხი რომ უფრო ნათელი იყოს, მაინც ვსვამთ კითხვას:

— ასე განსაკუთრებით რატომ მაინცდამაინც კავკასიაში გახდა საჭირო „უსასტიკესი“ და თანაც, თვალის ასახვევად, ვითომ „ჰუმანური“ პოლიტიკის გატარება ე. წ. „გარდამავალ პერიოდში“, როცა საბჭოთა კავშირის სხვა დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მაგალითად, რუსეთში, ბალტიისპირეთში, ბელორუსიასა და უკრაინაში ისინი უფრო ცინიკური პირდაპირობით მოქმედებდნენ?

ამის პასუხიც მოცემულია შიკედანცის მემორანდუმში. გარდა იმისა, რაც 1942 წლის შემოდგომისათვის შექმნილი ძდგომარეობისა და ბროიტიგამის წერილის შესახებ მოგახსენეთ, აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უმაღლესი სარდლობის გეგმით კავკასიის დაპყრობის შემდეგ გერმანიის ჯარები უნდა შეჭრილიყვნენ ახლო აღმოსავლეთში. მათ, როგორც ვნახეთ, უკვე გამოცდილი ჰქონდათ ზურგში პარტიზანული რაზმების მოქმედების ძალა. აქ კი, მთებსა და ხეობებში, უღელტეხილებსა და ვიწრო ბილიკებზე, პარტიზანული მოძრაობის გაშლა დამღუპველი იქნება ჩვენი არმიისთვისო. შიკედანცის ანგარიშში პირდაპირ წერია:

— თუ კავკასიის მოსახლეობა მთებში პარტიზანულ მოძრაობას გაშლის, ამან შეიძლება საბედისწერო როლი შეასრულოს ჩვენი გეგმების განხორციელებაში ახლო აღმოსავლეთის მიმართულებითო...

ამიტომ დაისახა გეგმა კავკასიის ადმინისტრაციული და სამხედრო მმართველობის კოორდინაციისა. როზენბერგმა მო-

ითხოვა, რომ კავკასიაში მოქმედ არმიათა ჯგუფ „A“-ს შტაბში ყოფილიყო მისი სრულუფლებიანი რწმუნებული, რომელსაც ნება ექნებოდა დამოუკიდებლად გადაეწყვიტა თავისი საქმეები. არმიათა ჯგუფის სარდალს ამ რწმუნებულისათვის უნდა შეეთანხმებინა პოლიტიკური საკითხები და, თუ მათ შორის თავს იჩენდა რამე წინააღმდეგობა, რწმუნებული ამის შესახებ შეატყობინებდა მას, რაიჰსმინისტრს, ხოლო სარდალი — გენერალურ შტაბს.

როზენბერგის ეს მოთხოვნა გენერალ-კვარტირმაისტერმა ვაგნერმა მოახსენა ჰიტლერს, რომელმაც თანხმობა განაცხადა და იკითხა, ვინ იქნება ეს რწმუნებულიო. ვაგნერმა ჩვენთვის უკვე ცნობილი ოტო ბროიტიგამი დაასახელა. ხოლო შემდეგ ჰიტლერის გადაწყვეტილება ამ საკითხზე აცნობა არმიათა ჯგუფ „A“-ს სარდალს. თავის მხრივ, მიკედანცს კავშირი ჰქონდა დამყარებული კავკასიის სამხედრო ადმინისტრაციის მომავალ უფროსთან გენერალ კოხ-ერბახთან. იგი წერს კიდეც, რომ ორივემ გამოთქვეს სურვილი „იბრძოლონ ფიურერის მიერ დასმული ამოცანების გადასაწყვეტად და უზრუნველყონ გერმანიისთვის სასიცოცხლო არე აზიის კარიბჭესთან“...

ხანჯალი და ხმალი...

ასეთი იყო მიზანი და ტაქტიკური მოსაზრებანი გერმანელებისა კავკასიისადმი. ამიტომ თვლიდნენ ისინი შესაძლებლად აქ ოკუპაციის პირველ პერიოდში შედარებით „ჰუმანური მეთოდების“ გამოყენებას. როზენბერგი წერდა: „კარგი ჰუმანური მოპყრობა მოსახლეობისადმი კავკასიაში ხელს შეგვიწყობს ეკონომიური ხასიათის აუცილებელ მკაცრ ღონისძიებათა გატარებაში“ და სხვა. ამ „მკაცრ ეკონომიურ ექსპლოატაციას“ რომ თავი დავანებოთ, კაცს ეგონება, მგელს მგლობა მოუშლია და ღვთის კრავად ქცეულაო. მართლაც! როზენბერგი და შიკედანცი იმდენს წერენ ამ „ჰუმანური მოპყრობის“ შესახებ, რომ იქნებ ბევრმა თქვენგანმაც იფიქროს ასე. ამიტომ მოდით, ახლა ამ „საჯარო საიდუმლოებასაც“ ავხადოთ

ფარდა და ვთქვათ, რას გულისხმობდნენ ისინი ამ „ჰუმანურობაში“.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: შიკედანცის ანგარიშის მიხედვით „გარდამავალი პერიოდის“ მთელი ამ „ჰუმანური მოპყრობის“ შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: „სხვა ხალხებისაგან განსხვავებით კავკასიელებს პირველ ხანებში უფლება უნდა მივცეთ ატაროს ეროვნული იარაღი — ხანჯალი და ხმალი, რაც მათ თავისუფლების სიმბოლოდ მიაჩნიათ; ნება მივცეთ ჩაიცვან ეროვნული ტანისამოსი, შეასრულონ ძველი ადათ-ჩვეულებანი, შეინარჩუნონ საკუთარი ენა და იმღერონ ეროვნული სიმღერები“.

ეს არის და ეს ამ „ჰუმანიზმის“ მთელი შინაარსი. შეიძლება ამას მიემატოს შიკედანცის შუამდგომლობა პოლიციისათვის ეროვნული ფორმის ტარების უფლებისა და, „რაც მთავარია“, კავკასიაში, კერძოდ თბილისში, ერთი უმაღლესი სასწავლებლის დატოვების შესახებ. თუმცა ასე ერთხელ როზენბერგმაც სთხოვა ჰიტლერს, უკრაინაში ერთი უმაღლესი სასწავლებელი დავტოვოთო, მაგრამ ამაზე ისეთი დღე დაადგა, რომ ამის შემდეგ, 1942 წლის 24 ოქტომბერს, გამძვინვარებულმა ერიხ კოხმა გამოსცა განკარგულება გენერალური კომისრებისადმი „უკრაინაში ყველა სკოლისა და ინსტიტუტის დახურვისა და მასწავლებლებისა თუ მოსწავლეების გერმანიაში იძულებით სამუშაოზე გაგზავნის შესახებ“.

კოხი განრისხებულია, რომ ზოგიერთ გენერალურ კომისარიატში, გარდა ოთხწლიანი სკოლებისა, არსებობს კიდევ რამდენიმე უფრო მაღალი ტიპის სკოლა და ინსტიტუტი

— ამიტომ მე მოვითხოვ ბატონი გენერალური კომისრებისაგან, — წერს იგი, — დახურონ ყველა სკოლა და ინსტიტუტი, რომლებშიც სწავლობენ მოსწავლეები 15 წლის ასაკს ზევით, ხოლო ამ დაწესებულებათა ყველა მოსწავლე და მასწავლებელი, განურჩევლად სქესისა, იძულებითი წესით გაგზავნილ იქნენ სამუშაოდ გერმანიაში...

კოხი იმასაც მოითხოვს, რომ არ დაუშვან არავითარი სკოლის არსებობა, გარდა ოთხწლიანისა. და ისიც მხოლოდ მაშინ,

თუ ასეთ სკოლებში გამოყენებული იქნება მის მიერ ნებადართული სწავლების ფორმა.

ამიტომაც ვამბობთ: შიკედანცის შუამდგომლობა ზღაპარია, კოხის ბრძანება კი სინამდვილე. აბსოლუტურად გამორიცხულია, რომ შიკედანცის იმ შუამდგომლობას გამოეღო რამე ნაყოფი. მას ხომ ჰიტლერისაგან სრულიად გარკვეული მითითება ჰქონდა მიღებული: „სკოლები კავკასიაში გერმანული ინტერესების სამსახურს დაუქვემდებარეთო“. ეს შიკედანცმა ისე გაიგო, რომ საჭიროდ მიიჩნია რამდენიმე სახელოსნო სკოლის დატოვება. თუ რა უნდა ექნათ სხვა ახალგაზრდებისათვის, ამაზედაც წინასწარ იზრუნა კავკასიის მომავალმა „მთავარმართებელმა“. იგი გეგმავდა ახალგაზრდებისაგან შრომითი ბატალიონების შექმნას ესესელებისა და მოიერიშეების მეთაურობით, რათა „აღეჭურვათ ისინი გერმანული სულისკვეთებით“ და გამოეყენებინათ მონური შრომისათვის.

„მონური შრომისათვისო“, რომ ვამბობ, იქნებ ვინმეს ეგონოს პირად განწყობილებას გამოვხატავდე. არა, თვითონ ჰიტლერი წერს:

— ჩვენ უნდა შევქმნათ გერმანელებისაგან ბატონთა კლასი. ამიტომ დაგვჭირდება დიდი რაოდენობა მომსახურე ადამიანებისა. ჩვენთვის სულერთია, უწინ რას წარმოადგენდნენ ისინი: მსხვილ ბურჟუებს, დიდ მემამულეებს, მუშებს, პროფესორებს, თუ ხელოვნების მუშაკებს. ჩვენ არ უნდა მოვერიდოთ ვუწოდოთ მათ მონათა კლასი...

საქართველოში ასეთი „მონათა კლასის“ ხელმძღვანელად შიკედანცმა დანიშნა კიდეც SS-ის შტურმფიურერი ჰაიბელი. ის კი საქვეყნოდ ცნობილია, თუ როგორ ახორციელებდნენ ესესელები და მოიერიშეები ადგილობრივი მოსახლეობის „შრომით საქმიანობას“. მათთვის არ იქნებოდა სახლ-კარი, ოჯახი, შვილები. ჰიმლერი სრულიად გარკვევით წერდა:

— ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ისინი ტოვებდნენ შთამომავლობას. ამიტომ ყოველგვარი ოჯახი ამ მონებისათვის პრინციპულად უნდა იქნეს აღკვეთილი...

ისიც გახსოვთ, ალბათ, ჰიმლერი სიტყვა „მონის“ ნაცვლად „პირუტყვს“ რომ ამბობდა...

...ესეც დაპყრობილი ტერიტორიების თანდათანობითი „განხალხების“ ისეთივე საშუალება იყო, როგორიც კაიტელის საყოველთაოდ ცნობილი კანონი „ღამე და ნისლი“, რამაც მართლაც შემაძრწუნებელი შედეგები გამოიღო დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე. ამგვარი მაგალითები კი, რა თქმა უნდა, გაურთულებდა გერმანელ კოლონიზატორებს თავიანთი თვალთმაქცური პოლიტიკის გატარებას საქართველოში. ამას თვითონაც გრძნობდნენ. ამიტომაც წერს შიკედანცი: როგორმე „შთავაგონოთ კავკასიის ხალხებს, რომ აქ ისე არ მოვიქცევით, როგორც რუსეთსა და უკრაინაშიო“.

ამ მიზნით იქნა შედგენილი სპეციალური მითითებები პროპაგანდისტული მუშაობისათვის ოკუპაციის პირველ ეტაპზე, როცა ისინი უახლოვდებოდნენ კავკასიას. ეს მითითებები თვით ჰიტლერისაგან გამოდიოდა. მან 1942 წლის 25 აპრილს ბერჰტესგადენში მიიწვია როზენბერგი და გააფრთხილა — ოფიციალურად არავითარი „ზედმეტი დაპირება“ არ მიეცა კავკასიელი ხალხებისათვის, განსაკუთრებით ქართველებისათვის, და დაუმატა: „ისე, პროპაგანდისათვის, მფრინავი ფურცლებით (Flugblattpropaganda), რაც გინდათ, ის შეპირდითო“.

ასეც იყო. იმ დროს სწორედ კავკასიის მისადგომებთან ვმსახურობდი მოქმედ არმიაში და კარგად მახსოვს, გერმანელები ყუმბარებთან ერთად უამრავ „მფრინავ ფურცელს“ რომ გვაყრიდნენ. რას არ გვპირდებოდნენ მაშინ ისინი! ამქვეყნიურ სამოთხეს, თავისუფალ და მაძღარ ცხოვრებას; გვიქადაგებდნენ, დღემდე ბოლშევიკები გჩაგრავდნენ, გაოხრებდნენ, გაწიოკებდნენ, ამიერიდან კი თქვენ იქნებით თავისუფალნი, ბედნიერნი... გერმანული იარაღის ძლევამოსილებას მოაქვს თქვენთვის ყოველგვარი სიკეთე, სიამოვნებაო და სხვა ასეთი...

მაგრამ, როგორც იტყვიან, თივაში ცეცხლი არ დაიმალება. ჰიტლერელებს თვითონვე ეშინოდათ, რომ ამგვარ „პროპაგანდისტულ მანევრებს“ არ მოედუნებინა „საბოლოო მიზნისათვის“ საჭირო „უმკაცრეს ღონისძიებათა“ გატარების ჟინი. ისიც გახსოვთ, ალბათ, ჰიტლერი თვალთმაქცური პროპაგანდის

შესახებ მითითებებს რომ იძლეოდა, იქვე ამბობდა: „ამან სრულიადაც არ უნდა შეაჩეროს დახვრეტები და სხვა ღონისძიებათა ჩატარებაო“.

არც შეუჩერებიათ, პირიქით: რუსეთში, ბალტიისპირეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში საშინელი სისხლიანი ტერორი ბძვინვარებდა, კავკასიაში კი, როგორც მოგახსენეთ, იგი განსაკუთრებით მკაცრ ღონისძიებათა გატარებას მოითხოვდა, რადგან სხვანაირად ვერც წარმოედგინა „ამ სისხლის აღებით დაორსულებული“ ხალხების დამორჩილება. ალბათ, საქართველოს ტერიტორიაც ამიტომ შეიტანა „განხალხების ზონაში“. ცხადია, არა რამე რასიული სიძულვილის გამო, არამედ „სტრატეგიული აუცილებლობით“, რისთვისაც ჰიტლერი, მისივე თქმით, „მტერსა და მოყვარეს“ ერთმანეთისაგან არ არჩევდა. „საჭირო ღონისძიებებსაც“ დროულად იღებდა. მოქმედი არმიების შემადგენლობაში მას, პოლიციისა და ჟანდარმერიის გარდა, უამრავი სპეციალური დამსჯელი ჯგუფი ჰყავდა, ესესელები, „განსაკუთრებული“ (Sonder-) თუ „საგანგებო“ (Einsatz-) რაზმები (kommando) და სხვა მისთანანი. შემდეგში მან ასეთივე დამსჯელი ორგანიზაციები შექმნა საიმპერიო და გენერალურ კომისარიატებთან. გარდა ამისა, ჰიტლერის სპეციალური ბრძანებით ყოველ საიმპერიო და გენერალურ კომისართან მიმაგრებული უნდა ყოფილიყო ესესისა და პოლიციის უმაღლესი მოხელე, რომელიც უშუალოდ და პირადად დაემორჩილებოდა კომისარს.

რაიჰსკომისარიატ „კავკასიისთვის“ ამ თანამდებობაზე დანიშნულ იქნა ოტო ოლენდორფი, რომელსაც თავისი რეზიდენცია თბილისში უნდა ჰქონოდა, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, იგი მიმაგრებული იყო არმიასთან, რომელიც ჩვენი დედაქალაქისაკენ მოიწევდა. ოლენდორფს ჰიმლერისაგან სრულიად გარკვეული მითითებები ჰქონდა მიღებული, თუ რა „ჰუმანური ღონისძიებები“ უნდა გაეტარებინა „თავისი მოქმედების ზონაში“, ე. ი. საქართველოში.

ამის დასადასტურებლად მე მხოლოდ ერთ დოკუმენტზე მიგითითებთ, რომელიც მარტო ოლენდორფს როდი ედო ჯიბეში. ეს არის ე. წ. „შავი ნუსხა“, ანუ კატეგორია დაპყრობი-

ლი ტერიტორიების იმ მოქალაქეებისა, რომელნიც „სპეციალურ მოპყრობას“, ე. ი. დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას ექვემდებარებოდნენ:

1. ყველა თვალსაჩინო სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, განსაკუთრებით პროფესიული რევოლუციონერები.

2. კომინტერნის თანამშრომლები, პარტიის ცენტრალური, საოლქო და რაიონული კომიტეტების მუშაკები.

3. ყველა სახალხო კომისარი და მათი მოადგილეები.

4. წითელი არმიის ყველა კომისარი.

5. ხელმძღვანელი სახელმწიფო მუშაკები, ცენტრალური და საშუალო რანგისა.

6. საბჭოთა ინტელიგენცია.

7. ყველა ებრაელი.

8. ყველა, ვინც კომუნისტურ აგიტაციას ეწეოდა.

რა დარჩა?! ე. წ. „რიგითი ადამიანები?“ მაგრამ ისინიც ხომ „პროცენტული შეფარდებისა“ და თანდათანობითი „განხალხების“ კანონს ექვემდებარებოდნენ, რომ საბოლოოდ მიღწეული ყოფილიყო ჩვენი ხალხის „სრული ბიოლოგიური მოსპობა. მანამდე კი: მოსახლეობა 15 წელს ზევით — გერმანიაში იძულებით სამუშაოებზე, ჭაბუკები — შრომით ბატალიონებში, ხოლო ბავშვები? — „ღამე და ნისლი“, გაგერმანელება და ა. შ.

ასეთია ამ „გარდამავალი პერიოდის“ როზენბერგისეული „ჰუმანური მოპყრობის“ საბოლოო აზრი...

სიმპათიური მკვლელი...

ოლენდორფს კარგად ესმოდა ეს. იგი თბილისში შემოსვლამდე კავკასიის მისადგომებზე ვარჯიშობდა და ისეთ „წარმატებებს“ მიაღწია, რომ ნიურნბერგის პროცესზე თვით მთავარი სამხედრო დამნაშავეებიც კი შეაძრწუნა...

მე ახლაც კარგად მახსოვს, დარბაზში რომ ბრწყინვალე გარეგნობის, ელეგანტური ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, მაღალი, ტანადი, ფაქიზად ჩაცმული, თავაზიანი მანერებისა და

სასიამოვნო გამომეტყველების გენერალი. ყველანი გაოცებით მისჩერებოდნენ მას. განსასჯელთა სკამზე თვით გერინგმაც გადაულაპარაკა მის უკან მეორე რიგში მჯდომ დენიცს:

— საოცარია, ასეთი ინტელიგენტური სახის კაცი ამგვარ საქმეებს როგორ აკეთებდა?!..

იქნებ ამიტომაც იყო, რომ ნიურნბერგ'ში ოლენდორფს „ინტელექტუალური მკვლელი" უწოდეს. მერე „მკვლელობის თეორეტიკოსის" ტიტულიც უბოძეს, რადგან „ყოველივე ამის აუცილებლობას" იგი „მეცნიერულად ასაბუთებდა", არც არაფერს მალავდა, პირიქით, მგონი ამაყობდა კიდეც თავისი საქმეებით, რაც „ევროპის ხალხთა დაუძლურებისა და გერმანელი ხალხის გაძლიერების" იდეას ემსახურებოდა.

პროცესზე ამ ოლენდორფსა და ბრალმდებელ ეიმენს შორის არცთუ ისე „დელიკატური" დიალოგი გაიმართა:

ე ი მ ე ნ ი: მითხარით, იცით თუ არა სად რამდენი ადამიანი იქნა მოსპობილი და ლიკვიდაციაქმნილი ოპერატიულ ჯგუფ D-ს მიერ თქვენი ხელმძღვანელობის პერიოდში?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: 1941 წლის ივლისიდან 1942 წლის ივნისამდე დაახლოებით ოთხმოცდაათი ათასი კაცი.

ე ი მ ე ნ ი: ამაში შედიან მამაკაცები, ქალები და ბავშვები?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: დიახ!

ე ი მ ე ნ ი: სხვა ჯგუფებში რამდენი იქნა მოკლული?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: რამდენადაც ვიცი, უფრო მეტი!

ე ი მ ე ნ ი: რას ეყრდნობით ამ ციფრის მოყვანის დროს?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: მე ვეყრდნობი მოხსენებით ბარათებს, რასაც ოპერატიული რაზმებიდან ვიღებდით ჩვენს ჯგუფში.

ე ი მ ე ნ ი: მითხარით, ამ მოხსენებით ბარათებს თქვენ იღებდით?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: დიახ!

ე ი მ ე ნ ი: თქვენ თვითონ, პირადად გინახავთ და წაგიკითხავთ ის ბარათები?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: დიახ!

ე ი მ ე ნ ი: პირადად ხელმძღვანელობდით და უყურებდით ამდენი ადამიანის სიკვდილით დასჯას?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: მე ორჯერ დავესწარი ამას. როგორც ინსპექტორი.

ე ი მ ე ნ ი: მოახსენეთ ტრიბუნალს, როგორ ტარდებოდა ეს დახვრეტები!

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: როგორც წესი, დასახვრეტ ადგილად ვიყენებდით ტანკსაწინააღმდეგო თხრილებს ან უბრალო ორმოებს.

ე ი მ ე ნ ი: რა მდგომარეობაში ხვრეტდით მსხვერპლს?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: დაჩოქებულს ან ფეხზე მდგარს.

ე ი მ ე ნ ი: დახვრეტის შემდეგ რას უშვრებოდით მათ?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: ჩავფლავდით თხრილში ან ორმოში.

ე ი მ ე ნ ი: ყველა მსხვერპლს — კაცებს, ქალებსა და ბავშვებს ერთნაირად ჰკლავდით?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: 1942 წლის გაზაფხულამდე — ერთნაირად. მერე მივიღეთ ჰიმლერის ბრძანება, რომ ამიერიდან ქალები და ბავშვები მხოლოდ „გაზვაგენებით“ დაგვეხოცა...

...პროცესზე ოლენდორფზე ამბობდნენ, „ახალგაზრდა სიმპათიური პროფესორის შთაბეჭდილებას ტოვებსო“. ასეც იყო, და არა მარტო გარეგნობის მიხედვით, ლაპარაკითაც. ჩვენების მიცემის დროს ის ხელებს მსუბუქად შლიდა, ჭკვიანურ გამომეტყველებას იღებდა და რაღაც მეცნიერულ ტერმინებსაც ხმარობდა, მაშინაც, როცა საქმე უბრალოდ ჯალათის საქმიანობას ეხებოდა. თვითონ კი თავი ჰუმანურ ადამიანად მიაჩნდა! რაში გამოიხატება ეს თქვენი ჰუმანიზმი. რომ ჰკითხეს, ოდნავ გაიღიმა და თქვა:

— მე ყოველთვის ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა შემემცირებინა დრო ორ მომენტს შორის: პ ი რ ვ ე ლ ი—პატიმარმა გაიგო, რომ უნდა დახვრიტონ; მ ე ო რ ე—თვით დახვრეტის ფაქტი. ასე იმიტომ ვიქცეოდი, რომ ეს მძიმე ფსიქოლოგიური აქტია როგორც დასახვრეტის, ისე დამხვრეტისათვის.

ასეთია მათი „ჰუმანიზმის“ არსი! ამიტომაც არ მიკვირს, კავკასიელ ხალხებთან მოპყრობის საკითხში ერთ სიბრტყეზე რომ ჰქონდათ მოთავსებული ცნებები: „უსასტიკესი მოპყრო-

ბა“ და „ჰუმანური დამოკიდებულება“. ჩვენ უკვე ვიცით როგორც ერთის, ისე მეორის ფასი! ისიც, ჰიტლერი რომ ამბობდა: როცა სიტყვა „ჰუმანიზმი“ მესმის, მზად ვარ რევოლვერზე ვიტაცო ხელიო...

...პროცესზე გერინგს, კაიტელსა და სხვა სამხედრო პირებს არ მოეწონათ ოლენდორფის საკმაოდ გულღია ჩვენებები. განსაკუთრებით გერინგს, რომელმაც კავკასიის საკითხი იმიტომ დააყენა პროცესზე, რომ დაცვის მასალად გამოსდგომოდა. საქმე კი სხვარიგად შეტრიალდა: იგივე მასალები მძიმე ბრალდებად დააწვა როგორც მას, ისე მის კოლეგებს. მართალია, სამხედროებს უნდოდათ „ამ შავი საქმეებისაგან“ განზე გამდგარიყვნენ, მაგრამ ამის საშუალება მათ არ მისცა ოლენდორფმა, ისევე როგორც ადრე მისმა უფროსმა ბახ-ზელევსკიმ. ოლენდორფმა განაცხადა: დამსჯელი რაზმი „D“ დამოუკიდებლად კი არ არსებობდა, არამედ მოქმედ არმიასთანო. პროცესზედაც ასე ილაპარაკა:

ე ი მ ე ნ ი: არმიათა რომელ ჯგუფთან არსებობდა რაზმი „D“?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: რაზმი „D“ არ იყო არმიათა ჯგუფთან, იგი მიმაგრებული იყო უშუალოდ მე-11 არმიასთან.

ე ი მ ე ნ ი: ვინ იყო მე-11 არმიის სარდალი?

ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი: ჯერ ფონ შობერტი, შემდეგ ფონ მანშტაინი.

გერინგი, კაიტელი და იოდლი ისევ აწრიალდნენ განსასჯელთა სკამზე. ისინი შეძრწუნებული უსმენდნენ, ოლენდორფი რომ ბახ-ზელევსკივით აცხადებდა: ყველაფერი ეს სარდლების განკარგულებებითა და ხელმძღვანელობით ხდებოდა, ჩვენ კი მათ ვემორჩილებოდითო...

შემდეგ „საქართველოს გამათავისუფლებელ“ მანშტაინზედაც ილაპარაკა, ბრძანებებს დახვრეტების შესახებ მისგან ვიღებდითო. თვითონ მანშტაინის „ჰუმანიზმი“ კი თურმე იმით გამოიხატებოდა, რომ უბრძანებია, ეს დახვრეტები ჩემი შტაბიდან ორასი კილომეტრის დაშორებით აწარმოეთო.

— ო, როგორ გაგვყიდა ამ ღორმა ოლენდორფმა!—თქვა

ამაზე ციხის სასადილოში გერინგმა. იოდლმა კვერი დაუკრა და დაუმატა:

— გენერლები, რომლებიც მოწმეებად გამოდიან ჩვენ წინააღმდეგ თავიანთი დაწყევლილი თავის გადასარჩენად, უარესი დამნაშავეები არიან, ჩამოხრჩობის ღირსნი. მათ უნდათ ჩვენ გაგვყიდონ, თითქოს თვითონ უბრალო კლერკები ყოფილიყვნენ.

ამან რატომღაც შახტი აღაშფოთა:

— არასოდეს არ ვიფიქრებდი, რომ ოლენდორფი ამგვარ რამეებს გააკეთებდა! გინახავთ!? ასეთი სასიამოვნო გარეგნობის, ასეთი მშვენიერი ხასიათის პიროვნება და ოთხმოცდაათი ათასი კაცის მკვლელი! როგორ შეიძლება ასეთმა სათნო ადამიანმა ეს ჩაიდინოს! მე ხშირად მიფიქრია: თვითონ რას ვიზამდი, ასეთ რამეს თუ მიბრძანებდნენ-მეთქი. მე მათ ვეტყოდი... ვეტყოდი, რომ...

აქამდე შახტი პალტომოხურული იჯდა. აქ კი წამოხტა და ხელები გაშალა, თითქოს რაღაც სცენა უნდა წარმოადგინოსო, და რაც შეეძლო იყვირა:

— ამას როგორ გავაკეთებდი... ვთქვათ, დამაპატიმრებდნენ... ფრონტზე გამგზავნიდნენ... დამხვრეტდნენ, მაგრამ მაინც არ გავაკეთებდი!

ფუნკმა ამ შემთხვევაშიც განზე გადგომა ირჩია: ჩემთან რომ მუშაობდა, მაშინ წესიერი კაცი იყოო. ფრანკმა კი წინასწარ გამოუყვანა მას წირვა: ოლენდორფმა თავის სასიკვდილო განაჩენს მოაწერა ხელიო...

...ასეთი განაჩენი მართლაც გამოუტანეს მას ამერიკელებმა ნიურნბერგში, მაგრამ სისრულეში მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ მოიყვანეს საზოგადოებრივი აზრის დაჟინებული მოთხოვნით... ისე კი, ოლენდორფის მიერ ჩადენილ საშინელ ბოროტმოქმედებათა მიუხედავად, ვიღაც მფარველებმა მაინც „კარგ კაცად“ მიიჩნიეს იგი: მართალია, ბევრი დანაშაული აქვს, მიუხედავად ამისა, მაინც „კარგი ბიჭიაო“...

პოეტმა კლემან მარომ ასეთი სარეკომენდაციო წერილი

მისწერა მაქსიმალიან პირველს თავისი მსახურის შესახებ, რომელმაც გაქურდა:

— იგი ღორმუცელაა, ლოთი, უსინდისო, მატყუარა, გაიძვერა, ჭორიკანა, რომლის ადგილი სახრჩობელაზეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც კარგი ბიჭია“...

ამგვარ „ლოგიკას“ დღემდე არ დაუკარგავს ძალა დასავლეთ გერმანიაში...

კავკასიური გატალიონი...

გარდა ოლენდორფის დამსჯელი რაზმებისა, ჰიტლერელები კავკასიაში სხვა „სპეციალური ძალების“ გამოყენებასაც აპირებდნენ, უწინარეს ყოვლისა, ე. წ. „კავკასიური ლეგიონებისას“. ამის შესახებ შიკედანცის წერილშიცაა ლაპარაკი. იგი მოითხოვს ისეთი ლეგიონების შექმნას, რომელთა შემდგომი ბედი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ „როგორ მოიქცევიან ისინი“. შიკედანცის აზრით, ეროვნული ლეგიონები უნდა შექმნილიყვნენ იმ რაოდენობით, რომ მათ არა ჰქონოდათ არავითარი ძალა გერმანული ოკუპაციის წინააღმდეგ. ეშინოდა, ლეგიონერებს იარაღი თვითონ გერმანელების წინააღმდეგ არ მიემართათ. შიკედანცის გეგმით, უნდა შექმნილიყო ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და მთიანეთის ლეგიონები, დაახლოებით ათასი კაცის შემადგენლობით თვითეული. გარდა ამისა, ნავარაუდევი იყო ყუბანის, თერგისა და ყალმუხეთის ხაჭილების ჩამოყალიბება 500—500 კაცის შემადგენლობით. იგი წერს, რომ „ეს დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე“.

შიკედანცის აზრით, ამ საქმეს ორი მხარე ჰქონდა: წმინდა პროპაგანდისტული და პრაქტიკული. პროპაგანდის მიზნით ლეგიონებისათვის უნდა მიეცათ საკუთარი დროშები, ემბლემები, ფორმა, ხოლო პრაქტიკულად გამოეყენებინათ როგორც დამსჯელი რაზმები. ესეც გერმანული პუნქტუალობით იყო გაანგარიშებული. ყველასათვის ცნობილი გახდა ჰიტლერის მითითება:

— ჩვენი პოლიტიკა რუსეთის ვრცელ ტერიტორიებზე დასახლებული ხალხების მიმართ უნდა მდგომარეობდეს მათ შორის ყოველგვარი უთანხმოებისა და განხეთქილების გაღვივებაში...

შიკედანციც ამასვე წერს:

— ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმ ანგარიშით, რომ გავამწვავოთ წინააღმდეგობანი კავკასიელ ხალხებს შორის მათზე ბატონობის მიზნით. უნდა გავაღვივოთ სიძულვილი ერთმანეთისადმი და ამით მივაღწიოთ გერმანული ოკუპაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

ამისთვის შიკედანცს უნდოდა კავკასიური ლეგიონები გაეგზავნა დამსჯელ რაზმებად არა თავიანთ სამშობლოში, არამედ სხვაგან. მაგალითად, ქართველები — სომხეთში, სომხები — საქართველოში, აზერბაიჯანელები — მთიანეთში, მთიელები — აზერბაიჯანში, ყალმუხები — თერგზე, თერგელები — ყალმუხეთში და ა. შ. ეს, მისი აზრით, გააღვივებდა შუღლს კავკასიელ ხალხებს შორის.

ოფიცრის თანამდებობაზე ამ ლეგიონებში აუცილებლად გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ. მათ კიდევაც დაიწყეს „ეროვნული ლეგიონების“ დაკომპლექტება სამხედრო ტყვეებისაგან.

საბჭოთა მთავრობამ მაშინ პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ „ველური მოპყრობით დაუძლურებულ და ქანცგაწყვეტილ ტყვეებს აიძულებენ ჩაეწერონ ასეთ ლეგიონებშიო“. ეს ბრალდება რუდენკომაც წაიკითხა ნიურნბერგის პროცესზე... მერე გერმანელი ფაშისტების ბოროტმოქმედებათა გამომკვლევი საბჭოთა საგანგებო კომისიის დასკვნაც გამოაქვეყნა, თუ როგორ ხდებოდა ამგვარი ბატალიონების დაკომპლექტება:

— ომის წარმოების საერთაშორისო კანონების დანაშაულებრივად დარღვევის გზით, — წერია ამ დოკუმენტში, — ობერლენდერი და მისი უახლოესი თანაშემწენი დაძრწოდნენ სამხედრო ტყვეების ბანაკებში და სარგებლობდნენ იმით, რომ შიმშილითა და წამებით არაქათგამოცლილ ტყვეებს დაკარგული ჰქონდათ წინააღმდეგობის უნარი, ფიზიკური

განადგურების მუქარით შეჰყავდათ ბატალიონში ისინი და აიძულებდნენ მიეღოთ ფიურერისადმი ერთგულების ფიცი.

კომისია პროტესტს აცხადებდა ამგვარი დანაშაულებრივი მოქმედების გამო, მაგრამ მაშინ ამ პროტესტს გერმანელებმა ყურადღება არ მიაქციეს და „ნაციონალი“ ტყვეებისაგან შემდგარი ბატალიონები მაინც შეაკოწიწეს...

ნაწილი ამ ბატალიონებისა გერმანიის სამხედრო დაზვერვის (Abwehr) სპეციალური დივერსიულ-დამსჯელი დივიზიის — „ბრანდენბურგის“ შემადგენლობაში შედიოდა და მისი უფროსის, ადმირალ კანარისის, განკარგულებაში იყო. იგი ხშირად „წინ უსწრებდა“ არმიის ნაწილებს და მოქმედებდა იქ, სადაც ჯერ კიდევ არ იყო შესული რეგულარული ჯარი.

ჰიტლერი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ამ დივიზიისადმი. მან უფლება მისცა კანარისს გაეფართოებინა თავისი დივიზიის მოქმედების ფარგლები და მასშტაბები. კანარისმაც არ დააყოვნა და, როგორც ვიცით, გერმანელების კავკასიის მოსადგომებთან გამოსვლამდე შექმნა ასეთი „გამათავისუფლებელი“ ორგანიზაციები: „თამარ I“ და „თამარ II“ ჟანდარმერიის ფელდფებელის (!) მეთაურობით.

ჟანდარმერიის ფელდფებელის მიერ საქართველოს „გათავისუფლების“ პაროდიულობას თავი რომ დავანებოთ, მე ისიც მიკვირდა, ამ ორგანიზაციებს თამარ მეფის სახელი რომ მიაკუთვნეს. ეს სახელი არცთუ ისე უყვარდათ ჰიტლერს, ბორმანსა და სხვებს. იყო ასეთი შემთხვევაც:

ერთხელ, შინაური საუბრის დროს, ჰიტლერმა ბორმანს უთხრა, გერმანიაში სლავურ გავლენას საშიში სახე აქვს მიღებულიო, და მაგალითისათვის დაიმოწმა, ბევრი მშობელი თავიანთ ბავშვებს რუსულ სახელებს არქმევსო. ასეთ სახელთა შორის ჰიტლერმა „თამარიც“ ახსენა. ბორმანმა მეორე დღესვე გამოსცა ბრძანება, რითაც კრძალავდა გერმანელებისათვის „რუსული“ სახელების დარქმევას. ბრძანებას თან ახლდა სათანადო სია, სადაც აკრძალულ სახელთა შორის თამარიცაა მოხსენიებული, როგორც „ქართველი მეფის რუსული სახელი (!)“...

...გერმანიის ჯარების კავკასიასთან მოახლოებისას კანარის დივიზიის ფარგლებში „თამარ I-ისა და „თამარ II-ის“ გარდა შეიქმნა სამხედრო ნაწილები „ბულბული“ და „მთიელი“. ეს ჟენევის კონვენციის უხეში დარღვევა იყო, რის გამოც ამ საქმეში დამნაშავეები ომის შემდეგ განსასჯელთა სკამზე მოხვდნენ... მართალია, ამ საქმის მთავარი ორგანიზატორი ესესელი თეოდორ ობერლენდერი გადაურჩა სასჯელს და ბონის მთავრობაში მინისტრის პოსტსაც მიაღწია, მაგრამ იგი დაუსწრებლად გაასამართლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ და სათანადო განაჩენიც გამოუტანა...

ობერლენდერის ვარაუდით, ბატალიონ „მთიელს“ უნდა „გაეხსნა კავკასიის კარები“ და გაეადვილებინა გერმანიის ჯარების წინსვლა. 1942 წელს „მთიელი“ მიტელვალდთან იდგა ლუტენზელში, სადაც საინსპექციოდ ჩავიდნენ ადმირალი კანარისი, „მოხალისეთა არმიის“ მთავარსარდალი გენერალი ფონ კესტრინგი და „საქართველოს გუბერნატორი“ არნო შიკედანცი. ობერლენდერმა წარუდგინა მათ ბატალიონის პირადი შემადგენლობა და მოახსენა, რომ მზად არიან საბრძოლო დავალების შესასრულებლად...

ბატალიონში კი შეთქმულება მზადდებოდა. პირობაც დადეს, რომ არ ებრძოლათ თავისიანების წინააღმდეგ, თუკი მათ ფრონტზე გადაგზავნიდნენ. შეთქმულთა ამ ჯგუფს კაპიტანი წიკლაური მეთაურობდა. ობერლენდერმა მიაგნო მათ კვალს და ყველანი დააპატიმრა. ისინი დახვრიტეს ბერლინში, მაგრამ ამან კიდევ უფრო გააძლიერა საპროტესტო მოძრაობა ბატალიონში. რეპრესიებიც გაძლიერდა. „ბრძოლისათვის გამოუსადეგრებს“ ადგილზევე ხვრეტდნენ. ობერლენდერმა ბრძანა დაეხვრიტათ ბატალიონის სამი წევრი, ვითომ ქართველი ებრაელები. ამაზე სამხედრო ტყვეებმა პროტესტი განაცხადეს. განრისხებულმა ობერლენდერმა იყვირა: „საქართველოში ებრაელები ისევე უნდა იქნენ მოსპობილი, როგორც გერმანიაში“. იგი სასტიკად უსწორდებოდა „დაბალი რასის“ წარმომადგენლებს... მასობრივ დახვრეტებსაც „ორიგინალური წესით“ აწყობდა. ჯერ ტყვეებს აიძულებდა ორმოში ჩაწოლი-

ლიყვნენ, მერე ტყვიამფრქვევებით ჯვარედინ ცეცხლს გახსნიდ და ამ პროცედურას... ნათლობას უწოდებდა: ვითომ ტყვიების ჯვარედინი ჯერით ვაღებინებ ებრაელებს ქრისტიანულ რწმენასო...

მიუხედავად გერმანელი ოფიცრების ასეთი ველური სისასტიკისა, ქართულ ბატალიონში მაინც მომწიფდა ახალი შეთქმულება და გარკვეული შედეგიც გამოიღო.

მე სრულიად შემთხვევით გავხდი ერთი ოპერაციის მონაწილე, რამაც ამ ბატალიონთან დამაკავშირა...

მტერი და მოყვარე...

იმ დროს საბჭოთა არმიის შავი ზღვის ჯგუფში ვმსახურობდი, ტუაფსესა და ნოვოროსიისკის რაიონში. იქ მაშინ მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი. ნოვოროსიისკის ნაწილი გერმანელებს ჰქონდათ აღებული. ტუაფსეს მიმართულებით უკვე ინდიუკში იყო ბრძოლა, ხოლო უფრო აქეთ — ქლუხორთან. თუ მტერი ტუაფსესთან გამოვიდოდა და ქლუხორის უღელტეხილს გადმოლახავდა, ჩვენი არმიების ჯგუფი სამად იქნებოდა გაწყვეტილი და, როგორც მაშინ ამბობდნენ, „ზღვაში გადაყრილი“...

...რამდენიმე დღის წინ ერთ მეტად მძიმე ოპერაციაში მონაწილეობის მიღებისა და ორდენით დაჯილდოების გამო ხუთდღიანი შვებულება მომცეს, რომ თბილისში ჩამოვსულიყავი. იმ ღამეს რა დამაძინებდა. ვემზადებოდი დილით ადრე წამოსასვლელად, მაგრამ ღამის ორ საათზე სამხედრო საბჭოს წევრმა გამომიძახა. შევედი თუ არა მასთან, მკითხა, რას ვაკეთებდი ამჟამად. მე მოვახსენე შვებულების შესახებ. მან უკმეხად შემომხედა, შვებულება დროებით უნდა გადასდოთო მითხრა, ტოპოგრაფიულ რუკასთან მიმიყვანა, ფანქრით ერთი წერტილი მოხაზა და ამიხსნა:

— დაზვერვამ მოიტანა ცნობა, რომ აქ გერმანულ ნაწილებში როგორღაც თქვენი თანამემამულეებიც გამოჩნდნენ.

დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ იქ რამდენიმე ოფიცერთან ერთად და გამოარკვიეთ, რა ნაწილია ეს. იცოდეთ, რომ თუნდაც ერთ „ენას“ ჩვენთვის ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს...

...სხვა რა გზა მქონდა. დილით ბინდზე მე და კაპიტანი მედოვი შევსხედით ცხენებზე და წავედით დანიშნული ადგილისაკენ.

მალე კავშირიც დავამყარეთ თანამემამულეებთან. სწორედ იმ კავკასიური ლეგიონის ერთი ბატალიონი აღმოჩნდა, ასე ვაი-ვაგლახით რომ ჰყავდათ ჰიტლერელებს დაკომპლექტებული. ისინი შეთქმულნი იყვნენ: როგორც კი ფრონტს მოუახლოვდებოდნენ, გერმანელი მეთაურები დაეხოცათ და ჩვენს მხარეს გადმოსულიყვნენ. ამით დავალების შესრულებაც გაადვილებული გვქონდა. ის კი არა, დიდი თავის შეწუხებაც არ დაგვჭირვებია, ღამით ისე გადმოვიდა ჩვენს მხარეს სამოცდაათამდე ქართველი. დანარჩენებმა ეს ვერ მოახერხეს. რადგან ვიღაცას გაეცა. გერმანელებმა ისინი განაიარაღეს და იქვე დახვრიტეს.

შემდეგ, როცა ჩვენი ჯარის ნაწილებმა წინ წაიწიეს და ის სტანიცა გაათავისუფლეს, მე ერთხანს ქუდმოხდილი ვიდექი მათ საერთო საფლავთან...

...მეორე დღეს, ადრე დილით, ლეიტენანტს ვთხოვე გამოეყვანა და გაემწკრივებინა ჩვენს მხარეს გადმოსული თანამემამულენი. ნახევარი საათის შემდეგ მომახსენეს, რომ განკარგულება შესრულებული იყო, ოღონდ ერთი ჯარისკაცი ვერასგზით ვერ გამოეყვანათ მიწურიდან. მერე მე თვითონ მივედი მასთან და... ჩემი უნივერსიტეტელი სტუდენტი აღმოჩნდა. თურმე შორიდან დამინახა და მოერიდა ასეთ პირობებში შემხვედროდა. სხვები კი უკვე მწკრივში იდგნენ... მე ჩამოვუარე მათ, გავეცანი კიდეც ზოგიერთ მათგანს, მერე დავსხედით და დაიწყეს მოყოლა, თუ რა საშინელება გადახდათ ტყვეობაში, როგორ ჩაწერეს ამ ბატალიონში, სადაც ფარული ორგანიზაცია შეექმნათ და შესაფერის მომენტს ელოდნენ ჩვენს მხარეს გადმოსასვლელად.

არ ვიცი, შეიძლება მათ შორის ისეთებიც იყვნენ, ვინც სულმოკლეობა გამოიჩინა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სწორედ მაშინ, როცა გერმანელები უახლოვდებოდნენ საქართველოს და ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ, მათ არ ისურვეს ეს და თავიანთი მოქმედებით დაადასტურეს, რომ სულაც არ ჰქონდათ სული „ეშმაკისათვის მიყიდული“...

...ახლა მე მათ ნაამბობს ვადარებ იმ დოკუმენტებს, რასაც ნიურნბერგში გავეცანი, და ვხედავ, რომ სრული დამთხვევაა. მახსოვს, მაშინ ერთ-ერთმა მათგანმა რომ მიამბო, თუ როგორ მოიყვანეს მათთან ბატალიონში ვიღაც ახმახი და გამოუცხადეს, ეს ბაგრატიონ-მუხრანელია, თქვენი მომავალი მეფეო. მერე გერმანელები სულ მასხრობდნენ ამის შესახებო, თქვა მან. შიკედანციც წერს თავის მემორანდუმში ამ ბაგრატიონის შესახებ. მან არ მოიწონა ასეთი ღონისძიება, რაც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან მომდინარეობდა. როგორც ჩანს, შიკედანცმა კარგად იცოდა ჰიტლერის აზრი ამის თაობაზე. არც ის იზიარებდა რიბენტროპის პირვანდელ პოზიციას ემიგრაციის გამოყენების შესახებ, ანკი როგორ შეეძლო ეს, როცა ჰიტლერს სრულიად გარკვეული მითითება ჰქონდა ამის თაობაზე გაცემული. იმავე 1942 წლის 25 აპრილს, როცა მან როზენბერგი მიიწვია ბერჰტესგადენში და კავკასიის საკითხზე თავისი შეხედულება ჩამოაყალიბა, თქვა: „სრული შეცდომაა ის, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით რაღაც დაპირებებს იძლევა, რაც შემდეგ შესრულებული არ იქნება“...

ჰიტლერმა ეს როზენბერგს უთხრა. როზენბერგი კი, ცხადია, ამას თავის მოადგილესა და ამ პოლიტიკის უშუალო შემსრულებელს, თანაც კავკასიის მომავალ საიმპერიო კომისარს შიკედანცს ეტყოდა. ისიც ამიტომ წერს ორიოდე თვის შემდეგ, „საგარეო საქმეთა სამინისტრო სწორად არ იქცევაო“. მის წერილში ნათქვამია: „სამინისტრომ შეარჩია ვიღაც საეჭვო პირი ბაგრატიონ-მუხრანელი, რომელსაც იტალიელი ცოლი ჰყავს“. მისი აზრით, საჭირო არ არის გადაჭარბე-

ბული დაპირებების მიცემა დამოუკიდებლობაზე. უნდა აღვნიშნოთო, რომ „კავკასიის გათავისუფლებაში გერმანელებმა სისხლი დაღვარეს“. შიკედანცი სხვა ადგილასაც აცხადებს: „რაკი გერმანიამ სისხლი დაღვარა, უნდა ტერიტორიებიც მიიღოს“. გარდა ამისა, ყველასათვის ცნობილია ჰიმლერის აზრი ემიგრანტებთან ურთიერთობის შესახებ. იგი ამბობს:

—ხელი არ უნდა შევიკრათ მათთან და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებთან კავშირით. ეს გაგვირთულებს გერმანიზატორული პოლიტიკის გატარებას.

რიბენტროპს, როზენბერგსა და ჰიმლერს შორის აზრთა ბმგვარი სხვადასხვაობა ჰიტლერმა იმით მოსპო, რომ იმპერიის პირველ ჯალათს მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა. არავის არ ჰქონდა უფლება „მის საქმეებში“ ჩარეულიყო. არც არავინ იკლავდა ამისთვის თავს. პირველი რიბენტროპი გადგა განზე. როზენბერგმაც დაივიწყა თავისი „ჰუმანურობის მღაღადებელი“ მემორანდუმი, შიკედანცს კი მაშინ ბევრს არაფერს ჰკითხავდნენ. ასე რომ ყველა ერთნაირად ჩაება იმ სისხლიან ორგიებში, რაც თანდათან მოიწევდა კავკასიისაკენ. გერმანელებმა აქ იმაზე ნაკლებ სასტიკი ბოროტება როდი ჩაიდინეს ვიდრე უკრაინასა და ბალტიისპირეთში. მოდიოდნენ და ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ყველაფერს, წვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ხოცავდნენ დიდებსა და პატარებს, დარჩენილებს კი გერმანიაში მიერეკებოდნენ საკატორღო სამუშაოებზე.

საქართველო გადაურჩა ამ განსაცდელს, მსხვერპლი კი დიდი იყო გაღებული. მრავალი ქართველი მებრძოლი დაიღუპა კავკასიის მისადგომებთან, სადაც მამაცურად იბრძოდნენ ისინი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენლებთან ერთად.

გმირულმა თავგანწირვამ შედეგიც გამოიღო. ამიერკავკასიის ფრონტი კონტრიერიშზე გადავიდა, ასევე — ჩვენი შავზღვის ჯგუფიც. 1943 წლის იანვარში დაიწყო საბჭოთა არმიის

დიდი შეტევა კავკასიის მისადგომებთან და სულ რაღაც ერთი თვის მანძილზე ექვსასი კილომეტრით წავიწიეთ წინ...

კავკასიონი კი ისევ ისე იდგა:

...ცაში აზიდულ,
იგივ ზვიად და ივიკ დიდებულ!..

პოლიდორის ჩივილი...

ამის შემდეგ უკან დახევის სიმწარე არ გამოგვიცდია. არც გერმანელებს ჰქონიათ ჩვენთან „მფრინავი ფურცლებით" გაოხუნჯების თავი. ქართველმა ხალხმაც პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. საქართველოდან ნახევარ მილიონზე მეტი ვაჟკაცი წავიდა სამამულო ომში, აქედან 13.600 მოხალისე. ეს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის 14 პროცენტს აღემატება, რაც ყველა სხვა რესპუბლიკასთან შედარებით მეტი თუ არა, ნაკლები როდია. ცნობილია შემთხვევები, როცა ერთი ოჯახიდან ათზე მეტი მებრძოლი მიდიოდა ფრონტზე. მარტო გრიგოლ აბესაძის ოჯახიდან თოთხმეტი ძმა წავიდა, გიორგი ლოლაძის ოჯახიდან კი—შვიდი. გრიგოლ მერკვილაძე, მისი მეუღლე და სამი ვაჟი ერთად ჩადგნენ მებრძოლთა რიგებში, შინ კი წარწერა დატოვეს: „ოჯახის ყველა წევრი ფრონტზეა. ბინა შეგიძლიათ ევაკუირებულთათვის გამოიყენოთ"..

ყველგან, რომელ ფრონტზეც არ უნდა ვყოფილიყავით, გვესმოდა ქართველი ვაჟკაცების გმირობის ამბები. მარუხის, ქლუხორისა და სანჭაროს უღელტეხილიდან ბერლინამდე და იმის იქითაც—ტექსელში, საფრანგეთსა თუ იტალიაში იბრძოდნენ ისინი თავიანთი სამშობლოს დასაცავად. მარტო ჩვენს ფრონტზე, ყირიმსა და უკრაინაში, 62 ქართველს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. არ დარჩენილა სამამულო ომის არც ერთი უბანი, რომ ქართველებსაც არ ესახელებინოთ თავი. მსხვერპლიც დიდი იქნა გაღებული. სამამულო ომში დაღუპულთა ციფრი ჩვენი მოსახლეობის შვიდ პროცენტს აღემატება, რაც განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს.

ასეთი დანაკლისის სიმძიმე შეიძლება „მცირე მაგალითებში" უკეთ გამოჩნდეს:

ომის დაწყებისთანვე სოფ. მერჯევიდან 250 ახალგაზრდა წავიდა ფრონტზე, ამათგან დაიღუპა 157; სოფ. ნაესაკოვოდან წასული 200 ახალგაზრდიდან 115 არ დაბრუნებულა; სულ პატარა სოფელ ერკეთიდან 80 წავიდა, დაიღუპა 50; არტენიდან 50 კაცი მონაწილეობდა ომში, შინ დაბრუნდა 9. ქალაქები და სოფლები ძაძებში იყო გახვეული. ბევრს ჯერაც არ გაუხდია შავები. მწუხარების ის ჩრდილი დღესაც აჭრობს ღიმილს მათ სახეზე, მაგრამ რას ვიზამთ! ვის შეუძლია ნუგეში სცეს ქართველ დედებს, რომელთაც ხუთი ვაჟიდან ხუთივე ომში დაკარგეს ან თავიანთ ერთას გამოეთხოვნენ.

მათი ბედი მართლაც სამწუხაროა და სავალალო!

მეც ასეთი მწუხარების შესახებ მინდა გიამბოთ, არა საერთოდ, არამედ იმდროინდელი ცხოვრების ერთი მაგალითით. მილიონების ტრაგედიის მასშტაბები კი ამის მიხედვით თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ...

...მართალია, საქართველოს ტერიტორიაზე ბრძოლები არ ყოფილა, მაგრამ „სიკვდილის ქარიშხალმა“ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებსაც გადაუარა. ომის ყოვლისშემმუსრავმა ძალამ ბევრ ფესვმაგარ მუხას შეალეწა მაშინ ტოტები, თვით საქართველოც ბერმუხასავით იდგა და უძლებდა განსაცდელს, გამწარებული ხალხი კი, „მუმლი მუხასაო“, ამბობდა.

როცა მტერი დარიალს მოადგა, იალბუზზე აძვრა და ქლუხორის უღელტეხილის გადმოლახვას ცდილობდა, ისევ ის „მუმლი მუხასა“ ისმოდა ჩვენში. ეს ამხნევებდა და მოუწოდებდა ქართველ ვაჟკაცებს. მათი გმირობა დაუვიწყარია ყველასათვის.

ვინ იცის, რამდენი რამ დაწერილა და თქმულა კიდეც ქართველი გმირების ვაჟკაცობისა და თავდადების შესახებ იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. ჩემი ნაამბობით მე ამას ბევრს ვერაფერს შევმატებ. თუ საქართველო მაშინ მართლაც ბერმუხას ჰგავდა, მისი ღრმად გამჯდარი ფესვები, დაკოჟრილი ტანი და ფართოდ გაშლილი ტოტები ჩვენი ხალხის გმირულ სულს განასახიერებდა. მართალია, ხუთი წლის განმავლობაში „სიკვდილის ქარიშხალმა“ შავად შემოსა მისი ტოტები, მაგ-

რამ ბერმუხა მაინც იდგა და ცოცხალი ადამიანივით განიცდიდა ქვეყნის სატკივარს...

...ეს მე ისევ დანტეს „ჯოჯოხეთში“ აღწერილ სურათს მაგონებს: იმ უდაბურსა და უსიერ ტევრს, სადაც ხეებს მწვანის ნაცვლად შავი ფოთლები გამოსხმია... მათ „კუთხიანსა და დაგრეხილ ტოტებს“ კი შემოსევიან მითური ჰარპები, რომელთაც თავ-კისერი ადამიანისა აქვთ, ხოლო ფეხებზე ბასრი ჭანგები ასხიათ. ისინი კორტნიან ახლად ამოყრილ ყლორტებს და მწუხარებით ავსებენ გარემოს, ტყიდან მოისმის ურვა და გოდება ხეებად ქცეული სულებისა, რომელთაც ბოროტი ჰარპები შემოსევიათ...

მერე ისაა ნათქვამი, რომ დანტემ უნებლიეთ მოდრიკა და მოტეხა ხის ერთი ტოტი, ხე სიმწრისაგან დაიგრიხა და იკივლა:

— რისთვის მომტეხე, ნუთუ მცირეოდენი სასოებაც არ გაგაჩნია?!

შეწუხდა დანტე. არ იცოდა, თუ ცოცხალ არსებას შეახო ხელი. არც ვირგილიუსის პოემის ის ადგილი ახსოვდა, სადაც აღწერილია, ტროადის დანგრევის შემდეგ ენეამ თრაკიაში ხეს რომ ტოტი მოსტეხა საკურთხევლის შესამკობად, ის ხე კი პოლიდორის სული აღმოჩნდა.

ასევე მტკივნეული იყო ყოველი ტოტის მოტეხა თუ ფოთლის მოგლეჯა იმ ბერმუხისათვის, რომელიც, პოლიდორის მსგავსად, საქართველოს ცოცხალ სულს განასახიერებდა.

ჰარპები კი ისევ თავს დასტრიალებდნენ მას. ისინი უმოწყალოდ აგლეჯდნენ ჯერ კიდევ ნორჩ ყლორტებსა და მწვანე ფოთლებს. შემდეგ, როგორც დანტეს პოემაშია ნათქვამი, შავი ძაღლების ლეგიონებიც „შემოესივნენ მას“ და „გვერდები დაუღადრეს ბასრი კბილებით“. უნდოდათ სულ დაეგლიჯათ და ნაკუწ-ნაკუწად ექციათ იგი, მაგრამ ტოტებშელეწილი და ფოთლებდაგლეჯილი ბერმუხა გადარჩა და ითხოვა: „ჩემი დაცვენილი და შემოფანტული ფოთლები შემიგროვეთო“.

დანტე ამბობს:

მშობელი მიწის სიყვარულმა დამიპყრო მთლად მე.
მაშინ ფოთლები მოვაგროვე მიმოფანტული
და დავუბრუნე ხეს, რომელიც დადუმდა უკვე.

მე მხოლოდ ერთი ასეთი მოწყვეტილი ფოთლის ამბავი მინდა გიამბოთ, მხოლოდ ერთისა, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, იმ ბერმუხისათვის არავის დაუბრუნებია...

სული ნიავჭარისაჯ...

ნიკო! ჩვენი ტკბილი და სანუკვარი ნიკო! ყველასათვის საყვარელი სტუდენტი, ასპირანტი, ნიჭითა და პატიოსნებით სავსე, ტოლ-მეგობრებისათვის სანიმუშო და სათაყვანო. ნიკო ტატიშვილიო, რომ იტყოდნენ, სახე გაგვინათდებოდა და თვალებში შუქი გვემატებოდა. გულს ახარებდა მისი ალერსიანი შემოხედვა. გამხდარ სახეზე უხდებოდა გაცრეცილი ღიმილი. მისი მსუბუქი სიარული ღრუბლის მოძრაობას ჰგავდა ცაზე ან მაცხოვრის ფეხშიშველ გავლას—ზღვის ზედაპირზე.

სუსტი აგებულებისა იყო, მუდამ გაფითრებული და თითქოს რაღაცით შემკრთალი. დიდი, წაბლისფერი თვალები ჰქონდა, პატარა ცხვირი და მაგრად მოკუმული ტუჩები. ძველებური სათვალე რომ გაგეკეთებინათ, სულ დანიელ ჭონქაძის პორტრეტი იქნებოდა. ამას რომ შევახსენებდით, გაიღიმებდა და რაღაც უცნაური ხმით იტყოდა: ღმერთმანი. „სურამის ციხე“ მე არ დამიწერიაო. მერე, „შვილო ზურაბ, სადამდისო“, რომ გამოვაჯავრებდით, გულს მოიყვანდა და ხმას აუწევდა, „ყელამდის, ბატონო, ყელამდისო“. არ უყვარდა, როცა მის პიროვნებას შეეხებოდნენ. იმ ყვავილს ჰგავდა, ხელს მოკიდებენ თუ არა, ფერს რომ კარგავს. სულმუდამ თავისთვის ცხოვრობდა, ჩაფიქრებული დადიოდა, რაღაცეებს წერდა კიდეც, მაგრამ გამომჟღავნებას ერიდებოდა.

ერთხელ მოთხრობის ნაწყვეტი წაგვიკითხა და აღტაცებაში მოგვიყვანა. ისე მსუბუქად და ისეთი ნატიფი სტილით წერდა, რომ თვითონ მის სიარულს ჰგავდა. არ ვიცი, სხვა ვინმე თუ აღგამდა ოდესმე ასე ჰაეროვნად მიწაზე ფეხს. ახალმოსულ თოვლზეც რომ გაევლო, იფიქრებდით, კვალს არ დატოვებსო, ისე ნიავივით ჩაივლიდა და გაქრებოდა. სა-

უბარიც ასეთი იცოდა. ის რომ ლაპარაკობდა, სუნთქვისაც მეშინოდა, ხელი არ შევუშალო-მეთქი. არც შემომხედავდა სახეში, სადღაც იყურებოდა და თითქოს ვიღაც სხვას ელაპარაკებოდა. როცა მის საყვარელ მწერლებზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მთელი ტანით შეირხეოდა, თითქოს ვიოლინოს სიმს შეეხნენო, და მაშინვე რაღაც საინტერესოსა და თვალსაჩინოს იტყოდა. ვინმეს ლექსი რომ მოეწონებოდა, გაწითლდებოდა, თვალებიც გაუბრწყინდებოდა და სულ ღიმილად იქცეოდა. კარგ მხატვრულ ნაწარმოებს ფიზიკურად გრძნობდა და განიცდიდა. ვაჟას რომ წავიკითხავდით, ან ბარათაშვილს, სულ დაიწურებოდა, ალმურმოდებული მიაჩერდებოდა რაღაცას და კეთილად ულიმოდა...

იუმორიც უყვარდა, უმთავრესად—სხვისი... თვითონაც იხუმრებდა ხოლმე რაღაცას, მაგრამ, სანამ სხვები არ გაიცინებდნენ, გაიტრუნებოდა: უნდოდა გაეგო, სასაცილო რამე ვთქვი თუ არაო, თუ მისი ნათქვამი სიცილს გამოიწვევდა, ბავშვივით უხაროდა და თვითონაც იცინოდა. თუ არა, ხელს ჩაიქნევდა და მოიწყენდა. სულ იმას ეჭვობდა, არაფრის უნარი არა მაქვსო... საოცრად მოკრძალებული იყო. არ მახსოვს ვინმესთვის უხეში სიტყვა ეთქვას ან ეწყენინებინოს. თუ ზოგჯერ მეგობრის გაკილვა უნდოდა, რომელიმე ცნობილ ლიტერატურულ პერსონაჟს მოიშველიებდა, იმას შეადარებდა ან იმის სიტყვებს გამოიყენებდა და თავის მსუბუქ იუმორსაც ზედ მიატანდა. ზოგჯერ ჩვენც რომ ვკითხავდით, როგორა ხარ, ნიკო, ლუარსაბ თათქარიძის სიტყვებით გვიპასუხებდა, „ვაცივითა ვარ, ვაცივითო!..“

...ვაცივით კი არა, თიკანივით იყო ჩვენი საცოდავი ნიკო, შვლის ნუკრივით უწყინარი, მშვიდი და მიმნდობი. გულისხმიერი და მოყვარული, ბუნების ნამდვილი პირმშო.

მაგრამ, როგორც ჩანს, ცხოვრება ზოგჯერ დასცინის კიდეც ბუნების ასეთ შემოქმედებას. ნიკოს უწყება მოუვიდა არმიაში გაწვევის შესახებ. განა ეს პარადოქსი არ არის? ნიკო და ჯარისკაცი! თოფით ხელში! ფარაჯით, ჩექმებით... მე მაშინ ფრონტზე ვიყავი. არც მინახავს სამხედრო ფორმაში გა-

მოწყობილი ნიკო, წარმოდგენაც კი მიჭირს ამისი. ეს რანაირად? ნუთუ შესაძლებელია ნიავს ქამარი შემოარტყა, სულს ჯავშანი ჩააცვა ან ფიქრებს მუზარადი დაჰხურო! აბა, ნიკომ როგორ უნდა ისროლოს თოფი! ვინმე მოკლას ან განიზრახოს ასეთი რამ! ეს შეუძლებელია და ამიტომაც მიიღო, ალბათ, ის უწყება, როგორც განაჩენი. ყველას ჩამოუარა, ყველას დაემშვიდობა, ყველას ნაღვლიანად გაუღიმა და წავიდა... ომში!..

...ბრძოლის პირველივე ქარიშხალმა იმ ხიდან მოწყვეტილი ფოთოლივით აიტაცა. თავგზა აებნა, ვერც გაერკვა, რა ხდებოდა მის გარშემო, ვერც ვერაფერი მოიფიქრა, მერე გონიც დაკარგა და... სამი დღე და ღამე მიჰყავდათ მშიერ-მწყურვალი ტყვეების დიდი კოლონა დასავლეთისაკენ. მიდიოდნენ კი არა, ძლივს მილასლასებდნენ დაღლილ-დაქანცულნი მტვრიან შარაგზებზე. საშინელი სიცხისაგან დედამიწას ალმური ასდიოდა. ეს კიდევ უფრო უძლიერებდა მათ წყურვილს. ყველაფერს ითმენდნენ: შიმშილს, უძილობას, დაღლილობას, მაგრამ ამ პაპანაქება სიცხეში წყურვილის ატანა ძნელი იყო. მეც გამომიცდია და ვიცი, ალბათ, საშინლად ეწვოდათ გამშრალი ყელი, დასიცხული ტუჩები და გახურებული შუბლი. მტვრიანი ოფლი შავ ხაზებად ჩამოსდიოდათ სახეზე. ზოგიერთი თავსაც მოიტყუებდა და ენით აილოკავდა გაოფლიანებულ ტუჩებს...

რამდენჯერმე ჩაუარეს თურმე მდინარეს, მაგრამ გერმანელმა ჯარისკაცებმა ნება არ მისცეს წყალი დაელიათ. თვითონ მუზარადებით ამოჰქონდათ ცივი ანკარა წყალი და მათ წინ სკდებოდნენ, იმდენს სვამდნენ, დანარჩენს ღვრიდნენ, იმათ კი — არც ერთი წვეთი!

ერთი „ხუმრობის მოყვარული“ გესტაპოელი წყლით სავსე მუზარადს ზედ პირთან მიუტანდა წყურვილით დამხრჩვალ ტყვეს, მაგრამ წამოიწევდა თუ არა ის უბედური დასალევად, წყალს გადაღვრიდა და მუზარადს ჩასცხებდა თავში. სხვები დასიცხული თვალებით მისჩერებოდნენ მდინარის ვერცხლისფერ ზოლს, მაგრამ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდნენ იქითკენ; მწყობრიდან გამოსვლა და სროლა ერთი იყო!.. ვი-

ლაცამ მაინც ვერ მოითმინა და გაიქცა მდინარისაკენ. ესროლეს და მოკლეს. მერე მეორეც გამოვარდა, იმასაც იგივე ბედი ეწია. ყველასათვის გასაგები იყო ასეთი ნაბიჯის უაზრობა, მაგრამ, როგორც ჩანს, უნებლიე ინსტინქტი მიერეკებოდა მათ სხეულს... ახლა მესამე გავარდა თურმე იქითკენ, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისიც მოცელა ავტომატის ტყვიებმა. მერე კიდევ ორმა სცადა ბედი, მაგრამ ორივე იქვე დააწვინეს...

მდინარეც რომ დასცინოდა მათ! არ იქნა და არ მიეფარა თვალს. პირიქით, ჯერ ფეხდაფეხ გამოჰყვა, მერე ხან მარჯვნივ გაუხვია, ხან მარცხნივ და ისევ გამაღიზიანებელი შრიალით მიჰყვა მათ კოლონას, ერთგან გზაც გადაუჭრა და ტყვეები ხიდზე გაატარეს. გაფრთხილების მიუხედავად ათიოდე კაცი გადახტა წყალში... ათივე მოკლეს...

...მესამე დღეს უკვე ბევრს გაუჭირდა სიარული. არც ერთი ლუკმა პური, არც ერთი წვეთი წყალი! ზოგი ჩამორჩა და იქვე მოუღეს ბოლო. სამჯერ დაუძახებდა გესტაპოელი პირდაპირ გზაზე დავარდნილ ტყვეს: Aufstehen! --- ადექიო, და თუ ტყვე ვერ ადგებოდა, ავტომატი თავის საქმეს აკეთებდა. საერთოდ, ვინც მწყობრს ჩამორჩებოდა, ყველას ხოცავდნენ. ამიტომ ძლიერ დასუსტებულები ერთხანს სხვებს მოჰქონდათ, ვიდრე შეეძლოთ, შემდეგ კი...

წამდაუწუმ მოისმოდა სროლის ხმა კოლონის ბოლოდან...

ერთხანს ასე მიჰყავდათ თურმე ჩვენი ნიკოც. მას სულ გამოელია ძალ-ღონე. მუხლებმაც უსუსტეს, ნაბიჯს ვეღარ დგამდა. მეზობლები შეუდგნენ მხრებში და ერთხანს ატარეს. მერე ვიღაც გოლიათმა ზურგზეც აიკიდა, რადგან ძალ-ღონე სულ გამოლეული ჰქონდა...

ეს რომ გვიამბეს, გული შეგვეკუმშა. აბა, როგორ აიტანდა ჩვენი სათუთი ნიკო ამ ამბავს. არც იმათ უნდოდათ მისი დატოვება. ნიკოს უკვე მოეხიბლა ისინი თავისი სათნო ხასიათითა და ბავშვური ღიმილით. მან, ვინც ეს ამბები გვიამბო, ისიც დააყოლა:

—ცაწამებულ სახეზე სულ ღიმილი უთამაშებდა. ამან გაგვაგიჟა, ვერ შეველიეთ, ვერ დავტოვეთ და ვატარეთო...

იცოდნენ, ბედს მიანებებდნენ თუ არა... დაეცემოდა, მერე მეავტომატე დაადგებოდა თავზე, რამდენიმე გასროლა... და გათავდებოდა ყველაფერი...

ის კი მიჰქონდათ... თვითონაც დაღლილ-დაქანცული ტყვეები თავიანთ უკანასკნელ ძალ-ღონეს უნაწილებდნენ მას...

ცოტა რომ დაისვენა სხვის ზურგზე, გონს მოვიდა თურმე. ფეხიც აიდგა და ლასლასით გაჰყვა კოლონას. [illegible] ირა და, ვინ იცის, იქნებ დანიშნულ ადგილამდე ჩაეღწია, რომ, საუბედუროდ, საბარგო ავტომანქანას არ ჩ[illegible]. [illegible] მანქანიდან თურმე სამი ცალი კარტოფილი გადმოვარდა. ერთი ნიკოსთან ახლო დაეცა. ნიკომ ორიოდე ნაბიჯი მარჯვნივ გადადგა და კარტოფილი აიღო... ერთი ცალი კარტოფილი!

ორი გერმანელი ერთად მივარდა მას. ჯერ წიხლებით სცემეს, მერე კონდახები ურტყეს და...

კოლონამ გზა განაგრძო, ნიკო კი იქვე დარჩა... თავის ქალა ჩამტვრეული ჰქონდა, სახე გასისხლიანებული, პირაღმა იწვა, ხელში ის ერთი კარტოფილი ეჭირა და ღია, მაგრამ უსიცოცხლო თვალებით მისჩერებოდა ცარიელ ზეცას.

— ბაგეზე მაინც ღიმილი უთამაშებდაო, — თქვა ივ გოლიათმა და ცრემლი მოიწმინდა. მერე ვითომ თვითონაც გაიღიმა და დაუმატა:

— გაგიჟდები კაცი, აბა, რა იქნება!..

...დიდხანს ელოდნენ ნიკოს მშობლები „უგზო-უკვლოდ დაკარგულ“ შვილს. ნაცნობებმა იცოდნენ, მაგრამ არ უმხელდნენ, რომ დაიღუპა. ტყვეობაში უნახავთო სადღაც, ატყუებდნენ და ანუგეშებდნენ მათ.

ბინა როდენის ქუჩაზე ჰქონდათ, უნივერსიტეტის ახლოს, ფიქრის გორაზე. ლექციების შემდეგ ხშირად გამოვუვლიდით ხოლმე მათ, რომ ტყუილები გვეთქვა და იმედი მივეცა. გასაოცარი სურათი გვხვდებოდა ყოველთვის. ტატიშვილებს სახლის წინ პატარა ეზო ჰქონდათ. თვითონ პირველ სართულზე ცხოვრობდნენ. დაბალი აივანი პირდაპირ ეზოში გამოდიოდა. რამდენჯერაც კი მივიდოდით, ცოლ-ქმარი, თითქოს „საგარეოდ გამოწყობილები“, ისხდნენ ერთმანეთის გვერდით გა-

რინდებულნი და მისჩერებოდნენ ეზოს კარებს... ასე ელოდნენ ისინი წლიდან წლამდე, როდის შემოვაო ჩვენი ნიკალა. ეს წარმოუდგენელია: ყოველდღე იჯდე აივანზე და ელოდებოდე... ელოდებოდე დილით. შუადღით, საღამოთი, ღამეც. იქნებ ძილში მაინც მომეჩვენოსო. ასე იყო ერთი თვე... ორი... ათი... წელიწადი... ორი წელიწადი...

დილით ადრე გამოდიოდნენ აივანზე, დასხდებოდნენ და მიაჩერდებოდნენ ეზოს კარებს...

...მერე ცხოვრება თავისი გზით წავიდა. ნუგეშის ბიცემა უკვე უაზრო გახდა. ან ნუგეშს რა ძალა ჰქონდა, როცა ყოველგვარი იმედი გადაწყვეტილი იყო. ჩანს, უგნურები ვიყავით, თორემ იქნებ ისევ ისა ჯობდა, თავიდანვე გვეთქვა ყველაფერი, მაგრამ რა ვიცოდით, თუ მოულოდნელ ზარზე უფრო მძიმე ეს გაუთავებელი მოლოდინი იქნებოდა...

ამბობენ, კაცი იმედით ცხოვრობსო. ჩვენც ვცდილობდით დაგვეიმედებინა, მაგრამ ნიკოს დედა ხელს ჩაიქნევდა და იტყოდა:

— არა, შვილო, სასწაული არ მოხდება, არ დაბრუნდება ჩემი ნიკო. ცოტას კიდევ მოვუცდი და მერე მე თვითონ წავალ მასთან...

ამას რომ იტყოდა, ისე ამოიოხრებდა, რომ გულს თან ამოატანდა...

... იმ დღეს მართლაც გადაეწყვიტა „ნიკოსთან წასვლა“. ეზოში გამოსულიყო, ჩვარი ნავთით დაესველებინა, ასანთი გაეკრა... და უბეში ჩაეგდო.

უცებ ავარდნილი ცეცხლის ალი ჯერ გულ-მკერდს მოედო თურმე, მერე — მთელ ტანს და...

...ყოველთვის, როცა ჩემი ბინის აივნიდან ფიქრის გორას გავხედავ, ასე მგონია, ახლაც კელაპტარივით ანთია ცეცხლმოკიდებული ნიკოს დედა, ახლაც იწვის მისი დამჭკნარი სახე, ეზოს კარისაკენ მიპყრობილი თვალები და თეთრად განათებული ჭაღარა, როგორც ქართველი ქალის

მწუხარების მარად ჩაუქრობელი ცეცხლი ყველა უცნობი თუ ნაცნობი ჯარისკაცის საფლავზე...

...ეს იმ დიდი ტრაგედიის მხოლოდ ერთი მაგალითია, ერთი მცირე რგოლი 50 მილიონისა, რომელიც ომის დროს დაიღუპა. მათ შორის მტერიც ბევრი იყო და მოყვარეც. სიკვდილი კი ყველასათვის სიკვდილია. დედის მწუხარებაც.

მოყმემ და ვეფხვმა რომ ერთმანეთი დახოცეს, იძ მოყმის დედამ, „იქნება ვეფხის დედაი ჩემებრ მწარედა ტირისაო“... გაიფიქრა და წავიდა მასთან, რომ თავისი გულის სამძიმარი ეთქვა. ეს ჰუმანიზმის დიდი ძალაა, ხალხურ სიბრძნეში გამოხატული. ერთის მწუხარება თანაგრძნობას იწვევს მეორისადმი. მერე ყველაფერი ეს სინანულში გადადის და თავის სევდიან სახეს გვიჩვენებს.

ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ერთი დედის მწუხარების 50 მილიონზე გადამრავლება მინდოდეს. არა, მე ვიცი, რომ ასეთი ჯამი არ გამოიყვანება, მაგრამ წარმოსახვა მაინც თავისას იზამს, ყველაფერს შეკრებს, განაზოგადებს და კოშმარების იმ დიდ რგოლს მისწვდება, სატურნის დისკოსავით რომ შემოხვევია ჩვენს პლანეტას.

გონების თვალი კი ზოგჯერ იმ უფსკრულსაც ჩახედავს, რომლის წინაშე აღმოვჩნდებით ხოლმე, როცა განვლილ საშინელ ამბებზე ვფიქრობთ...

განათლებული არამზადები...

მე მთელი წლის განმავლობაში ვეცნობოდი იმ ამბებს. ჩემ თვალწინ გაიარა დანაშაულობათა კოშმარულმა სურათებმა. მერე თვეების მანძილზე ვუყურებდი და ველაპარაკებოდი იმათ, ვინც ყოველივე ეს ჩაიდინა. მაშინ ისინი განსასჯელთა სკამზე ისხდნენ როგორც სამხედრო დამნაშავენი, მაგრამ იყო დრო, როცა განუსაზღვრელი ძალაუფლებითა და რაღაც შიშისმომგვრელი დიდებით იყვნენ მოსილნი. მათი ყოველი სიტყვა კანონი იყო, ხელისუფლება — შეუზღუდავი: გერინგის ავიაცია ანგრევდა ქალაქებსა და სოფ-

ლებს, კაიტელი ხოცავდა სამხედრო ტყვეებს, კალტენბრუნერი ჟლეტდა მილიონობით მშვიდობიან მოსახლეობას, რედერი და დენიცი მეკობრეობდნენ ღია ზღვაში, რიბენტროპი ამზადებდა თავდასხმებს შეუიარაღებელ სახელმწიფოებზე, იოდლი ადგენდა ამ თავდასხმათა ოპერატიულ გეგმებს, შტრაიხერი ებრაელებს არბევდა, ზაუკელი მონებით ვაჭრობდა, როზენბერგი კი საბჭოთა კავშირის ტერიტორიების „განხალხების“ პოლიტიკას ხელმძღვანელობდა და თან „XX საუკუნის მითს“ თხზავდა მომავალ თაობათა „გასანათლებლად“.

მე კარგად მახსოვს მათი სახეები, გამომეტყველება, ლაპარაკის მანერა, ყველაფერი, რაც ითქვა ან გამომჟღავნდა... და, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მაშინ მეც იგივე კითხვა მიტრიალებდა თავში: არიან კი ისინი, საერთოდ, ნორმალური ადამიანები? ყველანი ვამბობდით: არა! ისინი არაადამიანებია, ბარბაროსები, კაციჭამიები, მითური ჰარპები, თუ ეშვებიანი ურჩხულები...

მერე დრო გავიდა და ჰალუცინაციებიც დაცხრა. დაიწყო ანალიზის, განსჯისა და საბუთიანობის პერიოდი. ამის შემდეგ, მე მგონი, შედარებით სწორი, მაგრამ უფრო საშინელი შეხედულება შემექმნა. იმ კითხვაზე პასუხმაც ათასჯერ მეტად შემაძრწუნებელი სახე მიიღო:

— დიახ, ისინი ადამიანები იყვნენ და უაღრესად განათლებულნიც. ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. ყველა მათგანი ევროპის ერთ-ერთი უძველესი კულტურისა და განათლების ერს წარმოადგენდა...

და სწორედ ესაა უფრო შემზარავი: ეს თეთრხელთათმანიანი და მონოკლიანი მკვლელები, დოქტორები, აკადემიკოსები, ფილოსოფოსები, არქიტექტორები, დიპლომატები, ბანკირები და სამხედრო სპეციალისტები—ფელდმარშლები, ადმირალები, გენერლები...

ნიურნბერგის პროცესზე მათ რომელიღაც ბრალმდებელმა „განათლებული არამზადები“ უწოდა. მერე შეისწავლეს კიდეც და ასეთი ცნობა გამოაქვეყნეს: ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელთა დაახლოებით ოთხიათასიანი კასტიდან

1050 მეცნიერებათა დოქტორი იყო, 225 — საპატიო დოქტორი, 21 — ორგზის დოქტორი, 350 — პროფესორი, 116 — საიდუმლო მრჩეველი (Geheimrat), 150 — დიპლომიანი სპეციალისტი, 2 — ნობელის პრემიის ლაურეატი და მხოლოდ 30 კაცი — უმაღლესი განათლების გარეშე, მათ შორის ჰიტლერი.

ამ ოთხი ათასი კაციდან 670 დიდგვაროვანი არისტოკრატი იყო, 850 — რამე წიგნის ავტორი, სხვები კიდევ—სხვა ვინმე — თავისებურად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი...

...ახლა რომ მკითხოთ, არც მე მჯერა, თითქოს მათი დანაშაულებრივი მოქმედებანი მხოლოდ იმით ყოფილიყოს გამოწვეული, რომ ჰიტლერი „მანიაკი" იყო, „სულით ავადმყოფი", გერინგი — მორფინისტი და სეკრეციის ჯირკვლებდაავადებული, ჰესი — „ნახევრად შეშლილი მოგვი", რიბენტროპი — „გონებაჩლუნგი" და „დეგენერატი", თანაც ღვინის ვაჭარი, როზენბერგი — „ცრუ ფილოსოფოსი", შტრაიხერი — „ამორალური და გახრწნილი პიროვნება", კალტენბრუნერი — „სისხლისმსმელი ჭიანჭველა" და სხვა ასეთი; სხვებიც— „პირუტყვები", ცხოველები", „კაციჭამია ბარბაროსები" თუ „ჯოჯოხეთის ბნელი ძალები", რომელთაც ერთი „გიჟი ეფრეიტორი" მეთაურობდა.

მე მგონი, ვინც ასე მსჯელობს, ძალაუნებურად უმსუბუქებს მათ დანაშაულს და ამცირებს იმ დიდი გამარჯვების მნიშვნელობას, რაც ასეთი მძიმე მსხვერპლის გაღებით მოიპოვა კაცობრიობამ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ნიურნბერგშიც მოსამართლეებად უფრო ზოოვეტერინარებს, ფსიქიატრებსა და ნევროპათოლოგებს მოუხმობდნენ, ვიდრე იურისტებს. პირუტყვებსა და ცხოველებს კი, მოგეხსენებათ, არ ასამართლებენ, არც ასე გაშმაგებით ებრძვიან ბრიყვებსა და ხელმოცარულებს. შუა საუკუნეების მოთარეშე ბარბაროსების მორალის შესახებაც არ მსჯელობენ ამდენს. მართლმსაჯულება არც იკადრებს ნემეზიდას მახვილის აღმართვას პირუტყვებზე...

...მე აქაც ვაჟა მაგონდება. ხომ წარმოგიდგენიათ, რა შეძრწუნებული იქნებოდა იგი, ილია რომ მოკლეს წიწამურში! „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავდნენო“, — თქვა მან. ასე დიდი იყო ჩადენილი დანაშაული მის წარმოდგენაში... და მაინც, „მე ასე ვსჯიო“, წერს იგი ილიას მკვლელებზე:

— არა, არ არიან ისინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად, და პირუტყვებზე როგორ ვიძიოთ შური, ისე როგორც ადამიანზე! ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირება?!..

...ესენი კი არც პირუტყვები იყვნენ და არც მხეცები. მართლმსაჯულების წინაშე იდგნენ ფანატიკური პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთაც სულ რაღაც ათი წლის განმავლობაში (1923—1933) მრავალათეულ მილიონიანი მოძრაობა შექმნეს ევროპის შუაგულში, ხოლო ექვსი წლის ბატონობის მანძილზე (1933—1939) ვერსალის შემდეგი პერიოდის „გერმანული არარაობა“ უძლიერეს სახელმწიფოდ აქციეს ჩვენს კონტინენტზე.

1933 წელს მათ თითქმის არავითარი შეიარაღება არ ჰქონდათ, არც სამხედრო ქარხნები, არაფერი, რაიჰსვერისა და პოლიციის მცირე ძალების გარდა... 1939 წელს კი მთელი ევროპა შეაზანზარა გერმანული იარაღის ძალამ. ეს ჯოჯოხეთის მანქანა ისე აწყობილად მუშაობდა, რომ მართლაც წინააღმდეგობის კოლოსალური მობილიზაცია იყო საჭირო მის შესაჩერებლად. მათი არმიის სათავეში იდგნენ ძველ პრუსიულ ტრადიციებზე აღზრდილი უნიჭიერესი მხედართმთავრები, გენერლები და ფელდმარშლები, რომლებიც ბრწყინვალედ ფლობდნენ თავიანთ პროფესიას.

გამარჯვებაც ბევრი მოიპოვეს. ჯერ ჩვენი კონტინენტის არც ერთ ქვეყანას არ გაუფართოებია თავისი სახელმწიფოს საზღვრები ისე, როგორც გერმანიას. არც ერთი არმიის ჯარისკაცები არ მდგარან ლამანშიდან ვოლგამდე და იქით... აფრიკაში... არავითარ მაკედონელებსა და ნაპოლეონებს არ მოუპოვებიათ იმდენი გამარჯვება, რამდენიც ჰიტ-

ლერმა მოიპოვა. მართალია, ეს პიროსისებური გამარჯვება იყო, მაგრამ... მაინც ხომ იყო!..

...და მიუხედავად ყოველივე ამისა, რასაც მათ შესახებ წერენ, ყველაფერი მართალია: იყო ეს „სიგიჟეცა“ და „შეშლილობაც“, „მეგალომანიაცა“ და „სადიზმიც“, „პირუტყვობაცა“ და „მხეცობაც“, „გონების ჰიპერტროფიაცა“ და „ბარბაროსული ვნებააშლილობაც“; შესაძლოა, „გენიალობაცა“ და „შეშლილობაც“, როგორც ერთიდაიგივეობის პარადოქსული ორსახეობა...

ერთის მეორე...

ჩვენი დროის გამოცანაც სწორედ ეს არის! როგორ მოხდა ყოველივე ეს? ან ერთმანეთს როგორ შეეგუა ამდენი „პარადოქსული წინააღმდეგობა“: კულტურა და სისასტიკე, გენიალობა და შეშლილობა, ცივილიზაცია და ბარბაროსობა, გაზკამერები და მუსიკა, მკვლელობა და ვარდები... ან თუნდაც „გერმანული სანტიმენტალობა“ და ასევე „გერმანული სასატიკე“, რასაც მოჰყვა დათრგუნვილი რწმენა, მადაგაღვიძებული ეჭვი, სკეპტიციზმი, ყოველგვარი ღირებულების უარყოფა და ისევ იმ ეკლეზიასტეს გახსენება:

— Vanitas Vanitatum!—ამაოება ამაოებისა!..

...ამაზე ფიქრი ზოგჯერ საკუთარ თავსაც აშორებს ადამიანს, რაც ისევ იმ ეჭვის ბრალია, ძალაუნებურად რომ გვიძვრება სულში და სულ ს ხ ვ ა დ გვაქცევს, ვიდრე გვინდა ვიყოთ. ის ს ხ ვ ა კი, რაც უნდა იყოს, მაინც ს ხ ვ ა ა, შესაძლოა, არც ისე უცხო, როგორც ჩვენ გვგონია, მაგრამ მაინც ს ხ ვ ა. ამიტომაც გვიკვირს: თუ ის ჩვენა ვართ, ს ხ ვ ა როგორღაა, ან თუ ს ხ ვ ა ა, ჩვენ როგორღა ვართ ის?! თუმცა ზოგჯერ ისეც ხდება, რომ საკუთარ თავს უფრო ვართ დაშორებული, ვიდრე ს ხ ვ ა ს. ასეთ დროს კი რას გაიგებ, შენ თვითონ ვინა ხარ: შენი „მ ე“, თუ სხვისი „ს ხ ვ ა“, იქნებ ორივე ერთად, რადგან იმ „ერთს“ ყოველთვის თავისი

„იდუმალი მეორე“ ახლავს: ცოდვას—მადლი, კეთილს — ბოროტი, სიცოცხლეს — სიკვდილი, ყველაფერს — არაფერი, ღმერთს — ეშმაკი, ფაუსტს კი — მეფისტოფელი, რაც ქმნის ადამიანურ ხასიათს, ზოგჯერ მეტად რთულსა და გაუგებარს.

ჰეროდოტეს უთქვამს: „ადამიანის ხასიათი მისი დემონიაო“. ზოგისთვის ეს დემონი „საშინლად მეორეა“ (კარამაზოვი), ზოგისთვის—„შემაძრწუნებლად სხვა“ (ლევერკიუნი); ფაუსტისათვის იგი მიწის სულია, გალაკტიონისთვის — იდუმალი მეორე, ნიცშესათვის კი — მესამე, ანუ „განდგომილთა მეგობარი“.

ერთი თავისივე თავში ხედავს მას, მეორე — სხვაში. ზოგში კი ორი სული ცხოვრობს ერთად (ფაუსტი) — ორი პროტოგონისტი: კეთილი და ბოროტი.

სოფოკლეს აზრით, „ერთსა და იმავე ადამიანს სხვადასხვა დემონები ჰყავს“. ევრიპიდეც გამოთქვამს ასეთ თვალსაზრისს. ეკლეზიასტეში კი წერია: „... არს ერთი და არა არს მეორისა“. თანამედროვე მწერლობა უფრო „ერთის ორგვარობას“ ცნობს. თომას მანის რომან „ლოტე ვაიმარში“ ასეთი დიალოგიცაა:

— მე ღვთისმეტყველი არ გახლავართ, პატივცემულო, — მიმართავს რიმერი ლოტეს, — არც ფილოსოფოსი. მაგრამ ცხოვრების გამოცდილება მაიძულებს ხშირად ჩავუფიქრდე ყველაფრისა და არაფრის ერთიანობის საკითხს. nihil-ს და, თუ ნებას მომცემთ ვიხმარო აქედან გამომდინარე საძაგელი სიტყვა, რაც განსაზღვრავს აზრისა და მსოფლმხედველობის მიმდინარეობას, მაშინ ამ ყოვლისმომცველ სულს, სრულიად სამართლიანად, შეგვიძლია ვუწოდოთ ნიჰილიზმი, რისგანაც წარმოიშობა ღმერთისა და დემონის აღქმის მცდარობა, როგორც ერთმანეთისადმი დაპირისპირებული პრინციპებისა; და რომ დემონური. არსებითად, მხოლოდ მეორე მხარეა ღვთაებრივისა, თუმცა რატომ მეორე? დიახ, აბა როგორ? თუ ღმერთი ყველაფერია, ამით ის დემონიცაა და, ცხადია, რომ არ შეიძლება მიუახლოვდე ღმერთს ისე, თუ იმავე დროს არ მიუახლოვდები დემონს

(ეშმაკს... სატანას...). შეიძლება ითქვას კიდეც, რომ მისი ერთი თვალიდან იყურება ზეცა და სიყვარული, ხოლო ძეორიდან — ყინულისებური უარყოფისა და ყოვლისშემუსვრელი გულგრილობის ჯოჯოხეთი. მაგრამ ორივე თვალი, ძვირფასო ქალბატონო, სულერთია, შორს თუ ახლოს, მაინც ერთ გამოსახულებას ხედავს.

ლოტე რომ შეეკითხა, რა ხედვაა ესო, რიმერმა მიუგო:

— ახლავე გაგცემთ პასუხს თქვენც და ჩემს თავსაც: ეს არის ხედვა ხელოვნებისა, აბსოლუტური ხელოვნებისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს აბსოლუტური სიყვარულიცაა და აბსოლუტური მოსპობაც ან გულგრილობა, რაც ნიშნავს ღვთაებრივი დემონურისადმი იმ საშინელ მიახლოებას, რასაც „სიდიადეს“ ვეძახით.

ასეთ ადამიანში, რიმერის აზრით, ის „შეცნობილი ადამიანური ორგვარობა“ ერთსა და იმავე დროს უკიდურესად გამახვილებულიცაა და მოხსნილიც. ამიტომ ხედებაო მას ორმაგი კურთხევა—„ზემოდან ცისა და ქვემოდან ჯოჯოხეთისა“, როგორც ბიბლიაში წერია...

ამ თვალსაზრისით ადამიანში ღვთაებრივიც უფლებამოსილია და დემონურიც. ორივე ერთის აუცილებლობაა. ამიტომაც ამბობენ, „უმაღლესი ბოროტება უმაღლესი სიკეთის გამოვლენაცაა“.

ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა ჰიტლერი. ჭეშმარიტებას ისიც ნიცშესავით „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ ეძებდა, რომ ამ ორი დაპირისპირებული ცნების აბსორბირებით, ანუ ურთიერთშთანთქმით ერთი და სრულიად განსხვავებული გამოსახულება მიეღო.

თანამედროვე ფილოსოფიაში ამას არსებული ორის სუბლიმური ნახტომით შესაძლებელი მესამის მიღებას უწოდებენ. „ჰიტლერული ორგვარობაც“ აქეთკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, ე. ი. სიკეთისა (ვითომ გერმანელთა რასისათვის) და ბოროტებისაკენ (დაბალი რასებისათვის), რომ ჯერ მათი წინააღმდეგობის „უაღრესი გამძაფრებით“, ხოლო შემდეგ მო-

ხანით შექმნილიყო „იდეალური ინაციონალ-სოციალისტური მსოფლიო“. ამიტომ იყო, რომ, თანამოაზრეთა რწმენით, იგი ბოროტების გზით მიდიოდა სიკეთისაკენ. პირველი საშუალება იყო, მეორე — მიზანი...

...ზოგიერთმა ფილოსოფოსმა ეს მავნე შეხედულება როგორღაც რელიგიურ დოქტრინებსაც შეუთანხმა. ასე გაჩნდა ახალი ბიბლიური ვერსია ადამიანის წარმოშობის შესახებ. თქვეს, რომ მის შექმნაში მარტო ღმერთს არ მიუღია მონაწილეობა, იყო სხვაც... ამ სხვაში „აზრთა გამგებლებმა“ შეიცნეს ბოროტი სული, ანუ დემონი. ამით ერთსახეობაც ორად იქცა, ისევ იმ ერთის, ანუ ღვთაებრივის მოდუსით: ღმერთად და სატანად. მაგრამ ღმერთი მაშინაა აბსოლუტური, როცა ის სამყაროს უდრის. თუ ეს ასე არ არის, ჩნდება ს ხ ვ ა, ანუ დემონი როგორც საფუძველი და შედეგი...

მერე ეს აზრი ლოგიკურად განვითარდა: თუ შემქმნელი ორია, შექმნილიც თავისშივე უნდა ატარებდეს როგორც ერთის, ისე მეორის თვისებებს, ე. ი. ადამიანი უნდა იყოს „ხატება ღმრთისა და სატანისა“. ამით ქრება კიდეც სიკეთის „ღვთაებრივი სირთულის“ ილუზია და ბოროტებაც ითხოვს თავის უფლებას ადამიანის მიმართ. მეტიც, ის თვით აყენებს სისრულის პრეტენზიას...

...ვაჟა ამაზედაც მსჯელობს თავის ფილოსოფიურ მოთხრობაში „მოჩვენება“. როცა მას ეშმაკი გამოეცხადა „ცბიერი თვალებითა“ და „მქისე, საძაგელი შეხედულებით“, უნდოდა გაეგდო, მაგრამ ბოროტი სული როდი შეაკრთო ამან.

—არა, არ წავალ და ვერც შეგიძლია ძალით გამაგდო, — თქვა მან.—ენით, რაც გენებოს, ბრძანე. შენ მე იოტის ოდენად ვერ შემდრეკ, იმიტომ რომ მე მოუდრეკელი ვარ. მე როგორიც დავიბადე, ისეთი ვარ მუდამ წამს, მუდამ ჟამს, ყოველგვარ შემთხვევაში. სრულია ჩემი ბუნება მუდამ, არც დაიკლებს, არც მოიმატებს არასდროს. ამიტომ ამაოა სულ შენი რისხვა, შენი წყევლა და მუქარა...

მერე, როცა „სიკეთის სახიერება“ გამოჩნდა, „ის, რო-

გორც წინწილი ისე გაჰქრა თავგადაგლეჯილი. შორს ჰაერში ერთხელ კიდევ, მაგრამ უკანასკნელად გაისმა მისი გესლიანი ხითხითი. ის იყო და ის...“

აღარც „სრული“ აღმოჩნდა და აღარც „მოუდრეკელი“.

ასეთია, ვაჟას მიხედვით, სიკეთისა და ბოროტების განტოლება. მას სწამს სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე.

ქართული ტრადიციის მიხედვით, ბოროტებას საერთოდ არა აქვს თავისი საწყისი. იგი სიკეთის უარყოფაა. ამიტომ კ ე თ ი ლ ი მ ხ ო ლ ო დ თ ა ვ ი ს ი ს რ უ ლ ყ ო ფ ი თ ს ძ ლ ე ვ ს ბ ო რ ო ტ ე ბ ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს. აქ დაპირისპირება ონტოლოგიური ხასიათისა კი არ არის, არამედ სიკეთის ნეგაციის შედეგი. მათი დაპირისპირება სიკეთისათვის ბრძოლით იქმნება და არა ბოროტების აუცილებლობით.

ამ საკითხზე ლ. ტოლსტოისაც აქვს თავისებური აზრი გამოთქმული. იგი წერს:

— ბოროტება ისე ძლიერია, — ეს მთელი ფონია, — რომ ის ხელთა გვაქვს კონტრასტისათვის. ის რომ ვაღიაროთ, ყველაფერს თან გაიყოლიებს და იქნება მხოლოდ ბოროტება, ე. ი. არ იქნება არავითარი კონტრასტი. თვით ბოროტებაც არ იქნება, იქნება მხოლოდ არაფერი. იმისათვის, რომ იყოს კონტრასტი და იყოს ბოროტება, მთელი ძალებით უნდა მივისწრაფოდეთ სიკეთისაკენ...

...ამ მისწრაფებას ორი მხარე აქვს. ორივეს ერთიანობა კი მესამეს ქმნის — უფრო რთულსა და გაუგებარს. ნიცშეს უთქვამს: „განდგომილის მეგობარი ყოველთვის მესამეაო“. ძველი რომაელებიც ამბობდნენ: alter ero —ჩემი სხვაო. სადღაც ჰამადანში ნაპოვნ ქვაზედაც ამოუკითხავთ: „რამეთუ იგი იყო სხვა ჩემიო“, მაგრამ ვინ იცის, აქ ძველებური „მაგიური სამი“ იგულისხმება, თუ ჰეკატეს სამსახეობა, ცაში რომ ლუნას სახე ჰქონდა, დედამიწაზე — არტემიდასი, ხოლო ქვესკნელში — პროზერპინასი.

ნიურნბერგის პროცესზე ეს „სამსახეობა“ ჰიტლერში გაერთიანდა და ჩვენ თვალწინ წარმოდგა სატანა—მეუფე ჯოჯოხეთისა!...

...არ გეგონოთ ამას ჩემდათავად ვამბობდე! ჰიტლერი თვითონ ამაყობდა ამით. მოსწონდა კიდეც, ბნელეთის მოციქულ სატანას რომ ადარებდნენ. ამბობდა:

— ხუ გავიწყდებათ, რომ ღამემ შვა სინათლე! ჩვენ ბნელეთიდან მოსული ადამიანები ვართ!..

იმ ციკლოპისებურ „ღმერთ-კაცებსაც“ ამიტომ მოუხმობდა საიდანღაც. თვითონაც შავ თმებს შუბლზე ჩამოიგდებდა და ისევ იმ ციკლოპივით ბოროტების ცალი თვალით უყურებდა ქვეყანას. მეფისტოფელმაც ამიტომ დაიბრმავა ცალი თვალი, რომ ბოროტის მნდომს სიკეთე არ გამოსვლოდა. როგორც ჩანს, ეს არც ჰიტლერს უნდოდა და, ალბათ, ამიტომაც სიამოვნებდა, როცა სატანას ან ცალთვალა მეფისტოფელს ეძახოდნენ...

...პარიზში რომ გერმანელები შევიდნენ, ჰიტლერიც იმ დღესვე გაჩნდა იქ, ეიფელის კოშკთან დადგა და პირად ფოტოგრაფ ჰოფმანს დაუძახა:

— გადაიღე, ჰოფმან! დღეს ეიფელის კოშკთან... ხვალ ბრუკლინის ჩიდეზე, ზეგ კი ნიუ-იორკის ცათამბჯენებთან...

დღისით არ უნდოდა და ქალაქი ნაშუადამევს დაათვალიერა. ერთხანს ნაპოლეონის საფლავთანაც იდგა. მერე ქუჩებში ისეტიალა, გარიჟრაჟისას კი პერ-ლა-შეზის მოედანზე გამოვიდა. აქ მხოლოდ გაზეთების გამყიდველი მოხუცი იდგა და ამთქნარებდა. ჰიტლერისთვის მას ყურადღება არ მიუქცევია.

მოპირდაპირე სახლში ვიღაც დედაბერმა დარაბა გამოაღო, ფანჯრიდან გამოიხედა, ჰიტლერი დაინახა და იკივლა:

— სატანა!..

ჰიტლერს ისტერიული სიცილი აუტყდა.

მერეც, როცა იგი ამ ამბავს უყვებოდა თავის სტუმრებს, ისე სიამოვნებით ხითხითებდა, თითქოს მისთვის სატანა კი არა, ანგელოზი ეწოდებინოთ...

მესამის დანაშაული...

წარმოიდგინეთ, რომ ერთისა და მისი დემონური მეორის, თუ ორის მესამის, ანუ სატანის ალიბის პრობლემა ნიურნბერ-

გის პროცესზედაც იქცა მსჯელობის საგნად. იმ დღეს, როცა ბრალმდებლებმა ჰიტლერის კაცთმოძულეობის ყველაზე შემაძრწუნებელი დოკუმენტები გამოაქვეყნეს, ექიმმა ჯილბერტმა ჰკითხა რუდოლფ ჰესს, ახლა რა შეხედულებისა ხართ თქვენს ფიურერზეო.

ჰესმა ნელ-ნელა აზიდა თვალებზე ბუჩქივით ჩამოშლილი შავი წარბები და სრულიად დამშვიდებული ტონით უპასუხა:

— არ ვიცი. ჩემი აზრით, ყველა გენიოსში ზის დემონი. თქვენ არ შეგიძლიათ ამის გამო ბრალი დასდოთ მას. რას იზამთ, ის ხომ სწორედ მასშია!..

...დიტრიჰი უფრო ხაზგასმით აღნიშნავს ჰიტლერის „ორგვარობას". ისიც იყენებს გოეთეს ცნობილ გამოთქმას, „ორი სული ცხოვრობს ჩემშიო" (...Zwei Seele wohnen in mein Brust), და წერს:

— ჰიტლერს ორგვარი სახე (ein doppeltes Gesicht), ორგვარი სული ჰქონდა. იგი თავისშივე აერთიანებდა ხალხის სამსახურსა და მოქმედების საშინელებას (Ungeheuerlichkeit), გენიალობის ნიშნებსა და დემონურ სიშმაგეს (Besessenheit), შემოქმედებით ინტელექტსა და ბრმა უუნარობას (blinde Unfähigkeit), ნაზ გრძნობებსა და ყინულისებურ გულგრილობას... ჰიტლერი საშინელ საკონცენტრაციო ბანაკებსაც ქმნიდა და იადონებსაც უვლიდა, უყვარდა ცხოველები და მუსრს ავლებდა ადამიანებს, თავაზიანიც იყო და უხეშიც, სანტიმენტალურიცა და შეუბრალებელიც. იგი აღტაცებით შესცქეროდა ხელოვნების ნიმუშებს და იმავე დროს უმოწყალოდ ჟლეტდა ქალებსა და კაცებს, დიდებსა და პატარებს.

შემდეგ დიტრიჰი ამტკიცებს, რომ ამგვარი „ორსულოვნება" (Doppelgeistigket) მისი ბედისწერაც იყო და დანაშაულიც. მან გააღმერთა თავისი ხალხი და მანვე დაღუპა იგი. ჰიტლერმა იცოდა უმთავრესის დანახვა, ჰქონდა გასაოცარი მეხსიერება, დაუშრეტელი ფანტაზია, ციკლოპური ნებისყოფა, წარმოსახვის არაჩვეულებრივი ძალა, გადაწყვეტილებათა გაბედულება. ეს უნარი ზოგჯერ გენიალობას აღწევდა. სამაგიეროდ ასევე ძლიერი იყო ცდუნებანი: რასიული

თეორია, რელიგიის დათრგუნვა, მორალის ყოველგვარი კანონის უარყოფა, სულიერი პრიმიტიულობა, წარმოუდგენელი სიბრმავე და უუნარობა სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში.

— ჰიტლერი გაგებულ უნდა იქნეს თავისი პოლარულობითა და შინაგანი წინააღმდეგობებით, თორემ ისე, ჩვეულებრივი ბუნებრივი საზომებით, მისი წარმოდგენა არ შეიძლებაო, — დაასკვნის იგი...

...ბრალდებულმა ჰანს ფრანკმა ამ საკითხს უფრო ხელსაყრელი მოდუსი მოუძებნა. როცა ჯილბერტთან საუბრის დროს ჰიტლერის ბოროტმოქმედებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, იმანაც გოეთეს ავტორიტეტს მიმართა:

— გაიხსენეთ გოეთეს სიტყვები „ორი სულის“ (zwei Seele) შესახებ და ნუ გავიწყდებათ, რომ ის მეორე გავიდა ჩვენგან...

იმ „მ ე ო რ ე შ ი“ ფრანკი, ალბათ, თავის დემონურ „ს ხ ვ ა ს“ გულისხმობდა. ანგარიშიც ასეთი ჰქონდა: ყველა ბრალდებულს თავისი „მ ე ო რ ე“ ჰყავდა, თავისი დემონი, რაც საბოლოოდ ო რ ი ს მ ე ს ა მ ე შ ი — ჰიტლერში განსახიერდა. ჩადენილ ბოროტმოქმედებათა პასუხისმგებლობაც იმ მ ე ს ა მ ე ს აწევს—ჰიტლერს, მეუფეს ჯოჯოხეთისას. ამიტომ მასში პირველი ორის ძიება უკვე უაზრობაა. ოკეანეც მრავალ მდინარეს იერთებს, მაგრამ მის ტალღებში ვინ დაიწყებს ძებნას, სად რომელი მდინარის წყალია...

ასეა. დამნაშავე ყოველთვის სხვაა: ერთის მეორე ან ორის მესამე. პასუხისმგებელიც ისაა. ამიტომ იყო, რომ კალტენბრუნერივით ყველა მესამე პირით ამჯობინებდა საკუთარი დანაშაულის შესახებ თხრობას და თითს სულ იმ „მ ე ს ა მ ი ს ა კ ე ნ“ იშვერდა:

— მთელი ამ საშინელების პასუხისმგებლობა აწევს ერთადერთ კაცს, ადოლფ ჰიტლერს, — თქვა ფრანკმა. ეგონა ამით მოიხსნიდა მძიმე დანაშაულს და ყველაფერს „იმ სატანას“ — ჰიტლერს გადააბრალებდა, თვითონ კი მდინარესავით ჩაიკარგებოდა დანაშაულობათა იმ ოკეანეში...

მერე ფრანკს სხვებმაც აუბეს მხარი, ისეთებმა, ნიცშესი არ იყოს, „მკვდარ ლომს რომ აწიწკნიან ულვაშებს“ და ხელმეორედ უპირებენ გაკვრას ჯვარცმის ნაცისტურ ნიშანზე — სვასტიკაზე, თვითონ კი ოცდაათ ვერცხლს თხოულობენ მოწყალებად.

ამისთვის უნდოდათ: „ჰიტლერი“, „დემონი“ თუ „სატანა“ სინონიმურ ცნებებად ექციათ და იდუმალების ბურუსში გაეხვიათ მათივე „შემაძრწუნებლად მეორის“ სახე.

ამან გაართულა კიდეც პასუხი კითხვაზე:

— ვინ იყო ეს ჰიტლერი და როგორ ჩაიგდო მან ხელთ ამდენი ძალაუფლება?..

სამარცხვინო დიდება...

უნდა ითქვას, რომ ჰიტლერის „კარის ბიოგრაფებიც“ გამოცანად თვლიდნენ ამ „იდუმალებით მოსილი“ პიროვნების გამოჩენას პოლიტიკურ არენაზე. მართალია, ომის დროს და ნიურნბერგის პროცესზე სულ გაშიშვლდა ჰიტლერის საშინელი მიზნები და საქმეები, მაგრამ მის პიროვნებას მაინც არ მოშორდა „იდუმალების“ აჩრდილი. ჰიტლერი დღესაც ისეთივე გამოცანაა, როგორიც მაშინ იყო. ჩანს, ვერც მისი უახლოესი თანამებრძოლები გაერკვნენ ამ „კურიოზულ საოცრებაში“. ადრეც და შემდეგაც ისინი სულ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდნენ მათი კერპის შესახებ.

— ჰიტლერი თავისი ერის დიდებისათვის წამებულთა რიცხვს მიეკუთვნებაო, — ამბობდნენ ისინი, ვინც ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ ფიურერისა.

— ისტორიას ისეთი შემზარავი ადამიანი არ ახსოვს, როგორიც იყო ჰიტლერი, — თქვა მისმა ადრინდელმა მეხოტბემ ფრანც ფონ პაპენმა.

— ჩვენი ფიურერი ყოველთვის ავადმყოფი კაცი იყო, — „გაამხილა“ ფელდმარშალმა კაიტელმა.

— მასში დემონმა თანდათან სძლია გენიოსს, — წერდა გენერალი გუდერიანი.

1945 წლის აპრილში, როცა ჰიტლერის „მესამე იმპერი-

ის“ დღეები უკვე დათვლილი იყო, რიბენტროპი მივიდა ჰიმ-ლერთან და სთხოვა ჩაეგონებინა ჰიტლერისათვის, რომ ომი უკვე წაგებულია და საჭიროა რამე გადამწყვეტი პოლიტიკუ-რი ზომების მიღება. ამაზე ჰიმლერს „თავის ფიურერზე“ უარესმა ისტერიამ მოუარა და იყვირა:

— რა უნდა ჩავაგონო! განა ამდენ ხანს არ იცოდით, რომ ის გიჟია?!..

ადრე კი ყველა მარილს ნაყავდა თავით მის წინაშე და ხელს უწყობდა „იმ გიჟი ეფრეიტორის“ უზომოდ განდიდე-ბას. მერე ისეთ მაღალ კვარცხლბეკზე შეაყენეს, „რომლის მსგავსი არც ერთ გერმანელს არ ღირსებიაო“, — წერს ში-რერი. იგი სიცოცხლეშივე იქცა მითად, არარეალურ არსებად, „ღმერთად“. ამით თვითონაც დაკარგა წონასწორობა და თავი მართლაც „განგებისაგან მოვლენილ“ მესიად წარმოიდგინა. იმას კი არად აგდებდა, რომ ეს მძიმე კვარცხლბეკი მისივე ხალხის ზურგზე იყო დადგმული. იგი ეფრეიტორის „ტალახი-ანი ჩექმებით“ აძვრა ამ კვარცხლბეკზე, გადაუარა ადამიანთა თავებს და ისე მიუშვა სადავეები თავის დემონებს, რომ უფს-კრულის პირასაც ვეღარ შეძლო მათი შეჩერება...

ასე „სხვის ზურგსა და თავებზე“ ამაღლებულ, განდიდე-ბის მანიით შეპყრობილ „ზეადამიანზე“ წერდა ნიცშე:

— თუ შენ გინდა ახვიდე მაღლა, ადი საკუთარი ფეხით. ნუ მოინდომებ აგიტანონ იქ და ნურც დაჯდები სხვების ზურგ-სა და თავზე.

მერე თითქოს მიუბრუნდა იმას, ვინც ეს შეგონება არ შეისმინა, და უთხრა:

— ახ, შენ მაინც შეჯექი ცხენზე და ამაყად მიემართები მიზნისაკენ? გასწი, მეგობარო! მაგრამ გახსოვდეს, რომ შენი კოჭლი ფეხი იმ ცხენზედაც შენთან იქნება. მერე კი, როცა მი-ზანს მიაღწევ და ჩამოხტები იქ, სადაც შენი სიმაღლეა, ო, უმაღლესო ადამიანო, წაიფორხილებ და დაეცემი...

მაკედონელის ბუცეფალზე შემჯდარ ჰიტლერსაც ასე მოუვიდა. ან ისევ ბიბლიურ ალეგორიას რომ მივმართოთ, ისიც შეჯდა „ცხენსა მწუანესა ბოროტისასა“, თუ „ცხენსა შავსა სიკუდილისასა“, რომ ხალხებისა და სახელმწიფოების

თავებზე გადაევლო, მაგრამ ჩამოაგდეს და ის მიზანი კი არა, „კოჭლი ფეხებიც“ არ შეარჩინეს...

...როგორც არ უნდა იყოს, ამგვარი სამარცხვინო დიდება ჯერ მართლაც არავის მოსწრებია. არც ასეთი განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონია ვინმეს. თვით უდიდესი დესპოტებიც კი სხვებს ეკითხებოდნენ რამეს ან ფორმალურად მაინც იცავდნენ რაღაც ნორმებს, რაც ნიღბავდა ერთი კაცის ესოდენ განუსაზღვრელ ძალაუფლებას. აქ კი ზომიერების არავითარი საზღვარი არ არსებობდა. მერე საქმე იქამდეც მივიდა, რომ თვით „ღვთაების“ ცნებაც შეიცვალა „ფიურერის“ ცნებით. თუ უწინ ღმერთს იფიცავდნენ, მერე ფიურერზე გადავიდნენ.

ჩვეულებრივად, ნაცნობი რომ ნაცნობს შეხვდება, რამე სასიამოვნოსა და კეთილშობილურს ეტყვის, გამარჯვებას ან მშვიდობას უსურვებს. ასეთ ფიცსა და მისალმებაში ერის კულტურა და ხასიათი მჟღავნდება. „მოღალული მზის მადლმაო“, ფშაველი რომ იტყვის ან ვინმე თავს დარბაისლურად დაუკრავს მოკეთეს და, „შენი ამჯობინოს შენის მტრისასაო“, დააყოლებს, კაცს რაღაც ამაღლებული გრძნობა გიჩნდება. ნიურნბერგში კი ამერიკული მისალმების „ანგარიშიანობამ“ გამაოცა. შეხვდება ერთი მეორეს და ძაღლუმადურად მიუგდებს:

— Make money! — ფული გეშოვნოსო.

გერმანელების ფიცი და მისალმება ყოველთვის კეთილშობილური ხასიათისა იყო. დილა იქნებოდა, შუადღე, თუ საღამო, ისინი ღმერთს ახსენებდნენ და სიკეთეს უსურვებდნენ ნაცნობ-მეგობრებს. ნაცისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ კი ყველასათვის სავალდებულოდ იქცა ადრინდელი პარტიული მისალმება—„ჰაილ ჰიტლერ!“ — დიდება ჰიტლერსო. ნაცნობი რომ ნაცნობს შეხვდებოდა, ხელი წინ უნდა გაეშვირა და „დილა მშვიდობისას“ ნაცვლად „ჰაილ ჰიტლერო“ დაეძახა.

განცვიფრებული გერმანელები კითხულობდნენ, რატომო. მაგრამ როცა სპეციალური ბრძანებებიც გამოიცა ამის თაობაზე, მიხვდნენ, რომ სხვა გზა აღარ ჰქონდათ. ვინც „ჰაილ ჰიტ-

ლერის" ნაცვლად დაწერებულებაში „დილა მშვიდობისაო" იტყოდა, სამსახურიდან ხსნიდნენ. ასეთ „საქმეებს" ე. წ. „შრომითი ტრიბუნალები" არჩევდნენ. ნიურნბერგში მე რამდენიმე ამგვარი „საქმე" მაქვს წაკითხული. ოსნაბრიუკის „შრომითი ტრიბუნალის" 1935 წლის 30 ივლისის განაჩენში წერია:

— დადგენილია, რომ რუდოლფ შტინგჰოფი საწარმოში სისტემატურად არ ესალმებოდა თავის ამხანაგებს სიტყვებით — „ჰაილ ჰიტლერ", ე. ი. ადგილი ჰქონდა არა შემთხვევით დანაშაულს, არამედ წინასწარ განზრახულს. 1935 წლის 19 ივლისს, როცა მოპასუხე შევიდა მომჩივანთან და მიესალმა სიტყვებით — „ჰაილ ჰიტლერ", მან უპასუხა „დილა მშვიდობისა".

ტრიბუნალი ადგენს: მომჩივან რუდოლფ შტინგჰოფს უარი ეთქვას სამსახურში აღდგენაზე.

საფუძველი: „შრომითი ტრიბუნალის" წესდება, მუხლი 3—23 f...

...მიუხედავად ამგვარი რეპრესიებისა, გერმანელები ასე ადვილად მაინც ვერ მიეჩვივნენ ნაცისტურ მისალმებას. ერთხანს რაღაც გარდამავალი ფორმაც არსებობდა, მაგალითად, ასეთი: „დილა მშვიდობისა და ჰაილ ჰიტლერ, ჩემო ბატონო!" ან კიდევ: „ჩემი უმორჩილესი ჰაილ ჰიტლერ, მოწყალეო ქალბატონო!" მერე ნაცისტურ მისალმებას ეს „ძველმანებიც" ჩამოშორდა და მოკლე „ჰაილ ჰიტლერ!" დამკვიდრდა.

ყოველგვარი სამსახურებრივი დოკუმენტი და მიმოწერა, კერძო წერილები თუ სხვა რამ ამ „ჰაილ ჰიტლერით" თავდებოდა. ზოგი ისეთ გულმოდგინებას იჩენდა, რომ ერთის მაგივრად სამგზის „ჰაილ ჰიტლერს" წერდა.

იყო ერთგვარი დაბრკოლებაც. ვთქვათ, რამე არასასიამოვნო დოკუმენტი დგებოდა: დასჯის, სამსახურიდან მოხსნისა თუ დაპატიმრებისა, ან კიდევ, თავისი გაჭირვების შესახებ წერდა ვინმე: ვშიმშილობ, სამსახური ვერ ვიშოვე, უბედური ვარო თუ სხვა ასეთი,—სულერთია, ბოლოში მაინც უნდა მიეწერათ „ჰაილ ჰიტლერ!" ზოგი ამას ირონიულად იყენებდა, წერდა: „ჩვენთან ძეხვი არ იშოვება, ჰაილ ჰიტლერ!",

„ფასებმა საშინლად აიწია, ჰაილ ჰიტლერ!“ და ა. შ. ამაში გესტაპოელებმა დაცინვა დაინახეს და დადგინდა ამიერიდან „ჰაილ ჰიტლერ!“ მხოლოდ „სასიამოვნო დოკუმენტებისა და წერილებისათვის“ მიეწერათ.

მერე ჰიტლერის დაბადების დღესაც შობასავით დღესასწაულობდნენ. ჯვარცმის ნიშანიც ნაცისტური სვასტიკით (Hakenkreuz) შეცვალეს. ამის შემდეგ ყველგან ეს „გადაჯვარედინებული წერაქვები“ იყო გამოხატული, სახელმწიფო გერბით დაწყებული და დროშებით დამთავრებული. მკლავებზედაც ეს ნიშანი ჰქონდათ გაკეთებული ნაცისტური პარტიის წევრებს, ესესელებსა და მოიერიშე რაზმელებს. ასეთივე მდგომარეობა იყო არმიაშიც. თუ უწინ ჯარისკაცები და ოფიცრები სამშობლოს წინაშე დებდნენ ფიცს, მერე მხოლოდ ჰიტლერი დარჩათ საფიცარი. ფიცის ტრადიციული ტექსტიც ასე შეიცვალა:

„ვფიცავ შენს სახელს, ადოლფ ჰიტლერ, რომ უყოყმანოდ შევასრულებ ყველა ბრძანებას, რასაც შენ ან შენ მიერ ჩემ უფროსად დანიშნული პირები მომცემენ!“

ასე შეიქმნა მითი „ღვთაებრივი ადამიანის“ შესახებ, რომელსაც თაყვანსა სცემდა მთელი ნაცისტური გერმანია...

ღვთაებრივი სიშმაგე...

ცალკეული პიროვნების ამგვარი განდიდება ყოველთვის ტრაგიკული იყო ერისათვის. ეს ამ შემთხვევაშიც დადასტურდა: მოკავშირეთა გაერთიანებული ძალებით „მესამე იმპერია“ დამხობილ იქნა. კაცობრიობა შეაძრწუნა „განგების მიერ მოვლენილი“ ფიურერისა და მისი თანამოაზრეების საშინელმა ბოროტმოქმედებამ. ამან ჰიტლერის ყოფილი მეხოტბენიც დააბნია. ნიურნბერგის პროცესზე, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ყველა ბრალდებული ჰიტლერს სდებდა ბრალს „გერმანელი ხალხის ამ გაუგონარ ტრაგედიაში“.

მერე რომ იკითხეს, ერთი კაცი ამდენ დანაშაულს როგორ ჩაიდენდაო, დაასახელეს სხვებიც: ჰიმლერი, გებელსი, ჰაიდ-

რიხი, ლეი,—მხოლოდ ისინი, ვინც უკვე აღარ იყო ცოცხალთა შორის.

— დიდება შენდა, ღმერთო! — წამოიძახა ამაზე ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა, — როგორ ხდება, რომ დამნაშავეა ყველა, ვინც მოკვდა, ხოლო ვინც ცოცხალი დარჩა, უდანაშაულოა!..

პროცესის შემდეგაც აუარებელი ისტორიული და მემუარული ხასიათის წიგნი დაიწერა ამის თაობაზე, მათ შორის ე. წ. „ჰიტლერის გამოცანაზედაც". თანამედროვე ქაცობრიობის თვალწინ შექმნილი მითი მოითხოვდა თავის რეალურ განზომილებათა დადგენას. ეს კი არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ჰიტლერის როგორც „ღვთაებრივი პიროვნების" გარშემო იმდენი ლეგენდა შეიქმნა, რომ ამ „გველის გორგალს" თავი და ბოლო ვერავინ უპოვა, ვერც მაშინ და ვერც მერე. ახლაც ბევრი იწერება ამის გარშემო. ერთნი ისევ ბიბლიას იმარჯვებენ და ამბობენ, რომ იგი იყო „გუელი დასაბამისაჲ, რომელსა ეწოდების ეშმაკი და სატანა, ანუ რომელი იტყუის თავსა თუისსა წინაჲსწარმეტყუელად, და ასწავლის და აცთუნებს ყოველსა სოფელსა...", მეორენი ისევ „ღვთაებრივად შთაგონებულ" ქადაგს უწოდებენ მას. ყოფილი თანამშრომლები წერენ: ყოველთვის ვიცოდით, არანორმალურ ადამიანთან რომ გვქონდა საქმეო. ზოგნი „ბოროტების გენიადაც" თვლიდნენ მას. ჰიტლერის „გენიალობა" არც იმათ ეეჭვებათ, ვინც შეძრწუნებულია მისივე ბოროტმოქმედებით.

ეს პარადოქსია! ბოროტმოქმედი არ შეიძლება გენიოსი იყოს. ჯერ კიდევ პუშკინი ამბობდა: „Гений и злодейство две вещи несовместные". ეს მარტივი ჭეშმარიტება ავიწყდება ყველას, ვინც ბოროტმოქმედთ, მკვლელებსა და დესპოტებს გენიოსის დაფნის გვირგვინს სთავაზობს. უფრო მოკრძალებულნი კი უკან დასახევ გზას იტოვებენ და წერენ, „ჰიტლერი გენიოსი იყო, მაგრამ არა ჭკვიანიო", თანაც დასძენენ: „ჭკუა გენიოსისთვისაც საჭიროაო".

ზოგისთვის იგი გენიალობისა და შეშლილობის მიჯნაზე მდგარი დემონური პიროვნებაა, ხოლო ზოგს არც ის ეუხერხულება, „შეშლილი" ან „უჭკუო გენიოსი" უწოდოს მას.

ენას ძვალი არა აქვს და არც ქაღალდი წითლდება, როცა ასეთ უხამსობას წერენ! მერე ისიც თქვეს, ჰიტლერი „დემონური გენიოსიაო“. ამის „დასამტკიცებლად“ კლასიკური ფილოლოგიაც მოიმარჯვეს. ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, დემონი ღვთაებრივი არსება იყო, რაღაც საშუალო ღმერთსა და ადამიანს შორის. ამიტომ რომაული „გენიუს“ იმასვე ნიშნავს, რასაც ბერძნული „დაჟმონიო“.

თუმცა რაღა ასე შორს მივდივართ, როცა ჩვენს საუკუნეშიც ბევრი ცდილობს შეშლილობა რაღაც „ღვთიურ ნიჭად“ მიიჩნიოს. ასეა ლომბროზოდან დაწყებული იასპერსამდე, რომლის აზრითაც სულიერი ავადმყოფობა პიროვნების რღვევის ნიშანი კი არ არის, არამედ „ადამიანის მიერ თავისი ინდივიდუალობის გამახვილებული ძიებისა“.

სულ სხვა აზრისა იყვნენ ჰიტლერის პირადი ექიმები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „მათი ფიურერი“ ისტერიის მძიმე ფორმით იყო დაავადებული. ვინც მის ავადმყოფობას სწორი დიაგნოზი დაუსვა—პარკენსონის სენი, მაშინვე გააქრეს. „ისტერიას“ კი ვერაფერი მოუხერხეს, რადგან ყველა ხედავდა, ლაპარაკის დროს რომ დორბლი მოსდიოდა და ტუჩებს წამდაუწუმ ცხვირსახოცით იწმენდდა. იმასაც ამბობდნენ, ასეთი ისტერიული ლაპარაკით იქარვებდაო ეპილეფსიის შეტევებს. ხედავდნენ კიდეც, ისტერიის დროს იატაკზე რომ ეცემოდა და, გერინგის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხალიჩას სძოვდა“. მისი მეხოტბენი ამას იმით „ხსნიდნენ“, თითქოს იგი „ზეშთაგონებულად შეშლილი“, ანუ „შმაგი გენიოსი“ იყო. „სწავლული“ ბიოგრაფებიც ხელს უწყობდნენ ასეთი მითის გავრცელებას. ისინი ერთმანეთს უკავშირებდნენ ცნებებს: „შეპყრობილი“, „შეშლილი“, „შმაგი“, „ეპილეფტიკი“ და სხვა ამგვართ. ექიმები აცხადებდნენ, რომ სიტყვა „ეპილეფსია“ სწორედ „შეპყრობილობას“ ნიშნავსო. ძველი რომაელების განმარტებით, ეპილეფსიით დაავადებულნი შეპყრობილი არიანო „ზებუნებრივის, რაღაც ღვთაებრივი ძალით“. ჰიპოკრატეს გადმოცემით, ეპილეფსია ღმერთების — კიბელას,

პოსეიდონის, ჰეკატას, აპოლონისა და არესის სახელებს უკავშირდება.

თუ ასეთ ანალოგიაზე მიდგება საქმე, ჰიტლერის „ღვთაებრივი ეპილეფსია“ უფრო ომის ღმერთის—არესის სიშმაგეს ჰგავდა. ქადაგების დროს ის ცოფსა ჰყრიდა, წარამარა მუშტებს იქნევდა, ფეხებს იატაკზე აბრახუნებდა, თვალები სულ გადმოცვენაზე ჰქონდა და სახეზედაც ხვითქი გადასდიოდა. მერე ექსტაზში რომ შევიდოდა, საყელოს ჩამოიგლეჯდა და ისეთი შემზარავი ხმით გაჰკიოდა, რომ მსმენელები გოგნებული შეჰყურებდნენ ან მასთან ერთად შმაგობდნენ და მართლაც შეშლილებივით ღრიალებდნენ:

— ჰაილ ჰიტლერ!..

არა „გაუმარჯოს ჰიტლერსო“, არამედ „დიდება ჰიტლერსო“, რადგან სიტყვა „heil“-ის ზედსართავი ფორმა „heilig“ „ღვთაებრივს“, „დიდებულს“ ნიშნავს.

იუმორის მოყვარულები კი სულ სხვა ინტონაციას აძლევდნენ ამ „heil“-ს. საკმარისი იყო აქ ოდნავ შეეცვალათ მახვილი, რომ იმავე სიტყვას ბრძანებით კილოში სულ სხვა მნიშვნელობა — „განკურნეთ!“ — მისცემოდა. ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ „გაბედეს“ და თქვეს კიდეც: როცა ბრბო ღრიალებდა Heil Hitler-ს, ერთნი „დიდება ჰიტლერს“ გულისხმობდნენ, მეორენი კი — „უმკურნალეთ ჰიტლერსო“...

...ჰიტლერი კი სულაც არ აპირებდა მკურნალობას. პირიქით, ამაყობდა კიდეც თავისი „ღვთაებრივი სიშმაგით“. იქნებ ამიტომაც იყო, რომ გებელსი ასეთ ადგილებს უკითხავდა მას პლატონის „თიმეოსიდან“:

— წონასწორობის მქონე სულს არ შეუძლია იყოს ჭეშმარიტად შთაგონებული. შთაგონება მაშინ წარმოიშობა, როცა პიროვნების უნარი შებოჭილია ძალით, ავადმყოფობით ან რამე ღვთაებრივი გაცოფებით.

ასეთი გაცოფება ჰიტლერს არ აკლდა. ამიტომაც მოსწონდა იმავე პლატონის სიტყვები:

— ვინ მოგახსენათ, რომ სიგიჟე (სიშმაგე) ბოროტებაა!

პირიქით, ღმერთების მიერ შთაგონებული სიგიჟის მეოხებით გვენიჭება ჩვენ უდიდესი მადლი.

ამგვარი „შთაგონების“ შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ. ის კი ფაქტია, რომ რომაელების აზრითვე „შეშლილებს“, ანუ „შეპყრობილებს“ „ველური გამოხედვა ჰქონდათ, ტუჩებზე დორბლი მოსდიოდათ და ავადმყოფური ხმით ლაპარაკობდნენ“...

...სწორედ ასეთი იყო ტრიბუნაზე ადოლფ ჰიტლერი. როგორც ჩანს, იგი აქაც კალიგულას ბაძავდა. არც მსოფლიოს უდიდესი ორატორის ციცერონის სიტყვები იყო მისთვის უცნობი:

— ადამიანში არის ღვთის მიერ მონიჭებული უნარი წინათგრძნობისა, რაც დამოუკიდებელია სხეულისაგან. როცა მათ შორის კონფლიქტი მწვავდება, თითქოს სული სწყდება სხეულს და ირყევა საშინელ ექსტაზში, რასაც ეწოდება სიშმაგე (furor).

მე უამრავი დოკუმენტური ფილმი მინახავს, სადაც ჰიტლერის გამოსვლებია გადაღებული. კასელისა და ნიურნბერგის სამსახურებრივ კინოდარბაზებში რამდენიმე დღე ვუყურებდი და ვუსმენდი მის ისტერიულ ქადაგებებს მიტინგებსა და რაიჰსტაგის სხდომებზე. ალბათ, ბევრ თქვენგანსაც უნახავს ცალკეული ეპიზოდები ასეთი ფილმებიდან. ეს მართლაც სიგიჟეა, ჯოჯოხეთის ყრილობა, ვალპურგის ღამე ბროკენის მთაზე ან უარესი... „შმაგი ორატორის“ ისტერიული კივილი, „ქვენა გრძნობებს აყოლილი ბრბოს“ ღრიალი, მუშტების ქნევა და იარაღის ჟღარუნი.

კალიგულა ისტორიაში...

ბრალმდებლებმა ნიურნბერგის პროცესზე უამრავი დოკუმენტი წარადგინეს იმის დასადასტურებლად, თუ რა დიდი მსხვერპლი მოჰყვა ჰიტლერის ამგვარ სიშმაგეს. გაიხსენეს მსოფლიოს უდიდესი დესპოტები, კეისრები თუ იმპერატორე-

ბი, მაგრამ ყველაზე ხშირად ისევ იმ ვაი-კალიგულას სახელი ისმოდა ტრიბუნალის სხდომათა დარბაზში.

— კალიგულას სული გაგრძელდა ისტორიაში და ჩვენს საუკუნეს მოევლინა როგორც ადოლფ ჰიტლერი, — თქვა ინგლისელმა ბრალმდებელმა შოუკროსმა და სენაკას ნათქვამიც გაიმეორა:

— ბუნებამ კალიგულა იმიტომ შექმნა, რომ ეჩვენებინა, სანამდე შეიძლება მივიდეს უსაზღვრო გახრწნილებისა და ძალაუფლების ერთიანობა.

ამით, ალბათ, უნდოდა, თავისი ზიზღი გამოეხატა თანამედროვეობის „ყავისფერი კალიგულასადმი“, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ამას, როცა თვით ის „კეისრის ნაბუშარი“ ამაყობდა ამგვარი შედარებით. „მე კალიგულა ვარო“, რამდენჯერ უთქვამს ჰიტლერს სისხლისა და ნგრევის სიშმაგით შეპყრობილს!..

ჟან ანუის პიესის „კალიგულას“ ფინალში შეთქმულთა მიერ სასიკვდილოდ დაჭრილი იმპერატორი არც თავის ბედისწერას ნებდება და ჯოჯოხეთური ხარხარით ყვირის:

— მე ცოცხალი ვარ!..

ისევ ჩასცემენ მახვილს, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... კალიგულა კი მაინც ხარხარებს:

— მე ისევ ცოცხალი ვარ!..

კალიგულები არა კვდებიან. ისინი სახეს იცვლიან მხოლოდ და კვლავ ხანგრძლივობენ ისტორიაში. ვაი-კალიგულამაც ეს მიაწყევლა შთამომავლობას...

შეთქმულები კვლავ მახვილსა სცემენ მას, მაგრამ ისევ ის შემზარავი ხრიალი ისმის:

— მე მაინც ცოცხალი ვარ!..

დაბოლოს:

როცა მახვილს გულში გაუტარებენ, უკვე უკანასკნელად, მაგრამ ისევ ზიზღნარევი ხარხარით წამოიძახებს:

— ისტორიაში, კალიგულა, ისტორიაში!..

ეს ძახილი დღემდე ანათემად მოსდევს კაცობრიობას...

...და აი, იმ დროიდან ჩვენ დრომდე მოდიან დიდი თუ პატარა კალიგულები, რომელნიც ისევ იმ ავბედითი რომაელი

იმპერატორის პოზაში დგანან და სულს უხუთავენ კაცობრიობას. თქვენ თვითონ ადვილად გამოიცნობთ მათ, როცა ვაიკალიგულას ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს გაიხსენებთ:

არ იქნა და ვერ დაცხრა პატივმოყვარეობა კალიგულასი. იგი შთააგონებდა რომაელებს, რომ ღმერთები კვლავ ჩამოვიდნენ დედამიწაზე და განსახიერდნენ კალიგულას პიროვნებაში. მან რომში ჩამოაზიდვინა ოლიმპის ღმერთების ძეგლები, ყველას თავი წაამტვრია და საკუთარი დაადგმევინა მათ ადგილას. მერე უზენაესი ღვთაების ტაძარი ააგებინა, რომელშიც იუპიტერის ნაცვლად თავისივე ძეგლი დადგა. ამის შემდეგ ხალხს აიძულებდნენ „იუპიტერი“ ეწოდებინათ მისთვის. თუ თვითონ, როგორც მოკვდავს, ეჭვი შეეპარებოდა ამაში, მუშტის ქნევით ემუქრებოდა არსთა გამგებელს:

— მეც ამამაღლე, თორემ!..

ზოგჯერ ზევს-იუპიტერის ტანისამოსს იცვამდა, მისი ქანდაკების გვერდით დგებოდა და თავის პალადინებს ეკითხებოდა:

— ვინ უფრო დიადია, მე, თუ ის?

კარის მსახურებს კალიგულასი უფრო ეშინოდათ, ვიდრე ღმერთებისა, და, „რა თქმა უნდა, თქვენო“, — შეჰღაღადებდნენ მას... მხოლოდ აპოლესი შეაწუხა სინდისის ქეჯნამ, ოდნავ შეყოყმანდა და პასუხის გაცემა დაუგვიანა.

იგი მაშინვე მოაკვლევინა კალიგულამ.

მისი ხასიათი იყო მისივე დემონი. რასაც ხედავდა, ყველაფერი თავისი უნდოდა ყოფილიყო. იმას სწუხდა მხოლოდ, მთვარე რომ არ იყო მისი თანამწოლი. ღამღამობით მთვარეულივით დაბორიალობდა სასახლის ბაღში და სარეცელისაკენ მოუხმობდა ცის მნათობს. მთვარე, რა თქმა უნდა, ყურს არ უგდებდა მის ხვეწნასა და მუქარას. იგი დიდებულად მიცურავდა ცის უზარმაზარ სივრცეში. შეურაცხყოფილი კალიგულა კი შეპყრობილივით ღრიალებდა, შმაგობდა და მოითხოვდა, ბორკილდადებული მომგვარეთო მთვარე საწოლში... თან იმას სწუხდა, ძალა რომ არა ჰქონდა მზე დასავლეთიდან ამოეყვანა... სულ იმის ფიქრში იყო შეუძლებელი როგორ ექცია

შესაძლებლად: უნდოდა ზღვები მიწით ამოევსო, მთები მინდვრებთან გაესწორებინა, მინდვრებზე კი მთები დაედგა, სასახლეები მიუვალ ადგილას აეგო ან ზღვიდან ამოეყვანა.

იგი შეპყრობილი იყო მკვლელობის ჟინითა და ტანჯვის საზიზღარი სიტკბოებით. საკუთარი ხელით აწამებდა „დამნაშავეებს“ და ერთობოდა „მხიარული სიკვდილის“ გამოგონებით.

— მე ვაიძულებ ტანჯვას იხარხაროს ჩემ წინაშე, — ამბობდა იგი. თუ შვილს კლავდა საშინელი წამებით, მამას აიძულებდა ეყურებინა, მერე კი გვერდით მოისვამდა და უბრძანებდა მხიარული სახე მიეღო.

— შეიძლება თვალები დავხუჭო? — გაუბედა მას კაიუსმა, როცა მის ვაჟს კლავდნენ.

კალიგულამ ჯერ შვილი მოაკვლევინა, მერე — „თავხედ› მამა“. სისასტიკე იყო მისი სტიქია, ამისათვის შესთხოვდ› ღმერთებს, „განავრცეთ ჩემში პირუთვნელი სისასტიკე“. კლავდა კი ნელ-ნელა, რომ დამტკბარიყო მომაკვდავთა აგონიით. მისი აღმზრდელი ტიბერიუსი ამბობდა, „მე ვზრდი მორიელს საკუთარი თავისა და ქვეყნის დასაღუპადო“. დაიღუპა კიდეც. კალიგულამ რომ მოაწამვლინა იგი, თვითონ ბალიში დაადო სახეზე, დააწვა და გაგუდა. საკუთარი ძმაც აღარ დაინდო, აღარც მშობლები და დები. იმით ამაყობდა, სისხლის აღრევის შედეგი რომ იყო, და თვითონაც მრუშობდა საკუთარ დებთან. წვეულებაზე რომელიმე პატრიციუსის მეუღლე თუ მოეწონებოდა, ყოველგვარი მორიდების გარეშე გაიყვანდ› მეზობელ ოთახში, მერე ისევ „გამხიარულებულ“ ქმარს მიჰგვრიდა და აიძულებდა მადლობაც ეთქვა.

სიყვარულით გახელებაც იცოდა. ვისაც კი შეიყვარებდა, ყველას ღუპავდა. რომ უყვარდა, ისიც აღიზიანებდა. მისი ყველაზე დიდი გატაცება საკუთარი და იყო, მაგრამ ჩქარა ისიც მოაკვლევინა. მერე ციზონიას შეუყვარდა კალიგულა, რომელმაც საკუთარი ხელით დაახრჩო იგი, რომ გაეგო, მართლა თუ უყვარდა იმ ქალს ასე ძლიერ...

ამბობენ, ციზონია ისე მოკვდა კალიგულასათვის, რომ

ოვალიც არ დაუხამხამებიაო. სხვათა სიცოცხლე არაფრად მიაჩნდა, არც მაინ ინტერესები. ასე ეგონა, ძალაუფლების ყველა ფორმა და სიამოვნება მხოლოდ მისთვის იყო გაჩენილი. ამიტომ ღმერთიც უნდოდა ყოფილიყო და ღმერთქალიც. ორივე სქესი ერთნაირად ართობდა. ხან ამბობდა, ალექსანდრე მაკედონელის ტანსაცმელი მაცვიაო, ხან კიდევ მოცეკვავე ქალივით ჭრელ კაბაში გამოეწყობოდა და საბალეტო ნომრებს ასრულებდა. მაყურებლები, რა თქმა უნდა, აღტაცებული უნდა ყოფილიყვნენ მისი „ხელოვნებით“.

ზოგჯერ ლექსების თხზვაშიც მართავდა შეჯიბრებას. აბა, ვინ გაბედავდა მასზე უკეთესი ყოფილიყო. „გამარჯვებულის“ დაფნის გვირგვინი მხოლოდ მისი საკუთრება იყო. ვისაც ირონიას შეამჩნევდა, თავს წააგდებინებდა. ყველაფერში უდიდესი უნდა ყოფილიყო და განუმეორებელი — როგორც იმპერატორი თუ ორატორი, პოეტი თუ მსახიობი და ვინ მოთვლის კიდევ რა...

მეტოქეობას ვერ იტანდა. სხვისი ყველაფერი შურდა. სიმდიდრეც და გარეგნობაც. თვითონ შემზარავი შესახედავი იყო: თხელი, წინ გადმოშლილი თმები ჰქონდა, გადაფითრებული სახე, ველური თვალები, გამხდარი ბარძაყები და უზარმაზარი ტერფი. თუ ვინმეს განსაკუთრებით ლამაზ ქოჩორს დაუნახავდა, თავს მოჰკვეთდა. პტოლომეოსი იმიტომ მოაკვლევინა, რომ ერთხელ ცირკში იმპერატორზე უფრო მდიდრული მოსასხამით მოვიდა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო...

ხარბი იყო, გაუძღომელი, ოქროსა და ვერცხლის მოყვარული. უამრავი სასახლე აიგო. ცხენისათვის ჯერ მარმარილოს საჯინიბო და სპილოს ძვლის ბაგა ააშენა, ოქროს ნალები დააკრა, ძვირფასი ქვებით მოჭედილი ზურგსაფენი გაუკეთა, მერე სასახლეც აუგო, მსახურები დაუყენა, სტუმრები მოუწვია და ბოლოს კონსულადაც მოუნდომა დანიშვნა.

საოცარ ფუფუნებაში ცხოვრობდა. დარბაზებს ოქროთი ავარაყებდა, ოქროს ფილებით მოფენილი ბილიკებით დადიოდა, წვერსაც ოქროსფრად იღებავდა და, როცა სიმდიდრის

ᲡᲘᲨᲛᲐᲒᲔ ᲛᲝᲣᲕᲚᲘᲓᲐ, ᲘᲐᲢᲐᲙᲖᲔ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲧᲠᲔᲕᲘᲜᲔᲑᲓᲐ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲒᲐᲨᲘᲨᲕᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲓ ᲘᲡᲔ ᲙᲝᲢᲠᲘᲐᲚᲝᲑᲓᲐ.

ᲣᲫᲘᲚᲝᲑᲐ ᲢᲐᲜᲯᲐᲕᲓᲐ. ᲦᲐᲛᲘᲗ ᲙᲝᲨᲛᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐ. ᲡᲘᲒᲘᲟᲘᲡᲐ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐ. ᲰᲔᲥᲐ-ᲥᲣᲮᲘᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲬᲝᲚᲥᲕᲔᲨ ᲛᲘᲫᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲗᲣ ᲡᲘᲬᲧᲜᲐᲠᲔ ᲘᲧᲝ, ᲦᲐᲛᲔᲡ ᲗᲔᲗᲠᲐᲓ ᲐᲗᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ. ᲢᲐᲪᲘᲢᲣᲡᲘ ᲬᲔᲠᲓᲐ, „ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲨᲔᲣᲚᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲡᲣᲡᲢᲔᲑᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲭᲔᲕᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲝ“. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲮᲐᲜ ᲑᲠᲐᲚᲛᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ, ᲮᲐᲜᲐᲪ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲐᲓ, ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲐᲠᲡᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲠᲐᲡᲐᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲪ ᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲛᲡᲯᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐᲪ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐᲪ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲔᲥᲣᲜᲔᲑᲓᲐ: ᲣᲪᲝᲓᲘᲜᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲤᲠᲝ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲗᲣ ᲓᲐᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲔᲑᲔᲚᲘᲝ. ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲨᲢᲐᲢᲡ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲘᲪ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲐᲛ ᲠᲝᲚᲡ. ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲨᲔᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲑᲐ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ. ᲖᲝ�გᲯᲔᲠ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲮᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲣᲠᲝᲗᲘ ᲓᲐᲔᲠᲔᲝᲓᲐ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲨᲔᲡᲐᲬᲘᲠᲐᲕ ᲖᲕᲐᲠᲐᲙᲔᲑᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲗᲕᲘᲗ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲨᲔᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲮᲔᲗᲥᲐᲕᲓᲐ...

ᲯᲔᲠ ᲛᲝᲙᲚᲐᲕᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲪᲠᲔᲛᲚᲡ ᲦᲕᲠᲘᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲕᲔ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲗᲐᲜ.

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲣᲜᲘ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲠᲝᲛᲨᲘ, ᲞᲔᲠᲘᲤᲔᲠᲘᲔᲑᲨᲘ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲠᲢᲕᲘᲜᲐᲕᲓᲐ, ᲙᲐᲚᲘᲒᲣᲚᲐ ᲙᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲝᲓᲐ... ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲨᲔᲨᲚᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲙᲐᲠ�გᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲘᲗᲛᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲪᲔᲛᲓᲜᲔᲜ. ᲡᲣᲚᲛᲓᲐᲑᲚᲣᲠᲘ ᲨᲘᲨᲘᲡᲐ, ᲗᲣ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲛᲝᲜᲣᲠᲘ ᲡᲘᲨᲛᲐ�გᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲔᲡ ᲡᲣᲚᲔᲠᲗᲘᲐ: ᲔᲠᲗᲘᲪ ᲛᲝᲜᲣᲠ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲪ. ᲙᲐᲚᲘᲒᲣᲚᲐᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲓᲐ, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲮᲛᲘᲐᲜᲝᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲔᲜᲢᲔᲜᲪᲘᲐ:

— ᲓᲐᲔ, ᲕᲡᲫᲣᲚᲓᲔ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲔᲗ!..

ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲓᲒᲐᲠᲘ...

...ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲖᲔᲪ ᲐᲡᲔ ᲬᲔᲠᲔᲜ. ᲛᲐᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲔᲛᲝᲜᲣᲠᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲜᲔᲑᲐ (dämonisch triebhafte

Wille). მუდამ აღგზნებული იყო, ღამის კოშმარები აწუხებდა, რაღაც აშინებდა, არ აძინებდა, ვერ იტანდა მარტოობას. მის ოთახთან დღედაღამ ყარაულობდნენ ესესელები. მსახურს, როგორც წესი, ზედ კარებთან ეძინა. როცა ჰიტლერი წამოიყვირებდა, თუ ვინმე იმავე წამს არ გაჩნდებოდა მასთან, სულ დასაბმელი ხდებოდა: წამოვარდებოდა, სადღაც გაქცევას აპირებდა, მაგრამ მცველი ესესელები სტაცებდნენ ხელს და უკანვე შეათრევდნენ ოთახში. ისინი შეძრწუნებული იყვნენ თავიანთი ფიურერის საქციელით, მაგრამ რა ექნათ, ასეთი მოვალეობა ჰქონდათ დაკისრებული... ჰიტლერის მდგომარეობა კი თანდათან რთულდებოდა. დაღამებიდან გათენებამდე ბოლთას სცემდა ოთახში ან ლოგინზე ჩამოჯდებოდა და რაღაც გაუგებარ სიტყვებს ისროდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად. მერე რომელიმე კუთხეს მიაშტერდებოდა და შექსპირის შეშინებული ედგარივით იწყებდა ყვირილს:

— ჰი... ჰი... ჰი... ის აქ იყო ახლა, აქ, აი, აქ!..—მიცვივდებოდნენ, დააწყნარებდნენ, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ წამოვარდებოდა:

— ეგერ! ეგერ! კუთხეში! ვინ არის ის? ვინ არის?.. — თან ხტოდა, ფეხებს მიწაზე აბარტყუნებდა. ეუბნებოდნენ, იქ არავინ არისო, მაგრამ მაინც არა ცხრებოდა, ბორგავდა, შიშისაგან ძაგძაგებდა... მერე გაყუჩდებოდა, წამოწვებოდა კიდეც, მაგრამ ჩქარა ისევ წამოხტებოდა და თავიდან იწყებოდა ყველაფერი...

ბოლოს, სულ აიღო ღამით ძილზე ხელი. ზამთარი იყო, თუ ზაფხული, იჯდა ნაპოლეონივით ბუხართან და საუბრობდა ან განკარგულებებს იძლეოდა... დასაძინებლად კი მხოლოდ გარიჟრაჟისას მიდიოდა და, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, 12 საათამდე ვერავინ გაბედავდა მის გაღვიძებას...

...ყველასათვის დიდი სატანჯველი იყო ეს „ღამის სერობანი", განსაკუთრებით მანდილოსანთათვის, მაგრამ რა უნდა ექნათ! ლაპარაკის დროს ჰიტლერი ყველას თვალყურს ადევნებდა, მისმენენ თუ არაო. და თუ ვინმეს შენიშნავდა, სხვა რამეზე ფიქრობსო, ვაი მის დღესა და მოსწრებას!.. სულ ცეცხლის ალში გაატარებდა.

იმ დღესაც მოხდა ასეთი ინციდენტი. ჰიტლერმა შეამჩნია, რომელიღაც სტუმარი რომ არ უსმენდა: ისე, თავისთვის ფიქრობდა რაღაცას. შენიშნა თუ არა ეს, მაშინვე შეწყვიტა ლაპარაკი და ფიქრებში წასულ სტუმარს უყვირა:

— რაზე ფიქრობთ თქვენ ახლა?

იმ საცოდავს შიშისაგან თავგზა სულ აებნა, მაგრამ ისეთი ეშმაკი აღმოჩნდა, რომ მაინც მოახერხა გველის ხვრელში გაძრომა:

— რაზედაც თქვენ, ჩემო ფიურერ! — წამოიძახა მან და სახეზე ნაძალადევი ღიმილი გამოისახა.

— მე ახლა ძაღლებზე ვფიქრობ, ჩემო კარგო, ძალიან მიყვარს ძაღლები! — მიუგო ჰიტლერმა გესლიანად, მაგრამ არც მისი სტუმარი დაიბნა:

— მეც, ჩემო ფიურერ, — მიაგება მან თავის გაგულისებულ ფიურერს,—ჩემი აზრით, ძაღლები ყველაზე საყვარელი ცხოველებია დედამიწის ზურგზე!..

ამაზე ჰიტლერს ცალყბად გაეცინა, ხელი ჩაიქნია და ისევ მიუშვა წისქვილს წყალი...

გავიდა რამდენიმე საათი. სტუმრები ძილს ებრძოდნენ, მაგრამ მაინც დაძაბულად უსმენდნენ მის პაროქსისტულ ქადაგებას... მერე, როცა ფანჯრებს გარიჟრაჟი შემოადგა, მაგდა გებელსი მივიდა ჰიტლერთან, ნაზად მოხვია ხელი და ალერსიანად უთხრა:

— თქვენ კიდევ ერთი მძიმე დღე განვლეთ, ჩემო ფიურერ, ხვალ გელით ახალი!..

სუფრა აიშალა. ღონემიხდილი სტუმრები ჯარისკაცებივით ჩამწკრივდნენ. ჰიტლერმა ჩამოუარა ყველას, ხელი ჩამოართვა, დაემშვიდობა და წავიდა დასაძინებლად...

დელფოსის ტაძარი...

დღიდან დღემდე ასე გრძელდებოდა ეს მტანჯველი „ღამეული საუბრები ბუხრის პირას“ (nächtliche Kaminunterhaltungen). ვინ არ იყო ამგვარ „საუბრებზე“: პარტიული ბოსე-

ბი და კინოვარსკვლავები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, „მაღალი საზოგადოების“ ქერა ქალები; უფრო ხშირად — რუდოლფ ჰესის და, პრუსიის პრინცი ავგუსტ ვილჰელმი, გებელსი და ბორმანი მეუღლეებითურთ, ფოტოგრაფი ჰოფმანი, გენერალი ზეპ-დიტრიჰი და ვინ იცის კიდევ ვინ!

თუ სტუმრები ლაპარაკობდნენ, ჰიტლერი გაჩუმებული იყო. არ უყვარდა „სხვის საუბარში“ ჩარევა. მაგრამ როცა თვითონ დაიწყებდა... მორჩა! უკვე დილამდე ვერავინ ჩამოართმევდა სიტყვას.

რაზე არ ლაპარაკობდა! რომის იმპერიაზე, ინკების საიდუმლოებაზე, ტიბეტურ მისტიკაზე, ვიკინგურ ვეგეტერიანიზმზე, მაკაბელებსა და ფარისევლებზე, მუსიკასა და ხელოვნებაზე, არქიტექტურაზე, რელიგიურ კულტებსა და ძველ აღმოსავლურ წარმოდგენებზე, არიული რასის შორეულ წინაპრებზე, ქრისტიანიზმსა და წარმართობაზე, თეთრსა თუ შავ მაგიაზე, „ებრაელების საწინააღმდეგო ვირუსის“ აღმოჩენაზე, „ბოლშევიკ“ პავლე მოციქულზე და „თულეს“ საზოგადოებაზე, რაღაც უძველესსა და გაუგონარ „ზესულიერ“ ამბებზე... უმთავრესად კი — თავისსავე „ღვთაებრივ ხელდასხმულობაზე“, ნათელმხილველობისა და წინასწარმეტყველების უნარზე.

იჯდა დელფოსის ორაკულივით და ქადაგებდა:

— ადამიანები უსასრულო კლდის გამოქვაბულში ცხოვრობენ. ვარსკვლავები ყინულის მასივებია. ადრინდელი მთვარეები ჩამოცვივდნენ დედამიწაზე, ახლანდელიც ჩამოვარდება. ჩვენ მუტაციის ისეთ ფაზაში შევდივართ, როცა ადამიანები დაეუფლებიან ძალებს, როგორსაც უწინ ღმერთებს მიაწერდნენ. უკვე გამოჩნდნენ კიდეც ზოგიერთები, დროისა და სივრცის მიღმა სფეროდან — სამყაროს მეორე მხრიდან მოსულნი. მარტო ისინი არიან ღირსეულნი, ხოლო დანარჩენი კაცობრიობა ლორწოა, მათი ქრისტიანული ღმერთი კი — მატლების მენახირე. მსოფლიოს მართავს იდუმალი ძალა, იგი დამუხტულია გრანდიოზული ენერგიით, ასევე — ადამიანის ნერვული სისტემაც. სპეციალურ ფსიქიკურ წვრთნას შეუძლია

ეს ძალა მოძრაობაში მოიყვანოს. სხვა ყველაფერი — ოფიციალური ფსიქოლოგიაც, მორალიც, რელიგიაც — მტკნარი სიცრუეა. ჭეშმარიტება მხოლოდ ძველ თქმულებებსა და ლეგენდებშია, აღმოსავლურ მისტიკაში, გარდასულ ეპოქათა ნაშთებში. მათი გაგება წარმოსახვით შეიძლება და არა გონებით. რაციონალიზმი სიგიჟეა. სამყარო გონების ილუზიაა. წარმოსახული უფრო რეალურია, ვიდრე სინამდვილე. ქვეყნის გარდაქმნა შეიძლება აზრის სიძლიერით, მაგიური წვდომითა და შეუზღუდავი სისასტიკით. ამას შეძლებენ განგების იდუმალებას განდობილი უმაღლესი არსებანი, თანაც არა განსჯით, არამედ ინტუიციის მოულოდნელი აფეთქებით...

ჰიტლერი ჭეშმარიტ მეცნიერებას უარყოფდა, გონებასა და ინტელექტს ქირდავდა, სამაგიეროდ „მაგიურ იდუმალებას“ იმოწმებდა ან ეზოტერულ წარმოდგენებს მისდევდა, ეკარტისა და ჰაუსჰოფერის, უფრო კი ჰორბინგერის „კოსმოგონიას“ სწავლობდა, ასტროლოგიას მფარველობდა და თეოსოფიურ მისტიკას აზავებდა იმპერიალიზმის რასიულ თეორიასთან... საბოლოოდ ყველაფერს ერთ ქურაში ყრიდა, მერე „ჯოჯოხეთის ცეცხლს“ უნთებდა, ადუღებდა, ადნობდა და შუასაუკუნეობრივი ალქიმიკოსივით ცდილობდა ნაციონალ-სოციალისტური მოძღვრების „ხელოვნური ოქროს“ მიღებას. ამისათვის რა „მასალას“ გამოიყენებდა, მისთვის სულერთი იყო, „ჯოჯოხეთის ქურა“ მაინც ყველაფერს ერთ ნივთიერებად გარდაქმნიდა.

ფრანგი ისტორიკოსების პოველისა და ბერჟიეს თქმით, ასეთ პირობებში ყველაფერი ერთ მთლიანში შთაინთქმებოდა, სადაც ფორმალურად სრულიად დაუკავშირებელი მოსაზრებებიც მშვენივრად ეგუებოდნენ ერთმანეთს.

— ნაციზმის „მაცოცხლებელი ცეცხლის“ გასაჩაღებლად ყველაფერი ვარგისი იყო, — აცხადებენ ისინი.

თომას მანის აზრით, ჯოჯოხეთის ამგვარი ცეცხლის გარეშე გერმანელს საერთოდ ვერ წარმოედგინა რამე შემოქმედებითი მუშაობა. ჰიტლერს — მით უმეტეს, რადგან იკი „ცეცხლის სტიქიას“ თვლიდა ისეთ უმაღლეს შემოქმედ ძალად,

რომელიც ნთქავს ძველს და აწრთობს ახალს. ამაში ხედავდა იგი თავის მისიას, როცა ცეცხლს აძლევდა ქალაქებსა და სოფლებს ან კრემატორიუმებში წვავდა მილიონობით ადამიანს. მისი რწმენით, როცა კაცობრიობის დეკადანსი და გადაგვარება იწყება, განგების ძალა ცეცხლისა თუ წყლის სტიქიით მოსპობს მას, რათა დასაბამი მისცეს სრულიად ახალ არსებობას. ლემურელთა ეპოქა ცეცხლის ვულკანური ამოფრქვევებით დაიღუპა, ატლანტიდა წარღვნამ წალეკა. შემდგომად ამისა იქნება ცეცხლით, გამოაცხადა ბიბლიამ, და ჩვენმა ეპოქამ მართლაც ცეცხლს მისცა კულტურის უძველესი ძეგლები...

...ისტორიას ახსოვს ამგვარი მაგიურ-მისტიკური ექსტაზით შეპყრობილი ადამიანები, ქურუმები და მოგვები, ვარსკვლავთმრიცხველები თუ მისნები, რომელნიც „სულ სხვა საყაროში“ იხედებოდნენ და მითიური წარმოდგენების უამრავ სახესხვაობას ქმნიდნენ. იყვნენ ფილოსოფოსები, მწერლები და მხატვრები „ქვეყნის მეორე მხარეს“ რომ ეძებდნენ სინამდვილისაგან სრულიად განსხვავებულ არსებობის ფორმებს. იწერებოდა ფილოსოფიური ტრაქტატები და რომანები, იქმნებოდა პოეტური ნათელმხილველობის აბსტრაქტული სახეები, იხატებოდა წარმოსახული შეუძლებლობის პლასტიკური სახეები. ასე იქმნებოდა ძველი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მითები. ანტიკური ლეგენდები, ბიბლიური ხილვები და გამოცხადებანი. შუასაუკუნეების საეკლესიო მისტერიები, თომა აკვინელის, იაკობ ბომეს, სვედენბორგისა და კირკეგორის ირაციონალური ფეტიშიზმი, დანტეს ჯოჯოხეთი, სალხინებელი და სამოთხე, გულივერის მოგზაურობა საოცრებათა მხარეში, გოეთეს „ფაუსტის“ ფანტასტიკური სიმბოლიკა, „წყეული პოეტების“ სატანური მკრეხელობა, ბოსხისა და გოიას შემაძრწუნებელი ტილოები, დიურერის კოშმარები...

მაგრამ ყოველივე ეს თავისუფალი წარმოსახვის, ფიქრისა და აზროვნების, ფილოსოფიის, ლიტერატურისა თუ ხელოვნების სფეროში იქმნებოდა და არა სახელმწიფო-

ებრივ-პოლიტიკური მმართველობის პრაქ-
ტიკაში.

ჩვენი ეპოქის საოცრება კი სწორედ ის არის, რომ ამ-
გვარი მაგიური ექსტაზით შეპყრობილმა
ჰიტლერელებმა მთელი ეს რელიგიურ-
მისტიკური წარმოდგენები სრულიად პრაქ-
ტიკული აგრესიული პოლიტიკის განსახორ-
ციელებლად გამოიყენეს და ნგრევის ჟინით
შეპყრობილი მრავალმილიონიანი შეიარა-
ღებული ბრბოები დაძრეს კაცობრიობის
წინააღმდეგ.

ერთხელ კიდევ გაიხსენეთ ჩვენ მიერ უკვე მოთხრობი-
ლი „მსოფლიო წარღვნის“ ალეგორია, „პლანეტის ბაცილე-
ბის“, თუ „მატლებივით მომრავლებული დაბალი რასების“
მოსპობის თეორია და „ნოეს კიდობნით“ არიული ზეთისხი-
ლის რტოს ძიება ახალ ნაციონალ-სოციალისტურ სამყარო-
ში, სადაც კვლავ უნდა გამოცხადდნენ მათი უძველესი წინაპრე-
ბი, რათა „დიადი მოგვის“ ჰიტლერის მიერ ნაჩვენები გზით
წარმართონ კაცობრიობის მომავალი ისტორია...

მთელი ჩვენი ყოფა მხოლოდ მზადებაა და მოლოდინი ამ
„გამოცხადებისა“. ჰიმალაის მთების, გობის უდაბნოებისა თუ
თულეს ოდინდელი ბინადარნიც უკვე მრავალი საუკუნე
ელიან თავიანთ „მეორე მოსვლას“ დედამიწაზე. ტიურინგიის
ალპებში შემორჩენილი გერმანული რასის უძველესი წინა-
პრებიც ასევე დგანან გარდამავალი ეპოქის „სახსართან“ და
„კვლავ მოსასვლელად“ ემზადებიან... მათ მოუხმობს ناცის-
ტების „დიადი მოგვი“ კიმბოლო (ჰიტლერი) როგორც არიუ-
ლი რასისა და იმ ღმერთ-კაცების მედიუმი...

მე შემდეგ გიამბობთ, ناცისტების „ათასწლოვანი იმპერი-
ის“ კრახის დღეებში თუ როგორ გზავნიდა ჰიტლერი ასიათასო-
ბით ესესელს ისევ იმ ტიურინგიის ალპებში, რათა გადაერჩინა
ისინი „ᲡᲘᲡᲝᲤᲚᲘᲝ კატასტროფისაგან“, რომ შესაფერ მომენტში
ისევ დაბრუნებულიყვნენ „ყველაფრის თავიდან დასაწყებად“.
როცა გენერალმა შტიულპნაგელმა ჰკითხა მას, ჩემო ფიუ-

რერ, რისთვისაა ყოველივე ეს საჭიროო, უკვე დამბლადაცემულმა „დიადმა მოგვმა“ ძლივს აკრიფა თავისი სხეული, გასწორდა, მარჯვენა ხელი ძველებურად წინ გაიშვირა და შემზარავი ხმით იყვირა:

მათთვის, ვინც ისევ მოვა!..

...შესაძლებელია ყოველივე ეს მართლაც „გონების ეპიდემიური დაავადების“ შედეგი იყოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ყოველივე ამას მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს რეალური ძალა ჰქონდა ნაცისტურ გერმანიაში.

ორაკულები თუ მხოლოდ ქადაგებდნენ, ჰიტლერი მოქმედებდა კიდეც: ტექნიკის განვითარებას მისტიკას უკავშირებდა, რადარებით მაგიურ ამოცანებს „წყვეტდა“, სამხედრო გეგმებს „ყინულისა და ცეცხლის“ თეორიის შესაბამისად ადგენდა, გენერალურ შტაბებს დავალებებს ვარსკვლავთმრიცხველობის შედეგების მიხედვით აძლევდა, ხოლო ჰოროსკოპების ჩვენებას პოლიტიკურ პროგნოზებს უდებდა საფუძვლად. რაკი „დიადი მოგვი“ ასე იქცეოდა, „განდობილებიც“ მხარს უბამდნენ მას: გერინგი რიუგენიის მაგიურ ძიებებს ხელმძღვანელობდა, ჰიმლერი შავ ორდენს ქმნიდა და ჰიმალაის მთებში დაეძებდა არიული რასის შორეულ წინაპრებს, გებელსი ექსპედიციებს გზავნიდა წმიდა გრაალის საძებნელად, „ეგვიპტელი მოგვი“ ჰესი ჰოროსკოპების ჩვენებას მიჰყვებოდა ინგლისში, როზენბერგი „ფილოსოფიური ქვის“ მოპოვებას ცდილობდა ან XX საუკუნის მითებს თხზავდა.

სწავლულთა მთელი არმია იღვწოდა ესესის შავი ორდენის ორმოცდაათამდე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც „დაბალი რასების“ ელეტისა და ებრაელთა „რიტუალური მსხვერპლშეწირვის“ პრობლემებს გარდა ამგვარ „უწყინარ“ მაგიურ-სიმბოლურ თემებსაც აშუშავებდნენ: „ჯვრისა და ვარდის ძმობა“, „არფის უარყოფის სიმბოლური მნიშვნელობა უოლსტერის მუსიკაში“, „გუთური კოშკების ოკულტური საფუძვლები“ და სხვ. იქვე სწავლობდნენ ტიბეტიდან ჩამოყვანილი „არიული ცხენებისა“ და „არიული ფუტკრების“ გენეა-

ლოგიას ან სულისა და სხეულის ურთიერთობის საკითხებს. ერთ-ერთ ასეთ ინსტიტუტში „ზებუნებრივი ძალების“ შემსწავლელი სპეციალური განყოფილებაც გაიხსნა.

პარალელებისათვის რაუშნინგმა ფლაგელანტების მოძრაობაც გაიხსენა, წმ. ვიტეს როკვაც, მაგრამ ეს მისტიკური ბნელმეტყველება თუ საიდან გაჩნდა ჩვენს პოზიტურ ეპოქაში, მაინც ვერ ახსნა. „მისტიკურიო“, მაინც ვამბობთ ჩვენ. თორემ ამ პოლიტიკურ კლერიკალიზმს ტრადიციულად გაგებულ მისტიკასთან საერთო არაფერი აქვს.

— მისტიკა ბუნების იდუმალებით გაოცებაა და არა პოლიტიკური კლერიკალიზმიო, — გამიგონია ჩვენი სახელოვანი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიასაგან. ნაცისტურ გერმანიაში კი სწორედ კლერიკალიზმმა მიიღო ე. წ. „საღმრთო მისტიციზმის“ სახე. იგი დაუკავშირდა მაგიურ-კაბალისტურ რწმენას, გამოიყენა ქრისტიანული სიმბოლიკის ზოგიერთი ნიშანი (ჯვრის კავშირი სვატისიკასთან) და წარმართულ-კათოლიკური რელიგიის თავისებური სინკრეტული სახე შექმნა.

ჰიტლერელი ეპისკოპოსი ლუდვიგ მიულერი ქადაგებდა:

— ღმერთი ჰიტლერში განსახიერდა, განგებამ ქრისტე აღამაღლა ცათა შინა, ჰიტლერი კი თავის წარმომადგენლად დატოვა ამქვეყნად. ერთი ღვთაებრივ სასუფეველს ქმნის ზეცაში, მეორე — საღვთო იმპერიას დედამიწაზეო და სხვა მისთანანი...

წარმოიდგინეთ, რომ ამ ყავისფერმა ეპისკოპოსმა ჰიტლერის დედა „მარიამ II ღვთისმშობლად“ გამოაცხადა... მისივე განკარგულებით ეკლესიებში ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულების გვერდით ჰიტლერის პორტრეტები დაკიდეს. იტალიაში კი, რომის წმ. პეტრეს ტაძარში, დახატეს ფრესკა, რომელშიც მუსოლინი იყო გამოსახული მთავარანგელოზის სახით.

ყოველივე ამის მიზანი მესიანიზმის სულისკვეთების გამოწვევა იყო ხალხში, მასების ფანატიკური ეგზალტაცია და მისტიკურ ტრანსში ჩაგდება, ომისა და სიშმაგის ღმერთის ვოტანის კულტის აღორძინება, „გერმანელთა მეტაფიზიკური არსისა“ და „გერმანული სულის ირაციონალური მისწრაფე-

ბის“ გაერთიანებით საკუთარი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის „საერთო-სახალხო სანქციის“ მოპოვება...

სწორედ ასეთია ნაცისტური „მისტიკა“, სადაც გონებისა და გრძნობების ადგილს „მაგიური ინტუიცია“ იკავებს. „ის, რაც გრძნობითი შემეცნებისათვის მიუწვდომელია, ხელმისაწვდომი ხდება ინტუიციის საშუალებით“. მხოლოდ ამ გზით შეუძლიაო „ღვთაებრივ იდუმალებას ნაზიარევ“ ადამიანს გაიგოს მარადიულობის ცნების შინაარსი და მისწვდეს პირველსაწყისის (Urphänomen) აზრს.

ჩვენი ეპოქის პარადოქსი სწორედ ის არის, რომ ჰიტლერმა დაარწმუნა გერმანელი ხალხის დიდი ნაწილი, თითქოს იგი განგების მიერ მონიშნებული უნარით ფლობდა სხვებისათვის სრულიად ხელმიუწვდომ საიდუმლოებებს და შეეძლო თავისი „ღვთაებრივი მეობის“ გამოვლინებით ეხსნა ხალხი განსაცდელისაგან. ამიტომაც მიანიჭეს მას „დიადი მოგვის“ ტიტული და თან როგორც „განგების მიერ ხელდასხმულ ბელადს“ განდობილთა საიდუმლო სახელი „კიმბოლო“ შეარქვეს. ისიც დაიჯერეს, რომ მან ინტუიტიური წარმოსახვის ზებუნებრივი ძალით შეძლო გაეხსნა იზიდას საიდუმლოება და გაეგო: რა იყო, რა არის და რა იქნება...

ასე დაიწყო წარმოსახული აკაშის ქრონიკების გადამახინჯებული თხრობა, მაგრამ არა დელფოსის ტაძარში, არამედ ბერჰტესგადენის სასტუმროსა თუ რაიჰსკანცელარიის შენობაში...

მეც ამგვარი ორმაგი ექსპოზიციით გიამბობთ იმ ქრონიკებისა და ნაციზმის რასიული მისტიკის პარადოქსული გადაჯვარედინების ამბავს.

იყო და არა იყო რა...

იყო არაფერი და თანაც ყველაფერი როგორც შესაძლებლობა. ყოველივე არსებული თავის პირველსაწყისს იმ „მოქმედი არაფრის“ (das wirksame Nichts) სიცარიელეში ილებს (das Leere des Nichts). არსებობის სულიერი ფორმაც

არარსობის მარადიულობაა (die Evigkeit des Nichts), რაც არ შეიძლება გრძნობით გამოვლინდეს ან ცნებებში გამოიხატოს...

ასე იწყება ყოველივე არსებულის სულიერი საწყისების მისტიკა რუდოლფ შტაინერისეულ „აკაშის ქრონიკებში". დიტრიჰ ეკარტმა ამ „მოძღვრებას" მისი უმთავრესი ნაწილი — „სული" გამოაცალა და ისე შთააგონა ჰიტლერს, რომელმაც თავი მაშინვე „სულის მტრად" გამოაცხადა:

— ჩვენ შეგვაჩვენეს როგორც სულის მტრები,— ამბობდა იგი, — დიახ, ჩვენ მართლაც ასეთები ვართ, მაგრამ უფრო ღრმა აზრით, ვიდრე ამის გაგება შეუძლია ბურჟუაზიული მეცნიერების იდიოტურ ამპარტავნებას...

მაინც რა აზრითო, რომ ვიკითხოთ, ისევ „აკაშის ქრონიკებს" უნდა მივუბრუნდეთ, სადაც „სულიერი სუბსტანციის" რეალურ-მატერიალური ან, როგორც თეოსოფები ამბობდნენ, „მინერალური" გამოვლინების ფორმებსა და განვითარების საფეხურებზეა ლაპარაკი. მარადიულობის თვალსაზრისით არსებობა შ ვ ი დ ი ამგვარი ეპოქის, ანუ რასისაგან შედგება. ყოველი ეპოქის (რასის) შიგნით ისევ შ ვ ი დ ი ქვესაფეხურია (ქვერასა), რომელნიც თანდათან ცვლიან ერთმანეთს როგორც „მოქცევად ცისა შუიდისად". ადამიანის წარმოსახვა (ინტუიცია) ამ შ ვ ი დ ი რასიდან მხოლოდ სამს სწვდება: ლ ე მ ურ ე ლ ებ ი ს, ა ტ ლ ა ნ ტ ე ბ ი ს ა და ა რ ი ე ლ ე ბ ი ს ა ს. ისე კი მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ ადრე ამ სამამდე კიდევ ორი რასა იყო და მომავალშიც, ალბათ, ორი იქნება, რომ ისევ ის „ღვთაებრივი შვიდი" შედგეს.

ჰიტლერელებმაც აქედან სცადეს ნაცისტური რასიული მისტიკის შექმნა და თავიანთი აგრესიული მიზნებისათვის გამოყენება. ე ს ძ ა ლ ა დ ო ბ ა ი ყ ო ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ. თვით თეოსოფიური მოძღვრება შ ვ ი დ ი რ ა ს ი ს შესახებ არაფერ აგრესიულს არ შეიცავს. ეს, როგორც ვნახავთ, „სულიერი სუბსტანციებისაგან" გათავისუფლებული ჰიტლერელების საქმეა...

...აკაშის ქრონიკებში „წარმოსახვით ხელშესახები რეალობის" გადმოცემა იმ პერიოდიდან იწყება, როცა უზარმაზარ

მატერიკზე ცეილონიდან მადაგასკარამდე, აგრეთვე სამხრეთ აზიასა და აფრიკის ნაწილში მოსახლეობდნენ სრულიად თავისებური ცივილიზაციის მქონე ლ ე მ უ რ ე ლ ე ბ ი (მესამე რასა). მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ განვითარებული მეხსიერება. ისინი მიჰყვებოდნენ ინსტინქტების კარნახს, მოგონებას კი წარმოსახვით ცვლიდნენ და არაჩვეულებრივად განვითარებული ნების საშუალებით ბატონობდნენ ბუნებაზე. ლემურელები, თეოსოფიური ლიტერატურის მიხედვით, დაბადებითვე მოგვები იყვნენ. ისინი მთავარ ყურადღებას ნებისა და წარმოსახვის ძალის განვითარებას აქცევდნენ. მამაკაცები ფიზიკურად იწვრთნებოდნენ, ნებისყოფას იკაჟებდნენ, ტანჯვისა და ტკივილების ატანას სწავლობდნენ, ქალებს კი უმთავრესად წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარს უვითარებდნენ, ქარიშხალსა და გრიგალს აჩვევდნენ ბუნების „მკაცრი სინამდვილის“ შესაცნობად, მერე ვაჟკაცების ბრძოლისათვის აყურებინებდნენ, რომ ამით „ძლიერებით აღტაცებას“ მისჩვეოდნენ.

მამაკაცები ნებისა და ძალის საშუალებით იმორჩილებდნენ ბუნებას, ქალები კი — სულის საშუალებით. მამაკაცისაგან წარმოდგა „ბუნებრივ-ღვთაებრივის“ ცნება, ხოლო ქალისაგან — „სულიერ-ღვთაებრივისა“. ქალური საწყისი აკეთილშობილებდა მამაკაცურის უხეშ ძალას, რითაც სულიერი ბუნებასა თუ ადამიანებში თაყვანისცემის საგნად იქცეოდა. თეოსოფები წარმოსახვით აღადგენდნენ იმდროინდელ სურათებს:

მამაკაცები ტყეში, დიდი ხის ძირას, იკრიბებოდნენ და „ისმენდნენ“ ქურუმი ქალის „სულის მეტყველებას“, რაც გალობას ჰგავდა, — ჰყვებიან ისინი.

„ბუნების შინაგანი რიტმი მეტყველებდა ქალის ბაგეებზეო“, — წერს შტაინერი.

ამგვარ „გალობაში“ თვით ბუნების ტონი, ბგერა, რიტმი იგრძნობოდა. სხვა რამ „აზრი“, თანამედროვე გაგებით, ამ ბგერებს არა ჰქონდათ. ისინი პ ი რ დ ა პ ი რ ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს უ ლ შ ი ა ღ ბ ე ჭ დ ა ვ დ ნ ე ნ მ ო ს მ ე ნ ი ლ ი ს ძ ა ლ ა ს. როცა ეს ქურუმი ქალები სიმღერით გამოხატავდნენ ბუნების რიტ-

მულ ბგერებს, მამაკაცები ტანის ბუნებრივ მოძრაობას აყოლებდნენ ამ რიტმს. ეს იყო ბუნების ს უ ლ ი ე რ ი დ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი ერთიანობა, თითქოს ბუნებაც ცოცხლდებოდა მაშინ და მშვენიერი ფერიების სახით დაფრინავდა მათ გარშემო.

...მერე ეს უნარი გაქრა ლემურელების რასასთან ერთად და ისტორიამ მითების სახით შემოინახა მისი ფრაგმენტები. ამით ჩვენ დღეს ვიცით, რომ ლემურელებს წარმოსახვა, ოცნება; ფიქრი შეეძლოთ მხოლოდ ბუნების უშუალო გარეგან საბაბთან ერთად. ყოველივე ეს დაკავშირებული იყო ბუნებასთან ან მისივე ნაწილს წარმოადგენდა. ეს თვით ბუნების წარმოსახვა და ოცნება იყო. „ნების ძალისა“ და „ნათელმხილველური წარმოსახვის“ ამგვარი უნარი ლემურელების მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა განვითარებული, დანარჩენები კი ცხოველურ მდგომარეობაში იყვნენ.

ჰიტლერმა ეს შოპენჰაუერის თეორიას — „სამყაროს, როგორც ნებასა და წარმოსახვას“ — დაუკავშირა და იერარქიული ფიურერიზმის პრინციპი შექმნა...

...ლემურელების შემდეგ ატლანტების ეპოქა (IV რასა) დაიწყო. ეს იმ დროს, როცა ევროპასა და ამერიკას შორის იყო არა ოკეანე, არამედ უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა ატლანტიდა, რომელიც ათი ათასი წლის წინ ჩაიძირა ოკეანის ფსკერზე. „აკაშის ქრონიკების“ მიხედვით ატლანტები ფიზიკურად და სულიერად ისევე განსხვავებული იყვნენ თანამედროვე ადამიანებისაგან, როგორც ლემურელები. მათ გაიარეს განვითარების შვიდი საფეხური (შვიდი ქვერასა), რაც შემდეგი ნიშანთვისებით ხასიათდებოდა:

1. ჯერ კიდევ დაახლოებული ლემურელთა რასასთან. მეხსიერების თანდათანი განვითარება; მოგონება იმისი, რაც იყო. ბგერითი სიტყვების შექმნა. კავშირი ადამიანის გრძნობებსა და გარეშე სამყაროს შორს; ბგერა როგორც ამ კავშირის საშუალება და ზემოქმედების ბუნებრივი ძალა (დღემდე შემონახული შელოცვის სახით). ახლაც ამბობენ, სიტყვის მაგიური ძალაო.

ჰიტლერისათვის ეს ძალა მასების დაპყრობის მთავარი საშუალება იყო. ატლანტების ეპოქაში ვინც უფრო ფლობდა „სიტყვის ძალას“, მეტ პატივისცემას იმსახურებდა.

2. ადამიანებმა იგრძნეს თავიანთი ღირებულება. გაჩნდა პატივმოყვარეობა. მოგონება პრივილეგიად იქცა. ვინც მეტს მოიგონებდა, მეტი ძალაც ჰქონდა. იგი მოითხოვდა მორჩილებას. ასე გაჩნდა მეთაური, ბელადი.

3. ბელადების გარშემო შეიკრიბნენ ადამიანთა ჯგუფები, რომელნიც გაერთიანებული ძალით აკეთებდნენ იმას, რაც სჭიროდათ. ამან წარმოშვა თემი, საზოგადოება, შემდეგ — სახელმწიფოც. ბელადები განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობდნენ, რასაც პირადი სარგებლობისთვისაც იყენებდნენ. ასე დაიბადა პატივმოყვარეობა, თვითგანდიდება, ძალის დანაშაულებრივად გამოყენება და სხვა ბოროტებანი.

4. აქ ერთი ბელადის ძალაუფლება მეორისას დაუპირისპირდა. დაიწყო ომები, ნგრევა, აღზევდა ერთის მიერ მეორის შთანთქმის სურვილი. მერე საჭირო შეიქნა ამგვარი ნგრევის შემაკავებელი ძალაც და განვითარდა აზროვნება.

5. ეს უკვე ლოგიკური აზროვნების ეპოქაა. ნგრევის სტიქიას წინ აღუდგა შემაკავებელი ძალა გონებისა, რაზედაც წერენ, წინარესემიტური რასის თვისებაა (ჰიტლერიც ამიტომ ებრძოდა გონებასა და „ებრაულ მეცნიერებას“). თუ უწინ სურვილი განაგებდა ადამიანის მოქმედებას, ახლა მიზანშეწონილობის პრინციპი ჩნდება: რა შეიძლება და რა არა (ჰიტლერის ენაზე ამას „გონების შემაკავებელი ცენტრი“ ჰქვია). ამან გამოიწვია შეზღუდვა პიროვნებისა, რომელიც გონებამ მხოლოდ მატერიული გარემოს დაუფლებისაკენ მიმართა, „სასიცოცხლო ძალის“ განვითარება კი უგულებელყოფილი დარჩა.

6. ამ ეპოქაში ადამიანის პიროვნების შეზღუდვამ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო. შეიქმნა „გამოგონილი კანონები“. კანონმა კი მორჩილება მოითხოვა.

7. ეს მონღოლების ქვერასაა. დაკნინების ნიშანი. ძველის მოგონება და არა ახლის შექმნის უნარი. მერე ატლანტების ძირითადი რასაც დაიღუპა. დარჩა მხოლოდ მისი გადაგვა-

რებული ქვერასები. ამ ქვერასებიდან ზოგი დეგრადირებულია, ზოგიც — ახლის იმპულსების შემცველი. უფრო „ცხოველმყოფელი ძალა“ ქმნის არიული რასის ეპოქას (V)...

მეორე მხარე...

ამგვარი თეოსოფიური იდეები ფართოდ იყო გავრცელებული ჩვენი საუკუნის ოციან წლებში. ერთნიმასადამიანის პიროვნების განვითარებისა და გაკეთილშობილებისათვის' იყენებდნენ, ხოლო მეორენი — ზეკაცობისა და რასიული უთანასწორობის ავბედითი თეორიის საქადაგებლად.

ლემურელების, ატლანტებისა და არიელების მისტიკა ის სფერო იყო, სადაც ჰიტლერელები თავიანთ სულიერ წინაპრებს ეძებდნენ. იქიდანვე მოელოდნენ ისინი „დიდი მოგვის“ გამოცხადებას.

რაუშნინგი წერს:

— არსებითად ყოველ გერმანელს ცალი ფეხი ატლანტიდაში უდგას. იქ ეძებს იგი უკეთეს ბედსა და მემკვიდრეობას. ეს გერმანული ორგვარობა, თვითგაყოფის უნარი — იცხოვროს რეალურ სამყაროში და თან გადავარდეს წარმოსახულ ქვეყანაში, განსაკუთრებით ნათლად ჩანს ჰიტლერის პიროვნებაში. აქ არის მისი მაგიური სოციალიზმის გასაღები...

და შემდეგ:

— ჰიტლერის პოლიტიკური გეგმების გაგება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ გვეცოდინება ყოველივე ამის მიღმა დამალული მიზნები და მხედველობაში მივიღებთ ნაცისტურ რწმენას სამყაროსთან ადამიანის მაგიური ურთიერთობის შესახებ.

უფრო გვიან ისტორიკოსმა ნებოკურმაც განაცხადა:

— თანდათან დგინდება ჰიპოთეზა განდობილთა საზოგადოების არსებობაზე, ხელდასხმულობაზე, რაც ნაციზმის ფარულ საფუძველს შეადგენდა...

...ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია. ისიც, პოველი და ბერჟიე რომ წერენ:

— ჰიტლერისათვის პოლიტიკა იყო მხოლოდ გარეგანი, დროის თვალსაზრისით პრაქტიკულად შეზღუდული გამოვლინება ცხოვრების მიწიური და კოსმოსური კანონების ფარული რელიგიური გაგებისა.

ნაციზმი წარმოიშვა იმპერიალისტური ეპოქის წინააღმდეგობებით და არა რელიგიურ-მაგიურ მოძღვრებათა რესტავრაციით. ერთი საფუძველი იყო, მეორე — საშუალება, თუმცა უგულებელყოფილი არც ერთი უნდა იქნეს და არც მეორე.

ამიტომ იყო, ნიურნბერგის პროცესზე ბრალმდებლები რომ თავს იმტვრევდნენ ნაცისტური მისტიკისა და ესესელთა შავი ორდენის საიდუმლოებათა გასაგებად.

იქ, სხდომათა დარბაზში, ერთმანეთის პირისპირ დადგნენ სრულიად განსხვავებული სამყაროსა და ცივილიზაციის წარმომადგენელნი, რომლებიც სულ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. ამიტომაც ითქვა, „მათ შორის ნამდვილი დიალოგი არც შემდგარაო“.

ესეც გადაჭარბებაა, მაგრამ არცთუ უსაფუძვლო. ისევ ის პოველი და ბერჟიე წერენ, რომ ნაციზმის სახით ჩვენ სულ სხვა ცივილიზაციასთან გვქონდა საქმეო. თუმცა, მათივე აზრით, თვით „ცივილიზაციის“ ცნება აქ მთლიანად დაცლილია თავისი კლასიკური შინაარსისაგან, რომელიც იდეათა თანაარსებობას გულისხმობს. ამიტომაც მოჰყავთ ავსტრიელი მწერლის რობერტ მუზილის სიტყვები:

— საკმარისია მართებულად მივიჩნიოთ მხოლოდ ერთი იდეა და ჩავახშოთ დანარჩენი, რაც მას ეწინააღმდეგება, რომ ეს უკვე აღარ იქნება ჩვენი ცივილიზაცია...

ჰიტლერელები კი დაჟინებით გაიძახოდნენ, სრულიაღ საწინააღმდეგო ლოზუნგს:

— ერთი ხალხი — ერთი ფიურერი, ერთი სახელმწიფო — ერთი პარტია, ერთი ეკლესია — ერთი ღმერთი!

ამას მოჰყვებოდა „ქვენა გრძნობებს აყოლილი ბრბოს“ ღრიალი და მუქარა, მუშტების ქნევა და იარაღის ჟღარუნი...

მერე ისევ მაგიური მისტიკა, ასტროლოგია და ვარსკვლავთმრიცხველობა, „მსოფლიო წარღვნისა“ და „პლანეტის ბაცილების“ მოსპობის იდეა, ადამიანის გაქირდვა, „ჭია-ღუები“ და „გონების მატლები“, სულის დათრგუნვა და ძალის კულტი, სისხლი და რკინა, დაფდაფების ხმაური, გაუთავებელი მიტინგები, მოწოდებები, ქვენა გრძნობების წაქეზება... რიგები, მწკრივები, კოლონები, გასამხედროებული და იარაღასხმული ბრბოები, დროშები, შტანდარტები და ყველგან წითლის, შავისა და თეთრის გამოფენა: გერბები, ემბლემები, სვასტიკა — რაიჰსტაგის შენობაზე, სვასტიკა — დაწესებულებებში, სვასტიკა—ბინებში, სვასტიკა—მკლავებზე, სვასტიკა—ორდენებზე...

ჯვარცმის ახალი ნიშანი...

ქრისტიანული ჯვარი ჰიტლერელებმა ამ ახალი სიმბოლური ნიშნით — კაუჭებიანი სვასტიკით შეცვალეს.

ისტორიკოსები წერენ, სვასტიკის უძველესი კვალი ჯერ კიდევ ნეოლითის პერიოდში აღმოჩნდაო: ტრანსილვანიაში, ტროას ნანგრევებში, ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, დედამიწის ხუთივე კონტინენტზე. ტიბეტში, როგორც ვნახეთ, ამ ნიშანს ყურადღება მიაქცია კ. ჰაუსჰოფერმა და გერმანიაში ჩამოსვლის შემდეგ „თულეს“ საზოგადოებას ურჩია ემბლემად. აქედან გადაიღეს იგი ნაცისტებმა და ქრისტიანული ჯვარცმის ნიშანს დაუპირისპირეს. წიგნში—„XX საუკუნის მითი“ როზენბერგი ასე განმარტავს მათ შორის განსხვავებას:

— ქრისტიანული ჯვარი რელიგიური სიმბოლოა, ხოლო სვასტიკა — რასიულ-პოლიტიკური ბრძოლის ნიშანი. ამით ყველასათვის, ვისაც კეთილი ნება გააჩნია, ნათლადაა გამოთქმული განსხვავება ამ ორ განტოლებას შორის...

ჰიტლერელებმა თავიანთი ემბლემა ეროვნული დროშების აუცილებელ ელემენტად გამოაცხადეს: ქსოვილი — წითელი, შუაში — თეთრი რგოლი და შავი სვასტიკა.

— წითელში ჩვენ ვგულისხმობთ მოძრაობის სოციალურ შინაარსს, — თქვა ჰიტლერმა, — თეთრში — ნაციონალურს, სვასტიკაში კი—არიული რასის გამარჯვების სიმბოლოს.

ამას მოჰყვა ლეგენდები „არიოსოფიისა“ და „არიოჰეროიზმის“ შესახებ. ეს „არიული სვასტიკაც“ იმ ლეგენდებს დაუკავშირდა. როზენბერგის მტკიცებით, იგი მიუთითებს წყაროებზე, საიდანაც აღმოცენდა „გერმანელი ხალხის შემოქმედებითი ძალა“.

იქ, სადაც ჰიტლერელი არქეოლოგები სვასტიკას აღმოაჩენდნენ, მაშინვე ცხადდებოდა „ისტორიით ნაკარნახევი“ პრეტენზიები იმ ტერიტორიებზე, რადგან გერმანია, როზენბერგის აზრით, მის „პირველსაწყის სამშობლოს“ წარმოადგენდა. სვასტიკა თურმე მაშინ გაჩნდა, „როცა გერმანელმა ადამიანმა პირველად გაახილა თვალი და ცას შეხედა“. როზენბერგი წერს, რომ „ევროპის ცენტრში წარმოშობილი სიმბოლო—სვასტიკა, არის ცისა და მზის ნიშანი... ცარგვალი და მზე გერმანელის წარმოდგენაში გამოსახულია როგორც ურმის ბორბალი ჯვარედინი მარგილებით, რაც წერაქვებს წააგავს და შრომის იდეას უკავშირდება“. ეს გადაჯვარედინებული წერაქვები, ანუ სვასტიკა „მზის გულზე დასმის“, ანუ „ცისა და დედამიწის ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენს გერმანულ საფუძველზე“. იგი სწრაფად მოედო დანარჩენ მსოფლიოს და შექმნა „არიული რასის გლობალური განვრცობის სიმბოლო“.

ჰიმლერი მსოფლიოს ყოველ კუთხეში გზავნიდა თავის ემისრებს სვასტიკის კვალის აღმოსაჩენად. მერე ამ ნაკვალევს ჰიტლერის დივიზიები მიჰყვებოდნენ, რათა განეხორციელებინათ „გერმანელების მსოფლიო ბატონობის“ ჰიპერტროფიული იდეა.

ამ იდეამ გახრწნა გერმანელი ერის დიდი ნაწილი. იგი ვადაიქცა სხვისი მიწა-წყლის დაპყრობის ჟინით გახელებულ ყავისფერ ბრბოდ და ბრმად გაჰყვა თავის ნახევრად შეშლილ

ფიურერს „მსოფლიო ბატონობის მწვერვალებზე“ კი არა, გოლგოთაზე, სადაც მათ ჯვარცმის ნიშნის ნაცვლად ისტორიის სამარცხვინო ბოძი ელოდათ.

ეს ისეთი გაუგონარი თარეში და კატასტროფა იყო, რომ კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეჭვდა არა მარტო ჰიტლერელების, არამედ საერთოდ ადამიანის მორალურ ღირსებაში. არა ერთსა და ორს განუცხადებია, სიტყვა „ადამიანი“ უკვე აღარ წარმოითქმის სირცხვილის გრძნობის გარეშეო. ეს ეჭვიც იმ სულიერი ტრავმის შედეგია, ორმა მსოფლიო ომმა რომ გამოიწვია. იგი დღემდე ღრღნის ადამიანის წარმოსახვას და მახინჯ ფორმებში წარმოადგენს არსებობის მშვენიერებას.

ასეთ პირობებში ვერც გაიგებ კაცი, რატომ ამბობენ, ეჭვიაო ჭეშმარიტების საფუძველი! პირიქით, ეჭვია, ყველაფერს რომ შლის და სპობს! ეჭვმა დაანგრია სიბრძნის შვიდივე სვეტი და დაამხო ზეცის თაღები. ვინც ამ ცხოვრებას თემიდის თვალებით შეხედავს, შეამჩნევს, რომ დღესაც ბევრი იტანჯება იმ ნანგრევებში ან ინდოელ ვიშნუსავით თავს იტყუებს და საკუთარ ილუზიებს ეთამაშება. იქნებ სხვა გზა არცაა. ცოდვისა და მადლის ბორბალი ისე სწრაფად ბრუნავს, რომ არავინ იცის, მარადისობის ამ ორომტრიალში მაღლა რა იწევს და ძირს რა ეშვება. ან იქნებ ყოველივე ეს ბრმა ბედისწერის ბრუნვაა არარსობის სიცარიელეში, სადაც სიმაღლისა და უფსკრულის ცნება ერთმანეთს ერწყმის.

ამგვარი ეჭვები დღესაც მატლებივით დაცოცავენ ადამიანთა ტვინში.

ნიცშე ასეთ ცნებასაც ქმნის — „ქვევიდან ზევით ჩამოვარდნა“ (hinausfallen) იმ აზრით, ვითომ ძირს ვინც ეშვება, სწორედ ის მაღლდება, ხოლო ვინც მაღლა იწევს, საკუთარ უფსკრულს უახლოვდება; თავისივე თავში (in sich selbst), თავის თავზე მაღლა (über sich selbst), თუ თავისთავზე დაბლა (über sich selbst), — ეს სულერთია: არარსობის სიცარიელეს განზომილებები არა აქვს და არც სწორი ხაზი — „ქვევიდან ზევით ატყორცნილ წრეს“...

ვერავინ იტყვის, რომ საკითხის ასე დაყენება სწორია, მაგრამ ვერც ვერავინ უარყოფს მის უფლებამოსილებასა და საფუძველს. ადამიანი არასოდეს ყოფილა გონებრივი განვითარების იმ სიმაღლემდე ასული, როგორც დღეს, მაგრამ არც არასოდეს შელახულა მისი ღირსება იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელი ომის დროს. ადრე ცოცხალ ადამიანებს ტყავს არ აძრობდნენ „ნატიფი ნივთების“ გასაკეთებლად, არც საპონს ხარშავდნენ „ადამიანის ცხიმისაგან“! და ვისი რა ბრალია, თუ ყოველივე ამან თვით ადამიანის ცნების უფრო ზუსტი განმარტება მოითხოვა, სახელდობრ: რას ნიშნავს იყო ადამიანი, ან რა არის მასში ნამდვილად ადამიანური?

„აღმოჩნდა“, რომ ეს არცთუ ისე ადვილი დასადგენია. დ. ეკარტის მიმდევრები ან მისებურად მოაზროვნენი ახლაც წერენ: „ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური რეალობა უდავოა“, მაგრამ „აზრი და სულიერი შინაარსი მაინც. კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებაო“. ამტკიცებენ, თითქოს თვით ეს კითხვაც არ არის დღემდე სწორად დასმული, რადგან იგი „განსაზღვრულია შეხედულებით ადამიანზე მხოლოდ როგორც ცოცხალ ქმნილებაზე“. კითხულობენ: რა არის ადამიანი? მაშინ როცა უნდა იკითხონ: ვინ არის ადამიანი? ადამიანი როგორც ქმნილება შეიძლება გაგებულ იქნეს, აიხსნას, მაგრამ როგორც პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა, იგი სავსეა გამოცანებითა და მოულოდნელობებით. „ქმნილება“ სასრულია, „პიროვნება“ — უსასრულო. პირველი წარმავალია, მეორე — უკვდავი. აქ საკითხი ეხება არა მარტო იმას, თუ როგორია ადამიანი როგორც ქმნილება, არამედ იმასაც, თუ რა მდგომარეობაშია იგი როგორც პიროვნება. ან სხვაგვარად: რა არის ადამიანში ადამიანური? უწინ ამბობდნენ:

— მე ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური არ არის ჩემთვის უცხო.

ჰიტლერელებმა ამ სენტენციასაც ახალი ასპექტი მოუძებნეს:

— მე ადამიანი ვარ, მაგრამ ყოველგვარი ადამიანური უცხოა ჩემთვისო.

ესეც სინამდვილის სურათია და არა სიტყვების უბრალო თამაში. დიოგენის ფარნითაც რომ ეძებოთ, განა ოსვენციმის ბანაკის კომენდანტ რუდოლფ ჰოსში ან იანოვსკელ ვილჰაუზში ადამიანურის რამე ნატამალს აღმოაჩენთ? ასეთები ხომ ათასებია და... თუ გონების თვალსაც გავახელთ, იქნებ მილიონებიც დავინახოთ!..

ამან შეარყია რწმენა ადამიანისა და ადამიანურობისადმი, რამაც ჯერ კიდევ ნიცშეს ათქმევინა:

— ადამიანი არის ის, რაც არ გამოვიდა!..

რამდენი საუკუნე განვლო კაცობრიობამ, ვიდრე ამგვარი დასკვნის საბაბს შექმნიდა, ათასგვარ „ადამიანურ ცოდვას" ჩამოთვლიდა და ზიზღითაც წარმოთქვამდა:

— Ecce homo!—ეს არისო ადამიანი!..

...მერე ასეთი კითხვებიც დაისვა:

— სად დაკარგა ადამიანმა თავისი კეთილი საწყისი და მიენდო ბოროტების მოძალებას? რამ ჩაუნერგა მას აზრი ადამიანის ტრაგიკული უძლურებისა და დააკარგვინა რწმენა მომავლისადმი?

გოეთე ამბობდა:

— იყო ადამიანი, ნიშნავს იყო მებრძოლი...

ვინც ამ პოზიციას თმობს, უგულვებელყოფს თვით ადამიანის ცნების შინაარსს. იგი ეთიშება საზოგადოებას, ცხოვრებას და მხოლოდ საკუთარ არსებობას ცნობს. ადამიანის არსებობა კი მარტო მდგომარეობა ხომ არ არის, მოქმედებაცაა. ხოლო ვისაც მოქმედებისა ეშინია, უპიროვნო ნაცვალსახელია და არა ადამიანი. იგი იმდენად თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან, რომ ცხოვრების არავითარი აზრი არ გააჩნია. არც მისი არსებობაა მნიშვნელოვანი, ყოველ შემთხვევაში, აუცილებელი. სხვისთვის თუ თავისთვის, ეს სულერთია...

— მე ფრანსის პიკაბია ვარ, ამაშია ჩემი უბედურება!..— წამოიძახა ერთმა ფრანგმა პოეტმა.

— ადამიანი რომ ცოდვებისაგან განწმინდო, დარჩება სიცარიელე! — ამბობს მისი კოლეგა.

ასეთი „ადამიანი" უმადურია და მოუთმენელი. მას არ

სჯერა „კაცთ ბუნების ღვთაებამდე აღზრდის“ (ილია) შესაძლებლობა. არც უნდა დაუშვას, რომ ადამიანი კი არ მთავრდება, არამედ იწყება ან შეიძლება დაიწყოს, თუ, რა თქმა უნდა, უკვე დაწყებული არ არის, ცხადია, ფიზიკურად კი არა, „ზნეობრივად“. მე არ ვამბობ, რომ ნათი ეჭვი უსაფუძვლოა, მაგრამ არ შეიძლება ის ტოტალური იყოს.

დღეაც ბევრს აწუხებს საკითხი: კაცობრიობის საერთო პროგრესთან ერთად ადამიანიც თუ მაღლდება ზნეობრივად? ზოგი კატეგორიულად უარყოფს ამას, ზოგიც ადასტურებს. სხვები ეჭვს გამოთქვამენ მხოლოდ, მაგრამ ბევრი მათგანი თანდათან სძლევს ამას და რაღაც პერსპექტივასაც ქმნის... დამაჯერებელს თუ არა, საყურადღებოს მაინც...

ადრე ვაჟა წერდა:

— მართალია, განათლებამ, ცივილიზაციას რომ ვეძახით, სწორედ საკვირველი მოქმედება გამოიჩინა სხვადასხვა ასპარეზზე, ხოლო ზნეობის, სამფლობელოსი კი რა მოგახსენოთ. არაო, მეტყვიან, ზნეობრივადაც წინ წავიდა კაცობრიობაო. შეიძლება, არც ამაზე აგიხირდებით, ხოლო მე კი ვიტყვი რომ...

და ვაჟა გამოთქვამს ეჭვს ამ მხრივ.

ცხადია, მან იცის, ეს ისეთი სათუთი საკითხია, რომ აქ „ახირება“ მართლაც არ შეიძლება. ამიტომ თანდათან სძლევს ამ ეჭვს და ისევ იმ ოქრო სიტყვებს წარმოთქვამს:

— არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა!..

ასეა: კაცი თუ მართლაც „კაცური კაცია“, ადამიანიცაა, ხოლო „კაცობის ქუდს“ თუ მოიხდის, ადამიანურობაც გაქრება მასში...

მას შემდეგ, რაც Homo sapiens (გონიერი ადამიანი) გაჩნდა დედამიწაზე, სულ იმის ძიებაა. თუ ცოდვა-მადლის რა კანონები განაგებს ადამიანებისა და მოვლენების ამ გამოცანას. ამბობენ, „ყველაფერი ადამიანისთვისაო ამქვეყნად“. მაგრამ ვინ გაიგებს, რას ნიშნავს ეს „ყველაფერი“? ერთის მთლიანობას, თუ, ილიასი არ იყოს, „ბევრის ნახევრობას?““ ან იქნებ ერთიდაიგივეობის ორგვარობას, ისევ იმ ერთისა და მისი „საშინლად მეორის“ სახით რომ ჩნდება მესამეში...

ამაზე ფიქრისას, რომ არ გინდოდეს, გონების სფეროში თუ არა, ქვეცნობიერის ბნელში მაინც გველივით გაისრიალებს კითხვა:

— ხომ არ არის რამე ცინიზმი ამაში, „ყველაფერი ადამიანისთვისაო“, რომ ამბობენ?

აქ ის ღობემძვრალა ირონიაც გამოყოფს თავს და გეტყვის:

— რა თქმა უნდა, ყველაფერი: ავიცა და კარგიც. ვთქვათ: ვარდების ხეივანიც ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში და გაზკამერებიც, მუსიკაცა და დახვრეტაც, თანაც... „ფსიქოლოგიურად უვნებელი“... კომფორტაბელური სამგზავრო თვითმფრინავებიცა და რეაქტიული ყუმბარმშენებიც... ატომური ელექტროსადგურიცა და ატომისვე მასობრივი ჟლეტის იარაღებიც... ყველაფერი ადამიანისთვისაა: სიყვარულიცა და სიძულვილიც... მეგობრობაცა და მტრობაც... თვითონ ადამიანები ქმნიან ადამიანებისათვის თავის მოსაკვეთ ნაჯახებსაც და სტრადივარიუსის ვიოლინოებსაც, თაიგულებსაც და ჯოჯოხეთის მანქანებსაც... ყველაფერს, რაც სიამოვნებას გვგვრის და რაც შიშის ზარსა გვცემს, სიცოცხლეს გვანიჭებს თუ სიკვდილით გვანადგურებს...

...მართლაც რა იწვევს ამ პარადოქსულ ორგვარობას? თანამედროვე ადამიანთა შეშფოთებული გონება ეძებს ამის მიზეზებს და დაბნეულობის ათასგვარ გზაზე დაეხეტება.

ასე იყო უწინ და ასეა ახლაც.

ბიბლიის მიხედვით, პირველმა ადამიანმა სცოდა და დაისაჯა. ეს სასჯელი მძიმე ტვირთად დააწვა შთამომავლობას. იგი განაწილდა ყველაში, როგორც სიმრავლე ერთისა. არც არავინ დარჩა ცოდვის გარეშე. თვით ქრისტიანული რელიგიაც არ ცნობს ადამიანის უცოდველობას. სახარებაში წერია, რომ „არა არს კაცი მართალი ქუეყანასა ზედა, რომელმან ქმნეს კეთილი და არა სცოდოს“. ან კიდევ: „ვინ იქადოს წმიდა-ყოფა გულისა, ანუ ვინ იკადროს თქმად წმიდა-ყოფა თავისა ცოდვისაგან?!“ ამიტომ სასჯელი ყველას ედება, რო-

გორც „კეთილს“, ისე „ბოროტს“, რადგან სრული სახით არც ერთი არსებობს და არც მეორე; „რამეთუ ყოველი ქმნილი მოიყვანოს ღმერთმან სასჯელსა ზედა, და ყოველთათუის შეცოდებისა, უკუეთუ კეთილი და უკუეთუ ბოროტი“.

ამან იმთავითვე შეარყია ადამიანის როგორც „ღმერთის ხატების“ რწმენა. უკვე აღარც ღმერთი ცნობდა თავის თავს ადამიანებში და არც ადამიანი იყო „ხატება მისი“. აქ დაიბადა ეჭვი. დაისვა კითხვაც:

— თუკი ღმერთმა ადამიანი შექმნა „ხატად მსგავსებისა თუისისა“, ხოლო თვით ღმერთი „წყაროა ყოველთა კეთილთა“, ცოდვა ან ბოროტება საიდან უნდა გაჩენილიყო? ან მთელი კაცობრიობა რატომ უნდა იყოს დასჯილი ერთის ცდუნების გამო?

თეოლოგიასაც თავისი ლოგიკა აქვს. ამიტომ ორში ერთია: ან ღმერთს არ შეუქმნია ადამიანი „ხატად თავისა თუისისა“, ან თვით ღმერთი არ უნდა იყოს სრული სიკეთე. სულიერი მამები თვით ადამიანებს ადანაშაულებდნენ ამაში, რასაც მორწმუნენი იღებდნენ, როგორც ჭეშმარიტებას და ისევ ღმერთს შეჰღაღადებდნენ:

— შევცდით გზისაგან ჭეშმარიტებისა, და სიმართლისა ნათელი არა აღმოგვიბრწყინდა ჩუენ. უსჯულოებითა აღვივსენით გზანი და წარსაწყმედელითა, და განვლიეთ უდაბნოთა შინა უფალთა, ხოლო გზა უფლისა არა ვცანით.

მერე კი ინანიებდნენ „ცოდვას“, რასაც მოჰყვა განდეგილობა, მარტვილობა, სხეულის გვემა და ფიზიკური დასახიჩრება, ვითომ სულიერი ნეტარებისათვის „მარადიულ სასუფეველში“, ნამდვილად კი ეს ილუზია იყო, სხეულის შეწირვა სულისათვის და ამით თვითნუგეში. მერე ის სულიც გაქრა, ანუ „განიფინნა ვითარცა რბილი ჰაერი, ღრუბლის კვამლი, და ვითარცა ნისლი განქარდა განდევნილი შარავანდისაგან მზისათა მხურვალებისაგან მისისა დამძიმებული“.

დარჩა მხოლოდ აჩრდილი წარმოსახვისა და ისიც ჟამიერი, „რამეთუ ვითარცა აჩრდილი წარმავალ არს ჟამი ჩუენი და არა არს მოქცევა აღსასრულისა...“

ამის შემდეგ „გონიერმა ადამიანმა“ ამქვეყნიურ ცხოვრე-

ბას, ანუ „სოფლისა დგომას“ მიაპყრო თვალი. იგი უკვე არა სცნობდა „ნივთთა გარეშე ხედვას“, რასაც ბუნებრივად მოჰყვა ეკლეზიასტური მოძღვრება „ამაოებათა ამაოების“ შესახებ როგორც სულიერი მარადიულობის ანტითეზა. ამ თვალსაზრისის მიხედვით, მარადიული არაფერია, „რამეთუ ყოველნი მივლენ ადგილსა ერთსა შინა, ყოველნი შეჰქმენ მიწისაგან, და ყოველნი მიიქცევიან მიწადვე... და ვინ უწყის სული ძეთა კაცთაჲსა, უკუეთუ იგი აღმავალს მაღლა, და სული საცხოვართაჲ უკუეთუ შთავალს იგი დაბლა ქუეყანად“.

ბუნებრივია, რომ ასეთი მოძღვრების მიმდევრები დაუბრუნდებოდნენ თავიანთ წილს ამქვეყნიური ცხოვრებისას. თავიანთ დღევანდელ დღეს, საათსა და წუთს, რათა „იხარონ ქმნილთა თავისა ზედა, რამეთუ ესე არს ნაწილი მათი“.

ეკლეზიასტეც ასე მოუწოდებდა მათ:

— შეიყუარე ყოველთა შინა დღეთა ცხოვრებისა ამაოებისა შენისათა, რომელი მოგეცა შენ მზესა ქუეშე, ყოველსა დღესა ამაოებისა შენისასა, რამეთუ ესე ნაწილ არს შენდა ცხოვრებასა შინა შენსა.

ეს კი არ შეიძლებოდა „გონიერი ადამიანის“ მრწამსი ყოფილიყო. იგი ვერ მიიღებდა მღაბალ შეგონებას ეკლეზიასტური ქადაგებისას:

— მოვედ და ჭამე სიხარულსა შინა პური შენი და სუ გულითა კეთილთა შინა ღუინო შენი, რამეთუ ეგერა საკონო იჩინა ღმერთმან ქმნილნი შენნი...

ვერც ეპიკურეული მისწრაფება, „ვიცხოვროთ და ვინეტაროთო,“ გაიტაცებდა მას, რადგან არც „სოფლად დგომა“ გახდა ამით ადვილი და არც ნეტარება მოჰყოლია მათ ქადაგებას. ძალა კი მოადუნა ადამიანებში, გმირობასაც თითქოს ეშხი დაეკარგა, თავგანწირვას—აზრი. იმ დიდი ომის დროსაც ხომ ქადაგებდნენ „ეკლეზიასტურ სიბრძნეს“ სოროებში შემძვრალი „ფილოსოფოსები“, „ცოცხალი ძაღლი სჯობს მკვდარ ლომსო“, და ისევ იმ ეკლეზიასტეს იშველიებდნენ საბუთად:

— რამეთუ ძაღლი ცოცხალი იგი უკეთეს უფროჲს ლომისა მკუდარისა, ვინაჲთგან ცოცხალნი სცნობენ, რამეთუ მოკუდებიან, ხოლო მკუდარნი არა არიან მეცნიერ არა-

რადსა და არარადარს მათდა მერმეცა სასყიდელი, რამეთუ დავიწყებულ არს სახსენებელი მათი, და სიყუარული მათი, და სიძულვილი მათი, და შური მათი.

ჰიტლერმა ამას ვითომ ერის ან რასის მთლიანობაში ინდივიდის შთანთქმისა და ამით მისი გამარადიულების წარმართული მოძღვრება დაუპირისპირა. მისი აზრით, ადამიანს როგორც პიროვნებას არავითარი ღირებულება არა აქვს, არც იმას, იცოცხლებს იგი, თუ დაიღუპება. მთავარია რასისა და ერის უკვდავება, პიროვნება კი ნულია ან მწკრივი ნულებისა. რაც ძალას მაშინ იძენს, თუ წინ ფიურერის სახით ჩნდება რიცხვი „ერთი" ან „რამდენიმე".

აქედანვე დაიბადა „პიროვნების მოსპობის სიხარულის" ბარბაროსული თეორია, რომელიც შემდეგ მილიონების გაჟლეტაში გადაიზარდა...

...Homo sapiens კი სხვა მხრივ ეძებდა გამოსავალს იმ ამაოების ტოტალური მდგომარეობიდან. მას შემდეგ, რაც „მარადიული სასუფევლის" ილუზიები გაქრა, ისიც „მოეგო სოფლისა დგომის ცნობას" და თვითონ ისურვა გარკვეულიყო საგანთა და მოვლენათა საიდუმლოებაში, ანუ გაეგო „მოქმედება ნივთთა, დასაბამი და აღსასრული და საშუალო ჟამითა: მოქცევითა შეცვალება და ცვლილებანი ჟამთა, წელთა სიმგრგულე და ვარსკულავთა გარდასხდომანი, ბუნებანი ცხოველთანი, და რისხვა მხეცთა, ქართა მძლავრება და გულისსიტყუანი კაცთანი, მრავალფეროვნება ნერგთა, და ძალნი ძლიერთანი, და რაოდენ არიან დაფარულ"...

ამან ქრისტიანული ღმერთი განარისხა. მან დაგმო წარმართნი და კერპთაყვანისმცემელნი, რომელთაც „ხილულთაგან კეთილთა ვერ შეუძლეს ცნობად მყოფისა, არცა საქმითა მიხედვითა ცნეს ხელოვანი, არამედ ცეცხლი ანუ სული, ანუ მსწრაფლი ჰაერი, ანუ სიმგრგულე ვარსკულავთა, ანუ მჩქეფარება წყლისა, ანუ მნათობნი ცისანი..."

მიუხედავად ამგვარი შერისხვისა, Homo sapiens-ნი მაინც არ მიიღო ქრისტიანული რელიგია, მაგრამ ჰიტლერელთა მსგავსად „ინდივიდის მოსპობის" გზას კი არ გაჰყოლია,

არამედ მოუხმო გონებას ადამიანისას, მის სიბრძნეს, „რამეთუ ყოველთა მოძრავთა უმოძრავესი არს სიბრძნე“, რასაც ვერ სძლევს ბოროტი ძალა, ვერც ვერავითარი სიავე ქამისა, რადგან „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი, და ქუეშე შეუდგინნა მას შუიდნი სუეტნი“.

ეს შვიდი სვეტი იყო, რასაც უნდა დაყრდნობოდა მოაზროვნე კაცობრიობა. აქეთკენ მოუწოდებდა გონება ადამიანისა. ჰიტლერმა კი ამ შემთხვევაშიც თავისებური ანტითეზა შექმნა და ღმერთს მადლობა შესწირა, „გონების შემაკავებელი ძალებისაგან“ რომ გაათავისუფლა იგი. ღვთის ასეთი „მადლი“ კი მარტო ჰიტლერს როდი ჰქონდა მომადლებული. ადამიანის გონებას დღემდე აშფოთებს აზრი: როგორ ხდება, რომ ხალხების ბედი ხშირად ასეთ „ნებისმიერ ვიგინდარებს“ უვარდებათ ხელთ და არა სიბრძნის, სიკეთისა და სიმართლის გამომხატველთ? რატომ არის, რომ მოწოდება: „მძლავრნო ერთანო, პატივი ეცით სიბრძნეს, რამეთუ სიმრავლე ბრძენთა ცხოვრება არს სოფლისა“, — რჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა... აბა, გადახედეთ ხუთივე კონტინენტის მეუფეთა გრძელ სიას, „ბრძენნი კაცთანი“ საცოდავ უმცირესობად თუ არ გამოჩნდნენ. ხომ ფაქტია, რომ ბრძენი მეუფეთა შორის დიოგენის ფარნითაა საძებარი, ხოლო ვინც არის, კაცობრიობა დიდების შარავანდით მოსავს, ვინც არა, წელში მოხრილი ხალხის ზურგზე ჰიტლერივით დგამს თავის ტახტს და არა სიბრძნის იმ შვიდ სვეტზე, რომელთა ძალა აღიარებულია გონების მიერ...

ჩვენს სკეპტიკურ საუკუნეშიც ბევრმა „მეძიებელმან და ძნებებელმან პოვნისა“ გაიმეორა იარაღდაყრილთა ეს ეკლეზიასტური მოძღვრება, მაგრამ შეუმუსრავი ძალა გონებისა როდი დაემორჩილა ამას. იგი დღემდე ინახავს ძველ ბრაჰმანულ სიბრძნეს, რომელიც ასე ჩამოაყალიბა გერმანელმა მწერალმა რიკერტმა:

ვინც ამბობს: ვეძიებდი, მაგრამ ვერ ვპოვებდიო, —
მე მგონი, ტყუის;
ვინც ამბობს: არ ვეძიებდი, მაგრამ ვპოვებდიო, —
მე მგონი, გვატყუებს;

ვინც ამბობს: ვეძიებდი და ვპოვებდიო, —
მე მგონი, მართალს ამბობს.
მონდომება და მიღწევა განუყოფელია ერთმანეთისაგან...

უკანასკნელი ცოდვა...

ამის შემდეგ გონიერმა ადამიანმა საბოლოოდ ირწმუნა ძალა გონებისა და აღდგა სული „შორის ყოველთა გამვლელი სულთა გონიერთა წმიდათა“. ისევ გაჩნდა „უსრულოთა ჟამთა გამომღები ნერგი, რომელ არს ხედვად ხილვისაგან ყოფადთა საცნობელი“. აღმაღლდა სული სიბრძნისა და უკვდავება გონიერებისა, „რამეთუ უკუდავება არს თანა-მონათესაობა სიბრძნისა“. პანდორას ყუთიდანაც ამოფრინდა უკანასკნელი „ცოდვა“ — იმედი, და ადამიანმა იწამა, რომ გონების ძალა ეაფანტავს ბოროტების, შიშისა და ძრწოლის ბურუსს.

ესეც კეთილი ნების ადამიანთა მონდომებისა და ღვაწლის საქმეა. ყველა გონიერ ადამიანს აქვს გზა და საშუალება თვითონვე გაერკვეს სიკეთისა და ბოროტების ამ დახლართულ ლაბირინთებში, აიცდინოს „მსაცთურებელი ყოველი“ და გაიგოს, „რაჲ არს სათნო წინაშე თუალთა, და რაჲ წრფელი — მცნებათა შინა მათთა“.

ამაშია ყოველი ადამიანის პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, ერისა და კაცობრიობის წინაშე. ყველას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების დიად საქმეში... ვაჟასებური „ღვაწლით“—დიდით თუ მცირეთი და არა ლაპარაკით, თორემ ზოგს მართლა ჰგონია, დედამიწის ღერძზე მაქვსო ხელი ჩაჭიდებული, სხვები კი ვერც ამჩნევენ, თავიანთ სუნთქვას როგორ უერთებენ კაცობრიობის ენებათა ღელვას. კადნიერი ფიქრობს, პრომეთეოსის ჩირაღდანი მიჭირავსო, მოკრძალებული კი ალექსანდრე აბაშელივით ამბობს:

მოდით, თქვენს ჩირაღდნებთან ჩემი ჭრაქიც ავანთო,
იქნებ მეც გავანათო მიწის ერთი ნაჭერი!

ყველამ რომ მიწის ერთი ნაჭერი კაანათოს, ბოროტება გაქრება ამქვეყნად და სიბრძნის ნათელი დაადგება კაცობრიობას...

...ეს ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების შედეგი იქნება, „გონიერი ადამიანის“ ღვაწლი და მიღწევა, მაგრამ ამის წინააღმდეგ დღესაც ჯოჯოხეთის მთელი პანდემონიუმია დარაზმული. ერთნი გონებას ქირდავენ, მეორენი — აზროვნებას. ასეთი უნიათო დევიზიცაა წამოსროლილი:

— თუ აზროვნებ, გრცხვენოდეს!

საკითხავია: რატომ უნდა რცხვენოდეს ადამიანს აზროვნებისა? ან ჰიტლერს რატომ ეგონა, რომ „გონებისაგან გათავისუფლება“ მადლია და ისიც განგებისაგან მონიჭებული? ერთმანეთს როგორ ეწყობა მაცხოვრის პოზა და სისხლიანი ორგიები? ან უდიდესი ბოროტების გზით როგორ უნდა მივიდეთ უდიდეს ჰუმანიზმამდე? ეს ხომ პარადოქსია, შავით შავზე წერა! განა სიკეთესა და ბოროტებას შეუძლიათ ერთად ყოფნა ისე, რომ ორივეს ამაყი გამომეტყველება ჰქონდეს?! ან ღვთაებრივის ცნება როგორ იერთებს თავისში ერთსაც და მეორესაც?!

ამის პასუხსაც დიდხანს ეძებდა Homo sapiens, მაგრამ მაინც ვერ გაიგო, რისი ღმერთია „ცათამპყრობელი“: სიკეთისა, თუ ბოროტებისა. თუ სიკეთისა, როგორ შეეძლო ასე გულგრილად ეცქირა ადამიანთა ტანჯვისათვის? და თუ ბოროტებისა, რად იწოდებოდა „სათავედ ყოველთა კეთილთა?“ რატომ დუმდა იგი, როცა „ურვა და ლალვა ხატებისა მისისა“ არყევდა ზეცის თაღებს?..

ნიცშემ კი თქვა, „ღმერთი დუმილიაო“, მაგრამ ამან შვება როდი მოუტანა „ტანჯულთა და გვემულთ“. ვერც ის გაირკვა, თუ რატომ აღივსნენ ადამიანები „უსჯულოებითა და ბოროტებით?“ თუკი ქვეყანა და „არსი ყოველი“ განფენილობაა ღვთაებრივი საწყისისა ან, როგორც ეკლესიის მსახურნი ქადაგებენ, „სულმან უფლისამან აღავსო ქუეყანა“, საიდანღაა ამდენი ბოროტება და სიმახინჯე, „შფოთი და ლალვა

ჯვთილთა“, უდანაშაულოთა ხოცვა-ჟლეტა, მადლის დავიწყება, ადამიანური ღირსების დამცირება და უსამართლობა?!

როცა ამდენი ამაღელვებელი სიტყვაა დახარჯული სიბრძნისა და მშვენიერების სიდიადეზე, ადამიანი როგორ ეგუება სიკეთის აჩრდილთა დევნას ბოროტების სამეფოში? ან თვით ბოროტებას როგორ მიაჩვია გონების თვალი სიკეთის ასეთ „დამამშვიდებელ მირაჟებში?“.. იქნებ ჩვენმა ეპოქამ გადაწყვიტა მიიღოს ეკლეზიასტური თეზა, თითქოს დრო აერთიანებს თავისში ამ წინააღმდეგობებს და ბუნებრივ, თვით ღვთაებრივ სახესაც კი აძლევს მას, რადგან ერთიაო „ჟამი შობად და ჟამი სიკუდილად, ჟამი წყლულებად და ჟამი კურნებად, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხურად დანერგულისად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად, ჟამი სიყუარულისად და ჟამი სიძულვილისად, ჟამი ბრძოლისად და ჟამი მშჯიდობისად“?...

ან ამგვარ წინააღმდეგობათა პარადოქსულობისათვის რაღა ასე შორს მივდივართ, როცა ის ჩვენს დროში კიდევ უფრო გამძაფრებული ფორმითაა წარმოდგენილი!..

აქ მართლაც ერთმანეთშია არეული „ჟამი ომებისა და ჟამი მშჯიდობისა“. ვინც დღედაღამ მშვიდობას ქადაგებს, მასობრივ მოსპობისა და განადგურების იარაღებით ესხმის თავს მშვიდობიან მოსახლეობას. იმ საშინელი ომის შემდეგაც ერთი წუთი არ ყოფილა ისეთი, რომ სადმე, დედამიწის რომელიმე კუთხეში, ხოცვა-ჟლეტა არ იყოს გამართული. არასოდეს ისე საშინელი საფრთხის წინაშე არ მდგარა კაცობრიობა, როგორც დღეს, გონებრივი განვითარების ამ თვალუწვდენ სიმაღლეზე. ბიბლიური მითები ცეცხლის წვიმისა და წარღვნის შესახებ სწორედ ახლა უახლოვდება თავის რეალურ შესაძლებლობას...

პარადოქსული წინააღმდეგობანი კი მშვიდად განაგრძობენ პარალელურ რელსებზე სრიალს...

ყველაფერი ერთსა და იმავე დროს ხდება: ომს გმობენ და მაინც ომობენ, განუწყვეტლივ თათბირობენ განიარაღების კომიტეტში და ასევე განუწყვეტლივ იარაღდებიან, ზიზღით იგონებენ ჰიტლერელების სისასტიკეს და თვალებს

თხრიან თავისუფლებისათვის მებრძოლებს. თუ რამ საშინელი მოხდება, შეძრწუნდებიან და ისევ იმასვე იმეორებენ...

ნაწლევთა ღეჭვა...

ამბობენ, ისტორიას მოკლე მეხსიერება აქვსო. გარემოება ზოგჯერ გაიძულებს კაცს ასეთი რამ დაიჯეროო.

ჯერ კიდევ პროცესი მიმდინარეობდა ნიურნბერგში, რომ ლანდსბერგის ციხის დათვალიერებისას ამერიკელმა ოფიცერმა შემოგვთავაზა: იმ ადგილს გიჩვენებთ, სადაც დამნაშავეებს სიკვდილით ვსჯითო... ყველამ უარი თქვა, არ გვინდაო. ზოგმა ზიზღითაც შეაქცია ზურგი იმ ოფიცერს... ის კი მაინც დაჟინებით მოითხოვდა გავყოლოდით, თან გვარწმუნებდა, ასეთ რამეს სხვაგან ვერსად ნახავთ, ვერც ასეთ ტექნიკას სიკვდილისასო...

„განხალხების“ ტექნიკური პროცესი მომაგონდა... თითქოს ცნობისმოყვარეობამაც შემიპყრო, მაგრამ თავი მაინც ვერ დავძლიე და მეც უარი ვუთხარი. ამერიკელს გაუკვირდა:

— თქვენ ოფიცერი ბრძანდებით, სამხედრო პირი, და როგორ შეგიძლიათ ამაზე უარი თქვათ?!

მერე მხრები აიჩეჩა და დაუმატა:

— მე უკეთესი წარმოდგენისა ვიყავი რუსი ჯარისკაცის ნერვების სიმაგრეზე... სტალინგრადი...

— კარგი, მოვდივარ! — აღარ დავამთავრებინე მე, რადგან ის ზედმეტ ნებას აძლევდა თავის ენას. მერე, ჩემდა გასაოცრად, ფრანგმა პროფესორმა ეტიენმა და მისმა ქალიშვილმა ლიზელოტამაც გამოთქვეს თანხმობა და... გავყევით...

— აი, ეს კედელი, — გვიხსნის ამერიკელი, — ვისაც დახვრეტას ვუსჯით, აქ ვაყენებთ, ერთს ან რამდენიმეს ერთად. ჩამოსახრჩობად კი ამ ჭანგებს ვიყენებთ, კედელს რომ აქვს დატანებული... ესეც რადიოქსელია...

ეტიენს ეგონა ყური მატყუებსო და ისედაც გაფითრებულმა იკითხა:

— რა აქვს დატანებული?!

— რადიოქსელი, — განაგრძო მშვიდად ოფიცერმა. —

აქედან ხდება გადაცემა ვაშინგტონში, ნიუ-იორკში და ამერიკის სხვა ქალაქებში!

— რისი გადაცემა?! — გაგიჟდა ეტიენი და სახეზე ახლა ლურჯმა ფერმა გადაჰკრა. ლიზელოტა კი (რომლის შესახებ მერე გიამბობთ) იდგა და ცბიერად იღიმებოდა...

— სიკვდილით დასჯის პროცესისა! — განმარტა ამერიკელმა. — ვისაც აინტერესებს დასახვრეტის ან ჩამოსახრჩობის უკანასკნელი წამოძახილის მოსმენა ან მათი სასიკვდილო აგონიის გაგონება, შეუძლია თავისივე სახლში მოუსმინოს. ამას რომელიღაც ფირმა განაგებს და დიდძალ შემოსავალსაც იღებს...

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ეტიენი შებრუნდა და ზურგი შეაქცია კედელს. ლიზელოტა კი ისევ ცბიერად იღიმებოდა... მერე მეც გამოვბრუნდი და... პირდაპირ ტრიბუნას მოვკარი თვალი...

ოფიცერმა მაშინვე დაიწყო:

— ეს ტრიბუნა მაყურებლებისთვისაა, იმათთვის, ვისაც სიკვდილით დასჯის ყურება უნდა. ასეთი კი ბევრია. ზოგჯერ აქ ქალაქის ბურგომისტრიც მოდის თავისი მეუღლითა და ნაცნობებით... აი, აქ დადგებიან და უყურებენ... გერმანელებს უყვართ ამგვარი სანახაობა...

...იმის ნაამბობმა მე რომელიღაც ქალაქის ბურგომისტრის ამბავი გამახსენა, რაზედაც გენერალი ბრედლი წერს თავის მემუარებში. მან ეიზენჰაუერი და გენერალი პატონი წაიყვანა საკონცენტრაციო ბანაკის სანახავად, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ დაიკავეს მოკავშირეთა სატანკო ნაწილებმა. მიუახლოვდნენ თუ არა ბანაკს, სიმყრალის საშინელი სუნი ეცათ. ნახეს ორმოში ჩაყრილი გვამები, ჭია-ღუები რომ ეხვევოდათ, ძვალზე გადაკრულ გაყვითლებულ კანზე კი ტილები დაღოღავდნენ...

მერე თურმე უფრო საშინელი სურათიც წარმოუდგათ თვალწინ. ეს იყო ერთი კუთხე ბანაკისა, სადაც პატარა ბავშვები მუცელგამოფატრული გვამებიდან შიგნეულობას ეზიდებოდნენ და...

„იყვნეს ღეჭვად ნაწლევთა...“ როგორც პიბლიაზია ნათქვამი...

— ეიზენჰაუერი ქალალდივით იყო გათეთრებული, — წერს ბრედლი,—პატონი კი გვერდზე მიდგა და წააღებინა...

დიდხანს ვერ გაუძლეს ამ საშინელებას და წავიდნენ. თან განკარგულება გასცეს, იმ ქალაქის ბურგომისტრი და მოსახლეობა მოეყვანათ აქ და ეჩვენებინათ ყველაფერი ეს...

...ბურგომისტრი თავისი მეუღლითურთ მოვიდა ბანაკის დასათვალიერებლად: ნახეს კიდეც ყველაფერი... და შინ რომ დაბრუნდნენ, ვენები გადაიჭრეს...

მეორე დღეს ორივენი აბაზანაში ნახეს მკვდარი...

ეიზენჰაუერს უთქვამს ამაზე, „მადლობა ღმერთს, კიდევ დარჩენილან პატიოსანი გერმანელებიო“.

ის რადიოფიცირებული სასაკლაო კი მის „სამფლობელოში“ იყო მოწყობილი...

ასეა.როცა ამერიკელი ბრალმდებლები ნიურნბერგში კაცთმოყვარეობასა და მშვიდობას იცავდნენ, ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ყუმბარები ააფეთქეს და სამასი ათასი კაცის სიცოცხლე იმსხვერპლეს...

ეს ამბავი მთავარმა სამხედრო დამნაშავეებმა ნიურნბერგის ციხეში გაიგეს. თითქმის ყველას გაუხარდა. მართალია, ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, მაგრამ მაინც. იყო სინანულიც. თვითონ რომ ვერ მოასწრეს ამის გაკეთება.

— ჩვენ რომ ეს იარაღი გვქონოდა!.. — დაიქადნა გერინგმა.

— შეიძლებოდა ასეც ყოფილიყო, ომის დაწყება რომ არ გვეჩქარა, — დაუდასტურა შპეერმა.

— მაშინ ნახავდნენ ისინი, ვინ ვის მოუწყობდა პროცესს, — დაასრულა თავისი აზრი გერინგმა...

...იმ დღეებში, მართალი გითხრათ, ჯილბერტს უჭირდა კიდეც მასთან პაექრობა. როგორც კი იგი გერმანელების მიერ ჭშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაზე ჩამოაგდებდა სიტყვას, გერინგი მაშინვე პირში მიახლიდა:

— განა ხიროსიმა და ნაგასაკი უარესი ბოროტება არ არის!..

არც ქალებისა და ბავშვების დახოცვაზე ლაპარაკი იყო ადვილი ამერიკელი ექიმისათვის.

— ვინ იცის, იმ სამასი ათას დაღუპულში რამდენი ქალი და ბავშვი იყო! — ეუბნებოდნენ მას.

ჯილბერტი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ომის დროს ყუმბარების ჩამოყრით გამოწვეული მსხვერპლი ერთია, საკონცენტრაციო ბანაკების საშინელება კი—მეორე. მაგრამ გერინგზე ეს არ მოქმედებდა.

— ხიროსიმასა და ნაგასაკს არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს თქვენ სხვა მიზნით გააკეთეთ! — უთხრა მან ჯილბერტს.

—რა მიზნით? — აღელდა ექიმი.

— დაშინების! დიახ, დაშინების! — ასეთი იყო პასუხი.

ჯილბერტს ამაზე არაფერი უთქვამს, გერინგმა კი ნიშნის მოგებით დაუმატა:

— ჩვენც ამ მიზნით ვაკეთებდით ბევრ რამეს, მაგრამ, როგორც ჩანს ამერიკული მასშტაბები გვაკლდა...

ეს კი ვერ მოითმინა ჯილბერტმა და საკმაოდ უხეშად მიახალა გერინგს:

— ჩვენ თუ იძულებული ვართ ასეთ რამეს მივმართოთ, ეს იმიტომ, რომ ბოროტებას ვებრძვით სიკეთისათვის!

— ერთი ვინმე ამბობდა, სიკეთე მსურს და ბოროტება კი ვამომდისო, — შეუბრუნა კეხი გერინგმა...

— ის „ერთი ვინმე“ ეშმაკი იყო, მეფისტოფელი, — ჩაერია მათ საუბარში ფრანკი, რომელიც ციხეში ძალიან ხშირად იხსენიებდა გოეთეს, — ჩვენ კი ადამიანებს გვეძახიან, მაგრამ ის „ორი სული“ მაინც ცოცხლობს ჩვენში, სულერთია, გერმანელები ვართ, ამერიკელები, თუ რუსები...

...ამაზე ფიქრი, ვინ იცის, საიდან სად წაიყვანს ადამიანს. ვაჟა ამბობს, „ფიქრის ერთი საქებური თვისება მოვლენათა მიზეზების ძიებაა“.

ჩვენი ეპოქის პარადოქსულობის მიზეზთა ძიებას რომ გა-

ჰყვეს კაცი, შეიძლება ისეთ ლაბირინთში მოხვდეს, რომ გზა-კვალიც ვეღარ გაიგნოს. ისედაც ამბობენ, „დაბნეულობისაკენ ათასი გზა მიდის, ჭეშმარიტებისაკენ — მხოლოდ ერთია“. ვინ იცის, ასეა ეს თუ... თვით ის დაბნეულობაა ერთადერთი ჭეშ-მარიტება, გზა კი—„მაგიური წრე“, რომელიც არც არაფერს უახლოვდება და არც არაფერს შორდება, გარდა საკუთარი გულისთქმისა.

მართლაც, რამდენი ათეული საუკუნეა, რაც ყველა თავის ერთადერთ ჭეშმარიტებას ეძებს?! მერედა ვის უპოვია იგი? ან თუ ვინმე მიახლოებია დელფოსის ტაძარს, რომ იმ იზიდას ბიუსტისათვის აეხადა პირბადე?!. ალბათ, იყვნენ და არიან ისე-თები, ვინც მხოლოდ „თქმისაებრ გულისა“ მიჰყვებიან ჭეშმა-რიტების იმ გზას, მაგრამ იპოვნიან თუ არა... ვერავინ გეტ-ყვით:

...რამეთუ „იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ ჭეშმარი-ტებისაჲ“...

...ბალზაკს უთქვამს: სტენდალი ისეთი მწერალი იყო, ვარ-დების მოსაკრეფად გზიდან ბილიკზე არასოდეს გადაუხვევდაო. ეს შეიძლებოდა სტენდალზე თქმულიყო, რადგან, სადაც ის დადიოდა, ვარდებიც იქვე ხარობდა. უბრალო მთხრობელი კი არც ბილიკებით სიარულზე იტყვის უარს, თუ მისი ნაამბობი ერთხელ კიდევ შეგვახსენებს იმ O, Homo, fuge-ს... ეშმაკთან წილნაყარ ადამიანთა მკლავზე რომ ჩნდება გასაფრთხილებ-ლად...

მე მინდა გერმანელი ხალხის დიდი ნაწილის ამგვარი „საბედისწერო წილნაყარობის“ ისტორია გიამბოთ და, თუ დამჭირდა, ზოგჯერ გზიდან ბილიკებზედაც გადავუხვიო, მაგრამ. ცხადია, არა „ვარდების“, არამედ ბოროტების შხამიანი ყვა-ვილების მოსაკრეფად...

მეშვიდე ეშმაკი...

ეს იყო მიუნჰენში, 1919 წლის 12 სექტემბერს. ძველი გუთური სტილის უზარმაზარი ნაცრისფერი შენობის ნესტიან

სარდაფში ჩავიდა საშუალო ტანის ჯარისკაცი, რომელსაც რაიპსვერის გახუნებული ფორმა და ტალახში ამოსვრილი ჩექმები ეცვა, თავზედაც გაქექილი კოკარდიანი ქუდი ეხურა, რაც კიდევ უფრო უცნაურ გამომეტყველებას აძლევდა მას. ცუდი მხედველობა ჰქონდა და კედლებზე ხელების ფათურით მიიკვლევდა გზას დერეფანში. მერე, როგორც იქნა, მიაგნო კარებს, ფრთხილად შეაღო და მბჟუტავი ლამფით ოდნავ განათებულ ოთახში შევიდა. იქ ხის უბრალო მაგიდასთან ხუთი კაცი იჯდა და რაღაცაზე გაცხარებით კამათობდა, მაგრამ, უცნობი რომ დაინახეს, გაჩერდნენ და ცნობისმოყვარედ დაუწყეს მას თვალიერება.

— ვინ გნებავთ? — ჰკითხა ბოლოს ერთმა მათგანმა.

— ანტონ დრექსლერი! — რაღაც უცნაურად ხრინწიანი ხმით მიუგო ახალმოსულმა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ეფრეიტორი ადოლფ ჰიტლერი! — წამოიძახა მან და ისე გაიჭიმა, თითქოს გენერლების წინაშე მდგარიყო.

გამოირკვა, რომ ამ ჯგუფის ხელმძღვანელს, ანტონ დრექსლერს, დაებარებინა იგი „გერმანიის მუშათა პარტიის“ სხდომაზე. ამ „პარტიაში“ მაშინ სულ ექვსი წევრი იყო. შემდეგ თვითონ დრექსლერიც მოვიდა და მისი რეკომენდაციით ადოლფ ჰიტლერი მიიღეს პარტიის მეშვიდე წევრად...

მერე ვიღაცამ იხუმრა კიდეც: ჯოჯოხეთს სწორედ მეშვიდე ეშმაკი აკლდა და ისიც მიემატაო...

...„იმ დღეს მე გადავწყვიტე პოლიტიკური მოღვაწე გავმხდარიყავი“,—წერდა თვითონ ჰიტლერი. თავისი „ღვთაებრივი მოვლინების“ თარიღადაც ის დღე მიაჩნდა და „ბოროტი შვიდიც“ შვიდ ანგელოზად წარმოიდგინა. თუ ჩვენც ასე ალეგორიებით ვილაპარაკებთ, ნაცისტური პარტიის ის შვიდწევრიანი უჯრედი მართლაც „შვიდთავიან ვეშაპად“ მოევლინა პირველად გერმანიას, როგორც „იოანე მახარებლის გამოცხადებაში“ წერია:

„და აჰა ვეშაპი ცეცხლისაჲ დიდი, რომელსა ედგნეს

თავნი შუიდნი და რქანი ათნი, და თავსა ზედა მისთა შუიდნი გუირგუინნი“...

ჰიტლერი, როგორც ვნახეთ, თვითონ ცდილობდა საკუთარი პიროვნება ასეთ ბიბლიურ ბურუსში გაეხვია: უნდოდა თავისი „ღვთაებრივი მოვლინებაც“ ამქვეყნად იმ იოანე მახარებლის გამოცხადებისათვის შეედარებინა. „ჩვენ ყველანი იოანე მახარებლები ვართ, მე ვუცდი ქრისტეს მოსვლასო“, — ამბობდა იგი. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ციხეში რომ ჩასვეს, მსაჯულებს განუცხადა:

— ორი ათასი წლის წინათ ერთი ვინმე წამებულიც ასევე იქნა ჯურღმულში ჩასმული და ისიც იმ რასის წარმომადგენელთა მიერ, ვინც ახლა მე მგზავნის ციხეში!

ეს „ერთი ვინმე“ იოანე მახარებელი იყო, „ის რასა“ კი — იუდეველთა მოდგმა.

თხრობას ჰიტლერელების შესახებ მეც ამ ბიბლიურ ლეგენდას დავუდებ საფუძვლად და ვნახავთ, რა საოცრად აუხდება იმ „შვიდთავიან ვეშაპს“ ალეგორია „გამოცხადებისა წმიდისა მახარებელისა და ღმრთის მეტყუელისა იოანესი“...

...ნიცშეს უთქვამს, „შვიდი ეშმაკისაგან ერთი ღმერთი არ გამოვაო“, არც იმ შვიდთავიანი ვეშაპისგან გამოსულა ერთი მახარებელი. ჰიტლერი კი მაინც კისრულობდა ამ როლს: „მე განგებამ იმიტომ გამომგზავნაო“..., ამბობდა ხოლმე იგი მორიგი ქადაგების წინ და, მართლაც, მახარებელივით ცხადდებოდა ბრბოს წინაშე. პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის პირველი დღიდანვე ის რაღაც დიდსა და შეუძლებელს ჰპირდებოდა ხალხს, ადიდებდა გერმანელთა არიული რასის უფლებებს, ხოლო სხვებს, „მდაბალთა და უღირსთ,“ განადგურებით ემუქრებოდა.

— ვინც მე წინ აღმიდგება, გავსრეს, მოვსპობ! — გაჰკიოდა იგი ნაცისტთა შეკრებებზე და ტევტონური ყინით აღვივებდა მათში მხეცურ ინსტინქტებს. ან როგორც ის იოანე მახარებელი ამბობს:

„...იტყოდის ხატი მხეცისაჲ მის, და ქმნას. ყოველნი, რომელთა არა თაყუანის-სცენ ხატსა მხეცისასა, მოიკლნენ“.

ჰიტლერმაც ასეთი თაყვანისცემა მოითხოვა იმ „შვიდ-თავიანი ვეშაპის“ დანარჩენი ექვსი თავისაგან და მიაღწია კიდეც. რამდენიმე ხნის შემდეგ მან ამ შვიდი კაცისაგან შემ-დგარ უჯრედს რატომღაც „გერმანიის მუშათა ნაციონალ-სოციალისტური პარტია“ უწოდა და გახდა მისი პირველი თავმჯდომარე, ანუ იმთავითვე დაიდგა „თავსა თუისსა ზედა გუირგუინი გმობისაჲ“...

...ასე დაიწყო ნაცისტური მოძრაობა გერმანიაში. ჰიტ-ლერი მაშინ ოცდაათი წლისა იყო. მას არც საარსებო სახს-რები გააჩნდა და არც საზოგადოებრივი მდგომარეობა. ად-რე ავსტრიაში ცხოვრობდა, სადაც მამამისი საბაჟოს უბრა-ლო მოხელედ მუშაობდა. მისი ნამდვილი გვარი იყო არა ჰიტლერი, არამედ შიკლგრუბერი, რაც იმ დროს ყველაზე სასა-ცილო გვარად ითვლებოდა ავსტრიაში. იუმორისტები ჩვეუ-ლებრივად „შიკლგრუბერებს“ არქმევდნენ თავიანთ კომიკურ პერსონაჟებს. ამის საბაბს თვით ამ გვარის შინაარსი იძლეოდა: „შიკლგრუბერ“ გერმანულად ნეხვის ხოჭოს ნიშნავს, სხვაგვა-რად ფუნაგორიას რომ ეძახიან. არის ამაში რაღაც სიმბო-ლური: ადოლფ შიკლგრუბერმაც ასევე ააგორა ჭუჭყი გერ-მანიის ტანზე და მანამ აგუნდავა, ვიდრე ზვავივით ქვეშ არ მოიყოლია იგი და მისი „ათასწლოვანი იმპერიაც“...

მეზობლებისა და ნაცნობების დაცინვით თავმობეზრე-ბულმა მამამ ალოიზმა, 36 წლის რომ გახდა, ეს ყბადაღებუ-ლი გვარი „შიკლგრუბერი“ „ჰიტლერად“ გადააკეთებინა. შემდეგში ადოლფ ჰიტლერის მიმდევრები სიამოვნებით აღ-ნიშნავდნენ ამ ფაქტს, ირონიულად განწყობილნი კი ოხუნჯობ-დნენ, გვარი რომ არ გამოეცვალა, ვერც ფიურერი გახდებო-დაო. ვერ წარმოედგინათ „შიკლგრუბერი“ როგორ უნდა ყო-ფილიყო პარტიისა და სახელმწიფოს მეთაური!.. ან მის მონა-რეებს როგორ უნდა ეყვირათ: „ჰაილ შიკლგრუბერ!“ — დი-დება ნეხვის ხოჭოსო!

ალბათ, ამიტომაც ამბობდა ჰიტლერი: „ხალხმა არ უნდა იცოდეს ვინა ვარ მე, საიდან წარმოვიშვი, ან როგორ ოჯახს ვეკუთვნი“. იგი კრძალავდა კიდეც თავისი პირადი ცხოვრების

შესახებ რამე ცნობის გამოქვეყნებას ან წიგნების წერას. მაგრამ ისტორიას რა დაეშალება? საქმით დაინტერესებულმა პირებმა ყველაფერი გამოარკვიეს, თუმცა ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ჰიტლერის გვარის გენეალოგიაც ისევე ბნელით იყო მოსილი, როგორც მისი პიროვნება. ადრე იწერებოდა ჰიდლერი, ჰინდლერი, ჰუტლერი ან ჰუტნერი. ბაბუა იოჰანნ ჰიდლერი იყო, ბებია ანნა-მარია—შიკლგრუბერი. ალოიზი მამის მესამე ცოლის შიკლგრუბერის უკანონო შვილად ითვლებოდა და მეტწილად ბიძასთან ნეპომუკ ჰუტნერთან იზრდებოდა. დედის გარდაცვალების შემდეგ იოჰანმა ნოტარიუსის წესით დაამტკიცა, რომ ალოიზი ნამდვილად მისი შვილია. ეს საჭირო გახდა ბიძის ნეპომუკის, მემკვიდრეობის მისაღებად. ამის შემდეგ ალოიზ შიკლგრუბერი ჰიტლერად იქცა, თუმცა ზოგ დოკუმენტში ისევ შიკლგრუბერად მოიხსენიებოდა.

ალოიზ შიკლგრუბერ-ჰიტლერი მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა. მან სამჯერ შეირთო ცოლი. ადოლფი მესამე ცოლის, კლარა პოცლის, მესამე შვილი იყო. მეორე ცოლს, ფრანცისკა მენცელსბერგერს, ჰიტლერის მამისაგან ქალ-ვაჟი დარჩა; უფროსი იყო ალოიზი, რომელიც ჯერ დედის გვარს ატარებდა, ხოლო შემდეგ, როცა ეს მისთვის უფრო ხელსაყრელი გახდა, — მამისას. ჰიტლერს არ უყვარდა იგი, რადგან ქურდობისათვის იყო რამდენჯერმე ნასამართლევი. ადოლფის და (მამით) ანგელა ექიმ რაუბალს გაჰყვა ცოლად და შეეძინა ქალიშვილი გელი. ეს სწორედ ის ქერათმიანი გელია, რომელსაც თავის „სახელგანთქმულ ბიძასთან“ ადოლფ ჰიტლერთან ჰქონდა ტრაგიკული რომანი. ასე რომ სისხლის აღრევა ჰიტლერებს შთამომავლობით მოსდგამდათ. ადოლფის დედის, კლარას, ბაბუაც ჰუტლერი იყო. ადოლფ ჰიტლერის მშობლებმა როგორც ღვიძლმა ბიძაშვილებმა მხოლოდ ეპისკოპოსის ნებართვით შეძლეს ჯვრის დაწერა. მათი პირველი ვაჟი, გუსტავი, ჩქარა გარდაიცვალა, მეორეც—ქალიშვილი იდა. ადოლფი მესამე შვილი იყო. უმცროსმა, ედმუნდმა, ექვსი წლის მეტი ვერ იცოცხლა.

ამრიგად ალოიზისა და კლარას ოთხი შვილიდან ცოცხა-

ლი დარჩა მხოლოდ ერთი — ადოლფი. იგი ავსტრიის ქალაქ ბრაუნაუს სასტუმროში დაიბადა 1886 წელს. ეს უბრალო ამბავიც შემდეგში ლეგენდად იქცა, რასაც თვითონ ჰიტლერმა შეუწყო ხელი:

— დღეს მე მიმაჩნია განგების გადაწყვეტილებად, რომ ბრაუნაუ აირჩია ჩემი დაბადების ადგილად.

ასე იწყება მისი წიგნი „ჩემი ბრძოლა". თურმე ისიც განგებას გადაუწყვეტია, რომ სასტუმროში დაბადებულიყო! შემდეგში ჰიტლერმა თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი პართლაც სასტუმროებში გაატარა. მისი პარტიის შტაბი ბერლინის სასტუმრო „კაიზერსჰოფში" იყო მოთავსებული და საცხოვრებელ სახლს ბერჰტესგადენშიც „სასტუმრო ბერგჰოფი" ერქვა.

ეს რაც ლეგენდას შეეხება. სინამდვილეში კი ჰიტლერი მეზობლებსა და ნათესავებს დეფექტურ ბავშვად მიაჩნდათ. იმასაც ამბობდნენ: ღმერთი სისხლის აღრევის გამო სჯისო მათ, ოჯახს მძიმე ცოდვა აწევსო, შერისხულები არიანო და ა. შ.

ისიც ცნობილია, რომ ჰიტლერის მამას იმთავითვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული თავის „უტვინო შვილზე". სულ იმას ამბობდა, ამისგან კაცი არ გამოვაო. დიტრიჰი წერს: იგი „ძნელად აღსაზრდელი — ველური ბავშვი" იყოო. მეზობლები კი უქნარას (Taugenichts) ეძახოდნენ. მერე მამამ მაინც სცადა სწავლა-განათლება მიეღებინებინა, ქ. ლინცის გიმნაზიაშიც მიაბარა, მაგრამ არაფერი გამოვიდა: ვერ ისწავლა, სავალდებულო საგნები ვერ ჩააბარა და გარიცხეს. შემდეგ თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში კი წერდა, „გიმნაზიაში იმიტომ ვერ ვისწავლე, რომ მინდოდა მხატვარი გამოვსულიყავიო".

არც მხატვარი გამოვიდა, ყველაფერში ხელმოცარული იყო. ერთხანს მოხელეობაზეც ოცნებობდა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მამის კოკარდიანი ქუდი მოსწონდა. მერე, როცა ნაცისტური პარტიის მეთაური გახდა, სწორედ ასეთი კოკარდიანი ქუდები დაახურა თავის მოიერიშეებს. თვითონ ჰიტლერის სურათებიც გინახავთ, ალბათ, ცხვირზე ჩამოფხატული კოკარდიანი ქუდით.

მშობლები რომ დაეხოცა, მეურნეობას ვერ გაუძღვა. ყველაფერი გააჩანაგა და დარჩა მშიერ-მწყურვალი. ისე კი ამაყი იყო, განდიდების მანიით შეპყრობილი, რის გამოც მეგობრები ხუმრობით „გაკოტრებულ გენიოსს“ (Ferbummeltes Genie) ეძახდნენ.

ერთხანს უსაქმოდ დაეხეტებოდა ვენაში. გროში არ გააჩნდა, არც სახლ-კარი. თავს შემთხვევითი შემოსავლით ირჩენდა, წვერი მოშვებული ჰქონდა, უსაშველოდ გრძელი პიჯაკი ეცვა, დახეული ფეხსაცმელი. თვითონ წერს, „ექსტრავაგანტური გარეგნობისა ვიყავიო“.

გარშემო კი ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ვენელები ტრაბახობდნენ: ღმერთმა თავისი მოწყალების კალთა სწორედ აქ გადმობერტყაო. ამ მხიარულსა და ლამაზ ქალაქში, მართლაც, ბევრი რამ იყო მიმზიდველი: მდიდრული ეკიპაჟები, კომფორტაბელური აგარაკები, ცისფერი დუნაი და ვენის ტყის იდილია... მუსიკით გატაცება: ბეთჰოვენი, ჰაიდნი, მოცარტი, შუბერტი და... რა თქმა უნდა, შტრაუსი... კეკლუცი ქალიშვილები და ვინ იცის კიდევ რა!..

ბედისმაძიებელი ჰიტლერი შურით შესცქეროდა ყველაფერს. რაკი ფული არ ჰქონდა, ღვინოსაც არ სვამდა. მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ დათვრა და ისეთი დღე დაადგა, რომ ფიცი დადო, არასოდეს ღვინოს არ გავეკარებიო. არც გაჰკარებია. თამბაქოსაც არ ეწეოდა, არც ქალიშვილებთან სეირნობდა. მთელი დღე ქუჩაში დახეტიალობდა ან კითხულობდა, როგორც თვითონ წერს, „არანორმალურად ბევრს“. პრინციპიც ასეთი ჰქონდა: „არსებითი უნდა დაიმახსოვრო, დანარჩენი დაივიწყო“!..

ერთხელ მუშათა დემონსტრაციას დაესწრო და დიდხანს უსმინა ორატორების გამოსვლას. ყველაზე უფრო ეს მოეწონა. „პირველად იქ ვიგრძენი წარმოთქმული სიტყვების მაგიური ძალაო“, — ამბობდა იგი. იქვე ჩაენერგა თურმე თავისი „ცხოვრების მთავარი ჭეშმარიტება“: „მასების ამოძრავება შეიძლება მხოლოდ სიტყვებით, ემოციებისა და ვნებების ვულკანური ამოხეთქით, ექსტაზითა და გაშმაგებით“. ამისათვის, ჰიტლერის აზრით, საჭიროა ადამიანების არა ძლიერი,

არამედ სუსტი მხარეების გამოყენება, სანტიმენტალური გრძნობების გაღვივება და სხვ. ამით მან, მართლაც, მიაგნო „თავისი ცხოვრების საქმეს“, მაგრამ მაინც მხატვრობაზე ოცნებობდა. მერე არქიტექტორი უნდოდა გამოსულიყო, თუმცა საამისო არც ნიჭი გააჩნდა და არც საშუალება. მიუხედავად ამისა, ვენის სამხატვრო აკადემიაში სცადა შესვლა, მაგრამ არ მიიღეს, რადგან სიმწიფის ატესტატი არა ჰქონდა. დირექტორმა ისიც უთხრა, მხატვრობის ნიჭი არა გაქვსო, და ურჩია „სხვა საქმისათვის მოეკიდა ხელი“.

უკვე გადიდკაცებული ჰიტლერი დასცინოდა თავის ყოფილ მასწავლებლებს. ისტორიკოს ლეოპოლდ პეჩის გარდა იგი ყველას „კონგენიალურ იდიოტებს“ ეძახდა. უფრო კი სამხატვრო აკადემიის პედაგოგ-გამომცდელებს ქირდავდა, „ამ საქმისა არაფერი ესმოდათო“. ასეთ რამესაც ყვებოდა:

— გამოცდაზე მკითხეს, მხატვრობის რომელ მიმართულებას ეკუთვნითო. არც ერთს-მეთქი, მივუგე მე. როგორო, გაიკვირვეს გამომცდელებმა. ისე, მე თვითონ ვქმნი საკუთარ მიმართულებას-მეთქი, მაგრამ ვერ გაიგეს ჩემი და გამომაგდეს.

მხატვრობისაგან რომ არაფერი გამოუვიდა, გერმანიაში გაემგზავრა და მიუნჰენში დასახლდა, სადაც დამხმარე მუშის ადგილი იშოვნა მშენებლობაზე. მართალია, ეს შეურაცხყოფდა მის ოცნებებს, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა არსებობის სხვა საშუალება არ გააჩნდა. ბედმა მხოლოდ ის არგუნა, რომ აგურსა და ქვა-კირს ეზიდებოდა. თუმცა ამ უბრალო სამუშაოზედაც ვერ მოიკიდა ფეხი: მუშებს თავი შეაძულა ჯაშუშობით და გააძევეს მშენებლობიდან. მერე, როგორც იქნა, მღებავად მოეწყო.

ეს იყო და ეს მთელი მისი „სამხატვრო კარიერა“...

ხვალინდელი დღის კეისარი...

პირველი მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ჰიტლერი ბავარიის მეცამეტე სარეზერვო ლეგიონში ჩაეწერა მოხალისედ, რითაც ერთი სურვილი მაინც შეისრულა: კოკარდიანი ქუდი და-

ისურა. ბრძოლებში რამდენჯერმე დაიჭრა, ორჯერ რკინის ჯვარიც მიიღო, მაგრამ ჯანმრთელობა შეერყა, ერთხანს მხედველობაც ჰქონდა დაკარგული, მერე გონებაც აერია. ამბობდნენ, ბნედა პირველად პომერანიაში მოუვიდაო, პაზევალკის ლაზარეთში. ამან კიდევ უფრო გააუარესა მისი მდგომარეობა.

ომის დამთავრების შემდეგ კი ნახევრად ინვალიდი ჰიტლერი სულ ქუჩაში დარჩა როგორც მაწანწალა. ილუზიები დაიმსხვრა: არც ოფიცრის სამხედრო წოდება ელირსა, არც მხატვრობა და არც არქიტექტორობა. არაფერი, გარდა ეფრეიტორის კოკარდიანი ქუდისა. ამან კიდევ უფრო გააბოროტა. მუშტებშეკუმშული დაძრწოდა მიუნჰენის ქუჩებში და ბუდიდან გადმოცვენილი თვალებით მისჩერებოდა ქვეყანას. ზიზღი და შურისძიება გამოიხატებოდა მის თვალებში. სძულდა რესპუბლიკური გერმანია და არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა მის წინააღმდეგ, თვით ჯაშუშობასაც კი. ერთხელ დაიჭირეს და დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ მერე როგორღაც აპატიეს. იმაში კი ეჭვი შეიტანეს, რკინის ჯვარი მართლა მიიღო თუ არაო. თანამოსანგრენი უარყოფდნენ ამას. თვითონ ჰიტლერი ამის შემდეგ არც ატარებდა იმ ჯვარს. ერთხელ კი თქვა, რკინის ჯვარს იმიტომ არ ვატარებდი, რომ ის ჩვენს ლეგიონში ებრაელმა გუტმანმაც მიიღოო...

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ჰიტლერი მიუნჰენის პოლიციას დაუკავშირდა, სადაც გაეცნო კონტრდაზვერვის უფროსს ერნსტ რემს, რომელმაც შემდეგ დიდი როლი შეასრულა ნაცისტურ მოძრაობაში. ჰიტლერი მონაწილეობას იღებდა საგამომძიებლო კომისიაში და საბრალდებო აქტებს ადგენდა ე. წ. „შურისძიების კომიტეტში“. აქ კი გამოიჩინა უნარი. აქვე შეითვისა „გრძელი დანების პოლიტიკა“ და ვანიცადა „ზურგში მახვილის დარტყმის პირველი სიხარული“. თვითონაც უთქვამს, რომ სიამოვნებდა იმათი ჩაქოლვა, „ვინც იბრძოდა, მაგრამ დამარცხდა“, უფროსებმაც წააქეზეს ამ სამარცხვინო საქმეზე, დააფასეს კიდეც მისი გულმოდგინება და დააწინაურეს. ამ საქმეში მას დიდი შფარველობა გაუწია რაიხსვერის ოფიცერმა ერნსტ რემმა, მერე „ბავარიის დიქტატორმა“ კაარმაც შეუწყო ხელი.

ჰიტლერი ამ დროს რაიხსვერის მეორე ლეგიონში მსახურობდა. მეთაურებმა შენიშნეს, „ბევრი ლაპარაკი რომ უყვარდა“, პროპაგანდისტთა კურსებზე გაგზავნეს და „პედაგოგოფიცრად (Bildungsoficier) დანიშნეს.

აი, აქ კი იპოვა მან თავისი თავი და მოწოდება, მონდომებაც გამოიჩინა. ბევრს კითხულობდა, მომეტებულად—ჰაუსჰოფერისა და ფედერის წიგნებს. მათგანვე შეისწავლა გეოპოლიტიკური მოძღვრება „პროცენტული მონობისა“ და იმ „სასურველი შეფარდების“ შესახებ, რაზედაც ადრე გვქონდა ლაპარაკი. მხატვრული ლიტერატურა არ აინტერესებდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე კარლ მეის ორიოდე რომანის მეტი არავითარი პროზაული ნაწარმოები არ წაუკითხავს. „მე არასოდეს არ ვკითხულობ რომანებს, — ამბობდა იგი, — ასეთი საკითხავი მასალა გულს მირევს“.

ახალგაზრდობაში რამდენიმე ლექსი დაწერა, პოემა-ჰიმნიც უძღვნა თავის პირველ მიჯნურს, მაგრამ მერე პოეზიაც შეიძულა, სისულელეაო. უფრო პოლიტიკურსა და ისტორიულ ლიტერატურას ეტანებოდა. უამრავი ფაქტი ახსოვდა ზეპირად. უყვარდა ისტორიული პარალელების გავლება. ბევრს ლაპარაკობდა და ცოტას წერდა. თავის „პოეტობას“ საყმაწვილო სენს უწოდებდა და ხანდახან ციცერონის სიტყვებსაც გაიხსენებდა:

„ვიბადებით პოეტებად და ვიქცევით ორატორებად“.

სისტემატურ განათლებას გაურბოდა, სამაგიეროდ ალალბედად ყურმოკრულ ამბებს ისეთის დაბეჯითებით გადმოსცემდა, რომ თვითონაც იჯერებდა ყველაფერს. თუ ვინმე გაბედავდა და სიტყვას შეუბრუნებდა, ხელს ჩაიქნევდა და იტყოდა: სწორი თუ არ არის, კარგად მოგონილი ხომ მაინცაა...

მერე ანტისემიტური გამოსვლებითაც გაითქვა სახელი. დიდი ხნის დაგუბებული ბოღმა ქმნიდა ამ გამოსვლების პათოსს. ამბობდნენ კიდეც, ის კარგი ორატორი იყოო. „გერმანული გაგებითო“, უმატებდა ზოგი. მოწინააღმდეგეები კი ხელს ჩაიქნევდნენ ხოლმე და ამბობდნენ: ტყუილად ქარავს პირს, თორემ მაგის ლაპარაკს რა ჭკუა აქვსო.

ასეა თუ ისე, თანდათან ყველასათვის აშკარა გახდა, რომ სწორედ ტრიბუნა იყო მისი მოწოდება.

ისტერიული ლაპარაკი იცოდა, უფრო პათეტიკური, ვიდრე ლოგიკური. თვითონ ამბობდა — ელვისა და ქუხილის ენით უნდა ველაპარაკო მიძინებულთ და მოდუნებულთო. ამით ისევ იოანე მახარებლის „შვიდი ქუხილის“ ენით გამოცხადების ასოციაციას ქმნიდა და ყოველ ქადაგებას წინასწარმეტყველურ სახეს აძლევდა.

საოცარი მეხსიერება ჰქონდა. სად რას წაიკითხავდა, ყველაფერი ახსოვდა. ერთხელ წაკითხულს ციტატებად იმეორებდა, არც ისე ზუსტად, მაგრამ მაინც.

რაც დრო გადიოდა, ომში დამარცხებული და დამცირებული ნაციონალისტები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენდნენ მისი პაროქსისტული ქადაგებისადმი. გულს იფხანდნენ, თორემ სერიოზულ რამედ მაინც არავის მიაჩნდა იმ „ბნედიანი ეფრეიტორის“ ყვირილი.

მერე ვერსალის ზავითა და „დიდი გერმანიის“ იდეების დამარცხებით უკმაყოფილონი აჰყვნენ ჰიტლერის დემაგოგიას, ის კი სულ ენად გაიკრიფა. დღეში რამდენიმე მიტინგზე გამოდიოდა, თვალებს ზეცისაკენ აღაპყრობდა, გულხელს დაიკრეფდა და იწყებდა გაუთავებელ ლაპარაკს.

ოტო შტრასერი წერს:

—ჰიტლერი შედის დარბაზში, ყნოსავს ჰაერს. თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. ეცნობა აუდიტორიას... და ქადაგებს: პიროვნებას უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გერმანელები უნდა გაერთიანდნენ და თავიანთი ინტერესები დაუმორჩილონ საერთო მიზნებსო.

მეორე დღეს კი სხვა აუდიტორიაში, სულ საწინააღმდეგოს ამბობს: ცალკეულ პიროვნებათა ღვაწლი ააღორძინებს ერს, მასა ბრმაა და ბრიყვი, ყველა ჩვენგანი ბელადია, ასეთი ბელადებისაგან შედგებაო გერმანია...

ესენიც უჯერებდნენ და ისინიც!..

...ისტორიული სიტუაციაც ხელს უწყობდა. გერმანიას იმ დროს ეკონომიური კრიზისი ახრჩობდა. მილიონობით ადამი-

ანი უმუშევრად იყო დარჩენილი, ინფლაციის შედეგად მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი კატასტროფულად დაეცა. ომში დამარცხებამ და ვერსალის დამამცირებელმა ზავმა ბევრი უკმაყოფილო და შეურაცხყოფილი დატოვა. რაიჰსვერი ძველებური არმიის აღორძინებაზე ფიქრობდა. გადაყენებული სამხედროები ჩუმად ლესავდნენ იარაღს. მრეწველები ახალი ქარხნების გახსნასა და სამხედრო შეკვეთებზე ოცნებობდნენ, მილიტარისტები — რევანშისტულ ომზე. გაღატაკებული წვრილი ბურჟუაზია „ძლიერ სახელმწიფოში“ ეძიდა ხსნას. უსუშევრები სამუშაოს თხოულობდნენ. ყველა უკმაყოფილო იყო და ყველა რაღაცას მოელოდა...

ამ დროს ისევ იმ ბიბლიური შვიდი საყვირის ალეგორიული მნიშვნელობით გატაცებული ჰიტლერი, რომელიც თავის თავს „ეროვნულ მედაფდაფეს“ უწოდებდა, მართლაც, იმ საყვირების ხმით გაჰყვიროდა ნაციონალურ აღორძინებაზე, ვერსალის სამარცხვინო ზავის გაუქმებაზე, სახალხო ძალების რასიულ გაერთიანებაზე. მან იცოდა, როგორ დაემყარებინა კონტაქტი უკმაყოფილო გერმანელებთან. იმასაც ამბობდნენ, ენის წვერით გრძნობდაო სიტუაციას... და მართლაც, თავის გამოსელას ყოველთვის აუდიტორიის ინტერესებს უმორჩილებდა: კარგად იცოდა, ვის რა აწუხებდა, ვინ რაზე ოცნებობდა, და ყველას ყველაფერს ჰპირდებოდა: უმუშევრებს—სამუშაოს, მრეწველებს—სამხედრო შეკვეთებს, ფინანსისტებს — ფულის კურსის განმტკიცებას, მილიტარისტებს—რევანშისტულ ომს, მუშებსა და გლეხებს—სოციალიზმს, ნაციონალისტებს—ნაციონალიზმს, ყველასათვის შესაფერ ლოზუნგს არჩევდა და ყველას იმედს აძლევდა. დემაგოგია, უტიფრობა, სიყალბე თუ ცინიკური სიცრუე — მუდამ ხელთ ჰქონდა, არაფრის წინაშე უკან არ იხევდა, ყველაფერს აშკარად ამბობდა, სიტყვებს, როგორც უნდოდა, ისე ათამაშებდა. არც თვითრეკლამას ერიდებოდა, თავი ერისთვის წამებულ რაინდად მოჰქონდა: ავადმყოფი ვარო, მრავალჯერ დაჭრილი და დანაპატიმრები, შხამიანი გაზით მოწამლული, თავდადებული ფანატიკოსი, რომელმაც არ იცის პირადი ცხოვრება, ოჯახი, ცოლი, შვილიო და სხვა ასეთი.

იგი ქადაგებდა ეროვნულ ძლიერებას, საარსებო ტერიტორიების გაფართოებას, კოლონიების დაპყრობას, „მაძღარ სადილსა და მხიარულ ცხოვრებას...“

...ბისმარკს უთქვამს, ვისაც მეტის შეპირება შეუძლია, გამარჯვებაც იმას დარჩებაო. ასეც მოხდა. გერმანელი ბიურგერის ბუნებამ ვერ გაუძლო ამდენ დაპირებებს და, ისევ გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ, აჰყვა „ნებისმიერ ვიგინდარას“, რომელიც მის „ქვენა გრძნობებზე თამაშობდა“.

ჰიტლერს თავი ამ საქმის სპეციალისტად მიაჩნდა. ამაყობდა კიდეც, მე ვიცი, ხელოვნება, „თუ როგორ უნდა გამოაჩერჩეტო ხალხი, რომ მოიპოვო მისი მხარდაჭერა“.

ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდობას, რომელიც გაბრუებული იყო ამ „ხვალინდელი დღის კეისრის“ ისტერიული თეატრალობითა და „პატრიოტული“ ლოზუნგებით. მოსწონდათ ეს ნახევრად გასამხედროებული ყოფა: ყავისფერი ფორმა, აღლუმები, დაფდაფები და შოვინისტური სიმღერები. დაიჯერეს კიდეც, რომ ყველაზე ძლიერები არიან, ყველაზე უკეთესნი, მსოფლიოს მომავალი მმართველები, ცისფერთვალებიანი, ქერა არიელები, ძლიერი ყბებითა და მოქნილი სხეულით...

— ჩვენ აღვზრდით ახალგაზრდობას, რომლის წინაშე შეძრწუნდება კაცობრიობა, — უქადაგებდა მათ ჰიტლერი, — ახალგაზრდობას მკაცრს, მომთხოვნს, სასტიკს. მე მინდა, რომ მათ ჰქონდეთ ყველა ეს თვისება. ისინი უნდა იყვნენ გულგრილნი სხვათა ტანჯვისადმი. მათში არ უნდა იყოს არავითარი სისუსტე და სიფაქიზე. მე მინდა იმათ თვალებში ვხედავდე მტაცებელი ცხოველის ელვას...

ჰიტლერის მთელი ორატორული ხელოვნება აქეთკენ იყო მიმართული. იგი ახშობდა ფიქრს და იწვევდა ემოციებს. დაჯერება იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც აღგზნება. ინგლისელი ბიოგრაფი ტრევორ როუპერი წერს:

— ეს პროვინციელი, გაუნათლებელი ავსტრიელი მოვიდა გერმანიაში როგორც უცხოელი, დაიპყრო ხალხი, ევროპა და მერე მთელ მსოფლიოს წაეპოტინა. ეს სასწაულია, რადგან

იგი ისეთივე უცხოელი იყო გერმანიისათვის, როგორც კორსიკელი ნაპოლეონი — საფრანგეთისათვის. მიუხედავად ამისა, მან შთააგონა დაცემულ გერმანიას, რომ ის გახდება მსოფლიო იმპერია, თვითონ კი იქნება შემქმნელი ასეთი იმპერიისაა...

დიტრიჰიც ისე ათამაშებს გერმანულ სიტყვებს — „Führer" და „Verführer", რომ თავისდა უნებურად უახლოვდება ჰეშმარიტებას. იგი წერს:

— ჰიტლერი არა მარტო წინამძღოლობდა (geführt) თავის ხალხს, რომელიც მიენდო მას, არამედ აცდუნებდა (verführt) კიდეც. იგი იყო წინამძღოლიცა (Führer) და მაცდუნებელიც (Verführer). ამას ვწერ კაცი, რომელიც თორმეტი წელიწადი მის გვერდით ვიდექიო, — დასძენს იგი...

ვაკადნიერებული ფრანკი ნიურნბერგში უფრო ხალხსა სდებდა ბრალს, ვიდრე ჰიტლერს.

— გერმანელი ხალხი მეძავი დედაკაცია,—ეუბნებოდა ის ჯილბერტს:—იგი ეძლევა ყველას, ვინც ამის აუცილებლობას შთააგონებს. ჰიტლერს კი არ გაუუპატიურებია ის... შეაცდინა, ხალხი თვითონ მინებდა ამ ცდუნებას.

ფრანკმა გერმანული ენის გრამატიკაშიც შეიტანა ცვლილება: das Volk (ხალხი) საშუალო სქესისა კი არ არის, მდედრობითისაა და ამგვარადაც უნდა იწერებოდესო — die Volk...

...ასე იყო თუ ისე, გერმანელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი აჰყვა ჰიტლერის „მსაცდურებელ" ქადაგებას, სული იმ სატანას მიჰყიდა და გახსნა ჯოჯოხეთის კარები.

ნიურნბერგის პროცესზე ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა ყოველივე ამას „ბრბოს ფსიქოლოგიის გამოყენება და მისი დანაშაულებრივი მართვა" უწოდა. ჰიტლერული ახალგაზრდობის ყოფილმა ფიურერმა ბალდურ ფონ შირახმა კი, რომელიც ჰიტლერის წიგნს ლოცვანივით აზეპირებინებდა ახალგაზრდობას, პროცესზე აღიარა:

— ჩემი დანაშაული ისაა, და მე ამისთვის პასუხს ვაგებ

როგორც ღვთის, ისე გერმანელი ხალხის წინაშე, რომ აღვზარდე ახალგაზრდობა ადამიანისათვის, რომელიც იყო მკვლელი და რომელმაც დაღუპა მილიონობით ხალხი... ყოველი გერმანელი, რომელიც ოსვენციმის შემდეგ რასიულ პოლიტიკას გაიზიარებს, დამნაშავეა.

ეს დაგვიანებული მონანიებაც დამახასიათებელია. მანამდე კი ყველა ერთად მოქმედებდა, ერთსულოვნად, როგორც შეთქმულნი კაცობრიობისა და მშვიდობის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებით მათი დანაშაული კვალიფიცირებულ იქნა როგორც „შეთქმულება მშვიდობის მიმართ". ტრიბუნალი შეუდგა კიდეც იმის განხილვას, ჰქონდა თუ არა ადგილი ასეთ შეთქმულებას. ბრალდებას დასჭირდა ამ ტერმინის წმინდა იურიდიული შინაარსის განმარტებაც. საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ თქვა:

— შეთქმულება გულისხმობს დანაშაულებრივ გაერთიანებას, რომელიც შექმნილია და მოქმედებს საერთო დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად.

ნაცისტური მოძრაობის მთელი ისტორია ამტკიცებს ამ დებულების ჭეშმარიტებას...

ღვთის კრავი...

შეთქმულება სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ჰიტლერი მიღებულ იქნა დრექსლერის „მუშათა პარტიის" მეშვიდე წევრად. იმ „ბოროტი შვიდის" ალეგორიაც მაშინ შევიდა ძალაში. შვიდი ეშმაკისა და შვიდი ცოდვის ბიბლიური ლეგენდაც აქედანვე იწყებს თავის ცხადყოფას სინამდვილეში. იგი ისევ იმ იოანე მახარებლის ქადაგებას უკავშირდება ღვთის კრავის შესახებ, რომელსაც „აქუნდეს შუიდნი რქანი და შუიდნი თუალნი, რომელნი არიან შუიდნი იგი სულნი ღმრთისანი".

ჰიტლერსაც ასევე უნდოდა საკუთარი პიროვნება წარმოედგინა „ღმრთისა შუიდ სულად..., რომელნიც მოევლინებიან ყოველსა ქუეყანასა... და ღირს იქმნებიან ძალისა და სიძლი-

ერისა, და სიბრძნისა და პატივისა და დიდებისა და კურთხევისა“.

ეს ანალოგია რომ შემთხვევითი არ არის, თვითონ ჰიტლერის მოქმედებიდანაც ჩანს. იგი დაჟინებით ეტმასნებოდა ბიბლიური ღვთის კრავის ამ საოცარ სიმბოლიკას. ამიტომაც ამბობდა, კლასიკური ხელოვნების შედევრთა შორის ყველაზე უფრო ცნობილი სურათი „ღვთის კრავი“ მომწონსო. ომი რომ დაიწყო, მანამ ვერ მოისვენა, ვიდრე ბელგიის რომელიღაც მუზეუმიდან არ მოატაცებინა ეს სურათი და თვითონ არ დაიკიდა, როგორც მისივე მეორის სიმბოლური ხატი.

ერთხელ ასეთი საოცარი ამბავიც მოხდა. როცა ნაცისტები ავსტრიას შეესივნენ, ჰიტლერი არმიის მოწინავე მოტომექანიზებულ ნაწილებს მიჰყვებოდა, რომ პირველი შესულიყო ვენაში. გზად, შესვენების დროს, წინდაუხედავმა მზარეულებმა შემწვარი კრავი მიართვეს სადილად. ვეგეტერიანელი ჰიტლერი გაცოფდა. იმდენი იყვირა, რომ ბოლოს ისტერიამ მოუარა. ცრუმორწმუნე იყო და განგების ცუდ ნიშნად მიიღო მზარეულების ეს შეცდომა. მერე, სარდლების დაჟინებითი თხოვნა რომ არა, სულაც უკან აპირებდა გაბრუნებას თავისი ჯარებიანად: ეშინოდა, იოანე მახარებლის წინასწარმეტყველება იმ „ღვთის კრავის“ რისხვად არ დასტყდომოდა თავს.

ამის შემდეგ ჰიტლერს სპეციალურად ნავარჯიშევი ვეგეტერიანელი მზარეულები დაჰყვებოდნენ ყველგან...

...მერე კრავის ალეგორია თავისებური გზით წავიდა. თუ მისი ერთი მნიშვნელობა სიკეთესა და მადლს გამოხატავდა ადამიანური ორგვარობის იმ საერთო გამოსახულებაში, ჰიტლერმა მისი მეორე მნიშვნელობა განავითარა, რასაც იმავე „გამოცხადებაში“ ე. წ. „ღვთის კრავის რისხვა“ გვიჩვენებს. ჰიტლერი „წმიდა წიგნებში“ უფრო ისეთ ადგილებს აქცევდა ყურადღებას, რაც მის აგრესიულ ინსტინქტებს ეგუებოდა. იგი ამ შემთხვევაშიც ცალი თვალით უყურებდა ქრის-

ტიანულ მოძღვრებას და უარყოფდა ყველაფერს, რაც, მისი აზრით, სისუსტის მორალს გამოხატავდა. სამაგიეროდ სახარება იმის მასალასაც აძლევდა, რომ ეთქვა:

„ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშუიდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშუიდობისა, არამედ მახუილისა“.

ეს მისწრაფება ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, როცა 1920 წელს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის 25 პარაგრაფისაგან შემდგარი პროგრამა გამოქვეყნდა, რომელშიც ყველაფერი იყო, რაც ამ „ღვთის კრავის“ მომავალ რისხვას მოამზადებდა: პანგერმანიზმი, ნაციონალ-შოვინიზმი, მილიტარიზმი, ანტისემიტიზმი და სხვა ასეთი. პროგრამა მოითხოვდა ვერსალისა და სენ-ჟერმენის ხელშეკრულებათა გაუქმებას, დაქირავებული ჯარების (რაიჰსვერის) დაშლას და რეგულარული არმიის (ვეერმაჰტის) შექმნას, გერმანიის ტერიტორიების გაფართოებას, კოლონიების დაპყრობასა და ებრაელობისათვის სამოქალაქო უფლებათა ჩამორთმევას. უკვე ამ პროგრამაში ეწერა, რომ „არც ერთი ებრაელი არ შეიძლება ეკუთვნოდეს გერმანულ რასას“ და რომ „სამოქალაქო უფლებები აქვთ მხოლოდ მათ, ვინც გერმანულ რასას ეკუთვნის“. ეს კი ყველა ებრაელის კანონგარეშე გამოცხადებას ნიშნავდა...

...ჰიტლერელთა ასეთი დანაშაულებრივი მისწრაფებები კიდევ უფრო შემზარავი სახით გამოჩნდა მათი ფიუერერის წიგნში — „ჩემი ბრძოლა“. თვითონ ჰიტლერი ამ წიგნს იოანე მახარებლის მიერ განგებისაგან მიღებული და „შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი“ წიგნის ახალ სახეობად თვლიდა. იოანეს წიგნი ამცნობდა ქვეყნიერებას ყველაფერს, „რაც იყო, არის და იქნება“.

ლანდსბერგის ციხეში სასჯელის მოხდის დროს თითქოს მასაც „იმ ერთი წამებულივით“ ჩაესმა ხმა განგებისა, დაწერეო, „უკუე რაჲ-ესე იხილე, რაჲ-ესე არს და რაჲ გეგულების ყოფად შემდგომად ამისა...“ და მან დაწერა „ჩემი ბრძოლა“, რომელსაც იმ დროს სხვებიც ნაციონალ-სოციალისტთა სახარებას უწოდებდნენ.

საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადებით შეშფოთებული მუსოლინი სწერდა ჰიტლერს, „ხელს ნუ აიღებ შენს სახარებაზეო“. მაშინ მუსოლინისაც სჯეროდა ამ წიგნისა და მისი ავტორის „ღვთაებრივი ზეშთაგონების“ ძალა.

იოანე მახარებელი ამისათვის ვარსკვლავთმრიცხველობას მიმართავდა. იგი ცის მნათობთა მოძრაობით იგებდა წინასწარ, რა უნდა ყოფილიყო „შემდგომად ამისა“.

ჰიტლერიც ხომ ვარსკვლავთმრიცხველობით იყო გატაცებული. იგი დღედაღამ ჩაჰკირკიტებდა „შუა საუკუნეების საოცრებას“ — ჰოროსკოპებს, რომ იოანე მახარებელივით შეეტყო „საიდუმლოჲ შუიდთა მათ ვარსკულავთაჲ“ და ემცნო ქვეყნიერებისათვის „წინაჲსწარმეტყუელებანი მისნი“. გებელსმა და მისმა პროპაგანდისტულმა აპარატმა მთელ მსოფლიოს მოსდო თავიანთი „ზეშთაგონებული ფიურერის“ ეს „წინასწარმეტყველებანი“. ამანაც შეუწყო ხელი ჰიტლერის ღვთაებრივ განდიდებასა და ახალი ნაციონალ-სოციალისტური რწმენის შექმნას. წინდახედულმა ფიურერმა კი თავის ჰოროსკოპებს ვარსკვლავთა განლაგებაში სწორედ ის „ამოაკითხვინა“, რაც მისი პარტიის პროგრამის განხორციელებას უწყობდა ხელს, უწინარეს ყოვლისა, ძალის, ნგრევისა და მახვილის კულტი. ყავისფერმა პრესამაც მაშინვე ატეხა ალიაქოთი იმის შესახებ, თუ მათმა „წინასწარმეტყველმა“ ფიურერმა „ვითარ იხილა ვარსკულავნი შუიდნი და პირისაგან მისისა გამოსული ორპირად აღლესული მახვილი“...

...ნაცისტები იმ დროს უკვე სრულიად აშკარად აჟღარუნებდნენ იარაღს. ჰიტლერი მოითხოვდა სხვათა ტერიტორიების დაპყრობას „მოკისკასე მახვილით“. პარტიის „რკინის მუშტმა“ — გერინგმა თავის კაბინეტში უზარმაზარი შუასაუკუნეობრივი მახვილი დაკიდა, როგორც ძალისა და დათრგუნვის ემბლემა. მოიერიშეები ქუჩებს მოედვნენ. გაისმა დაფდაფების ხმაური. „ეროვნული მესაყვირე“ — ჰიტლერი კი ისევ ბიბლიური „შვიდი ქუხილის“ ხმით ემუქრებოდა ყველას, ვინც წინ აღუდგებოდა მის ძალას...

შვიდთავიანი ვეშაპის ალეგორიაც „ღვთის კრავის“ რისხვას დაუკავშირდა, რომ ახალი უბედურებანი მოეტანა კაცობრიობისთვის...

ხელისუფლება ჟუჩებში...

ჰიტლერიც იმთავითვე შეუდგა ჯოჯოხეთის მბრძანებელთა იერარქიის შექმნას პარტიულ ცხოვრებასა და სახელმწიფო მმართველობაში. ამ იერარქიის გარეშე ვერც ის დანაშაულებრივი სისტემა დამყარდებოდა. ჯოჯოხეთში სატანას მორჩილებს ყველა, მათ პარტიაში კი—ფიურერად გამოცხადებულ ადოლფ ჰიტლერს. მიმდინარე საქმეებს ჯერ მისი ნაცვალი რუდოლფ ჰესი განაგებდა, შემდეგ — მარტინ ბორმანი. საერთო ხელმძღვანელობა ე. წ. დირექტორატის, ანუ „რაიხსლაიტუნგის“ მეშვეობით ხორციელდებოდა. პარტიის ამ უმაღლეს ორგანოში შედიოდნენ რაიხსლაიტერები—ფუნქციონალური ორგანიზაციებისა და სხვადასხვა საიმპერიო სამმართველოების ხელმძღვანელები. მთელი გერმანია დაყოფილი იყო ოლქებად, ანუ გაუებად, რომელთა სათავეში იდგნენ გაულაიტერები. ყოველი მათგანი ახორციელებდა ტერიტორიულ იურისდიქციას თავისი ოლქის მასშტაბით, გაულაიტერებს ექვემდებარებოდნენ რაიონული ხელმძღვანელები, ანუ კრაისლაიტერები, ამათ კი — ორტრსგრუპენლაიტერები, ცელენლაიტერები და ბლოკლაიტერები. გაულაიტერებსა და კრაისლაიტერებს უფლება ჰქონდათ საკუთარი ინტერპრეტაციით გადაეცათ პარტიული დირექტორატის დადგენილებანი დაქვემდებარებული ორგანოებისათვის. ამას ეწოდებოდა ფიურერიზმის პრინციპი, რაც, ამერიკელი ბრალმდებლის დოდის სიტყვით, „აბსოლუტური ტირანიის ყველაზე სრულყოფილ ფორმას“ წარმოადგენდა. ყოველ ფიურერს უფლება ჰქონდა ზემდგომი ფიურერის მითითებით განეხორციელებინა ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა და გაეცა განკარგულებანი თავისი შეხედულების მიხედვით, ყოველგვარი კონტროლის გარეშე. მიზნებს სახავდა განდობილთათვის „დიდი მოგვი“, ხოლო „რიგითებისთვის“ „მთავარი ფიურერი“ — ჰიტლერი, განხორციელების საშუალებებს კი

მისი ქვეშევრდომები პოულობდნენ, მაგრამ არა კანონების, არამედ თავიანთ შეხედულებათა მიხედვით. მოქმედების რეგლამენტირება არც იყო საჭირო, რადგან ისევ ის იეზუიტურ-მაკიაველური დოქტრინა მოქმედებდა:

„მიზანი ამართლებს საშუალებას“.

აღსანიშნავია, რომ ნაცისტური პარტიის პროგრამაშიც, სადაც ამ მოძრაობის საერთო მიზნებია დასახული, არაფერია ნათქვამი მათი განხორციელების საშუალებებზე. ამის განუსაზღვრელობა კი გამორიცხავდა კანონიერების შესაძლებლობას. პრინციპშივე უარყოფილ იქნა სახელმწიფო ხელშეკრულებათა ძალაც. ამან ნაცისტური პარტია, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, ნიურნბერგის განსაჯელთა სკამამდე მიიყვანა. პროცესის მიმდინარეობის დროს სრულიად ნათელი გახდა, რომ ეს პარტია ხელმძღვანელობდა იმ დანაშაულებრივ მოქმედებებს, რაზედაც ადრე გვქონდა ლაპარაკი: შეთქმულებას მშვიდობის წინააღმდეგ, სახელმწიფო ხელშეკრულებათა დარღვევას, აგრესიული ომების მომზადებას, სამოქალაქო მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას ან მონურ სამუშაოებზე გაგზავნას. ებრაელობის ტოტალურ ლიკვიდაციასა და სხვა ასეთებს.

ნაცისტური პარტია ახორციელებდა პოლიტიკური ხელმძღვანელობის მონოპოლიას სახელმწიფოზე და ამიტომაც პასუხისმგებლად იქნა ცნობილი მესამე იმპერიისა და მისი დანაშაულებრივი ორგანიზაციების ყველა იმ მოქმედებისათვის, რაც საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის იურისდიქციაში შედის...

სწორედ ამის საფუძველზე აღიარეს ნაცისტური პარტიის „ხელმძღვანელი ბირთვი“ დანაშაულებრივად და პასუხისგებაში მისცეს მისი წევრები. იმავე ტრიბუნალის განსაზღვრით, „ხელმძღვანელ ბირთვში“ შედიოდნენ: ფიურერი, რაიხსლაიტერები, გაულაიტერები და მათი აპარატის წევრები, კრაისლაიტერები და მათი აპარატის წევრები, ორტსგრუპენლაიტერები, ცელენლაიტერები და ბლოკლაიტერები, დაახლოებით 600 ათასი კაცი, ყველა, „ვინც იცოდა ან თვითონ მონაწილეობდა ტრიბუნალის წესდებით განსაზღვრულ დანაშაულებრივ მოქმედებებში“.

ასევე დანაშაულებრივად იქნა გამოცხადებული ნაცისტური პარტიის შემადგენელი ნაწილი — გასამხედროებული ტერორისტული ორგანიზაციები: მოიერიშეთა რაზმები (SA), დამცველი რაზმები (SS) და უშიშროების რაზმები (SD).

პროცესმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ ორგანიზაციების დანაშაულებრივ მოქმედებებს. დადგინდა კიდეც, რომ ე. წ. „მოიერიშეთა რაზმები" (Sturm-Abteilung), ხოლო შემდეგ „დამცველთა რაზმები" (Schutr-Staffeln), რომელნიც ვითომ პარტიის ხელმძღვანელების დასაცავად შექმნეს, სინამდვილეში მოწინააღმდეგეთა მოსასპობად და ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად გამოიყენეს. ჰიტლერმა კარგად იცოდა, რომ, გარდა ქადაგებისა და შთაგონებისა, საჭირო იყო წინააღმდეგობის დამთრგუნველი შეიარაღებული ძალა. ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა განაცხადა: „ჰიტლერს რომ გერმანელი ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა, მოიერიშეთა რაზმებს არც შექმნიდაო".

...როგორც „მოიერიშე" (SA), ისე „დამცველი" რაზმები (SS) ნაცისტური პარტიის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. თვითონ ნაცისტები მოიერიშეებსა და ესესელებს „პარტიის მაგარ ხელებს" უწოდებდნენ. საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ თქვა კიდეც: „ჰიტლერული პარტიის, ხოლო შემდეგ ჰიტლერული სახელმწიფოს განვითარების მთელ მანძილზე „მოიერიშეთა რაზმები" იყო ის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელსაც გერმანული ფაშიზმის მეთაურები განსაკუთრებული ყურადღებით ეკცეოდნენ, მიიჩნევდნენ რა მას თავიანთი ხალხის მოტყუებისა და ტერორით დაშინების უმნიშვნელოვანეს იარაღად".

მართლაც, ვინც ჰიტლერული ცდუნების გზას არ გაჰყვებოდა, მათთვის კბილებამდე შეიარაღებული მოიერიშენი იყვნენ მზად. ჯერ სიტყვა, მერე მახვილი! — ასეთი იყო ჰიტლერის ლოზუნგი.

პროცესზე გაირკვა, რომ არ არსებობს ისეთი დანაშაულებრივი მოქმედება, რაც ნაცისტური პარტიის მიერ არ ყოფილიყოს მოფიქრებული, ხოლო მოიერიშეებისა და ესესელების

მიერ — შესრულებული. ამიტომ სავსებით კანონიერი იყო, რომ სამივე ეს ორგანიზაცია, თანახმად საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებისა, დანაშაულებრივად იქნა გამოცხადებული. წესდების 29-ე პარაგრაფში ამის შესახებ წერია: „ამა თუ იმ ჯგუფის ან ორგანიზაციის წევრის, ვინც არ უნდა იყოს ის, საქმის გარჩევის დროს ტრიბუნალს შეუძლია (რამე მოქმედებასთან დაკავშირებით, რისთვისაც ეს პიროვნება იქნა დასჯილი) დაადგინოს, რომ ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომლის წევრადაც ბრალდებული ითვლებოდა, იყო დანაშაულებრივი“.

ამავე წესდების მე-10 პარაგრაფის მიხედვით, თუ ტრიბუნალი ამა თუ იმ ჯგუფს ან ორგანიზაციას აღიარებს დანაშაულებრივად, „კომპეტენტურ ეროვნულ ხელისუფლებას, ვინც ხელს აწერს ტრიბუნალის წესდებას, უფლება აქვს გადასცეს სამოქალაქო, სამხედრო ან საოკუპაციო ტრიბუნალს ამ ჯგუფის ან ორგანიზაციის წევრობის გამო“. ასეთ შემთხვევაში ჯგუფის ან ორგანიზაციის დანაშაულებრივი ხასიათი ითვლება დამტკიცებულად და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. მთელი ეს პროცედურა ეყრდნობა უფლებრივ ნორმებს, რაც გამომდინარეობს დენაციფიკაციის კანონებიდან და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს...

...ნიურნბერგის პროცესზე ექვსი დანაშაულებრივი ორგანიზაციის საკითხი იქნა განხილული, მათ შორის, მოიერიშეთა რაზმებისაც (SA). ეს ორგანიზაცია პირველი დამკვრელი ძალა იყო ნაცისტ შეთქმულთა ხელში. იგი რბევისა და ტერორის საშუალებით ახორციელებდა „ხელისუფლებას ქუჩებში“. ნაცისტური პარტიის ყველა ღონისძიება, პარტიის პირველი უჯრედის დაარსებიდან ხელისუფლების ხელში ჩაგდებამდე, ამ ორგანიზაციის ფიზიკურ ძალას ეყრდნობოდა. იგი შექმნილი იყო კაიზერის განადგურებული არმიების ნარჩენებისაგან, რაიხსვერის გენერლებისა და ოფიცრების მხარდაჭერით. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ მიუნჰენის ფაშისტური პუტჩის დროსვე გამოვლინდა: პირველ მაისს, მიუხედავად მრავალჯერ დადებული პირობისა, ჰიტლერმა მაინც სცადა ბავარიის ხელისუფლე-

ბის ძალით დამხობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ დამარცხდა. ბავარიის მთავრობამ მიუნჰენიდან მისი გასახლება გადაწყვიტა, თუმცა რაღაც მანქანებით მაინც გადაურჩა სასჯელს.

მერე შეთქმულებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა. დაინიშნა შეიარაღებული გამოსვლის ახალი ვადა. ჰიტლერის პარტია და მოიერიშეთა რაზმები ნიშანს უცდიდნენ. თვითონ ჰიტლერი ყოველდღე მართავდა მიტინგებს. იგი უმთავრესად ცირკ „კრონე"-ში გამოდიოდა, სადაც რვა ათასამდე კაცი ეტეოდა. ესეც, განგებ მოწყობილივით, ათასგვარ მითქმა-მოთქმას იწვევდა. ჰიტლერის მომხრეები ამბობდნენ, დღეს ცირკში ხარების ბრძოლა იქნებაო, ხოლო მოწინააღმდეგენი პოლიტიკურ არენაზე გამოსულ ჯამბაზებს უწოდებდნენ მათ. შეტაკებაც ხშირად ხდებოდა. ასეთ შემთხვევებში კი „მოიერიშენი იღებდნენ სიტყვას" და ნამდვილი მუშტი-კრივი იმართებოდა. ნაცისტური ბრბოსათვის ეს სანახაობაც იყო და ვარჯიშიც. რაც უნდა შეხლა-შემოხლა ან ღრიალი ყოფილიყო დარბაზში, ჰიტლერი მაინც არ წყვეტდა ქადაგებას. იგი ზოგჯერ ტანისამოსშემოხეული და ცხვირპირდალეწილი ჩამოჰყავდათ ტრიბუნიდან...

...მიტინგები კი მაინც გრძელდებოდა. ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა თანდათან უფრო მეტ ხალხს იზიდავდა. გაიზარდა პარტიის ხელმძღვანელთა ბირთვიც. იმ შვიდთავიან ვეშაპს თუ რომელიმე „თავი გამოაკლდებოდა", უმალვე ახალი ჩნდებოდა მის მაგივრად. ასე გამოჩნდა სამხრეთამერიკელი (წარმოშობით გერმანელი) სტუდენტი რუდოლფ ჰესი. მერე ნიურნბერგელი მასწავლებელი იულიუს შტრაიხერიც გახდა ცნობილი თავისი ანტისემიტური გამოსვლებით. უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა პირველი მსოფლიო ომის დროს სახელგანთქმული საჰაერო ესკადრილიის „რიჰტჰოფენის" მფრინავმა ჰერმან გერინგმა, რომელიც მოიერიშეთა რაზმების მეთაურად დაინიშნა. გერინგის სახით პარტიაში გაჩნდა „რკინის მუშტი", რომელიც მოწინააღმდეგეთა მისამართით ჰიტ-

ლერთან ერთად გაიძახოდა: „თავებს დავაყრევინებთ“, „მოვსპობთ“, „გავანადგურებთ“ და ა. შ. ნაცისტურ მოძრაობას მიემხრნენ აგრეთვე იმავე ომის ცნობილი „გმირი“ გენერალი ლუდენდორფი, ძმები გრიგოლ და ოტო შტრასერები და სხვ. უკვე აღარც „მაღალი არისტოკრატიული წრეების“ წარმომადგენლები თაკილობდნენ ამ „გიჟი ეფრეიტორის“ დროშის ქვეშ დგომას. კრონპრიცმა ასეთი განცხადებაც კი გააკეთა: „იქ, სადაც ჰიტლერია ბელადი, ყველას შეგვიძლია რიგითები ვიყოთ“. ერთხელ იგი ნეკნებჩამტვრეული გამოიტანეს ნაცისტური შეკრებიდან, რის გამოც ბელგიაში გაქცეულმა ყოფილმა კაიზერმა ვილჰელმმა, აღტაცებული დეპეშა გამოუგზავნა „ერის ინტერესებისათვის წამებულს“.

ნაცისტურ პარტიაში სწრაფად დაწინაურდა ყოფილი მწერალი-რომანისტი იოსებ გებელსი, რომლის უცნაური გარეგნობა მუდამ დაცინვის საგანი იყო. ეს დაბალი, ჯუჯა, ფეხებმოღრეცილი „ოქროპირი“ განსაკუთრებით გოლიათური აგებულების ჰერმან გერინგის გაოცებას იწვევდა: „ვინ არის ეგ უკუდო მაიმუნი, ასე სწრაფად რომ მოძვრება ხელმძღვანელობაშიო!“ — ამბობდა აღშფოთებული „რკინის ჰერმანი“. ის „უკუდო მაიმუნი“ კი პირდაპირ სულში უძვრებოდა ჰიტლერს. თვითონაც კარგი ორატორი იყო და კარგადაც წერდა. ჰიტლერს კი წერა სულ არ შეეძლო. წიგნი „ჩემი ბრძოლა“ მან რუდოლფ ჰესს უკარნახა ლანდსბერგის ციხეში. თვითონ, როგორც წესი, ზეპირად ლაპარაკობდა. დამსწრენი ამბობდნენ, რომ მისი გამოსვლები ისე სუმბურული იყო, რომ დაბეჭდვა არც შეიძლებოდაო. აქ კი გებელსი ეხმარებოდა მას. ჰიტლერის სამსაათიან ქადაგებას იგი ისეთ ფორმულებში ჩამოაყალიბებდა, რომ ჰიტლერი აღტაცებული იყო „თავისი ნათქვამით“. მერე ბალტიელი ემიგრანტი ალფრედ როზენბერგიც ამოუდგა მას მხარში, როგორც ნაცისტური მოძრაობის იდეოლოგი. მათ საკუთარი გაზეთი „ფელკიშერ ბეობაჰტერი“ ჰქონდათ, სადაც უმთავრესად ჰიტლერის სიტყვები იბეჭდებოდა, რა თქმა უნდა, გებელსისა და როზენბერგის „მანგანაში“ გატარების შემდეგ...

მერე მსხვილი მრეწველები და ბანკირებიც დაუახლოვდნენ ამ „ახალ მოძრაობას“. მართალია, ერთხანს ისინი შეშფოთებული იყვნენ იმით, რომ ჰიტლერის პარტიას „ნაციონალ-სოციალისტური“ ერქვა, მაგრამ ჰიტლერმა სპეციალურად განმარტა: ცნება „სოციალისტური“ გულისხმობს არა საწარმოო ძალების განზოგადებას, არამედ ერთიან პატრიოტულ სულისკვეთებასო.

— სოციალისტი ის არის, — თქვა მან, — ვინც მზადაა მთელი სულითა და გულით დაიცვას თავისი ხალხის ინტერესები, ვისთვისაც არ არსებობს იმაზე მაღალი იდეალი, ვიდრე ხალხის კეთილდღეობაა...

იგი აცხადებდა, რომ წინააღმდეგია ყოველგვარი „სოციალური სოციალიზმისა“ და დამცველი კერძო საკუთრების პრინციპებისა...

ამით მან ნაცისტურად განწყობილი მსხვილი კაპიტალისტების გულიც მოიგო და მათი დახმარებით პარტიის ბიუჯეტიც გააძლიერა. როგორც კი ფინანსური დაბრკოლება იჩენდა თავს, „მდიდარი ბიძები“ მაშინვე ხელს გაუმართავდნენ, რომ მერე მეტი სარგებლობა მიეღოთ მისგან.

რაც შეეხება სიტყვა „მუშათა“-ს პარტიის სახელწოდებაში, ეს არავის აშინებდა, რადგან ჰიტლერმა თავისი ღონისძიებანი სწორედ ამ კლასის წინააღმდეგ მიმართა. მუშებიც, გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, იმთავითვე ანტიფაშისტურ ბრძოლას ეწეოდნენ ჰიტლერელთა წინააღმდეგ. „მოიერიშეთა რაზმებსაც“ უმთავრესად მათთან ჰქონდათ ხელჩართული ბრძოლა გამართული..

...ბრძოლა პარტიის შიგნითაც მიმდინარეობდა. ჯერ პარტიის პირველმა თავმჯდომარემ ანტონ დრექსლერმა გაიწია განზე, მერე მას შტრაიხერი, ლუდენდორფი და სხვებიც მიჰყვნენ. რემი უკმაყოფილო იყო, მისი „მოიერიშეები“ რომ გერინგს გადაეცა. გერინგი გებელსს უღრენდა, გებელსი—„ახალ

ვარსკვლავს“ ჰერმან ჰიმლერს, რომელიც ესესელთა რაზმების მეთაურად იქნა დანიშნული.

ერთხელ, როცა ჰიტლერი ბერლინში იყო წასული, უკმაყოფილონი სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. ეს გაიგო ჰიტლერმა, დაუყოვნებლივ დაბრუნდა მიუნჰენში და ყველასათვის მოულოდნელად განაცხადა, ვტოვებ პარტიასო. ამან დაბნეულობა გამოიწვია. მათ ჯერ კიდევ სჭიროდათ ეს „ეროვნული მედაფდაფე“. გარდა ამისა, ჰიტლერის მომხრენი უფრო მდიდრები და გავლენიანები იყვნენ. ჰიტლერიც ამიტომ ემუქრებოდა მათ, პარტიულ სასამართლოს გადაგცემთ ყველას და ბრალმდებლად თვითონ მე გამოვალო. დაბნეულმა ოპოზიციამ სულმოკლეობა გამოიჩინა, მაშინვე იაირაღი დაყარა და დაემორჩილა „ფიურერს“.

ეს დიდი გამარჯვება იყო ჰიტლერისა. ამის შემდეგ მან სრულიად შეუზღუდველი დიქტატორული უფლებები მოითხოვა. მაშინ შეშფოთებულმა ოპოზიციონერებმა პროკლამაცია გამოსცეს ჰიტლერის წინააღმდეგ, რაც პარტიის ყველა წევრს დაურიგდა: „ჰიტლერი დემაგოგია და თავი გააქვს მხოლოდ ორატორული ნიჭით, — წერდნენ ისინი, — ამით ცდილობს გააბრიყვოს გერმანელი ხალხი და თვალი აგვიხვიოს ჩვენც“. ისინი მხარს უჭერდნენ პარტიის პირველ თავმჯდომარეს დრექსლერს და მოითხოვდნენ ჰიტლერის გადაყენებას. 26 და 29 ივლისს შედგა პარტიის საგანგებო სხდომა, მაგრამ ისევ ჰიტლერმა გაიმარჯვა. უხერხემლო დრექსლერი თვითონ განუდგა ოპოზიციონერებს. შემდეგ გენერალმა ლუდენდორფმაც წამოჰყო თავი და პარტიაში ჰიტლერის უფლებების შეზღუდვა მოითხოვა. ამისათვის მან მოიერიშეთა რაზმების პარალელურად შექმნა ნახევრად გასამხედროებული ორგანიზაციები: „იმპერიის ალამი“, „ობერლანდი“, „საიმპერიო კავშირი“ და სხვ. პოზიციებშერყეულ ჰიტლერს ამ შემთხვევაშიც რემი დაეხმარა. მან მოაწყო ჰიტლერის, გერინგისა და პარტიის ერთ-ერთი გავლენიანი წევრის შაიბნერ-რიჰტერის შეხვედრა ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. ამ შეხვედრაზე ჰიტლერმა ორსაათნახევრიანი „გულისამაჩუყებელი“ სიტყვა წარმოთქვა, ცრემლიც ბევრი ღვარა და ისე გააბრუა ყვე-

ლა, რომ აღგზნებულმა ოპოზიციონერებმა თვითონ მიულოცეს გამარჯვება, როგორც საერთო მეთაურსა და ფიურერს.

ამის შემდეგ ჰიტლერს, როგორც პარტიის პირველ თავმჯდომარეს, შეუზღუდავი უფლებები მისცეს, ხოლო დრექსლერს „საპატიო თავმჯდომარის“ არაფრისმთქმელი ტიტული შეუნარჩუნეს...

...ბავარიის ხელისუფლება, როგორც იქნა, მიხვდა, რომ ნაცისტები შეთქმულებას ამზადებდნენ. ამის პასუხად უმაღლეს სახელმწიფო კომისრად დაინიშნა გუსტავ ფონ კაარი, რომელმაც მაშინვე საალყო წესები გამოაცხადა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ჰიტლერი და ფონ კაარი ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ჰიტლერი აშკარად აცხადებდა, ჩემი ყავისფერი მოიერიშეებით ვაპირებ ბერლინზე გალაშქრებასო. ლუდენდორფიც ამიტომ ედგა მხარში ჰიტლერს, როგორც მარშალი დე-ბონო— მუსოლინის რომზე გალაშქრების დროს. ასეთი ლაშქრობა არც ფონ კაარის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და აქ მოხდა მათი პოზიციების შეხვედრა. ისევ საჭირო გახდა გამოეყენებინათ ავტორიტეტი ლუდენდორფისა, რომელიც ყოველთვის ორჭოფულ პოზიციაზე იდგა ჰიტლერის მიმართ. როგორც ჩანს, სახელმოხვეჭილ გენერალს ეხამუშებოდა ეფრეიტორის ქვეშევრდომობა. თავის მხრივ, არც ჰიტლერს უნდოდა „იმ სალდაფონს ცხვირი შეეყო“ პოლიტიკაში. ამის გამო ჰიტლერის მომხრეები ლუდენდორფს ჰპირდებოდნენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურად მას დანიშნავდნენ და არა ჰიტლერს. გერინგმა მოიერიშეთა რაზმებს საჯაროდ განუცხადა, რომ დიქტატორი ლუდენდორფი იქნება, ხოლო ჰიტლერს „როგორმე შეიყვანენ მთავრობაში“. ეს სულ მანევრები იყო, რასაც „ყალბი კარტების“ ოსტატები ტაქტიკური მოსაზრებით იყენებდნენ. თავის მხრივ, ფონ კაარიც აწყობდა გეგმებს. მასაც არ უნდოდა ხელმძღვანელობის ხელიდან გაშვება. იგი გადატრიალების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ იმ პირობით, „თუ ეს მისი ხელმძღვანელობით მოხდებოდა“.

ერთხანს გენერალი ლოსოვიც იღებდა მონაწილეობას „ინ-

ტერესთა ამ თამაშში“. რემიც, შტრაიხერიცა და ძმები შტრასერებიც „თავისკენ მიითლიდნენ“. საქმე ის იყო, ვინ ვის დაასწრებდა.

ოთხი ტყვია (3+1)

1923 წლის 9 ნოემბერს მიუნჰენის ლუდხანაში ფონ კაარი მოხსენებას აკეთებდა სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენელთა სამათასიან კრებაზე. ჰიტლერმა ჩაიცვა თავისი საზეიმო, თუმცა გაქექილი კოსტიუმი, გაიკეთა რკინის ჯვარი, მოაგროვა ხუთასამდე შეიარაღებული მოიერიშე და დარეკა ლუდხანაში: სანამ მე არ მოვალ, კაარი ნუ დაიწყებს მოხსენებასო. უნდოდა გამოეხმო იგი, ეჩვენებინა, რომ ლუდხანა გარშემორტყმულია მოიერიშეებით, და ახალი მთავრობის შედგენა მოეთხოვა. ასე დაიწყებოდა „ნაციონალური რევოლუცია“. მაგრამ კაარმა ყურიც არ ათხოვა ჰიტლერის გაფრთხილებას, არ დაუცადა მას და დაიწყო მოხსენება. ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა ჰიტლერი. მისმა თანამგზავრმა დრექსლერმაც არ იცოდა, რა უნდოდა მას. ან ერთი კაცი როგორ აპირებდა თავისი მოიერიშეთა რაზმით სახელმწიფო გადატრიალებას!

ლუდხანის გასასვლელები ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ ჰიტლერი ძლივს შეძვრა ვესტიბიულში, მაგრამ არ იქნ და მაინც ვერ მიაღწია ტრიბუნამდე. მაშინ ხერხს მიმართა. მივიდა პოლიციელთა რაზმის უფროსთან და, ვითომ რაღაც თანამდებობის პირი იყო, უბრძანა გაეწმინდათ გასასვლელები და ვესტიბიული, თორემ შეიძლება პანიკა ატყდესო. პოლიციელმა ვერც გაიგო ვინ მისცა ეს ბრძანება, მაგრამ მაინც შეუდგა მის სისრულეში მოყვანას. კონრად ჰაიდენი წერს ამის შესახებ, პოლიციამ თვითონ გაუკაფა გზა ჰიტლერსო. ასეც იყო. ვესტიბიული გაივსო კბილებამდე შეიარაღებული მოიერიშეებით. ჰიტლერი შეშლილივით შევარდა დარბაზში. მას რამდენიმე მოიერიშე მიჰყვა. სხვებმა სადარბაზო კართან ტყვიამფრქვევი დააყენეს. ხალხი გაოცებული მისჩერებოდა მათ. შემდეგ ჰიტლერი სკამზე შეხტა და გაისროლა რევოლვერი. პოლიციის მაიორი ეცა მას. ჰიტლერმა რევოლ-

ვერი საფეთქელზე დაადო და უბრძანა ხელები აეწია. მერე ტრიბუნაზე ავარდა. ფონ კაარმა უკან დაიხია.

— ნაციონალური რევოლუცია დაიწყო! — იყვირა ჰიტლერმა. — ლუდხანაში თავით ფეხებამდე შეიარაღებული ექვსასი მოიერიშეა. არავინ არ უნდა გავიდეს დარბაზიდან და, თუ ახლავე არ დაწყნარდებით, მე ვუბრძანებ იარუსებზე დაყენონ ტყვიამფრქვევები. რაიხსვერისა და პოლიციის ყაზარმები დაკავებულია ჩვენ მიერ. ისინი აქეთ მოდიან ნაციონალ-სოციალისტური დროშებით!..

ამის შემდეგ ჰიტლერმა უბრძანა კაარს, გენერალ ლოსოვს და პოლიციის უფროსს ზაისერს გამომყევითო. მოიერიშეებმა სამივე გაიყვანეს მეზობელ ოთახში. დარბაზი აჰმაურდა. ყველა აღშფოთებული იყო ამ ძალადობით. მაშინ მოიერიშეთა მეთაური, ჰერმან გერინგი, ავიდა ტრიბუნაზე და დაიღრიალა:

— ხომ გაიგონეთ, რაც გითხრეს! ნაციონალური აჯანყება დაიწყო, იმპერიისა და ბავარიის მთავრობა დამხობილია, ახლა დგება დროებითი მთავრობა... ამ შენობიდან არც ერთმა კაცმა არ უნდა გადგას ფეხი!

მერე დამცინავად გადახედა დარბაზს და დაუმატა:

— ბატონებო! თქვენ შეგიძლიათ არხეინად იყოთ, სხვათა შორის, აქ მშვენიერი ლუდი იყიდება!

მეზობელ ოთახში კი ჰიტლერი ყვიროდა:

— არავინ ცოცხალი არ დატოვებს ამ ოთახს. ბავარიის პრეზიდენტი იქნება ვენერი, ნაცვალი — ფონ კაარი, იმპერიის მთავრობა — ჰიტლერი, არმია — ლუდენდორფი, პოლიციის მინისტრი — ზაისერი!

იგი ხელში რევოლვერს ატრიალებდა და ისე ლაპარაკობდა:

— მე მესმის, ბატონებო, რომ ეს ძნელი გადასაწყვეტია თქვენთვის, მაგრამ ასე უნდა გააკეთოთ, თორემ... ჩემი რევოლვერის ვაზნაში ოთხი ტყვიაა. სამი—თქვენთვის, ერთი—ჩემთვის. სხვა გზა არ არის. ან გამარჯვება, ან სიკვდილი!..

ისინი დათანხმდნენ. ერთხანს კი გაიდგეს ფეხი, განსაკუთ-

რებით — ფონ კაარმა: „მე მონარქიის აღდგენის მომხრე ვარო“,—იძახდა იგი. ჰიტლერი მიხვდა, რომ ისინი უკვე ყურით ჰყავდა დაჭერილი, და მაშინვე „დათმობაზე“ წავიდა. მისთვის სულერთი იყო, ვის რას შეჰპირდებოდა: მონარქიას, თუ რეს-პუბლიკას. ოღონდ ძალაუფლება ეგდო ხელთ და მერე თვითონ იცოდა, რასაც გააკეთებდა. ახლა კი მათი მხარისდაჭერა უნდოდა და, ბევრი არც უფიქრია, ისე წარმოთქვა:

— მერე მე თვითონ ვეახლები კრონპრინცს და ვაცნობებ, რომ ამ აბზოხების წყალობით გამოსწორებულია ბოროტება. რაც მისი უდიდებულესობის ნეტარხსენებული მამის წინაშე ჩაიდინეს...

ამას ისეთი პათოსით ამბობდა, თითქოს მართლაც მონარქიის აღდგენა ჰქონოდა განზრახული.

ისინი კი მაინც ყოყმანობდნენ. მაშინ ჰიტლერმა შანტაჟს მიმართა, რევოლვერის ლულა საფეთქელთან მიიდო და უაღრესად პათეტიკური ტონით წარმოთქვა:

— გერმანია ხვალ ან ნაციონალურ მთავრობას იხილავს, ან ჩემს გვამს...

არავინ განძრეულა. არც ჰიტლერი შეუჩერებია ვინმეს ამ „საბედისწერო ნაბიჯისაგან“. ეს მან თვითონ გააკეთა, რევოლვერი ახლა ფონ კაარს მიუშვირა და ჩახმახი მომართა.

ისინი დანებდნენ...

...მთელი ღამე ბობოქრობდა მიუნჰენი. მეორე დღეს ჰიტლერელები ქუჩაში გამოვიდნენ და ბერლინზე გალაშქრება მოითხოვეს. თვითონ ამას ნაციონალ-სოციალისტურ რევოლუციას უწოდებდნენ. იულიუს შტრაიხერი ღია ავტოთი დაქროდა მიუნჰენის ქუჩებში და ხალხს, გამვლელ-გამომვლელთ, მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ „რევოლუციისათვის“. პუტჩისტებს ერთი პირველთაგანი ისევ გენერალი ლუდენდორფი მიემხრო. დემონსტრანტები ფიქრობდნენ, რომ ხალხი თანდათან აჰყვებოდა მათ. მოდიოდნენ ნაცისტური დროშებით. მეთაურებს მიხაკისფერი ფორმა ეცვათ, მკლავზე კი უზარმაზარი სვასტიკები ეკეთათ. კოლონას სათავეში ედგნენ ჰიტლერი, ლუდენდორფი, გერინგი, შტრაიხერი, შაიბნერ-რიჰტერი და სხვები.

გენერალ ლუდენდორფს ისინი ბორბლებზე შედგმული ძეგლივით დაატარებდნენ და აჩვენებდნენ ხალხს: შეხედეთ, ისიც ჩვენთანაა.

დემონსტრანტებმა გაიარეს მარიენპლაცი და ვაიენშტრასეზე გავიდნენ. აქ მათ შეატყობინეს, რომ ოდერპლაცზე მათ წინააღმდეგ ჯარის ნაწილი გროვდებოდა, და პერუზაშტრასეზე შეუხვიეს. აქვე გადასცეს ჰიტლერს გაზეთის ახალი ნომერი, რომელშიც ეწერა, რომ ბავარიის დიქტატორი — კაარი გადაუდგა მოძრაობას:

„პატივმოყვარე ვიგინდარებმა, მოტყუებითი და მოცემული სიტყვის გატეხვით, ნაციონალური აღორძინების მანიფესტაცია გადააქციეს საზიზღარ ძალადობად. განცხადება, რაც რევოლვერის ქვეშ გაგვაკეთებინეს მე, გენერალ ფონ ლოსოვს და პოლკოვნიკ ზაისერს, გაუქმებულია და არა აქვს ძალა. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტია, აგრეთვე გასამხედროებული ორგანიზაციები „ობერლანდი“ და „იმპერიის ალამი“ დაშლილია.

ფონ კაარი,
გენერალური სახელმწიფო კომისარი“.

ჰიტლერს ისტერია დაემართა. ეს კი საშინელება იყო! ზოგჯერ ბრაზისაგან გონება ისე უბრმავდებოდა და ცოფდებოდა, რომ „დოს პერანგი“ თუ დააშოშმინებდა, თორემ სულ შემოიხევდა ყველაფერს.

მაშინაც ასე მოხდა. გაზეთი დაგლიჯა, მიწაზე დაყარა, ზედ ფეხით შედგა და ყვირილი მორთო. შემდეგაც ბევრჯერ მოსვლია მას ასეთი ისტერია კაარის გამო. ერთხელ ისიც განაცხადა: მე სციპიონი ვარ, ის კი — მარიიო...

პერუზაშტრასეზე დემონსტრანტები ჯარის ნაწილებს წააწყდნენ. ჰიტლერი დაიბნა:

— ისინი სროლას აპირებენ! — წამოიძახა შეშფოთებულმა ფიურერმა.

— ჩვენ მაინც წავალთ წინ! — მიუგო მას ლუდენდორფმა.

მერე შტრაიხერმაც დაიძახა, ნუ შევჩერდებით, წინ წავიდეთო. იმედი ჰქონდა, რომ არმიელები არ ესროდნენ დემონსტრანტებს, რომელთა რიგებში იდგა „მსოფლიო ომის გმირი“ ლუდენდორფი.

ფელდჰერნჰალესთან დემონსტრანტებს პოლიციაც დაუხვდა. ვიღაცამ დაიძახა, რომ მათთანაა „მისი მაღალკეთილშობილება, გენერალი ლუდენდორფი“. ამან, მართლაც, გაჭრა. პოლიციელებმა იარაღი დაუშვეს, მაგრამ ჩქარა ახალი რაზმები მოვიდნენ. გაისმა სროლის ხმა. პირველი ტყვია ყველაზე მსხვილ დემონსტრანტს გერინგს მოხვდა, იგი დაიჭრა. მერე ტყვიამფრქვევიც ახმაურდა. რამდენიმე კაცი დაეცა. ვიღაცამ დაიძახა, ლუდენდორფი მოკლესო, მაგრამ მართალი არ გამოდგა: იგი დროზე გაპარულიყო. ჰიტლერს ერთ ხელში რევოლვერი ეჭირა, მეორეთი კი ჩასჭიდებოდა გვერდით მდგომ შაიბნერ-რიჰტერს, რომელიც იმავე წამს მოცელა ტყვიამ. დაეცა ჰიტლერიც, მაგრამ მან მხოლოდ მკლავი იღრძო, შემდეგ კი წამოხტა და გაიქცა. მას მიეხმარა ვალტერ შულცი, რომელმაც მანქანაში შეაგდო „თავისი“ ფიურერი და ქალაქგარეთ გაიყვანა. გზაში პოლიციამ სროლა აუტეხა მათ, მაგრამ გადარჩნენ და მიიმალნენ.

„ბრძოლის ველიდან“ გაიქცა დაჭრილი გერინგიც. რემი ფრიკი, ეკჰარტი და სხვები დაიჭირეს. დანარჩენები გაიფანტნენ. ადგილზე 14 მოკლული დარჩა: ერთი კელნერი, ერთიც ხელოსანი, ხოლო დანარჩენები ბანკის მოხელეები, ვაჭრები და თადარიგის ოფიცრები.

ამით დამთავრდა „ნაციონალური რევოლუცია“. შეშინებულმა ჰიტლერმა ჯერ თვითმკვლელობა სცადა, მერე პრინც რუპრეჰტს მიმართა დახმარებისათვის. პრინცმა მოსთხოვა მას, ბოდიში მოიხადე კაარის წინაშეო, შემრიგებელ-შუამავლადაც ჩადგა მათ შორის, მაგრამ არაფერი გამოვიდა...

ორი დღის შემდეგ მიუნჰერიდან სამოცი კილომეტრის დაშორებით, სოფ. უფინგში, თავისი მეგობრის ჰანფშტენგლის სახლში, ჰიტლერი დააპატიმრეს და ლანდსბერგის ციხეში ჩასვეს. გერინგი ჯერ ინსბრუკში გაიქცა, ხოლო შემდეგ — იტალიაში. ლუდენდორფი მხოლოდ დაკითხეს და პოლიციის შენობის უკანა კარებიდან გაუშვეს, ხალხს რომ არ დაენახა, გამოძახება ჰკადრესო. ჰიტლერი და ათი მისი თანამონაწილე გასამართლეს. პროცესი 1924 წლის 26 თებერვალს დაიწყო და თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. მთელი ამ ხნის მანძილზე ჰიტლერს თავი გამომწვევად ეჭირა. ტრიბუნას აქაც ნაციონალ-სოციალისტური იდეების საპროპაგანდოდ იყენებდა. სასამართლოს თავმჯდომარე, ბავარიის იუსტიციის მინისტრი ფრანც გერტნერი თვითონაც თანაუგრძნობდა „ამ ახალ მოძრაობას". ამიტომაც მისცა საშუალება ჰიტლერს თავისუფლად ელაპარაკა, რაც უნდოდა. ჰიტლერმა ისარგებლა ამით და ოთხსაათიანი სიტყვა წარმოთქვა:

— მთელი ამ ამბების ერთადერთი პასუხისმგებლობა მაწევს პირადად მე, — განაცხადა მან. — და თუ თქვენ ბრალს მდებთ სახელმწიფო ღალატში, შემიძლია დაგიდასტუროთ: დიახ, მე 1918 წლის სახელმწიფოს მოღალატე ვარ და ეს მიმაჩნია ჩემ ღირსებად. ლოსოვი, ზაისერი და კაარი — სამივენი მხარს უჭერდნენ ჩემს იდეას. მე ბევრჯერ მქონია მათთან ამის შესახებ ლაპარაკი და... თუ ჩვენ დამნაშავენი ვართ, ისინიც უნდა დაისაჯონ ჩვენთან ერთად! — წამოიძახა მან.

კაარი და ზაისერი წამოხტდნენ ადგილიდან. უნდოდათ ჰიტლერის „დემაგოგიური განცხადება" გაებათილებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ, რადგან ჰიტლერი ამ შემთხვევაში მართალი იყო. ბრალდებული ცდილობდა თავისი სიტყვების „მაგიური ძალით" გაებრუებინა მოსამართლეები, პროკურორი, დამსწრე საზოგადოება (დამსწრეთა შორის მრავლად იყვნენ ადგილობრივი და უცხოელი კორესპონდენტები).

— მე არ ვიბრძვი კარიერისათვის, მინისტრის პორტფელისათვის,—ქადაგებდა იგი,—ეს პატარა კაცუნების საქმეა, სი-

სულელე. მე მინდა ახალი გერმანიის მედაფდაფე ვიყო და მოვსპო მარქსიზმი. მოვა დრო და ეს ასეც მოხდება. ჩვენი რიგები თანდათან გაიზრდება, შეიქმნება ბატალიონები, ლეგიონები, დივიზიები, არმიები, აფრიალდება დროშები და, როცა ძალაუფლებას ავიღებთ ხელში, მაშინ ნახავთ როგორ დაცვივა ძირს 1918 წლის მოღალატეთა თავები!..

აქ პროკურორმა ბრალი დასდო ჰიტლერს, „მედაფდაფეობიდან დიქტატორობამდე აპირებ ახტომასო“.

ჰიტლერს ეს არც უარუყვია. პირიქით, დაადასტურა, რომ მხოლოდ დიქტატორს შეუძლია იხსნას გერმანია იმ სამარცხვინო მდგომარეობიდან, რომელშიც ახლა იმყოფებაო.

მერე მთავრობას შეუტია, არმია კი შეაქო: ვინც ჩვენ გვესროლა გუშინ, ხვალ ჩვენივე მოკავშირე და დასაყრდენი ძალა იქნებაო. სამაგიეროდ უდიერად მოიხსენია „მწვანე პოლიცია“. ეს „სამარცხვინოაო“, თქვა მან, რითაც „მონაცისტო“ გერტნერის „გულისწყრომაც“ გამოიწვია. მან ხის ჩაქუჩი დაჰკრა მაგიდას, შეაჩერა ჰიტლერი და ისე მორიდებით მიმართა, თითქოს მის წინაშე ბრალდებული კი არა, ფრიად პატივცემული პიროვნება მდგარიყო:

—ბატონო ჰიტლერ! თქვენ ბრძანეთ, „მწვანე პოლიცია სამარცხვინოაო“. მე არ შემიძლია ასეთი განცხადების უფლება მოგცეთ.

ჰიტლერი კი მაინც თავისას განაგრძობდა და საბოლოო სიტყვის დასასრულს ასე მიმართა მოსამართლეებს:

— თქვენ, ვაჟბატონებო, არა გაქვთ უფლება მსჯავრი დაგვდოთ. ერთადერთი სამსჯავრო, რომელსაც შეუძლია გამოგვიტანოს განაჩენი, არის მსოფლიო ისტორია... თქვენ შეგიძლიათ თუნდაც ათასჯერ გამოგვაცხადოთ დამნაშავეებად, მაგრამ ისტორიის მარადიული სამსჯავროს ქალღმერთი ნაკუწ-ნაკუწად აქცევს მას და გაგვამართლებს!..

...მიუხედავად ყველაფრისა, 1924 წლის 1 აპრილს ჰიტლერს „სახელმწიფო ღალატისათვის“ ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა ციხეში ფართო უფლებებიც დაუტოვეს. მას შეეძლო დელეგაციების მიღება, თათბირების მოწყობა, ხალ-

ხისადმი მოწოდებით მიმართვა და სხვა, რითაც სარგებლობდა კიდეც. თვითონაც იღებდა საჭირო ლიტერატურას და რუდოლფ ჰესთან ერთად წერდა წიგნს—„ჩემი ბრძოლა"; უფრო სწორად, ჰიტლერი უკარნახებდა, ჰესი კი სტენოგრაფიულად იწერდა და ამუშავებდა ტექსტს. ადრე ჰესს მამა კომერციული საქმიანობისათვის ამზადებდა და სტენოგრაფია შეასწავლა. მერე ჰესი გეოპოლიტიკოს ჰაუსჰოფერის მოწაფე გახდა და თავისი მასწავლებლის აზრებით გაავსო ჰიტლერის წიგნი, რომელიც 1925 წელს გამოქვეყნდა. ამ დროს ნაცისტური პარტია უკვე აკრძალული იყო. ლუდენდორფმა დრო იხელთა და ისევ განუდგა ჰიტლერს. კაპიტანი რემი ძველებურად თავისი მოიერიშეებით იყო გართული. ნაცისტური მოძრაობა დაიქსაქსა, დასუსტდა. მაგრამ რვა თვის შემდეგ, 1925 წლის 17 თებერვალს, ჰიტლერი ვადაზე ადრე გამოუშვეს ციხიდან, როგორც ჩანს, ისევ იმ გერტნერის დახმარებით. მადლობის ნიშნად მისმა ყოფილმა ტუსაღმა იგი „მესამე იმპერიის" იუსტიციის მინისტრად დანიშნა...

ციხიდან გამოსვლისთანავე ჰიტლერი კვლავ ჩაუდგა სათავეში პარტიას, მაგრამ ბევრმა არ ისურვა „სხვის თოკს ჩაჰყოლოდა ორმოში". პირველმა ლუდენდორფმა განაცხადა უარი, ემუშავა იმ „ნაციხარის" ხელმძღვანელობით. შტრაისერი და რემი კი ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ. 27 თებერვალს ბიურგერბროიში ჰიტლერი გამოვიდა სამსაათიანი სიტყვით მათ წინაშე. დამსწრენი წერენ, ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა იყოო. ჰიტლერმა აქ, მართლაც, მდიდრული ორატორული ხერხების მთელი არსენალი გამოიყენა. ჯერ მშვიდად დაიწყო, მაგრამ შემდეგ თანდათან შევიდა ექსტაზში და პირდაპირ ქადაგად დაეცა. გაშმაგებული იყო, ყვიროდა, იმუქრებოდა, მერე „გული აუჩვილდა" და ცრემლები გადმოღვარა. ნერვიულობისაგან მთელი სხეული უცახცახებდა, პირზე დორბლი მოსდიოდა და ოფლი ასკდებოდა.

— მე არ ვეძებ სახელსა და დიდებას, — გაჰკიოდა იგი, — არც ბრბოს მხარდაჭერა მინდა. ამაში თქვენც მალე დარწმუნდებით. თუ მე სწორად მოვიქცევი, საქმე კარგად წავა, არა-და,

მე თვითონ ავიყრი უფლებებს და გადმოვალ თქვენს განკარგულებაში, მანამდე კი (აქ ჰიტლერმა ისევ აუწია ხმას), ვიდრე ჩვენი შეთანხმება ძალაშია და მე ვხელმძღვანელობ მოძრაობას, არავის აქვს უფლება წამომიყენოს რამე პირობა. მთელი პასუხისმგებლობა მე ერთს მაწევს კისერზე, დამოკლეს მახვილიც ჩემს თავზე ჰკიდია. გამარჯვება ან სიკვდილი! ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სხვა გზა არ არის: ან მტერი გადაგვქელავს ჩვენ, ან ჩვენ თვითონ გადავივლით მათს გვამებზე...

დასასრულ, ჰიტლერმა გულხელი დაიკრიფა, თვალები ზევით აღაპყრო და უკვე სრულიად გატეხილი ხმით წარმოთქვა:

—და თუ მე დავიღუპები, მინდა სვასტიკიანი დროშა იქცეს ჩემ სუღარად...

მისმა გამოსვლამ ჰიპნოზივით იმოქმედა დამსწრეებზე. მთელი დარბაზი ღრიალებდა. ზოგი ტიროდა კიდეც. მოწინააღმდეგეებმა ერთხელ კიდევ გაუწოდეს ხელი ერთმანეთს.

ამის შემდეგ ჰიტლერმა ისევ აკრიფა სადაველები და ნაცისტური მოძრაობის ერთპიროვნულ ხელმძღვანელად იქცა დიქტატორული უფლებებითა და „ფიურერის" (წინამძღოლი, ბელადი) წოდებით.

თვითონ ჰიტლერი ყოველთვის კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავდა ამას. ძალიან მოსწონდა, „ფიურერს" რომ უწოდებდნენ. ერთხელ ასეთი „ფრიად მოკრძალებული" მოსაზრებაც გამოთქვა ამის თაობაზე:

— ფიურერი კარგი წოდებაა. სასიამოვნოა, გერმანელს რომ შეუძლია თქვას: „ჩემო ფიურერ!" მერე რა სწრაფად გავრცელდა ეს! ახლა არავინ მომმართავს მესამე პირით... ამის ნაცვლად ამბობენ მხოლოდ: „ჩემო ფიურერ!" მე საერთოდ მოვსპე მესამე პირი. არც ვიცი, როგორ გაჩნდა პირველად ცნება „ფიურერი", მაგრამ ეს დიდი ბედნიერებაა. წარმოიდგინეთ, რომ მე ამისათვის დავთმე პრეზიდენტის წოდებაც. ხომ კარგად ჟღერს: „პრეზიდენტი ადოლფ ჰიტლერი!" მე კი მაინც „ფიურერი" ვარჩიე. ასეთი ტერმინების წარმოშობა განსაკუთრებული მოვლენაა. ორი ათასი წლის წინ ყველაზე დიდ ავტო-

რიტეტს „კეისარს“ უწოდებდნენ. იაპონელებსაც აქვთ ტერმინი „ტენო“, რაც „ბნის შვილს“ ნიშნავს.

მეგალომანიის ამგვარი სენი გადამდებია. ერთიმეორის წაბაძვით დაირქვეს: მუსულინიმ — დუჩე. ჰიტლერმა — ფიუერერი, ფრანკომ — კაუდილიო, ანტონესკუმ — კონდუკატორე და ა. შ. მერე ესეც არ იკმარეს და „ღვთის ტახტსაც“ წაეპოტინენ, თავი ოლიმპზე წარმოიდგინეს, მაგრამ საკუთარ თავს მაინც ვერ გადაახტნენ...

„რამეთუ არცა ერთი კაცი შემძლებელ არს თუისად შექმნად მსგავსად ღმრთისა...“

შავი ორდენი...

ჰიტლერი მიხვდა, რომ პირადი ძალაუფლების განსამტკიცებლად ახალი შეიარაღებული ორგანიზაციის დაარსება იყო საჭირო. მართალია, ამ ფუნქციებს მოიერიშეთა რაზმები ასრულებდნენ, მაგრამ იქ უფრო რემისა და რაიჰსვერის გავლენა იგრძნობოდა. ჰიტლერს კი საკუთარი „პრეტორიანული გვარდიის“ შექმნა უნდოდა. ასე შეიქმნა SS—ესესი (Schutz-Staffeln), ანუ ფიუერერის „დამცველი რაზმები“. ესეც ნაცისტური პარტიის „შინაგანი არმია“ იყო, რომელსაც ჯერ ჰიტლერის დაცვა. ხოლო ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, საერთოდ, დამსჯელი ფუნქციები ეკისრებოდა. 1929 წელს ესესელთა მეთაურად, შემდეგ კი მის რაიჰსფიუერერად დაინიშნა ყოფილი მასწავლებელი ჰერმან ჰიმლერი.

ესესის ოფიცრებისათვის შემოღებულ იქნა სპეციალური წოდებები, რაც არმიასთან შეფარდებით ასე გამოიყურება:

უ ნ ტ ე რ შ ტ უ რ მ ფ ი უ რ ე რ ი — უმცროსი ლეიტენანტი,

შ ტ უ რ მ ფ ი უ რ ე რ ი — ლეიტენანტი,

ო ბ ე რ შ ტ უ რ მ ფ ი უ რ ე რ ი — უფროსი ლეიტენანტი,

ჰ ა უ პ ტ შ ტ უ რ მ ფ ი უ რ ე რ ი — კაპიტანი,

შ ტ უ რ მ ბ ა ა ნ ფ ი უ რ ე რ ი — მაიორი,

ობერშტურმბაანფიურერი — პოდპოლკოვნიკი,
შტანდარტენფიურერი — პოლკოვნიკი,
გრუპენფიურერი — გენერალ-მაიორი,
ობერგრუპენფიურერი — გენერალ-ლეიტენანტი,
ბრიგადენფიურერი—ბრიგადის გენერალი,
რაიჰსფიურერი — ფელდმარშალი.
ეს უმაღლესი წოდება მხოლოდ ჰიმლერს ჰქონდა...

რაც დრო გადიოდა, ესესელთა რიგები თანდათან იზრდებოდა. თუ 1929 წელს ამ ორგანიზაციაში სულ 280 კაცი იყო, 1932 წელს ესესელთა რიცხვმა 52 ათასს მიაღწია, ხოლო 1939 წელს—240 ათასს. ომის დროს ესესელთა რიგები ახალი კონტინგენტით შეავსეს და 40-მდე დივიზია შექმნეს. ამის შემდეგ ერთ მილიონამდე ესესელი იცავდა „ფიურერისა და იმპერიის“ უშიშროებას...

...ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ესესის ჩამოყალიბებას სხვა და, იქნებ, „უფრო მნიშვნელოვანი მიზანიც“ ჰქონდა. ერთი მილიონი კაცი, ცხადია, არ შეიძლება მხოლოდ ჰიტლერის „პირადი დაცვა“ ყოფილიყო. არც პოლიციისა და ჟანდარმერიის ფუნქციების შესაცვლელად გახდებოდა საჭირო ამგვარი რთული ორგანიზაციის შექმნა. ესესს, მართლაც, უფრო შორსგამიზნული „საქმეები“ ჰქონდა დასახული. უწინარეს ყოვლისა, „ბიოლოგიური მუტაციის“ გზით გერმანელი ერის რასიული გაუმჯობესება და მემკვიდრეობის სიწმინდის დაცვა. ესესის საშუალებით უნდა შექმნილიყო „არიელი ზეკაცების“ ის უმაღლესი კასტა, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა მომავალ „გერმანულ მსოფლიოს“. ესეც იმ მაგიურ-მისტიკური მოძღვრების ნაწილი იყო, რასაც ჰიტლერი ქადაგებდა. ამიტომ იყო, რომ ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფორმის მიხედვით ესესი ჩამოყალიბდა როგორც რელიგიური ორდენი. ჰიტლერს რამდენჯერმე უთქვამს, რომ მას მოსწონს კათოლიკური ეკლესიის მტკიცე იერარქიული სისტემა და დისციპლინა. ეს მხეო-

ველობაში იქნა მიღებული ესესის შექმნის დროსაც. იგი რამდენიმე საფეხურად, ანუ კასტად დაყვეს. უმაღლეს კასტას შეადგენდა „განგების იდუმალებას ნაზიარევთა“, ანუ „ხელდასხმულთა“ „შინაგანი წრე“, რომელშიც პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურებიც შედიოდნენ.

მათ სათავეში ედგა „დიადი მოგვი“ — ჰიტლერი.

ესესელთა შავი ორდენის „იდუმალება“ ეყრდნობოდა ისეთი „ზე ადამიანური ძალების“ რწმენას, რომლის წვდომა შეიძლებოდა არა გონების, არამედ მისტიკური ინტუიციის გზით.

ერთხელ ჰიტლერმა უთხრა რაუშნინგს:

— მე თქვენ გაგანდობთ საიდუმლოებას: მინდა შევქმნა ორდენი, საიდანაც გამოვლენ ღმერთკაცების მეორე საფეხურის ადამიანები. ეს იქნება არსებათა უდიადესი სახე, მსგავსი ხატისა. იქნება სხვა საფეხურებიც, რისი გამხელის უფლება მე არა მაქვს...

ეს „საფეხურები“ იწყებოდა „ადამიანის მსგავსი არსებებით“ და თავდებოდა ისევ იმ „დიადი მოგვით“, რომელიც განგების მიერ იყო ხელდასხმული. იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ემზადებოდნენ ღმერთკაცების შესახვედრად, რომელნიც განგებასვე უნდა წარმოეგზავნა დედამიწაზე მას შემდეგ, რაც შეცვლილი იქნებოდა „სულიერ ძალთა წონასწორობა“ (გაიხსენეთ „პროცენტული შეფარდება“).

მომავლის ამგვარი „ღმერთკაცების“ შესაქმნელად დაარსებულ იქნა სპეციალური სკოლები, ე. წ. „ბურგები“, სადაც მკაცრი შერჩევით იღებდნენ „წმიდა სისხლის“ არიელებს. მათ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ მიუწვდებოდათ ხელი „განგების იდუმალებასთან“ მაგრამ ემზადებოდნენ კი საამისოდ. ერთადერთი, რასაც მათ ჩააგონებდნენ, იყო ჰიმლერის მოკლე დირექტივა:

— ჯობს მბრძანებელი იყო ჯოჯოხეთში, ვიდრე მსახური — სამოთხეში. მთავარია გწამდეს, იყო მორჩილი, იბრძოლო. ეს არის ყველაფერი.

„ბურგებში“ ესესელებს ასწავლიდნენ ძირითად „მეცნიე-

რებას“, თუ როგორ „მიუზღონ და მიიღონ სიკვდილი“. კანონები აქ ისევე მკაცრი იყო, როგორც იეზუიტთა ორდენში. „ბურგის“ მსმენელებს ადებინებდნენ ფიცს და აფრთხილებდნენ:

— ვისაც ჩამოერთმევა უფლება ჩვენი ფორმის ტარებისა, იცოდეს, რომ დაკარგავს არა მარტო სამუშაოს, არამედ მოსპობილი იქნება როგორც თვითონ, ისე მისი ოჯახი, შვილები, ნათესავები. ასეთია ჩვენი ორდენის მკაცრი და შეუბრალებელი კანონი...

ორდენის წევრებს სპეციალური ნებართვის გარეშე აკრძალული ჰქონდათ ცოლის შერთვა და ოჯახის შექმნა. მათი ერთადერთი ოჯახი იყო ორდენი. ერთხანს ესესელების სრული იზოლაციაც უნდოდათ გარეშე სამყაროსაგან. ჰიმლერი ბურგუნდიაში ორდენის წევრთა სანიმუშო სახელმწიფოს შექმნასაც კი აპირებდა: საკუთარი არმიით, კანონებით, ფულის ნიშნებით. მას უკვე საზღვრებიც ჰქონდა მოხაზული ამ „იდეალური სახელმწიფოსათვის“: რომანული შვეიცარიის, პიკარდიას, შამპანის, ფრანშ-კონტეს, ენოს და ლუქსემბურგის ტერიტორია.

— სამყარო შეძრწუნებული და აღტაცებული იქნება სახელმწიფოთი, სადაც განხორციელდება ჩვენი კონცეფციები, — თქვა მან.

აღსანიშნავია, რომ ჰიმლერს მონებადაც ესესელები უნდოდა, ორდენის რიგითი წევრები, რომლებიც იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურს განეკუთვნებოდნენ. ისინი უნდა ყოფილიყვნენ (და იყვნენ კიდეც) „უსულო მანქანები“, „მოსაძსახურე რობოტები“, რომელთაც წვრთნიან და ამუშავებენ. ამ საფეხურის ესესელები განდობილი არ იყვნენ ორდენის უმაღლესი საფეხურებისა და „განგების საიდუმლოებას“.

თვითონ ჰიტლერი ასე განსაზღვრავდა ნაცისტურ იერარქიას:

— მე თქვენ გეტყვით, მეგობრებო, იქნება კლასი ბატონებისა და პარტიის სხვადასხვა წევრთა ბრბო, დანაწილებული მკაცრი იერარქიის მიხედვით. მათ ქვემოთ: სამუდამოდ დაბალი ანონიმური მასა. კიდევ უფრო ქვემოთ: დამარცხებული უცხოელების კლასი, თანამედროვე მონები... ზემოთ კი: ახალი,

უმაღლესი არისტოკრატია, რის შესახებაც მე სება არა მაქვს გითხრათ რამე... ეს გეგმა არ უნდა იცოდნენ პარტიის რიგითმა წევრებმა...

ასეთი იყო ჰიტლერელების „მსოფლიო იმპერიის“ მაკეტი, რომლის შექმნაში დიდი „ღვაწლი“ მიუძღვის ჰიმლერსა და მის იეზუიტურ შავ ორდენს. მისი წევრები წინასწარ „ვარჯიშობდნენ“ საკონცენტრაციო ბანაკებში და მილიონობით ადამიანების სიცოცხლეს სწირავდნენ მსხვერპლად უზენაესს, რათა მოეპოვებინათ „უმაღლესი ძალების“ კურთხევა და კეთილი განწყობა...

...იქნებ იკითხოთ: ვინ აიძულა ერთი მილიონი გერმანელი გამხდარიყო ამ იეზუიტური ორდენის წევრი?

არავინ!..

ესესში მხოლოდ ნებაყოფლობით იღებდნენ. სპეციალური კომისიები ამოწმებდნენ კანდიდატების „არიულ სიწმინდეს“, უზომავდნენ სიმაღლეს, თეძოებისა და გულ-მკერდის სიგანეს, ბარძაყების სიგრძესა და თავის ქალის მოყვანილობას. თმისა და თვალების ფერიც მხედველობაში მიიღებოდა. ყველაზე მთავარი კი მათი შეუბრალებელი ხასიათი იყო. ამაზე ჰერმან ჰიმლერი ზრუნავდა. სპეციალური წესდებები და ინსტრუქციები განსაზღვრავდა ესესელთა უფლება-მოვალეობას. არავის არ ჰქონდა ნება მათ საქმეში ჩარეულიყო ან დანაშაულისთვის პასუხი მოეთხოვა. ისინი მხოლოდ ჰიმლერის მითითებებს ასრულებდნენ, ეს უკანასკნელი კი უშუალოდ ჰიტლერს ემორჩილებოდა.

დამახასიათებელია, რომ ესესელთა კორპორაციას სხვაგვარად „შავ კორპუსსაც“ უწოდებდნენ. ასეთივე სათაურით გამოდიოდა მათი გაზეთი. ყველა ესესელს შავი მუნდირი ეცვა, ქუდზე კი, კოკარდის ზევით, სიკვდილის ემბლემას—თავის ქალასა და გადაჯვარედინებულ ძვლებს ატარებდნენ.

ყოველგვარი საშინელება, რაც ნაცისტურ გერმანიაში ხდებოდა, ამ სიკვდილის ემბლემიან ესესელებთან იყო დაკავშირებული. ისინი წარმოადგენდნენ „მთელი რასიული ერთეულების“ მოსპობის ძირითად იარაღს. გეტოებსა და საკონ-

ცენტრაციო ბანაკებსაც ესესელები განაგებდნენ, ე. წ. „დამ-სჯელი ექსპედიციები, ზონდერკომანდოები და ზონდერგრუ-პებიც უმთავრესად ესესელებით იყო დაკომპლექტებული. ინგლისელმა ბრალმდებელმა მაქსუელ-ფაიფმა ოპერატიულ ჯგუფ D-ს მაგალითზე შეისწავლა და პროცესზე წარმოადგინა დამსჯელი რაზმების პროცენტული შედგენილობა, რაც ასეთ სურათს იძლევა: SS—34,4 პროცენტი; SA—30,3; სისხლის სა-მართლის პოლიცია (კრიპო)—4,1; გესტაპო—9,0; დამხმარე პოლიცია—8; პოლიციის სხვა სახეობანი—13,4 პროცენტი.

საერთოდ, დამსჯელი ორგანიზაციების წევრთა რიცხვმა, მოიერიშეთა ჩათვლით, ექვს მილიონს მიაღწია. ეს გაუგონარი რამეა! თუ მცირეწლოვანებს, ქალებს, ღრმა მოხუცებსა და ანტიფაშისტებს გამოვაკლებთ, სარტრის ზემოთ გადმოცემული ალეგორიის მსგავსად, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ სამ გერ-მანელში ერთი ჯალათი იყო. ასე რომ გაგრძელებულიყო, ვინ იცის, სამთაგან სამივეს ეკისრა ეს ფუნქცია. მე მგონი, ასეც ჰქონდათ განზრახული. მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს ესესელებმა ამდენი საშინელება დაატრიალეს, ჰიმლერის გან-ცხადებით, მათი ნამდვილი მუშაობა, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ ომის შემდეგ უნდა გაშლილიყო.

ყველაზე შემაძრწუნებელი სწორედ ეს არის! ნაცისტებს უნდოდათ ჯერ ევროპა, ხოლო შემდეგ მთელი მსოფლიო პრო-ფესიულ ჯალათთა ამ „შავი კორპუსების“ სათარეშოდ გაეხა-დათ. ჰიმლერი ამბობდა კიდეც:

— ბუნებრივია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი თაობა გერმანელთა ამ რჩეული ფენიდან უნდა გაიზარდოს. ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენ უნდა მოვამარაგოთ მთელი ევროპა ხელმძღვანელთა ამ კლასით...

ეს „კლასი“ კი შეუბრალებელი და სასტიკი უნდა ყოფი-ლიყო, გათავისუფლებული „მორალისა და ზნეობის შემზღუდ-ველი ნორმებისაგან“, და ამასთანავე „წესიერიც“, ამ სიტყ-ვის ჰიმლერისებური გაგებით. როცა ევროპაში ებრაელობის როგორც რასის ტოტალური ლიკვიდაციის საკითხი დადგა, ჰიმლერმა ასეთი „დიდაქტიკური დამოძღვრა“ ჩაუტარა ესე-სელებს:

— მე მინდა თქვენ სრულიად გულწრფელად გელაპარაკოთ ერთ სერიოზულ საკმეზე. ეს არის ებრაელებისაგან გაწმენდა, მათი რასის მოსპობა. ეს ისეთი თემაა, რაზედაც ძალიან ადვილია ლაპარაკი. „ებრაელთა რასა იჟლიტებაო“, რომ ამბობს პარტიის რომელიმე წევრი, ეს თავისთავად ცხადია. ჩვენი პარტიის პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი გულისხმობს ებრაელობის გაჟლეტას და ჩვენ ამას ვაკეთებთ—ვჟლეტთ მათ. ყველა თქვენგანმა უნდა იცოდეს, როგორი შესახედავია ასი მოკლულის გვამი, რომლებიც ერთმანეთის გვერდით აწყვია, ან ხუთასი, გინდ ათასი. აიტანო ყოველივე ეს და იმავე დროს, ადამიანური სისუსტის გამოჩენის თითო-ოროლა შემთხვევის გარდა, დარჩე წესიერ ადამიანად, — ეს არის ის, რაც ჩვენ გვაკაჟებს...

გაიხსენეთ, ოსვენციმის კომენდანტიც რომ წერდა თავის აღსარებაში, მიუხედავად ყველაფრისა, მე წესიერი ადამიანი ვიყავიო.

ჰიმლერის გაგებით, „წესიერი ადამიანი“ ისაა, ვინც „ადამიანურ სისუსტეს“ არ გამოიჩენს და ჰოსივით წარბშეუხრელად დახოცავს ასებსა და ათასებს, თუნდაც ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს. თუ რას იტყვიან ამაზე, ესესელებს არც ენაღვლებათ, ისედაც იციან, ყველა რომ ზიზღით უყურებს. კაიტელიც კი „ესესელ ღორებს“ უწოდებდა მათ. ეს არც ჰიმლერისათვის იყო მოულოდნელი:

— მე ვიცი, რომ გერმანიაში არიან ადამიანები, — ამბობდა იგი, — რომელთაც გული ერევათ, როცა ამ შავხალათიანებს უყურებენ. ჩვენ გვესმის ამის მიზეზი და არც მოველით, რომ სიყვარული გამოგვიცხადონ...

...მე მგონი, ამით გასაგები ხდება, თუ რა ძალებს ეყრდნობოდა ჰიტლერი, როცა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად შეთქმულებას აწყობდა მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ.

მოიერიშეთა რაზმებისა და ესესელთა „შავი კორპუსების“ გაძლიერებით მისი პირადი დიქტატურაც განმტკიცდა. ეს ორგანიზაციები ჰიტლერის ყველაზე ერთგული და ბრმა მიმდევ-

რებისაგან შედგებოდა. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე არც ისე ადვილი იყო. ამით სულ სხვა სიტუაცია შეიქმნა. გერმანელმა ნაცისტებმა ჯერ თვითონ „გამოიგონეს“ ჰიტლერი, მერე კი მართლაც ისე განადიდეს და განამტკიცეს მისი ძალაუფლება, რომ შექმნილმა შემქმნელთა ძლიერებას გადააჭარბა. ისეთი ამბავი მოხდა, ქ-ნ შელის რომ აქვს აღწერილი რომანში—„ფრანკენშტაინი“...

...ჟენეველმა სტუდენტმა ფრანკენშტაინმა განიზრახა ხელოვნური ადამიანი შეექმნა. ამისათვის სპეციალური ლაბორატორია გახსნა. იგი დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა, სწავლობდა, ძვლებს ძვლებზე ადგამდა. ბოლოს, გამოიყვანა კიდეც რაღაც ურჩხულის მსგავსი კოლოსი, რომელსაც არაადამიანური ძალა და დაუოკებელი მხეცური ინსტინქტები ჰქონდა. შეშინებულმა ფრანკენშტაინმა თავის შექმნილს სახელიც კი ვერ უწოდა. ხან ურჩხულიაო, ამბობდა, ხანაც — დემონიო.

ნაწარმოების საერთო აზრი ის არის, რომ ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ დემონებს, რომელთა წინაშე თვითონვე ხდებიან უძლურნი. ასეც მოხდა. ფრანკენშტაინის ნაშიერმა ტერორქვეშ დააყენა მისივე შემქმნელი და მოსპობით დაემუქრა ყველას, ვინც მის მხეცურ ინსტინქტებს არ დააკმაყოფილებდა. შეძრწუნებულ ფრანკენშტაინს უნდოდა შეეზღუდა თავისი პირმშო, მაგრამ ამაოდ. მერე სხვებიც დაეხმარნენ მას, მაგრამ იმ ურჩხულმა, თუ დემონმა დახოცა ყველა, მათ შორის თავისი შემქმნელიც, და სადღაც გადაიკარგა...

...გერმანელებმაც ასევე შექმნეს თავიანთი დემონი — ჰიტლერი და იმდენი ძალაუფლება მისცეს, რომ იძულებული გახდნენ თვითონვე დამორჩილებოდნენ მის მხეცურ ინსტინქტებს. მართალია, ოპოზიციონერებმა ამის შემდეგაც სცადეს შეეზღუდათ ის „შვიდთავიანი ვეშაპი“, მაგრამ ეს უკვე მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა. მერე ხომ თვით ამ ვეშაპის თავებს შორის დაიწყო შუღლი: დრექსლერი, რემი, შტრასერი, გერინგი, გებელსი და შტრაიხერი ერთმანეთს უღრენდნენ. მაგ-

რამ ამ შუღლისაგან ისევ ჰიტლერმა მოიგო. იგი ადვილად გაუსწორდა ყველას, ვინც მის შეზღუდვას ცდილობდა, და, როგორც ვნახავთ, მერე თავებიც ბევრს დააყრევინა. ძველი პირობაც დაივიწყა: ადრე თუ ამბობდა, ჩემი როგორც ეროვნული მედაფდაფის ფუნქციები მაშინ დამთავრდება, როცა აჯანყება დაიწყებაო, ახლა სახელმწიფოს მეთაურის სავარძელზედაც გამოაცხადა პრეტენზია. მართალია, მის უახლოესსა და ერთგულ თანამებრძოლებსაც ესამუშებოდათ, ეს „ბნედიანი ეფრეიტორი“ როგორ უნდა ჩაჯდეს ბისმარკის სავარძელში, მაგრამ „სხვა ვინმეს“ მაინც „შეჩვეული ჭირი“ არჩიეს და დაემორჩილნენ. შტრასერი კი ისევ მოითხოვდა, ჰიტლერი გადავაყენოთ და ლუდენდორფი დავნიშნოთო, მაგრამ სხვებმა არ დაუჭირეს მხარი და ჰიტლერმა თავის ოპოზიციონერებს ადვილად შეაბა ქვა კისერზე. ეს ყბაღია ორატორი ყველას სჭირდებოდა, რადგან მისი გაუთავებელი ქადაგებებით ნაცისტური მოძრაობა ძლიერდებოდა. მოიერიშეებიცა და ესესელებიც მას უჭერდნენ მხარს და ის ფრანკენშტაინები რას გახდებოდნენ.

დიტრიჰი წერს, რომ ჰიტლერმა თავისი გამაბრუებელი ქადაგებებით მოიცვა და აიყოლია 35 მილიონი გერმანელი, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ნაციონალ-სოციალისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაშიო.

შინაგან ოპოზიციონერებს კი ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, შეეშინდათ ანგარიშის გასწორებისა და გადაწყვიტეს, ისევ იმ „ბოჰემიელი ეფრეიტორის“ კალთისათვის შეეფარებინათ თავი.

ამის შემდეგ ყველა ფიურერის მზეს ფიცულობდა. ერთმანეთსაც ეჯიბრებოდნენ მის ქება-დიდებაში, თანაც ხელებს უკვე ზეცისაკენ კი არა, მისკენ იშვერდნენ და გამარჯვებას უსურვებდნენ ამ „განგებისაგან მოვლენილ მესიას“...

ძველად ასევე წინხელგაშვერილი ესალმებოდნენ რომის იმპერატორებს. ჰიტლერიც რომაელი იმპერატორის პოზას იღებდა და კეისრული ჟესტით ხვდებოდა ნაცისტთა აღგზნებულ ბრბოს.

ჰიტლერის ბიოგრაფიასა და რეპუტაციაზეც ისინი ზრუნავდნენ, უმთავრესად — გერინგი და გებელსი. ასეა, უზომოდ განდიდებული ადამიანები მარტო თვითონ როდი ქმნიან თავიანთ ბიოგრაფიას. ამას უფრო მათი მიმდევრები და მლიქვნელები ახერხებენ. იაფფასიანი ფალსიფიკატორებიც ადვილად ითბობენ ამაზე ხელს. ჰიტლერს ასეთი ჰიმნოგრაფები გამოულეველი ჰყავდა. გებელსმა ხომ სულ ყბა მოიქცია მისი ქებადიდებით. მერე სხვებიც აჰყვნენ მას და დაიწყო ჰიტლერის ბიოგრაფიის შელამაზება. მის დაჟინებულ მისწრაფებაში, რადაც უნდა დასჯდომოდა არქიტექტორი გამოსულიყო, „გერმანელთა მომავალი მსოფლიო იმპერიის გენიალური ხუროთმოძღვარი“ დაინახეს. უწინ ამბობდნენ, „არქიტექტურა გაქვავებული მუსიკაა“, ჰიტლერელებმა ის „ამაღლებულ პოლიტიკად“ გამოაცხადეს. ჰიტლერმა რომ სიმწიფის ატესტატი ვერ მიიღო, ამის პასუხად „მოუმწიფებლობის“ თეორია შექმნეს და ქვეყანას „არწმუნებდნენ“, კაცობრიობას წინ „მარად მოუმწიფებელნი და მონატრებულნი“ ეწევიანო...

მერე ჰიტლერის პირად ცხოვრებასაც მისდგნენ და, როგორც შეეძლოთ, ისე ალამაზეს. ცოლ-შვილი რომ არა ჰყავდა, ეს „ერისთვის თავგანწირულებად“ ჩაუთვალეს: ვითომ ხალხის სამსხვერპლოზე მიიტანა თავისი პირადი ცხოვრება და ამიტომ არც ცოლი შეურთავს და არც შვილები ჰყოლიაო. ოფიციალურ წრეებში თვითონაც ამბობდა, დიდი სახელმწიფო მოღვაწე ცოლ-შვილს არ უნდა მოეკიდოს, თორემ ეს შეზღუდავს მის მოქმედებასო. შინაურებში კი ხუმრობდა, მე რომ ცოლი შევირთო, ჩემი თაყვანისმცემელი ქალების ნახევარზე მეტს დავკარგავო.

მართალია, იგი არასოდეს ყოფილა „დედაკაცისა თანა მოლალე“, როგორც ბრძენი სოლომონი იტყოდა, მაგრამ სულ „ქალთა საზოგადოებაში“ ტრიალებდა. ბერჰტესგადენში ისე არ ისადილებდა, მის გვერდით მანდილოსნები რომ არ მსხდარიყვნენ: ჩვეულებრივად — ევა ბრაუნი, გებელსის, ბორმანის ან ლეის მეუღლე; ხშირად—მსახიობები ლენი რიფენ-

შტალი და მარია მიულერი ან კინოვარსკვლავები ჰენი ჰორტენი, ოლგა ჩეხოვა თუ მარიკა როკი, კიდევ უფრო ხშირად— მოცეკვავენი დიანა გრეისი და სხვები. კედლებზედაც ქალების სურათები ეკიდა: უცნობი იტალიელი მხატვრის „მადონა“. ფოიერბახის „ნანა“, ბოტიჩელის „შიშველი ქალი“, ბოკლინის „თამაში ტალღებთან“ და ა. შ.

მადონების ასეთ ასამბლეაში ჰიტლერი თავს „შინაურულად გრძნობდა“. სამაგიეროდ არ უყვარდა მაღალი არისტოკრატიული საზოგადოების წარმომადგენელ ქალებთან შეხვედრა, მეტადრე—ერთი არასასიამოვნო შემთხვევის შემდეგ...

...ჰიტლერმა სავოიის სასახლის წარმომადგენელი, იტალიის პრინცესა, მიიწვია ჩაიზე. ცერემონიალს ბორმანი ხელმძღვანელობდა. ეტიკეტის მიხედვით, პრინცესისათვის განსაზღვრული ტემპერატურის ჩაი უნდა მიერთმიათ — არც ძალიან ცხელი და, რა თქმა უნდა, არც ზედმეტად ცივი. ამას ყურადღება არ მიაქციეს და პრინცესას ისეთი ცხელი ჩაი დაუდგეს, რომ... მისმა უდიდებულესობამ ენა დაიწვა. ეს თურმე დიდი სკანდალი იყო! პრინცესა ვადაზე ადრე დაემშვიდობა მასპინძელს. ბორმანმა მსახურები დააწიოკა და თვითონ გადარჩა ჰიტლერის რისხვას...

მერე თვითონ პრინცესამ მიიწვია ჰიტლერი და დემონსტრაციულად სულ ცივი საჭმელები და ცივი ჩაი მიართვა. ჰიტლერი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რისი პასუხიც იყო ეს, და ამის შემდეგ საერთოდ შეიძულა იტალიელი ქალები: ისეთები არიან, ცხელ საჭმელს არ გაღირსებენო.

პრინცესამ კი ჰიტლერის გასვლის შემდეგ მსახურებს უბრძანა:

—გააღეთ ფანჯრები და გაანიავეთ ოთახი!..

...ჰიტლერმა იცოდა, მის „გაუთლელ მანერებს“ რომ დასცინოდნენ, და გარშემო ისეთ წრეს იქმნიდა, სადაც თავს უფრო თავისუფლად გრძნობდა. სიცოცხლის უკანასკნელ თვეებშიც, როცა ბერლინის თავშესაფარში იყო ჩამწყვდეული, ამ წესს მაინც არ ღალატობდა და სულ მდივანი ქალებისა და მზა-

რეულების წრეში სადილობდა. ეს ბევრ მითქმა-მოთქმასაც იწვევდა, მაგრამ ჰიტლერი ამას ყურადღებას არ აქცევდა. სხვადასხვა მიზეზის გამო ცოლის შერთვა არ უნდოდაო, რომ ამბობენ, ესეც ტყუილია. ჰიტლერმა რამდენჯერმე სცადა ცოლის შერთვა, მაგრამ უშედეგოდ, „ამ საქმეში“ მას ბედი არ სწყალობდა, რაც ერთგვარ უხერხულობასაც იწვევდა. იგი არც გარეგნულად ჰგავდა არიული რასის იდეალს და არც ოჯახური მდგომარეობით. ნაცისტური პრესა, განსაკუთრებით კი ესესელთა ოფიციოზი „შავი კორპუსი“, სავსე იყო წერილებით ოჯახსა და შთამომავლობაზე. ვისაც ცოლი და შვილები არა ჰყავს, ის სამშობლოსა და ფიურერის მოღალატეაო, — ამტკიცებდნენ ისინი. თვითონ ფიურერს კი არც ცოლი ჰყავდა და არც შვილები.

ეს ზოჯერ კურიოზულ მდგომარეობასაც ქმნიდა...

...ერთხელ ჰიტლერელებმა ურჩი ეპისკოპოსის გალენის დაპატიმრება და დასჯა გადაწყვიტეს. შეიარაღებული ესესელები მიადგნენ კიდეც მის ტაძარს და გამოიძახეს. განაჩენი რომ გამოუცხადეს, გალენს სხვა არაფერი უთქვამს, ნებართვა ითხოვა მხოლოდ, რამდენიმე წუთით გავბრუნდები, გადავიცვამ და ისევ გამოვალო.

ამასობაში ტაძრის წინ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. გალენი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში და მისი დაპატიმრება საერთო აღშფოთებას იწვევდა. მერე ისიც გამოვიდა, მაგრამ ამჯერად ეპისკოპოსის სრული მორთულობით—ანაფორით, გვირგვინით, ჯვრითა და საცეცხლურით.

ხალხმა დაიჩოქა... ესესელები შედრკნენ, ვერ გაბედეს მისთვის ხელი ეხლოთ და უკანვე გაბრუნდნენ...

ბრძანება კი მაინც ბრძანებაა. ახლა თვით ტაძარში სცადეს ობსტრუქციის მოწყობა. იმ დღეს გალენის ქადაგება იყო დანიშნული ოჯახისა და შვილების აღზრდაზე, თვითონ კი ცოლშვილი არა ჰყავდა. ჰიტლერელებმა იფიქრეს, ეს ისეთი შემთხვევაა, როცა შეიძლება გალენს საჯაროდ გავუსწორდეთო, და...

...ტაძარი აივსო გადაცმული ესესელებით. ყველას რაღაც

ჰქონდა დავალებული. ჯერ უნდა რეპლიკები ესროლათ, მერე ღრიანცელი აეტეხათ, ბოლოს კი ფიზიკური შეურაცხყოფაც მიეყენებინათ და, ხალხი რომ დაიშლებოდა, დაეპატიმრებინათ კიდეც „მის სამწყსოში მომხდართ არეულობის გამო“.

როცა გალენი აღსავლის კარებიდან ამბიონზე გამოვიდა და ქადაგება დაიწყო, ერთმა ესესელმა უყვირა, თქვენ რატომ არა გყავთ ცოლ-შვილიო. მერე მეორემ დაუძახა წინასწარ გაზეპირებული ფრაზა, ვისაც ცოლ-შვილი არ ჰყავს, ის მოღალატეაო.

დარბაზში ხმაური ატყდა. ვიღაცამ დაუსტვინა კიდეც, სხვებიც აჰყვნენ მას და ხმაური საერთო ღრიანცელში გადავიდა. მერე რომელიღაც ესესელი პირდაპირ საკურთხეველზე აძვრა და იქიდან დაიყვირა:

— ძირს გალენი!

დარბაზში ისევ გამაყრუებელი სტვენა და ღრიანცელი ატყდა. მთელი ტაძარი გუგუნებდა, აქა-იქ ხელჩართული ბრძოლაც დაიწყო. გალენი კი მშვიდად იდგა და განაგრძობდა ქადაგებას, რამაც ესესელები უფრო გააცეცხლა. ერთმა მათგანმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა იღრიალა:

— რა უფლება გაქვთ ოჯახზე ილაპარაკოთ, როცა თვითონ არც ცოლი გყავთ და არც შვილი?!

— ვისაც ცოლ-შვილი არა ჰყავს, ის სამშობლოსა და ხალხის მტერია! — გამოეხმაურა მას საკუთხეველზე ამძვრალი ესესელი.

— მტერია!.. მოღალატეა!... — ღრიალებდა დარბაზი.

მაშინ გალენმა ხელები ზეცისაკენ აღაპყრო და მქუხარე ხმით დაიძახა:

— ჩუმად!

ერთი წამით ყველა გაჩერდა. ამით ისარგებლა ეპისკოპოსმა და ახლა უფრო დინჯი ხმით განაგრძო:

— მე არავის მივცემ უფლებას ჩემს სამწყსოში ასე უდიერად მოიხსენიოს საყვარელი ფიურერი ადოლფ ჰიტლერი!..

ესესელებმა ხმა ჩაიწყვიტეს. იცოდნენ, ჰიტლერიც რომ უცოლშვილო იყო. მერე კი ნელ-ნელა გაიპარნენ დარბაზიდან.

გალენმა განაგრძო ქადაგება...

ჰიტლერის ოჯახურ მდგომარეობაზე ლაპარაკისათვის შეიძლებოდა გვერდიც აგვევლო, რომ პოლიტიკურ ინტრიგებთანაც არ იყოს გადახლართული. ეს მაიძულებს ორიოდე სიტყვა გითხრათ ამის შესახებაც.

მისი პირველი „სიყვარული“ ღვიძლი დისშვილი — გელი იყო. ახალგაზრდა, ქერა გოგონა გელი ერთხელ თავის ბიძასთან, ადოლფ ჰიტლერთან ჩამოვიდა სტუმრად. იმ დროს ჰიტლერის სახელი ქუხდა გერმანიაში. მას ჰყავდა პირადი დაცვა, ადიუტანტები, მდივნები, გარემოსილი იყო დიდებითა და პატივისცემით. გელი მოიხიბლა. არც მისი „სახელოვანი ბიძა“ შეხვედრია გულგრილად დისშვილის გატაცებას. ბიოგრაფები წერენ, რომ ჰიტლერს მართლაც „ისტერიულად შეუყვარდაო“ გელი. თავდაპირველად გელიც ასევე იყო გატაცებული ჰიტლერით, მაგრამ ჩქარა ეს გატაცება სიძულვილში გადაიზარდა. რატომ? რა მიზეზით?—ჯობს ნუ ჩავუღრმავდებით. მთავარი ის იყო, რომ ჰიტლერი ეპვიანობდა ვინმე მორისზე, უფლებას არ აძლევდა გელის შინ დაბრუნებულიყო, არც მარტო უშვებდა სადმე. ერთი სიტყვით, გელი ისე გამწარდა ჰიტლერთან და ისეთი ზიზღით განიმსჭვალა მის მიმართ, რომ, ამბობენ, ოთხჯერ სცადა მისი მოკვლაო.

ზედმეტად ცნობისმოყვარეებმა ესეც ჰიტლერის მშობლების სისხლის აღრევის საბედისწერო ცოდვას მიაწერეს. ასეთი „ცოდვის შვილი“ იყო ჰიტლერი. ამიტომაც ხუმრობდნენ: ადოლფი ადონისია, ხოლო გელი კი—აფროდიტეო. ადონისის ამბავი მოგეხსენებათ: სისხლის აღმრევი მშობლების „ცოდვილი სიყვარულის“ გამო დედამისი იუპიტერმა დაფნის ხედ აქცია, ადონისი კი ამ „ცოდვის ხის ნაყოფია“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰიტლერსაც აწვა მშობლების ამგვარი „ცოდვა“ და, ცრუმორწმუნეთა აზრით, ის ტრაგედიაც ამიტომ დატრიალდა...

...მთელი ღამე ჩხუბობდნენ თურმე ჰიტლერი და გელი. მეზობლებს განთიადამდე ესმოდათ ხმაური მათ ბინაში. დი-

ლით ადრე კი ჰიტლერი აფორიაქებული გამოვარდა სახლიდან, მანქანაში ჩაჯდა და ვიურცბურგისაკენ გაემგზავრა. ანსბაჰს რომ მიაღწია, ტელეფონზე გამოიძახეს და აცნობეს, რომ გელიმ მისი გამგზავრებისთანავე რევოლვერით მოიკლა თავი. შოფრის გადმოცემით, ჰიტლერი ისე შეაძრწუნა ამ ამბავმა, რომ უკან დაბრუნებულს მიუნჰენამდე, სამსაათნახევარი, ხმა არ ამოუღია. შინ მას რუდოლფ ჰესი და ოტო შტრასერი დახვდნენ. სხვა თანამებრძოლები „ყავისფერ სახლში“ უცდიდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ მათთან მივიდა შტრასერი და აცნობა ჰიტლერის გადაწყვეტილება — „ამ კატასტროფული ამბის შემდეგ პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან უნდა გადავდგეო“.

როგორც ბიოგრაფები წერენ, მეგობრებმა იგი „გამოიყვანეს ტრაგიკული აფექტის მდგომარეობიდან“ და დაარწმუნეს: გელიმ თავი მოიკლა „ისტერიის შეტევის“ ნიადაგზე, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ვენაში დაბრუნება აუკრძალესო.

გელი ვენაში წაასვენეს და იქ დაასაფლავეს.

ამის შემდეგ ჰიტლერი ისე არასოდეს ჩასულა ამ ქალაქში, რომ ცოცხალი ყვავილების გვირგვინით არ შეემკო მისი საფლავი...

...რამდენიმე ხნის შემდეგ ჰიტლერი დაუახლოვდა ვაგნერის კარგ შემსრულებელს, პიანისტ პუტც ჰანფშტენგლს, რომელიც ნაცისტებს თანაუგრძნობდა. ჰანგშტენგლმა შინ მიიწვია ჰიტლერი, სადაც თავისი და ერნი გააცნო. ბიოგრაფები წერენ, ჰიტლერმა იმ დღეს ახალი კოსტიუმი ჩაიცვა და პირველად თავის სიცოცხლეში ფრჩხილები გაიწმინდაო. მართალია, ხელის დაბანაც არ უყვარდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მათეს სახარება შველოდა, სადაც წერია: „უბანელითა ხელითა ჭამაჲ არა შეაგინებს კაცსა“. ახლა კი „ერნის ხათრით“ ჩვეულებას უღალატა და „ელეგანტური სახე“ მიიღო. მერე მასთან ერთად ჰანფშტენგლის ოჯახში სიარული დაიწყეს ნაცისტური პარტიის სხვა მეთაურებმაც საქმე თითქოს ბოლომდე უნდა მისულიყო, რომ ერნი უეცრად გაქრა. იგი სადღაც გადამალა დედამისმა.

„უარყოფილმა სასიძომ“ მთელი გერმანია მოიარა და ეძება თავისი „გაფრენილი ხოხობი“, მაგრამ ვერსად აღმოაჩინა...

მერე 16 წლის მარია რაიტერთან „გაბა რომანი“, მაგრამ ისიც სხვას გაჰყვა ცოლად და ჰიტლერმა ეს უბედურებაც მალე გამოიგლოვა. ამის შემდეგ იგი მოიხიბლა უნიტა მიტფორდით, უფრო კი—მისი უზარმაზარი ტორტებით, რომლის ზედაპირზე, ჩვეულებრივ, შოკოლადის ასოებით იყო გამოყვანილი ნაციონალ-სოციალისტური სვასტიკა და წარწერა—„ჰაილ ჰიტლერ“. მაგრამ არც ეს რომანი გასცილებია ტკბილეულობის იდილიას...

...საქმეში ახლა გებელსი ჩაერია. იგი პროფესიით მწერალი იყო, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა შორის შინაური კაცი, და ჰიტლერის საცოლეც ამ წრეში შეარჩია: კომპოზიტორ რიჰარდ ვაგნერის ქვრივი რძალი. გებელსი და ჰიტლერი ერთად წავიდნენ ბაირეითში, სადაც მაშინ დიდი მუსიკალური დღესასწაული უნდა გამართულიყო.

ჰიტლერი გატაცებული იყო ვაგნერის მუსიკითა და პიროვნებით. ამბობენ, ვეგეტერიანელიც მისი მიბაძვით გახდაო. ვაგნერივით ისიც არ ეკარებოდა ხორციან კერძებსა და თევზეულობას. სულ იმას ამბობდა, რომაელ ჯარისკაცებს ხორცის ჭამა ეზიზღებოდათო. თვითონ კი თავის ხორცისმჭამელ სტუმრებს „ლეშისმჭამლებს“ (Leichenfresser) უძახდა.

როგორც კი ამაზე ლაპარაკი ჩამოვარდებოდა, ჰიტლერი მაშინვე ვაგნერის მაგალითს მოიყვანდა. მისი აზრით, ვაგნერი არა მარტო დიდი კომპოზიტორი იყო, არამედ „გერმანელობის უდიდესი პროფეტიც“. მერე იმასაც ცდილობდა, დიდი გერმანელი კომპოზიტორის ოჯახს დაახლოებოდა. ერთხანს ვაგნერის ქვრივი რძლის ქ-ნ ვინიფრიდის ოჯახში ცხოვრობდა. ზიგფრიდი მუსიკით ართობდა, კოზიმა ყვავილებს სთავაზობდა. ჰიტლერი სიამოვნებით სეირნობდა ფრანკონიის მთებში „ქვრივ ქალბატონთან“ ერთად, ზოგჯერ კაბარე „Chouette“-შიც დადიოდა. ვაგნერებს ცოტა კი ეუხერხულებოდათ, ჰიტლერი რომ მათ რატომღაც ტყავის შარვლით, ჩექმებითა და ხელში ჰიპოპოტამის ტყავისგან გაკეთებული მათრახით დაჰყვებოდა. ყვე-

ლამ იცოდა, ჰიტლერს რომ „ავადმყოფური მიდრეკილება ჰქონდა“ მხედრობისადმი. თავის სიცოცხლეში ცხენზე არ მჯდარა, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელისა და ნაპოლეონის „ეშხით“ სულ კავალერისტობაზე ოცნებობდა და ხელიდან მათრახს არ იშორებდა. მერე მისი წაბაძვით გერინგმაც ჩექმებზე კავალერისტის ოქროს დეზები გაიკეთა...

ვაგნერები და მათი ახლობლები ამას ფიურერის ხასიათის უცნაურობას მიაწერდნენ, სხვები კი ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ.

ვაგნერების ოჯახშივე გაეცნო ჰიტლერი ჰაუსტონ სტიუარტ ჩემბერლენს. მოსწონდა მისი ანტისემიტური შეხედულებანი, მაგრამ ჩემბერლენზე მაღლა მაინც ნიცშეს აყენებდა. იგი პირადად იცნობდა ნიცშეს დას ქ-ნ ფოსტერს, ხშირადაც ესაუბრებოდა მას ვაგნერებთან.

ჰიტლერს ისე მოეწონა ეს ოჯახი, რომ მერე სულ ჩასიძება მოუნდომა. საქმეს თითქოს თავიც მოება, მაგრამ ამჯერად თვითონ ჰიტლერის თანამებრძოლებმა გაიდგეს ფეხი და გადაწყვიტეს მისი ჩაშლა, „გებელსის ჯიბრზეო“, ამბობდნენ. შეიძლება ასეც იყო, ყოველ შემთხვევაში, ეს უცებ მოეწყო. როცა სასიძო ფიურერი ბაირეითში ნებივრობდა, ბერლინში გამოაცხვეს სტატია — „იყო თუ არა ვაგნერი ებრაელი?“ სტატიას თან დაურთეს ნიცშეს აზრი ვაგნერის შესახებ, რომ „მის მუსიკაში არაფერი გერმანული არ არის“, და ყველაფერი ეს „ფოლკიშერ ბეობაჰტერში“ დაბეჭდეს, თან ვაგნერის შვილიშვილების ფოტოსურათებიც დაურთეს, რადგან ისინი, მათი აზრით, ძალიან ჰგავდნენ ებრაელებს.

ჰიტლერის აგენტმა რამდენიმე ეგზემპლარი ამ გაზეთისა მაშინვე წაიღო ბაირეითში და „სიძეს“ შეუგდო საწოლ ოთახში. ჰიტლერმა რომ ეს წაიკითხა, სულ ცოფი ჰყარა, მაშინვე დატოვა ბაირეითი და ბერლინში დაბრუნდა.

მერე პრესაშიც გაჩნდა ცნობები, ჰიტლერი ებრაელ ქალს ირთავსო. ნაცისტების ოფიციოზი იძულებული გახდა გამოექვეყნებინა განცხადება, რომ ხმები ჰიტლერის მიერ საცოლის დანიშვნის შესახებ სიცრუეა და რომ, ყოველ შემთხვევა-

ში, „ქალი, რომელზედაც ლაპარაკია, სულაც არ არის ებრაელი“... მერე ამას უფრო სერიოზული ინტრიგებიც მოჰყვა: გერინგმა და რიბენტროპმა „გაიხსენეს“, გებელსი ოცი წლის მანძილზე რომ ებრაელების ხარჯზე იზრდებოდა და სტუდენტობის დროსაც ებრაელთა ფონდიდან იღებდა სტიპენდიას ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის გუნდოლფის შუამდგომლობით.

გებელსი იძულებული გახდა ემტკიცებინა, ტყუილია, მე მხოლოდ ვცხოვრობდი ებრაელების ოჯახში და არა მათ ხარჯზეო, მაგრამ ამით მტრები მაინც ვერ ჩააჩუმა. ვიღაცამ თქვა, ფინანსური კრიზისის დროს ჰიტლერსაც ურჩევდა მდიდარი ებრაელის ქალი შეერთოო. ჰიტლერის ვაგნერებთან დამოყვრების ცდაც ამგვარ დანაშაულად ჩაუთვალეს. მერე თვითონ ჰიტლერსაც მოუჩხრიკეს „რაღაც-რაღაცეები“ და გამოაცხადეს: „ებრაელი ჩაპლინის ფილმები მოსწონსო“.

ეს მართლაც ასე იყო. ჰიტლერი ღამ-ღამობით საიდუმლოდ უყურებდა ჩაპლინის ფილმებს, ვიდრე მათი გარეგნული მსგავსების (განსაკუთრებით ჩაპლინისებური ულვაშები, მუხლმოღუნავად სიარული და სხვა) ფაქტიც არ იქცა მითქმა-მოთქმის საგნად...

ამის შემდეგ ჰიტლერს ჩაპლინის სახელი აღარ უხსენებია, ხოლო სახელგანთქმულმა მსახიობმა და რეჟისორმა ფილმით— „დიქტატორი“ სამარცხვინო ძეგლი აუგო „თავის ორეულს“...

ამ ამბების გამო გებელსი ჩამოშორდა ფიურერის ინტიმურ საქმეებს და ინიციატივა ისევ ჰიმლერის ხელში გადავიდა. მან სადღაც მუსიკალური ინსტრუმენტების ცნობილი სპეციალისტის ბეჰშტაინის მდიდარი ქვრივი გამოძებნა, მაგრამ არც ეს საქმე გამოვიდა. ნაცისტები, საერთოდ, ცუდი რეპუტაციით სარგებლობდნენ და „რესპექტაბელურმა ქვრივმა“ არ ისურვა თავისი სახელი „ეპვქვეშ დაეყენებინა“... თუმცა მეგობრული ურთიერთობა ჰიტლერთან ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია.

ამასობაში ჰიტლერს მოსწყინდა ამდენი „სასიძოობა“ და მას შემდეგ, რაც მსახიობ ქალ ლენი რიეფენშტალთანაც ჩაიშალა საქმე (ლენი მოულოდნელად გაიქცა სახლიდან), საერთოდ

ჩაიქნია ხელი. სამაგიეროდ შინაბერა მკითხავი კირსტნერი გაიცნო და თავის საკუთარ რეზიდენციაში, ბერჰტესგადენში, სპეციალური „მაგიური ლაბორატორია“ გამართა. დროდადრო აქ ჩნდებოდა ჰიტლერის ყოფილი „საცოლე“ — ბეჰშტაინის ქვრივი, რომელიც ჰოროსკოპების „დიდ სპეციალისტად“ ითვლებოდა.

იმ დროს ბერლინში მოღვაწეობდა „სასწაულმოქმედი“ ყალთაბანდი ჰანუსენი. მას იქ ოცოთახიანი ბინა ჰქონდა, პროვინციაში—უზარმაზარი მამული, საკუთარი რადიოსადგური, გაზეთი, „ზღვაზე—იალქნიანი ხომალდი, საუკეთესო სამზარეულო, ღვინის მარნები და, რაც მთავარია, ასი ულამაზესი „ასისტენტი“ ქალიშვილი“!

ვის რა იზიდავდა ჰანუსენთან! ზოგს—ღვინო, ზოგსაც—მისი „უფრთო ანგელოზები“. ჰიტლერს არც ერთი აინტერესებდა და არც მეორე. იგი ჰანუსენის ჰოროსკოპებითა და „წინასწარმეტყველებით“ იყო გატაცებული.

ჰიმლერი კი მაინც არ იშლიდა მაჭანკლობას. იგი ზრუნავდა ფიურერის როგორც „ნამდვილი მამაკაცის“ რეპუტაციაზე და...

ჰორიზონტზე ახლა ევა ბრაუნი გამოჩნდა...

უთანხმოების ქალღმერთი ერისი...

ეს იყო 1932 წელს. ჰიტლერი უკვე ერთ-ერთი უძლიერესი პარტიის ლიდერი და პრეზიდენტობისა, თუ კანცლერობის სერიოზული პრეტენდენტი იყო. მან გააძლიერა პროპაგანდისტული მუშაობა. ხან ავტომანქანით, ხან თვითმფრინავით დაძრწოდა გერმანიის ქალაქებში და „გადამწყვეტი მოქმედებისაკენ“ მოუწოდებდა თავის მომხრეებს. ჰიტლერს უკვე მოიერიშეთა და ესესელთა ნახევრად გასამხედროებული ნაწილების მთელი არმია ჰყავდა. მისი პირადი დაცვა კი ესესელთა რამდენიმე ლეგიონს შეადგენდა... არც აღმოსავლეთის ქვეყნების დესპოტებს, არც რომაელ იმპერატორებს და, საერთოდ, არც არავის ჰყოლია ასეთი მრავალრიცხოვანი პირადი დაცვა. ამ

მხრივ ჰიტლერმა მუსოლინისაც გადააჭარბა. შურისძიების შიში თან სდევდა მათს ყოველ ნაბიჯს. ერთი ადგილიდან მეორეზე ისე არ გადავიდოდნენ, რომ დაცვის რთული და წარმოუდგენლად პომპეზური ღონისძიებები არ ყოფილიყო მიღებული. გასაგებია, თუ ვისგან იცავდნენ ასე გულმოდგინედ თავს ფიურერი და დუჩე: ხალხისაგან, რომელსაც ისინი ძალით ადგამდნენ ფაშისტურ უღელს...

ასევე იყო ჰიტლერის ე. წ. „საპროპაგანდო მოგზაურობის დროსაც". გარდა ესესელთა ლეგიონისა, მას თან დაჰყვებოდნენ ჟურნალისტები, ფოტოგრაფები და სხვა ათასგვარი მხლებელნი...

...მთელი სიცოცხლის მანძილზე ჰიტლერს თავის უახლოეს მეგობრად და „შინაურ კაცად" მიაჩნდა ფოტოგრაფი ჰოფმანი. მიუნჰენში ყოფნის დროს იგი თითქმის ყოველ საღამოს ჰოფმანების ოჯახში ატარებდა. მერე, როცა ფიურერი გახდა, თავის პირად ფოტოგრაფადაც დანიშნა. ამაზე ჰოფმანმა კარგად მოითბო ხელი: მან მიიღო ფიურერისა და დიდი პარტიული თუ სამხედრო ზეიმების გადაღების მონოპოლია. გერმანია აივსო ჰოფმანის მიერ გამოცემული ალბომებით. იგი მილიონერი შეიქნა. შემდეგ კი... რატომღაც პროფესორის წოდებაც მიანიჭეს. საკვირველი ის არის, რომ ეს უბრალო ფოტოგრაფი იქცა ჰიტლერის მთავარ კონსულტანტად სახვითი ხელოვნების დარგში. თუ იგი არ მოიწონებდა ვინმეს სურათს, საქმე გათავებული იყო: ის მხატვარი გამოფენაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

როგორც წესი, ექსპონატებს ჯერ ჰოფმანს წარუდგენდნენ. რასაც იგი მოიწონებდა, გამოფენის წინასწარ ექსპოზიციაში შეიტანდნენ. მერე „უმაღლესი მსაჯული" — ჰიტლერი მოვიდოდა თავისი ამალით, ჩამოურბენდა ექსპონატებს, მათრახით ანიშნებდა სურათებზე და გზადაგზა იძახდა:

— ეს დატოვეთ... ეს მოაშორეთ... ეს დატოვეთ... ეს გადააგდეთ და ა. შ.

თუ ვინმე გაბედავდა და „უკმაყოფილებას გამოთქვამდა", საერთოდ აუკრძალავდა გამოფენებში მონაწილეობის მიღებას

ან საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნიდა „ჭკუის სასწავლად“.

ფიურერი ისე ენდობოდა თავის თავსა და ფოტოგრაფ ჰოფმანის მხატვრულ გემოვნებას, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა უაზრო იყო. თვითონ კი მხატვრობაზე უფრო ფოტოხელოვნება უყვარდა. ყველა მისი პორტრეტი ფოტოებიდანაა შესრულებული კარის მხატვრების მიერ. ამიტომ იყო, რომ, სადაც უნდა წასულიყო, თავის ერთგულ ჰოფმანს გვერდიდან არ იშორებდა, რათა მას ფოტოებზე აღებეჭდა მისი ყოველი ნაბიჯი...

...ერთხელ, როცა ჰიტლერი მორიგ საპროპაგანდო მოგზაურობაში წავიდა, ჩვეულებისამებრ თან წაიყვანა ჰოფმანიც, რომელსაც ამჯერად ახალგაზრდა ლამაზი ასისტენტი ევა ბრაუნიც ახლდა. ესეც ჰიმლერის მოწყობილი საქმე იყო. ფიურერი მაშინვე წამოეგო ანკესზე. ის და ევა ბრაუნი დაუახლოვდნენ ერთმანეთს. დიტრიჰს ეს უცნაურადაც ეჩვენება, რადგან ევა ბრაუნი სრულიადაც არ გამოხატავდა ჰიტლერის იდეალს. მას თურმე ტანსრული ქერათმიანი ქალები მოსწონდა. ევა არც დიდი ტანისა იყო და არც ქერა. მართალია, ჰიტლერთან დაახლოების შემდეგ უსაშველოდ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე შედგა და თმებიც ჩალისფრად შეიღება, მაგრამ „ზოგიერთი შეუსაბამობა“ მაინც დარჩა... ჰიტლერი ვერ იტანდა, ქალები თამბაქოს რომ ეწეოდნენ და მაგარ სასმელებს ეტანებოდნენ. ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ სპეციალური დადგენილებითაც ააკრძალვინა ქალებისათვის თამბაქოს მოწევა, ტუჩების შეღებვა, კოსმეტიკა, თმების დახვევა, ფრჩხილების შეღებვა და სხვ. მაგრამ ევა ბრაუნს არაფრად ჩაუგდია „თავისი ფიურერის“ დადგენილებები: იგი არც თამბაქოზე ამბობდა უარს და არც კოსმეტიკაზე. სხვა რამეშიც არ უბამდა მხარს ჰიტლერის ხასიათს: ჰიტლერს ცეკვები ეჯავრებოდა, ევა კი გატაცებული მოცეკვავე იყო. გემოვნებაც უკეთესი ჰქონდა, ზოგჯერ დასცინოდა კიდეც „საწყალი ადოლფის“ ტლანქ მანერებს, უცნაურ ჩაცმულობას, ჭუჭყიან საყელოებსა და მუდამ ჩაშავებულ ფრჩხილებს. ერთადერთი ის იყო, რომ ევას პოლი-

ტიკა არ აინტერესებდა და იცოდა გაჩუმება, რასაც ჰიტლერი დიდად აფასებდა. არც განათლების მაძიებელი ქალები მოსწონდა, ამბობდა: „დედაჩემი ერთი პატარა გაუნათლებელი ქალი იყო, მაგრამ მსოფლიოს ისეთი დიდი ადამიანი მისცა, როგორიც მე ვარო“.

კანცლერი რომ გახდა, დედის დაბადების დღე „ღირსების დღედ“ გამოაცხადა გერმანიაში. ამ „სადღესასწაულო დღეს“ იგი ორდენებსა და საჩუქრებს ურიგებდა მრავალშვილიან დედებს...

ევა ბრაუნსაც დიდი პატივისცემით ეპყრობოდა, თუმცა იგი არასოდეს ყოფილა მისი კანონიერი ცოლი და არც არასოდეს ხლებია ოფიციალურ მიღებებზე.

ასე იყო თუ ისე, მისი „დუეტი“ ევასთან მაინც უფრო ხანგრძლივი და სერიოზული გამოდგა, ვიდრე სხვებთან. ეს „რატომღაც“ „სიძის“ თანამებრძოლებსაც მოსწონდათ. „პარადს“ ისევ ჰიმლერი ხელმძღვანელობდა. მას სპეციალური დღე და საათი ჰქონდა დანიშნული, როცა ნაციონალ-სოციალისტთა ფიურერი და ნამდვილი არიელი ქალი ევა ბრაუნი კვირაში ერთხელ საჯაროდ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ბერლინის ყველაზე ფეშენებელურ რესტორანში, რათა ამით დაემტკიცებინათ იმ დროს ფართოდ გავრცელებული „შეურაცხმყოფელი ხმების“ უსაფუძვლობა. ამიტომაც იყო, რომ ჰიტლერი და ევა ბრაუნი კვირაში ერთხელ „ქვეყნის დასანახავად“ სადილობდნენ ერთად. ჰიტლერი ყოველთვის პუნქტუალურად ასრულებდა ამ დავალებას. იმ ქერათმიან კეკლუც ევას კი, როგორც ჩანს, მოსწყინდა ეს სპექტაკლი და ერთ დღეს, როცა „ადამი“ მოვიდა რესტორანში, „ევა“ იქ აღარ დახვდა. მას კვირაში მხოლოდ ერთხელ უნდა ესადილა ფიურერთან, სხვა დროს კი სად „ისადილებდა“, ეს ჰიმლერის მიერ დაგეგმილი არ ყოფილა. სამაგიეროდ ამას თურმე თვითონ ევა გეგმავდა და გენერალ შლაიხერს (შემდეგში კანცლერს) უთანხმებდა. ევა ბრაუნი და გენერალი შლაიხერი უფრო შეხმატკბილებულნი აღმოჩნდნენ და უცებ გაქრნენ ორივენი...

...„საწყალი ადოლფი“ იდგა პაემანზე და უცდიდა „თავის

გულისსწორს“. ის კი ამ დროს შლაიხერთან ერთად იმალებოდა. ჰიმლერი და მისი აგენტები შეშფოთდნენ, მთელი ბერლინი შეაწრიალეს და აღმოაჩინეს ბინა, სადაც ევა ბრაუნი ჰყავდა შლაიხერს ჩაკეტილი. ესესელებმა ადვილად მოიტაცეს ევა და მიჰგვარეს თავის „ადამს“. ამის შემდეგ კი მიიღო ჰიმლერმა საგანგებო ზომები. მან ისეთ საიდუმლო ბინაში ჩაამწყვდია ევა ბრაუნი, რომ ფიქრობდნენ, მის კვალს ეშმაკიც ვერ მიაგნებდა. ჰიმლერის ორ განდობილ პირს უნდა გამოეყვანა ევა ბრაუნი იქიდან და ისევ „ქვეყნის დასანახავად“ მოეწყოთ ფიურერის საჯარო შეხვედრა მასთან.

შემდეგ გამოირკვა, რომ არც შლაიხერი იყო ასე თითზე დასახვევი. ეშმაკმა ეშმაკის კვალი აიღო. შლაიხერის აგენტებმა ევას ადგილსამყოფელი აღმოაჩინეს, სახურავი ჩაანგრიეს, ჩავიდნენ მის ბინაში, მოიტაცეს ის და ჰანუსენის იალქნიან ხომალდზე მიჰგვარეს თავის სატრფოს. ეს „ხუმრობა“ ჰანუსენს შემდეგ სიცოცხლის ფასად დაუჯდა, შლაიხერსაც. როგორც კი ჰიტლერი კანცლერი გახდა, ისინი მაშინვე გაიქრეს.

საქმეში ისევ ჰიმლერი ჩაერია. მან მოლაპარაკება გამართა შლაიხერთან, შეჰპირდა კიდეც რაღაც „უფრო მნიშვნელოვანს“, ვიდრე ქერათმიანი კეკლუცი იყო, და „უთანხმოების ქალღმერთი ერისი“ ისევ დაუბრუნეს ნაცისტური ოლიმპის მბრძანებელს.

ამდენი გატაცებ-გამოტაცებით ევა ბრაუნი ისე გაწვალდა, რომ თვითმკვლელობა სცადა—ვენები გადაიჭრა, მაგრამ გადაარჩინეს და ისევ თავისი „საპატიო მოვალეობის“ შესრულება დააკისრეს.

დამახასიათებელია, რომ, თვით დიტრიჰის ცნობით, „მშვენიერი სქესის ექვს წარმომადგენელთაგან, რომლებთანაც ჰიტლერს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ხუთმა თავი მოიკლა“... ევა კი შეურიგდა ბედს, ხოლო შემდეგ პატივმოყვარეობის გრძნობამ ისე აიტანა, რომ ამაყობდა კიდეც თავისი მდგომარეობით. ჰიტლერზედაც ისე დიდი გავლენა ჰქონდა, როგორც კლარა ჰეტაჩის—მუსოლინიზე. მართალია, „იტალიელ კოლე-

გასავით“ სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდა, მაგრამ „თავისი ფიურერის“ წყალობით მაინც მოახერხა „ისტორიაში შესვლა“...

ბისმარკის სავარძელი...

თვითონ ფიურერი კი უკვე „სამოთხის კართან“ იდგა და ელოდა იმ დღეს, როცა ბისმარკის სავარძელს მიართმევდნენ როგორც კანცლერს. მანამდე მისი რეზიდენცია მიუნჰენში იყო. აქვე, უზარმაზარ „ყავისფერ სასახლეში“, მუშაობდა ჰიტლერის პარტიული შტაბი. ამ შენობის წინ იმართებოდა ნაცისტური დემონსტრაციები და მიტინგები. ბერლინში კი მას საკუთარი პოლიტიკური წარმომადგენელი—ჰერმან გერინგი ჰყავდა. ცნობილია, რომ ამ „ყველაზე მსხვილ“ ნაცისტს ყველაზე დიდი სამუშაო კაბინეტი ჰქონდა ბერლინში. წითელ და ოქროსფერ შპალერგაკრული კაბინეტის ერთ კედელზე, როგორც მოგახსენეთ, ეკიდა შუა საუკუნეობრივი ჯალათის უზარმაზარი მახვილი. თვით კაბინეტი განათებული იყო არა ელექტროშუქით, არამედ მძიმე მოოქროვილ შანდლებში ჩადგმული სანთლებით. კედლებზე ეკიდა ფრიდრიჰ დიდისა და ბისმარკის პორტრეტები, აგრეთვე უკანასკნელი ჰოჰენცოლერების — კაიზერისა და კრონპრინცის გამოსახულებანი. მოპირდაპირე კედლიდან კი, ყველას გასაოცრად, გამოიყურებოდა ნაპოლეონის უზარმაზარი პორტრეტი. აქ არ იყო არაფერი ისეთი, რასაც შუასაუკუნეობრივი იერი არ დაჰკრავდა. აქვე იმართებოდა ნაცისტური მოძრაობის ხელმძღვანელთა საიდუმლო სერობანი.

გერინგის ყოველდღიური სამუშაო რეზიდენცია კი ბერლინის ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულ სასტუმრო „კაიზერსჰოფში“ იყო. აქ მართავდა იგი საქმიან საუბრებს, ოფიციალურ მიღებებს, აქვე ხვდებოდა მიუნჰენიდან ბერლინში „სტუმრად“ ჩამოსულ ჰიტლერს. მაშინდელი გერმანიის დიდებულთაგან ყველა როდი კადრულობდა იმ „გიჟ ეფრეიტორთან“ ლაპარაკს. გერინგთან შეხვედრა კი დიდ პატივად მიაჩნდათ. სამხედროებისათვის ის ტიპიური პრუსიელი ოფიცერი იყო,

მთავრობის წრეებისათვის — გავლენიანი პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ხოლო მსხვილი ბურჟუაზიისათვის — „შინაური კაცი“.

ჰიტლერი უმთავრესად გერინგის საშუალებით უკავშირდებოდა „მაღალ საზოგადოებას“. ამ მიმართულებით კი დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული. მილიტარისტულად განწყობილ რევანშისტებს უხაროდათ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ასეთი გაძლიერება. მრეწველები ხელებს იფშვნეტდნენ და ფიქრობდნენ: დაე, ეს ბოჰემიელი ეფრეიტორი, გაძლიერდეს, შეიარაღდეს, ძალაუფლება ჩაიგდოს ხელში და შეიძლება ის გახდეს მთავარი ძალა ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველადო“.

მსხვილ ბურჟუაზიას ხელს აძლევდა ჰიტლერი სწორედ ისეთი, როგორიც იყო, ასევე—ნაცისტური პარტიის წევრებსაც, რომლებიც ძალაუფლებისაკენ მიისწრაფოდნენ. მათ მოძრაობას ისევ გულუხვად აფინანსებდნენ გერმანელი მრეწველები და ბანკირები, ფოლადისა და ქვანახშირის მეფეები, რურის კონცერნებისა და ტრესტების მეთაურები, განსაკუთრებით--- კრუპი, ტისენი, კარდოფი, ბორზიგი, ფონ შტრაუსი და სხვები. მერე საერთაშორისო ბანკებიც ჩაერივნენ ამ „საქველმოქმედო“ საქმეში და ნაცისტური სალარო აივსო შნეიდერ-კრეზოს, კრაიგერის, დეტერდინგისა და ფორდის მილიონებით. ჯერ კიდევ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხარჯები ყოველწლიურად 15 მილიონ მარკას აღწევდა, პარტიული გადასახადისაგან შემოსული თანხა კი სულ რაღაც 750 ათას მარკას შეადგენდა, დანარჩენი ფაშიზმის მდიდარი მეცენატების სალაროებიდან მოედინებოდა.

ჰიტლერს ფინანსურ და პოლიტიკურ დახმარებას უწევდნენ მსხვილი მემამულეებიც. განსაკუთრებით თავს იდებდნენ სამხედრო პირები. მათი რევანშისტული განწყობილება ყველაზე უფრო ადვილად ეგუებოდა ჰიტლერის აგრესიულ პოლიტიკას. ვერსალის ზავის მიხედვით, გერმანიას უფლება ჰქონდა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა ჰყოლოდა არმიისა (ასი ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი). დანარჩენი სამხედროები თავს უხერხულად გრძნობდნენ სამოქალაქო ტანისამოსში და

უცდიდნენ მომენტს, როცა კვლავ დაიბრუნებდნენ მუნდირის ტარების უფლებას. ბევრმა კიდეც შეძლო ეს, ჰიტლერის გასამხედროებული ორგანიზაციების SS-ისა და SA-ს მეშვეობით.

ჯერ კიდევ ხელისუფლების ხელში ჩაგდებამდე გერმანიაში შექმნილი იყო ჰიტლერელთა „ფარული არმია". თვითონ ჰიტლერი კი ისევ „პერმანენტული ომების" იდეას ქადაგებდა.

— კაცობრიობა ასე დიადი გახდა მუდმივი ომებით, მარადიულ მშვიდობაში კი ის დაიღუპება!—ამბობდა იგი.

ასევე ფიქრობდნენ მილიტარისტული წრეებიც და ყოველნაირად უჭერდნენ მხარს ჰიტლერსა და მის პარტიას ძალაუფლების მოპოვებაში. ამას კი წინ მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა. ბისმარკის სავარძელი ისე მაღლა იდგა, რომ ჰიტლერელები ასე ადვილად ვერც მისწვდებოდნენ მას, რომ შექმნილ მდგომარეობას არ შეეწყო მათთვის ხელი...

პირველი რაუნდი...

1931 წელს ჰიტლერი პირველად შეხვდა რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰინდენბურგს. ჰიტლერი მაშინ ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტიის ლიდერი იყო და კანცლერის თანამდებობის მიღებაზე ოცნებობდა. ჰინდენბურგმა ცივად მიიღო იგი და ისე გაისტუმრა, რომ კანცლერობა არ შეუთავაზებია.

— ასეთი კაცი ფოსტის მინისტრი შეიძლება იყოს, მაგრამ არა კანცლერიო, — უთქვამს მას თავისი კანცელარიის უფროსი მაისნერისათვის.

ასე უშედეგოდ დამთავრდა მათი პირველი შეხვედრა, მაგრამ ჰიტლერი მაინც არ კარგავდა იმედს. ერთი წლის შემდეგ პრეზიდენტის არჩევნები იყო დანიშნული. ამასთან დაკავშირებით ნაციონალ-სოციალისტებმა გრანდიოზული პროპაგანდა გააჩაღეს მთელ გერმანიაში. ისინი იმედოვნებდნენ ხმის უმრავლესობის მოგროვებას ჰიტლერისათვის. თვითონ ჰიტლერი კი მერყეობდა: არ იცოდა, ხელსაყრელი იქნებოდა თუ არა ასე აშკარად დაპირისპირებოდა ჰინდენბურგს, რო-

მელიც „ძველი დამსახურების“ გამო გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში. ეს მერყეობა სხვებსაც გადაედო. პარტიის ხელმძღვანელობაში ორი ნაკადი გაჩნდა: ერთნი სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას იცავდნენ, მეორენი — „ეროვნული ერთიანობის“ მთავრობაში შესვლის მომხრენი იყვნენ. „დამოუკიდებლობას“ გერინგი და გებელსი იცავდნენ, „მონაწილეობის იდეას“—შტრასერი. მიუნჰენსა და ბერლინში დაუსრულებელი თათბირები იმართებოდა ამის თაობაზე. გებელსს მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა ჰიტლერზე. იგი წინასწარ თლიდა შამფურს „მინისტრის პორტფელის წამოსაცმელად.“

— ძალაუფლებას რომ ავიღებთ ხელში, რა თანამდებობას ისურვებთ? — ჰკითხა ერთხელ ჰიტლერმა.

—სახალხო განათლების მინისტრისას,—მიუგო გებელსმა და „დააზუსტა“, რომ იგი „თავის სამინისტროში“ გააერთიანებდა: კინემატოგრაფიას, რადიოს, ხელოვნებას, კულტურასა და პროპაგანდას. განსაკუთრებით კინემატოგრაფიით იყო დაინტერესებული, რადგან მსახიობი გრეტა გარბო მოსწონდა. თუ სადმე უჩვენებდნენ ფილმს გარბოს მონაწილეობით, რა თათბირზეც არ უნდა ყოფილიყო, მაინც გაიპარებოდა სანახავად.

გებელსი საერთოდ ცნობილი იყო თავისი „რომანტიკული თავგადასავლებით“. მისი დაუსრულებელი „ვარიაციები“ მსახიობ ქალებთან ერთხელ იმით დამთავრდა, რომ უკვე მინისტრსა და რაიჰსლაიტერს საჯაროდ გააწნეს სილა რესტორანში. მეუღლე მაგდა კვანდტი, ადრე მდიდარი ფაბრიკანტის ცოლი, გაყრასაც კი აპირებდა თავის „დონ-ჟუან ქმართან“, მაგრამ საქმეში ჰიტლერი ჩაერია და შეარიგა ისინი.

მერე იგივე გაგრძელდა. გებელსმა მიიღო „ნანატრი სამინისტრო“ და შეუდგა „გერმანული კულტურის ავგიას თავლის გაწმენდას“, რაც წიგნების საჯარო აუტოდაფეთი დაიწყო.

ჰიტლერი კი ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდეც ისე იქცეოდა, თითქოს უკვე სახელმწიფოს მეთაური ყოფილიყოს. მან წინასწარ პრესაშიც გამოაქვეყნა თავისი მომავალი მთავ-

რობის შემადგენლობა: კანცლერი — ჰიტლერი; მინისტრები: შინაგან საქმეთა — შტრასერი, სამხედრო — შლაიხერი, იუსტიციისა — ფრიკი, ფინანსთა — შახტი, მეურნეობისა — ტისენი, ავიაციისა — .გერინგი, პრუსიის საქმეებისა — პაპენი.

გებელსი მაშინ „დანიშნული“ არ ყოფილა, მაგრამ, როგორც ჰიტლერი ამბობდა, „ეს იგულისხმებოდა“. იგი ასევე გულუხვად არიგებდა სხვა თანამდებობებსაც, ბერლინის „გრანდიოზული რეკონსტრუქციის“ გეგმას ადგენდა და ისეთ განკარგულებებს იძლეოდა, კანცლერობის მაძიებელ კაცს კი არა, თვით კანცლერსაც არ შეეფერებოდა.

გებელსი კი ნატრობდა:

— ერთი ძალაუფლებას ჩავიგდებდეთ, თორემ მერე იმას ხელიდან არასოდეს გავუშვებთ. მათ შეუძლიათ მხოლოდ ჩვენი გვამები გაიტანონ სამინისტროებიდან.

იგი წინასწარ ანგარიშობდა, თუ რამდენ ხმას მიიღებდა ჰიტლერი არჩევნებში. დასკვნაც ასეთი გამოიტანა: „ძალიან სარისკოა, მაგრამ აუცილებელიო“.

გებელსი „დიდი პროპაგანდის“ ოსტატი იყო, მჭევრმეტყველი. მას ნაციონალ-სოციალისტური პარტიის „ოქროპირს“ ეძახდნენ... და თუ სხვების ცხოვრების დევიზად მართლაც გამოდგებოდა გოეთესეული „პირველად იყო საქმე“, გებელსს უფრო თეოლოგიური „პირველ იყო სიტყვა“ შეეფერებოდა ან თუნდაც სოლომონ ბრძენის თქმა: „ნაყოფთაგან ბაგეთა კაცი განიძღებს ნაწლევსა თუისსა“.

გებელსი ყოველთვის მხარში ედგა „თავისი ფიურერის“ პროპაგანდისტულ მოღვაწეობას. ჰიტლერს გული სულ მიტინგებისა და ტრიბუნებისაკენ მიუწევდა. გებელსი უქმნიდა მას მრავალრიცხოვან აუდიტორიას დიდ სასპორტო სასახლეებსა და მოედნებზე. ასეთ მიტინგებს ზოგჯერ ასი ათასამდე კაცი ეს-წრებოდა. ჰიტლერი თავისი ორ-სამსაათიანი გამოსვლებით აბრუებდა მსმენელებს. იგი ყოველდღე ოთხ-ხუთ ამგვარ მიტინგზე გამოდიოდა, ზოგჯერ — სხვადასხვა ქალაქში. საკუთარი თვითმფრინავი ჰყავდა, მანქანაც და, სადაც არ ჩავიდოდა, უკვე მომზადებული აუდიტორია ხვდებოდა. გაშმაგებული ჰიტლერი რამდენიმე საათი ყვიროდა, ბობოქრობდა, თვითონაც გიჟ-

დებოდა და სხვასაც აგიჟებდა. მერე ისევ თვითმფრინავში ან მანქანაში ჩაჯდებოდა და მიდიოდა ახალ მიტინგზე. ეს იყო სიტყვების ნიაღვარი, რომელსაც უნდა წაელეკა „მოწინააღმდეგეთა ბასტიონები“.

ჰინდენბურგმა ჰიტლერელთა ამგვარ წინასაარჩევნო აურზაურს ერთადერთი გამოსვლა დაუპირისპირა:

— არჩევა პარტიული ადამიანისა, რომელიც ცალმხრივ ექსტრემისტულ შეხედულებებს იცავს, თანდათან აამხედრებს ხალხის უმრავლესობას და გაუგონარ კატასტროფამდე მიიყვანს სამშობლოს. მოვალეობა მიკარნახებს გაგაფრთხილოთ ამის თაობაზე...

თვითონ კი არავითარი პროპაგანდა არ გაუწევია თავის სასარგებლოდ. არც „ხმა მომეცითო“ მოუწოდებია ვინმესთვის.

— მე არ ვთხოვ ხმას იმას, ვისაც ჩემი არჩევა არ უნდა, — განაცხადა მან.

ამან დიდი ეფექტი მოახდინა...

...ჰიტლერელები კი ნერვიულობდნენ. „თუ ჩვენ დავმარცხდით, დავიღუპებით“, — წერდა თავის დღიურში გებელსი. ჰიტლერი სულ ენად იყო გაკრეფილი. მთელ გერმანიაში მათ ჯერარნახული პროპაგანდა ჰქონდათ გაჩაღებული, მაგრამ...

13 მარტს ურნები გაიხსნა და აღმოჩნდა, რომ ჰინდენბურგმა 18 651 497 ხმა მიიღო, ჰიტლერმა—11 339 446. ხუთმილიონმა ამომრჩეველმა ხმა მისცა კომუნისტ ტელმანს, ორნახევარმა მილიონმა — ნაციონალისტური პარტიის ლიდერს დუსტერბერგერს.

ამრიგად, ჰიტლერი დამარცხდა პირველ რაუნდში, მაგრამ არც ჰინდენბურგს გაუმარჯვია. მან ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და, თანახმად კონსტიტუციისა, დაინიშნა ახალი არჩევნები. ამ შემთხვევაში პრეზიდენტად არჩევის საკითხს წყვეტდა ხმების პირდაპირი უმრავლესობა.

— პირველი საარჩევნო კამპანია დამთავრდა. დაიწყო მეორე. მას მე ჩავუდგები სათავეში! — გამოაცხადა ჰიტლერმა.

ისევ ატყდა პროპაგანდისტული ხმაური. ჰიტლერელებმა სულ ცა და მიწა შეძრეს დაპირებებითა და იმედებით, „ეროვნული ერთიანობით“, „აყვავებით“ და ა. შ. ჰიტლერი ჰპირდებოდა ხალხს:

— თუ მე ამირჩევთ პრეზიდენტად, ყველა გერმანელს ექნება სამუშაო, მრეწველებს — შეკვეთები, არმიას — იარაღი, გლეხებს — სასოფლო პროდუქტების უფრო მაღალი ფასები; მოისპობა სიღატაკე, დამყარდება სიმშვიდე, გაძლიერდება სახელმწიფო და აყვავდება ერის კულტურა...

ბოლოს, დაპირებების ეს აჟიოტაჟი იქამდე მივიდა, რომ ჰიტლერმა განაცხადა:

— მესამე იმპერიაში ყოველ გერმანელ ქალიშვილს ეყოლება თავისი საკუთარი ქმარი!..

ამას სერიოზულად ამბობდა და არა ხუმრობით. ერთ-ერთ „სუფრულ საუბარზე“ განმარტა კიდეც თავისი აზრი:

— ჩვენი მოძრაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მივიმხრობთ ქალებს. საჭიროა მათი სიმპათიის მოპოვება. აი, რატომ არ ვთხოულობ მე ცოლს!..

ოღონდ საჭირო ხმების რაოდენობა მიეღოთ და... „ხარისხზე“ ვინ ფიქრობდა! ჰიტლერი ამბობდა, „ადამიანები კენჭისმყრელი ცხოველებიაო“. მისთვის სულერთი იყო, რამე ფასი ან წონა თუ ჰქონდა ამ „კენჭისმყრელი ცხოველების“ ხმებს. ან რაში ენაღვლებოდა! „ხმებს თვლიან, კი არ წონიანო“, — იმეორებდა იგი ოდესღაც პლინიუსის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. თუმცა ასე შორს რომ არ წასულიყო და თავისივე ერის სულიერ საგანძურში ჩაეხედა, უფრო გონებამახვილურ აზრს ამოიკითხავდა ამის შესახებ.

შილერი ამბობს: ხმები კი არ უნდა დათვალონ, არამედ აწონონო!..

ჰიტლერული პროპაგანდის გაბრუებული ხალხის ხმები მაშინ არავის აუწონია. არც „კენჭისმყრელი ცხოველები“ აძლევდენ თავიანთ თავს საკმაო ანგარიშს.

ხალხი მოიღალა ამდენი აურზაურით. შემდეგ მიტინგებზე

მოსულთა რაოდენობამაც იკლო. შეშფოთებული ჰიტლერელები ახლა სხვა პარტიებსაც მიადგნენ ხმების სათხოვნელად. დიუსტერბერგერმა თავისი კანდიდატურა მოხსნა ჰიტლერის სასარგებლოდ. მონარქისტების საყურადღებოდ კი კრონ-პრინცმა წინასწარ გამოაცხადა:

— მე ხმას ვაძლევ ჰიტლერს!..

ნათქვამია: როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო. ჰიტლერელების საქმეს კი ვერც ამან უშველა. 10 აპრილს ისევ გახსნეს ურნები: ჰინდენბურგმა ამჯერად 13, 359, 983 ხმა მიიღო, ჰიტლერმა 11, 418, 547.

ამრიგად, როგორც პირდაპირი, ისე აბსოლუტური (53%) ხმის უმრავლესობით რესპუბლიკის პრეზიდენტად ხელმეორედ იქნა არჩეული 85 წლის ფელდმარშალი ჰინდენბურგი.

ჰიტლერმა ნოკაუტი მიიღო...

...ნაციონალ-სოციალისტთა ბანაკში პანიკა ატყდა. „ჩვენ დავმარცხდით. ეს კატასტროფაა!“ — ჩაწერა გებელსმა დღიურში. მოიერიშეები ხელისუფლების ძალით მიტაცებას მოითხოვდნენ. ეს სერიოზული საფრთხე იყო. მართალია რაიხსვერი მხარს უჭერდა მთავრობას, მაგრამ ეს სულაც არ იძლეოდა უშიშროების გარანტიას. შეიარაღებულ მოიერიშეთა რაოდენობა ოთხასი ათასს აჭარბებდა, რაიხსვერში კი მხოლოდ ასი ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი იყო. ბრიუნინგის მთავრობა იძულებული გახდა სპეციალური დადგენილებით აეკრძალა მოიერიშეთა ორგანიზაცია. ჰინდენბურგმა სამი დღე იყოყმანა, ვიდრე ამ დადგენილებას დაამტკიცებდა. რაიხსვერის შტაბის უფროსი გენერალი შლაიხერი წინააღმდეგი იყო ამ ღონისძიებისა. იგი დაუკავშირდა ჰიტლერს, რემსა და ჰელდორფს. ავადმყოფი სამხედრო მინისტრი გენერალი გრენერი თავს ვერ ართმევდა შექმნილ მდგომარეობას. კანცლერმა ბრიუნინგმა მისი გადაყენება გადაწყვიტა და შლაიხერი იხმო.

— თანახმა ხართ თუ არა დაიკავოთ სამხედრო მინისტრის თანამდებობა?—ჰკითხა მან შლაიხერს.

— დიახ, მაგრამ არა თქვენს მთავრობაში! — მიუგო მან...

[illegible] ამ არეულობის დროს პრეზიდენტმა მეორედ გამოიძახა

ჰიტლერი, მაგრამ ამჯერადაც ცივად მიიღო იგი. მაგიდიდან ადგა, ჯოხს დაეყრდნო და მხოლოდ ათი წუთი ელაპარაკა ფეხზემდგარ „ავსტრიელ ეფრეიტორს“. საუბარს გერინგი და მაისნერიც ესწრებოდნენ. ჰიტლერმა კანცლერის თანამდებობა და სრული ძალაუფლება მოითხოვა. პრეზიდენტმა ამაზე უარი უთხრა:

— არ შემიძლია კანცლერის თანამდებობა და, მით უმეტეს, სრული ძალაუფლება მოგცეთ, რადგან რაიხსტაგის უმრავლესობა მხარს არ გიჭერთ. ჯერ კოალიციურ მთავრობაში მიიღეთ მონაწილეობა. მე დავაკვირდები თქვენს საქმიანობას და მერე გადავწყვეტ, შეგიქმნათ თუ არა გაბატონებული მდგომარეობა.

ჰიტლერმა მაინც უარი თქვა პაპენის მთავრობაში მონაწილეობაზე და ისევ კანცლერის პოსტი მოითხოვა.

ჰინდენბურგმა მკაცრად დაუქნია ხელი და შეაწყვეტინა, „სინდისი არ მაძლევს ნებას ხელისუფლება ნაციონალ-სოციალისტებს ჩაგაბაროთო“, და უსაყვედურა ჰიტლერს, ტერორის მომხრე ხარო.

— რამდენიმე ათასი კაცის სიკვდილი არაფერს ნიშნავს, ბატონო პრეზიდენტო, ისტორიული პროცესების დროს, რასაც ასე დიდი შედეგები მოაქვს! — უპასუხა ჰიტლერმა, მაგრამ განერვიულებულმა ჰინდენბურგმა ისევ შეაწყვეტინა ლაპარაკი:

— მე ძალიან ვწუხვარ, რომ არ ასრულებთ ადრე საზეიმოდ მოცემულ პირობას. ალბათ, გეშინიათ ან იმდენად სუსტი ხართ, რომ არ შეგიძლიათ პირობის შესრულება.

ჰიტლერს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ პრეზიდენტმა ხელის ერთი გაქნევით შეაწყვეტინა სიტყვა და ისე გავიდა კაბინეტიდან, რომ არც კი დამშვიდობებია გაწბილებულ სტუმარს...

ფელდმარშალი და ეფრეიტორი ამჯერადაც ვერ შეთანხმდნენ.

ჰიტლერისა და გერინგის წასვლის შემდეგ პრეზიდენტს უთქვამს მაისნერისათვის: „იმ ეფრეიტორს კაცი სახელმწიფოს ბედს კი არა, ორ ბატს არ მიაბარებსო“.

...მეორე დღეს გაზეთებმა გამოაქვეყნეს პრეზიდენტის კომუნიკე: „ჰიტლერმა უარი თქვა კოალიციურ მთავრობაში შესვლაზე, სრული ძალაუფლება მოითხოვა და ამით დაარღვია ადრე მოცემული პირობაო“.

ჰიტლერი კი ირწმუნებოდა, ტყუილია, სრული ძალაუფლება არ მომითხოვია, მე მხოლოდ კანცლერის თანამდებობისა და რამდენიმე სამინისტროს მიღების საკითხი დავაყენეო.

ყალბი გრილიანტები...

ასე იყო თუ ისე, „ამ კატასტროფულმა დამარცხებამ“ ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის მეთაურების პანიკური დაბნეულობა გამოიწვია. გებელსი სულ სასოწარკვეთაში ჩავარდა, მთელი ღამე ფრიდრიჰ დიდის წერილებს კითხულობდა, მეორე დღეს კი თავის აგარაკზე წავიდა დასასვენებლად და დაიბარა:

— ამიერიდან სიტყვა „პოლიტიკის“ გაგონებაც არ მსურს. მე მინდა მზე, სინათლე, ჰაერი და სიმშვიდე!

ჰიტლერიც ბერჰტესგადენში გაიხიზნა, მთელი დღე მთებში დაეხეტებოდა და პაპენს ლანძღავდა. ამბობდა: ჩემი ხვედრი უფრო მძიმეა, ვიდრე ბისმარკისა, მე ჯერ ერი უნდა შევქმნა, ვიდრე მის ხელში აყვანას ვცდიდეო.

სხვები კიდევ რაღაც სხვას ამბობდნენ. ზოგი სულ გულგატეხილი იყო, ზოგიც თავს ინუგეშებდა: „სულერთია, საბოლოო გამარჯვება მაინც ჩვენი იქნებაო“. ეჩქარებოდათ და ვერ ითმენდნენ როდის დადგებოდა იმ „საბოლოო მიზნის“ განხორციელების დღე. ჰიტლერი ამის გამო ზოგჯერ ნაპოლეონის პოზაში დგებოდა და ისტერიულად ყვიროდა:

— მე უკვე ორმოცი წლისა ვარ, დროა სახელმწიფოს მეთაური გავხდე!..

...პოლიტიკური მოღვაწეობიდან „გადამდგარი“ გებელსი წყლიდან ამოგდებულ თევზს ჰგავდა. როგორც თევზი ვერ გაძლებდა უწყლოდ, ისე გებელსი—უპოლიტიკოდ. ერთი კვი-

რის შემდეგ მან მართლაც „დაძლია საკუთარი თავი“ და ისევ ჰიტლერს ეახლა ბერჰტესგადენში. აქ მან ახალი წინადადებით მიმართა თავის ფიურერს: „ცენტრის პარტიასთან შევკრათ კავშირი და ეს მოგვაპოვებინებს ხმების უმრავლესობას რაიხსტაგშიო“.

გებელსმა იცოდა, რომ ეს „კავშირი“ ყალბი იყო, მაგრამ ჰიტლერი ადვილად დაითანხმა, თვითონ კი დღიურში ასეთი ფრაზა ჩაწერა:

— მე არ ვარჩევ, რომელია ნამდვილი ბრილიანტი და რომელი—ყალბი.

...ის „ყალბი ბრილიანტი“ კი ნამდვილი გამოდგა. ეს რაიხსტაგის პირველივე სხდომაზე გამოჩნდა. აქ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: პაპენმა წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია. კომუნისტების წარმომადგენელმა ტორგლერმა რაღაც შესწორებები შეიტანა დღის წესრიგში. ნაცისტები დაიბნენ, არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ. მათი მიზანი პაპენის მთავრობის დამხობა იყო. ამის შემთხვევაც ეძლეოდათ, მაგრამ კომუნისტებს ხომ არ დაუჭერდნენ მხარს! ეს, მართლაც, ყალბი ბრილიანტი იქნებოდა. მაგრამ როდის იყო, რომ ისინი ასეთ სიყალბეზე ამბობდნენ უარს! არც ახლა უთქვამთ და... დროის მოსაგებად ნაცისტმა დეპუტატმა ფრიკმა შესვენება მოითხოვა. თავმჯდომარე გერინგი იყო და უარს როგორ ეტყოდა თავის კოლეგას.

გამოცხადდა თუ არა შესვენება, ყავისფერი დეპუტატები „კაიზერსჰოფში“ შეიკრიბნენ სათათბიროდ. ჰიტლერმა უფლება მისცა მათ მხარი დაეჭირათ კომუნისტების წინადადებისთვის. თვით ამ წინადადების შინაარსი, რა თქმა უნდა, არც ერთ მათგანს არ აინტერესებდა. მთავარი პაპენისთვის უნდობლობის გამოცხადება იყო, რასაც. ალბათ, რაიხსტაგის დათხოვნა და ახალი არჩევნები მოჰყვებოდა. ჰიტლერელები იმედოვნებდნენ, რომ ამ არჩევნებში ისინი მიიღებდნენ ნანატრ „აბსოლუტურ უმრავლესობას“...

...ამასობაში დეპუტატები ისევ შეიკრიბნენ დარბაზში.

შემოვიდა აღელვებული პაპენი. ხელში მას მუყაოს წითელი ჩანთა ეჭირა. ეს დემონსტრაცია იყო. ტრადიციის მიხედვით, თუ კანცლერს ხელში წითელი ფერის ჩანთა ეჭირა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მასში რაიხსტაგის დათხოვნის გამზადებული დეკრეტი იდო. ვიდრე ჰიტლერელები „კაიზერსჰოფში" თათბირობდნენ, პაპენი ჰინდენბურგთან გავარდა და ამ დეკრეტზე მოაწერინა ხელი. ახლა კი დეპუტატების დასაშინებლად იმ წითელ ჩანთას ტორეადორივით ატრიალებდა ხელში...

მოტყუვდა. ნაცისტებს სწორედ ეს უნდოდათ. გერინგს სიამოვნებისაგან სახე გაებადრა, თავი გვერდზე მიიბრუნა და, პაპენს რომ არდაენახა, ისე ჩაიცინა. პაპენმა კი ის წითელი ჩანთა გახსნა და დეკრეტი დემონსტრაციულად ააფრიალა დეპუტატების თვალწინ.

გერინგი უცებ მოტრიალდა და ხარივით ეძგერა იმ დოკუმენტს. დარბაზი აჩოჩქოლდა. ბევრი ვერც გაერკვა რა ხდებოდა. გერინგმა კი დაუყოვნებლივ კენჭისყრა მოითხოვა... პაპენს ფერი ეცვალა. იგი არ მოელოდა ამას. ახლა კი მიხვდა, თვითონვე რომ გამოითხარა ძირი, მაგრამ უკვე გვიან იყო. მის უმწეო მდგომარეობას ისიც უსვამდა ხაზს, რომ იძულებული გახდა კენჭისყრის დროს თავის რამდენიმე მინისტრიანად სულ დაეტოვებინა დარბაზი, რადგან რაიხსტაგის წევრები არ იყვნენ...

მერე ის მოხდა, რაც მოსალოდნელი იყო. პაპენს დაუძახეს და წაუკითხეს „სასიკვდილო განაჩენი": მისი მთავრობის გადადგომას ხმა მისცა 513 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 32.

ჭარხალივით გაწითლებული პაპენი წამოხტა ადგილიდან, დეკრეტი რაიხსტაგის დათხოვის შესახებ გერინგს დაუგდო წინ და ტყვიასავით გავარდა დარბაზიდან. ამას დეპუტატების ჰომერული ხარხარი მოჰყვა.

პაპენი არამცთუ გააშავეს, გაამასხრეს კიდეც...

სიამის ტყუპები...

იმ ერთი წლის მანძილზე გერმანიაში ეს მეოთხედ გამოცხადდა არჩევნები. ხალხი სულ დაიბნა ამდენი ორომტრიალით.

მიტინგებისა და საარჩევნო კრებების პათოსი შენელდა. ერთი მხოლოდ ჰიტლერელები განაგრძობდნენ ხმაურს. გერმანიის ყოველ კუთხეში ისმოდა დაფდაფების ზრიალი, თუმცა მათ პროპაგანდას ამჯერად აკლდა ძველებური მასშტაბურობა. ნაციონალ-სოციალისტური პარტია დიდ ფინანსურ კრიზისს განიცდიდა. მრეწველები და ბანკირები პაპენს უჭერდნენ მხარს. ამან დაცალა ნაცისტების სალაროები... ამასთანავე პაპენის მომხრეებმა კონტრპროპაგანდა გააჩაღეს: „ნაციონალ-სოციალისტებმა კომუნისტებთან შეკრეს კავშირიო". ყველამ იცოდა, ეს კავშირიც რომ „ყალბი ბრილიანტი" იყო, მაგრამ, თომას მანისა არ იყოს, პოლიტიკა და სიყალბე ხომ „სიამის ტყუპებივით" გვანან ერთმანეთს"...

...6 ნოემბერს გამოცხადდა რაიხსტაგის ამ ახალი არჩევნების შედეგიც. ჰიტლერელებმა ორი მილიონი ხმა და 32 ადგილი დაკარგეს. ეს ისეთი მძიმე დარტყმა იყო, რომ ამბობდნენ, ჰიტლერმა და გებელსმა თვითმკვლელობაც კი განიზრახესო... მაგრამ არაფერი ამის მსგავსი! ჰიტლერი ისევ ძველ „ბედაურზე" იჯდა. პაპენმა, რომელიც, წესის მიხედვით, ახალი არჩევნების შედეგებამდე კვლავ განაგრძობდა კანცლერის მოვალეობის შესრულებას, ერთხელ კიდევ სცადა უკვე არა ყალბი, არამედ „ნამდვილი ბრილიანტის" გამოყენება: 13 ნოემბერს იგი შეხვდა ჰიტლერს და კომპრომისული კავშირი შესთავაზა. არც ეს მანევრი გამოვიდა. ჰიტლერი ისევ ძველებურ თეზას იცავდა: „ყველაფერი ან არაფერი!" ამან პაპენის მთავრობას საბოლოოდ გამოაცალა ნიადაგი და 17 ნოემბერს გადადგა კიდეც...

ჰინდენბურგმა მაშინვე იხმო ჰიტლერი და ამჯერად ხაზგასმული თავაზიანობით შეხვდა მას: გულთბილად მიესალმა, სკამი შესთავაზა და მთელი საათი დაუთმო საუბრისათვის. წინადადება ასეთი იყო: თუ რაიხსტაგში უმრავლესობა დაგიჭერთ მხარს, დაგნიშნავთ კანცლერად, არადა მიიღებთ ვიცეკანცლერის თანამდებობას პაპენის კაბინეტში!..

ჰიტლერს პირველის იმედი არ ჰქონდა, მეორე კი ხელს არ უწყობდა და ეს „გულითადი საუბარიც" უშედეგოდ დამთავრ-

და. ისე კი მაინც კმაყოფილი დარჩა ამ მიღებით. უხაროდა, ყინული რომ გალღვა და პრეზიდენტის სიმპათია მოიპოვა. სასახლიდან რომ დაბრუნდა, გახარებული უამბობდა მეგობრებს:

— პრეზიდენტმა მკითხა, მოკლედ მომიყევი რაში მდგომარეობს შენი პოლიტიკის არსიო. მეც მოვუყევი და შევატყვე, რომ მოეწონა, წამოსვლისას მითხრა კიდეც: „კარგია, კარგი, მაგრამ შენს ბიჭებს გადაეცი, ასე ხმამაღლა ნუ ყვირიან „გაიღვიძეთ, გაიღვიძეთო“, თორემ ღამღამობით ძილს მიფრთხობენო“...

„გაიღვიძე, გერმანიავ!“ — ეს ნაციონალ-სოციალისტების ჰიმნი იყო, რაც ძალიან მოსწონდა ჰინდენბურგს. როგორც ჩანს, მას მართლაც გაუჩნდა რაღაც სიმპათია ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობისა და მისი ფიურერის—ჰიტლერისადმი. ეტყობოდა, რომ თოფის წამლის სუნი არ ასვენებდა. სულითა და ხორცით მილიტარისტს სულ ომი ელანდებოდა. ამას გრძნობდა ჰიტლერი და ამ მიღების დროს განსაკუთრებული მჭევრმეტყველებით გადაუშალა პრეზიდენტს თავისი საომარი გეგმები: ჯერ, ჰინდენბურგის რევანშისტული ყინი რომ გაეხელებინა, საფრანგეთს გამოუცხადა ომი, ადვილად დაამარცხა იგი, მერე კავშირიც შეკრა „ფეხქვეშ გაგებულ ფრანგებთან“ და პოლონეთს დაეტაკა. „ის საწყალი პოლონეთიც“ რამდენიმე დღეში დააჩოქა და საბჭოთა კავშირს შეუტია...

ჰინდენბურგს თვალები გაუბრწყინდა სიხარულით და, ვითომ სამხედრო თათბირზე ყოფილიყო, რუკები მოითხოვა. ადიუტანტებმა მაშინვე გაუშალეს წინ ევროპის რუკები და 85 წლის მიხრწნილი ფელდმარშალი დიდი გატაცებით შეუდგა სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობას. ხელში ერთი ბღუჯა ქინძისთავებზე დამაგრებული პატარა დროშები ეჭირა და „დაპყრობილ“ ქალაქებსა და სოფლებზე ამაგრებდა. რუკები რომ სულ დაიფარა ასეთი დროშებით, წელში გაიმართა და ამაყად მოავლო თვალი მის მიერ რამდენიმე წუთში „დაპყრობილ“ ევროპის სახელმწიფოებს...

ასე ადვილად წამოეგო იგი ჰიტლერის მიერ წინდახედულად გადაგდებულ ანკესს.

მერე, როცა ის „ავსტრიელი ეფრეიტორი“ წავიდა, კმა-

ყოფილმა პრეზიდენტმა უთხრა მაისნერს: „ჰიტლერი ისეთი ყოჩაღი კაცია, რომ მასთან დიდი საქმეების გაკეთება შეიძლებაო“. კანცლერობაზე კი ჯერჯერობით მაინც უარი უთხრა, თუ, ვინ იცის, იქნებ იძულებული იყო ასე მოქცეულიყო. ამან პაპენს ისევ ჩაუნერგა იმედი, რომ შეინარჩუნებდა კანცლერის თანამდებობას. იმისთვის საჭირო იყო, რადაც უნდა დასჯდომოდა, მიეღწია ჰიტლერელებთან შეთანხმებისათვის. თუ თვითონ ჰიტლერთან არა, მის რომელიმე თანამებრძოლთან მაინც. ეს საშუალებას მისცემდა ამ „პოლიტიკური ინტრიგების დიდოსტატს“ გაეთიშა და დაესუსტებინა ნაციონალ-სოციალისტური პარტია... ამ განზრახვით პაპენი პირველად გერინგს შიადგა, მაგრამ კატეგორიული პასუხი მიიღო:

— ჰიტლერი არასოდეს არ დათანხმდება მეორე ადგილის შიღებას და არ იქნება ერთ-ერთი ვიცეთაგანი. იგი დაამხობს ყოველგვარ პოლიტიკურ წყობილებას, რომელიც არ უზრუნველყოფს მისთვის პირველ ადგილს...

ნიურნბერგის პროცესზე პაპენმა დაადასტურა, რომ მას ჰქონდა ასეთი საუბარი გერინგთან. ამბობენ, ჰიტლერი მაშინაც ყოყმანობდა, დაეკავებინა თუ არა ვიცე-კანცლერის პოსტი, მაგრამ ნაცისტური პარტიის ე. წ. „მემარცხენე ხელმძღვანელების“ (გერინგი, გებელსი) ზეგავლენით იძულებული გახდა ისევ უარი ეთქვა პაპენის წინადადებაზეო. თვითონ პაპენი კი სინამდვილეში ნაცისტების წისქვილზე ასხამდა წყალს. კანცლერად დანიშვნისთანავე მან გააუქმა ბრიუნინგის კაბინეტის შიერ მიღებული კანონი SS-ისა და SA-ს აკრძალვის შესახებ, გარეკა პრუსიის კანონიერი მთავრობა და ფაქტიურად თვითონ ჩაუდგა სათავეში პოლიციას.

პროცესზე პაპენი იმით „იმართლებდა“ თავს, რომ მას უნდოდა ჰიტლერი კოალიციური მთავრობის მოკავშირედ გაეზადა. თან ისიც დაუმატა, ესესისა და მოიერიშეთა რაზმების კანონგარეშე გამოცხადება „ცალმხრივი აქტი იყო, რადგან იმავე დროს აკრძალული არ ყოფილა სოციალისტური და კომუნისტური პარტიებიო“.

აქ გამოჩნდა ნამდვილი პაპენი! კრიტიკულ მომენტში, როცა ანტიფაშისტური გერმანია იბრძოდა ჰიტლერელების მო-

ძალების წინააღმდეგ და პრეზიდენტიც გაუბედავად, მაგრამ მაინც მზად იყო შეეზღუდა „თავგასული ეფრეიტორი“, პაპენმა ხელ-ფეხი გაუხსნა ყავისფერ და შავხალათიან შეიარაღებულ ძალებს.

ამის შემდეგ ბერლინის, მიუნჰენისა და ნიურნბერგის ქუჩებში ისევ ახმაურდნენ ესესელებისა და მოიერიშეების დაფდაფები. პროპაგანდისტულმა ისტერიამაც იმატა. პაპენს კი ძველებურად ჰქონდა ხელი ჰიტლერისაკენ გაწვდილი. თუ ის ვერ იქნებოდა კანცლერი, უნდოდა ასეთ შემთხვევაში გზა ჰიტლერისათვის გაეკაფა. მერე ამბობდა კიდეც, რომ ის „ბეღის წყალობით არჩეულ იქნა, რათა ერთმანეთისათვის გადაეჭდო ფიურერისა და საყვარელი ფელდმარშლის ხელები“. მართალია, პროცესზე იგი ერთხანს უარყოფდა ამას, მაგრამ ინგლისელმა ბრალმდებელმა მაქსუელ-ფაიფმა 1933 წლის ნოემბერში მის მიერვე წარმოთქმული სიტყვები დაუდო წინ:

— მას შემდეგ, რაც განგებამ მომიხმო გავმხდარიყავი ჩვენი ერისა და სამშობლოს აღორძინების პიონერი, ყოველ ღონეს ვხმარობდი მხარი დამეჭირა ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობისა და მისი ხელმძღვანელობისათვის.

— ეს სწორია? — ჰკითხა მაქსუელ-ფაიფმა პაპენს.

— დიახ, უეჭველად! — მიუგო მან...

ბეწვის ხიდი...

პაპენის მხარდაჭერა დიდი ფაქტორი იყო ჰიტლერისათვის. მისი გზა ხელისუფლებისაკენ თანდათან მოკლდებოდა, მაგრამ წინ კიდევ იყო ერთი დაბრკოლება: გენერალი შლაიხერი, რომელმაც ერთ დროს ევა ბრაუნი მოსტაცა მას. ჰიტლერი შიშობდა, ვაითუ შლაიხერმა ახლა „ბისმარკის სავარძელიც“ მომტაცოსო. ეს შიში არ იყო უსაფუძვლო. პირველ დეკემბერს იმ „ბებერმა ლომმა“ ჰინდენბურგმა თავის სასახლეში მიიწვია შლაიხერი და პაპენი: ერთი—მგელი, მეორე—მელია. მგლისა და მელიის ამბავი კი მოგეხსენებათ... ლომთან ორივე საკუთარ ინტერესს იცავდა და კარტებსაც მოხერ-

ხებულად უწყობდნენ ერთმანეთს. მართალია, ამ საუბრის დროს ლომს მათთვის რამე გარკვეული წინადადება არ მიუცია, მაგრამ ორივე მიხვდა, საიდან უბერავდა ქარი. ამიტომ, სასახლიდან რომ გამოვიდნენ და თავთავიანთ მანქანებში სხდებოდნენ, „მგელმა შლაიხერმა“ მიაგესლა იმ „მელია პაპენს“:

— მე მაგონდება ცნობილი სიტყვები, მიმართული ლუთერისადმი, როცა ის ვორმსის ლანდსტაგიდან გამოვიდა:

— ბებერო ხუცესო, თქვენ მეტად სახიფათო ბილიკი აგირჩევიათ სასიარულოდ!..

...შლაიხერი არ შემცდარა. „მგელი“ რომ მოიშორა, პაპენი მართლაც მელიასავით უკანვე შეძვრა „ლომის ბუნაგში“ და დაასმინა თავისი მეტოქე:

—შლაიხერმა ჯერ კაიზერის არმიას უღალატა, მერე—გრენერს, იგი ყოველთვის...

— ეჰ, ჩემო ძვირფასო პაპენ, — შეაწყვეტინა მას ჰინდენბურგმა,—მე მოხუცი ვარ... ვშიშობ სამოქალაქო ომი არ დაიწყოს გერმანიაში, ამიტომ ჩვენი ერთადერთი იმედია შლაიხერმაც სცადოს ბედი...

— ეს რომ თქვა, პრეზიდენტს ორი ცრემლი გადმოუგორდაო,—წერს პაპენი.

ასეა. იმ მელია პაპენმა ვითომ სხვას დაუგო ხაფანგი, მაგრამ თვითონვე გაება.

პრეზიდენტის სასახლიდან იგი პირდაპირ თავის სამუშაო კაბინეტში დაბრუნდა და მაგიდის უჯრების დასუფთავებას შეუდგა. ერთი საათის შემდეგ მასთან შევიდა ჰინდენბურგის პირადი ფოტოგრაფი და გადასცა პრეზიდენტის სამახსოვრო ფოტოსურათი წარწერით:

— მე მყავდა მეგობარი!..

...ამის შემდეგ გენერალი კურტ ფონ შლაიხერი დაინიშნა რესპუბლიკის კანცლერად. ეს იყო მეორე შემთხვევა, ამ თანამდებობაზე რომ გენერალი დასვეს. პირველი გენერალ-კანცლერი იყო გრაფი გეორგ ლეო ფონ კაპრივი დე კაპრარა დე მონტეკოლი, რომელმაც 1890 წელს შეცვალა ბისმარკი...

შლაიხერი დიდი მონდომებით შეუდგა საქმეს, მაგრამ მხარს არავინ უჭერდა: არც ხალხი, არც პრეზიდენტი. ყველა ეშმაკობდა. მისი კანცლერობის დღეები დათვლილიაო. ასევე ფიქრობდნენ ნაცისტებიც. გებელსმა ჩაწერა დღიურში:

— შლაიხერი დაინიშნა კანცლერად. იგი დიდხანს არ შეერჩება ამ თანამდებობას.

პაპენი ისევ ძირს უთხრიდა „თავის მეგობარსა და შემცვლელს". შტრაიხერმა იცოდა ეს და მისი თავიდან მოშორება უნდოდა. ელჩის თანამდებობაც შესთავაზა საფრანგეთში, მაგრამ „იმ მელიამ" არ მიიღო „ეს მოწყალება". არც ჰიტლერმა ისურვა შლაიხერთან თანამშრომლობა, თუმცა ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელობის ერთი ნაწილი — გრეგორ შტრასერი, ფუნკი, ფრიკი, ფედერი და სხვები ისევ დაჟინებით მოითხოვდნენ მიეღოთ მთავრობის წინადადება. „მემარცხენეები" კი მაინც წინააღმდეგი იყვნენ ამისი. გერინგმა და გებელსმა ჰიტლერს ჰინდენბურგთან აუდენციაზე რემიც გაატანეს, რომ მას „სისუსტე არ გამოეჩინა" და არ დათანხმებულიყო.

როგორც ჩანს, შლაიხერსაც უნდოდა განხეთქილება შეეტანა ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელობაში. ამის შესახებ პრესაშიც გაჩნდა ცნობა, მაგრამ ნაცისტურმა ოფიციოზმა გამოაქვეყნა გერინგის, გებელსის, შტრასერისა და ფრიკის განცხადება მათი „ფიურერისადმი ერთგულების" შესახებ. მიუხედავად ამისა, გრეგორ შტრასერი მაინც დაეთანხმა შლაიხერს თვითონ მიეღო ვიცე-კანცლერის პოსტი. ეს რომ ჰიტლერმა გაიგო, სულ ცოფი ჰყარა. მერე ისტერიამ მოუარა, იატაკზე დაეცა და ყვირილი მორთო.

გერინგმა იხუმრა ამაზე: „ჩვენი ფიურერი რომ ვეგეტერიანელი იყო, ვიცოდი, მაგრამ, თუ მართლა ხალიჩას ძოვდა, არ მეგონაო..."

...ისტერიამ რომ გაუარა, ჰიტლერმა პროტესტის ნიშნად დატოვა ბერლინი და მიუნჰენს გაემგზავრა. მას თან გაჰყვა რემიც. შტრასერი თვითნებურად დაუკავშირდა შლაიხერს და მოითხოვა ჰიტლერის დაბრუნება. ეს რომ გერინგმა და გე-

ბელსმა შეიტყვეს, ქ. იენის სადგურზე დახვდნენ ჰიტლერს, ჩამოსვეს მატარებლიდან და ვაიმარში წაიყვანეს. ბერლინის სადგურზე კი შტრასერი და ფრიკი ამაოდ უცდიდნენ თავიანთ ფიურერს. ის ამ დროს ვაიმარში ეთათბირებოდა გერინგსა და გებელსს.

ყველამ იცოდა, რომ შტრასერის „განდგომა“ მძიმე დარტყმა იქნებოდა პარტიისათვის. ხედავდნენ, თუ რა პოპულარობით სარგებლობდა იგი ნაცისტებს შორის. „უფრო მეტით, ვიდრე ჰიტლერიო“, — წერენ ზოგიერთები.

შტრასერი არც სისასტიკეში დაუდებდა ტოლს თავის ფიურერს. „გამცემლებს ჩამოვახრჩობთ, გაფიცულებს დავხვრეტთ და დანარჩენები აღარ მოისურვებენ კედელთან დადგომასო“, — უყვარდა მას თქმა.

პარტიის რიგითი წევრები კი უბრალოდ ამბობდნენ: „აი, ეს არის ნამდვილი გერმანელი, ბრგე ვაჟკაცი, მოჩხუბარი და ლუდის მსმელიო“. ბევრი იმასაც ფიქრობდა, ჰიტლერმა როგორც „ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის მედაფდაფემ“ უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობანიო. ძველ თანამებრძოლებსაც „ყელში ამოუვიდათ მისი ისტერიული ჩხავილი“. ამან ერთხელ კიდევ გამოიწვია „ხელმძღვანელობის კრიზისი“. ფინანსური მდგომარეობაც კატასტროფიულად გაუარესდა. რამდენიმე მსხვილმა მრეწველმა და ბანკირმა, მათ შორის ტისენმა, უარი თქვეს ნაცისტური პარტიის დაფინანსებაზე. მოიერიშეთა ნახევარმილიონიანი არმიის შენახვა გაძნელდა. პრესის გამოშვება შემცირდა. „ჩვენი ფინანსური მდგომარეობა უნუგეშოა“.—ჩაწერა ისევ თავის დღიურში გებელსმა. სხვა მხრივაც საგანგაშო მდგომარეობა იყო. პროვინციების არჩევნებში ნაციონალ-სოციალისტები 40 პროცენტამდე ხმას კარგავდნენ, მათი მოძრაობის ბედი ბეწვზე ეკიდა, თუმცა ჰიტლერი ისევ ისე გაიძახოდა: „ან კეისარი, ან არაფერიო“...

...იმ დროს, მართლაც ბეწვის ხიდის გავლა იყო საჭირო, რომ კატასტროფა აეცდინათ თავიდან, მაგრამ ბევრი ამის შესაძლებლობას ვერ ხედავდა. ამან „შტრასერის ოპოზიცია“ გააძლიერა. მას მომხრეებიც გაუჩნდნენ: მათ კრიზისის დაძლევის

ერთადერთ საშუალებად „ეროვნული ერთიანობის მთავრობაში“ შესვლა მიაჩნდათ.

5 დეკემბერს „კაიზერსჰოფში“ შეიკრიბნენ პარტიის ხელმძღვანელები და დიდხანს ითათბირეს შექმნილ მდგომარეობაზე. შტრასერმა მოითხოვა შევიდეთ შლაიხერის კაბინეტშიო. გერინგი, გებელსი და ფრიკი ამჯერადაც წინააღმდეგი იყვნენ. ჰიტლერი ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს შტრასერის მოწინააღმდეგეებს მიემხრო.

ორი დღის შემდეგ ჰიტლერი პირისპირ შეხვდა შტრასერს და უყვირა, „ჩემი გადაგდება და პარტიის ლიდერობა გინდაო“. შტრასერმა დიდხანს იუარა, მაგრამ ჰიტლერის მრისხანება მაინც ვერ დააცხრო. ამით გაბრაზებულმა შტრასერმა შინ დაბრუნებისთანავე დაწერა განცხადება, რითაც უარს ამბობდა პარტიის ხელმძღვანელობაში მონაწილეობაზე. ეს განცხადება მეორე დღეს გამოქვეყნდა პრესაში. „კაიზერსჰოფში“ ისევ პანიკა ატყდა: პარტია იშლება, ყველაფერი იღუპება, საჭიროა საგანგებო ზომების მიღებაო და სხვა ამგვარი.

ამ დროს ჰიტლერი სტუმრად იყო გებელსთან. ლეიმ იქ დაურეკა ჰიტლერს, პარტიაში კატასტროფული მდგომარეობა იქმნებაო, და თხოვა დაუყოვნებლივ მისულიყო „კაიზერსჰოფში“. გაცოფებული ჰიტლერი შევარდა მათთან და იყვირა:

— ღალატი!.. ღალატი!.. ღალატი!..

ამის მეტს არაფერს ამბობდა. გამხეცებული სცემდა ბოლთას ოთახში და ისევ ისე ყვიროდა:

— ღალატი!.. ააა!.. ღალატი!... ეს ხომ ღალატია!.. ღალატი!..

მთელი საათი გრძელდებოდა ეს უცნაური პანტომიმა. მერე ჰიტლერი შეჩერდა და ყალბი პათეტიკური ტონით გამოაცხადა:

— თუ პარტია გაითიშება, მე მას სამ წუთში მოვუღებ ბოლოს რევოლვერის ერთი გასროლით.

ეს მერამდენეჯერ იმუქრებოდა ჰიტლერი თვითმკვლელობით! ისე, ვითომ სხვების დასაშინებლად, თორემ ასეთი რამ, ცხადია, არც ეაუვლია გულში. მან ფრიკს დაავალა მაშინვე

მოეძებნათ და მისთვის მიეგვარათ შტრასერი. ფრიკმა მთელი ქალაქი გადააბრუნა, მაგრამ ვერსად იპოვნა...

ან რას იპოვნიდა, როცა შტრასერი ამ დროს მატარებელში იჯდა და იტალიაში მიემგზავრებოდა დასასვენებლად...

მაშველი რგოლები...

სწორედ ამ დროს მოხდა საოცრება: მაშინ როცა ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა ისეთ მძიმე კრიზისს განიცდიდა, რომ თვით ჰიტლერელებმაც უნუგეშოდ ცნეს თავიანთი მდგომარეობა, სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა „ნოეს კიდობანი“ მაშველი რგოლებით. ჰიტლერელები მსწრაფლ მისწვდნენ ამ რგოლებს. ეს ისტორიის მეტად სამწუხარო ფაქტი იყო, რაც მთელი სიცხადით დადგინდა ნიურნბერგის პროცესზე. გამოირკვა, რომ ჯერ იალმარ შახტმა, შემდეგ ფრანც ფონ პაპენმა და ბოლოს თვით პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა გადაუგდეს ჰიტლერელებს ეს მაშველი რგოლები. შახტი და პაპენი კელნში შეხვდნენ ცნობილ მრეწველს შრედერს. მერე შეუთანხმდნენ ჰიტლერს და აღადგინეს ჰიტლერელების კავშირი მრეწველებთან. 4 დეკემბერს შრედერის სახლში საიდუმლო თათბირიც გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ: ჰიტლერი, ჰესი, ჰიმლერი და პარტიის ეკონომიური მრჩეველი კეპლერი, რომელიც ამ კავშირს ახორციელებდა.

შლაიხერის ჯაშუშებმა მაშინვე მიაგნეს თათბირის კვალს და სურათებიც გადაუღეს, მანქანებიდან გადმოსული „სტუმრები“ საყელოებაწეული და ქუდებჩამოფხატულნი რომ შერბოდნენ შრედერის სახლის სადარბაზოში. პაპენი სულ შეიკუმშა და ისედაც ტანმორჩილი სულ დაპატარავდა, როცა ამ „სასიფათო ზონას გადიოდა“.

შლაიხერმა ეს საიდუმლო თათბირი მიიღო როგორც შეთქმულება და სახელმწიფო ღალატი. ამას ჰიტლერისა და პაპენის ერთობლივი განცხადება მოჰყვა პრესაში, იმ „დარბაზობაზე“ პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი სულაც არ ყოფილაო.

მერე პაპენი პირადადაც ესაუბრა ჯერ შლაიხერს, ხოლო შემდეგ ჰინდენბურგსაც და კონფლიქტი ამოიწურა...

... ამით დამთავრდა ჰიტლერელების ფინანსური კრიზისიც. პაპენისა და შახტის ჩაგონებით მსხვილი მრეწველები ხელისმოწერასა და დიდძალ ფულს აგროვებდნენ ჰიტლერის სასარგებლოდ. მერე ჰინდენბურგსაც გაუგზავნეს თხოვნა, ჰიტლერი დაენიშნა კანცლერად. ეს „თხოვნა" უფრო ულტიმატუმს ჰგავდა. იგი შედგენილი იყო შახტის მიერ, რომელიც განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდა ამ მხრივ. პროცესზე კი შახტმაც, პაპენის მსგავსად, განაცხადა, არასოდეს ჰიტლერის დანიშვნისათვის ხელი არ შემიწყვიაო. ფაქტები კი ამჯერადაც მისი ლიტონი „მტკიცების" საწინააღმდეგოდ მეტყველებდნენ: გამოირკვა, რომ იმ დღეებში შახტი რამდენჯერმე შეხვდა ჰიტლერს, გერინგსა და რიბენტროპს, მერე — თვით ჰინდერბურგსაც და სთხოვა მას „ნაციონალ-სოციალისტების ბელადი" დაენიშნა კანცლერად. ერთხელ ისეთი უტაქტობაც გამოიჩინა, რომ ჯერ კიდევ კანცლერ პაპენს ესტუმრა სახლში და მეუღლის თანდასწრებით „ურჩია" მისი ადგილი ჰიტლერისათვის დაეთმო.

შახტი დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან ეს ასეც მოხდებოდა. 1932 წლის 12 ნოემბერს იგი სწერდა ჰიტლერს:

— მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ მდგომარეობის ახლანდელი განვითარება დამთავრდება თქვენი კანცლერად დანიშვნით. მე მგონი, ჩვენი ცდა ხელისმოწერის შეგროვებისა, უშედეგოდ არ დარჩენილა.

ამის შესახებ ნიურნბერგის პროცესზე ჯეკსონსა და შახტს შორის ასეთი დიალოგიც გაიმართა:

ჯ ე კ ს ო ნ ი: მაშასადამე, თქვენ აგროვებდით ხელისმოწერას ამ მიზნით, არა?

შ ა ხ ტ ი: არა, მე მხოლოდ ვმონაწილეობდი ამაში.

ჯ ე კ ს ო ნ ი: ე. ი. თქვენ ხელს უწყობდით მის დანიშვნას!

შ ა ხ ტ ი: დიახ!..

... ასეთი ბედი ეწია ნიურნბერგში პაპენსაც.

პროცესზე სრულიად აშკარა გახდა, რომ იგი „კოალიციური მთავრობის" შედგენაზე უფრო ჰიტლერის გამარჯვებაზე

ზრუნავდა. მაქსუელ-ფაიფმა პაპენის იმდროინდელი გამოსვლიდან ასეთი ადგილიც წაიკითხა:

— მას შემდეგ, რაც კანცლერი გავხდი,.. მე ვცდილობდი გზა გამეხსნა ახალგაზრდა, მებრძოლი და გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

— ამრიგად, — დაასკვნა ბრალმდებელმა, — თქვენი მხარდაჭერა „ახალგაზრდა, მებრძოლი და გამათავისუფლებელი მოძრაობის“ მისწრაფებისადმი ხელისუფლებისაკენ იმაში მდგომარეობდა, რომ დააკანონეთ მოიერიშეთა რაზმები (SA), გაეძევეთ პრუსიის ზომიერი მთავრობა და მოახდინეთ პოლიციის კონტროლის ცენტრალიზაცია?

პაპენს არ უნდოდა ამის აღიარება. ან როგორ შეეძლო, როცა ტრიბუნალს უმტკიცებდა, რომ მას „ჰიტლერი ყველაზე დიდ არამზადად მიაჩნდა“, და, წინააღმდეგ ფაქტებისა, ჯიუტად აცხადებდა, ჰიტლერის გამარჯვებისათვის ხელი არ შემიწყვიარ. ასე წყალაღმა ცურვა კი ადვილი როდი იყო. როცა პაპენი თავის „ანტიჰიტლერულ“ განწყობილებაზე ლაპარაკობდა, მაქსუელ-ფაიფმა ახლა მის მიერვე ადრე წარმოთქმული სიტყვები წაუკითხა:

— მოწყალე უფალმა გააბედნიერა გერმანია იმით, რომ უაღრესად მძიმე პერიოდში მოუვლინა ხელმძღვანელი, რომელიც სახელმწიფო მოღვაწის ინსტინქტური გრძნობით გაიყვანს მას სიძნელეებისა და საფრთხისაგან ნათელი და ბედნიერი მომავლისაკენ.

პაპენს აუხსნეს, რომ ეს როგორღაც არა ჰგავს „უდიდესი არამზადას“ დახასიათებას. ეს სხვაზე ნაკლებ არც მას ესმოდა, მაგრამ რა ექნა, როცა ასეთი მძიმე ბრალი ედებოდა — ჰიტლერის მიერ ძალაუფლების უკანონოდ ჩაგდებისათვის ხელის შეწყობა, რაც ტრიბუნალის იურისდიქციით კვალიფიცირებული იყო როგორც „შეთქმულება მშვიდობის წინააღმდეგ“...

ამიტომაც უნდოდა პროცესზე თავი იმთავითვე ჰიტლერის მოწინააღმდეგედ მოეჩვენებინა. „20 ივლისის შეთქმულებასაც თანავუგრძნობდიო“, ამბობდა, მაგრამ, როგორც კი ის გერინგს შეხვდებოდა ციხის სასადილოში, მაშინვე იწყებოდა ჩხუბი ამის თაობაზე. პაპენი უკანასკნელი სიტყვებით ლანძ-

ღავდა ყოფილ რაიხსმარშალს, ის კი დასცინოდა „იმ უკუ-
დო მელას“.

— შენ ამბობ, რომ გაბედავდი მონაწილეობა მიგეღო 20 ივლისის თავდასხმაში? ამას გაბედავდი?!. შენ?!.

და გერინგმა გადაიხარხარა.

პაპენმა იგრძნო ამ კითხვის ირონიულობა და გერინგის მიერ ნასროლი ქამანდი აიცდინა:

— ჰერმან, მე მეგონა, რომ შენ, როგორც ყოფილი ოფიცერი და კარგი ოჯახის შვილი, იმ შემთხვევაში, თუ ჰიტლერი ძალიან შორს შეტოპავდა, წაავლებდი მას კისერში ხელს და გააგდებდი. ვფიქრობდი, რომ შენ ენერგიული და პრინციპული კაცი იყავი... შენ კი...

— კარგი, ვთქვათ გამეკეთებინა ასე, — შეაწყვეტინა მას გერინგმა, — მაშინ მე დამჭირდებოდა სულ ცოტა სამი ფსიქიატრი იმის დასამტკიცებლად, რომ ჰიტლერი სრული ჭკუისა არ არის.

— ჩემო ძვირფასო გერინგ, — მიუგო ამაზე გესლიანად პაპენმა, — განა შენ მართლაც სამი ფსიქიატრი გჭიროდა იმის დასანახავად, რომ ჰიტლერს გერმანია კატასტროფისაკენ მიჰყავდა? რა სისულელეა ეს?

პაპენი ამას ისე ამბობდა, თითქოს ჰიტლერის მიერ ხელისუფლების ჩაგდების დროს თვითონაც აღტაცებული არ ყოფილიყოს მისი პიროვნებით. მაგრამ როცა ინგლისელმა ბრალმდებელმა ერთხელ კიდევ წაუკითხა მის მიერვე მაშინ წარმოთქმული სიტყვები, რომ ჰიტლერი განგებისაგან მოვლენილ ადამიანად მიაჩნია, გერინგმა სიცილი ვეღარ შეიკავა. მაქსუელ-ფაიფი კი განაგრძობდა პაპენის დაკითხვას:

— განა თქვენ არ იცოდით მაშინ, რომ ათასობით ადამიანი ჩაყარეს საკონცენტრაციო ბანაკებში?

— ასობით, — ვითომ გაასწორა პაპენმა.

— არა, ათასობით! — ჩაილაპარაკა გერინგმა, თითქოს დაავიწყდა, რომ ეს მისი ხელის საქმეც იყო.

— თქვენ მზად იყავით სამსახური გაგეწიათ ამ მკვლელებისათვის! — განუცხადა პაპენს ბრალმდებელმა.

— სწორია, — ეუბნებოდა გერინგი იქვე მჯდომ რიბენ-

ტროპს. რიბენტროპიც თავს უქნევდა მას. სასადილოში კი პაპენი მაინც თავისას გაიძახოდა:

— მე მათ უნდა გავეშვი ამერიკაში მოსალაპარაკებლად, რომ მიმეღწია ზავისათვის...

ფრანკმა ზურგი შეაქცია პაპენს და ვილაცას უთხრა:

— რატომ 1933 წლის იანვარში არ წავიდა იგი ამერიკაში? აი, ეს რომ გაეკეთებინა, ახლა იქიდან ჩამოვიდოდა როგორც ღირსეული ადამიანი და უფლებაც ექნებოდა დაეცინა ჩვენთვის.

ჩვენში ამბობენ, „მელია ბერად შედგაო". პაპენს კი „ბერობა" არავინ დაუჯერა. პირიქით, იმ დღეს სხვებიც დაეთანხმნენ ფრანკს. ყველამ იცოდა: პაპენი რომ არა, 1933 წელს ჰიტლერს იქნებ ვერც მიეღო ბისმარკის სავარძელი. ეს აშკარად დადასტურდა პროცესზე. ამით გერინგმა გაიხარა. იგი სახეგაბადრული უყურებდა, ინგლისელი ბრალმდებელი რომ ნიღაბს ხდიდა ბებერას ბადეში გაბმულ „უცოდველ პაპენს", და იძახდა:

— აა, აბა როგორ! ვითომ კეთილი, კარგი პაპენი! შეხედეთ! ახლა იგი ხაფანგში გაბმულ მელიას ჰგავს!..

ნოიდეკელი მემამულე...

ის „მელია" კი მაშინ სულ ჰინდენბურგთან დაძვრებოდა. იგი ხედავდა, რომ „მიხრწნილი პრეზიდენტი" უკმაყოფილი იყო შლაიხერის პოლიტიკით. მერე ეს უკმაყოფილება სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდა. „წინდაუხედავი" შლაიხერი თავისი „ეკონომიური რეფორმებით" ჰინდენბურგის „სასიცოცხლო ინტერესებს" შეეხო. ერთ-ერთ „საპროგრამო გამოსვლაში" მან მიმართა გერმანელ ხალხს:

— დაივიწყეთ, რომ გენერალი ვარ. მე არც კაპიტალიზმი მინდა და არც სოციალიზმი. ჩემი მიზანია ბრძოლა უმუშევრობასთან, მსხვილი მემამულეების შევიწროება და გლეხებისათვის მიწის დარიგება!..

ჰინდენბურგმა ეს, რა თქმა უნდა, იწყინა, რადგან თვითონ

იყო ყველაზე მსხვილი მემამულე. ნოიდეკში მას 80 000 აკრი მიწა ჰქონდა. შლაიხერის მიერ მომზადებული დეკრეტი კი მოითხოვდა მსხვილი მემამულეების მიწების ნაწილობრივ კონფისკაციას და 25 000 გლეხისთვის დარიგებას. ამან აამხედრა მემამულეთა კლასი. მსხვილი მემამულეები (იუნკრები) შეიკრიბნენ და საპროტესტო არზა გადასცეს პრეზიდენტს, თან 450 000 მარკა მიართვეს... არა, ქრთამად კი არა, „საახალწლო საჩუქრად", ვითომ „ნოიდეკის მამულის" ფინანსური სიძნელეების მოსაწესრიგებლად".

ჰინდენბურგს „საჩუქარზე" უარი არ უთქვამს. პირიქით, ნიშნად მადლობისა, მემამულეთა დელეგაციას შეჰპირდა, შლაიხერს ნებას არ მივცემ თავისი „ბოლშევიკური დეკრეტი" განახორციელოსო.

შლაიხერი კი მაინც თავისას განაგრძობდა. მან მსხვილი მემამულეების ძალით დაბეგვრაც მოითხოვა, უნდოდა აეძულებინა ისინი გადაეხადათ „სახელმწიფო დავალიანება", რაც რამდენიმე მილიონ მარკას შეადგენდა. ამან კიდევ უფრო გააცოფა ჰინდენბურგი, რადგან მასაც საკმაოდ დიდი თანხა ჰქონდა გადასახდელი. მდგომარეობა გამწვავდა და ჰინდენბურგმა იხმო თავისთან „ის გათავხედებული" შლაიხერი. მან ჯერ დატუქსა იგი ამგვარი „ბოლშევიკური დეკრეტის შედგენისათვის", მერე კი ჰკითხა:

— თქვენ მართლაც გაქვთ გადაწყვეტილი, რომ ეს დეკრეტი რაიხსტაგს წარუდგინოთ?

— დიახ, — მიუგო შლაიხერმა, — და თუ დეპუტატები არ დაამტკიცებენ მას, მინდა გთხოვოთ უფლება დავითხოვო რაიხსტაგი!..

მოთმინებიდან გამოსულმა ჰინდენბურგმა ჯოხი დაარტყა იატაკს და იყვირა:

— თუ თქვენ არა გაქვთ საკმაო ძალა, ბოლო მოუღოთ ამ ლაყბობას „სახელმწიფო ვალის" შესახებ, გირჩევნიათ, გადადგეთ! მე არ მოგცემთ რაიხსტაგის დათხოვნის ნებას!..

შლაიხერი გაფითრდა. იგი მაშინვე მიხვდა, რომ იმ წუთიდან მისი მთავრობა ჰაერში იყო ჩამოკიდებული.

ჰიტლერელებმაც იგრძნეს ამ დაძაბული სიტუაციის ხელ-

საყრელობა და ახლა ამ „მესამე მაშველ რგოლსაც“ მისწვდნენ. მერე საქმეში პრეზიდენტის უფროსი ვაჟი — ნაცისტი ოსკარიც ჩარიეს. შლაიხერის „ბოლშევიკური დეკრეტი“ მის, როგორც ნოიდეკელი მემამულის მემკვიდრის, ინტერესებსაც ეხებოდა. ამანაც შეუწყო ხელი „სამთა კავშირის“ შეკვრას. ჰიტლერი, პაპენი და ჰინდენბურგი, თავისი ვაჟით ოსკარით წარმოდგენილი, ერთ პლატფორმაზე აღმოჩნდნენ. ისინი შეხვდნენ კიდეც ქურდულად ერთმანეთს რიბენტროპის სახლში. იქვე იყვნენ გერინგი და ფრიკი. ხანმოკლე საუბრის შემდეგ ჰიტლერი და ოსკარ ჰინდენბურგი ცალკე ოთახში განმარტოვდნენ და საათზე მეტი იჩურჩულეს. რაზე? არავინ იცისო, ამბობენ. მაგრამ განა ეს ასე ძნელი მისახვედრია?

როგორც კი ჰიტლერმა ძალაუფლება იგდო ხელთ, მაშინვე 5000 აკრი მიწა მიუმატა ჰინდენბურგების ისედაც ვრცელ მამულს, ხოლო ოსკარს გენერალ-მაიორის ჩინი უბოძა...

...ამ ჭუჭყიანი საქმით ყველაზე უფრო ჰიტლერმა ისარგებლა. როგორც კი გაიგო „ნოიდეკელი მემამულის“ ჰინდენბურგის გულისწყრომის მიზეზი, სასწრაფოდ გამოაცხო დეკლარაციები და ოქროს მთებს შეჰპირდა იუნკრებს. ჰინდენბურგთან თავისი მესამე აუდიენციის დროსაც გამოიყენა ეს ფაქტორი. კანცლერობის კანდიდატებთან შეხვედრისას პრეზიდენტი პირველ რიგში მემამულეებთან დამოკიდებულების საკითხს არკვევდა. ჰიტლერთან შეხვედრის დროსაც ასე მოიქცა:

— როგორია თქვენი აგრარული პროგრამა? — ჰკითხა მან კანცლერობის მაძიებელს.

ჰიტლერს უკვე „დაყნოსილი ჰქონდა სიტუაცია“ და ისე ვარდისფრად დაუხატა მსხვილი მემამულეების მომავალი, რომ კმაყოფილმა ჰინდენბურგმა თავი ვეღარ შეიკავა და თქვა: „აი, ეს გონივრული პოლიტიკაა“.

ვიღაც ანონიმი გენერალი, რომელიც ამ ამბების კურსში იყო, წერდა: „რა ადვილია ამ ბებერის გასულელება. თუკი მას სუსტ ადგილს მოუძებნიო“.

ჰიტლერმა მართლაც მოუძებნა „იმ ბებერს“ სუსტი ადგილი.

ამის შემდეგ იყო, ჰიტლერი თავის თანამებრძოლებს რომ უამბობდა, პრეზიდენტის სიმპათია მოვიპოვეო. ანონიმი გენერალი კი ასე აფასებდა ამ „პოლიტიკური ბანქოს თამაშს“:

— მე მრცხვენია, როცა ვუყურებ როგორ იქმნება გერმანიის პოლიტიკა: პირადი ინტერესები და სხვა არაფერი, გარდა პირადი ინტერესებისა! ამ ხალხს სულაც არ აწუხებს, ასეთმა პოლიტიკამ რომ შეიძლება ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანოს...

...გასაგებია, რომ ამის შემდეგ შლაიხერი სულ გაირიყა. მის გარშემო ინტრიგების ისეთი ქსელი დაიბლანდა, რომ იარაღიც დაყარა. 28 იანვარს იგი გამოცხადდა კიდეც პრეზიდენტის სასახლეში და ითხოვა გადადგომა:

— მე 57 დღე ვიყავი კანცლერის თანამდებობაზე და გადავიტანე 57 ღალატი! — თქვა მან.

ჰინდენბურგს, რა თქმა უნდა, გაუხარდა შლაიხერის გადადგომა, რაც გამოხატა მაღალფარდოვანი, მაგრამ მაინც სანტიმენტალური სიტყვებით:

— მე ცალი ფეხი უკვე სამარეში მიდგას, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ შემდეგში იქ, ზეცაში, არ მომიხდება მივესალმო თქვენს გადაწყვეტილებას გადადგომის შესახებ...

ჰინდენბურგის ამ გესლიან სიტყვებს შლაიხერი არანაკლები სარკაზმით შეხვდა:

— არც მე ვარ, ბატონო პრეზიდენტო, დარწმუნებული, რომ ამ გზით თქვენ ზეცაში მოხვდებით! — თქვა მან და მაშინვე დატოვა პრეზიდენტის სასახლე...

ახლა უკვე სამუდამოდ...

...ამასობაში ჰიტლერი კიდევ უფრო მიეძალა ხელისუფლებას. პაპენი კი სულ მუქარაზე გადავიდა: „ან კონსტიტუციის დარღვევა და სამოქალაქო ომი, ან მთავრობა ჰიტლერის მეთაურობით“, — წარუდგინა მან ულტიმატუმი ჰინდენბურგს. მერე მიხრწნილ პრეზიდენტს ისიც ჩააწვეთეს ყურში, რომ „მზადდებოდა პოლიტიკური შეთქმულება მის წინააღმდეგ“... ამ „შეთქმულების“ მოწყობა გენერლებს შლაიხერსა

და ჰამერშტაინს დააბრალეს, ვითომ მათ რაიხსვერის ერთგული ნაწილებისა და მოიერიშეთა უკმაყოფილო ელემენტების საშუალებით პრეზიდენტის დაპატიმრება უნდოდათ. ვინ მოაწყო ეს პროვოკაცია, არც ისე ძნელი დასადგენია:

29 იანვარს, ღამით, ჰიტლერი თავის თანამებრძოლებთან ერთად ნებივრობდა გებელსის სახლში. მას განსაკუთრებით მოსწონდა მაგდა გებელსის ნამცხვრები და ამიტომაც იყო ასე ხშირი სტუმარი ამ ოჯახში. იმ დღესაც შეიკრიბნენ გებელსებთან. ყველა კარგ ხასიათზე იყო. სუფრული საუბრის დროს სიტყვა ისევ „განგების ნებასა“ და ჰოროსკოპების წინასწარმეტყველებაზე ჩამოვარდა. ამ მაგიურ-მისტიკურ მსჯელობაში უცებ საზოგადოება „თულეს“ ძველი წევრი გერინგიც ჩაერია და მართლაც წინასწარმეტყველის ტონით ახარა ჰიტლერს:

— ჩემო ფიურერ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ თქვენ გახდებით კანცლერი!

ამან კიდევ უფრო სასიამოვნო ატმოსფერო შექმნა. სასურველი ყველამ სინამდვილედ მიიღო და ჰიტლერი შეუდგა ქადაგებას, თუ როგორ მოაწყობდა „თავის მესამე იმპერიას“...

ამ დროს შემოვიდა ვერნერ ფონ ალვერსლებენი და მოიტანა „სენსაციური ცნობა“: შლაიხერი და ჰამერშტაინი შეკავშირდნენ, პოცდამის გარნიზონი ფეხზე დააყენეს და უნდათ პრეზიდენტის სასახლეს ალყა შემოარტყან, რომ ჰინდენბურგი დააპატიმრონ და სამხედრო დიქტატურა გამოაცხადონო.

ჰიტლერმა მაშინვე ატეხა ისტერიული განგაში. გერინგი პრეზიდენტის სასახლისაკენ გაიქცა და, ყოველ შემთხვევისათვის, ბაღში ჩადგა ყარაულად. ჰელდორფმა ფეხზე დააყენა ბერლინის მოიერიშეთა რაზმები. ნაცისტმა მაიორმა ვეკემ ვილჰელმშტრასეზე გამოიყვანა პოლიციის ექვსი ბატალიონი.

ეს სულ ტყუილი აურზაური იყო. არც პრეზიდენტის დაპატიმრებას აპირებდა ვინმე და არც დიქტატურის გამოცხადებას. „შეიძლება ჰქონდათ ასეთი აზრი“, — ამბობენ ზოგიერთები, მაგრამ საქმით არავის არაფერი გაუკეთებია...

... დილით ისევ პაპენი გაჩნდა ჰინდენბურგთან და გამოცდილი ჯაშუშივით ჩაუმარცვლა ყველაფერი.

თუ ვისი დავალებით მოქმედებდა იგი, არც ესაა დიდი გამოცანა. ჰიტლერი არც მალავდა ამას. 1942 წლის 21 მაისს. სადილობის შემდეგ ჩვეულებრივი სეირნობის დროს, ბერჰტესგადენში, მან უთხრა თავის სტუმრებს:

— მე ვიცოდი შლაიხერისა და ჰამერშტაინის ცდა აემხედრებინათ რაიჰსვერი...

ჰიტლერმა თქვა, „ნაციონალ-სოციალისტების წინააღმდეგო“, მაგრამ ჰინდენბურგს უთხრეს, რომ ეს „ამბოხება“ მის წინააღმდეგაა მიმართული. ესეც აშკარად განაცხადა ჰიტლერმა:

— მე პაპენის საშუალებით შევუთვალე ამის შესახებ პრეზიდენტს... რის შემდეგაც იგი მე მიმწერდა მხარს.

მართლაც, „მოსალოდნელი ამბოხებით“ შეშინებულმა პრეზიდენტმა მეოთხედ იხმო „ყავისფერხალათიანების ბელადი“...

...30 იანვარს, შუადღით, ჰიტლერის თანამებრძოლნი ისხდნენ სასტუმრო „კაიზერსჰოფში“ და უცდიდნენ ჰინდენბურგისა და ჰიტლერის მოლაპარაკების შედეგს. ათასობით მოიერიშენი გამზადებული იყვნენ, ესესელებიც. ყველა ელოდა გადამწყვეტ ნიშანს. გებელსი წერს თავის დღიურში, თუ რა ტანჯვა იყო მათთვის ეს ლოდინი, რომელიც ორ საათს გაგრძელდა. ისხდნენ მდუმარენი და უცდიდნენ „სანუკვარ ცნობას“.

ორი საათის შემდეგ მოვიდა ჰიტლერი ისე გაოგნებული, რომ ხმა არ ამოუღია. სხვებიც გაილურსნენ. მერე მის თვალებზე სიხარულის ცრემლები შენიშნეს და მიხვდნენ, რომ ჰინდენბურგმა ორი ბატი კი არა, გერმანიის ბედ-იღბალი ჩააბარა მას...

შაბაში ბროკენის მთაზე...

როგორც კი ჰიტლერმა ძალაუფლება იგდო ხელთ, მაშინვე დაიწყო შაბაში ბროკენის მთაზე. ამდენი ხნის დაგროვილმა ბოღმამ ერთად იფეთქა. 30 იანვარს დაიწყო ვალპურგის ღამე.

ნაცისტები მოედვნენ ქუჩებსა და მოედნებს. დღედაღამ გრძელდებოდა ყავისფერხალათიანების აღლუმები. მოჰქონდათ დროშები, შტანდარტები, ემბლემები. რაიხსტაგის გარშემო ზღვა ხალხი ირეოდა. ვილჰელმშტრასე აივსო მოიერიშეებით. მერე დაიწყო ცერემონიული სვლა ჩირაღდნებით.

თავისი გადაწყვეტილების სისწორეში ჯერაც შეეჭვებული ჰინდენბურგი ძლივს ადგა სავარძლიდან და საკუთარი რეზიდენციის ფანჯარასთან მივიდა. ძირს ყავისფერხალათიანების აღლუმი მიმდინარეობდა. უნტერ დენ ლინდენი განათებული იყო ჩირაღდნებით. ორკესტრი განუწყვეტლივ უკრავდა სამხედრო მარშებს. აქა-იქ ჰორსტ ვესელის სიმღერასაც ღრიალებდნენ.

პრეზიდენტი ერთხანს გაოგნებული შესცქეროდა ამ გრანდიოზულ პროცესიას, მერე სახეზე თანდათან ღიმილი გადაეფინა და ნაცისტურ მარშებს თავისი განუყრელი ჯოხის რიტმული კაკუნი ააყოლა...

ჰიტლერი კი, რაიჰსტაგის აივანზე მდგარი, იღებდა აღლუმს. იგი რომაელი იმპერატორივით წინ ხელგაშვერილი იდგა და ზეიმობდა თავის გამარჯვებას. ესესელები და მოიერიშენი ნაცისტური შეძახილებით ესალმებოდნენ თავიანთ ფიუერერს. აღგზნებული ბრბო ველურ ვაკხანალიას ეძლეოდა. ეს სწორედ ის გაშმაგებამდე მისული ექსტაზი იყო, რომლის გამოყენებას ყოველთვის ცდილობდა ჰიტლერი. ქუჩები და მოედნები ზანზარებდა შეძახილებით — „ჰაილ ჰიტლერ“. ტუჩებმოკუმული ჰიტლერი კი ცოცხალ ქანდაკებად იდგა აივანზე და... ფიქრობდა შურისძიებაზე. იგი გრძნობდა, თუ რა შორს დარჩა პერიოდი, როდესაც. ყველაფერში ხელმოცარული, ბრაზისაგან დორბლს ყრიდა და „ხალიჩას სძოვდა“.

ახლა ის დიდების ზენიტზე იყო. თავი ვერ შეიკავა და თქვა კიდეც, ეს დღე ყველაზე ბედნიერი იქნებაო ჩემს ცხოვრებაში...

...მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები აფრთხილებდნენ მაშინ გერმანელებს, რომ ყოველივე ამას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვესო, მაგრამ ვინ შეისმინა! იმთავითვე გაშლილ

მძლავრ ანტიფაშისტურ მოძრაობას რომ თავი დავანებოთ, თვით ჰიტლერის ყოფილმა თანამებრძოლმა გენერალმა ლუდენდორფმა ნაცისტური რეჟიმის დამყარების მეორე დღესვე ასეთი დეპეშა გაუგზავნა პრეზიდენტ ჰინდენბურგს:

— მე თქვენ საზეიმოდ გიწინასწარმეტყველებთ, რომ ეს ბედკრული ადამიანი უფსკრულში გადაჩეხს ჩვენს იმპერიას, უსაზღვრო უბედურებას დაატეხს თავს გერმანელ ხალხს და მომავლის ისტორია შეაჩვენებს თქვენს საფლავს, რომ ეს ჩაიდინეთ!

მილიონობით კეთილი ნების ადამიანი გამოთქვამდა მაშინ ასეთ აზრს. იბრძოდნენ კიდეც ამ „ყავისფერი ჭირის“ წინააღმდეგ, მაგრამ ბოროტების ძალა უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ჰიტლერი ისე დანიშნეს კანცლერად, რომ ხმების უმრავლესობაც არ მიუღია არც პრეზიდენტის არჩევნებში და არც რაიხსტაგში. რაიხსტაგის პირველივე სხდომას შეეძლო უნდობლობა გამოეცხადებინა მისთვის და გაეგაყენებინა კანცლერის თანამდებობიდან, მაგრამ ნაცისტებმა ყოველგვარი მოსალოდნელი უსიამოვნება გაითვალისწინეს და ჰიტლერის დანიშვნის მეორე დღესვე, 1933 წლის 31 იანვარს, დაითხოვეს რაიხსტაგი. ეს კონსტიტუციური უკანონობა იყო. შემდეგ ამას ათი იმდენი მოჰყვა. ნიურნბერგის პროცესის წინაშე გადაიშალა ამ უკანონობათა შემზარავი სურათი, რაც ფორმულირებულ იქნა როგორც „ხელისუფლების ძალით მიტაცება, ანუ შეთქმულება“. იმპერიის მთავრობაც ამის გამო დასვეს საბრალდებო სკამზე. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. 28 თებერვალს პრეზიდენტ ჰინდენბურგს ხელი მოაწერინეს დეკრეტზე თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებათა გარანტიის გაუქმების შესახებ. ამით ყოველგვარ უკანონობას გაესსნა გზა. თავისუფლება და დემოკრატია სახელმწიფო დანაშაულად გამოცხადდა. ნამდვილ არჩევნებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტი იყო. ეს არც ნაცისტურ პარტიას უნდოდა და არც მათ მფარველებს -- მსხვილ მრეწველებსა და ბანკირებს. ახალი სუბსიდიების მისაღებად გერინგმა ასეთი წერილიც მისწერა შახტს:

„მრეწველებს, უეჭველია, უფრო გაუადვილდებათ გაიღონ ის მსხვერპლი, რასაც ვითხოვთ, თუ გაითვალისწინებენ,

რომ 5 მარტის არჩევნები იქნება უკანასკნელი მომდევნო 10 და, შესაძლებელია, 100 წლის განმავლობაში“.

მიუხედავად სასტიკი ტერორისა, რაიხსტაგის ახალი შემადგენლობის არჩევნების დროს, 1933 წლის 5 მარტს, ჰიტლერელებმა უმრავლესობა მაინც ვერ მიიღეს. 647 დეპუტატიდან მხოლოდ 288 იყო ჰიტლერელი. მაგრამ ამან ვერ შეაკრთო ისინი. იმავე 1933 წლის 24 მარტს მიღებულ იქნა „ხალხისა და იმპერიის დაცვის კანონი“, რითაც გაუქმდა ყოველგვარი კონსტიტუციური უფლებები და გარანტიები.

26 აპრილს გერინგმა პრუსიაში შექმნა საიდუმლო პოლიცია (გესტაპო), რომელმაც შემდეგ ინკვიზიციის მთელი საშინელებანი დაჩრდილა. დაიწყო პრევენტიული დაპატიმრებანი. გაუქმდა რაიხსტაგის დეპუტატთა ხელშეუხებლობის კანონი. რამდენიმე ღამეში თითქმის ყველა კომუნისტი დეპუტატი დააპატიმრეს და ძალაუფლება განიმტკიცეს. მერე დატრიალდნენ და ერთ-ორ თვეში „ოპოზიცია“ მოსპეს. მაშინ გაიხსნა პირველი საკონცენტრაციო ბანაკები. დახაუმაც მაშინ გაითქვა თავისი საშინელებებით სახელი. ჰიტლერი ამბობდა, თქვენ იმოქმედეთ და საბაბს მე მოგცემთო. ასეც მოხდა. 27 თებერვალს, ღამით, რაიხსტაგს ცეცხლი წაუკიდეს. ამ პროვოკაციული აქტის მეორე დღესვე ჰიტლერმა ჰკითხა რაუშნინგს:

— ნახეთ როგორ დაწვეს რაიხსტაგი?

— არა, ჩემო ფიურერ, ჯერ არ მინახავს, — მიუგო რაუშნინგმა.

— წადით და ნახეთ! ეს არის კაცობრიობის ახალი ეპოქის დასაწყისის ჩირაღდანი!

გერმანელი ნერონების ასეთი მოქმედების მიზანი ადვილად გამჟღავნდა, მაგრამ გამარჯვების საზეიმო განწყობილებამ ერთბაშად არია წინასწარ ჩაწყობილი კარტები. ერთი საათით ადრე, ვიდრე ხანძარი გაჩნდებოდა, მოუთმენელმა მოიერიშეთა რაზმებმა ბერლინის ქუჩებში საპროტესტო დემონსტრაციები მოაწყვეს „კომუნისტების მიერ რაიხსტაგის დაწვის გამო“.

შემდეგ ამ ინსცენირების ერთ-ერთმა ავტორმა გერინგმაც გასცა თავისი თავი. ცეცხლის გაჩენისთანავე მან წინდაუხე-

დავად იყვირა, ეს კომუნისტების საქმეაო. მერე მთელმა მსოფლიომ გაიგო, ვისი საქმეც იყო ეს. ნიურნბერგის პროცესზე კი ამ ბნელ საქმეს სავსებით აეხადა ფარდა. გამოირკვა, რომ გვირაბით, რომელიც გერინგის სახლიდან რაიჰსტაგის შენობაში შედიოდა, სამმა ესესელმა — ერნსტმა, ჰელდორფმა და ჰაინესმა შეიტანეს საწვავი მასალა და ცეცხლი წაუკიდეს საქტო დარბაზს. გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა ჰალდერმა პროცესზე დაკითხვის დროს აჩვენა: გერინგმა პირადად მე მითხრა, რომ რაიჰსტაგის ხანძარი ჩემი მოწყობილიაო. ერთ დროს არც თვითონ გერინგი მალავდა ამას, ტრაბახობდა კიდეც, მეორე ნერონი ვარო. სადღაც, დოკუმენტურ ჩანაწერებში, ასეთ ცნობასაც წავაწყდი: გერინგი და გებელსი ერთმანეთთან დაობდნენ, ვის ეკუთვნოდა რაიჰსტაგის დაწვის „წმინდა_პროპაგანდისტული იდეა“.

შეიძლება იდეა მართლაც გებელსს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ პროვოკაციის ორგანიზატორი მაინც გერინგი იყო და რომისათვის ცეცხლის წამკიდებელი ნერონის ეკლის გვირგვინიც მას ერგო...

ცრუ ნერონი...

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ეს ადრეც გარკვეული იყო, ნიურნბერგის პროცესზე გერინგმა მაინც სცადა განზე გადგომა, მაგრამ ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯექსონმა არ მისცა ამის საშუალება:

ჯ ე ქ ს ო ნ ი: თქვენ უკვე გქონდათ გამზადებული კომუნისტური მოღვაწეების სია, შემდგომ მათი დაპატიმრების მიზნით, ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ხანძარი მოხდებოდა. ასეა, არა?

გ ე რ ი ნ გ ი: ჩვენ გვქონდა სიები კომუნისტი მოღვაწეებისა, რომელნიც დაპატიმრებული უნდა ყოფილიყვნენ. ეს სიები შედგენილი იყო რაიჰსტაგის ხანძრისაგან სრულიად დამოუკიდებლად.

ჯ ე ქ ს ო ნ ი: თქვენ და ფიურერი შეხვდით ერთმანეთს ხანძრის დროს, არა?

გ ე რ ი ნ გ ი: დიახ!

ჯ ე კ ს ო ნ ი: და თქვენ იქვე, ადგილობრივ, გადაწყვიტეთ დაგეპატიმრებინათ-ყველა კომუნისტი შედგენილი სიის მიხედვით?

გ ე რ ი ნ გ ი: მე ერთხელ კიდევ ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ეს სიები შედგენილი იყო დიდი ხნით ადრე. მაგრამ გადაწყვეტილება მათი დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ მიღებულ იქნა იმ ღამით. ჩემთვის უმჯობესი იყო ერთი-ორი დღე დამეცადა. მაშინ კი ხელიდან ვერ გამისხლტებოდა ის რამდენიმე მნიშვნელოვანი კომუნისტი ხელმძღვანელი, რომლებმაც მოახერხეს მიმალვა.

ჯ ე კ ს ო ნ ი: მეორე დილით პრეზიდენტ ფონ ჰინდენბურგს წარუდგინეთ კანონპროექტი კონსტიტუციურ ცვლილებათა შესახებ, რაზედაც აქ იყო ლაპარაკი. ასეა, არა?

გ ე რ ი ნ გ ი: ვფიქრობ, ასეა!

ჯ ე კ ს ო ნ ი: ვინ იყო კარლ ერნსტი?

გ ე რ ი ნ გ ი: მე არ ვიცი კარლი ერქვა თუ არა, მაგრამ ვიცი, რომ ერნსტი მოიერიშეთა რაზმების ხელმძღვანელი იყო ბერლინში.

ჯ ე კ ს ო ნ ი: ვინ არის ჰელდორფი?

გ ე რ ი ნ გ ი: ჰელდორფი უფრო გვიან დაინიშნა ბერლინის მოიერიშეთა რაზმების ხელმძღვანელად.

ჯ ე კ ს ო ნ ი: ჰაინესი ვინღაა?

გ ე რ ი ნ გ ი: ჰაინესი მაშინ სილეზიის მოიერიშეთა რაზმების უფროსი იყო.

ჯ ე კ ს ო ნ ი: თქვენთვის ხომ ცნობილია, რომ ერნსტმა განაცხადა და აღიარა, ამ სამმა წავუკიდეთო ცეცხლი რაიჰსტაგს და რომ თქვენ და გებელსმა შეადგინეთ ამის გეგმა, თქვენვე მიეცით მათ საწვავი მასალა — თხევადი ფოსფორი და ნავთი, რაც დადეთ მიწისქვეშა გვირაბში, რომელიც თქვენს სახლს აერთებს რაიჰსტაგთან. იცნობთ თუ არა ამ განცხადებას?

გ ე რ ი ნ გ ი: მე არ ვიცნობ მოიერიშეთა რაზმების ხელმძღვანელის ერნსტის რამე განცხადებას, მაგრამ მე ვიცი, რაც

ბ-ნ რემის შოფრის რომანის შესახებ 1934 წელს გამოქვეყნდა უცხოეთის პრესაში.

ჯ ე კ ს ო ნ ი: თქვენი სახლიდან რაიხსტაგში შედიოდა სპეციალური მიწისქვეშა გასასვლელი, არა?

გ ე რ ი ნ გ ი: ქუჩის ერთ მხარეს დგას რაიხსტაგის შენობა, მის პირდაპირ იმპერიის პრეზიდენტის სასახლეა. ორივე შენობა შეერთებულია გვირაბით, საიდანაც შეაქვთ კოქსი ცენტრალური გათბობისათვის.

ჯ ე კ ს ო ნ ი: როდისმე დაგიტრაბახებიათ თუ არა, თუნდაც ხუმრობით, რომ თქვენ წაუკიდეთ ცეცხლი რაიხსტაგს?

გ ე რ ი ნ გ ი: არა, მე მხოლოდ ვიხუმრე ერთხელ, თუკი თქვენ სწორედ ამ ხუმრობას გულისხმობთ, რომ კონკურენციას ვუწევ ნერონს...

ჯ ე კ ს ო ნ ი: მაშასადამე, არასოდეს გაგიცხადებიათ, რომ ცეცხლი წაუკიდეთ რაიხსტაგს?

გ ე რ ი ნ გ ი: არა. მე ვიცი, რომ ბ-ნი რაუშნინგი თავის წიგნში, რომლის ციტირებასაც აქ რამდენიმეჯერ მიმართეს, წერს, თითქოს მე ვესაუბრე მას ამის შესახებ. მე ბ-ნი რაუშნინგი მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვნახე ორჯერ, ისიც შემთხვევით. მე რომ ცეცხლი წამეკიდებინა რაიხსტაგის შენობისათვის, ამას მხოლოდ ვიწრო წრეში ვაღიარებდი, თუკი, საერთოდ, ვიტყოდი რამეს ამის შესახებ. მაგრამ კაცისათვის, რომელსაც მე სრულიად არ ვიცნობ და არც ვიცი როგორ გამოიყურება, არ შემეძლო ეს მეთქვა.

ჯ ე კ ს ო ნ ი: გახსოვთ საუზმე ჰიტლერის დაბადების დღეს, 1942 წელს? ეს იყო ფიურერის მთავარ შტაბში, აღმოსავლეთ პრუსიაში, ოფიცერთა კლუბში. ეს იყო საუზმე ოფიცერთა პატივსაცემად.

გ ე რ ი ნ გ ი: არა.

ჯ ე კ ს ო ნ ი: არ გახსოვთ? მაშინ მე ვითხოვ გიჩვენონ გენერალ ფრანც ჰალდერის წერილობითი ჩვენება. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება მის ნათქვამს, რამაც შეიძლება გაგახსენოთ ეს. მე ვკითხულობ:

„საერთო საუზმეზე ფიურერის დაბადების დღეს, 1942 წელს, ლაპარაკი იყო რაიხსტაგის შენობისა და მისი მხატვრუ-

ლი ღირებულების შესახებ. მე საკუთარი ყურით გავიგონე როგორ ჩაერია საუბარში გერინგი და თქვა:

— ერთადერთი კაცი, რომელმაც კარგად იცის რაიჰსტაგის შენობა, ეს მე ვარ, რადგან მე წავუკიდე მას ცეცხლი. — თქვა თუ არა ეს გერინგმა, ბარძაყებზე დაირტყა ხელი...

ბრალდებულმა ესეც უარყო, ასეთი საუბარი არ ყოფილაო, მაგრამ ცარიელი უარყოფა რას უშველიდა, როცა ცოცხალი მოწმე ჰალდერი იქვე, ნიურნბერგში, იმყოფებოდა...

ნაცნობი უცნობი...

იმ დღეს მე სხდომათა დარბაზში ვიყავი, მაგრამ გერინგის დაკითხვა დიდ ინტერესს აღარ იწვევდა, რადგან ლაიფციგის პროცესის ამბავი ადრეც გარკვეული იყო. დავალებაც არაფერი მქონდა და ბუფეტში გამოვედი. აქ ინგლისელი, ამერიკელი და ფრანგი ოფიცრები ირეოდნენ. დარბაზი სავსე იყო უცხოელი კორესპონდენტებით. ეტყობოდათ, არც მათ აინტერესებდათ რაიჰსტაგის დაწვის „ძველი ამბავი". იქაურობა მივათვალიერ-მოვათვალიერე და უკან გაბრუნებას ვაპირებდი, რომ ჩემი ყურადღება ერთმა საშუალო ტანის ქერა კორესპონდენტმა მიიქცია. იგი რატომღაც აღგზნებულად დარბოდა აქეთ-იქით, ნერვიულობდა, ხან ერთ ოფიცერს გამოელაპარაკებოდა, ხან მეორეს. შევხედე თუ არა, გაოცებული დავრჩი: მეგონა, ქართველი მწერალი იროდიონ ქავჟარაძე ჩამოსულა-მეთქი. საიდან? როგორ? აზრად არ მომდიოდა, ისე კი ვიცოდი, პატივცემული იროდიონი ფრანგულ ენას რომ ფლობს, მაგრამ აქ საიდან გაჩნდა, ვერ მივმხვდარიყავი. მე მას სალაპარაკოდ არც თბილისში ვიცნობდი და უცებ მისვლა მომერიდა, ისე ახლოს კი დავუდექი, იქნებ მან მიცნოს და გამომელაპარაკოს-მეთქი. როგორც ჩანს, იმანაც შეამჩნია, ასე დაჟინებით რომ ვუყურებდი, და ჩემკენ წამოვიდა. მე გული ამიძგერდა, ეს არის თბილისელ ნაცნობს შევხვდი-მეთქი, რომ მან პირდაპირ მკლავში ჩამავლო ხელი, გვერდზე გამიყვანა და ფრანგულად მკითხა:

— ბატონი რუსი ოფიცერი რომელ ევროპულ ენაზე ლაპარაკობს?

— გერმანულად და ინგლისურად, გაჭირვებისას ფრანგულადაც, ისე კი მირჩევნია გერმანულად, — ვუპასუხე მე და უკვე შევეშვდი ჩემს იმედებში...

— კეთილი, — მითხრა მან და გერმანულად დამიწყო ლაპარაკი, — ვიცნობდეთ ერთმანეთს! მე ბელგიელი კორესპონდენტი გახლავართ. მინდა ერთი რამ გკითხოთ...

ახლა სულ დავიბენი. ნუთუ შეიძლება კაცი კაცს ასე ჰგავდეს?! იქნებ თვალი მატყუებს? არა. მსგავსება პირდაპირ გასაოცარია! ის კი მკლავზე ხელს არ მიშვებს და მეუბნება:

— ლაიფციგის პროცესის ამბები გახსოვთ?

— ისე, ბუნდოვნად, — ვუპასუხე: — მე მაშინ ყმაწვილი ვიყავი და ასეთი საქმეებისადმი მაინცდამაინც დიდი ინტერესი არ მქონია.

— სამწუხაროა, — თქვა მან. — შეიძლება გახსოვთ, რომ იმ პროცესზე გერინგი მოწმედ იყო გამოძახებული.

— ეს კი მახსოვს.

— იქნებ ისიც გაგახსენდეთ, რა ინციდენტი მოხდა მაშინ.

— არ ვიცი, რაზე ბრძანებთ, — გავიკვირვე მე.

— ახლავე გაგახსენებთ, — თქვა მან და მკლავზე ისე მომიჭირა ხელი, თითქოს ეშინოდა, არ გამექცესო.

— ბრძანეთ! — მივუგე მე.

— ო, ეს ძალიან საინტერესო ამბავია, ბატონო! როცა გერინგი მოწმის ტრიბუნაზე იდგა, ერთმა კორესპონდენტმა ქანდარიდან დაიძახა: „გერინგ, თქვენ ახლა სასამართლოს წინაშე დგახართ როგორც მოწმე, მაგრამ მე მოვესწრები იმ დღეს, როცა განსასჯელთა სკამზეც გიხილავთ!“

ეს კი მართლა გამახსენდა, რადგან ამაზე მაშინ ბევრი იწერებოდა. გერმანულ ჟურნალ „AJZ“-საც ვღებულობდი და იქაც იყო ეს ამბავი აღწერილი. მინდოდა რაღაც მეთქვა კიდეც, მაგრამ არ დამაცადა, ისე განაგრძო:

— ამაზე საშინელი ალიაქოთი ატყდა, სასამართლოს თავმჯდომარემ პროცესი შეაჩერა და ის კორესპონდენტი გააძევეს დარბაზიდან...

— დიახ, ასე იყო, — ჩავურთე მე.

— მერე იცით, ის კორესპონდენტი ვინ იყო?

— არა, ეგ კი არ ვიცი, — ვუპასუხე მე, რადგან მართლაც არ ვიცოდი.

— მე გახლდით, დიახ, მე. წარმოგიდგენიათ? მე თვითონ!.. ახლა ხომ ხედავთ, მოვესწარი კიდეც ამ დღეს, ყოფილი რაიხსმარშალი რომ განსასჯელთა სკამზე ზის... მე კი ისევ კორესპონდენტად ვარ ჩამოსული... თავს ვერ ვიკავებ, მინდა ახლაც ავდგე და დავიყვირო:

— გერინგ, ხომ გახსოვთ, ლაიფციგის პროცესის დროს რომ გიწინასწარმეტყველეთ, განსასჯელთა სკამზე გიხილავთ-მეთქი. მაგრამ მეშინია ახლაც არ გამაძევონ დარბაზიდან... თქვენ როგორ გგონიათ: რომ დავიძახო, რას მიზამენ?..

— ლოურენსი ისეთი მკაცრი თავმჯდომარეა, რომ, რა ვიცი, ალბათ ახლაც ისე მოიქცევიან, — ვუთხარი მე, რადგან ეჭვიც არ მეპარებოდა, ეს რომ ასე იქნებოდა...

— სამწუხაროა, სამწუხარო! — მომაძახა მან, მკლავზე ხელი შემიშვა და, არც დამმშვიდობებია, ისე გაეკიდა ვიღაცას...

...საქმე კი რაიხსტაგის შენობის დაწვას როდი ეხებოდა. ეს მხოლოდ საბაბი იყო ოპოზიციური პარტიების, პირველ რიგში კი კომუნისტური პარტიის მოსასპობად. თვით ნაცისტური პრესის ცნობით, ძალაუფლების ხელში ჩაგდებიდან ნახევარი წლის განმავლობაში, 18 ათასი კომუნისტი იქნა დაპატიმრებული. ასევე — სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებიც. მათი უმრავლესობა დახოცეს გესტაპოს ჯურღმულებში, სხვები კი გერინგის მიერ დაარსებულ საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს...

... დაიწყო ახალი ეტაპი „მესამე იმპერიაში". ადრინდელი დაპირებები და რევოლუციური ლოზუნგები დავიწყებას მიეცა. დარჩა ძველი აბრა „მუშათა ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა". 1934 წლის ივლისში რაიჰენჰალეში ჰიტლერმა განაცხადა, რომ „რევოლუცია დამთავრდა".

— მეურნეობის დარგში არავითარი რევოლუციური მეთოდი არ უნდა იქნეს გამოყენებული, — თქვა მან. — რევოლუცია არ შეიძლება პერმანენტული იყოს. საჭიროა რევოლუციური ნაკადი ჩაყენებულ იქნეს ევოლუციის კალაპოტში.

ამის შემდეგ ჰიტლერმა მკაცრად უარყო ოტო შტრასერის წინადადება მსხვილი მრეწველობის ნაწილობრივი ნაციონალიზაციის შესახებ. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ „ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგი მხოლოდ ნიღაბი იყო ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. მრეწველები, ბანკირები და იუნკერ-მემამულეებიც დარწმუნდნენ, რომ ტყუილად არ დაუხარჯავთ მილიონები ჰიტლერის პარტიისათვის. ჰიტლერმაც კარგად იცოდა, რა ნიადაგზედაც იდგა მისი სავარძელი. ამიტომ იმავე შტრასერის კითხვაზე — „მინისტრების სავარძლები, თუ რევოლუცია?“ — კატეგორიულად უპასუხა:

— სავარძლები!..

... ჰიტლერმა კი ბისმარკის მარტო სავარძელი კი არ მიიღო, არამედ მისივე ბინაში ჩასახლდა, რაიხსტაგის შენობაში, და მაშინვე გამოამჟღავნა ქედმაღლური დამოკიდებულება „რკინის კანცლერისადმი“. მან დაუყოვნებლივ გამოყარა ამ ბინიდან ბისმარკისეული რელიკვიები, მისი პირადი ნივთები, ავეჯიც და საკუთარი ესკიზების მიხედვით გააკეთებინა ყველაფერი. ხელოვნების საკითხებში ბისმარკი საოცარი პროფანი იყოო, ამბობდა ჰიტლერი. მერე მან ბისმარკის საყვარელი ასწლოვანი მუხები ააჩეხვინა რაიხსტაგის ბაღში, რომ აუზები და შადრევნები მოეწყო. არც ისტორიულად ცნობილი Unter den Linden (ცაცხვების ხეივანი) დაინდო და ერთ დღეში გააკაფვინა ყველაფერი... აღლუმების მოსაწყობად...

ტყე და ნაფოტები...

დადგა საერთო შურისძიების დროც. სპეციალური დეკრეტით დათხოვნილ იქნა ყველა პოლიტიკური პარტია, გარ-

და ნაცისტურისა. ჰიტლერამდე 38 სხვადასხვა პარტია იყო გერმანიაში. ჰიტლერის შემდეგ დარჩა ერთი. ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. 1914 წელს ვილჰელმ მეორემ უნტერ დენ ლინდენზე, თავისი სასახლის აივნიდან, ასე მიმართა ხალხს:

— ომი დავიწყე და დღეიდან არავითარი პარტიები არ არსებობენ, არიან მხოლოდ გერმანელები!

ჰიტლერიც ომისათვის ემზადებოდა. ამიტომ დაერია პარტიებსა და დემოკრატიულ ორგანიზაციებს. დაშლილ იქნა პროფესიული კავშირებიც. ოპოზიციური პარტიების დეპუტატები ჯერ დაითხოვეს რაიხსტაგიდან, შემდეგ კი დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს. ნაცისტების გარდა ყველას აეკრძალა საჯარო გამოსვლა. ფრიკი ადრეც წერდა, რომ მათი მიზანია „ბოლო მოუღონ ამ ჯოჯოხეთურ ბუტაფორიას — პარლამენტს და გზა გაუხსნან რასიულ დიქტატურას“.

ასე შეიქმნა პოლიციური სახელმწიფო და დამყარდა ტოტალიტარული რეჟიმი. ამის შემდეგ სხვა პარტიის ან ორგანიზაციის წევრობა სამშობლოს ღალატად და მტრულ საქმიანობად ითვლებოდა. გერინგმა თქვა:

—ნაციზმის მტრების სახელი ლეგიონია. ამიტომ შეიქმნა საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებშიც მოვათავსეთ ათასობით კომუნისტი და სოციალ-დემოკრატი.

შემდეგში ტერორმა უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო.

პროცესზე ჯეკსონმა განაცხადა:

— ნაცისტურ კანონებს ისეთი ორჭოფული ხასიათი ჰქონდა, რომ ამის მიხედვით თითქმის ყველას დასჯა შეიძლებოდა, თვით სრულიად უდანაშაულოებისაც კი.

ამის მაგალითები მე თქვენ უკვე გიჩვენეთ. აქაც შეგვიძლია დავუმატოთ: იუსტიციის მინისტრის გერტერის განმარტებით, ნაციონალ-სოციალისტები ყოველგვარ მოქმედებას, რომელიც მათი მიზნების წინააღმდეგ იყო მიმართული, განიხილავდნენ როგორც დანაშაულებრივს Suis genesis (თავისი არსებით) და სჯიდნენ მაშინაც, როცა ამას არავითარი „ფორმალური კანონი“ არ ითვალისწინებდა.

მალე, საერთოდ, ყოველგვარმა კანონიერებამ დაკარგა ძალა, მოისპო იურისპრუდენციის დამოუკიდებლობა. კანონს

მხოლოდ იმას უწოდებდნენ, რასაც თვითონ ადგენდნენ. სპეციალურ „სახალხო სასამართლოებში“ ორი მოსამართლე და ხუთი ნაცისტი შედიოდა. ბრალდების მტკიცება სავალდებულოდ არ მიაჩნდათ. ეკვიც საკმარისი იყო სასიკვდილო განაჩენის გამოსატანად.

ტერორი კი დღითიდღე ძლიერდებოდა. კაცს ეგონებოდა, თვით მართლმსაჯულების ქალღმერთი თემიდაც საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსესო. ნაცისტი „მოსამართლენი“ ჰიტლერის წინაშე დებდნენ ფიცს, თანაც ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით:

— ვფიცავ მარადიულ ღმერთს, ვფიცავ სულებს ჩვენი მკვდრებისას, ვფიცავ ყველას, ვინც მსხვერპლად შეეწირა ხალხისათვის მტრულ მართლმსაჯულებას, ვფიცავ გერმანელი ხალხის სულს, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გავყვები ჩემი ფიურერის — ადოლფ ჰიტლერის მიერ ნაჩვენებ გზას...

გერინგი, საერთოდ, არავითარ მართლმსაჯულებას არ ცნობდა, არც კანონიერებას:

— ჩემი ღონისძიებები, — ამბობდა იგი, — არ იქნება შეზღუდული იურიდიული მოსაზრებებითა და ბიუროკრატიული კანონებით. მე არ მჭირდება ვივარჯიშო სამართლიანობის დაცვაში. პირიქით, მე მინდა აღმოვფხვრა ის.

ამისთვის გააძლიერა ტერორი. შპიონაჟი, ღალატი, დასმენა, კონტროლი დააწესა კერძო ტელეფონების ქსელზე და მოსპო პირადი ფოსტის ხელშეუხებლობა. მისი ბრძანებით, ოდნავი ეჭვის შემთხვევაშიც მიმართავდნენ ე. წ. „პრევენტიულ პატიმრობას“ ან განურჩევლად ყრიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში ყოველგვარი სასამართლო პროცედურისა თუ ბრალდების გარეშე. გესტაპო თავს გათავისუფლებულად თვლიდა „პასუხისმგებლობისაგან კანონის წინაშე“. ან რა კანონზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა გერინგმაც კი აღიარა პროცესზე:

„პატიმრებდნენ და პრევენტიულ საპყრობილეებში ათავსებდნენ ადამიანებს, რომელთაც რამე დანაშაული არ

ჰქონდათ ჩადენილი, მაგრამ შეეძლოთ ჩაედინათ, თუკი მათ თავისუფლად გაუშვებდნენ.

მეტიც. გერინგი პოლიციელებს ურიგებდა ბლანკებს, რითაც წინასწარ აძლევდა ამნისტიის გარანტიას ვინმეს მოკვლის შემთხვევაში. „ვინმე“-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ამ ბლანკში შეუვსებელი იყო ადგილი, სადაც შემდეგ მოკლულის სახელი და გვარი უნდა ჩაეწერათ. სულერთი იყო, ვინც იქნებოდა: დამნაშავე, თუ უდანაშაულო... ყველა, ვინც მათი გუმანით „ალმაცერად უყურებდა“ ნაცისტურ მოძრაობას...

— მე მადლობას ვუხდი უფალს, რომ არ ვიცი ობიექტურობა, — ამბობდა გერინგი, — დიახ, მე სუბიექტური ვარ... და როგორც ჯარისკაცი — დარწმუნებული, რომ შეცდომა მეთოდებში უარესი როდია, ვიდრე ჩავარდნა მოქმედებაში. ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივა. შეიძლება ბევრ რამეს არასწორად ვაკეთებდეთ, სამაგიეროდ ვმოქმედებთ აქტიურად და არ ვკარგავთ ნებისყოფას. მე მირჩევნია რამდენადმე შორს ან ახლოს გავისროლო. ვიდრე საჭიროა, მაგრამ ხომ ვისვრი მაინც... ჩემი საქმე სამართლიანობა კი არ არის, არამედ მისი აღმოფხვრა და მოსპობა...

...ასეთი რამ მართლაც არ ახსოვს ისტორიას. არც იმ „გრძელი დანების ღამის“ საშინელების მსგავსი რამ, ერთი დღის განმავლობაში რომ შვიდი ათასი კაცი იმსხვერპლეს და ერთი ამდენიც საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყარეს.

იგივე უნდა ითქვას ებრაელთა ტოტალური ჟლეტის შესახებ, რაც ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა და სახელმწიფო პოლიტიკის განუყრელ ნაწილს შეადგენდა. ანტიებრაული მოძრაობის ამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს მე მინდა ერთი, ვფიქრობ, ფრიად მნიშვნელოვანი „დეტალი“ დავუმატო.

გავრცელებული აზრის მიხედვით, გერმანელი ნაცისტები ამას მხოლოდ რასიული სიძულვილის გამო აკეთებდნენ, ეს კი ასე არ არის. ებრაელთა დახოცვა იმთავითვე გამომდინარეობდა ჩვენთვის უკვე ცნობილი „პროცენტული შეფარდების“ დაცვის „აუცილებლობის“ პოლიტიკიდან. ამ პოლიტიკის განხორციელება ებრაელთა სრული ექსპროპრიაციით უნდა დაწ-

ყებულიყო: მათი აზრით, ეს „ყველაზე უმტკივნეულოდ“ ჩატარდებოდა, რადგან ამას ხელს შეუწყობდა საერთო ანტისემიტური განწყობილება, რაც ასე ფეხმოკიდებული იყო ევროპაში. ამიტომ თქვა ჰიტლერმა: „ებრაელები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ მათი გამოგონება დაგვჭირდებოდაო“. „გამოგონება“ კი, რა თქმა უნდა, არ დასჭირვებიათ, რადგან ევროპაში მაშინ ათ მილიონამდე ებრაელი ცხოვრობდა, რასაც შემდეგ 30 ან 50 მილიონი სლავი მიჰყვებოდა.

ამ „პოლიტიკის“ დასაწყისი იყო ის საშინელი რბევა, ესესელებმა და მოიერიშეებმა რომ მოაწყვეს 1934 წლის 17 ნოემბერს. ერთი ღამის განმავლობაში, ჰაიდრიხის აღიარებით, მათ დაწვეს ან დაანგრიეს 117 სინაგოგა, დალეწეს 7800 მაღაზია, 800 გაძარცვეს, რითაც აურაცხელი ზარალი მიაყენეს მეპატრონეებს. გერმანელებს ზუსტი ანგარიში უყვართ და ისიც გამოითვალეს, რომ მხოლოდ ჩალეწილი მინების ღირებულებამ 6 მილიონი მარკა შეადგინა.

შემდეგ, როგორც ვიცით, თვით ებრაელების ლიკვიდაციაც დაიწყო. ვინც გაქცევა მოასწრო, ემიგრაციაში წავიდა. დანარჩენები საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყარეს. განურჩევლად, რა თქმა უნდა... ან, თუ რამე გარჩევა არსებობდა, ისიც... ჰაიდრიხისებური, რომელმაც ასეთი ბრძანება გასცა:

— ყველა ოლქში დააპატიმრეთ იმდენი ებრაელი, განსაკუთრებით, მდიდრები, რამდენის მოთავსებაც შეიძლება არსებულ საპყრობილეებში. ამჯერად დააპატიმრეთ მხოლოდ ჯანსაღი და შედარებით ახალგაზრდა ებრაელები.

მდიდრები — მათი ქონების დასაუფლებლად, ხოლო ჯანსაღები—საკატორღო სამუშაოებზე გასაგზავნად. აქაც ასეა: მიზანი ამართლებს საშუალებას. დაპატიმრება არა დანაშაულისათვის, არამედ ქონების ჩამოსართმევად და კატორღულ სამუშაოზე გასაგზავნად. ან თუნდაც ისე, „უბრალოდ“ — გასართობად ან სადისტურ მიდრეკილებათა დასაკმაყოფილებლად.

საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით იმდროინდელი იუსტიციის მინისტრიც კი შეაძრწუნა ამან. იგი სწერდა სამხედრო დამნაშავე ფრიკს პატიმრების იმ საშინელი წამების შესახებ,

რასაც ადგილი ჰქონდა გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში. მინისტრი ასეთ შემთხვევებს ორ ჯგუფად ყოფდა:

1. სასტიკი მოპყრობა უმთავრესად პოლიტიკური პატიმრებისადმი, რათა მიიღონ მათგან საჭირო ცნობები.

2. სასტიკი მოპყრობა პატიმრებისადმი გართობისა ან სადიზმის მოტივებით.

რამდენიმე მართლაც შემაძრწუნებელი მაგალითის მოყვანის შემდეგ მინისტრი აღნიშნავდა, რომ ეს შეურაცხყოფს ყოველი გერმანელის გრძნობებს.

ამის პასუხად ფრიკმა „სუსტნერვებიანი" იუსტიციის მინისტრი სულ ჩამოაშორა ამ საქმეებს და ესესის რაიჰსფიუერერ ჰიმლერს დაუქვემდებარა. ჰიმლერი მაშინვე შევიდა თავის უფლებებში და ისეთი ჯოჯოხეთის ცეცხლი დაატრიალა, რომლის წინაშეც ტორკვემადას ინკვიზიციაც კი გაფერმკრთალდა. ათასობით სპობდნენ ან გესტაპოს ჯურღმულებში ყრიდნენ ჰიტლერული რეჟიმის მოწინააღმდეგეებს. საკონცენტრაციო ბანაკები აივსო პატიმრებით, უმთავრესად კომუნისტებით. მერე სახელმწიფო აპარატსაც დაერივნენ და ისეთი „სისხლიანი აბანო" გამართეს, რომ ცა და მიწა შეაძრწუნეს ჩადენილი დანაშაულით...

ზეთქმულება კრეისერზე...

ასეთი დამსჯელი ოპერაციები უმთავრესად მოიერიშეთა რაზმების საშუალებით ტარდებოდა. ამ დროისათვის SA არაჩვეულებრივად გაიზარდა. ჯერ მას ომის ვეტერანთა ორგანიზაცია „ფოლადის მუზარადი" შეუერთდა, რომელშიც ნახევარი მილიონი წევრი ითვლებოდა. ფოლადის მუზარადიანთა მაგალითს ვეტერანთა სხვა ორგანიზაციებმაც მიბაძეს. ასე რომ, 1933 წლის ბოლოს მოიერიშეთა რიცხვი ოთხ მილიონ ნახევარს აღწევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია ერთგულად ახორციელებდა ნაცისტური პარტიის ხელმძღვანელების, პირადად კი ჰიტლერის მითითებებს, მაინც გაჩნდა შიში ამ გრანდიოზული შეიარაღებული ძალის მიმართ, მით უმეტეს, რომ

ბოიერიშეთა შტაბის უფროსად ჰიტლერის მეტოქე კაპიტანი ერნსტ რემი ითვლებოდა. საჭირო გახდა ამ საშიშროების მოსპობა. რაიჰსვერის ხელმძღვანელები და სამხედრო მინისტრი ბლომბერგიც ამ აზრისა იყვნენ. არც მრეწველებს აძლევდათ ხელს მოიერიშეთა შორის გავრცელებული ლოზუნგი: ე. წ. „მეორე რევოლუცია". იცოდნენ, რომ ეს „რევოლუცია" პირველ რიგში მათ წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. მოიერიშეთაგან ბევრი, მართლაც, აშკარად ამბობდა: პირველი რევოლუციით ჩვენ პოლიტიკური ძალაუფლება მოვიპოვეთ, მეორე რევოლუცია კი ეკონომიკის რეორგანიზაციისთვის გვჭირდებაო. ამით ჰიტლერის წინაშე სრულიად გარკვეული დილემა დადგა: მიმხრობოდა თავის „პირველი დღეების მეგობრებს"— მოიერიშეებს და მოეხდინა „მეორე რევოლუცია", თუ გაეწირა თავისი ძველი გვარდია და განეტკიცებინა კავშირი არმიასთან.

ეს საკითხი კიდევ უფრო გაამწვავა პრეზიდენტის ავადმყოფობამ. აპრილის ბოლოდან იგი საბოლოოდ დაემშვიდობა ბერლინს და წავიდა თავის მამულში, ნოიდეკში. ჩქარა ამის შემდეგ იგი ლოგინად ჩავარდა და... შეუდგა ანდერძის წერას. 27 აპრილს გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა პრეზიდენტის ავადმყოფობის შესახებ. ამან კიდევ უფრო ააფორიაქა ჰიტლერი. მან არ იცოდა როგორი იქნებოდა ეს ანდერძი ან 87 წლის პრეზიდენტი ვის დატოვებდა თავის მემკვიდრედ.

ჰიტლერს მაშინ უკვე შემუშავებული ჰქონდა გეგმა: ჰინდენბურგის გარდაცვალების შემდეგ გააერთიანებინა პრეზიდენტისა და კანცლერის თანამდებობები, რომ თვითონ ეგდო ხელთ როგორც სახელმწიფოს, ისე მთავრობის მეთაურობა, რაც ავტომატურად გულისხმობდა შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობასაც. ეს ყველაზე ძლიერი მოტივი იყო, რაც იმ დილემის სასწორზე დადო ჰიტლერმა, და ამის მიხედვითვე მიიღო გადაწყვეტილება მოიერიშეთა ხარჯზე არმიასთან კავშირის განმტკიცების შესახებ...

...მოლაპარაკება კრეისერ „გერმანიაზე" დაიწყო. ჰიტლერი, ბლომბერგი და ფრიჩი შეხვდნენ ერთმანეთს, ვითომ ფლო-

ტის დასათვალიერებლად. ნამდვილად კი საუბარი ჯერ კიკიდევ ცოცხალი ჰინდენბურგის მემკვიდრის საკითხს შეეხო. ჰიტლერმა სრულიად აშკარად განუცხადა გენერლებს თავისი გადაწყვეტილება პრეზიდენტისა და კანცლერის თანამდებობათა გაერთიანების შესახებ. ბლომბერგი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაეთანხმა მას და წამოაყენა კონტრპირობები, უწინარეს ყოვლისა, რაიხსვერის რაოდენობის გაზრდა, მაგრამ არა მოიერიშეთა კონტინგენტიდან.

ამ საკითხზე ბლომბერგს კონფლიქტი ჰქონდა რემთან, რომელიც აპირებდა თავისი მოიერიშეებით „შეეღწია“ რაიხსვერში და მოეპოვებინა გავლენა.

ამაზედაც ადვილად შეთანხმდნენ.

.მერე ჰიტლერმა რიბენტროპი გაგზავნა ევროპის დიდ სახელმწიფოებში რაიხსვერის 700—800 ათას კაცამდე გაზრდის თანხმობის მისაღებად. სამაგიეროდ იგი იძლეოდა პირობას, რომ დაშლიდა მოიერიშეთა რაზმებს. არც ერთ სახელმწიფოს არ უთქვამს ამაზე უარი. მსხვილი კაპიტალისტებიც შეჰპირდნენ ჰიტლერს: სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადებაში მხარს დაგიჭერთ, ოღონდ „გაგვათავისუფლეთ მოიერიშეებისაგანო“. „მეორე რევოლუციის“ შიში ჰქონდათ როგორც ადგილობრივ, ისე საერთოდ ევროპის რეაქციულ-მილიტარისტულ წრეებს. ბოლოს მათ მემამულე იუნკრებიც შეუერთდნენ და ამით წინასწარ გამოუტანეს განაჩენი პრეზიდენტს, მის რესპუბლიკასა და კონსტიტუციას. მოიერიშეები კი პირდაპირ დააწვინეს სასიკვდილო სარეცელზე. საჭირო იყო მხოლოდ საამისო საბაბის გამოძებნა. ამის ოსტატები კი საკმაოდ მოიძებნებოდა ჰიტლერელთა რიგებში.

ვიდრე მოიერიშეებსა და მათ „მეორე რევოლუციასთან“ დამოკიდებულების საკითხი გაურკვეველი იყო, გერინგი მხოლოდ ორეოფულ აზრებს გამოთქვამდა. ასე მაგალითად, 19 ივნისს მან განაცხადა:

— საჭიროა თუ არა მეორე რევოლუცია, ეს ჩვენი ჭკუის საქმე არ არის. პირველი რევოლუცია დაიწყო და დამთავრდა ფიურერის ბრძანებით. თუ ფიურერი ისურვებს მეორე რევოლუციას, ჩვენ მისივე ბრძანებით ხეალვე გამოვალთ ქუჩებში,

ხოლო თუკი იგი ამას არ მოისურვებს, მაშინ თავებს დავაყრევინებთ ყველას, ვინც ფიურერის ნების წინააღმდეგ მოინდომებს ამის გაკეთებას...

ფიურერმა კი, როგორც ცნობილია, არ ისურვა „მეორე რევოლუცია". იგი აშკარად უჭერდა მხარს არმიას და ამბობდა:

— ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, თუ რა წვლილი შეიტანა არმიამ ნაციონალ-სოციალიზმის გამარჯვებაში. რევოლუციის დღეებში არმია რომ ჩვენ გვერდით არ მდგარიყო, არც ახლა შეგვეძლებოდა აქ გაჩერება. მე შემიძლია დავარწმუნო არმია, რომ ამას არასოდეს დავივიწყებთ, რადგან სწორედ არმიაში ვხედავთ ძველი სახელოვანი ტრადიციების მატარებლებს. ჩვენ მთელი გულითა და ძალით დავუჭერთ მხარს მის სულისკვეთებას...

...ჰიტლერი ადრე სულ მოიერიშეებს უწოდებდა „პირველი დღეების მეგობრებს", ახლა კი შეაბრუნა პოლიტიკა და სრულიად აშკარად განაცხადა:

— თუ ჩვენ დაგვჭირდება გადავყაროთ გემის ბაქნიდან პირველი დღეების მეგობრები, კიდეც გავაკეთებთ ამას. ასეთი მსხვერპლი საჭიროა გამარჯვებისათვის. ჩვენ ისე განვმტკიცდით, რომ უკან არ ვიხევთ დაბრკოლებათა წინაშე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე დამცინოდნენ, როცა 15 წლის წინ გამოვაცხადე, ერთ მშვენიერ დღეს გერმანიის სათავეში მოვექცევიმეთქი. დღესაც უაზროდ იცინიან ზოგიერთები, შემდეგშიც ასე ვაპირებ ხელისუფლების სათავეში დგომას-მეთქი, რომ ვამბობ...

ეს უკვე აშკარა მუქარა იყო, რასაც მალე საქმეც მოჰყვა. „საბაბის" შესაქმნელად გაავრცელეს ხმები, რომ ძველმა თანამებრძოლებმა უღალატეს ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობას, აჯანყებას უპირებენ ფიურერს და სისხლიან აბანოს ახურებენო...

როგორც ჩანს, ეს ყველაფერი მოგონილი იყო. მოიერიშეები არავითარ აჯანყებას არ აპირებდნენ. მათი „მეორე რევოლუციის" ლოზუნგებიც არ გამოდიოდა ფიურერისადმი

ერთგულების ფარგლებიდან, მაგრამ... საქმემ მოიტანა და საჭირო გახდა ყოველივე ამის მოგონება, რომ მოიერიშეთა დარბევის საბაბი ჰქონოდათ.

ესესელები და დამსჯელი ორგანიზაციები გაემზადნენ კიდეც თავიანთი „გუშინდელი დღის მეგობრების“ წინააღმდეგ სამოქმედოდ. ყველა გრძნობდა, რომ ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებდა. ჯალათები მახვილს ლესავდნენ თავისივე მსგავსი ჯალათების წინააღმდეგ...

პანდორას ყუთი...

პაპენმა მაისის ბოლოს რომ უკანასკნელად ინახულა ჰინდენბურგი, პრეზიდენტი საშინლად აღელვებული იყო. ეტყობოდა, დაძაბული მდგომარეობის შესახებ საგანგაშო ცნობები მასაც ჰქონდა მიღებული. ალბათ, ნანობდა კიდეც, ის პანდორას ყუთი რომ საკუთარი ხელით გახსნა, მაგრამ უკვე ძალა არაფრისა ჰქონდა. ფრანკენშტაინის ურჩხული ამჟამადაც ემუქრებოდა თავის შემქმნელს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ უკანასკნელ მომენტში ჰინდენბურგმაც სცადა ხალხის თუ არა, ღვთის წინაშე მაინც გამოესყიდა თავისი დანაშაული.

— პაპენ, ცუდად მიდის საქმე. იმოქმედეთ, თუ რამ შეგიძლიათ, — უთხრა მან „თავის მეგობარს“.

პაპენს რა შეეძლო ან რა ძალა ჰქონდა ცარიელი სიტყვების გარდა. დრო იყო, მან თვითონაც შეუწყო ხელი იმ „ყუთის“ გახსნას. ახლა კი ამდენ ცოდვას რითი მოერეოდა. სცადა მაინც ნაბიჯის გადადგმა. 17 ივნისს მარბურგის უნივერსიტეტთა საბჭოს სხდომაზე მან წაიკითხა ცნობილი იურისტისა და მწერლის ედგარ იუნგის მიერ დაწერილი მოხსენება. ამ მოხსენების შედგენაში მონაწილეობდნენ აგრეთვე პაპენის მდივნები ჰერბერტ ფონ ლოზე და ერიჰ კლაუზენერი. პაპენმა მხოლოდ წაიკითხა სხვისი დაწერილი, მაგრამ „თანაგაზიარებული“ დოკუმენტი.

— რაღაც ფარული ამბები ხდება, პრესა კი სწორად არ აშუქებს საქმეთა ვითარებასო, — განაცხადა მან და მთავრობის პოზიციების კრიტიკაზე გადავიდა:

— ერთპარტიული სისტემა შეიძლება მხოლოდ გარდამავალ პერიოდში იყოს. რევოლუცია დამთავრდა. საჭიროა შეწყდეს ტერორი, აღდგეს ნორმალური ცხოვრება, სიტყვისა და პრესის თავისუფლება...

ეს მოხსენება ყუმბარასავით გასკდა. იგი დაიბეჭდა გაზეთ „Völkischer Beobachter"-ში. მაგრამ გებელსი დროზე დატრიალდა. მისი განკარგულებით, გაზეთის მთელი ტირაჟის კონფისკაცია მოახდინეს. აიკრძალა მოხსენების რადიოთი გადაცემა.

ჰიტლერმა რომ პაპენის სიტყვის შესახებ გაიგო, სულ ცოფი ყარა:

— პიგმეებს ჰგონიათ, რომ ამგვარი სიტყვებით შეაჩერებენ ხალხის გიგანტურ მოძრაობას, — განაცხადა მან.

ამაზე პაპენიც გაცხარდა. ვიდრე „მისი მეგობარი" ჰინდენბურგი ცოცხალი იყო, ზურგი მაგარი ჰქონდა და კიდევაც აგრძნობინებდა ამას ყველას. 20 ივნისს იგი შეხვდა ჰიტლერს და განუცხადა, რომ ყველაფერი პრეზიდენტის ნებართვით იყო ნათქვამი. ისიც დაუმატა, 23 ივნისს პირადად ვნახავო მას.

ჰიტლერმა ისედაც იცოდა, რომ პრეზიდენტი უკმაყოფილო იყო, და თვითონ დაასწრო პაპენს. იგი ბლომბერგთან ერთად მეორე დღესვე ჩაფრინდა ნოიდეკში.

პრეზიდენტმა ცივად მიიღო კანცლერი, მხოლოდ რამდენიმე წუთი დაუთმო საუბრისათვის და უბრძანა დაუყოვნებლივ მოეღო ბოლო დაძაბულობისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში არმიას გადავცემო კონტროლის უფლებას, — უთხრა მას და ისე გაისტუმრა, რომ არც კი დამშვიდობებია...

...ჰიტლერი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ საჭირო იყო სწრაფი და გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. პრეზიდენტის ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა. უკანასკნელ მომენტში მას შეეძლო მართლაც გადაეცა არმიისათვის კონტროლი მთავრობის მოქმედებაზე ან აღედგინა მონარქია, რაზედაც უკვე

იყო ლაპარაკი პრეზიდენტის სასახლის კულტურებში. თავის მხრივ, არმიაც მოითხოვდა კრეისერ „გერმანიაზე“ მოიერიშეთა წინააღმდეგ მიღწეული შეთანხმების შესრულებას...

...ნოიდეკიდან ბერლინში რომ ჩაფრინდა, გერინგმა და ჰიმლერმა კიდევ უფრო გაახელეს ისედაც ცოფმორეული ჰიტლერი:

— მოიერიშეები აჯანყებას ამზადებენ თქვენ წინააღმდეგ, — თქვა გერინგმა.

— მათ თქვენი მოკვლა აქვთ გადაწყვეტილი! — შეუნთო ცეცხლი ჰიმლერმა.

ჰიტლერმა დაიჯერა ეს და სამივენი დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოიერიშეთა დარბევის გეგმის შედგენას. განზრახული იყო 25 ივნისს რუდოლფ ჰესი გამოსულიყო რადიოთი და გადმოესროლა მოწოდება „სამშობლოსა და ფიურერის“ მოღალატე მოიერიშეებისაგან დაცვის შესახებ. მაგრამ მერე უფრო ფარული მოქმედების გეგმა ირჩიეს.

29 ივნისს ბლომბერგმა პრესის საშუალებით გამოაცხადა, არმია მხარს უჭერს ჰიტლერსო, და საგანგაშო მდგომარეობის სიგნალი მისცა. გერინგმა ფრანკონიიდან ჩამოიყვანა ესესელთა სპეციალური რაზმები, ჰიმლერმა ფეხზე დააყენა პოლიცია...

ყველა ეძებდა საბაბს გასწორებოდნენ არა მარტო მოიერიშეთა ხელმძღვანელებს, არამედ ძველ მტრებსა და მეტოქეებსაც...

გრძელი დანეგის ღამე....

მთელი მსოფლიო შეაძრწუნა 30 ივნისის სისხლიანი ღამის ამბებმა. ოპერაციებს პირადად ჰიტლერი და გერინგი ხელმძღვანელობდნენ: პირველი — სამხრეთ გერმანიაში, ხოლო მეორე — ბერლინსა და მის მიდამოებში. წინა დღით, ვითომ არაფერი, ჰიტლერი ესენწში გაფრინდა გაულაიტერ ტერბოვენის ქორწილზე. მან თან გაიყოლია გებელსი, რადგან კარგად

იცოდა, „დიდი იოსები“ ბერლინში რომ დაეტოვებინა, გერინგი პირველ რიგში სწორედ მას მოსპობდა. „რკინის ჰერმანს“ თვალის დასანახავად სძულდა ეს „ფიურერის სულში ჩამძვრალი უკუდო მაიმუნი“. სხვებიც დასცინოდნენ, მის გასაგონადაც იტყოდნენ: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“, „ბრმების სახლში კოჭლიც ბედაურიაო“ და სხვა ამგვართ. გებელსი ამას ყურადღებას არ აქცევდა. გერინგს ადრევე განზრახული ჰქონდა გზიდან ჩამოეშორებინა იგი და ახლა უნდოდა რომთან ერთად მოესპო იმ „გრძელი დანების ღამეს“, მაგრამ ჰიტლერმა გამოაცალა ხელიდან.

ასე გადაურჩა „დიდი იოსები“ „რკინის ჰერმანის“ რისხვას...

...მიუნხენში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, დაინიშნა მოიერიშეთა რაზმების მეთაურთა შეხვედრა ჰიტლერთან. დათქმულ დროს ყველანი შეიკრიბნენ დარბაზში და უზარმაზარი მაგიდის გარშემო დასხდნენ. მაშინ ყურადღება არავის მიუქცევია, რომ ყოველი მათგანის გვერდით ადგილი დაიკავეს „ვიღაცეებმა“, ვისაც ისინი არც იცნობდნენ. მსახურები ლუდითა და ღვინოთი უმასპინძლდებოდნენ შეკრებილთ, რომელნიც უცდიდნენ ფიურერის მოსვლას. კარგა ხანი გავიდა. ჰიტლერი კი არ ჩანდა. მხოლოდ ნაშუაღამევს დარეკეს აეროდრომიდან, რომ იგი ჩამოფრინდა. გაულაიტერ ვაგნერის ნიშანზე ის „ვიღაცეები“ წამოსტნენ და უცებ განაიარაღეს მოიერიშეთა მეთაურები. მერე რევოლვერების სახელურებითა და ბოთლებით მიესივნენ მათ და დახოცეს.

ფიურერი რომ დარბაზში შემოვიდა, უკვე ყველანი იატაკზე ეყარნენ და სისხლის მორევში ცურავდნენ. ის კი დინჯშემოყრილი იდგა კარებთან და ტკბებოდა ამ სანახაობით.

შემდეგ ჰიტლერი ვითომ ბერლინისაკენ გაფრინდა, მაგრამ ჰაერში მოულოდნელად შეცვალა მიმართულება და იმ ქალაქში ამოყო თავი, სადაც ერნსტ რემი ისვენებდა.

1956 წელს გამოქვეყნდა ი. რიბენტროპის პოლიტიკური დღიურები, სადაც ეს სცენა ასეა აღწერილი:

რაიხსკანცლერი ღამით, ქურდულად, პროფესიონალი მკვლელების თანხლებით თვითონ მიადგა რემის ოთახს სასტუმროში და ფრთხილად დააკაკუნა.

— ვინ არის? — მოისმა შიგნიდან.

ჰიტლერმა ხმა შეიცვალა:

— დეპეშაა მიუნჰენიდან!

კარები გაიღო. ჰიტლერი და მისი განგსტერები შეიჭრნენ რემის ოთახში, სადაც იგი „თავის ბიჭთან“ იწვა, გადმოათრიეს ლოგინიდან, დააპატიმრეს და შტატელჰაიმის ციხეში ჩააგდეს. აქ უკვე ჰიტლერის სხვა „მეგობრებიც“ იყვნენ, ძველი თანამებრძოლები. ჰიტლერი თვითონ მივიდა ციხეში და ტუსაღები გაამწკრივეს მის წინაშე.

— ძაღლებო! მოღალატეებო! — იყვირა მან და დაუმატა:

— სიკვდილი ყველას!

მისი ბრძანება უმალვე იქნა შესრულებული. მხოლოდ რემს როგორც ოფიცერს დაუტოვეს თავის მოსაკლავად რევოლვერი. რემმა უარი თქვა „ასეთი სამსახური გაეწია ადოლფისათვის“.

ერთი საათის შემდეგ მის საკანში ბავარიის მაშინდელი იუსტიციის მინისტრი ჰანს ფრანკი შევიდა.

— რა მოხდა?! — ჰკითხა გაოცებულმა რემმა მინისტრს. — ამ დილით თვითონ ჰიტლერმა დამაპატიმრა. პირდაპირ ლოგინიდან გადმომათრიეს. ეტყობა, ის ჩემი მტრების გავლენის ქვეშაა მოქცეული. მე ჯარისკაცი ვარ და არ მეშინია... იმას ვთხოვთ მხოლოდ, რომ ჩემს ბავშვებს მიხედოთ...

ამასობაში ციხის ეზოში დახვრეტები დაიწყო. SA-ს ორასი მეთაური უცდიდა თავის ხვედრ ტყვიას. რემიც მიხვდა, რომ კარგი დღე არ მოელოდა, და ნერვების დასაწყნარებლად, ყავა მომიტანეთო, ითხოვა. მოუტანეს თუნუქის თასით, მაგრამ დაიწუნა, მე ნამდვილი ყავა მინდა და არა რაღაც მღვრიე ნათითხნიო.

ამასობაში რემის საკანის კარებიც გაიღო და შეიარაღებულმა ესესელმა დაიძახა:

— აბა, შტაბის უფროსო, მოემზადე!..

რემი საკანის ცენტრში დადგა და თვალები დახუჭა.

—„მიცემისამებრ მისისა მიეგოს მას!..“— თქვა ვიღაცამ.

— ცეცხლი! — დაიძახა მეორემ.

ორივემ ერთად ესროლა და ეს ამოდენა კაცი მოცელილივით დაეცა ქვის იატაკზე.

— ჩემო ფიურერ, ჩემო ფიურერ! — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები!..

ასე გაუსწორდა ჰიტლერი თავის „პირველ შემქმნელს“— ფრანკენშტაინ-რემს. მან ადრეც სცადა მოეშორებინა ეს „საშიში მეტოქე“. დაავალა კიდეც ჰიმლერს „საქმის მოგვარება“. ჰიმლერის აგენტებმა სწორედ მაშინ ესროლეს რემს, როცა იგი ჰიტლერთან ერთად მიდიოდა მანქანით, მაგრამ ნიშანში ვერ მოახვედრეს და მხოლოდ მსუბუქად დაჭრეს. ჰიტლერმა ტირილი მორთო ამ „სამწუხარო ინციდენტის გამო“, მაგრამ რემი ყველაფერს მიხვდა და ჰიმლერს წერილიც მისწერა:

— გლახაკო, როცა ასეთ საქმეს აკეთებ, უკეთესი მსროლელები უნდა შეარჩიო!..

...გერინგმა იმავე ღამეს „რკინის მუშტით“ მოსპო „ოპოზიცია“ ბერლინში. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მოკლეს რაიჰსვერის შტაბის უფროსი, ყოფილი რაიჰსკანცლერი და ევა ბრაუნის მომტაცებელი გენერალი შლაიხერი მეუღლითურთ, აგრეთვე — ჰიტლერის ადრინდელი თანამებრძოლები გრეგორ შტრასერი და მიუნჰენის პუტჩის მონაწილე გუსტავ ფონ კაპი. შემდეგ იმათ დაერივნენ, ვინც რაიჰსტაგის დაწვის საიდუმლოებაში იყო განდობილი და კვალის დასაფარავად ყველა გაჟლიტეს, გარდა ჰელდორფისა, რომელმაც მოახერხა მიმალვა. ჰაინესს რომ ხვრეტდნენ, ყვიროდა: რაიჰსტაგი დამაწვევინეთ და ახლა მხვრეტთო! იგი ტყვიებით ჩააჩუმეს ესესელებმა. თვითონაც ეშინოდათ: ამათ დახვრეტებს რომ მოვრჩებით, მერე ჩვენც მიგვაყოლებენო. ჰაინესის ჭლექიანი ძმა შინ იყო, როცა დააპატიმრეს. დედა იხვეწებოდა, ეს მაინც დამიტოვეთო. წაიყვანეს, მოკლეს, მერე დაწვეს და ურნით ფერფლი გაუგზავნეს დედამისს.

კაარი თავისივე სახლში დახვრიტეს, გვამი კი მდინარეში გადააგდეს. ისინიც დახოცეს, ვინც 1923 წელს ჰიტლერს ასა-

მართლებდა მიუნჰენში პუტჩის მოწყობის გამო. „ბრძოლის ფიურერის“ მაშინდელი დამცველი ფრანკი კი დააწინაურეს.

მერე საიდანღაც საქორწინო მოგზაურობაში მყოფი „ქალბატონი“ კარლ ერნსტი დააპატიმრეს და ხელფეხშეკრული ჩამოიყვანეს ბერლინში თვითმფრინავით. იცინოდა, ხუმრობენ ან გაუგებრობაა. ლიჰტერვალდეში გააქანეს და დახვრიტეს. თან ვიღაცეები ეშლებოდათ. ერთის მაგივრად მეორეს ხვრეტდნენ, ცალ-ცალკე ან ჯგუფურად. ჯერ გაამწკრივებდნენ, მერე ესესის ოფიცერი დაიძახებდა:

— მოემზადეთ! ასე სურს ფიურერს! ცეცხლი!..

ერთ „სეანსს“ რომ ჩაატარებდნენ, მეორის მოსამზადებლად გარბოდნენ.

ზოგს თავისივე სახლში კლავდნენ, ზოგსაც — სამუშაო კაბინეტში, ბაღში, ეზოში, ქუჩაში.

სისხლი თურმე მართლა ახელებს ადამიანს! ამ ორომტრიალში პირადი მტრებიც ჩამოაშორეს. არც ისინი დაივიწყეს, „ვისგანაც რამე წყენა ახსოვდათ“. ჰიტლერი არც მალავდა ამას და ყვიროდა:

— ხომ დამცინოდით, ჩუმ-ჩუმად ხითხითებდით, გიჟს, გაუთლელსა და გაუნათლებელს მეძახდით, ტლუ პროვინციელს... არ მოგწონდათ ჩემი ტლანქი მანერები... ახლა გიჩვენებთ, ვინ ყოფილა ადოლფ ჰიტლერი!..

...ამბობენ, სიტყვა თესლია, საქმე კი—ნაყოფიო. ჰიტლერი უჩვენებდა კიდეც თავისი სიტყვების ნაყოფს: თუ ვინმე თვალში ჰყავდა ამოღებული, ყველას ხოცავდა. სხვებიც მას აჰყვნენ. ისეთი ვინ იყო, გულში რომ ვინმეს ჯავრი არ ჰქონოდა ჩაგუბებული. დრო იხელთეს და შეუდგნენ კიდეც ანგარიშის სწორებას. ჯერ რამე მიზეზს მოუდებდნენ მსხვერპლს, მერე კი გააქრობდნენ.

რომელიღაც პროფესორმა ნაცისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე წიგნი დაწერა დეფექტურ ბავშვებზე და მაგალითისათვის გებელსი მოიყვანა. იმ დღეებში გაზეთებმა გამოაცხადეს, რომ იმ „პროფესორმა თავი მოიკლა“.

ასეთივე „თვითმკვლელობით“ დაასრულა სიცოცხლე გრა-

იფსვალდის უნივერსიტეტის პროფესორმა ფორსტერმა, რომელმაც ადრე ცნობა გასცა რუსტის, შემდეგში განათლების მინისტრის, „ფსიქიკური ანორმალობის“ შესახებ.

არც გერინგმა დაივიწყა ისინი, ვინც მას მკურნალობდა როგორც მორფინისტს. თვითონ ჰიტლერმა კი სულ „პირწმინდად აღგავა“ ყველა, ვისგანაც რამე შეურაცხყოფა ახსოვდა. დიდი დღე არც იმ შტუმპელეს მისცეს, ვინც თავის დროზე გადაწერა და სტილისტურადაც გაასწორა ჰიტლერის „უწიგნური წიგნი“ („ჩემი ბრძოლა“). მაგრამ ეს მაინც „წვრილმანები“ იყო...

...მთავარი ლინჩი გერინგის რეზიდენციაში გაიმართა. ესესელებს მოჰყავდათ მოიერიშეთა გაქაჩული მეთაურები, გენერლები, უფროსი ოფიცრები, სამოქალაქო პირებიც, ბრალიანი თუ უბრალო, ამის განკითხვაში არავინ შედიოდა. შეიყვანდნენ თუ არა ვინმეს გერინგის კაბინეტში, ის, ჰიმლერი, ჰაიდრიხი და სტატს-მდივანი კერნერი რამდენიმე წამით თავს მიადებდნენ ერთმანეთს, იჩურჩულებდნენ, მერე წელში გაიმართებოდნენ და ის დოღრიალა გერინგი იყვირებდა:

— მოაშორეთ ეს ღორი! დახვრიტეთ!..

ეს ვითომ სასამართლოს განაჩენი იყო. სიკვდილმისჯილს წაიყვანდნენ და ხვრეტდნენ. თუ ვინმე გაძალიანდებოდა, იქვე მოკლავდნენ, — ირგვლივ ამნაირად მოკლულთა გვამები ეყარა. მარმარილოს კიბეებზე სისხლი თქრიალით ჩამოდიოდა. არავინ იცოდა ვის ხვრეტენ, რატომ ხვრეტენ. გენერალ კაშეს პირდაპირ ქუჩაში სტაცეს ხელი და ისე შეათრიეს გერინგის კაბინეტში. საწყალს შიშისაგან მუხლები არ ემორჩილებოდა, არც იცოდა, რას ემართლებოდნენ.

— დახვრიტეთ! — იღრიალა გერინგმა და...

კაშე გაიყვანეს, მაგრამ იგი როგორღაც გაუსხლტა ხელიდან მცველებს.

ეს ის კაშეა, შემდეგში გერინგისავე წინადადებით „მოსკოვის კომისრად“ რომ დაინიშნა.

პოლ შულცს ექვსი ტყვია ესროლეს, მაგრამ იგი მაინც გაიქცა. ეს რომ ჰიტლერმა გაიგო, გაიკვირვა, შულცს რას ერჩოდით, ის ჩემი მეგობარიაო, და თავისი პირადი ექიმი გაუგზავნა. ვიღაც შმიდტი შემთხვევით დახვრიტეს და ცოლს ბოდიში მოუხადეს, შეგვეშალაო.

მერე წინასწარ შედგენილი სიები ამოიღეს. გვარებს არც კითხულობდნენ. გერინგი ღრიალებდა მხოლოდ:

— ნომერი პირველი — დახვრიტეთ!

— ნომერი მეორე — დახვრიტეთ!

— ნომერი მესამე — დახვრიტეთ!

— მეოთხე... მეხუთე... მეათე... ორმოცდამეათე!.. და ასე შემდეგ...

მერე მართლაც საოცრება ხდება! გერინგისათვის მოაქვთ საზეიმო მუნდირი. მოჰყავთ მისი პირადი ფოტოგრაფი. გერინგი ახალ მუნდირს იცვამს და ერთხანს სარკის წინ ვარჯიშობს, სხვადასხვა პოზას იღებს. მერე ფოტოგრაფების წინ დგება და სურათებს იღებს...

ისტორიისათვის!..

...ამასობაში ჰიტლერიც მორჩა „თავის სამოქმედო უბანში“ დახვრეტებს და გამოფრინდა მიუნჰენიდან. გვიან ღამით ტემპელჰოფის აეროდრომზე დაეშვა მისი თვითმფრინავი. ტრაპთან მივიდნენ გერინგი, ჰიმლერი, კერნერი, ფრიკი, დალუგე და პოლიციის ოცი ოფიცერი.

თვითმფრინავიდან პირველი ჰიტლერი ჩამოდის: შავი ქუდი, შავი პალტო, მაღალყელიანი შავი ჩექმები, ხელში მათრახი, გაუპარსავი, დაღლილი სახე და ჩასისხლიანებული თვალები. მას უკან გებელსი მოჰყვება და შეშინებული უყურებს იმ „ყოვლისშემძლე“ ტრიუმვირატს: ჰიტლერს, გერინგს, ჰიმლერს.

ჰიტლერი ჩაუვლის საპატიო ყარაულს, ჯდება მანქანაში და ქალაქისაკენ მიეშურება.

„მეორე რევოლუცია“ დამთავრდა.

ამბობენ, ჰინდენბურგი შეძრწუნებული იყო იმ „გრძელი დანების ღამით“, მაგრამ 87 წელს მიღწეულ პრეზიდენტს იმის გამბედაობა არ ეყო, რომ დროზე აელაგმა მის მიერვე კანცლერად დანიშნული „თავგასული ეფრეიტორი“. შესაძლებელია 30 ივნისის საშინელი ამბების შემდეგ კიდეც მოინდომა ეს, მაგრამ ფორტუნამ არც ამ შემთხვევაში უღალატა ჰიტლერს...

1934 წლის 2 აგვისტოს ჰინდენბურგი გარდაიცვალა... სწორედ მაშინ, როცა ეს ჰიტლერს უნდოდა.

ახლა უკვე ძნელი სათქმელია, ბუნებრივი სიკვდილი იყო ეს, თუ სხვა რამ. ზედმეტი ეჭვი უადგილოა, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა ამის შესახებ. პრესაში გამოქვეყნდა სხვადასხვაგვარი ვერსია პრეზიდენტის გარდაცვალებაზე. ეს იმისდა მიხედვით, თუ ვის რა უწყობდა ხელს.

პირველი ვერსიის მიხედვით, სასიკვდილო სარეცელზე მყოფი პრეზიდენტის ოთახში მარტო ჰიტლერი იყო. როცა ჰინდენბურგის ვაჟმა ოსკარმა მოინდომა მომაკვდავ მამასთან შესვლა, არ შეუშვეს.

მეორე ვერსია ამტკიცებს, რომ, პირიქით, სწორედ ოსკარ ჰინდენბურგი იდგა მომაკვდავი მამის სასთუმალთან, როცა ჰიტლერი შევიდა პრეზიდენტთან.

ასეთ დეტალებსაც გადმოსცემენ:

— მამა, კანცლერი მოვიდა, — უთხრა ოსკარმა უკვე სასომიხდილ მოხუცს.

ჰინდენბურგი არ განძრეულა. ოსკარმა ერთხელ კიდევ გაიმეორა თავისი სიტყვები.

— რატომ აქამდე არ მოვიდა? — ძლივს წარმოთქვა პრეზიდენტმა.

— კანცლერს არ შეეძლო ადრე მოსვლა, — მიუგო ოსკარმა.

— ჰო, გავიგე, — წაიჩურჩულა მომაკვდავმა.

მერე თვითონ ოსკარი ყვება, აქის შემდეგ მამამ ერთხელ

კიდეც გაახილა თვალი... შეხედა ჰიტლერს და მიიცვალაო.

არსებობს აზრი, რომ ოსკარმა მიცვალებული მამის შესახებ სიმართლის თქმას „თავისი სათაყვანებელი ფიურერის“ მაამებლობა არჩიაო. ვინ იცის, ასეა ეს თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი და, მე მგონი, ყველაზე სარწმუნო ვერსიაც არსებობს:

ჰიტლერი რომ ჰინდენბურგთან შევიდა, იქ მხოლოდ ექიმი და პრეზიდენტის ორი ქალიშვილი იყო. მომაკვდავს უკვე აგონია ჰქონდა დაწყებული და ვერავის ცნობდა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო:

— ჩემო კაიზერ! ჩემო გერმანულო სამშობლოვ!..

...ეს იყო 1934 წლის 2 აგვისტოს დილის 9 საათზე. პრეზიდენტი ისე მოკვდა, რომ მისი ნამდვილი ანდერძი ვერავინ გაიგო. ამაზედაც დიდი ხმაური ატყდა მაშინ, მაგრამ ნასკვის თავი ვერავინ იპოვა. ეს ამბავი დღემდეც საიდუმლოებითაა მოცული. ვიცით მხოლოდ, რომ ანდერძის მანქანაზე გადაბეჭდილი ასლი (და არა, წესისამებრ, საკუთარი ხელით დაწერილი დედანი) „იპოვნა“ მისმა ვაჟმა ოსკარმა. კონვერტზე დაბეჭდილი იყო: „ეს ანდერძი ჩემმა ვაჟმა ოსკარმა გადასცეს რაიჰსკანცლერს“. ოსკარმა კი ის „რატომღაც“ ჰიტლერის მაგივრად ვიცე-კანცლერ პაპენს გადასცა. როგორც ჩანს, პაპენმა თვითონ გახსნა კონვერტი და მხოლოდ ამის შემდეგ „დაუბრუნა“ ჰიტლერს. იმავე დღეს პაპენს აპყარეს ყველა უფლება და შემდეგ დააპატიმრეს კიდეც. იმასაც ამბობენ, პაპენს ფიცის ქვეშ დაადებინეს პირობა, რომ არასოდეს გაემხილა პრეზიდენტის ანდერძის ნამდვილი შინაარსი, და ამან იხსნა სიკვდილით დასჯისაგანო. შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ ფიცით შეკრულ პაპენს არც ნიურნბერგის პროცესზე დასცდენია რამე ამის თაობაზე...

...მსოფლიო პრესა კი დაჟინებით მოითხოვდა პასუხს კითხვებზე:

1. რატომ გადასცეს ჰიტლერს ერთი თვის დაგვიანებით ჰინდენბურგის ანდერძი?

2. ვინ გახსნა კონვერტი?

3. სად არის ანდერძის დედანი?

ჟურნალისტები მოითხოვდნენ ანდერძის სრული ტექსტის გამოქვეყნებას დედნის მიხედვით და პრეზიდენტის ფაქსიმილეთი. ამით ყოველგვარ ეჭვს მოეღებოდა ბოლო, მაგრამ ჰიტლერმა „რატომღაც“ არ ისურვა ეს. არც ასეთ კითხვებზე გაუცია ვინმეს პასუხი: პრეზიდენტმა თვითონ დაწერა ანდერძი, თუ სხვას უკარნახა? რატომ მოხდა რომ ეს ანდერძი მხოლოდ ერთი თვის შემდეგ და ისიც სწორედ ჰიტლერის პლებისციტის წინ გამოქვეყნდა?

ყოველივე ეს, როგორც მოგახსენეთ, დღემდე ბნელითაა მოცული. არავინ იცის, როგორი იყო ნამდვილი ანდერძი. გამოქვეყნებული ტექსტი კი როგორღაც შეკოწიწებულია. მის დასაწყისში გადმოწერილია ადგილები ჰინდენბურგის მიერ ჯერ კიდევ 1919 წელს დაწერილი ანდერძიდან:

— გერმანიაა ცენტრი, სადაც თავს იყრის და საიდანაც გადის ამოუწურავი საგანძური კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციისა, — წერია ორივე ანდერძში. — იგი არ დაიღუპება, ვიდრე ექნება რწმენა თავისი მსოფლიო-ისტორიული დანიშნულებისა... მსოფლიოს ჩვენ გარშემო დიდხანს არ ესმოდა, რომ გერმანიამ უნდა იცოცხლოს არა მარტო თავისთვის, არამედ დასავლეთის კულტურისა და მთელი მსოფლიოს ინტერესებისათვის.

შემდეგ, როგორც ამბობენ, ჰინდენბურგი დაჟინებით მოითხოვდა მონარქიის აღდგენას, მაგრამ „ვიღაცეებმა“ ანდერძი შეამოკლეს და შეასწორეს, რა თქმა უნდა, ისე, როგორც ჰიტლერს უწყობდა ხელს.

იყო დრო, როცა მონარქიის აღდგენაზე ჰიტლერიც ლაპარაკობდა, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით, რომ მონარქისტებიც თავის მხარეზე ჰყოლოდა. იმასაც ამბობდა, 16 წლის პრინცი ალექსანდრე იქნებაო კაიზერის მემკვიდრე. ალექსანდრეს მამა, აუგუსტ-ვილჰელმი, ჰიტლერის ფანატიკური მომხრე იყო. იგი „მოიერიშეთა“ რაზმ-

შიც“ ჩაეწერა და ერთგულად იცავდა „თავის ფიურერს“. ჰიტლერს სხვა პრინცებთანაც ჰქონდა კავშირი. ერთხელ სადღაც სალონში ყოფილ იმპერატრიცას ჰერმინესაც შეხვდა. მერე კრონ-პრინცესა ცეცილიაც მიიწვია ჩაიზე... თავის მხრივ, პრინცესამაც გაუწყო სუფრა ჰიტლერს სასახლეში, მაგრამ, სტუმარი რომ წავიდა, იტალიელ კოლეგასავით უბრძანა კამერდინერებს:

— გააღეთ ყველა ფანჯარა, რომ იმ ყმაწვილის სუნმა მასთან ერთად დატოვოს ჩემი სახლი!..

შემდგომში პრინცებსა და პრინცესებს ძვირად დაუჯდათ ჰიტლერის წინაშე ასეთი ქედმაღლობა. მათ ყველა უფლება აჰყარეს, ხოლო ზოგიერთი მათგანი საკონცენტრაციო ბანაკშიც მიაბრძანეს...

...ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ჰიტლერს მონარქიის გაგონებაც არ უნდოდა... პრეზიდენტი კი თავის ანდერძში, როგორც ჩანს, ამას მოითხოვდა... ძალა ჰიტლერის ხელთ იყო და ჰინდენბურგის „უკანასკნელ სურვილებში“ ასეთი ადგილი გაჩნდა:

— ჩემმა კანცლერმა ადოლფ ჰიტლერმა და მისმა მოძრაობამ გადადგა გაბედული ნაბიჯი დიადი მიზნისაკენ, რათა შინაგანი ერთიანობის გზით წინ წაიყვანოს ჩვენი ერი... იმედი მაქვს, რომ 1933 წლის 30 იანვარი კარგ შედეგებს გამოიღებს და გამარჯვებამდე მიიყვანს გერმანელ ხალხს.

ჩემი საყვარელი სამშობლოს მომავლის ასეთი მტკიცე რწმენით მე შემიძლია მშვიდად დავხუჭო თვალები...

ნამდვილად კი საქმე სულ სხვაგვარად იყო. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ჰინდენბურგი აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ჰიტლერული რეჟიმით. ეს უკმაყოფილება კიდევ უფრო გაძლიერდა 30 ივნისის „გრძელი დანების ღამის“ კოშმარებით. ამბობენ, როცა ამის შესახებ უამბეს პრეზიდენტს, იგი მაშინვე ლოგინად ჩავარდაო. მერე მან გავლენიანი გენერლების დიდი ჯგუფის საპროტესტო წერილიც მიიღო შლაიხერის მოკვლის გამო.

— გენერლები და ოფიცრები გამოვთქვამთ ღრმა შიშს სამშობლოს მდგომარეობით, — წერდნენ ისინი. — უკანასკნელი კვირის ამბებმა დიდად აგვაღელვა ყველანი. ჩვენ აღშფოთებული და შეძრწუნებული ვართ იმით, რაც მოხდა... საქმე ეხება ყოფილ კანცლერსა და სამხედრო მინისტრს კურტ ფონ შლაიხერს, რომელიც მოკლულ იქნა ყოველგვარი სასამართლო პროცესისა და ბრალდების გარეშე. მას მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დასწამეს სახელმწიფო ღალატი... ეს არმიის შეურაცხყოფაა: ის ხომ უმაღლესი ოფიცერი იყო! მართალია, შლაიხერის პოლიტიკურ შეხედულებებს ყველანი არ ვიზიარებდით, მაგრამ მისი ღირსების დასაცავად ერთსულოვნად ვიმაღლებთ ხმას. როცა უმაღლეს ოფიცერს ასე მუხანათურად კლავენ, ყველა ჩვენგანის, ვინც სამხედრო ფორმას ვატარებთ, მოვალეობაა უარვყოთ თავშეკავება...

ამის შემდეგ გენერლები აკრიტიკებდნენ მესამე იმპერიის ზოგიერთი მინისტრისა და ხელმძღვანელი პირის (ლეი, როზენბერგი, ნოირატი, დარე და სხვ.) მოქმედებას და მოითხოვდნენ ჰიტლერის ერთპიროვნული დიქტატურის შეზღუდვას. მათი აზრით, არსებული რეჟიმის ნაცვლად საჭირო იყო დირექტორიის შექმნა ხუთი კაცის — კანცლერის, ვიცე-კანცლერის, სამხედრო მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრისა და მეურნეობის მინისტრის შემადგენლობით.

გენერლები რეკომენდაციას აძლევდნენ პრეზიდენტს ვიცე-კანცლერის პოსტზე დაენიშნა „არმიის ბელადი" ფრიჩი, ხოლო სამხედრო მინისტრად—გენერალი ჰამერშტაინი. ისინი ურჩევდნენ პრეზიდენტს გადაეყენებინა გერინგი, რომელზედაც ამბობდნენ, პირადად შევარდაო შლაიხერის ბინაში, სამჯერ დაახალა ტყვია გენერალს და მერე მისი ცოლიც მოკლაო.

ასევე მოითხოვდნენ გებელსისა და მიწათმოქმედების მინისტრ დარეს გადაყენებას.

გენერლების წერილი ასე მთავრდება:

— მდგომარეობის სერიოზულობამ გვაიძულა, თქვენო აღმატებულებავ, და ჩვენო მთავარსარდალო, მოგმართოთ თქვენ... საქმე ეხება სამშობლოს ბედ-იღბალს... თქვენმა

აღმატებულებამ სამჯერ იხსნა გერმანია კატასტროფისაგან... იხსენით იგი მეოთხეჯერ!..

ქვემორე ხელისმომწერი გენერლები და უმაღლესი ოფიცრები ფიცს გაძლევენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შეინახონ ერთგულება თქვენი აღმატებულებისა და გერმანული სამშობლოს წინაშე...

შემდეგ გენერალმა ვერნერ ფონ ფრიჩმაც მისწერა ჰინდენბურგს ასეთივე შინაარსის წერილი...

სხვებმაც მოახსენეს პრეზიდენტს, რომ ჰიტლერს კატასტროფისაკენ მიჰყავსო გერმანია...

როგორც ჩანს, პრეზიდენტმა ყურად იღო ეს გაფრთხილება და გადაწყვიტა მისი სიკვდილის შემდეგ პრეზიდენტის პოსტზე დაენიშნათ რომელიმე პრინცი, რომ შემდეგ მას თვითონ აღედგინა მონარქიული წყობილება... ალბათ, ეს ეწერა ანდერძშიც, მაგრამ...

სწორედ ამ დროს გარდაიცვალა პრეზიდენტი, ხოლო ანდერძის საქმე იდუმალებით იქნა მოცული. გამარჯვებულმა ჰიტლერმა თავისი სიხარული ჰინდენბერგის დასაფლავებაზე ტანენბერგში ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით გამოხატა:

— მიცვალებულო სარდალო! ამიერიდან თქვენი სამყოფელია ვაალჰოლი!..

ომში დაღუპული ღმერთის ოდინის მითური სასახლე მან ჰინდენბურგის სულს დაუთმო, თვითონ კი მის სავარძელში ჩაჯდა როგორც სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური...

ᲥᲐᲕᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲠᲢᲝᲠᲥᲔᲑᲘ...

ამის შემდეგ ჰიტლერის ძალაუფლება სრულიად შეუზღუდველი იყო. იგი ერთპიროვნულ დიქტატორად იქცა. არმიაც მას დაემორჩილა როგორც სახელმწიფოს მეთაურს. აქაც დაიწყო „წმენდა“, რა თქმა უნდა, „მეთოდების განურჩევლად“. ნიურნბერგის პროცესზედაც საკმაო ყურადღება დაუთმეს ამ საკითხს და მზის სინათლეზე გამოიტანეს, თუ რა

ბინძური მეთოდებით მოხდა ეს. ჰიტლერელებმა ჯერ ხოშ რაიჰსვერის გამოჩენილი გენერლები ფონ სექტი, გრენერი, შლაიხერი, ჰამერშტაინი და სხვები ჩამოაშორეს არმიის უმაღლეს ხელმძღვანელობას: ზოგი მოკლეს, ზოგსაც ღირსება ახადეს ან ისე გადააყენეს. მერე სამხედრო სამინისტროც გააუქმეს, რითაც სახმელეთო ჯარების, ავიაციისა და ფლოტის მთავარსარდლები უშუალოდ ჰიტლერის დაქვემდებარებაში გადავიდნენ. სამხედრო მინისტრი და ჰიტლერის პირველი ფელდმარშალი ბლომბერგი კი სულ გააძევეს არმიიდან, თანაც უცნაური საბაბით...

...ამბობენ, სიბერე ჭკუას უფრო მეტ ნაოჭებს უჩენს, ვიდრე სახესო. ეს ბლომბერგზედაც ითქმის. უკვე საკმაოდ ხანდაზმულმა ფელდმარშალმა ცოლად შეირთო საეჭვო ყოფაქცევის ახალგაზრდა ქალი ვინმე ერიკე გრიუნი. მათ ქორწილს ჰიტლერი და ბლომბერგის ძველი მეტოქე გენერალი გერინგიც ესწრებოდნენ. გერინგი სულ იმის ცდაში იყო, ბლომბერგი როგორმე ჩამოეშორებინა გზიდან. ამას მისი ხელქვეითებიც გრძნობდნენ და ცდილობდნენ როგორმე ხელი შეეწყოთ თავიანთი შეფისათვის. ასეთი მომენტიც დადგა.

გერინგი თავის სასახლეში, „კარინჰოლში", ისვენებდა. ეს სასახლე დიდი მითქმა-მოთქმის საგანი იყო თავის დროზე. იგი გერინგმა პირველი ცოლის — შვედი გრაფის ასულ კარინის პატივსაცემად ააგებინა. იქვე გამართა უზარმაზარი აკლდამა, სადაც კარინის ნეშტი ესვენა. თვითონ სასახლე მუხის უხეშად გარანდული მორებისაგან იყო ნაგები, შიგნითა სათავსები კი — გასაოცარი სიმდიდრით მოწყობილი: ოქროსსახელურებიანი კარ-ფანჯრები, ოქროს კანდელაბრები, ძვირფასი ქვებით მოჭედილი სამელნეები და საშრობები, ოქროს ფილებით მოგებული აბაზანა, სამხატვრო გალერეა და სხვა ასეთი.

კარინჰოლის ვრცელ პარკში მარმარილოს ქანდაკებები იდგა, გარშემო კი უღრანი ტყე ეკრა, სადაც გერინგი ნადირობდა. ეგზ. რომაელი სენატორივით მეწამული ტოგითა და

ოქრონაქსოვი ქოშებით დადიოდა ბაღში. სამკერდე ბრილიანტებით ჰქონდა მოოჭვილი. ათიდან რვა თითზე ძვირფასთვლებიანი ბეჭდები ეკეთა. პირისფარეშები და მზარეულები გაწვალებული იყვნენ თავიანთი „კეისრისათვის“ რაღაც განსაკუთრებული ნელსაცხებლებისა და კერძების მომზადებით. თერძები „სრულიად განსაკუთრებულსა“ და განსხვავებულ მუნდირებს კერავდნენ მისთვის. გენერლები გაოცებული იყვნენ, როცა მის წითელბორტებიან და ოქროსღილებიან ცისფერ მუნდირს შეჰყურებდნენ. უფრო ის უკვირდათ. ავიაციის მარშალი რომ კავალერისტივით ოქროს დეზებს ატარებდა.

გერინგი მართლაც ერთადერთი რაიხსმარშალი იყო გერმანიაში. ასეთი ტიტული სპეციალურად მისთვის შემოიღო ჰიტლერმა. ოდესღაც გერმანელ მეფეთა კარის განრიგში შეტანილი იყო ტიტული „იმპერიის მარშალი“ (Reichs Marschal) რაიხსმარშალი ამ განრიგით მესამე კაცად ითვლებოდა და მეფის მახვილის ტარება ევალებოდა. უკანასკნელი რამდენიმე საუკუნე ეს ტიტული გაუქმებული იყო. ის მხოლოდ ჰიტლერმა აღადგინა. გერინგი მაშინ მართლაც მესამე პირად ითვლებოდა. მეორე იყო ჰიტლერის მოადგილე და მომაგიერე რუდოლფ ჰესი. შემდეგ გერინგმა თვითონ გადაინაცვლა მეორე ადგილზე. რაიხსმარშლის ტიტული კი, საფრანგეთი რომ დამარცხდა, მაშინ მიიღო. ჰიტლერმა თვითონ შეადგინა გეგმა, თუ როგორი ტრიუმფალური შეხვედრა უნდა მოეწყოთ მისთვის კომპიენის ტყიდან ბერლინში დაბრუნების დროს. მე თვითონ მინახავს მისი ხელით დახაზული სქემა: მატარებელი რომ ბერლინის სადგურის ბაქანზე ჩამოდგებოდა, ვინ როგორ უნდა შეხვედროდა. ფანქრით იყო შემოხაზული, გერინგი სად უნდა გაჩერებულიყო, სხვები — სად, რომელი ქუჩები უნდა გაევლოთ და სად გამართულიყო საზეიმო სხდომა.

ყველაფერი მართლაც ასე მოხდა. მესამე იმპერიის ხელმძღვანელები, გაულაიტერები, ფელდმარშლები და გენერლები შეიკრიბნენ ბერლინის უზარმაზარ სპორტპალასში. ჰიტლერმა აქ ჯერ ჩვეულებრივი სამსაათიანი სიტყვა წარმო-

თქვა, მერე კი უხვად დააჯილდოვა თავისი თანამებრძოლები და გენერლები, ყველანი, გარდა... გერინგისა. გერინგი გაოცებული იყო, განაწყენებულიც. მაგრამ, როცა „წყალობის" ჩამორიგება დაამთავრა, ჰიტლერმა თქვა:

— მე დიდხანს ვიფიქრე რით აღმენიშნა სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის გენერალ გერინგის დიდი დამსახურება ამ გამარჯვებაში, მაგრამ არსებულ ტიტულებსა და ჯილდოებში ვერაფერი აღმოვაჩინე ისეთი, რაც მისი ღირსი იქნებოდა. ამიტომ გადავწყვიტე აღვადგინო რაიხსმარშლის უძველესი წოდება და მივანიჭო ის ჩემს უახლეს თანამებრძოლსა (Mitkämpfer) და პარტიულ ამხანაგს (Parteigenosse) გერინგს.

ამიერიდან ამ ტიტულის მატარებელი იქნება მხოლოდ ერთი კაცი — ჰერმან გერინგი...

რაიხსმარშალი სიამოვნებისაგან გაიბადრა. ჩქარა შეიფერა კიდეც ეს. „მე — ღმერთი და კეისარი" — ასე შთააგონა მან თავის თავს და სხვებსაც, ვინც მას უყურებდა, რომაელი იმპერატორივით რომ ვარჯიშობდა მშვილდის სროლაში...

გერინგი კარინჰოლში ზოგჯერ საქმიან მოლაპარაკებებსა და დიდ წვეულებებსაც მართავდა, მაგრამ სპეციალური მიწვევის გარეშე იქ ვერავინ გაბედავდა მის შეწუხებას...

...იმ დღეს რაღაც უცნაური ამბავი მოხდა. ყოველგვარი გაფრთხილებისა და წინასწარი თხოვნის გარეშე მას მიადგა ბერლინის პოლიციის მეთაური გრაფი ჰელდორფი. გერინგი ჯერ გაბრაზდა, ასეთი გადაუდებელი საქმე რა გაქვს, რომ აქ მიწუხებო, მაგრამ, ჰელდორფის მოსვლის მიზანს რომ გაეცნო, მაშინვე აპატია „ეს თავხედობა". გრაფმა მას მიუტანა „უტყუარი მასალები" იმის შესახებ, რომ ფელდმარშალ ბლომბერგის ცოლი ერიკე გრიუნი უზნეო ქალია, რომელიც საროსკიპოებში „მუშაობდა" და თანაც არა ერთში. იგი თურმე შვიდი ქალაქის პოლიციაში ყოფილა რეგისტრირებული როგორც როსკიპი, რის გამოც რამდენჯერმე გაუსამართლებიათ კიდეც, უკანასკნელად — პორნოგრაფიული სურათების გავრცელებისთვისაც კი.

ჰელდორფმა ეს მასალები ჯერ კაიტელს მიუტანა, რადგან იგი დანათესავებული იყო ბლომბერგთან (კაიტელის ვაჟმა რამდენიმე კვირის წინ შეირთო ბლომბერგის ქალიშვილი პირველი ცოლისაგან). ვინ იცის, რა მოსაზრებით, მაგრამ ფაქტია, რომ კაიტელმა სთხოვა ჰელდორფს ეს მასალები გერინგისათვის გადაეცა, რაც მან შეასრულა კიდეც...

...გერინგი ცას ეწია სიხარულით. დაავლო ხელი ამ მასალებს და მაშინვე ჰიტლერთან გაქანდა ბერლინში. მიუხედავად იმისა, რომ ბლომბერგს ადრეც ჰქონდა ნათქვამი ორივესთვის — ჩემს საცოლეს „ისტორია ჰქონდაო“, ჰიტლერმა მაინც ისე შეიცხადა ეს ამბავი, თითქოს პირველად გაეგო: ავარდ-დავარდა, იყვირა, იბობოქრა. ხოლო როცა ისტერიამ გაუარა, იხმო ბლომბერგი და გამოუცხადა, „ამ სამარცხვინო ინციდენტის“ შემდეგ თქვენი დარჩენა არმიაში შეუძლებელიაო“.

ბლომბერგი, რა თქმა უნდა, მიხვდა საიდან უბერავდა ქარი და მაშინვე გადადგა. შემდეგ კი, მოწმედ გამოძახებულმა, ყველაფერი ჩამომარცვლა ნიურნბერგის პროცესზე. შახტმაც დაადასტურა, ბლომბერგის გადაყენება გერინგის ინტრიგების შედეგი იყო. ამის გაგონებაზე გერინგი გაცოფდა, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა ბლომბერგისა და შახტის ჩვენების გარდა ამას სხვა საბუთებიც ადასტურებდა.

შუადღეზე, სადილობის დროს, ის მაინც მიუახლოვდა შახტის მაგიდას და შეუბღვირა:

— რა გაიძულებთ, რომ ასეთი განცხადებები გააკეთოთ მტრების წინაშე?

— სიმართლე! — მოკლედ მოუჭრა შახტმა და ზურგი შეაქცია.

— ამაზე რომ მანამ არ გიზრუნიათ, ვიდრე ამ ციხეში ამოჰყოფდით თავს! — შეუტია შეურაცხყოფილმა გერინგმა, მაგრამ მათ შორის ხელკეტებით შეიარაღებული სამხედრო პოლიციელები ჩადგნენ.

— მშიშრები, მოღალატეები, ვიგინდარები!.. — ბორგავდა გერინგი, თუმცა ბრალდებულთა შორის შტრაიხერის გარდა თანამგრძნობი ვერავინ იპოვნა...

...ბლომბერგის გადაყენების შემდეგ არმიის სარდლის პოსტზე გენერალი ვერნერ ფონ ფრიჩი დაასახელეს. არც ეს შედიოდა კარიერისტ გერინგის გეგმებში და „საქმის მცოდნეები“ მაშინვე დატრიალდნენ. ამჯერად ეფრო ბინძური ფარსი გათამაშდა. ამის გამოაშკარავებამ კი სულ მოუღო ბოლო ვერინგის როგორც „ღირსეული ოფიცრის“ რეპუტაციას. ე. წ. „გენერლების ოპოზიციის“ პირველი გააქტიურებაც „ფრიჩის საქმესთანაა“ დაკავშირებული. ალბათ ამიტომ იყო, რომ პროცესზე ამან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. გაიოიარკვა, რომ ეს საქმეც გერინგმა და ჰიმლერმა დაატრიალეს. ჯერ გაიხსენეს, რომ 1934 წელს „რემის პუტჩთან“ დაკავშირებით ვიღაცამ შეადგინა ცნობა „ვერნერ ფონ ფრიჩთან თუ ფრიშთან“ რემის უზნეო კავშირის შესახებ. მაშინ ასეთი საქმეები განსაკუთრებული გამოძიების ობიექტი იყო, რადგან მოიერიშეთა რაზმების ბევრი მეთაური და უფრო დიდებიც ეჭვმიტანილი იყვნენ ამგვარ უზნეობაში. რემიც რამდენჯერმე იქნა გასამართლებული. ის არც თვითონ უარყოფდა ამას და აცხადებდა: „სამსახურის საათების შემდეგ რას ვაკეთებ, ეს არავის ეკითხებაო“.

იმ დროს პრესაშიც ბევრი მამხილებელი ცნობა იბეჭდებოდა ამის თაობაზე. ამიტომ ჰიტლერს რომ ფრიჩის საქმეები მიუტანეს, იყვირა, არა მსურს ასეთი ბინძური საქმეების მოსმენაო, და ბრძანა ეს მასალები დაეწვათ. ახლა კი, როცა ფრიჩის კომპრომეტირება გახდა საჭირო, გერინგმა სადღაც ციხეში მოძებნა ის კაცი, ვინც მაშინ ფრიჩზე საბუთი შეადგინა, და სიკვდილის მუქარით პირობა დაადებინა ყველაფერი ისე ეთქვა ჰიტლერისათვის, „როგორც საჭირო იყო“.

ასეც მოხდა. ჰიტლერმა იგი უკანა ოთახში შეიყვანა, თავისთან კი ფრიჩი იხმო და ის საშინელი ბრალდება წაუყენა. გენერალი ჯერ გაოცდა, მერე აღშფოთდა, პროტესტი განაცხადა და ოფიცრის პატიოსანი სიტყვაც დაიმოწმა, რომ ყველაფერი ეს სიცრუე იყო. მაშინ ჰიტლერმა უკანა ოთახის კარები გააღო და დაიძახა:

— ეი, შენ, რომელი ხარ მანდ, გამოდი!

მან გვარიც არ იცოდა კაცისა, რომელსაც სახელგან-

თქმულ გენერალს უყურებდა პირისპირ. „მოწმე“ გამოვიდა და კაბინეტში მყოფთ მიაშტერდა.

— აბა, რომელია? — ჰკითხა ჰიტლერმა.

„მოწმე“ უკვე დამუშავებული იყო გერინგის მიერ, იგი ფრიჩსაც იცნობდა და ამიტომ თავისი „მოვალეობის შესრულება“ არ გასძნელებია.

— აი, ეს! — მიუთითა მან ფრიჩზე...

ჰიტლერმა ფაქტი დადასტურებულად მიიჩნია და ფრიჩი გადააყენა. შეურაცხყოფილმა გენერალმა გენერალური შტაბის უფროსს ბეკს შესჩივლა თავისი უბედურება და მოითხოვა სპეციალური გამოძიება. სხვებიც აღშფოთებული იყვნენ ფრიჩის ასეთი უხამსი შეურაცხყოფით. მერე ამან შეთქმულების სახე მიიღო. შახტმა, რედერმა, ბრაუხიჩმა და რუნდშტედტმა პროტესტი განაცხადეს. მათ თითქოს მოინდომეს ჰიტლერის დამხობა. ყოველ შემთხვევაში, გიზევიუსმა პროცესზე განაცხადა, რომ ბრაუხიჩმა თავისი მზადყოფნა აღუთქვა საამისოდ, მაგრამ შეეშინდა მითისა ჰიტლერის განგების მიერ მოვლენილობის შესახებ და ითხოვა, ჯერ ეგ საქმე გადავდოთო. მაშინ ფრიჩმა, დარწმუნებულმა იმაში, რომ ყველაფერი ეს ჰიმლერის საქმეა, დუელში გამოიწვია იგი. ამის შესახებ წერილიც დაწერა და რუნდშტედტს გადასცა. ამ უკანასკნელმა ფრიჩის წერილი თავისთან შეინახა. გამოძიება კი მაინც დაინიშნა. სპეციალური სამხედრო ტრიბუნალიც შექმნეს, სადაც რამდენიმე კვირა გრძელდებოდა „ფრიჩის საქმის“ განხილვა.

ჰიტლერი მიხვდა, რომ საქმე კარგად არ მიდიოდა, და ტრიბუნალის თავმჯდომარედ გერინგი დანიშნა. არც ამით გამოვიდა რამე. იმ „მოწმემ“ განაცხადა, ტყუილი ვთქვიო. მერე ისიც გამოირკვა, რომ გენერალი ფრიჩი ვიღაც კაპიტან ფრიშში „შეეშალათ“, და გერინგი იძულებული გახდა უკან დაეხია.

ტრიბუნალის უკანასკნელი სხდომა რომ გაიხსნა, გერინგს უცებ ჰიტლერთან გამოუძახეს. ამ დროს გერმანიის ჯარები უკვე ავსტრიაში შედიოდნენ და ფრიჩისათვის არავის ეცალა. ჰიტლერმა მას წერილი კი მისწერა, „თქვენი სრული უდანაშა-

ულობის დამტკიცება მეც მახარებსო“, მაგრამ ფრიჩმა „სრულ რეაბილიტაციისათვის“ თანამდებობაზე აღდგენა მოითხოვა. ეს კი არც ჰიტლერისა და არც გერინგის გეგმაში არ შედიოდა. ამიტომ „საქმის მისაფუჩეჩებლად“ ფრიჩი დივიზიის მეთაურად დანიშნეს.

შეურაცხყოფილმა ფრიჩმა ვერ აიტანა ეს, პოლონეთის კამპანიის დროს მან ჯარისკაცივით აიღო თოფი, მოწინავე ხაზზე გავიდა და, როგორც ამბობენ, „ტყვიას შეუშვირა თავი“, დაიჭრა კიდეც, მაგრამ ჰოსპიტალში წაყვანაზე უარი თქვა, სისხლისაგან დაიცალა და მოკვდა...

...ჰიტლერელები სასტიკად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც „უკმაყოფილებას“ გამოთქვამდა. ჯერ რამეს დააბრალებდნენ, სახელს გაუტეხდნენ, მერე კი მოაკვლევინებდნენ. ასეთი საქმეების ოსტატი ჰიმლერი იყო. გენერლების ფრიჩისა და ბლომბერგის შემდეგ მან სხვაც ბევრი შეიწირა. გენერალ უდეტის თვითმფრინავი გერმანელთა საზენიტო არტილერიას ჩამოაგდებინა ბრესლავლთან. სახელგანთქმული მფრინავი, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების პირველი „ასი“, „ეროვნულ გმირად“ გამოცხადებული პოლკოვნიკი მოლდერსი თვითმფრინავიანად ააფეთქებინა ჰაერში... „ესესელთა შეურაცხყოფისათვის“. ნამდვილად კი თვითონ მოლდერსი შეურაცხყვეს ამ „შავი კორპუსის“ განგსტერებმა. ისინი შეცვივდნენ დედათა მონასტერში, გააუპატიურეს მონაზვნები, მათ შორის — მოლდერსის და, მერე მონასტერი გააუქმეს და იქ სამხედრო საჭურვლის საწყობი გახსნეს.

დის უბედურებით შეძრწუნებულმა მოლდერსმა ჰიტლერს საპროტესტო წერილი გაუგზავნა და თან ყველა თავისი ორდენი, მათ შორის — „რაინდის ჯვარი მუხის ფოთლით, მახვილებითა და ბრილიანტებით“, უკანვე დაუბრუნა. ამ უკანასკნელმა კი მოლდერსის წერილი ჰიმლერს გაუგზავნა და...

გერმანულმა გაზეთებმა ღრმა მწუხარებით ამცნეს „ერსა და სახელმწიფოს“ სახელგანთქმული მფრინავის „ტრაგიკულად დაღუპვის“ ამბავი.

მოლდერსის ფერფლს კაიტელმა უზარმაზარი გვირგვინი დაადო, ჰიტლერისაგან გამოგზავნილი...

...ასეთი მაგალითი უამრავი იყო. აშკარა და ფარული ტერორი მუსრს ავლებდა „უკმაყოფილოებსა“ და „პროტესტების მოყვარულთ“. სამაგიეროდ „ეშმაკთან წილნაყართა“ რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. ყავისფერი ჭირი მთელ გერმანიას მოედო. ვის შიშით, ვის კიდევ პატივმოყვარეობისა და კარიერისათვის მიჰქონდა თავისი სული სატანის საკურთხეველზე და იმ ყავისფერ დემონთან კრავდა კავშირს. მოხდა საოცარი და მოულოდნელი რამ... ბუნებით სანტიმენტალური და თავიანთი საქმის კარგი მცოდნე გერმანელი ბიურგერები, წვრილი ვაჭრები, მოხელეები, გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ბანკირები და მრეწველები, ქალები თუ კაცები, გადაიქცნენ უხეშ ცხოველებად, ტლანქ მკვლელებად და ჯალათებად. ყველამ ფორმა ჩაიცვა, ყველა მწყობრში ჩადგა, ხელი წინ გაიშვირა და „ჰაილ ჰიტლერო“ აღრიალდა. ყავისფერხალათიანთა ამ ურდოებმა წალეკეს „ძველი კეთილი გერმანია“ და მღვრიე ნაკადად მოედვნენ მთელ ევროპას...

...ფრანგი დრამატურგი იონესკო პიესა „მარტორქებში“ ასეთ ალეგორიას ქმნის:

ქალაქის მცხოვრებლებმა დაინახეს, რომ პროსპექტზე მარტორქა მისეირნობდა, და შეშინებულებმა დერეფნებს შეაფარეს თავი. მეორე დღეს ერთის მაგივრად ორი მარტორქა გაჩნდა, მესამე დღეს — სამი, მერე—ათი, ოცი, ასი, ათასი და, ბოლოს, ქალაქის ყველა მცხოვრები, გარდა ერთისა, მარტორქად იქცა. იმ ერთმა კი დაიჩემა: არა, არავითარ შემთხვევაში არ ვიქცევი მარტორქადო.

მერე მაყურებელთა დარბაზშიაც ჩამოვიდა და იყვირა:

— მე ერთი წავალ ყველას წინააღმდეგ და შევებრძოლები მათ ურდოებს. მე ვარ უკანასკნელი, რომელიც დავრჩი ადამიანად, და ასე იქნება მომავალშიც! მე არ ვნებდები!..

თვითონ იონესკო ასე ხსნის თავის ალეგორიას:

— რატომ გადავწყვიტე, რომ ჩემი გმირები გადამექცია მარტორქებად? იმიტომ რომ მარტორქა ყველაზე ბრიყვი, ყველაზე საშინელი და მახინჯი ცხოველია მსოფლიოში. თქვენ ყველამ ნახეთ, ნაცისტურ გერმანიაში ადამიანები რო-გორ დაემსგავსნენ მარტორქებს. მათ თვითონ დაკარგეს ადა-მიანური სახე და იქცნენ ცხოველთა შემაძრწუნებელ ჯოგად...

...ჰიტლერი სპეციალურად ქმნიდა თავის გარშემო ასეთ გარემოცვას. ყავისფერ ნადირთა ჯოგს მან უსიტყვოდ მო-რჩილთა და გულისამრევ მლიქვნელთა მთელი კორპუსი დაუ-ყენა სათავეში. ტირანს მონურად მორჩილი ხალხი სჭირდე-ბოდა და პოულობდა კიდეც.

ბიასს ჰკითხეს თურმე:

— რომელია უფრო საშიში ცხოველთა შორის?

— ტყიურთაგან — ტირანი, შინაურთაგან — მლიქვნე-ლი! — მიუგო ბიასმა.

საუბედუროდ, ქვეყანას არც ერთი აკლდა და არც მეორე.

გერმანიაში კი ეს არსებობის ფორმად იქცა. ჰიტლერი თავის თანამებრძოლთა კოჰორტას ერთგული მლიქვნე-ლებისაგან ქმნიდა. მლიქვნელობა კი ისეთი თვისებაა, რაც ყველას როდი „ამკობს“. ამიტომ შერჩევაა საჭირო. უფრო იმათ შორის, ვინც ცხოვრების ფსკერიდან ძალაუფ-ლების კვარცხლბეკზე აჰყავთ მწყალობელთ. ასეთი ადამი-ანები უფრო ერთგულნი არიან. ეს იცოდა ჰიტლერმა და თავის უახლოეს თანამშრომლებად არჩევდა განათლებულსა და მოხერხებულ, მაგრამ უპატიოსნო ადამიანებს, შემსრუ-ლებლებად კი — ბოროტმოქმედთ, მორალურად და პოლიტი-კურად გახრწნილ პირებს, მოღალატეებს, გაიძვერებსა და მექრთამეებს, იმათ, ვინც გათავისუფლებული იყო „სინდისის მავნე ქიმერისაგან“.

ჰიტლერი არც მალავდა ამას. ვიდრე აშკარად დაიწყებდა საომარ მოქმედებას, ფარულად დივერსიულ მუშაობას ეწე-ოდა უცხოეთის სახელმწიფოებში. მას ჰყავდა „რესპექტაბე-ლური ჯაშუშებისა“ და „გაიძვერა დიპლომატების“ მთელი კორპუსი. ნაცისტური ობობას ქსელი მთელ მსოფლიოს ჰქონდა მოდებული.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, აქ მე გარკვეული პოზიცია მალაპარაკებს და არა სიმართლე. თუ ასეა, ჯობს ისევ ჰიტლერს მოვუსმინოთ:

— კარგი ელჩი ბანქოს მოთამაშეს უნდა ჰგავდეს, — ამბობდა იგი, — თუ საჭირო შეიქნა მას ყალთაბანდობაც უნდა შეეძლოს და ყალბი ფულების მოჭრაც... მე გავეცი განკარგულება შეედგინათ ცნობარი მსოფლიოს ყველა გავლენიან პირზე, გამოერკვიათ: ესა და ეს იღებს თუ არა ქრთამს? შეიძლება თუ არა მისი სხვა რამ საშუალებით მოსყიდვა? არის თუ არა ამპარტავანი? აქვს თუ არა ეროტიკული მიდრეკილება? როგორი ქალები მოსწონს? ჰომოსექსუალისტი თუ არის (ასეთი კატეგორიის ხალხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან მათი მიმხრობა უფრო ადვილია)? მალავს თუ არა რამეს ესა თუ ის პიროვნება თავისი წარსულიდან? თუ შეიძლება მათი შანტაჟში ჩათრევა?.. მხოლოდ ასეთი საშუალებით მივაღწევ მე გავლენას ყველა ქვეყანაში...

ასე ფიქრობდა ჰიტლერი სახელმწიფოების დაპყრობას მანამ, ვიდრე იქ მისი ჯარები შევიდოდნენ.

— მე შევიყვან ჯარებს პარიზში ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს, — ამბობდა იგი, — ყველა მათგანი ფრანგულ ფორმაში იქნება გამოწყობილი და ისე გაივლიან პარიზის ქუჩებს, რომ თავში აზრადაც არავის მოუვა შეაჩეროს ისინი.

ამას იგი უწოდებდა „მტრის ციხე-სიმაგრის შიგნიდან გატეხას, როცა მოწინააღმდეგე თვითონ ამარცხებს თავის თავს". გერმანიაც ასეთ ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრედ ჰქონდა წარმოდგენილი. აქ ყველა გასამხედროებული უნდა ყოფილიყო — ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ყველას ფორმა უნდა ეტარებინა და კოლონაში მდგარიყო როგორც ჯარისკაცი. „სამახსოვრო ბარათსაც" არიგებდნენ ასეთი ტექსტით:

— იფიქრეთ იმ დიად დღეზე, როცა მსოფლიოს შეაზანზარებს გერმანული ზარბაზნების ჭექა-ქუხილი. იფიქრეთ ამაზე ყოველთვის. იფიქრეთ მტრებზე. იფიქრეთ, მუდამ იფიქრეთ შეურაცხყოფაზე, თქვენ რომ მოგაყენეს. იფიქრეთ

ზემო სილეზიაზე, გერმანიის რაინზე, აღმოსავლეთ პრუსიაზე, პოზნანზე, დანციგზე, მემელზე, საარის ოლქზე, კოლონიებზე. იფიქრეთ, მუდამ იფიქრეთ ამაზე და გჯეროდეთ, რომ ერთხელაც იქნება... და აღმობრწყინდება მზე! მაშინ, ძმებო და მეგობრებო, აიღეთ ხელში მახვილი და გამოდით გერმანიის წმიდა ადგილების დასაპყრობად...

„მოიერიშეებისა" და „ჰიტლერული ახალგაზრდობის" კოლონები დიდი ზარ-ზეიმით დაძრწოდნენ ქუჩებში და მღეროდნენ:

— ახლოვდება შურისძიების დღე და ფიურერი გვიხმობს საბრძოლველად!..

„შურისძიებისა" იმიტომ, რომ ჰიტლერი ტოტალურ ომს ამზადებდა, რაც ყოველგვარ რაინდულ წესს გამორიცხავს. აი, მისი საყვარელი სიტყვები:

— ომს მე ვაწარმოებ ჩემებურად. ეს იქნება სისხლისმღვრელი, შეუბრალებელი, სასტიკი ომი, რომელიც არ გაარჩევს ქალებსა და კაცებს, დიდებსა და პატარებს. ომი — ეს მე ვარ!

თუ ლუდოვიკო XIV-მ თქვა, „სახელმწიფო — ეს მე ვარო", ჰიტლერმა ეს სენტენცია თავის მისწრაფებებს მოურგო და, „ომი — ეს მე ვარო", გამოაცხადა.

ძუძუმწოვარა ჯარისკაცები...

მერე მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ რას ნიშნავდა ომის ჰიტლერისებურად წარმოება. მეც ბევრი გიამბეთ ამის შესახებ. ახლა კი ის მინდა გიჩვენოთ, თუ როგორ რყვნიდა ასეთი დოქტრინები ადამიანთა გონებას. ან, საერთოდ, რა გონებაზე თუ მორალზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჰიტლერმა თვითონ დაამტკიცა აღმოსავლეთის ფრონტზე მიმავალი გერმანელი ჯარისკაცების ასეთი „სამახსოვრო ბარათი":

— შენი პირადი დიდებისათვის უნდა მოჰკლა ასი რუსი. შენ არა გაქვს გული და ნერვები, ომში ეს საჭირო არ არის. მოსპე შენში სიბრალული და შეცოდება. მოკალი ყველა რუსი, რომელიც გზაზე გადაგიდგება, სულერთია, მოხუცია

ის, თუ ახალგაზრდა, კაცი, თუ ქალი... გერმანელია მსოფლიოს აბსოლუტური მეპატრონე. შენ გადასწყვეტ ინგლისის, რუსეთის, ამერიკის ბედს. შენ გერმანელი ხარ და, როგორც გერმანელს შეეფერება, მოსპე ყოველივე ცოცხალი, რაც წინ აღგიდგება. იფიქრე ყოველთვის ამაღლებულზე, ფიურერზე და გაიმარჯვებ. შენ არც ტყვია მოგეკარება და არც ხიშტი... ხვალ შენ წინაშე დაიჩოქებს მთელი მსოფლიო...

...ასეთი „სამახსოვრო ბარათები" უამრავი მოჰქონდათ ვანყოფილებაში. ცხადია, ისინი ვერ შველოდნენ გერმანელ ჯარისკაცებს. ტყვია და ხიშტი მაინც თავის საქმეს აკეთებდა და ჩვენი ბრეიმანი ისევ ისე ძველებურად აცლიდა მათ დოკუმენტებს სისხლსა თუ ტალახს, კითხულობდა და მსჯელობდა იმაზე, თუ რა უბედურება მოაქვს კაცობრიობისათვის ასეთ ეროვნულ ამპარტავნობას. იგი ხშირად ახსენებდა ლევ ტოლსტოის, რომელსაც ეროვნული ამპარტავნობა ადამიანთა ყველაზე საძაგელ თვისებად მიაჩნდა, რასაც დიდი უბედურება მოაქვს კაცობრიობისათვის, რადგან იწვევს შუღლს ერთა შორის, გაუთავებელ ომებსა და ნაციონალურ კატასტროფას. ჰიტლერი კი სწორედ ამ გრძნობას უნერგავდა თავის ჯარისკაცებს. იგი მხეცურ ინსტინქტებს აღვივებდა მათში. ისინიც მიდიოდნენ და ხოცავდნენ, ძარცვავდნენ და წვავდნენ, და მთელი ეს „ჰოტენტოტური საძაგლობა" საკუთარი ღირსების საქმედ მიაჩნდათ.

ბრეიმანი გაოცებული იყო, როგორ იკიდებდა ადამიანებში, თუნდაც გერმანელებში, ფეხს ასეთი მიდრეკილება. იგი შეძრწუნებული ჩანდა ყოველივე იმით, რაც ნახა და განიცადა. მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ გერმანელი ჯარისკაცები მაინც ებრალებოდა. ცხადია, ყველაფერი იცოდა, რა მხეცურად ჟლეტდნენ ისინი მისი ეროვნების წარმომადგენლებს, დიდებსა და პატარებს, ქალებსა და კაცებს, მაგრამ მაინც ეცოდებოდა... იცოდა, რაგინდ აწყვეტილი მხეცი იყოს გერმანელი, საკუთარი ოჯახისა და ბავშვების მიმართ მაინც უაღრესად სანტიმენტალურია.

ბრეიმანის წინ წერილებთან ერთად ყოველთვის ეყარა

მთელი გროვა ასევე ტალახში, სისხლსა თუ ოფლში ამოსვრილი ფოტოსურათებისა, რასაც. ჩვეულებრივად, მოკლული ჯარისკაცების საველე ჩანთებიდან თუ ჯიბეებიდან იღებდნენ ხოლმე. აქ ყველაზე მეტი ბავშვების სურათები იყო. საათობით დაჰყურებდა ბრეიმანი ამ პატარა არსებებს და ფიქრობდა...

რაზე ფიქრობთ-მეთქი, ამდენს, რომ ვკითხე, დაიბნა. საერთოდ, არ უყვარდა თავისი ფიქრების გაზიარება, უფრო სხვის აზრებს გადმოსცემდა, ვიდრე საკუთარს. ახლაც ასე მოიქცა:

— სანამ პატარები ვართ. ყველანი ერთად გავრბივართ მხარდამხარ. — თქვა მან, — მერე, რომ გავიზრდებით, კისერს წავიგრძელებთ და სირბილს ვუმატებთ, გვინდა სხვებს გავუსწროთ. ბოლოს, ვბერდებით, ვიღლებით და თითო-თითოდ ვეცემით მიწაზე... მე ახლაც ამ ბავშვებზე ვფიქრობ, გერმანელი ჯარისკაცების ბავშვებზე! ვუყურებ და მიკვირს, რა სათნო და საყვარლებია ისინი. ასეა ყველა ბავშვი, სანამ იგი ბუნების პირმშოა... მერე რაღაც ხდება. ყოველი მათგანისაგან ყალიბდება ინდივიდი, ჩნდება ხასიათი, ეროვნული, თუ ინდივიდუალური, და იქმნება პიროვნება. ახლა კი შეხედეთ ამ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ეს საშინელებაა. სადღაა ის გულწრფელობა და მიამიტური უბრალოება ან ბუნებრივი გამომეტყველება, რაც ადამიანს ამშვენებს! არაფერი ამის მსგავსი. პირიქით, ნახეთ რა ბოროტი ცეცხლი უელავს მათ თვალებში, მომეტებულად ოფიცრებს... საიდან ჩნდება ეს ბოროტება? ნუთუ ვინმეს შეუძლია დახედოს ჩვილი ბავშვის სურათს და თქვას, ამისგან მკვლელი გამოვაო! მაშ, საიდან გაჩნდა ამდენი ესესელი და გესტაპოელი? ერთ დროს ხომ ისინიც ბავშვები იყვნენ, ასეთივე პატარები და საყვარელნი... მერე როგორ იჩენს თავს ეს ცხოველური ინსტინქტი ან სად იბადება დესპოტი და სადისტი: დედის საშოში, თუ საზოგადოებაში? ეს უნდა გავიგოთ და ჩანასახშივე მოვსპოთ იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვური სათნოება ბოროტმოქმედებაში გადაიზარდოს. მხოლოდ ეს იხსნის კაცობრიობას ბოროტებისაგან!..

— ადამიანები არც იბადებიან ერთნაირი და არც ცხოვრებაში ხდებიან ასეთნი, — ვუთხარი მე, მაგრამ მაშინვე გამაჩერა:

— არა, ჩემო კარგო, მე ვერავინ დამარწმუნებს, რომ ბავშვს, ვინც არ უნდა იყოს, რომელი ეროვნებისა და რასის წარმომადგენელიც, შინაგანად, თავისი არსებით ჰქონდეს მიდრეკილება ბოროტებისადმი. ეს საშინელება მერე ჩნდება როგორღაც, როცა ადამიანი შორდება თავის თავს, თავის ბუნებას და სულ სხვა გზით მიდის, თუ მიჰყავთ. ეს გზა მცდარია, დამღუპველი. ადამიანმა მუდამ ბუნების გზით თუ იარა, მისგან ბოროტება არ გამოვა: ბუნება კეთილია და მისი სათავეც არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა სიკეთე. წყაროს წყალი მერე იმღვრევა სადღაც. ადამიანიც. ბავშვი ბუნების პირმშოა, პიროვნება — არა, სამწუხაროდ, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც არა. ესაა ჩვენი ტრაგედია. დოსტოევსკის ერთი გმირი ეუბნება მეორეს:

— ო, ჩემო ძვირფასო, ბავშვთა საკითხი პირდაპირ შემზარავია ჩვენს დროში: ვიდრე ეს ოქროსკულულებიანი უმანკო, პაწია ბავშვები დაფარფატებენ შენ თვალწინ და შემოგცქერიან თავიანთი ლაღი სიცილითა და ნათელი თვალებით, ასე გგონია, ღვთის ანგელოზები ან უცხო ჩიტუნები არიანო. მერე კი... მერე ხანდახან ისეც ხდება, რომ ფიქრობ. ნეტავი სულაც არ გაზრდილიყვნენო...

საქმე ის არის, ვინ და როგორ ზრდის მათ. და ვინ იცის, იქნებ მართლაც ეს იყოს კაცობრიობის ზრუნვის მთავარი საგანი. თორემ თუ ადამიანი ბავშვობიდანვე სისასტიკისა და სიძულვილის ამორალურ სფეროში იზრდება, მისგან მკვლელის მეტი რა გამოვა! ხომ სულერთია, რითი კლავს იგი: ტყვიით, ენით, მოქმედებით, ზიზღით, შურით, უზნეობით, თუ გულგრილობით. ასეთი ვინმე, უწინარეს ყოვლისა, თავისივე არსებაში ახშობს ადამიანს, Homo sapiens-ს და იქცევა პირმოთნე პირუტყვად, რომელსაც თავის თავში ის უყვარს, რაც შეიძლება სხვაში სძულდეს, თუკი ამის გარჩევის უნარი აქვს...

...გახსოვთ, ილიამ რომ უხიაგ ადამიანებზე იკითხა, „ვინ

აცხობს ასეთ კუტ პურსო?“ აღზრდა, გარემო, საზოგადოება... აბა, როგორი პური უნდა გამოცხვეს, როცა მთელი სახელმწიფო სისტემა ისეა მომართული, რომ მხარი აუბას ჰიტლერის ასეთ „პედაგოგიურ დოქტრინას“:

— მე მინდა მაგარმუშტიანი ადამიანები, რომელთაც ვერავითარი პრინციპი ვერ შეაჩერებს რომ მოკლან!..

...და შემდეგ:

— ჩვენ ვიწყებთ ჯერ კიდევ სამი წლის ბავშვებიდან. როგორც კი ბავშვი შეძლებს რამის გარჩევას, მას ხელში პატარა დროშას ვაძლევთ. შემდეგ სკოლა, ჰიტლერული ახალგაზრდობა, მოიერიშეთა რაზმები, შრომითი და სამხედრო ბეგარა... ყველაფერი ეს რომ დამთავრდება, იწყება „შრომის ფრონტი“. იგი ითრევს ადამიანებს და, უნდათ თუ არა ეს. უკვე აღარც უშვებს ხელიდან სამარის კარამდე...

ასე იქმნება ადამიანი-ავტომატი, რომელიც ასევე ავტომატურად ასრულებს ყოველგვარ დავალებას. მას მართლაც არ გააჩნია გული და ნერვები. დგას რომელიმე საკონცენტრაციო ბანაკში და ჩლუნგი, განურჩეველი თვალებით უყურებს ადამიანთა წამებას. ამას კი ისინი „ხასიათის გამომუშავებას“ უწოდებდნენ და „სათანადო პროცედურას“ ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკის ბავშვებიდან იწყებდნენ. იმ დროს გერმანიაში მხოლოდ „გასამხედროებულ სათამაშოებს“ უშვებდნენ. ბავშვს ჯერ ფეხიც არ ჰქონდა ადგმული, რომ ხელში პატარა ტანკებს, თვითმფრინავებსა და ზარბაზნებს სჩრიდნენ. ფეხს რომ აიდგამდნენ, მაშინვე მწყობრში აყენებდნენ და პრესაში ასეთ „აღტაცებაში მომყვან“ სურათებს აღწერდნენ:

— სმენა! ყურადღება! სწორება მარცხნივ! — იძლევა ბრძანებას ოთხი წლის ბიჭუნა. ორი-სამი ბავშვი შეადგენს მის მოიერიშეთა რაზმს. მეთაური და ჯარისკაცები გამსჭვალული არიან თავიანთი ამოცანის სერიოზულობით. ყოველ მათგანი დგას ამაყად და უძრავად. ისინი მომავალი მოიერიშეები არიან. ეს ბავშვური თამაშობანი კი სინამდვილეს გამოხატავს... და ვინც ამას უყურებს, აღტაცებულია სიხარულის გრძნობით:

ჯარისკაცი იღვიძებს გერმანელ ბავშვში...

...სკოლაში უარესი ხდებოდა. აქ აღზრდა უმთავრესად ნაცისტური განათლების მთავარი თეორეტიკოსის პროფ. ბუდესა და მინისტრ რუსტის ინსტრუქციების მიხედვით წარმოებდა. „სკოლა უნდა განიმსჭვალოს არმიის სულისკვეთებით“, — ამბობდა მინისტრი და ასე მიმართავდა მის წინ ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ პედაგოგებს:

— ბატონებო, თქვენ გერმანული განათლების მოიერიშეთა რაზმების მეთაურები ხართ. ჩვენ უნდა აღვზარდოთ სპარტანული რასა, განათლების საქმე კი მივანდოთ პოლიტიკურ ჯარისკაცებს.

ბუდეს აზრითაც, პირველ რიგში საჭირო იყო ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა, შემდეგ — ხასიათის გამომუშავება, რაც გულისხმობდა „ფიურერისადმი უსაზღვრო ერთგულებასა და გაჩუმების უნარს“.

— ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა! — ამტკიცებდა იგი. ამის შედეგი იყო ყოვლად ბარბაროსული კატეხიზისი, შეთხზული იმავე ბუდეს მიერ:

— ნაციონალისტ-სოციალისტური აღზრდა გზას გაუხსნის ჰუმანიზმისა და მაღალ გონებრივ თუ კულტურულ ღირებულებათა სრულ აღმოფხვრას.

ვისაც ეს არ უნდოდა, საკონცენტრაციო ბანაკებში ერეკებოდნენ, სადაც თქვენ უკვე იცით, თუ როგორ ახერხებდნენ ესესელები და გესტაპოელები გონების, სიკეთისა და კულტურისადმი იმუნიტეტის გამომუშავებას.

ეს მტკიცედ დადგენილი წესი იყო და ჰიტლერს გაგონებაც არ უნდოდა, რომ აქ შეეცვალა რამე. ერთხელ, როცა მისმა თანამშრომლებმა დაუხატეს საკონცენტრაციო ბანაკების საშინელება, მას ისტერიამ მოუარა, აყვირდა, მაგიდაზე მუშტები ააბრახუნა, მერე დორბლმორეული წამოხტა და რამდენჯერმე კედელს ახალა თავი. სახეზე მკვდრის ფერი ედო, ჩასისხლიანებული თვალები კი სულ გადმოცვენაზე ჰქონდა და ისე ღრიალებდა:

— მე არ მინდა ამის მოსმენა. გაეთრიეთ აქედან, მოღალატეებო! როგორ გგონიათ, საკონცენტრაციო ბანაკებს სა-

ოჯახო პანსიონებად ხომ არ გადავაქცევ! ტერორი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური იარაღია. მე ხელს არ გავუშვებ ამ იარაღს... არც ომის დროს მოვიქცევი სხვაგვარად, მე შთავუნერგავ ყველას შიშს. გამარჯვების მიღწევა შეიძლება მხოლოდ უეცარი დარტყმითა და ტერორით, ეს გამოიწვევს მოწინააღმდეგის დაბნეულობას...

ეს ისევ იმ შამპულაჰის მეუფის დოქტრინა იყო, ტიბეტური ლეგენდის მიხედვით რომ შიშისა და ძრწოლის გზით აპირებდა მსოფლიოს დაპყრობას...

მაგიური სამი...

ამგვარი მაგიურ-მისტიკური ქადაგებისა და ტერორისტული მოქმედების შემდეგ ჰიტლერი თავის „ოჯახურ იდილიას“ უბრუნდებოდა: ძაღლებს ეალერსებოდა, იადონებს უვლიდა, ტკბილეულობას ეტანებოდა ან მუსიკით იტკბობდა ყურთასმენას. „შავ საქმეებს“ კი „შავი ორდენის დიდი მაგისტრი“ ჰიმლერი ასრულებდა. მისი დევიზი იყო რომის იმპერატორის კალიგულას მიერ ოდესღაც ხალხის შესახებ თქმული სიტყვები:

— დაე, ვსძულდე, ოღონდ ეშინოდეთ!..

ასეც იყო: სძულდათ და ეშინოდათ! როცა იგი თავისი დაჯავშნული მანქანით ჩაიქროლებდა ბერლინის ქუჩებში სირენების გამაყრუებელი ზრიალით, ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა.

თვითონ პატარა კაცი იყო, მოუსვენარი, ოდნავ ელამი თვალებით, ვიწრო, უკანგადაწეული შუბლით, სათვალეებით და მოკლედ შეკრეჭილი ულვაშებით. მოღვაწეობა მასწავლებლობით დაიწყო, არის ამაში რაღაც პარადოქსული: ქერაკულულებიანი ანგელოზივით ბავშვები — მომავალი ესესელები, ხოლო მასწავლებელი ჰიმლერი—მათი იეზუიტური შავი ორდენის მაგისტრი, რომელიც სრულიად შემთხვევით თუ მოულოდნელადაც იქცა ჰიტლერის მესამე იმპერიის ოფიციალურ ჯალათად.

გაოცებული ხალხი აბობდა:

— გერინგი ერთ დროს კარგი მფრინავი იყო, გებელსი— კარგი ორატორი, ამ ჰიმლერს კი ნეტავ რა თვისება აღმოაჩნდა ისეთი, რომ ყველას ეშინია მისი?!..

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია:

— თვისება პროფესიული ჯალათისა, სხვა არაფერი!..

...ისე, გულჩათხრობილი კაცი იყო. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, სამაგიეროდ ბევრს კითხულობდა... წიგნებს კი არა, დაქვემდებარებული უწყებებისა და რაზმების საანგარიშო მოხსენებებს: სად რამდენი ათასი კაცი მოკლეს და როგორ. წაიკითხავდა თუ არა ასეთ მოხსენებას, სიამოვნებით გააზმორებდა და მოკლე რეზოლუციას დააწერდა: „ძალიან კარგი!“ მერე განკარგულებებს გასცემდა კიდევ სად რამდენი მოეკლათ და ისიც „ოჯახურ იდილიას“ უბრუნდებოდა — ჰიტლერივით იადონებს უვლიდა ან საფოსტო მარკებს აწებებდა მუყაოზე. უნდოდა ყველაფერში თავისი ფიურერისათვის მიებაძა, ხასიათის გამოვლენაშიც. ცდილობდა კიდეც ოდნავ სანტიმენტალური, მეოცნებე თუ მგრძნობიარე გამოჩენილიყო. როგორც ეტყობა, ეს ჯალათების „სულიერი მოთხოვნილებაა“: უნდათ აჩვენონ, რომ მართლაც ისეთები კი არ არიან, რასაც სინამდვილეში წარმოადგენენ.

ჰიტლერი ათეული მილიონობით ხალხის გაჟლეტას მოითხოვდა და იმავე დროს ბავშვივით ცრემლსა ღვრიდა, როცა მისი იადონი სულს განუტევებდა.

ჰიმლერი ამ შემთხვევაშიც ბაძავდა თავის „სწორუპოვარ ფიურერს“. მას ჩიტების მთელი ფერმა ჰქონდა მოშენებული. თუ ჰიტლერი ფრიდრიჰ დიდის პოზაში დგებოდა, ჰენრიხ ჰიმლერმაც მოძებნა თავისი „სულიერი წინაპარი“ — გერმანიის პირველი მეფე საქსონიის დინასტიიდან ჰენრიხი, რომელსაც „ფრინველთმჭერს“ უწოდებდნენ (ჩვენში, „ჩიტირეკიაო“, ამბობენ).

ჰიმლერს სჯეროდა, რომ რაღაც მისტიკური კავშირი ჰქონდა იმ ჰენრიხ ფრინველთმჭერთან. ამიტომაც გახსნა მიუნჰენის ახლოს მეფრინველეობის ფერმა. იგი თვითონ უვლი-

და ჩიტებს და, თუ რომელიმე მათგანი ფეხებს გაჭიმავდა, „მიცვალებულს“ დააასაფლავებდა, ხოლო საფლავს ცოცხალი ყვავილებით შეამკობდა.

არც თავისი „მისტიკური წინაპრის“ — ჰენრიხ ფრინველთმჭერის საფლავს ივიწყებდა და ყოველწლიურად, „დიდი მონარქის“ დაბადების დღეს, გვირგვინებით ამკობდა. ალბათ, ამიტომაც იჩენდა განსაკუთრებულ ინტერესს ყვავილებისადმი. მან საკუთარი ხელით შეადგინა გეგმა, თუ როგორ უნდა მოეშენებინა ყვავილების პლანტაციები ბელგიაში, უკრაინასა და საქართველოში. მაგრამ ყოველივე ეს საქმის მხოლოდ გარეგნული მხარეა, დეკორაცია, სინამდვილეში კი მეფე ჰენრიხ ფრინველთმჭერი შუა საუკუნეების ისტორიაში ცნობილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე დესპოტი მეფე. იგი თვითონ იგონებდა მოწინააღმდეგეთა წამების წარმოუდგენელ ფორმებს და თავისი ველური სისასტიკით მართლაც გამოდგებოდა ჰენრიხ ჰიმლერის „მისტიკურ წინაპრად“.

არც ძველი ბერძნული და შუა საუკუნეების მისტიკა იყო ჰიმლერისათვის უცხო ხილი. გაეგონა, ღმერთი სამებითაა, და მასაც სწამდა ამ სამი რიცხვის რაღაც მაგიური მნიშვნელობა. სადილის შემდეგ, როგორც წესი, სამ ვაშლს მიირთმევდა, ჯიბეში ყოველთვის სამი ცხვირსახოცი ედო და დღეში სამ ჭიქა ხარის სისხლს სვამდა.

თუ თავის მუდმივ ოპონენტთან გრეგორ შტრასერთან კამათში დასჭირდებოდა, არისტოტელეს სიტყვებს გაიხსენებდა: „ყველა საგანი არის სამი და ის არის ყველგან“. საჭიროებისამებრ პითაგორასაც მოიმარჯვებდა. „ყოველივესა და ყველა საგანს განსაზღვრავს რიცხვი სამი“. მერე ძველ აღმოსავლურსა და ანტიკურ მითებსაც მისწვდებოდა:

— იშკარას სამი სახე ჰქონდა: ბრაჰმა, ვიშნუ და შივა. საკჰისაც: რაჯა, თამას, სატვა. ქვეყანას სამი ღმერთი განაგებდა: იუპიტერი, ნეპტუნი და პლუტონი. იყო სამი გრაცია, სამი ფურია, სამი პარკა, ცერბერსაც სამი სახე ჰქონდაო და ა. შ. შტრასერი უსმენდა მას და, სხვას რომ ვერაფერს გაიხსენებდა „სამის მისტიკის“ შესახებ, ეტყოდა:

— ღამემ კრონოსის ჯიბრზე სამი ბოროტი ღმერთი შე-

ქმნა: აჰატა — სიცრუის, ერიდა — შუღლის და ტანატა — სიკვდილისო.

თან დააყოლებდა:

— ბარემ ისიც მოიგონეთ, ქრისტე რომ სამი დღე ეკიდა ჯვარზეო!

ჯვარცმის შიში მართლაც ყოველთვის ჰქონდა ჰიმლერს. მისი სასახლე ციხე-სიმაგრეს ჰგავდა: ალაყაფის კარების, ქონგურებისა და კოშკების ამბრაზურებში სადაზგო ტყვიამფრქვეევები იდგა. ომის დროს იგი უმთავრესად ჯავშნიანი მატარებლით დადიოდა. მერე კი სულ სალონ-ვაგონში დასახლდა. თავდასხმისა ეშინოდა და თვალი ყოველთვის გაქცევაზე ეჭირა.

ილია წერს: „ცოდვა კაცს დღედაღამ დევნისო“. ჰიმლერსაც ასე დევნიდა თავისი ცოდვები. მეტადრე, როცა განკითხვის დღის მოახლოებაზე ფიქრს გაივლებდა გულში, შიშით აცახცახდებოდა და ვარდების, საფოსტო მარკებისა და ფრინველების „იდილიას“ აფარებდა თავს. მაგრამ ვიდრე ძალაუფლების ზენიტში იყო, მოქმედებდა და თანაც ისე, რომ მისი სახელის ხსენებაზე შიშის ზარი იტანდა ყველას.

თუმცა ესეც გარეთ, სამსახურში, შინ კი „დახლის მუშაკსა ჰგავდა“, რბილი, უწყინარი, ოდნავ სანტიმენტალურიც, თირინასავით წვრილი, წრიპინა ხმითა და ფაქიზი მანერებით, ოქროს პენსნეთი, მანიკურებითა და პედიკურებით... იქნებ ამიტომაც უწოდა მას გრეგორ შტრასერმა „მგრძნობიარე ყასაბი“. მისი ხელქვეითებიც ასეთები იყვნენ — „სანტიმენტალური ჯალათები“. მაგალითად, ჰაიდრიხი. ამ სახელის ხსენებაზე დღემდე შიშის ჟრუანტელი უვლით ევროპის ხალხებს. ჰიმლერის დახასიათებით კი, ის თურმე „მეოცნებე იყო, თავმდაბალი, პოეტური მიდრეკილებებით, შესანიშნავი წმინდა სულით, თანაც იდეალური მეოჯახე, რომელიც ძლიერ იტანჯებოდა იმით, საქმე რომ მხოლოდ უარყოფით მოვლენებთან ჰქონდა“.

ამ „უარყოფითი მოვლენების“ ფორმა და მასშტაბები ხომ უკვე ყველასათვის ცნობილია. იგი „შვიდთავიანმა ურ-

ჩხულმა“ დაიწყო და ისეთ მრავალმილიონ ხელფეხიან ჰიდრად იქცა, რომ წლების განმავლობაში სულს უხუთავდა ევროპის ხალხებს...

გეგურა თორლვას ამბავი...

მომხდარი საშინელი ამბების მცირე ნაწილს მაინც რომ ვეცნობით, ბუნებრივად გვიჩნდება კითხვები: რა ბრალი მიუძღვის ამაში, საერთოდ, გერმანელ ხალხს? ან რა პასუხისმგებლობა ეკისრება მას ამ კატასტროფული მოვლენების განვითარებაში? ყველამ ვიცით, ნაცისტები რომ მთელი გერმანია არ არის. არც მათს იდეოლოგიას გაუხრწნია ყველა გერმანელი. ისიც გვჯერა, იულიუს ფუჩიკი რომ ამბობს, „ადამიანები შეიძლება გაიხრწნან, ერი კი არასოდესო“. მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ორმა მსოფლიო ომმა სიტყვა „გერმანელი“ ისეთ ავბედით წარმოდგენებთან დააკავშირა, რომ მათგან დღემდე ვერ გათავისუფლდა მოაზროვნე ადამიანის გონება. ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმაც თქვა ნიურნბერგის პროცესზე: ნაცისტებმა სიტყვა „გერმანელს“ ისეთი სალანძღავი იერი მისცეს, რომ, ალბათ, მთელი საუკუნე დასჭირდება ამის გამოსწორებასო.

დასავლეთ გერმანიის დღევანდელი ამბები არ იძლევა იმის საბაბს ვიფიქროთ, რომ იმ „საუკუნის“ განვლილ მეოთხედს რამე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაედგას ამ მხრივ. ამიტომ უადგილო არ იქნება, თუ აქვე ჩამოვაგდებთ სიტყვას თვითეული ერის პასუხისმგებლობაზე კაცობრიობის წინაშე. თუმცა, ვაჟას ენით რომ ვთქვათ, ისიც მესმის, თუ რამდენად „საჩოთირო“ ერთი ერის წარმომადგენლის მსჯელობა სხვა ერზე, მეტადრე, როცა საკითხი ბრალდებას ეხება. უფრო სწორი იქნება, თუ ყოველი ერის წარმომადგენელი თავისივე ხალხის სულიერ საგანძურში იპოვის ამ „საჩოთირო საკითხზე“ პასუხის გასაცემ მასალას. ჩემთვის ეს ადვილია, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ვაჟა-ფშაველას სიბრძნეც კმარა ამის გასარკვევად.

— ცალკე ადამიანი იმას არასოდეს არ იკადრებს, რასაც

ერი კადრულობსო, — ამბობს ფშაველი ბრძენი.—თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაცაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა. თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა, ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისთვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ვაჟას აზრით, „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი". სწორედ ეს პატრიოტული კეთილგონიერება უკარნახებსო ადამიანს: „გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს".

ამის საშუალებად კი მას სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლება მიაჩნია:

— განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, — წერს ვაჟა,— რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფნის ავ-კარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რაც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

ეს ისეთი აზრებია, რასაც, ვაჟას სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „კლანჭი არსაიდან გამოედება". ამასთანავე იგი სრულიადაც არ ნიშნავს ზოგად-ჰუმანისტური ან პაციფისტური აზრების ქადაგებას. პირიქით, ვაჟას სიმართლის დასაცავად ხელი სულ ხმლის ვადაზე ჰქონდა დადებული და, თავისი გულწრფელი იდეების ძალასა და ჭეშმარიტებაში დარწმუნებული, იმ „ბებურა თორღვასთან" ერთად, რომელიც მისი ხალხის ზოგად სახეს წარმოადგენს, „შვიდი საყვირის ხმით"

ისე გადასძახოდა შფოთისა და სხვის მამულებში თარეშის მოყვარულთ, რომ აქ არც არავისგან სჭირდებოდა ჭკუის დარიგება და არც უცხო ქვეყნებში ტანტალი.

— თუ დარიგებაზედ მიდგა, — ამბობდა ვაჟა, — შეგიძლიათ თქვენ ჩვენთან მობრძანდეთ, ჩვენ კი მანდ წამოსასვლელად არა გვცალიან. ხმა არ გვივარგა, მკვახედ ვერ ვიტყვით თუ? მანდაც რომ არ წამოვიდეთ, აქედამ კი ვერ გაგაგონებთ? აი, თუნდ სანაძლეოზედ, მე და ის თორღვა რომელსამე უუმაღლესს მთის მწვერვალზედ აგვასხით, თქვენ კიდევ ას ორმოცდაათი მთის და ზღვის იქით წაბრძანდით. იქიდან ჩვენ ერთი ისეთი გამოვიქუხოთ, რომ თქვენ კი არა, თვით ჰიპოპოტამსაც, კიდევ თქვენს იქით, შიშით კანკალი დააწყებინოს: ეს რა ღვთის რისხვა მომესმაო. გესმით? ჩვენ აბუჩად ნუ გვიჭერთ: პატიოსანი, დარბაისელი ხალხი ვართ, ღმერთსა ვლოცულობთ და ხატსა.

ვაჟას აზრით, ყოველმა „გონიერმა კაცმა“ (Homo sapiens) იცის, რომ ამაშია „აზრი ქვეყნის ხსნისა“. „დიაღ, გონიერმა, — წერს იგი, — ხოლო გონიერება ჩვენში... გონიერება ჩვენში... ჰმ!..“ — დასძენს შეშფოთებული და, რომ ეს აბეზარი ფიქრები მოიშოროს, მაცხოვარივით წამოიძახებს:

— წყეულო სატანავ, განვედი ჩემგან!..

პანურგის ჯოგი...

ის სატანა შეიძლება კიდეც „განვიდა“ ჩვენგან და ბევრი სხვისგანაც, მაგრამ ამბობენ, გერმანელების სულში მაგრად მოიკიდაო ფეხი. ცხადია, ამას მე არ ვამბობ. ან კი თავს როგორ მივცემ უფლებას საკუთარი აზრი გამოვთქვა ამ „საჩოთირო საკითხზე“! უმჯობესია ამის შესახებ თვით გერმანელებს მოვუსმინოთ და, უწინარეს ყოვლისა, იმ კატასტროფულ დღეებში „გერმანელი ხალხის სინდისად“ აღიარებულ თომას მანს.

შეიძლება ახლა ჩვენ არც დავეთანხმოთ ბევრ რამეს, რასაც იგი მაშინ ამბობდა, მაგრამ იმის უფლებაც არა გვაქვს

არ მოვუსმინოთ, როცა თვით „გერმანელი ხალხის ამბოხებული სინდისი“ მეტყველებს, და ისიც თანამედროვეობის ისეთი დიდი მემატიანის სახით, როგორიც თომას მანია... არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მისმა დიდმა წინამორბედმა გოეთემ ოდესმე კაცობრიობის „საშინელი სამსჯავროს“ წინაშე წარდგომა უწინასწარმეტყველა თავის ხალხს... იგი შეშფოთებული იყო გერმანელების ზოგიერთი ისეთი ზოგადი დამახასიათებელი ნიშნით, რაც საშიშროებას უქმნიდა სხვა ხალხებს: „ჭეშმარიტების მომხიბლაობის გაუგებრობა“, „გულისამრევი არაზომიერება“, პატრიოტიზმის ცნების გაიგივება „სხვათა რბევასა და სისასტიკესთან“, „ჭკუანაკლებ ვიგინდარებზე აყოლა“, „ქვენა ინსტინქტების“ კარნახი და სხვ. გოეთეს ეშინოდა თავისი ხალხის გაერთიანებისა და გაძლიერებისა, რადგან ამას აუცილებლად მოჰყვებაო სისხლისმღვრელი ომები და ველური თარეში მეზობელ სახელმწიფოებში. კმაყოფილების გრძნობით აღსავსე ბისმარკი ამბობდა:

— ყოველ საუკუნეში იყო ერთი დიდი გერმანული ომი მაინც, რომელიც ჩვენი ერის საათს სწორად მომართავდა ხოლმე მომავალი საუკუნისათვის.

ჩვენს დროში ამ „საათმა“ უფრო სწრაფად იწყო მუშაობა და უკვე XX საუკუნის პირველ ნახევარში ორი „დიდი გერმანული ომის“ მოწმე გაგვხადა...

ასეთმა „ეროვნულმა ტენდენციამ“ ათქმევინა იმავე გოეთეს უდიდესი სინანულით-გაჟღენთილი სიტყვები:

— გერმანელები უნდა გაანაწილონ, გაფანტონ მთელ მსოფლიოში როგორც ებრაელები, რათა ხალხთა საკეთილდღეოდ გამოავლინონ ყოველივე კარგი, რაც მათშია მოცემული.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გულისტკივილით იქნებოდა ნათქვამი ეს სიტყვები... გერინგისათვის კი ამგვარი ტრაგიკული თვითანალიზი ხუმრობის საგანი იყო. ციხეში მან ჯილბერტს უთხრა:

— თუ თქვენ წინაშე ერთი გერმანელია, თქმა არ უნდა, ის წესიერი კაცია. ორი გერმანელი უკვე ბანდაა, ხოლო სამი გერმანელი აუცილებლად გამოიწვევს ომს...

ყოველივე ეს თვით გერმანელების მიერ რომ არ იყოს ნათქვამი, მე, რა თქმა უნდა, ვერც გავბედავდი ამის შეხსენებას თქვენთვის, მაგრამ რას ვიზამთ: ი ს ე თ ი პ ა რ ა დ ო ქ ს უ ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ა შ ე ქ მ ნ ი ლ ი, რ ო მ ჩ ვ ე ნ გ ვ ი ხ დ ე ბ ა დ ა ვ ი ც ვ ა თ გ ე რ მ ა ნ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი თ ვ ი თ გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი ს ბ რ ა ლ დ ე ბ ი ს ა გ ა ნ. მე შემდეგაც გიამბობთ, თუ როგორ ლანძღეს ჰიტლერმა და გებელსმა თავიანთი ხალხი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში. ახლა კი უკვე ერთხელ ნათქვამს დავუბრუნდები. მოიგონეთ კაიტელის სიტყვები: „მე მრცხვენია, რომ გერმანელი ვარო!" საკითხავია, რატომ? განა მართლა გერმანელობაა დამნაშავე იმაში, რა საძაგლობაც მან ჩაიდინა? ან რა უფლებით ლაპარაკობდნენ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე განსასჯელთა სკამზე მსხდომი დამნაშავენი გერმანელი ხალხის სახელით? როცა პროცესზე მათ მიერ ჩადენილ საშინელ ბოროტმოქმედებათა დემონსტრაცია მიდიოდა, ფრანკმა თქვა: „კაცობრიობა არასოდეს აპატიებს გერმანელ ხალხს ასეთ დანაშაულსო". როზენბერგმა კი მხრები აიჩეჩა და გაიკვირვა:

— არ მესმის, როგორ შეეძლოთ ეს ჩაედინათ გერმანელებს!..

ისინი თავიანთ ცოდვებს მთლიანად ხალხს ადებდნენ... ადრეც ცდილობდნენ ამას, უნდოდათ მთელი ერი ჩაეთრიათ მათ მიერ ჩადენილ ბნელ საქმეებში და რომ არ გამოვიდა, ლანძღვაზე გადავიდნენ. უკვე ციხეში მყოფი ფრანკი ეუბნებოდა ჯილბერტს:

— იცით, ბარბაროსობა, როგორც ჩანს, გერმანელების დამახასიათებელი რასიული თვისებაა. აბა, სხვაგვარად რით უნდა აიხსნას, რომ ჰიმლერმა შემოიკრიბა ამდენი ხალხი თავის დანაშაულებრივ ბრძანებათა შესასრულებლად!

მერე „თვითკრიტიკაზედაც" გადავიდა:

— ჩვენ, გერმანელები, ყველანი მძარცველები ვართ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ გერმანული ლიტერატურა იწყება შილერის „ყაჩაღებით".

მერე როცა გაიგო, გერმანელი ხალხი გმობს ჰიტლერელების საქციელსო, იმდენად აღშფოთდა, რომ ასეთი რამ თქვა:

— გერმანელი ხალხი მეძავი დედაკაცივითაა. იგი ეძლევა ყველას... დაუფიქრებლად. ჯერ იყო და ეს ხალხი ჰიტლერს გაჰყვა გაშმაგებული აღტაცებით, რომლის მსგავსი თქვენ არასოდეს გინახავთ... ეს იყო სიგიჟე... სიმთვრალე... ახლა კი...

თუმცა არ ღირს... რაც აქ ფრანკმა წამოროშა, ის რომ დავწერო, ქაღალდიც გაწითლდება სირცხვილისაგან...

განა ჩვენ არ ვიცით, რომ ეს გაშმაგებაც იყო, სიგიჟეც, სიმთვრალეც... თუ გნებავთ, მეტიც... რაღაც ამაზრზენი პაროქსისტული აღტყინება ჰიტლერით, რაც თავბრუდახვეულ ადამიანს სიგიჟის მიღმაც ამოქმედებდა. მათი დიდი ნაწილი პანურგის ჯოგივით (Moutons de Panurge) მიჰყვებოდა თავის ფიურერს უფსკრულში... ისე, წინამძღოლი ვიცი რომ კლდეზე გადაიჩეხება და ცხვრის ფარაც თან გადაჰყვება ხოლმე...

მე ახლაც თვალწინ მიდგას ეკრანებზე ნანახი სურათები, თუ როგორ ხვდებოდა აღფრთოვანებული ბრბო თავის ფიურერს. ყველა ხელს მისკენ იშვერდა, ცდილობდა თითით მაინც შეხებოდა „განგების მიერ ამქვეყნად მოვლენილ ღმერთს". ეს ჯოჯოხეთში მაცხოვრის შთასვლას ჰგავდა, მიქელ-ანჯელოს გენიით უკვდავყოფილს... მილიონთა წამებული სულები რომ შეჰღაღადებდნენ „თავიანთი მხსნელის" გამოჩენას მარადიული ვაებისა და ვარამის მხარეში. თუმცა იქნებ არც ეს აღტყინება იყო ისე ძლიერი, როგორც ჩვენ თვალწინ მომხდარი ამბები: იქ ტანჯულნი და გვემულნი შესთხოვდნენ შველას მაცხოვარს, აქ კი მაძღარი ბიურგერები უცხადებდნენ თავიანთ ფიურერს მზადყოფნას მისთვის სიცოცხლე გაეწირათ...

...ჰიტლერი მანქანით გავიდა მიუნჰენიდან და ბერჰტესგადენისაკენ გაემართა. გზაში ვიღაც ყმაწვილმა შენიშნა მისი მანქანა და, ბევრი არც უფიქრია, ისე გაწვა შუა გზაზე. შოფერმა კემპკამ მანქანა დროზე დაამუხრუჭა. ჰიტლერი გადმოვიდა და იმ ყმაწვილს თავს დაადგა.

— რა მოგივიდათ! რატომ შვრებით ამას? — ჰკითხა მან გულღმა გაშოტილ უცნობს.

აღგზნებული ყმაწვილი წამოხტა, ჯერ „ჰაილ ჰიტლერო" შესძახა, მერე კი მღელვარებისაგან ენის ბორძიკით თქვა:

— მე მინდა თავი შემოგწიროთ, ჩემო ფიურერ! გადაიარეთ ჩემს სხეულზე!..

...ჰიტლერს მაშინ, რა თქმა უნდა, ეს არ გაუკეთებია, მაგრამ შემდეგ კი მართლაც გადაიარა მილიონობით თანამემამულეთა გვამებზე...

ფრანკი კი ამას „დედაკაცურ Hingabe"-ს უწოდებდა და, როგორც ვნახეთ, თავისი კოლეგების მსგავსად საჭირო ცვლილებაც შეჰქონდა გერმანული ენის გრამატიკაში. მისი აზრით, „ხალხი" გერმანულად არა საშუალო, არამედ დედრობითი სქესისაა და უნდა იწერებოდეს სათანადო ნაწილაკით: die Volk. ჰიტლერმა კი იმდენი იყვირა: მე მამაკაცი ვარ! მე მამაკაცი ვარ! მე მამაკაცი ვარო! — რომ კიდევაც დაეუფლა ამ „ქალბატონ გერმანელ ხალხს"...

თუმცა, ფრანკის არცთუ ისე სალონური გამოთქმით, ჰიტლერს კი არ გაუუპატიურებია ის „ქალბატონი", არამედ შეაცდინა...

ასეთმა ცინიზმმა თვით ჯილბერტიც აღაშფოთა.

— თუ ხალხი ერთგული იყო თქვენი, მერე რატომ უნდა ლანძღოთ იგი?! — ჰკითხა მან ფრანკს.

— არა, ეს ერთგულება არ არის... ესაა დედაკაცური Hingabe და სხვა არაფერი! ხედავთ? — უპასუხა მან და ნიშნის მოგებით დაუმატა: — კარგია, არა? ხომ კარგია?.. რა თქმა უნდა, კარგია და სწორედ ამაში იყო ჰიტლერის ძლევამოსილების საიდუმლოება...

თუ ვინმე ფიქრობს, რომ გერინგის, კაიტელის, ფრანკის ან სხვა ვინმეს ამგვარი უხამსი მსჯელობა საკუთარ ერზე „ცალკეული შემთხვევაა", ილიას სიტყვებს— „გამონაკლისი ადასტურებს წესსო" — შევახსენებ და ერთ ქართულ იგავსაც დავუმატებ:

— საკიცხავი წყალს მიჰქონდა, ხელი ამოყო და ცხრა სოფელი გაკიცხაო...

გამკიცხავი კი ბევრი იყო. ისე ბევრი, რომ ახლა გარკვე-

ვით ვერც ვერავინ იტყვის, როგორ იქცა ეს სიტყვა „გერმანელი“ ზიზღის საგნად. ან თვით გერმანელი ხალხი რატომ წარდგა კაცობრიობის მკაცრი სამსჯავროს წინაშე?

რაკი ჩვენთვის ამაზე ლაპარაკი „საჩოთიროა“, დაე, თვით გერმანელებმა უპასუხონ ამ კითხვებს... ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამას ან არ დავეთანხმოთ, სიტყვა კი მაინც მათ ეკუთვნით, უწინარეს ყოვლისა კი — „გერმანელი ხალხის სინდისად“ გამოცხადებულ თომას მანს...

ზამეგაჯ გონებისა ჩუენისაჯ...

1945 წლის 24 მაისს 70 წლის მოხუცი თომას მანი სანფრანცისკოდან ვაშინგტონს გაემგზავრა. მაშინ მთელი მსოფლიო შეძრწუნებული იყო უკვე დამხობილ ჰიტლერელთა დანაშაულებრივი მოქმედებით. გამარჯვების საზეიმო განწყობილება და მომხდარ საშინელებათა პასუხისმგებლობის გრძნობა აიძულებდა მოხუც მწერალს ეთქვა რამე თავისი განადგურებული ქვეყნისა და სახელგატეხილი ხალხის შესახებ. ამისათვის იყო იგი მიწვეული ვაშინგტონს, სადაც ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში დიდძალ საზოგადოებას მოეყარა თავი მის მოსასმენად. თომას მანი დინჯად ავიდა ტრიბუნაზე და ავადმყოფობითა თუ მღელვარებით ფერდაკარგულმა მიმართა აუდიტორიას:

— პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!..

იგი ლაპარაკობდა ინგლისურად, რადგან თავს ამერიკის მოქალაქედ თვლიდა, თუმცა ისევ გერმანია მიაჩნდა „განგების მიერ მისთვის განკუთვნილ ადგილად დედამიწაზე“.

მეზობელ დარბაზში რეპროდუქტორებით ისმენდნენ მისი გამოსვლის გერმანულ თარგმანს. მანი წყნარად, ოდნავ ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობდა. იგი გრძნობდა მომენტის პასუხისმგებლობას, მოვალეობასაც თავისი ერის ისტორიისა და კულტურის წინაშე. პასუხისმგებლობის ამ გრძნობამ უკარნახა სამშობლოდან განდევნილ მწერალს მისივე ბედის მოზიარე მეგობრის წამოძახილზე — „სადღაა გერმანული კულტუ-

რა!“ — ეპასუხა: „სადაც მე ვარ, გერმანული კულტურაც იქ არისო“. ახლა კი ისტორიის მაღალ ტრიბუნაზე მდგარი მწერალი ლაპარაკობდა უფრო დიდ თემაზე — „გერმანია და გერმანელი ხალხი“.

ტრაგიკულად გაისმა დარბაზში მისი მობოდიშება იმის გამო, რომ იგი კიდევ ცოცხალია. ოდესღაც მან თქვა: სიკვდილი მოვა ჩემთან, როცა 70 წლისა შევსრულდებიო.

— დანიშნულმა დრომ განელო, მე კი ისევ ვცოცხლობ, — განაცხადა მან, — და მეჩვენება, რომ სიცოცხლე მოქსოვილია იმავე მასალისაგან, რისგანაც იქსოვება სიზმარი. ეს საოცარია, მოულოდნელი და დაუჯერებელიც. ისე მეჩვენება, თითქოს სიზმარში ვიყო...

კიდევ უფრო ტრაგიკული იყო მისი განცხადება:

— მე გათავისუფლებული ვარ გერმანელობისაგან და, კაცმა რომ თქვას, ახლანდელ მდგომარეობაში ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაა!

თომას მანისათვის ადვილი როდი იყო ისტორიის წინაშე წარმდგარიყო „გერმანელობისაგან“ (Deutschtum) გათავისუფლებულ გერმანელად და როგორც ამერიკის ქვეშევრდომს, თავი „მსოფლიოს მოქალაქედ“ გამოეცხადებინა, თუმცა მას არასოდეს უცდია თავიდან აეცილებინა „წარმოშობით გერმანელობის“ პასუხისმგებლობა, პირიქით, თავისი „ავბედითი ხალხის“ ხასიათისა და ბედის შესახებ ლაპარაკის დროს განაცხადა:

— კაცი, რომელიც გერმანელად დაიბადა, ძალაუნებურად დაკავშირებულია გერმანულ ბედთან და გერმანულ დანაშაულთან, ხოლო სიმართლე, რაც მან უნდა თქვას თავისი ხალხის წინაშე, მიღწეულია თვითშეცნობის გზით.

შემდეგ იგი ჩაუღრმავდა „გერმანული სტიქიის წინააღმდეგობრივ ხასიათს“, მის „ეროვნულ გაუცხოებას სამყაროსაგან“ და „რაღაც გამოცანისებურად იდუმალ დემონიზმს“, რამაც საბედისწერო კატასტროფამდე მიიყვანა მისი ქვეყანა.

მანი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ სურს აგრძნობინოს მსმენელებს „გერმანული ეროვნული ხასიათის ეს იდუმალი კავშირი დემონიზმთან“. მისი აზრით, გოეთეს „ღვთაებ-

რივი ადამიანის“ — ფაუსტის მამაცური მისწრაფება, რომ შეიცნოს ყველაფერი, მიდის მაგიასთან, ეშმაკთან. ხოლო იქ, სადაც ინტელექტის ქედმაღლობა ერწყმის სულიერ დამყაყებულობასა და „არათავისუფლებას“ (Unfreiheit), აუცილებლად ჩნდება დემონი. ამიტომ ლუთერისა და გოეთეს ეშმაკი (მეფისტოფელი) უაღრესად გერმანული პერსონაჟია, რომელიც უარყოფს სულიერი ნეტარების შესაძლებლობას, რათა ფლობდეს სამყაროს საგანძურს და მბრძანებლობდეს მასზე. ამაშია, გერმანელების აზრით, თავისუფლების არსი. მაგრამ ხალხს, რომელიც თვითონ არ არის შინაგანად თავისუფალი, უფლება როდი აქვს სხვის თავისუფლებაზე ილაპარაკოს. ამის გამო ნაციონალ-სოციალისტთა მოძღვრება ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე თავისთავად უაზროა, ვინ უმეტეს, რომ თავისუფლების გერმანული გაგება ყოველთვის გარეშე სამყაროს წინააღმდეგაა მიმართული. ამაში ის გულისხმობს უფლებას იყოს გერმანელი, მხოლოდ გერმანელი და სხვა არაფერი. სწორედ ამის შედეგია, რომ თავისუფლების გერმანული იდეა ანტიევროპული ხასიათისაა და უდრის ბარბაროსობას.

თომას მანმა თქვა, ამას გოეთეც აღნიშნავდაო, კაცი, რომელსაც წილად ხვდა ყოფილიყო წარმომადგენელი ერისა, ვისთვისაც „თავისუფლების იდეა იქცევა ბარბაროსობად და უპირისპირდება გარეშე სამყაროს, ევროპის კულტურას“.

— უბედურება ის არის, რომ სულიერი და პოლიტიკური თავისუფლების ერთმანეთისადმი დაპირისპირებამ, — განაგრძობდა მანი, — გამორიცხა შესაძლებლობა პოლიტიკური ელემენტის შეტანისა გერმანულად გაგებული კულტურის ფარგლებში, ხოლო გერმანული კულტურის პოლიტიკურმა უნებისყოფობამ და დემოკრატიის უგულვებელყოფამ შური იმით იძია, რომ გერმანული სული ტოტალური სახელმწიფოებრიობის მსხვერპლად აქცია, რამაც წაართვა მას არა მარტო სამოქალაქო, არამედ ზნეობრივი თავისუფლებაც.

თომას მანის აზრით, ამით იყო გამოწვეული „პოლიტიკური ვაკუუმი გერმანიის სულიერ ცხოვრებაში“. გერმანელი უარს ამბობს აღიაროს პოლიტიკა ჰუმანიზმის შემადგენელ ნაწი-

ლად, რითაც ხელს უწყობს ტერორის, უხეში ძალადობისა და ბარბაროსობის ისეთ დამკვიდრებას ზნეობის სფეროში, რომლის მსგავსი მანამ არასოდეს უხილავს კაცობრიობას. ეს ედო საფუძვლად ნაციონალ-სოციალისტთა ანარქისტულ, ტოტალურ რევოლუციას, რაც ანგრევდა დასავლეთის ცივილიზაციას უფრო მეტად, ვიდრე ჰუნების შემოსევა შორეულ წარსულში.

— იმის გამო, რომ გერმანული ხასიათი ზურგს აქცევს პოლიტიკას, ვერ იგუებს მას, — განაცხადა მანმა,—ამ ქვეყნის ყველა რევოლუცია (1525, 1813, 1848, 1918 წლებისა) უშედეგო იყო. საქმე ის არის, რომ გერმანელი პოლიტიკაში ხედავს მხოლოდ სიცრუეს, მკვლელობასა და ძალადობას, და თუ პატივმოყვარეობის გამო მაინც მიმართავს მას, კიდევაც ცდილობს მის გამოყენებას. გერმანელ პოლიტიკოსს აუცილებლად მიაჩნია ისე მოიქცეს, რომ კაცობრიობას სული შეეხუთოს. ეს მიაჩნია მას პოლიტიკად. მისი აზრით, პოლიტიკა ბოროტების განსახიერებაა, და ეძლევა რა მას, იქცევა ეშმაკად, დემონად.

— ამის მოწმენი ჩვენ თვითონ გავხდით, — განაგრძობდა მანი, — და შემაძრწუნებელ დანაშაულს, რაც ჩადენილ იქნა, ვერავითარი ფსიქოლოგია ვერ გაამართლებს. გერმანელებმა თავად მისცეს ნება, რომ გაეხრწნათ ისინი და მათთვის დამახასიათებელი კოსმოპოლიტიზმი მიემართათ ევროპაში ჰეგემონიისა და თვით მსოფლიო ბატონობის იდეისაკენ. ამის გამო მათი კოსმოპოლიტიზმი სრულიად საწინააღმდეგო მოვლენაში — ნაციონალიზმსა და იმპერიალიზმში გადაიზარდა. ნაციონალიზმმა კი, თავის მხრივ, რასიული მისტერიის სახე მიიღო და შემზარავ დანაშაულობათა ფორმაში გამოვლინდა, რითაც გონებას ემოცია, მისტიკური ექსტაზი თუ დიონისური სიშმაგე დაუპირისპირდა, და გერმანია, რომელიც ოდესღაც სათავეში ედგა მსოფლიოს სულიერ განვითარებას, უკვე დიად ღირებულებებს კი არ ქმნიდა, არამედ მხოლოდ ძლიერი იყო. იგი დაეშვა დაბლა, ძალიან დაბლა, დაეშვა ჰიტლერის დონემდე, რითაც გერმანული სული გადაგვარდა ბარბაროსობად, რასიულ სიგიჟედ, მკვლელობის ჟინად და მივიდა

ეროვნული კატასტროფის საზარელ დასასრულამდე, გაუგონარ ფიზიკურ და ფსიქიკურ დამბლამდე...

...თომას მანი რომ ამაზე ლაპარაკობდა, სახეზე მკვდრის ფერი ედო და ხელები უცახცახებდა. იგი უზომოდ განიცდიდა თავისი ერის ამ საშინელ კატასტროფას და თვალებს ისე შემკრთალი აცეცებდა, თითქოს თვითონაც, როგორც ამ ერის წარმომადგენელი, საკუთარ დანაშაულსაც აღიარებდა ქვეყნის წინაშე. ამბობდა კიდეც:

— არ არსებობს ორი გერმანია, კეთილი და ბოროტი. არის მხოლოდ ერთი, რომლის საუკეთესო თვისებები დემონურ ძალთა გავლენით გადაიქცა ბოროტების განსახიერებად. ბოროტი გერმანია — სწორედ ეს არის კეთილი გერმანიაც, რომელიც მცდარი გზით წავიდა, უბედურებას ეწია და, საშინელ დანაშაულში ჩათრეული, კატასტროფის წინაშე დადგა. ამიტომ, თუ კაცი გერმანელადაა დაბადებული, არ შეუძლია პირწმინდად გაემიჯნოს ისტორიული დანაშაულით დამძიმებულ ბოროტ გერმანიას და თქვას: „მე კეთილი, სათნო, სამართლიანი გერმანია ვარ, შეხედეთ, რა თოვლივით თეთრი ტანისამოსი მაცვია, ბოროტ გერმანიას კი თქვენ გითმობთ დასაგლეჯად...“

— ყველაფერი ეს ცოცხლობს ჩემში, მე ის გამოვცადე!.. — თქვა თომას მანმა და შუბლზე ჭირის ოფლი მოიწმინდა...

აქ კი ნამდვილად ცდება თომას მანი: „მეორე გერმანია“ იყო, იგი იბრძოდა, თავს წირავდა და, როგორც ვნახავთ, „თეთრ ტანისამოსს“ კი არა, გასისხლიანებულ მკერდს უჩვენებდა კაცობრიობას...

...უფრო გვიან, როცა უშუალო და შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებათა ქაოსი დაცხრა, თომას მანმა თვითონაც დაინახა ეს. მას გაუჩნდა იმედი მომავლისა და, მართალია, თავშეკავებულად, მაგრამ მაინც გამოთქვა მომავლის პერსპექტივების მაჩვენებელი თუ ნუგეშისმომცემი აზრი:

— ბოროტება ჩვენ ისეთი ურცხვი საზიზღრობით წარმოგვიდგა, რომ ერთბაშად აგვეხილა თვალები სიკეთის დიადი უბრალოებით სავსე სილამაზეზე. ახლა კი ისევ ვბედავთ წარმოვთქვათ ისეთი სიტყვები, როგორიცაა თავისუფლება, ჭეშმარიტება, სამართალი... ჩვენ ამ სიტყვებთან ერთად მივდივართ კაცობრიობის მტრების შესახვედრად, როგორც ჟამსა გარდასულს ჯვარცმის ნიშნით ხელში მიდიოდა ბერი ვინმე შესახვედრად სატანისა და ყოველგვარ ტანჯვა-წამებას, რაც ჩვენმა ეპოქამ მოგვანიჭა, გადასწონის ადამიანური სულის ჭაბუკური ბედნიერება, რომელმაც კვლავ მიიღო საუკუნის მიერ აღთქმული მისია გოლიათის შემმუსრავი დავითისა და სიცრუისა თუ ძალადობის გველის წინააღმდეგ მებრძოლი ძლევამოსილის წმიდისა გიორგისა...

—

ჟედმაღლური სიმდაბლე...

ამას თომას მანი ამბობდა მაშინ, როცა ჰიტლერული გერმანია ჯერ კიდევ არ იყო დამარცხებული მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების მიერ და ნაცისტური ბრბოები თავისუფლად დათარეშობდნენ ევროპის ყველა კუთხეში. ადრეც ხედავდა, როგორ ცდილობდა ჰიტლერი „ქვენა გრძნობებს აყოლილი" ნაცისტური ბრბოები ერთ მუშტად შეეკუმშა, რათა თავს დასხმოდა სხვა ხალხების დამოუკიდებლობას.

რომელიღაც თავზე ხელაღებული რომაელი კეისარი ოცნებობდა, მსოფლიოს ყველა ხალხს ერთი თავი გამობმოდა, რომ ხმლის ერთი გაქნევით მოეკვეთა იგი.

თუ სხვა ხალხებისა ვერა, ჰიტლერმა ის მაინც შეძლო ნაცისტური გერმანია ისეთ ურჩხულად ექცია, რომელსაც ერთი თავი და მრავალი მილიონი ხელ-ფეხი ჰქონდა. ამით ცდილობდა იგი სული შეეხუთა კაცობრიობისათვის და მაჯლაჯუნასავით დასწოლოდა „გონიერ ადამიანთა" ფიქრსა და ოცნებას. მართალია, ზოგჯერ ისიც ინიღბებოდა და სიცრუეს აქცევდა თავისი პოლიტიკის მეთოდად, მაგრამ ცეცხლი თივაში რას დაიმალება, მეტადრე — ხანძარი, რომელიც მთელ

ევროპას მოედო. ან რა აზრი აქვს ისეთი ნიღბის გაკეთებას, რაც ოდნავადაც ვერ ფარავს შემზარავ სახეს.

ჰიტლერს ისედაც შუბლის ძარღვი ჰქონდა გაწყვეტილი. მას შეეძლო გულხელი დაეკრიფა, თვალები ზეცისათვის მიეპყრო და ეთქვა:

— ნაციონალ-სოციალიზმის რასიული იდეა და რასიული შეგნება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სხვა ხალხებისადმი შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას, არც იმას, რომ ისინი დაბალ რასებად ჩავთვალოთ. ახალი გერმანული იმპერია ხალხთა წინაშე წარდგება იმ ერთადერთი სურვილით გაცისკროვნებული, რომ იცხოვროს მათთან მშვიდობიან ურთიერთობასა და მეგობრულ დამოკიდებულებაში.

იგი ევროპის ყველა სახელმწიფოს „სთავაზობდა“ „მშვიდობის პაქტს 25 წლით“.

დღეს მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ეს სიტყვები გროშადაც არ ღირდა. თუმცა რაღა მსოფლიომ, ეს მაშინ ჰიტლერმაც იცოდა, მაგრამ, თომას მანისა არ იყოს, ფიურერისათვის პოლიტიკა და სიცრუე სინონიმური ცნებები იყო. „მოქმედების ყველაზე უკეთესი ფორმა საიდუმლოება და ეშმაკობაა“, — ამბობდა ჰიტლერი და ცდილობდა ეს „აღმოჩენა“ თეორიულადაც დაესაბუთებინა. იგი ჯერ კიდევ „ჩემ ბრძოლაში“ წერდა:

— სიცრუის სქელ ფენებში ყოველთვის არის ნდობის ფაქტორი, რადგან ფართო მასები სულის სიღრმეში უფრო გაფუჭებულნი არიან, ვიდრე შეგნებულად და წინასწარი განზრახვით საზიზღარნი. მაშასადამე, თავიანთი პრიმიტიული შეგნებით ისინი დიდი სიცრუის მსხვერპლნი უფრო მეტად ხდებიან, ვიდრე წვრილმანისა, რადგან წვრილმან სიცრუეს თვითონაც მიმართავენ, დიდი სიცრუისათვის კი მათ არ ჰყოფნით ფანტაზია.

ჰიტლერისათვის მთავარი სწორედ ეს „დიდი სიცრუე“ იყო. სიმართლე კი, მისი აზრით, თურმე პოლიტიკის ენა არ არის. ამას ცინიკური პირდაპირობით ქადაგებდა „ცრუ იოსებად“ წოდებული გებელსი. „მე ერთი იმათგანი ვარ, — ამბობ-

და იგი, — ვისაც ყველა კბილი უნდა ჩაამტვრიონ, ვიდრე სიმართლეს ათქმევინებენ“.

ასეთი იყო იმ „დიდი იოსების“ იეზუიტური „მორალი“. იგი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით ნიღბავდა ნაციონალ-სოციალისტურ კაცმოძულეობას, რასაც ასეთის სიძლიერით ამხელს თომას მანი სტატიაში — „კულტურა და პოლიტიკა“. მანი ხედავს, რომ „ბურჟუაზიული ფანტაზია“ ყოველგვარ საშინელებას, რისი მოგონებაც კი შეუძლია, აკავშირებს „ბოლშევიზმის მითურ ცნებასთან“, და წერს:

„ყველაფერი, რასაც იგი გულისხმობს ამ აპოკალიპსურ ცნებაში: ძალადობა, ანარქია, სისხლი და მდაბიოთა ბატონობა, რწმენის დევნა, ჭუჭყიანი სისასტიკე, ყოველგვარ ცნებათა გაყალბება, სამართლისა და გონების შერცხვენა, ჭეშმარიტების უტიფარი, დემონურად აბუჩად ამგდები გახრწნა, საზოგადოებრივი ნაძირალების წაქეზება, სახელმწიფო წესრიგის ლიკვიდაცია, რაც გავრცელებულია ცხრა ზღვასა და ცხრა ოკეანეს იქით, დედამიწის უკანასკნელ კუთხემდე, ფულის, მოსყიდვისა და გამომატვინებელი ლაყბობის მეოხებით ჯაშუშებისა და აგიტატორების ურიცხვი არმიის მიერ, ვიდრე ყველგან არ დაითრგუნება წინააღმდეგობა, არ მოისპობა წესრიგი და მთელი მსოფლიო არ იქცევა თავისუფლების უზარმაზარ სასაფლაოდ, რომელზედაც იფრიალებს გონებაჩლუნგი მონობის დროშა, — დიახ, ასეთი „ბოლშევიზმი“ არის მხოლოდ ნაციონალ-სოციალიზმი...“

მთელი კაცობრიობა დარწმუნდა ამაში. ყველასათვის გასაგები გახდა ჰიტლერელების მისწრაფება ინტელექტუალურ უდაბნოდ ექციათ ჯერ ევროპის ტერიტორიები, ხოლო შემდეგ — მთელი მსოფლიო.

სულიერი სუბსტანცია...

დღესაც არიან ისეთები, მარტო გერმანელ ხალხს კი არა, მთელ დასავლეთს რომ სდებენ ამაზე მსჯავრს, ყველას — ბრალიანსა თუ უბრალოს, განათლებულსა თუ გაუნათლე-

ბელს. მერე თვით Homo sapiens-საც წაუყენეს ანგარიში: თქვეს, რომ სწორედ „გონიერმა ადამიანებმა“ შეუქმნეს სულიერი საფუძველი თანამედროვე ბარბაროსობასო, მეფისტოფელიც ხომ „გონების დიდი მეუფე იყოო“. თუ მათ დავუჯერებთ, ეშმაკი უბრალო ადამიანებს კი არ აცდენს, არამედ „უმაღლესი ჭეშმარიტების მაძიებელთ“, იმათ, ვინც მუდამ შესაძლებლობის იქით ან საკუთარ თავს ზევით (Über sich selbst hinaus) იყურება, ვინც ადამიანურის ფარგლებში ვერ ეტევა და ზებუნებრივს ეპოტინება. ისინი გოეთესაც იმოწმებენ, გერმანელებს რომ უსაყვედურა, არ უნდათ იყონ ის, რაც არიანო. ეს არც გერმანელობის (Deutcshtum) განსახიერებას — ფაუსტს უნდოდა. ამიტომაც მიჰყიდა სული ეშმაკს. სული კი მხოლოდ სუნთქვა როდია, იგი საფუძველია, დემიურგი. ხალხური თქმულების მიხედვით ხომ მეფისტოფელმა ამ ოთხასი წლის წინ უთხრა ფაუსტს, „სული სუბსტანციაოო“.

მერე უცებ თანამედროვეობაში გადმოდიან და ამტკიცებენ: ევროპულ ფაშიზმსა თუ ნაციზმს თავისი სულიერი სუბსტანცია აქვს, ისევ იმ Homo sapiens-ის მიერ შექმნილიო. ისღა აკლიათ, რომ იგი განსასჯელთა სკამზედაც დასვან და ვაჟას „იმედის, რწმენისა და სასოების“ სიმბოლოს — ღვთაებრივი ასულის მსგავსად აიყვანონ სახრჩობელაზე.

მე მერიდება კიდეც ამის აღიარება, მაგრამ რა ვქნა, როცა ის „შემაძრწუნებლად მეორე“ წრიალებს ჩემშიც და მათქმევინებს:

— ვინ იცის, იქნებ ამაში სიმართლის ნაწილიც იყოს! გონების ცდუნება მართლაც ყოველგვარ დანაშაულზე უარესია. დამნაშავე დანაშაულს სჩადის და შესაფერის სასჯელს იღებს... გონების დანაშაულს კი იშვიათად სჯიან. პირიქით, თანამედროვეობის მოწამვლას მიუტევებენ და მომავალ თაობათა ფიქრსა და ოცნებასაც მას სწირავენ მსხვერპლად. ვინ მოთვლის, რამდენი დანაშაულებრივი აზრია, ყდაში ჩასმული და შთამომავლობისათვის შენახული! მათ ავტორებს ძეგლებსაც უდგამენ, სიტყვით, თუ მარმარილოთი, სულერთია... დანაშაულებრივი აზრები ხანგრძლივობენ დროში და

წამლავენ შთამომავლობას „გონიერების ტკბილი საზიზღრობით! ისეთებიც არიან, მთელი სიცოცხლის მანძილზე სიბრძნის თაფლს რომ აგროვებენ, მაგრამ აქა-იქ, ნებსით თუ უნებლიეთ, იელის ისეთ წვენსაც გაურევენ, რაც აბრუებს ადამიანს, ათრობს ან წამლავს კიდეც. ვინც მუდამ სიკეთეს თესავს, ზოგჯერ ისეთ სარეველას თესლს გადააგდებს, რომ მერე სულ კატაბარდებად აქცევს გარშემო ყველაფერს. ამას ცუდი შედეგი მოსდევს. ახლა კი იგი ჩვენ თვალწინაა: გერმანელთა დიდი ნაწილის გული და გონება ისე მოიშხამა ამ საწამლავით, რომ მთელი კაცობრიობა შეაძრწუნა თავისი ქედმაღლური უტიფრობით. ჩვენ კი, როცა ჰიტლერის, ჰიმლერის, ჰაიდრიხის, კალტენბრუნერის, აიხმანის, ჰოსისა თუ სხვა მისთანათა წინამორბედებს ვეძიებთ, გვინდა რაღაც პროტობესტიები აღმოვაჩინოთ ისტორიაში ან მხოლოდ გარემოთი და სიტუაციით ავხსნათ ყველაფერი, მაშინ როდესაც ამ უხამსობის საფუძვლები კაცობრიობის სულიერ კულტურაშიცაა გაბნეული...

...ფაქტია, რომ ფაშიზმი, თუ ნაციონალ-სოციალიზმი წარმოშვა არა მარტო მუსოლინიმ ან ჰიტლერმა, არც ვერსალმა და ხალხის დუხჭირმა მდგომარეობამ, არამედ გასული საუკუნენახევრის სულიერმა მოძრაობამ, რასაც ღრმა ფესვები აქვს გადგმული შორეულ წარსულშიც. ანტიკურ სამყაროსა და ძველ აღმოსავლეთს რომ თავი დავანებოთ... თუმცა რატომ უნდა დავანებოთ, როცა ჰიტლერი, ჰიმლერი, როზენბერგი და სხვები ძველ ინდურ და ტიბეტურ „წმიდა წიგნებშიც“ ეძიებდნენ თავიანთი იდეების წინამორბედებს, ბიბლიაშიც, აღმოსავლურ მისტიკურ-ეზოტერულ მოძღვრებებსა თუ თქმულებებშიც, ანტიკურ მითოლოგიაშიც რომის იმპერატორთა ცხოვრებაშიც... ყველგან, სადაც კი მათი მოძრაობის სიმბოლო — სვასტიკა იყო აღბეჭდილი, ევროპა იქნებოდა ეს, აზია, აფრიკა, თუ ლათინური ამერიკა, ქვის ხანიდან მოკიდებული დღემდე: ეს ასურეთ-ბაბილონიო, ინდოეთი, მალაია თუ პოლინეზია, კონგო, ინდონეზია, მაია და ინკების ტომი... და ვინ იცის — კიდევ სად!

ეს შხამი ჩვენს ერაშიც საკმაოდ გროვდებოდა, გერმა-

ნიაშიც და სხვა ქვეყნებშიც. მის „სულიერ საფუძვლებს“ ქმნიდა თვით ქრისტიანული მოძღვრებაც, ნეტარი ავგუსტინე და თომა აკვინელი, ქრისტეს საეკლესიო ღაღადისი — „მოვედ მახუილითა“, რწმენის კათოლიკური დიქტატურა, კალვინიზმის სულიერი ტერორი, ეკლესიის სრული ბატონობა ადამიანის სულსა და სხეულზე, კომპრომისისა და სხვათა რწმენის მომთმენობის უარყოფა, იეზუიტთა ორდენი, მეტადრე მათი ცნობილი თეზა—„მიზანი ამართლებს საშუალებას“, ლიიოლას ინკვიზიცია, ადამიანთა დაწვა კოცონზე, რომის პაპების ენციკლიკა, კარდინალების absolutio, ოთხი ათასი ავტორის აკრძალულ წიგნთა ნუსხა და აუტოდაფე, ლუთერის ძლიერი სახელმწიფოს თეორია და Euthanasia, მაკიაველის „Il principe“-ს თეზა — „სახელმწიფო მოღვაწე სიმართლისა და სიცრუის მიღმა უნდა იდგეს“, მტკიცება — „ომია Urpolitik ყოველგვარი ცოცხალი არსებისა“, მილიტარისტულად განწყობილი თეოლოგების ქადაგებანი — „ომი ღმრთის მიერ ნაკურთხი საქმეა“ და „რასა ღმერთია, ღმერთი განწმედილი რასაა“, გონების ჯარისკაცური წესრიგი, ჰეგელის ძლიერი სახელმწიფოს ფეტიში და თეზა — „ყველაფერი, რაც არსებობს გონივრულია“, ფიხტეს წიგნი მაკიაველზე, შოპენჰაუერის ნების ფილოსოფია, ბისმარკის პოლიტიკური სენტენციები, რიჰარდ დემელის ნატვრა — „ვიყო ყოველ ტყვიაში, რომელიც ფრანგს მოხვდება გულში“, ნიცშეს ძალის კულტი და ზეკაცის იდეა, შპენგლერის პრუსიული სული, გობინოს რასიული თეორია, ერნსტ იუნგერის „მეომრული სულის“ ხოტბა და „პლანეტარული ხელისუფლების“ იდეა. ბერგსონის ინტუიტიური ფილოსოფია, ჰანს იოსტისა და ჰერმან ლიონსის „ძლიერი, უხეში, გაბედული მატყუარას“ დიდება, ვაგნერის მუსიკალური მისტერიები, ჰაუსჰოფერის გეოპოლიტიკა, მოძღვრებანი ძლიერთა კასტის შეუზღუდველი უფლებებისა და სუსტთა განწირულების შესახებ, დარვინის „ბრძოლა არსებობისათვის“ და ბუნებრივი შერჩევის კანონი, ქერათმიანი ბესტიების კულტი, ბატონთა მორალი და მონათა უუფლებობა, ე. წ. Selbst-gesetzgebung, მასების სიძულვილი, ბრბოს ცნება, პოეტისა და მოაზროვნის გაქირდვა, მომუშავისა და ჯა-

რისკაცის კულტი, ბარბაროსობის იდეალი, სულიერი ცხოვრების ჯარისკაცური დისციპლინის მოთხოვნა, მარად მეომრული (das evig kriegerische) სულის ფეტიში, მტაცებელი ცხოველის ინსტინქტების ხოტბა, დემოკრატიზმის ჩაქოლვა და დიქტატურის მომხიბლაობის ქადაგება, ტირანიის კულტი, ლოზუნგი — „ყველაფერი ნებადართულია", კარლაილის მტკიცება—„გერმანიაა კონტინენტის დედოფალი", მითი არიოჰეროიზმის შესახებ, არიოფილოსოფია, რასიული მისტიკა, დანაშაულის ტოტალურობის თეზა — „ისიც დამნაშავეა, ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია"... და ვინ იცის — კიდევ რა! ყველაფრის ჩამოთვლას ტომები უნდა, დრო და გამძლეობა...

...ყოველივე ეს დაილექა ადამიანის ცნობიერებაში, დაკრისტალდა და სიზიფის ლოდად იქცა სიბრძნის ქვის მაძიებელთათვის. კეთილი ნების ადამიანები კაცობრიობის სულიერ საგანძურში მაღალ ჭეშმარიტებას ეძებენ, გონივრულ იდეებს, თვითონაც ბრძნულ აზრებს გამოთქვამენ და ისევ იმ ვიშნუსავით სახეგაღიმებულნი მიჰყვებიან მათ მიერვე შექმნილ ილუზიებს... ცხოვრებას კი მომეტებულად სხვა ძალები განაგებენ, უფრო პირდაპირნი და უტიფარნი. ისინი ძალაუფლებისათვის იბრძვიან, იარაღს აჟღარუნებენ და მორჩილებას მოითხოვენ. პირველნი მართალნი არიან, მაგრამ უძლურნი ცხოვრების ულმობელი სისასტიკის წინაშე, მეორენი კი — ბოროტების მსახურნი, მაგრამ ძლიერნი. მათ ხელშია სახელმწიფო, არმია, ხელისუფლება, დათრგუნვის ყოველგვარი იარაღი... ეს ორი პარალელური ხაზი იშვიათად ხვდება ერთმანეთს... და ასე მოდის ადამის ჟამიდან... ბრძენნი ამა ქვეყნისანი ქადაგებენ სიკეთეს, ჭეშმარიტებას, სათნოებას, მოყვასისადმი სიყვარულსა და მშვიდობიან ცხოვრებას, ძალაუფლების მქონე ტირანები კი აბუჩად იგდებენ ყოველივე ამას და თავიანთი დესპოტური კანონებით მართავენ ადამიანთა ცხოვრებას. ამიტომაა, რომ ბოროტების ასეთი მოძალებით სასოწარკვეთილნი გვეუბნებიან:

— აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, რეალურად რა მისცა კაცობრიობას ამდენი სიბრძნის ქადაგებამ ან თუ ოდნავ მაინც შეზღუდა ბოროტების თარეში ამქვეყნად...

პირიქითო, ამტკიცებენ ისინი, Homo sapiens-იც ჯოჯოხეთის სამსახურში ჩადგა და თანამედროვე ცივილიზაციაც თავის იარაღად აქციაო...

ნიურნბერგის პროცესზე ფრანგმა ბრალმდებელმა დე ჩიბმა შენიშნა:

— ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ცივილიზაციის მიღწევები ბარბაროსობის სამსახურში ჩადგა.

ინგლისელმა შოუკროსმა კი ასეთი კითხვაც დასვა:

— ნუთუ ევროპის ცივილიზაცია არ აგებს ამაზე პასუხს?..

ეს მართლაც საშინელი კითხვაა!

ჰიტლერიც ხომ ევროპული ცივილიზაციის შედეგი იყო. შეიძლება კულტურისა არა, მაგრამ ცივილიზაციისა — უსათუოდ. სათანადო მასალებსაც უხვად პოულობდა: რომაელ იმპერატორებს ბაძავდა, თავს ბიბლიურ გმირად აცხადებდა, მაკიაველს თავის მასწავლებლად თვლიდა, შოპენჰაუერის აფორიზმებს ფრონტზედაც თან დაატარებდა, ნიცშეს თხზულებებს სახელმძღვანელოდ უგზავნიდა თავის დესპოტ კოლეგებს. ვაგნერი გერმანელი ერის პროფეტად მიაჩნდა, ჰიუსტონ ჩემბერლენს შინაურ კაცად თვლიდა, შპენგლერს სულიერ მამად მიიჩნევდა, ჰაუსჰოფერს ციტატებად იმეორებდა, ებრაელ ბერგსონს „საპატიო არიელის“ ტიტულს სთავაზობდა... კანტსა და ჰეგელს იმოწმებდა... ჰაუპტმანსა და ჰამსუნს იახლოვებდა... და ყველა მათგანი რაღაცით მაინც კვებავდა მის ჰიპერტროფიულ აზრებს...

მესმის, რომ ამის თქმა უხერხულია, მაგრამ ამბობენ, ფაქტი ჯიუტი რამეაო. ჰიტლერელთა მიერ დაწერილ ანტისემიტურ Opus-ებში ისეთი ავტორებიცაა დამოწმებული, რომ ზოგიერთი მათგანის ხსენება მართლაც გეუხერხულება კაცს: ფრიდრიხ დიდი, მარი ტერეზა, ბისმარკი, მოლტკე — ეს არაფერი, მაგრამ... კანტი? ჰერდერი? გოეთე? შილერი? ფიჰტე? შოპენჰაუერი? ლისტი? თვით...

თუმცა აქ გაჩერება ჯობს. ცხადია, არც ერთი მათგანი არ ფიქრობდა, რომ მათს ნათქვამს ასე უხამსად გამოიყენებდნენ ჰიტლერელები, მაგრამ ის „სულიერი სუბსტანცია“

ხომ მაინც შეიქმნა ამით! ბევრი მათგანი თვითონაც შეძრწუნდებოდა ალბათ, როცა თავისივე აზრების ხორცშესხმულ მაგალითებს დაინახავდა ჰიტლერის „მესამე იმპერიაში“...

...თუნდაც იგივე შპენგლერია ამის მაგალითი. ვიდრე ჰიტლერი ძალაუფლებას ჩაიგდებდა ხელში, იგი იოანე მახარებელივით ამცნობდა ქვეყანას ამ „ახალი მესიის“ მოვლენის შესახებ დედამიწაზე. სულ იმას წერდა, ჰიტლერი იხსნისო გერმანიას, და ოცნებობდა იმ დღეზე, როცა „მისი ფიურერი“ სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური გახდებოდა.

ეს დღეც რომ დადგა, შპენგლერი სულ ღაღადისად იქცა: მოვიდაო ახალი მესია, ხალხის ბელადი, აქედან იწყებაო გერმანელი ხალხის ისტორია და ა. შ. მადლიერი ჰიტლერიც განადიდებდა შპენგლერის სახელს, სწავლობდა მის წიგნებს, წამდაუწუმ იმეორებდა „დიდი მასწავლებლის“ ნათქვამს: „ბარბაროსობა ის არის, რასაც მე ძლიერ რასას ვუწოდებ“. მოსწონდა შპენგლერის მიერ წარმოდგენილი გერმანელის „მარად მეომრული ტიპი ადამიანი-მტაცებელი ცხოველისა“...

და როცა სწორედ ასეთმა „მტაცებელმა ცხოველებმა“ 1934 წელს „გრძელი დანების ღამე“ მოაწყვეს და საშინელი ტერორისტული რეჟიმი დაამყარეს, შეძრწუნებულმა შპენგლერმა მაშინვე აღიმაღლა ხმა ჰიტლერელთა წინააღმდეგ... და მერე როგორ!..

— ნაციონალ-სოციალიზმი, — ამბობდა იგი, — უკეთეს შემთხვევაში არის ტარტაროზების შემოსევა დასავლეთში. ეს სრულიად არაგერმანული, არაფაუსტური მოვლენაა!

ეს სკანდალი იყო! ჰიტლერის მიერ დიდების შარავანდით მოსილმა შპენგლერმა უცებ ასე შეატრიალა კეხი და მიწასთან გაასწორა მის მიერვე ადრე ხოტბაშესხმული ნაციონალ-სოციალიზმი.

შეშფოთებულმა ჰიტლერმა რამდენჯერმე მიიღო შპენგლერი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გაბედულმა ფილოსოფოსმა ბანდიტთა ხროვა უწოდა მის პარტიას, როზენბერგის „X X

საუკუნის მითზე“ კი თქვა: ეს არის წიგნი, რომელშიც გვერდების ნუმერაციის მეტი არაფერიაო სწორი. მერე 1936 წელს ფრანკს მისწერა, პირობას გაძლევთ, რომ ათი წლის შემდეგ თქვენი იმპერია აღარ იარსებებსო...

ჰიტლერი ერიდებოდა შპენგლერის წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღებას, მაგრამ შემდეგ, როცა მისი აშკარა ანტიჰიტლერული გამოსვლები აუტანელი გახდა... 53 წლის შპენგლერი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ჰიტლერმა იცოდა, ვისი „გარდაცვალება“ როდის იყო საჭირო!..

ვინ იცის, შოპენჰაუერი, ნიცშე და სხვებიც რომ მოსწრებოდნენ ნაცისტურ რეჟიმს გერმანიაში, ასევე მოიქცეოდნეს თუ არა... ისე კი, ვინც მოესწრო, ბევრი მაშინვე განუდგა „იმ ანტიქრისტეს“. ლუდენდორფმა უარყო ჰიტლერის მიერ შეთავაზებული წოდება ფელდმარშლისა, ძმები იუნგერები სულ ჩამოშორდნენ პოლიტიკურ საქმეებს. 80 წლის ებრაელმა ბერგსონმა, როგორც მოგახსენეთ, უარი შემოუთვალა „საპატიო არიელის“ წოდების მიღებაზე, შტეფან გეორგე შვეიცარიაში წავიდა და „გერმანული სული“ თან წაიყოლია.

ეს იმან თქვა პირველად: „სადაც მე ვარ, გერმანული სულიც იქ არისო“...

ის „სულიერი სუბსტანცია“ კი მაინც დარჩა გერმანიაში. ბევრს ეცადა თომას მანი გარკვეულიყო ამ ბნელით მოცულ ლაბირინთებში, მაგრამ, თვითონაც დაიბნა, და ბრალიანსა თუ უბრალოს — ყველას დასდო მსჯავრი ბარბაროსობაში...

— და თუ ეს ასეა, — ფიქრობს Homo sapiens-ი, მართლაც რაღა ფასი აქვს გონებას, აზრს, ფიქრსა და ოცნებას ადამიანისას? ნუთუ ამისათვის იგემა პირველმა ადამიანმა ნაყოფი „ცნობადის ხისა“, რომ ძალადობა ყოფილიყო მისი იარაღი?! ან პრომეთეოსმა რისთვის მოსტაცა ოლიმპის ღმერთებს გონების ცეცხლი, თუ „გონიერ ადამიანს“ უგონონი შეიპყრობდნენ და აზროვნებას საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსებდნენ?! რისთვის იღვწოდა გონება ადამიანისა, თუ ევროპის „ინტე-

ლექტუალურ უდაბნოდ“ ქცევა გახდებოდა მათი მიზანი! როგორ შეიძლება შევეგუოთ აზრს—დიდი გერმანელების ფიქრისა და შემოქმედების გენიალური შედეგები იქამდე მიიყვანდა მათ, რომ იმ „ფესმოღრეცილ“ გებელსს ეთქვა: „ინტელექტი სახიფათოა ხასიათის ჩამოყალიბებაში. იმისათვის კი არ ვცხოვრობთ ამქვეყნად, რომ თავი გამოვიტენოთ ცოდნითო“.

თვითონ გებელსი თავის დროზე გერმანიის რვა უნივერსიტეტში სწავლობდა ერთდროულად... დღიურებში კი წერდა: „კაცმა რომ თქვას, რას ვსწავლობ მე? ყველაფერს და არაფერს. მე იმდენად ზარმაცი და ბრიყვი ვარ, რომ არ შემიძლია რამე სპეციალური მეცნიერება შევითვისო. მე მინდა გავხდე ადამიანი, პიროვნება“...

ეს იყო მათი იდეალი: პიროვნება — ინტელექტისა და ცოდნის გარეშე, სიკეთისა და სამართლიანობის გრძნობის გარეშე. გებელსი ამბობდა: „ჩვენ მოგვიხდება ისევ დავუბრუნდეთ მასების პირველყოფილ ინსტინქტებს“. ეს იმისათვის, რომ მათ სჭიროდათ ბრბო „ეგზალტირებული ცხოველებისა“ თავიანთი დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად. ჰიტლერი წერდა:

— მასა ჰგავს ცხოველს, რომელიც თავის ინსტინქტებს მიჰყვება. იგი ანგარიშს არ უწევს ლოგიკასა და განსჯას. მასაზე ზეგავლენის მოხდენა მაშინ შეიძლება, თუ იგი ფანატიკურია. მე აღვაგზნებ მას, რომ ვაქციო ჩემი პოლიტიკის იარაღად...

ასეთი ცხოველური ინსტინქტებით შეპყრობილი და ფანატიკურად აღგზნებული ბრბოების მეშვეობით შეუდგა ჰიტლერი თავისი პოლიტიკის განხორციელებას. მან იმთავითვე გამოუცხადა ბრძოლა გონებას, ლოგიკას, სამართალს, სიკეთეს, ყველაფერს, რითაც ოდესღაც ამაყობდა „გონიერი ადამიანი“.

— ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვუღოთ ბოლო იმას, რასაც საყოველთაო განათლებას უწოდებენ, — ამბობდა ჰიტლერი: — საყოველთაო განათლება — ეს შხამია, თანაც ყველაზე სახიფათო და გამხრწნელიო.

ამის ნაცვლად საჭირო იყო ბრბო „თავზე ხელაღებული ადამიანებისა“. გებელსი ამბობდა კიდეც: „თავზე ხელაღებული ახალგაზრდების აღზრდა — აი, ჩვენი სკოლის მიზანი“.

რამდენი ასეთი ახალგაზრდა მინახავს, იარაღაყრილი რომ იჯდა დაკითხვების ოთახში და ჩვენს „საკონტროლო კითხვაზე“ ასე უპასუხებდა: გოეთე გენერალია, ხოლო შილერი — გაულაიტერიო...

საბოლოოს არამზადები...

ასეთ ცხოველური ინსტინქტებით აღგზნებულ, თავზე ხელაღებულ და გონებაჩლუნგ ადამიანებს მართლაც რა კავშირი უნდა ჰქონდეთ იმ „გონიერ ადამიანთან“, რომელმაც კაცობრიობა, ასე თუ ისე, მაინც მოიყვანა კულტურისა და ცივილიზაციის თანამედროვე დონემდე? ან იქნებ ეს მართლაც ისტორიული უკუსვლა იყო ბარბაროსობისაკენ, რასაც თვითონ გერმანელებმა „ყოფიერების კვლავ გაბარბაროსება“ (Rebarbarisierung des Daseins) უწოდეს?!

ჰერბერტ უელსი ჯერ კიდევ 1934 წელს წერდა:

— ის, რაც გერმანიაში ხდება,—ეს არის ველური, ბნელი ძალების ლაშქრობა გონებისა და კულტურის წინააღმდეგ.

ამაზე მიუნიშნებდა ის გრანდიოზული „აუტოდაფე“, რაც ნაცისტებმა გამართეს ბერლინში. აქ, ოპერის მოედანზე, უზარმაზარი კოცონი გიზგიზებდა. ესესელებსა და მოიერიშეებს მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოჰქონდათ ურიცხვი ტომები წიგნებისა და წვავდნენ. ცეცხლი ეკიდა ისტორიას, ფილოსოფიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ფიქრსა და აზრს ადამიანისას, იწვოდა ყველაფერი, რაც კი Homo sapiens-მა შექმნა საუკუნეების მანძილზე, იწვოდა სიბრძნე და სიამაყე მოაზროვნე კაცობრიობისა, რასაც ნაცისტები ზიზღით „გონების ვანავალს“ უწოდებდნენ!

რა წინასწარმეტყველურად ჟღერდა მაშინ ჰაინეს მიერ ასი წლის წინათ ნათქვამი სიტყვები:

— იქ, სადაც წიგნებს წვავენ, მალე ადამიანებსაც დაწვავენ!..

მერე ის ჯოჯოხეთის ალი მართლაც მთელს ევროპას მოედო და ზეცა დაიფარა კრემატორიუმების მყრალი კვამლით, მსგავსად იმისა, ბიბლიაში რომ წერია:

...და აღხდა კუამლი ჯურღმულისაჲ მისგან ვითარცა კუამლი ცეცხლისა მოტყინარისაჲ, და დაბნელდა მზე და ჰაერი...

ადამიანთა ურვა და გოდება ზევით ცას მისწვდა და ქვევით ჯოჯოხეთს. თვით სატანის სამეფოც შეაძრწუნა ამ საშინელმა ამბებმა და ის ცალთვალა მეფისტოფელიც გამოეშურა დედამიწისაკენ, რომ გაეგო, რა უბედურება ხდებოდა ამქვეყნად. ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდა, მან განვლო ათასი წრე ზეს-კნელ-ქვესკნელისა, ის ყინულისებური სფეროებიც გამოიარა, რომელიც „გარს აკრავს ჩვენს პლანეტას“, და თითქოს პოლ ვალერის დრამის მიხედვით მოძეპნა თავისი „ძველი მეგობარი“, ყველა დროისა და ქვეყნის „მოაზროვნე ადამიანის“ იდეალური სახე—ფაუსტი, რომელმაც ერთხელ კიდევ იხილა თავისი არსებობის დღის გაგრძელება.

ისევ ერთმანეთის პირდაპირ დადგნენ სული სიბრძნისა და სული უარყოფისა, სული კეთილისა და სული ბოროტისა, მაგრამ უკვე არც ერთი იყო ის, რაც უწინ, და არც მეორე. ფაუსტი იქცა სიბრძნის გვირგვინად, განსახიერებად Homo sapiens-ის მიერ განვლილი გზისა, მის დასასრულად, ადამიანად, რომელმაც გაიგო საშინელი სიმართლე სინამდვილისა და დაასკვნა, რომ „ყველაფრის საბოლოო ჯამი არის ნული“. და თუ ეს ასეა, ფიქრობს „უასაკო მოხუცი“ ფაუსტი, რა საჭირო იყო გონების ამდენი წვალება, სიბრძნე, აღმაფრენა, ოცნება, ლამაზი სიტყვები, გონებამახვილური სენტენციები, სათნოებისა და სიკეთის დიდება, თუ მისი ხალხი და ქვეყანა იმ მდგომარეობამდე მივიდოდა, რაც მან საკუთარი თვალით ნახა. ან კაცობრიობას რად უნდა ისტორიის გამოცდილება, თუ ყოველი ახალი თაობა მისგან მხოლოდ კატასტროფების განმეორების ხელოვნებას სწავლობს!..

...მეფისტოფელმაც შეიტყო „საზარელი სიახლე“ არსებობისა. მან დაინახა, რომ ადამიანებმა გაუსწრეს ბოროტებასა და უარყოფაში. ჯოჯოხეთის სულები მათთან შედარებით ანგელოზებს ჰგვანან. უწინ მეფისტოფელი დარწმუნებული იყო, რომ ადამიანებს ბოროტი ძალების ჩაურევლად არ შეუძლიათ დაღუპონ თავიანთი თავი. ახლა კი ადამიანები ისეთ ბოროტებას სჩადიან, რომ ჯოჯოხეთის მთელი პანდემონიუმის ფანტაზია ვერ მისწვდება ამას. და თუ ისინი მოისურვებენ სატანის ხილვას, ამქვეყნადვე იპოვნიან მასზე უარესს. ან ჯოჯოხეთის სულები რაში სჭირდებათ, როცა სულის ფასი დაეცა. იგი ჩაიხრჩო რიცხვში, ერთი მოკვდა მრავალში. ბოროტებაც გაიხრწნა და გაიაფდა. ცოდვაც ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა და ჩვეულებად იქცა.

— უწინ კი ბოროტება ისეთი ლამაზი იყო! — სინანულით იგონებს მეფისტოფელი, — ხოლო ახლა იგი ისე საზიზღარია, რომ ჯოჯოხეთსაც ბილწავს თავისი ამაზრზენი უბრალოებით. ამიტომ არც ადამიანები საჭიროებენ ბოროტ სულთა ჩარევას. ისინი თვითონაც ადვილად პოულობენ გზას ჯოჯოხეთისაკენ. არც ბოროტ სულს სცემენ პატივს, რადგან ცდუნება უკვე აღარ იწვევს მათში მძლავრ ემოციებს, სინდისის ქენჯნას, მონანიებას. ცოდვასაც ისე უბრალოდ სჩადიან, რომ არც აძლევენ ამას რაიმე მნიშვნელობას. ბევრმა არც იცის, რა არის ცოდვა, ამიტომ ცდუნებაც კარგავს ძალას მათ მიმართ. უკვე არცაა საჭირო ათასგვარი მახის დაგება და მოტყუება: ადამიანები ამის გარეშეც პოულობენ სულის წაწყმედის საშუალებას და თვითონვე ქმნიან თავიანთ ჯოჯოხეთს.

მათ არც იმ ჯოჯოხეთის ეშინიათ, სადღაც ქვესკნელში რომ ეგულებათ, რადგან ამქვეყნად უარესს ხედავენ და ეჩვევიან...

...ეს თუ ასეა, ჯოჯოხეთის სულებმა რა უნდა აკეთონ? — შეშინდა მეფისტოფელი: — ხომ შეიძლება, რომ ისინი უმუშევრებად დარჩნენ? წიგნიც ხომ არსებობს ასეთი — „უმუშევარი ეშმაკი“!..

მოვიდა ამქვეყნად ჯოჯოხეთის მოციქული, მაგრამ სამუშაო ვერ იშოვა, რადგან ადამიანები თვითონ უკეთ ართმევდნენ თავს ყოველგვარ ბოროტებას. გესტაპოს ჯურღმულებსა და საკონცენტრაციო ბანაკებს აღარ ჰყოფნით ბოროტი სულების კვალიფიკაცია, უკვე აღარც მეფისტოფელს შეუძლია ვინმეს ხელშეკრულება დაადებინოს, მით უმეტეს, საკუთარი სისხლით მოაწერინოს ხელი. ეს ადამიანებს ახლა სასაცილო „თერაპიულ ფორმალობად“ მიაჩნიათ. საშინელია ამაზე ფიქრი, მაგრამ ეშმაკი უკვე აღარავის სჭირდება.

— დიახ, შენ უკვე მოდიდან ხარ გასული. — ეუბნება მას ფაუსტი.

.შეძრწუნებული მეფისტოფელი ისევ მოსინჯავს სულის წაწყმედის ძველებურ საშუალებებს, მაგრამ ამაოდ. მერე ცდუნების ახალ მეთოდებსაც იგონებს, უფრო „სასიამოვნოსა და თავბრუდამხვევს“, გარეგნობასაც იცვლის, მანერებსაც: რქებს მოიძრობს, ბრჭყალებს მალავს, ევროპულ კოსტიუმს იცვამს და თანამედროვე ჯენტლმენის სახეს იღებს, სავსებით ისეთს, ნიურნბერგის განსასჯელთა სკამზე მსხდომთ რომ აქვთ. მაგრამ არც აქედან გამოდის რაიმე. მეფისტოფელი კარგავს თავის ძალას და იფანტება ჩვეულებრივში. ძველებურად გამოჩენა კი რცხვენია მოდაგადასულს. თავისი თავის გამქღავნებასაც ერიდება, არ დამცინონო...

— რა გქვიათ? — ეკითხება ამ დროს ფაუსტის მოწაფე.

• მეფისტოფელი იბნევა. ხომ ვერ იტყვის — „ეშმაკიო“: მასხრად აიგდებენ, გაროზგავენ და გააგდებენ...

— აბა, რა ვიცი რა მქვია! სახელებს ჩვენ თვითონ ხომ არ ვირქმევთ, სხვები გვარქმევენ, — ბურტყუნებს იგი და, რომ უფრო სასიამოვნო გახდეს, „გოგირდის კლასიკური სუნის“ ნაცვლად ვარდის გამაბრუებელ სურნელებას აფრქვევს. რაკი ადამიანებს სიამოვნებთ ბოროტება, მეფისტოფელიც ამ გზით ცდილობს მათს შეცდენას. თან ისეთ სახეს მიიღებს, როგორიც ადამიანებს სურთ და ენატრებათ... აი, საშინელი სიცხის შემდეგ შხაპუნა წვიმა რომ მოდის, ეს ის არის, მეფისტოფელი! ოქროსფერი ფოთლების ჩრდილში განმარტოებით რომ სკამი დგას და შეყვარებულებს ცდუნების სავანისაკენ

უხმობს, ესეც ისაა. იგი ყველგანაა, ყველაფერში. არ არის ისეთი გრილი ნიავი, მეფისტოფელის სუნთქვა რომ არ მოჰყვებოდეს. წყაროს წყლის ჩხრიალშიც მისი ხმა ისმის. დღისით და ღამით ჩურჩულებენ მისი ცეცხლოვანი ბაგეები და ადამიანებს ვნების ჟრუანტელი უვლით... მერე საიდანღაც ის „სალახანა ეროსიც“ გაჩნდება და ადამიანი მზადაა სცოდოს... მეფისტოფელი ხელს უწყობს ამას. იგი ემოციებს აძლიერებს, ჩრდილსა და სიღრმეს მატებს გრძნობებს. ხანდახან სიყვარულის სამსალას მწუხარების ნექტარს ურევს, მერე ეჭვს გამოიწვევს, სულიერ ტანჯვას, შიშისა და ჯოჯოხეთის პერსპექტივას გაზრდის... სინანულსა და სიძულვილსაც გამოიყენებს, რომ ვრძნობები გააღრმავოს და უფრო შთამბეჭდავი გახადოს სულისა და ხორცის ეს საბედისწერო თამაში...

მეფისტოფელს უნდა ამით თავისი აუცილებლობა დაამტკიცოს, მაგრამ მაინც არაფერი გამოუდის. ადამიანი გადაეჩვია ძლიერ გრძნობებს ან ხელოვნურად იწვევს მას. ამიტომ არც მეფისტოფელის ასეთი ოინები სჭირდება... უწინ ადამიანი მოუხმობდა ბოროტ სულს, ფაუსტი — მეფისტოფელს. ახლა კი თვითონ მეფისტოფელი ეხვეწება ფაუსტს, დამეხმარეო, მაგრამ ფაუსტს რა დახმარება შეუძლია, როცა იგი განვლილი გზის დასასრულია, ხოლო ამ გზამ ისევ იქ მიიყვანა, საიდანაც დაიწყო: ფაუსტი ახლაც იდეათა პრინციპია, ადამიანური ექსისტენციის ზოგადი სახე — Homo sapiens, მაგრამ უძლური, უფლებააყრილი. დამცირებული და... საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსებული...

...მერე მეფისტოფელმა აზრის სისწრაფით შემოიარა, რაც კი საკონცენტრაციო ბანაკები იყო, და ადამიანთა წამებისა და დამცირების ისეთი საშინელი სურათები ნახა, რომ მართლაც დარწმუნდა ჯოჯოხეთის ჩამორჩენილობაში ამქვეყნიურ ცხოვრებასთან შედარებით. იგი მიხვდა კიდეც, რომ ბოროტი სულები სწორედ წამებისა და დამცირების ახალი ფორმების გამოგონებაში ჩამორჩნენ ადამიანებს. იქნებ იმიტომ, რომ ამაში საჩუქარს არავინ აძლევდა მათ. ესესსა და გესტაპოში კი ვინც წამების ყველაზე საშინელ ხერხს მოიგონებდა, აჯილდოებდნენ

და აწინაურებდნენ კიდეც. ამიტომაც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სადისტურ გამომგონებლობასა და სისასტიკეში.

...აბა, გაიხსენეთ ყველაფერი, რაც გინახავთ ან გაგიგონიათ: ძველი აღმოსავლეთი და შუა საუკუნეები, ინკვიზიტორების სისასტიკე და საწამებელი ხელსაწყოების გამოფენა ტაუერში, გესტაპოს ჯურღმულები და ადამიანთა მოსპობის ტექნიკა ჯოხის დამრტყმელი მანქანებიდან ვიდრე სიკვდილის აგრეგატებამდე: გაზკამერები, კონვეიერები, კრემატორიუმები, ტექნიკური აზრის ზეიმი... უფრო პრიმიტიული „გასართობებიც“: ბავშვებზე ნადირობა, შეჯიბრი სროლაში ცოცხალ სამიზნეზე, ადამიანის შუაში გაკვეთა... მილიონობით მსხვერპლი — დამნაშავე თუ უდანაშაულო... უმწეო, უუფლებო, ნებისაგან დაცლილი და არსებობის უაზრობით მოთენთილი ადამიანები, რომელთაც თვითონ ათხრევინებენ საკუთარ საფლავს. გაიხსენეთ მშობლები, საკუთარი ბავშვები რომ ჩაჰყავთ ორმოში, მშვიდად წვებიან უკვე დახოცილთა გვამებზე და უცდიან თავიანთ ხვედრ ტყვიას. მამაც გაიხსენეთ, გარშემო გამართული სასაფლაოსათვის თვალის ასარიდებლად შვილს რომ ზეცისაკენ აყურებინებს... ბოძზე მიკრული ადამიანებიც, ცოცხლად რომ ტყავს ხდიან „ნატიფი ნივთების“ დასამზადებლად... ყველაფერი გაიხსენეთ, რასაც ადამიანები მიმართავდნენ „ებრ მათთა“ დასათრგუნად და მოსასპობად... ესესელთა გონების მრუშობაც: სიკვდილი როგორც გართობა და სანახაობა — ის, რაც ადამიანთა პრივილეგიას წარმოადგენს! ცხოველები ხომ ასეთ გასართობებს არ იგონებენ, ეს მხოლოდ ადამიანს შეუძლია! „გონიერ ადამიანსო“, ამბობენ ზოგიერთები და, ვინ იცის, იქნებ ეს მართლაც ასეა. აბა, უგუნური როგორ გამოიგონებს ადამიანის სიკვდილით დასჯის ისეთ რთულ მანქანას, ფრანც კაფკას რომ აქვს აღწერილი მოთხრობაში — „გამასწორებელი ბანაკი“...

მოთმინება მოვიკრიბოთ და ჩვენც შევისწავლოთ ამ მანქანის მოწყობილობა, რადგან იგი განასახიერებს ყველაფერს, რაც გალაკტიონის თქმისა არ იყოს, კაცობრიობის მთელ ისტორიას „მოსდევს როგორც ანათემა...“

...სადღაც, უკაცრიელ ადგილას, შიშველ ფერდობებს შორის გაშლილ, სიცხისაგან გადაბუგულ ქვიშიან ველზე მიდიან ოთხნი: ოფიცერი, უცხოელი, ჯარისკაცი და სიკვდილმისჯილი... მიდიან, რათა განაჩენი სისრულეში იქნეს მოყვანილი...

რა დააშავა იმ საცოდავმაო, ვინმემ რომ იკითხოთ, ის ოფიცერი მოგიყვებათ:

— დღეს დილით ნაცნობმა კაპიტანმა შემომჩივლა, რომ ეს ჯარისკაცი მისი მსახური იყო და ევალებოდა ღამღამობით ზედ ოთახის კართან წოლილიყო, რათა ყოველ საათში, ჩამოჰკრავდა ზარი თუ არა, წამომხტარიყო და სამხედრო სალამი მიეცა კარისათვის, რომლის იქით ეძინა მის ბატონს. წუხელ თურმე მან დაივიწყა თავისი მოვალეობა და ზუსტად ღამის ორ საათზე, როცა კაპიტანმა შესამოწმებლად გააღო კარი... რას ხედავს!.. მსახურს სძინავს!.. კაპიტანმა წამოავლო ხელი მათრახს და შიგ სახეში ურტყა მას. მსახური წამოხტა და ნაცვლად იმისა, რომ პატიება ეთხოვა ბატონისათვის, ხელი ჩაავლო მას ფეხში და უყვირა:

— გადააგდე მათრახი, თორემ მოგკლავ!..

— წარმოგიდგენიათ!!!

დილით კაპიტანი მოვიდა ჩემთან და მიამბო ყველაფერი. მე ჩავიწერე მისი ნათქვამი და ერთ საათში გამოვიტანე კიდეც განაჩენი...

...ახლა ის მსახური მიჰყავთ განაჩენის სისრულეში მოსაყვანად. ხელებსა და ფეხებზე მას რკინის ბორკილები აქვს დადებული, ტანი და კისერიც — ჯაჭვით შეკრული. ჯარისკაცს მოუკიდია ხელი ამ ჯაჭვის ბოლოსათვის და მიუძღვება სასაკლაოსაკენ გამხდარს, ჭუჭყიანს, თმაგაბურძგვნილს, წვერგაუპარსავს, გონებადაჩლუნგებულსა და თვინიერს. მან არც იცის, რა მოელის, ცნობისმოყვარედ მისჩერებია სხვებს და ძაღლივით მიჰყვება მათ იქითკენ, სადაც სიკვდილით დასასჯელი მანქანა დგას...

ოფიცერი ფრანგულ ენაზე უხსნის უცხოელს ამ მანქანის მოწყობილობას. დასასჯელმა არ იცის ფრანგული, მაგრამ მაინც დაძაბულად უგდებს ყურს მათ საუბარს:

— ეს განსაკუთრებული მანქანაა, — ამბობს ოფიცერი. — აღრე იგი ხელით ასამუშაებელი იყო, ახლა კი მექანიკურია. მართალია, ხანდახან არის შეფერხებები, მაგრამ ეს ადვილად სწორდება. მანქანა თორმეტი საათი მუშაობს შეუჩერებლად. ივი საში მთავარი ნაწილისაგან შედგება: დასაწოლი ძელის, დაღის დასადებისა და ფარცხისაგან. დასასჯელს ვაშიშვლებთ და სპეციალურად პრეპარირებულ ბამბაგადაკრულ ძელზე ვაწვენთ თავდაღმა, რომ შემდეგ ხელებით, ფეხებითა და კისრით დავაკრათ. მის სახესთან მიმაგრებული გვაქვს ქეჩის ნაჭერი, რომელსაც ისე მოვზომავთ, რომ პირდაპირ პირში ჩაუვარდეს დასასჯელს. ესეც ავტომატურად ხდება. თვითონ დასასჯელიც იძულებულია ნებით ჩაიდოს ქეჩის ის ნაჭერი პირში, თორემ ყელზე წაჭერილი ღვედი კისრის ძვალს გადაუმტვრევს. ასეთ ვდგომარეობაში კი იგი ვერც იყვირებს და ვერც ენას დაიღეჭს სიმწრისაგან.

დასაწოლ ძელს ზემოთ ორი მეტრის დაშორებით არის დაღის დასადები მოწყობილობა, შუაში კი რკინის ბაგირით დაკიდებული კბილანებიანი ფარცხია. მანქანას აქვს პატარა ელექტროძრავა. როგორც კი დასასჯელს დააწვენენ, ძელი ამ ელექტროძრავას საშუალებით იწყებს ვიბრაციას და ერთდროულ მოძრაობას როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად. ეს მოძრაობა ზუსტადაა შეხამებული ფარცხის ვიბრაციასთან. განაჩენის სისრულეში მოყვანაც უმთავრესად ამ ფარცხის საშუალებით ხდება.

სასამართლო პროცედურა ჩვენთან სრულიად თავისებურია. განაჩენი გამოაქვს ბანაკის კომენდანტს, რომელიც ჯარისკაციცაა, კონსტრუქტორიც, ქიმიკოსიც. მხაზველიცა და მოსამართლეც. მისი განკარგულებით, ჩვენ ამ ფარცხის საშუალებით ამოვშანთავთ ხოლმე დასასჯელის სხეულზე ქრისტეს ათი მცნების სწორედ იმ მუხლს, რომელიც მან დაარღვია...

აქ ოფიცერმა მიუთითა ჯაჭვით შეკრულ მსხვერპლზე და კმაყოფილებით თქვა:

— მაგალითად, ამის სხეულზე უნდა ამოიშანთოს „პატივ ეც უფროსსა შენსა“.

— იცის კია მან, რა აქვს მისჯილი? — ჰკითხა უცხოელმა.

— არა, — მიუგო ოფიცერმა, — ან რა აზრი აქვს ამას! იგი ხომ საკუთარი სხეულით შეიგრძნობს ყველაფერს.

— კი, მაგრამ, ის მაინც იცის, რომ მსჯავრდებულია?

— არც ეს იცის, — მოუჭრა ოფიცერმა, — მას დამცველიც არა ჰყავს. ეს მიღებული არ არის... ბრალდებულს არ ეძლევა დაცვის საშუალება. არც წინასწარი დაკითხვა წარმოებს. ამ ბანაკში მე ვასრულებ მოსამართლის მოვალეობას, ჩემი პრინციპი კი ასეთია: „დანაშაული ყოველთვის უეჭველია!..“ მე რომ ამ მსახურის დაკითხვა დამეწყო, სულერთია, აქედან მაინც არაფერი გამოვიდოდა. თუ გავაბათილებდი მის არგუმენტებს, იგი ახალ ტყუილებს მოიგონებდა. ასე კი ყველაფერი მარტივია. იგი ჩემ ხელთ არის და მე გაყურებინებთ, თუ როგორ დავსჯით. მანამ კი ბოლომდე აგიწერთ ამ მანქანის მოწყობილობას.

ოფიცერი საველე სავარძელში ჯდება, სიამოვნებისაგან წინასწარ გააზმორებს და განაგრძობს:

— ფარცხი, როგორც ხედავთ, ადამიანის სხეულის ფორმისაა: ტანი, ხელები, ფეხები. თავისათვის კი ეს საჭრეთელია განკუთვნილი. დასასჯელს რომ ძელზე დავაკრავთ, დენს ჩავრთავთ, ძელი იწყებს ვიბრაციას, ფარცხი ავტომატურად ეშვება ძირს, მისი კბილანები ეხება დასასჯელის სხეულს და ამოკვეთს ქრისტეს მცნებას. ეს რთული მექანიზმია, ბატონო. ფარცხის ყოველ დიდ კბილანას მოსდევს პატარები, როცა დიდი კბილანები ჭრიან სხეულს, პატარები უშვებენ წყალს და ბანენ სისხლს, რათა წარწერა უფრო მკაფიო გამოვიდეს. სისხლიანი წყალი სპეციალური ღარით უერთდება მილს და იღვრება ორმოში. ყოველი ასო მიჩუქურთმებულია რთული ორნამენტებით, რათა მათი ამოკვეთის პროცესი დიდხანს გაგრძელდეს, ჩვეულებრივად—თორმეტი საათი მანქანის ამუშავებიდან დასასჯელის სიკვდილამდე. გარდატეხის მომენტი ექვსი საათის შემდეგ დგება. როგორც კი პირველი ასო ამოიკვეთება, მანქანა თვითონ გადააბრუნებს დასასჯელის სხეულს, ისე, რომ ჭრილობიანი ადგილი ზუსტად მოხვდეს პრეპარირებულ ბამბას და სისხლის დენა შეწყდეს.

არის სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ჭრილობაზე

მიკრულ ბამბას აშორებს და ორმოში ისვრის... შემდეგ სხეული ისევ ავტომატურად გადმობრუნდება და წარწერის ამოკვეთა გრძელდება. კბილები თანდათან უფრო ღრმად ესობა სხეულს და ასე გრძელდება თორმეტი საათის მანძილზე. პირველ ექვს საათს დასასჯელი კიდევ გრძნობს სიცოცხლეს, მაგრამ საშინელ ტკივილებს განიცდის და იტანჯება. მანქანის ამუშავებიდან ორი საათის შემდეგ მას პირიდან გამოუღებენ ქეჩის ნაჭერს, რადგან აღარა აქვს ყვირილის ძალა. ამის ნაცვლად სახესთან მიმაგრებულ თეფშზე დაუსხამენ ფაფას, ისე რომ შეძლოს მისი ენით ალოკვა. ჩვეულებრივად, დასასჯელები იყენებენ ხოლმე ამას. მე დიდი გამოცდილება მაქვს და ვიცი ეს. ექვსი საათის შემდეგ კი მათ მადა ეკარგებათ. მე მივდივარ ახლო, ვაკვირდები და ვხვდები, რომ დასასჯელი უკვე აღარ ყლაპავს ლუკმას. ისე, ენით ცოტას მიაბრუნ-მოაბრუნებს პირში, მაგრამ შემდგომ, როგორც წესი, უკანვე გადმოაფურთხებს. აქ დროზე უნდა გაეცალო, თორემ შეიძლება შიგ სახეშიც შემოგაფურთხოს.

ექვსი საათის შემდეგ დასასჯელი, ჩვეულებრივად, დუნდება, წყხარდება და... სწორედ მაშინ უსათდება გონება, რაც უნდა უტვინო იყოს, მაინც ხვდება მის ტანზე ამოკვეთილი ქრისტეს მცნების აზრს... ეს იწყება თვალებიდან და თანდათან ვრცელდება მთელ სახეზე. თქვენ ამჩნევთ, რომ ასეთი წარწერის გარჩევა თვალით შეუძლებელია, დასასჯელი კი მას გრძნობს მთელი სხეულით. ესეც ძალიან რთული სამუშაოა და გრძელდება მთელი ექვსი საათი. შემდეგ ფარცხის კბილანები ბოლომდე ხვრეტენ დასასჯელის სხეულს და ისვრიან ორმოში, სადაც იგი ერთხანს კიდევ ფართხალებს სისხლიან წუმპეში. ამით მთავრდება სასამართლო პროცესი...

...ასეთია ამ „გენიალური გამოგონების“ არსი. იგი საოცრად ჰგავს ყოველივე იმას, რაც ჰიტლერელთა საკონცენტრაციო ბანაკებში ხდებოდა და ზოგადდება როგორც კაცობრიობის დაუსრულებელი ხანგრძლიობა ტანჯვაში...

მეფისტოფელი ხვდება ყოველივე ამის აზრს. მან იმ ბანა-

კებში ადამიანთა სიკვდილით დასჯისა თუ მსხვერპლშეწირვის ისეთი შემაძრწუნებელი ფორმები ნახა, რომ თვით ჯოჯოხეთის მეუფეს ლუციფერსაც არ მოუვიდოდა თავში...: უყურა კიდეც, როგორ გამოიყვანეს ესესელებმა ათი ტუსაღი, ათი ნაბიჯის ინტერვალით ერთ მწკრივზე დააყენეს, ათი ჭისებური ორმო ამოათხრევინეს, ათივე ცოცხლად ჩააყენეს და მიწა მიაყარეს ისე, რომ მხოლოდ თავები რჩებოდა ზემოთ. სახე ყველას აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა მიპყრობილი, საიდანაც ნელნელა წამოვიდა უზარმაზარი ბულდოზერი... მიუახლოვდა მათ და...

იწყება წარმართული მსხვერპლშეწირვის რიტუალი: ორკესტრი უკრავს ვაგნერის „ღმერთების დასასრულს“, შეძრწუნებული დასასჯელები ხედავენ, რაც მოელით... სუნთქვა უჭირთ... ყვირილი არ შეუძლიათ... არც განძრევა... „გონების განათება“ აქაც თვალებიდან იწყება და მერე მთელ სახეზე გადადის... კიდევ რამდენიმე წუთი და ბულდოზერი გადაუვლის პირველ მსხვერპლს... ორკესტრის ხმაურსა და მოტორის გუგუნშიაც ისმის როგორ სკდება თავის ქალა... მერე მეორე... მესამე... მეოთხე... ბოლოს მეათეც...

უკან რჩება დატკეპნილი მიწა და სისხლის ჭუჭყიანი ლაქები...

...ურტყით, რათა იგრძნონ, რომ კლავენ!.. ბრძანებდა კალიგულა. ჰიტლერიც ხომ სულ იმას გაიძახოდა. კალიგულა ვარო. იცოდა ძველი წარმართული წესი: მსხვერპლს თუ შიშისაგან ელდა არ ეცემოდა, მის სულს არ შეიწირავდნენ ღმერთები.

გახსოვთ, ალბათ, გერინგმაც რომ ამიტომ გასცა განკარგულება, თავის მოსაკვეთად დასასჯელები პირალმა დააწვინეთო. მის საკონცენტრაციო ბანაკებშიც აითვისეს ამგვარი „კალიგულასებური „ნელნელა მოკვლის“ ტექნიკა. ზოგჯერ ძალიან პრიმიტიული, მაგრამ ისე შთამბეჭდავი, როგორც ესესელი ჰიპგენის მეთოდი. მეფისტოფელის თვალწინ ჰიპგენმა თავისი მსხვერპლი ჯერ გააშიშვლა, შემდეგ ცოცხლად კუბოში

ჩაწვინა და ისე ჩააკრა, რომ იმ საცოდავს განძრევაც არ შეეძლო. თან ვედრო მოიტანა, გადმოაპირქვავა და ტუსაღს დაადო შიშველ მუცელზე. ვედროში გვამების ჭამით გასუქებული ვირთხა იყო ჩასმული, ზედაც მძიმე ქვა ედო. ვირთხა ერთხანს იტრიალებდა ვედროში, მაგრამ გამოსასვლელს რომ ვერ იპოვიდა, იმ ტუსაღის მუცლის ღრღნას იწყებდა და სამშვიდობოს გადიოდა...

პატიმარი კი კვდებოდა!..

მეფისტოფელმა რომ ეს და მრავალი ამგვარი საშინელება ნახა, შეძრწუნებულმა — ადამიანები ჯოჯოხეთსაც წაგვიბილწავენო, შემზარავი ხმით იკივლა:

— სამოთხეში, სამოთხეში ეგ არამზადები!..

...Homo sapiens კი ისევ საკონცენტრაციო ბანაკში იჯდა და უცდიდა თავისი არსებობის დღის გაგრძელებას...

სარჩევი

აქა ამბავი 3
ქვიშის საათი 11
მითების სინამდვილე . . . 16
იზიდას საიდუმლოება . . . 24
ას ერგასის დღის გახსენება . . 30
ჰეროდეს ძენი 35
თემიდას თვალები 41
ათასი ფუთი ბრალდება . . . 43
არტისტული სისასტიკე . . 52
სალხთა სამსჯავრო 59
სასიამოვნო ბრალდებანი . . . 68
ქუდმოხდილი სახლი 79
სემირამიდას ბაღი 83
სიკუდილია სიკეთდილისა . . 88
არესის მრისხანება 92
დიდი ზაფჩელი 96
ყეისრული სალამი 103
პირველი ნაოლობა 108
ბედისწერის სასწორი . . . 117
მაცხოვრის შიკრიკი . . . 122
სიკვდილის მაძიებელნი . . . 132
უსახელო მაღლობი 138
სამოწყალო ტყვია 144
ნოეს კიდობანი 147
სხვისი სხვა 152
ხე ცხოვრებისა 158
საიდუმლო შუიდთა ვარსკულავ-
თაგ 166
უბრალო საათი 173
მფრინავი ფილარმონია . . . 179
ერთი დიდი და ერთი პატარა . 184
ძერვე ბრძენი 186
ცოცხალი ყუმბარა 191
მკვდრების მოგზაურობა . . . 197
მატყუარა ვარსკვლავები . . 203
კოლოსი ფოლადის ფეხებზე . . 207
თერმოპილის კომედია . . . 210
ნიბელუნგების სისხლი . . . 216
ქაღალდის ისრები 222
მზესუმზირას ოთხი მარცვალი . 226
სარდანაპალი 231
რქა და ყურები 238
ფერიდეს მოსასხამი . . . 244
ჩარიტას ვარიანტები . . . 249
მირჩო და 95 ჯარისკაცი . . . 257
შიშნარევი სიამოვნება 261
წყალს ნაფოტი ჩამოქონდა . 271
ტყვეით აცრა 281
ბოროტების კვალდაკვალ . . 283
მესამე ხარისხი 292
ღირსების საქმე 296
სოდომის დაღი 300
საცოდავი მკვლელები 303
ფერფლი და კვამლი 308
მარსიას ტყავი 312
სიკვდილის ტანგო 316
სასაცილო სიკვდილი 320
თიეზოლელთა სარეცელი . . 327
გაპარსული ნადირები . . . 331

ინკვიზიტორის აღსარება . . . 336
უნამუსო ერთგულება . . . 346
ქალბატონი ნომერი პირველი . 351
ბრალდება ეკრანიდან . . . 355
შავი კორპუსი 358
ერთ ტაიზე 361
ხშირი სტუმარი 366
ადამიანის ფასი 372
ღამე და ნისლი 376
კანონიერი უსამართლობა . 383
სატანის ბიბლია 386
ბოზეიმე მახვილი 388
ირიელი ანტიქრისტე 394
ძაგიური კვადრატი 397
აგპართი და შამპულაჰი . . . 401
მუყაოს პლანეტა 408
ცოდვის კალო 414
პროცენტული შეფარდება . . 419
სატანის მონა 426
ახალგაზრდა დედაბერი . . . 434
ალფიდან იპსილონამდე . . . 441
ორკეცი სასწორი 446
ფარული სიმართლე 448
უზარმაზარი ნაზუქი 452
ფორმეტი მცნება 457
უსიტყვო მეტყველება . . . 460
კამოხრული ძაღი 465
ძოძალადე ნათლიები . . . 468
ცისფერი კავკასია 471
ნაეთის სუნი 475
შეწყვეტილი საუბარი . . . 477
შვინდისფერი ხავერდი . . . 479
ამირანის ნადგომი 484
ცეცხლი და ყინული 488
შეშინებული კაცის პროტესტი . 492
მოკნილი ტყეილი 496
ცნება და შინაარსი 501
საბოლოო მიზნები 505
ხანჯალი და ხმალი 508
სიმპათიური მკვლელი 513
კავკასიური ბატალიონი . . . 518
ძტერი და მოყვარე 522
პოლიდორის ჩივილი 526
სული ნიაექარისაჲ 529
განათლებული არამზადები . . 535
ერთის მეორე 539
მესამის დანაშაული 544
სამარცხვინო დიდება . . . 547
ღვთაებრივი სიშმაგე 551
კალიგულა ისტორიაში . . . 555
შეშინებული ედგარი 560
დელფოსის ტაძარი 562
იყო და არა იყო რა 569
მეორე მხარე 574
ჯვარცმის ახალი ნიშანი . . . 576
კაცია ადამიანი?!.. 579
უკანასკნელი ცოდვა 587
ნაწლეეთა ღეკვა 590
მეშვიდე ეშმაკი 594
ხვალინდელი დღის კეისარი . 601
ღვთის კრავი 608
ხელისუფლება ქუჩებში . . . 612
მდიდარი ბიძები 618
ოთხი ტყვია (3+1) 621
ბატონი ბრალდებული . . . 626
შავი ორდენი 630
მადონების ასამბლეა 639
გაფრენილი ხოხბები 643
უთანხმოების ქალღმერთი ერისი 648
ბისმარკის სავარძელი . . . 653
პირველი რაუნდი 655
მეორე რაუნდი 659
ყალბი ბრილიანტები 662
სიამის ტყუპები 664
ბეწვის ხიდი 668
მაშველი რგოლები 673
ჩოიდეკელი მემამულე 677
მაბაში ბროკენის მთაზე . . . 682
ცრუ ნერონი 686
ნაცნობი უცნობი 689
ტყე და ნაფოტები 692
შეთქმულება კრეისერზე . . . 697

პანდორას ყუთი 701
გრძელი დანების ღამე . . . 703
დაკარგული ანდერძი 710
ყაყისფერი მარტორქები . . . 715
ძუძუმწოვარა ჯარისკაცები . . 726
მაგიური სიმი 732
ბებურა თორღვას ამბავი . . . 736
პანურგის ჯოგი 738
წამებაჲ გონებისა ჩუენისაჲ . . 743
ქედმაღლური სიმდაბლე . . . 748
სულიერი სუბსტანცია 750
სამოთხის არამზადები 759

რედაქტორი მ. ებრალიძე
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი
მხატვარი თ. გოცაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები: ნ. ქავთარაძე, ო. ცინცაძე, ლ. არეშიძე.

ვადაეცა წარმოებას 14/VII 67 წ.,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/12 67 წ.,
ქაღალდის ზომა 84×108 1/32,
ნაბეჭდი თაბახი 40,74,
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 34,95,
უე 01883,
ტირაჟი 20.000,
შეკვ. № 1166,
ფასი 1 მან. 24 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა.
თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба»,
Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15